ბესიკ ლოლაძე
ანა ფირცხალაშვილი

ძირითადი უფლებები

კომენტარი

თბილისი

2023

წიგნი მომზადდა და გამოიცა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

წიგნის შინაარსზე სრულად პასუხისმგებლები არიან ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და/ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

SEU
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

ავტორები:

ბესიკ ლოლაძე

ანა ფირცხალაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი:

გიორგი ხუბუა

ენობრივი რედაქტორები:

ლილი სალაძე

ნიკოლოზ კობახიძე

მარიამ ფერაძე

ტექნიკური რედაქტორები:

ანა ცეცხლაძე

ლევან ბარბაქაძე

დაიბეჭდა შპს „ფორმა"-ში
www.forma.ge

ISBN 978-9941-8-6178-9

© წიგნის ავტორები 2023

© ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), 2023

© აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) 2023

წინათქმა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა საქართველოში არის 5 წლიანი (2022-2026), პროგრამა, რომელსაც აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). პროგრამის მიზანია საქართველოში კანონის უზენაესობის გაძლიერება მართლმსაჯულების ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის, საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, და ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებზე მოქალაქეთა და ინსტიტუციური ზედამხედველობის გაძლიერების გზით.

საუნივერსიტეტო დონეზე სწავლებისა და სასწავლო პროგრამების გაძლიერება სამართლის უზენაესობის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მხრივ პროგრამა USAID მიზნად ისახავს საქართველოში იურიდიული განათლების ხარისხის ამაღლებას აკადემიური ინსტიტუტებისა და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მხარდაჭერით. იურიდიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალება ქართულენოვანი იურიდიული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობაა. იურიდიული სახელმძღვანელოების შექმნა ერთის მხრივ ემსახურება სტუდენტების სწავლების პროცესს, მეორეს მხრივ კი, ახალისებს სამართლებრივ კვლევით საქმიანობას.

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესახებ წინამდებარე ნაშრომი მორიგი აკადემიურ რესურსია, რომელიც სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში მომზადდა.

ამ წიგნის იდეის და პუბლიკაციის მომზადებისთვის უღრმეს მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს და მის ვიცე-რექტორს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით და კომენტარის ერთ-ერთ თანაავტორს, ანა ფირცხალაშვილს. ასევე მადლობას ვუხდი ბესიკ ლოლაძეს ნაშრომზე მუშაობისა და მის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის.

მკითხველს კი, გთავაზობთ, ჩაუღრმავდეთ ამ ნაშრომს ღია გონებით და იმ პრინციპებისადმი ერთგულებით, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს და მსგავსი რესურსები ხელს შეუწყობენ კრიტიკულ აზროვნებას, წაახალისებენ დისკუსიას, ხელს შეუწყობს სამართლებრივი პრაქტიკის დახვეწას და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

გიორგი ჩხეიძე

პროგრამის ხელმძღვანელი
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა

რედაქტორისაგან

ძირითადი უფლებები დემოკრატიული წესრიგისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ცენტრალური ელემენტია. ძირითადი უფლებების იურიდიულ კონსტრუქციაში ერთგვარად პროეცირებულია სამართალშემოქმედების, იურიდიული პრაქტიკისა და მეცნიერების ყველაზე სადავო და პრობლემური საკითხები. ძირითადი უფლებების კომენტარებს შეუცვლელი ფუნქცია აკისრია იურიდიული განათლების სფეროშიც, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ხშირად გამოყენებად მასალას იურიდიული სწავლების პროცესში.

ანა ფირცხალაშვილს და ბესიკ ლოლაძეს წინამდებარე წიგნის სტრუქტურა აგებული აქვთ ძირითადი უფლებების სწორედ ამ კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით. ზოგადად, კომპლექსური მიდგომა გამოარჩევს წიგნის ავტორების კვლევის მეთოდსაც. ძირითადი უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები განხილულია როგორც მართლმსაჯულების პრაქტიკის, ისე მიმდინარე სამეცნიერო დისკურსის ფართო კონტექსტში. საინტერესოდ არის წარმოჩენილი ძირითადი უფლებების ჩამოყალიბებისა და განვითარების დინამიკა, ძირითადი უფლებების სახეები და მათი ფუნქციები. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული ძირითადი უფლებების უნივერსალური ბუნება. ამავე დროს, ისინი განხილულია კულტურულოგიურ და სხვა კონტექსტშიც.

წინამდებარე წიგნი არის მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის ინტენსიური დიალოგის კარგი მაგალითი და ასევე კარგი ფორმა იმისა, თუ როგორ შეიძლება ინტეგრირებული იყოს ძირითად უფლებებზე არსებული დინამიური და ცვალებადი სასამართლო პრაქტიკა როგორც სამეცნიერო კვლევების, ისე სწავლების პროცესში.

ანა ფირცხალაშვილისა და ბესიკ ლოლაძის წინამდებარე წიგნი სოლიდური გამოკვლევაა, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს ძირითადი უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემების კვლევაში და მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას. ნაშრომს ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და ფუნქციონირებადი დემოკრატიის ჩამოყალიბების პროცესში.

გიორგი ხუბუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ავტორების წინასიტყვაობა

ძირითადი უფლებების - იურიდიული განათლების საწყის ეტაპზე შესწავლის იდეა არის ის, რომ - მათ, როგორც ფუნდამენტურ ფასეულობებს, ეფუძნება თავისუფალი დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი და მთლიანად სამართლის სისტემა. ადამიანის უფლებების არსისა და მნიშვნელობის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე, შეუძლებელია იურისტმა გაიაზროს არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი საკითხები, არამედ ეზიაროს სამართლის ზოგად ღირებულებებს და აქედან გამომდინარე გააცნობიეროს სამართლის მეცნიერების სულისკვეთება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შესძინოს ადამიანის უფლებებით დაინტერესებულ პირებს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების შესახებ. ნაშრომი ორ ნაწილად იყოფა. პირველ, ზოგად ნაწილში გადმოცემულია ადამიანის ძირითად უფლებათა არსი, კლასიფიკაცია, ისტორიული და იდეური განვითარება, კონსტიტუციის ნორმათა განმარტების მეთოდები, ძირითადი უფლებების შეზღუდვა, უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება და სხვა მეთოდური საკითხები. მეორე ნაწილში შესწავლილი, გაანალიზებული და კონკრეტული მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული ცალკეული ძირითადი უფლებები. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თითოეულ უფლებასთან მიმართებით ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურას. ნაშრომში ყურადღება თანაბრად არის გამახვილებული ძირითადი უფლებების თეორიაზე, მის დოგმატიკაზე, მეცნიერებაში დამკვიდრებულ კონცეპტუალურ მიდგომებზე, მაგრამ ასევე საქმის პრაქტიკული გადაჭრის მეთოდოლოგიაზე. მკითხველი მიიღებს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ძირითადი უფლებების გააზრებისას სამართლებრივი ნორმების განმარტება მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, რაც გამოიხატება მათ დოგმატურ და ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკაზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციაში, კრიტიკულ, ლოგიკურ და არგუმენტირებულ აზროვნებაში. ერთი მხრივ, ძირითად უფლებებში ვხვდებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დებულებებს, ფორმასა და პროცედურებს, ხოლო მეორე მხრივ, არსებობს მრავალი ზოგადი დებულება და ერთი შეხედვით, ბუნდოვანი სამართლებრივი ცნებები, რომლებიც ნათელი ხდება მხოლოდ მათი ლოგიკური, სამეცნიერო, დოქტრინალურად დამკვიდრებული განმარტებებისა და სასამართლოს პრაქტიკის საშუალებით.

ძირითადი უფლებები, განსხვავებით სხვა სამართლებრივი ნორმებისაგან, როგორც წესი, აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხითა და გადმოცემის ზოგადი ხასიათით გამოირჩევიან (მაგ. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია, ან ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და სწორედ აქედან გამომდინარე მათი დოგმატური განმარტებები და თეორიული ინტერპრეტაციები, ისე როგორც სასამართლო პრაქტიკა, არის გადამწყვეტად მნიშვნელოვანი მათი მოქმედების ფარგლების დადგენისათვის.

წინამდებარე ნაშრომი შედგენილია იმგვარად, რომ მკითხველმა თანმიმდევრულად და სისტემურად შეძლოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროს საფუძვლიანი გააზრება და მისი სიღრმისეული აღქმა. ნაშრომი განკუთვნილია არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ იგი საინტერესოა სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთათვის, მეცნიერებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და ადამიანის უფლებებით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

ნაშრომი შეიქმნა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს იურიდიულ ფაკულ-ტეტზე, სეუს სამეცნიერო - კვლევითი გრანტისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, რომელსაც აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). თითოეული მათგანი გულწრფელ მადლობას იმსახურებს იმ მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ნაშრომის შექმნისა და გამოცემის იდეის განხორციელება.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი მეგზურობას გაუწევს ადამიანის უფლებებით დაინტერე-სებულ პირებს მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლისას და საკუთარ წვლილს შეიტანს ძირითადი უფლებების დაცვისა და პატივისცემის საქმეში.

ანა ფირცხალაშვილი

ბესიკ ლოლაძე

ავტორები:

ნაწილი I. ძირითადი უფლებების საფუძვლები

შესავალი: ძირითად უფლებათა რაობა და მათი მნიშვნელობა (ანა ფირცხალაშვილი)
თავი 1. ძირითადი უფლებების ისტორია (ანა ფირცხალაშვილი)
თავი 2. ძირითადი უფლებების არსი და კლასიფიკაცია (ბესიკ ლოლაძე)
თავი 3. ძირითადი უფლებების სტრუქტურა (ანა ფირცხალაშვილი)
თავი 4. ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმება (ანა ფირცხალაშვილი)

ნაწილი II. ცალკეული ძირითადი უფლებები

მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 11. თანასწორობის უფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება (ბესიკ ლოლაძე)
თავი 14. მიმოსვლის თავისუფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 19. საკუთრების უფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 21. შეკრების თავისუფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 24. საარჩევნო უფლება (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 31. საპროცესო უფლებები (ბესიკ ლოლაძე)
მუხლი 32. მოქალაქეობასთან დაკავშირებული ექსკლუზიური უფლებები (ანა ფირცხალაშვილი)
მუხლი 33. თავშესაფრის უფლება (ბესიკ ლოლაძე)

შინაარსი

წინათქმა I
რედაქტორისგან II
ავტორების წინასიტყვაობა III
ავტორები V
შინაარსი VI
შესავალი: ძირითად უფლებათა რაობა და მათი მნიშვნელობა 1
ა) ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა 2
ბ) ძირითად უფლებათა რაობა 3
თავი 1. ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარება 5
1.1. ისტორიული განვითარება 5
1.1.1. ადამიანის უფლება თავისუფლებათა ისტორია ინგლისურ კონსტიტუციონალიზმში 6
თავისუფლებათა დიდი ქარტიის (Magna Carta Libertatum) 6
Habeas Corpus Act (1679) 7
Bill of Rights (1689) 8
1.1.2. ადამიანის უფლებათა ისტორია ჩრდილოეთ ამერიკაში 8
1.1.3. ადამიანის უფლებათა ისტორიული განვითარება საფრანგეთსა და გერმანიაში 9
1.1.4. ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარება საქართველოში 12
1.2. ადამიანის უფლებათა იდეური განვითარება 16
1.3. ადამიანის უფლებანი საერთაშორისო რანგში 18
1.3.1. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 18
1.3.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 19
1.3.3. კოლიზია საქართველოს კონსტიტუციით და ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს შორის 22
1.3.4. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 24
1.3.5. ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტები 26
თავი 2. ძირითადი უფლებების არსი და კლასიფიკაცია 28
2.1. ძირითადი უფლებების ნიშნები 28
2.2. სახელმწიფოს შეზღუდვა ძირითადი უფლებებით 28
2.2.1. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის მნიშვნელობა 28
2.2.2. სახელმწიფოს მზღუდავი უფლებების წრე 29
2.2.3. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატები 30
2.2.4. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის შინაარსი 32
2.3 ძირითადი უფლებების სუბიექტური ფუნქცია 35

2.4. ძირითადი უფლებების ობიექტური ფუნქცია 37
2.5. ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია 40
თავი 3. ძირითადი უფლებების განმარტების მეთოდები და მათი სტრუქტურა..... 43
3.1 ადამიანის ძირითად უფლებათა მათი განმარტების მეთოდები..... 43
3.2. ძირითად უფლებათა სტრუქტურა 45
3.2.1. ადამიანის ძირითად უფლებათა სუბიექტი..... 46
3.2.1.1. ფიზიკური პირები, როგორც ძირითადი უფლების სუბიექტები 46
3.2.1.2. იურიდიული პირები, როგორც ძირითადი უფლების სუბიექტები 47
3.2.1.3. პროცესუალური სამართალსუბიექტობა..... 48
3.2.2. ადამიანის ძირითად უფლებათა ადრესატი 51
3.2.3. ძირითადი უფლებით დაცული სფერო 52
თავი 4. ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმება 53
4.1. ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი 54
4.1.1. კანონის კონკრეტული დათქმა..... 55
4.1.2. სასამართლო გადაწვეტილების დათქმა 55
4.1.3. უშუალო კონსტიტუციური ზღვარი 56
4.1.4. შიდა კონსტიტუციური ზღვარი 57
4.2. ძირითადი უფლების დარღვევის ფორმალურ-სამართლებრივი შემოწმება 58
4.3. ძირითადი უფლების დარღვევის მატერიალურ-სამართლებრივი შემოწმება 59
4.3.1. თანაზომიერების პრინციპი 59
4.3.1.1. თანაზომიერების ფარგლები- „გადამეტების აკრძალვა“ და „არასაკმარისი ზომების აკრძალვა“ 61
4.3.1.2. ძირითად უფლებაში ჩარევა..... 61
4.3.1.3. ძირითად უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი..... 62
4.3.1.4. ძირითად უფლებაში ჩარევის გამართლება 64
4.3.2. ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმება განსაზღვრულობის პრინციპის მიხედვით..... 67
4.4. კაზუსის ამოხსნა ძირითად უფლებებში 69
4.4.1. კაზუსის ამოხსნის მოდელების კლასიფიკაცია და საკონსტიტუციო სამართალწარმოება 70
4.4.2. კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელი..... 72
4.4.3. კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელი..... 75
4.4.4. კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელი 79
4.4.5. კაზუსის ამოხსნის მეოთხე მოდელი 83
4.4.5.1. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შემოწმება..... 83
4.4.5.2. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შემოწმება..... 84
მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა 86

შინაარსი 86
1. ადამიანის ღირსების უფლების ცნება, ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 87
1.1. ადამიანის ღირსების ცნება 87
1.2. ღირსების უფლება, საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტში 88
1.3. ღირსების უფლების ზოგადი მნიშვნელობა..... 89
2. ღირსების უფლებით დაცული სფერო და კავშირის სხვა ძირითად უფლებებთან 91
2.1 ადამიანის ღირსების უფლების საგნობრივად დაცული სფერო..... 92
2.1.1. ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმშვიდის ხელშეუხებლობა 92
2.1.2. ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა..... 94
2.1.3. დისკრიმინაციის აკრძალვა და ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა 95
2.1.4. სამართლიანობის დაცვა 96
2.1.5. პიროვნების თავისუფალი განვითარება, იდენტობა, თვითმყოფადობა და ღირსების უფლება..... 98
2.2. ადამიანის ღირსების უფლებით პერსონალურად დაცული სფერო 99
2.2.1. როდის იძენს ადამიანი ღირსების უფლებას? 99
2.2.2. როდის სრულდება ადამიანის ღირსების უფლება? 100
2.2.3. ვინ არის დაცული ადამიანის ღირსების უფლებით. 103
3. ადამიანის ღირსების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, ჩარევის სახეები და მისი შემოწმება 104
3.1. „ადამიანის ობიექტად გამოყენების“ შემოწმების ტესტი 105
3.2. „4 კომპონენტიანი“ ტესტი..... 106
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა..... 108
4.1. ჯალოჰი გერმანიის წინააღმდეგ 109
4.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეები საქართველოს წინააღმდეგ..... 109
4.4. პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ 112
4.5. ალმეიდა ლეიტაო ბენტო ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ..... 113
4.6. ჯუღაშვილი რუსეთის წინააღმდეგ 113
4.7. გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ 114
ლიტერატურა 116
მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები 118
შინაარსი 118
1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო..... 119
1.1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა..... 119
1.2. სიცოცხლის უფლების დაცული სფერო..... 120

1.2.1. სიცოცხლის უფლების პერსონალური დაცული სფერო 120
1.2.2. სიცოცხლის უფლების საგნობრივი დაცული სფერო 122
1.2.3. სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები 125
1.2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 125
1.2.3.2. სახელმწიფო დაცვის ვალდებულებები 125
1.2.3.3. სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები 134
1.3. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცული სფერო 135
1.3.1. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების პერსონალური დაცული სფერო 135
1.3.2. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების საგნობრივი დაცული სფერო 136
1.3.3. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები 137
1.3.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 137
1.3.3.2. სახელმწიფო დაცვისა და პროცედურული ვალდებულებები 137
2. ჩარევა სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროებში 138
2.1. ჩარევა სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროში 138
2.2. ჩარევა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში 139
3. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება 141
3.1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზღვარი და ჩარევის გამართლების ფორმალური მოთხოვნები 141
3.2. სიცოცხლის უფლებაში ჩარევის გამართლების მატერიალური მოთხოვნები 142
3.3. სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 144
3.3.1. სახელმწიფო დაცვის ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 144
3.3.2. სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 146
3.4. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის გამართლების მატერიალური მოთხოვნები 148
3.5. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 149
ლიტერატურა 150
მუხლი 11. თანასწორობის უფლება 152
შინაარსი 152
1. თანასწორობის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 153
1.1. თანასწორობის ზოგადი მნიშვნელობა და მისი იდეური განვითარება 153
1.2. თანასწორობის სამართლებრივი გააზრება 155

1.3. თანასწორობის უფლება საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტში 156
2. თანასწორობის უფლებით დაცული სფერო და კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან 158
2.1 თანასწორობის უფლების საგნობრივად დაცული სფერო 158
2.1.1. ზოგადი თანასწორობა (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი) 158
2.1.2. ეროვნული, ეთნიკური და ენობრივ უმცირესობათა თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი) 160
2.1.3. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი) 163
2.1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი) 167
2.2. თანასწორობის უფლებით პერსონალურად დაცული სფერო 170
2.3. თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა 171
3. ჩარევა თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა და მისი შემოწმება 173
3.1. დაცულ სფეროში ჩარევა 173
3.2. დიფერენცირება 174
3.3. რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტი 176
3.4. თანასწორობის უფლებაში ჩარევის შემოწმება 178
3.5. თანასწორობის უფლების კონსტიტუციური სარჩელით მოთხოვნის ფარგლები 184
4. საერთაშორისო მიდგომების და სასამართლო პრაქტიკა ანტიდისკრიმინაციული სამართალში 186
4.1. ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართალი 186
4.2. ჩემი თურქეთის წინააღმდეგ 187
4.3. ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ 189
4.4. კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ 190
4.5. შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დისკრიმინაციის საქმეებზე მიღებული გადაწვეტილებები 191
4.6. დისკრიმინაციის დადგენა „სხვა“ ნიშნით 192
4.7. ეთნიკურ/ეროვნულ/რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის საქმეების საერთაშორისო პრაქტიკა 192
ლიტერატურა 195
მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება 197
შინაარსი 197
1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 198
1.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი მნიშვნელობა 198
1.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფერო 200

1.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პერსონალური დაცული სფერო 200
1.2.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების საგნობრივი დაცული სფერო 200
1.2.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ელემენტები და სუბსიდიური ბუნება 200
1.2.2.2. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება 202
1.2.2.3. ზოგადი პიროვნული უფლება 203
1.3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 208
2. ჩარევა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცულ სფეროში 209
3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცულ სფეროში ჩარევის შემოწმება 213
3.1. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 213
3.2. კონსტიტუციის მატერიალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 214
3.2.1. ლეგიტიმური მიზანი 214
3.2.2. გამოსადეგობა 217
3.2.3. აუცილებლობა 219
3.2.4. პროპორციულობა 221
3.3. პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 223
ლიტერატურა 224
მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება 225
შინაარსი 225
1. ადამიანის თავისუფლების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 227
1.1. ადამიანის თავისუფლების უფლების ზოგადი მნიშვნელობა 227
1.2. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცული სფერო 228
1.2.1. ადამიანის თავისუფლების პერსონალური დაცული სფერო 228
1.2.2. ადამიანის თავისუფლების საგნობრივი დაცული სფერო 228
1.2.3. ადამიანის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები 230
1.2.4. ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიები 231
1.2.4.1. სასამართლო კონტროლი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე 231
1.2.4.2. საპროცესო გარანტიები დაკავებისას და დაკავებული პირის უფლებები 234
1.2.4.3. ბრალდებულის პატიმრობის ვადა და სხვა გარანტიები 238
1.2.5. კომპენსაციის მიღების უფლება 239
2. ჩარევა ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში 241

2.1. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის იდენტიფიცირება 241
2.2. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის სახეები..... 245
2.3. ჩარევა ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიებსა და კომპენსაციის მიღების უფლებაში 250
3. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის გამართლება 250
3.1. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის გამართლების ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები 250
3.1. 1. კანონის დათქმა და ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის კანონიერება..... 250
3.1.2. თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპები, თვითნებობისაგან დაცვა ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევისას 252
3.2. ადამიანის თავისუფლების უფლების სახელმწიფო დაცვის ვალდებულების დარღვევის შემოწმება 255
3.3. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ცალკეული სახეების გამართლების თავისუბურებანი 255
3.3.1. მსჯავრდების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის გამართლება..... 255
3.3.2. სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის/კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დაკავების/დაპატიმრების გამართლება 257
3.3.3. უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად დაკავების/დაპატიმრების გამართლება 258
3.3.3.1. დაკავების გამართლების თავისებურებანი 258
3.3.3.2. ბრალდებულის პატიმრობის გამართლების თავისებურებანი 264
3.3.3.3. პრევენციული დაკავებისა და პატიმრობის გამართლების თავისებურებანი..... 272
3.3.4. არასრულწლოვანის დაპატიმრების გამართლება 272
3.3.5 გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის დაპატიმრების გამართლება 273
3.3.6. ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად და დეპორტაციისათვის/ექსტრადიციისათვის დაკავების/დაპატიმრების გამართლება 275
3.4. კომპენსაციის მიღების უფლების დარღვევის შემოწმება 276
ლიტერატურა 277
მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება 278
შინაარსი 278
1. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლების ისტორიული განვითარება და ზოგადი მნიშვნელობა 279
2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებით დაცული სფერო..... 280

2.1. პერსონალურად დაცული სფერო 280
2.2. საგნობრივად დაცული სფერო 283
2.3. მიმოსვლის თავისუფლებისა და საცხოვრებლის უფლების არჩევის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 284
2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 284
2.3.2. სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება 285
3. ჩარევა საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლება 285
3.1. ჩარევის იდენტიფიცირება 285
3.2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის სახეები 286
4. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 286
4.1. კანონის დათქმა 286
4.2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 289
4.2.1. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 289
4.2.2. ჩარევის გამოსადეგობა 289
4.2.3. ჩარევის აუცილებლობა 290
4.2.4. ჩარევის პროპორციულობა 291
5. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 293
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 294
6.1. ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ,- 1509/02 - გადაწყვეტილება. 22.2.2007 294
6.2. სტამოსე ბულგარეთის წინააღმდეგ - 29713/05 გადაწყვეტილება. 27.11.2012 295
6.3. საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება 296
ლიტერატურა 297
მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები 298
შინაარსი 298
1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 300
1.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 300
1.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცული სფერო 301
1.2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების პერსონალური დაცული სფერო 301

1.2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების საგნობრივი დაცული სფერო 303
1.2.2.1. საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლები და მისი გამიჯვნა სხვა ძირითადი უფლებებით დაცული სფეროებისაგან 303
1.2.2.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო 307
1.2.2.3. ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო..... 312
1.2.2.4. პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო 315
1.2.2.5. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო..... 319
1.3. ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების უზრუნველყოფის ფორმალური გარანტიები 324
1.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 327
1.4.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 327
1.4.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები..... 328
2. ჩარევა პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში 330
2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება 330
2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის სახეები 331
3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამართლება 334
3.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამართლების ფორმალური მოთხოვნები..... 334
3.1.1. კანონის დათქმა და პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის კანონიერება 334
3.1.2. ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევისას სასამართლო დათქმის დარღვევის შემოწმება..... 337
3.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება..... 339
3.2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი..... 339
3.2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამოსადეგობა 341
3.2.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის აუცილებლობა..... 342
3.2.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის პროპორციულობა 343

3.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 345
ლიტერატურა 348
მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები 350
შინაარსი 350
1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 351
1.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების ზოგადი მნიშვნელობა 351
1.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების დაცული სფერო 355
1.2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების პერსონალური დაცული სფერო 355
1.2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების საგნობრივი დაცული სფერო 357
1.2.2.1. რწმენის თავისუფლება 357
1.2.2.2. სინდისის თავისუფლება 360
1.2.2.3. აღმსარებლობის თავისუფლება 363
1.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 366
1.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 366
1.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები 366
2. ჩარევა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში 370
2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება 370
2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის სახეები 372
3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის გამართლება . 373
3.1. კანონის დათქმა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევისას 373
3.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 374
3.2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 374
3.2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის გამოსადეგობა 375
3.2.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის აუცილებლობა 375

3.2.4. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის პროპორციულობა ... 376
3.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება ... 380
ლიტერატურა ... 382
მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები ... 383
შინაარსი ... 384
1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო ... 385
1.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა ... 385
1.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცული სფერო ... 387
1.2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების პერსონალური დაცული სფერო ... 387
1.2.1.1. ფიზიკური პირები ... 387
1.2.1.2. იურიდიული პირები ... 389
1.2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების საგნობრივი დაცული სფერო ... 390
1.2.2.1. აზრის თავისუფლება ... 390
1.2.2.2. ინფორმაციის თავისუფლება ... 397
1.2.2.3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ... 401
1.2.2.3.1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებით დაცული სფეროს შემადგენელი კომპონენტები ... 401
1.2.2.3.2. პრესის თავისუფლება ... 402
1.2.2.3.3. მაუწყებლობის თავისუფლება ... 406
1.2.2.3.4. ცენზურის აკრძალვა ... 408
1.2.2.3.5. მონოპოლიზაციის აკრძალვა ... 410
1.2.2.4. ინტერნეტის თავისუფლება ... 411
1.2.2.5. ინსტიტუციური გარანტიები ... 412
1.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები ... 413
1.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები ... 413
1.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები ... 414
2. ჩარევა აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ... 417

2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება 417
2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის სახეები 419
3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის გამართლება 423
3.1. კანონის დათქმა აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევისას 423
3.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 426
3.2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 426
3.2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის გამოსადეგობა 432
3.2.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის აუცილებლობა 432
3.2.4. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის პროპორციულობა 437
3.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 452
ლიტერატურა 453
მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები 455
შინაარსი 455
1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 457
1.1. ზოგადი მნიშვნელობა 457
1.2. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების დაცული სფერო 457
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 457
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 458
1.2.2.1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება 458
1.2.2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება 461
1.2.2.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება 470

1.2.2.4. საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება 474
2. ჩარევა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების დაცულ სფეროებში..... 479
2.1. ჩარევა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების დაცულ სფეროში479
2.2. ჩარევა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცულ სფეროში 479
2.3. ჩარევა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცულ სფეროში..... 481
2.4. ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების დაცულ სფეროში 482
3. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებებში ჩარევის შემოწმება 483
3.1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებაში ჩარევის შემოწმება 483
3.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის შემოწმება 485
3.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევის შემოწმება 488
3.4. საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებაში ჩარევის შემოწმება 490
ლიტერატურა 491
მუხლი 19. საკუთრების უფლება 493
შინაარსი 493
1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 494
1.1. საკუთრების კონსტიტუციური უფლების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 497
1.2. საკუთრების სოციალური ფუნქცია 498
1.3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი 501
1.4. საკუთრების უფლების კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან 504
2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებით დაცული სფერო..... 505
2.1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებით პერსონალურად დაცული სფერო .. 506
2.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების საგნობრივად დაცული სფერო 508
3. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 509
3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 509
3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები..... 509
4. ჩარევა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში 510
5. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ჩარევის გამართლება 511
5.1. კანონის დათქმა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევისას 511
5.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 513

5.2.1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 514
5.2.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის გამოსადეგობა 515
5.2.3. საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის აუცილებლობა 515
5.2.4. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის პროპორციულობა 515
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა..... 517
6.1. საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება., 21.02.2021 517
6.2. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი no. 7975/06) გადაწყვეტილება 2010 წლის 2 თებერვალი 520
ლიტერატურა 523
მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა 525
შინაარსი 525
1. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 526
1.1. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 526
1.2. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების დაცული სფერო..... 528
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 528
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო..... 529
1.2.2.1. შემოქმედების თავისუფლება 529
1.2.2.2. ინტელექტუალური საკუთრების უფლება 534
1.2.2.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლება..... 536
2. ჩარევა შემოქმედების თავისუფლებაში, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებებში..... 538
2.1. ჩარევა შემოქმედების თავისუფლებაში..... 538
2.2. ჩარევა ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში..... 539
2.3. ჩარევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში 540
3. შემოქმედების თავისუფლებაში, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებებში ჩარევის გამართლება 541
3.1. შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 541
3.2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში ჩარევის გამართლება 544
3.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში ჩარევის გამართლება 544
ლიტერატურა 546
მუხლი 21. შეკრების თავისუფლება..... 547
შინაარსი 547

1. შეკრების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 548
1.1. 21-ე მუხლის მოკლე ისტორია 549
1.2. სხვა ძირითადი უფლებებისაგან გამიჯვნა 551
2. შეკრებით თავისუფლებით დაცული სფერო 552
2.1. პერსონალურად დაცული სფერო 552
2.2. საგნობრივად დაცული სფერო 554
2.3. შეკრების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 558
2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 558
2.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება 558
3. ჩარევა შეკრების თავისუფლებაში 559
4. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 560
4.1. კანონის დათქმა და შეკრების უნებართვობის კონსტიტუციური პრინციპი 560
4.2. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 563
4.2.1. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 563
4.2.2. ჩარევის გამოსადეგობა 564
4.2.3. ჩარევის აუცილებლობა 565
4.2.4. ჩარევის პროპორციულობა 565
5. სახელმწიფოს მიერ შეკრების თავისუფლების დარღვევის შემოწმება 566
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 567
6.1. ნავალნი და იაშინი რუსეთის წინააღმდეგ 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება- 76204/11 568
6.2. ბუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ, 2007 წლის 17 ივლისის გადწავეტილება 25691/04 569
6.3. პლატფორმა “ექიმები სიცოცხლისათვის” ავსტრიის წინააღმდეგ (Plattform “Ärtzte für das Leben” v. Austria) 570
ლიტერატურა 571
მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება 572
შინაარსი 572
1. გაერთიანების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 573
1.1. გაერთიანების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 573
1.2. გაერთიანების თავისუფლების დაცული სფერო 574
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 574
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 575
1.3. გაერთიანების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები. 580
2. ჩარევა გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში 581
2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 581
2.2. ჩარევის სახეები 582

3. გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება 584
3.1. კანონისა და სასამართლოს დათქმები 584
3.2. თანაზომიერების შემოწმება 585
3.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 588
ლიტერატურა 588
მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება 590
შინაარსი 590
1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 591
1.1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 591
1.2. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცული სფერო 593
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 593
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 595
1.3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 598
2. ჩარევა პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცულ სფეროში 599
2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 599
2.2. ჩარევის სახეები 599
3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 600
3.1. კანონისა და სასამართლოს დათქმები 600
3.2. თანაზომიერების შემოწმება 601
3.3. პოლიტიკური პარტიის აკრძალვის სპეციფიკა 604
ლიტერატურა 607
მუხლი 24. საარჩევნო უფლება 608
შინაარსი 608
1. საარჩევნო უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 609
1.1. საარჩევნო უფლების ზოგადი მნიშვნელობა 609
1.2. საარჩევნო უფლების დაცული სფერო 610
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 610
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 613
1.3. საარჩევნო უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 622
2. ჩარევა საარჩევნო უფლებაში 624
2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 624
2.2. ჩარევის სახეები 625
3. საარჩევნო უფლებაში ჩარევის გამართლება 627
3.1. კანონის დათქმა 627
3.2. თანაზომიერების შემოწმება 629

3.3. საარჩევნო პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმება 633
ლიტერატურა 642
მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება 643
შინაარსი 643
1. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 644
1.1. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ზოგადი მნიშვნელობა 644
1.2. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების დაცული სფერო 645
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 645
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 646
1.3. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 653
2. ჩარევა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში 656
2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 656
2.2. ჩარევის სახეები 658
3. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევის შემოწმება 659
3.1. ჩარევის შემოწმების ზოგადი სტანდარტები 659
3.2. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 660
3.3. თანაზომიერების შემოწმება 662
3.3.1. ლეგიტიმური მიზანი 662
3.3.2. გამოსადეგობა 664
3.3.3. აუცილებლობა 665
3.3.4. პროპორციულობა 666
3.4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემოწმება 667
ლიტერატურა 669
მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება 670
შინაარსი 670
1. ზოგადი მნიშვნელობა 671
1.1. შრომის თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 675
1.2. პროფესიული კავშირების თავისუფლება 676
1.3. გაფიცვის უფლება 676
1.4. მეწარმეობის თავისუფლება და მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა 677
1.5. მომხმარებელთა უფლებები 678
1.6. მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა 679

2. შრომის თავისუფლებიდან, პროფესიული კავშირების თავისუფლებიდან, გაფიცვის უფლებისა და მეწარმეობის თავისუფლებიდან გამომდინარე სახელწმიფოს ვალდებულებები 681
3. შრომის თავისუფლებით, პროფესიული კავშირების თავისუფლებით, გაფიცვის უფლებით და მეწარმეობის თავისუფლებით დაცული სფერო 684
3.1 პერსონალურად დაცული სფერო 684
3.2. საგნობრივად დაცული სფერო 685
3.2.1. შრომის თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო 685
3.2.2 პროფესიული კავშირების თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო 687
3.2.3. გაფიცვის უფლებით საგნობრივად დაცული სფერო 688
3.2.4. მეწარმეობის თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო 689
3.2.5. მომხმარებელთა უფლებებით საგნობრივად დაცული სფერო 690
4. შრომის თავისუფლებით, პროფესიული კავშირების თავისუფლებით, გაფიცვის უფლებით და მეწარმეობის თავისუფლებითა და მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა 690
4.1. ჩარევა შრომის თავისუფლებაში 690
4.2. ჩარევა პროფესიული კავშირების თავისუფლებაში 692
4.3. მეწარმეობის თავისუფლებაში ჩარევა 692
4.4. ჩარევა მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში 693
5. ჩარევის შემოწმება/კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება 694
5.1. შრომის უფლებაში ჩარევის გამართლება 694
5.2. თავისუფალი მეწარმეების უფლებაში ჩარევის გამართლება 696
5.3. პროფესიულ კავშირების ჩარევა გამართლება 697
5.4. მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის შემოწმება 697
6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკა 699
6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა შრომით უფლებებთან დაკავშირებით 699
6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება პროფკავშირებთან დაკავშირებით 701
6.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით 703
6.4. გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლოს მეორე სენატის 1965 წლის 30 ნოემბრის პრაქტიკა 705
ლიტერატურა 707
მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება 709
შინაარსი 709
1. განათლების უფლებისა და აკადემიური თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 710

2. განათლების უფლებითა და აკადემიური თავისუფლების დაცული სფერო 712
2.1. პერსონალურად დაცული სფერო 712
2.2. საგნობრივი დაცული სფერო 714
2.2.1. განათლების უფლება 715
2.2.3. აკადემიური თავისუფლება 716
3. განათლების უფლებისა და აკადემიური თავისუფლებაში ჩარევა/ვალდებულების შეუსრულებლობა 717
4. კონსტიტუციურ სამართლებრივი შემოწმება 718
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა 719
5.1. გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოსა და აშშ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა 719
5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა განათლების უფლებასთან მიმართებით 722
5.2.1. Konrad and Others v. Germany 722
5.2.2. Campbell and Cosans v. the United Kingdom 724
5.2.3. Timishev v. Russia 725
ლიტერატურა 726
მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება 727
შინაარსი 727
1. ჯანმრთელობის დაცვის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 728
2. ჯანმრთელობის დაცვის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 730
3. ჯანმრთელობის დაცვის უფლებით დაცული სფერო 732
3.1 პერსონალურად დაცული სფერო 732
3.2. საგნობრივად დაცული სფერო 733
4. ჩარევა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში 734
5. ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში ჩარევის შემოწმება 735
6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით 736
6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში 736
6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში 737
6.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში 738
6.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-5 მუხლის ფარგლებში 739

6.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში 740
ლიტერატურა 741
მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება 742
შინაარსი 742
1. გარემოს დაცვის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 743
2. გარემოს დაცვის უფლებით დაცული სფერო 746
2.1. პერსონალურად დაცული სფერო 746
2.2. საგნობრივი დაცული სფერო 747
3. გარემოს დაცვის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 748
3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 749
3.2. სახელმწიფოს (პოზიტიური) ვალდებულება 749
4. ჩარევა გარემოს დაცვის უფლებაში და მისი კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართება 751
5. დარღვევის შემოწმება 752
5.1. ლეგიტიმური მიზანი 753
5.2. პროპორციულობა 754
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა 755
6.1.Băcilă V Romania 756
6.2. ჰაერის ხარისხის კონტროლი 756
6.3. Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another.. 757
ლიტერატურა 758
მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები 759
შინაარსი 759
1. ქორწინების უფლების და დედათა და ბავშვთა უფლებების ზოგადი მნიშვნელობა . 760
1.1. ქორწინების ინსტიტუტი 760
1.2. დედათა და ბავშვთა უფლებები 762
1.3. ქორწინების უფლების კავშირი სხვა უფლებებთან 763
2. ქორწინების უფლების და დედათა და ბავშვთა უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 765
2.1. ქორწინების უფლება 765
2.2. დედათა და ბავშვთა უფლებები 767
3. ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცული სფერო 768
3.1 პერსონალურად დაცული სფერო 768
3.1.1. ქორწინების უფლებით დაცული პირები 768
3.1.2. დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცული სფერო პირები 769

3.2. საგნობრივად დაცული სფერო 769
3.2.1. ქორწინების უფლებით საგნობრივად დაცული სფერო..... 769
3.2.2. დედათა და ბავშვთა უფლებებით საგნობრივად დაცული სფერო 770
4. ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა..... 773
5. ჩარევის შემოწმება/კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება 774
6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკა ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით..... 775
6.1. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ზოგადი მიდგომა 775
6.2. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 2002 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება..... 776
6.3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა..... 778
ლიტერატურა 780
მუხლი 31. საპროცესო უფლებები..... 781
შინაარსი 782
1. საპროცესო უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 783
1.1. საპროცესო უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 783
1.2. საპროცესო უფლებების დაცული სფერო..... 785
1.2.1. საპროცესო უფლებების პერსონალური დაცული სფერო 785
1.2.2. საპროცესო უფლებების საგნობრივი დაცული სფერო 786
1.2.2.1. უფლება სამართლიან სასამართლოზე 786
1.2.2.2. უფლება კანონისმიერ სასამართლოზე 802
1.2.2.3. დაცვის უფლება 803
1.2.2.4. ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა 808
1.2.2.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდისა და უტყუარობის სტანდარტები, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა..... 809
1.2.2.6. განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა..... 813
1.2.2.7. კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვა 817
1.2.2.8. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები 824
1.2.2.9. თვითინკრიმინაციისაგან დაცვა 826
2. ჩარევა საპროცესო უფლებებში..... 828
2.1. საპროცესო უფლებებში ჩარევის დასაშვებობა 828
2.2. საპროცესო უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება და მაგალითები..... 832
3. საპროცესო უფლებებში ჩარევის შემოწმება 836

3.1. უფლება სამართლიან სასამართლოზე - ჩარევის შემოწმება 836
3.2. უფლება კანონისმიერ სასამართლოზე - ჩარევის შემოწმება 857
3.3. დაცვის უფლება - ჩარევის შემოწმება 860
3.4. ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა - ჩარევის შემოწმება 867
3.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდისა და უტყუარობის სტანდარტები, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა - ჩარევის შემოწმება 870
3.6. განმეორებით მსჯავრდების აკრძალვა - ჩარევის შემოწმება 874
3.7. კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვა - ჩარევის შემოწმება 876
3.8. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები - ჩარევის შემოწმება 883
3.9. თვითინკრიმინაციისაგან დაცვა - ჩარევის შემოწმება 886
ლიტერატურა 888
მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა 891
შინაარსი 891
1. მოქალაქეობის ზოგადი მნიშვნელობა და მისი კონსტიტუციურ- სამართლებრივი ჩარჩო 892
1.1. მოქალაქეობის ინსტიტუტი სახელმწიფოებრივ კონტექსტში 893
2. მოქალაქეობის მიღების ისტორიული საფუძვლები 895
2.1 მოქალაქეობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტექსტი და 32-ე მუხლით დაცული სფერო 896
2.2. მოქალაქეობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები 898
2.3. საგნობრივად დაცული სფერო 900
2.4. პერსონალურად დაცული სფერო 901
2.5. მოქალაქეობის საერთაშორისო სამართლებრივი კონტექსტი 904
2.6. მოქალაქეობის საკანონმდებლო საფუძვლები საქართველოში 906
3. ჩარევა/პოზიტიური ვალდებულების განსაზღვრა 907
4. უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება 908
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 908
5.1. Ramadan v. Malta 909
5.2. K2 v.The United Kingdom 910
ლიტერატურა 911
მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები 912
შინაარსი 912
1. თავშესაფრის უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 913

1.1. თავშესაფრის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 913
1.2. თავშესაფრის უფლების დაცული სფერო 914
1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 914
1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 914
1.2.2.1. თავშესაფრის უფლება 914
1.2.2.2. გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვა 922
1.3. სახელმწიფოს ვალდებულებები 924
2. ჩარევა თავშესაფრის უფლებაში 925
3. თავშესაფრის უფლებაში ჩარევის შემოწმება 926
3.1. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 926
3.2. თანაზომიერების შემოწმება 927
3.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების შემოწმება 928
ლიტერატურა 930
ბიბლიოგრაფია 931
ქართულენოვანი ლიტერატურა 931
უცხოენოვანი ლიტერატურა 936
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი აქტები 949
საერთაშორისო პრაქტიკა 968

შესავალი: ძირითად უფლებათა რაობა და მათი მნიშვნელობა

ადამიანის უფლებათა განზომილება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, ამიტომ უკვე საუკუნეებია იგი არა მხოლოდ სამართლის სფეროს, არამედ პოლიტიკის, ფილოსოფიის, ისტორიის და სხვა მეცნიერებათა კვლევის საგანია. შესაბამისად, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, მის განვითარებაზე სხვადასხვა დარგის მეცნიერები და პრაქტიკოსები ახდენდნენ ზეგავლენას.

ძირითად უფლებებს, კონსტიტუციის იერარქიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ენიჭებათ პრიორიტეტი სამართლის სხვა ნორმებთან მიმართებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, უნდა იყოს კონსტიტუციის შესაბამისი და მათი საზომი არის სწორედ ძირითადი უფლებები. მასთან შეუსაბამობის გამო, შეიძლება ნებისმიერი ნორმა ცნობილი იქნეს არაკონსტიტუციურად და დაკარგოს მოქმედების ძალა.

გარდა ამისა, ძირითადი უფლებების გააზრების განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაში რომ იგი ახლოს არის პოლიტიკასთან. ძირითადი უფლებებისთვის მუდამ პოლიტიკური ბრძოლა იყო საჭირო და მათი ინტერპრეტაცია ხშირად გადადის პოლიტიკურ კამათში. ამაზე ნათლად მეტყველებს მაგალითად, ნარკოპოლიტიკასთან, საარჩევნო საკითხებთან ან ე.წ. „მოსმენებთან“ დაკავშირებული საკონსტიტუციო დავები. აღნიშნული, ზოგჯერ იწვევს არასწორ შეფასებას რომ კონსტიტუციის და, კერძოდ, ძირითადი უფლებების ინტერპრეტაცია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც დემოკრატიის პრინციპის მიხედვით, მმართველი პოლიტიკური გუნდის (რომელიც საბოლოო ჯამში ხელისუფლებას წამოადგენს) მიღებული გადაწყვეტილებაც არის შეზღუდული კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით ჩანაწერით, რომ „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. ეს უკანასკნელი ასახავს დემოკრატიის ბოჭვას ადამიანის უფლებებითა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით. სახელწმიფო მმართველობის დემოკრატიულად წარმოშობის გარდა, თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს ყველაზე დიდი მიღწევა არის დემოკრატიული მმართველობის ადამიანის უფლებათა პრიორიტეტით განხორციელება.

სწორედ ამ ურთიერთკორელაციაზე მსჯელობას ისახავს მიზნად სწავლება ადამიანის ძირითად უფლებათა შესახებ. მისი განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ თითოეული საკითხი, რომელიც განხილულია ნაშრომში, გააზრებული იქნეს სისტემურად, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა ჭიდილის ფონზე და შექმნას სივრცე არა ერთი რომელიმე უპირობოდ გაბატონებული დოქტრინისთვის, არამედ შესთავაზოს პლატფორმა მსჯელობისა და კრიტიკული მოსაზრებებისთვის.

ა) ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა

ადამიანის ძირითადი უფლებები თანამედროვე დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ფუნდამენტი, მისი განუყოფელი შემადგენელი ელემენტია. ძირითადი უფლებები კონსტიტუციონალიზმისა და თვით კონსტიტუციათა არსებით ნაწილს შეადგენს. ადამიანის უფლებათა სამართლებრივი გარანტიები განაპირობებს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, მის პოლიტიკურ და სამართლებრივ სტატუსს საზოგადოებაში. ადამიანის უფლებანი ქმნიან თავისუფალ, დემოკრატიულ ღირებულებათა საკონსტიტუციო წესრიგს და ამით სახელმწიფოში მატერიალური სამართლიანობის (სამართლიანი კანონმდებლობის) არსებობას უზრუნველყოფენ.

ძირითადი უფლებები ორიენტირებულნი არიან, არა მხოლოდ ცალკეულ პირებზე, მათ სუბიექტურ განვითარებაზე, არამედ საზოგადოებასა და საჯარო ინტერესზე.

სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი ამოცანაა ისე დაამყაროს ინტერესთა სამართლიანი ბალანსი საზოგადოებაში, რომ საზოგადოების თითოეული წევრის უფლება, მისი ინტერესი, მაქსიმალურად იქნას გარანტირებული. დიქტატორული რეჟიმების მიდგომის - „შენ არარაობა ხარ, შენი ხალხი არის ყველაფერი“ გავლენა სამართლის მეცნიერებაზე თანამდეროვე მსოფლიოში რადიკალურად შეიცვალა და XX საუკუნის ბოლო პერიოდში სამართლის მეცნიერებამ კურსი აიღო ძირითად უფლებათა ცალკეულ ადამიანზე ორიენტაციისაკენ.[1] ამ მიდგომამ კი დაამკვიდრა შეხედულება, რომ ადამიანი სახელმწიფოსათვის არათუ მისი ქმედების ობიექტი, არამედ მთავარი ღირებულებაა. ამიტომაც იგი სახელმწიფოსათვის ქმედების საშუალება, ობიექტი კი არა, პირიქით, ყველა მისი ქმედების მიზანი უნდა იყოს. სახელმწიფო არსებობს ადამიანთა გამო და არა პირიქით. აქედან გამომდინარე, ადამიანის კეთილდღეობა მისთვის უმთავრესია. ადამიანის უფლებანი სწორედ სახელმწიფოსადმია მიმართული. ისინი უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ ცალკეული პირის მიმართ ძალა არ გამოიყენოს, ხოლო აუცილებელი გამოყენების შემთხვევაში კი მკაცრად დაიცვას ფარგლები.

მხოლოდ ფორმალურად, კონსტიტუციით ან კანონმდებლობით აღიარებული უფლებები კარგავს თავიანთ მნიშვნელობას, თუ მათ მიერ გარანტირებული დებულებები რეალურად არ იქნება უზრუნველყოფილი. ამისათვის კი, ფორმალურ აღიარებასთან ერთად, გამოხატული პოლიტიკური ნება, სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის არსებობაა აუცილებელი. ამიტომაც ადამიანის უფლებათა რეალურ სახეს „ცოცხალი პოლიტიკური კონსტიტუცია“ შეიძლება ეწოდოს. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ ეროვნული, ისტორიული გამოცდილება, ხალხის, ერის პოლიტიკური კულტურა და მოქალაქეობრივი თვითშეგნება განაპირობებს. ფორმალური და მატერიალური სამართლიანობის ერთიანობა კი საზოგადოებაში მშვიდობისა და სამართლიანობის ფუნდამენტს ქმნის.

თანამედროვე საზოგადოებასა და სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებები ღირებულებათა წესრიგად იქცა. უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, ხოლო, როგორც საკონსტიტუციო ღირებულება,

[1] Katz, Staatrecht, Grundkurs im oeffentlichen Recht, 14., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 1999, გვ. 263.

უშუალოდ ვრცელდება სამართლის ყველა სფეროზე, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საკანონმდებლო პროცესზე, სამართალწარმოებასა და ყველა სამართლებრივ აქტზე. ისინი საკანონმდებლო მოწესრიგების მასივის საშუალებით ქმნიან ფორმალურ და რეალურ საკონსტიტუციო მართლწესრიგს. შედეგად კი ცალკეული ადამიანის სუბიექტურ უფლებებს უზრუნველყოფენ.

ძირითად უფლებათა მნიშვნელობა და არსი ორი მიმართულებით იკვეთება. პირველი, თითოეული ადამიანის სუბიექტური უფლება (მოთხოვნა), მიიღოს ძირითადი უფლებით დაცული გარანტიები და მეორე, ძირითადი უფლება, როგორც ობიექტური ღირებულება, რომელიც სახელმწიფოს ცალკეული წესებისა და ინსტიტუციების შექმნას ავალდებულებს. უფლებათა არსს, მის ღერძს, ადამიანის ღირსებისა და მისი პიროვნული განვითარების გარანტიები ქმნის. ამ უმნიშვნელოვანეს ფასეულობათა ირგვლივ ტრიალებს სხვა საკონსტიტუციო პრინციპები, როგორებიცაა ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი, დემოკრატია, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები.

ბ) ძირითად უფლებათა რაობა

ადამიანის უფლებანი ღირებულებათა ძალიან ფართო და მასშტაბური მასივია, რომელიც დაკონკრეტებას, დაზუსტებას საჭიროებს. სამართლის მეცნიერებაში ადამიანის უფლებათაგან გამოყოფენ ადამიანის ძირითად უფლებებს. ძირითადი უფლება ისეთი უფლებაა, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონით კონსტიტუციითაა აღიარებული და გარანტირებული. ის, ერთი მხრივ, ცალკეულ ადამიანებს, ამ უფლების მატარებელ პირებს, კონკრეტული უფლებებით აღჭურავს, მეორე მხრივ, კი ბოჭავს სახელმწიფოს და აკისრებს ვალდებულებას, ეს უფლებები ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით უზრუნველყოს. შესაბამისად, ფართო გაგებით, „ადამიანის კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებაში" მოიაზრება არა მხოლოდ ცალკეული პირის სუბიექტური უფლებანი, არამედ, ასევე, საკონსტიტუციო ღირებულებები და მათი სამართლებრივ მოწესრიგებათა გარანტიები.

ძირითადი უფლებების ცნება ოთხი ელემენტისაგან შედგება:

I. ისინი ინდივიდის კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი უფლებებია;
II. სახელმწიფოსადმი უშუალოდ მოქმედი სამართალია;
III. წინასახელმწიფოებრივი უფლებებია, რომელთა შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლებას ამ შეზღუდვის გამართლებას ავალდებულებს და
IV. მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების და არა უშუალოდ კერძო პირის წინააღმდეგ.

სამართალში გამოიყენება ტერმინები _ „უფლება" და „თავისუფლება". მიუხედავად იმისა, რომ „უფლებისა" და „თავისუფლების" ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთი შეხედვით მარტივია, ეს გარკვეულ ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას ბადებს. კლასიკური განმარტებით, „თავისუფლება" მხოლოდ ჩარევის გარეშე არსებობას, ყოფნას ნიშნავს. „უფლება" კი უკვე სახელმწიფოსგან რაიმეს მოთხოვნის, ამ უფლების გაჩენის საფუძველს ქმნის. ტერმინი „თავისუფლება" უფრო მეტად ლიბერალური კომპონენტებისაგან შედგება. „უფლება" კი სოციალურ ელემენტებს აყენებს წინა პლანზე. ეს ზოგადი წესი

ვრცელდება, მაგალითად, „აზრისა და სიტყვის თავისუფლებაზე“, „მიმოსვლის თავისუფლებაზე“, ან „ინტელექტუალურ თავისუფლებაზე“. მეორე მხრივ, კლასიკური გაგებით, „უფლებებად“ ჩაითვლება “უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე“ ან „საარჩევნო უფლებანი“. თუმცა ასეთი კლასიკური გამიჯვნა მრავალ გამონაკლისს ქმნის. ასეთი გამონაკლისები ჩნდება მაშინვე, როგორც კი საუბარია, მაგალითად, „სიცოცხლის უფლებაზე“, ან „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე“. ისინი შინაარსობრივად თავისუფლებად აღიქმება, გრამატიკულად კი (სამართლებრივი ტერმინოლოგიით), უფლებებად მოიხსენიება. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის, ისე როგორც ყველა სხვა მეცნიერების განვითარება, ცნებებსა და ტერმინებს შინაარსსა და მოცულობას უცვლის. ამიტომაც მკვეთრი მიჯნა „უფლებასა” და „თავისუფლებას“ შორის თითქმის აღარ არსებობს.

თავი 1. ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარება

1 გერმანელი იურისტი რუდოლფ ფონ იერინგის აზრით, ყოველი უფლება ქვეყანაზე ბრძოლით არის მოპოვებული, ყოველი მნიშვნელოვანი სიტყვა უფლებისა დამყარებულია მათთან ბრძოლით, ვინც მისი წინააღმდეგი იყო, ყოველი უფლება ხალხისა და კერძო პიროვნებისა თხოულობს მარად მზადყოფნას მის დასაცავად.[2] ხოლო განმანათლებლები[3] მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს აქვს ბუნებითი უფლებები და ისინი უფრო მეტად თანდაყოლილია, თუმცა მისი გარანტიები ბრძოლით არის მოსაპოვებელი.

2 ისტორიულ განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა ადამიანის უფლებათა იდეაც, მისი ფილოსოფიური ხედვა და გააზრება. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ბევრად უფრო რთული და ხანგრძლივი პროცედურაა, ვიდრე იმ პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება, რომლის ზეგავლენითაც ესა თუ ის მსოფლმხედველობა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი წესრიგი იქმნება. ადამიანის ძირითად უფლებათა ისტორია საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკური სისტემების ისტორიის ნაწილია.[4] იმავდროულად, ადამიანის უფლებები იძლევა პასუხს, ევოლუციის მიუხედავად, უპასუხოს დარჩენილ კითხვებს _ ინდივიდუალური თავისუფლების ფარგლებზე, საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესთა სამართლიან ბალანსზე დემოკრატიულ საზოგადოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოში.

1.1. ისტორიული განვითარება

3 თუ ადამიანის უფლებათა ისტორიას გადავხედავთ, არ არსებობს სწორხაზოვანი განვითარება დაწყებული ადრეული სამართლებრივი აქტებიდან, მე-20 საუკუნის ადამიანის უფლებათა კატალოგებამდე. ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, მიუხედავად განსხვავებული ისტორიული წარმოშობისა, არსებობს მათი ისტორიის საერთო მახასიათებელიც - ადამიანის უფლებები არის უფლებები, რომლებიც ძირითადად მოპოვებულია ცალკეული ადამიანების და ადამიანთა გაერთიანებების რევოლუციური მოძრაობებით, და რომელთა მყარი გარანტიები იქმნებოდა ასეთ რევოლუციურ მოძრაობათა გამარჯვების შემდეგ.

4 მათი დაცვა მყარი პროცედურული გარანტიებით ყოველთვის განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენდა კაცობრიობისთვის. მიუხედავად აღიარებისა, ადამიანის უფლებების რეალურ გარანტიებს მაინც ყოველთვის საფრთხე ემუქრებოდა, რადგან ადამიანის უფლებები არასდროს ყოფილა უნივერსალურად დაცული და იგი მუდმივად, დღესაც წარმოადგენს ცივილიზებული სამყაროს ზრუნვის საგანს.

5 თანამედროვე თვალით დანახული ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადამიანს შორის, რა თქმა უნდა, თანამედროვე აზროვნების ნაყოფია და იგი უცხო იყო შუა საუკუნეების სამყაროსთვის, რომელშიც დომინირებდა კორპორატივისტური[5]

[2] ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, თბილისი, 2000, გვ.31.
[3] ჰუფენდორფი, სპინოზა, თომაზიუსი, ჰობსი, ჰუმბოლტი, მონტესკიე, კანტი და სხვები.
[4] Pieroth, Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28, neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012, გვ. 6.
[5] კლასიკური კორპორატივიზმი - პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მხარს უჭერს საზოგადოების ორგანიზებას კორპორატიულ ჯგუფებად.

აზროვნება.[6] თანამედროვე - თავდაცვაზე, მოთხოვნასა და უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ურთიერთობა ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, მხოლოდ მე-18 საუკუნის განმანათლებლობისა და ბუნებითი სამართლის აზროვნებით წარმოიშვა. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებების ისტორია არ იწყება აბსოლუტიზმის ეპოქაში და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, მისი ნაკვალევი უფრო უკან - შუა საუკუნეების ინგლისში - მიდის.

1.1.1. ადამიანის უფლება თავისუფლებათა ისტორია ინგლისურ კონსტიტუციონალიზმში

- **თავისუფლებათა დიდი ქარტიის (Magna Carta Libertatum)**

6 ადამიანის უფლებათა აღიარების ჩანასახად ისტორიულად 1215 წლის ინგლისს ასახელებენ.[7] პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ადამიანის უფლებათა მხრივ საინტერესოა, თავისუფლებათა დიდი ქარტიის (Magna Carta Libertatum) სახელწოდებითაა ცნობილი.

1215 წელს, მეფის უფლებათა თაობაზე უთანხმოების გამო, ინგლისში გამოცემული თავისუფლებათა დიდი ქარტია, თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის ჩამოყალიბების პირველ ნაბიჯად მიიჩნევა. ქარტიის პირველადი ვერსია შეიქმნა მეამბოხე ბარონებისა და რომის პაპის ინოკენტ III-ის (1198-1216) აქტიური ჩართულებით. ეკლესია წარმოადგენდა ერთის მხრივ დამაბალანსებელ ფაქტორს, რომ არ მომხდარიყო შეიარაღებული დაპირისპირება, მეფესა და მეამბოხეებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ იყო მონარქიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

7 საბოლოო შეთანხმებას ხელი მოეწერა მეფე ჯონ უმიწაწყლოსა (King John of England at Runnymede 1199-1216) და ოცდახუთი ინგლისელი ბარონისგან შემდგარ საბჭოს შორის. თავისუფლებათა დიდი ქარტიის თანახმად, მეფეს გარკვეული უფლებები უნდა დაეთმო, დამორჩილებოდა სამართლებრივ პროცედურებს და ეღიარებინა, რომ იგი თავადაც ყოფილიყო შეზღუდული კანონმდებლობით.[8] აღსანიშნავია, რომ ქარტიის დიდი ნაწილი, სიტყვასიტყვით იყო გადმოტანილი 1100 წლის ქარტიიდან, რომელიც ასევე ინგლისელი ბარონების მიერ იგივე მოთხოვნებით მეფე ჰაინრიხ პირველის[9] (1100 -1135) წინააღმდეგ იყო შექმნილი.[10]

ქარტიის ავტორებმა აიძულეს მეფე, ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, რომლითაც გარანტირებული იქნებოდა მათი უფლებები და თავისუფლებები. თავისუფლების დიდი ქარტია ლათინურ ენაზეა შედგენილი და შეიცავს პრეამბულასა და 63 მუხლს. ეს დოკუმენტი დიდი ბრიტანეთის მმართველობის სისტემის ერთგვარი საფუძველია. ინგლისში Magna Carta Libertatum განიხილება როგორც პირველი საკონსტიტუციო აქტი.

---

[6] Stern, das Staatsrecht der BRD, Bd. III/ 1, გვ.62.
[7] Koenig Menschenrechte, Campus Verlag, 2005, გვ. 28.
[8] Gyll: History of the Parish of Wraysbury, Ankerwycke Priory, and Magna Charta Island; with the History of Horton, and the town of Colnbrook, Bucks. H. G. Bohn, London 1862.
[9] Henry Beauclerk -ად წოდებული.
[10] Charter of Liberties Heinrichs I.

ჯონის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრემ ჰენრი III-მ 1216 და შემდგომ 1225 წელს 8
განაახლა და გამოსცა ქარტიის განახლებული ვერსია, რომელიც განიხილება ნორმატიული კანონის საწყისად დამხარს უჭერდნენ გვიანი შუა საუკუნეების ინგლისის მეფეები. ქარტია გახდა ინგლისური პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი და როგორც წესი, ყველა მონარქი ანახლებდა მას თავისი მმართველობის პერიოდში, თუმცა დრო და დრო ინგლისის პარლამენტი იღებდა სხვადასხვა კანონს და ქარტიამ დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. მიუხედავად მისი ისტორიული მნიშვნელობისა, ეს აქტი ფეოდალიზმის პერიოდის სამართლებრივი დოკუმენტია და იგი, თანამედროვე გაგებით, ადამიანის უფლებათა დეკლარაციად ვერ მიიჩნევა, რადგან ქარტია მაინც ფეოდალთა უფლებებისა და ინტერსების დამცავ მექანიზმს ქმნიდა. თუმცა სწორედ მან შექმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საფუძველი და წინაპირობა.[11] იმ ადრეულ ეტაპზე, მსგავსი დეკლარაციები მეფის ხელისუფლების შესუსტებასა და ფეოდალური პრივილეგიების, მოგვიანებით კი საპარლამენტო თავისუფლების დამკვიდრებას უფრო ისახავდა მიზნად, ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვას.

9
თანამედროვე გაგებით, ადამიანის უფლება-თავისუფლებების განვითარების პირველადი ისტორიული საწყისი, უფრო მოგვიანებით, XVII საუკუნის ინგლისში შეიმჩნევა. ამ მხრივ, საინტერესოა შემდეგი სამართლებრივი აქტები: Habeas Corpus Act (1679) და Bill of Rights (1689)[12]. ჩამოთვლილი დეკლარაციები, ადამიანის უფლებათა დღევანდელი გაგებით, მართალია ინდივიდის სრულყოფილ უფლებას არ უზრუნველყოფდა, თუმცა ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იყოს მიჩნეული.

- **Habeas Corpus Act (1679)**

10
განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად რჩება *Habeas Corpus Act,* რომელიც ადამიანს თვითნებური დაკავებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან იცავდა.

11
1679 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული აქტი განსაზღვრავდა დაპატიმრებულთა სასამართლოში წარდგენის წესებს. კანონი იყო ინგლისის პარლამენტსა და მეფე ჩარლს II (1649-1685 წლ.) შორის არსებული კონფლიქტის რეფლექსია. მეფე აბსოლუტური მმართველობისკენ იხრებოდა, ხოლო პარლამენტი მის დაბალანსებას ცდილობდა. რადგან მე-17 საუკუნის ინგლისში მოსამართლე ყველა ადგილზე ხელმისაწვდომი არ იყო. აქტი დეტალურად ადგენდა, დღეებს, დროსა და მანძილს თუ რა ვადებში უნდა ყოფილიყო დაპატიმრებული პირი სასამართლოს წინაშე წარდგენილი.[13]

12
ეს დოკუმენტი თავისუფლების აღკვეთის დროს ადამიანის საპროცესო უფლებებს უზრუნველყოფდა და ადგენდა იმას, რომ პირი დაკავებისთანავე მოსამართლისათვის უნდა წარედგინათ. მისი მე-5 მუხლით,[14] ასევე დადგინდა ნორმა-პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იყო ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით დაკავება ან დაპატიმრება. აღნიშნული დანაწესი თანამედროვე მსოფლიოშიც ინარჩუნებს თავის

[11] იქვე გვ. 30
[12] იხ. დეტალურად Müßig, Die europäische Verfassungsdiskussion des 18. Jahrhunderts, Tübingen, 2008, 11.
[13] იხ. დეტალურად Willoweit / Seif, Europäische Verfassungsgeschichte, 2003, S. 215.
[14] Habeas Corpus Act 1679, 1679 CHAPTER 2 31 Cha 2.

მნიშვნელობას, პიროვნების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიის სახით.

- **Bill of Rights (1689)**

13 ისე როგორც თავისუფლებათა დიდი ქარტია და ჰაბეას კორპუსის აქტი, 1689 წლის 16 დეკემბერს ინგლისის პარლამენტის მიერ გამოცემული კონსტიტუციური აქტი - უფლებათა ბილი (Bill of Rights) — იყო მეფის აბსოლუტიზმის დამარცხების მცდელობა და საბოლოო გამარჯვება აბსოლუტიზმსა და მონარქიაზე.

14 მე-13 მუხლით იზღუდებოდა მეფის უფლებები და ძლიერდებოდა პარლამენტი. შეზღუდვა ეხებოდა მაგალითად, მეფის მიერ განსაკუთრებული სამართალწარმოების უფლებას, ასევე პარლამენტის თანხმობის გარეშე სამხედრო მოქმედებებზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლას. პარლამენტმა ასევე მიიღო სხვა, საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები, რამაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა საპარლამენტო დემოკრატიასა და კონსტიტუციურ მონარქიას ინგლისში.[15]

15 ინგლისში 1689 წელს მიღებულ უფლებათა ბილის მიღწევებში, აბსოლუტური მონარქიის დამარცხების გარდა აღსანიშნავია ადამიანის ახალი, ისეთი კოლექტიური უფლების დამკვიდრებაც, როგორიცაა უფლება პეტიციაზე.

1.1.2. ადამიანის უფლებათა ისტორია ჩრდილოეთ ამერიკაში

16 ადამიანის უფლებათა ისტორიული განვითარების მხრივ საინტერესოა XVIII საუკუნის ჩრდილოეთ ამერიკაში განვითარებული მოვლენები, როდესაც პირველი, ადამიანის უფლებათა სრულყოფილ დეკლარაციად მიჩნეული, ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის „უფლებათა ბილი“ ჩამოყალიბდა. ვირჯინიის კონვენტის მიერ მოწონებული ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციით (Virginia's Declaration of Rights) აღიარებულია, რომ ყველა ადამიანი თავისი ბუნებით არის თანაბრად თავისუფალი, დამოუკიდებელი და ფლობს განუსხვისებელ უფლებებს. ადამიანის წარუვალ უფლებებს მიეკუთვნებოდა „სიცოცხლითა და თავისუფლებით ტკბობა საკუთრების შეძენისა და ფლობის მეშვეობით, რასაც უთანაბრდება ბედნიერებისა და უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა და მათი მოპოვება“ (პირველი მუხლი). იგი ასევე განამტკიცებდა საპროცესო ძირითად უფლებებს (მე-8 - მე-11 მუხლები), პრესის თავისუფლებას (მე-12 მუხლი) და რელიგიის თავისუფლებას (მე-16 მუხლი). ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციის იდეალები შემდგომში აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და უფლებათა ბილში განმეორდა და განვითარდა.[16]

17 აშშ-ში ძირითადი უფლებების სრულყოფილი განმტკიცება განხორციელდა კონსტიტუციის დამატებათა ამოქმედებით (1791 წ. 15 დეკემბერი), რომელთა ერთობლიობას „უფლებათა ფედერალური ბილის“ (The Bill of Rights) სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. უფლებათა ბილი (დეკლარაცია) სულ ათ შესწორებას შეიცავს.

[15] English Bill of Rights 1689, An Act Declaring the Rights and Liberties of the Subject and Settling the Succession of the Crown
[16] Hartung, Die Entwicklung der Menschen- und Bürgerrechte von 1776 bis zur Gegenwart. 1985, 5. Ed. S. 43.

ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის დეკლარაციის პირველ მუხლში მითითებულია: „ყველა ადამიანი ბუნებით თანაბრად თავისუფალი და დამოუკიდებელია და დაბადებიდანვე ფლობს კონკრეტულ უფლებებს". ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელიც თომას ჯეფერსონის მიერ 1776 წელს არის მომზადებული, მითითებულია: „ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტებანი, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად, რომ არსთა გამრიგემ მათ უბოძა გარკვეული ხელშეუვალი უფლებანი, რომელთა შორისაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა" 18

1776 წლის 4 ივლისს მიღებული იქნა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელშიც ხელისუფლების დანაწილებისა და ფედერალიზმის იდეების გვერდით აღიარებულია ადამიანის უფლება-თავისუფლებების იდეა. იგი ამერიკული კონსტიტუციონალიზმის საფუძველს წარმოადგენს. პეინი ბუნებით უფლებად მიიჩნევდა „ყველა ინტელექტუალურ და ბუნებით უფლებას, ისევე როგორც ადამიანის უფლებას, მიაღწიოს კეთილდღეობას და ბედნიერებას, თუკი ამით არ იზღუდება სხვების ბუნებითი უფლებები".[17] 19

ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტებში განვითარებულია ადამიანისა და ხალხის თავისუფლებისა და განუსხვისებელი, წარუვალი უფლებების იდეები. ტექსტიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის „რევოლუციის მამების" ყველა ამაღლებული, თავისუფლების მსახური იდეა ბუნებით სამართლებრივ დოქტრინას ეყრდნობოდა.

1.1.3. ადამიანის უფლებათა ისტორიული განვითარება საფრანგეთსა და გერმანიაში

ამერიკული ლიბერალური დემოკრატიით შთაგონებული ფრანგი პოლიტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ალექსის დე ტოკვილი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში" განიხილავდა დემოკრატიის იდეას, როგორც მოქალაქეთა ზიარებას ადამიანის უფლებების ცოდნით და სახელმწიფოსადმი უფლებების მოთხოვნას, მმართველობის სისტემის დემოკრატიზაციას, ასევე მმართველობის მოდიფიცირებას გარემოებათა და ადამიანთა მიერ და აქედან გამომდინარე, თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიის განსხვავებულ მნიშვნელობებს.[18] ალექსის დე ტოკვილი მონტესკიეს მსგავსად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, და განსაკუთრებით სასამართლოს დამოუკიდებლობას მიიჩნევდა სამართლიანობის საფუძვლად. ტოკვილი წერს: „დემოკრატი ხალხები ბუნებრივად შინაგანი წაქეზებით ისწრაფვიან თავისუფლებისკენ და საკუთარ თავს მინებებულნი, ეძებენ მას, უყვართ და მტკივნეულად განიცდიან მის დაკარგვას". ავტორის ღრმა რწმენით, თავისუფლება ვერ დაფუძვნდება თანასწორობის გარეშე. [19] 20

[17] Jellinek, Die Erklärung der Menschen- und Bürgerrechte: Ein Beitrag zur modernen Verfassungsgeschichte. 1919 გვ. 8.
[18] ტოკვილი, დემოკრატია ამერიკაში. ფრანგულიდან თარგმნა: პროფ. დოდო ლაბუჩიძემ. თბილისი.. გვ. 2011 გვ. 13.
[19] იქვე. გვ. 13.

21 ამავე პერიოდის ევროპაში მოხდა დიდი ფრანგული რევოლუცია, რომლის მნიშვნელობაც გასცდა საფრანგეთის ფარგლებს და მრავალ ევროპულ ქვეყანაში საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და მთლიანად სახელმწიფოს არსის გადააზრებაზე ძირეული გავლენა მოახდინა. ფრანგულმა რევოლუციამ დაამკვიდრა თანასწორობის, ძმობისა და სამართლიანობის პრინციპები. ამან კი საფუძველი დაუდო ახლებური საზოგადოების ფორმირებას. ამ რევოლუციის შედეგად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტი 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen).[20] მასში აისახა განმანათლებლობის ეპოქის ჰუმანური იდეები - თავისუფლება, თანასწორობა, ეროვნული სუვერენიტეტი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. დეკლარაცია ადამიანის დაბადებით თავისუფლებასა და თანასწორობას აღიარებს (1-ელი მუხლი). იქვე ადგენს, რომ „ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მიზანი ადამიანის ბუნებითი და განუსხვისებელი უფლებების უზრუნველყოფაა. მათ მიეკუთვნება თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობა" (მე-2 მუხლი). დეკლარაციაში განმტკიცებულია პიროვნების, მისი ხელშეუხებლობისა და პროცესუალური უფლებები (მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები), საკუთრების გარანტიები (მე-17 მუხლი), ასევე, აზრის გამოხატვის თავისუფლება (მე-11 მუხლი). დეკლარაციით განმტკიცებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები -ადამიანის უფლებათა გარანტიების უზრუნველყოფა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი: „საზოგადოებას, სადაც არ არის უზრუნველყოფილი უფლებათა გარანტიები და არ არსებობს ძალაუფლების გამიჯვნა, არა აქვს კონსტიტუცია".

22 განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დეკლარაციის მე-4 და მე-5 მუხლები, რომლებშიც პირველად ჩამოყალიბდა ის პრინციპები, რომლებიც მოგვიანებით არა მხოლოდ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თანამედროვე კონსტიტუციებში, არამედ ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებშიც აისახა. იგი თავისუფლების ფარგლებს შემდეგნაირად ადგენს: „თავისუფლება არის შესაძლებლობა, აკეთო ყველაფერი, რაც ზიანს არ აყენებს სხვას. ამგვარად, ნებისმიერი ადამიანის ბუნებითი უფლებების განხორციელება შეზღუდულია მხოლოდ იმ ფარგლებით, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების სხვა წევრების ასეთივე უფლებებით სარგებლობას. ეს ფარგლები შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ კანონით". „კანონს უფლება აქვს, შეზღუდოს მხოლოდ ისეთი ქმედებები, რომლებიც ზიანის მომტანია საზოგადოებისათვის. ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული კანონით, ნებადართულია, და არავინ არ შეიძლება აიძულო, აკეთოს ის, რაც კანონით არ არის დადგენილი".[21]

23 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ წარმოადგინა უფლებათა ამომწურავი კატალოგი. 1791 წელს იგი საფრანგეთის კონსტიტუციის ნაწილი გახდა. საფრანგეთის მოქმედი (1958 წლის) კონსტიტუციით დეკლარაცია კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილადაა აღიარებული. მან ადამიანის უფლებათა თანამედროვე გაგების სამართლებრივი და იდეური საფუძველი შექმნა. სწორედ ამ სამართლებრივი

[20] ტექსტის კომენტარები იხ. Gauchet, Menschenrechte, in: Kritisches Wörterbuch der Französischen Revolution'. Bd. 2, hrsg. von François Furet und Mona Ozouf, Frankfurt am Main, 1996, 1180–1197.
[21] იქვე 1189.

დოკუმენტის ზეგავლენა და მისი იდეური განვითრებისკენ სწრაფვა იგრძნობა შემდგომი პერიოდის ევროპაში.

ადამიანის უფლებათა შემდგომი განვითარება საფრანგეთის 1815 წლის და ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციებში აისახა.

ასევე, აღსანიშნავია ძირითად უფლებათა ვრცელი კატალოგი, რომელიც 1848 წლის ფრანკფურტის წმ. პავლეს ეკლესიის კრების კონსტიტუცია (Paulskirchenverfassung)[22] სახელით არის ცნობილი. იგი მოგვიანებით ვაიმარის რესპუბლიკის 1919 წლის კონსტიტუციაში აისახა.

24 წმ. პავლეს ეკლესიის კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები მის VI თავში არის გაწერილი, როგორც „გერმანელი ხალხის ძირითადი უფლებები“ და შეიცავს ძირითად უფლებათა ისტორიაში პირველ ჩამონათვალს, რომელიც განკუთვნილია მთელი გერმანიისთვის. იგი ძირითადად მოიცავდა თავისუფლების ლიბერალურ გარანტიებს, კერძოდ, გადაადგილების თავისუფლებას და პროფესიის არჩევის თავისუფლებას (მუხლი 133), პიროვნულ თავისუფლებას (მუხლი 138), აზრის გამოხატვის და პრესის თავისუფლებას (მუხლი 143), რწმენისა და სინდისის თავისუფლებას (მუხლი 144). რელიგიის, აღმსარებლობის თავისუფლებას (მუხლი 145), მეცნიერებისა და სწავლების თავისუფლებას (მუხლი 152), შეკრების თავისუფლებას (მუხლი 161) და გაერთიანების თავისუფლებას (მუხლი162). საკუთრება გამოცხადებული იყო ხელშეუხებლად და ექსპროპრიაცია დასაშვები იყო მხოლოდ „საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ კანონის საფუძველზე და სამართლიანი კომპენსაციის სანაცვლოდ“.

25 წმ. პავლეს ეკლესიის კონსტიტუციის 137-ე მუხლი შეიცავს როგორც თანასწორობის ზოგად პრინციპს („გერმანელები თანასწორნი არიან კანონის წინაშე“), ასევე თანასწორობის სპეციფიკურ პრინციპებს, როგორიცაა საჯარო თანამდებობები ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი (137 მუხლის პუნქტი 4). თავადაზნაურობა, როგორც კლასი, და ასევე სხვა კლასობრივი პრივილეგიები გაუქმებული იქნა (137-ე მუხლი, პირველი და მეორე პუნქტები). წმ. პავლეს ეკლესიის კონსტიტუციის ფუნდამენტურ უფლებები, რომლებიც სულ 40-მდე დებულებაშია ჩამოყალიბებული, გერმანის მოქმედი კონსტიტუციით (ძირითადი კანონის) გარანტირებული უფლებებით არის დაცული. არამხოლოდ მათი შინაარსი არამედ, ფორმულირებაც კი ზოგიერთ შემთხვევაში იდენტური არის.

26 წმ. პავლეს ეკლესიის კონსტიტუციას და შესაბამისად მის მიერ აღიარებული ძირითადი უფლებების თავს, დიდი ხანია არ უმოქმედია, და იგი 1848 წლის დეკემბერში გაუქმებულად გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი გერმანიის კონსტიტუცია, რომლისთვისაც მოსახლეობის ფართო ფენები, აქტიურად იბრძოდნენ და ამ მხრივაც იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია გერმანიის ძირითადი უფლებების ისტორიაში.[23]

27 თანამედროვე მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი სახელმწიფო, რომლის კონსტიტუციაშიც ადამიანის უფლებები არ არის აღიარებული. რა თქმა უნდა, მსოფლიოს

[22] König, Menschenrechte, Campus Verlag, 2005, 29.
[23] Ipsen, Staatsrecht II, პარ. 34 დან, გვ. 9.

ყველა ქვეყანაში ადამიანის უფლებები (თავისი ღირებულებით განსხვავებათა გამო) თანაბრად არ არის და ვერც იქნება დაცული,[24] თუმცა მათი კონსტიტუციურ რანგში აყვანა სახელმწიფოს მიერ მათ უზრუნველყოფას, დაცვის მეტ გარანტიას განაპირობებს.

1.1.4. ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარება საქართველოში

28 თანამედროვე გაგებით ადამიანის ძირითადი უფლებების განვითრების ყველაზე მნიშვნელოვან და იმავდროულად პირველ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული უფლებები.

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რითაც ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრიობის ახალი სისტემა და პოლიტიკური სტრუქტურა საქართველოსთვის. მცირე ხნის შემდეგ, 1921 წელს ეროვნულმა საბჭომ მიიღო ქვეყნისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტი – საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

29 საქართველოს პირველი კონსტიტუცია არ მიუღიათ „ნაუცბათევად“, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში აღნიშნავდნენ[25] და ეს ფრაზა დღესაც ფიგურირებს ზოგიერთ პუბლიცისტურ თუ სამეცნიერო ნაშრომში. 1921 წლის კონსტიტუცია არ ყოფილა ნაუცბათევი დოკუმენტი. კონსტიტუციის პროექტი დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა, მისი განხილვა დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის 24 ნოემბრიდან მიმდინარეობდა. 1921 წლის 16 თებერვალს დანიშნული იყო დამფუძნებელი კრების სხდომა, რომლის დღის წესრიგში მუხლობრივი განხილვისათვის შეტანილი იყო კონსტიტუციის პროექტის მე-7 - მე-15 თავები, ხოლო 17 თებერვალს კონსტიტუციის პროექტის ბოლო ორი თავი. ამით დამთავრდებოდა მუხლობრივი განხილვა.[26]

30 1921 წლის კონსტიტუცია გამორჩეულად პროგრესული დოკუმენტი იყო, რომელიც სრულად უწყობდა ფეხს იმდროინდელ ევროპულ სამართლებრივ ტრადიციებს. საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროგრესულობის მახასიათებელ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული იყო კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, წოდებრივი განსხვავების არარსებობა, ქალთა საარჩევნო უფლება, გაუქმებულ იქნა სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯის გამოყენება, განმტკიცებულ იქნა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპი, ისევე როგორც უმცირესობათა და სხვა ძირეული სამოქალაქო-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური უფლებები. ცალკე აღნიშვნის ღირსია 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესი, რომელიც საკითხის სიღრმისეულ, ყოვლისმომცველ შესწავლასა და ევროპული ტრადიციების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას ეფუძნებოდა და,

---

[24] ფირცხალაშვილი, ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, ჟურნ. “მართმსაჯულება და კანონი”, №2’14, 2014, გვ. 80.

[25] მაგალითად, ერემოვი წერდა: „დამფუძნებელმა კრებამ მეტად ნაუცბათევად საღამოს სხდომაზე კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა... მუხლობრივად მისი მხოლოდ პირველი ოთხი თავი იქნა განხილული. დანარჩენი თავები კი განხილვის გარეშე დაამტკიცეს. დაირღვა კონსტიტუციის დამტკიცების მათ მიერ შემუშავებული წესიც.“ ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი), 1960, 110.

[26] მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია – საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო. გვ. 95, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2 / 2021.

ამასთანავე, იყო ინკლუზიური, თანაბრად აერთიანებდა რა დამფუძნებელი კრების ყველა პოლიტიკურ პარტიას. პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და განხილვის პროცესის ქრონიკა ერთმნიშვნელოვნად წარმოაჩენს ქართული პოლიტიკური კლასის მოწიფულობას. 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციების საფუძველი და მისი მომავალი განვითარების საწინდარია. სწორედ ამ მემკვიდრეობას ეყრდნობა საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

31 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებათა კონტექსტში, სოციალ დემოკრატიულ იდეებს ეყრდნობოდა. მისი მე-13 თავი, „სოციალ-ეკონომიური უფლებანი“, მოიცავდა ისეთ პროგრესულ დებულებებს, როგორებიცაა უმუშევრობის შემცირება, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის სოციალური დახმარება, შრომის უფლებების ნორმები და იმავდროულად ხაზს უსვამდა ეროვნული უმცირესობებისათვის ამ უფლებათა გარანტიებს.

32 1921 წლის კონსტიტუციის უფლებებისა და თავისუფლებების ბლოკი გამოირჩევა იმ თავისებურებით, რომ მესამე თავში ჩამოყალიბებულია მხოლოდ მოქალაქეთა პირადი და პოლიტიკური ხასიათის უფლებები, ხოლო განათლების უფლება მოცემულია მე–12 თავში, დანარჩენი სოციალურ–ეკონომიკური უფლებები კი კონსტიტუციის მე–13 თავში. ამით შესაძლოა კანონმდებელს იმის ხაზგასმა სურდა, რომ საქართველო გამოკვეთილად სოციალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის არსებით სტანდარტებს და შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვედ, განსაკუთრებით, მისი ფუნდამენტური ღირებულებების სისტემასთან მიმართებით.[27]

33 1921 წლის კონსტიტუციის 113-ე მუხლი უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიზანს – ისწრაფოდეს იგი ყველა მოქალაქის „ღირსეული არსებობისკენ“. 1921 წლის კონსტიტუციის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებული მეცამეტე თავის შესავალი დებულება ეხება ადამიანის ღირსების ნაწილს, რომელიც მოიცავს ადამიანის არსებობის მატერიალურ მინიმუმს. თუმცა, ადამიანის ღირსება მის მთელ სპექტრში წარმოდგენილია დაუწერელი ფორმით, როგორც ნორმატიული გარანტია. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ფუნდამენტური უფლებების კლასიკურ ჩამონათვალს, რომელშიც გარკვეული აქცენტები კეთდება habeas corpus-ზე, რომლის დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობაც არსებობდა იმდროინდელ საქართველოში.[28]

34 ამოსავალ წერტილად მიიჩნეოდა ადამიანის პირადი ხელშეუხებლობა (მუხლი 22; დეტალური დებულებები გრძელდება habeas corpus-ის სფეროში, 23-ე–27-ე მუხლებში). აქცენტები კეთდება ასევე პირადი ცხოვრების (სივრცის) ხელშეუვალობის დაცვაზე, რომელიც მოიცავს ტრადიციულ ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, საცხოვრებლის შეუვალობის გარანტიას (მუხლი 28) და კერძო მიწერ-მოწერის ხელშეუხებლობას (რაც ექვემდებარება სასამართლო გადასინჯვას). გარდა ამისა, არსებობს მიმოსვლის

[27] არნოლდი, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2 / 2021, გვ.13.
[28] იქვე, გვ 72.

თავისუფლების უფლება (მუხლი 30). დაცულია რელიგიის და სინდისის თავისუფლება (მუხლი 31), ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლება, რაც მოიცავს ცენზურის აკრძალვას. ერთადერთი შეზღუდვაა ამ დროს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, რომელიც უნდა დადგინდეს მოსამართლის მიერ (მუხლი 32). მკაფიოდ არის დაცული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლები 33–34). 1921 წლის კონსტიტუციით ასევე აღიარებულია სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება (მუხლი 36, რომელსაც აქვს საკმაოდ ფართო ფორმულირება) და მუშათა გაფიცვის უფლება (მუხლი 38). 1921 წლის კონსტიტუცია განსაკუთრებით პატივს სცემს თანასწორობას, მაგალითად, მე-16 მუხლის ფუნდამენტურ ნორმასა და მე-17 და მე-18 მუხლების სპეციფიკურ ნორმებში, რომლებიც კრძალავს განსხვავებას კლასებისა და ტიტულების საფუძველზე (გარდა აკადემიური ხარისხის) და გამორიცხავს ჯილდოების მინიჭებას (თუმცა, უშვებს საომარ მოქმედებებთან დაკავშირებულ ჯილდოებს). გარდა ამისა, არსებობს 39-ე და მე-40 მუხლები, რომლებიც ხაზს უსვამს თანასწორობას პოლიტიკურ, სამოქალაქო, ეკონომიკურ და ოჯახურ უფლებებთან მიმართებაში. [29]

დამატებით, კონსტიტუციით დადგენილია ქორწინებასთან მიმართებაში ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა და ასევე, გარანტირებულია ქორწინებაში და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების თანასწორობა, რაც წარმოადგენდა იმ დროისათვის ძალიან პროგრესულ გარანტიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხმის მიცემის უფლება, რომელიც ვრცელდება განურჩევლად მამაკაცებსა და ქალებზე, ასევე გარანტირებულია 46-ე მუხლში. პოლიტიკური ნიშნით თავშესაფრის ძიების უფლება განმტკიცებულია 41-ე მუხლში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო ასევე სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უმაღლესი ფორმის, გაუქმება (მუხლი 19). სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ თავი ადგენს რიგ სოციალურ უფლებებსა და პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ 113-ე მუხლი, რომლითაც იწყება აღნიშნული თავი, გამოხატავს სახელმწიფოს ვალდებულების ძირითად იდეას – უზრუნველყოს „ღირსეული არსებობა“. [30]

35 აქედან გამომდინარეობს ნაწილობრივ კლასიკური ფუნდამენტური თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი, და ისეთი ძირითადი უფლებები, როგორებიცაა საკუთრების უფლება და მისი შეზღუდვა (სოციალური ვალდებულებისა და ექსპროპრიაციის შესახებ, მუხლი 114), ნაწილობრივი პროგრამული მიზნები: შრომის დაცვა (მუხლი 117), უმუშევრობასთან დაკავშირებული დახმარებები (მუხლი 119), შრომისუუნარობა (120 მუხლი), სამუშაო საათების შეზღუდვა (მუხლი 123), მინიმალური ხელფასი (მუხლი 125) და სხვა. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 1921 წლის კონსტიტუციის მიერ შვილების, მშობიარე ქალებისა და დედობის უფლების დაცვა (მუხლი 126). ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებს ზოგადად პოლიტიკა ანუ საკანონმდებლო ორგანო ახორციელებს. თუმცა კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც მხოლოდ პროგრამებია, წარმოადგენს პოლიტიკის ნორმატიულ სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც, რეალურად, საკანონმდებლო ორგანოს უტოვებს ფართო მოქმედების ფარგლებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია მოიცავს ეთნიკური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან უფლებებს - მუხლი 129 და მუხლი 130,

[29] 1921 წლის 21. თებერვლის საქართველოს კონსტიტუცია.
[30] იქვე.

როგორც ზოგადი ნორმები შემდგომი კონკრეტიზაციისთვის, განსაკუთრებით, დისკრიმინაციასა და სამართლებრივ დაცვასთან მიმართებით.[31]

36 მე-20 საუკუნის მიჯნაზე საქართველოს პირველი კონსტიტუცია რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორული დოკუმენტი იყო. მან არა მხოლოდ სამ სახელისუფლებლო განშტოებაზე გადაანაწილა პოლიტიკური ძალაუფლება, არამედ გაიზიარა და ასახა ის ფუნდამენტური ღირებულებები და უფლებები, რომელთაც იმდროინდელი დასავლური საზოგადოება იზიარებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ასახავდა აშშ-ის კონსტიტუციის მრავალ მახასიათებელს, კერძოდ, სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას. ამასთან, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია უფრო წინ წავიდა, ითვალისწინებდა რა თანაბარ საარჩევნო უფლებებს ქალებისა და მამაკაცებისთვის. დაწერილი კონსტიტუციის მიღებით, ფუნდამენტურ უფლებებსა და ხელისუფლების დანაწილების კონცეფციასთან ერთად, 1921 წლის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა კონსტიტუციონალიზმის ახალ ეპოქას საქართველოში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მომავალი განვითარებისათვის. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ლეგიტიმურად იქცა მისი თანამედროვე მემკვიდრის – საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის – კარგ საფუძვლად.[32]

37 ადამიანის უფლებათა განვითრების თვალსაზრისით, საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში უფლებათა არათუ განვითარება, პირიქით მისი იდეოლოგიური დათრგუნვა მომდინარეობდა. საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში მიღებული 4 კონსტიტუცია, იყო პირდაპირი თარგმანი საბჭოთა კონსტიტუციებისა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საბჭოთა იდეოლოგია, სოციალურ საკითხებზე აქცენტირებით ახდენდა ინდივიდუალური თავისუფლების იგნორირებას. მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც, გაბატონებული იყო სისტემა, რომელიც გულისხმობდა ცენტრალურ დაგეგმვას, მართვასა და განაწილებას. ინდივიდუალური ინიციატივის ნებისმიერი გამოვლინება იყო არასასურველი და ხშირად დასჯადიც კი.[33] საუბარიც კი ზედმეტია სამართლებრივი სახელმწიფოსა და თავისუფლების ნებისმიერი ფორმით გამოვლინებაზე.[34]

38 საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში კი საერთოდ გაუქმდა კერძო საკუთრების უფლება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით[35] სწორედ საკუთრება იყო საზოგადოებრივი და კლასობრივი დაპირისპირების მიზეზი. იგი იწვევდა ექსპლუატი-რებულთა და ექსპლუატატორთა არსებობას. აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრების გაუქმება გამოიწვევდა კლასობრივი ბრძოლის დასრულებას. საბჭოთა სამართალი

[31]არნოლდი, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ. გვ.62. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2 / 2021.

[32] კლდიაშვილი, ამერიკის კონსტიტუციონალიზმისა და ძირითადი უფლებების გაგება, ისტორიული რეტროსპექტივა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებები, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2 / 2021, გვ. 80.

[33] ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები?, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012. გვ. 113.

[34] Karpen, Die geschichtliche Entwicklung, S. 20; Badura, Der Zustand des Rechtsstaates, 13 (19).

[35] მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, 1989, შემდგენელი: კვარაცხელია,

იცნობდა მხოლოდ საზოგადოებრივი/სახელმწიფო საკუთრებისა და პირადი საკუთრე-ბის ინსტიტუტებს. საბჭოთა სახელმწიფო იმდენად ერეოდა საკუთრების უფლებაში, რომ იგი თვითონ იღებდა პასუხისმგებლობას, მოქალაქეებს შორის, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა, თანაბრად გაენაწილებინა საკუთრება. საბჭოთა სახელმწიფომ „ზუსტად იცოდა", თუ რამდენი და როგორი პირადი საკუთრება სჭირდება საბჭოთა მოქალაქეს პირადი მოხმარებისათვის.[36]

39 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის დამოუკიდებელ საქართველოშიც დაიწყეს ფიქრი ძირითად უფლებათა თანამედროვე, ახალ და ქმედით გარანტიებზე. ამის წინაპირობა იყო ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღება. 1993 წლის 19 თებერვალს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია 118 წევრით. საინტერესო ფაქტია, რომ მიუხედევად იმისა, რომ კონსტიტუციის შემუშავებისას საქართველოს რატიფიცირებული არ ჰქონდა ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია, მის მეორე თავში შინაარსობრივად, თუმცა ასევე ფორმულირების კუთხითაც, შესამჩნევია, კონვენციის ზეგავლენა. განსაკუთრებით კი კონსტიტუციის 2018 წლამდე ვერსიაში ხშირია კონვენციის მსგავსი ფორმულირებები.[37]

1.2. ადამიანის უფლებათა იდეური განვითარება

40 ადამიანის უფლებების იდეას არა მარტო წმინდა სამართლებრივი, არამედ ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება. იგი ასახულია ყველა ცნობილ ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სოციალურ თეორიაში. ადამიანის უფლებების შესახებ არსებული თანამედროვე თეორიები იმთავითვე ფილოსოფიურ-სამართლებრივი მსოფლმხედველობის ორ ცნობილ ფორმას – ბუნებით სამართალსა და პოზიტივიზმს ეფუძნებოდა.

41 ადამიანის უფლებათა იდეის წარმოშობა და მისი განვითარება ბუნებითი სამართლის და შესაბამისად, "ბუნებითი უფლებების" თეორიას უკავშირდება. ბუნებითი სამართლის თეორიის არსი კი მდგომარეობს შემდეგში: სამართალი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და შესაბამისად, გონებით შეცნობადია, ეს კი ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტიური (კოდიფიცირებული, დაწერილი) სამართალი.[38] ამიტომ ბუნებით სამართალს ხშირად ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ. ბუნებითი სამართალი, არსებითად, მორალისა და სამართლიანობის იდენტურია - ისინი ხშირად განიხილება როგორც სინონიმური ცნებები. ამ თეორიის თანახმად, ყველა ადამიანი

[36] Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, S. 73 f.

[37] იხ. შედარება Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, გვ. 96-97.

[38] დეტალური მსჯელობა იხ. ნაშრომში Ernst-Wolfgang Böckenförde, Franz Böckle: Naturrecht in der Kritik. Matthias-Grünewald-Verlag, Mainz 1973, Bloch, Naturrecht und menschliche Würde. In: Gesamtausgabe der Werke. Band 6. Suhrkamp, Frankfurt am Main 1961, Engle, Lex Naturalis, Ius Naturalis: Law as Positive Reasoning & Natural Rationality. The Elias Clark Group, Melbourne 2010.

დაბადებით, ბუნებით თავისუფალი და თანასწორია. ბუნებითი სამართლის თეორია ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის წინაპირობაა.[39]

42 ანტიკური ბუნებითი სამართლის მიმდევრები იყვნენ პლატონი და არისტოტელე, ქრისტიანული ბუნებითი სამართლის წარმომადგენელია თომა აქვინელი. შემდგომში კი, გროციუსის, უპირველეს ყოვლისა კი, პუფენდორფის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრება თეოლოგიური საფუძვლების გარეშე იქნა ჩამოყალიბებული. „ბუნებითი უფლებების“ ამ თეორიის პრინციპმა განვითარება ჰპოვა ლოკის, სპინოზას, თომაზიუსის, რუსოს, მონტესკიეს, კანტის, ჰუმბოლტის, მილისა და ელინეკის შრომებში. ცალკეული ავტორები შეიძლება ჩაითვალონ ადამიანის უფლებათა დასავლური ფილოსოფიური და სამართლებრივი კონცეფციების შემქმნელებად, იმ კონცეფციებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო რევოლუციებსა და სოციალურ კატაკლიზმებს, სამოქალაქო ომებს, პოლიტიკურ რეჟიმებსა და სამართლებრივ იდეოლოგიებს.[40]

43 თუ ბუნებითი სამართლის თეორიით მორალისა და სამართლიანობის არსი არსებითად იდენტურია, სამართლის პოზიტივისტთა საპირისპირო მოსაზრებით, ამ ორ ცნებას შორის მკვეთრი მიჯნა გადის. მორალურობა არ განსაზღვრავს არც სამართლის მოქმედებას და არც მის სავალდებულოობას. კლასიკური პოზიტივიზმის წარმომადგენელი იყო ჰანს კელზენი (1881-1973). სამართლებრივი პოზიტივიზმის მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა აზრით კი, სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მოქმედი, როცა იგი ფუნდამენტალურ, მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში არ მოდის.[41]

44 XIX საუკუნის დამლევს ბუნებითი სამართლის თეორიამ სამართლის მეცნიერების განვითარებაზე ზეგავლენა დროებით დაკარგა. ამ პერიოდისთვის იმარჯვებს სამართლის პოზიტივისტური მიდგომა: მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბებულ ნორმებს, მათი შინაარსისა და ხასიათის მიუხედავად, ჰქონდა სამართლებრივად სავალდებულო ძალა. აღსანიშნავია, რომ არსებობდა „შუალედური“, ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიების გამათანაბრებელი მოსაზრებანი. ერთი-ერთი მათგანია ე.წ. „რადბრუხის ფორმულა“, რომლის მიხედვითაც, ნორმა ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული. ნორმა შეიძლება არ შესრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა პოზიტიური კანონი იმდენად უსამართლოა, რომ კანონმა უკან უნდა დაიხიოს და გზა სამართლიანობას „დაუთმოს“.[42]

45 მართალია, ბუნებითი სამართლის მოძღვრება XIX საუკუნეში უარყოფილ იქნა, მაგრამ XX საუკუნის შუა წლებიდან მისი ზეგავლენა, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ფონზე, კვლავ ძლიერდება. პირველი და განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომების შემდეგ, ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის

[39] ფირცხალაშვილი, ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, ჟურნ. “მართმსაჯულება და კანონი”, №2’14, 2014, გვ. 80.

[40] მაჭარაშვილი, ადამიანის უფლებების განვითარება სამართლის ფილოსოფიაში, „ალმანახი“, №18, 2003, სისხლის სამართალი (III).

[41] იხ. დეტალურად სამართლის პოზიტივიზმის თეორია: Kelsen, Naturrechtslehre und Rechtspositivismus. In: Die Wiener rechtstheoretische Schule, Schriften von Hans Kelsen, Adolf Merkl, Alfred Verdross, hrsg. von H. Klecatsky, R. Marcic u. H. Schambeck, Wien/Salzburg 1968, Kelsen, Allgemeine Theorie der Normen, hrsg. von Kurt Ringhofer, Robert Walter, Wien 1979; Kelsen, Reine Rechtslehre. Mit einem Anhang: Das Problem der Gerechtigkeit. 2. Auflage 1960.

[42] Radbruch, Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, SJZ 1946, 105 (107).

გამო, ბუნებითი სამართლის მოძღვრება ისევ წინა პლანზე გადმოვიდა. ბუნებითი სამართლის წარმოშობის წყაროდ მიიჩნევა სამართლის იდეის ზნეობრივი შინაარსი, საიდანაც გამომდინარეობს საზოგადოებებისა და ადამიანთა თანაცხოვრების განსაზღვრული წესები, განსაკუთრებით, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ისტორიულმა გამოცდილებამ ნათლად აჩვენა, რომ ცალკეული ადამიანების, ან პოლიტიკური რეჟიმების მიერ შექმნილი, „დაწერილი" სამართალი შესაძლოა უკიდურესად უსამართლო იყოს.

1.3. ადამიანის უფლებანი საერთაშორისო რანგში

46 მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაციონალ-სოციალისტების მიერ ადამიანთა მასობრივი მკვლელობისა და გენოციდის შემდეგ და ასევე სხვა დიქტატორული რეჟიმების არსებობის შედეგად, მსოფლიოში, საერთაშორისო არენაზე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა მკვეთრად შეიცვალა შეხედულებანი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რაობის, მათი მნიშვნელობისა და გარანტიების შესახებ.

47 XX საუკუნეში ადამიანის უფლებათა დაცვა გასცდა იმ შეხედულების ფარგლებს, რომელიც ადამიანის უფლებას მხოლოდ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნევდა. თუ ადრე მათ შესახებ საერთაშორისო დონეზე საუბარი, ან სხვაგვარი ჩარევა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვად მოიაზრებოდა, ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში „სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვა საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ამ სახელმწიფოს სავიზიტო ბარათია საერთაშორისო ურთიერთობებში".[43] დღეს ინდივიდი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მისი დარღვეული უფლებების ინდივიდუალურად, სახელმწიფოს შუამდგომლობის გარეშე დაცვის მექანიზმითაა აღჭურვილი. მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასამკვიდრებლად საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანის უფლებათა დეკლარირება მოახდინა. ასევე, შეიქმნა ზოგიერთი ქმედითი მექანიზმი დეკლარირებული უფლებების უზრუნველსაყოფად.

1.3.1. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

48 მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როცა მსოფლიო მომხდარი ჰოლოკოსტის შიშით იყო შეპყრობილი, დაყოფილი იყო კოლონიალიზმისა და გამეფებული საყოველთაო უთანასწორობის გამო, პირველი გლობალური მასშტაბის დეკლარაციის მიღება, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებას და თანასწორობას განურჩევლად კანის ფერისა, წარმომშობისა და მრწამსისა, წარმოადგენდა უდავოდ გაბედულ წამოწყებას, რომლის წარმატებაც იმ დროს სერიოზული კითხვის ქვეშ იდგა.[44]

49 მიუხედავად პოლიტიკური სირთულეებისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა „ადამიანის უფლებათა

[43] Kälin, Künzli, Universeller Menschenrechtsschutz, S. 16.

[44] ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, ლუის არბორი ქართული გამოცემის წინასიტყვაობისთვის. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა, 2008 თბილისი.

საყოველთაო დეკლარაცია“. მისი რატიფიცირება დღეისთვის მსოფლიოს 190-ზე მეტმა ქვეყანამ მოახდინა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში იგი შეიცავდა საყოველთაოობის პრინციპით განმტკიცებულ და ინდივიდუალურ კონტექსტში მოაზრებულ ადამიანის უფლებებს. დღეისათვის დეკლარაცია 360 ენაზეა თარგმნილი და წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე მეტ ენაზე თარგმნილ დოკუმენტს, რაც ადასტურებს მის უნივერსალურობას და საყოველთაო ხელმისაწვდომობას. დეკლარაცია შთაგონების წყარო გახდა მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და ახალ დემოკრატიათათვის კონსტიტუციების შედგენისას.[45]

50 დეკლარაცია ეხება როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. კერძოდ, დეკლარაციით გათვალისწინებულია ისეთი უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, პირადული ხელშეუხებლობის უფლება, გარანტირებულია მიმოწერის საიდუმლოება და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დაცვის უფლება. დეკლარაცია ასევე ითვალისწინებს სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საყოველთაო დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო, იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მაგრამ თითქმის ყველა ქვეყანამ აქცია თავისთვის სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებად.

51 დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორებიცაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, რომლებიც მიიღეს 1966 წელს და ძალაში შევიდა 1976 წელს.

1.3.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

52 რეგიონულ დონეზე კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“. იგი ევროპის საბჭოს ფარგლებში იქნა შემუშავებული. ევროპული კონვენციის ავტორებმა მისი მიღებით განიზრახეს ისეთი საერთაშორისო მექანიზმის დაარსება, რომელიც არ დაუშვებდა დაუსჯელობას ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, ტირანიასა და ტოტალიტარულ მმართველობას ევროპაში.

53 მისი ხელმოსაწერად გახსნა მოხდა 1950 წლის 4 ნოემბერს რომში, ძალაში კი 1953 წლის ნოემბერში შევიდა. ამჟამად კონვენციის მონაწილეა 46[46] სახელმწიფო, რომელთათვისაც იგი წარმოშობს იურიდიულ ვალდებულებებს.

54 ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი დოკუმენტებია ევროპაში. კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომელმაც პირის ინდივიდუალური საჩივრების საშუალებით უზრუნველყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკმაოდ ეფექტური მექანიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული

[45] გაეროს გენერალური მდივანი, პან გი მუნი, ქართული გამოცემის წინასიტყვაობისთვის. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა. 2008 თბილისი.
[46] ოფიციალური ნუსხა, იხ. ევროსაბჭოს ვებ გვერდი.

სასამართლოს სახით ჩამოაყალიბა ცალკეულ პირთა დაცვის მექანიზმი სახელმწიფოს გარეთ, საერთაშორისო დონეზე. კონვენციის უდიდეს წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს მოღვაწეობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენცია „ევროპული საჯარო წესრიგის საკონსტიტუციო დოკუმენტად“ დაახასიათა.[47]

55 ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად მიღებულია კონვენციის დამატებითი ოქმები. ამჟამად მიღებულია 13 ოქმი, რომლებიც ადგენენ როგორც მატერიალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ისე განამტკიცებენ ევროპული სასამართლოს საზედამხედველო მექანიზმს. კონვენციის 1-ლი, მე-4, მე-6, მე-7, მე-12 და მე-13 ოქმები ითვალისწინებს მატერიალური უფლებების დაცვას. ბევრი მიიჩნევს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომელმაც დააარსა განვითარებული საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი. კონვენციის ასეთი შეფასება განპირობებულია არა იმ უფლებათა და თავისუფლებათა უნიკალურობით, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით, არამედ მათი უზრუნველყოფის საზედამხედველო მექანიზმით.[48]

56 ევროპული კონვენცია პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელმაც განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და შექმნა მათ შესრულებაზე საზედამხედველო მექანიზმი.[49]

ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების რატიფიცირების ამჟამინდელი მდგომარეობა საქართველოსთვის ასეთია:

ა) ევროპული კონვენცია – საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს;

ბ) 1-ლი ოქმი – საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2002 წლის 7 ივნისს;

გ) მე-4 ოქმი – საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის 13 აპრილს;

დ) მე-6 ოქმი – საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მაისს;

ე) მე-7 ოქმი – საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივლისს;

ვ) მე-12 ოქმი – ამჟამად არ არის ძალაში. საქართველომ მოახდინა მისი რატიფიცირების სიგელის დეპონირება 2001 წლის 15 ივნისს;

ზ) მე-13 ოქმი – საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2003 წლის 1 სექტემბერს.

57 როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლების მიერ თავისი ტერიტორიის კონტროლთან დაკავშირებული მდგომარეობა პრობლემურია. 90-იანი წლების დასაწყისში და 2008 წელს მომხდარი მოვლენების გამო, ორი რეგიონი – აფხაზეთი და სამაჩაბლო (ყოფილი სამხრეთ ოსეთი) დე იურე საქართველოს ტერიტორიას წარმოადგენს, საქართველოს ხელისფლების დე ფაქტო კონტროლი არ ვრცელდება სამხედრო კონფლიქტების შედეგად შექმნილ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებზე. ამიტომ ეს ტერიტორიები რჩებიან საქართველოს მთავრობის დე ფაქტო კონტროლს, და შესაბამისად კონვენციის მოქმედების მიღმა. ცხადია, რომ არცერთი მათგანი არ არის ევროპული კონვენციის მონაწილე.

---

[47] Frowein, The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in: Collected Courses of the Academy of European Law, 1990, Vol. I(2) 1992, 302.

[48] Robertson, & Merrills, Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, 1993.

[49] კორკელია, ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, გვ. 10.

58 აღნიშნულ ფაქტს რა თქმა უნდა პირდაპირი გავლენა აქვს ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და, კონვენციის 1-ელი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს ვალდებულებაზე, დაიცვას ადამიანის უფლებები. საქართველომ გააკეთა ტერიტორიული განცხადებები/ დათქმები 1-ელი,[50] მე-12[51] და მე-13 ოქმების მიმართ. თუმცა მსგავსი არ გაუკეთებია კონვენციისა და მისი მე-4, მე-6, მე-7 ოქმების მიმართ, მათი რატიფიცირების დროს 1999/2000 წლებში. ტერიტორიული განცხადებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული მდგომარეობის გამო. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული დე ფაქტო მდგომარეობა ნათლად ხსნის საქართველოს ხელისუფლების პოზიციას.

59 აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს, განახორციელოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების ეფექტიანი კონტროლი, თავის შეკავება ტერიტორიული განცხადების გაკეთებისაგან კონვენციისა და მისი მე-4, მე-6 და მე-7 ოქმების რატიფიცირების დროს შეიძლება აიხსნას კონვენციით ასეთი დათქმის/განცხადების გაკეთების აკრძალვით.[52] კონვენციის 56-ე მუხლი ტერიტორიული გამოყენების შესახებ ეხება კონვენციის გამოყენებას მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე ის არის პასუხისმგებელი. ამდენად, აშკარაა, რომ 56-ე მუხლი არ ეხება საქართველოს სიტუაციას. მეორე მხრივ, 57-ე მუხლი დათქმებთან დაკავშირებით ადგენს რიგს მოთხოვნებისას, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ, რათა გააკეთოს დათქმა, ზოგადი ხასიათის დათქმის აკრძალვისა და შესაბამისი სახელმწიფოს მოქმედ ნორმატიულ აქტზე დაყრდნობის ჩათვლით.

60 ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია შეიძლება აიხსნას ამ ტერიტორიებზე კონტროლის არარსებობის დროებითი ხასიათით.[53] საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომ თავი შეეკავებინა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების (რაც, რასაკვირველია, მოიცავს ევროპულ კონვენციასაც) მიმართ ტერიტორიული დათქმის/განცხადების გაკეთებისაგან, ნათელი მოეფინა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში,[54] რომელშიც მან მიუთითა, ერთი მხრივ, იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამჟამად არ ძალუძს, განახორციელოს ეფექტიანი კონტროლი ამ ტერიტორიებზე და, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველოს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე მალე აღდგება.

---

[50] 1-ელი ოქმის რატიფიცირების სიგელი ითვალისწინებს საქართველოს შემდეგ განცხადებას: „საქართველო აცხადებს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გამო საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, იკისროს პასუხისმგებლობა ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა პატივისცემასა და დაცვაზე ამ ტერიტორიებზე. ამდენად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობის აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე“.

[51] საქართველომ გააკეთა ტერიტორიული განცხადება მე-12 ოქმის მიმართ. იგი ადგენს, რომ „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგელობას აღნიშნულ ტერიტორიებზე ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე“.

[52] კორკელია, მჭედლიძე, ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან. ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2003, გვ. 19.

[53] იქვე, გვ. 20.

[54] საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის განცხადება “ადამიანის უფლებათა დაცვა. – ქართული სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტი“. ტექსტი ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ინტერნეტ-გვერდზე.

1.3.3. კოლიზია საქართველოს კონსტიტუციით და ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს შორის

61 თეორიულად, დასაშვებია კოლიზიის არსებობა საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებების მარეგულირებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის. კონკრეტულად საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის კოლიზიასთან დაკავშირებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ კოლიზიის ალბათობა მცირეა ასევე იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების დროს მხედველობაში მიიღეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები. [55] აღნიშნული ფაქტი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს კოლიზიის ალბათობას.

62 კოლიზიის შემთხვევაში, კარგი გამოსავალია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „საერთაშორისოდ ორიენტირებული" განმარტება. გერმანიის სასამართლოების პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად, გერმანიის კანონმდებლობა ისე უნდა განიმარტოს, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ გერმანიის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.[56] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ სასამართლოს ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს კანონმდებლობის ისეთი განმარტება, რომელიც გერმანიას თავიდან ააცილებს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას, რაც გამოიწვევდა მის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.[57]

63 თუმცა შესაძლოა განმარტების ამგვარი მეთოდით შეუძლებელი იყოს კოლიზიციის გადაჭრა. საქართველოს კანონმდებლობით თუკი, საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლე დაასკვნის, რომ ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მას შეუძლია აქტის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით, წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[58] მითუმეტეს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მან იმსჯელა საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ. [59]

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის, პირველი პუნქტის „3" ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო

---

[55] კორკელია, ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, გვ. 40.

,[56] Simma, Khan. Zöckler, & Geiger, The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 94.

[57] BVerfGE 58, 34. იხ. დეტალური კომენტარი, Frowein, Federal Republic of Germany, in: The Effect of Treaties in Domestic Law, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 69.

[58] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ".

[59] მაგალითად, 2002 წლის 21 მაისის №8/177/2 გადაწყვეტილებაში საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება" საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა „ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის შეთანხმების" მე-3 მუხლის კონსტიტუციურობა.

სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თეორიულად შეიძლება, საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმა არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ევროპული კონვენციის ცალკეული დებულება ვერ იქნება ბათილად ცნობილი, რადგან საერთაშორისო სამართალი არ უშვებს ხელშეკრულების დებულების დანაწილებას. კერძოდ, „საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულების ცალკეული დებულების მოქმედება მის მიმართ, თუ ხელშეკრულებით ეს არ არის გათვალისწინებული ან მხარეები ამაზე სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.[60]

65 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ იგი კარგავს იურიდიულ ძალას გამოქვეყნების მომენტიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენცია არა მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის, არამედ საერთაშორისო სამართლის წყაროა, მხედველობაშია მისაღები მისი იურიდიული ძალის დაკარგვის ორივე ასპექტი: შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო. საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ევროპული კონვენცია აღარ გავრცელდება საქართველოში. თეორიულად დასაშვებია, რომ ევროპულმა კონვენციამ დაკარგოს იურიდიული ძალა საქართველოში, შეწყვიტოს მოქმედება, როგორც შიდასახელმწიფოებრივმა ნორმატიულმა აქტმა, მაგრამ გააგრძელოს მოქმედება, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებამ, რომელიც საერთაშორისო დონეზე წარმოშობს ვალდებულებებს ქვეყნისთვის. ასეთი მიდგომა უკიდურესად დიდი რისკის ქვეშ დააყენებდა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას სახელმწიფოს მიერ.[61] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს პირდაპირ არ აყრდნობს პოლიტიკურ მოტივებს, იგი აუცილებლად ითვალისწინებს ქვეყნის კონსტიტუციური წესრიგის საყრდენს, ევროპულ ღირებულებებს. შესაბამისად, იგი ვერ უგულებელყოფს ევროპული კონვენციის დენონსირების ნეგატიურ სამართლებრივ და პოლიტიკურ შედეგებს, რასაც გამოიწვევს ევროპული კონვენციის ბათილად ცნობა.[62]

66 მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად საქართველოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, მისი პრაქტიკული ალბათობა ძალიან დაბალია. რადგან სასამართლოს ეს ქმედება იქნება არამხოლოდ სამართლებრივად, არამედ სახელმწიფოსთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილება.[63]

---

[60] ვენის კონვენციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[61] კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2003, გვ.72.

[62] იქვე, გვ. 76.

[63] ფირცხალაშვილი, (ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი) საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი 2021. გვ. 33.

67 კოლიზია მარტივი გადასაწყვეტია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და შიდასახელმწიფოებრივ აქტებს შორის, რადგან მათ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებზე (გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა) მაღალი იერარქიული ადგილი ენიჭება.[64]

1.3.4. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

68 ევროკავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დეკლარაციად მიიჩნევა 2000 წლის დეკემბერში ნიცის სამიტზე მიღებული „ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია“ [65]

ძირითადი უფლებების ქარტიის ტექსტის შემუშავების პრინციპული გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1999 წლის 15-16 ოქტომბერს ფინეთში გამართულ ევროპული საბჭოს სხდომაზე. თუმცა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში ევროპული გაერთიანებების დაფუძნების იდეას წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა წარმოადგენდა. ევროპული გაერთიანებები მიზნად ისახავდნენ ეკონომიკური საქმიანობის ჰარმონიული განვითარების, განგრძობად და დაბალანსებული გაფარ-თოების ხელშეწყობას, ეკონომიკური პოლიტიკის კონვერგენციას, სამუშაო ადგილების შექმნას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას და ა. შ.[66] მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ინტეგრაციის საწყის ეტაპზე Stork-ის[67], Geitling-ის[68] და Sgarlata-ს[69] საქმეებში უარი განაცხადა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სტანდარტების გამოყენებაზე გამომდინარე იქიდან, რომ გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულებები ექსპლიციტურად არ შეიცავდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ დებულებებს. [70]

69 1960-იან წლებში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ განავითარა გაერთიანების სამართალის პრეფერენციის დოქტრინა, რომლითაც შიდასახელმწი-ფოებრივ სამართალთან მიმართებაში გაერთიანების სამართლის პრეფერენცია დადგინდა.[71] გაერთიანების სამართლის პრიმატის კონცეფცია გააკრიტიკეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოებმა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1974 წელს Solange I-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ სუპრანაციონალურ დონეზე არ არსებობდა პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო არჩევნების საფუძველზე არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო და გაერთიანების

[64] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“.
[65] Charter of Fundamental Rights of the European Union.
[66] Kaczorowska, European Union Law, Second edition, Routledge, 2011, გვ. 8.
[67] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Stork v. ECSC High Authority, C-1/58, [1959].
[68] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Geitling v. ECSC High Authority, C-2/56, [1957].
[69] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Sgarlata and Others v. Commission of the EEC, C-40/64, [1965].
[70] Brown, McBride, Observations on the Proposed Accession by the European Community to the European Convention on Human Rights, American Journal of Comparative Law, 1981, გვ. 692; Drzemczewski, Domestic Application of the European Human Rights Convention as European Community Law, The International and Comparative Law Quarterly, 1981, გვ. 123.
[71] იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Costa v. ENEL, C-6/64, [1964].

სამართალი არ შეიცავდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კატალოგს, იგი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო განეხილა გაერთიანების სამართლებრივი აქტის გერმანიის ძირითად კანონთან შესაბამისობა იმ შემთხვევაშიც, თუ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო სადავო აქტს არ გააუქმებდა.[72]

70 ევროკავშირში ქარტიამ სავალდებულო ძალის აღიარების მიმართულებით, რთული გზა განვლო. თავიდან იგი მიღებული იქნა ნიცის ხელშეკრულებასთან ერთად, 2000 წლის დეკემბერში, პოლიტიკური დეკლარაციის რანგში, როგორც იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტი, მაგრამ ქარტია თავიდანვე იმ პერსპექტივით შემუშავდა, რომ მას სამომავლოდ ევროკავშირის სამართალში სავალდებულო, და უფრო მეტიც, უმაღლესი იურიდიული ძალა მიენიჭებოდა. ქარტიის დეკლარაციული სტატუსის მიუხედავად, პრაქტიკულად, მალევე დაიწყო მისი გამოყენება კომისიის, ევროპის პარლამენტის, ხოლო მოგვიანებით (საკმაო ყოყმანის შემდეგ), თვით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ. 2009 წლის პირველ დეკემბერის ხელშეკრულებით, რომელიც ცნობილია როგორც „რეფორმის“ ხელშეკრულებისა და „ლისაბონის“ ხელშეკრულების სახელწოდებით, ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიას მიენიჭა სავალდებულო ძალის მქონე აქტის სტატუსი და აყვანილ იქნა პირველადი სამართლის რანგში.

71 ქარტიის მიღებით ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ფუნდამენტური უფლებების, თავისუფლებების, პრინციპების ერთ, კოდიფიცირებულ აქტში კონსოლიდაცია განხორციელდა.[73] იგი შედგება 54 მუხლისგან. ქარტია შეიცავს ძირითად უფლებებსა და ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ღირსებასთან, სხვადასხვა თავისუფლებებთან, თანასწორობასთან, სოლიდარობასთან, კავშირს მოქალაქეთა უფლებებთან და მართლმსაჯულებასთან. ნიშანდობლივია, რომ ძირითად უფლებათა ქარტიაში დეკლარირებული უფლებები, თავისუფლებები და პრინციპები აღებულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან, ევროპის სოციალური ქარტიიდან, მუშათა ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ გაერთიანების ქარტიიდან, წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაეროსა და ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული სხვადასხვა ინსტრუმენტებიდან.[74]

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან, აქტუალური მდგომარეობით, ქარტიის სამართლებრივი სტატუსი კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების ექვივალენტურია. კავშირის ამჟამინდელი სამართლებრივი ბაზა და ინსტიტუტების საქმიანობა ცხადყოფს, რომ ინტეგრაციის გასულ ეტაპებთან შედარებით ორგანიზაცია უფრო ინტენსიურად უჭერს

[72] დეტალური მსჯელობა იხ. ფირცხალაშვილი, მირიანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018. გვ. 99.
[73] Burlacu, European Union and Human Rights, Cogito: Multidisciplinary Research Journal, 2012, გვ. 61.
[74] დეტალურად ქარტიის შესახებ, იხ. ფირცხალაშვილი, მირიანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018. გვ. 104.

მხარს ზეეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმების განვითარებას.[75]

1.3.5. ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტები

72 რეგიონულ-კონტინენტურ დონეზე აღსანიშნავია რამდენიმე სამართლებრივი დოკუ-მენტი.

ადამიანის უფლებათა დეკლარირების და დაცვის მხრივ, კონტენენტურ დონეზე არსებობს „ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია“ (1948),[76] „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია“ (1969) და „ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია“ (1985).

73 ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია მიღებული იქნა კოლუმბიაში, 1948 წელს. იგი შინაარსით ჰგავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. მასში აღიარებული უფლებები ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ (სიცოცხლის, თავისუფლების, აღმსარებლობის თავისუფლების, ოჯახისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის, საქმის სამართლიანად განხილვის) და ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს (კულტურული ცხოვრების, დასვენების, მუშაობის, სოციალური უზრუნველყოფის). [77]

74 მასში ასევე მოცემულია მთელი რიგი მოვალეობებისა, რომლებიც ეკისრება ამერიკის მოქალაქეებს. მოვალეობები მრავალფეროვანია, დაწყებული სამოქალაქო და სამხედრო სამსახურიდან, მცირეწლოვანი ბავშვების ხელშეწყობის, განათლებისა და დაცვიდან დამთავრებული გადასახადების გადახდის ვალდებულებით. ბევრი მოვალეობა უკავშირდება გარკვეულ უფლებებს, მაგალითად, მოქალაქე ვალდებულია „მიიღოს, სულ ცოტა, დაწყებითი განათლება“ (მუხლი 31), რაც უკავშირდება განათლების უფლებას. მსგავსად ამისა, არჩევნებსა და მთავრობაში მონაწილეობის უფლება უკავშირდება არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულებას, ხოლო მუშაობის ვალდებულება „იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა უნარი და შესაძლებლობა“ (მუხლი 37) უკავშირდება მუშაობის უფლებას ღირსეულ პირობებში. [78]

75 ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (სან-ხოსე, 1969 წლის 22 ნოემბერი; ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს). ასევე ცნობილია, როგორც "act of San Jose”. კონვენცია ეფუძნება ადამიანის უფლებათა „ინტერამერიკული კომისიის“ პროექტს. კანადის, კუბის და კარიბის ზღვის ზოგიერთი შტატის გარდა, ამერიკის სახელმწიფოების უმეტესობამ ახლა ხელი მოაწერა მას. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციას შეერთებულმა

[75] Stubberfield, Lifting the Organisational Veil: Positive Obligations of the European Union Following Accession to the European Convention on Human Rights, Australian International Law Journal, 2012, გვ. 118.

[76] American Declaration of the Rights and Duties of Man.

[77] იხ. დეტალურად Nacimiento, Die Arbeit untersucht die Entwicklung der Amerikanischen Deklaration der Rechte und Pflichten des Menschen. 1996.

[78] სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები: სახელმძღვანელო. [მეორე გამოცემა]–რედ. ჯოხაძე თარგმანი: კობიაშვილი,–ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, – „სეზანი“.

შტატებმა ხელი მოაწერა 1977 წელს, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოუხდენია მისი რატიფიცირება.[79]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მსგავსად, ამერიკული კონვენციაც რეგიონული კონვენციაა. იგი შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კატალოგს (მუხ. 3-დან 25-მდე). ხოლო მისი 26-ე და 42-ე მუხლი ადგენს ზოგად რეგულაციებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით. შინაარსის თვალსაზრისით, ამერიკული კონვენცია დიდწილად ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის იდენტურია, მაგრამ ზოგიერთ უფლებებში სცდება და აფართოებს ევროპული კონვენციის შინაარსს. მაგალითად, იურიდიული პირის უფლებები (მუხლი 3), ერების უფლებები (მუხლი 20), პოლიტიკური მონაწილეობის უფლებები (მუხლი 23) და მინიმალური სოციალური უფლებები (მუხლი 26).

76 ამერიკული კონვენცია პირველი მუხლით ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს დაიცვას გარანტირებული უფლებები არა მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების, არამედ ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც იმყოფება ხელმომწერი სახელმწიფოს იურისდიქციაში. ადამიანის უფლებათა გარანტიების გარდა, კონვენცია ასევე შეიცავს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს საფუძველს და განსაზღვრავს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის საქმიანობასა და კომპეტენციას.

ინდივიდუალური საჩივრების საფუძველზე კონვენცია ადგენს ადამიანის უფლებათა ორეტაპიანი დაცვის პროცესს. პირველ ეტაპზე, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია განიხილავს ინდივიდების საჩივრებს. მეორე ეტაპზე კი, მას შეუძლია საქმე გადააგზავნოს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ სასამართლოში, რომელიც დაარსდა 1970 წელს და მდებარეობს სან ხოსეში, კოსტა რიკაში. სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფოებისთვის.[80]

77 1988 წლის 17 ნოემბერს მიღებული სან-სალვადორის დამატებითი ოქმი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეიცავს მრავალ გარანტიას, რომლებიც ასევე გათვალისწინებულია გაეროს I პაქტში. მათ შორისაა, მაგალითად, შრომის უფლება და განათლების უფლება.[81] 1990 წლის 8 ივნისს მიღებული იქნა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ დამატებითი ოქმი.[82] პროტოკოლის მე-2 მუხლი იძლევა ომის დროს დათქმების საშუალებას, რომლითაც ბრაზილია და ჩილე იყენებდნენ.

[79] 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით 25 სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება,. ტრინიდად და ტობაგოს თავდაპირველი შეერთება გაუქმდა 1998 წელს.

[80] იხ. დეტალურად Das interamerikanische System zum Schutz der Menschenrechte / The Inter-American System for the Protection of Human Rights, Juliane Kokott, 2011 Springer, Berlin.

[81] დამატებითი ოქმი ამ დრომდე რატიფიცირებულია 17 სახელმწიფოს მიერ.

[82] ამ დრომდე რატიფიცირებულია 13 სახელმწიფოს მიერ (2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით).

თავი 2. ძირითადი უფლებების არსი და კლასიფიკაცია

2.1. ძირითადი უფლებების ნიშნები

78 თანამედროვე თავისუფალი სამყარო მრავალფეროვანია განსხვავებული სისტემებითა თუ კონცეფციებით, თუმცა მისი ერთიანობა ეფუძნება საერთო ფუნდამენტური ღირებულებების აღიარებას. მათ შორის უზენაესი თავისუფალი და ღირსეული ადამიანია. დემოკრატიული ფასეულობათა წესრიგი ანთროპოცენტრული ხასიათისაა. ადამიანის ძირითადი უფლებები დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციის მატერიალურ საფუძველს ქმნის და სახელმწიფოში ინდივიდის მდგომარეობას განსაზღვრავს.[83]

79 ძირითადი უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს. ყურადღება მახვილდება მათ უმნიშვნელოვანეს ნიშნებზე,[84] რომლებიც ერთობლიობაში გვიქმნის წარმოდგენას ძირითადი უფლებების არსზე. ძირითადი უფლებები გათვალისწინებულია კონსტიტუციით, რაც განაპირობებს მათი გარანტირების უმაღლეს ხარისხს. ისინი ინდივიდისათვის აღმჭურველი, ხოლო სახელმწიფოსათვის - ამკრძალავი ან მავალდებულებელი ხასიათისაა და ზღუდავს მას, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. ძირითადი უფლებების დაცვა შესაძლებელია სასამართლო დაცვის საშუალებათა გამოყენებით. ისინი წინასახელმწიფოებრივია, ანუ სახელმწიფო ძირითად უფლებებს კი არ ქმნის და მიანიჭებს ადამიანებს, არამედ აღიარებს და იცავს მათ, როგორც ბუნებრივად არსებულ სავალდებულო მოცემულობას. ინდივიდს არ ევალება მის მიერ ამა თუ იმ ძირითადი უფლებით სარგებლობის გამართლება, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, კონსტიტუციურსამართლებრივად გაამართლოს ძირითადი უფლების შეზღუდვა, ხოლო ზოგიერთ უფლებაში ჩარევა მას სრულად ეკრძალება. სწორედ ის და არა კერძო პირები, არის ძირითადი უფლებების შინაარსიდან გამომდინარე მოთხოვნების ადრესატი.

2.2. სახელმწიფოს შეზღუდვა ძირითადი უფლებებით

2.2.1. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის მნიშვნელობა

80 ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებას სხვადასხვა

[83] Sachs (Bearb.), Vorbemerkungen zu Abschnitt I, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 16.

[84] დაწვრილებით იხ.: იზორია, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის კომენტარი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, 2015, 12; კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მე-5 გამოცემა, 2019, 41-42; Katz, Staatsrecht Grundkurs im öffentlichen Recht, 14., neubearbeitete Auflage, 1999, Rn. 545 ff.; Pieroth, Schlink, Grundrechte. Staatsrecht II, 28. Auflage, 2012, Rn. 43 ff.; Schmidt, Grundrechte sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde, 2015, Rn. 1.

სფეროებში.[85] საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“[86]

81 საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაში არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის მნიშვნელობაზე. ის ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემას ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემის საფუძვლად თვლის,[87] ხოლო ამ უფლებებით შეზღუდვას - ხელისუფლების ადამიანთან ურთიერობის შინაარსის განმსაზღვრელი ნორმა-პრინციპად.[88] ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს შებოჭვის გარეშე, მათ მხოლოდ დეკლარაციული დატვირთვა ექნებოდა, რაც სახელმწიფოს თვითნებური მოქმედებისა და უფლებათა იგნორირების უკიდეგანო შესაძლებლობას მისცემდა.[89]

2.2.2. სახელმწიფოს მზღუდავი უფლებების წრე

82 საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე,[90] სახელმწიფო და ხალხი, არა მხოლოდ უშუალოდ კონსტიტუციაში ასახული, არამედ საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებითაა შეზღუდული. უფლების საყოველთაო აღიარება გულისხმობს, რომ მასთან დაკავშირებით არსებობს „საერთაშორისო, საყოველთაო თანხმობა.“[91] ეს თანხმობა აისახება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. საერთაშორისო ხელშეკრულებაში შესაბამისი უფლების მკაფიო პოზიტივირება მისი სამართლებრივად სავალდებულო შინაარსის იდენტიფიცირების წინაპირობაა, რის გარეშეც უფლებით შეზღუდვა ვერ განხორციელდება.[92]

---

[85] მაგ.: Benda, Der soziale Rechtsstaat, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995, 719 (739); Denninger E., „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, in: Festschrift für Klaus Lüderssen, 2002, 41 (50); Karpen, Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, 1985, 20; Kloepfer, Verfassungsrecht, Grundlagen, Staatsorganisationsrecht, Bezüge zum Völker- und Europarecht, 2011, 300; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, 2015, 274; Mastronardi, Verfassungslehre. Allgemeines Staatsrecht als Lehre vom guten und gerechten Staat, 2007, 283 f.; Roellecke, Der Zustand des Rechtsstaates, in: Badura, Peter/Roellecke, Gerd (Mitarb.): Der Zustand des Rechtsstaates. Ein Cappenberger Gespräch, veranstaltet am 21. März 1986 in Speyer, 1986, 27 (32); Schnapp, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, in: Osteuropa, 47 (2001) 3, 171 (180); Stern, Der Rechtsstaat. Rektoratsrede, 1971, 16; Zippelius, Würtenberger, Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, 2008, 106.

[86] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები.

[87] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

[88] საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

[89] საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-5.

[90] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[91] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[92] Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band III – Allgemeine Lehren der Grundrechte, Halbband 1 – Grundlagen und Geschichte, nationaler und internationaler Grundrechtskonstitutionalismus, juristische Bedeutung der Grundrechte, Grundrechtsberechtigte, Grundrechtsverpflichtete, 1988, 1197 f.

83 სახელმწიფოს მზღუდავი უფლებების წრე გაფართოებადია, თუმცა კონსტიტუცია ამ პროცესს გარკვეულ ჩარჩოში აქცევს.[93] ის არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციის პრინციპებიდან.[94] შეუძლებელია კონსტიტუციური უფლების რანგი მიენიჭოს ნებისმიერ უფლებას, რომელსაც უბრალო შეხება აქვს რომელიმე კონსტიტუციურ პრინციპთან. უფლების კავშირი კონსტიტუციის პრინციპთან იმდენად ორგანული და მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ მისი გაუთვალისწინებლობა ხელყოფდეს შესაბამისი პრინციპის არსსა და ძირითად მოთხოვნებს.[95]

84 ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმები თავმოყრილია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში - „ადამიანის ძირითადი უფლებები". ამ თავში ნორმის განთავსება თავისთავად არ გულისხმობს რომ ის ძირითად უფლებას ადგენს, რომლის დაცვაც ინდივიდს სასამართლო წესით შეუძლია.[96] მე-2 თავში მრავლადაა ნორმები, რომლებიც სხვა საკითხებს აწესრიგებს - სახალხო დამცველი, სახელმწიფოს მიზნები და ა.შ.[97] ზოგიერთი კონსტიტუციური დანაწესი ძირითად უფლებებს შეეხება,[98] მაგრამ კონკრეტულ უფლებას არ განამტკიცებს - მაგალითად, კონსტიტუციის 34-ე მუხლი - „ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები". არის ისეთი ნორმებიც, რომლებიც ძირითად უფლებას უკავშირდება, თუმცა მისი შეზღუდვის შესაძლებლობასა და სტანდარტებს ადგენს.[99] ამდენად, მთავარია არა ნორმის ლოკაცია, არამედ შინაარსი, ანუ რამდენად ადგენს ის ამათუიმ უფლების არსსა და ფარგლებს, რომელთა იდენტიფიცირება და შესაბამისად, სამართლებრივი გზით დაცვა, შესაძლებელია მისი ინტერპრეტაციის საშუალებით.[100]

2.2.3. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატები

85 საქართველოს კონსტიტუცია ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ორ ადრესატს გამოჰყოფს - ხალხი და სახელმწიფო. ტერმინში „ხალხი" მოიაზრება არა ადამიანთა ნებისმიერი ერთობა, არამედ „სახელმწიფო ხალხი", რომელიც სახალხო სუვერენიტეტის მატარებელია, აქვს დამფუძნებელი ხელისუფლება და წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიული ლეგიტიმაციის ერთადერთ წყაროს.[101] ლოგიკურად, ძირითადი უფლებებით ის სუბიექტი უნდა იზღუდებოდეს, რომლისგანაც მოდის მათი დარღვევის საფრთხე. საქართველოს კონსტიტუციურსამართლებრივი სინამდვილის გათვალისწინებით, ხალხი ამგვარი საფრთხის წყარო არ არის.[102] ის ძალაუფლებას ახორციელებს პირდაპირ - რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების ან

[93] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 280.
[94] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება.
[95] დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 281 ff.
[96] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-19.
[97] დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 280 f.
[98] მსგავსი ნორმების შესახებ დაწვრილებით იხ. Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 67.
[99] იზორია, მე-7 მუხ., 13.
[100] შეადარე Katz, Staatsrecht, Rn. 570.
[101] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-4.
[102] დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 292 f.

არაპირდაპირ - თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. ძალაუფლების არაპირდაპირი განხორციელებისას საქმე შეეხება არა ხალხის, არამედ სახელმწიფოს შეზღუდვას ძირითადი უფლებებით. რაც შეეხება ძალაუფლების პირდაპირ განხორციელებას, კონსტიტუცია გამორიცხავს რეფერენდუმის გამართვას ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვას,[103] ხოლო არჩევნები საარჩევნო უფლების რეალიზაციის ფორმაა და არა უფლებათა შეზღუდვისა. აქედან გამომდინარე, ხალხის, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატის, მოხსენიებას კონსტიტუციაში უფრო სიმბოლური დატვირთვა აქვს.[104]

86 სახელმწიფო, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატი,[105] მოიცავს არა მხოლოდ იმ სუბიექტებს, რომლებიც ფორმალურად სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებია, არამედ მათაც, რომლებიც, მატერიალური თვალსაზრისით, ახორციელებენ სახელისუფლებო ფუნქციებს.[106] შეზღუდვას ექვემდებარება ნებისმიერი საქმიანობა, რაც შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების, საჯარო ფუნქციების განხორციელებად.[107] თუ სახელმწიფო ამ ფარგლებს მიღმა მოქმედებს, მისი საქმიანობა ძირითადი უფლებებით არ იზღუდება.[108] შეზღუდვას არ ექვემდებარება სხვა სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები,[109] თუმცა ძირითადი უფლებებითაა შებოჭილი შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლება სხვა სახელმწიფოთა სახელისუფლებო აქტების აღსრულებისას.[110]

87 ძირითადი უფლებები, გარკვეული თავისებურებებით, ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს. საკანონმდებლო ხელისუფლების[111] განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ძირითად უფლებებთან მიმართებით განაპირობებს მისი ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, კომპეტენცია და აქტების იურიდიული ძალა. შეზღუდულია არა მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობა, არამედ პარლამენტისა და მისი სტრუქტურების მიერ სხვა სახელისუფლებო ამოცანების განხორციელებაც.[112]

88

[103] საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[104] განსხვავებული პოზიცია იხ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 34.
[105] დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 293 ff.
[106] ძირითადი უფლებებით შეზღუდვის მასშტაბების განსაზღვრის ფორმალურ-ინსტიტუციურ და მატერიალურ-ფუნქციურ მეთოდზე დაწვრილებით იხ.: Dreier (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG (Grundrechtsbindung), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 53; Höfling W., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, in: Juristische Arbeitsblätter, 1995, 431 (432); Höfling (Bearb.), Kommentar zum Art.1 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 83; Schnapp Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, Juristische Schulung, 1 (1989), 1 (1 f.); Stern, Staatsrecht III/1, 1204.
[107] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.
[108] N1/466 გადაწყვეტილება, II-3.
[109] მაგალითად იხ. Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (433); Höfling, GG, Art. 1, Rn. 86.
[110] Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 43.
[111] საკანონმდებლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 296 ff.
[112] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 54 ff.; Herdegen M. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 93; Jarass, GG, Art. 1, Rn. 32; Starck C., Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 224, 226; Stern, Staatsrecht III/1, 1289.

აღმასრულებელი ხელისუფლება[113] ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ყველაზე მასშტაბური ადრესატია - მას მიაკუთვნებენ ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს, რომელიც არ შედის საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების შტოებში.[114] ეს მასშტაბურობა ართულებს მის საქმიანობაზე კონტროლს და ზრდის უფლებების დარღვევის რისკს. ძირითადი უფლებებით შებოჭილია ე.წ. „უშუალო საჯარო მმართველობა", ანუ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელება სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოების/თანამდებობის პირების მიერ.[115] რაც შეეხება ე.წ. „ირიბ საჯარო მმართველობას", რომელიც კერძო პირთა მიერ ხორციელდება,[116] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი „ადმინისტრაციული ორგანოს" ცნებაში მოიაზრებს კერძო პირებსაც, რომლებიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს.[117] საკონსტიტუციო სასამართლო სუბიექტს საჯარო დაწესებულებად თვლის, თუ ის კონსტიტუციით ან/და კანონით დადგენილი წესით ასრულებს სახელმწიფო ფუნქციებს, ან ახორციელებს საჯაროსამართლებრივ ან/და დელეგირებულ სახელმწიფო ფუნქციას.[118] აქედან გამომდინარე, „ირიბი საჯარო მმართველობა" ძირითადი უფლებებით იზღუდება.

89 სასამართლო ხელისუფლებაში,[119] როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატში, იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები.[120] საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, მოსამართლე ემორჩილება კონსტიტუციას,[121] რაც ძირითადი უფლებების დაცვისა და პატივისცემის ვალდებულებასაც მოიცავს.

2.2.4. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის შინაარსი

90 სახელმწიფო ძირითადი უფლებებით შეზღუდულია, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[122] მათი დამდგენი ნორმები კონსტიტუციის, სახელმწიფოს უზენაესი კანონის, განუყოფელი ნაწილია. ეს გარემოება ძირითად უფლებებს უმაღლეს იურიდიულ ძალას სძენს, რაც უშუალოდ მოქმედებს სახელმწიფო ხელისუფლებაზე და ზღუდავს მას. ისინი პირდაპირ მოქმედი, გამოყენებადი და რეალიზებადი სამართალია[123] და არა

[113] აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ლოლაძე ბ., აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა", 2018, გვ. 175-194; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 302 ff.

[114] შეადარე Stern, Staatsrecht III/1, 1322.

[115] იქვე, 1333.

[116] ირიბი საჯარო მმართველობის შესახებ დაწვრილებით იხ. იქვე, 1333 ff.

[117] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

[118] საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-9.

[119] სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ლოლაძე ბ., სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019, გვ. 522-536; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 305 ff.

[120] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[121] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

[122] დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 275 ff.

[123] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 32; Hofmann H. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, 2011, Rn. 72; Jarass, GG, Art. 1, Rn. 31.

დეკლარაციული დანაწესები, რომლებიც კანონმდებლის შეხედულებისამებრ იცვლის შინაარსსა და ფარგლებს.[124]

91 ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი არ ადგენს სახელმწიფოს ბოჭვის კონკრეტულ ფორმას[125] ან ცალკეული უფლებების დარღვევის კონსტიტუციურსამართ-ლებრივი შემოწმების მასშტაბებს.[126] შეზღუდვის ფორმა და მასშტაბი დადგენილია არა ზოგადად, არამედ დამოკიდებულია შესაბამისი უფლების შინაარსზე.[127] თავის მხრივ, უფლების შინაარსის განსაზღვრა მის სათანადო განმარტებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულია კონსტიტუციურ უფლებათა მთავარი ინტერპრე-ტატორის - საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს შეზღუდვის მასშტაბების განსაზღვრისათვის.[128]

92 ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმების ლაკონური შინაარსი იწვევს მათი კომპლექსური განმარტების აუცილებლობას.[129] ამ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა მოსწყდეს კონსტიტუციაში გამოხატულ ნებასა და სულისკვეთებას, რაც მას სამართალშემფარდებლიდან სამართალშემოქმედად გარდაქმნიდა. მან ისე უნდა განმარტოს ძირითადი უფლებები, რომ არ დაარღვიოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.[130] ამავდროულად, დაცულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია უფლებების მაქსიმალურად ფართო ინტერპრეტაცია.[131] ფორმალისტურმა მიდგომამ და გადამეტებულმა თავშეკავებამ შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ძირითადი უფლებების პატივისცემისა და დაცვის ინტერესები. მაგალითად, ეყრდნობოდა რა კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ვიწრო-გრამატიკულ განმარტებას, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა იმ კონსტიტუციური სარჩელების არსებით განხილვაზე, რომლებშიც მოსარჩელეები დავობდნენ კონსტიტუციაში პირდაპირ გაუწერელი ნიშნების მიხედვით დისკრიმინაციაზე.[132] ეს მიდგომა აშკარად ამცრობდა აღნიშნული უფლების მნიშვნელობას და სპობდა მისი სასამართლო დაცვის შესაძლებლობას, თუ უთანასწორო მოპყრობა კონსტიტუციაში პირდაპირ მითითებული რომელიმე ნიშნის მიხედვით არ ხორციელდებოდა. მოგვიანებით ეს შეცდომა გამოსწორდა და საკონსტიტუციო

[124] შეადარე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 34.
[125] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 276.
[126] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-5.
[127] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 34; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 10; Stern, Staatsrecht III/1, 1202.
[128] დაწვრილებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 285 ff.
[129] Stern, Verfassungsrechtliche wider „ideologische“ Deutung der Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, 1992, 234 (252).
[130] მაგ. Simon H., Verfassungsgerichtsbarkeit, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1637 (1670).
[131] შეადარე მაგ. Starck, GG, Art. 1, Rn. 155.
[132] საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის N2/8/157 განჩინება საქმეზე „მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის N1/5/362-363, 367 განჩინება საქმეზე „დავით მირცხულავა (362-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), გიორგი კუპრეიშვილი (363-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), შალვა და ვლადიმერ დოლიძეები (367-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით) საქართველოს წინააღმდეგ“; საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის N2/10/383 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქლაქეები - ნორად ცოტნიაშვილი, ბადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფნიანი, დიმიტრი გოგოლაძე, ჯარიბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სასამართლომ განაცხადა, რომ კანონის წინაშე თანასწორობის ნორმა-პრინციპის მიზანი გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე კონსტიტუციაში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა, ხოლო ვიწრო-გრამატიკული განმარტება კი აკნინებდა მის მნიშვნელობას.[133]

93 ძირითადი უფლებებით შეზღუდვის შინაარსი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება იმის მიხედვით, თუ ხელისუფლების რომელ შტოს შეეხება საქმე. საკანონმდებლო ხელისუფლებას შეიძლება ეკრძალებოდეს კანონის მიღება, ან პირიქით - ევალებოდეს ეს. მისი ვალდებულების ხასიათი დამოკიდებულია კონკრეტული ძირითადი უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე.[134] კანონმდებელი ძირითადი უფლებებით შეზღუდულია არა მხოლოდ საჯაროსამართლებრივი, არამედ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონების მიღებისას, თუმცა კერძოსამართლებრივ სფეროში ის შედარებით თავისუფალია.[135] კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კერძო ინიციატივასა და ავტონომიას, თუმცა ეს არ ათავისუფლებს საკანონმდებლო ხელისუფლებას კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით ბოჭვისაგან და შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლისაგან.[136]

94 აღმასრულებელი ხელისუფლება, კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონითაა შებოჭილი, მაგრამ თუ კანონმდებელი ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ რომელიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით პასიურობს, მან უშუალოდ კონსტიტუციის მიხედვით უნდა იმოქმედოს.[137] შინაარსობრივი თვალსაზრისით, ძირითადი უფლებებით აღმასრულებელი ხელისუფლების ბოჭვა, კონკრეტული უფლებიდან გამომდინარე, თავშეკავებას ან აქტიურ მოქმედებას მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი საქმიანობის არსი და პროცესი ძირითადი უფლებებით განისაზღვრება და იმართება.[138] ძირითადი უფლებებით შეზღუდვა შეეხება იმ ე.წ. „განსაკუთრებულ სახელისუფლებო ურთიერთობებსაც“, რაც სამხედრო მოსამსახურეებს, მსჯავრდებულებსა და სხვა რამდენიმე კატეგორიის პირებს აქვთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.[139] ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ამ ურთიერთობებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, a priori ახასიათებს რომელიმე ძირითადი უფლების ან უფლებების განხორციელების შეუძლებლობა ან შეზღუდვის გარკვეული ხარისხი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არ წაეყენება ისეთი მკაცრი მოთხოვნები, რაც „განსაკუთრებულ სახელისუფლებო ურთიერთობებს“ აზრს დაუკარგავდა და უფუნქციოდ დატოვებდა.[140]

---

[133] N2/1-392 გადაწყვეტილება, II-2.

[134] შეადარე Kahl W., Grundrechte, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, 2010, 807 (808).

[135] მაგალითად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე „სს “სილქ როუდ ბანკი” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-26.

[136] საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

[137] Stern, Staatsrecht III/1, 1344.

[138] იქვე, 1343.

[139] Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, 1968, 201 (230); Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 64; Hofmann, GG, Art. 1, Rn. 74; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (435); Schnapp, Grundrechtsbindung, 1 (6).

[140] Stern, Staatsrecht III/1, 1376.

სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვას ძირითადი უფლებებით ბიპოლარული ხასიათი აქვს. სასამართლო, ერთი მხრივ, აკონტროლებს ხელისუფლების სხვა შტოების მიერ ძირითადი უფლებების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ - თავადაა შებოჭილი ამ უფლებებით.[141] ის იცავს ძირითად უფლებებს როგორც პროცესუალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით,[142] არა მხოლოდ საჯაროსამართლებრივი, არამედ კერძოსამართლებრივი საქმეების განხილვისას.[143] ამასთან, კერძოსამართლებრივ სფეროში ძირითადი უფლებების გავლენას უფრო დელიკატური და ფრთხილი ხასიათი აქვს.[144] სასამართლოს მიერ ნორმების ინტერპრეტაციამ დავის ერთ მხარეს არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა მეორე მხარის კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე.[145] მას არა მხოლოდ მხარეთა შორის ბალანსის დაცვა, არამედ იმ პოტენციური ზიანის პროგნოზირებაც მოეთხოვება, რომელიც მისი გადაწყვეტილებით შეიძლება მიადგეს რომელიმე ძირითადი უფლების რეალიზებას.[146] ნორმის განმარტების რამდენიმე ვარიანტის არსებობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეარჩიოს ძირითადი უფლების შესაბამისი ინტერპრეტაცია.[147] სასამართლოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, როდესაც ის აღჭურვილია რომელიმე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებით. ამ დროს ის გვევლინება ამ უფლების დაცვის გარანტად,[148] რადგანაც მისი უშუალო ჩართულობა ამცირებს თვითნებობის რისკს სახელმწიფო ხელისუფლების ან სხვა სუბიექტების მხრიდან.[149] 95

2.3 ძირითადი უფლებების სუბიექტური ფუნქცია

ისტორიულად ძირითადი უფლებები ჩამოყალიბდა, როგორც ინდივიდის სახელმწიფოსაგან დამცავი უფლებები.[150] ისინი, როგორც უშუალოდ მოქმედი ობიექტური უფლებები, განამტკიცებენ ცალკეული სუბიექტების კონსტიტუციურ-სამართლებრივ პოზიციებს.[151] სახელმწიფოს ეკისრება ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულება, 96

[141] Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (436); Höfling, GG, Art. 1, Rn. 105; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 62; Schnapp, Grundrechtsbindung, 1 (6).

[142] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 81; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (436); Höfling, GG, Art. 1, Rn. 106; Kunig, GG, Art. 1, Rn. 62; Schnapp, Grundrechtsbindung, 1 (6 f.); Starck, GG, Art. 1, Rn. 239; Stern, Staatsrecht III/1, 1429 ff.

[143] Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 98; Hofmann, GG, Art. 1, Rn. 73; Jarass, GG, Art. 1, Rn. 34; Leibholz G., Rinck H.-J., Hesselberger D., Kommentar zum Art. 1 GG, in: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band I, 6. Auflage, 1975/1989, Rn. 80; Schnapp, Grundrechtsbindung, 1 (7 f.); BVerfG 52, 203 (207).

[144] Stern, Staatsrecht III/1, 1445.

[145] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-46, 82.

[146] იქვე, II-61.

[147] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 84; Starck, GG, Art. 1, Rn. 331.

[148] საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

[149] საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-205.

[150] მაგალითად იხ. Schmidt, Grundrechte, Rn. 10.

[151] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 35; Hofmann, GG, Art. 1, Rn. 72; Jarass, GG, Art. 1, Rn. 31; Kahl, Grundrechte, 807 (812); Leibholz/Rinck /Hesselberger, GG, Art. 1, Rn. 73.

ხოლო ინდივიდს კი ეძლევა შესაძლებლობა, რომ აღადგინოს თავისი დარღვეული უფლება ან თავიდან აიცილოს მისი ხელყოფა.[152]

97 უფლებების ასახვა კონსტიტუციის ტექსტში ავტომატურად არ გულისხმობს მათთვის სუბიექტური უფლებების სტატუსის მინიჭებას. ისტორიას ახსოვს კონსტიტუციები, რომლებიც უფლებათა ვრცელ კატალოგებს შეიცავდა, თუმცა ინდივიდი დიდწილად ან სრულად იყო მოკლებული მათი დაცვის რეალურ შესაძლებლობას. ძირითადი უფლებების, როგორც სუბიექტურსამართლებრივი პოზიციების, რეალიზაციას უზრუნველყოფს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი და მათი სასამართლოს გზით, განსაკუთრებით კი - საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მეშვეობით დაცვის უფლება.[153]

98 დამცავი ნორმების შესახებ მოძღვრების[154] მიხედვით, თითოეული სუბიექტური საჯარო უფლების საფუძველია ობიექტური, სახელმწიფო ხელისუფლების მავალდებულებელი სამართლებრივი ნორმა, რომელიც, სულ მცირე, მიზნად უნდა ისახავდეს ინდივიდუალური ინტერესების დაცვას და მასზე დაყრდნობა შეეძლოს დაინტერესებულ პირს.[155] აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ კონსტიტუციური დანაწესის ძირითადი სუბიექტური უფლების დამდგენ ნორმად მიჩნევისას მთავარ როლს ასრულებს მისი შინაარსი, საიდანაც იკვეთება მისი მიზანი, სახელმწიფოსათვის დაკისრებული ვალდებულების არსი და შესაბამისი უფლების სამართლებრივი გზით დაცვის შესაძლებლობა.

99 ძირითადი უფლებების სუბიექტური ფუნქციის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გეორგ ელინეკის მიერ განვითარებულ „მოძღვრებას სტატუსის შესახებ“.[156] მან, ინდივიდისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის კონტექსტში, ლათინური ტერმინებით აღნიშნა ძირითადი უფლებების შემდეგი კლასიკური ფუნქციები: (1) Status negativus, (2) Status positivus და (3) Status activus.[157] თითოეული „სტატუსი“ აღწერს ინდივიდის გარკვეულ სამართლებრივ მდგომარეობას სახელმწიფოსთან ურთიერთობებში, რაც გამოიხატება და განმტკიცებულია სხვადასხვა ძირითად უფლებებში.

100 Status negativus გულისხმობს ინდივიდის სახელმწიფოსაგან, მისი ჩარევისაგან თავისუფალ მდგომარეობას. ამ „სტატუსის“ გარანტირებაში გამოიხატება ძირითადი უფლებების ნეგატორული, თავდაცვითი ფუნქცია. თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებებით გარანტირებული თავისუფლებები ან სამართლებრივი სიკეთეები იცავენ პირს, მისი თავისუფლების სხვადასხვა სფეროებს სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვისა და ხელყოფისაგან.[158] ისინი ადგენენ სახელმწიფოს მოქმედების ზღვარს და განამტკიცებენ პირის სუბიექტურ-საჯარო უფლებებს, რომელთა დაცვა შესაძლებელია სასამართლოს საშუალებით. ინდივიდს შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფოს მოქმედების აღკვეთა ან თავის შეკავება შესაძლო ჩარევებისაგან. თავდაცვით ფუნქციასა

[152] მაგალითად შეადარე Höfling, GG, Art. 1, Rn. 82.
[153] შეადარე Stern, Staatsrecht III/1, 1200 f.
[154] განავითარა გერმანელმა მეცნიერმა ოტმარ ბიულერმა 1914 წელს გამოცემულ ნაშრომში „სუბიექტური საჯარო უფლებები და მათი დაცვა გერმანულ ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში“.
[155] Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 39.
[156] ცნობილმა ავსტრიელმა პოზიტივისტმა გ. ელინეკმა ე.წ. „მოძღვრება სტატუსის შესახებ“ (Statuslehre) განავითარა 1892 წელს გამოცემულ ნაშრომში „სუბიექტური საჯარო უფლებების სისტემა“.
[157] ძირითადი უფლებების კლასიკურ ფუნქციებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: იზორია, მე-7 მუხ., 14-15; Katz, Staatsrecht, Rn. 572 ff.; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 75ff.; Schmidt, Grundrechte, Rn. 10 ff.
[158] შეადარე მაგ. Katz, Staatsrecht, Rn. 554.

და სახელმწიფოსაგან თავისუფალი კერძო სფეროს უზრუნველყოფას ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს ძირითადი უფლებების ლიბერალური თეორია.[159]

101 Status positivus ასახავს მდგომარეობას, როდესაც ინდივიდს არ შეუძლია თავისუფლების რეალიზება და შენარჩუნება სახელმწიფოს გარეშე. ამ კონტექსტში, ძირითადი უფლებები ასრულებს მფარველობით ფუნქციას, აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს და მისგან მოქმედებას მოითხოვს. მფარველობითი უფლებები, განსხვავებით თავდაცვითი უფლებებისაგან, პირდაპირ აღსრულებადი არ არის და საჭიროებს კანონმდებლის მიერ კონკრეტიზაციასა და აქტუალიზაციას. მფარველობითი ფუნქცია განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული სოციალურ უფლებებში. მას ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს ძირითადი უფლებების სოციალურსახელმწიფოებრივი თეორია.[160]

102 Status activus არის ინდივიდის მდგომარეობა, როდესაც ის თავის თავისუფლებას ახორციელებს სახელმწიფოში და სახელმწიფოსათვის, რაც გამოიხატება სახელმწიფოებრივი ნების ჩამოყალიბებაში, თანამონაწილეობაში. ამ მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის ძირითადი უფლებები ასრულებს თანამონაწილეობით ფუნქციას. მის რეალიზებას ემსახურება სამოქალაქო (პოლიტიკური) უფლებები. თანამონაწილეობითი ფუნქცია ამოსავალი წერტილია ძირითადი უფლებების დემოკრატიულ-ფუნქციონალური თეორიისათვის.[161]

2.4. ძირითადი უფლებების ობიექტური ფუნქცია

103 ძირითადი უფლებების თანამედროვე გაგება სცდება მათი, როგორც სუბიექტური უფლებების ფარგლებს. კონსტიტუცია არა ნორმათა უბრალო ერთობლიობაა, არამედ - ფუნდამენტური ღირებულებების სისტემა. ძირითადი უფლებები - ამ სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტები, ასრულებენ ობიექტურ ფუნქციას[162] და ზღუდავენ სახელმწიფოს, როგორც ობიექტური ფასეულობები.[163] ისინი სახელმწიფოს უსახავენ ღირებულებით ორიენტირებს და ძირითად მიმართულებებს.[164] ხელისუფლება ვალდებულია, გაითვალისწინოს ძირითადი უფლებების ობიექტური მნიშვნელობა

[159] დაწვრილებით იხ. იქვე, Rn. 560, 573.
[160] დაწვრილებით იხ. Katz, Staatsrecht, Rn. 562.
[161] დაწვრილებით იხ. იქვე, Rn. 561.
[162] ძირითადი უფლებების ობიექტურსამართლებრივ ფუნქციასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: იზორია, მე-7 მუხ., 15-16; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn.91 ff.; Schmidt, Grundrechte, Rn. 21 ff.
[163] Hesse, Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995, 127 (134); Stern, Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, 1992, 1036 (1057); Stern K., Grundgesetz in Gefahr? – Verfassungsproblemme nach 25 Jahren Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, 1992, 38 (42).
[164] მაგალითად იხ.: Alexy, Grundrechte als subjektive Rechte und als objektive Normen, Der Staat 29 (1990), 49 (49); Stern, Staatsrecht III/1, 1366.

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას,[165] სამართალშემოქმედების თუ სამართალშეფარდების პროცესში.[166]

104 ძირითადი უფლებების გაგების გაფართოებას უკავშირებენ ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოდ ტრანსფორმაციას. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ინდივიდის თავისუფლება აღიქმებოდა, როგორც ავტონომიური სუბიექტის თავისუფლება სახელმწიფოსაგან, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითადი ფუნქცია იყო შიდა და გარე საფრთხეებისაგან დაცვა. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ადამიანის თავისუფლება დამოკიდებულია წინაპირობებზე, რომელთა უზრუნველყოფა ზოგჯერ მის შესაძლებლობებს აღემატება. პოზიცია, რომ ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფო შეძლებისდაგვარად ნაკლებად უნდა ერეოდეს ადამიანის თავისუფლებაში განავცრო იდეამ, რომ სოციალურმა სამართლებრივმა სახელმწიფომ უნდა შექმნას და განამტკიცოს თავისუფლების წინაპირობები.[167]

105 ძირითადი უფლებების ობიექტური ფუნქცია ფართოდაა აღიარებული სასამართლო პრაქტიკაში. ამ კუთხით, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. „ლიუთის გადაწყვეტილებას“. სასამართლო აცხადებს, რომ ძირითადი უფლებების დამდგენ კონსტიტუციურ ნორმებში განსხეულებულია ღირებულებათა ობიექტური წესრიგი. ის მოქმედებს სამართლის ყველა სფეროში, როგორც ფუძემდებლური კონსტიტუციურსამართლებრივი გადაწყვეტილება.[168] აღსანიშნავია, რომ ამ კონცეფციას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც ძირითადი უფლებების დამახასიათებელ უმთავრეს ნიშნად მათ ორმაგ ფუნქციას მიიჩნევს - „კერძოდ, ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ სუბიექტურ უფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნიან ღირებულებათა კონსტიტუციურ წესრიგს.“[169]

106 ძირითადი უფლებების ობიექტური ფუნქცია მკვეთრად გამოიხატება სახელმწიფო დაცვის ვალდებულებების კონტექსტში.[170] ამ ვალდებულებათა არსის სწორად გაგებისათვის, მნიშვნელოვანია მათი გამიჯვნა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებისაგან. „პოზიტიური ვალდებულება“ ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ყველა შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს, მათ შორის სოციალური უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნების გამო. „დაცვის ვალდებულება“ ეფუძნება თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებების ობიექტურ მნიშვნელობას და ავალდებულებს სახელმწიფოს მათი, როგორც ობიექტური ღირებულებების დაცვას.[171] სახელმწიფო, პირველ რიგში, ვალდებულია დაიცვას ამ უფლებებით გარანტირებული სიკეთეები (ღირსება, სიცოცხლე, საკუთრება და ა.შ.) საფრთხეებისაგან. ამ საფრთხეთა წყარო შეიძლება იყოს თავად ინდივიდი (საკუთარი თავის წინააღმდეგ), მესამე პირი, სხვა

[165] Schmidt, Grundrechte, Rn. 21.
[166] Katz, Staatsrecht, Rn. 555.
[167] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 95.
[168] BVerfGE 7, 198 (198).
[169] საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.
[170] Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (149); Kahl, Grundrechte, 807 (817).
[171] შეადარე: ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულება და კანონი, 1 (32), 2012, 46 (49).

სახელმწიფო, ბუნებრივი კატასტროფა, ტექნოგენური ზემოქმედება, ეპიდემია და ა.შ.[172] გარდა ამისა, სახელმწიფო დაცვის ვალდებულება შეიძლება გამოიხატოს ინდივიდუალური თავისუფლების ხელშეწყობისა და გარანტირებისათვის შექმნილ ინსტიტუტებსა და სისტემებზე ინდივიდის თანაბარ ხელმისაწვდომობასა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფაშიც.[173] დაცვის ვალდებულებების შესრულებისას სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი აქვს. მან უფლებების დასაცავად უნდა იმოქმედოს, როდესაც: (1) არსებობს რისკი, რომ საფრთხე გადაიზრდება ძირითადი უფლების გამოუსწორებელ დარღვევაში; 2) მოვლენათა განვითარება, რაც საფრთხის დარღვევაში გადაზრდის რისკს ქმნის, უკონტროლოა ან 3) კერძო პირთა შორის კონფლიქტი, სადაც ძირითადი უფლებები შეიძლება დაირღვეს, ავტონომიურად რეგულირებადი არ არის.[174] სახელმწიფო დაცვის ვალდებულება ირღვევა, როდესაც სახელმწიფო უმოქმედოდაა, ან მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები აშკარად გამოუსადეგარი ან არაადეკვატურია.[175]

107 ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძირითადი უფლებები ახორციელებენ ირიბ ზემოქმედებას სამართლის ყველა დარგზე, კერძო სამართლის ჩათვლით. ისინი მოქმედებენ არა მხოლოდ ვერტიკალურად - ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებზე, არამედ ჰორიზონტალურად - კერძო პირთა შორის ურთიერთობებზე.[176] ძირითადი უფლებების ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მიმდინარე სამართლის ძირითადი უფლებების შესაბამისად განმარტების პრინციპში.[177] დაუშვებელია აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების მიერ სამართლის ნორმების ინტერპრეტაცია ძირითადი უფლებების საწინააღმდეგოდ ან მათი მნიშვნელობის იგნორირებით.

108 ზოგიერთი ძირითადი უფლება, ობიექტური თვალსაზრისით, შეიცავს ინსტიტუტის (კერძოსამართლებრივ) ან ინსტიტუციურ (საჯაროსამართლებრივ) გარანტიას.[178] ინსტიტუტის გარანტიაში იგულისხმება კერძოსამართლებრივი ინსტიტუტის (მაგალითად, საკუთრების ინსტიტუტი[179]) განმტკიცება. ინსტიტუციური გარანტია იცავს საჯაროსამართლებრივ ინსტიტუტს (მაგალითად, საჯარო სამსახურის ინსტიტუტი). ეს ინსტიტუტები კონსტიტუციური წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილებია, მათი უზრუნველყოფა განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს წარმოადგენს. შესაბამისი ინსტიტუტი დაცულია სრული გაუქმებისაგან ან არსობრივი გამოფიტვისაგან, რაც არ მოიცავს მისი ცალკეული, მეორეხარისხოვანი დეტალების გარანტირებას. კერძო პირი სამართლებრივი გზით ვერ დაიცავს ცალკე აღებულ ინსტიტუტის/ინსტიტუციურ გარანტიას, მაგრამ შესაძლებელია მასზე აპელირება შესაბამისი ძირითადი უფლების

[172] დაწვრილებით იხ.: ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, 46 (47); Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 110 ff.; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 37 f.; Schmidt, Grundrechte, Rn. 22.

[173] თანამონაწილეობის საშუალებით ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: Katz, Staatsrecht, Rn. 580 ff.; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 104 ff.

[174] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 114.

[175] Katz, Staatsrecht, Rn. 575; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 113; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 36.

[176] მაგალითად იხ.: იზორია, მე-7 მუხ., 18-19; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 36; ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, 46 (46); Schmidt, Grundrechte, Rn. 24.; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 52 ff.; BVerfGE 5, 85 (204 f.); 6, 55 (72); 7, 198 (204 f.); 21, 362 (371 f.); 49, 89 (141 f.).

[177] შეადარე მაგ.: Katz, Staatsrecht, Rn. 574; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 101; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 32; Schmidt, Grundrechte, Rn. 31 ff.

[178] მაგალითად იხ.: Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 18; Katz, Staatsrecht, Rn. 576 ff.; Schmidt, Grundrechte, Rn. 26 ff.

[179] მაგალითად იხ. N3/4/550 გადაწყვეტილება, II-1.

დაცვის კონტექსტში. ამდენად, ინსტიტუტის/ინსტიტუციურ გარანტიას აქვს ძირითადი უფლების დაცვის გაძლიერების ფუნქცია.

109 ძირითადი უფლებების ობიექტურ ფუნქციას უკავშირდება მათი დაცვა ორგანიზაციული და საპროცესო გარანტიების საშუალებით.[180] ერთი მხრივ, რიგი ძირითადი უფლებების რეალიზაცია საჭიროებს ორგანიზაციულ და საპროცესო უზრუნველყოფას, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი უფლებები ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციისა და საპროცესო სამართალზე. ორგანიზაციული გარანტიები განსაკუთრებით იმ შემთხვევებშია რელევანტური, როდესაც სახელმწიფოს ფაქტობრივი ან სამართლებრივი მონოპოლია აქვს (მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლების საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის). საპროცესო გარანტიები, უპირველეს ყოვლისა, საპროცესო ძირითად უფლებების საშუალებით ხორციელდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი გამოჰყავთ მატერიალური ძირითადი უფლებიდან (მაგალითად, საკუთრების უფლება მოითხოვს მასში ჩარევისას ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას[181]).

110 მიუხედავად ძირითადი უფლებების დიდი ობიექტური დატვირთვისა, პრიორიტეტი მაინც მათ სუბიექტურსამართლებრივ მხარეს ენიჭება.[182] ობიექტური მნიშვნელობის როლი გამოიხატება ძირითადი უფლებების თავდაცვითი ხასიათის, სავალდებულო ძალის, მდგრადობისა და ინტენსივობის პრინციპულ გაძლიერებაში.[183] კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგის მთავარი მიზანი ადამიანის, მისი ღირსებისა და თავისუფლების უზრუნველყოფაა, ხოლო ძირითადი უფლებების სუბიექტური და ობიექტური ფუნქციები მის მისაღწევად მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს.[184]

2.5. ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია

111 საქართველოს კონსტიტუცია არ ჰყოფს ძირითად უფლებებს ჯგუფებად, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება.[185] ძირითადი უფლებების სრულყოფილი დაჯგუფება პრობლემური ამოცანაა, რადგანაც ხშირად ერთი და იგივე უფლება მრავალფეროვან და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს.[186]

112 ჩვენ მიერ ზემოთ განხილული „მოძღვრება სტატუსის შესახებ“ იძლევა ძირითადი უფლებების სამ ჯგუფად დაყოფის საშუალებას: 1) თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებები (Status negativus); 2) თანამონაწილეობითი (სამოქალაქო, პოლიტიკური)

---

[180] დაწვრილებით იხ.: Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 20; Katz, Staatsrecht, Rn. 555, 583 f.; Sachs, Vorbemerkungen, Rn. 34; Schmidt, Grundrechte, Rn. 36 ff.

[181] BVerfGE 46, 325 (334).

[182] მაგალითად იხ.: Alexy, Grundrechte, 49 (60 f.); Böckenförde E.-W., Schutzbereich, Eingriff, verfassungsimmanente Schranken, Der Staat 42 (2003), 165 (166); Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (136); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 279 f.; Starck, GG, Art. 1, Rn. 171, 181; BVerfGE 50, 290 (337).

[183] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 35; Forsthoff E., Zur Problematik der Verfassungsauslegung, 1961, 20; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 14; Katz, Staatsrecht, Rn. 575; BVerfGE 7, 198 (205).

[184] Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (136); შეადარე ასევე Katz, Staatsrecht, Rn. 586.

[185] ძირითადი უფლებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 42-45; Katz, Staatsrecht, Rn. 587 ff.

[186] Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 24.

უფლებები (Status activus) და 3) მფარველობითი (სოციალური) უფლებები (Status positivus). ეს კლასიფიკაცია ტრადიციული ხასიათისაა და ძირითადი უფლებების ფუნქციებს ეფუძნება.

113 თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებები იცავს ინდივიდს ხელისუფლებისაგან და მას სახელმწიფოსაგან თავისუფალ სამოქმედო და თვითგამორკვევის სივრცეებს ანიჭებს.[187] მათ სუბიექტებს შეუძლიათ მოთხოვონ სახელმწიფოსაგან უფლებაში სამომავლო ჩარევისაგან თავის შეკავება, მიმდინარე ჩარევის შეწყვეტა ან განხორციელებული ჩარევის შედეგების აღმოფხვრა. ამდენად, თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებები სახელმწიფოს ძირითადად ნეგატიურ ვალდებულებებს აკისრებს. ამ ჯგუფს განეკუთვნება ღირსების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, სიცოცხლისა და სხვა უფლებები.

114 თანამონაწილეობითი (სამოქალაქო, პოლიტიკური) უფლებები ინდივიდს აძლევს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში ამათუიმ ფორმით მონაწილეობის შესაძლებლობას. ამ ჯგუფს განეკუთვნება მაგალითად საარჩევნო უფლება. თანამონაწილეობითი უფლებების სუბიექტები მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. ზოგჯერ მოქალაქეობა საკმარისი არ არის და აუცილებელია დამატებითი კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობების დაკავება დაუშვებელია საქართველოს იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებიც არიან.[188]

115 მფარველობითი (სოციალური) უფლებები სახელმწიფოს ძირითადად პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს, რაც გამოიხატება ინდივიდის ინტერესებისათვის სახელმწიფოს მიერ გარკვეული მოქმედებების განხორციელებაში. უფლებათა ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ შრომის, განათლებისა და სხვა უფლებები.

116 ტრადიციულად ითვლება ასევე ძირითადი უფლებების დაყოფა დაცული სამართლებრივი სიკეთის მიხედვით თავისუფლების, თანასწორობისა და საპროცესო უფლებებად. თავისუფლების უფლებები უზრუნველყოფს ამათუიმ სფეროში ინდივიდის თავისუფალ მოქმედებას. ეს უფლებები იყოფა ინდივიდუალურ-პერსონალურ (მაგალითად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და ინდივიდუალურ-საკომუნიკაციო (მაგალითად, აზრის თავისუფლება) უფლებებად. თანასწორობის უფლებები განამტკიცებს ინდივიდებისადმი თანასწორ მოპყრობას სახელმწიფოს მხრიდან. განასხვავებენ თანასწორობის ზოგად უფლებას და თანასწორობის სპეციალურ უფლებებს (მაგალითად, თანასწორი საარჩევნო უფლება). საპროცესო უფლებები უზრუნველყოფს სამართლებრივსახელმწიფოებრივი სტანდარტების დაცვას სამართალწარმოების სხვადასხვა ფორმის ფარგლებში.

117 სუბიექტების მიხედვით ძირითადი უფლებები იყოფა ადამიანის უფლებებად და მოქალაქის უფლებებად.[189] ადამიანის უფლებების სუბიექტთა წრე შეზღუდული არ არის, ანუ მათი მატარებელი ყველა ადამიანია,[190] ხოლო მოქალაქის უფლებების სუბიექტები

[187] შეადარე: Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 43.
[188] საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[189] მაგალითად იხ. Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 25.
[190] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 121.

მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. ამათუიმ უფლების მიკუთვნება ერთი ან მეორე ჯგუფისათვის საკმაოდ მარტივია, რადგანაც კონსტიტუციის ტექსტი მკაფიო წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ როგორია შესაბამისი უფლების მქონე ფიზიკური პირების წრე. მაგალითად, რწმენის თავისუფლება ადამიანის უფლებაა, რადგანაც ის აქვს „ყოველ ადამიანს“,[191] ხოლო პოლიტიკური პარტიების თავისუფლება - მოქალაქის უფლებაა, რადგანაც პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ „საქართველოს მოქალაქეებს“.[192]

[191] საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.
[192] საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

თავი 3. ძირითადი უფლებების განმარტების მეთოდები და მათი სტრუქტურა

3.1 ადამიანის ძირითად უფლებათა მათი განმარტების მეთოდები

ტერმინი „კონსტიტუციის ინტერპრეტაცია“ გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, კონსტიტუციის ტექსტი, მისი აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხიდან
გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებს განმარტებას, მაშინაც კი როდესაც ის 118
აშკარა და ნათელია, ხოლო, ვიწრო გაგებით, კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციის ტექსტი მაშინ უნდა განიმარტოს, როდესაც იგი ბუნდოვანია. ძირითად უფლებათა ინტერპრეტაციას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა განვითარების თვალსაზრისით. იმ საფუძვლით, რომ განმარტება ხელს უწყობს დაუწერელი, მაგრამ კონსტიტუციის შინაარსიდან გამომდინარე უფლებების აღმოჩენას ან პირდაპირ უკვე გაწერილი ძირითადი უფლებებისათვის ახალი შინაარსის მინიჭებას შესაძლებელს ხდის.

კონსტიტუციის ნორმები, მათ შორის, ძირითადი უფლებები, გადმოცემის აბსტრაქტული 119
მანერით გამოირჩევა. შესაბამისად, მისი შინაარსის, დაცული სფეროსა და შეზღუდვის ზუსტი დადგენა ხშირად სირთულებთანაა დაკავშირებული. კონსტიტუციით გადმოცემული ყოველი სიტყვა სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგისათვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომ კონსტიტუციის ყოველი მუხლი, პუნქტი, წინადადება, თუ სიტყვა დეტალურ განმარტებას მოითხოვს. ამისათვის სამართალში ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. კანონის ნორმათა განმარტების კლასიკური მეთოდების გარდა,[193] კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტირებისათვის განმარტების სპეციალური მეთოდებიც გამოიყენება.

მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში ძირითად უფლებათა განმარტების 120
რამდენიმე მეთოდი არსებობს. ნორმათა ინტერპრეტაციის მცდელობა არის არა მხოლოდ წმინდა სამართლებრივი ტექნიკა, არამედ იგი მთლიანად სამართლის პოლიტიკას ეფუძნება. ის, თუ რომელი ინტერპრეტაციის მეთოდს ეყრდნობა ნორმის განმარტება, უდიდესს ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სამართლებრივ პოლიტიკაზე, რადგან თვით ძირითად უფლებათა გააზრება სამ თეორიას ეყრდნობა[194] და მათი ინტერპრეტაციაც, შესაბამისად, ამ თეორიებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. ლიბერალური თეორია ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ნაკლებ, მინიმალურ ჩარევას გულისხმობს. იგი ხაზს უსვამს პიროვნების განვითარების თავისუფლებას სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად და უგულებელყოფს ძირითად უფლებათა სოციალურ ხასიათს. დემოკრატიულ-ფუნქციური თეორიის თანახმად, ძირითადი უფლების არსი ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ პროცესებში იკვეთება და საჯაროობის ინტერესებს ეყრდნობა, სახელმწიფოს კი ამგვარი უფლებების გარანტირების პოზიტიურ ვალდებულებას ანიჭებს. სოციალური თეორია მიიჩნევს, რომ

[193] ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 148-163; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 58-76.
[194] დეტალურად იხ. Katz, Staatsrecht., S. 270/273; Boeckenfoerder, NJW. 1974, 1529.

სახელმწიფომ სოციალური სამართლიანობა უნდა უზრუნველყოს, რადგან სხვაგვარად ადამიანის არცერთი სხვა უფლება თავისუფლად ვერ განვითარდება. იმის მიხედვით, თუ რომელ დასახელებულ თეორიას (ან თეორიებს) ეყრდნობა ძირითად უფლებათა ინტერპრეტაცია, სახელმწიფოში იქმნება სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური წესრიგი.

121 კონსტიტუციის ნორმა შეიძლება განიმარტოს სუბიექტური და ობიექტური თვალსაზ-რისით.[195] სუბიექტური განმარტების მიხედვით, კონსტიტუციის ნორმა განიმარტება ისე, როგორც ეს კანონმდებელმა მისი შექმნის დროს განსაზღვრა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ რა პრინციპული მოსაზრებების გამო შეიქმნა ქცევის წესი. ობიექტური განმარტების მეთოდით კი, "გადამწყვეტი არის არა კანონმდებლის, არამედ კანონის ნება".[196] სუბიექტური განმარტების მეთოდი ეყრდნობა იმ საფუძველს, რომ კონსტიტუციის შემქმნელს (კანონმდებელს, საკონსტიტუციო კომისიას, ან რეფერენდუმით მიღებული კონსტიტუციის შემთხვევაში _ ხალხს) აქვთ სრული ლეგიტიმაცია, მათი ნააზრევი კონსტიტუციაში გათვალისწინებული იქნეს კონსტიტუციის ნორმათა განმარტებისას.[197] განმარტების ობიექტური მეთოდის გამოყენება კი კონსტიტუციონალიზმის განვითარებას უწყობს ხელს, რადგან საუკუნეების წინ კონსტიტუციაში ჩადებული ნააზრევი ყოველთვის ვერ იქნება აქტუალური და შესაბამისად გამოყენებული დღევანდელობის მიერ.

122 კონსტიტუცია, მიუხედავად მოწესრიგების სფეროთა მრავალმხრივობისა და მისი მასშტაბებისა, ერთიანი სამართლებრივი აქტია. შესაბამისად, მისი პრინციპები, დებულებები და ნორმები ურთიერთშეთანხმებულად, ჰარმონიულად და სისტემურად უნდა იქნენ განმარტებული,[198] ისე, რომ ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდნენ. სხვაგვარად, შესაძლოა დაზიანდეს კონსტიტუციურ უფლებათა ერთიანობა და მათ შორის ურთიერთ ბალანსის მიღწევა შეუძლებელი გახდეს. სისტემური განმარტებით კონსტიტუციური ნორმების ურთიერთწინააღმდეგობა მაქსიმალურად იქნება დაძლეული. "კონკრეტული დავების გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია როგორც კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, ისე სადავო ნორმა გააანალიზოს და შეაფასოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების კონტექსტში, რათა ეს ნორმები განმარტების შე-დეგად არ დაცილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს. მხოლოდ ასე მიიღწევა კონსტიტუციის ნორმის სრული განმარტება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული სადავო ნორმის კონსტიტუციურობის სწორ შეფასებას" .[199]

კონსტიტუციის ნორმების განმარტების სისტემური მეთოდის გამოყენების მიუხედავად, თითოეული ძირითადი უფლება კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა შინაარსისა და შეზღუდვის ფარგლების მატარებელია. ამიტომაც არ შეიძლება

[195] Maunz, Zippelius, Deutsches Staatsrecht, 30. Auflage, Muenchen, 1998, 45.
[196] იქვე 46.
[197] Zippelius, Juristische Methodenlehre,6. Auflage, 1994, abz.3 II, 4 II.
[198] Zippelius, Das wesen des Rechts, 1997, Kap. 8 d.
[199] სისტემური განმარტების მეთოდს წარმატებით იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ცალკეული ძირითადი უფლების ინდივიდუალური განმარტების უგულებელყოფა.[200] ერთხელ უკვე განმარტებული უფლების შინაარსი არ შეიძლება კანონიზირებულ იქნეს, რადგან ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევის ყოველი ცალკეული შემთხვევა სხვადასხვაგვარია და იგი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. სხვაგვარად, ძირითადი უფლების გააზრების ევოლუციასა და ცალკეული ადამიანის სუბიექტური უფლებების დაცვის ეფექტურობას საფრთხე დაემუქრება.

ნორმის ტელეოლოგიური მეთოდით განმარტება თანამედროვე სამართლის ყველაზე 123
გავრცელებული ფორმაა. იგი განმარტების პრიორიტეტულ მეთოდად აღიქმება. ამ მეთოდის საშუალებით, უპირველესად, უნდა გაირკვეს ნორმის მიზანი (ლეგიტიმური მიზანი) შემდეგ კი გატარდეს ე.წ. პროპორციულობის ტესტი. ნორმის ამგვარი შემოწმება ადგენს, თუ რამდენად გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისია ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ამავე ნორმის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

კონსტიტუციის ნორმათა განმარტების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას 124
გასათვალისწინებელია, რომ არ დაირღვეს კონსტიტუციის ერთიანობის პრინციპი.[201] მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი უფლებები ხშირად ერთმანეთს კვეთს და კონსტიტუციის პრინციპებიც ერთმანეთთან კონკურენციაში მოდიან, კონსტიტუცია ერთიან კონცეპტუალურ დოკუმენტს წამოადგენს. ამიტომაც იგი ერთ, საერთო იდეას ემსახურება.[202]

კონსტიტუციის ნორმის ავთენტური (სავალდებულო ძალის მქონე) განმარტება მხოლოდ
125
სასამართლოს, ხოლო კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

3.2. ძირითად უფლებათა სტრუქტურა

ადამიანის ძირითად უფლებათა სტრუქტურა სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება - 126
სუბიექტი, ადრესატი და დაცული სფერო. კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში, ასევე გვხვდება ძირითად უფლებაში ჩარევის დაშვება. უფრო მარტივად რომ ითქვას, ძირითადი უფლებების სტრუქტურა შეიძლება რამდენიმე კითხვით განვმარტოთ: სუბიექტი - ვინ? ძირითადი უფლების ადრესატი - ვისგან? ძირითადი უფლების შინაარსი - რა?

[200] Fallbezogenheit der Rechtsprechung - Schröder, Gesetzesbindung des Richters und Rechtsweggarantie im Mehrebenensystem, 2010, Tübingen, 192.

[201] ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 162.

[202] სწორედ დასახელებული მეთოდით ხელმძღვანელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი და დანიშნულებაა კონსტიტუციურ უფლებათა ისეთი განმარტება, რომელიც კონსტიტუციის მიზნების, კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებების და თავად ძირითადი უფლების არსის შესაბამისია, რაც უზრუნველყოფს უფლებით პრაქტიკულად, რეალურად და ეფექტურად სარგებლობას და არ გამოფიტავს მას თეორიულ და ილუზორულ უფლებამდე". იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, "საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

3.2.1. ადამიანის ძირითად უფლებათა სუბიექტი

127 ადამიანის ძირითადი უფლების სუბიექტობა - იმ პირთა წრეს განსაზღვრავს, რომელთაც შეუძლიათ, სახელმწიფოს კონკრეტული ძირითადი უფლების უზრუნველყოფა, ან მასში ჩაურევლობა მოსთხოვონ. ხშირ შემთხვევაში, თვით კონკრეტული კონსტიტუციური უფლება ადგენს, თუ ვინ არის უფლებამოსილი, ისარგებლოს მოცემული უფლებით. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ძირითად უფლებათა სუბიექტობა და საპროცესო სუბიექტობა. ძირითადი უფლების ფლობა, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ პირს პროცესუალურად მისი დაცვის უფლებაც აქვს. მაგალითად, მართალია არასრულწლოვანს აქვს საკუთრების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, მაგრამ მას ამ უფლების სამართლებრივი, პროცესუალური დაცვა მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით შეუძლია. კანონმდებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აზუსტებს პირის სამართლებრივი-პროცესუალური ქმედუნარიანობის ასაკს. იგი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარია.[203]

3.2.1.1. ფიზიკური პირები, როგორც ძირითადი უფლების სუბიექტები

128 კონსტიტუციით ფორმულირებულ ძირითად უფლებათა ერთი ნაწილი „ყველა ადამიანის“ [204] უფლებაა, მეორე ნაწილს კი მხოლოდ „მოქალაქის უფლებები“[205] წამოადგენს. ასეთი ზღვარი ხშირად სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებზე გადის. მოქალაქეობას ადამიანისა და სახელმწიფოს განსაკუთრებული სამართლებრივი კავშირი ახასიათებს. ამიტომ ადამიანი მოქალაქეობასთან ერთად განსაკუთრებულ სტატუსს იძენს, რომელიც სახელმწიფოსადმი არა მხოლოდ უფლება-თავისუფლებათა, არამედ ვალდებულებათა განსაკუთრებული სისტემით გამოირჩევა.

129 როცა საუბარია ცალკეული ფიზიკური პირის ძირითად უფლებაზე, იბადება კითხვა, თუ როდის იწყება და როდის სრულდება მისი სუბიექტობა. ზოგადად, უდავოა, რომ ძირითადი უფლებებით მხოლოდ ცოცხალ ადამიანებს შეუძლია სარგებლობა. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს, რადგან კონკრეტულ უფლებებთან მიმართებით ჩნდება ხოლმე გამონაკლისი სუბიექტობის დადგომისა და მისი შეწყვეტის დროსთან დაკავშირებით. ასეთი გამონაკლისები კი თანამედროვე მეცნიერების განვითარების პირობებში სულ უფრო და უფრო იმატებს. მაგალითად, აქვს თუ არა სიცოცხლის უფლება ჯერ არდაბადებულ, დედის საშოში მყოფ ჩანასახს (embrions, Nasciturus)? შეუძლია თუ არა მას ჰქონდეს ღირსება, და ამით დაცული იყოს იგი გენეტიკური მანიპულირებისა და კლონირებისაგან? როდის იწყება მისი სამართალსუბიექტობა? დაბადებისთანავე, თუ დაბადებამდეც? ასევე, საინტერესოა, აქვს თუ არა გარდაცვლილს (ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ) უფლება, განსაზღვროს საკუთარ ორგანოთა ტრანსპლანტაცია? საინტერესოა, კმარა კი გარდაცვლილის ღირსება, როგორც მისი ძირითადი უფლება, იმისათვის, რომ მისი საფლავი იყოს დაცული შეურაცხყოფისაგან,

[203] Pieroth, Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012, 36.

[204] საქართველოს კონსტიტუციით, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, ისარგებლონ სახელმწიფოს მფარველობით, განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა, ჰქონდეთ აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლება ან ისარგებლონ სახელმწიფოს დახმარებით უმუშევრობის შემთხვევაში.

[205] Tiefke, Das Prinzip Menschenwürde, Zur Abwägungsfähigkeit des Föchstrangigen, Tübingen, 2010, 57.

წაბილწვისაგან. ან და კიდევ სხვა მრავალ კითხვაზე პასუხი სამართლის მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკაში არაერთგვაროვანია.[206] ცალკეულ უფლებებთან მიმართებით მათ პასუხი გაეცემათ ამ წიგნის ფარგლებში. თუმცა, ჰიპოთეტური პასუხი კი ამგვარია: ძირითადი უფლების ფლობა ადამიანს შეუძლია მაშინ, თუ: 1. იგი ბიოლოგიური თვალსაზრისით, ცოცხალი არსებაა; 2. ზოგიერთ ძირითად უფლებას იგი ფლობს მაშინაც, თუკი არსებობს იმის თეორიული შანსი მაინც, რომ იგი ადამიანად დაიბადება; ან მაშინ, 3. თუ მას ოდესმე, როგორც ადამიანს, უცოცხლია.

ძირითადი უფლების სუბიექტი - არის ფიზიკური ან (კერძო და გამონაკლის შემთხვევებში საჯარო სამართლის) იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს მისი უფლების კონსტიტუციური დაცვით. „თითოეული კონსტიტუციური უფლება თავად განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექტებს“.[207] 130

ყველა პირი ვერ იქნება ყველა უფლების სუბიექტი. მაგალითად, ყველა ადამიანისთვის 131
განსაზღვრული ძირითადი უფლებები მიუთითებს ძირითადი უფლების სუბიექტებს ტერმინებით: „ყველა ადამიანი” (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); „ადამიანი” (მე-9 მუხლი); „ყველა” (29-ე მუხლის პირველი პუნქტი, 31 მუხლის მე-3 პუნქტი). კონსტიტუცია ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეების უფლებებზე შესაბამის სუბიექტებს ადგენს, როგორიცაა მაგალითად 24-ე მუხლი ან 28-ე მუხლი (აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება). კონსტიტუციის 33-ე მუხლით უზრუნველყოფილი პოლიტიკური თავშესაფრის ძირითადი უფლების სუბიექტები კი, მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები არიან.

3.2.1.2. იურიდიული პირები, როგორც ძირითადი უფლების სუბიექტები

ადამიანის ძირითადი უფლების მქონე სუბიექტები არიან, აგრეთვე, იურიდიული 132
პირები,[208] თუმცა მხოლოდ მაშინ, თუკი თეორიულად შესაძლებელია, რომ კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, მათზეც გავრცელდეს. იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება ისეთი ძირითადი უფლება-თავისუფლებანი, რომელთა შინაარსიც წმინდა ადამიანური არსიდან გამომდინარეობს. ასეთია მაგალითად, სიცოცხლის უფლება, ღირსება ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა და მისი ფიზიკური ხელშეუხებლობა. კონსტიტუციით გარანტირებული ისეთი უფლებანი, რომლებიც შინაარსობრივად იურიდიულ პირებზე შეიძლება გავრცელდეს, არის, მაგალითად, საკუთრების უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების უფლება, ინფორმაციის, პრესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება და ა.შ.

[206] Tiefke, Das Prinzip Menschenwürde, Zur Abwägungsfähigkeit des Föchstrangigen, Tübingen, 2010, 57.

[207] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სამოტივაციო ნაწილი, მე-7 პუნქტი.

[208] საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლით: “კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე”.

133 როგორც ცნობილია, იურიდიული პირები, თავის მხრივ, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად იყოფიან. ზოგადად, ძირითად უფლებათა სუბიექტები, როგორც წესი, მხოლოდ კერძო და არა საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან,[209] რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფოს წარმოადგენს, მის უკან სახელმწიფო დგას. სახელმწიფო კი ძირითადი უფლების ადრესატად განიხილება. ამიტომაც შეუძლებელია იგი ერთდროულად უფლების მფლობელიც იყოს და გარანტორიც. თუმცა, ასეთ განმარტებასაც აქვს გამონაკლისი. მეცნიერებაში გაბატონებული აზრით აღიარებულია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები გარკვეულ შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ სუბიექტობის უფლებებით.[210] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ისეთი კონსტიტუციური უფლების სუბიექტები შეიძლება იყვნენ, რომელთა სრულყოფილ განხორციელებასაც კონსტიტუცია მათ ანდობს. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა სარგებლობდეს პრესისა და მასმედიის თავისუფლებით. ხელოვნების სფეროში შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები კი, კონსტიტუციით გარანტირებული ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებით, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო, საჯარო დაწესებულებები - განათლების ძირითადი უფლებით, ხოლო რელიგიური და "მსოფლმხედველობითი" გაერთიანებები რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით.

134 აქედან გამომდინარე, როგორც განიმარტა, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ძირითადი უფლების სუბიექტებად მხოლოდ გამონაკლის, სპეციფიკურ შემთხვევებში განიხილებიან.

3.2.1.3. პროცესუალური სამართალსუბიექტობა

135 უფლების სუბიექტობა განსხვავდება პროცესუალური სამართალსუბიექტობისაგან - იმისთვის, რომ პირმა იდავოს საკონსტიტუციო სასამართლოში, კონკრეტული უფლების სუბიექტობის გარდა, პროცესუალური სამართალსუბიექტობა უნდა ახასიათებდეს. რაც უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ უშუალოდ მისი უფლება უნდა იყოს უკვე (სავარაუდოდ) დარღვეული ან იგი უნდა ასაბუთებდეს, რომ პერსპექტიულად არსებობს კონსტიტუციით გარანტირებული მისი უფლების დარღვევის რეალური საფრთხე. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები გამორიცხავს პირების მიერ სხვისი უფლებების დაცვის მიზნით

[209]მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლში საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების სამართალსუბიექტები ერთმანეთისაგან გამიჯნულნი არ არიან, მაგრამ ნორმის მეცნიერული განმარტება. Krebs, Art.19, Rn.47 ff, Münchener Kommentar; Dreier, in: Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, 2. Aufl., 2004, Art. 19 III, Rn. 23; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28., neubearbeitete Auflage, Heidelberg, 2012, S.43, Rn.177; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 607 და სასამართლოს პრაქტიკა (BVerfGE 21, 362/369) ამგვარ დასკვნამდე მიდის.

[210] Krebs, in von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 5. Auf., C. H. Beck, Munchen, 2000, Art. 19, Rn. 40. იხ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 608; კუბლაშვილი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 403-404.

კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.[211] საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მხოლოდ სახალხო დამცველს აქვს „actio popularis"-ის[212] როგორც სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების უფლება.

136 საინტერესოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ქმედუუნარო პირის პროცესუალურ სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით არ ემთხვევა ქმედუუნარო პირის პროცესუალურ უფლებაუნარიანობას სამოქალაქო სამართლის პროცესში. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით: „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობს ქმედუუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუუნაროდ ითვლებიან."[213] ე. ი. თუ პირი არის ძირითადი უფლებების სუბიექტი, მას აქვს არამხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება, არამედ პროცესზე დამოუკიდებელ მოსარჩელედ გამოსვლის უფლებაც. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს[214].

137 აღნიშნული მიდგომა ქმედუუნარო პირის პროცესუალურ სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით შემდეგ სასამართლო პრაქტიკას ეფუძნება: საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მეურვისა და მზრუნველის როგორც პირის კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებსა და საკუთრივ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთან დაკავშირებულ საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული სარჩელი არსებითად განსახილველად, ვინაიდან იგი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელედ მითითებული იყო და სარჩელზე ხელს აწერდა ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მეურვე. სასამართლოს განცხადებით, გასაჩივრებული ნორმები ეხებოდა ქმედუუნაროდ ცნობილ პირს და შესაბამისად, კონსტიტუციის მე-16 (ახალი რედაქციით მე-12) მუხლით აღიარებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის უნდა მიემართა არა მეურვეს

[211] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/3/514 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[212] სხვისი უფლებების დასაცავად სასამართლო დავის წარმოების უფლებამოსილება.

[213] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/3/514 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-4.

[214] აღნიშნული პრაქტიკა თეორიულად აძლევს ნებისმიერ მცირეწლოვანს (მაგალითად 4-5 წლის ბავშვებს) შესაძლებლობას, გამოვიდეს კონსტიტუციური სამართალწარმოების პროცესში დამოუკიდებელ მოსარჩელედ და წარმართოს პროცესი. ან იგივე შეიძლება ითქვას ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

საკუთარი სახელით, არამედ თავად ქმედუუნაროდ ცნობილ პირს. „პირს აქვს შესაძლებლობა, იდავოს მხოლოდ უშუალოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე და არ არის უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს სხვისი უფლებების დასაცავად“.[215]

138 თუმცა საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა არასრულწლოვან მოსარჩელეებთან მიმართებით სხვაგვარიც არის. არასრულწლოვანმა სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც მშობლებისა და წარმომადგენლის მეშვეობით სასამართლოს თავისი სახელით მიმართეს, მათ ძირითად უფლებებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას კანონიერი წარმომადგენელი იცავდა.

139 მაგალითად საქმეში: რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[216] საქმე ეხებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ განათლების უფლებასა და თანასწორობას. მოსარჩელეები იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო სრულად უნდა აფინანსებდეს როგორც საქართველოს მოქალაქის, ისე უცხოელისა და აპატრიდის ზოგად განათლებას. ისინი საქმის წარმოების მომენტში არასრულწლოვნები იყვნენ. მოსარჩელეები წარმოადგენდნენ ძირითადი უფლებების სუბიექტებს, შესაბამისად მათ შეეძლოთ თავიანთი არასრულწლოვანების მიუხედავად სასამართლო პროცესზე თვითონ დაეცვათ თავიანთი ინტერესები[217], თუმცა მათ სასამართლო პროცესზე წარმომადგენლები წარმოადგენდნენ.

140 გარდა ამისა სამართალსუბიექტობის განსაზღვრის ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს თუ რამდენად არის უფლებების დარღვევა უშუალო, რეალური და პირდაპირი[218]. ამ ეტაპზე უნდა შემოწმდეს იზღუდება თუ არა *უშუალოდ* მოსარჩელის უფლებები, არის თუ არა შედეგი უკვე *რეალურად* დამდგარი, ან არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ პირს

[215] მართალია, აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა ერთი მხრივ, მისასალმებელია, რადგან იგი იცავს ქმედუუნარო პირის უფლებებს მიუხედავად იმისა მეურვე ან მზრუნველი არის თუ არა თანახმა, მაგრამ მეორე მხრივ, მან შეიძლება ქმედუუნარო პირის საწინააღმდეგოდაც კი იმოქმედოს. იმ შემთხვევაში თუ ქმედუუნარო პირი ვერ აცნობიერებს მის ძირითად უფლებებს, შესაბამისად, მას არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო არ მიიღებს გონებრივი ჩამორჩენილობის საფუძველზე ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მეურვის სარჩელს ან მცირეწლოვანი პირის სარჩელს მიუხედავად იმისა, რომ თვით ეს პირი საფრთხის ქვეშ არის, მაგრამ თვითონ ვერ აცნობიერებს მას.

[216] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N 2/3/540 საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[217] საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ სრულწლოვანი მოსარჩელე დაობდა არასრულწლოვანისათვის ფარმაცევტული პროდუქტების მიყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ ეს აკრძალვა ვერ დაარღვევდა სრულწლოვანი მოსარჩელის უფლებებს შესაბამისად, სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად და განმარტა: „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ განასხვავებს სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებს სასამართლოსთვის მიმართვის თვალსაზრისით. არასრულწლოვანი პირი, უფლების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია, თავად იდავოს საკუთარ დარღვეულ უფლებაზე“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 14 მაისი 2015 N 606.

[218] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის №1/5/449 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი სიორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მიადგეს ზიანი[219]. სადავო, გასაჩივრებული რეგულაცია *პირდაპირ* კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან უნდა იყოს კონფლიქტში, და არა სხვა რომელიმე სამართლებრივ აქტთან შეუსაბამობის გამო იყოს კონსტიტუციური სამართალწარმოების წესით გასაჩივრებული.

3.2.2. ადამიანის ძირითად უფლებათა ადრესატი

ადამიანის ძირითადი უფლებანი ხელისუფლების მიმართ უშუალოდ მოქმედი სამართალია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი პირდაპირ ბოჭავს და ავალდებულებს 141
სახელმწიფოს. ძირითადი უფლებების აღიარება/შესრულება/უზრუნველყოფა მიმართული სახელმწიფოსადმი. შესაბამისად, სახელმწიფო არის ადამიანის ძირითად უფლებათა ადრესატი. სახელმწიფო კი თავის მხრივ, არის ხელისუფლების ყველა შტო, ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები. არ არსებობს არცერთი სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელშიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებები ვერ აღწევს.[220]

ადამიანის უფლებათა მოქმედების ძალა ვრცელდება არა მარტო ვერტიკალურად, 142
ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, არამედ, ასევე, ჰორიზონტალურად, კერძო პირებს შორის.[221] მეცნიერები თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ძირითად უფლებებს ვერტიკალურთან (სახელმწიფო - ადამიანი) ერთად აქვს ჰორიზონტალური (ადამიანებს შორის) მოქმედების ძალა.[222] კამათი უფრო მეტად იმაზეა, თუ როგორია ეს მოქმედების ძალა მესამე პირებზე, ანუ არიან თუ არა კერძო პირები ადამიანის ძირითად უფლებათა უშუალო ადრესატები? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არის თუ არა კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ძირითადი უფლებები კერძო პირებს შორის მოქმედი სამართალი და ავალდებულებს თუ არა ძირითადი უფლებები კერძო პირებსაც გაითვალისწინონ სხვა ადამიანების უფლებანი? უდავოა, რომ ძირითადი უფლების დარღვევის საფრთხე იმავე ინტენსივობით მოდის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მესამე პირების, უცხო სახელმწიფოების, ან ბუნებრივი მოვლენების (კატასტროფების) მხრიდანაც. უფლებათა გარანტიების ეფექტურად მისაღწევად სახელმწიფო ადამიანის ძირითადი უფლებით აღიარებულ სიკეთეს ყოველგვარი ჩარევისაგან უნდა იცავდეს.

მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებები მესამე 143
პირებისკენაცაა მიმართული. თუმცა ძირითადი უფლებები ამ შემთხვევაში (სახელმწიფოსთან მიმართების მსგავსად), პირდაპირ, უშუალოდ მოქმედი სამართალი არაა. ისინი, მართალია, უზრუნველყოფენ ძირითადი უფლების დაცვას, მაგრამ მხოლოდ არაპირდაპირ, სამართლებრივი მოწესრიგების გავლით.[223] მაგალითად, საკუთრების

[219]ტუღუში, მენაბდე, ბურჯანაძე, გოცირიძე, მშვენიერაძე: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 608-610.

[220] Maurer, Staatsrecht, München, 1999, 274, 29.

[221] ფირცხალაშვილი, სახელმწიფო დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულება და კანონი, N1. (32), გვ. 47; უფრო დეტალურად იხ. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, გვ. 45-58.

[222] Münch, Staatsrecht, 5.Aufl., S.181; Nipperdey H.C., in: Bettermann/Nipperdey, Die Grundrechte, Bd. IV/ 2, S. 747 ff; Stern,Klaus das Staatsrecht der BRD, Bd. III/ 1, S. 1560, 1572 k; Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, 24.

[223] Streuer, Die positiven Verpflichtungen des Staates, Nomos Verlag, 2003, p. 52; 12; Müller, G., Zur Problematik der Drittwirkung von Kantonalen Grundrechtsgarantien, ZBJV 1993, გვ.153-158; Stern, Das Staatsrecht der Bundesrepublik

უფლება, მის მფლობელს იცავს სახელმწიფოსაგან, რომ ამ უკანასკნელმა უსამართლოდ არ მიიტაცოს პირის ქონება, მაგრამ იგივე ქონება საკუთრების უფლებით დაცულია ასევე კერძო პირებისაგან, რათა მათ მოტყუებით, ან სხვაგვარი უკანონო ქმედებით არ მიიტაცონ მესაკუთრის ქონება. პირველ შემთხვევაში, სახელმწიფო არღვევს საკუთრების უფლებას, მეორეში კი კერძო პირი. კერძო საკუთრება ორივე ჩარევისაგან არის ძირითადი უფლებით დაცული. თუმცა, პირველ შემთხვევაში სახელმწიფო პირდაპირ, ძირითადი უფლებითაა ვალდებული, არამართლზომიერად არ ჩაერიოს პირის საკუთრების უფლებაში. მეორე შემთხვევაში კი მესაკუთრეების კონსტიტუციური უფლება კერძო პირების მიმართ მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგების, კანონის გავლით მოქმედებს. კანონის არსებობა კი, თავის მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. თუკი სახელმწიფომ არ ან არასაკმარისად უზრუნველყო საკუთრების უფლების დაცვა სხვა პირებისაგან, ძირითადი უფლების მფლობელს სახელმწიფოს წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეუძლია იდავოს. შესაბამისად, ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედებს სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ მესამე პირების მიმართ მათ მხოლოდ არაპირდაპირი (სახელმწიფოს გავლით) მოქმედების ძალა აქვთ.

3.2.3. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

144 ძირითადი უფლებით დაცული სფერო - წარმოადგენს იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც კანონმდებლის მიერ კონსტიტუციურ რანგში იქნა აყვანილი. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, ადამიანის ის უფლება, რომელიც კონსტიტუციით არის დაცული.

145 თუ რომელი ძირითადი უფლებით არის დაცული ადამიანის კონკრეტული უფლება, არც ისე მარტივი დასადგენია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. კონსტიტუციის ენა, მისი გადმოცემის აბსტრაქტული მანერა სხვადასხვა განმარტების საშუალებას იძლევა. დაცული სფეროს დადგენა განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის ძირითადი უფლებით დაცული კონკრეტული სიკეთე კონსტიტუციის ორი ან რამდენიმე მუხლით შეიძლება იყოს დაცული. ასეთ შემთხვევაში ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპი: Lex specialis derogat legi generali და გამოიყენება სპეციალური და არა ზოგადი ნორმა.

146 მაგალითად, რამდენადაც კონსტიტუციის მე-12 მუხლი, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს არა რომელიმე კონკრეტულ თავისუფლებას, არამედ ზოგადად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ამდენად ის ე.წ. ზოგადი, გენერალური უფლებაა სხვა ძირითად უფლებებთან მიმართებით. შესაბამისად, მე-12 მუხლით მაშინ იქნება დაცული ადამიანის განსაზღვრული უფლება, თუ იგი კონსტიტუციის სხვა რომელიმე კონკრეტული მუხლით არ არის დაცული.

147 მაგალითად, თუ ადამიანის თავისუფალი მიმოსვლა არ იქნებოდა დაცული კონსტიტუციის სხვა, უფრო კონკრეტული მუხლით, მაშინ ის მოთავსდებოდა მე-12 მუხლის დაცულ სფეროში, თუმცა თავისუფალ მიმოსვლას იცავს კონსტიტუციის მე-14 მუხლი.

Deutschland, Band IV/1: Die einzelnen Grundrechte, 2006, p. 1546; Von Münch, I. / Mager, Staatsrecht II, Grundrechte, 6. aufl. Kohlhammer, 2014, p. 21.

თავი 4. ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმება

ადამიანის უფლება, კლასიკური გაგებით, აღიქმება როგორც ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი თავისუფლების სფეროში სახელმწიფოს ჩარევისაგან დამცავი მექანიზმი. ძირითად უფლებათა დამახასიათებელი- თავისუფლების გარანტია- კლასიკური გაგების მსგავსად, დღესაც მის შემადგენელ სუბსტანციურ, ძირითად ელემენტად რჩება. ძირითადი უფლების -თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხოლოდ მყარი არგუმენტაციითა და დამაჯერებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შეუძლია. სხვაგვარად, სახელმწიფოს ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სიკეთეში არაპროპორციულად მკაცრია, ან აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ამით კი ძირითადი უფლების არსი ირღვევა. ძირითად უფლებაში სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევა მაშინვე მის დარღვევას არ ნიშნავს. უფლების არსი მხოლოდ მაშინ არის ხელყოფილი, როცა მასში სახელმწიფოს ჩარევა არაპროპორციული, გადამეტებულია. 148

თუ ძირითადი უფლებების განვითარების საწყისს ეტაპზე უფლებები მხოლოდ სახელმწიფოსაგან დამცავი ინსტრუმენტი იყო, თანამედროვე გაგებით, მათი არსი და მოცულობა საგრძნობლად გაზრდილია. საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, თანამედროვე სახელმწიფოსადმი მოთხოვნათა განზომილების მოცულობამ იმატა. დღევანდელი სახელმწიფო არა მხოლოდ უფლებათა პოტენციური დამრღვევი, არამედ უკვე „დამცველის“ „დამხმარეს“ ფუნქციის მატარებელია. 149

კონსტიტუციაში გარანტირებული ძირითადი უფლებები გადმოცემის ზოგადი, აბსტრაქტული მანერით გამოირჩევა. ზოგჯერ კი კონსტიტუციით გარანტირებული ეს ღირებულებები პათეტიკურიც კი გვეჩვენება. მაშინ, როცა ადამიანის ძირითადი უფლებები პრაქტიკაში რეალიზდება, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ იმპლემენტირდება ან სასამართლოს მიერ განიმარტება, აშკარა ხდება, რომ აუცილებელია ძირითადი უფლების დარღვევის შემთხვევების დეტალური შემოწმება. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში უფლების სავარაუდო დარღვევის შემოწმების რამდენიმე მეთოდი არის დამკვიდრებული. თუმცა ყველა მათგანი ეფუძნება ლოგიკურ მსჯელობას, არგუმენტაციის სიმყარესა და დასაბუთებულ დასკვნებს.[224] 150

ნორმის კონსტიტუციურობის დადგენისას უნდა შემოწმდეს: 1. კონსტიტუციასთან მისი შინაარსის შესაბამისობა.ამ დროს მხედველობაში მიიიღება სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მასში გამოხატული ნამდვილი აზრი და მისი გამოყენების პრაქტიკა, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსი; 2. რამდენადაა დაცული საკანონმდებლო აქტისა და პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესი.[225] 151

აქედან გამომდინარე, ძირითადი უფლების სავარაუდო დამრღვევი სადავო ნორმის შემოწმება, მოითხოვს არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ შემოწმებასაც. ამდენად, ძირითადი უფლების სუბიექტის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი 152

[224] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი, გვ. 4.

[225] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

ნორმების საფუძველზე, რომლებიც ფორმალურად ან მატერიალურადაც არაკონსტიტუციურია.

153 ძირითად უფლებებში ჩარევისას დგინდება ნორმატიული აქტის ფორმალური ან მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან. ფორმალური შესაბამისობისას განხილულია სადავო (შემზღუდავი აქტის) ფორმალური მხარე. მაგალითად, თუ კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ საკუთრების ჩამორთმევა კანონით დადგენილი წესით უნდა მოხდეს, მოწმდება თუ რამდენად არის ნორმატიული აქტი - კანონი შესაბამისი წესით მიღებული. აქ იგულისხმება სასამართლოს მიერ კონსტიტუციით დადგენილი მიღების/გამოცემის ფორმალური წესის და პროცედურების შემოწმება. ჩარევის მატერიალური შემოწმებისას კი გამოიყენება თანაზომიერების პრინციპი.

4.1. ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი

154 მიუხედავად იმისა რომ ძირითად უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს, ასეთი ჩარევა არ შეიძლება იყოს თვითნებური. აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს უფლებაში ჩარევის დაშვების ფორმულირებას კონსტიტუციაში, ისე როგორც თვით თვით ძირითადი უფლების, ასევე სისტემურად, მთლიანი კონსტიტუციის ტექსტს. ყველა ძირითად უფლებას გააჩნია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი. ზღვარი ადგენს სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლების შეზღუდვის ფარგლებს. მისი დეტალური შემოწმება, უფლების დარღვევისას ძალიან მნიშვნელოვანია - ორთავე - ფორმალურ-სამართლებრივი, დარა თქმა უნდა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

155 მაგალითად, თუ რომელი საკითხი ექვემდებარება აუცილებელ საკანონმდებლო რეგულირებას და რომლის დელეგირება არის შესაძლებელი, შეეხება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული არსებითობის თეორია, რომლის თანახმადაც, კანონმდებელმა უნდა მიიღოს ყველა არსებითი გადაწყვეტილება ფუნდამენტურ ნორმატიულ სფეროებში.[226] ეს განსაკუთრებით შეეხება ძირითადი უფლებების შეზღუდვას, რომელთა საგანი, შინაარსი, მიზანი და ზომა მხოლოდ კანონმდებლის დასადგენია.[227] დაუშვებელია, რომ ადამიანის თავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სრულად გადავიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაში.[228] მას შესაძლებელია, გადაეცეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ამ კონტექსტში შეიძლება, გამოვარჩიოთ 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“. სასამართლოს პოზიციით, პარლამენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მნიშვნელოვან, პრინციპულ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო მათი იმპლემენტაციისთვის საჭირო დეტალების მოწესრიგება კი შეიძლება, სხვა სახელმწიფო ორგანოებს მიანდოს.[229]

---

[226] დეტალურად იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 398 f.
[227] მაგ. იხ.: BVerfGE 8, 274 (325); 80, 137 (161); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2006; Stein/Götz, Staatsrecht, S. 162.
[228] BVerfGE 8, 274 (324 f.); 49, 89 (145 f.); 113, 348 (376); Badura, Staatsrecht, S. 382; Sachs, GG, Art. 20, Rn. 115.
[229] №1/7/1275 გადაწყვეტილება, II-30.

156 დარღვევის შემოწმებისას, უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფუძვლები. ჩარევის საფუძველი საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ოთხგვარი შეიძლება იყოს. შესაძლოა, ერთი და იგივე ძირითად უფლებას ერთი ან რამდენიმე კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი ჰქონდეს.

- კანონის კონკრეტული დათქმა;
- სასამართლოს გადაწყვეტილების დათქმა;
- უშუალო კონსტიტუციური ზღვარი;
- შიდაკონსტიტუციური შეზღუდვა.

4.1.1. კანონის კონკრეტული დათქმა

157 კანონის კონკრეტული დათქმით დაწესებული ზღვარი საქართველოს კონსტიტუციაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ასეთი დათქმების იდენტიფიცირება მარტივია. ამ შემთხვევაში, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმის ტექსტი პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კანონზე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ.[230]

158 მაგალითად კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში არის შესაძლებელი, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტი საკუთრების უფლებაში ჩარევას უშვებს მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ან ორგანული კანონით. თუმცა კონსტიტუცია აქვე ადგენს კანონის შინაარსობრივ მოთხოვნებს, ესაა გადაუდებელი აუცილებლობა, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურება. ორივე შემთხვევაში კანონმდებელი უნდა გამოდიოდეს შესაბამისი საზოგადოებრივი საჭიროებიდან. სავარაუდოდ, ორგანული კანონის დათქმის მიზანია, გაართულოს ძირითადი უფლებების შედარებით მძიმე შეზღუდვების განხორციელება, ასევე ფორმალურად გააძლიეროს შესაბამისი უფლების დაცვა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ორგანული კანონის დათქმით, ძირითად უფლებას არ ენიჭება მაღალ რანგი სხვა უფლებებთან მიმართებით.

კანონის კონკრეტულ დათქმებს, მითითებებს, ვხვდებით ასევე კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც. მაგალითად მე-15, მე-14, მე-17 მუხლები და სხვა.

4.1.2. სასამართლო გადაწვეტილების დათქმა

159 ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად უფლების ზღვარს სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა წარმოადგენს. რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული დაცული სფეროს შეზღუდვა, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არის დაშვებული. ამ შემთხვევაში, უფლების შეზღუდვა ან შეზღუდვის რომელიმე ფორმა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს და ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.[231]

[230] გარდა ძირითადი უფლებებისა, გამოყოფენ კანონის სპეციალურ დათქმებს ორგანიზაციულ-ინსტიტუციურ, საფინანსო-საბიუჯეტო და საგარეო პოლიტიკის სფეროებში. Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee/Kirchhof(Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin 2007, 101, S. 183 (201).

[231] სასამართლო დათქმებთან დაკავშირებით დეტალურად: იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 309 f.

160 მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, „თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს". ან მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. აქ გვხვდება მაგალითად, ორი, ალტერნატიული ზღვარი, რაც გრამატიკულად გამოიხატება კავშირით -„ან".

161 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სასამართლოს დათქმა, როგორც უფლების შეზღუდვის დამატებითი ფორმალური კრიტერიუმი, განპირობებულია შესაბამისი უფლების ან მისი ცალკეული კომპონენტების ბუნებით და აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის საფრთხით.[232] სასამართლოს, როგორც ნეიტრალური ორგანოს, ჩართულობა ამცირებს აღმასრულებელი ხელისუფლების შეცდომის ან თვითნებობის რისკს და კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვანი გარანტიაა.[233] ის ემსახურება კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებასაც.[234] ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს დათქმა არ ნიშნავს შესაბამისი უფლების მაღალ რანგს სხვა უფლებებთან მიმართებით.[235]

4.1.3. უშუალო კონსტიტუციური ზღვარი

162 უშუალო კონსტიტუციური ზღვარი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია კანონზე მითითების გარეშე თავად განსაზღვრავს ძირითად უფლებაში ჩარევის კონკრეტულ წინაპირობებს. მაგალითად, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, როცა დაუშვებელია პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა - „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ,

[232] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ", II-109.

[233] №1/3/407 გადაწყვეტილება, II-24; №2/1/484 გადაწყვეტილება, II-20; №2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-109-111.

[234] შეად/ მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-12; №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-33.

[235] №2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-108; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის 1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით“.

4.1.4. შიდა კონსტიტუციური ზღვარი

163 საქართველოს კონსტიტუცია იცნობს შიდა კონსტიტუციურ ზღვარს. ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია ძირითად უფლებაში ჩარევისთვის არ იცნობს კონკრეტულ დათქმას, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ უფლებაში ჩარევა შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებით შეიძლება განხორციელდეს. ასეთის საფუძველს წარმოდგენს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, ე.წ. კლასიკური ზღვარი - „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“. მე-2 პუნქტის დანაწესი ნიშნავს იმას, რომ ერთი ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორეს უფლებები. ხოლო მე-3 პუნქტი ადგენს თანაზომიერების პრინციპის გამოყენების აუცილებლობას.

164 მიუხედავად იმისა რომ, კონსტიტუციის მე-12 მუხლი, არ ითვალისწინებს არც კანონის და არც უშუალო კონსტიტუციურ დათქმას. მას მაინც აქვს ზღვარი. მასზე ვრცელდება შიდა კონსტიტუციური (იგივე კლასიკური) ზღვარი: „სხვათა უფლებებისა და თანაზომიერების პრინციპის“ სახით. მაგალითად, თუკი კონკრეტული ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის, აუცილებელია ძალიან მაღალი ხმის ტონალობით სიმღერა დღე-ღამეში მაგალითად 16 საათი, ეს შესაძლოა ხელს უშლიდეს სხვას, მაგალითად მეზობელს, თავის პიროვნულ განვითარებაში, რადგან მას იმისათვის, რომ მეორე დღეს იყოს პროდუქტიული, ღამის საათებში დასვენება, მშვიდი ძილი სჭირდება.

165 შიდა-კონსტიტუციური ზღვარი[236] ძირითადი უფლებების შეზღუდვისას გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ელემენტიდან - სახელმწიფო ხელისუფ-ლების კანონით შეზღუდვის პრინციპიდან, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა განმტკიცებული.[237]

166 ძირითადი უფლებების სფეროში კანონის ზოგადი დათქმა ასევე შეიძლება, დავაფუძნოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნებს კანონმდებლობას ადამიანის უფლებების შესახებ. ტერმინში „კანონმდებლობა“ უნდა მოვიაზროთ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობა და მისი შედეგი - საკანონმდებლო აქტი. ადამიანის უფლებების შესახებ კანონმდებლობა მათ შეზღუდვასთან დაკავშირებულ რეგულირებებსაც მოიცავს. 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს. ამდენად, სწორედ პარლამენტია უფლებამოსილი, რომ კანონებით მოაწესრიგოს ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, მათი შეზღუდვის ჩათვლით.

[236] ტერმინოლოგიურად ასევ გვხვდება როგორც ზოგადი დათქმა.
[237] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

4.2. ძირითადი უფლების დარღვევის ფორმალურ-სამართლებრივი შემოწმება

167 სადავო ნორმის ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმებას საკამოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოს ჩარევის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან უნდა დადგინდეს ყველა ძირითადი უფლების სავარაუდო დარღვევის შემოწმებისას. ფორმალური შესაბამისობა უპირველესად გულისხმობს კანონის მიღების უფლებამოსილებას, პროცედურას და ფორმას. ძირითადი უფლების შეზღუდვის ფორმალური სტანდარტის დარღვევა იწვევს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას შესაბამის უფლებასთან მიმართებით, მიუხედავად ამ ნორმის შინაარსისა.[238] ფორმალური შესაბამისობის შემოწმებისას უნდა გაირკვეს კონსტიტუციის გარანტირებული ძირითადი უფლებების შემზღუდავი კანონი არის თუ არა ამისათვის დადგენილი პროცედურის დაცვით, კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული.[239]

168 მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში[240] დავის საგანს წარმოადგენდა „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2003 წლის 22 დეკემბრის ორგანული კანონის და მის საფუძველზე გამოცემული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 2004 წლის 7 იანვრის განკარგულების კონსტიტუციურობა. საქართველოს კონსტიტუციის მე–3 მუხლი განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს, რომელსაც მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ მუხლში ჩამოთვლილი არცერთი უფლებამოსილება არ შეიძლებოდა მოქცეულიყო ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში.[241] შესაბამისად აღნიშნული სამართლებრივი აქტები არ იყო უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გამოცემული. რადგან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში გააჩნდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს. ამასთან, ამ გადაწყვეტილების საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანის ვალდებულებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციასთან ცალსახა ფორმალური შეუსაბამობა დაადგინა: „სადავო კანონი არა მხოლოდ კომპეტენციის დარღვევით არის მიღებული და აჭარის ა\რ ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას, არამედ იმავდროულად არღვევს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს“.[242]

---

[238] ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. იხ. მაგალითად.: BVerfGE 49, 89 (126); 88, 103 (116); Herdegen, (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958, Rn. 44.

[239] ფირცხალაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი (რედ. ტურავა), თბილისი, 2013, გვ. 217.

[240] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის №15/290,266 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ.

[241] იქვე, I.

[242] იქვე, III.

169 საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული წესების დაცვის შემოწმება შეუძლია.[243] მაგალითად, თუ ორგანული კანონი პარლამენტმა მიიღო დამსწრეთა უმრავლესობით, სრული შემადგენლობის ერთი მესამედით, დაირღვევა კონსტიტუციის მოთხოვნა, რომლითაც მისი მიღებისთვის პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობაა საჭირო.[244]

170 ძირითადი უფლების ფორმალური შემოწმება, კომპეტენციისა და პროცედურების დამდგენ ნორმებს, რომლებიც სახელმწიფო ორგანიზაციის სამართლის ნაწილია, აყენებს ძირითადი უფლების დაცვის სამსახურში.[245]

171 ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფორმალურ სტანდარტებს შორის გამოსაყოფია კანონისა და სასამართლოს დათქმები.[246] ისინი ძირითად უფლებებში ჩარევის უმნიშვნელოვანესი ფორმალური წინაპირობებია და იცავს ინდივიდის თავისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან თვითნებური შეზღუდვებისგან.[247]

4.3. ძირითადი უფლების დარღვევის მატერიალურ-სამართლებრივი შემოწმება

172 სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება მატერიალური თვალსაზრისით რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია. მასზე დიდწილადაა დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და ხარისხი. საქართველოს კონსტიტუცია თანაზომიერების პრინციპს პირდაპირ არ ახსენებს, მაგრამ ის გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ეს პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს გადამწყვეტი მატერიალური განზომილებაა.[248] სამართლებრივ სახელმწიფოზე, როგორც თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც მიუთითებს. მისი აზრით, სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას.[249]

4.3.1. თანაზომიერების პრინციპი

173 თანაზომიერების პრინციპის[250] მიხედვით: „დაპირისპირებული ინტერესები, უფლებები ან სამართლებრივი პრინციპები ერთმანეთთან თანხვედრაში შეიძლება მოვიდეს თანაზომიერი შეფასებით, რაც გულისხმობს საკითხის ისეთ გადაჭრას, როცა პრიორიტეტი ენიჭება ისეთი ინტერესის, უფლება-თავისუფლების ან სამართლებრივი

[243] ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, გვ. 51 (57).
[244] საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[245] Loladze, Rechtsstaatsprinzip, S. 150. P 390.
[246] იხ. დეტალურად ქვეთავები 4.1.1 და 4.1.2.
[247] Loladze, Rechtsstaatsprinzip, P 393.
[248] Grzeszick, (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 107; Reuter, Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne - das unbekannte Wesen, Juristische Ausbildung, 7 (2009), S. 511 (512).
[249] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I; №2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.
[250] ეს პრინციპი ასევე გამოიყენება პროპორციულობის პრინციპის სახელწოდებით.

სიკეთის დაცვას, რომელიც უფრო მეტად ღირებულია და აღემატება დაპირისპირებულ სიკეთეს.[251] თანაზომიერება არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ღერძი, და როგორც კანონის უზენაესობის პრინციპი, პროპორციულობის პრინციპიც სავალდებულოა ყველა სუვერენული ხელისუფლებისთვის.[252] მან უნდა შეძლოს ინტერესთა და უფლება-თავისუფლებათა კონფლიქტი გადაჭრას სამართლიანი ბალანსით. იმავდროულად არ ჩაერიოს იმაზე მეტად და ასევე იმაზე ნაკლებად ვიდრე ეს საჭიროა კონფლიქტის გადაჭრისათვის.

174 სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია ძირითადი უფლებების თვითნებური და არათანაზომიერი შეზღუდვა. თანაზომიერების პრინციპი ეფუძნება იმ იდეას, რომ სახელმწიფოს მოქმედება არ უნდა იყოს შეუზღუდავი და დაუსაბუთებელი.[253] ის იცავს ინდივიდს სახელმწიფოს თვითნებობისგან.[254] თანაზომიერების პრინციპის ამ ფუნქციას გამოყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.[255] მისთვის მიუღებელია იმ ანტიპრინციპით ხელმძღვანელობა, რომლის მიხედვითაც, მიზანი ამართლებს საშუალებას.[256] სახელმწიფო ვალდებულია, რომ ძირითადი უფლებების შეზღუდვისას დაიცვას ბალანსი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.[257]

175 თანაზომიერების პრინციპის მოქმედების არეალი ფართოა.[258] ის ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოზე[259] და ძირითად უფლებაში ნებისმიერ ჩარევაზე სამართალშემოქმედების, სამართალგამოყენებისა და მართლმსაჯულების სფეროებში.[260] ამას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც უსვამს ხაზს.[261] კანონმდებლის გადაწყვეტილებების თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის შემოწმების სიმკაცრე დამოკიდებულია შეზღუდული უფლების მნიშვნელობაზე, შესაბამის სფეროსა და მის მიერ ვითარების შესატყვისად შეფასების შესაძლებლობაზე.[262] აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება კანონის მოთხოვნებით იზღუდება და ვალდებულია, დაიცვას თანაზომიერების მოთხოვნები კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებების განხორციელებისას.[263]

176 თანაზომიერების პრინციპმა ასახვა ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლში, რომელიც ადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგად

---

[251] Zippelius,Das Wesen des Rechts, 6. Aufl., Kap. 8 d.
[252] BVerfGE 19, 342 (348); BVerfGE 23, 127 (133); BVerfGE 61, 126 (134).
[253] 9 Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107.
[254] იქვე.
[255] მაგ. იხ.: №2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.
[256] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, III.
[257] შეადარე: მაგ.: №1/3/407 გადაწყვეტილება, II-7; №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-37; №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-31.
[258] დეტალურად იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 314 f.
[259] შეადარე: Robbers, GG, Art. 20, Rn. 1908; Sachs, GG, Art. 20, Rn. 148; Schlink, Verhältnismäßigkeit, S. 445 (445); Schnapp, F. E., Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11 (1983), S. 850 (854 f.); Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrechtt, S. 123.
[260] Kunig, Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen 1986, S. 358 f.; Robbers, GG, Art. 20, Rn. 1884.
[261] №2/1/415 გადაწყვეტილება, II-37.
[262] Hesse, Bedeutung der Grundrechte, S. 127 (156).
[263] Robbers, GG, Art. 20, Rn. 1968, ლოლაძე., (ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი) საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი 2021. გვ. 156-149.

პრინციპებს „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“.[264]

4.3.1.1. თანაზომიერების ფარგლები- „გადამეტების აკრძალვა“ და „არასაკმარისი ზომების აკრძალვა“

177 სახელმწიფო, როგორც ძირითადი უფლების ადრესატი, მისი მოქმედებით ადამიანის ძირითად უფლებს

I - არ უნდა არღვევდეს

II- უნდა იცავდეს

შესაბამისად მისი მოქმედება ან უმოქმედობა უფლების დასაცავად უნდა რჩებოდეს თანაზომიერების ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ მისი მოქმედება იქნება გადამეტებული ან პირიქით არასაკმარისი, იგი გასცდება თანაზომიერების ფარგლებს. სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც შებოჭილია ძირითადი უფლებებით, ეკრძალება არათანაბარზომიერი მოქმედება. არათანაბარზომიერი მოქმედების აკრძალვა შეიძლება ორგვარი იყოს 1. „გადამეტების აკრძალვა“ და 2. „არასაკმარისი ზომების აკრძალვა“.[265]

178 თანაზომიერების პრინციპი კრძალავს სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებული ზომების გამოყენებას (Übermaßverbot) ძირითად უფლებებში ჩარევისას.[266] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამ პრინციპთან შეუთავსებელია ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვა, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.[267] ამასთანავე, თუ ძირითადი უფლება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს და მისგან მოქმედებას მოითხოვს, თანაზომიერების პრინციპი კრძალავს არასაკმარისი ზომების გამოყენებას (Untermaßverbot).[268]

4.3.1.2. ძირითად უფლებაში ჩარევა

179 ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად ითვლება მხოლოდ სახელმწიფოს, მისი სახელით მოქმედი ორგანოების ისეთი მოქმედება (ან ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობა), რომელიც აფერხებს, ართულებს ან საერთოდ შეუძლებელს ხდის პირის მიერ ძირითადი უფლებით სარგებლობას. ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ორგანოების რეალური ქმედებით,

[264] აღნიშნული დებულება საქართველოს კონსტიტუციაში 2018 წელს, მისი ზოგადი გადასინჯვის შემდეგ შევიდა ძალაში.

[265] გერმანულენოვან იურიდულ ლიტერატურაში, ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმებისას გამოიყენება შესაბამისი დოგმატიკა. შესაბამისი ტერმინებს Untermaßverbot და Übermaßverbot იყენებს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო და მისი პირდაპირი თარგმანი ქართულად არის: „გადამეტებული ზომების აკრძალვა“ და „არასაკმარისი ზომების აკრძალვა“.

[266] Sachs, GG, Art. 20, Rn. 147.

[267] №1/3/393,397 გადაწყვეტილება, I.

[268] მაგ. იხ.: BVerfGE 88, 203 (254 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 126 ff.; Michael, Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnismäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheitssätze, Juristische Schulung, 2 (2001), S. 148 (151 f.). კრიტიკა იხ.: Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura/Dreier, (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001, S. 445 (462 ff.).

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (მაგ. სასამართლოს გადაწყვეტილება) ან ნორმატიული აქტით (მაგ. კანონი).[269]

180 დაცულ სფეროში ჩარევის დადგენა, მაშინვე არ უნდა იქნეს გაგებული ძირითადი უფლების დარღვევად. სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა შესაძლოა გამართლებული იყოს. შესაბამისად 1. უფლების სუბიექტის, 2. დაცული სფეროსა და 3. ჩარევის დადგენა მხოლოდ შუალედური დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

181 უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და იყოს ამისთვის გამოსადეგი (მიზნის მისაღწევად გამოსადეგობის პრინციპი), აუცილებელი (ჩარევის მინიმალურობის პრინციპი) და შესატყვისი (პროპორციულობის პრინციპი).[270]

182 უცხოურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებულ ამ მიდგომას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც იზიარებს: „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს.“[271] თანაზომიერების პრინციპის თითოეული მოთხოვნა მომდევნოსთვის განმსაზღვრელია,[272] რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე მათგანს სადავო ნორმა არ აკმაყოფილებს, აღარ ხდება მომდევნო მოთხოვნასთან შესაბამისობის შემოწმება და ნორმა არაკონსტიტუციურად ითვლება.

4.3.1.3. ძირითად უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

183 ძირითადი უფლების შემზღუდველი ნორმა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. თანაზომიერების პრინციპის სხვა მოთხოვნები მჭიდროდაა დაკავშირებული ლეგიტიმურ მიზანთან,[273] რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მათზე. თუ მიზანი არ არსებობს ან ის არალეგიტიმურია, სადავო ნორმის თანაზომიერების შემოწმება აზრს კარგავს,[274] რადგან ის a priori არაკონსტიტუციურია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ლეგიტიმური მიზნის გარეშე ძირითადი უფლების შეზღუდვა თვითნებური, თვითმიზნური, გაუმართლებელი და

[269] აქვე გასათვალისწინებელია, რომ პირს საკუთარი უფლებების დასაცავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მის უფლებაში სახელმწიფო ნორმატიული აქტის საშუალებით ჩაერია.

[270] BVerfGE 67, 157 (173); 104, 337 (347 ff.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 110; Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; Kunig, Rechtsstaatsprinzip, S. 354; Mager, Staatsrecht I, S. 359; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (148); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); Robbers, GG, Art. 20, Rn. 1897, 1914; Schnapp, Verhältnismäßigkeit, S. 850 (852); Starck,, Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 278; Sachs, GG, Art. 20, Rn. 149 ff.

[271] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

[272] Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 81.

[273] Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 111; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); Sachs, GG, Art. 20, Rn. 149.

[274] Robbers, GG, Art. 20, Rn. 1915.

არაკონსტიტუციურია[275] და დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე."[276]

184 მიზნის ფორმალური მითითება საკმარისი არ არის, თუ ის ლეგიტიმური არ იქნება. ლეგიტიმურობაში იგულისხმება მიზნის მართლზომიერება და უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციასთან შესაბამისობა.[277] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის სულისკვეთებასთან, პრინციპებთან და მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მყოფ მიზანს მიიჩნევს არალეგიტიმურად, ხოლო მის მისაღწევად უფლების შეზღუდვას - თვითმიზნურად და არაკონსტიტუციურად.[278] სასამართლოს პოზიციით, მიზანს უნდა ჰქონდეს უფლების შეზღუდვის გამართლების უნარი, ხოლო ამგვარი მიზნები მომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებებისგან, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება ეფუძნება.[279]

185 ზოგჯერ, ძირითადი უფლება თავად მიუთითებს იმ ლეგიტიმურ მიზნებზე, რომელთა მისაღწევადაც შეიძლება, შეიზღუდოს დაცული სფერო. მაგალითად, კონსტიტუციით მე-14 მუხლის მიხედვით, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. სხვა მიზნების მისაღწევად მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევა არაკონსტიტუციური იქნება, რადგანაც კანონმდებელს, საკანონმდებლო დონეზე, არ აქვს კონსტიტუციისგან განსხვავებული შეზღუდვის მიზნების ჩამოყალიბების უფლებამოსილება.[280]

186 თუ ძირითად უფლების ტექსტში უფლების შეზღუდვის მიზნები მითითებული არ არის, მასში ჩარევა შეიძლება, მიზნად ისახავდეს სხვათა უფლებებისა და კონსტიტუციური სიკეთეების, მაგრამ არა ნებისმიერი საჯარო ინტერესის დაცვას. ამ შემთხვევაში გამოიყენება შიდა კონსტიტუციური ზღვარი.[281]

187 მნიშვნელოვანია ლეგიტიმური მიზნის დადგენის მეთოდოლოგიის საკითხი. რელევანტურია როგორც სადავო ნორმის მიღებისას დასახული მიზნების ისტორიული

[275] მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-15; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-24; №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-196; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-22,23.

[276] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. 61.

[277] Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, in: Schmidt-Aßmann/Sellner/Hirsch/Kemper/Lehmann-(Hrsg.): Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln u. a. 2003, S. 329 (334); Robbers, GG, Art. 20, Rn. 1897, 1915.

[278] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-45,47; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II – 48-50. 575 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება.

[279] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-17.

[280] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-30.

[281] იხ. ქვეთავი 4.1.4.

განმარტების მეთოდის გამოყენებით იდენტიფიცირება, ასევე მათი გარკვევა ნორმის განმარტების გზით.[282] ნორმა დროთა განმავლობაში სხვადასხვა გარემოებების ზეგავლენით შესაძლოა, დასცილდეს ან შეიცვალოს თავდაპირველი მიზნები.

4.3.1.4. ძირითად უფლებაში ჩარევის გამართლება

188 ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს სამი საფეხურის არსებობა: გამოსადეგობა, აუცილებლობა და შესაბამისობა.

189 ა) არის თუ არა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად რეალურად გამოსადეგი.

გამოსადეგობა გულისხმობს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა, როგორც საშუალება, ხელს უწყობს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[283] გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოსადეგად მიაჩნია შეზღუდვა, რომელიც ქმნის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[284] აუცილებელი არაა, რომ ის მიზნის მიღწევის გარანტიას იძლეოდეს.[285] მსგავსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის საფუძვლად არ ითვლება გარემოება, რომ ის მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება არ არის.[286] გამოსადეგად მიიჩნევა საშუალება, რომელიც იძლევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[287] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენადაა ლოგიკური კავშირი ძირითადი უფლების შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის,[288] რაც მართებულია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზნის მიღწევა თეორიულადაც კი შეუძლებელია. გამოსადეგი ასევე არაა უფლების შეზღუდვა, რომელიც არათუ შესაძლებელს ხდის, არამედ გამორიცხავს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[289][290]

190 ბ) არის თუ არა სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ნამდვილად აუცილებელი და ხომ არ იყო შესაძლებელი ამ მიზნის მისაღწევად რაიმე უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენება;

191 ძირითადი უფლების შეზღუდვა აუცილებელია, თუ ის არ სცდება ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ზღვარს საგნობრივი, სივრცობრივი, დროისა და პირთა წრის

---

[282] Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (148).

[283] Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 112; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (149); Sachs, GG, Art. 20, Rn. 150; Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 114; Schnapp, Verhältnismäßigkeit, S. 850 (852); Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 123.

[284] BVerfGE 96, 10 (23); 100, 313 (373); 103, 293 (307).

[285] Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, S. 329 (334); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513).

[286] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

[287] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30; №2/1/536 გადაწყვეტილება, II-71; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48.

[288] იხ.: №1/1/468 გადაწყვეტილება, II-44; №3/1/512 გადაწყვეტილება, II-63,65,67-70; №3/3/600 გადაწყვეტილება, II-48.

[289] მაგ. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

[290] Loladze, Rechtsstaatsprinzip P. 414.

თვალსაზრისით.[291] ეს სტანდარტი დარღვეულია, როდესაც მიზნის მიღწევა შესაძლებელია ალტერნატიული, უფრო მსუბუქი და მსგავსად ქმედითი საშუალებით.[292] „უფრო მსუბუქია“ საშუალება, რომელიც ძირითად უფლებაში არ ერევა ან მას მნიშვნელოვნად ნაკლებად ზღუდავს.[293] „მსგავსად ქმედითი“ საშუალება ანალოგიური მიზნის მიღწევის აშკარად მსგავს პერსპექტივას ქმნის.[294]

192 აუცილებლობის შემოწმებისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი ძირითადი უფლების სპეციფიკა, შეზღუდვის ინტენსივობა, შედეგები და შეზღუდვას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა.[295] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში იყენებს უფრო მსუბუქი საშუალების ზემოაღნიშნულ პირობას და ამოწმებს, თუ რამდენად არსებობს ნაკლებად მზღუდავი ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.[296] საინტერესო მიდგომაა, რომ ის თავის ამოცანად მიიჩნევს არა კანონმდებლისთვის საკითხის კონკრეტული გზით გადაწყვეტის დავალდებულებას, არამედ შესაძლო ალტერნატიული საშუალებების გაანალიზებას.[297] სასამართლო მსგავსად ქმედითი საშუალების სტანდარტსაც იზიარებს - ალტერნატიულ, ნაკლებად მზღუდველ საშუალებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ისეთივე რესურსი, როგორც სადავო ნორმას.

193 გ) შემოწმების ბოლო საფეხურს წარმოადგენს, თუ რამდენად არის სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის ძირითად უფლებაში აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შესაბამისი (ვიწრო გაგებით პროპორციული).[298] ამ შემთხვევაში ხდება კონკურირებადი ინტერესების აწონ-დაწონვა და მოწმდება კონკრეტულ შემთხვევაში თუ რომელი ინტერესი არის უფრო მნიშვნელოვანი - ის, რომელიც კონკრეტული უფლებით დაცულ სფეროში ხვდება, თუ ის (სხვათა უფლებები, საჯარო ინტერესი), რომლის დასაცავადაც კონკრეტულ უფლებაში ხდება სახელმწიფოს ჩარევა. შესაბამისობის დადგენისას უნდა მოხდეს ინტერესთა აწონ-დაწონვა - ე.წ. „პრაქტიკული კონკორდანსი“.[299] შესატყვისობის მოთხოვნა დაცულია, თუ ძირითადი უფლების შეზღუდვით გამოწვეული ზიანი არ ან უმნიშვნელოდ აღემატება მის შედეგად მიღებულ სიკეთეს.[300] ძირითადი უფლებისთვის

[291] BVerfGE 100, 226 (241); 110, 1 (28); Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; Michael, Argumentationsstrukturen, S. 148 (149); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, S. 511 (513); Starck, GG, Art. 1, Rn. 278.

[292] Badura, Staatsrecht, S. 377; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114; Mager, Staatsrecht I, S. 359; Robbers, GG, Art. 20, Rn. 1918; Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; Schlink, Verhältnismäßigkeit, S. 445 (453); Schmidt, Staatsorganisationsrecht, S. 115; Schnapp, Verhältnismäßigkeit, S. 850 (852).

[293] იხ. დეტალურად Loladze, Rechtsstaatsprinzip, S. 415.

[294] Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114.

[295] მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52.

[296] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

[297] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

[298] სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ - მაგ. შესატყვისობა, თანაზომიერება ვიწრო გაგებით, გადამეტებული ზომების აკრძალვა, დასაშვებობა, პროპორციულობა, სიკეთეთა აწონ-დაწონვა.

[299] ე.წ. „პრაქტიკული კონკორდანსი“ სამართლებრივ კატეგორიად გერმანელმა სამართლის მეცნიერმა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამარლოს მოსამართლემ კონრადად ჰასსემ დაამკვიდრა. მისი აზრით, „კონსტიტუციურად დაცული სამართლებრივი სიკეთეები, პრობლემის გადაჭრისას ერთმანეთის გვერდიგვერდ ისე უნდა დალაგდნენ, რომ თითოეულმა მათგანმა თავისი განხორციელება მოიპოვოს. ორივე სიკეთეს უნდა დაუწესდეს ზღვარი, იმისთვის, რომ ორთავემ ოპტიმალურად შეძლონ რეალიზება“. იხ.: Hesse, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland. 20. Aufl., Müller, Heidelberg, 1999, Rn 72.

[300] Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, S. 124.

მიყენებული ზიანი არ უნდა იყოს იმ ინტერესზე აღმატებული, რომლისთვისაც ის იზღუდება.[301] დასაცავია გონივრული ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის.[302] სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს უფლების დაცვას მისთვის სხვა უფლებასთან მიმართებით უსაფუძვლო უპირატესობის მინიჭების გზით.[303]

194 მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით, განსაზღვრული იყო შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებაზე შეზღუდვა განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული ნორმა გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. საკონსტიტუციო სასამართლომ ლეგიტიმური მიზანი შემდეგნაირად შეაფასა: [სადავო ნორმა] „ჩამოთვლის დაწესებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ, მათი ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამდენად, უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს.''[304] თუმცა ჩათვალა, რომ კანონმდებლის მიერ დაწესებული ბლანკეტური აკრძალვა ვერ იქნებოდა მიზნის მისაღწევად გამოსადეგი, რადგან „დაწესებულებები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ შეიძლება იყოს განლაგებული, რომ მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსები ერთმანეთს კვეთდეს“.[305] გარდა ამისა, სასამართლოს აზრით ნორმის არაკონსტიტუციურობა აკრძალვის ბლანკეტურობაში გამოიხატებოდა. რადგან ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად სრული, (ბლანკეტური) აკრძალვა არ იყო აუცილებელი, (რადგან, შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით დაწესებულიყო შეზღუდვა. ასეთი პრაქტიკა არის გერმანიის ქალაქებში, მაგალითად ბერლინში. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით: „სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის პირობებში, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ლანდშაფტის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და დაწესებულებების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზება, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.“ რადგან სადავო ნორმა „იმაზე მეტად ზღუდავს ადამიანის უფლებას, ვიდრე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო“[306] სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

195 აღნიშნული საფეხურები (გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისი) კუმულაციურია და მხოლოდ ჩამოთვლილი, სამივე ელემენტის დადებითად შეფასების შემთხვევაში აქვს ძირითად უფლებაში სახელმწიფოს ჩარევას კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება. თუ თანაზომიერების ტესტის რომელიმე ელემენტი ვერ დააკმაყოფილა ნორმამ,

[301] მაგალითად იხ.: №1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-62.

[302] მაგალითად იხ.: №3/1/512 გადაწყვეტილება, II-60.

[303] დეტალურად იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, 417-418.

[304] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია”, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-55.

[305] იქვე, II- 58.

[306] იქვე.

ის უკვე არაკონსტიტუციურია და ტესტის დანარჩენი ელემენტების ბოლომდე განხილვა აღარ გრძელდება. [307]

4.3.2. ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმება განსაზღვრულობის პრინციპის მიხედვით

196 გარდა თანაზომიერების პრინციპისა, ძირითადი უფლების დარღვევის მატერიალური შემოწმება ხდება განსაზღვრულობის პრინციპით.[308] ისიც, თანაზომიერების პრინციპის მსგავსად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. კანონის შესაბამისი მოქმედება, მხოლოდ სამართლის განსაზღვრულობის პირობებში არის შესაძლებელი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით განსაზღვრულობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან მჭიდრო კავშირშია.[309]

კანონი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მოთხოვნებს და არ ახდენდეს მისივე დარღვევის პროვოცირებას.[310] ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის სამართალშემფარდებლის თვითნებობის რისკებს, ამიტომ, განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს ისეთი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რაც შეამცირებს ამ საფრთხეს და დაიცავს ინდივიდს თვითნებობისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კანონი არ უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავისი საქმიანობის ფარგლები დამოუკიდებლად დაადგინოს, რაც გაზრდიდა ძირითადი უფლებების გადამეტებული შეზღუდვის რისკსა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ცდუნებას.[311]

197 ძირითადი უფლება ირღვევა, თუ მასში ჩარევა, არ აკმაყოფილებს ნორმის განსაზღვრულობის კრიტერიუმს, რომელიც როგორც აღინიშნა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. „ზოგადად, კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისთვის კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას“.[312] ნორმის განსაზღვრულობა არის პირის სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი.[313]

198 ამ თვალსაზრისით საინტერსო მაგალითია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს

[307] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი, გვ 19.

[308] განსაზღვრულობის პრინციპი დეტალურად იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, S. 314 f.

[309] იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

[310] №1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-69.

[311] №1/3/407 გადაწყვეტილება, II-14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-22.

[312] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება № 1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[313] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი, 2017.

მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,[314] კერძოდ კი საქმე ეხებოდა ოპერატიულ/სამძებრო ღონისძიების დროს სატელეფონო ან სხვა საშუალებების ფარული კონტროლის ჩატარებას. მოსარჩელეები დაობდნენ კანონის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი იმაზე, რომ ნორმა ისე იყო ფორმულირებული, რომ იძლეოდა მისი სხვადასხვაგვარი წაკითხვის საშუალებას. სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ყურადღება გაემახვილებინა ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მოთხოვნა და განაცხადა, რომ „კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი, ანუ პირებს კანონი უნდა უქმნიდეს ძალიან მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ“[315] სასამართლომ კიდევ უფრო დააკონკრეტა „უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები [რომელიც უნდა] იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო“[316] სწორედ ამიტომ ნორმა ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. შესაბამისად იგი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

199 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მკაცრად აფასებს ძირითადი უფლებების შემზღუდველი საპოლიციო ფუნქციების დამდგენი ნორმების განსაზღვრულობას. პოლიციელის უფლებამოსილებები მკაცრად და ცხადად უნდა იყოს რეგლამენტირებული, ხოლო მათი საფუძვლები და განხორციელების წინაპირობები კი - მკაფიოდ გაწერილი.[317]

200 გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს სამართლის ნორმების ისე ჩამოყალიბებას, რომ მათმა ადრესატებმა აღიქვან სამართლებრივი მდგომარეობის არსი და შესაბამისად იმოქმედონ.[318]

201 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა“.[319] „ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით..“.[320] ამასთანავე, განსაზღვრულობის მოთხოვნა მკაცრდება ძირითადი უფლების შეზღუდვის ინტენსივობის ზრდასთან ერთად.[321]

202 ერთი მხრივ, შეზღუდვის ადრესატებმა ზუსტად უნდა იცოდნენ ჩარევის მიზანი, წესი, დრო, ფორმა და განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელი საჭიროებს მკაფიო ინსტრუქციებს ჩარევის საფუძვლის,

---

[314] იქვე, II-27.

[315] იქვე, II-28.

[316] იქვე, II-29.

[317] №1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-25.

[318] მაგალითად იხ.: BVerfGE 31, 255 (264); 108, 52 (75); 110, 33 (53 f.); 113, 348 (375); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 58; Mager, Staatsrecht I, S. 355; Papier/Möller, Das Bestimmtheitsgebot, S. 177 (184); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2129; Sachs, GG, Art. 20, Rn. 126; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 289; Stein/Götz, Staatsrecht, S. 156.

[319] 625 №2/2-389 გადაწყვეტილება, II-6.

[320] №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-36.

[321] №1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-61.

მიზნის, წესისა და ინტენსივობის თაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფლების თვითნებური შეზღუდვა.[322]

203 კანონი განუსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს, თუ განმარტების ყველა მეთოდის გამოყენების მიუხედავად, გაუგებარია ნორმის ნამდვილი შინაარსი, ან არსი გასაგებია, მაგრამ ვერ ხერხდება მისი მოქმედების ფარგლების გარკვევა.[323] ხოლო, განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნები დაცულია, თუ განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების ან ზოგადი დათქმის დაზუსტება და სანდო ინტერპრეტაცია შესაძლებელია ნორმის განმარტების ტრადიციული მეთოდებით.[324]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ პრაქტიკაში ნორმის არასწორი განმარტება არ ნიშნავს მის არაკონსტიტუციურობას.[325] და პირიქით არც კონსტიტუციის შესატყვისი სამართალგამოყენება, პრაქტიკა გულისხმობს სადავო ნორმის კონსტიტუციასთან a priori შესაბამისობას,[326] თუ ნორმის ფორმულირება/გადმოცემა არის არაკონსტიტუციური. [327]

204 იმ შემთხვევაში როდესაც სადავო ნორმის შინაარსი და მისი გამოყენების პრაქტიკა განსხვავდება, სასამართლო ამოწმებს, ხომ არ გამოიწვია ეს ნორმის შეუსაბამობამ სამართლებრივი უსაფრთხოების, მათ შორის განსაზღვრულობის, მოთხოვნებთან. ამ დროს გამოიყენება კეთილსინდისიერი განმარტების ტესტი, რომლის არსიც შემდეგშია: ნორმა სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუ კეთილსინ-დისიერი განმარტების პირობებში, შეუძლებელია მისი თვითნებური და ადამიანის უფლებებისთვის საზიანო გამოყენება. [328]

4.4. კაზუსის ამოხსნა ძირითად უფლებებში

205 გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე სამართლის მეცნიერებათა შესწავლა არ ეყრდნობა მხოლოდ წმინდად თეორიული სწავლების მეთოდს. მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია სამართლებრივი საკითხების პრაქტიკული გადაჭრის უნარის განვითა-რება. სამართლებრივი თეორიების და კონკრეტული რეგულაციების სრულყოფილი ცოდნის მისაღებად აუცილებელია სტუდენტმა იგი კონკრეტული მაგალითების, შემთხვევების დამუშავებისა და გადაწყვეტის პარალელურად შეისწავლოს. სწორედ ამისათვის არსებობს კაზუსის ამოხსნისათვის დადგენილი მეთოდიკა. მისი ცოდნა ხელს უწყობს სტუდენტს ყურადღების მიღმა არ დარჩეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო საკითხები. შემუშავებული მეთოდი მართალია ვერ შეავსებს თეორიული ცოდნის დეფიციტს, მაგრამ იგი დაეხმარება სტუდენტს, რომ მისი ცოდნა გამოყენებული იქნეს სწორად და მივიდეს დასაბუთებულ დასკვნამდე.

---

[322] №1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-23.

[323] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II-19; №2/1/631 გადაწყვეტილება, II-17.

[324] BVerfGE 90, 1 (16 f.); 92, 365 (409 f.); 117, 71 (111 f.); 118, 168 (188); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2204; Sachs, GG, Art. 20, Rn. 127.

[325] მაგალითად იხ.: №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-44.

[326] თუმცა, ამგვარი პრაქტიკის არსებობა სასამართლოსთვის დამატებითი არგუმენტია მისი კონსტიტუციურობის დასამტკიცებლად- იხ. №1/3/538 გადაწყვეტილება, II-15; №2/1/631 გადაწყვეტილება, II-53.

[327] №1/3/407 გადაწყვეტილება, II-28; №2/1/536 გადაწყვეტილება, II-47.

[328] №2/2-389 გადაწყვეტილება, II-6; №1/3/538 გადაწყვეტილება, II-3,6; №3/2/646 გადაწყვეტილება, II-69.

206 კაზუსის ამოხსნისას უპირველეს ყოვლისა საჭიროა კაზუსის ფაბულის (მოცემულობის/პირობის) სწორი და ნეიტრალური გააზრება. ამ ეტაპზე ხდება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და არა ამ პრობლემატიკის ინტერპრეტაცია, ანალიზი ან შეფასება მკითხველის მიერ. მისი სათანადო გაგების გარეშე ვერ მოხდება მსჯელობა სწორი მიმართულებით და ვერც საკვანძო კითხვაზე პასუხი იქნება ადექვატური. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია საფუძვლიანად იყოს გაგებული თვით კაზუსის ფაბულა, რათა ბოლომდე სწორად წარიმართოს მსჯელობა. ფაბულის სწორად გაგება შესაძლოა ვარაუდის სახითაც დაზუსტდეს. მაგალითად შემდეგი ფორმულირებით: დასადგენია, საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციას.

207 მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი კონცენტრირებული იყოს კაზუსში დასმულ საკვანძო კითხვაზე პასუხის განსაზღვრაზე და არა თემის ირგვლივ ზოგად მსჯელობაზე. თუ ამოცანა არასწორად იქნა გაგებული, ბუნებრივია დასკვნა ვერ იქნება მართებული. შესაძლოა კაზუსის ამოხსნა (დასმული კითხვიდან გამომდინარე) სარჩელის მხოლოდ დასაშვებობით შემოიფარგლებოდეს ან კითხვა სადავო ნორმის მხოლოდ ფორმალური კონსტიტუციურობის დადგენას ითხოვდეს. იმ შემთხვევაში თუ კითხვა ზოგადია, (მაგალითად დაადგინეთ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა) კაზუსში, მაშინ პირველ ეტაპზე დგინდება სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებობა, შემდეგ ეტაპზე განხილული უნდა იქნეს იყო თუ არა ჩარევა ძირითადი უფლებით დაცული სფეროში, ბოლოს კი გაანალიზებული იქნეს სადავო ნორმის ფორმალური და მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან თანაზომიერების პრინციპის მიხედვით.[329]

4.4.1. კაზუსის ამოხსნის მოდელების კლასიფიკაცია და საკონსტიტუციო სამართალწარმოება

208 ადამიანის ძირითად უფლებაში ჩარევის შემთხვევების (კაზუსის) კლასიფიცირება შესაძლოა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. შემოთავაზებული მეთოდიკით ჩარევის შემთხვევები პირობითად დაყოფილია ოთხად. შესაბამისად აღნიშნულ მეთოდიკა შედგება კაზუსის ამოხსნის ოთხი სხვადასხვა მოდელისაგან.[330] შემთხვევები და შესაბამისად მათი ამოხსნის მოდელებიც დაჯგუფებულია შემდეგი პრინციპით:

209 • პირველი, როცა სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს მოქმედებით (აქტიურობით) ირღვევა ადამიანის თავისუფლების უფლება ან მისი პროცესუალური უფლება; კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელში გაერთიანებულია ის შემთხვევები, როცა ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ მისი ნეგატიური ვალდებულების შეუსრულებლობით.

210 • მეორე, სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს უმოქმედობით (პასიურობით) ძირითადად ირღვევა ადამიანის სოციალური ან ზოგჯერ პროცესუალური, თავისუფლების უფლება; პირველი მოდელისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მისი

[329] იხ. დეტალურად ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში გვ. 5, თბილისი 2016.
[330] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში გვ. 5, თბილისი 2016.

უმოქმედობით, ან არასაკმარისი მოქმედებით სავარაუდოდ არღვევს მის პოზიტიურ ვალდებულებას, ან დაცვის სახელმწიფო ვალდებულებას.

- მესამე, როდესაც სახელმწიფოს მოქმედებით ან უმოქმედობით იზღუდება ადამიანის თანასწორობის უფლება ადამიანთა სხვა ჯგუფთან შედარებით; აქ დაჯგუფებულ კაზუსებში თანასწორობის ძირითადი უფლება ირღვევა, იმის მიუხედავად სახელმწიფოს ჰქონდა კონკრეტულ შემთხვევებში ნეგატიური თუ პოზიტიური ვალდებულება. 211

- მეოთხე, როცა ივარაუდება, რომ სახელმწიფოს ქმედებით ადამიანის უნივერსალურ უფლებაში (კონსტიტუციის მე-9 მუხლი) ხორციელდება ჩარევა. 212

პრაქტიკული რელევანტურობიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ყველაზე უფრო ხშირად ძირითად უფლებაში ჩარევის პირველი შემთხვევა გვხვდება. შესაბამისად, იგი აშრომში კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელად განიხილება.

213 მოცემული სქემა ქმნის ზოგად წარმოდგენას თუ როგორი პროცედურით განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითად უფლებაში ჩარევას, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, ამ უკანასკნელს ასევე შეიძლება ვუწოდოთ „ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი“. [331]

[331] დასახელების განმარტებასთან დაკავშირებით იხ. Loladze, Rechtsstaatsprinzip, S. 334-336.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას

4.4.2. კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელი

214 კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელი უნდა იქნეს შერჩეული მაშინ, როცა კაზუსის პირობის გაანალიზების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ სახელმწიფო აქტიური მოქმედებით ერევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

215 კაზუსის ფაბულის ზუსტად გააზრების შემდეგ, იწყება მისი ამოხსნა. პირველ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს ორ შეკითხვას: არის თუ არა პირი საგნობრივად და პერსონალურად - კონსტიტუციით დაცული.

216 ა) საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით არის ადამიანის კონკრეტული უფლება დაცული (საგნობრივად დაცული); საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული ადამიანის უფლებები პრაქტიკულად ადამიანის თითქმის ყველა უფლებას ფარავს. მაგრამ აუცილებელია დაზუსტდეს კონკრეტული ძირითადი უფლებით დაცული სფერო, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არის შეზღუდული.

217 ბ) კაზუსის ამოხსნის ამ ეტაპზე დასადგენია თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოთ შეიზღუდა, ამ უფლების სუბიექტი და მიადგა (ან შეიძლება მიადგეს) თუ არა მას სადავო ნორმით/რეგულაციით უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი. ე.ი. იცავს თუ არა კონსტიტუცია მას აღნიშნულ შემთხვევაში პერსონალურად.

218 კაზუსის ამოხსნის მეორე ეტაპზე უნდა გაირკვეს:

ა) მოხდა თუ არა კონსტიტუციით დაცულ სფეროში საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული მოქმედებით ჩარევა. საჯარო ხელისუფლებად ჩაითვლება ყველა ის ორგანო, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო უფლებამოსილება.

219 ბ) რა საშუალებით (რომელი სამართლებრივი აქტით) მოხდა პირის ძირითად უფლებაში ჩარევა. საქართველოს კონსტიტუციის (მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის) მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. შესაბამისად უნდა დადგინდეს, არის თუ არა აქტი რომლითაც პირს ზიანი მიადგა ნორმატიული[332].

220 კაზუსის ამოხსნისას ყველაზე მნიშვნელოვანია მესამე ეტაპი - ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება. თავდაპირველად უნდა დადგინდეს, რამდენად კონსტიტუციურია საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის ძირითად უფლებაში ჩარევა. უპირველესად ყურადღება უნდა გამახვილდეს სადავო ნორმის კონსტიტუციასთან ფორმალურ შესაბამისობაზე. პასუხი უნდა გაეცეს სამ კითხვას:

ა) ჰქონდა თუ არა სადავო ნორმის მიმღებ ორგანოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია

ბ) დაცული იყო თუ არა ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა

გ) დაცულია თუ არა ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა

221 თუკი კაზუსის მოცემულობაში არ იკვეთება, რომ სადავო ნორმა ფორმალური თვალსაზრისით დარღვევით არის მიღებული, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი

[332] სამართლებრივი აქტის ნორმატიულობას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს არა სამართლებრივ ჭრილში, არამედ იმ კუთხით თუ რამდენად არის იგი ნორმატიული საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია. სხვა შემთხვევაში, როცა კონსტიტუციის მუხლი მიუთითებს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა მხოლოდ ორგანული კანონით შეიძლება, ვადგენთ სადავო ნორმის ფორმალურ შეუსაბამობას კონსტიტუციასთან და არ ვაგრძელებთ განხილვას.

222 კაზუსის ამოხსნის ამავე ეტაპზე ასევე უნდა შეფასდეს სადავო რეგულაციის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან. ეს ნაწილი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კაზუსის სწორი ამოხსნისათვის. მსჯელობა ამ ეტაპზე ლოგიკურ და მყარ არგუმენტაციას ეყრდნობა. კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს თუ სად გადის დაცულ სფეროში ჩარევის ზღვარი.[333] ადამიანის ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური ზღვარი მიუთითებს დაცულ სფეროში ჩარევის ერთ ან რამდენიმე შესაძლებლობაზე. თუ კონსტიტუციის მუხლი არცერთ ჩამოთვლილ ზღვარს არ მიუთითებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითად უფლებაში ჩარევა საჯარო ხელისუფლებას საერთოდ არ შეუძლია. კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აწესებენ „შიდა კონსტიტუციურ ზღვარს“, რომლის თანახმად: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“.

223 ამ ეტაპზე გამოყენებული უნდა იქნას თანაზომიერების პრინციპი[334], რომლის თანახმადაც უნდა დასახელდეს გონივრული ლეგიტიმური მიზანი. რომლის მისაღწევად შერჩეული საშუალება გამოსადეგი იყოს. ძირითად უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად. (რაც გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა ალტერნატიული საშუალებიდან ხელისუფლების მიერ დაწესებული საშუალება ყველაზე ნაკლებად მზღუდავია სუბიექტისთვის). სადავო ნორმა შესაბამისობის კრიტერიუმსაც უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისობის დადგენისას უნდა მოხდეს ინტერესთა აწონ-დაწონვა - ე.წ. „პრაქტიკული კონკორდანსი“.

224 გასათვალისწინებელია, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ნორმატიული აქტის განსაზღვრულობა. შესაბამისად, ნორმა უნდა შემოწმდეს ამ კრიტერიუმითაც.[335]

კაზუსის ამოხსნას აუცილებლად უნდა ასრულებდეს შესაბამისი დასკვნა, რომელიც ან უნდა ადასტურებდეს ან არ ადასტურებდეს დასაწყისში გამოთქმულ ვარაუდს ძირითადი უფლების, ან უფლებების დარღვევის შესახებ.

225 უკეთესი აღქმადობისათვის იხილეთ კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელის სტრუქ-ტურირებული გეგმა. იგი უზრუნველყოფს აზრის ჩამოყალიბების თვალსაჩინოებას.

[333] კონსტიტუციურ სამართლებრივი ზღვარის შესახებ იხ. ამ 4.1. ქვეთავი.

[334] თანაზომიერების პრინციპის განმარტება იხ. თავი 4.3.1.

[335] იხ. თავი 4.3.2.

სქემა 1. კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელის გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივად დაცული სფერო;

2. პერსონალურად დაცული სფერო:

ა. პირდაპირი ზიანი;

ბ. უშუალო ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ;

2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორმატიული აქტით;

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:

ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;

ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;

გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.

დ. ზღვარი (დათქმა):

ა.ა) კანონის კონკრეტული დათქმა;

ა.ბ) სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა;

ა.გ) უშუალო კონსტიტუციური ზღვარი;

ა.დ) შიდა კონსტიტუციური ზღვარი.

2. ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან.

ა. თანაზომიერების პრინციპი:

- ლეგიტიმური მიზანი;
- გამოსადეგობა;
- აუცილებლობა;
- შესაბამისობა.

ბ. ნორმის განსაზღვრულობა;

IV. დასკვნა

4.4.3. კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელი

კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელი გამოიყენება მაშინ, როცა კაზუსის მოცემულობიდან 226
სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს აქვს მოქმედების (პოზიტიური) ვალდებულება და იგი ამ ვალდებულებას არ ასრულებს. ამ შემთხვევაში ძირითადი უფლება ირღვევა მაშინ, როცა

მისი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო არ მოქმედებს პოზიტიურად, ან მისი მოქმედება არ არის საკმარისი.

227 ამ დროს სახელმწიფოს ორმხრივი ვალდებულება იკვეთება. პირველი, საჯარო ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას პირი არამხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ მესამე პირებისაგან მომდინარე საფრთხეებისაგან, ასეთ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს კონკრეტული ზომები, განახორციელოს კონკრეტული მოქმედებები, რათა დაიცვას პირის ძირითადი უფლებები სხვათა ჩარევისაგან. მეორეს მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია პოზიტიურად იმოქმედოს პირის სასარგებლოდ. აღნიშნული პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ე.წ. მფარველობითი და სოციალური უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფისას ეკისრება.

228 კონსტიტუციაში გარანტირებული სოციალური უფლებანი ზოგიერთ შემთხვევაში არ წარმოადგენენ პირის სუბიექტურ უფლებებს, ისინი ზოგჯერ კონსტიტუციის მიერ აღიარებული, სახელმწიფოს ობიექტური ღირებულებებია[336].

229 სახელწმიფოსთვის პირის მიერ პოზიტიური ვალდებულის შესრულების მოთხოვნისას, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელში ხშირად თანასწორ მოპყრობაზეც ხდება აპელირება. თუ სახელმწიფო უკვე უზრუნველყოფს ადამიანთა ერთი ჯგუფისადმი სოციალურ, მფარველობით უფლებებს, მაშინ თანასწორობის პრინციპი მოითხოვს მათი არსებითად თანასწორების თანასწორად მოპყრობას. შესაბამისად, ამგვარ უფლებებზე დავის შემთხვევაში, მოსარჩელისათვის ხელსაყრელია თანასწორობის უფლებაზე აპელირება, თუმცა იმ შემთხვევაში თუკი არსებობს შესადარებელი ჯგუფი, რომელიც უკვე სარგებლობს ამა თუ იმ სოციალური, მფარველობითი უფლებით.

230 ამ კატეგორიის ძირითადი უფლებების სამართლებრივი კონტროლის უზრუნველყოფა ორ ეტაპად ხორციელდება: I. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრა და II. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენა. როდესაც რომელიმე ძირითადი უფლების დასაცავად კანონმდებლის მიერ არანაირი ღონისძიება არ არის მიღებული, ან შერჩეული საშუალება სრულად გამოუსადეგარი და აშკარად არასაკმარისია მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო არღვევს მის პოზიტიურ ვალდებულებას. (არასაკმარისი ზომების აკრძალვა) ამ შემთხვევებში, საქმე გვაქვს არა უფლებით დაცულ სფეროში ჩარევასთან და ზომაზე მეტად ჩარევის შემოწმებასთან (გადამეტების აკრძალვა), როგორც ეს კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელში ძირითად უფლებებში სახელმწიფოს ჩარევით ხდება, არამედ პირიქით სახელმწიფოს უმოქმედობასთან, მის მიერ ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ან ზომაზე (აუცილებელზე) ნაკლებად შესრულებასთან. შესაბამისად, კაზუსის ამოხსნა ამ შემთხვევაში სხვაგვარი სტრუქტურული გეგმით წარიმართება.

231 პირველ ეტაპზე (ისე როგორც ეს კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელში), პასუხი უნდა გაეცეს ორ შეკითხვას. არის თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული. ა) საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით, მუხლით, წინადადებით თუ სიტყვით არის ადამიანის კონკრეტული უფლება დაცული (საგნობრივად დაცული); ბ) კაზუსის ამოხსნის მეორე ეტაპზე დასადგენია თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც

[336] Schmidt, Grundrechte, sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde, 17., Aufl. 2015. Rn 14.

სავარაუდოდ შეიზღუდა, ამ უფლების სუბიექტი და მიადგა (ან შეიძლება მიადგეს[337]) თუ არა მას სადავო ნორმით/რეგულაციით უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი. ე.ი. დგინდება, არის თუ არა პირ(ებ)ი საქართველოს კონსტიტუციით პერსონალურად დაცული.

232 აღნიშნული კატეგორიის უფლებების შემოწმებისას არსებობს ორგვარი შემთხვევა. პირველი, როცა საერთოდ არ არსებობს რეგულაცია, რომელიც კონსტიტუციის საფუძველზე ხელისუფლებას/კანონმდებელს უნდა შეექმნა. ასეთ შემთხვევაში, არ არსებულ ნორმაზე რთულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლის განხორციელება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (ხელისუფლების დანაწილებაში მისი „ნეგატიური კანონმდებლის“ ადგილიდან გამომდინარე) საკუთარი გადაწყვეტილებით პირდაპირ არ შეუძლია შექმნას სამართლებრივი რეგულაცია. იგი მხოლოდ ძალადაკარგულად აცხადებს არსებულ სამართლებრივ ნორმას.[338] თვით რეგულაციის არ არსებობის კონსტიტუციურობის დადგენა კი (განსხვავებით სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებისაგან),[339] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს[340]. საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივ წესრიგს სრულყოფს მხოლოდ არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებით.

233 მეორე შემთხვევაა, როცა მართალია, არსებობს სამართლებრივი რეგულაცია, საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, მაგრამ იგი პირთა განსაზღვრულ ჯგუფებს არ აძლევს ამ რეგულაციით სარგებლობის უფლებას.

234 კაზუსის ამოხსნის შემდეგი ეტაპი არის სადავო ნორმით ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმება. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს სამართლებრივი რეგულაცია, სასამართლო არ მიიღებს საქმეს განსახილველად, მაგრამ თუ სადავო რეგულაცია სახეზეა უნდა შემოწმდეს ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:

ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;

ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;

გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.

235 იმ შემთხვევაში თუ კაზუსის მოცემულობაში არ არის მითითებული სადავო ნორმის მიღების ფორმალური მხარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნორმა ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია. მეორე ეტაპზე უნდა დავადგინოთ მისი მატერიალურ-სამართლებრივი შესაბამისობა კონსტიტუციასთან. ამ შემთხვევაში ვადგენთ, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს უმოქმედობას და თუ არის იგი მისი უმოქმედობის (პოზიტიური მოქმედებისაგან თავის შეკავების) პროპორციული.

---

[337] იხ. დეტალურად ტუღუში, მენაბდე, ბურჯანაძე, გოცირიძე, მშვენიერაძე, გ.: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 609-612.

[338] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ/არ მიმართავს პარლამენტს სამართლებრივი რეგულაციის მიღების რეკომენდაციით იმ შემთხვევაშიც კი თუ რეგულაციის არ არსებობა სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის. თუმცა სამართლებრივი რეგულაციის არ არსებობა შესაძლოა ზუსტად ისე ზღუდავდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, როგორც რომელიმე კონკრეტული არაკონსტიტუციური რეგულაცია.

[339] გერმანია, ჩეხეთი იტალია და სხვა.

[340] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 დეკემბრის №494-ე განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

236 სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ნორმატიული აქტის განსაზღვრულობის მოთხოვნა, რადგან კანონმდებელი ვალდებულია მიიღოს ზუსტი, მკაფიო, კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას.“[341] ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას.

237 საბოლოოდ კაზუსის ამოხსნას უნდა ასრულებდეს დასკვნა, რომელიც პასუხობს კაზუსის დასაწყისში დასმულ შეკითხვას. დასკვნა არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი. მისი ფორმულირება უნდა იყოს მარტივი და გასაგები.

სქემა 2. კაზუსი ამოხსნის მეორე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივი დაცული სფერო;

2. პერსონალური დაცული სფერო:

ა. უშუალო ზიანი;

ბ. რეალური ზიანი;

გ. პირდაპირი ზიანი.

1. სახელმწიფოს კონკრეტული პოზიტიური ქმედების ვალდებულების არსებობა კონსტიტუციაში;

2. სახეზეა თუ არა ნორმატიული აქტი რომელიც სავარაუდოთ ზღუდავს ძირითად უფლებას.

II. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**

ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;

ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;

გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.

2. **ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**

ა. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი;

ბ. პროპორციულობა;

გ. ნორმის განსაზღვრულობა.

დასკვნა.

[341] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება N 1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

4.4.4. კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელი

238 კაზუსის ამოხსნის ეს მოდელი სრულიად განსხვავდება პირველი და მეორე მოდელებისაგან, რადგან ამ შემთხვევაში განვიხილავთ თანასწორობის უფლებებით დაცულ ძირითად უფლებებს (კონსტიტუციის მე-11, და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში 24-ე, 25-ე მუხლები). ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ეს თავისუფლების უფლებების დროს, თუკი თანასწორობის უფლებას იცავს რამდენიმე მუხლი, მათგან სადავო ნორმატიული აქტის მიმართება უნდა დავადგინოთ არა ზოგად, არამედ უფრო სპეციალურ უფლებასთან. განსხვავებით თავისუფლებების უფლებებისაგან, ამ შემთხვევაში არ ვადგენთ სახელმწიფოს ჩარევას ძირითად უფლებაში.

239 თანასწორობის უფლებებთან დაკავშირებით სტრუქტურა ორსაფეხურიანია: პირველად დგინდება სახელმწიფოს მიერ უთანასწორო მოპყრობა. შემდეგ კი აქვს თუ არა ასეთ მოპყრობას გამართლებული საფუძველი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებამ ზოგადი თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც დაიმკვიდრა ადგილი[342]: „ზოგადი თანასწორობის პრინციპი ითხოვს კანონმდებლისაგან, რომ არსებითად თანასწორებს თანასწორად, არსებითად უთანასწოროებს კი უთანასწოროდ მოეპყროს“. შესაბამისად, თანასწორობის უფლება ირღვევა მაშინ, როცა საჯარო ხელისუფლება არსებითად თანასწორს უთანასწოროდ, ხოლო არსებითად უთანასწოროს თანასწორად ეპყრობა.

240 სამართლებრივ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული სიტყვები „არათანაბარი მოპყრობა“ არ განიხილება ტერმინ „დისკრიმინაციის“ სინონიმად.[343] თუ სახეზეა მოცემულობა, რომ ადამიანთა ორ ან რამდენიმე ჯგუფს სახელმწიფო არათანაბრად ეპყრობა, ეს იმთავითვე დისკრიმინაციას არ ნიშნავს. თუკი კაზუსის ამოხსნის შედეგად დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დაყოფა (დიფერენციაცია) შესადარებელ ჯგუფებს შორის თვითნებური და გაუმართლებელია, მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ არამხოლოდ არათანაბარ მოპყრობაზე, არამედ ასევე დისკრიმინაციაზე. ე.ი. ადამიანთა არასწორი ნიშნით დიფერენციაცია და მათი არათანაბარი მოპყრობა არის დისკრიმინაცია.

241 კაზუსი ამოხსნის პირველ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე კითხვას. კონსტიტუციის მე-11 მუხლით დადგენილი არათანასწორი მოპყრობის დასადგენად უპირველეს კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არიან საჯარო ხელისუფლების მიერ (1) გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე (2) დიფერენცირებულ მდგომარეობაში მყოფი პირები არსებითად თანასწორნი ან თანაბარ სამართლებრივ სიტუაციაში მყოფი პირები რამდენად არიან არსებითად არათანასწორები კონკრეტულ ურთიერთობაში. ამგვარად, უნდა არსებობდეს დიფერენცირების ნიშანი (3), რომლის საფუძველზეც შესაძლოა პირთა ჯგუფების იდენტიფიცირება (4).

242 კაზუსის ამოხსნის პირველ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: არის თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული; ა). საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით, მუხლით,

[342] BVerfGE 98, 365 (385). „Der allgemeine Gleichheitssatz des Art. 3 Abs. 1 GG gebietet dem Gesetzgeber, wesentlich Gleiches gleich und wesentlich Ungleiches ungleich zu behandeln“.

[343] Pieroth, Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28. Aufl. Rn. 470 ff, Ipsen, J., Staatsrecht II, Grundrechte, 15. Aufl. Rn 793 ff, Sunjid, D., Der Gleichheitsgrundsatz in Bezug auf das allgemeine Gleichbehandlungsgesetz im deutschen und mongolischen Recht. München, S. 101.

წინადადებით თუ სიტყვით არის ადამიანის კონკრეტული თანასწორობის უფლება დაცული (სპეციალური თუ ზოგადი თანასწორობის უფლებით); ასეთ შემთხვევაში ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპი: Lex specialis derogat legi generali. შესაბამისად, გამოიყენება სპეციალური და არა ზოგადი ნორმა. როდესაც სახეზეა რამდენიმე თანასწორობის ძირითადი უფლების დარღვევის შესაძლებლობა, განხილვა უნდა დავიწყოთ შედარებით სპეციალური ხასიათის თანასწორობის ძირითადი უფლებით. სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შედარებით ზოგადი ხასიათის ძირითადი უფლების დარღვევის საკითხი საერთოდ აღარ განიხილება მაგ. თუ დარღვეულია არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლება, თანასწორობის ზოგადი ძირითადი უფლების (მუხლი 11) დარღვევის საკითხის განხილვა საჭირო არ არის. ბ) თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოდ შეიზღუდა, ამ უფლების სამართალსუბიექტი და მიადგა (ან შეიძლება მიადგეს) თუ არა მას, სადავო ნორმით/რეგულაციით უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი. ე.ი. დგინდება, არის თუ არა პირი/პირები საქართველოს კონსტიტუციით პერსონალურად დაცული.

243 მეორე ეტაპზე, უნდა დადგინდეს ზემოქმედებს თუ არა საჯარო ხელისუფლება გარკვეულ პირზე (პირთა წრეზე); მესამე, საჯარო ხელისუფლების აქტი უნდა იყოს ნორმატიული, რათა პირმა შეძლოს მისი კონსტიტუციური წესით გასაჩივრება. მეოთხე, ერთნაირი შემთხვევების მიმართ უნდა დადგინდეს თანაბარი დამოკიდებულება, ან პირიქით სხვადასხვა შემთხვევების მიმართ თანაბარი მოპყრობა რაიმე ნიშნით. ე. ი. დადგინდეს დიფერენციაციის ნიშანი[344].

244 მეხუთე, საბოლოდ, უნდა განვსაზღვროთ, შესადარებელი ჯგუფები. არსებობს თუ არა მსგავსება განხილულ პირებს (პირთა წრეებს) და/ან სიტუაციებს შორის. საამისოდ უნდა დადგინდეს, აღენიშნებათ თუ არა შესადარებელ პირებს და სიტუაციებს საერთო პუნქტი (tertium comparationis), ანუ შეიძლება თუ არა ისინი გავაერთიანოთ რაიმე ზემდგომი ცნების (genus proximum) ქვეშ.

245 იმისთვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს ორი, ან მეტი ჯგუფი, უნდა გამოვყოთ ერთმანეთისაგან შესადარებელი ჯგუფები, რომლებსაც ექნებათ ერთი საერთო ნიშანი/ დასახელება, რომელიც აერთიანებთ მათ. კონსტიტუციით დაწესებული დისკრიმინაციის აკრძალვა საჯარო ხელისუფლებისაგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით.

246 კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელის პირველი ეტაპის დასრულებისას მსჯელობის შეჯამებისათვის საჭიროა გაკეთდეს შუალედური დასკვნა. შუალედურ დასკვნაში პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ კითხვას, თუ რამდენად არის პირი სამართალსუბიექტი, არის თუ არა დაცული სიკეთე კონსტიტუციის რომელიმე მუხლით დაცული, სავარაუდო დარღვევა მოხდა თუ არა საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმატიული აქტის საფუძველზე და არსებობს თუ არა დიფერენციაციის ნიშანი/კრიტერიუმი და შესადარებელი ჯგუფები.

247 ყოველგვარი დიფერენციაცია ვერ იქნება დისკრიმინაცია. სწორედ იმის შესამოწმებლად, არის თუ არა სახელმწიფოს ქმედება დისკრიმინაციული გამოიყენება არათანაბარი

[344] წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობას აღარ გააგრძელებს. იხ. ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. გვ 34.

მოპყრობის შემოწმების რაციონალური ან მკაცრი შეფასების ტესტი. განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ თუ რომელი ტესტის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

248 თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, მარტივ რაციონალიზაციას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. რაციონალური ტესტის შემთხვევაში საკმარისია არსებობდეს საჯარო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ახსნა, რომელიც ასეთი მოპყრობის გონივრულ და რაციონალურ მიზეზს წარმოადგენს. რაციონალური შეფასების ტესტი აღარ საჭიროებს ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებას და მისი პროპორციულობის ტესტით შემოწმებას. თუმცა სხვაგვარად უნდა მივუდგეთ იმ შემთხვევებს როცა პირთა დიფერენციაცია ხდება კლასიკური, სპეციფიური ნიშნებით (რომელიც კონსტიტუციის მე-11 მუხლშია მოცემული) ან ასეთი დიფერენციაციის შედეგად ირღვევა რომელიმე სხვა ძირითადი უფლება თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია და იგი ცალსახად უსაფუძვლოა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას მკაცრი შეფასების ტესტი და ნორმა ფასდება თანაზომიერების პრინციპის მიხედვით (გამოსადეგობა, აუცილებლობა, შესაბამისობა). „მკაცრი ტესტის“ ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“.

249 ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში აუცილებელია კანონმდებელმა მიზნის მისაღწევად უფლებაში ჩარევის თანაზომიერი გზა აირჩიოს. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი (დასაშვები), მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი და პროპორციული.

ბოლო ეტაპზე აუცილებელია დაიდოს დასკვნა, რომელიც გარკვევით აღწერს არის თუ არაკონსტიტუციური სადავო ნორმა.

სქემა 3. კაზუსი ამოხსნის მესამე მოდელის სტრუქტურული გეგმა

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივი დაცული სფერო;
2. პერსონალური დაცული სფერო:

ა. უშუალო ზიანი;

ბ. რეალური ზიანი;

გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორმატიული აქტით;
3. დიფერენციაციის დადგენა:

ა. შესადარებელი ჯგუფები;

ბ. ჯგუფებისათვის „ზემდგომი ცნების“ განსაზღვრა;

გ. დიფერენციაციის ნიშანი/კრიტერიუმი.

შუალედური დასკვნა

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**

ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;

ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;

გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.

2. **ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან**

ა. შეფასების ტესტის განსაზღვრა;

ა.ა) რაციონალური და გონივრული ახსნა.

ან

ა.ბ) მკაცრი შეფასების ტესტის განსაზღვრა:

- ლეგიტიმური მიზანი;
- გამოსადეგობა;
- აუცილებლობა;
- შესაბამისობა.

ბ. ნორმის განსაზღვრულობა.

IV. დასკვნა.

4.4.5. კაზუსის ამოხსნის მეოთხე მოდელი

250 კაზუსის ამოხსნის ბოლო, მეოთხე მოდელი გამოიყენება მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან გვაქვს საქმე. კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ადამიანის ღირსება, ხოლო მეორე პუნქტით ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. შესაბამისად, ადამიანის ღირსების შესაძლო შელახვისას გამოიყენება სახელმწიფოს მიერ „ადამიანის ობიექტად გამოყენების" ტესტი, ხოლო მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წამების აკრძალვის შემთხვევებისას კი ვიყენებთ ჩარევის შემოწმების ე.წ. „4 კომპონენტიან" ტესტს. კაზუსის ამოხსნის მეოთხე სქემისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას შემოწმების მხოლოდ პირველი ეტაპი აქვს. როგორც კი დავადგენთ, რომ სახელმწიფომ განახორციელა ჩარევა კონსტიტუციის მე-9 მუხლში, დგინდება, რომ სახელმწიფომ ხელყო ადამიანის ღირსება. ამ შემთხვევაში არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც მისცემს სახელმწიფოს უფლებას უღირსად მოექცეს ადამიანს, ან სასტიკად, არაადამიანურად მოეპყროს მას. ისინი მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ სფეროებს და მათში ნებისმიერი ჩარევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამიტომ კაზუსის ამოხსნის ეს, მეოთხე მოდელი განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს.

251 ამ მეთოდით კაზუსის ამოხსნის პირველ ეტაპზე (ისე როგორც ყველა სხვა მეთოდით კაზუსის ამოხსნისას) მოწმდება არის თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული. ა) საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით არის ადამიანის კონკრეტული უფლება დაცული (საგნობრივად დაცული); ბ) დასადგენია თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოდ შეიზღუდა, ამ უფლების მატარებელი სუბიექტი. ადამიანის ღირსების შინაარსის დადგენა გაცილებით რთულია, ვიდრე მისი მატარებელი სუბიექტისა. ღირსება აქვს არათუ ყველა ცოცხალ ადამიანს, არამედ ემბრიონს და ასევე გარდაცვლილს. შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირი არის ადამიანი ღირსების მატარებელი, რაც მის საგნობრივად დაცულ სფეროს შეეხება, იგი არის არამხოლოდ იურისტების, არამედ ფილოსოფოსების, სოციოლოგებისა და სხვა მეცნიერების მსჯელობის საგანი. მართალია, იურისპრუდენცია მხოლოდ ჰიპოთეტურად ადგენს მის მიერ საგნობრივად დაცული სფეროს ფარგლებს, თუმცა კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობით ადამიანი ღირსების მატარებელია იმიტომ, რომ იგი ადამიანად არის გაჩენილი. შესაბამისად, იგი (მიუხედავად მისი სტატუსისა, საქციელისა ან ყველა სხვა თვისებებისა) იმსახურებს პატივისცემასა და ღირსეულ მოპყრობას.

4.4.5.1. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შემოწმება

252 კაზუსის ამოხსნის მეორე ეტაპზე უნდა დადგინდეს, მოხდა თუ არა ჩარევა სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში და რა საშუალებით. თუკი დადგინდა, რომ ადამიანის ღირსებაში ჩარევა დადგინდა, მაშინ შემდეგ ეტაპზე (ჩარევის გამართლებაზე) აღარ შეიძლება იყოს მსჯელობა, რადგან ღირსების უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა, ამ უფლების დარღვევის ტოლფასია. სამართალში დამკვიდრებული ტესტის მიხედვით ადამიანის ღირსების შემოწმების

ტესტი ეყრდნობა „ობიექტად გამოყენების“ ფორმულას[345] და იგი შემდეგნაირია: ადამიანის ღირსება ირღვევა მაშინ, თუკი იგი სახელმწიფოში დამცირებულია როგორც შიშველი ობიექტი[346] და ასეთი დამცირება პრინციპულად ეჭვქვეშ აყენებს მისი როგორც ადამიანის, სუბიექტურ ღირებულებასა და ხარისხს[347].

253 დასკვნის სახით იწერება მოხდა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან მისი პოზიტიური ან/და ნეგატიური ქმედებით ჩარევა (რაც ამ შემთხვევაში იგივეა რაც დარღვევა) კონსტიტუციის მე-9 მუხლში.

4.4.5.2. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შემოწმება

254 თუკი კაზუსის მოცემულობის ანალიზისას სავარაუდოა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, მაშინ ვიყენებთ აღნიშნულ 4 კომპონენტიან ტესტს. ამ პუნქტებით გათვალისწინებული „კონსტიტუციური აკრძალვა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების თაობაზე ადამიანების აბსოლუტური უფლებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლებებში ჩარევას“[348]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებული კაზუსების ამოხსნისას, ჩარევის დასადგენად საჭიროა რამდენიმე კომპონენტის განხილვა. ეს არის ე.წ. „4 კომპონენტიანი“ ტესტი. თუკი რომელიმე მათგანი სახეზეა ვადგენთ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ჩარევას, რაც დარღვევის ტოლფასია.

255 საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევად ჩაითვლება ქმედება, რომელიც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იყო 1. ინტენსიური; 2. არაპროპორციულად ხანგრძლივი ან მუდმივი; 2. პირი წარმოადგენს სახელმწიფოსათვის „მიზნის მიღწევის საშუალებას, (შიშველ ობიექტს). 4. იყო თვითნებური.

256 როგორც აღინიშნა კაზუსის ამოხსნის ამ მეთოდის შემთხვევაში 4 კომპონენტიდან ერთის (ან მეტის) არსებობისას იდება დასკვნა, რომ მოხდა სახელმწიფოს მიერ ადამიანის ღირსების შელახვა და პირიქით, თუ არც ერთს ჩამოთვლილი კომპონენტიდან არ ჰქონია ადგილი ადამიანის ღირსებაში არ მომხდარა ჩარევა.

---

[345] ამ ტერმინს „ობიექტის ფორმულასაც“ უწოდებენ. იგი ჯერ კიდევ იმანუელ კანტის მიერ მის 1785 წლის ნაშრომში „der Metaphysik der Sitten“ იქნა გამოყენებული. მას დღემდე წარმატებით იყენებს გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში. BVerfGE 5, 85, (204); 7, 198 (205); 27, 1 (6): „Es widerspricht der Menschenwürde, den Menschen zum bloßen Objekt im Staat zu machen.“; 28, 386 (391); 45, 187 (228); 50, 166 (175); 56, 37 (43). 72, 105 (116); 96, 375 (399); 109, 133, 149.

[346] Geddert-Steinacher, Menschenwürde als Verfassungsbegriff. Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990.

[347] Manssen,: Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage 2016 § 9., Rz. 217.

[348] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (ე.წ. მარიხუანის საქმე), II-19.

სქემა 4. კაზუსი ამოხსნის მეოთხე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო;

1. საგნობრივი დაცული სფერო;
2. პერსონალური დაცული სფერო;

ა. უშუალო ზიანი;

ბ. რეალური ზიანი;

გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორმატიული აქტით;

ა. შემოწმება ხორციელდება „ობიექტად/ინსტრუმენტად გამოყენების“ ფორმულით

ან

ბ. შემოწმება ხდება ე.წ. 4 კომპონენტიანი ფორმულით

- ინტენსიურობა;
- ხანგრძლივობა;
- ობიექტად/ინსტრუმენტად გამოყენება;
- თვითნებობა (მიზნად ჰქონდა პირის დამცირება).

IV. დასკვნა

მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა

1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

შინაარსი

მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა 86

შინაარსი 87

1. ადამიანის ღირსების უფლების ცნება, ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო..... 87

1.1. ადამიანის ღირსების ცნება 87

1.2. ღირსების უფლება, საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტში 88

1.3. ღირსების უფლების ზოგადი მნიშვნელობა 89

2. ღირსების უფლებით დაცული სფერო და კავშირის სხვა ძირითად უფლებებთან..... 91

2.1 ადამიანის ღირსების უფლების საგნობრივად დაცული სფერო..... 92

2.1.1. ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმშვიდის ხელშეუხებლობა..... 92

2.1.2. ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა 94

2.1.3. დისკრიმინაციის აკრძალვა და ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა..... 95

2.1.4. სამართლიანობის დაცვა..... 96

2.1.5. პიროვნების თავისუფალი განვითარება, იდენტობა, თვითმყოფადობა და ღირსების უფლება 98

2.2. ადამიანის ღირსების უფლებით პერსონალურად დაცული სფერო..... 99

2.2.1. როდის იძენს ადამიანი ღირსების უფლებას? 99

2.2.2. როდის სრულდება ადამიანის ღირსების უფლება? 100

2.2.3. ვინ არის დაცული ადამიანის ღირსების უფლებით..... 103

3. ადამიანის ღირსების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, ჩარევის სახეები და მისი შემოწმება 104

3.1. „ადამიანის ობიექტად გამოყენების“ შემოწმების ტესტი..... 105

3.2. „4 კომპონენტიანი“ ტესტი 106

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 108

4.1. ჯალოჰი გერმანიის წინააღმდეგ 109

4.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეები საქართველოს წინააღმდეგ 109

4.4. პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ 112
4.5. ალმეიდა ლეიტაო ბენტო ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ 113
4.6. ჯუღაშვილი რუსეთის წინააღმდეგ 113
4.7. გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ 114
ლიტერატურა

1. ადამიანის ღირსების უფლების ცნება, ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. ადამიანის ღირსების ცნება

ადამიანის ღირსების ცნებასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ სამართლის, არამედ, 257
მრავალ სხავადასხვა მეცნიერებაში ვხვდებით მსჯელობას, შესაბამისად იგი სხვადასხვა ინტერპრეტაცით აღიქმება. მოცემულ ფორმატში ღირსების განმარტება კანტისეულ გაგებაზე არის კონცენტრირებული. თანამედროვე ე.წ. ლოგოცენტრული მოდელის თანახმად, იმანუელ კანტმა ღირსებას საფუძვლად დაუდო ადამიანის უნარი. მისი აზრით, ადამიანები ავტონომიური არსებები არიან და მათი ბუნება არის თანდაყოლილი, თავისთავად ღირსეული და იგი, აქედან გამომიმდინარე, იმსახურებს პატივისცემას.[349] ადამიანს აქვს უნარი იაზროვნოს, და იმოქმედოს მორალური თავისუფლებით საკუთარი თავისუფალი გადაწყვეტილებისამებრ. [350] კანტის აზრით, ღირსება ეკუთვნის მხოლოდ ადამიანს (და არა სხვა არსებებს), რადგან მას აქვს უნარი იყოს ორიენტირებული მორალური წესების დაცვაზე.

258 შესაბამისად, ისე როგორც აზროვნება და მორალური მოქმედების შესაძლებლობა, ღირსებაც არის ადამიანის ბუნებრივი თვისება და მის შეძენას არ სჭირდება ნორმატიული საფუძველი. თუმცა მისი დაცვა უნდა იყოს გამყარებული ნორმატიულად. კანტის აზრით, ღირსება არის სხვა უფლებების საფუძველიც.[351] რადგან ადამიანს აქვს, შეფასების უნარი, იგი იმთავითვე განიხილება როგორც არსება ღირსებით, და მას რაიმე კონკრეტული ქმედების განხორცილებით არ სჭირდება ამ უფლების შეძენა.[352]

259 ადამიანური ღირსება, როგორც ღირებულება, მეტაფიზიკური კატეგორიაა, და იგი მის მატარებელ სუბიექტს ეკუთვნის. ამავე დროს, ღირსებასა და სხვა რელატიურ ღირებულებებს შორის განსხვავება ისაა, რომ ღირსება არის აბსოლუტური ღირებულება.[353] საგულისხმოა, რომ კანტის ეს თეორია (ღირსების ხელშეუხებლობის

[349] კანტის კატეგორიული იმპერატივი.
[350] Dangl, Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems, 09/2012, 2-3.
[351] იქვე, გვ. 320.
[352] ფირცხალაშვილი, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, ფირცხალაშვილი, ტურავა, ქარდავა, თბილისი 2023, აბზ. 247-256.
[353] Kant, Metaphysik der Sitten, Tugendlehre Königsberg, 1797, 94, In: Weischedel W. (Hrsg.): Immanuel Kant. Werke in 10 Bänden Bd. Darmstadt [Wissenschaftliche Buchgesellschaft] 1983, 569.

შესახებ) თანამედროვეობაში პოულობს გამოძახილს, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში.[354]

260 როგორც აღინიშნა ღირსების კონცეფციებს შორის ფუნდამენტური სხვაობები არსებობს. თუმცა ღირსების შესახებ მოსაზრებათა უმრავლესობას (მათ შორის კლასიკური ლიბერალიზმიც) აერთიანებს ის, რომ ისინის აღიარებენ - ადამიანის ძირითადი და მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, თანამედროვე სახელმწიფოს ან თვით საერთაშორისო საზოგადოების ვალდებულებაა.[355]

1.2. ღირსების უფლება, საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტში

261 საქართველოს პირველი კონსტიტუციის 113-ე მუხლის მიხედვით „რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის“. 113-ე მუხლი განეკუთვნება მე-13 თავს - „სოციალ-ეკონომიური უფლებანი“. სოციალურ–ეკონომიკურ უფლებებისადმი კონსტიტუციის ცალკე თავის მიძღვნით კანონმდებელი ხაზს უსვამდა, რომ საქართველო გამოკვეთილად სოციალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. შესაბამისად, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ თავში ღირსების უფლების მოცემული ფორმულირება, ღირსების სოციალურ ფუნქციაზე მიანიშნებს. მით უმეტეს ჩანაწერი მიუთითების რესპუბლიკის მზრუნველობაზე, რაც სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს. მართალია, 1921 წლის კონსტიტუციის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებული მეცამეტე თავის შესავალი დებულება ეხება ადამიანის ღირსების ნაწილს, რომელიც მოიცავს ადამიანის არსებობის მატერიალურ მინიმუმს. თუმცა, ადამიანის ღირსება მის მთელ სპექტრში წარმოდგენილია დაუწერელი ფორმით, როგორც ნორმატიული გარანტია.[356]

262 საქართველოს კონსტიტუციის თანამედროვე ტექსტმა, 2018 წლის ცვლილებების შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, კონსტიტუციის მე-9 მუხლმა, რომელიც ადამიანის ღირსებას გარანტირებს. ცვლილებებამდე, ყოფილი მე-17 მუხლით გარანტირებული იყო „ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა“ ხოლო ახალ რედაქციაში (მე-9 მუხლი) სიტყვა „პატივი“ აღარ არის და პირველ პუნქტს დაემატა „და მას იცავს სახელმწიფო“.

263 საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით[357] „მე-9 მუხლში ღირსების უფლებისგან გამიჯნულია პატივის უფლება, რომელიც სრულფასოვნად არის დაცული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით. კონსტიტუციის პირვანდელი 1995 წლის რედაქციის ჩანაწერი ტერმინი „პატივი“ გაბატონებული მოსაზრებით, კერძოსამართლებრივ გააზრებას ეფუძნებოდა,[358] რადგან სამოქალაქო კოდექსი (მე-18 მუხლი) „პატივისა და ღირსების“ ცნებას იცნობს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ ორ გაგებას შორის მიჯნა გაავლო, და განმარტა რომ „ღირსება არის ადამიანის ინდივიდუალური

[354] ფირცხალაშვილი, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, ფირცხალაშვილი, ტურავა, ქარდავა, თბილისი 2023, აბზ. 247-256.
[355] იქვე.
[356] არნოლდი, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი, გვ. 54.
[357] განმარტებითი ბარათი, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე, „საქართველოს კონსტიტუციაში, ცვლილების შეტანის შესახებ“, გვ. 7.
[358] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 2019, გვ. 75.

თვისება, ნიშანი, რაც იმსახურებს პატივისცემას, პატივი კი ადამიანის შესაბამისი თვისების ან ნიშნის საზოგადოებრივი აღიარების შედეგია.“[359]
2018 წლის ცვლილებებით, ღირსების უფლების პოზიტიური განზომილება ხაზგასმულია ჩანაწერით - „და მას იცავს სახელმწიფო“.

264 ახალმა ფორმულირებამ იმავდროულად შეითავსა კონსტიტუციის ყოფილი 39-ე მუხლის ფუნქცია. 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით, 39-ე მუხლის სახით, ადამიანის უფლებების თავში (კონსტიტუციის II თავი) მოქმედებდა. მისი ტექსტის მიხედვით კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლილი უფლებები არ იყო ამომწურავი და საბოლოო. ყოფილ 39-ე მუხლს, კონსტიტუციურ პრინციპებთან ერთად, კონსტიტუციურ წესრიგში შემოჰყავდა საერთაშორისო სამართალი და სწორედ საერთაშორისო აქტებზე დაყრდნობით ქმნიდა ისეთი უფლებების დაცვის კონსტიტუციურ საფუძველს, როგორებიც არის, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დაცვის უფლებები.[360] 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, იმის შემდეგ რაც 39-ე მუხლმა მეორე თავიდან პირველ თავში გადაინაცვლა[361], საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, პირს აღარ აქვს შესაძლებლობა, 39-ე მუხლთან მიმართებით იდავოს კონკრეტული ნორმის არაკონსტიტუციურობაზე.[362] შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელეს მასზე პირდაპირ დაყრდნობა შეეძლო, და იგი ქმნიდა ე. წ. „ღია ფანჯარას“ ყველა იმ უფლებისათვის, რომელიც კონსტიტუციის მე-2 თავში პირდაპირ არ არის გარანტირებული. მოქმედ კონსტიტუციაში აღნიშნულ ჩანაწერთან მიმართებით მოსარჩელე პირდაპირ ვერ დააყენებს სადავო ნორმას, რადგან მისი ადგილი კონსტიტუციის პირველ თავშია. თუმცა, მას შეუძლია მაგალითად სოციალურ უფლებებთან მიმართებით იდავოს მე-9 მუხლით და აღნიშნული ჩანაწერი (მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით) მოიშველიოს როგორ ნორმა პრინციპი, სხვა ძირითად უფლებასთან ერთად.

1.3. ღირსების უფლების ზოგადი მნიშვნელობა

265 სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული დოქტრინის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია და ამასთანავე იგი არის პიროვნების თავისუფალი განვითარების და სხვა ძირითადი უფლებების საფუძველი. სტანდარტი, რომ ადამიანის ღირსება უმაღლეს კონსტიტუციურ ღირებულებას წარმოადგენს, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაამკვიდრა.[363] მისი აზრით, ყველა სხვა ნორმა მასთან ჰარმონიაში უნდა

[359] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის, №2/2-389 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. II-31.
360 ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, 2018, 369.
361 იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.
362 ყოფილი 39-ე მუხლი შეიძლება განვიხილოთ 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრედ, რომელმაც ჯერ კიდევ 100 წლის წინ მხარი დაუჭირა იდეას, რომ კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი და საბოლოო, რომ გარკვეული უფლებების ჩამოთვლა არ უარყოფს და არ ამცირებს სხვა უფლებების არსებობას.
363 იხ. BVerfGE 39, 1 <42>; 72, 105 <115>; 109, 279 <311> „ადამიანის სიცოცხლე არის ადამიანის ღირსების როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი და უმაღლესი კონსტიტუციური ღირებულების სასიცოცხლო საფუძველი.“. იხ. BVerfGE 87, 209 <228>; 96, 375 <399> ყველა ადამიანს აქვს ეს ღირსება, როგორც პიროვნება, განურჩევლად მისი მახასიათებლებისა, ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის, მიღწევებისა და სოციალური მდგომარეობისა.

განიმარტოს. აღნიშნული მიდგომა დომინანტურია და იგი ღირსების უფლებას არა მხოლოდ ნორმის, არამედ ნორმა პრინციპის რანგს ანიჭებს. იგივე იდეის მხარდამჭერია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მისი აზრით „ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის პრინციპის, როგორც პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალების, საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტობრივად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას.“

266 ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები... ღირსების ხელყოფა, ფაქტობრივად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას“.[364] „ადამიანის უფლებათა კონცეფცია ემსახურება უმთავრეს იმპერატივს, ადამიანის ღირსების დაცვას, რომელიც აისახება კიდეც აღნიშნულ უფლებებში...“. [365]

267 თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის უპირველეს მახასიათებლად ადამიანს და მის ღირსებას მიიჩნევენ. რადგან კანონის ადამიანზე ორიენტირებულობა აქსიომას წარმოადგენს. ადამიანი თვითმიზანია, ის „არსებობს როგორც თვითმიზანი“.[366] ხოლო ადამიანთან დაკავშირებულია მისი ღირსება, რომელსაც კანონით პატივისცემა და დაცვა სჭირდება.[367] ადამიანის ღირსება, ადამიანის სუბიექტად აღიარება და მისი როგორც ინსტრუმენტის უარყოფა არის სამართლებრივი წესრიგის უმაღლესი ღირებულება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ნორმატიული სახით დაწერილი. ნებისმიერ შემთხვევაში, ის გამომდინარეობს სამართლებრივი წესრიგიდან და, შესაბამისად, კონსტიტუციური წესრიგიდანაც. სამართლებრივი წესრიგის ყველა ნაწილობრივი მიზანი უნდა ემორჩილებოდეს ამ უზენაეს ღირებულებას და შეესაბამებოდეს მას. ამრიგად, ადამიანის სუბიექტად ყოფნის ხარისხი განისაზღვრება როგორც ცენტრალური ღირებულება; ადამიანი არ უნდა იქცეს საგნად, მიზნის მიღწევის მექანიზმად და მას უნდა მიენიჭოს პატივისცემის გარკვეული დონე, რომელიც ყველას ადამიანს მინიჭებული აქვს მხოლოდ საკუთარი არსებობიდან და პიროვნებად ყოფნიდან გამომდინარე.[368] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს გერმანულ დოქტრინას ადამიანის ღირსების განმარტების თაობაზე. სასამართლოს აზრით „ სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი“.[369] ღირსების ძირითად უფლებას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს, ნეგატიური - რომელიც

---

[364] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-31.

[365] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/512 საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდე“, II-43.

[366] Kant,, Kritik der praktischen Vernunft, 1788. პირველად გამოქვეყნდა რიგაში იოჰან ფრიდრიხ ჰარტკნოხის მიერ, მოგვიანებით იოახიმ კოპერის მიერ – Reclams Universal-Bibliothek no. 1111 (1961) – newly printed in 2019, 92.

[367] არნოლდი, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი, გვ. 23.

[368] 2 BvR 1845/18 - 1.12. 2020.

[369] საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის, NN№2/2-389 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. II-30.

უკრძალავს სახელმწიფოს ჩაერიოს ადამიანის ღირსების უფლებაში. მეორე - პოზიტიური, რომელიც აღჭურვავს ადამიანს გარანტიებით და მოთხოვნის უფლებით სახელმწიფოსადმი, და იმავდროულად ავალდებულებს სახელმწიფოს იმოქმედოს ადამიანის სასარგებლოდ და მესამე ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას ადამიანის ღირსება არამხოლოდ სახელმწიფოსაგან, არამედ ასევე სხვა მხრიდან მომავალი საფრთხეებისგან.

2. ღირსების უფლებით დაცული სფერო და კავშირის სხვა ძირითად უფლებებთან

268 როგორც აღინიშნა, ადამიანის ღირსება ქმნის კონსტიტუციით გარანტირებული სხვა ძირითადი უფლების დაცვის საფუძველსაც, ამიტომ იგი მჭიდრო კავშირშია სხვა ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროსთან. აქედან გამომდინარე, ადამიანის ღირსების უფლებით დაცული სფეროს ზუსტი იდენტიფიცირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული[370].

269 გასათვალისწინებელია, რომ თუ ადამიანის ძირითადი უფლებების უკიდურესად უხეშად შელახვა შეიძლება ამ უფლების დარღვევასთან ერთად იწვევდეს ღირსების ძირითად უფლებაში ჩარევას, რომელიც თავის მხრივ ხელშეუხებელია. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით ღირსების უფლებით დაცული სფეროს წინასწარ და ზუსტად განჭვრეტა რთულია, რადგან მას არ აქვს კონკრეტული „ნორმატიული მასშტაბი“.[371] ამიტომ ღირსებით დაცული სფეროს დადგენა „ობიექტურობის ფორმულით“ უფრო მისაღებია. [372] მეცნიერ გუნთერ დიურიგის მიერ დამკვიდრებული „ობიექტურობის ფორმულის“ მიხედვით ღირსების უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ჩარევაზე შეიძლება ვიმსჯელოთ „როდესაც კონკრეტული ადამიანი იქცევა ობიექტად, შიშველ საშუალებად და ამით იგი უკიდურესად დამცირებულია“. [373]

270 პირობითად, უკვე განხილულ საქმეთა მაგალითზე შესაძლებელია ღირსების უფლებით დაცულ სფეროთა იდენტიფიცირება და მათი დაჯგუფება. თუმცა ღირსების უფლების დაცული სფერო ასეთი კატეგორიზაციით არ ამოიწურება. რადგან შესაძლებელია სახელმწიფოს კონკრეტული ქმედებები, უკვე განხილულ საქმეებში არ ხვდება, თუმცა „ობიექტურობის ფორმულის“ მიხედვით შეიძლება ადამიანის ღირსებაში ჩარევად მომავალში იქნეს იდენტიფიცირებული.

271 ასეთი პირობითი დაჯგუფება, ღირსების უფლებაში ჩარევის შემთხვევები შესაძლებელია შემდეგნაირად კატეგორიზდეს[374].

---

[370] Pieroth/Schlink, Staatsrecht II. 28. Auflage გვ. 86. გემანულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირია კრიტიკა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, რომელიც თავის ძველ გადაწყვეტილებებში ადამიანის ღირსების უფლებასთან დაკავშირებით ჯერ lex generalis derogat lex special, სარგებლობდა, ხოლო მოგვიანებით მისი პრაქტიკა „გაურკვევლობისკენ“ შეიცვალა. განსაკუთრებით კი გენეტიკური ტექნოლოგიების საქმეებზე. იხ. დეტალური მსჯელობა: Alexander Blankenagel, Gentechnologie und Menschenwürde Über die Scrapazierung von juristischem Sachverstand und gesundem Menschenverstand anläßlich eines ernsten Themas. S. 387, ასევე Lerche, Verf..,sungsrechtliche Aspekte (Anm. S), IÖ] L: zur Mcnschcnwürdc(inn,tlön) In cler K.llur-Entscheldung, იოსებ ისენზეეს აზრით, მართალია ადამიანის ღირსება ყველა სხვა უფლების საფუძველია, თუმცა ეს არ ხდის მას ცალკეულ სუბიექტურ უფლებად, J, Isenssee, Verfassung ohne grenze, Der Staat 19 (1980) 66 (37).

[371] Ipsen, staatrecht II, S. 67; Dreier, in Dreier (Hrsg.) GG Bd I, Art.1. I Rdnr.35.w.N.

[372] Dürig, in: Maunz/Dürig, Grundgesetz, Art. 1 Abs. I, Rn. 28, 1958).

[373] „wenn der konkrete Mensch zum Objekt, zu einem bloßen Mittel, zur vertretbaren Größe herabgewürdigt wird“.

[374] იხ. დეტალურად Pieroth/Schlink, Staatsrecht II. 28. Auflage გვ. 87.

- ფიზიკური და ფსიქიკური იდენტობის ხელშეუხებლობაში ჩარევით, განსაკუთრებით წამების, თავისუფალი ნების დარღვევით მაგალითად ჰიპნოზის გზით, ფარული ან ძალადობრივი სამედიცინო მანიპულაციებით კვლევის ან მანიპულირების მიზნით, ადამიანის ინტიმური ურთიერთობის განადგურებით,
- თანასწორობის პრინციპში უხეში ჩარევით, განსაკუთრებით მონობის, ადამიანებით ვაჭრობისა და სხვა სისტემატური დისკრიმინაციის, დამცირებისა და დეგრადაციის გზით და
- საარსებო მინიმუმის გარანტიაში საჭირო მატერიალური და კულტურული რესურსების შეკავებით ან უარყოფით.

272 შესაბამისად სახელმწიფოს აკისრია ნეგატიური (ჩაურევლობის) და პოზიტიური მოქმედების ვალდებულება, რომ მან ადამიანის ღირსება დაიცვას:

- ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმშვიდის ხელშეუხებლობით.
- დისკრიმინაციის აკრძალვითა და ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფით
- ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნით
- სამართლიანობის დაცვით
- პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფით
- ადამიანის ბიოლოგიური იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვით.

2.1 ადამიანის ღირსების უფლების საგნობრივად დაცული სფერო

2.1.1. ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმშვიდის ხელშეუხებლობა

273 საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა. ადამიანის ღირსების ძირითადი უფლება სისტემური თვალსაზრისით მჭიდრო კავშირშია სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებთან. სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური მთლიანობის დაცვას ღირსების ძირითად უფლებასთან ერთად მოითხოვს კონსტიტუციის მე-10 მუხლიც, რადგან სიცოცხლე ადამიანის ღირსების „სასიცოცხლო საფუძველია“.[375] მაშინ, როცა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში ჩარევა ძალიან მძიმეა, და აღწევს წამებას, არაჰუმანურ და სასტიკ მოპყრობას ან დასჯას, სახელმწიფოს მოქმედება იდენტიფიცირდება როგორც ადამიანის ღირსებაში ჩარევა.

274 ზოგადად, როგორც არაჰუმანური, სასტიკი, ისე პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი არის ადამიანზე განზრახ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური ზემოქმედება, იძულება, რაც, შედეგად, ადამიანს აყენებს განსაცდელს, სტრესს, სატანჯველს. ამასთან, ადამიანზე ასეთი წნეხი, იძულება, ზემოქმედება როგორც თვისობრივად, ისე ხანგრძლივობით ინტენსივობის გარკვეულ ხარისხს, მაღალ დონეს უნდა აღწევდეს. რთულია და ყოველთვის არ არის შესაძლებელი ერთმანეთისგან გაიმიჯნოს არაადამიანური, სასტიკი მოპყრობა და სასჯელი ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან, რადგან უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია ადამიანის მიმართ სასტიკმა და არაადამიანურმა მოპყრობამ არ გამოიწვიოს მისი დამცირება. იმავდროულად, მოპყრობა ან სასჯელი

[375] იხ. დეტალურად თავში 6.1.1.

ჩაითვლება დამამცირებლად, თუ ის გამოიხატება ადამიანის ნების და სინდისის საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის იძულებაში. ამასთან, სასჯელის დამამცირებლად მიჩნევისთვის, ადამიანზე ზემოქმედების (ფსიქოლოგიური, მორალური), მისი შეზღუდვის და იძულების ფარგლები უნდა სცდებოდეს იმ ბუნებრივ ზღვარს, რომელიც თავისთავად თანმდევი და თანაარსია კონკრეტული სასჯელისა (რომელიც პირს შეფარდებული აქვს). დამამცირებელია მოპყრობა, რომელიც მსხვერპლში აღძრავს შიშს, ძლიერ ტანჯვას და დამცირებას, რომელიც შეურაცხყოფს მსხვერპლს. ამ დროს მხედველობაშია მისაღები, რამდენად არის ქმედების მიზანი პირის დამცირება და შეურაცხყოფა, ამასთან, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, რამდენად სერიოზულ გავლენას ახდენს აღნიშნული ქმედება მსხვერპლის პიროვნებაზე.[376]

275 წამება, არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა ან დასჯა, სხვაგვარი ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობა, ადამიანის ღირსების უმძიმესი დარღვევაა და მას კრძალავს ძირითად უფლებათა სფეროში მიღებული ყველა საერთაშორისო სამართლებრივი აქტი და იგი აბსოლუტური უფლებაა. [377] ის ასევე განიხილება როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი. საერთაშორისო სამართლის თანახმად, წამების აკრძალვას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი - - jus cogens რომელიც საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმაა. მისი დარღვევა შეუძლებელია ოდესმე გამართლებული იქნეს თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესით, მაგალითად, ტერორიზმის[378] ან ორგანიზებული დანაშაულის[379] წინააღმდეგ ბრძოლით. სახელმწიფოს ეკრძალება დააბრუნოს ადამიანი თავისი მოქალაქეობის ქვეყანაში, თუკი იქ არსებობს მისი წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის რისკი.[380] გამართლებას არ ექვემდებარება არამხოლოდ თვით ასეთი მოქმედება, არამედ ასევე წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუქარა.[381]

276 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენციით პირველ მუხლში მოცემულია წამების საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიცია.[382] საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 1994 წლის 22 სექტემბერს.

---

[376] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 22.

[377] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლი, ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტიის მე-5 მუხლი, გაეროს 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ, ევროპის საბჭოს 1987 წლის კონვენცია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ამ სასჯელის თავიდან აცილების შესახებ და 1993 წელს მიღებული ამ კონვენციის ორი ოქმი (EST No. 151 და EST No.152).

[378] Tomasi v France. A 241-A (1992) 15 EHRR 1 para 115.

[379] Selmouni v France, 1999-V; EHRR 403 GC.

[380] Chahal v UK, 1996-V; 23 EHRR 413 GC.

[381] გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ. Gäfgen v. Germany, 22978/05. 01/06/2010.

[382] ,,ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური და სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია“.

277 ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო და კომისია, როგორც წესი, განიხილავენ კონვენციის მე-3 მუხლში მოხსენიებულ სამ ძირითად ცნებას, ასხვავებენ რა მათ ძირითადად ხარისხის მიხედვით. კომისიამ აღნიშნა: წამების ნებისმიერი სახე უნდა ჩავთვალოთ არაჰუმანურ ან ღირსების დამამცირებელ მოპყრობად, არაჰუმანური მოპყრობა კი, თავის მხრივ, ასევე ღირსების დამამცირებელ მოპყრობად.[383] სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა აკრძალულ ქმედებათა სამი კატეგორია:

1. წამება-განზრახი არაჰუმანური მოპყრობა, რაც იწვევს მეტად სერიოზულ და სასტიკ ტანჯვას;
2. არაჰუმანური მოპყრობა-ძლიერი ფიზიკური და მორალური ტანჯვის მიყენება;
3. ღირსების დამამცირებელი მოპყრობა-უდიერი მოპყრობა, მიმართული იმისკენ, რომ გამოიწვიოს მსხვერპლში შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების შეგრძნება, რაც დაამცირებს მას და, შესაძლოა, დაძლევს მის ფიზიკურ ან მორალურ წინააღმდეგობას.

278 მართალია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“. შეიძლება კამათი იმ საკითხზე, რომ ზოგადად, ყველა სასჯელში თავისთავად არის ჩადებული დამცირების ელემენტი, თუმცა არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ზოგადად, სისხლის სამართლებრივი სასჯელის აღსრულება წარმოადგენს ღირსების დამამცირებელ მოპყრობას საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი კრძალავს არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს რომ ყველა სასჯელი არის ამგვარი.

2.1.2. ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა

279 ადამიანის თავისუფლებების და მათ შორის ღირსების დაცვა როგორც უკვე აღინიშნა არ ნიშნავს, მხოლოდ მესამე პირების ან სახელმწიფოს მიერ არალეგიტიმური ჩარევისგან თავის შეკავებას, არამედ ის ასევე გულისხმობს ადამიანის ღირსების აქტიური ქმედებით დაცვის უზრუნველყოფას. სწორედ აქ იძენს „სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება“[384] რელევანტურობას[385], ე.ი. სახელმწიფოს ვალდებულებას, აქტიურად დაიცვას ფუნდამენტური უფლებებით უზრუნველყოფილი ღირებულებები. შესაბამისად, მის ამგვარ აქტიურ ქმედებასთან დაკავშირებული (პოზიტიური) უფლებები, სოციალური უფლებების გაგებით, ასევე მოქცეულია თავისუფლების პრინციპის ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის ღირსების დაცვა მოიცავს ადამიანის საარსებო მინიმუმის გარანტირებას.[386]

---

[383] იხ. დეტალურად, წაქაძე, ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები. ალმანახი 2003 № 18.

[384] ტერმინი „სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება“ (Staatliche Schutzpflicht) ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლების დაცვას (პოზიტიურ მოქმედებას) იმ საფრთხეებიდან რომელიც მომდინარეობს მესამე პირებისგან, სხვა სახელმწიფოებისგან ან ბუნებრივი კატასტროფებისგან და სხვა. უფრო მარტივად რომ ითქვას, ყველა იმ საფრთხიდან რომელიც მისგან არ მომდინარეობს.

[385] Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, S. 73 f.

[386] იდეა შეიძლება განზოგადდეს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, იხ. Judgment of German Federal Constitutional Court of 9 February 2010 – BVerfGE 125, 175-260, (15.7.2021).

280 საქმით - თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ[387] - სასამართლომ დაამკვიდრა ახალი გზა, სოციალურ საკითხებთან მიმართებით საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამ თვალსაზრისით, ღირსება მჭიდროდ არის დაკავშირებული არსებით თანასწორობასთან, აღდგენით სამართლიანობასთან და უზრუნველყოფს ადეკვატური ცხოვრების უფლების ყველაზე ძირითად ელემენტებს. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა ღირსების უფლება (სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან ერთად) საარსებო მინიმუმთან მიმართებით და განმარტა, რომ ადამიანის ღირსება მოიცავს მატერიალურ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ფიზიკური არსებობისა და სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მინიმალური მონაწილეობისათვის.[388] ღირსების უფლების სასამართლოს მიერ ამგვარმა პროგრესულმა განმარტებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ყველაზე არსებითი სოციალური უზრუნველყოფისა და კეთილდღეობის უფლებების დაცვას, რომლებიც პირდაპირ არ არის საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებული.

281 სოციალური დახმარებისა და ადამიანის ღირსების ურთიერთმიმართებიდან გამომ-დინარე, როდესაც ადამიანს საკუთარი შრომით არ შეუძლია საარსებო პირობების შექმნა, მას წარმოეშობა უფლება საკუთარი ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ადამიანის ღირსებიდან გამომდინარეობს სოციალური დახმარების ინდივიდუალური და სუბიექტური ბუნება, მისი დროებითი ხასიათი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბენეფიციარის თვითდახმარების უნარების აღდგენა.[389]

2.1.3. დისკრიმინაციის აკრძალვა და ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა

282 როგორც ზემოთ აღინიშნა, ღირსება როგორც ნორმა-პრინციპი ქმნის ყველა უფლების საფუძველს და თუ კონკრეტული უფლების დარღვევა განსაკუთრებით მძიმე და თვითნებურია, იგი ლახავს ღირსების უფლებასაც. იგივე შეიძლება ითქვას თანასწორობის უფლების მძიმე დარღვევებზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თვით: „ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამძღვრები.[390] ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად (რასისტული) დისკრიმინაცია, რომელიც დისკრიმინირებული პირის ადამიანობას უარყოფს[391]. თვით ტერმინი „ღირსების შემლახავი დისკრიმინაცია“, ხშირად რასობრივ დისკრიმინაციას ებმის, და სისხლის სამართლებრივად დასჯადია.[392] თავის 2020 წლის გადაწვეტილებაში აღნიშნულ მიდგომას ხაზს უსვამს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.[393] დამსაქმებელმა შავკანიან დასაქმებულს სამსახუ-რიდან დათხოვნისას მაიმუნი უწოდა. დამსაქმებელი გამოხატვის თავისუფლებით

[387] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.
[388] Oyle, ., Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication, 2019, 135.
[389] Muckel/Ogorek/Rixen Sozialrecht, გვ. 430.
[390] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის 2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II-1.
[391] კუბლაშვილი. იხ. გვ. 81.
[392] იხ. მაგალითად შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი (261bis Abs. 4, 1. Satzhälfte StGB).
[393] 1 BvR 2727/19.

აპელირებდა და დისკრიმინაციას უარყოფდა. თუმცა, სასამართლომ არამხოლოდ დისკრიმინაცია დაადგინა კონკრეტულ საქმეში, არამედ, ადამიანის ღირსების შემლახავი დისკრიმინაცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძირითადი კანონი არა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებას იცავს, იგი ასევე ებრძვის რასობრივ დისკრიმინაციას. „ამის მიხედვით, ადამიანის ღირსება ირღვევა, როცა ადამიანს არა ადამიანად, არამედ მაიმუნად მიმართავენ“.

2.1.4. სამართლიანობის დაცვა

283 ადამიანის ღირსების უფლება ილახება მაშინ როცა გამოიყენება არაადამიანური, დამამცირებელი სასჯელი. ან თუ სასჯელი არის უკიდურესად უსამართლო. მართალია, ყველა სასჯელით გარკვეულ წილად იზღუდება ადამიანის უფლება (მაგ. თავისუფლება, პირადი ცხოვრება, საკუთრების უფლება), თუმცა თუ იგი უკიდურესად უსამართლოა, სახელმწიფო ლახავს ადამიანის ღირსებას. დანაშაულისათვის სასჯელის სახეობის/ოდენობის განსაზღვრის პროცესში თითოეული სასჯელის მიზნის როლის დადგენისას სახელმწიფომ ძალიან ფრთხილი მიდგომა უნდა გამოიყენოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით,[394] თუ სასჯელი დანაშაულთან მიმართებით არაპროპორციულია და არ აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, თუ არ არის შესაბამისი ახალი დანაშაულის ასაცილებლად და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, მაშინ მისი აღსრულებით გამოწვეული ტანჯვა თავისთავად იქნება დამატებითი, გაუმართლებელი დასჯა და შედეგად, ადამიანის ღირსების ხელყოფა.

284 აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.[395] მოსარჩელემ, რომელიც (69 გრამი გამომშრალი) მარიხუანას მოხმარების გამო დააპატიმრეს და 7-დან 14 წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა,[396] გირაოთი განთავისუფლების შემდეგ სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლებოდა 50-დან 500 გრამამდე მარიხუანას შენახვა. დავის ფარგლებში სასამართლომ შეაფასა კონკრეტული ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელი წარმოადგენდა თუ არა არაჰუმანურ, სასტიკ და ღირსების შემლახველ მოპყრობას/სასჯელს და სასჯელის ეს ზომა რამდენად იყო განპირობებული დემოკრატიულ საზოგადოებაში ობიექტური აუცილებლობით, თუ იყო ის აშკარად, იმგვარი უხეში და არაპროპორციული ქმედება სახელმწიფოს მხრიდან, რომ უთანაბრდებოდა სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობასა და სასჯელს.

285 სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეზე მოწვეული მოწმეებისა და სპეციალისტების განმარტებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი

---

[394] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II 56.

[395] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[396] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტ წლამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, ზემოაღნიშნული ქმედებები, ჩადენილი დიდი ოდენობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე.

ოდენობა, 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა, არ წარმოადგენს იმდენად დიდ ოდენობას, რომლის შენახვის ფაქტი თავისთავად მიუთითებს გასაღების მიზნის არსებობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებელი ვალდებულია კანონით დაადგინოს ისეთი კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას მისცემს სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს, შეაფასოს მარიხუანას შეძენა/შენახვის ფაქტის არსებობასთან ერთად, რამდენად არსებობს გასაღების მიზანი (ან რეალური საშიშროება) და სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს მხოლოდ გასაღების მიზნით შეძენა/შენახვის შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე მარიხუანას შეძენა/შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.[397] მისი აზრით თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს რა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მისი უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე ორიენტირებული.[398]

286 თუმცა ამ საქმეში მნიშვნელოვანია სასამართლოს მსჯელობა მე-9 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით. მან აღნიშნა რომ: არაპროპორციულ სასჯელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, არა მარტო აქვთ მიმართება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციურ აკრძალვასთან, არამედ არღვევენ კიდეც ამ კონსტიტუციურ დანაწესს“.[399] ამით მან დაადასტურა, რომ უსამართლო, არაპროპორციული სასჯელი პირდაპირ ლახავს ადამიანის ღირსებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ გაუმართლებელია პირისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულებაზე ზემოქმედებისთვის, ვინაიდან თავისთავად ეს გარემოება სასჯელს უსამართლო სასჯელად აქცევს.“ ადამიანი არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტრუმენტი და დანაშაულთან ბრძოლის საშუალება, ადამიანი არის მიზანი, რომელზე ორიენტირებითაც მოქმედებს ხელისუფლება“.[400] სასამართლოს აზრით სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს ე.წ. „სანიმუშო“ სასჯელების გამოყენების შესაძლებლობას, რადგან სასჯელი მისივე მიზნებისგან ობიექტურად აცდენილი ხდება, ის არა მხოლოდ სასჯელის მიზნების მიღწევის უვარგისი საშუალება, არამედ სწორედაც რომ სასჯელის მიზნების კონტრპროდუქტიული საშუალება ხდება – გამოიწვევს იმ რისკებს, რომელთა თავიდან ასაცილებლადაც არის შემოღებული, როგორც ასოციალური ქცევის კორექტირების უკიდურესი საშუალება. ასეთი მიდგომა არღვევს პროპორციულობის პრინციპს, შედეგად იწვევს პირის არაპროპორციულ დასჯას და მისი ღირსების ხელყოფას. საბოლოო ჯამში კი, საფრთხე ექმნება საზოგადოებაში სამართლიანობის აღქმას, შეგრძნებას.[401]

[397] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სარეზოლუციო ნაწილი.
[398] იქვე II- 96.
[399] იქვე, II- 25.
[400] იქვე, II- 54.
[401] იქვე, II-102.

2.1.5. პიროვნების თავისუფალი განვითარება, იდენტობა, თვითმყოფადობა და ღირსების უფლება

287 თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს ადამიანის ღირსება ქმნის, ამიტომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება იმ სახელმწიფოთა უპირატესობაა, სადაც ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველია. ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით.[402] კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი მჭიდრო კავშირშია მე-12 მუხლთან, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას იცავს. ადამიანის პიროვნული თუ პროფესიული საქმიანობის თავისუფლების უხეში და თვითნებური შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ, აბრკოლებს არა მხოლოდ მის თავისუფალ განვითარებას, არამედ განსაკუთრებული სიმძიმის შეზღუდვები, ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომელიც ამ უფლებებს იცავს, მათ საფუძვლად სწორედ ადამიანის ღირსებას მოიხსენიებს.[403]

თვითიდენტიფიკაციის, პიროვნების განვითარების, პირადი ცხოვრების მოწყობის, პროფესიის არჩევის, განათლების მიღების, თავისი შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ცხოვრებისეული სიკეთეებით სარგებლობის უფლებების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ადამიანი, როგორც უმთავრესი ღირებულება და მიზანი.[404] ღირსება ადამიანის სოციალური იდენტობის არსებითი ატრიბუტია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მორალურ მდგომარეობას მის გარშემო მყოფ საზოგადოებაში. იგი უფლებათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ადამიანს თან დაჰყვება ბუნებისგან.[405] სწორედ პერსონალურობისა და იდენტობის დაცვიდან გამომდინარე, ადამიანის ღირსებით იცავს ჩანასახს გენეტიკური მანიპულირებისა და ბიომედიცინის უხეში ჩარევისაგან.[406]

288 ადამიანის ღირსებასთან განუყოფლად დაკავშირებულია თავისუფლების პრინციპი. ფუნდამენტური თავისუფლების გარეშე ადამიანის ღირსება არ იარსებებდა, ისევე როგორც ადამიანის თავისუფლებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ღირსება. მაშინ როცა ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია ანუ არ შეიძლება მისი შეზღუდვა ან მისი აწონვა სხვა ღირებულების საპირისპიროდ, თავისუფლება, არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს საზოგადოების სხვა წევრების თანაბარ თავისუფლებას და აღიარებს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესებს, რომლებიც ძირითადად თავისუფლებისა და თანასწორობის შედეგია.[407] ამიტომ თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოების სასარგებლოდ თავისი

[402] იქვე, II- 11.
[403] იხ. პაქტის მე-13 მუხლი.
[404] კონსტიტუციის კომენტარები, გოცირიძე გვ.112 .
[405] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.
[406] Böckenförde, FAZ v. 3.9.2003, Nr. 204, S. 33, Stark, in. Mangoldt/Klein/Starck | GG Art. 1 Rn. 103; Hofmann Die versprochene Menschenwürde, S.1, 1993, Berlin; Blankenagel: Gentechnologie und Menschenwürde, in: KJ 1987, S. 379 ff (388).
[407] იქვე. გვ. 24

არსით დაკავშირებულია თავისუფლების კონცეფციასთან იმდენად, რამდენადაც ეს შეზღუდვა არის ლეგიტიმური, აუცილებელი და პროპორციული. [408]

2.2. ადამიანის ღირსების უფლებით პერსონალურად დაცული სფერო

289 შეიძლება ითქვას, რომ ღირსების უფლება, ადამიანის უფლებათა შორის არის ყველაზე ხანგრძლივი უფლება. ზუსტად რა პერიოდიდან იწყება იგი და რა დროს სრულდება, დაკავშირებულია სიცოცხლის უფლებასთან. ე. ი. ადამიანის ფიზიკურ არსებობასთან. თუმცა იმავდროულად გადამწყვეტია ისიც, რომ ღირსების უფლება სიცოცხლის უფლებაზე მეტად „მდგრადია" რადგან ადამიანის დაბადებამდე იწყება და მისი სიკვდილის შემდგომაც გრძელდება.[409] ღირსების უფლება მჭიდრო კავშირშია ადამიანის სიცოცხლესთან, მის ადამიანურ არსებობასთან. მაშინვე როგორც კი ჩნდება ადამიანის ფიზიკურად დაბადების პერსპექტივა იგი ხდება ღირსების უფლების მფლობელი. შეძენის შემდგომ, მიუხედავად, მისი ფიზიკური არსებობა/არარსებობისა ადამიანი მუდმივად ფლობს ღირსების უფლებას.

2.2.1. როდის იძენს ადამიანი ღირსების უფლებას?

290 სიცოცხლე ადამიანის ღირსების „სასიცოცხლო საფუძველია".[410] თუმცა თავის მხრივ რთულია ზუსტად განისაზღვროს თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანად,[411] არის თუ არა ფეტუსი უკვე ადამიანი.[412] იურიდიულ ლიტერატურაში არის დავა,[413] იმის შესახებ თუ როდის იწყება სიცოცხლის უფლება. ჩასახვის მომენტიდან თუ ნიდაციის[414] მომენტიდან. ეს დავა ღირსების უფლებისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენად იგი კავშირშია ადამიანად ყოფნასთან. თუმცა ღირსების უფლების შეძენისათვის უკვე საკმარისია მისი ადამიანად დაბადების პერსპექტივაც. სწორედ ამ საფუძვლით არის ღირსების შემლახავი გენეტიკური მანიპულირება ჩანასახზე. ჩანასახს, რომელსაც აქვს ადამიანად მოვლინების უფლება, და თუნდაც სამომავლოდ შეიძენს სიცოცხლის უფლებას, მას უკვე აქვს ღირსება, როგორც მინიმუმ არ იყოს გენეტიკური მანიპულირების საგანი, ობიექტი, და არ იქნეს გამოყენებული როგორც მასალა ან საგანი.[415] რადგან მას არ შეუძლია აზრის გამოხატვა და საკუთარი თავის დაცვა და პირადად ვერ იქნება სამართალსუბიექტი, მისი

[408] იხ. დეტალურად თავი 9.

[409] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ადამიანის უფლების შესახებ, პატივი სცენ მათ ღირსებას სიკვდილის შემდეგაც კი BVerfGE 30, 173 <194>.

[410] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 111; Katz, Staatsrecht, Rn. 696.

[411] იხ. დეტალურად ამ საკითხზე, სიცოცხლის უფლების პერსონალური დაცული სფერო ასევე ფეტუსის სიცოცხლის უფლებაზე იხ. გოცირიძე, კომენტარი. გვ. 74.

[412] „ფეტუსად" განიხილება ადამიანის ნაყოფი 8 კვირის ასაკიდან.

[413] შეადარე, გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 47 (68-69); კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები 112; Di Fabio (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 2, in: Maunz/Dürig(Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958, Rn. 24 ff; Jarass, H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Jarass/Pieroth: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 85; Kunig P. (Bearb.): Kommentar zum Art. 2 GG, in: Münch, (Begr.)/Kunig, (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 47, 49; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 143, 146; Starck C. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt,/Klein, /Starck(Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 187, 203; Schulze-Fielitz (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 2, in: Dreier, (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006, Rn. 28, 39.

[414] ნიდაცია არის დედის საშვილოსნოზე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მიმაგრების მომენტი.

[415] Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 8. Auflage. Verlag, C.H. Beck München 2006. გვ. 45.Rn.15 a.

ღირსება სახელწიფოსთვის ობიექტურ სამართლებრივ განზომილებას იძენს, და ხდება მისი დაცვის ობიექტი, მათ შორის მშობლებისგან ან სამედიცინო, კვლევითი ინსტიტუციებისგან. ამიტომ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში მას, როგორც ღირსების უფლების სუბიექტს „მომავალი სიცოცხლის“ (Das werdende Leben) ღირსების უფლებას უწოდებენ.[416]

291 ჩანასახის ღირსების დაცვა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. ღირსების ძირითადი უფლება ჩანასახს იცავს კლონირებისგან, მუტაციისგან ან უბრალოდ სრულიად ახალი ხელოვნური ადამიანის გამოყვანისგან.[417] თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების მიღწევების პოტენციალი ამოუწურავია, ეს კი შესაძლებელს ხდის ჩანასახზე ცდების ჩატარებით წარმოუდგენელი ექსპერიმენტების ჩატარებას. ხელოვნური განაყოფიერების საკითხის მრავალ დადებით შედეგთან ერთად, მას სხვადასხვა სადავო მხარეც აქვს.[418] დასმული პრობლემების კონსტიტუციური გადაწყვეტის კონსტრუქციული გზა არ არის დაკავშირებული განსაკუთრებული სირთულეებთან. ფუნდამენტური უფლების გადაკვეთისას გამოიყენება კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში დამკვიდრებული შემოწმების მექანიზმები.

292 ჩანასახის ღირსების უფლება განსაზღვრულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ჩანასახის ღირსების უფლება კავშირში, სახელმწიფოსგან მოითხოვს ნებისმიერი სახელისუფლებო საშუალების გამოყენებით მისი ღირსების დაცვას.[419] მისი აზრით ნებისმიერ შემთხვევაში, დაცვის ვალდებულება იწყება საშვილოსნოში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ჩანერგვით (ე. წ. ნიდაცია), რადგან ამ მომენტიდან ის არის ინდივიდუალური, გენეტიკურად უნიკალური. ჯერ არ დაბადებული ბავშვი ნიდაციის შემდგომ, ზრდის პროცესში აგრძელებს განვითარებას და ხდება ადამიანი.[420] ამიტომ დაუბადებელი სიცოცხლე უკვე ფუნდამენტური უფლებების მატარებელია. სასამართლოს აზრით, მისი ადამიანური ღირსების შელახვა კონსტიტუციურად არ შეიძლება იყოს გამართლებული. თუმცა სასამართლო უშვებს, დაუბადებელი სიცოცხლის უფლებაში ჩარევას.[421]

2.2.2. როდის სრულდება ადამიანის ღირსების უფლება?

293 აქვს თუ არა გარდაცვლილს ღირსების უფლება? ამ კითხვაზე, პასუხი გასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი ცალსახა პრაქტიკით,[422] ისე როგორც

[416] Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 8. Auflage. Verlag, C.H. Beck München 2006. გვ. 45.Rn. 6 a.

[417] Alexander Blankenagel, Gentechnologie und Menschenwürde Über die Scrapazierung von juristischem Sachverstand und gesundem Menschenverstand anläßlich eines ernsten Themas. S. 380.

[418] საოჯახო სამართლებრივი დავების ფარგლებში საკითხის გადაწვეტა ხშირად ფუნდამენტურ სამართლებივ და სამედიცინო ტექნოლოგიურ საკითხებამდე მიდის, Seadare S. z.B. BGH, NJW '98!. 20n; OLG K.r1sruhc, NJW 1986. '552; OLG Scultgm, NJW '986• '50; OLG H3mm. NJ W 1986. 78 l; s. ,m üb"g~n :zu ,lien Zlvilrechdichen Problemen der Fonplhnzung<-technologlc LU$ammtnl=end D. Coe.

[419] BVerfGE 39, 1 - Schwangerschaftsabbruch I.

[420] იხ. Bundesverfassungsgericht, Urteil vom 28.05.1993 – 2BvF 2/90, 2 BvF 4/92, 2 BvF 5/92, Neue Juristische Wochenschrift (NJW) 1993, 1751 (1752).

[421] Der Schutz des ungeborenen Lebens in Deutschland, Wissenschaftliche Dienste Deutsche Bundestag, Sachstand WD 7 - 3000 - 256/18. S. 5 .

[422] სასამართლომ გარდაცვლილის ღირსებას განიხილავს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში, მისი მიდგომით ოჯახის წევრებს შეუძლიათ იდავონ გარდაცვლილის, პატივსა და რეპუტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. Editions Plon v. France, №58148/00, 18.05.2004, ECHR 2004-IV; Almeida Leitão Bento Fernandes v. Portugal, № 25790/11, 12.03. 2015; Jelševar and Others v. Slovenia, №47318/07, 11.03 2014 წ.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლო ცნობილ მეფისტოს საქმეზე.[423] კონსტიტუციური სარჩელი შეტანილი იქნა გარდაცვლილი მსახიობისა და რეჟისორის გუსტაფ გრიუნდგენსის ნაშვილები ვაჟის განცხადების საფუძველზე მოსარჩელისათვის კლაუს მანის წიგნის „მეფისტო. ერთი კარიერის რომანი“ გამრავლების, გავრცელებისა და გამოქვეყნების აკრძალვის წინააღმდეგ. რომანი აღწერს ნიჭიერი მსახიობის ჰენდრიკ ჰოფგენის აღმავალ კარიერას, რომელიც უარს ამბობს საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებზე და წყვეტს ყველანაირ ადამიანურ და ეთნიკურ კავშირებს, რათა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის რეჟიმის მეთაურებთან გარიგების გზით გაიკეთოს კარიერა ხელოვნების დარგში. რომანის მთავარი პერსონაჟის _ ჰენდრიკ ჰოფგენის პროტოტიპი გახლდათ მსახიობი გუსტაფ გრიუნდგენსი. ამ საქმეში მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს გადაწვეტილება ემსჯელა გარდაცვლილის ღირსებაზე, და მოსარჩელედ დაეშვა მისი შვილი.

294 აღნიშნულ საქმეში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის უფლება აზრს დაკარგავდა, თუკი ვინმეს ექნებოდა ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. ადამიანის ცხოვრებისეული ეპიზოდები, მისი ვიზუალური გამოსახულება დაცული უნდა იყოს გაყალბებისაგან. დაუშვებელია მისი დამცირება ან მისი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენება, როგორც სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგ. [424] სასამართლომ დაადგინა, რომ კონფლიქტი ხელოვნების თავისუფლების გარანტიასა და კონსტიტუციით დაცულ პიროვნულ სფეროს შორის უნდა გადაწყდეს გერმანიის ძირითადი კანონით დამკვიდრებული ღირებულებათა სისტემისა და წესრიგის მასშტაბებით; ამასთან, სავალდებულოა გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადამიანის ღირსების განსაკუთრებული პრიორიტეტულობა.[425][426]

295 ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა[427] საქმეში - საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელე იური ვაზაგაშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა გარდაცვლილი პირის (მისი შვილის - ზურაბ ვაზაგაშვილის) მიმართ პრეზიდენტის მიერ, ტელევიზიებით გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადების უარყოფა. მოსარჩელე იური ვაზაგაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლოს განჩინებას საფუძვლად დაედო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ცილისწამების თაობაზე

[423] BVerfGE 30, 173 – Mephisto.
[424] BVerfGE 30, 173 – Mephisto, 38.
[425] იხ. გადაწვეტილება ქართულ ენაზე: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურგენ შვაბე, თბილისი 2011.
[426] ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით დაცული ღირსებასა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით გარანტირებული ხელოვნების თავისუფლების ურთიერთშეფარდებისას დაპირისპირების გადაწყვეტისას სენატში ხმები თანაბრად გაიყო. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადების მიხედვით, ხმათა თანაბრად გაყოფისას სადავო საკითხი ძალაში რჩება და ითვლება კონსტიტუციის შესაბამისად.
[427] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1/6/561,568 საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას". კანონის დასახელებული ნორმა აკონკრეტებდა რა სასამართლოში ცილისწამების თაობაზე შესაძლო დავების წრეს, მის მიღმა ტოვებდა გარდაცვლილი პირის ცილისწამების თაობაზე დავის შესაძლებლობას.

296 მოცემული დავის ფარგლებში მოსარჩელის (გარდაცვლილის მშობლის) მთავარ ინტერესს წარმოადგენდა უშუალოდ გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვა, რაც, მათ გარდაცვლილის სახელით უნდა განეხორციელებინათ. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ცნო სარჩელი და მიუთითა, რომ მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს უფლება, სასამართლო წესით დაიცვას თავისი გარდაცვლილი შვილის ღირსება და მოითხოვოს მისი მისამართით გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფა.[428] მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ვრცელდება თუ არა გარდაცვლილზე საქართველოს კონსტიტუციის მე-17 (9) მუხლის პირველი პუნქტისა და 42-ე (30) მუხლის პირველი პუნქტის გარანტიები.

297 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის ღირსება დაინახა როგორც ადამიანის პატივის, სახელის და რეპუტაციის უფლება,[429] და განაცხადა რომ ცილისმწამებლური განცხადებებისაგან თავის დაცვა, უკიდურესად პერსონალური ხასიათისაა. „რასაც გარდაცვლილი პირის უახლოესი ადამიანი მისი რეპუტაციის შემლახავად მიიჩნევდა, გარდაცვლილს სიცოცხლეში შესაძლოა ყურადღებაც კი არ მიექცია, მით უფრო, სასამართლოში დავა არ ჩაეთვალა საჭიროდ". სასამართლოს მიდგომა, რომ ღირსება, მხოლოდ მისი რეპუტაციაა და მისი დაცვა პირის ნების გამოხატვის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, სრულიად ეწინააღმდეგა არამხოლოდ მთელს მის მანამდე არსებულ პრაქტიკას ღირსების უფლებასთან დაკავშირებით, არამედ ღირსების უფლების გაგებას თანამედროვე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში**.** სასამართლომ იმსჯელა გამოხატვის თავისუფლებაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში და დაასკვნა რომ „უფლების ბუნება, ისევე როგორც კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი არ იძლევა გარდაცვლილი პირის პატივის უფლების სუბიექტად მიჩნევის შესაძლებლობას. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი ამ სიკეთის სასამართლოში დაცვისთვისაც".[430] სასამართლომ პრიორიტეტი მიანიჭა გამოხატვის თავისუფლებას გარდაცვლილი პირის ღირსებასთან მიმართებით. [431]

298 თუმცა, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიუხედავად საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება კანონმდებლობაში. განმარტებით ბარათში ყურადღება გამახვილებულია "სამოქალაქო კოდექსზე", რომლის თანახმადაც, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების

[428] იქვე I-17.
[429] იქვე II-34.
[430] იქვე II-56.
[431] აქვე უნდა აღინიშნოს რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ 2019 წლის 18 ივლისს ვაზაგაშვილის საქმეზე დაადგინა, საქართველომ დაირღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) საქმეზე, რომელიც „ეხებოდა მოსარჩელის ვაჟის მოკვლას საპოლიციო ოპერაციის დროს და სარჩელს ეფექტური გამოძიების არარსებობის თაობაზე" და საქართველოს 50 000 ევრო არამატერიალური ზიანის" ანაზღაურება დააკისრა. Vazagashvili and Shanava v. Georgia (Application no. 50375/07) 18.07.2019.

საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან დაიცვას. აღნიშნული უფლებები "შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც".[432]

299 შემაჯამებლად უნდა ითქვას, რომ ისე როგორც იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრით,[433] ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს[434] პრაქტიკით გარდაცვლილი მართალია ვერ შეძლებს თავად დაიცვას მისი ღირსება, თუმცა ღირსების უფლების ობიექტური ღირებულებიდან გამომდინარე, მას აქვს ეს უფლება და ამას ადასტურებს ისიც, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს[435] შეუძლიათ დაიცვან მისი ღირსების უფლება.

300 ღირსების უფლებით ასევე დაცულია გარდაცვლილის ხსოვნა.[436] აღნიშნული ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში, და გამოიხატება საფლავების შეურაცხყოფის, ვანდალიზმის სისხლის სამართლებრივად დასჯადობაში.

2.2.3. ვინ არის დაცული ადამიანის ღირსების უფლებით.

301 ღირსების უფლების ადრესატი არის მხოლოდ ადამიანი, ფიზიკური პირი. იურიდიულ პირებზე ღირსები უფლება არ ვრცელდება, რადგან ღირსების უფლების შინაარსიდან გამომდინარე იგი სწორედ ადამიანად ყოფნასთან არის დაკავშირებული.

302 ადამიანის ღირსება გააჩნია უკლებლივ ყველა ადამიანს ასაკის, ეროვნების, წარმოშობის, სქესის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ ნებისმიერი სხვა სტატუსის მიუხედავად. ადამიანის ღირსებაზე გავლენას ვერ მოახდენს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ადამიანის უფლებაუნარიანობა ან ქმედუნარიანობა.

---

[432] კანონის ცვლილების განმარტებითი ბარათი, ინიციატორები: ვახტანგ ხმალაძე და შალვა შავგულიძე.

[433] იხ. Hillgruber in: Epping, 38. Ed. 2018, Art. 1 GG Rn. 3; : Starck in: v. Mangoldt/Klein/Starck, 7. Auflage 2018, Art. 1 GG Rn. 22; Hillgruber in: Epping, 38. Ed. 2018, Art. 1 GG Rn. 5; კუბლაშვილი/კორკელია/იზორია/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 85, კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, 81, გოცირიძე, საქართველოს კოსნტიტუციის მეორე თავის კომენტარი, გვ. 109.

[434]. „ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა ფუნდამენტურ უფლებას და გარანტირებულია კონსტიტუციით, შეუთავსებელი იქნებოდა თუ, პირის ღირსების დამცირება სიკვდილის შემდეგ დაშვებული იქნებოდა. შესაბამისად, სიკვდილთან ერთად არ სრულდება ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული სახელმწიფო ვალდებულება, დაიცვას იგი მის ადამიანურ ღირსებაზე თავდასხმისგან“. იხ, დეტალურად, BverfGE 30,173/194, BverfGE-K NJW 01,2959; BayVGH NJW 2003, 1620 zu Plastinaten in der „Körperwelten“-Ausstellung; Hillgruber in: Epping, 38. Ed. 2018, Art. 1 GG Rn. 5.

[435] გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილების თანახმად, სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდათ იმათ, ვისაც გარდაცვლილი ამის გაკეთებას სთხოვდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო. გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციით ასეთი პირები ჩვეულებრივ შეიძლება ყოფილიყვნენ გარდაცვლილის ახლო ნათესავები და არ არის აუცილებელი ისინი ყოფილიყვნენ გარდაცვლილის მემკვიდრეები. მთავარია, რომ ამ მესამე პირებს ჰქონდეთ ინტერესი, რაც ამართლებს მათი უფლების სასამართლო წესით დაცვას, აქვე უნდა აღინიშნოს რომ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო არ გასცემს კომპენსაციას გარდაცვლილი პირის ცილისწამებისათვის (6.12.2005 - VI ZR 265/04 -), ვინაიდან გარდაცვლილ ადამიანს არ ადგება ტკივილი და ტანჯვა ცილისმწამებლური განცხადების შედეგად, შესაბამისად, ფულადი ანაზღაურების გზით ის ვერ მოიშორებს ცილისმწამებლური განცხადებით გამოწვეულ ტკივილსა და სულიერ ტანჯვას. აღნიშნული მიდგომა დადასტურდა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებით (- 1 BvR 402/06, 19.10.2006).

[436] BVerfG Beschl. v. 09.05.2016, Az. 1 BvR 2202/13 -, juris Rn. 60.

303 ღირსების უფლებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ იგი ყველა ადამიანის უფლებაა, მიუხედავად იმისა, რამდენად აცნობიერებს იგი მის ღირსებას. ადამიანს არ ჭირდება ღირსების მოპოვება. როგორც კი არსება ადამიანად იბადება, უკვე ღირსების მატარებელია.

304 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე - საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.[437] მოსარჩელე, სხვა ნორმებთან ერთად, დამატებით, სადავოდ ხდიდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის რიგ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ ქმედუუნარო პაციენტის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებისა და მკურნალობის პროცედურებს და განსაზღვრავენ მის უფლება-მოვალეობებს, ადამიანის ღირსების უფლებასთან მიმართებით.

305 „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პაციენტს უფლება აქვს, ისარგებლოს ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს მისი ღირსების შემლახავ ყოველგვარ მოქმედებას. თუმცა კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ექიმს უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით, შეზღუდოს პაციენტის ის უფლებები, რაც გარანტირებულია იმავე კანონის მე-5 მუხლით, მათ შორის, პირის უფლება, დაცული იყოს ღირსების შემლახავი მოპყრობისგან.

306 სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობისგან დაცვის აბსოლუტური უფლება შეზღუდვას არ ექვემდებარება. შესაბამისად, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნული ჩანაწერი, წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ღირსების უფლებასთან.[438]

3. ადამიანის ღირსების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, ჩარევის სახეები და მისი შემოწმება

307 ღირსების უფლებაში ჩარევა შესაძლოა სხვადასხვა სახის იყოს, თუმცა როგორც კი ნებისმიერი სახის ჩარევა დადგინდება (მისი სახის მიუხედავად), მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება თეორიულადაც გამორიცხულია.[439]

308 ამასთან, სახელმწიფო კონსტიტუციით დაცულ ღირსების უფლებას არღვევს მაშინ, როდესაც ფუნდამენტური უფლებების დარღვევის გზით (შედეგად), მიზნად ისახავს ადამიანის დამცირებას, მისი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას ან/და მისი ფაქტობრივი ქმედება ასეთ შედეგს გარდაუვლად იწვევს.[440]

309 საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ადამიანის ღირსების დაცვას სახელმწიფოს აკისრებს. ხოლო მეორე პუნქტით დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან

[437] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბერის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[438] იქვე.
[439] შეადარე: Pieroth/Schlink, Rn. 426.
[440] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება №1/4/592 საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II -16, 17.

დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. შესაბამისად გვაქვს ჩარევის შემოწმების ორი ფორმულა.

ადამიანის ღირსების შესაძლო შელახვისას (მე-9 მუხლის პირველი პუნქტი) გამოიყენება 310
სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ადამიანის ობიექტად გამოყენების“ შემოწმების ტესტი, ხოლო მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წამების აკრძალვის შემოწმებისას კი ვიყენებთ ჩარევის შემოწმების ე.წ. „4 კომპონენტიან“ ტესტს. მე-9 მუხლში ჩარევის შემოწმებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას შემოწმების მხოლოდ პირველი ეტაპი აქვს. როგორც კი დავადგენთ, რომ სახელმწიფომ განახორციელა ჩარევა კონსტიტუციის მე-9 მუხლში, დგინდება, რომ სახელმწიფომ ხელყო ადამიანის ღირსება. ამ შემთხვევებში კი არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც მისცემს სახელმწიფოს უფლებას უღირსად მოექცეს ადამიანს, ან სასტიკად, არაადამიანურად მოეპყროს მას. რადგან მე-9 მუხლით დაცული სიკეთეები მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ სფეროებს და მათში ნებისმიერი ჩარევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამიტომ სახელმწიფოს მოქმედების შემოწმება განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა[441] რომ საქართველოს 311
კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული უფლების საფუძველს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მე-2 პუნქტის (წამების და არაადამიანური სასჯელის აკრძალვის) დარღვევა გარდაუვლად იწვევს ადამიანის ღირსების კონსტიტუციური პრინციპის (პირველი პუნქტის) ხელყოფას.

3.1. „ადამიანის ობიექტად გამოყენების“ შემოწმების ტესტი

თუკი დადგინდა, რომ ადამიანის ღირსებაში ჩარევა მოხდა, მაშინ შემდეგ ეტაპზე 312
(ჩარევის გამართლებაზე) აღარ შეიძლება იყოს მსჯელობა, რადგან ღირსების უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა, ამ უფლების დარღვევის ტოლფასია. სამართალში დამკვირდებული ტესტის მიხედვით ადამიანის ღირსების შემოწმების ტესტი ეყრდნობა „ობიექტად გამოყენების“ ფორმულას[442] და იგი შემდეგნაირია: ადამიანის ღირსება ირღვევა მაშინ, თუკი იგი სახელმწიფოში დამცირებულია როგორც შიშველი ობიექტი[443] და ასეთი დამცირება პრინციპულად ეჭვქვეშ აყენებს მისი როგორც ადამიანის, სუბიექტურ ღირებულებასა და ხარისხს[444].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში დაამკვიდრა ე.წ. 313
„ადამიანის ობიექტად გამოყენების“ შემოწმების ტესტი.[445] თუმცა ამასთან დაკავშირებთ

[441] იქვე II -16.

[442] ტერმინს „ობიექტის ფორმულასაც“ უწოდებენ. იგი ჯერ კიდევ იმანუელ კანტის მიერ მის 1785 წლის ნაშრომში „der Metaphysik der Sitten“ იქნა გამოყენებული. მას დღემდე წარმატებით იყენებს გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში. BVerfGE 5, 85, (204); 7, 198 (205); 27, 1 (6): „Es widerspricht der Menschenwürde, den Menschen zum bloßen Objekt im Staat zu machen.“; 28, 386 (391); 45, 187 (228); 50, 166 (175); 56, 37 (43). 72, 105 (116); 96, 375 (399); 109, 133, 149.

[443] Geddert-Steinacher, Menschenwürde als Verfassungsbegriff. Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990.

[444] Manssen, Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage 2016 § 9., Rz. 217.

[445] მაგ. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-30; ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის, NN№2/2-389, გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. II-30; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,

ერთ ერთი საინტერსო პრაქტიკა განავითარა მან საქმეში „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“[446] მოსარჩელემ სადავო გახადა იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც გამორიცხავდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის უკანონოდ მფლობელი პირების, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციას. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეს ნორმა სოციალურად დაუცველ ადამიანებს, თუ ისინი უკანონოდ ცხოვრობდნენ სახელმწიფო საკუთრებაში, არ აძლევდა სოციალური დახმარების მიღების საშუალებას და ფაქტობრივად, აიძულებდა არჩევანი გაეკეთებინათ თავზე სახურავსა და მაგიდაზე პურს შორის. მოსარჩელე მიიჩნევდა რომ სახელწიფოს მიერ ადამიანის სამართლის შიშველ ობიექტად გამოყენება დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში. ასეთ პირობებში სამართალს ექნება ცდუნება, საზოგადოებაში შეთანხმებული წესებისადმი და ერთმანეთისადმი პატივისცემა უზრუნველყონ მხოლოდ შიშზე დაყრდნობით. ასეთი მიდგომა კი თავისთავად შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას და სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალს უკარგავს მთავარ ფუნქციას.[447]

314 სასამართლომ აღნიშნული დავა შეამოწმა სწორედ „ადამიანის ობიექტად გამოყენების ტესტით“ და აღნიშნა რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-17 (ახალი რედაქციით მე-9) მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს ადამიანის სამართლის შიშველ ობიექტად განხილვას და მისი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას. განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო, იმისათვის რომ მიაღწიოს ლეგიტიმურ მიზანს, იყენებს ადამიანის მძიმე სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას, მის მოწყვლადობას კონკრეტული საჯარო მიზნის მიღწევის საშუალებად და ხსენებული a priori აქცევს სადავო ნორმას ადამიანის ღირსების შემლახველად.

3.2. „4 კომპონენტიანი“ ტესტი

315 თუ სახელმწიფოს ქმედებისას სავარაუდოა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, მაშინ ვიყენებთ აღნიშნულ 4 კომპონენტიან ტესტს. ამ პუნქტებით გათვალისწინებული „კონსტიტუციური აკრძალვა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების თაობაზე ადამიანების აბსოლუტური უფლებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლებებში ჩარევას“[448]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებულ სახელმწიფოს ქმედების დადგენისას, ჩარევის დასადგენად საჭიროა რამდენიმე კომპონენტის განხილვა. ეს არის ე.წ. „4 კომპონენტიანი“ ტესტი.[449]

(ე. წ. მარიხუანის საქმე), II-52, 83; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისი №1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ. II-20,21,26.

[446] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

[447] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისი№2/3/663, გადაწვეტილება „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-18.

[448] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (ე.წ. მარიხუანის საქმე), II-19.

[449] შეად. ასევე: იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 91.

316 საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევად ჩაითვლება ქმედება, რომელიც სახელმწიფოს მიერ განხორციელდა და იყო 1. ინტენსიური; 2. არაპროპორციულად ხანგრძლივი ან მუდმივი; 2. პირი წარმოადგენს სახელმწიფოსათვის „მიზნის მიღწევის საშუალებას, (შიშველ ობიექტს). 4. იყო თვითნებური.

317 თუკი 4 კომპონენტიდან რომელიმე მათგანი მაინც სახეზეა დგინდება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ჩარევა, რაც უკვე უფლების დარღვევის ტოლფასია და პირიქით, თუ არც ერთს ჩამოთვლილი კომპონენტიდან არ ჰქონია ადგილი, ადამიანის ღირსებაში არ მომხდარა ჩარევა.

318 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ ტესტით შემოწმდა მოქალაქე ბექა წიქარიშვილის საქმე. მოსარჩელე ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ დიდი ოდენობით (69 გრ. გამომშრალი მარიხუანა) ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის. რისთვისაც გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე. მოსარჩელის აზრით, მარიხუანის შენახვისთვის არა მხოლოდ სადავო ნორმით დადგენილი შეუსაბამოდ მაღალი სასჯელი, არამედ ზოგადად თავისუფლების აღკვეთაც არაპროპორციული და ღირსების უფლების შემლახველი იყო, რითაც ირღვეოდა კონსტიტუციის მე-9 (ძველი რედაქციით მე-17 მუხლის) მუხლის მეორე პუნქტი. სასამართლომ შეამოწმა იყო თუ არა მოსარჩელის მიმართ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული სასჯელი ღირსების შემლახავი. 1. ინტენსივობის საზომით ამ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ შეაფასა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარად[450], რომ უფლებაში ჩარევის დასადგენად მის მიმართ უნდა ყოფილიყო ისეთი „არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი, ადამიანზე განზრახ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური ზემოქმედება, იძულება, რაც, შედეგად, ადამიანს აყენებს განსაცდელს, სტრესს, სატანჯველს“. 2. ასევე სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ ჩარევის დასადგენად მოსარჩელეზე „ასეთი წნეხი, იძულება, ზემოქმედება როგორც თვისობრივად, ისე ხანგრძლივობით, ინტენსივობის გარკვეულ ხარისხს, მაღალ დონეს უნდა აღწევდეს“[451]. 3. მოსარჩელეზე დაკისრებული სასჯელი შესაძლოა ემსახურებოდეს ზოგად პრევენციას, მაგრამ თუკი ეს სასჯელის ზომა აშკარად შეუფერებელია აღნიშნული ქმედებისათვის, პირი ხდება სახელმწიფოს ქმედების შიშველი ობიექტი. სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანი არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტრუმენტი და დანაშაულთან ბრძოლის საშუალება, ადამიანი არის მიზანი, რომელზე ორიენტირებითაც მოქმედებს ხელისუფლება“. თუკი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ეს გარდაუვლად გამოიწვევს მისი ღირსების ხელყოფას[452]. 4. ქმედების თვითნებური ხასიათის შემოწმებისას მხედველობაშია მისაღები თუ „რამდენად არის ქმედების მიზანი ადამიანის დამცირება და შეურაცხყოფა.

319

[450] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-22.

[451] იქვე, II-54. და 104.

[452] იქვე, II-83.

ამ შემთხვევაში აღნიშნული ტესტის მე-2 და მე-3 კომპონენტები - მოსარჩელის მიმართ სახელწიფოს ქმედების ინტენსიურობა და ობიექტად/ინსტრუმენტად გამოყენება დასტურდება. მაშასადამე, სახეზეა ადამიანის ღირსების ხელყოფა არაადამიანური, სასტიკი სასჯელის დაწესების გზით, რომელიც ხანგრძლივობით ინტენსივობის მაღალ ხარისხს აღწევს. შესაბამისად სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსი (70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას შენახვისათვის) საკონსტიტუციო სასამარლომ არაკონსტიტუციურად აღიარა.[453]

320 ჩარევის აღნიშნული წესით შემოწმება დამკვიდრებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში. თუმცა დამატებით გამოყოფილია სამი კუმულაციური ელემენტი[454]:

- ძლიერი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის განზრახ მიყენება;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა;
- კონკრეტული მიზანი.

321 აღსანიშნავია, რომ ყველა სახის უხეში მოპყრობა არ ხვდება წამების აკრძალვის ფარგლებში. სტრასბურგის სასამართლომ მე-3 მუხლთან დაკავშირებულ ცნობილ საქმეში ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ[455] განმარტა, რომ არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. თუმცაღა, ასევე აღიარებულ იქნა, რომ, ერთი მხრივ, უხეშ მოპყრობასა და, მეორე მხრივ, მე-3 მუხლის დარღვევას შორის გამავალი გამყოფი ზღვრის დადგენა შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ძნელი აღმოჩნდეს. თუმცა სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შეფარდებითია, იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე,[456] უფრო კონკრეტულად, მიყენებული ტანჯვის სისასტიკე ან ინტენსიურობა შესაძლოა შეფასდეს იმ ფაქტორებზე მითითებით, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, ზემოქმედების ფიზიკური და სულიერი შედეგები, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

322 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილებები რომლებიც ეხება ადამიანის ღირსების შემლახავ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებს.[457] მოცემულ ქვეთავში ასევე განხილულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გარდაცვლილი ადამიანის ღირსების უფლების დაცვასთან დაკავშირებით.[458]

---

[453] იქვე, სარეზოლუციო ნაწილი.

[454] აღნიშნული კრიტერიუმები ეყრდნობა „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის“ პირველ მუხლში მოცემულია წამების საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიციას.

[455] Tyrer v. the United Kingdom, 25.04. 1978, S. a №26.

[456] Selcuk and Asker v. Turkey, 24.04. 1998, § 76, - 1998-II.

[457] ანალიზი ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტს, 2019 წ. თბილისი. ავტორები, კვაჭაძე/მამალაძე/დათეშიძე.

[458] პრაქტიკის ანალიზი ეყრდნობა დოკუმენტს რომელიც მომზადებულია მიმოხილვა მომზადებულია ბ. ბოხაშვილისა და კ. კორკელიას ავტორობით გამოცემული პუბლიკაციის „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“ (2017 წ.), ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის

4.1. ჯალოჰი გერმანიის წინააღმდეგ

2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჯალოჰი გერმანიის წინააღმდეგ“[459] 323
ძალზე საინტერესოა იძულებითი სამედიცინო ჩარევების პრობლემის კუთხით. მოსარჩელე (ნარკოტიკებით მოვაჭრე) აცხადებდა, რომ ის გახდა არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი იმის შედეგად, რომ პოლიციის ოფიცრებმა მას იძულებით მიაღებინეს პირსასაქმებელი წამლები არა სამკურნალო, არამედ სამართლებრივი მოტივით (დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებების მოპოვების მიზნით). სასამართლომ ჩათვალა, რომ `იძულებითი სამედიცინო ჩარევის ნებისმიერი გამოყენება დანაშაულის სამხილის მოპოვების მიზნით უნდა იყოს დამაჯერებლად გამართლებული კონკრეტული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროცედურა გამიზნულია ადამიანის სხეულიდან ფაქტობრივი მასალის მოპოვებისათვის იმ დანაშაულზე, რომელშიც ის არის ეჭვმიტანილი. ასეთი მოქმედების განსაკუთრებით ინტრუზიული ხასიათის გამო აუცილებელია საქმის გარემოებების დაწვრილებით შესწავლა. ამასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს განსახილველი დანაშაულის სიმძიმეს. სამართალდამცავმა ორგანომ ასევე უნდა აჩვენოს, რომ მან განიხილა მტკიცებულებათა მოპოვების ალტერნატიული მეთოდები. ამასთან, პროცედურამ ეჭვმიტანილის ჯანმრთელობას არ უნდა შეუქმნას რაიმე სახის ხანგრძლივი ზიანის საფრთხე.[460] მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ `სადავო ზომამ მიაღწია სიმკაცრის მინიმალურ დონეს, როდესაც საჭიროა, რომ ის მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების არეში. სამართალდამცავმა ორგანომ განახორციელა მოსარჩელის გონებრივი და ფიზიკური ხელშეუხებლობის სერიოზული ხელყოფა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. პოლიციელებმა აიძულეს ის, რომ აერია გული არა სამედიცინო მიზნებისთვის, არამედ სამხილის მოპოვების მიზნით, რომლის მოპოვებაც მათ შეეძლოთ ნაკლებად ინტრუზიული მეთოდებით. იმ ფორმამ, რომლითაც განხორციელდა სადავო პროცედურა, გამოიწვია მოსარჩელეში შიშის, სიბრაზისა და არასრულყოფილების გრძნობა, რასაც შეეძლო მისი შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა. უფრო მეტიც, პროცედურა შეიცავდა რისკებს მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის, თუნდაც იმით, რომ წინასწარ არ იყო შედგენილი სათანადო ანამნეზი. მართალია, ეს განზრახული არ იყო, მაგრამ პროცედურა ჩატარდა იმგვარად, რომ მოსარჩელეს მიადგა როგორც ფიზიკური ტკივილი, ისე გონებრივი ტრავმა. აქედან გამომდინარე, მის მიმართ განხორციელდა არაადამიანუნური და ღირსების შემლახველი ქმედება, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.

4.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეები საქართველოს წინააღმდეგ

კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის საკითხი აქტუალური იყო 324
საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ არაერთ საჩივარში. მომჩივნები ძირითადად

პროექტისა“ და „კანონის უზენაესობა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის მხარდაჭერითა და უზენაესი სასამართლოს კვლევებისა და ანალიზის ცენტრის თანამონაწილეობით.

[459] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (დიდი პალატა), ჯალოჰი გერმანიის წინააღმდეგ, 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, § 71.

[460] იქვე, 81.

ასაჩივრებდნენ წინასწარი დაკავების იზოლატორში ან პატიმრობის დროს მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების ჩაუტარებლობას. საქართველოში პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების გაჭიანურებული და არაეფექტური გამოძიების საკითხი პირველად ასახულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ[461]. ამ და ამ ტიპის სხვა საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ჩატარებული გამოძიებები არ იყო სათანადოდ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რაც ძირითადად განპირობებული იყო სავარაუდო დამნაშავეთა და გამომძიებლებს შორის ინსტიტუციური კავშირით და რიგ შემთხვევაში იერარქიული სუბორდინაციითაც კი.

325 გადაწყვეტილებაში საქმეზე დანელია[462] საქართველოს წინააღმდეგ მომჩივანი დავობდა, რომ წინასწარი პატიმრობის დროს წამების მსხვერპლი გახდა, თუმცა, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებმა მას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ნება არ დართეს, რამაც საბოლოოდ აღნიშნული ფაქტის გამოძიებას ხელი შეუშალა. სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ განაცხადა, როდესაც მომჩივანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან უკანონო და კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებს, ხსენებული დებულება ამავე კონვენციის 1-ელ მუხლთან მიმართებით, რომელიც წევრ სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას აკისრებს, ასეთ შემთხვევაში ოფიციალური და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას მოითხოვს. სასამართლოს განმარტებით: ,,გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა იქნება პრაქტიკულად უშედეგო და მიუხედავად მისი ფუნდამენტური ღირებულებისა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო მოხელეებს, სრულიად დაუსჯელად ფეხქვეშ გათელონ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარებიან.''[463]

326 მოცემულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ, არასათანადო მოპყრობის შესახებ წარდგენილი საჩივრის პასუხად საგამოძიებო მოქმედებათა ჩაუტარებლობის საფუძვლით, საქართველოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა.

327 გადაწყვეტილება საქმეზე გაბლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ,[464] რომელიც ეხებოდა პატიმართა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას და სახელმწიფოს მიერ ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2009 წლის 30 მარტს მომჩივნები სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობის დროს დააკავეს, რა დროსაც ციხის თანამშრომლებმა ხის ჯოხებითა და რკინის მილებით სასტიკად სცემეს. დაკავების შემდეგ მომჩივნები საკანში მოათავსეს, სადაც ციხის თანამშრომლებმა გააგრძელეს

[461] Gharibashvili v. Georgia, №11830/03, 29.07.2008.
[462] Danelia v. Georgia, №68622/01, 17.10. 2006.
[463] იქვე, p. 44.
[464] Gablishvili v. Georgia, №7088/11, 21. 02. 2019.

მათი ცემა. მომჩივნებმა დაკითხვის დროს გამომძიებელს უთხრეს, რომ მიღებული დაზიანებები ციხის მაღალი კედლიდან გადმოხტომას უკავშირდებოდა, თუმცა სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს მათ შეცვალეს თავდაპირველი ჩვენებები და განაცხადეს, რომ დაკავებისას და დაკავების შემდგომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.

328 მომჩივნებმა 2009 წლის 10 ნოემბერს მიმართეს მთავარ პროკურორს, რათა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით დაწყებულიყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. გამოძიების ფარგლებში დაიკითხა ციხის უფროსი და ციხის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც მომჩივანთა დაკავებაში მონაწილეობდნენ. დაკითხვისას ყველა მათგანმა უარყო მომჩივანთა ცემის ფაქტი. გამომძიებელი სრულად დაეთანხმა ციხის თანამშრომელთა ვერსიას და დაასკვნა, რომ დაზიანებები შესაძლოა კედლიდან გადმოხტომას გამოეწვია. პროკურორმა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე შეწყვიტა გამოძიება.

329 ამ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევა დაადგინა. როგორც სტრასბურგის სასამართლომ მრავალ წინა შემთხვევაზე ხაზგასმით აღნიშნა, ხელისუფლების სწრაფი პასუხი, არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდებებთან დაკავშირებით, შესაძლოა მიჩნეული იყოს არსებითად საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და იმის საჩვენებლად, რომ ისინი იცავენ კანონის უზენაესობას და თავიდან ირიდებენ უკანონო ქმედებების მიმართ შემწყნარებლობის ან შეთქმულების ნებისმიერ გამოვლინებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე ხელისუფლებამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი, საფუძვლიანი და ეფექტური გამოძიების ჩატარება 2009 წლის 30 მარტის შემთხვევასთან დაკავშირებით.

330 სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, ის ფაქტი, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედება განახორციელა სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა ანუ იმავე უწყებამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ციხის სისტემაზე, წარმოშობდა გონივრულ ეჭვებს გამოძიების დამოუკიდებლობასთან მიმართებით. ასევე, სასამართ-ლო ექსპერტიზა მომჩივანთა დაზიანებების თაობაზე არ შეესაბამებოდა დამოუკიდებლობის სტანდარტების მოთხოვნებს, რადგან ის ჩატარდა იმ გამომძიებლის თანდასწრებით, რომელსაც მოგვიანებით მომჩივნები სამსახურებრივი უფლებამო-სილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, გამოძიების ეფექტიანობას ეჭვქვეშ აყენებდა ასევე ის ფაქტი, რომ სისხლის-სამართლებრივი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილებაში მოცემული დასკვნები ეფუძნებოდა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში მონაწილე ციხის თანამშრომელთა ჩვენებას.

331 ასევე ციხის თანამშრომელთა განცხადებების სანდოობა უნდა შემოწმებულიყო, რადგან გამოძიებას უნდა დაედგინა, იყვნენ თუ არა ისინი პასუხისმგებელნი სისხლის სამართლის ბრალდებებზე. გარდა ამისა, დაკავებაში მონაწილე ძალოვნები ზედაპირულად დაიკითხნენ. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა მათგანის განცხადება იყო შაბლონური, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მონაწილეობა არ მიუღიათ არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში და ფიზიკური ძალა, რომელიც მომჩივანთა დაკავებისას მათ გამოიყენეს აუცილებელი იყო.

332 გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, გაურკვეველია ხელისუფლებამ გამოკითხა თუ არა პოტენციურად მნიშვნელოვანი მოწმეები. მაგალითად, ციხის დაცვა, რომელსაც, მომჩივანთა განცხადებით, ციხის უფროსისგან დავალებული ჰქონდა დაკავების შემდეგ ესროლა მომჩივნებისთვის, თუმცა მან ეს ბრძანება არ შეასრულა; გამომძიებელი, რომელმაც სავარაუდოდ მომჩივნებს თავდაპირველი განცხადებების გაკეთება აიძულა; ციხის უფროსი, რომელმაც სავარაუდოდ ინციდენტის შემდეგ მალევე მოინახულა მომჩივნები და სიჩუმის სანაცვლოდ შემწყნარებლობას დაპირდა.

333 სახელმწიფოს ვერ წარმოუდგენია ზემოაღნიშნულ პოტენციურ მოწმეთა ჩვენებების რაიმე ასლი, როგორც გამოძიების შემადგენელი ნაწილი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო სრულყოფილი, ადეკვატური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული სამართლის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, სრულყოფილად გამოიძიონ ის დაზიანებები, რომლებიც პირს დაკავების ან პატიმრობის დროს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიადგა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

4.4. პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ

334 ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე გამომცემლობა პლონი საფრანგეთის წინააღმდეგ[465], განსაკუთრებით საინტერესოა. ის ეხებოდა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას მისი ყოფილი ექიმის მიერ. ამის გამო საფრანგეთის ეროვნულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო ჟურნალისტს სხვისი პატივისა და ღირსების შელახვაში და განსაკუთრებული ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნებაში. მართალია, ეროვნულ და ევროპულ სასამართლოებში სამართალწარმოების დროს ბ-ნი მიტერანი უკვე გარდაცვლილი იყო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამოხატვის უფლების დროებითი შეზღუდვა ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს და ემსახურებოდა „ყოფილი პრეზიდენტის პატივის, რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების დაცვას“. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული სასამართლოების მიერ ოჯახის წევრების მიჩნევა უფლებამოსილ სუბიექტებად, რათა მათ ედავათ გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებით, არ იყო არაგონივრული ან თვითნებური.“[466] ამით სასამართლომ დაადასტურა რომ გარდაცვლილის ღირსება გრძელდება მისი გარდაცვალების შემდეგ, და მასზე დავა შეუძლიათ ოჯახის წევრებს. სასამართლომ ამასთანავე დაადგინა, რომ პუბლიკაციის დროებითი შეზღუდვა პირველ ეტაპზე იყო ლეგიტიმური, რადგან პუბლიკაციის დროებით გამოქვეყნების აკრძალვა გამოტანილ იქნა მიტერანის გარდაცვალებიდან 10 დღის შემდეგ, როდესაც გამოქვეყნებას შეეძლო, მხოლოდ გაემწვავებინა პრეზიდენტის მემკვიდრეთა მწუხარება მისი გარდაცვალების გამო.[467]

335 ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია პროპორციულად ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნების სამუდამო აკრძალვა. როგორც ევროპულმა სასამართლომ

[465] Editions Plon v. France, №58148/00, ECHR 2004-IV.
[466] იქვე, p. 34.
[467] იქვე, p. 35.

განმარტა, დროის გასვლის შემდეგ პრეზიდენტ მიტერანის პრეზიდენტობის ორი ვადის ისტორიის განხილვის მიმართ საზოგადოებრივმა ინტერესმა გადაწონა ყოფილი და იმ დროისათვის უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი პრეზიდენტის სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესები".[468]

4.5. ალმეიდა ლეიტაო ბენტო ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ

336 საქმეზე ალმეიდა ლეიტაო ბენტო ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ[469] მომჩივანი იყო წიგნის ავტორი (The Palace of Files), რომელიც ამ უკანასკნელმა ფსევდონიმით გამოაქვეყნა. წიგნის დასაწყისში ავტორი მადლობას უხდიდა ყველა იმ პირს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მის სურვილზე, დაეწერა წიგნი, თუმცა აღნიშნა, რომ წიგნის შინაარსი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო და რაიმე დამთხვევა ვინმეს ცხოვრებასთან უბრალო შემთხვევითობა იქნებოდა. წიგნში მოთხრობილი ისტორიის მიხედვით, პერსონაჟებიდან ერთ-ერთი თავს ირჩენდა პროსტიტუციით და მოგვიანებით შიდსის ვირუსით გარდაიცვალა. წიგნის მეორე პერსონაჟი მზად იყო, მოეკლა მამა მემკვიდრეობის მისაღებად. წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ქ-ნ ალმეიდას ქმრის ბიძამ, დედამ, დამ და სხვა ნათესავებმა უჩივლეს ქ-ნ ალმეიდას ცილისწამებისათვის, რადგან ისინი თვლიდნენ რომ წიგნის რამდენიმე პერსონაჟი ასახავდა ამ ოჯახის ორი გარდაცვლილი წევრის ისტორიას. ისინი ითხოვდნენ ავტორის დაჯარიმებას და მორალური ზიანით გამოწვეული კომპენსაციის გადახდას.

337 პორტუგალიის სასამართლოებმა ქ-ნი ალმეიდას ქმრის ოჯახის რამდენიმე წევრსა და წიგნის პერსონაჟებს შორის მსგავსება დაადგინეს და მიიჩნიეს, რომ ქ-ნმა ალმეიდამ დაარღვია მეუღლის ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და შებღალა მათი რეპუტაცია.

338 ვინაიდან მომჩივანი გასცდა გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პორტუგალიის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ იყო საფუძველს მოკლებული და არაპროპორციული; სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ არასაჯარო პირების პირად ცხოვრებაში ამგვარი ჩარევა და მათი პირადი დეტალების გამოქვეყნება სცდებოდა გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ ფარგლებს და ლახავდა ოჯახისა და კერძო პირების რეპუტაციას.

4.6. ჯუღაშვილი რუსეთის წინააღმდეგ

339 საქმის ჯუღაშვილი რუსეთის წინააღმდეგ [470] მიხედვით, 2009 წლის 22 აპრილს რუსულმა გაზეთმა „Новая Газета"-მ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოთხრობილი იყო 1940 წელს კატინში პოლონელი ჯარისკაცების დახვრეტის შესახებ. სტატიაში ხაზგასმული იყო ამ ტრაგედიაში იოსებ სტალინის (იოსებ ჯუღაშვილი) როლი, რომელიც ავტორმა „სისხლისმსმელად" მოიხსენია.

[468] იქვე, p. 53.
[469] Almeida Leitão Bento Fernandes v. Portugal № 25790/11, 12 მარტი, 2015 წ.
[470] Dzhugashvili v. Russia (განჩინება), №41123/10, 9 დეკემბერი, 2011 წ.

340 საგაზეთო სტატიის გავრცელების შემდეგ ბ-მა ჯუღაშვილმა, რომელიც სტატიაში მოხსენიებული იოსებ სტალინის შვილიშვილი იყო, სარჩელით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და მოითხოვა ცრუ ბრალდებისა და მიყენებული მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა 9,5 მილიონი რუბლის ოდენობით (211 488 ევრო). 2009 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განაცხადა, რომ ისტორიულ პირებს და, მათ შორის, მათ შთამომავლებს ეკისრებათ განსაკუთრებული შემწყნარებლობის ვალდებულება კრიტიკის მიმართ.

341 მოგვიანებით გაზეთმა კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა სათაურით –„ისტორიული პროცესი“, რომელიც აღწერდა სასამართლო დავას ბ-ნ ჯუღაშვილსა და გამოცემას შორის. ბ-მა ჯუღაშვილმა ამჯერადაც იჩივლა სასამართლოში და გამომცემლობა დაადანაშაულა ცრუ ბრალდებაში. ეროვნულმა სასამართლომ ამჯერადაც არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. მომჩივანი თვლიდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სიკეთე, კერძოდ, შელახეს მისი და მისი ოჯახის წევრის პატივი და ღირსება.

342 ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გარდაცვლილ წინაპარზე გავრცელებული პუბლიკაცია შეიძლება გავლენას ახდენდეს შთამომავლების პირად ცხოვრებაზე და იგი შეიძლება მოექცეს მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ისტორიულ პირებს, ისევე როგორც მათთან დაკავშირებულ პირებს, ეკისრებათ განსაკუთრებული თმენის ვალდებულება ნებისმიერი კრიტიკის მიმართ. აგრეთვე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს ბალანსი მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებას შორის. სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად სცნო.

4.7. გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ

343 საქმეში „გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ“[471] ამტკიცებდა, რომ მოპყრობა, რომელსაც იგი დაექვემდებარა 2002 წლის 1 ოქტომბერს, პოლიციის მიერ დაკითხვისას – ბიჭის, J.-ის ადგილსამყოფელის დადგენის თაობაზე – წარმოადგენდა წამებას, რაც იკრძალება კონვენციის მე-3 მუხლით. J. იყო ბანკირების ოჯახის უმცროსი ვაჟი. ისინი ცხოვრობდნენ ფრანკფურტში, მაინზე. იგი იცნობდა განმცხადებელს, როგორც თავისი დის ნაცნობს, რომელიც სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. 2002 წლის 27 სექტემბერს განმცხადებელმა თერთმეტი წლის J. თავის ბინაში, ფრანკფურტში, მაინზე, მოტყუებით შეიყვანა – მოიგონა, რომ მის დას იქ ქურქი დარჩა. შემდეგ მან ბიჭი დაახრჩო. შემდეგ განმცხადებელმა J.-ის მშობლების საცხოვრებელ ადგილზე დატოვა ბარათი, რომ J. მოიტაცა და ერთი მილიონი ევრო მოითხოვა გამოსასყიდის სახით. ბარათში ნათქვამი იყო, რომ თუ გამტაცებლები გამოსასყიდს მიიღებდნენ და მოახერხებდნენ ქვეყნის დატოვებას, მშობლები კვლავ შეძლებდნენ შვილის ნახვას. შემდეგ განმცხადებელმა J.-ის ცხედარი წაიღო წყალსაცავზე, რომელიც კერძო საკუთრება იყო, ბირშტეინთან ახლოს, ფრანკფურტიდან ერთი საათის სავალზე და დამბაში დამალა.

[471] გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ. Gäfgen v. Germany, 22978/05. 01/06/2010.

2002 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით დღის პირველ საათზე, განმცხადებელმა მიიღო 344
გამოსასყიდი თანხა ტრამვაის გაჩერებაზე. იმავე საღამოს, პოლიციამ იგი ფრანკფურტის აეროპორტში დააპატიმრა. დაკავებისას მას სახე მიწაზე არტყმევინეს. აეროპორტის ჰოსპიტალში იგი ექიმმა გასინჯა. მიღებული შოკისა და კანის დაზიანების გამო, განმცხადებელი ფრანკფურტის პოლიციის სათაო ოფისში გადაიყვანეს.

ფრანკფურტის პოლიციის უფროსის მოადგილემ, სხვა ოფიცერს, უბრძანა, მძიმე 345
ფიზიკური ტკივილის მიყენების მუქარით – საჭიროების შემთხვევაში კი ასეთი ტკივილის მიყენებით –განმცხადებლისგან გაეგო ბიჭის ადგილსამყოფელი. ამის შემდეგ გამომძიებელი E. დაემუქრა განმცხადებელს, რომ თუ ბავშვის ადგილსამყოფელს არ გაამჟღავნებდა, მას ტკივილს მიაყენებდა ამ საქმისთვის საგანგებოდ გაწვრთნილი პირი. განმცხადებლის თქმით, გამომძიებელი აგრეთვე დაემუქრა, რომ საკანში გამოამწყვდევდა ორ უზარმაზარ შავკანიან მამაკაცთან ერთად, რომლებიც მასზე იძალადებდნენ სექსუალურად. ასევე, გამომძიებელმა მას რამდენჯერმე ნიკაპზე დაარტყა და შეანჯღრია ისე, რომ ერთხელ თავი კედელზე მიარტყმევინა.

346 განმცხადებელმა, რომელსაც შეეშინდა, რომ მის მიმართ მუქარას აასრულებდნენ, დაახლოებით 10 წუთში გაამხილა J.-ის გვამის ადგილსამყოფელი. პოლიციამ J.-ის ცხედარი ბირშტეინის წყალსაცავთან ახლოს, დამბაში აღმოაჩინა, როგორც განმცხადებელმა მიუთითა. განმცხადებლის მტკიცებით, იგი აიძულეს, ფეხშიშველს ევლო ტყეში იმ ადგილამდე, სადაც ცხედარი გადამალა, და მიეთითებინა მისი ზუსტი ადგილმდებარეობა. (ექსპერტიზა ადასტურებდა ფეხებზე დაზიანებას, ასევე რამდენიმე ფემატომას ტანის არეში).

დაკითხვისას, განმცხადებელმა აღიარა J.-ის მოტაცება და მოკვლა.

ფრანკფურტის პოლიციის უფროსის მოადგილემ, D.-მ აღნიშნა, რომ მას სჯეროდა, იმ 347
დილით J.-ის სიცოცხლეს დიდი საფრთხე ემუქრებოდა, საჭმლის უქონლობისა და ასევე, გარეთ არსებული ტემპერატურის გამო, თუკი საერთოდ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. იმ მიზნით, რომ გადაერჩინა ბავშვის სიცოცხლე, მან უბრძანა პოლიციის ოფიცერს, განმცხადებელს დამუქრებოდა ისეთი ძლიერი ტკივილის მიყენებით, რომელიც კვალს არ დატოვებდა. მუქარა მიზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის სიცოცხლის გადარჩენას.

348 გარდა ამისა, ფრანკფურტის რაიონულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო
განმცხადებლის არა მხოლოდ 2002 წლის 1 ოქტომბრის, არამედ პოლიციის, პროკურატურისა და მოსამართლის წინაშე მიცემული ყველა შემდგომი აღიარებითი ჩვენება, რადგან იგი არასათანადო მოპყრობით და წემების მუქარით იყო მიღებული. თუმცა განმცხადებელმა – მიუხედავად იმისა, განუმარტეს, რომ მის პირველად ჩვენებებს არ გამოიყენებდნენ მტკიცებულების სახით – მაინც მისცა ახალი სრული აღიარება სასამართლო მოსმენის მეორე დღეს.[472]

349 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით მე-3 მუხლით აკრძალული
ქმედების მუქარა, იმ პირობით, რომ ის საკმარისად რეალური და მალე განხორციელებადია, შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს აღნიშნულ დებულებას. ამდენად, პირის წამების მუქარა შეიძლება წარმოადგენდეს, სულ მცირე, არაადამიანურ

[472] იქვე, p. 140.

მოპყრობას“[473] ასევე დაუშვებელია წამების ან სხვა აკრძალული არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ცნობა. სასამართლომ დაადასტურა, რომ ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმთან ბრძოლა და ორგანიზებული დანაშაული, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, შესაბამისი პირის საქციელის მიუხედავად. [474] და კიდევ ერთხელ განმარტა რომ „მოპყრობა არის „ღირსების შემლახველი,“ როდესაც იგი მსხვერპლში იწვევს შიშს, შეშფოთებასა და არასრულფასოვნებას, რასაც შეუძლია მისი დამცირება და დაკნინება და, სავარაუდოდ, მისი ფიზიკური თუ სულიერი წინააღმდეგობის გატეხვა, ან როდესაც მიზნად ისახავს, აიძულოს მსხვერპლი თავისი სურვილის ან შეგნების წინააღმდეგ იმოქმედოს“[475]

350 აღნიშნული საქმე განხილული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის, 17 მოსამართლის შემადგენლობით. გადაწვეტილება მიღებული იქნება 11 მოსამართლე 6 ის წინააღმდეგ. სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიებისას გამოყენებული მეთოდები წარმოადგენდა „არასათანადო მოპყრობას“ და არ შეიძლებოდა გამართლებულიყო „აუცილებლობის“ საფუძველზე. ამიტომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი. თუმცა მას არ დაურღვევია კონვენციის მე-6 მუხლი, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს წამების მუქარით მიღებული მტკიცებულებები.

ლიტერატურა

არნოლდი, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2/2021: ბოხაშვილი/ კორკელია, „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“ 2017; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, თბილისი 2013; ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, მერიდიანი, 2018; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2005. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი 2019; სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, ფირცხალაშვილი/ ტურავა/ ქარდავა, თბილისი 2023; წაქაძე, ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები. ალმანახი 2003 № 18; Blankenagel, Gentechnologie und Menschenwürde Über die Scrapazierung von juristischem Sachverstand und gesundem Menschenverstand anläßlich eines ernsten Themas, In Journal: Gentechnologie und Menschenwürde, Kritische Justiz, Vol. 20, No. 4, 1987; Dangl, Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems 2012; Di Fabio (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 2, in: Maunz/Dürig (Begr.): Grundgesetz Kommentar,

[473] იქვე, p. 91.
[474] იქვე, p. 87.
[475] იქვე, p. 89.

Band III, 1958; Dürig, in: Maunz/Dürig, Grundgesetz, Art. 1, Verlag C. H. Beck München 2009; Geddert-Steinacher, Menschenwürde als Verfassungsbegriff. Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990; Hillgruber in: Epping, Art. 1 GG Epping / Hillgruber, Grundgesetz, Kommentar 3. Auflage. 2020; Starck, Art. 1 GG in: v. Mangoldt/ Klein/ Starck, 7. Auflage 2018; Hofmann, Die versprochene Menschenwürde, 1993 Berlin; Ipsen, staatrecht II 24., überarbeitete Auflage. 2021, J, Isenssee, Verfassung ohne grenze, Der Staat 19, 1980; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Jarass./Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 8. Auflage. Verlag, C.H. Beck München 2006; Kant, Kritik der praktischen Vernunft, 1788; Kant, Metaphysik der Sitten, Tugendlehre Königsberg, 1797, 94, In: Weischedel W. (Hrsg.): Immanuel Kant. Werke in 10 Bänden Bd. Darmstadt [Wissenschaftliche Buchgesellschaft] 1983; Katz, Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht. C.F. Müller; 16. Aufl 2005; Kunig, (Bearb.): Kommentar zum Art. 2 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Manssen, Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage 2016; Muckel/ Ogorek/ Rixen/ Sozialrecht, 5., neu bearbeitete Auflage, 2019; Oyle, Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication, 2019; Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995; Schulze-Fielitz, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 2, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006; Starck, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Wissenschaftliche Dienste Deutsche Bundestag, Der Schutz des ungeborenen Lebens in Deutschland, Sachstand WD 7 - 3000 - 256/18.

მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები

1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია.

შინაარსი

მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები 118

შინაარსი 118

1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 119

1.1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 119

1.2. სიცოცხლის უფლების დაცული სფერო 120

1.2.1. სიცოცხლის უფლების პერსონალური დაცული სფერო 120

1.2.2. სიცოცხლის უფლების საგნობრივი დაცული სფერო 122

1.2.3. სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები 125

1.2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 125

1.2.3.2. სახელმწიფო დაცვის ვალდებულებები 125

1.2.3.3. სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები 134

1.3. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცული სფერო 135

1.3.1. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების პერსონალური დაცული სფერო 135

1.3.2. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების საგნობრივი დაცული სფერო 136

1.3.3. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები 137

1.3.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 137

1.3.3.2. სახელმწიფო დაცვისა და პროცედურული ვალდებულებები 137

2. ჩარევა სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროებში 138

2.1. ჩარევა სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროში 138

2.2. ჩარევა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში 139

3. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება 141

3.1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზღვარი და ჩარევის გამართლების ფორმალური მოთხოვნები 141

3.2. სიცოცხლის უფლებაში ჩარევის გამართლების მატერიალური მოთხოვნები 142

3.3. სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 144

3.3.1. სახელმწიფო დაცვის ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 144

3.3.2. სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებების დარღვევის შემოწმება..... 146

3.4. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის გამართლების მატერიალური მოთხოვნები..... 148

3.5. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 149

ლიტერატურა150

1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა

351 კონსტიტუციის მე-10 მუხლი ეძღვნება ადამიანის ფიზიკური არსებობისა და ხელშეუხებლობის დაცვას. პირველი პუნქტით გარანტირებულია ადამიანის სიცოცხლე და აკრძალულია სიკვდილით დასჯა, ხოლო მეორე პუნქტის შესაბამისად კი დაცულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა. ორივე უფლება აღიარებულია უმაღლეს კონსტიტუციურ ფასეულობად[476] და განეკუთვნება თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებათა ჯგუფს.[477] მათ მნიშვნელობასა და დაცვის უმაღლეს ხარისხზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მათი შეზღუდვის თუ შეჩერების შესაძლებლობას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

352 სიცოცხლის უფლება სხვა ძირითადი უფლებების უდიდესი ნაწილის, რომელთა სუბიექტი ვერ იქნება გარდაცვლილი ადამიანი, განხორციელების მთავარი წინაპირობაა.[478] ასევე ძალიან მაღალი ფასი აქვს ინდივიდისათვის ფიზიკური მთლიანობის შენარჩუნებასა და ხელშეუხებლობას, რადგანაც ხშირად სწორედ ამაზეა დამოკიდებული სხვა უფლებების სრულყოფილი და დაუბრკოლებელი რეალიზაცია.[479]

[476] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტარი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 45; Katz, Staatsrecht, Rn. 696.

[477] მაგალითად, იხ.: გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 73; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 112; Schmidt, Grundrechte, Rn. 288.

[478] შეადარე მაგ.: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 72; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 111; Katz, Staatsrecht, Rn. 696; BVerfGE 39, 1 (42 f.).

[479] Katz, Staatsrecht, Rn. 696.

353 სისტემური თვალსაზრისით, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას.[480] სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური მთლიანობის დაცვას არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ღირსების ძირითადი უფლებაც მოითხოვს.[481] თავის მხრივ, სიცოცხლე ადამიანის ღირსების „სასიცოცხლო საფუძველია".[482]

354 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლი აუქმებდა სიკვდილით დასჯას, რაც ჰუმანური და პროგრესული მიდგომა იყო, განსაკუთრებით იმ ეპოქისათვის. ამავდროულად, 43-ე მუხლის პირველი პუნქტი იძლეოდა ამ ნორმის დროებით შეჩერების შესაძლებლობას პარლამენტის მიერ ამბოხების ან ომის დროს.

355 ადამიანის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა საერთაშორისო სამართლით დაცული სიკეთეებია.[483] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სიცოცხლეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ ღირებულებად მიიჩნევს.[484] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კრძალავს ამ უფლების დამცავი მე-2 მუხლიდან გადახვევას საგანგებო მდგომარეობის დროს.[485] ამავდროულად, კონვენცია გამოკვეთილად არ შეიცავს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს სიკეთე დაუცველი რჩება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არის მიდგომები ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად.[486] უპირველეს ყოვლისა, თუ ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფამ მიაღწია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ხარისხს, გამოიყენება კონვენციის შესაბამისი, მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა). ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობების სფეროში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში, ასევე გამოიყენება კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).[487]

1.2. სიცოცხლის უფლების დაცული სფერო

1.2.1. სიცოცხლის უფლების პერსონალური დაცული სფერო

356 კონსტიტუცია იცავს „ადამიანის" სიცოცხლეს. „ადამიანში" იგულისხმება ნებისმიერი ფიზიკური პირი, ყველა ცოცხალი ადამიანური ინდივიდი.[488] ცალსახაა, რომ იურიდიული პირი, თუნდაც მის მიზნებში ადამიანის სიცოცხლის დაცვა შედიოდეს, ვერ იქნება

[480] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 418.
[481] შეადარე: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 72.
[482] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 111; Katz, Staatsrecht, Rn. 696.
[483] მაგ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია; ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია.
[484] მაგ.: McCann and Others v. The United Kingdom (N18984/91; 27.9.1995).
[485] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.
[486] შეადარე: Rengeling, Szczekalla, Grundrechte in der Europäischen Union: Charta der Grundrechte und allgemeine Rechtsgrundsätze, 2004, Rn. 592 ff.
[487] მაგ.: Brincat and Others v. Malta (N 60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11; 24.7.2014).
[488] Murswiek D. (Bearb.), Kommentar zum Art. 2, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Rn. 145 a.
Schmidt, Grundrechte, Rn. 292; BVerfGE 39, 1 (37).

სიცოცხლის უფლების სუბიექტი. ის არის სამართლებრივი კონსტრუქცია, ფიქცია და არა ცოცხალი ინდივიდი.[489]

357 უაღრესად რთული და სადავოა საკითხი, ვინ შეიძლება ჩაითვალოს „ადამიანად“, ანუ სიცოცხლის უფლების სუბიექტად და რა მომენტიდან იწყება „ადამიანის სიცოცხლე“. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გადამწყვეტია იმის გასარკვევად, როდიდან და რა ხარისხით ექვემდებარება სიცოცხლე კონსტიტუციურსამართლებრივ დაცვას. გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, სიცოცხლე იწყება ჩასახვის მომენტიდან და შესაბამისად, ჩანასახი სიცოცხლის უფლების სუბიექტია. ჩასახვიდან იწყება ადამიანად ჩამოყალიბების უწყვეტი ბიოლოგიური პროცესი. მართალია, ის არ არის სრულად ჩამოყალიბებული ადამიანი, მაგრამ განუმეორებელი და მოგვიანებით დაბადებული ადამიანის იდენტური ინდივიდია.[490]

358 ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ პოზიციასაც - სიცოცხლე იწყება კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან, თუმცა „ადამიანი“, რომელიც ექვემდებარება კონსტიტუციურ დაცვას, სახეზეა მხოლოდ ნიდაციის, ანუ დედის საშვილოსნოზე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მიმაგრების, მომენტიდან. ჩანასახს აქვს გენეტიკური იდენტობა, მაგრამ ჩასახვასა და ნიდაციას შორის, ე.წ. ბლასტოცისტის სტადიაზე, ის არ არის „ინდივიდი“. ნიდაციის გარეშე არ დგება ორსულობა და ჩანასახს არ აქვს ადამიანად ჩამოყალიბების შანსი. ადამიანის პიროვნულობა არ არის დამოკიდებული სხვათა დახმარების გარეშე არსებობისა და განვითარების შესაძლებლობაზე - წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვილი ადამიანად არ ჩაითვლებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე შეეხება ადამიანური თანადგომის აუცილებლობას, რაც განსხვავდება ნიდაციის აუცილებლობისაგან, რომლის გარეშეც ბლასტოცისტი ადამიანი ვერ გახდება. კიდევ უფრო მკაფიო ვითარებაა ექსტრაკორპორალური განაყოფიერების შედეგად მიღებულ ინ ვიტრო ემბრიონთან დაკავშირებით, რომლის ადამიანად განვითარება დამატებით სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, განვითარების ფაზას ნიდაციამდე განიხილავენ ადამიანად განვითარების წინა საფეხურად.[491]

359 ცალსახა პასუხს ზემოთ ჩამოყალიბებულ კითხვებზე არც სასამართლო პრაქტიკა იძლევა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, საუბრობს დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ღიად ტოვებს საკითხს, თუ რამდენადაა ჩანასახი სიცოცხლის უფლების სუბიექტი. ჩანასახის სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულებას ის ობიექტურსამართლებრივად

[489] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5, 8, 9.

[490] შეადარე: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 73; გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 47 (68-69); კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები 112; Di Fabio U. (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 2, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958, Rn. 24 ff; Jarass, H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 85; Kunig P. (Bearb.): Kommentar zum Art. 2 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 47, 49; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 143, 146; Starck C. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 187, 203; Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 2, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006, Rn. 28, 39.

[491] მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 145a f.

ასაბუთებს.[492] სასამართლოს ამგვარ პოზიციას ხსნიან იმით, რომ ჩანასახის სიცოცხლის უფლების სუბიექტად მკაფიოდ აღიარების შემთხვევაში, უკიდურესად შეიზღუდებოდა აბორტის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების შესაძლებლობა. ჩანასახის სიცოცხლის უფლება, ღირსების უფლებასთან კავშირში, სახელმწიფოსაგან მოითხოვდა ნებისმიერი სახელისუფლებო საშუალების გამოყენებით შეენარჩუნებინა მისი სიცოცხლე და დაეცვა ღირსება. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სამედიცინო ჩვენების არსებობისას, ანუ როდესაც ბავშვის შენარჩუნება დედის სიცოცხლეს შეუქმნიდა საფრთხეს.[493]

360 ჩანასახის სიცოცხლის უფლების სუბიექტობისა და სიცოცხლის დაწყების მომენტის საკითხს ასევე ღიად ტოვებს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და სასამართლო.[494] ამავდროულად, ცალსახად გამოირიცხება სიცოცხლის აბსოლუტური უფლება ჩანასახისათვის.[495] ცალსახა პოზიციის არქონა განპირობებულია აზრთა სხვადასხვაობით და ევროპული კონსენსუსის არარსებობით სიცოცხლესა და მის დასაწყისთან დაკავშირებით,[496] რაც იწვევს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ჩანასახის სიცოცხლის დაცვასთან და ამ დაცვის ხარისხთან დაკავშირებით. ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების გამორიცხვით კი ხდება დედის სიცოცხლის მიმართ მისი სიცოცხლის უფლების პრიორიტეტის აღიარების თავიდან არიდება. სხვაგვარი მიდგომა გამოიწვევდა აბორტის სრულ აკრძალვას სამედიცინო აუცილებლობის დროსაც კი.[497]

361 ადამიანის სიცოცხლისა და შესაბამისად, სიცოცხლის უფლების სამართალსუბიექტობის დასასრულად, ითვლება ტვინის სიკვდილი, რაშიც იგულისხმება „თავის ტვინისა და ზურგის ტვინის ზედა სეგმენტების ფუნქციების სრული და შეუქცევადი შეწყვეტა.“[498] შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ფართო კონსენსუსია, რადგანაც ტვინის სიკვდილის მომენტიდან ადამიანი შეუქცევადად კარგავს შეგრძნების, აღქმის, აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს.[499]

1.2.2. სიცოცხლის უფლების საგნობრივი დაცული სფერო[500]

362 სიცოცხლის უფლებით დაცული სიკეთეა ადამიანის სიცოცხლე - მისი უფლება ბიოლოგიურ, ფიზიკურ არსებობაზე. კონსტიტუცია უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლეში თვითნებურად ჩარევას და განსაკუთრებით - მის მოსპობას.

363 როგორც აღინიშნა, სიცოცხლის უფლება თავისუფლების უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, დაისმის კითხვა, რამდენად აქვს მას,

---

[492] BVerfGE 39, 1 (41); 88, 203 (251 f.).
[493] Ipsen J., Staatsrecht II. Grundrechte, 16., überarbeitete Auflage, 2013, Rn. 250.
[494] მაგ.: Brüggemann and Scheuten v. Federal Republic of Germany (N6959/75; 12.7.1977); Vo v. France (N53924/00; 8.7.2004); Parrillo v. Italy (N46470/11; 27.8.2015).
[495] მაგ.: X v. Norway (N867/60; 29.5.1961); X v. Austria (N7045/75; 10.12.1976); Open Door and Dublin Well Woman v. Ireland (N14235/88, 14234/88; 29.10.1992).
[496] გოცირიძე, ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები, 47 (60-61).
[497] X v. the United Kingdom (N8416/78; 29.5.1980).
[498] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ჭ“ ქვეპუნქტი.
[499] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 112-113; Ipsen, Grundrechte, Rn. 251; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 142; Schmidt, Grundrechte, Rn. 292.
[500] დეტალურად ამ საკითხთან დაკავშირებით მაგალითად იხ.: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 73; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 112-116; Ipsen, Grundrechte, Rn. 251 ff.; Katz, Staatsrecht, Rn. 698 f.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 141 ff.; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 419; Schmidt, Grundrechte, Rn. 289 f.

თავისუფლების სხვა უფლებების მსგავსად, ნეგატიური ასპექტი, ანუ რამდენად მოიცავს სიცოცხლის უფლება სიცოცხლეზე უარის უფლებას. ამაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ევთანაზიის საკითხისადმი მიდგომის ჩამოყალიბება. კანონით ევთანაზია განიმარტება, როგორც „უკურნებელი სენით დაავადებული სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე თხოვნით.“[501] განასხვავებენ ევთანაზიის პასიურ და აქტიურ ფორმებს. პასიური ევთანაზია გულისხმობს სიკვდილის დაჩქარებას სამედიცინო დახმარების შეწყვეტის გზით. აქტიურ ევთანაზიაში მოიაზრება სიკვდილის დაჩქარება აქტიური ჩარევით. აქტიური ევთანაზია სახელმწიფოთა უმრავლესობაში აკრძალულია, ხოლო პასიური ევთანაზია კი, როგორც წესი - დაშვებული.[502]

364 საქართველოში პასიური ევთანაზია დაშვებულია, რადგანაც ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს, რომელიც ტერმინალურ სტადიაში იმყოფება უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე. თუ ავადმყოფი უგონო მდგომარეობაშია, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მომაკვდავი ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით და ავადმყოფის პიროვნული შეხედულებების გათვალისწინებით, უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე.[503] ამასთანავე, სამედიცინო პერსონალს და ნებისმიერ სხვა პირს ეკრძალება ევთანაზიის (ამაში კანონი სიცოცხლის განზრახ შეწყვეტას გულისხმობს) განხორციელება ან მასში მონაწილეობის მიღება.[504] მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით დასჯადია სისხლის სამართლებრივი წესით.[505] აქედან გამომდინარე, საქართველოში აქტიური ევთანაზია დაშვებული არ არის.

365 ევთანაზიასთან დაკავშირებით მიდგომა არაერთგვაროვანია ევროპის მასშტაბითაც. ამ მოცემულობას და ევროპული კონსენსუსის არარსებობას[506] უწევს ანგარიშს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შუალედური პოზიცია. ის ევთანაზიის საკითხის მოწესრიგებას ხელშემკვრელი სახელმწიფოების დისკრეციის სფეროდ მიიჩნევს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სახელმწიფოს არ აკისრებს ევთანაზიის აკრძალვის ვალდებულებას და არც ევთანაზიის აკრძალვაა კონვენციის დარღვევა. ამასთანავე, სასამართლო არ აღიარებს სიცოცხლის უფლების ნეგატიურ ასპექტს. კონვენციის მე-2 მუხლი უზრუნველყოფს სიცოცხლის და არა მისგან დიამეტრალურად განსხვავებული სიკვდილის უფლებას.[507] ეს უარყოფა ლოგიკურიცაა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაიკავებდა ევთანაზიის დაშვების მომხრეთა მხარეს. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა ფართოდ გავრცელებული პოზიცია, რომ სიცოცხლის უფლებას არ აქვს ნეგატიური კომპონენტი და არ მოიცავს უფლებას თვითმკვლელობაზე.[508]

[501] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.
[502] დეტალურად იხ.: გოცირიძე, ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები, 47 (51-52).
[503] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 148-ე მუხლი.
[504] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 151-ე მუხლი.
[505] სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი.
[506] შეადარე მაგ.: Koch v. Germany (N497/09;19.7.2012).
[507] Pretty v. the United Kingdom (N2346/02; 29.4.2002).
[508] მაგალითად იხ.: Di Fabio, GG, Art. 2, Abs. 2, Rn. 47; Kunig, GG, Art. 2, Rn. 50; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 211.

366 ევთანაზიის მხარდამჭერი პოზიცია ეფუძნება ევთანაზიის უფლების, როგორც სიცოცხლის უფლების ნეგატიური ასპექტის, აღიარებას. გარდაცვალების თავისუფლება ეფუძნება სიცოცხლის უფლებას იმ არგუმენტაციით, რომ სიკვდილი ადამიანის ბუნებრივი არსებობის ნაწილია.[509] ეს მიდგომა ევთანაზიას განიხილავს, როგორც უკიდურეს აუცილებლობას ადამიანის სხვა უფლებათა გადასარჩენად, ხოლო მის აკრძალვას სიცოცხლის, ასევე სხვა უფლებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევად.[510]

367 განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო პერიოდის პრაქტიკა. ის, მართალია, არ აღიარებს სიკვდილის უფლებას, როგორც სიცოცხლის უფლების ნეგატიურ ასპექტს, თუმცა თვლის, რომ სიკვდილთან დაკავშირებით თვითგამორკვევის შესაძლებლობა ზოგადი პიროვნული უფლების ნაწილია და გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან ღირსების უფლებასთან კავშირში. ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი გადაწყვეტილებით დაასრულოს სიცოცხლე და ამ დროს გამოიყენოს სხვების ნებაყოფლობითი დახმარება. სიცოცხლესთან განშორების გადაწყვეტილება ადამიანის იდენტობასა და ინდივიდუალობას ისე შეეხება, როგორც არცერთი სხვა. უფლება საკუთარი გადაწყვეტილებით სიკვდილზე მოიცავს არა მხოლოდ სიცოცხლის შემნარჩუნებელ ღონისძიებებზე უარის, არამედ საკუთარი ხელით სიცოცხლის დასრულების შესაძლებლობასაც. ის მოქმედებს არა მხოლოდ მძიმე ან უკურნებელი ავადმყოფობისას, არამედ ადამიანური არსებობის ნებისმიერი ფაზისათვის. ინდივიდის გადაწყვეტილება, დაასრულოს სიცოცხლე სიცოცხლის ხარისხსა და აზრზე მისი წარმოდგენების შესაბამისად, არ ექვემდებარება შეფასებას საზოგადოებრივი წარმოდგენებისა და სტერეოტიპების, რელიგიური მცნებებისა და ობიექტური გონიერების საფუძველზე. იგი არ საჭიროებს დასაბუთებასა და გამართლებას, ხოლო სახელმწიფომ და საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს მას, როგორც ავტონომიური თვითგამორკვევის აქტს. სასამართლო საკუთარი სიცოცხლის განკარგვას მიიჩნევს ადამიანის ღირსებისათვის იმანენტური პიროვნების ავტონომიური განვითარების იდეის, ღირსების უკანასკნელი გამოხატულებად.[511]

კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კრძალავს სიკვდილით დასჯას. დაცული სიკეთე აქაც ადამიანის სიცოცხლეა, თუმცა ამ შემთხვევაში სიცოცხლე დაცულია კონკრეტულად სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის, სახით სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფისაგან. კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია[512] უშვებდა სიკვდილით დასჯის გათვალისწინების შესაძლებლობას მის სრულ გაუქმებამდე, ორგანული კანონის საფუძველზე სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. მისი შეფარდების უფლება ჰქონდა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს. 1997 წლის 11 ნოემბერს კანონმა „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“ გააუქმა სიკვდილით დასჯა, თუმცა კონსტიტუციაში მაინც რჩებოდა შესაბამისი ფორმულირება. 2002 წლის 3 მაისს საქართველომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად

[509] მაგ.: Fink U., Selbstbestimmung und Selbstötung, verfassungsrechtliche Fragestellungen im Zusammenhang mit Selbsttötungen, 1992, 72 ff.
[510] გოცირიძე, ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები, 47 (76).
[511] Urteil des Zweiten Senats vom 26. Februar 2020 (2 BvR 2347/15, 2 BvR 651/16, 2 BvR 1261/16, 2 BvR 1593/16, 2 BvR 2354/16, 2 BvR 2527/16).
[512] მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 ოქმს „ნებისმიერ გარემოებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“,[513] ხოლო 2006 წლის 27 დეკემბერს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით სიკვდილით დასჯა კონსტიტუციურ დონეზეც გაუქმდა.

1.2.3. სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები[514]

1.2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

368 სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებების (Status negativus) კატეგორიას. აქედან გამომდინარე, ის უზღუდავს სახელმწიფოს დაცულ სიკეთეში - სიცოცხლეში ჩარევას.[515] სახელმწიფოს, პირველ რიგში, ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, რაც გამოიხატება სიცოცხლის კონსტიტუციურსამართლებრივად გაუმართლებელი და დაუშვებელი ხელყოფისაგან თავის შეკავებაში.[516]

1.2.3.2. სახელმწიფო დაცვის ვალდებულებები

369 სიცოცხლის უფლება არ არის მფარველობითი უფლება, რომელიც მიანიჭებდა მის სუბიექტს სახელმწიფოს წინააღმდეგ კონკრეტული მოთხოვნების დაყენების უფლებას,[517] მაგრამ მისი ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს სხვადასხვა სახის საფრთხეებისაგან სახელმწიფო დაცვის ვალდებულებები.[518] სიცოცხლის დაცვა, მისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და ტვირთს აკისრებს,[519] რადგანაც მისი უმოქმედობის თუ არასათანადო მოქმედების შემთხვევაში, უმეტესწილად ინდივიდისათვის გამოუსწორებელი და უმძიმესი შედეგი დგება. სახელმწიფომ უნდა მიიღოს გარკვეულ გარემოებებში სიცოცხლის დასაცავად საჭირო ზომები,[520] თუმცა ეს არ ნიშნავს ნებისმიერი საფრთხისაგან გარანტირებულ დაცვას, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია.[521]

---

[513] რატიფიკაცია განხორციელდა 2002 წლის 22 მაისს.

[514] სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო დაცვის ვალდებულებების შესახებ დეტალურად იხ.: Katz, Staatsrecht, Rn. 700; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 188 ff.; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 433 ff.; Schmidt, Grundrechte, Rn. 301 ff. სიცოცხლის უფლების სახელმწიფო დაცვის ვალდებულების შესახებ იხ.: კუბლაშვილი, მე-15 მუხლის კომენტარი, 47-50; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 116.

[515] Schulze-Fielitz, GG, Art. 2 II, Rn. 42.

[516] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, 129; პაპუაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, კორკელია(რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 2007, 127 (129).

[517] Ipsen, Grundrechte, Rn. 252.

[518] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 129; გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 73; სტივენსონი მ., სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას თავის იურისდუქციაში შემავალი ყველა ადამიანის სიცოცხლე: მინდელის მაღაროში დასაქმებულთა მაგალითზე, კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, თბილისი 2017, 131 (131); ტუღუში, ბურჯანაძე, მშვენიერაძე, მენაბდე, ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, 2013, 62; Katz, Staatsrecht, Rn. 697, 699; Schmidt, Grundrechte, Rn. 301; BVerfGE 39, 1 (42); 46, 160 (164); 56, 54 (73); 69, 315 (355 ff); 115, 118 (152).

[519] შეადარე: BVerfGE 46, 160 (164).

[520] პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (129).

[521] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 130; W v. the United Kingdom (N9348/81; 28.2.1983).

ობიექტურსამართლებრივი სახელმწიფო დაცვის ვალდებულებიდან ყოველთვის აუცილებლად არ გამომდინარეობს შესატყვისი სუბიექტური უფლება, რადგანაც გასათვალისწინებელია დაპირისპირებული სიკეთეებიც (მაგალითად, მესამე პირების სიცოცხლე და უსაფრთხოება).[522]

370 სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ორ ასპექტს მოიცავს. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა შექმნას სიცოცხლის დამცავი კანონმდებლობა. თუმცა, კანონმდებლობის ფორმალური არსებობა არ არის საკმარისი და აუცილებელია მისი ეფექტიანი აღსრულება.[523] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ კანონმდებლობა ეფექტიანად უნდა იცავდეს სიცოცხლეს.[524]

371 სიცოცხლის უფლების დამცავი კანონმდებლობა უნდა კრძალავდეს სიცოცხლის უფლებაში არაკონსტიტუციურ ჩარევებს და ადგენდეს მათ მართლწინააღმდეგობას,[525] განსაზღვრავდეს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. კანონმდებელი ვალდებულია, რომ დააწესოს შესაბამისი სანქციები სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის მესამე პირების მხრიდან, თუნდაც გაუფრთხილებლობის შემთხვევაში,[526] ასევე მიიღოს რეგულირებები მისი დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.[527] კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს საფრთხის შემცველი საქმიანობის განხორციელებისა და მასალებთან მოპყრობის პირობები, დაწესდეს ამგვარ სფეროებზე სანებართვო და საზედამხედველო ინსტრუმენტები.[528] კანონმდებლის ვალდებულებას არ აქვს ერთჯერადი ხასიათი. ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, მან უნდა გაუმჯობესოს მოქმედი კანონმდებლობა.[529]

372 ძალადობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და უსაფრთხოების საკმარისი დონის უზრუნველყოფა არა მხოლოდ სახელმწიფოს ფუნდამენტური ამოცანაა, არამედ წარმოადგენს სიცოცხლის უფლებებიდან გამომდინარე დაცვის ვალდებულებას.[530] მესამე პირის დანაშაულებრივი ქმედებისაგან დაცვის კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განავითარა ე.წ. „ოსმანის ტესტი“, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან. პირველ რიგში, დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება, თუ ხელისუფლებამ იცოდა ან, გონივრული ვარაუდის საფუძველზე, უნდა სცოდნოდა სიცოცხლისათვის რეალური და გარდაუვალი რისკის არსებობის შესახებ. თუ პირველი კომპონენტი სახეზეა, ხელისუფლებამ სიცოცხლის დასაცავად უნდა მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა.[531] სახელმწიფოს ევალება ლეტალური რისკების ავტონომიური, პროაქტიული და ყოვლისმომცველი შეფასება. საფრთხის გამოვლენის შემთხვევაში, მან უნდა განახორციელოს ადეკვატური და პროპორციული პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები.[532]

---

[522] Ipsen, Grundrechte, Rn. 106, 109, 252.
[523] გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 75; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 115.
[524] მაგ.: Mahmut Kaya v. Turkey (N22535/93; 28.3.2000).
[525] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 188.
[526] მაგ.: Öneryildiz v. Turkey (N48939/99; 30.11.2004).
[527] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 191.
[528] BVerfGE 49, 89 (140 ff.); 53, 30 (65 f.).
[529] Schmidt, Grundrechte, Rn. 303; BVerfGE 56, 54 (78 f.).
[530] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 196 f.; BVerfGE 46, 160 (165).
[531] Osman v. the United Kingdom (N23452/94; 28.10.1998); ასევე იხილე მაგ.: Olewnik-Cieplinska and Olewnik v. Poland (N20147/15; 05.09.2019).
[532] Kurt v. Austria (N62903/15; 15.6.2021).

373 სიცოცხლის დასაცავად გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მიერ კონტრტერორისტული თუ სხვა შესაბამისი სპეცოპერაციის განხორციელება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე სტანდარტებს. როდესაც არსებობს ტერორისტული საფრთხე, აუცილებელია ადეკვატური ზომების მიღება მის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად.[533] ოპერაციის წინასწარი დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს შესწავლილ გარემოებებსა და შემოწმებულ ვერსიებს.[534] მისი მიზანი სიცოცხლის გადარჩენაა და არა მოსპობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი განხორციელება სათანადო სიფრთხილითა და კონტროლით, მსხვერპლის, განსაკუთრებით მშვიდობიან მოქალაქეებს შორის, თავიდან ასაცილებლად.[535]

374 როგორც აღვნიშნეთ, დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლე, როგორც ობიექტური ღირებულება, ექვემდებარება დაცვას მესამე პირთა მხრიდან მომდინარე საფრთხეებისაგან. ამ კონტექსტში, საინტერესოა საკითხი, თუ რა ფარგლებში მოქმედებს სახელმწიფო დაცვის ვალდებულება და რა საშუალებებით უნდა განხორციელდეს დაცვა, განსაკუთრებით რამდენად სავალდებულოა სისხლისსამართლებრივი ბერკეტების გამოყენება. მსგავსად ჩანასახის სიცოცხლის უფლების სუბიექტად აღიარებისა, ამ საკითხებთან დაკავშირებითაც თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა. არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ვალდებულება, არ დაუშვას დაუბადებელი სიცოცხლის მოსპობა, მთავრდება იქ, სადაც სახეზეა საგანგებო ვითარება, რომელიც ბავშვის შენარჩუნებას ორსულისათვის არაგონივრულს ხდის. არაგონივრულობა შეიძლება გამომდინარეობდეს ქალის სიცოცხლისათვის სერიოზული საფრთხიდან ან მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საშიშროებიდან (სამედიცინო ჩვენება), ორსულობის გაუპატიურების შედეგად დადგომის ფაქტიდან (კრიმინოლოგიური ჩვენება)[536] ან ემბრიოპათიური ჩვენებიდან.[537] სხვა სახის საგანგებო ვითარებას აბორტის გამართლება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც კონფლიქტს ორსულისათვის აღნიშნული შემთხვევების მსგავსი მძიმე წონა აქვს.[538] გარემოებები, რომლებიც ნორმალური სიტუაციის ფარგლებში შეიძლება ახლდეს ორსულობას, ვერ იქნება არაგონივრულობის საფუძველი.[539] თუ არაგონივრულობა სახეზე არ არის, კანონმდებელმა უნდა აკრძალოს აბორტი.[540] ამგვარ შემთხვევებში ქალის ძირითად უფლებებს, განსაკუთრებით თვითგამორკვევის უფლებას, უპირატესობა ვერ მიენიჭება.[541] სხვა მოსაზრება აბორტის აკრძალვის კუთხით კანონმდებელს მოქმედების მეტ თავისუფლებას აძლევს. მან უნდა დააბალანსოს, ერთი მხრივ, დაუბადებელი ბავშვისა და მეორე მხრივ, დედის მიმართ არსებული სახელმწიფო დაცვის ვალდებულებები. ამ დროს კანონმდებელს აქვს აწონ-დაწონვისა და თავისუფალი მოქმედების სივრცე, რომელიც მას უფლებას აძლევს, რომ უარი განაცხადოს

[533] Tagayeva and Others v.Russia (N26562/07, 14755/08, 49339/08, 49380/08, 51313/08, 21294/11, 37096/11; 13.4.2017).
[534] McCann and Others v. the United Kingdom; Ergi v. Turkey (N23818/94, 28.07.1998).
[535] Andronicou and Constantinou v. Cyprus (N25052/94; 9.10.1997); Ergi v. Turkey; Tagayeva and Others v.Russia.
[536] ეს ინდიკაცია ლიტერტურაში მოხსენებულია ასევე, როგორც ეთიკური ჩვენება. იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 118.
[537] ეს ინდიკაცია ლიტერატურაში მოხსენებულია ასევე, როგორც ევგენური ჩვენება - ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვის დაბადების საშიშროება. იხ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 118.
[538] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 215; BVerfGE 39, 1 (48 ff.); 88, 203 (256 f.).
[539] BVerfGE 88, 203 (257).
[540] BVerfGE 39, 1 (44); 88, 203 (252 ff., 255, 273 f.).
[541] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 216; BVerfGE 39, 1 (43); 88, 203 (255).

ორსულობის ადრეულ სტადიაზე აბორტის აკრძალვასა და დედისათვის ნაყოფის შენარჩუნების სამართლებრივი ვალდებულების დაკისრებაზე.[542]

375 დაუბადებელი სიცოცხლის დაცვის ფარგლებთან და ზოგადად, აბორტების თემასთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. 1973 წლის 22 იანვრიდან მოყოლებული, დამკვიდრდა მიდგომა, რომლის შესაბამისადაც, დედის უფლება აბორტზე გამომდინარეობდა კონსტიტუციიდან და მას შეეძლო, თავად მიეღო გადაწყვეტილება ორსულობის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ. ეს „ფუნდამენტური“, მაგრამ არა „აბსოლუტური“ უფლება დაბალანსებული იყო სახელმწიფო ინტერესით ჯანმრთელობის დაცვაზე, ასევე დაუბადებელი სიცოცხლის დაცვის ინტერესით. სასამართლომ თავისი პოზიცია დააფუძნა ორსულობის სამ ტრიმესტრზე. პირველი და მეორე ტრიმესტრის დროს დაუშვებელი იყო აბორტის აკრძალვა, თუმცა არსებობდა ორსულის ჯანმრთელობის დამცავი ნორმების მიღების შესაძლებლობა. ეს მიდგომა იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომ აბორტი ორსულობის პირველ თვეებში ჩაითვალა უფრო უსაფრთხოდ, ვიდრე ორსულობის გაგრძელება და სახელმწიფო ინტერესი ჯანმრთელობის დაცვაზე ამ ეტაპზე მცირე იყო. სასამართლომ აბორტის აკრძალვა დასაშვებად ჩათვალა მესამე ტრიმესტრის პერიოდში.[543] გამონაკლისის სახით, მისი გაკეთება შესაძლებელი იყო სამედიცინო ჩვენებისას.[544] 1992 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა ტრიმესტრების მიხედვით დაყოფაზე და ორიენტირად აიღო დედის ორგანიზმის გარეშე ფეტუსის სიცოცხლისუნარიანობა. დასაშვებად ჩაითვალა ორსულობის ადრეულ სტადიებზე კონსულტაციის ვალდებულებებისა და მოცდის დროის დაწესება, თუ ეს არ გამოიწვევდა ორსულის ჯანმრთელობის გადამეტებულ დატვირთვას.[545] 2022 წლის 24 ივნისს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა თავის წინა გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული მიდგომა. მან განაცხადა, რომ კონსტიტუცია არ უზრუნველყოფს აბორტზე უფლებას. ამით შტატებს მიეცათ როგორც აბორტების უფრო რადიკალური შეზღუდვის, ასევე აბორტის ორსულობის ბოლომდე დაშვების შესაძლებლობა.[546]

376 რაც შეეხება დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის დაცვის საშუალებებს და სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენების საკითხს, როდესაც სახეზე არ არის აბორტის გამამართლებელი რომელიმე ჩვენება, ხაზს უსვამენ დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას. გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი ჩვენებების არსებობის შემთხვევაშიც, ნაყოფის სისტემატურად განვითარების კვალობაზე, დროის გასვლასთან ერთად, აბორტის დაშვების საფუძვლები ვიწროვდება ისე, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი გამართლება შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით.[547] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აბორტებთან დაკავშირებით თავის პირველ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ დაუბადებელი სიცოცხლის დაცვა სისხლისსამართლებრივი სანქციებით არ არის სავალდებულო, თუ ამის ეფექტიანი განხორციელება შესაძლებელია სხვა საშუალებით.[548] ამავდროულად, მან არაკონსტიტუციურად ჩათვალა ორსულობის საწყისი თორმეტი კვირის განმავლობაში

[542] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 217; BVerfGE 88, 203, 338 (340 f.) – abw.M.
[543] იმჟამინდელი მონაცემებით, ფეტუსი დამოუკიდებლად სიცოცხლისუნარიანი ორსულობის 28-ე კვირიდან იყო.
[544] Roe v. Wade (410 U.S. 113; 22.1.73).
[545] Planned Parenthood v. Casey (505 U.S. 833; 29.6.1992).
[546] Dobbs v. Jackson Women's Health Organization (597 U.S.; 24.7.2022)
[547] Kunig, GG, Art. 2, Rn. 58 ff.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 218.
[548] BVerfGE 39, 1 (46 f.).

აბორტის სისხლისსამართლებრივი სანქციის გარეშე დატოვება, რადგანაც უზრუნველყოფილი არ იყო დაუბადებელი სიცოცხლის დაცვა დედის კონსულტირებისა და ხელშეწყობის საკმარისი ღონისძიებებით.[549] აბორტებთან დაკავშირებით მეორე გადაწყვეტილებაში სასამართლომ გაიმეორა ძველი მიდგომა, თუმცა აღნიშნა, რომ ორსულობის პირველ ფაზაში სისხლის სამართალი სიცოცხლის დაცვის არაქმედითი საშუალება აღმოჩნდა. მან ხაზი გაუსვა, რომ სისხლისსამართლებრივი ბერკეტები შეიძლება ჩაანაცვლოს ორსულის კონსულტაციის კონცეფციამ.[550] კონსულტაცია უნდა იყოს სავალდებულო და მიმართული იქეთ, რომ ორსული წაახალისონ ნაყოფის შენარჩუნებისათვის.[551] დაცვის კონცეფციაში უნდა ჩაერთოს ოჯახური გარემო.[552] გარდა ამისა, აუცილებელია ძალისხმევა სოციალური პირობების შესაქმნელად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორსულობის შეწყვეტა მოსალოდნელი მატერიალური პრობლემების, საცხოვრებელი სივრცის არარსებობის ან თუნდაც დედის განათლებასა და პროფესიულ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის გამო.[553]

377 საინტერესოა საკითხი, რამდენადაა ვალდებული სახელმწიფო დაიცვას ადამიანი საკუთარი თავიდან მომდინარე საფრთხისაგან. სიცოცხლის უფლება, როგორც თავისუფლების უფლება, ინდივიდის ავტონომიას იცავს, ამიტომ შეუძლებელია, რომ სახელმწიფო დაცვის ვალდებულება მიემართებოდეს ამ უფლების სუბიექტის წინააღმდეგ, თუ მას სურს თავისივე უფლებით დაცული სიკეთის დაზიანება. სხვაგვარადაა საქმე, როდესაც ადამიანის გადაწყვეტილება სიცოცხლესთან დაკავშირებით არ არის დაფუძნებული მის თვითგამორკვევასა და ავტონომიაზე.[554] სუიციდის მცდელობისას ადამიანი უმეტესად სასოწარკვეთილ, დეპრესიულ ან სხვა ისეთ სულიერ მდგომარეობაშია, რაც ზღუდავს მის მიერ თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების უნარს. ამ დროს სახელმწიფოს წარმომადგენელი არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, რომ შეძლებისდაგვარად ხელი შეუშალოს მას ჩანაფიქრის განხორციელებაში.[555] თუ პირი თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას საღი შეგნების პირობებში იღებს, სახელმწიფოს არა მხოლოდ მისი სიცოცხლის დაცვის ვალდებულება არ ეკისრება, არამედ იმის უფლებამოსილებაც არ აქვს, რომ მას ხელი შეუშალოს. სიცოცხლის უფლების ობიექტური ღირებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული მისი სუბიექტის პიროვნული თვითგამორკვევის წინააღმდეგ.[556] აქედან გამომდინარე, აქტიური ევთანაზიის აკრძალვა, თუ საღ გონებაზე მყოფი პაციენტი ამას მოითხოვს, არ გამომდინარეობს სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულებისაგან. ამავდროულად, მისი აკრძალვა შესაძლებელია გამართლებული იყოს ადამიანის მოკვდინებაზე საზოგადოებრივი ტაბუს შენარჩუნებით, თვითნებურად გამოყენების საფრხის პრევენციით და პაციენტებისა და ექიმებისათვის იმ (სოციალური) ზეწოლის აცილებით, რაც აქტიური ევთანაზიის დაშვებას მოჰყვებოდა.[557]

[549] იქვე, 51 ff., 65.
[550] BVerfGE 88, 203 (263 ff.).
[551] იქვე, 270, 282 ff.
[552] იქვე, 296 ff.
[553] იქვე, 258 f.
[554] Fink, Selbstbestimmung und Selbstötung, 72 ff., 154 f., 198 f.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 209.
[555] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 210.
[556] Fink, Selbstbestimmung und Selbstötung, 115 ff., 130 ff., 137. განსხვავებული მიდგომა იხილე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 50.
[557] Jarass, GG, Art. 2, Rn. 100; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 212a; Schulze-Fielitz, GG, Art. 2 II, Rn. 85.

378 განსაკუთრებით მკაცრია თავისუფლებააღკვეთილ პირთა სიცოცხლის დაცვის ვალდებულება.[558] ამას განაპირობებს მათი სახელმწიფოს განკარგულებაში ყოფნა, მოწყვლადობისა და შესაბამისად, სიცოცხლის რისკის მაღალი ხარისხი. სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო გარანტიები და მიიღოს ზომები თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დასაცავად სხვა პატიმრებისაგან, თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობისაგან.[559] ანალოგიური ვალდებულება ვრცელდება არანებაყოფლობით და ნებაყოფლობით ფსიქიატრიულ პაციენტებზე.[560] აუცილებელია დაავადებული პატიმრებისათის ეფექტიანი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველყოფა.[561] სახელმწიფოს ასევე ევალება დაიცვას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოდამოკიდებული პირების სიცოცხლე და მიიღოს ზომები ნარკოტიკების ბრუნვისა და მოხმარების პრევენციისათვის.[562] მან უნდა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი, სარწმუნო და ჯეროვანი ახსნა-განმარტება თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალების ფაქტზე, ანუ ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.[563]

379 ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას იმ არაპირდაპირი საფრთხისაგან დასაცავად, რაც მომდინარეობს სახელმწიფოს მოქმედებიდან. აქ, მაგალითად, იგულისხმება დაცვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისაგან. სახელმწიფომ ანგარიში უნდა გაუწიოს აღსრულებით სიცოცხლის უფლებისათვის შექმნილ ირიბ საფრთხეებს (მაგალითად, სუიციდის საფრთხე).[564] ამ შემთხვევაში აუცილებელია აღსრულებას დაქვემდებარებული პირისა და კრედიტორის ინტერესების შედარება, რაზეც დამოკიდებულია აღსრულების შეჩერებისა და შეჩერების ხანგრძლივობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.[565] ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ სისხლის სამართალწარმოების შეჩერების ვალდებულება. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ეს ვალდებულება სახელმწიფოს შეიძლება გაუჩნდეს, თუ პროცესის გაგრძელების შემთხვევაში ბრალდებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება გარდაიცვალოს ან ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდეს. ამ დროს სახელმწიფოს მიერ ქმედითი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებას, ბრალდებულის ინტერესებთან ერთად, უპირისპირდება სიცოცხლის (და ფიზიკური ხელშეუხებლობის) დაცვის სახელმწიფო ვალდებულება. ეს კოლიზია ასევე სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამ დროს მხედველობაში მიიღება პროცესის სახე, მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა, ბრალდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის ფორმა და ინტენსივობა და მისი პრევენციის შესაძლებლობები.[566]

---

[558] დეტალურად იხ.: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 80-81.
[559] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 134; Keenan v. the United Kingdom (N27229/95; 3.04.2001); Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom (N46477/99; 14.3.2002).
[560] Fernandes de Oliveira v. Portugal (N78103/14; 31.1. 2019).
[561] Makharadze and Sikharulidze v. Georgia (N35254/07; 22.11.2011).
[562] Marro and Others v. Italy (N29100/07; 8.4.2014).
[563] პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (136); Velikova v. Bulgaria (N41488/98; 18.5.2000); Salman v. Turkey (N21986/93; 27.6.2000); Taş v. Turkey (N24396/94; 14.11.2000); Anguelova v. Bulgaria (N38361/97; 13.06.2002); Peker v. Turkey (N42136/06; 12.4.2011).
[564] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 115; პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (135).
[565] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 214a.
[566] BVerfGE 51, 324 (346 f.).

380 სიცოცხლისათვის რისკის შემცველია ადამიანის ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში ყოფნა, როდესაც მის ფიზიკურ არსებობას ემუქრება საფრთხე. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის დაცვის ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თუ ადამიანი დამოკიდებულია ამგვარ უზრუნველყოფაზე. აქ საუბარია არა კეთილდღეობაზე, არამედ ელემენტარულ საარსებო პირობებზე,[567] საარსებო მინიმუმის გარანტირებით სიკვდილისაგან დაცვაზე.[568] ამ ვალდებულების უხეშმა უგულებელყოფამ შეიძლება დაარღვიოს ადამიანის სიცოცხლის უფლება.[569] ამდენად, სიცოცხლის უფლება აკონკრეტებს სახელმწიფო ვალდებულებებს და მათ შესატყვის მოთხოვნებს, რაც გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან.[570] ამ ფონზე, საკამათოა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება სადაგადასახადო კოდექსით დაუბეგრავ მინიმუმად არაადეკვატურად დაბალი თანხის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მართალია, მან 9 ლარი არასაკმარისად ჩათვალა, მაგრამ უარყო კავშირი სიცოცხლის უფლებასთან და განაცხადა, რომ ეს უფლება არ ავალდებულებს სახელმწიფოს დაბეგვრისაგან თავშეკავებას ადამიანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის მოტივით.[571] ზოგადად, რთულია და ხშირად შეუძლებელიც რაოდენობრივი მონაცემების კონსტიტუციურსამართლებრივი მასშტაბებით შეფასება, თუმცა ზოგჯერ რაოდენობრიობა ისეთ აშკარა და უკიდურეს ფორმებს იღებს, რომ ხარისხობრიობაში გადაიზრდება. მოცემულ შემთხვევაში დაუბეგრავი მინიმუმი იმდენად მცირე იყო, რომ არათუ ადამიანის ღირსეულ არსებობას, არამედ სიცოცხლისათვის მინიმალურ პირობებსაც კი ვერ უზრუნველყოფდა.

381 სიცოცხლის უფლებიდან, როგორც ობიექტური ფასეულობიდან, სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში, გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება ფუნქციონირებადი ჯანდაცვის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების ფართო სფერო აქვს და ამ ვალდებულებიდან უზრუნველყოფის მოთხოვნის გამოყვანა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. მაგალითად, თუ სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ადამიანს აქვს სიცოცხლისათვის საშიში დაავადება, რომლის მკურნალობისათვის არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები და მას უარს ეტყვიან სხვა, გამოყენებული და არა სრულიად უპერსპექტივო მეთოდით მკურნალობაზე, ირღვევა სიცოცხლის უფლება.[572] ამასთან, სახელმწიფო არ არის ვალდებული, გასცეს იმ ექსპერიმენტული პრეპარატების გამოყენების ნებართვა, რაც არ არის დაშვებული სამედიცინო მოხმარებისათვის.[573] სახელმწიფოს ვალდებულება მკაფიოდაა გამოხატული საშიში გადამდები დაავადებების შემთხვევაში. ამ დროს მას ევალება სათანადო ღონისძიებების განხორციელება მათ წინააღმდეგ.[574] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, განახორციელოს ადეკვატური სამედიცინო-სამკურნალო ღონისძიებები სიცოცხლის დასაცავად, თუმცა ითვალისწინებს რა, რომ ეს ფინანსურ

[567] Di Fabio, GG, Art. 2, Abs. 2, Rn. 35, 45 f.; Kunig, GG, Art. 2, Rn. 60; Starck, GG, Art. 2, Rn. 212;
[568] ტუღუში/ბურჯანაძე/მშვენიერაძე/მენაბდე, ადამიანის უფლებები, 62; საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, 9; BVerfGE 45, 187 (228).
[569] პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (135).
[570] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 224.
[571] საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის N1/12/261 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.
[572] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 225.
[573] Hristozov and Others v. Bulgaria (N47039/11, 358/12; 13.11.2012).
[574] გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 80.

სიძნელეებს შეიძლება უკავშირდებოდეს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თვლის შესაძლებლად სიცოცხლის უფლების დარღვევის დადგენას.[575] ეს ვალდებულება განსაკუთრებით მკაცრია, როდესაც საქმე შეეხება იმ მოწყვლადი პირების მოვლასა და მკურნალობას, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ.[576] თუ სიცოცხლის მოსპობა მოხდა მედიცინის ცალკეული მუშაკის ბრალეულობით, სახელმწიფო ვალდებულია, დაადგინოს გარდაცვალების მიზეზი და განსაზღვროს ბრალეული პირის პასუხისმგებლობის მოცულობა.[577] პაციენტის მიერ წინასწარი ნების გამოხატვის გარეშე სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ თემაზე საერთოევროპული კონსენსუსის არარსებობას და ცალკეული სახელმწიფოების დისკრეციის ფართო სფეროს, თუმცა ამავდროულად - ამგვარი შემთხვევების სიღრმისეული გამოკვლევის აუცილებლობას.[578]

382 ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეიძლება შეუქმნას გარემოზე ზემოქმედებამ. სახელმწიფოს ამ რისკებისაგან დაცვისა და ეკოლოგიურ საარსებო მინიმუმზე შეძლებისდაგვარი ზრუნვის ვალდებულებაც ეკისრება, რაც გულისხმობის ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი ეკოლოგიური პირობების შენარჩუნებას.[579] მან უნდა იმოქმედოს სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.[580] თუ სამართლებრივი ბაზა ამ სფეროში მოძველებული ან არასრულყოფილია, აუცილებელია მისი გაუმჯობესება.[581] ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ვალდებულება მაშინ გამომდინარეობს კონსტიტუციიდან, როდესაც საქმე შეეხება სასიცოცხლოდ აუცილებელ, ამოწურვად რესურსებს.[582]

383 სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე ბუნებრივი კატასტროფებისაგან, არ გამომდინარეობს ამ უფლების სუბიექტურსამართლებრივი შინაარსიდან.[583] თავისუფლების უფლებები იცავს ინდივიდუალურ ავტონომიას სახელმწიფოსა და მესამე პირების მხრიდან და არა ბუნების ძალების ხელყოფისაგან.[584] თუმცა, სიცოცხლის, როგორც ობიექტური ფასეულობის, დაცვა შეიძლება აუცილებელი გახდეს ბუნებრივი კატასტროფიდან მომდინარე საფრთხისაგან, რომელთან დამოუკიდებელი გამკლავებაც ინდივიდს არ შეუძლია. ამ დროს სამაშველო ღონისძიებების განხორციელება კონსტიტუციურსამართლებრივად სავალდებულოა.[585] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფომ გონივრულ ფარგლებში უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანების დასაცავად.[586]

---

[575] Association X v. the United Kingdom (N7154/75; 12.7.1978).
[576] Nencheva and Others v. Bulgaria (N48609/06; 18.6.2013); Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania (N47848/08; 17.7.2014).
[577] Powell v. the United Kingdom (N45305/99; 4.05.2000).
[578] Lambert and Others v. France (N46043/14; 5.6.2015).
[579] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 227.
[580] Hermes G., Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit: Schutzpflicht und Schutzanspruch aus Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG, 1987, 240 ff.; Murswiek D., Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik. Verfassungsrechtliche Grundlagen und immissionsschutzrechtliche Ausformung, 1985, 127 ff., 188 ff.
[581] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 198; BVerfGE 49, 89 (130).
[582] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 199.
[583] მაგალითად იხ.: Hermes, Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit, 119. განსხვავებული მოსაზრება მაგალითად იხ.: Robbers G., Sicherheit als Menschenrecht: Aspekte der Geschichte, Begründung und Wirkung einer Grundrechtsfunktion, 1987, 124, 127.
[584] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 213.
[585] იქვე, Rn. 214.
[586] Budayeva and Others v. Russia (N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02; 20.3.2008).

384 ტექნოგენური საფრთხეებისაგან სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდუსტრიული რისკებისა და საფრთხის შემცველი საქმიანობების კონტექსტში.[587] ამ კუთხით, შეიძლება გამოვყოთ ტექნიკური მოწყობილობებისა და მასალების, საგზაო მოძრაობისა და შრომის უსაფრთხოება.[588] სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს სიცოცხლის რისკები, მოახდინოს ამის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება ადამიანების სიცოცხლის დასაცავად.[589] ამასთან, მას აქვს პრევენციული ღონიძიებების შერჩევის ფარგლები საფრთხის სერიოზულობის მიხედვით.[590]

385 სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება აუცილებელია პირის ექსტრადიციის ან დეპორტაციის დროს. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოსათვის პირის გადაცემა, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს.[591] სახელმწიფო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით შეაფასოს სიცოცხლისათვის ზოგადი და საყოველთაოდ ცნობილი საფრთხეები. მას იგივე არ მოეთხოვება იმ ინდივიდუალურ რისკებთან დაკავშირებით, რომელიც პირს არ მიუთითებია, თუმცა თუ მისთვის ცნობილი გახდა კონკრეტული საფრთხის თაობაზე, ის უნდა შეფასდეს.[592]

386 სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციულ-საპროცესო და ორგანიზაციული გარანტიები სიცოცხლის დასაცავად. დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებაში, პრევენციულ და საზედამხედველო ღონისძიებებში ჩართულობის შესაძლებლობა.[593] აქ იგულისხმება საფრთხის შემცველი ობიექტების (ატომური ელექტროსადგურები, ქიმიური და სხვა ინდუსტრიული საწარმოები, აეროპორტები და ა.შ.) დაგეგმარებასთან, მოწყობასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სანებართვო თუ სხვა სახის წარმოება. აუცილებელია შესაბამისი ობიექტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე შესაძლო გავლენის პრევენციული კონტროლი, რათა სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი ამ სიკეთეთა ხელყოფის თავიდან აცილება. დაინტერესებული პირების მონაწილეობა წარმოებაში კონსტიტუციურსამართლებრივად სავალდებულოა, თუ მათი უფლებების ქმედითი გარანტირება სხვაგვარად შეუძლებელია.[594] ზემოაღნიშნული გარანტიებით სიცოცხლის დაცვას მაინც დამხმარე მნიშვნელობა აქვს. ის ხელს უწყობს მატერიალური ნორმებით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების ეფექტიან განხორციელებას, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებს მათ.[595]

[587] სტივენსონი, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, 131 (131).
[588] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 203.
[589] L.C.B. v. the United Kingdom (N23413/94; 9.6.1998); Öneryildiz v. Turkey.
[590] Brincat and Others v. Malta.
[591] სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.
[592] F.G. v. Sweden (N43611/11; 23.3.2016).
[593] Katz, Staatsrecht, Rn. 696, 700; Schmidt, Grundrechte, Rn. 309 f.; BVerfGE 53, 30 (65 ff.); 70, 297 (308); 77, 170 (214 f., 229 f.); 86, 288 (317 f., 326 ff.); 90, 145 (195 ff.).
[594] BVerfGE 53, 30 (65 f.).
[595] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 192 ff.

1.2.3.3. სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები

387 სიცოცხლის უფლების ობიექტური მნიშვნელობიდან, გარდა ამ უფლების დაცვის ვალდებულებისა, გამომდინარეობს სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებებიც.[596] პროცედურული ვალდებულება გულისხმობს სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე რეაგირებასა და ეფექტიანი გამოძიების განხორციელებას, რასაც უნდა მოჰყვეს დამნაშავეთა წარდგენა მართლმსაჯულების წინაშე და მათი ადეკვატური დასჯა.[597] სახელმწიფოს მაქსიმალური ძალისხმევის გამოჩენა მართებს თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალების გამოძიების შემთხვევაში.[598] ეფექტიანი გამოძიების ჩატარება აუცილებელია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის სიცოცხლის მოსპობა მოხდა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია სიკვდილთან ან სასიკვდილო საფრთხესთან დაკავშირებით.[599] გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსგავს სტანდარტებს უწესებს სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლო განხილვასაც.[600] მართალია, ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება ძალაშია იმის მიუხედავად, სიცოცხლის შესაძლო ხელყოფა კერძო პირმა განახორციელა თუ სახელმწიფოს წარმომადგენელმა,[601] მაგრამ სახელმწიფოს განსაკუთრებით მკაცრი მოვალეობები ეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც სიცოცხლის ხელყოფაზე მისი წარმომადგენელია პასუხისმგებელი.[602]

388 ეფექტიანი გამოძიება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად პარამეტრებს:[603] 1) ადეკვატურობა - გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი და არა ზედაპირული,[604] რათა მოხდეს ლეტალური ძალის გამოყენების გამართლებულობის,[605] ბრალდებული პირების, სიცოცხლის მოსპობის მიზეზებისა და მოტივის იდენტიფიცირება.[606] თუ გამოძიების შეწყვეტის შემდეგ გამოვლინდა ახალი მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ხელისუფლებამ უნდა განაახლოს გამოძიება.[607] ამავდროულად, ეფექტიანი გამოძიება არ ნიშნავს მის აუცილებელ დასრულებას სიცოცხლის მოსპობის ფაქტის განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებით, თუნდაც დაზარალებულის უფლებამონაცვლე არ ეთანხმებოდეს სხვა კვალიფიკაციას;[608] 2) დამოუკიდებლობა - გამოძიება არ უნდა აწარმოოს ორგანომ, რომლის წარმომადგენლებიც თავად არიან ეჭვმიტანილი

[596] შეადარე: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 136.

[597] მაგალითად იხ.: ბოხაშვილი, იქვე, 129; გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 73; პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (129); W v. the United Kingdom; Angelova and Iliev v. Bulgaria (N55523/00; 26.7.2007); Rantsev v. Cyprus and Russia (N25965/04; 7.1.2010).

[598] Kaya v. Turkey (N22729/93; 19.2.1998).

[599] Tanrikulu v. Turkey (N26763/94; 8.07.1999).

[600] მაგ.: Mojsiejew v. Poland (N11818/02; 24.3.2009); Esat Bayram v Turkey (N75535/01; 26.5.2009).

[601] Ergi v. Turkey.

[602] Enukidze and Girgvliani v. Georgia (N25091/07; 26.4.2011).

[603] Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey (N24014/05; 14.4.2015).

[604] მაგ.: Anguelova v. Bulgaria.

[605] მაგ.: Kelly and Others v. United Kingdom (N30054/96; 4.8.2001).

[606] Angelova and Iliev v. Bulgaria.

[607] Hackett v. the United Kingdom (N34698/04; 10.5.2005); Brecknell v. the United Kingdom (N32457/04; 27.11.2007); Williams v. the United Kingdom (N32567/06; 17.2.2009).

[608] ტუღუში, ბურჯანაძე, მშვენიერაძე, მენაბდე, ადამიანის უფლებები, 62-63; საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1, 1, 403, 427 გადაწყვეტილება საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

სიცოცხლის მოსპობაში.[609] მოითხოვება საკმარისი და არა აბსოლუტური დამოუკიდებლობა იმ პირებისა და ორგანოებისაგან, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც იკვეთება. გამოძიების დამოუკიდებლობა ექვემდებარება კონკრეტულ და არა აბსტრაქტულ შეფასებას. ის უნდა იყოს დამოუკიდებელი არა მხოლოდ ინსტიტუციური და იერარქიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც;[610] 3) სისწრაფე - გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრულ ვადებში. აუცილებელია დაუყოვნებელი რეაგირება სიცოცხლის მოსპობაზე და სამართალწარმოების განხორციელება გაჭიანურების გარეშე.[611] სახელმწიფომ სწრაფად და ჯეროვნად უნდა იმოქმედოს საქმეზე ახალი გარემოებების გამოვლენისას[612] ისევე, როგორც სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში დაკავებული პირის გაუჩინარების შესახებ დამაჯერებელი ინფორმაციის მიღებისთანავე;[613] 4) საჯაროობა და ინკლუზიურობა - გამოძიების საჯაროობის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით,[614] მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლეები საკმარისად უნდა იყვნენ ჩართული გამოძიებაში და შეეძლოთ თავიანთი ინტერესების დაცვა, მათ შორის, თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიებისას.[615]

389 გამოძიების ეფექტურობის შეფასება ხდება ზემოაღნიშნული პარამეტრების ერთობლიობის საფუძველზე. ცალკე აღებული პარამეტრი არ არის საკმარისი პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.[616] ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განსაზღვრავს გამოძიების უნიფიცირებულ, სავალდებულო მოდელს, არამედ შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნასა და ღონისძიებების განხორციელებას ცალკეული სახელმწიფოების დისკრეციის სფეროს მიაკუთვნებს.[617]

1.3. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცული სფერო

1.3.1. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების პერსონალური დაცული სფერო

390 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სუბიექტია ყველა ფიზიკური პირი.[618] მსგავსად სიცოცხლის უფლებისა, ჩანასახის სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებულ საკითხზე აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. იმ პოზიციის მიმდევრები, რომლებიც ჩანასახს არ თვლიან სიცოცხლის უფლების სუბიექტად, არც მის ფიზიკური ხელშეუხებლობის

[609] Aktas v. Turkey (N24351/94; 24.04.2003).
[610] Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom.
[611] Mahmut Kaya v. Turkey; Bilbija and Blažević v. Croatia (N62870/13; 12.01.2016); Fernandes de Oliveira v. Portugal.
[612] Harrison and Others v. the United Kingdom (N44301/13, 44379/13, 44384/13; 25.3.2014).
[613] Turluyeva v. Russia (N63638/09; 20.6.2013).
[614] Kelly and Others v. United Kingdom.
[615] Aydin v. Turkey (N23178/94; 25.09.1997); Yasa v. Turkey (N22495/93; 2.09.1998); Tanrikulu v. Turkey.
[616] Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey.
[617] Gurtekin and Others v. Cyprus (N60441/13, 68206/13, 68667/13; 11.3.2014).
[618] მაგ.: Schmidt, Grundrechte, Rn. 292.

უფლებას აღიარებენ.[619] უფრო გავრცელებული მოსაზრებით, სიცოცხლესთან ერთად, დაცულია ფეტუსის ფიზიკური ხელშეუხებლობაც.[620]

1.3.2. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების საგნობრივი დაცული სფერო[621]

391 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სიკეთეა ადამიანის სხეულებრივი სფეროს ბიოლოგიურ-ფიზილოგიური და ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური მთლიანობა.[622] ის იცავს ადამიანს არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანებისაგან, არამედ ფიზიკური ან სულიერი ტკივილის მიყენებისაგან.[623] ფსიქიკური ხელშეუხებლობა დაცულ სფეროს განეკუთვნება, თუ მის დარღვევას მოჰყვება სომატური გავლენა, ანუ ფსიქიკაზე ზემოქმედებამ გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური[624] ან ფიზიკურთან გათანაბრებული (ადამიანის მდგომარეობის იმგვარი შეცვლა, რაც შეესაბამება ტკივილის მიყენებას) ეფექტი.[625] ფიზიკური ხელშეუხებლობა გულისხმობს თავისუფლებას პათოლოგიური მდგომარეობისაგან, მათ შორის, ფსიქიკური დაავადებებისაგან, თუმცა არა ფსიქიკური მდგომარეობის მსუბუქი დარღვევებისაგან.[626]

392 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას აქვს ნეგატიური ასპექტი. კერძოდ, დაცულია ადამიანის უფლება, უარი განაცხადოს მკურნალობაზე.[627] ზოგიერთ ავტორს, ფიზიკური ხელშეუხებლობლობის უფლების ნეგატიური ასპექტისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების საფუძველზე, გამოაქვს დასკვნა, რომ პასიური ევთანაზია არათუ ნებადართული, არამედ აუცილებელიცაა, რადგანაც სიცოცხლის შემნარჩუნებელი მკურნალობა ამ უფლებებში ჩარევაა და მისი გაგრძელება პაციენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.[628]

393 გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება არ განამტკიცებს უფლებას „ჯანმრთელობაზე“ იმ გაგებით, რასაც გულისხმობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების პრეამბულაში მოცემული დეფინიცია. ის „ჯანმრთელობას“ განმარტავს, როგორც სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას. ეს სცდება ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფეროს ფარგლებს, რომელიც არ უზრუნველყოფს ადამიანის სოციალურ კეთილდღეობას და ავადმყოფობებისაგან თავისუფალ ცხოვრებას.[629]

394 ადამიანის ფიზიკურ მთლიანობას იცავს ღირსების ძირითადი უფლებაც, რაც იწვევს ამ უფლებათა დაცულ სფეროებს შორის მიჯნის გავლების აუცილებლობას. ღირსების დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება შეუძლებელია,

---

[619] მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 256.

[620] Kunig, GG, Art. 2, Rn. 61; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 147.

[621] ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროსთან დაკავშირებით დეტალურად იხილე მაგ.: Katz, Staatsrecht, Rn. 700; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 147 ff.; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 420.

[622] Katz, Staatsrecht, Rn. 700; Schmidt, Grundrechte, Rn.291.

[623] შეადარე: BVerfGE 56, 54 (73, 75).

[624] Muswiek, GG, Art. 2, Rn. 149.

[625] BVerfGE 56, 54 (75).

[626] Hermes, Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit, 223; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 149.

[627] BVerfGE 128, 282 (304).

[628] Schulze-Fielitz, GG, Art. 2 II, Rn. 63.

[629] Ipsen, Grundrechte, Rn. 257; Kunig, GG, Art. 2, Rn. 62; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 150; Starck, GG, Art. 2, Rn. 193.

ხოლო ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა კი შეიძლება დაექვემდებაროს გამართლებას. ის, თუ რომელი უფლებით დაცულ სფეროს შეეხება საქმე, დამოკიდებულია ჩარევის ხასიათზე. როდესაც ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფას აქვს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ხასიათი, ის უნდა შეფასდეს ღირსების ძირითადი უფლების საფუძველზე, ხოლო დანარჩენი შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევად.

1.3.3. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები

1.3.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, როგორც თავდაცვითი (თავისუფლების) უფლება (Status negativus), სახელმწიფოს, პირველ რიგში, აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს ადამიანის ფიზიკურ მთლიანობაში არაკონსტიტუციური ჩარევისაგან. აშკარაა მსგავსება სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე ნეგატიურ ვალდებულებასთან, თუმცა ფიზიკური ხელშეუხებლობის შემთხვევაში ის ნაკლებად მკაცრია, რადგანაც მის დარღვევას არ აქვს სიცოცხლის უფლების ხელყოფის იდენტური მძიმე და შეუქცევადი შედეგები.[630] 395

1.3.3.2. სახელმწიფო დაცვისა და პროცედურული ვალდებულებები

ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება მფარველობითი უფლება არ არის, თუმცა მისი ობიექტური მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ამ უფლების დაცვაზე.[631] მან უნდა დაიცვას ინდივიდი ჯანმრთელობის დაზიანებისაგან, ტკივილისაგან თუ სხვა საფრთხეებისაგან თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.[632] 396

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებები შინაარსობრივად მსგავსია სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებებისა. სახელმწიფოს აქაც ეკისრება ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა: დამცავი კანონმდებლობის მიღება და აღსრულება, პასუხისმგებლობის დადგენა უფლების არამართლზომიერი ხელყოფისათვის;[633] დაცვა მესამე პირებისაგან მომდინარე,[634] გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული[635] და ტექნოგენური[636] საფრთხეებისაგან; დაცვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე საფრთხისაგან;[637] ფუნქციონირებადი 397

[630] შეადარე მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 189.

[631] BVerfGE 56, 54 (78); 77, 170 (214); 85, 191 (212); 115, 25 (44 f.).

[632] Katz, Staatsrecht, Rn. 700; BVerfGE 53, 30 (57 ff.); 56, 54 (73 ff.); 90, 145 (171 ff.).

[633] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 191.

[634] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 196 f.; BVerfGE 46, 160 (165).

[635] Hermes, Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit, 240 ff.; Murswiek, Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik, 127 ff., 188 ff.

[636] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 203.

[637] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 115; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 214a.

ჯანდაცვის სისტემის მოწყობა;[638] ადმინისტრაციულ-საპროცესო და ორგანიზაციული გარანტიების უზრუნველყოფა[639] და ა.შ. ამ საკითხებზე უკვე გამახვილდა ყურადღება სიცოცხლის უფლების კონტექსტში. შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება დიდწილად სწორედ იმ რისკებისაგან მოითხოვს დაცვას, რისგანაც სიცოცხლის უფლება. მსგავსია სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებიც. ამავდროულად, ნეგატიური ვალდებულებების ანალოგიურად, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო დაცვისა და პროცედურული ვალდებულებების სიმკაცრის ხარისხი ნაკლებია. ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ დაცვის რამდენიმე სპეციფიურ ვალდებულებებზე, რასაც სახელმწიფოს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება აკისრებს.

398 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების თავდაცვითი ფუნქცია მიმართულია სახელმწიფოს იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც უშვებს მესამე პირების მხრიდან ზეგავლენას ამ უფლებით დაცულ სიკეთეზე. აქ იგულისხმება სახელმწიფო ლიცენზიის, ნებართვის ან კონცესიის საფუძველზე კერძო სუბიექტების მიერ განხორციელებული ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი საქმიანობა. ამგვარ საქმიანობაზე თანხმობის გაცემის პროცედურით სახელმწიფო, ერთი მხრივ, ასრულებს თავის ობიექტურსამართლებრივ ვალდებულებას, ხოლო მეორე მხრივ, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების შესაძლო დარღვევაზე პასუხისმგებლობასაც იღებს.[640]

399 ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე შეიძლება შეუქმნას საკვებმა პროდუქტებმა, ამიტომ აქტუალურია სახელმწიფოს ვალდებულებები სურსათის უვნებლობის სფეროში. ჯანმრთელობის საფრთხეების პრევენციისათვის, სახელმწიფოს ევალება სურსათში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრული ნორმების განსაზღვრა და მათ დაცვაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება. მან ასევე უნდა დაადგინოს სურსათის შესაბამისი მარკირების ვალდებულებები, რათა მომხმარებლისათვის ცნობილი გახდეს, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ რა ნივთიერებებს შეიცავს ესა თუ ის პროდუქტი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას იმ ნივთიერებებისათვის, რომლებსაც ესა თუ ის პროდუქტი ტრადიციულად შეიცავს და ამის შესახებ საყოველთაოდ ცნობილია.[641]

2. ჩარევა სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროებში

2.1. ჩარევა სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროში[642]

400 სიცოცხლის უფლების კონტექსტში, მოქმედებს ე.წ. „ჩარევის ფართო გაგება“. ჩარევად განიხილება არა მხოლოდ უშუალო და საბოლოო, არამედ ირიბი და არასაბოლოო

[638] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 225.

[639] შეადარე.: Katz, Staatsrecht, Rn. 696, 700; Schmidt, Grundrechte, Rn. 309 f.; BVerfGE 53, 30 (65 ff.); 70, 297 (308); 77, 170 (214 f., 229 f.); 86, 288 (317 f., 326 ff.); 90, 145 (195 ff.).

[640] Ipsen, Grundrechte, Rn. 259; BVerfGE 49, 89 (132 ff.); 53, 30 (57 ff.); 56, 74 (73 ff.).

[641] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 204 f.

[642] სიცოცხლის უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით მაგალითად იხ.: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 421; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 152 ff.

ხასიათის ქმედებებიც.[643] აქედან გამომდინარე, აუცილებელი არ არის ჩარევა გამიზნულად და გარდაუვალად სპობდეს ადამიანის სიცოცხლეს, არამედ ის შეიძლება იწვევდეს ამ სიკეთის ხელყოფის რისკებს. ამასთანავე, ეს არ გულისხმობს ნებისმიერი მცირე რისკის სიცოცხლის უფლების დარღვევად ჩათვლას და სახელმწიფოს მიერ მისი აკრძალვის ვალდებულებას.

401 სიცოცხლის უფლებაში ჩარევაა, პირველ რიგში, ადამიანის სიცოცხლის განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოსპობა, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ. ჩარევად ასევე განიხილება სიკვდილით დასჯის შემოღება, მისჯა და აღსრულება,[644] აბორტი,[645] ექსტრაკორპორალური გზით ჩასახული ემბრიონების განადგურება,[646] უბედური შემთხვევებითა და გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ადამიანის დაღუპვა,[647] აქტიური ევთანაზია,[648] გარკვეული კატეგორიის სახელმწიფო სამსახურებში (პოლიცია, სამხედო და სახანძრო-სამაშველო სამსახურები) მყოფი პირების სიცოცხლისათვის რისკის შექმნა.[649] უკანასკნელ შემთხვევაში საფრთხეს უნდა ჰქონდეს სერიოზული ხასიათი, მაგალითად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს სიცოცხლის უფლებაში ჩარევას.[650]

2.2. ჩარევა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში651

402 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის მიმართ, სიცოცხლის უფლების მსგავსად, გამოიყენება ჩარევის ფართო გაგება.[652] სხვაგვარად ამ უფლების, ღირსების უფლების პარალელურად, ცალკე არსებობა ფაქტობრივად აზრს დაკარგავდა, რადგანაც თუ პირის მიმართ განხორციელებული მოქმედებები აღწევს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ხარისხს, ეს უკვე ღირსებაში ჩარევაა და მათი კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება თეორიულადაც გამორიცხულია.[653]

403 ჩარევად ითვლება ნებისმიერი ზეგავლენა ადამიანის სხეულის სუბსტანციაზე, რაც ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას, იწვევს ტკივილს[654] ან ტკივილის მიყენებასთან გათანაბრებულ მდგომარეობას.[655] ფსიქოლოგიური ზემოქმედება ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევაა იმ შემთხვევაში, როდესაც მას ადამიანისათვის ფიზიკური შედეგები მოჰყვება.[656] ფიზიკური ხელშეუხებლობის

[643] შეადარე: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 238 ff., 394 ff.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 151; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 83 ff.; BVerfGE 66, 39 (60).

[644] შეადარე მაგ.: Schmidt, Grundrechte, Rn. 293.

[645] BVerfGE 39, 1 (42 f.); 88, 203 (251 f.).

[646] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 152.

[647] იქვე, Rn. 153.

[648] Schmidt, Grundrechte, Rn. 293.

[649] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 421.

[650] BVerfGE 77, 170 (171).

[651] ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით მაგალითად იხ.: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 422 f.

[652] შეადარე: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 238 ff., 394 ff.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 151; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 83 ff.; BVerfGE 66, 39 (60).

[653] შეადარე: Pieroth/Schlink, Rn. 426.

[654] Di Fabio, GG, Art. 2 Abs. 2, Rn. 60; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 154; BVerfGE 56, 54 (73).

[655] Kunig, GG, Art. 2, Rn. 63; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 155; BVerfGE 56, 54 (75 ff.); 66, 39 (57 f.).

[656] შეადარე: Kunig, GG, Art. 2, Rn. 63; BVerfGE 56, 54 (75).

უფლებაში ჩარევად განიხილება ისეთი ქმედებებიც, რომლებიც არ არის გამიზნული ან გარდაუვალად არ მოახდენს გავლენას დაცულ სიკეთეზე, მაგრამ ქმნის მისი ხელყოფის რისკებს, მაგალითად სურსათის უვნებლობის წესების უგულებელყოფით ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა.

404 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას შეიძლება ჰქონდეს ირიბი ფორმა, მაგალითად სახელმწიფოს მიერ მესამე პირთათვის იმპლანტაციაზე დაწესებული აკრძალვის გამო პირის დატოვება აუცილებელი სამედიცინო დახმარების გარეშე.[657] ირიბი ჩარევა ასევე შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფოს მიერ პირისათვის სხვა უფლებების შეზღუდვაში, თუ ის უარს ამბობს თავისი ფიზიკური ხელშეუხებლობის შეზღუდვაზე. მაგალითად, პირისათვის სოციალური დახმარების შეჩერება, თუ ის უარს განაცხადებს სამედიცინო მკურნალობაზე.

405 ადამიანის ფიზიკური მთლიანობის ხელყოფა სხვადასხვა, მათ შორის დაბალი, ინტენსივობით ხდება. შესაძლებელია, რომ უმნიშვნელო ჩარევების ერთობლიობამ (მაგალითად, გარემოს დაბინძურებისას) საბოლოოდ გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. დაბალი ინტენსივობა არ გამორიცხავს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის არსებობას, თუმცა მხედველობაში მიიღება და ამსუბუქებს მის კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას.[658] ამავდროულად, ჩარევად არ ითვლება ადამიანის სხეულთან ისეთი კონტაქტი, რაც არ გულისხმობს მის ფიზიკურ სუბსტანციაში შეჭრას, მაგალითად სხეულზე უბრალოდ ხელით შეხება სამედიცინო გასინჯვის მიზნით.[659]

406 ჩარევის კონკრეტული მაგალითებია იძულებითი ან პაციენტის თანხმობის გარეშე სამედიცინო მკურნალობა,[660] სავალდებულო აცრა,[661] სისხლის საპროცესოსამართ-ლებრივი ჩარევები - სისხლის სინჯის აღება, ზურგის ტვინის სითხის აღება,[662] პნევმოენცეფალოგრაფია (ცერებრალური პარკუჭის ჰაერით შევსება),[663] თმისა და წვერის ვარცხნილობის იძულებით შეცვლა (გარდა ვარცხნილობასთან დაკავშირებული სამსახურებრივი სტანდარტებისა),[664] ფსიქოტროპული საშუალებების იძულებით მიწოდება[665] და ა.შ. სხვადასხვა ობიექტების ექსპლუატაცია ჩარევაა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათგან მომდინარე ემისია (ხმაური, სუნი, გამოსხივება, გამონაბოლქვი და ა.შ.) იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას.[666]

---

[657] BVerwGE 123, 352 (355).

[658] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 163; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 423.

[659] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 156.

[660] Jung E., Das Recht auf Gesundheit: Versuch einer Grundlegung des Gesundheitsrechts der Bundesrepublik Deutschland, 1982, 136 ff.; Schmidt, Grundrechte, Rn. 294; BVerfGE 52, 131 (168 f.); 128, 282 (300 ff.).

[661] BVerwGE 9, 78 (79).

[662] BVerfGE 16, 194 (198).

[663] BVerfGE 17, 108 (115).

[664] BVerfGE 47, 239 (248 f.).

[665] BVerfGE 128, 282 (300 ff.).

[666] BVerfGE 79, 174 (201).

3. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება[667]

3.1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების ზღვარი და ჩარევის გამართლების ფორმალური მოთხოვნები

407 სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები არ არის აბსოლუტური ხასიათის და მათ დაცულ სფეროში ჩარევა შესაძლებელია.[668] გამონაკლისია სიკვდილით დასჯის აკრძალვა. კონსტიტუციის ამ მოთხოვნიდან გადახვევა - სიკვდილით დასჯის შემოღება, შეფარდება ან აღსრულება დაუშვებელია და არ ექვემდებარება გამართლებას.[669]

408 კონსტიტუციის მე-10 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებების მიმართ მოქმედებს შიდაკონსტიტუციური ზღვარი, რაც გულისხმობს ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობას სხვათა უფლებებისა და უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთეების დასაცავად.

409 კონსტიტუცია არ შეიცავს კანონის სპეციალურ დათქმას სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩარევა შეიძლება განხორციელდეს კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე. ამგვარ შემთხვევებზე ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმის[670] მოქმედება. ის გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებიდან[671] და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძირითადი უფლებების სფეროში.[672] მისი საშუალებით კანონი ასრულებს გარანტიის როლს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და ინდივიდუალური თავისუფლებისათვის,[673] განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე ძირითადი უფლება შიდაკონსტიტუციურ ზღვარს ექვემდებარება.[674]

---

[667] სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებასთან დაკავშირებით დეტალურად იხილე მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 164 ff.; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 424 ff.; Schmidt, Grundrechte, Rn. 295 ff.

[668] შეადარე მაგ. Ipsen, Grundrechte, Rn. 254.

[669] მაგალითად იხ.: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 85.

[670] კანონის ზოგად დათქმასთან დაკავშირებით დეტალურად იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 398 ff.

[671] დეტალურად იხ.: Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 46; Lerche P., Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009, § 62, 301 (319).

[672] დეტალურად იხ.: Grzeszick B. (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958, Rn. 81; Jarass, GG, Art. 20, Rn. 48 ff.; Karpen U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, 1985, 68; Sommermann K.-P. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 276.

[673] Badura P., Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, 2010, 374.

[674] შეადარე: Robbers G., Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), seit 1950, Rn. 2009.

3.2. სიცოცხლის უფლებაში ჩარევის გამართლების მატერიალური მოთხოვნები

410 სიცოცხლის უფლებაში ჩარევის გამართლებისათვის საკმარისი არ არის ამ საკითხის ფორმალურად კანონით მოწესრიგება. ჩარევის საკანონმდებლო საფუძველი და მისი პრაქტიკული განხორციელება უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებს, რაც უპირველეს ყოვლისა, თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობას გულისხმობს. იქედან გამომდინარე, რომ თანაზომიერების შემოწმებისას გასათვალისწინებელია სიცოცხლის, როგორც უმაღლესი ფასეულობის მნიშვნელობა, ეს პროცესი მკაცრი სტანდარტების დაცვით განხორციელებას მოითხოვს.[675]

411 სიცოცხლის უფლების დამცავი კონსტიტუციური ნორმა ლაკონურია. გონივრული იქნებოდა ამ უმნიშვნელოვანეს უფლებაში ჩარევის ძირითადი სტანდარტების კონსტიტუციურ დონეზე უფრო ვრცელი მოწესრიგება, თუმცა ამ ერთგვარი ვაკუუმის კომპენსირებას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სიცოცხლის უფლებაში ჩარევის მატერიალურ-სამართლებრივი შეფასებისას.

412 სიცოცხლის უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს კანონით განსაზღვრულ ლეგიტიმურ მიზანს. ამ კუთხით, კანონმდებლის მოქმედების არეალს, ჩარჩოებს უდგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლეტალური ძალის გამოყენების შემთხვევათა ჩამონათვალი.[676] კერძოდ, ის შეიძლება ემსახურებოდეს შემდეგი მიზნების მიღწევას: 1) პირის დაცვა არამართლზომიერი ძალადობისაგან; 2) კანონიერი დაკავება, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღკვეთა; 3) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელება აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად. ამ შემთხვევებისათვის საერთოა ის აუცილებელი წინაპირობა, რომ ლეტალური ძალის გამოყენება დასაშვებია, თუ პირის მხრიდან აშკარა, უშუალო და რეალური საფრთხე ემუქრება სხვა პირთა სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას ან სხვა უმაღლესი მნიშვნელობის ღირებულებებს.[677] დაუშვებელია სიცოცხლის უფლებაში ჩარევა ზოგადად, საჯარო ინტერესის ან საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაცვის[678] ან სავარაუდო და არა კონკრეტული დანაშაულის აღკვეთის მიზნით.[679]

413 სიცოცხლის უფლებაში ჩარევა განიხილება, როგორც უკანასკნელი საშუალება (ultima ratio), როდესაც გამორიცხულია სხვა, უფრო მსუბუქი, საშუალების გამოყენება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[680] ამგვარ ვითარებაში, სიცოცხლის სახელმწიფო დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ლეტალური ძალის გამოყენება არათუ დასაშვები, არამედ აუცილებელიცაა[681] და მაშინაცაა გამართლებული, თუ ძალის

[675] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 254; Schmidt, Grundrechte, Rn. 300.

[676] შეადარე მაგ.: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 76; კუბლაშვილი, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, 2006, 188 (195-196); კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 116.

[677] შეადარე: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 84; Murswiek, GG, Art. 2, 171, 182.

[678] პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (128).

[679] Kelly v. the United Kingdom (N17579/90; 4.5.2001).

[680] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, 182; Schmidt, Grundrechte, Rn. 298.

[681] Ipsen, Grundrechte, Rn. 254.

გამომყენებელი პირი არათუ უშვებდა, არამედ სურდა სასიკვდილო შედეგის დადგომა.[682] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია[683] იყენებს ტერმინს „აბსოლუტური აუცილებლობა“[684], რაც გულისხმობს სიცოცხლის ხელყოფის აუცილებლობის უფრო მკაცრი სტანდარტით შეფასებას, ვიდრე ეს სხვა უფლებების შემთხვევაში ხდება.[685] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აფასებს, რამდენად იყო ძალის გამოყენება მკაცრად პროპორციული და ამ კუთხით, ითვალისწინებს მის მიზანს, სიცოცხლისათვის შექმნილი საშიშროების მასშტაბს, მოვლენათა შესაძლო განვითარებას, დამდგარ შედეგებს და ძალის გამოყენებით წარმოქმნილ სიცოცხლის მოსპობის რისკს.[686] მოწმდება, თუ რამდენად იყო სახელმწიფოს მოქმედება ჯეროვნად მომზადებული დაგეგმილი, ექვემდებარებოდა კონტროლს და გამოვლინდა სათანადო სიფრთხილე ლეტალური შედეგის საფრთხის მაქსიმალური შემცირების მიზნით.[687] მაგალითად, აბსოლუტური აუცილებლობის სტანდარტს არ აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ ტერორისტების წინააღმდეგ ოპერაციის არასათანადო დაგეგმვა, წარმართვა და სამხედრო-საბრძოლო ტექნიკის გამოყენება, მათ მიერ აყვანილი მძევლების სიცოცხლის რისკის იგნორირებით.[688]

414 საინტერესოა ომის დროს სიცოცხლის უფლებაში ჩარევის გამართლების საკითხი, რადგანაც ის უკავშირდება ლეტალური ძალის მასშტაბურ გამოყენებას და ადამიანების სიცოცხლის მასობრივ მოსპობას. სახელმწიფოს აქვს თავდაცვითი ომის წარმოების უფლება, რომლის მიზანია მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. თავდაცვითი ომის წარმოება მოიცავს უფლებამოსილებას, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, განახორციელო მოქმედებები, რაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას იწვევს. ამგვარი ჩარევები სიცოცხლის უფლებაში გამართლებულად ითვლება.[689] სხვა მხრივ, სახელმწიფო საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს არ თავისუფლდება სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებისაგან და ვერც მისი დაცვის სტანდარტებს შეასუსტებს.[690]

415 სიცოცხლის უფლებაში ჩარევის მარეგულირებელი კანონმდებლობა არა მხოლოდ თანაზომიერების, არამედ განსაზღვრულობის პრინციპსაც უნდა შეესაბამებოდეს. ის უნდა იყოს მკაფიო, ზუსტი და გასაგები როგორც რეგულირების ადრესატების, ასევე მისი გამომყენებელი სახელმწიფო მოხელეებისათვის. სიცოცხლის უფლების უდიდესი მნიშვნელობა გავლენას ახდენს განსაზღვრულობის შემოწმებაზეც და ზრდის მისი სიმკაცრის ხარისხს.[691]

[682] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 432.

[683] მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[684] ამ საკითხზე დეტალურად იხილე მაგ.: გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 82-85.

[685] მაგ.: Kelly v. the United Kingdom.

[686] მაგ.: Stewart v. the United Kingdom (N10044/82; 10.7.1984); Aydan v. Turkey (N16281/10; 12.3.2013).

[687] შეადარე მაგ.: პაპუაშვილი, პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, 127 (130); Stewart v. the United Kingdom; McCann and Others v. the United Kingdom; Andronicou and Constantinou v. Cyprus; Ergi v. Turkey; Ogur v. Turkey (N21594/93; 20.5.1999); Giuliani and Gaggio v. Italy (N23458/02; 24.3.2011); Finogenov and Others v. Russia (N18299/03, 27311/03; 20.12.2011).

[688] Tagayeva and Others v.Russia.

[689] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 172.

[690] გოცირიძე, მე-15 მუხლის კომენტარი, 73.

[691] შეადარე: Schmidt, Grundrechte, Rn. 300.

3.3. სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

3.3.1. სახელმწიფო დაცვის ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

416 სიცოცხლის დაცვის ვალდებულების დარღვევის შემოწმება უნდა განხორციელდეს არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპი ირღვევა, თუ: 1) სახელმწიფო არ მოქმედებს სიცოცხლის დასაცავად ან მას მოქმედების საშუალებას კანონმდებლობა არ აძლევს; 2) სახელმწიფო მოქმედებს, მაგრამ მიღებული ზომები გამოსადეგი არაა[692] ან სხვა საშუალება სიცოცხლეს მის მიერ გამოყენებულ ღონისძიებაზე უკეთ დაიცავდა და ამავდროულად, უფრო მეტად არ დააზიანებდა სხვა პირთა უფლებებს ან საჯარო ინტერესებს; 3) როდესაც დარღვეულია გონივრული ბალანსი სიცოცხლის უფლების დაცვის ინტერესსა და მასთან კოლიზიაში მყოფ კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.[693]

417 სახელმწიფოს უმოქმედობა სახეზეა, თუ ის არ იღებს კანონმდებლობას სიცოცხლის დასაცავად ან შესაბამისი კანონმდებლობა არსებობს, მაგრამ არ ხორციელდება რაიმე ღონისძიება მის აღსასრულებლად.[694] სახელმწიფო უმოქმედობისათვის პასუხს არ აგებს, თუ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა არ იცოდნენ და არც უნდა სცოდნოდათ სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ.[695] ის სიცოცხლის უფლებას არღვევს, თუ აქვს ან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია მოსალოდნელ საფრთხეზე და მაინც პასიურობს.[696]

418 სახელმწიფოს არასათანადო მოქმედების კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ სიცოცხლის დაცვის საშუალებების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს აქვთ თავისუფალი მოქმედების საკმაოდ ფართო სივრცე, რაც კონკურირებადი ინტერესების გათვალისწინებისა და დაბალანსების შესაძლებლობას იძლევა.[697] სიცოცხლის დაცვისას სახელმწიფოს მოქმედების შესატყვისობა ფასდება ცალკეული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით, რაც გამორიცხავს მისთვის კონკრეტული საშუალების გამოყენების დავალდებულებას.[698] სახელმწიფოს არ ევალება სიცოცხლისათვის ნებისმიერი რისკის გამორიცხვა. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია და გარდა ამისა, ძალიან გაართულებდა ადამიანთა თანაცხოვრებას საზოგადოებაში და სახელმწიფოს მრავალფეროვანი ამოცანების შესრულებას.[699] სახელმწიფო დაცვის ვალდებულების დარღვევა დადგინდება, თუ მის მიერ სიცოცხლის დასაცავად გამოყენებული საშუალებები სრულად გამოუსადეგარი და არაადეკვატურია, ან არსებითად ჩამორჩება აუცილებელ ზომას.[700] სახელმწიფოს დისკრეციის სფერო მცირდება და შესაბამისად, შემოწმების სიმკაცრე იზრდება

[692] შეადარე: Katz, Staatsrecht, Rn. 699; BVerfGE 77, 170 (214 f.); 92, 26 (46).

[693] Schmidt, Grundrechte, Rn. 304; BVerfGE 46, 160 (164).

[694] შეადარე: BVerfGE 53, 30 (65 f.).

[695] Osman v. the United Kingdom.

[696] მაგ.: Öneryildiz v. Turkey; Olewnik-Cieplinska and Olewnik v. Poland.

[697] შეადარე მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 180; BVerfGE 46, 160 (164); 49, 89 (126 ff.); 53, 30 (57); 56, 54 (78); 77, 170 (214 f.); 77, 381 (402 f.); 85, 191 (213); 87, 363 (386); 88, 203 (251); 115, 118 (152).

[698] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 196 f.; BVerfGE 46, 160 (165).

[699] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 175.

[700] შეადარე მაგ.: BVerfGE 56, 54 (81); 77, 381 (405); 79, 174 (202); 92, 26 (46).

კონკრეტულ შემთხვევაში სიცოცხლისათვის შექმნილი რისკის მასშტაბების ზრდის კვალობაზე. ეს განსაკუთრებით შეეხება ვითარებას, როდესაც სახელმწიფოს არასათანადო მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი (მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა) ან დაუძლევადი (მაგალითად, ავარია ატომურ ელექტროსადგურზე) შედეგები.[701] მაგალითად, არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპი არ უშვებს, რომ სახელმწიფომ თავისუფლად განაცხადოს უარი დაუბადებელი სიცოცხლის დასაცავად სისხლისსამართლებრივი ზომების გამოყენებაზე.[702]

419

არასათანადო მოქმედებით სახელმწიფო დაცვის ვალდებულების დარღვევის მაგალითები მრავლად გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლო ამოწმებს, რამდენად გამოავლინა სახელმწიფომ საფრთხეები სიცოცხლისათვის, მიაწოდა ინფორმაცია ამის შესახებ მოსახლეობას და გონივრულ ფარგლებში, განახორციელა ყველა აუცილებელი ღონისძიება მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანების დასაცავად.[703] სიცოცხლის უფლების არსებითი ნაწილის დარღვევა დგინდება არა მხოლოდ სახელმწიფოს უმოქმედობისას, არამედ სიცოცხლისათვის საფრთხეებზე არასათანადო რეაგირებისას სახელმწიფო ორგანოების ინერტულობის, შეცდომების, დაბალი პროფესიონალიზმის ან სხვა მიზეზების გამო.[704] ამასთან, სახელმწიფომ სიცოცხლის დაცვისა და მისი ხელყოფის პრევენციის საშუალებები საფრთხის სერიოზულობის შესატყვისად უნდა შეარჩიოს.[705] განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მას, როდესაც არსებობს კონკრეტული ინფორმაცია მოსახლეობის მიმართ ტერორისტულ საფრთხესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, სიცოცხლის უფლებას ხელყოფს ადეკვატური პრევენციული ზომების განუხორციელებლობა.[706] სახელმწიფო სიცოცხლის უფლებას არღვევს მაშინაც, როდესაც ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი პირების (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი პირები) დაცვას სერიოზული და მყისიერი საფრთხისაგან, რაც მათ ემუქრებათ მძიმე პირობების ან სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო.[707] განსაკუთრებით მკაცრ კონტროლს ექვემდებარება თავისუფლებააღკვეთილ პირთა სიცოცხლის დაცვის ვალდებულების შესრულების შემოწმება. თუ ამ პირის სიცოცხლე მესამე პირმა ხელყო, ხოლო სახელმწიფომ შესატყვისად არ იმოქმედა ამის თავიდან ასაცილებლად (არ მოხდა საფრთხის შესახებ ინფორმაციის გაცვლა, საფრთხის მატარებელი პირის სათანადოდ შემოწმება და ა.შ.), ირღვევა სიცოცხლის უფლება.[708] ანალოგიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობას, თუ სახელმწიფომ გონივრულ ფარგლებში არ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები სუიციდის პრევენციისათვის.[709]

[701] Schmidt, Grundrechte, Rn. 302.

[702] BVerfGE 88, 203 (257 f.).

[703] შეადარე მაგ.: L.C.B. v. the United Kingdom; Budayeva and Others v. Russia.

[704] Olewnik-Cieplinska and Olewnik v. Poland.

[705] Brincat and Others v. Malta.

[706] Tagayeva and Others v.Russia.

[707] Mehmet Şenturk and Bekir Şenturk v. Turkey (N13423/09; 9.4.2013); Nencheva and Others v. Bulgaria; Asiye Genc v. Turkey (N24109/07; 27.1.2015).

[708] Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom.

[709] Keenan v. the United Kingdom; De Donder and De Clippel v. Belgium (N8595/06; 6.12.2011); Isenc v. France (N58828/13; 4.2.2016).

420 სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულების შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა პირთა უფლებების, მათ შორის სიცოცხლის უფლების, ან საჯარო ინტერესების შეზღუდვა ან მათთვის საფრთხის შექმნა. დაპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის შემოწმება ხდება აწონ-დაწონვისა და სიკეთეთა შედარების საფუძველზე, რაც ძალიან რთული ამოცანაა. ამაზე მეტყველებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება. ე.წ. „შლაიერის საქმეზე" მძევლის გამტაცებლები იმუქრებოდნენ მისი მოკვლით, თუ სახელმწიფო არ შეასრულებდა ტერორისტების გათავისუფლების მოთხოვნას. მძევლის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება უპირისპირდებოდა იმ ადამიანების სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას, რომლებსაც ტერორისტების გათავისუფლებით დაემუქრებოდა საფრთხე. ასევე გასათვალისწინებელი იყო სახელმწიფოს მედეგობისა და ქმედითობის ინტერესი. გამტაცებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოს რეაქციას წინასწარგანჭვრეტადს გახდიდა, რაც არ შეესაბამებოდა სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულებას. სასამართლომ ჩათვალა, რომ არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპი არ დარღვეულა და სახელმწიფოსათვის ტერორისტების გათავისუფლების ვალდებულების დაკისრება გადამეტებული იქნებოდა.[710] სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულების კონტექსტში, სიკეთეთა შედარების გამორჩეული მაგალითია ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საჰაერო უსაფრთხოების შესახებ" კანონთან დაკავშირებით, რომელიც უფლებას აძლევდა შეიარაღებულ ძალებს, ჩამოეგდოთ ტერორისტების მიერ გატაცებული მგზავრებიანი საჰაერო ხომალდი, როდესაც არსებობდა ადამიანების სიცოცხლის წინააღმდეგ მისი გამოყენების საფრთხე. ბორტზე მყოფი მგზავრებისა და ეკიპაჟის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება უპირისპირდებოდა იმ პირთა მიმართ სახელწიფოს ანალოგიურ ვალდებულებას, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხეს შეუქმნიდა გატაცებული ხომალდი. სასამართლომ სიცოცხლის უფლებასთან (ღირსების უფლებასთან კავშირში) შეუსაბამოდ ჩათვალა ეკიპაჟისა და მგზავრების სიცოცხლის მოსპობა სხვა (განუსაზღვრელი რაოდენობის) ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.[711]

3.3.2. სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

421 სახელმწიფომ პროცედურული ვალდებულება შეიძლება დაარღვიოს უმოქმედობით ან არასათანადო მოქმედებით. ის უმოქმედოდაა, როდესაც სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე სავარაუდოდ პასუხისმგებელი პირებისათვის არ ხდება სისხლისსამართლებრივი წესით ბრალის წარდგენა და საქმის გამოძიება.[712] სახელმწიფოს უმოქმედობა და გამოძიების არჩატარება პროცედურული ვალდებულების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლის მოსპობის ფაქტიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემთხვევაშიც.[713] თუ მკვლელობის ფაქტზე საქმე არ აღძრულა, სახელმწიფო შემოიფარგლა მხოლოდ მოკლევადიანი და არაეფექტიანი მოკვლევით, მისი მოქმედებები მხედველობაში

[710] BVerfGE 46, 106 (160).

[711] BVerfGE 115, 118 (137 ff.).

[712] Mehmet Şenturk and Bekir Şenturk v. Turkey.

[713] Mocanu and Others v. Romania (N10865/09, 45886/07, 32431/08; 13.11.2012).

მიიღება, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მათ საკმარისად არ მიიჩნევს.[714]

422 სახელმწიფო არასათანადოდ მოქმედებს, როდესაც მის მიერ განხორციელებული საგამოძიებო თუ სხვა სახის პროცედურული ღონისძიებები არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რაზეც გავამახვილეთ ყურადღება სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებების განხილვისას. პროცედურული ვალდებულება ირღვევა, თუ საქმეზე ჩატარებული გამოძიება არაეფექტიანია. ეს ვრცელდება სიცოცხლის როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით მოსპობის შემთხვევებზე.[715] გამოძიების ეფექტიანობა მოწმდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სიცოცხლის ხელყოფის ფაქტიდან ხანგრძლივი პერიოდია გასული.[716]

423 გამოძიების სერიოზული ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, რომელთაც არ ჰქონდათ გარდაუვალი ხასიათი, ანუ მათი თავიდან აცილება შეიძლებოდა, ის ვერ აკმაყოფილებს ადეკვატურობის კრიტერიუმს და წარმოადგენს სიცოცხლის უფლების პროცედურული ასპექტის დარღვევას.[717] სახელმწიფო პასუხისმგებლობისაგან ვერ გათავისუფლდება საგამოძიებო ორგანოების გადატვირთულობის მიზეზით.[718] გამოძიების ხარვეზები შეიძლება კონკრეტულად სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს: მოწმეების ან დაზარალებულის არდაკითხვა, არასათანადო დაკითხვა ან მათი რელევანტური ჩვენებების იგნორირება; მნიშვნელოვანი მტკიცებულებების არამოღება; მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობის გაურკვევლობა; სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ლეტალური ძალის აბსოლუტური აუცილებლობის საკითხის გაურკვევლობა და ა.შ.[719]

424 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სიცოცხლის უფლების პროცედურული ასპექტის დარღვევას ადგენს, თუ გამოძიება და სამართალწარმოება არ აკმაყოფილებს დროულობისა და სისწრაფის მოთხოვნებს.[720] გამოძიების წარმოების მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ არის და სისწრაფის კრიტერიუმთან შესაბამისობა კონკრეტული საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, პრაქტიკაში კონვენციასთან შეუსაბამოდ ჩაითვალა გამოძიების გაჭიანურება 13 წლის,[721] ასევე 4 წლისა და 8 თვის ვადით.[722]

425 თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით პროცედურული ვალდებულების შემოწმების სტანდარტებიც მკაცრია,[723] მით უმეტეს, თუ გამოძიება არ არის დამოუკიდებელი და ის ორგანო აწარმოებს, რომლის

[714] Kelly v. the United Kingdom; Hugh Jordan v. the United Kingdom (N24746/94; 04.08.2001); Finukane v. the United Kingdom (N29178/95; 1.07.2003).

[715] Ogur v. Turkey; Altug and Others v. Turkey (N32086/07; 30.6.2015).

[716] Association "21 December 1989" and Others v. Romania (N33810/07, 18817/08; 24.5.2011).

[717] Jaloud v. the Netherlands (N47708/08; 20.11.2014).

[718] Jelic v. Croatia (N57856/11; 12.6.2014).

[719] დეტალურად იხ.: Esat Bayram v Turkey; Rantsev v. Cyprus and Russia; Jelic v. Croatia; Tagayeva and Others v.Russia.

[720] Leyla Alp and Others v. Turkey (N29675/02; 10.12.2013); Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania (N2959/11; 24.3.2015); Ozel and Others v. Turkey (N14350/05, 15245/05, 16051/05; 17.11.2015).

[721] Nihayet Arýcý and Others v. Turkey (N24604/04, 16855/05; 23.10.2012).

[722] Patsaki and Others v. Greece (N20444/14; 7.2.2019).

[723] Salman v. Turkey.

წარმომადგენლებიც ეჭვმიტანილები არიან.[724] თუ შემოწმებით დადგინდა, რომ გამოძიებამ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები სიცოცხლის მოსპობაზე პასუხიმგებელი პირის მსჯავრდებისათვის და დაზარალებულის უფლებამონაცვლის სათანადო ინფორმირებაც ხდებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ადასტურებს კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას.[725] ამისგან განსხვავებით, საჯაროობისა და ინკლუზიურობის კრიტერიუმს არ შეესაბამება სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო ორგანოებმა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ეფექტიანად არ ჩართეს სამართალწარმოებაში.[726]

3.4. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის გამართლების მატერიალური მოთხოვნები

426 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება გამორჩეულად სენსიტიური უფლებაა, რაც განაპირობებს მასში ჩარევის თანაზომიერების პრინციპის ელემენტებთან შესაბამისობის განსაკუთრებით გულდასმით შემოწმების აუცილებლობას.[727] შემოწმება მკაცრად უნდა წარიმართოს, თუმცა არა იმ ხარისხით, როგორც ეს სიცოცხლის უფლებაში ჩარევის დროს ხდება.[728] ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევების გამართლება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ემსახურება და ამართლებს აღმატებული მიზნების მიღწევას. ამ უფლების პრინციპული მნიშვნელობისა და ადამიანის ღირსებასთან კავშირის გამო, შესაძლებლად მიიჩნევენ მხოლოდ უმნიშვნელო ჩარევების გამართლებას, რაც მძიმე და განგრძობით ზიანს არ აყენებს ჯანმრთელობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი ზიანი დადგა აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში განხორციელებული მოქმედების შედეგად.[729]

427 ჩარევები, რომლებიც ხორციელდება ბრალდებულის ფიზიკურ მთლიანობაში, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც ისინი აუცილებელია და შეესატყვისება წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს.[730] მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად ჩათვალა სისხლის ნიმუშის აღება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში,[731] ხოლო არაკონსტიტუციურად - ზურგის ტვინის სითხის აღება, როდესაც პირს ბრალი ედებოდა დანაშაულში, რომელიც დაბალ სასჯელს ითვალისწინებდა.[732]

სამედიცინო მანიპულაციების შემთხვევაში, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა გამართლებას არ ექვემდებარება, თუ ის პაციენტის თანხმობის გარეშე ხორციელდება. გამონაკლისია ვითარება, როდესაც პაციენტს არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის თანახმა იქნებოდა.[733]

[724] Aktas v. Turkey.
[725] Gray v. Germany (N49278/09; 22.5.2014).
[726] Rantsev v. Cyprus and Russia.
[727] Ipsen, Grundrechte, Rn. 261.
[728] შეადარე მაგ.: Schmidt, Grundrechte, Rn. 300.
[729] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 174.
[730] იქვე, Rn. 184;
[731] BVerfGE 5, 15.
[732] BVerfGE 16, 194 (198 ff.).
[733] Starck, GG, Art. 2, Rn. 237.

მაგალითად, მხოლოდ პაციენტის თანხმობითაა დასაშვები ორგანოს ამოღება ტრანსპლანტაციისათვის, თუმცა საკუთარი ორგანოებით ვაჭრობა ეწინააღმდეგება ღირსების ძირითად უფლებას.[734] პირის თანხმობის გარეშე ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა (მაგალითად, სავალდებულო ვაქცინაცია) შეიძლება შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, თუ სიკეთეთა შედარების შედეგად გაირკვევა, რომ ის ემსახურება ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის აღმატებულ ინტერესს.[735]

428 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა ასევე ექვემდებარება მკაცრ შემოწმებას განსაზღვრულობის პრინციპთან მიმართებით. ის მოითხოვს ნათელ და განსაზღვრულ საკანონმდებლო რეგულირებას.[736]

3.5. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

429 ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებას სახელმწიფო არღვევს უმოქმედობით ან არასათანადო მოქმედებით, როდესაც მიღებული ზომები არაა გამოსადეგი ან საკმარისი.[737] გარდა ამისა, უნდა შეფასდეს, თუ რამდენად შეძლო სახელმწიფომ დაპირისპირებულ სიკეთეებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. ამდენად, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ვალდებულების მთავარი საზომიც არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპია.

430 სახელმწიფოს უმოქმედობისათვის შეიძლება პასუხისმგებელი იყოს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დამცავი საკანონმდებლო აქტების მიუღებლობა კანონმდებლის მიერ დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობაა. თუ ამგვარი აქტები მიღებულია, მაგრამ პრაქტიკაში არ გამოიყენება და მათი აღსრულება არ ხდება, ამაში უკვე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები არიან დამნაშავე.[738]

431 ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ვალდებულების შესრულების ფორმა და შინაარსი სხვადასხვა ფაქტორზეა (მაგალითად, საფრთხის სახე და მასშტაბი, დაპირისპირებული სიკეთეები და ა.შ.) დამოკიდებული. ამ კუთხით, სახელმწიფო საკმაოდ ფართო დისკრეციით სარგებლობს. ეს გარემოება გასათვალისწინებელია იმის შემოწმებისას, რამდენად იყო სახელმწიფოს მხრიდან მიღებული სათანადო ზომები ფიზიკური ხელშეუხებლობის დასაცავად. თუ სახელმწიფოს მოქმედება (1) დაცვის ვალდებულების შესრულების თეორიულ შესაძლებლობასაც ვერ ქმნის, ანუ გამოსადეგი არაა, (2) შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ღონისძიება, რომელიც უფრო ეფექტიანად მიაღწევდა მიზანს და უფრო მეტად არ დააზიანებდა დაპირისპირებულ კერძო თუ საჯარო ინტერესებს ან (3) სიკეთეთა შორის სამართლიანი ბალანსი დაირღვა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების საზიანოდ, მაშინ სახეზეა არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპის დარღვევა.

[734] Kramer H.-J., Rechtsfragen der Organtransplantation, 1987, 62 ff.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 207.
[735] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 185, 206; BVerfGE 9, 78 (79).
[736] Schmidt, Grundrechte, Rn. 300.
[737] შეადარე: Katz, Staatsrecht, Rn. 699; BVerfGE 77, 170 (214 f.); 92, 26 (46).
[738] შეადარე: BVerfGE 53, 30 (65 f.).

432 როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება სახელმწიფოს აკისრებს სიცოცხლის უფლების მსგავს პროცედურულ ვალდებულებებს, თუმცა მათი სიმკაცრის ხარისხი შედარებით დაბალია. აქედან გამომდინარე, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის პროცედურული ვალდებულებების შესრულების შემოწმებაც მსგავსი, თუმცა ნაკლებად მკაცრი მიდგომით უნდა წარიმართოს.

ლიტერატურა

ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია**/** კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; კორკელია, (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, თბილისი 2017; პაპუაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 2007; ტუღუში, ბურჯანაძე, მშვენიერაძე, მენაბდე, ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, 2013; Badura, Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, 2010; Di Fabio U. (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 2, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958; Fink, Selbstbestimmung und Selbstötung, verfassungsrechtliche Fragestellungen im Zusammenhang mit Selbsttötungen, 1992; Grzeszick, (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958; Hermes G., Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit: Schutzpflicht und Schutzanspruch aus Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG, 1987; Ipsen, Staatsrecht II. Grundrechte, 16., überarbeitete Auflage, 2013; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Jung E., Das Recht auf Gesundheit: Versuch einer Grundlegung des Gesundheitsrechts der Bundesrepublik Deutschland, 1982; Karpen, Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, 1985; Katz, Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht. C.F. Müller; 16. Aufl 2005; Kunig (Bearb.): Kommentar zum Art. 2 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Lerche,Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens. Dissertation zur Erlangung des akademischen Grades Dr. iur. der Juristischen Fakultät der Universität, Potsdam 2015; Murswiek, (Bearb.), Kommentar zum Art. 2, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Murswiek, Die staatliche

Verantwortung für die Risiken der Technik. Verfassungsrechtliche Grundlagen und immissionsschutzrechtliche Ausformung, 1985; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 35. Aufl. 2019; Rengeling, Szczekalla, Grundrechte in der Europäischen Union: Charta der Grundrechte und allgemeine Rechtsgrundsätze, 2004; Robbers, Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), seit 1950;

Robbers, Sicherheit als Menschenrecht: Aspekte der Geschichte, Begründung und Wirkung einer Grundrechtsfunktion, 1987; Schmidt, Grundrechte, sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde, 17., Aufl. 2015; Schulze-Fielitz, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 2, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006; Sommermann; (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Starck, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010.

მუხლი 11. თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

შინაარსი

მუხლი 11. თანასწორობის უფლება 152

შინაარსი 195

1. თანასწორობის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 153

1.1. თანასწორობის ზოგადი მნიშვნელობა და მისი იდეური განვითარება 153

1.2. თანასწორობის სამართლებრივი გააზრება 155

1.3. თანასწორობის უფლება საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტში 156

2. თანასწორობის უფლებით დაცული სფერო და კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან 158

2.1 თანასწორობის უფლების საგნობრივად დაცული სფერო 158

2.1.1. ზოგადი თანასწორობა (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი) 158

2.1.2. ეროვნული, ეთნიკური და ენობრივ უმცირესობათა თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი) 160

2.1.3. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი) 163

2.1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი)..... 167
2.2. თანასწორობის უფლებით პერსონალურად დაცული სფერო..... 170
2.3. თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა..... 171
3. ჩარევა თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა და მისი შემოწმება 173
3.1. დაცულ სფეროში ჩარევა..... 173
3.2. დიფერენცირება..... 174
3.3. რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტი..... 176
3.4. თანასწორობის უფლებაში ჩარევის შემოწმება..... 178
3.5. თანასწორობის უფლების კონსტიტუციური სარჩელით მოთხოვნის ფარგლები 184
4. საერთაშორისო მიდგომების და სასამართლო პრაქტიკა ანტიდისკრიმინაციული სამართალში 186
4.1. ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართალი..... 186
4.2. ჩემი თურქეთის წინააღმდეგ 187
4.3. ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ..... 189
4.4. კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ..... 190
4.5. შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დისკრიმინაციის საქმეებზე მიღებული გადაწვეტილებები 191
4.6. დისკრიმინაციის დადგენა „სხვა“ ნიშნით..... 192
4.7. ეთნიკურ/ეროვნულ/რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის საქმეების საერთაშორისო პრაქტიკა..... 192
ლიტერატურა

1. თანასწორობის უფლების ზოგადი მნიშვნელობა

1.1. თანასწორობის ზოგადი მნიშვნელობა და მისი იდეური განვითარება

სამართლის წინაშე თანასწორობა არის სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის 433
უზენაესობის პრინციპის ღერძი. მის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო. ამიტომ თანასწორობას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და სამართლის ყველა სფეროზე, აქვს გადამწყვეტი ზეგავლენა.

434
კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი სათავეს იღებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში. პოლიტიკური თანასწორობა (იზონომია) ძველ რომში გულისხმობდა სახელმწიფოს ძალაუფლების მიმართ მოქალაქეთა და არისტოკრატიის

გათანაბრებას.[739] არისტოტელე კი თავის ნიკომაქეს ეთიკაში თანასწორობასა და თავისუფლებას დემოკრატიის საწყისად განიხილავდა.[740]

435 მე-18 საუკუნეში პოლიტიკურ ფილოსოფიაში განვითარებული იდეა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობისა და ამ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ბუნებრივი უფლებების შესახებ, განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ თანასწორობის პრინციპზე ამახვილებდა და ყველა ადამიანის თანაბრად მოპყრობას ბუნებით უფლებად აღიარებდა.[741] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ლიბერალიზმის ტრადიციაში, მათ შორის თანასწორობის კონტექსტში, ებრაული და ქრისტიანული სარწმუნოების გარკვეული თეოლოგიური ზეგავლენა იგრძნობა. როგორიცაა მაგალითად, „თანასწორობა ღმერთის წინაშე“ და ღმერთის ხატად შექმნილი ადამიანის კონცეფცია.[742] ფრანგ ფილოსოფოს ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებში[743] ვრცელი ასახვა ჰპოვა თანასწორობის პრინციპმა. ალექსის დე ტოკვილი კი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება ვერ დამყარდება თანასწორობის გარეშეო.[744] გერმანული იდეალიზმის ტრადიციაში კანტი და ჰეგელი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ადამიანთა თანასწორობას. კანტი ასახელებდა თავისუფლებას, თანასწორობასა და დამოუკიდებლობას, როგორც სამართლიანობის კრიტერიუმებს, რომლებიც თან ახლავს ადამიანის გონს.[745]

436 შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციამ თანასწორობის იდეა ამ სიტყვებით გაამყარა: „ყველა ადამიანი თანასწორად იბადება“[746]. ეს მიზნად ისახავდა ფეოდალიზმისა და სოციალური იერარქიების აღმოფხვრას. ადამიანთა თანასწორობის იდეამ საფუძველი ჩაუყარა ცალკე მოძღვრებას ფილოსოფიაში, რომელსაც მოგვიანებით ეგალიტარიზმი[747] ეწოდა. ამ დოქტრინის მიხედვით, ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს თავისი სოციალური სტატუსით, იგი მოითხოვს თანაბარ შესაძლებლობებს საზოგადოების ყველა წევრისთვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სოციალურ კონტექსტში.

საფრანგეთის რევოლუციაში თანასწორობის იდეალი პოლიტიკური დევიზი გახდა: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

---

[739] Raaflaub, Entdeckung der Freiheit. 1985, S. 115 f.

[740] იხ. დეტალურად Die Ethik des Aristoteles. 2 Bände, übersetzt und erläutert von Christian Garve: Band 1: Die zwey ersten Bücher der Ethik nebst einer zur Einleitung dienenden Abhandlung über die verschiednen Principe der Sittenlehre, von Aristoteles an bis auf unsre Zeiten. Korn, Breslau 1798; Band 2: Die acht übrigen Bücher der Ethik. Hrsg. von Johann Kaspar Friedrich Manso, Korn, Breslau 1801.

[741] Waldron, God, Locke, and Equality, Christian Foundations in Locke's Political Thought. Cambridge University Press, Cambridge (2002), pp. 21–43.

[742] მაგალითად ჯონ ლოკის თანასწორობის იდეა იხ. Franz-Josef Illhardt: Locke, John. In: Werner E. Gerabek, Bernhard D. Haage, Gundolf Keil, Wolfgang Wegner (Hrsg.): Enzyklopädie Medizingeschichte. De Gruyter, Berlin/New York 2005, ISBN 3-11-015714-4, S. 860.

[743] 1755 წელს გამოქვეყნებული "ტრაქტატი უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ", ასევე იწოდება როგორც Discours sur l'inégalité (მეორე დისკუსია); ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია 1762 წელს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი ხელშეკრულება Du contrat socia.

[744] ტოკვილი, დემოკრატია ამერიკაში. ფრანგულიდან თარგმანი: ლაბუჩიძემ, თბილისი, 2011, გვ. 12.

[745] Heller, Freiheit, Gleichheit und Brüderlichkeit in Kants Kritik der Urteilskraft. In: Kant und die Berliner Aufklärung. De Gruyter, 2014.

[746] The Declaration of Independence -„all men are created equal".

[747] იხ. დეტალურად Dworkin: Sovereign Virtue, The Theory and Practice of Equality. Harvard University Press, 2000; Angelika Krebs (Hrsg.): Gerechtigkeit oder Gleichheit. Texte der neuen Egalitarismuskritik. 2. Auflage. Suhrkamp, Frankfurt 2002.

437 დღეს, თანასწორობის პრინციპი გარანტირებულია ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტით.

1.2. თანასწორობის სამართლებრივი გააზრება

438 მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობა სოციალური ფენომენია, კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული სამართლის წინაშე, გულისხმობს ადამიანთა იურიდიულ თანასწორობას. მასში მოიაზრება თანაბარი მოპყრობა სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდების დროს. ამ პრინციპით (ისე როგორც სხვა ძირითადი უფლებებით) შებოჭილია სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, იზრუნოს ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამრიგად, თანასწორობის უფლების მიზანია, პირები აღჭურვოს მსგავსი უფლებებითა და ვალდებულებებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, დააბალანსოს მათი ბუნებიდან მომდინარე ფაქტობრივი უთანასწორობა და არსებითად უთანასწორო პირებს დაუდგინოს განსხვავებული უფლება-მოვალეობები.

439 სამართლის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას, რადგან ყველა სფეროში ადამიანების ერთმანეთთან ფაქტობრივი, სრული გათანაბრება შეუძლებელი და მიუღწეველია. თანასწორობა, ზოგიერთ შემთხვევაში, უშვებს ადამიანთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. უფრო მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში, მოითხოვს კიდევაც ამას.

440 თანასწორობის მოთხოვნა ირღვევა, როდესაც არსებითად მსგავს შემთხვევებს სახელმწიფო განსხვავებულად უდგება, იგივე უნდა ითქვას არსებითად განსხვავებული შემთხვევების ერთნაირ მოპყრობაზე. ეს, უკანასკნელიც, ასევე შეუთავსებელია თანასწორობის პრინციპთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანტიდისკრიმინაციული მიდგომა კრძალავს შემთხვევებს, როცა ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფს, იდენტურ სიტუაციებში, სხვაგვარად ეპყრობიან და როცა ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფს, განსხვავებულ სიტუაციებში, იდენტურად ეპყრობიან.[748]

441 სწორედ ამიტომ არის მიჩნეული, რომ თანასწორობა, სამართლიანობის გარეშე, თავის შინაარსსა და დანიშნულებას კარგავს. თვით სამართლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა სწორედ თანასწორობაა.[749] „თუ თანასწორობაზე არ საუბრობ, სამართლიანობაზეც უნდა გაჩუმდე“. პლატონიდან და არისტოტელედან დაწყებული, თანამედროვე თეორიებით დასრულებული, ყველა ნორმატიული თეორია, რომელთაც სხვაგვარად ცოტა აქვთ საერთო, ეთანხმება ამ მოსაზრებას.[750]

442 საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული თანასწორობის პრინციპი, ერთის მხრივ, კრძალავს უსაფუძვლო დიფერენციაციას და ამით სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას ანიჭებს, თავის შეიკავოს მოქმედებისგან, ხოლო მეორე მხრივ, ავალდებულებს, იმოქმედოს პოზიტიურად, რათა დაძლეულ იქნეს ფაქტობრივი

[748] Hoogendijk v. the Netherlands, (No. 58641/00), 6.1.2005.
[749] გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი. 2013, გვ. 59.
[750] Ladwig, Gerechtigkeit und Gleichheit, PROKLA. Zeitschrift für kritische Sozialwissenschaft, Heft 121, 30. Jg., 2000, Nr. 4, 585-610; Krebs, Gleichheit oder Gerechtigkeit. Die Kritik am Egalitarismus, Gleichheit oder Gerechtigkeit.: Texte der neuen Egalitarismuskritik (suhrkamp taschenbuch wissenschaft), 2000. გვ. 563-574.

უთანასწორობა. მაგალითად სოციალური სამართლიანობის მისაღწევად დააწესოს გარკვეული შეღავათები თუ პრიორიტეტები მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

443 უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული სიტყვები, „არათანაბარი მოპყრობა," არ განიხილება ტერმინ „დისკრიმინაციის" სინონიმად.[751] თუ აშკარაა მოცემულობა, რომ ადამიანთა ორ ან რამდენიმე ჯგუფს სახელმწიფო არათანაბრად ეპყრობა, ეს იმთავითვე დისკრიმინაციას არ ნიშნავს. თუკი დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დაყოფა (დიფერენციაცია) შესადარებელ ჯგუფებს შორის თვითნებური და გაუმართლებელია, მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ, არა მხოლოდ არათანაბარ მოპყრობაზე, არამედ დისკრიმინაციაზეც.

444 დისკრიმინაციის აკრძალვის მიზანია, ინდივიდებს საშუალება მისცეს თანაბრად და თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი საზოგადოებაში არსებულ შესაძლებლობებზე და იგი ორი ძირითადი მიმართულებით გამოიხატება. პირველი, იგი ადგენს, რომ ასეთ სიტუაციაში მყოფ სხვა პირებს ამგვარადვე მოეპყრონ და არ ჩააყენონ უპირატეს მდგომარეობაში. ამას ეწოდება "პირდაპირი" დისკრიმინაცია.

პირდაპირი დისკრიმინაციაა[752], როცა:

- ✓ პირს არასათანადოდ მოეპყრნენ;
- ✓ სხვა პირებთან შედარებით, რომელთაც ანალოგიურ სიტუაციაში მოეპყრნენ ან მოეპყრობიან;
- ✓ და ამას კონკრეტული დიფერენციაციის ნიშანი აქვს

445 მეორე, პირებს, რომლებიც სხვაგვარ სიტუაციაში იმყოფებიან, სხვადასხვაგვარად უნდა მოეპყრონ, ისე რომ მათ შეძლონ - სხვათა თანასწორად - გარკვეული შესაძლებლობებით სარგებლობა. ეს არის "არაპირდაპირი" დისკრიმინაცია.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია ხასიათდება შემდეგი ელემენტებით:[753]

- ✓ ნეიტრალური წესი, კრიტერიუმი ან პრაქტიკა;
- ✓ რომელიც გავლენას ახდენს რომელიმე ჯგუფზე უარყოფითი ფორმით;
- ✓ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

1.3. თანასწორობის უფლება საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტში

446 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-16 მუხლის ჩანაწერით, გარანტირებული იყო ზოგადი თანასწორობის უფლება- „მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან". ხოლო 39-ე მუხლი ადგენდა გენდერულ თანასწორობას. „ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით" და მე-17 მუხლით აუქმებდა წოდებრივ განსხვავებას. თუმცა, ამ

[751] Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28. Aufl. Rn. 470 ff, Ipsen, Staatsrecht II, Grundrechte, 15. Aufl. Rn 793 ff, Sunjid, Der Gleichheitsgrundsatz in Bezug auf das allgemeine Gleichbehandlungsgesetz im deutschen und mongolischen Recht. München, S. 101; ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი, 2017, გვ. 19.

[752] დეტალურად იხ. სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, გვ. 26 ნაშრომი ითარგმნა და გამოიცა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტი ფარგლებში. ევროპის საბჭო, 2013.

[753] იქვე. გვ. 33.

კონსტიტუციის ძირითად ღირსებად, მაინც, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი საარჩევნო უფლება, შეიძლება ჩაითვალოს.

447 სქართველოს კონსტიტუციის 1995 წლის პირველად რედაქციაში რამდენიმე მუხლი ეძღვნებოდა თანასწორობის უფლებას. თუმცა, მოქმედი რედაქციით, გაერთიანდა ზოგადი და სპეციალური თანასწორობის უფლებების დიდი ნაწილი მე-11 მუხლში. შეიცვალა მუხლის რედაქციაც.

პირვანდელ 2018 წლამდე რედაქციაში იყი ჩანაწერი „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია“. მოქმედი კონსტიტუციის პირველ პუნქტში ჩანაწერი „კანონის წინაშე თანასწორია“ შეიცვალა ჩანაწერით - „სამართლის წინაშე თანასწორია“. აღნიშნული ცვლილება ეფუძნება დამკვიდრებულ თეორიულ მიდგომას, რომლის თანახმად თანასწორობის უფლება მოითხოვს, არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობას, არამედ თავად კანონის ჩამოყალიბებასაც, თანასწორობის პრინციპის შესაბამისად. გარდა ამისა, მოქმედ ჩანაწერში აღარ არის ტერმინი „დაბადებით თავისუფალია“. ამ კონტექტსში, თავისუფლებას კონკრეტული ავტონომიური დატვირთვა შესაძლოა არ ჰქონდა ძველ რედაქციაში, იგი მეტწილად ფილოსოფიური გააზრებითა და ნაკლებად ნორმატიული დატვირთვით გამოიყენებოდა. ჩანაწერი ხაზს უსვამდა თანასწორობასა და თავისუფლებას, როგორც ბუნებით უფლებებს. „თავისუფლებისა” და „თანასწორობის” ბუნებითი წარმოშობის თეორია ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის სახელს უკავშირდება.[754] ამ ორი ცნების, ერთად, ბუნებით უფლებად მოხსენიება, გასდევს ადამიანის უფლებათა ფილოსოფიურ გააზრებას, რომელიც ასევე აღბეჭდილია საერთაშორისო აქტებში. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორი თავის ღირსებებსა და უფლებებში”. ამავე კონტექსტს ვხვდებით არაერთ რეგიონალურ თუ უნივერსალურ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში.[755] გარდა ამისა, კონსტიტუციის წინა რედაქციით, მე-14 მუხლი შეიცავდა დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალს, რომელიც დღევანდელი მე-11 მუხლის პირველ პუნქტშიც არის. თუმცა მოქმედი რედაქციით, სიტყვებით „ან სხვა ნიშნის მიხედვით“ გახსნილია ე.წ. დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი და შესაბამისად, აკრძალულია არა მხოლოდ ჩამონათვალი ნიშნებით, არამედ სხვა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია. [756]

448 მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა კონსტიტუციის ძველი რედაქციის 38-ე მუხლის შესაბამისად, მცირე ცვლილებებით და იგი კვლავაც უზრუნველყოფს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების უფლებების დაცვას.

449 ხოლო მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი კონსტიტუციამ 2017 წელს დაიმატა. მე-3 პუნქტი ეხება გენდერულ თანასწორობას და იგი ძირითადი უფლების რანგში ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფასა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაზე. მე-4 პუნქტით სახელმწიფოს ეკისრება

[754] Locke, zwei Abhandlungen über die Regierung, Suhrkamp, Taschenbuch, Hrsg. Walter Euchner, Frankfurt am Main 1977., S. 19, Ziegler: John Locke - Naturzustand und Zweck des Staates, 1999, S. 14.

[755] მათ შორისაა: ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950); საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966); საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (1966); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969); ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია (1986); ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტია (2000).

[756] აქვე უნდა აღინიშნოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის შემდეგ შეცვალა პრაქტიკა, და განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნები არ არის ამომწურავი ხასიათის.

ვალდებულება, შექმნას განსაკუთრებული პირობები შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.[757]

2. თანასწორობის უფლებით დაცული სფერო და კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან

450 კონსტიტუციის მე-11 მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილია არამხოლოდ ძირითადი უფლება, არამედ მსგავსად ადამიანის ღირსების უფლებისა, კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპი.[758] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია თანასწორობის უფლების განმარტებით.

451 თანასწორობის პრინციპს საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს სპეციალური კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რომლის პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანსა და სულისკვეთებას. კანონის მიზანია - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა".

2.1 თანასწორობის უფლების საგნობრივად დაცული სფერო

452 საქართველოს კონსტიტუცია, მისი მიღების დღიდანვე, განამტკიცებს თანასწორობის ზოგად ნორმა-პრინციპს და კრძალავს ნებისმიერ, დისკრიმინაციულ მოპყრობას. სამართლის წინაშე თანასწორობის დამდგენ ამ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია თანმიმდევრული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი „არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით"[759]

2.1.1. ზოგადი თანასწორობა (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი)

453 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გარანტირებულია ზოგადი თანასწორობის უფლება. სამართლის წინაშე თანასწორობა, ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან, არის სამართლის ფუძემდებლური პრინციპი და გულისხმობს „თანაბარ სამართლიანობას". მისი ადრესატია ხელისუფლების სამივე შტო, ხოლო უფლების მატარებელი არის ყველა ადამიანი.

---

[757] შეადარე, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ განმარტებითი ბარათი, გვ. 11.

[758] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-1.

[759] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-2.

454 კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, ზოგადად, რა ნიშნების მიხედვით არ დაიშვება ადამიანებისადმი დიფერენცირებული მიდგომა და როდის იქნება იგი შეფასებული დისკრიმინაციად. თუმცა ჩამოთვლილ, დისიკრიმინაციის ე.წ. კლასიკურ ნიშნებს, შეიძლება ითქვას, ერთგვარად სიმბოლური დატვირთვა აქვს. რადგან ერთი მხრივ, კონსტიტუციის ჩანაწერი ხსნის ჩამონათვალს სიტყვებით „აკრძალულია დისკრიმინაცია... ან სხვა ნიშნის მიხედვით", ხოლო მეორე მხრივ, არსებული სასამართლო პრაქტიკა შეიძლება ადასტურებს, რომ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა არის აკრძალული და კონსტიტუციაში დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.[760] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბევრი სხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, აღმოჩნდა იმ საკითხის განმარტების წინაშე, ამომწურავია თუ არა კონსტიტუციის (ძველი რედაქციით) მე-14 მუხლში მოცემული ნიშნების ჩამონათვალი, ანუ კონსტიტუციით იკრძალება მხოლოდ ამ საფუძვლებით დისკრიმინაცია, თუ შეიძლება არსებობდეს, სხვა საფუძვლით, არაკონსტიტუციური დიფერენცირების შემთხვევები. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა ზოგადი თანასწორობის უზრუნველმყოფი ნორმის მიზანი: „მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. ... მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს (ძველი რედაქციით) და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში"[761] მისი აზრით, „ჩამონათვალის არსებობა ამ ნიშნებთან დაკავშირებულ ადამიანთა დიფერენცირების შემთხვევების უპირატეს შეზღუდვაზე მიუთითებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას. კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ (ან პირიქით), გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე, მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას".[762] სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ უფლებაში ჩარევის დასასაბუთებლად, მთავარია, მოსარჩელე თვალსაჩინოს ხდიდეს მისდამი დიფერენცირებულ მოპყრობას და არსებითად, სწორად ასაბუთებდეს საკუთარ პრობლემას.[763] მის პრაქტიკაში არის დისკრიმინაციის დადგენა ისეთი ნიშნებით, როგორიცაა მაგალითად, „დასაქმების ადგილი,"[764] "სამართლებრივი ურთიერთობის

[760] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-.2; ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II-1.

[761] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-2.

[762] N2/1-392 გადაწყვეტილება II-2.

[763] ტუღუში, მენაბდე, ბურჯანაძე, გოცირიძე, მშვენიერაძე: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 37.

[764] გადაწყვეტილება N2/1- 392, II-2.

დაწყების დრო,"[765] ასევე „სამართლებრივი სტატუსი,"[766] „ადმინისტრაციული დაკავების დრო,"[767] "კერძო სადაზღვევო სქემაში ჩართულობა"[768] და სხვა.

455 შესაბამისად, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია არა მხოლოდ იმ ნიშნებით დისკრიმინაცია, რომელიც უშუალოდ არის ჩამოთვლილი (კლასიკური ნიშნები) ნორმის ტექსტში, არამედ, ყველა სხვა ნიშნით არათანაბარი მოპყრობა.

2.1.2. ეროვნული, ეთნიკური და ენობრივ უმცირესობათა თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი)

456 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გარანტირებულია უმცირესობათა უფლებები საქართველოს ტერიტორიაზე.[769] ჩანაწერში, ხაზგასმით არის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების სტანდარტებთან შესაბამისობა წინ წამოწეული, და აღიარებს საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებას, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

457 ამ უფლებათა განხორციელებისას საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის მოთხოვნა სახელმწიფოს, ერთი მხრივ, ავალდებულებს, არ იმოქმედოს დისკრიმინა-ციულად, კანონთა გამოყენების პროცესში არ დაუშვას დისკრიმინაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით. თუმცა, მეორე, მხრივ, ეს ჩანაწერი, არ არის მხოლოდ დისკრიმინაციის ამკრძალავი. ის აღჭურვავს უმცირესობებს გარკვეული უფლებებით, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უჩნდება ვალდებულებები.

458 მართალია, ნორმის თანახმად, დისკრიმინაციის აკრძალვა შეეხება მხოლოდ უმცირესობის უფლებას, „განავითარონ თავიანთი კულტურა და ისარგებლონ მშობლიური ენით პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ", მაგრამ ამ ნორმის მხოლოდ ვიწრო განმარტება არ იქნება სწორი, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა გავრცელდეს უმცირესობათა მხოლოდ ენით სარგებლობისა და კულტურულ ცხოვრებაზე, არამედ ნორმა უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ, და გავრცელდეს კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებზეც. [770] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 4 ნოემბრის N1/5/32 გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „კონსტიტუციის 38-ე (მოქმედი რედაქციით მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი) მუხლი საქართველოს მოქალაქეებს, მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი

---

[765] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება, II-11.

[766] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწვეტილება №1/4/1380, ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-62; ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს2019 წლის 5 ივლისს №2/3/1279 გადაწვეტილება საქმეზე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

[767] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[768] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის №1/11/629,652 გადაწვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

[769] მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა კონსტიტუციის ძველი რედაქციის 38-ე მუხლის შესაბამისად.

[770] იხ. ასევე გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი. 2013, გვ. 468, ავტორი ამის დასამატკიცებლად ასევე იშველიებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და კონვენციის მე-12 ოქმს.

კუთვნილების მიუხედავად, თანასწორობის გარანტიებს უწესებს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში".[771]

459 გარდა კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლებისა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართველოს კანონის პირველი მუხლი აწესებს ნებისმიერი, მათ შორის ეთნიკური/ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულებას. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის თითქმის ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტში ვხვდებით.[772] გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატებში არსებული ინსტრუმენტები, სხვადასხვა დოზით, აღიარებს და ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობას და ამით ასევე განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო თანასწორი, ინკლუზიური და პლურალური საზოგადოების მნიშვნელობას. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია იმ ღირებულებებისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისთვის, რომლებსაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სოლიდარული და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, როგორიცაა მათი იდენტობის აღიარება, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა, მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების უზრუნველყოფა, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე, საჯარო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაძლიერება, უმცირესობების წუხილის გათვალისწინება განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის პროცესებში, დასაქმების კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა და სხვა.[773]

460 ეთნიკური უმცირესობების დაცვა რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას ეფუძნება:

- ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა. აღნიშნული უპირველესად მნიშვნელოვანია დომინანტ სოციალურ ჯგუფთან მათი იძულებითი ასიმილაციის, კულტურის, რელიგიისა და ენის დაკარგვის პრევენციისთვის;
- სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით თანასწორი სარგებლობა;
- სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება[774]

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობათა სავალდებულო ძალის მქონე რაიმე განმარტებას საერთაშორისო აქტები არ გვაწვდიან, თუმცა ეროვნული უმცირესობის ერთ-ერთი განმარტების[775] მიხედვით, უმცირესობა არის ჯგუფი, რომელიც „რიცხობრივად

[771] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის N1/5/32 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[772] საქართველო არის წევრი ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა იმ ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების, რომლებიც სხვა უფლებებთან ერთად განსაზღვრავს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხს. სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, კონკრეტულ რეგულირებებითა და პოზიტიურ ვალდებულებით ამ ჯგუფების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არის ევროპის საბჭოს ეთნიკური უმცირესობების დაცვის 1992 წლის ჩარჩო კონვენცია FCNM, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია.

[773] ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, კვლევის ავტორი: თეონა ფირანიშვილი კვლევის ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე, (EMC) 2019. გვ.7.

[774] OHCHR, Minority Rights: International Standards and guidance for implementation, 2010, 7-12.

[775] ვენეციის კომისიის მიერ შეთავაზებული განმარტება იხ.: European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, at 20. „ადამიანთა ჯგუფი, რომელთა

ჩამორჩება ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას და არის არადომინანტურ პოზიციაში, რომლის წევრებიც ფლობენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც განსხვავდება დომინანტური მოსახლეობისგან და რომლებიც ინარჩუნებენ სოლიდარობის გრძნობას მათ კულტურასთან, ტრადიციებთან, რელიგიასა და ენასთან მიმართებაში".[776] თუმცა არსებობს სხვა განმარტებებიც.

461 ზოგადად, გაეროს სისტემაში უფრო მიღებული და დამკვიდრებული ტერმინია „ეთნიკური უმცირესობა" მაშინ, როცა ევროპის საბჭოს სისტემაში ამ ჯგუფს „ეროვნულ უმცირესობას" უწოდებენ. [777]

462 ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩოკონვენცია დეტალურად აღწერს უმცირესობის კულტურის ხელშეწყობის საკითხში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს: ხელი შეუწყოს იმ პირობების შექმნას, რომლებიც აუცილებელია ეროვნული უმცირესობის კულტურის განვითარებისათვის, მათი იდენტურობის ისეთი არსებითი ელემენტების შენარჩუნებისათვის, როგორიცაა მათი რელიგია, ენა, ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა.[778]

463 მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია დედაენით სარგებლობის უფლება. კერძოდ და საჯაროდ, დედაენით სარგებლობა, ნიშნავს ამ უფლების განხორციელებას თავისუფლად და სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ამასთან, როგორც ზეპირად, ისე წერილობით (ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლი). ზოგიერთ შემთხვევაში, დედაენით სარგებლობის უფლება უკავშირდება ადამიანის ძირითად უფლებათა დაცულობას, რა დროსაც სახელმწიფოს მკვეთრი ვალდებულებები ეკისრება. მაგალითად, დაპატიმრების დროს პირს უფლება აქვს, მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნან დაკავების საფუძვლები და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების არსი, ასევე უფლება აქვს, თავის ენაზე დაიცვას თავი და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს დამცველის დახმარებით. თუმცა აღნიშნული უფლებები, არა მხოლოდ საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის არის დაცული, რომლებიც ენობრივ უმცირესობას წარმოადგენენ, არამედ ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არ ფლობს სახელმწიფო ენას.

საერთო რაოდენობა არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა, და რომელთა წევრები არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური იდენტობის მატარებელი, ვიდრე დომინანტი მოსახლეობა და რომლებსაც აქვთ სურვილი, დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა".

[776] Francesco Capotorti. The Protection of Minorities under Multilateral Agreements on Human Rights in The Italian Yearbook of International Law, 1976, 14; Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities, Geneva UN Center for Human Rights, UN Doc E/CN.4/Sub.2/384/Add.1-7.

[777] ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, კვლევის ავტორი: ფირანიშვილი (EMC) 2019. გვ. 9.

[778] ჩარჩო კონვენციის მიხედვით სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი პოლიტიკის გატარებისაგან, რომელიც მიმართულია ეროვნულ უმცირესობათა ასიმილაციისაკენ მათი ნების საწინააღმდეგოდ(მე-5 მუხლი); ხელი შეუწყოს ტოლერანტულობის სულისკვეთების გაღვივებას, ინტერკულტურულ დიალოგსა და თანამშრომლობას თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანთან მათი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული თუ ენობრივი იდენტურობის მიუხედავად; გაატაროს ღონისძიებები იმ ადამიანთა დასაცავად, ვინც შეიძლება გახდეს მის იდენტურობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის, სიძულვილისა თუ ძალადობის მსხვერპლი (მე-6 მუხლი); დაამკვიდროს განათლების სისტემაში ქვეყანაში არსებული ეროვნულ უმცირესობათა კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის კვლევა და შესაბამისი ცოდნის გავრცელება ქვეყანაში, უზრუნველყოს ამ სფეროში საწვრთნელი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნის ადეკვატური შესაძლებლობა, განათლების ყველა დონისადმი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების თანაბარი ხელმისაწვდომობა (მე-12 მუხლი); განათლების სისტემის ფარგლებში ხელი შეუწყოს მათ, დააფუძნონ თავიანთი საგანმანათლებლო თუ კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულებები (მე-13 მუხლი). უმცირესობებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების გაწევა დასაშვებია, თუ ასეთივე დახმარებით უმრავლესობის წევრებიც სარგებლობენ, ანდა უმცირესობის მიმართ განსხვავებული (უკეთესი) მოპყრობა მათ შორის ფაქტობრივი უთანასწორობის დასაძლევად არის გამიზნული.

464 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ არის ვრცელი. სასამართლოს განჩინებებიდან[779] იკითხება, რომ აღნიშნული დებულება საქართველოს მოქალაქეებს დისკრიმინირებული მოპყრობისგან იცავს მხოლოდ ამ მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ ნიშნებთან მიმართებით.[780] მას არსებითად განსახილველად არ მიუღია სარჩელები, უმცირესობის უფლებებთან დაკავშირებით. 2006 წლის 31 მარტის N2/8/366 განჩინებაში კი მიუთითა, რომ "38-ე მუხლი (ძველი რედაქციით) „უნდა განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა, რადგანაც იგი ადგენს თანასწორობას, როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმას. უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისაგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის ან ენის შენარჩუნებისაკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას"[781]. აღნიშნულ საქმეზე სადავო აქტები არ ეხებოდა უმცირესობების უფლებებს, შესაბამისად, სასამართლომ კონსტიტუციის (ძველი რედაქციით) 38-ე მუხლთან მიმართებით არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად.

2.1.3. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი)

465 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერი 2018 წელს შევიდა ძალაში და იგი პირდაპირ პოზიტიურად ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ მან უზრუნველყოს თანაბარ უფლებები და შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისათვის. მესამე პუნქტის მეორე წინადადებით კი „სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად". მე-3 პუნქტი აკონკრეტებს პირველ პუნქტს, და ამასთანავე, დამატებით[782] ავალდებულებს სახელმწიფოს იმოქმედოს პოზიტიურად.

466 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის ხსენებული დანაწესი იცავს კანონის წინაშე თანასწორობას, რაც გულისხმობს კანონით არსებითად

[779] მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 29 ოქტომბრის N2/16/201 განჩინება; საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის N2/6/221 განჩინება; საქართველოს მოქალაქეები ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის N1/6/368 განჩინება; საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის N2/3/412 განჩინება.

[780] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიფერენცირების ნიშანთან დაკავშირებით 2008 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა მსგავსი იყო კონსტიტუციის მე-14 (ძველი რედაქციით) მუხლთან (მოქმედი რედაქციით მე-11 მუხლის პირველი პუნქტად) მიმართებითაც. კერძოდ, სასამართლო მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის ეს მუხლი დიფერენცირებას კრძალავდა მხოლოდ მასში ამომწურავად ჩამოთვლილ ნიშნებთან მიმართებით, თუმცა აღნიშნული მიდგომა შეიცვალა 2008 წელს. შესაბამისად არაა გამორიცხული საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილებამ საქმეზე შოთა ბერიძე და სხვების საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ბიძგი მისცეს სასამართლოს მიდგომის ცვლილებას კონსტიტუციის 11 მუხლის მე-2 პუნქტთან მუხლთან მიმართებითაც.

[781] ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005" და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის N2/8/366 განჩინება.

[782] იგივე მიდგომა აქვს გერმანიიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველ (ზოგად) თანასწორობის უფლებასა და იმავე მიხლის მე-2 გენდერულ თანასწორობას შორის. იხ. BVerfGE 85,191/206 f; 91/109.

თანასწორი პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების დადგენის ვალდებულებას, მათ მიმართ გაუმართლებელი დიფერენცირების აკრძალვას. კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნა სახელმწიფოს განსხვავებული მოპყრობის დაწესების ვალდებულებას უდგენს მხოლოდ არსებითად უთანასწორო პირებთან მიმართებით.[783] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ, საკუთარ პრაქტიკაში, პირველად 2020 წელს იმსჯელა,[784] ისეთ სამართლებრივ ურთიერთობაზე, სადაც სქესი ქმნიდა იმ რელევანტურ მახასიათებელს, რომელიც ქალებისა და მამაკაცების არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევის საფუძველს შექმნიდა.

467 გენდერული თანასწორობის უნივერსალურობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული კონცეფციაა, რომელიც ემსახურება სქესის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რისთვისაც სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა, რათა უზრუნველყონ თანასწორობის იდეის პრაქტიკაში განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე. უდავოა, რომ უმრავლეს სფეროში ქალსა და მამაკაცს წარმატების მიღწევისა და წარმატებული საქმიანობის ერთნაირი უნარები აქვთ. აღნიშნულის მიუხედავად, სქესთა შორის რეალური თანასწორობის, არსებული ერთნაირი უნარების თანაბრად რეალიზების უზრუნველყოფა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს, მათ შორის, განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სქესთან დაკავშირებული სტერეოტიპული შეხედულებები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კანონით თანასწორი უფლებების დადგენის მიუხედავად, ქალი, ხშირ შემთხვევაში, არ აღიქმება მამაკაცის თანასწორ, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღებ სუბიექტად. წლების განმავლობაში საქართველოში საგანგაშოა სქესის ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების რიცხვი, ოჯახში ძალადობა, ქვეყანაში კვლავაც პრობლემურია ადრეული ქორწინების საკითხი, ასევე, როგორც ამ მიზეზით განათლების, განსაკუთრებით კი, ზოგადი განათლების ეტაპზე სწავლის შეწყვეტა და ა.შ. ამდენად, ფორმალური თანასწორობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, ქალის სასტარტო პირობები განათლების მიღებისა და საკუთარი ცხოვრების დანერგვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შეზღუდულია. დასახელებული გარემოებები მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში კვლავაც არსებული და გაბატონებული ქალის სოციალური როლის აღქმასთან, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის სოციალური ფუნქციების ტრადიციულ, კონსერვატორულ გადანაწილებას გულისხმობს და მათ მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულებები არის განსხვავებული.[785]

468 2010 წლიდან საქართველოში მოქმედებს გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის

[783] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526, ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-21.

[784] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526.

[785] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526, ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-25, 26.

სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს.[786] მისი მიზანია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.[787]

469 გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი, განმარტავს სქესის ნიშნით პირდაპირ და არაპირდაპირ (დისკრიმინაციას). ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, მისი უფლებებით სარგებლობისას, სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, ითვლება პირდაპირ დისკრიმინაციად. თუმცა, ამგვარი არათანაბარი მოპყრობა, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ე.ი. თუ მას აქვს კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება. იგივე, თანაზომიერების პრინციპით მოწმდება სავარაუდო ირიბი (არაპირდაპირი) დისკრიმინაცია. თუმცა ირიბი დისკრიმინიაცია განიმარტება ისეთი მდგომარეობად, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, პირს, სქესის ნიშნით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ანალოგიურ პირობებში მყოფ, მეორე სქესის პირებთან ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.[788]

470 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიკურ, საარჩევნო კონტექსტში-გენდერულ თანასწორობაზე, იმსჯელა საქმეში ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“[789] მოსარჩელე ამ საქმეში სადავოდ ხდიდა საარჩევნო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობას, რომელიც პოლიტიკური პარტიისაგან ითხოვდა, პროპორციულ სიაში ყოველი მეოთხე კანდიდატი იყოს საპირისპირო სქესის წარმომადგენელი (მაგალითად, თუკი სიაში პირველი სამი მამაკაცია, მეოთხე კანდიდატი აუცილებლად უნდა იყოს ქალი). მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულ თავისუფალი არჩევნების უფლებას. საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტიდან მომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულება და ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში - საქართველოს პარლამენტში, სქესთა შორის არსებული ბალანსის გაუმჯობესება.[790]

[786] გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.
[787] გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.
[788] გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის დ) და ე) ქვეპუნქტები.
[789] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526, ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[790] იქვე II-17.

471 საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი „აკვალიფიცირებს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების მოქმედებას სახელმწიფოს მიერ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობისკენ მიმართულ ღონისძიებებთან მიმართებით. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, კონკრეტული სქესის წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებების მხედველობაში მიღებით, მიიღოს განსაკუთრებული ზომები სქესის ნიშნით პირთა შორის არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად“.[791] სასამართლომ განმარტა, რომ გენდერული კვოტირების მიზანი იყო „ფაქტობრივი თანასწორობის ხელშემწყობი გარემოებების შექმნა და არა თანასწორობის ხელოვნურად უზრუნველყოფა“ სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიზანი, როგორც „პირთა შესაძლებლობების გამოვლენის ხელშემშლელი ფაქტორების ნეიტრალიზება და არა შედეგების თანასწორობის ხელოვნური უზრუნველყოფით წარმატების მისაღწევად ადამიანის შრომის უგულებელყოფა, პირის საკუთარი განვითარებისა და წარმატების დამსახურების მიხედვით მიღწევის იგნორირება“. ასევე შექმნას ისეთი გარემო, „რომელშიც ქალი და მამაკაცი თანაბარი შრომითა და უნარებით თანაბარ წარმატებას მიაღწევენ. ხსენებული კი, შესაძლებელია, მიღწეულ იქნეს, სქესთან დაკავშირებული და მისგან მომდინარე წარმატებისთვის ხელისშემშლელი ხელოვნური ბარიერების დამაბალანსებელი მექანიზმების შექმნით“.[792]

472 სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.[793] საგულისხმოა, რომ მხოლოდ საარჩევნო პარტიულ სიებში მამაკაცთა შესაძლო კვოტირების მოთხოვნა გამოცხადდა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ხოლო ქალთა კვოტირების მოთხოვნა კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ, კონსტიტუციურად აუცილებელ, პოზიტიურ ზომად იქნა მიჩნეული. მის გადაწვეტილებაში სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ა) სავალდებულო კვოტირება ატარებს დროებით ხასიათს (2032 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ამიტომ ჩარევა არ არის ინტენსიური. ბ) იგი ემსახურება საქართველოს კონსტიტუციით დასახული მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, რომლის უზრუნველსაყოფად თავად კონსტიტუცია უშვებს პოზიტიური ზომების მიღების შესაძლებლობას. გ) მის მიერ დადგენილი ბალანსი შესაბამება თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს. მსოფლიოში დამკვიდრებულ ქალთა კვოტირების დაკავშირებულ საკითხზე[794], და ისე

[791] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის N1/7/1320 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3), ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526, ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-18.

[792] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526, ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-28.

[793] გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი.

[794] მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის ზრდა, გარდა ქალთა და ბავშვთა უფლებების უკეთ დაცვისა, ხელს უწყობს ქვეყანაში განათლების, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის მიმართულებით უკეთესი კანონმდებლობის შემუშავებას. მსოფლიო გამოცდილება, ასევე, ნათლად წარმოაჩენს ქალების პოლიტიკაში მაღალი წარმომადგენლობის დადებით მხარეს მშვიდობის უზრუნველყოფისა და კონფლიქტების დარეგულირების სფეროში, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს საქართველოში. ამასთან, გენდერული კვოტირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სტერეოტიპების რღვევას, რომელიც უკავშირდება ქალის ძირითადად საოჯახო საქმეებთან, ან ისეთ სტერეტიპულ პრეფესიებთან (მასწავლებელი, ექთანი, აღმზრდელი და ა.შ.) გაიგივებას.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არსებობს მხარდამჭერი[795] და კრიტიკული[796] მოსაზრებები.

2.1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი)

473 როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი, 2017 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის შედეგად, 2018 წელს შევიდა ძალაში. კონსტიტუციის ამ ახალი ნორმით სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შექმნას განსაკუთრებული პირობები შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.[797] გარდა ამ კონსტიტუციური ჩანაწერისა, შიდა ნორმატიული აქტებიდან შშმ პირების უფლებს იცავს საქართველოს კანონი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

474 მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ჩანაწერი შედარებით ნაკლებად თუ არის წარმოდგენილი მსოფლიოში არსებულ სხვა კონსტიტუციებში,[798] მისი დაცვა საკმაოდ აქტუალურია ადამიანის უფლებათა მომწესრიგებელ საერთაშორისო დოკუმენტებში. მაგალითად გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია'' (UN CRPD)[799], მეორე მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტს წარმოადგენს ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია'', რომლის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმი უზრუნველყოფს, თავად კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით თანასწორ სარგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში, შეზღუდული შესაძლებლობა არ გვხვდება, ევროპულმა სასამართლომ იგი ,,სხვა'' საფუძვლებს შორის მოიაზრა მე-14 მუხლის განმარტებისას.

475 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში“.[800] აღნიშნული დეფინიცია ხაზს უსვამს და განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით პარადიგმულ და ფილოსოფიურ ცვლილებას, რამაც ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოზეც. კერძოდ, საუკუნეების განმავლობაში აღიარებული სამედიცინო მოდელის მიხედვით,

[795] იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები საქმეში ,ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ წარმოდგენილი.

[796] სასამართლოს გადაწვეტილებების კრიტიკის შესახებ იხ. ზედელაშვილი, დ., სამართლის უზენაესობა „ქამელეონი სასამართლოს“ იურისპრუდენციაში - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტის შესახებ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა. 2021, XV. გვ. 80-103.

[797] გარდა კონსტიტუციური ჩანაწერისა, შიდა ნორმატიული აქტებიდან შშმ პირების უფლებს იცავს საქართველოს 2020 წლის 14 ივლისი კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

[798] მაგ. გერმანიის ძირითად კანონში, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე წინადადება, შშმ პირთა დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა ძალაში შევიდა როგორც დამატება, 1994 წელს, კონსტიტუციის რეფორმის ფარგლებში. დეტალურად იხ. Jarass / Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland: GG. Art, 5., Rn. 142-143.

[799] კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2014 წლის დეკემბერში.

[800] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პირველი მუხლი.

შეზღუდული შესაძლებლობა განიხილებოდა მხოლოდ დიაგნოზზე დაყრდნობით, ხოლო თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, წარმოჩენილი იყო ქველმოქმედების ობიექტად. ახალი მიდგომის[801] ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობა გამომდინარეობს იმ გარემო ბარიერებიდან, რომელსაც ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი აწყდება. ბარიერები კი, განაპირობებს ამ პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევას. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობა განიმარტება ადამიანის უფლებებისა და სოციალური მოდელის კონტექსტში, რომელიც ორიენტირებულია ბარიერების შემცირებაზე.[802]

476 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით მე-11 მუხლის ძალაში შესვლამდე, როცა შშმ პირების შესახებ ჩანაწერი კონსტიტუციაში არ არსებობდა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუხედავად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით არათანაბარი მოპყრობა მიიჩნია, სოციალური კუთვნილების გამო, პირთა დიფერენცირებად, და შესაბამისად, დააკვალიფიცირა, როგორც თანასწორობის უფლებით დაცული სიკეთე.[803] სასამართლოს აზრით, „ქმედუუნაროდ აღიარებული პირები წარმოადგენენ სოციალურ ჯგუფს, რომელთა საერთო ნიშანია, გარკვეული გონებრივი შესაძლებლობის შეზღუდვის გამო, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარება. ქმედუუნარობა განპირობებულია მათგან დამოუკიდებელი ფაქტორით - შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის არსებობით და მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული თავად ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებზე. შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფებს, რომელთა მიმართაც მაღალია დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის საჭიროება. ამგვარი სფეროს მოწესრიგებისას კანონმდებელი ვალდებულია, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა თავიდან აიცილოს პირთა უფლებების დარღვევის საფრთხე.“ სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის გამო, პირისათვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭება და ამ სტატუსის ნიშნით დიფერენცირება, განსაკუთრებულად მკაცრ კონსტიტუციურ-სამართლებრივ შემოწმებას საჭიროებს, რადგან აშკარაა საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებული - კლასიკური ნიშნით - სოციალური კუთვნილების გამო, პირთა დიფერენცირება.[804]

477 აღსანიშნავია, რომ სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, პირთა არაკონსტიტუციური დიფერენციაციის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მთელი რიგი სამოქალაქო კოდექსის ნორმებისა.[805] გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის ძირითადი არგუმენტი იყოს ის, რომ სადავო ნორმები ბლანკეტურად, უპირობოდ ვრცელდებოდა ყველა ხარისხის შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირზე, რომელსაც გარკვეული ხარისხით, წართმეული აქვს უნარი, „შეიგნონ საკუთარი ქმედებების მნიშვნელობა“. ამიტომ, სადავო ნორმები ქმნიდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ გარკვეულ პირებს პიროვნული ავტონომია ეზღუდებოდათ იმაზე მაღალი ხარისხითა და ინტენსივობით,

[801] ამ მიდგომას საფუძველი ჩაუყარა და მხარს უჭერს გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია'' (UN CRPD).

[802] აბაშიძე, რგანაშვილი, შველიძე, სალდაძე - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გვ. 34.

[803] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება, N2/4/532,533. ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-114.

[804] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება, N2/4/532,533, II-114

[805] იქვე, გადაწვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

რაც მათი უფლებების დაცვისთვის არის აუცილებელი. სასამართლოს აზრით, „ქმედუნარიანობის სრული შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებული იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე და გამოუსწორებელი პრობლემებით, მაგრამ პირისათვის, ერთი შეზღუდული უნარის შესაძლო უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით, სხვა შეუზღუდავი უნარების რეალიზაციაში ხელშეშლა გაუმართლებელია და წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას“.[806]

478 საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გარდამტეხი გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელებულმა უმნიშვნელოვანესმა რეფორმამ გააუქმა ქვეყანაში მანამდე არსებული მეურვეობის სისტემა და მის ნაცვლად ახალი, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი შემოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა, ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის ნაწილში, უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია და უმეტესწილად, თავსებადია საერთაშორისოდ დადგენილ პრინციპებთან, ჯერ კიდევ პრობლემურია, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების გარკვეული ნაწილის შინაარსი, ისე მისი აღსრულება.[807]

479 ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის ფარგლებში, 2015 წლის 1 აპრილიდან საქართველოში დამკვიდრდა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის სამედიცინო მოდელის ნაცვლად - სოციალური მოდელი. რომლის საფუძველზეც, რეფორმის შემდგომ, მხარდაჭერის მიმღები პირები, ქონებრივ ურთიერთობებში, ცალკეული უფლებებით სარგებლობენ. რეფორმის შემდეგ, ყველა შშმ პირი იურიდიულად ითვლება ქმედუნარიანად - მხარდაჭერის მიმღებ პირად.[808] ქმედუნარიანობის რეფორმის მნიშვნელოვანი შედეგია, მხარდაჭერის მიმღები პირების ქორწინების შესაძლებლობა და ამ მხრივ მათი სამართალსუბიექტობის გაფართოება. სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის, ასევე წარმოადგენს ქმედუნარიანობის რეფორმის მნიშვნელოვან, დადებით შედეგს. გარდა ამისა, შშმ პირებს აღარ ეზღუდებათ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. განხორციელებულ რეფორმამდე, ქმედუუნარო პირს სსსკ-ი არ ანიჭებდა სასამართლოში, როგორც სარჩელის შეტანის, ასევე პროცესში აქტიურ მონაწილე მხარედ ჩართვის

[806] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება, N2/4/532,533, ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-29.

[807] იხ. დეტალურად: ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება, კანონმდებლობა და პრაქტიკა. კვლევა მომზადდა პროექტის – „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები – „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ (GIP – Tbilisi).

[808] აღნიშნული საკითხის მიმართ კრიტიკა, იხ. ხურციძე, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ფარგლები ქონებრივ ურთიერთობებში, დისერტაცია, 2021, ავტორის აზრით, ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმის შემდეგ, ასეთი პირები კანონის მიერ ითვლებიან დე იურე ქმედუნარიანად - მხარდაჭერის მიმღებ პირებად, თუმცა დეფაქტო ისინი არიან ქმედუუნარო, ვინაიდან, არ გააჩნიათ სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უნარი და ფაქტობრივად შეზღუდული აქვთ ყველა სფეროში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. მიუხედავად ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის მრავალი დადებითი ასპექტისა, კანონის ამგვარი განმარტება სცდება რეალობის ფარგლებს და ანალოგიურად აწესრიგებს არსებითად უთანასწორო პირების უფლებრივ მდგომარეობას ერთიანი სტატუსით. სასურველი იქნებოდა, ამ კუთხით, გათვალისწინებული ყოფილიყო მაგ: გერმანიის გამოცდილება, რომლის სამოქალაქო კანონმდებლობითაც აუცილებლად ხორციელდება ფსიქიკური დარღვევების მქონე ფიზიკური პირების ინდივიდუალური შეფასება და მათზე იურიდიული მზრუნველობის დაწესება, თუმცა თუ პირს არც ერთ სფეროში არ შეუძლია ნების გამოვლენა იგი ცნობილი იქნება ქმედუუნაროდ და მას სჭირდება არა დამხმარე, არამედ მეურვე, რომელიც მისი საუკეთესო ინტერესისათვის მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს სამართლებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში.

უფლებამოსილებას. აქტიური საპროცესო ქმედუნარიანობა, რეფორმის შემდეგ, მხარდაჭერის მიმღებ პირთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებაა.

2.2. თანასწორობის უფლებით პერსონალურად დაცული სფერო

480 მე-11 მუხლი რამდენიმე პუნქტისაგან შედგება და მასში თავმოყრილია, ისე როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური თანასწორობის ნორმები. შესაბამისად, ყველა პუნქტის მოქმედების არეალი პერსონალურად სხვადასხვა პირთა წრეს ეხება. ხოლო მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.[809]

481 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ტექსტის გათვალისწინებით, უფლების სუბიექტია „ყველა ადამიანი“ და ასევე იურიდიული პირები. ხოლო მე-2 პუნქტის მოქმედების არეალი უფრო ვიწროა, ვიდრე პირველისა. ჯერ ერთი, იგი ეხება არა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. მეორეც, ის იცავს არა ნებისმიერი კუთვნილების, არამედ მხოლოდ ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი კუთვნილების ნიშნით თანასწორობას.

482 იმისთვის რომ განიმარტოს თუ ვინ არის კონკრეტულად მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტი, მნიშვნელოვანია, დადგინდეს რას ნიშნავს პირის ეთნიკური, ეროვნული კუთვნილება, რელიგიური და ენობრივი კუთვნილება. „ეთნიკური კუთვნილება“ გულისხმობს, ისეთი ეთნიკური ჯგუფისადმი ადამიანის კუთვნილებას, რომელსაც საქართველოს საზღვრებს გარეთ არ გააჩნია თავისი სამშობლო, სადაც იგი ეთნიკურ უმრავლესობას წარმოადგენს (მაგალითად, ბოშური ეთნოსის წარმომადგენლები). „ეროვნული კუთვნილება” კი გულისხმობს საპირისპირო შემთხვევებს, ანუ როდესაც შესაბამის ჯგუფს აქვს სხვა სამშობლო, სადაც იგი ეთნიკურ უმრავლესობას ქმნის. „რელიგიური კუთვნილება” გულისხმობს ნებისმიერი რელიგიის მიმდევრობას, რომელიც განსხვავებულია უმრავლესობის რელიგიისაგან. ამიტომ, საქართველოში, ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობა, ქრისტიანული მართლმადიდებლობის გარდა, უმცირესობის რელიგიად შეგვიძლია მივიჩნიოთ. „ენობრივი უმცირესობა” გულისხმობს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება უმრავლესობის მშობლიური ენისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, სახელმწიფო ენაა. საქართველოში უმრავლესობის ენა ქართულია და, ამასთან, იგი სახელმწიფო ენაა, ამიტომ ყველა სხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფები ენობრივ უმცირესობად შეიძლება იყვნენ მიჩნეულნი.[810]

483 მიუხედავად იმისა, რომ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციონალიზაციის მიზანი მაინც მამაკაცებთან ქალთა ფაქტობრივი გათანაბრების ხელშეწყობა იყო, მისი სუბიექტი შეიძლება იყოს ორივე სქესი, ქალები და მამაკაცები, რადგან მე-2 პუნქტის ტექსტი ნეიტრალურად არის ფორმულირებული და ეხება ზოგადად ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას.

484 მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის სუბიექტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პირველი

[809] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია როცა იურიდიული პირები დავობენ თანასწორობის უფლებაზე.

[810] ტერმინთა განმარტებებისათვის იხ. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი. 2013, გვ. 470.

მუხლის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში".[811] საკონსტიტუციო სასამართლოს, კონკრეტულად, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის სუბიექტობასთან დაკავშირებით, ჯერ არ უმსჯელია. თუმცა ამ კუთხით საგულისხმოა მისი პრაქტიკა ქმედუუნარო პირის საპროცესო სუბიექტობასთან მიმართებით.

485 №514 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელედ მითითებული იყო და სარჩელზე ხელს აწერდა ირაკლი ქემოკლიძის მეურვე მაია ასაკაშვილი. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ იგი, როგორც მეურვე, სამეურვეო პირის ინტერესებს წარმოადგენდა მესამე პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოსთან და სასამართლოსთან ურთიერთობაში და მეურვე იყო უფლებამოსილი სუბიექტი, სამეურვეო პირის სახელით ედავა კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. იგი მიუთითებდა, რომ სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები წინააღმდეგობაში მოდიოდა ირაკლი ქემოკლიძის კონსტიტუციურ უფლებებთან, ვინაიდან ზღუდავდა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ქმედუუნარო პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულ მსჯელობას, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლოში ყველა პირი თავადაა უფლებამოსილი, იდავოს საკუთარი უფლებების დარღვევაზე.[812] მისი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლო, მასზე მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება[813] ნებისმიერი პირი.[814] საკონსტიტუციო სამართლაწარმოება არ აღჭურავს პირებს სასამართლოსთვის „actio popularis" საშუალებით მიმართვისა და ამ ფორმით სხვისი უფლებების დასაცავად სასამართლო დავის წარმოების უფლებამოსილებით.[815]

2.3. თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა

486 როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს ვალდებულება არის არამხოლოდ ის, რომ თანასწორებს მოექცეს თანაბრად, არამედ, იმავდროულად მისი პოზიტიური ვალდებულებაა, საზოგადოების მოწყვლად ფენებს ისეთი რეგულაციები დაუწესოს, რომლითაც ის შეეცდება გარკვეულ საკითხებში ერთმანეთს გაუთანაბროს. მაგალითად, თუ სახელმწიფო სოციალურად მოწყვლად ოჯახებს, მეტ შეღავათს უწესებს საგადასახადო თვალსაზრისით, უფინანსებს სწავლას ასეთი ოჯახების ბაშვებს, აერთიანებს საყოველთაო სადაზღვევო სისტემაში გადასახადის გარეშე და ა.შ. ასეთი

[811] ზუსტად იგივე განმარტებას ვხვდებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტში.
[812] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის N2/3/514 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.
[813] „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით თანახმად.
[814] იხ. განჩინება N2/3/514 II- 4.
[815] იხ. განჩინება N2/3/514 II-5.

მოპყრობა ითვლება პოზიტიურ დისკრიმინაციად და მისი მიზანი არის სწორედ გათანაბრება. გათანაბრებისა და განაწილების პრინციპს ეყრდნობა სოციალური სახელმწიფო, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლით. თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნები ზრუნავენ რაც შეიძლება მაღალი სოციალური თანასწორობის შექმნაზე. როცა ამას საჭიროება მოითხოვს, სახელმწიფო თითოეული ადამიანის თავისუფლებას კანონით იცავს. მეორე მხრივ, კი, სოციალური თანასწორობა საზოგადოების დაუცველი ნაწილისთვის თავისუფლების წინაპირობაა.[816] მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილე და გაწონასწორებული მოპყრობა სჭირდება. არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის გადალახვისას გათანაბრებითი მოპყრობა აღარ არის გამართლებული.

487 ნებისმიერი მისწრაფება უნივერსალური, ტოტალური თანასწორობისაკენ არის მცდარი და უპერსპექტივო.[817] ამით ხდება სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტის დისკრედიტაცია, სოციალური პარაზიტიზმის სტიმულირება და, როგორც შედეგი, წინსვლის შეფერხება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.[818] სოციალური სახელმწიფო ,არ ისახავს მიზნად ისეთი ტოტალურად ეგალიტარული საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ინდივიდუალური თავისუფლება სრულად ან ნაწილობრივ გაუფასურებულია.[819] ის გულისხმობს კავშირს თავისუფლებასა და თანასწორობას შორის და არა, თანასწორობის არჩევას თავისუფლების ნაცვლად.[820]

488 სოციალური სახელმწიფოსა და სოციალური სამართლიანობის კონტექსტში თანასწორობაზე მსჯელობისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თანასწორობას განიხილავს, როგორც შანსების თანაბრობას. ეს კარგად ჩანს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №1/2/1_392 გადაწყვეტილებიდან, საქმეზე – საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საქმე შეეხებოდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტს. ის ითვალისწინებდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მცირე საწარმოების, რომელთა საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა 100 000 ლარს, პირდაპირი წესითა და შეღავათიანი პირობებით მიყიდვის შესაძლებლობას ამ საწარმოებში დასაქმებული პირებისათვის. ამ ნორმის სპეციფიკა ის იყო, რომ იგი ვრცელდებოდა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებზე. მსგავსი რეგულირება უკვე არსებობდა 90-იან წლებში, თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკის გამო, პრივატიზაციის პროცესი ავტონომიურ რესპუბლიკაში არ შედგა. გასაჩივრებული ნორმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მცირე საწარმოში, დასაქმებულთა სოციალური თვალსაზრისით, საკმაოდ სუსტ ჯგუფს

[816] გელიტაშვილი, ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, 2011, დის., გვ. 14.
[817] ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებისათვის, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კორკელია, თბილისი, 2012.
[818] Karpen: Die geschichtliche Entwicklung, 125.
[819] შეად.: K.-P. Sommermann: Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, 1 (53); Roman Herzog (Bearb.): Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.)/Herzog, Roman/Scholz, Rupert/ Herdegen, Matthias/Hans H. Klein (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, 295 (319).
[820] Herzog: Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, 295 (319); Karpen: Die geschichtliche Entwicklung, 119.

ათანაბრებდა დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მსგავს ჯგუფთან. ეს გათანაბრება ხდებოდა სწორედ სასტარტო პირობების თვალსაზრისით, თანასწორობის კუთხით. თანასწორობის ამგვარი უზრუნველყოფა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია მნიშვნელოვნად[821] და სამართლიანად.[822] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ემთხვევა ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს შანსებისა და საწყისი პოზიციების კუთხით თანასწორობას.[823]

3. ჩარევა თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა და მისი შემოწმება

3.1. დაცულ სფეროში ჩარევა

489 დისკრიმინაცია შეიძლება არა მხოლოდ არათანაბარი მოპყრობიდან, არამედ პირიქითაც დადგეს. დისკრიმინაცია აშკარაა ასევე, როცა სახელმწიფო გაუმართლებელი საფუძვლით არსებითად არათანასწორს თანასწორად, და პირიქით, არსებითად თანასწორებს არათანასწორად ეპყრობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ადგენს სამართლის წინაშე "თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს და მისი მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა ან პირიქით".[824]

490 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა რა იგულისხმება არსებითად თანასწორში (არსებითად მსგავსში). სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა[825]: „იმისთვის, რომ კანონი ახდენდეს პირთა სოციალური კუთვნილების ნიშნით დიფერენცირებას, საჭიროა მისი მიღების ან მოქმედების პერიოდში არსებობდეს კონკრეტული სოციალური ჯგუფი, რომლის წევრობასაც უკავშირდება დიფერენცირება. შეიძლება თუ არა პირთა ამა თუ იმ წრის განხილვა სოციალურ ჯგუფად, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში." სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმები არ არის ცალსახა და ამომწურავი, თუმცა ზოგადი სურათის შესაქმნელად, პირობითად, შესაძლებელია რამდენიმე მათგანის მითითება: 1.ჯგუფის წევრებს უნდა ახასიათებდეთ საერთო, მუდმივი ბუნება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პირის არჩევანის ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფაქტორების) გამო. მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული ჯგუფის წევრებზე ან იმდენად ფუნდამენტურია მათი პიროვნებისათვის, რომ მისი შეცვლის მოთხოვნა გაუმართლებელია. 2. სოციალურ ჯგუფად შეიძლება

[821] N1/2/1-392 საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ˜ გადაწყვეტილება, II 15.

[822] N1/2/1-392 გადაწყვეტილება,II 16.

[823] შეად.: Bogs, Das Problem der Freiheit, 509 (516 f.).

[824] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-1.

[825] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვტილება, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ. II-8.

მოვიაზროთ პირთა წრე, რომლის წევრებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსგავსი იმიჯის, ქცევების ან/და ინტერესების საფუძველზე. ამავე დროს, ორივე შემთხვევაში ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი ბუნება (თვისებები), რომელიც საშუალებას მისცემდა გარეშე პირებს, მოეხდინათ მათი როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს ისეთ პირთა წრის არსებობას, რომელიც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშეც, შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ჯგუფად.[826]

3.2. დიფერენცირება

491 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ[827] დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასების დადგენას, საფუძვლად დაუდო შემდეგი ძირითადი მიდგომა: დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.

492 შესაბამისად უნდა განისაზღვროს, აქვთ თუ არა დასახელებულ ჯგუფებსრაიმე საერთო პუნქტი, (tertium comparationis), და რამდენად არის შესაძლებელი მათი ერთი საერთო, „ზემდგომი ცნების“ (genus proximum) ქვეშ გაერთიანება[828].

493 დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხი არის განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, თუ რომელი - რაციონალური თუ მკაცრი - შეფასების ტესტი უნდა გამოიყენებოდეს არათანაბარი მოპყრობის კონსტიტუციურობის შეფასებისას. დიფერენციაციის მაღალი ინტენსივობისას შეფასების მკაცრი ტესტი გამოიყენება. დიფერენციაცია მაღალი ინტენსივობის მქონედ ჩაითვლება, თუ პირველი, დიფერენცირების ნიშნად ისეთი კრიტერიუმია მოყვანილი, რომელიც კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში პირდაპირაა მითითებული.[829] ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური

---

[826] იქვე II-10.

[827] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6.

[828] კობახიძე, ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები. ძირითად უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური გარანტიები საქართველოში., გვ. 20.

[829] სასამართლომ 2020 წლის პრაქტიკაში კიდევ ერთხელ განმარტა რომ „არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული უფლებრივი რეჟიმის განსაზღვრა უკავშირდება მათ ორგანიზაციულ ფორმას. შესაბამისად, დიფერენცირება ხორციელდება სამართლებრივი სტატუსის ნიშნით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში სახელდებით მოხსენიებული არ არის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დიფერენცირების შესაფასებლად მკაცრი ტესტის გამოყენების პირველი საფუძველი“. იხ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწვეტილება №1/4/1380 ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-62, 63.

კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“ მეორე, დიფერენცირების ინტენსიურობა მაღალია იმ შემთხვევაში, თუ დიფერენციაციის ნიშანი მჭიდრო კავშირშია სხვა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან[830]. შესაბამისად, ამ ორივე შემთხვევაში, უნდა იქნეს შეფასების მკაცრი ტესტი გამოყენებული. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს მიერ სხვა შემთხვევებშიც, შეიძლება, გამოყენებული იქნეს შეფასების მკაცრი ტესტი[831]. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა დაბალია, მაშინ გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. და მესამე, რაც უფრო ნაკლებად შეუძლია პირს, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ დიფერენცირების კრიტერიუმზე, მით უფრო ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა[832] (მაგ.: პირთა დიფერენცირების კრიტერიუმს წარმოადგენს ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, რომლის შეცვლაც ადამიანის მიერ შეუძლებელია). მაღალი ინტენსივობის უთანასწორო მოპყრობა აშკარაამაშინ, როცა ის ორიენტირებულია პიროვნებაზე და არა საგნობრივ გარემოებებზე. პიროვნებაზე ორიენტირებულად უთანასწორო მოპყრობა ითვლება მაშინ, როდესაც დიფერენცირების კრიტერიუმად შერჩეულია პიროვნების თვისებები (ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.). უთანასწორო მოპყრობა საგნობრივად არის ორიენტირებული, როდესაც პიროვნული თვისებები არ თამაშობს რაიმე როლს. თუმცა საგნობრივად ორიენტირებული უთანასწორო მოპყრობაც შეიძლება იყოს მაღალი ინტენსივობის, როდესაც ამით გართულებულია თავისუფლების ძირითადი უფლებებით სარგებლობა.

494

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა მისი ძველი პრაქტიკა. 2013 წლამდე სასამართლოს პრაქტიკაში არ ყოფილა ისეთი საქმე, როდესაც სასამართლომ გამოიყენა რაციონალური დიფერენცირების ტესტი და ნორმა არაკონსტიტუციურად სცნო. [833] ახალი პრაქტიკით,[834] კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეული იქნება რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამომწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად. უფრო მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ დიფერენცირება არ პასუხობს რაციონალური ტესტის მოთხოვნებს, სასამართლო

[830] იხ. მაგალითი ზემოთ (საქმეში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა).

[831] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილების მიხედვით: „დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან“.

[832] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი, 2017, გვ. 19.

[833] ტუღუში, მენაბდე, ბურჯანაძე, გოცირიძე, მშვენიერაძე.: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 57.

[834] (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს, დიფერენცირების ტესტის შერჩევის გარეშე.[835]

495 საქმეში ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[836] სასამართლომ საქმე განიხილა მე-11 მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით. დისკრიმინაციის ნიშნად დასახელდა ადმინისტრაციული დაკავების ვადა. გასაჩივრებული რეგულაციის თანახმად, იმ პირების დაკავების მაქსიმალური ვადა, რომელთა დაკავებაც განხორციელდა არასამუშაო დროს, შეადგენს 48 საათს, მაშინ, როდესაც სამუშაო დროს დაკავებული პირების დაკავების ვადა, ზოგადი წესის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს. სასამართლომ განმარტა, რომ რეგულაცია "ერთი მხრივ, ალოგიკური და ყოველგვარ რაციონალურ ახსნას მოკლებულია, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი უსამართლობის წყაროს წარმოადგენს". შესაბამისად, დაასკვნა, რომ სადავო ნორმა არ პასუხობდა რაციონალური დიფერენცირების ტესტის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს [837] და იგი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

496 თუმცა, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, გარანტირებული უფლების ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის, არ კმარა სამართლებრივი ურთიერთობების განსხვავებული მოწესრიგებისა და არსებითად თანასწორ სუბიექტებს შორის დიფერენცირებული მოპყრობის წარმოჩენა: აუცილებელია, გამოიკვეთოს ამ განსხვავებული მოპყრობის არაგონივრულობა და არაკონსტიტუციურობაც.[838] ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისთვის, მოსარჩელეებმა უნდა წარმოადგინონ არგუმენტაცია, თუ რატომ არის კონკრეტულ შემთხვევაში შესადარებელ ჯგუფებს შორის განსხვავებული მოპყრობა გაუმართლებელი.

3.3. რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტი

497 არათანაბარი მოპყრობის რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტი ნიშნავს იმას, რომ დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასება არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი ნებისმიერი ტიპის დიფერენციაციის მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ,,კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, მასში ჩარევისას, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია, განსაკუთრებით იმის მიხედვით, რა ნიშნით ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში ახდენს ის პირთა დიფერენციაციას. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბიც განსხვავებულია: ცალკეულ შემთხვევაში, ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას (როგორებიცაა, სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი წესრიგი, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციით დასახელებული კონკრეტული

[835] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/767,1272 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[836] საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[837] [837] საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/4/1412 გადაწყვეტილება II-25.

[838] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/21/1425 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7,8.

საჯარო ინტერესები); სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა; ზოგჯერ, შესაძლოა, საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, მათ შორის, მაგალითად, კონკრეტული გარემოებების რეალურად თავიდან აცილების შეუძლებლობის მიზეზით გამოწვეული დიფერენციაცია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისკრიმინაციაზე საუბარი არ შეიძლება, თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, რაციონალიზაციას.[839]" სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. ასეთ შემთხვევაში, საკმარისია, არსებობდეს რაიმე არათანაბარი მოპყრობის გონივრული და რაციონალური ახსნა. რომელიც აღარ საჭიროებს ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებას, მისი პროპორციულობის ტესტით შემოწმებას. „განსხვავებულია სასამართლოს კრიტერიუმებიც დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისთვის. კლასიკური, სპეციფიკური ნიშნებით დიფერენციაციისას, სასამართლო იყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით. ამასთან, "მკაცრი ტესტის" ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს "სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი"[840]. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დასახელებული დიფერენციაციის ლეგიტიმური მიზანი მოწმდება თანაზომიერების ტესტით (გამოსადეგობა, აუცილებლობა, შესაბამისობა). ე.ი. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს მკაცრ ტესტს, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში რაციონალური საფუძვლით შემოწმების ტესტს. ამ ტესტის მიხედვით: „ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის."[841]

498

შედარებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საინტერესოა ორი საქმე, სადაც სასამართლომ ერთ შემთხვევაში რაციონალური და მეორეში კი მკაცრი შეფასების ტესტი გამოიყენა. პირველ შემთხვევაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ" დავის საგანს წარმოადგენდა რეგულირება, რომლის თანახმად, 2008 წლის პირველ აგვისტომდე დარეგისტრირებული გაზის მომხმარებლებისათვის, მიმწოდებელი ვალდებული იყო ბუნებრივი აირი მიეწოდებინა არაუმეტეს მარეგულირებლის მიერ განსაზღვრულ ფასად, ხოლო სადავო ნორმიდან გამომდინარე, ამ თარიღის შემდეგ წარმოშობილ მომხმარებლებთან მიმართებით მიმწოდებელი ბუნებრივი აირის ფასის განსაზღვრისას თავისუფალი იყო, რაც განაპირობებდა იმას, რომ 2008 წლის პირველ აგვისტოს შემდეგ დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის მომხმარებლები, მანამდე დარეგისტრირებულ მომხმარებლებთან შედარებით განსხვავებულ, უარესს მდგომარეობაში იყვნენ. ვინაიდან დიფერენცირება არ უკავშირდება კონსტიტუციის მე-11-ე მუხლში მითითებულ რომელიმე ნიშანს და ამავე დროს არ არის მაღალი ინტენსივობის, სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა „რაციონალური

[839] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II- 5.

[840] იქვე, II- 6.

[841] იქვე, II- 7.

დიფერენცირების ტესტის“ საფუძველზე[842]. მეორე შემთხვევაში კი პირიქით: საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“[843] დავის საგანს წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი. სადავო ნორმა ეხებოდა რეზერვში გასაწვევ ყველა პირს, თუმცა სარეზერვო სავალდებულო სამსახურის მიმართ ნაწილს ჰქონდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, მეორე ნაწილს – არა. შესაბამისად, ეს პირები სასამართლომ მიიჩნია არსებითად უთანასწოროებად მათი რწმენის მიხედვით. „ვინაიდან რეზერვისტები შეიძლება იყვნენ განსხვავებული რწმენის მქონე პირები, მათ შორის, იმ რწმენის მატარებლებიც, რომელიც უკრძალავს მათ ძალადობას, სიცოცხლის მოსპობას, ნეიტრალური შინაარსის კანონი მათთვის ერთნაირი ვალდებულების დადგენით, ფაქტობრივად მათ განსხვავებულ, უთანასწორო რეჟიმს უდგენს. შესაბამისად, სახეზეა არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორად მოპყრობა“[844]. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში დიფერენცირების შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო „მკაცრი შეფასების ტესტი“[845]. სასამართლომ მკაცრი ტესტი გამოიყენა ორი მიზეზით, პირველი, რადგან კონსტიტუციის მე-11 მუხლი პირდაპირ კრძალავს დიფერენციაციის ნიშნად „რელიგიური და სხვა შეხედულებების“ გამოყენებას, და მეორე, სავალდებულო სამსახურის მიმართ ,,კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“ დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით.

3.4. თანასწორობის უფლებაში ჩარევის შემოწმება

499 თანასწორობის უფლებაში სახელწმიფოს ჩარევის შემოწმება სრულიად განსხვავდება თავისუფლების უფლებებში ჩარევის შემოწმებისგან. თუმცა ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ეს თავისუფლების უფლებების დროს, თუკი თანასწორობის უფლებას იცავს რამდენიმე კონსტიტუციური ჩანაწერი, მათგან სადავო ნორმატიული აქტის მიმართება დგინდება არა ზოგად, არამედ უფრო სპეციალურ უფლებასთან.

500 თანასწორობის უფლებებთან დაკავშირებით სტრუქტურა ორსაფეხურიანია: პირველად დგინდება სახელმწიფოს მიერ უთანასწორო მოპყრობა. შემდეგ კი აქვს თუ არა ასეთ მოპყრობას გამართლებული საფუძველი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებამ ზოგადი თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც დაიმკვიდრა ადგილი[846]: „ზოგადი თანასწორობის პრინციპი ითხოვს კანონმდებლისაგან, რომ არსებითად თანასწორებს თანასწორად, არსებითად უთანასწოროებს კი უთანასწოროდ მოეპყროს“. შესაბამისად, თანასწორობის უფლება ირღვევა მაშინ, როცა საჯარო ხელისუფლება არსებითად თანასწორს უთანასწოროდ, ხოლო არსებითად უთანასწოროს თანასწორად ეპყრობა.

---

[842] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II-16.

[843] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[844] იქვე, II-76.

[845] იქვე, II-76-77.

[846] BVerfGE 98, 365 (385). „Der allgemeine Gleichheitssatz des Art. 3 Abs. 1 GG gebietet dem Gesetzgeber, wesentlich Gleiches gleich und wesentlich Ungleiches ungleich zu behandeln“.

ზოგადად, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას. 501
მიუხედავად იმისა მოცემულია თუ არა დიფერენციაციის ნიშანი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ჩამონათვალში[847]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს სარჩელს კონსტიტუციის სპეციალური ან ზოგადი თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

502
კონსტიტუციის მე-11 მუხლით დადგენილი არათანასწორი მოპყრობის დასადგენად უპირველეს კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არიან საჯარო ხელისუფლების მიერ (1) გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე (2) დიფერენცირებულ მდგომარეობაში მყოფი პირები არსებითად თანასწორნი ან თანაბარ სამართლებრივ სიტუაციაში მყოფი პირები რამდენად არიან არსებითად არათანასწორები კონკრეტულ ურთიერთობაში. ამგვარად, უნდა არსებობდეს დიფერენცირების ნიშანი (3), რომლის საფუძველზეც შესაძლოა პირთა ჯგუფების იდენტიფიცირება (4).

503
თანასწორობის უფლებაში ჩარევის შემოწმებისას პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, არის თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული; ა). საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით, მუხლით, წინადადებით თუ სიტყვით არის ადამიანის კონკრეტული თანასწორობის უფლება დაცული (სპეციალური თუ ზოგადი თანასწორობის უფლებით); ასეთ შემთხვევაში ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპი: Lex specialis derogat legi generali. შესაბამისად, გამოიყენება სპეციალური და არა ზოგადი ნორმა. როდესაც სახეზეა რამდენიმე თანასწორობის ძირითადი უფლების დარღვევის შესაძლებლობა, განხილვა უნდა დავიწყოთ შედარებით სპეციალური ხასიათის თანასწორობის ძირითადი უფლებით. სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შედარებით ზოგადი ხასიათის ძირითადი უფლების დარღვევის საკითხი საერთოდ აღარ განიხილება. ბ) რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოთ შეიზღუდა, ამ უფლების პერსონალურად დაცული სუბიექტი[848] და მიადგა (ან შეიძლება მიადგეს)[849] თუ არა მას, სადავო ნორმით/რეგულაციით უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი. ე. ი. დგინდება, არის თუ არა პირი/პირები საქართველოს კონსტიტუციით პერსონალურად დაცული. მეორე ეტაპზე, ზემოქმედებს თუ არა საჯარო ხელისუფლება გარკვეულ პირზე (პირთა წრეზე); მესამე, საჯარო ხელისუფლების აქტი უნდა იყოს ნორმატიული, რათა პირმა შეძლოს მისი კონსტიტუციური წესით გასაჩივრება. მეოთხე, ერთნაირი შემთხვევების მიმართ უნდა დადგინდეს თანაბარი დამოკიდებულება, ან პირიქით სხვადასხვა შემთხვევების მიმართ თანაბარი მოპყრობა

[847] სასამართლოს დღევანდელი მიდგომით კონსტიტუციის (ძველი რედაქციით) მე-14 მუხლი იცავს ადამიანებს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციისაგან. თუმცა, დიფერენცირების ნიშანთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა განსხვავებული იყო 2008 წლამდე, 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციის მე-11 მუხლი კრძალავს ადამიანების დისკრიმინაციას განურჩევლად იმისა, თუ რა ნიშნით ხორციელდება იგი. აღნიშნული განმარტების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კონსტიტუციის მე-11 მუხლის დაცული სფერო, შესაბამისად, წარმოიშვა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევის განსხვავებული შემთხვევები, ანუ დიფერენცირება იმ ნიშნით, რომელიც კონსტიტუციის მე-11 მუხლში პირდაპირ არ არის მითითებული. შესაბამისად სასამართლო დადგა მათი კონსტიტუციურობის შეფასების საჭიროების წინაშე.

[848] განმარტება ძირითადი უფლების სუბიექტის შესახებ იხ. განმარტება 1.

[849] იხ. ტუღუში, მენაბდე, ბურჯანაძე, გოცირიძე, მშვენიერაძე: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 609-612.

რაიმე ნიშნით. ე. ი. დადგინდეს დიფერენციაციის ნიშანი[850]; მეხუთე, საბოლოდ, უნდა განვსაზღვროთ, შესადარებელი ჯგუფები. არსებობს თუ არა მსგავსება განხილულ პირებს (პირთა წრეებს) და/ან სიტუაციებს შორის. საამისოდ უნდა დადგინდეს, აღენიშნებათ თუ არა შესადარებელ პირებს და სიტუაციებს საერთო პუნქტი (tertium comparationis), ანუ შეიძლება თუ არა ისინი გავაერთიანოთ რაიმე ზემდგომი ცნების (genus proximum) ქვეშ.

504 იმისთვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს ორი, ან მეტი ჯგუფი, უნდა გამოვყოთ ერთმანეთისაგან შესადარებელი ჯგუფები, რომლებსაც ექნებათ ერთი საერთო ნიშანი/ დასახელება, რომელიც აერთიანებთ მათ.

505 კონსტიტუციით დაწესებული დისკრიმინაციის აკრძალვა საჯარო ხელისუფლებისაგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: *არსებითად თანასწორებს* მოეპყრას თანასწორად და პირიქით.

506 როგორ ზემოთ აღინიშნა ყოველგვარი დიფერენციაცია ვერ იქნება დისკრიმინაცია. სწორედ იმის შესამოწმებლად, არის თუ არა სახელმწიფოს ქმედება დისკრიმინაციული გამოიყენება არათანაბარი მოპყრობის შემოწმების რაციონალური ან მკაცრი შეფასების ტესტი[851]. განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბის მიხედვით უნდა განისაზღვროს თუ რომელ ტესტის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

507 თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, მარტივ რაციონალიზაციას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. რაციონალური ტესტის შემთხვევაში საკმარისია არსებობდეს საჯარო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ახსნა, რომელიც ასეთი მოპყრობის გონივრულ და რაციონალურ მიზეზს წარმოადგენს. რაციონალური შეფასების ტესტი აღარ საჭიროებს ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებას და მისი პროპორციულობის ტესტით შემოწმებას. თუმცა სხვაგვარად უნდა მივუდგეთ იმ შემთხვევებს, როცა პირთა დიფერენციაცია ხდება კლასიკური, სპეციფიკური ნიშნებით (რომელიც კონსტიტუციის მე-11 მუხლშია მოცემული) ან ასეთი დიფერენციაციის შედეგად ირღვევა, რომელიმე სხვა ძირითადი უფლება თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია და იგი ცალსახად უსაფუძვლოა, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას მკაცრი შეფასების ტესტი და ნორმა ფასდება თანაზომიერების პრინციპის მიხედვით (გამოსადეგობა, აუცილებლობა, შესაბამისობა). „მკაცრი ტესტის“ ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა, იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“.

508 ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში აუცილებელია კანონმდებელმა მიზნის მისაღწევად უფლებაში ჩარევის თანაზომიერი გზა აირჩიოს. ამისთვის კი, კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი (დასაშვები), მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი და პროპორციული.

---

[850] წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობას აღარ გააგრძელებს. იხ. ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. გვ 34.

[851] 12-13 განმარტება.

მაგალითად,[852] საქართველოს მოქალაქე, რომელიც ცხოვრობდა ქარელის რაიონში, სოფელ დვანში, რომლის საცხოვრებელი ბინაც მდებარეობს ქართველი ძალოვანი სტრუქტურების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. მას სურდა ესარგებლა იმ შეღავათებით, რომლითაც დევნილები სარგებლობენ. ამის უფლებას კი მას არ აძლევდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, იმისათვის, რომ პირს დევნილის სტატუსი მიენიჭოს, აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ა) პირის იძულებით გადაადგილების ფაქტი - როდესაც პირი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ბ) პირის იძულებით გადაადგილების მიზეზი – საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას; გ) იძულებით გადაადგილების საფუძველი – უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაცია, აგრესია და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა. ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებად მიიჩნეოდა მხოლოდ ის ტერიტორიები, რომელიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონმა ასეთად აღიარა. სოფ. დვანი კი ამ კანონით არ იყო ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარებული. მოსარჩელეს, 2008 წელს მომხდარი კონფლიქტის შედეგად, მოუწია იძულებით დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი და ამ დრომდე ვერ ახერხებს დაბრუნებას. მისი აზრით, სადავო კანონმა ოკუპირებული ტერიტორიის ცნების შემოღებით, უპირატესობა მიანიჭა იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში. მ. მოითხოვდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან“ არაკონსტიტუციურად ცნობას. ეს მას თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა სხვა დევნილებთან მიმართებით და თვითონაც ისარგებლებდა იმ უპირატესობებითა და შეღავათებით, რითაც დევნილები სარგებლობდნენ. მოცემულ შემთხვევაში, აქტი, რომელიც მოსარჩელის აზრით, ერევა მის ძირითად უფლებებში, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი არის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი. ამასთან, საქართველოს პარლამენტი არის საჯარო ხელისუფლების ორგანო. შესაბამისად დასტურდება, რომ ჩარევა ხორციელდება მოსარჩელის ძირითად უფლებაში, რომელიც მე-11 მუხლით არის დაცული, რადგან მას რომელიმე უფრო კონკრეტული, კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლება არ იცავს. ამასთან, დგინდება, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საშუალებით, მოხდა ჩარევა. მოსარჩელის თანასწორობის უფლებაში ჩარევა ხდება უშუალოდ რეალურად და პირდაპირ; გარდა ამისა, გამოიკვეთა დიფერენცირებული მოპყრობა, რადგან სადავო ნორმა უსამართლოდ ახდენს პირთა ორი კატეგორიის დიფერენცირებას; არის არსებითად თანასწორი იმ პირებთან მიმართებით, რომელთა საცხოვრებელი ადგილი ოკუპირებულია უცხო ქვეყნის მიერ. ერთადერთი განსხვავება ამ პირთა ჯგუფებს შორის არის ის, რომ ერთ შემთხვევაში გარკვეული

[852] მაგალითი შედგენილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების №1/3/534 მიხედვით საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ტერიტორია კანონით ცნობილ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიად, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს ტერიტორიები, მართალია, კანონით არ არის მიჩნეული ოკუპირებულ ტერიტორიად, მაგრამ არის უკონტროლო და იქ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს დიფერენციაციის ნიშანი: ეს არის დევნილის „საცხოვრებელი ადგილისა“ და სტატუსის კავშირი ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტთან. მოცემულ შემთხვევაში, რეგულირების სუბიექტებს წარმოადგენენ *დევნილები*, მაგრამ სადავო კანონმა, ოკუპირებული ტერიტორიის ცნების შემოღებით, უპირატესობა მიანიჭა იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში. შესაბამისად, ცალსახაა, რომ სადავო კანონის მიერ მოხდა პირთა ჯგუფის (დევნილის) ორ შესადარებელ ჯგუფად გაყოფა. პირები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტერიტორიიდან არიან ისინი დევნილები, 1. ტერიტორიიდან რომელიც სახელმწიფომ კანონით ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარა, თუ 2. ტერიტორიიდან, რომელიც რეალურად ოკუპირებულია, მაგრამ ხელისუფლებას, ოკუპაციის „მცოცავი“ ხასიათიდან გამომდინარე, ჯერ არ უღიარებია დევნილებად, არსებითად ერთმანეთის თანასწორნი არიან.

510 შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი არსებითად თანასწორებს ექცევა არათანაბრად

- ✓ მოსარჩელე თანასწორობა დაცული არის კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით;
- ✓ მოსარჩელე არის კონსტიტუციის მე-11 მუხლის სუბიექტი;
- ✓ მოსარჩელის თანასწორობის უფლება შეიზღუდა ნორმატიული აქტით უშუალოდ, რეალურად და პირდაპირ;
- ✓ მოსარჩელის თანასწორობის უფლება შეიზღუდა საჯარო ხელისუფლების მიერ. ამიტომ მას შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს
- ✓ საცხოვრებელი პირობების მიხედვით, ერთი ჯგუფი, რომელთა საცხოვრებელ ადგილსაც სახელმწიფომ კანონით ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი მიანიჭა, არსებითად თანაბარია მეორე, იმ ჯგუფისა, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც, რეალურად, ფაქტობრივად ოკუპირებულია, მაგრამ სახელმწიფოს მათი საცხოვრებელი ადგილისათვის არ მიუნიჭებია ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი.
- ✓ დიფერენციაციის ნიშანია დევნილის სტატუსი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე;

511 შესაბამისად, შესადარებელი ჯგუფები გამოკვეთილია: დევნილები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფომ ოკუპირებულად აღიარა და დევნილები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფომ ოკუპირებულ ტერიტორიად არ აღიარა.

512 შემდეგ, მეორე ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას სადავო ნორმა უზრუნველყოფს თუ არა ზემოაღნიშნული საფუძვლით იძულებით გადაადგილებული ყველა პირის თანაბარ დაცვას; ხომ არ იწვევს ის არსებითად თანასწორი პირების დაუსაბუთებელ დიფერენციაციას, იგივე დისკრიმინაციას? ცალსახაა, რომ აღნიშნულ დიფერენციაციას არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი გონივრული და რაციონალური ახსნა, რომელიც აღარ

მოითხოვს კანონმდებლისაგან ლეგიტიმური მიზნის არსებობასა და ამ მიზნის თანაზომიერ გამართლებას. შესაბამისად, სადავო ნორმის შესამოწმებლად, მკაცრი შეფასების ტესტი უნდა იქნეს გამოყენებული. უპირველესად, უნდა გაირკვეს ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს აღნიშნული ნორმის შემოღებისას. სადავო ნორმის შემოღებით კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტით გამოწვეული შედეგებზე რეაგირება: პირთა იძულებით გადაადგილების სამართლებრივი რეგლამენტაცია, მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭება და მათ მიმართ, სოციალური გარანტიების გავრცელებით, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღიარება.

513

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სადავო რეგულაცია ვერ იქნება მიჩნეული დასახელებული მიზნის მიღწევის გამოსადეგ (დასაშვებ)[853] საშუალებად. სადავო ნორმა არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის გზას. პირიქით, იგი თავად გამორიცხავს ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული რეგულაცია ტოვებს ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ნაწილს დევნილის სტატუსის მიღმა, რაც იწვევს არსებითად თანასწორი პირების დიფერენციაციას. გასაჩივრებული კანონი დევნილებისთვის ქმნის არაერთ ისეთ მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა ადაპტაციას ახალ გარემოსთან და ხელს უწყობს მათი თვითრეალიზების შესაძლებლობას. მაგრამ იმ ტერიტორიიდან, რომლებიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის მიჩნეული როგორც ოკუპირებული ტერიტორია, იგივე საფუძვლითა და მიზეზებით იძულებით დევნილ პირებს ტოვებს ზემოაღნიშნულ პრობლემებთან პირისპირ. შესაბამისად, თუკი აღმოჩნდა, რომ თანაზომიერების ტესტის სამი კუმულაციური კომპონენტიდან (გამოსადეგობა, აუცილებლობა და შესაბამისობა) ერთ-ერთი არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, სადავო ნორმა ვერ იქნება კონსტიტუციური. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირებისათვის დევნილის სტატუსზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არ არიან კანონით ოკუპირებულად აღიარებული ტერიტორიებიდან დევნილნი, იმის გათვალისწინებით, რომ ოკუპაცია მცოცავია და ცალსახაა, რომ მ-ს სოფ. დვანში ცხოვრება შეუძლებელია ოკუპაციიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონის ლეგიტიმური მიზანი - სახელმწიფოს გარანტიების მისაღებად დევნილის სტატუსის შემოღება - შეუძლებელია მიღწეულ იქნას სადავო ნორმით, რადგან იგი არ არის გამოსადეგი, ვარგისი საშუალება მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, აუცილებელი არ არის აღნიშნულ პირთა წრის განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენება და მათთვის სამართლებრივი ტვირთის დაკისრება. პროპორციულობის ტესტის მესამე კომპონენტი არის სადავო ნორმის შესაბამისობა ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის. ამ შემთხვევაში ხდება კონკურირებადი ინტერესების აწონ-დაწონვა და მოწმდება კონკრეტულ შემთხვევაში თუ რომელი ინტერესი არის უფრო მნიშვნელოვანი მოსარჩელის თანასწორობის უფლება, თუ საჯარო ინტერესი. დევნილის სტატუსის რეგულაცია სწორედაც საჯარო ინტერესია, ამავდროულად იგი თვით დევნილებისთვის ქმნის არაერთ ისეთ მნიშვნელოვან გარანტიას, როგორიცაა უკეთესი ადაპტაცია, ან

[853] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოსადეგობის კომპონენტს ზოგჯერ „დასაშვებს“ უწოდებს. იგი შინაარსობრივად გულისხმობს შემდეგს: რამდენად არის სადავოდ გახდილი ნორმა/რეგულაცია კანონმდებლის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ვარგისი საშუალება, ე.ი. რეალურად რამდენად გამოადგება იგი კანონმდებელს დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. რადგან სიტყვა „გამოსადეგი“ ამ შემთხვევაში უკეთ აღწერს შინაარს, იგი აღნიშნულ მეთოდიკაში გამოიყენება როგორც „გამოსადეგი“.

თვითრეალიზაცია. ამიტომ, შეუსაბამოა კონსტიტუციური სიკეთეების აწონ-დაწონვის შედეგად მოსარჩელეს და სხვა მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა ჯგუფის ინტერესი დაუპირისპირდეს სხვა დევნილების ან საჯარო ინტერესს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა იწვევს არსებითად თანასწორი პირების გაუმართლებელ დიფერენციაციას, ვინაიდან ის დევნილის სტატუსის მინიჭებას უკავშირებს მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილების ფაქტს, ხოლო ტერიტორიებიდან, რომლებიც დასახელებული კანონით არ არის მიჩნეული როგორც ოკუპირებული ტერიტორია, იგივე საფუძვლითა და მიზეზებით იძულებით გადაადგილებულ პირებს გამორიცხავს დევნილის სტატუსის მაძიებელთა წრიდან. ამდენად, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კონსტიტუციის გარანტირებულ თანასწორობის პრინციპთან (ძველი რედაქციით მე-14 მუხლთან) მიმართებით.[854]

3.5. თანასწორობის უფლების კონსტიტუციური სარჩელით მოთხოვნის ფარგლები

514 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოსარჩელე მხარემ სასარჩელო მოთხოვნა სწორად ჩამოაყალიბოს. თუ იგი ასაჩივრებს არა თავისი უფლების შემზღუდველ, არამედ შესადარებელ პირთა უფლებააღმჭურველ წესს, მან უნდა მოითხოვოს ამ წესის საფუძველზე დადგენილი დიფერენცირების აღმოფხვრა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. მოსარჩელე მოითხოვდეს დიფერენცირების აღმოფხვრას ისეთი საშუალებით, როგორიცაა სადავო ნორმის შინაარსის გაფართოება და მისი შესადარებელი პირების მსგავსი უფლებით/ პრივილეგიით აღჭურვა.

515 სასამართლოს მითითებით, „თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღმჭურველი ნორმა დისკრიმინაციული ხასიათისაა, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებასთან მიმართებით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირების აღმოფხვრა და არა სადავო ნორმის შინაარსის გაფართოება"[855]

516 პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის, სადავო ტექსტიდან ცალკეული სიტყვებისა და გრამატიკული ერთეულების არაკონსტიტუციურად ცნობით, შექმნას მოსარჩელეთათვის სასურველი შინაარსის სამართლებრივი წესრიგი. მისი კომპეტენცია შემოიფარგლება უთანასწორობის არაკონსტიტუციურად ცნობით. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის არსს. კერძოდ, აღნიშნული უფლება იცავს არა რაიმე უფლების, შესაძლებლობის მინიჭებას, არამედ შესადარებელ პირთა მსგავს სამართლებრივ პოზიციაში ყოფნას. თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპთან მიმართებით, სადავო ნორმიდან მომდინარე დიფერენცირება კანონმდებელმა შეიძლება აღმოფხვრას ორი გზით: (1) სადავო ნორმით გათვალისწინებულ სუბიექტთა

[854] საქართველოს მოქალქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/534, III-22.

[855] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/12/1456 განჩინება საქმეზე „ვახტანგ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

მსგავსად, მოსარჩელეც აღიჭურვოს უფლებრივად; (2) სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებრივი მდგომარეობა ყველა პირისთვის გააუქმოს. საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად არ მიიღებს საქმეს, რომელშიც მოსარჩელე ასაჩივრებს შესადარებელ პირთა უფლებააღმჭურველ წესს, პრობლემურად მიიჩნევს დასახელებულ პირთათვის ნორმით დადგენილი უფლების/პრივილეგიის გაუქმებას და ითხოვს თანასწორობის აღდგენას ისეთი გზით, როგორიცაა იმავე სიკეთით სარგებლობის უფლების მხოლოდ მისთვის მინიჭება. მართებული იქნება, თუ მოსარჩელეები, სასარჩელო მოთხოვნისა და საკუთარი არგუმენტაციის ჩამოყალიბებისას, არ მიუთითებენ, რა ფორმით სურთ თანასწორობის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ დასახელებული სტანდარტები არ მიემართება შემთხვევას, როდესაც მოსარჩელე მხარე ასაჩივრებს უფლებაშემზღუდველ წესს. ასეთ დროს, მას შეუძლია, მიუთითოს მისი უფლების შემზღუდველი დიფერენცირებული მოპყრობის გაუქმებაზე, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით.[856]

517 ამავდროულად, მოსარჩელე მხარე, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, ვერ მოითხოვს იმგვარი განსხვავების აღმოფხვრას, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს მას (ეს არ განიხილება დისკრიმინაციად). მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში მოსარჩელე ფიზიკური პირი სადავოს ხდიდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის შესაბამისადაც, „112“-ის მომსახურების საფასურის გადახდისას ფიზიკური პირები იხდიდნენ 0.2 ლარს, ხოლო იურიდიული პირები – 0.5 ლარს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სასარჩელო მოთხოვნის ამგვარად დაყენება ეფუძნებოდა თანასწორობის უფლების შინაარსის არასწორ აღქმას. გასაჩივრებული ნორმა ფიზიკური პირებისთვის, იურიდიულ პირებთან შედარებით, ითვალისწინებს „112“-ის მომსახურების საფასურის ნაკლებ ოდენობას. შესაბამისად, სადავო რეგულირება მოსარჩელე ფიზიკური პირისადმი ადგენდა არა დისკრიმინაციულ მოპყრობას, არამედ უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა მას. ამასთანავე, კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო წარმოდგენილი არგუმენტაცია, თუ რატომ შეიძლება შეფასდეს ფიზიკურ პირთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად მათი უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება უფრო ნაკლები ოდენობის მომსახურების საფასურის დადგენის ფორმით“.[857]

518 ამდენად, მოსარჩელეს კონსტიტუციის მე-11 მუხლის დარღვევაზე დავის უფლებამოსილება აქვს მაშინ, როდესაც სადავო ნორმის საფუძველზე იგი ჩაყენებულია განსხვავებულ, უარეს რეჟიმში, არსებითად თანასწორ პირებთან შედარებით.[858]

[856] იხ. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები პრაქტიკული სახელმძღვანელო. მომზადდა და იბეჭდება პროექტის – „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ – დახმარებით. პროექტი თანადაფინანსებულია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ, „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ ფარგლებში. ევროპის საბჭო. 2021. გვ. 72; იხ. თანასწორობის უფლების კონსტიტუციურ სამართლებრივი დავის სპეციფიკა გვ. 70-80.

[857] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/11/1279 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-14.

[858] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის №2/6/623 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

4. საერთაშორისო მიდგომების და სასამართლო პრაქტიკა ანტიდისკრიმინაციული სამართალში

4.1. ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართალი

519 დისკრიმინაციის აკრძალვას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას კონვენციაში ჩამოთვლილი სხვა უფლებებით სარგებლობისას. ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი აფართოებს დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებს - თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფით - ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას.

520 დისკრიმინაციისაგან დაცვა ევროპაში გათვალისწინებულია როგორც ევროკავშირის სამართალში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სისტემა ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს, გარკვეული განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს.[859]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ინდივიდებს იცავს 47 წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, დირექტივა ევროკავშირის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კი, იცავს ევროპის კავშირის მხოლოდ 29 წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს. 2000 წელს მიიღეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია. 2009 წელს, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, შეიცვალა ძირითად უფლებათა ქარტიის სტატუსი და იგი იურიდიულად სავალდებულო ძალის დოკუმენტი გახდა. ქარტიის 21-ე მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას რამდენიმე საფუძვლით. ამ უკანასკნელით, მართალია, დისკრიმინაცია ზოგადად აკრძალულია, მაგრამ ძირითადად, მაინც შრომითი ურთიერთობებით შემოიფარგლება.

521 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, თანასწორობა გარანტირებულია კონვენციით დაცული არსებითი უფლებებით სარგებლობისას. გარდა ამისა, ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი, რომელიც ძალაში 2005 წელს შევიდა, დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებს აფართოებს და მოიცავს ეროვნულ დონეზე დაცულ ყველა უფლებას, თუნდაც ის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რომელიმე უფლების ფარგლებში არ ხვდებოდეს. ოქმი პირებს იცავს, ძირითადად, სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციისაგან, მაგრამ მანშეიძლება ასევე მოიცვას ურთიერთობები კერძო პირებს შორის, რომლის მოგვარებაც სახელმწიფოს ევალება.

1. ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას, რომელიც ინდივიდს მინიჭებული აქვს ეროვნული სამართლით;
2. იმ უფლებით სარგებლობისას, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს საჯარო ორგანოს აშკარა ვალდებულებიდან, ეროვნული სამართლის თანახმად. ანუ, როცა საჯარო ორგანო, ეროვნული სამართლის თანახმად, ვალდებულია, გარკვეული ფორმით მოიქცეს;
3. საჯარო ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას;

[859] იხილე საკითხის დეტალური განხილვა სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ნაშრომი ითარგმნა და გამოიცა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროექტი ფარგლებში. ევროპის საბჭო, 2013.

4. საჯარო ორგანოს რაიმე სხვა ქმედებით ან უმოქმედობით.[860]

522 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს ცალსახა გამონაკლისი, განსაკუთრებით, დასაქმების შესახებ, ევროკავშირის რეგულაციების სფეროში, როდესაც არ არის საჭირო სათანადო ,,შედარების" ობიექტის ძიება. მაგალითად, როდესაც ადამიანის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა ხდება მისი ფეხმძიმობის ნიადაგზე.[861] მის პრაქტიკაში დადგინდა, რომ როდესაც პირი დაზარალდება, ორსულობის ნიადაგზე, ეს იქნება დაკვალიფიცირებული, როგორც სქესობრივ ნიადაგზე განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაცია და ამ შემთხვევაში, არ არის საჭირო შედარებითობის ფაქტორის გათვალისწინება.

523 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლით აღიარებულია, რომ დისკრიმინაცია შესაძლოა მოჰყვეს არა მხოლოდ ანალოგიურ სიტუაციებში პირთა განსხვავებულად მოპყრობას, არამედ ერთი და იმავე მოპყრობის შეთავაზებას განსხვავებულ სიტუაციებში მყოფთათვის. ამ დროს განსხვავებულია არა თვით მოპყრობა, არამედ ამ მოპყრობის ეფექტი, რომელსაც სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანები.[862] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, არაპირდაპირ დისკრიმინაციასთან მიმართებით, ადგენს: ,,შესაძლოა, რომ განსხვავებული მოპყრობა იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მავნე შედეგის სახით არსებობდეს, რომელიც, მართალია, ნეიტრალურადაა წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ გარკვეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე.''[863]

524 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებულია დისკრიმინაციის შესახებ საჩივრის განხილვის ორსაფეხურიანი ტესტი. პირველ რიგში, ფასდება მისაღწევი მიზანი, ხოლო შემდეგ - განსხვავებული მოპყრობის ურთიერთქმედება ამ მიზანთან. ის თუ როგორ მოხდება ამ ორსაფეხურიანი ტესტის გამოყენება, დამოკიდებულია იმ ნიშნის ბუნებაზე, რომელსაც ეფუძნება განსხვავებული მოპყრობა. განსხვავებული მოპყრობა შეფასდება დისკრიმინაციულად თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება და არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს ან გამოყენებული საშუალება არ არის მისაღწევი მიზნის თანაზომიერი.[864]

4.2. ჩემი თურქეთის წინააღმდეგ

525 საქმე ჩემი თურქეთის წინააღმდეგ[865] - 2004 წელს განმცხადებელმა, ეროვნებით თურქმა სეიდა ევრიმ ჩემმა, რომელიც უსინათლოა, ჩააბარა მისაღები გამოცდები სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში. ჩაბარების პროცედურის მოთხოვნით, სამედიცინო დაწესებულების სპეციალურმა კომისიამ გასცა დასკვნა, რომელშიც მიუთითა, რომ ჩემი შეძლებდა მხოლოდ იმ გაკვეთილებზე

[860] განმარტებითი ბარათი ხელმისაწვდომია ვებ გვრდზე : http://conventions.coe.int/Treaty/en/ Reports/Html/ 177.htm.
[861] Dekker v. Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV-Centrum) Plus, Case C-1777/88, 8 ნოემბერი,§12-13, ECJ 1990.
[862] საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2015, გვ.9.
[863] დ.ჰ და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (D.H. and others v. the Czech Republic), [დიდი პალატა], N57325/00, 13 ნოემბერი, ECHR 2007.
[864] The prohibition of Discrimination under European Human Rights Law, European Commission Justice, 2011.
[865] ჩემი თურქეთის წინააღმდეგ (ÇAM v. TURKEY), N 51500/08, 23 მაისი, ECHR 2016.

დასწრებას, სადაც მხედველობა არ იქნებოდა დასწრების აუცილებელ პირობად. მუსიკალურმა აკადემიამ უარი განაცხადა ჩემის მიღებაზე და სამედიცინო დაწესებულების მთავარ ექიმს სთხოვა ახალი დასკვნის მომზადება, რომელიც განმარტავდა, შეძლებდა თუ არა განმცხადებელი მუსიკალურ აკადემიაში გაკვეთილებზე დასწრებას. განმცხადებლის მშობლებმა, შვილის სახელით მიმართეს სტამბოლის ადმინისტრაციულ სასამართლოს და მოითხოვეს სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გადაწყვეტილების გაუქმება. სასამართლომ იგი უცვლელი დატოვა, იმ საფუძვლით, რომ ჩემმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა მის მუსიკალურ შესაძლებლობას აკადემიაში განათლების მისაღებად. განმცხადებელმა და მისმა მშობლებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ზედა ინსტანციის სასამართლოში, თუმცა უშედეგოდ. მათ ასევე საჩივარი შეიტანეს ბაკირკოის საავადმყოფოს წინააღმდეგ, რომელმაც აკადემიის მოთხოვნით, ახალი სამედიცინო დასკვნა შეადგინა, რომლითაც ადასტურებდა მუსიკალურ დაწესებულებაში ჩემის მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის არქონას. 2008 წლის 22 ოქტომბერს ჩემმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად (განათლების უფლება), განმცხადებელი ჩიოდა, რომ დაირღვა მისი განათლების უფლება და სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი, როგორც შშმ პირის ყველასთან იდენტური შესაძლებლობებით, უზრუნველყოფა. იგი ასევე აცხადებდა, რომ გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი უსინათლობის გამო და დაირღვა მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა).

526 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, განმცხადებლის მუსიკალურ აკადემიაში ჩარიცხვაზე უარის თქმასთან მიმართებით, აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობის მიხედვით შშმ ბავშვებს აქვთ განათლების მიღების უფლება დისკრიმინაციის გარეშე. თუმცა, ქ-ნი ჩემის შემთხვევაში, აკადემია ეყრდნობოდა პროცედურულ წესებს, რომლის თანახმადაც გაკვეთილებზე დასასწრებად საჭირო იყო ფიზიკური მომზადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარმოდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურული წესები უსინათლოებისთვის არ უშვებს გამონაკლისს და ყველა ვალდებულია წარმოადგინოს სერტიფიკატი, სასამართლომ განაცხადა, რომ ვერ ხედავდა ამ მოთხოვნის საჭიროებას შშმ პირებთან მიმართებით. ასევე დასძინა, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა სამედიცინო ცნობა, მაგრამ აკადემიამ არ მიიღო იგი და მოითხოვა მისი შემდგენი სამედიცინო პერსონალის მიერ მოდიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური აკადემიის განცხადებით, ქ-მა ჩემმა ვერ წარმოადგინა საავადმყოფოს მიერ შედგენილი სამედიცინო დასკვნა, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ უარის მიზეზი მხოლოდ განმცხადებლის უსინათლობა იყო და განმცხადებელი ვერ შეძლებდა ფიზიკური მომზადების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სასამართლოს აზრით, მისაღები გამოცდების ჩაბარებით, განმცხადებელმა დაამტკიცა, რომ კვალიფიციური იყო ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში ჩასარიცხად. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობისა და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს უარი შშმ პირთა დისკრიმინაციის საფუძველზე ეთქვა, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას არ ჰქონია მცდელობა დაედგინა განმცხადებლის საჭიროებები და ვერ შეძლო განემარტა, თუ როგორ შეუშლიდა ხელს მისი უსინათლობა მუსიკის გაკვეთილებზე დასწრებას. მან ასევე აღნიშნა, რომ აკადემია არ ქმნიდა შესაბამის პირობებს ბრმა სტუდენტებისთვის გაკვეთილებზე დასასწრებად. შესაბამისად,

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიღებაზე უარის თქმა, რომელიც მხოლოდ მის უსინათლობაზე იყო დაფუძნებული, ასევე უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას მხედველობაში არ მიუღია შშმ პირთათვის შესაბამისი პირობების შექმნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა ობიექტური და გონივრული საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

4.3. ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ

527 საქმეში ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ,[866] მომჩივანმა თურქმა ქალმა, 1999 წელს სახელმწიფო ელექტროენერგიის კომპანიის ერთ-ერთი განშტოების დაცვის თანამშრომლის პოსტის დაკავებისათვის, საჯარო მოხელეთა გამოცდები წარმატებით ჩააბარა. თავდაპირველად კომპანიამ მის დანიშვნაზე უარი განაცხადა, რადგან ის ,,მამაკაცად ყოფნის'' კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდა და სამხედრო სამსახური არ ჰქონდა გავლილი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება რაიონულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ბათილად ცნო და 2001 წელს მომჩივანმა აღნიშნულ თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. 2003 წელს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და 2004 წელს მომჩივანი სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული. რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება კანონიერი იყო, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა. საბოლოოდ, 2008 წელს მომჩივნის მოთხოვნა, გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე, არ იქნა დაკმაყოფილებული. სტრასბურგის სასამართლოში განმცხადებელი დავობდა კონვენციის მე-14 მუხლზე მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, შიდა სახელმწიფო ორგანოები მომჩივნის დაქირავებაზე თავდაპირველ უარსა და შემდგომში სამსახურიდან გაშვების გამართლებას იმ საფუძვლით ცდილობდნენ, რომ დაცვის თანამშრომლების დავალებები იმგვარ რისკსა და პასუხისმგებლობას მოიცავდა, რომლებსაც ქალბატონი თავს ვერ გაართმევდა, თუმცა მათ აღნიშნულის დასაბუთება ვერ შეძლეს. ის ფაქტი, რომ დაცვის თანამშრომლებს ღამის მორიგეობასა და გარეუბნებში უწევდათ მუშაობა და შესაძლოა, ცეცხლსასროლი იარაღის ან ფიზიკური ძალის გამოყენება სჭირდებოდათ, ვერ გაამართლებდა ქალისა და მამაკაცის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. გარდა ამისა, მომჩივანი 2001-2004 წლებში დაცვის თანამშრომლად მუშაობდა. ის მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე გათავისუფლდა. საქმის მასალებში არ იკვეთებოდა გარემოება, რაც მიუთითებდა, რომ მომჩივანმა სქესის გამო, რაიმე ფორმით, დაცვის თანამშრომლის ვალდებულებები ვერ შეასრულა. ნაჩვენები არ ყოფილა, რომ მომჩივანთან მიმართებით განსხვავებული მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. ამრიგად, აღნიშნული გენდერულ საფუძვლებზე დისკრიმინაციას წარმოადგენდა.

[866] ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ (Emel Boyraz v. Turkey), N61960/08, 2 დეკემბერი, ECHR 2014.

4.4. კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ

528 საქმე კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ,[867] შეეხებოდა დეკრეტული შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით, ქალი და კაცი სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, განსხვავებულ მოპყრობას. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ,,გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა არის, დღესდღეობით, უდიდესი მიზანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში და ძალიან წონიანი მიზეზების მოყვანაა საჭირო იმისათვის, რომ ამ საკითხზე განსხვავებული მოპყრობა, კონვენციის შესაბამისად ჩაითვალოს. კერძოდ, კონკრეტული ქვეყნის ტრადიციების, ზოგადი შეხედულებების ან გაბატონებული სოციალური მიდგომის მოშველიება, არასაკმარისი გამართლებაა სქესის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობისთვის. მაგალითად, სახელ-მწიფოებს არ შეუძლიათ იმ ტრადიციების აღსრულება, რომლებიც ეფუძნება მამაკაცის პრიორიტეტულ, პირველად როლს და ქალის მეორეხარისხოვან ადგილს ოჯახში''.

529 სტრასბურგის სასამართლომ არ გაითვალისწინა სახელმწიფოს წარმომადგენლების ის მტკიცებულება, რომ განსხვავებული მოპყრობა მომჩივანის საქმეში ეფუძნებოდა ქალის განსაკუთრებულ როლს ბავშვის აღზრდის პროცესში. თანამედროვე ევროპული საზოგადოება აღიარებს პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილებას ქალსა და მამაკაცს შორის და ბავშვის აღზრდაში კაცის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. ევროპული ქვეყნების უმრავლესობა, რუსეთის ჩათვლით, უზრუნველყოფს ბავშვის მოვლის შვებულებას, როგორც ქალების, ასევე მამაკაცი სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის, ამ ქვეყნების უმრავლესობა კი, ამ უფლებას ავრცელებს სამხედრო მოსამსახურე კაცებსა და ქალებზე. განსხვავებული მოპყრობა მომჩივანის საქმეში არ შეიძლება იქნეს აღქმული, როგორც პოზიტიური დისკრიმინაცია ქალების სასარგებლოდ, რადგან ნათლად ჩანს, რომ ის საზოგადოებაში ქალის არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორებისკენ არ არის მიმართული. პირიქით, აღნიშნულს გენდერული სტერეოტიპების შენარჩუნების შედეგი ჰქონდა და დაბრკოლებებს უქმნიდა როგორც ქალების კარიერას, ასევე მამაკაცების ოჯახურ ცხოვრებას. საზოგადოებაში გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილება არ შეიძლება ამართლებდეს მამაკაცებისათვის, მათ შორის სამხედრო მოსამსახურე მამაკაცებისათვის, ბავშვის მოვლის შვებულების ჩამორთმევას.

530 სასამართლო დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, გარკვეული შეზღუდვები, ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით, შეიძლება იყოს გამართლებული, თუმცა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის. სამხედრო მოსამსახურე როგორც მამაკაცს, ასევე ქალს, შეიძლება შეუწყდეს შვებულება თუ მისი შეცვლა იერარქიული თანამდებობის გამო, ტექნიკური კვალიფიკაციის, ან სამხედრო საქმიანობაში აქტიური ჩართულობის გამო, შეუძლებელია. თუმცა რუსეთში ბავშვის მოვლის შვებულება არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურე მამაკაცებზე, მათი თანამდებობაზე შემცვლელის არსებობისა თუ ინდივიდუალური სიტუაციის მიუხედავად. სასამართლოს აზრით, ასეთი განზოგადოებული და ავტომატური აკრძალვა, რომელიც ვრცელდება ადამიანების ჯგუფზე, მხოლოდ მათი სქესიდან გამომდინარე, სცდება სახელმწიფოსათვის მინიჭებულ თავისუფალი შეფასების ფარგლებს. მომჩივანი მსახურობდა რადიო

[867] კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ (Konstantin Markin v. Russia), [დიდი პალატა], N30078/06, 22 მარტი, p. 127, ECHR 2012.

ელექტრონული დაზვერვის ოპერატორად, შესაბამისად, მისი შეცვლა შეეძლო სამხედრო მოსამსახურე ქალსაც და მამაკაცსაც. მსგავსი თანამდებობა იმავე განყოფილებაში ხშირად ეკავათ ქალებს, რომლებსაც მისგან განსხვავებით, უპირობოდ ეძლეოდათ სამწლიანი დეკრეტული და ბავშვის მოვლის შვებულება. მომჩივანი გახდა სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე.

4.5. შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დისკრიმინაციის საქმეებზე მიღებული გადაწვეტილებები

ამ მხრივ საკმაოდ ქმედითია საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი, გაეროს 531
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის სახით. კომიტეტის მიერ განხილული საქმე ბანკომატების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და გონივრულ მისადაგებაზე[868]. საქმეში სილვია ნიუსტი და პეტერ ტოკაჩი უნგრეთის წინააღმდეგ[869] გაეროს შმმ პირთა კომიტეტმა 2013 წელს განიხილა და გამოიტანა გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, სადაც უსინათლო განმცხადებლები-უნგრეთის მოქალაქეები - სილვია ნიუსტი და პეტერ ტოკაჩი ამტკიცებდნენ, რომ უნგრეთის სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ დაარღვია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები (გონივრული მისადაგების პრინციპის გამოუყენებლობა); მე-9 მუხლი (მისაწვდომობა) და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი (კანონის წინაშე თანასწორობა). მხედველობის პრობლემის მქონე პირებმა საბანკო დაწესებულებასთან ,,OTP Bank Zrt'' (შემდგომში, OTP) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააფორმეს ხელშეკრულება, კერძო პირთა მიმდინარე ანგარიშით მომსახურების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მომჩივნებს საბანკო ბარათების გამოყენების უფლებას ანიჭებდა, მათ არ ჰქონდათ ბანკომატების დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა, ვინაიდან OTP-ის ექსპლუატაციაში არსებული ბანკომატების კლავიატურას ბრაილის შრიფტი არ ჰქონდა. ამასთან, ბანკომატი არ უზრუნველყოფდა აუდიოინსტრუქციებსა თუ ხმოვან დახმარებას საბანკო ბარათით ოპერაციების განსახორციელებლად. მოსარჩელეები იხდიდნენ საბანკო ბარათით მომსახურებისა და საბარათე ტრანზაქციების განხორციელებისათვის დაწესებულ ყოველწლიურ საფასურს, ბანკის სხვა კლიენტების მიერ გადახდილი საფასურის ტოლი ოდენობით. მიუხედავად ამისა, მათ არ შეეძლოთ ბანკომატების მომსახურებით სარგებლობა, მხედველობის მქონე კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე.

532
აღნიშნულ საქმეზე, კომიტეტმა სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევა დაადგინა, მათ შორის, გონივრული მისადაგების პრინციპის დარღვევა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციად შეფასდა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კომიტეტის განმარტება კერძო სექტორის ვალდებულებაზე, თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიაწოდოს ყოველგვარი სერვისი კონკრეტულ მოსარგებლე პირებს, ხოლო ამის უგულებელყოფა წარმოადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას.

[868] აბაშიძე, არგანაშვილი, შველიძე, სალდაძე, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გვ.34.
[869] შეტყობინება No. 1/2010, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის კომიტეტის მიერ მე-9 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2013 წლის 15-19 აპრილი).

4.6. დისკრიმინაციის დადგენა „სხვა“ ნიშნით

533 ევროპულმა სასამართლომ კატეგორიაში კონვენციის მე-14 მუხლის ჩანაწერში “სხვა ნიშანი” გააერთიანა რამდენიმე სხვადასხვა კატეგორიად, მაგალითად, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი და შეზღუდული შესაძლებლობა, მამობა,[870] ოჯახური მდგომარეობა;[871] ორგანიზაციის წევრობა;[872] ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მშობლობა;[873] საცხოვრებელი ადგილი.[874]

534 მაგალითად, საქმე Petrov v. Bulgaria[875] შეეხებოდა საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, პატიმრებს მეუღლეებთან დარეკვა თვეში ორჯერ შეეძლოთ. განმცხადებელი დაპატიმრებამდე ორი წლის განმავლობაში პარტნიორთან ერთად ცხოვრობდა და მასთან შვილიც ჰყავდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებას განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა, ტელეფონით კომუნიკაციის წესთა მიზნებისათვის, განმცხადებელი, რომელმაც ოჯახი შექმნა სტაბილურ პარტნიორთან, დაქორწინებულ წყვილთა თანაფარდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ “ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების გარკვეული ფარგლები ჰქონდათ მინიჭებული, რათა დაქორწინებულ და დაუქორწინებელ წყვილებს სხვადასხვაგვარად მოპყრობოდნენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, დაბეგვრა, სოციალური დაზღვევა ან სოციალური პოლიტიკა .... მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა მოპყრობოდნენ სხვადასხვაგვარად დაქორწინებულსა და იმ დაუქორწინებელ წყვილებს, რომლებმაც ოჯახი შექმნეს ერთ-ერთი მათგანის საპატიმროში ყოფნისას და საქმე ეხებოდა პარტნიორთან ტელეფონით კონტაქტის შენარჩუნებას”. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დისკრიმინაცია გაუმართლებლად მიიჩნია.

4.7. ეთნიკურ/ეროვნულ/რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის საქმეების საერთაშორისო პრაქტიკა[876]

535 სოციალური უფლება შეიძლება გახდეს სასამართლოების განხილვის საგანი, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფარგლებში. მაგალითად საქმეში – Gaygusuz v. Austria[877] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვის) დარღვევა ავსტრიის სახელმწიფო ორგანოების მიერ, ვინაიდან განმცხადებელს უარი ეთქვა უმუშევრობის პენსიის მიღებაზე იმ მიზეზით, რომ არ იყო წარმოშობით ავსტრიელი. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ავსტრიის პარლამენტმა ეთნიკური ნიშანი გააუქმა, უმუშევრობის პენსიასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულირებაში.[878]

---

[870] Weller v. Hungary (№44399/05), 31 მარტი, 2009.

[871] Petrov v. Bulgaria (№15197/02), 22 მაისი, 2008.

[872] Danilenkov and others v. Russia (№67336/01), 30 ივლისი, 2009; Grande Oriente d`Italia di Palazzo Giustiniani v. Italy (№2) (№26740/02), 31 მაისი 2007.

[873] Sommerfeld v. Germany [GC] (№31871/96), 8 ივლისი 2003; Sahin v. Germany [GC] (№30943/96), 8 ივლისი 2003.

[874] Carson and others v. UK [GC] (№42184/05), მარტი 2010.

[875] Petrov v. Bulgaria (№15197/02), 22 მაისი, 2008.

[876] მიმოხილვა ეყრდნობა ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, კვლევის ავტორი: თეონა ფირანიშვილი კვლევის ხელმძღვანელი: მიქელაძე, (EMC) 2019. გვ. 66.

[877] Gaygusuz v. Austria , 39/1995/545/631, Council of Europe: European Court of Human Rights, 23 May 1996, available at: https://www.refworld.org/cases,ECHR,3ae6b6f12c.html [accessed 20 January 2019].

[878] See Resolution DH (98) 372 adopted by the Committee of Ministers on 12 November 1998.

536 Koua Poirrez v. France საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა, როცა შშმ აპლიკანტს საფრანგეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა შესაბამისი სოციალური დახმარების გაცემაზე იმ მოტივით, რომ ის არ იყო ეროვნებით ფრანგი, თუმცა ცხოვრობდა საფრანგეთში და ჰყავდა ნაშვილები საფრანგეთის მოქალაქე, ასევე, რეგისტრირებული იყო შშმ პირად.[879] ამ გადაწყვეტილების შემდეგ საფრანგეთმა შეცვალა კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერი. მეტიც ECHR-ის ეს გადაწყვეტილება იყო სანიმუშო საფრანგეთის შიდა სასამართლოებისთვის, შემდგომ გადაწყვეტილებებში.[880]

537 საქმეზე ორშუში და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწვეტილება 2010 წელს მიიღო.[881] მომჩივნები იყვნენ თხუთმეტი ბოშური წარმოშობის ხორვატელი, რომლებიც 1996-2000 წლებში დადიოდნენ ორ საშუალო სკოლაში. მაშინ ისინი დაშვებულნი იყვნენ მხოლოდ ბოშური წარმოშობის კლასებში. 2002 წელს მათ სარჩელი შეიტანეს სკოლის წინააღმდეგ, ინტერ ალია, რასობრივი დისკრიმინაციისა და მათი განათლების უფლების შელახვის საფუძველით, ვინაიდან მხოლოდ ბოშური წარმოშობის ბავშვების საგანმანათლებლო პროგრამა მნიშვნელოვნად მცირე და შინაარსობრივად მწირი იყო, ოფიციალურ ეროვნულ სასწავლო პროგრამასთან შედარებით. მათ ასევე წარადგინეს ფსიქოლოგიური კვლევა, სადაც მითითებული იყო, რომ გამოყოფილი სწავლება იწვევდა ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზიანს ბოშა ბავშვებში, როგორც თვით შეფასების, ისე პიროვნული განვითარების კუთხით. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მომჩივნები ცალკე კლასში განთავსდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადეკვატურად არ ფლობდნენ ხორვატულ ენას. თუმცა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა პოზიტიური ზომები იმ მიზნით, რომ მომჩივანებს დახმარებოდნენ საჭირო ლინგვისტური უნარების შეძენაში, მაქსიმალურად მოკლე ვადაში და ენის სპეციალური გაკვეთილების საფუძველზე, სკოლაში ბოშური წარმოშობის ბავშვების ავტომატურად ცალკე კლასში განაწილება, ეს იყო ერთიანი საფუძველი, რომელსაც ევროპული სახელმწიფოების ნაწილი იზიარებდა, რაც გამოიხატებოდა სერიოზულ პრობლემაში, ბოშური წარმოშობის ბავშებისთვის ადეკვატური განათლების მიცემის პროცესში. შესაბამისად , მან დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა ხორვატიის მიერ, და ამასთანავე, დააკისრა მას კომპენსაცია მომჩივანთა სასარგებლოდ.

538 საქმეში Zeïbek v. Greece განმცხადებელს უარი ეთქვა საპენსიო დანამატზე, რომელიც გამოყოფილი იყო “დიდი ოჯახებისათვის”.[882] ბავშვთა რაოდენობით მისი ოჯახი დაწესებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, მაგრამ ერთ-ერთი შვილი საბერძნეთის მოქალაქე არ იყო იმ დროისათვის, როცა განმცხადებელი საპენსიო ასაკისა გახდა. ეს მდგომარეობა გამოიწვია მთავრობის ადრინდელმა გადაწყვეტილებამ (რომელშიც ბევრი უზუსტობა იყო), რომლის თანახმადაც, განმცხადებლის მთელ ოჯახს ჯერ გაუუქმეს მოქალაქეობა და შემდეგ აღუდგინეს ოთხიდან მხოლოდ სამ შვილს (რადგან მეოთხე უკვე დაქორწინებული იყო). ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოქალაქეობის გაუქმების პოლიტიკა, ძირითადად, მუსულმან ბერძნებთან მიმართებით გამოიყენებოდა

[879] Koua Poirrez v France, Merits, App no 40892/98, ECHR, October, 2003.
[880] Social security as a human right the protection afforded by the European Convention on Human Right, Human Rights Files No 23, Council of Europe, 2007, at 60.
[881] Oršuš and Others v. Croatia, საჩივრის ნომერი - 15766/03, გადაწყვეტილების მიღების თარიღი - 16/03/2010.
[882] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება Zeïbek v. Greece (№46368/06).

და პენსიის გაცემაზე უარი ვერ გამართლდებოდა ბერძნული ეროვნების შენარჩუნების საფუძვლით, რადგან ეს მოტივი, თავისთავად, ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე დისკრიმინაციას უტოლდებოდა.

539 საქმე Köse and others v. Turkey შეეხებოდა „დრეს კოდს“, რომელიც გოგონებს სკოლაში თავსაბურავის ტარებას უკრძალავდა. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ეს იყო დისკრიმინაცია რელიგიის საფუძველზე, რადგან თავსაბურავის ტარება მუსულმანთა რელიგიური ჩვეულება გახლდათ.[883] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩაცმულობის წესები რომელიმე რელიგიასთან კავშირში არ უნდა განხილულიყო. მათი შემოღების მიზანი სკოლებში ნეიტრალობისა და სეკულარიზმის შენარჩუნება იყო, რაც, თავის მხრივ, ახდენდა არეულობის პრევენციას და იცავდა სხვათა უფლებებს, რელიგიურ რწმენაში ჩაურევლობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლად და დაუშვებლად ცნო. ევროპულმა სასამართლომ იგივე მიდგომა გამოიყენა საქმეში მასწავლებელთა “დრეს კოდის” შესახებ.[884]

540 ამ მხრივ ერთ -ერთი მნიშვნელოვანი საქმეა 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“. ესაა პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ მე-2 და მე-14 მუხლები გააერთიანა. საქმე ეხებოდა ე.წ. სიძულვილის დანაშაულს. `დიდი პალატა მიიჩნევს (...), რომ ნებისმიერი მტკიცებულება იმისა, რომ პოლიციელმა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები იხმარა ისეთი ოპერაციის ჩატარებისას, რომელიც ძალის გამოყენებას მოიცავდა ეთნიკური ან სხვა სახის უმცირე-სობის წარმომადგენლების წინააღმდეგ, ძალიან არსებითია იმ საკითხის გარკვევისთვის, ჰქონდა თუ არა უკანონო და სიძულვილით გაღვივებულ ძალადობას ადგილი. თუ საქმის გამოძიებისას ასეთი მტკიცებულება გამოჩნდება, ის უნდა გადამოწმდეს და დადასტურების შემთხვევაში ნებისმიერი არსებული ფაქტი სრულყოფილად იქნეს შესწავლილი რასისტული მოტივაციის გამოვლენის მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ `ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ შეასრულეს მე-14 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა, მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ითხოვს სახელმწიფოსგან, ყველა ზომა მიიღოს იმის გამოსაძიებლად, ჰქონდა თუ არა დისკრიმინაციას ადგილი ამ მოვლენებისას.[885] გარდა ამისა, რასიზმთან დაკავშირებით სასამართლომ თავისი მოთხოვნები ჩამოაყალიბა შემდეგი პრინციპის სახით: „რასობრივი ძალადობა განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისთვის და (...) ხელისუფლებისგან სიფრთხილეს და აქტიურ რეაგირებას მოითხოვს. ამ მიზნით, ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა არსებული საშუალება და შეებრძოლოს რასიზმსა და რასობრივ ძალადობას, რითაც განამტკიცებს დემოკრატიულ საზოგადოებას, რომლისთვისაც მრავალფეროვნება საფრთხეს კი არა, სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს.[886] ამ გადაწყვეტილებაში, კიდევ ერთ სასარგებლო მხარეს ჩანს - საქმის დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-14 მუხლის მიერ სახელმწიფოს მიმართ პოზიტიური ცალსახა ვალდებულებების დაკისრებისათვის.[887] (სასამართლოს

[883] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება: Köse and others v. Turkey (dec.) (№26625/02),

[884] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება Dahlab v. Switzerland (dec.) (№42393/98).

[885] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (დიდი პალატა), 2005 წლის 6 ივლისის, გადაწვეტილება ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, p. 164.

[886] იქვე. 145.

[887] მანამდეც ასეთი ვალდებულებები მე-14 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიმართ არსებობდა. იხ. 4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება: „ბეკოსი და

ეს დიდი ხანია აღიარებული აქვს), რაც მოითხოვს სახელმწიფოებისგან, მიიღონ ზომები, განსაკუთრებით წინასწარი აღმკვეთი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გარანტირებული უფლებები ინდივიდუალური პირების დონეზეც კი, როდესაც ხშირია რასიზმის გამოვლინებას.

ლიტერატურა

აბაშიძე/ არგანაშვილი/ შველიძე/ სალდაძე, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, თბილისი 2017; ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, თბილისი 2013; ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, მერიდიანი, 2018; გელიტაშვილი, ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თსუ 2011; ევროპის საბჭო, დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ ნაშრომი, 2013; ევროპის საბჭო, საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2015; ზედელაშვილი, სამართლის უზენაესობა „ქამელეონი სასამართლოს“ იურისპრუდენციაში - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტის შესახებ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 2021; იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; კობახიძე, ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები თბილისი, 2007; ლოლაძე, ბ., სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კორკელია, თბილისი, 2012; ტოკვილი, დემოკრატია ამერიკაში. ფრანგულიდან თარგმნა: პროფ. დოდო ლაბუჩიძემ. თბილისი 2011; ტუღუში/ მენაბდე/ ბურჯანაძე/ გოცირიძე/ შვენიერაძე: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013; ფირანიშვილი, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, კვლევის ავტორი: კვლევის ხელმძღვანელი: მიქელაძე, (EMC) 2019; ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი, თბილისი 2017; ხურციძე, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ფარგლები ქონებრივ ურთიერთობებში, დისერტაცია, 2021; Bogs, Das Problem der Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: Festschrift für Friedrich Lenz, Berlin 1961; Capotorti, The Protection of Minorities under Multilateral Agreements on Human Rights in The Italian Yearbook of International Law, 1976;

Garve, übersetztung und erläuterterung, Die Ethik des Aristoteles. 2 Bände; Dworkin, Sovereign Virtue, The Theory and Practice of Equality. Harvard University Press, 2000; Heller, Freiheit, Gleichheit und Brüderlichkeit in Kants Kritik der Urteilskraft. In: Kant und die Berliner Aufklärung.

კუდროპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ“; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება: „ოგნიანოვა და ჩობანი ბულგარეთის წინააღმდეგ“.

De Gruyter, 2014; Herzog (Bearb.): Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.)/Herzog, Roman/Scholz, Rupert/ Herdegen, Matthias/Hans H. Klein (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band III, München 1958; Illhardt, Locke, John. In: Werner E. Gerabek, Bernhard D. Haage, Gundolf Keil, Wolfgang Wegner (Hrsg.): Enzyklopädie Medizingeschichte. De Gruyter, Berlin/New York 2005; Ipsen, Staatsrecht II, Grundrechte, 21. Aufl. 2018; Jarass / Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik, Kommentar Deutschland: GG. Art, 5., 8. Auflage. Verlag, C.H. Beck München 2006; Karpen: Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985; Korn, Band 1: Die zwey ersten Bücher der Ethik nebst einer zur Einleitung dienenden Abhandlung über die verschiednen Principe der Sittenlehre, von Aristoteles an bis auf unsre Zeiten., Breslau 1798, Band 2: Die acht übrigen Bücher der Ethik. Hrsg. von Kaspar/Manso, Korn, Breslau 1801; Krebs, Gleichheit oder Gerechtigkeit. Die Kritik am Egalitarismus, Gleichheit oder Gerechtigkeit.Texte der neuen Egalitarismuskritik (suhrkamp taschenbuch wissenschaft), 2000; Ladwig, Gerechtigkeit und Gleichheit, PROKLA. Zeitschrift für kritische Sozialwissenschaft, Heft 121, 30. Jg., Nr. 4, 2000; Locke, zwei Abhandlungen über die Regierung, Suhrkamp, Taschenbuch, Hrsg. Walter Euchner, Frankfurt am Main 1977; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28. Aufl. 2012; Raaflaub, Die Entdeckung der Freiheit: Zur historischen Semantik und Gesellschaftsgeschichte eines politischen Grundbegriffes der Griechen. (Vestigia, 37). Munich: Beck, 1985; Sommermann, Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010; Sunjid, Der Gleichheitsgrundsatz in Bezug auf das allgemeine Gleichbehandlungsgesetz im deutschen und mongolischen Recht. Herbert Utz Verlag, München, 2009;

Waldron, God, Locke, and Equality: Christian Foundations in Locke's Political Thought. Cambridge University Press, Cambridge 2002; Ziegler, John Locke - Naturzustand und Zweck des Staates, 1999.

მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

შინაარსი

მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება 197

შინაარსი 197

1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 198

1.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი მნიშვნელობა..... 198

1.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფერო..... 200

1.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პერსონალური დაცული სფერო 200

1.2.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების საგნობრივი დაცული სფერო 200

1.2.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ელემენტები და სუბსიდიური ბუნება 200

1.2.2.2. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება 202

1.2.2.3. ზოგადი პიროვნული უფლება 203

1.3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 208

2. ჩარევა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცულ სფეროში..... 209

3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცულ სფეროში ჩარევის შემოწმება 213

3.1. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 213

3.2. კონსტიტუციის მატერიალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება..... 214

3.2.1. ლეგიტიმური მიზანი 214

3.2.2. გამოსადეგობა 217

3.2.3. აუცილებლობა..... 219

3.2.4. პროპორციულობა..... 221

3.3. პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 223

ლიტერატურა..... 224

1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი მნიშვნელობა

541 კონსტიტუციის მე-12 მუხლი აღიარებს ყველას უფლებას საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ადამიანის, როგორც ძირითადი ფასეულობის აღიარების გამოხატულებაა, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სფეროში ინდივიდების თავისუფლების სრულყოფილი დაცვის უზრუნველყოფისაკენ. საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი ძირითადად იმეორებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებულ ფორმულირებას, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ საქართველოს უზენაეს კანონში ეს უფლება სწორედ გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით მოხვდა. აღსანიშნავია, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების უდიდესი პოტენციალის გამოყენება საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან დაახლოებით 20 წლის შემდეგ დაიწყეს მოსარჩელეებმა საკონსტიტუციო სასამართ-ლოსათვის მიმართვისას. ქართული სასამართლო პრაქტიკა, მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისა, არ არის მრავალფეროვანი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან დაკავშირებით, ამიტომ ქვემოთ ხშირად გავამახვილებთ ყურადღებას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომებზე, რომელსაც მდიდარი გამოცდილება აქვს აღნიშნულ უფლებასთან და მის ცალკეულ ელემენტებთან დაკავშირებით.

542 ითვლება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აგრძელებს მე-18 საუკუნის ბოლოს ადამიანის უფლებების სფეროში მიღებული ისტორიული დეკლარაციების ტრადიციას. აქ იგულისხმება ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციის (1776) პირველი მუხლით განმტკიცებული ადამიანის უფლება ბედნიერებისა და უსაფრთხოებისაკენ სწრაფვაზე. თუმცა, განსაკუთრებული გავლენა მაინც საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის (1789) მე-4 მუხლს აქვს, რომლის მიხედვითაც, თავისუფლება მდგომარეობს იმაში, გქონდეს ყველაფრის კეთების უფლება, რაც სხვებს არ აზიანებს. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ძირითადი კანონის პროექტზე მუშაობისას, თავდაპირველ ვარიანტებში, სწორედ ეს ფორმულირება იყო გათვალისწინებული, რომელიც საბოლოოდ შეიცვალა არა შინაარსობრივი მიუღებლობის, არამედ ენობრივი საფუძვლების გამო. ძირითადი კანონის ავტორებმა ჩათვალეს, რომ ტერმინი „თავისუფალი განვითარება“ უფრო შეესატყვისებოდა თავისუფლების ყოვლისმომცველი გარანტირების მიზანს.[888]

543 სამეცნიერო ლიტერატურაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას „თავისუფლების მთავარ უფლებადაც“ მოიხსენიებენ,[889] ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მას განიხილავს, როგორც „ადამიანის უფლებათა და

[888] შეადარე: Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 1 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 8; Ipsen, Grundrechte, Rn. 768; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 2.

[889] მაგ.: Dürig G. (Bearb.), Kommentar zum Art. 2, Abs. 1 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 6.

თავისუფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გარანტიას".[890] კონსტიტუცია იცავს არა სხვადასხვა, „ვიწრო" თავისუფლებებს, არამედ ადამიანის თავისუფლებას მთლიანობაში. თავისუფლების სპეციალური უფლებები უზრუნველყოფს იმავე თავისუფლებას, რასაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ოღონდ ინდივიდის ცხოვრებისა და საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში ან გამოვლინების განსაკუთრებულ ფორმებში.[891] თავისუფლების ყოვლისმომცველი უზრუნველყოფა ემსახურება ადამიანის ღირსების დაცვას.[892] ადამიანის თვითრეალიზაციის, თავისუფლებისა და ღირსების ხელშეუვალობის ურთიერთგანპირობებულობას ხაზს უსვამს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.[893] ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი საზოგადოების ნაწილია, რომლის წევრებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და შეუძლიათ ზეგავლენის, მათ შორის ნეგატიურის, მოხდენა ერთმანეთზე. თავისუფლების ყოვლისმომცველი გარანტირება არ გულისხმობს ინდივიდისათვის უკიდეგანო თავისუფლების მინიჭებას, სხვათა თავისუფლებისა და საზოგადოების ინტერესებთან თავსებადობის იგნორირების შესაძლებლობასა და მისთვის სოციალური პასუხისმგებლობის მოხსნას.[894]

544 საზოგადოებას მხოლოდ მაშინ აქვს განვითარებისა და პროგრესის პერსპექტივა, როდესაც ის ინდივიდებისაგან შედგება, რომელთა ღირსებისა და თავისუფლების პატივისცემა გარანტირებულია. ამიტომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არა მხოლოდ ინდივიდუალური, სუბიექტური ინტერესების რეალიზაციას ემსახურება, არამედ საზოგადოებრივ, ობიექტური ხასიათის მიზნებსაც. „ადამიანების თავისუფალი თვითრეალიზაცია - განვითარება საკუთარი უნარების, შესაძლებლობების, სურვილების, გემოვნების, არჩევანის შესაბამისად არის გზა პერსონალური ინდივიდუალიზმისკენ, შედეგად კი წყარო პლურალისტური და, მაშასადამე, განვითარების პერსპექტივის მქონე საზოგადოების შექმნისთვის/არსებობისთვის."[895]

545 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ერთი მხრივ, ზეგავლენას ახდენს სხვა ძირითადი უფლებების გაგებასა და განმარტებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „...პიროვნების თავისუფალი განვითარება ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შედეგად თვითრეალიზაციის შესაძლებლობაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით, [პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას] შეიძლება ჰქონდეს ფუნდამენტური უფლებების ფარგლების გააზრებისთვის დამატებითი დატვირთვა იმ გაგებით, რომ ის ხაზს უსვამს თითოეული უფლების მნიშვნელობას ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, მაშასადამე, აჩენს ვალდებულებას, თითოეული უფლება განმარტებულ იქნეს სწორედ ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის პერსპექტივით."[896] მეორე მხრივ, პიროვნების თავისუფალი განვითარება, როგორც უზოგადესი უფლება, დეკლარაციულ ჩანაწერად დეგრადირდებოდა იმ ფუნდამენტურ უფლებათა უზრუნველყოფის გარეშე, რომლებიც შეიცავენ პიროვნების თავისუფალი განვითარების დაცვის სპეციალურ გარანტიებს.[897]

---

[890] N1/2/622 გადაწყვეტილება, II-12; N3/7/679 გადაწყვეტილება, II-2; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-93.
[891] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 12.
[892] Dürig, GG, Art. 2 I, Rn. 1 ff.; Di Fabio U. (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 1, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 1 f.; BVerfGE 5, 85 (204); 27, 1 (6); 45, 187 (228).
[893] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-1.
[894] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 11; BVerfGE 4, 7 (15 f.); 50, 290 (353 f.).
[895] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-4.
[896] იქვე, II-15.
[897] N3/7/679 გადაწყვეტილება, II-9.

1.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფერო

1.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პერსონალური დაცული სფერო

546 საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აქვს „ყველას". ამდენად, ეს უფლება ადამიანის უფლებათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.[898] ის ვრცელდება არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც. ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სუბიექტებად გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო განიხილავს გარდაცვლილ ფიზიკურ პირებსაც,[899] ხოლო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას იყენებს იმავე მიდგომას, რასაც ადამიანის ღირსების კონტექსტში.[900]

547 კერძო სამართლის იურიდიული პირები ითვლებიან საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების სუბიექტებად.[901] მათზე ასევე ვრცელდება ზოგადი პიროვნული უფლების ის ელემენტები, რომლებიც თავისი არსით მხოლოდ ფიზიკურ პირებზე არ არის გამოყენებადი (მაგალითად, უფლება საკუთარ სიტყვაზე).[902] იურიდიული პირი ვერ ისარგებლებს ზოგადი პიროვნული უფლების იმ ასპექტებით, რომლებიც უკავშირდება ღირსების ძირითად უფლებას, რამდენადაც ამ უფლების სუბიექტი შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს.[903] რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ისინი არ განეკუთვნებიან სუბიექტთა წრეს, რადგანაც არა საკუთარ „პიროვნებას" ავითარებენ, არამედ საჯარო უფლებამოსილებებს ახორციელებენ.[904]

1.2.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ელემენტები და სუბსიდიური ბუნება

548 საკონსტიტუციო სასამართლო, პრაქტიკულად, შეუძლებლად თვლის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზუსტ და ამომწურავ განმარტებას, მისი კომპონენტების სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო.[905] ამ უფლებით „დაცულ სფეროში ექცევა პიროვნების თავისუფალი განვითარების ნებისმიერი ფორმით

[898] შეადარე: Starck, GG, Art. 2, Rn. 48; Ipsen, Grundrechte, Rn. 764; BVerfGE 21, 362 (369 ff.); 45, 63 (78 f.).
[899] BGHZ 50, 133 (136); 143, 214 (218).
[900] BVerfGE 30, 173 (194 ff.).
[901] შეადარე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 7; BVerfGE 20, 323 (336); 70, 1 (25).
[902] შეადარე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 45, 73; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 39, 77; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 150 f.
[903] BVerfGE 95, 220 (242).
[904] Starck, GG, Art. 2, Rn. 48; Ipsen, Grundrechte, Rn. 764; BVerfGE 21, 362 (369 ff.); 45, 63 (78 f.).
[905] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-4. შეადარე ასევე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ", II-67.

რეალიზაცია“.[906] ის უზრუნველყოფს ინდივიდის განვითარებას ნებისმიერი შინაარსითა და მიმართულებით, მისი ნების, გადაწყვეტილებისა და არჩევანის შესაბამისად.[907]

549 გერმანული დოქტრინის მიხედვით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ორ ძირითად ელემენტს მოიცავს: 1) საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება და (2) ზოგადი პიროვნული უფლება.[908] შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, გარკვეული ტერმინოლოგიური თავისებურებებით, იზიარებს ამ იდეას. ის საუბრობს „ორ სასიცოცხლო კომპონენტზე“, რაც აუცილებელია ადამიანის თავისუფალი განვითარებისათვის.[909] პირველი კომპონენტია პიროვნების „მოქმედების ზოგადი თავისუფლება“. ეს არსობრივად იგივეა, რაც საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება. მეორე კომპონენტს სასამართლო არ ასახელებს, თუმცა აღწერს მას: „პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ..ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისათვის.“[910] ამ აღწერიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მეორე კომპონენტში ზოგად პიროვნულ უფლებას გულისხმობს.

550 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისა და სხვა უფლებებთან მიჯნის გავლებისათვის გადამწყვეტი დატვირთვა აქვს იმ გარემოებას, რომ ამ უფლებას აქვს სუბსიდიური ხასიათი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არ გამოიყენება, თუ აშკარაა ჩარევა რომელიმე სპეციალური უფლებით დაცულ სფეროში.[911] გამონაკლისის სახით, სუბსიდიური ბუნების არ არის მიმართება თანასწორობის ძირითად უფლებასთან და შესაძლოა, რომ ერთი და იგივე ჩარევა ორივე უფლებას არღვევდეს.[912]

551 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სუბსიდიურ ბუნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ამ უფლებას აქვს „შემავსებელი ფუნქცია“ და მისი საგნობრივი დაცული სფერო მოიცავს მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც აუცილებელია პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის, მაგრამ დარჩენილია სპეციალური ძირითადი უფლებების მოქმედების ფარგლებს მიღმა.[913]

[906] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-59.
[907] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-6.
[908] მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 41.
[909] N2/4/570 გადაწყვეტილება, II-4.
[910] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-55.
[911] შეადარე მაგ.: BVerfGE 6, 32 (36 f.); 30, 282 (236); 35, 35 (39); 57, 170 (177 f.); 58, 358 (363); 107, 299 (312); 109, 279 (325 f.).
[912] Kunig, GG, Art. 2, Rn. 88; BVerfGE 13, 21 (26, 30); 19, 206 (225).
[913] შეადარე: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-57; N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-5; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-16, 21; N1/2/622 გადაწყვეტილება, II-14-15; N3/7/679 გადაწყვეტილება, II-7.

1.2.2.2. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება

552 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების ფართო გაგება - უზრუნველყოფილია საქმიანობის თავისუფლება ყოვლისმომცველი თვალსაზრისით. ამ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია ამა თუ იმ მოქმედებას ადამიანის პიროვნების განვითარებაში.[914] ეს მიდგომა ძირითადად გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც.[915] შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც მსგავს პოზიციას აყალიბებს: „პიროვნების თავისუფალი განვითარების კონტექსტში ადამიანი სარგებლობს ქცევის თავისუფლებით, რომლის ფარგლები პირობადებულია მხოლოდ კანონით აკრძალული ქცევით. მაშასადამე, ადამიანს აქვს საკუთარი ნების, არჩევანისა და შესაძლებლობების მიხედვით ყველაფრის კეთების უფლება, რაც აკრძალული არ არის კანონით.“[916]

553 არსებობს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების შედარებით ვიწრო გაგების მხარდამჭერი პოზიციაც. მაგალითად, ტყეში ცხენოსნობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე მოსამართლე გრიმმა წარადგინა განსხვავებული აზრი, სადაც მან დაავიწროვა საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით დაცული სფერო ისეთ საქმიანობებამდე, რომელთაც პიროვნების განვითარებისათვის აქვთ სხვა ძირითადი უფლებებით დაცულ სიკეთეებთან შედარებადი მნიშვნელობა.[917] ამ მოსაზრებას უპირისპირებენ საკმაოდ წონად კონტრარგუმენტებს. თავისუფლების უფლებები ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს იცავს მათი სოციალურ-ეთიკური ღირებულებისა და მნიშვნელობის მიუხედავად. მაგალითად, აზრის თავისუფლება არ უზრუნველყოფს მხოლოდ რაციონალურად დასაბუთებული აზრების გამოხატვას ან გაერთიანების თავისუფლება - მხოლოდ ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც საყოველთაო კეთილდღეობის მიზანს ემსახურება. იგივე ლოგიკა უნდა გავრცელდეს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაზეც. ეს უფლება მოითხოვს, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს ადამიანის მოქმედების შესაძლებლობებს, კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას დაექვემდებაროს. ამდენად, ის წარმოადგენს ინდივიდის თავისუფლებას სახელმწიფოს მხრიდან არაკონსტიტუციური იძულებისაგან. თუ დაცული სფეროდან ამოვიღებთ ბუნებითი თავისუფლების განვითარების შესაძლებლობებს, მაშინ თავისუფლება იძულებისაგან გარდაიქმნება მხოლოდ სოციალურ-ეთიკურად აღიარებული მიზნების მიღწევის თავისუფლებად, რაც ეწინააღმდეგება მის არსს. ინდივიდს ძირითადი უფლებები გამოუყოფს პერსონალური ავტონომიის სფეროებს, რომელთა ფარგლებშიც ის დამოუკიდებლად წყვეტს, თუ რა მიმართულებით სურს საკუთარი პიროვნების განვითარება მიუხედავად იმისა, რამდენად არის მისი საქმიანობა ორიენტირებული საყოველთაო კეთილდღეობაზე, ეწინააღმდეგება თუ არა გაბატონებულ სოციალურ-ეთიკურ წარმოდგენებს ან რამდენად ღირებული და სერიოზულია ის.[918]

554 საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების ფართო გაგებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ამ უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნა არა მხოლოდ ისეთი მოქმედებების

[914] შეადარე მაგ.: BVerfGE 6, 32 (36 ff.); 54, 143 (146); 74, 129 (151 f.); 80, 137 (152 ff.).
[915] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 767; Starck, GG, Art. 2, Rn. 8 ff.
[916] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-8.
[917] BVerfGE, Sondervotum, 80, 137 (165).
[918] დაწვრილებით იხ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 771 ff.

განხორციელება, რომელიც სოციალურ-ეთიკურად გამართლებული და მნიშვნელოვანია (მაგალითად, სისხლის დონაცია[919]), არამედ ისეთი საქმიანობებიც, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი არ იყოს საზოგადოების უმრავლესობისათვის, მაგრამ თვით ამ მოქმედებების განმხორციელებელი პირები თვლიან მათ არსებითად საკუთარი პიროვნებების განვითარებისათვის (მაგალითად: არალიცენზირებული ხარების გამოყენება გამრავლებისათვის,[920] ცხენოსნობა ტყეში,[921] მტრედების გამოკვება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში[922] და ა.შ.). საქმიანობის თავისუფლება მოიცავს ისეთი მოქმედებების განხორციელებასაც, რომლებიც არათუ არარელევანტური, არამედ მორალურად მიუღებელიც შეიძლება იყოს სოციუმის წევრთა უმეტესობისათვის (მაგალითად: მათხოვრობა,[923] მარიხუანის მოხმარება რეკრეაციული მიზნით[924] და ა.შ).

555 საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება თავისუფლების უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. თავისუფლების სხვა უფლებების მსგავსად, მას აქვს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. ამდენად, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება ინდივიდს აძლევს არა მხოლოდ მოქმედების, არამედ მოქმედებისაგან თავის შეკავების შესაძლებლობასაც.[925]

1.2.2.3. ზოგადი პიროვნული უფლება

556 ზოგადი პიროვნული უფლება გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყვანა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან ადამიანის ღირსების ძირითად უფლებასთან კავშირში.[926] ზოგადად, აღიარებულია, რომ ძირითადი უფლებების ღირებულებითი სისტემა ფოკუსირდება სოციალურ ერთობაში თავისუფლად განვითარებადი ადამიანის პიროვნულობასა და ღირსებაზე.[927] საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების „აქტიურ“ ელემენტად განიხილება, ხოლო ზოგადი პიროვნული უფლება კი უზრუნველყოფს ინდივიდის პირადი სფეროს, სოციალური იდენტობისა და დამოუკიდებლობის პატივისცემასა და დაცვას.[928] ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლება იცავს აღნიშნულ სიკეთეთა იმ ნაწილს, რომელიც არ არის გარანტირებული თავისუფლების სხვა სპეციალური უფლებებით.[929]

557 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ არ იყენებს ტერმინს „ზოგადი პიროვნული უფლება“, თუმცა მისი ზოგიერთი განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების სწორედ ამ კომპონენტზეა საუბარი. სასამართლო აღნიშნავს, რომ „..ადამიანს აქვს უფლება, იყოს ისეთი, როგორიც თავად სურს, შეუძლია, მოსწონს.“[930] ის საუბრობს „პიროვნების ავტონომიურობის“

[919] შეადარე: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-63.
[920] BVerfGE 10, 55.
[921] BVerfGE 80, 137.
[922] BVerfGE 54, 143.
[923] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 120 a; Lăcătuş v. Switzerland (N14065/15; 19.1.2021).
[924] საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.
[925] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 52.
[926] BVerfGE 27, 1 (6); 35, 202 (220); 54, 148 (153).
[927] BVerfGE 6, 32 (41); 7, 198 (205); 34, 269 (281).
[928] შეადარე მაგ.: BVerfGE 27, 1 (6); 34, 269 (282); 54, 148 (153).
[929] BVerfGE 54, 148 (153).
[930] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-4.

დაცვაზე, ინდივიდის თავისუფლებაზე, „თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო..“[931] პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება „..პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე.“[932]

558 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა ზოგადი პიროვნული უფლების კომპონენტები,[933] რომელზეც მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება ამ უფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისათვის. ზოგადი პიროვნული უფლება უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების (ვიწრო) სფეროს დაცვას.[934] ამაში იგულისხმება ინდივიდის პიროვნული განვითარების სხვებისაგან დაფარული სფერო, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია ინტიმურობის დაცვა, სხვათა შეჭრისაგან თუ კონტროლისაგან თავის არიდება.[935] პირადი ცხოვრების მოქცევა ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში განპირობებულია იმით, რომ გერმანიის ძირითადი კანონი არ ითვალისწინებს შესაბამის სპეციალურ უფლებას განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციისაგან, რომელშიც პირადი ცხოვრების უფლების კომპონენტები გარანტირებულია სპეციალური ნორმით - მე-15 მუხლით, რომლის დაცულ სფეროზეც უკვე გამახვილდა ყურადღება.[936] პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით სპეციალური ნორმის - კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) კონტექსტში მსჯელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. ამ უფლების ფარგლებში უზრუნველყოფილია მაგალითად: პერსონალურ, პროფესიულ თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებში შესვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა;[937] ინდივიდის უფლება, თავად გადაწყვიტოს, გახდება თუ არა მშობელი;[938] შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეარჩიო შვილის ჩასახვისა თუ გაჩენის ფორმა (მაგალითად, აირჩიო ხელოვნური განაყოფიერება,[939] გადაწყვიტო ბინაზე მშობიარობა[940] და ა.შ.); დამოკიდებულების გამოხატვა გარდაცვალებულის მიმართ (მაგალითად, დედის უფლება, დაესწორს თავისი შვილის დაკრძალვას[941]) და სხვა. ამისგან განსხვავებით, კონვენციის მე-8 მუხლით არ არის გარანტირებული, მაგალითად, უფლება შვილებაზე,[942] ოჯახის შექმნასა[943] და ბიოლოგიური მამის მიერ „სამართლებრივი“ მამის მამობის გასაჩივრებაზე.[944]

559 ზოგადი პიროვნული უფლება უზრუნველყოფს ინდივიდის საჯარო თვითწარმოჩენის უფლებას, რაც უპირველეს ყოვლისა, იცავს პირად სფეროსთან დაკავშირებულ

[931] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-3, 47.
[932] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-54.
[933] დაწვრილებით იხ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 68 ff.
[934] BVerfGE 54, 148 (153).
[935] Kunig, GG, Art. 2, Rn. 32 f.
[936] იხ.: თავი 9. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები.
[937] Antonio Mata Estevez v. Spain (N56501/00; 10.5.2001); Slivenko v. Latvia (N48321/99; 9.10.2003).
[938] მაგ.: Evans v. the United Kingdom (N6339/05; 10.4.2007).
[939] Dickson v. the United Kingdom (N44362/04; 4.12.2007); S.H. and Others v. Austria (N57813/00; 3.11.2011); Costa and Pavan v. Italy (N54270/10; 28.8.2012); Knecht v. Romania (N10048/10; 2.10.2012).
[940] Ternovszky v. Hungary (N67545/09; 14.12.2010).
[941] Hadri-Vionnet v Switzerland (N55525/00; 14.2.2008).
[942] Fretté v. France (N36515/97; 26.2.2002); E.B. v. France (N43546/02; 22.1.2008).
[943] Lanzmann v. France (N23038/19; 12.11.2019).
[944] Hülsmann v. Germany (N26610/09; 5.11.2013); Markgraf v. Gemany (N42719/14; 10.3.2015).

ინფორმაციას (მაგალითად, ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ) სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მხრიდან შეუფერხებელი ხელმისაწვდომობისაგან.[945] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საჯარო თვითწარმოჩენის უფლება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. უფლება საკუთარ გამოსახულებაზე უზრუნველყოფს ინდივიდის შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს, რამდენად და როგორ შეუძლიათ სხვებს მისი ცხოვრების ზოგადი სურათის ან ცალკეული ცხოვრებისეული მოვლენების საჯაროდ გადმოცემა.[946] უფლება საკუთარ სიტყვაზე იცავს ინდივიდს პირადი თუ სამსახურებრივი საუბრების ფარული ჩაწერისაგან, ასევე მისთვის იმ გამონათქვამების მიწერისაგან, რომელიც მას არ ეკუთვნის.[947] პასუხის უფლება იძლევა სამართლებრივ შესაძლებლობას, პირმა მოახდინოს რეაგირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მის (ნეგატიურ) წარმოჩენაზე.[948] თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება იცავს პირს იძულებისაგან, სისხლის ან სხვა მსგავსი სამართალწარმოების ფარგლებში, განახორციელოს საკუთარი თავის ინკრიმინაცია.[949] რესოციალიზაციის უფლება ხელს უწყობს მსჯავრდებულის რეინტეგრაციას საზოგადოებაში.[950] საჯარო თვითწარმოჩენის უფლებასთან დაკავშირებითაც უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განვითარებულია გერმანიის ძირითადი კანონის საფუძველზე. ქართულ კონსტიტუციურსამართლებრივ სინამდვილეში ამ უფლების ზოგიერთი კომპონენტი (მაგალითად, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება) ექცევა სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და არ არსებობს მათზე ზოგადი პიროვნული უფლების მოქმედების გავრცელების საჭიროება.

560 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყვანა ზოგადი პიროვნული უფლებიდან ადამიანის ღირსების უფლებასთან კავშირში, იმ გამოწვევების განხილვის კონტექსტში, რაც მომდინარეობდა პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებიდან.[951] ეს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემთა ავტომატური დამუშავებით და იცავს პირს სახელმწიფოს მიერ მისი პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით მოპოვებისა და დამუშავებისაგან.[952] ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებით დაცული სიკეთეა ინდივიდის უფლება, ძირითადად თავად განსაზღვროს თავისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოყენების საკითხი.[953] პირმა საკმარისი სიზუსტით უნდა შეძლოს იმის გარკვევა, თუ მასთან დაკავშირებული რომელი ინფორმაციაა მიმოქცევაში.[954] არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად ღირებულია პერსონალური მონაცემები.[955] როგორც ვხედავთ, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების მთავარი მიზანი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის

[945] BVerfGE 27, 344 (350 f.); 32, 373 (374 f.).
[946] BVerfGE 35, 202 (220). შეადარე ასევე: Standard Verlags GmbH v. Austria (N2); Von Hannover v. Germany (N2); Von Hannover v. Germany (N3); Kahn v. Germany (N16313/10; 17.3.2016).
[947] შეადარე მაგ.: BVerfGE 34, 238 (246); 54, 148 (155); 54, 208 (217 f.).
[948] BVerfGE 63, 131 (142 f.).
[949] BVerfGE 38, 105 (114 f.).
[950] BVerfGE 35, 202 (235 ff.); 64, 261 (276 f.).
[951] მაგ.: BVerfGE 61, 1 (41 ff.); 100, 313 (358 f.).
[952] BVerfGE 78, 77 (84).
[953] BVerfGE 65, 1 (43).
[954] BVerfGE 120, 351 (360).
[955] BVerfGE 120, 378 (398 f.).

გარანტირებაა, ამიტომ ის უფრო საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სფეროს მიეკუთვნება, გარდა ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვისა, რაც უზრუნველყოფილია სპეციალური ნორმით - მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების საგნობრივ დაცულ სფეროს მიაკუთვნებს სახელმწიფოს მიერ უკვე მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვის საკითხს.[956]

561 ზოგადი პიროვნული უფლების დაცული სფერო მოიცავს სოციალური და პიროვნული იდენტობის დაცვის უფლებას. ინდივიდის სოციალური იდენტობა დაცულია სხვათა მიერ მასთან დაკავშირებით მცდარი ცნობების გავრცელებისაგან. პიროვნული იდენტობის კომპონენტი იცავს პიროვნების პატივს შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისა და მოქმედებებისაგან.[957] პირის უფლებას საკუთარი რეპუტაციის დაცვაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიაკუთვნებს კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროს,[958] თუმცა მასზე აპელირება ვერ მოხდება, თუ რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება თვით პირის ქცევის განჭვრეტადი შედეგია.[959]

562 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ინდივიდის იდენტობას უკავშირებს საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლებას, რაც პირს აძლევს მის წარმოშობასთან დაკავშირებული და მისთვის დაფარული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.[960] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ უფლებასაც კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილავს, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შემადგენელ ნაწილს.[961] ინდივიდს აქვს უფლება, მიიღოს სახელმწიფო ორგანოებისაგან მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება მის წარმოშობასა და იდენტობას.[962] აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევას საქართველოს კონსტიტუციიდან უფრო შეესატყვისება ინდივიდის უფლება, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას.[963]

563 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლებას პიროვნების თვითგამორკვევის უფლების ელემენტად განიხილავს, რომელსაც ასევე მიაკუთვნებს პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლებას, რაც გულისხმობს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად საკუთარი თავის შეგრძნებისა და გააზრების შესაძლებლობას. სასამართლო ამავე კონტექსტში მოიხსენიებს საკუთარი სქესისა და სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრას, სქესის შეცვლის უფლების ჩათვლით.[964] პიროვნული თვითიდენტიფიკაციის ნაწილად განიხილება პირის უფლება, „დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები..“[965] საკონსტიტუციო სასამართლო

[956] N1/5/625,640 საოქმო ჩანაწერი; N1/2/622 გადაწყვეტილება, II- 15, 18-21.
[957] BVerfGE 54, 148 (154); 54, 208 (217).
[958] Pfeifer v. Austria (N12556/03; 15.11.2007); A. v. Norway (N28070/06; 9.4.2009); Egeland and Hanseid v. Norway (N34438/04; 16.4.2009); Petrenco v. Moldova (N20928/05; 30.3.2010); Kucharczyk v. Poland (N72966/13; 24.11.2015).
[959] Evers v. Germany (N17895/14; 28.5.2020).
[960] BVerfGE 38, 241 (251, 253); 79, 256 (268 ff.); 90, 263 (270 ff.).
[961] მაგ.: Mikulić v. Croatia (N53176/99; 7.2.2002); Odièvre v. France (N42326/98; 13.2.2003); Jäggi v. Switzerland (N58757/00; 13.7.2006).
[962] Gaskin v. The United Kingdom.
[963] კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.
[964] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-6.
[965] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-56.

უფლებას სახელის ან/და გვარის შეცვლაზე ასევე უკავშირებს თვითიდენტიფიკაციას და მას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში განიხილავს.[966]

564 სახელთან და გვართან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომელიც მათ პერსონალური იდენტიფიკაციის საშუალებად და ოჯახთან კავშირის გამოხატულებად განიხილავს.[967] კონვენციის მე-8 მუხლით დაცულია არა მხოლოდ საკუთარი, არამედ შვილისათვის მშობლების მიერ სახელის შერჩევაც.[968] ამავე მუხლის მოქმედების ფარგლებში მოქცეულია ადამიანის სქესობრივი ცხოვრება და სექსუალური ორიენტაცია,[969] გენდერული იდენტობა,[970] სქესის შეცვლის გადაწყვეტილებისა[971] და ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შესახებ ჩანაწერების შეცვლის შესაძლებლობის[972] ჩათვლით. ამასთან გარანტირებული არ არის უფლება პროსტიტუციაზე[973] ისევე, როგორც სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უფლება.[974] ასევე რელევანტურია ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი სიკეთეების მიკუთვნება დაცული სფეროსადმი, რაც უკავშირდება უმცრესობათა იდენტობას - საუბარი უმცირესობის ენაზე,[975] ეთნიკური იდენტობა[976] და ეთნიკური უმცირეობების ცხოვრების განსხვავებული წესი.[977] ამავდროულად, კონვენცია არ მოითხოვს უმცირესობების პრივილეგირებასა და მათთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას.[978]

565 ზოგადი პიროვნული უფლებით დაცული სფეროს სხვა უფლებებით დაცული სფეროებისაგან მკაფიო გამიჯვნის საკითხს არსებითი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციის სხვა ნორმები მე-12 მუხლისაგან განსხვავებულ გარანტიებსა და სტანდარტებს ადგენს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცულ სფეროსთან ზღვარის გავლებისას რელევანტური იქნება ის ფორმულა, რაზეც უკვე გამახვილდა ყურადღება წიგნის შესაბამის თავში. კერძოდ, მე-15 მუხლით დაცულ სფეროში ექცევა ზოგადი პიროვნული უფლების ადამიანის პირად სფეროსთან დაკავშირებული ის კომპონენტები, რომლებიც (1) ობიექტური თვალსაზრისით, კერძო, დახურული და არასაჯარო ხასიათისაა, ხოლო (2) სუბიექტური კუთხით - ინდივიდს აქვს კონფიდენციალობის შენარჩუნებისა და გარე ჩარევისაგან თავისუფლების ნება. როდესაც ეს ორი ელემენტი კუმულაციურად არ არის სახეზე, მაშინ დღის წესრიგში დადგება ზოგადი პიროვნული უფლების გამოყენების

[966] დაწვრილებით იხ.: N2/4/570 გადაწყვეტილება, II-5-11.
[967] Burghartz v. Switzerland; Stjerna v. Finland; Heidecker-Tiemann v. Germany (N31745/02; 6.5.2008); Freifrau von Rehlingen and Others v. Germany (N33572/02; 6.5.2008); Daróczy v. Hungary (N44378/05; 1.7.2008).
[968] Guillot v. France; Johansson v. Finland (N10163/02; 6.9.2007).
[969] Bensaid v. the United Kingdom (N44599/98; 6.2.2001); Van Kück v. Germany (N35968/97; 12.6.2003).
[970] მაგ.: X v. The Former Yugoslav Republic of Macedonia (N29683/16; 17.1.2019).
[971] Rees v The United Kingdom (N9532/81; 17.10.1986); Cossey v. The United Kingdom (N10843/84; 27.9.1990); X, Y and Z v. the United Kingdom; Sheffield and Horsham v. The United Kingdom (N23390/94; 30.7.1998); Christine Goodwin v. the United Kingdom (N28957/95; 11.7.2002); Van Kück v. Germany; L. v. Lithuania (N27527/03; 11.9.2007).
[972] A.P., Garçon and Nicot v. France (N79885/12, 5247/13, 52596/13; 6.4.2017); S.V. v. Italy (N55216/08; 11.10.2018).
[973] X. v. Switzerland (N11680/85; 10.3.1988).
[974] Schlumpf v. Switzerland (N29002/06; 8.1.2009).
[975] Case “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium” v. Belgium (N1474/62, 1677/62, 1691/62, 1769/63, 1994/63, 2126/64; 23.7.1968).
[976] Iovcev and Others v. Moldova and Russia (N40942/14; 17.9.2019).
[977] G. and E. v. Norway (N9278/81; 9415/81; 3.10.1980); Noack and Others v. Germany (N46346/99; 25.5.2000); Chapman v. the United Kingdom (N27238/95; 18.1.2001); Connors v. The United Kingdom (N66746/01; 27.5.2004); R.B. v. Hungary (N64602/12; 12.4.2016).
[978] Noack and Others v. Germany.

საკითხი (თუ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვრცელდება რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლების მოქმედება). მაგალითად, სექსუალური ორიენტაცია ობიექტურად კერძო და არასაჯარო საკითხია, თუმცა ინდივიდს შეიძლება არ ჰქონდეს ამასთან დაკავშირებით კონფიდენციალობის შენარჩუნების სუბიექტური ნება და პირიქით, სურდეს ამ კუთხით მისი პიროვნული იდენტობის ღიად გამოხატვა. ამგვარი შემთხვევები ექცევა ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის ქვეშ.

1.3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

566 იქედან გამომდინარე, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება თავისუფლების უფლებების (status negativus) კატეგორიას განეკუთვნება, მისგან პირველ რიგში სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები გამომდინარეობს. ინდივიდს აქვს უფლება, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს თავის შეკავება კონსტიტუციურსამართ-ლებრივად გაუმართლებელი ჩარევებისაგან. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ პრინციპულად შეზღუდული მოცულობით და ის ყოველთვის საჭიროებს კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას.[979]

567 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ობიექტური მნიშვნელობიდან. ეს განსაკუთრებით შეეხება მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან დაცვის ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს როგორც ზოგადი პიროვნული უფლების, ასევე საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების დაცვას.[980] პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ნეგატიური და პოზიტიური თვალსაზრისით დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.[981] სახელმწიფომ, პირველ რიგში, კანონით უნდა აკრძალოს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში მესამე პირთა გაუმართლებელი ჩარევები (დაცვის პირველადი ვალდებულება). გარდა ამისა, მან ეფექტიანად უნდა აღასრულოს შესაბამისი კანონი (დაცვის მეორადი ვალდებულება).[982] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფო დაცვის ვალდებულებას მიაკუთვნებს, მაგალითად, სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ნორმების მიღებას.[983]

568 საკონსტიტუციო სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ვალდებუ-ლებებს მოწყვლადი ჯგუფების დაცვის კუთხით. ამ დროს კანონმდებელს მართებს დიდი სიფრთხილე იმ სფეროების მოწესრიგებისას, სადაც უფლებათა დაცვის განსაკუთრებული საჭიროება არსებობს.[984] ამგვარ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, „საჭიროების შემთხვევაში პოზიტიური მოქმედებებით უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესების დაცვა“, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაა მათი მეურვით უზრუნველყოფა. ამავდროულად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

[979] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 14, 18.
[980] შეადარე: იქვე, Rn. 14, 25, 59.
[981] დაწვრილებით იხ.: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-13.
[982] Murswiek, Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik, 108 ff.
[983] X. and Y. v. the Netherlands; Stubbings and Others v. The United Kingdom (N22083/93, 22095/93; 22.10.1996).
[984] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-68.

უფლებების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფისათვის კანონმდებელს ევალება იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რაც ამ კატეგორიის პირთათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებისას სასამართლოს მისცემს მათი „ნებელობითი და ინტელექტუალური უნარის მოშლის/დაზიანების ხარისხის“ გათვალისწინების შესაძლებლობას. კანონმდებლის მიზანი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის გადაწყვეტილებების მიღებისას დახმარების გაწევა და არა მათი ნების სრულად ჩანაცვლება, მათ შორის ისეთ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტა მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ.[985]

569 პოზიტიური ვალდებულების შესრულება არ უნდა წარიმართოს ცალმხრივად, მხოლოდ სუბიექტური ინტერესების დაკმაყოფილების მიმართულებით. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფო „..ერთი მხრივ, ვალდებულია, შექმნას თავისუფალი სივრცე პიროვნების განვითარებისთვის და უზრუნველყოს ამ უფლების ეფექტური რეალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, იზრუნოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე.“[986]

2. ჩარევა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცულ სფეროში

570 მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობასა და სტანდარტებს, ეს უფლება მაინც არ არის აბსოლუტური ხასიათის. მისი შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნების დაცვით.[987] ჩარევა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ამა თუ იმ კომპონენტის შეზღუდვაში, არამედ მის მიერ ამ უფლებით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობაში ან არასათანადოდ შესრულებაში.[988]

571 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირება არ არის მარტივი ამოცანა, რაც განპირობებულია ამ უფლების სუბსიდიური ხასიათით, დაცული სფეროს მასშტაბებით, სტრუქტურული სირთულითა და სხვა უფლებებით დაცულ სფეროებთან გამიჯვნის სირთულეებით. გასათვალისწინებელია ამ უფლების, როგორც ინდივიდის ავტონომიის დამცავი უფლების ბუნებაც. შეზღუდვა, რომელიც თავად უფლების სუბიექტის თავისუფალი ნების საფუძველზე და თანხმობით განხორციელდა, ჩარევად არ ითვლება.[989]

572 ჩარევის იდენტიფიცირებისას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენადაა კონკრეტულ შემთხვევაში შეზღუდული პიროვნების თავისუფალი განვითარების რომელიმე კომპონენტი, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ამის შემდეგ გასარკვევია, ხომ არ არის შეზღუდული კომპონენტი დაცული კონსტიტუციის სხვა ნორმით, რადგანაც ამ

[985] დაწვრილებით იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-33-41.
[986] N2/4/570 გადაწყვეტილება, II-13.
[987] შეადარე: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-11, 48, 169; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-65-66; N2/4/570 გადაწყვეტილება, II-13; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-11; N1/13/732 გადაწყვეტილება, II-14; N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.
[988] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 56.
[989] იქვე, Rn. 15.

შემთხვევაში სახეზეა ჩარევა სპეციალური ნორმით გათვალისწინებულ უფლებაში და არა კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ სფეროში.[990]

573 საკონსტიტუციო სასამართლო ჩარევას არ ადგენს, როდესაც სადავო ნორმა არ ზღუდავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ რომელიმე სიკეთეს. მაგალითად, მან განაცხადა, რომ უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატების პენსიის მარეგულირებელი ნორმა არ ქმნიდა რაიმე დაბრკოლებას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაციისათვის.[991] საკონსტიტუციო სასამართლომ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის თავისუფლებაში ჩარევად არ განიხილა სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესაძლებლობის აკრძალვა ჰომოსექსუალური ორიენტაციის პირთათვის. სადავო ნორმები არ შეეხებოდა მოსარჩელეთა სქესობრივ ცხოვრებას და არ ზღუდავდა მათი სქესობრივი ცხოვრების თავისუფლებას.[992]

574 პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირება არ მოხდა, რადგანაც იზღუდებოდა სხვა ძირითადი უფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, რომელთა გამო პირი მოკლებული იყო ქმედუნარიანობის აღდგენის დამოუკიდებლად მოთხოვნისა და შესაბამის სასამართლო პროცედურებში მონაწილეობის შესაძლებლობას, ჩაითვალა ჩარევად სასამართლოსათვის მიმართვისა და არა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაში ჩარევას შეიძლება მოჰყოლოდა სხვა კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა, ეს თავისთავად არ ნიშნავდა იმ უფლებაში ჩარევას, რომლის დასაცავადაც პირს სასამართლოსათვის მიმართვის საჭიროება უდგებოდა.[993] საკონსტიტუციო სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით არ შეაფასა სამოქალაქო კოდექსის ნორმა, რომელიც შეეხებოდა გარიგების ბათილობას, რადგანაც ქონებრივი უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული გარიგებების დადებისა და ქონებრივი უფლებების ფასის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა დაცული იყო საკუთრების უფლებით.[994] პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული პირადი შემოწმების მომწესრიგებელი ნორმები ასევე არ შემოწმდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით, რადგანაც ამ შემთხვევაში დადგინდა ჩარევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში.[995]

575 საკონსტიტუციო სასამართლო ჩარევას ადგენს, როდესაც მიდის დასკვნამდე, რომ იზღუდება სიკეთე, რომელიც დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით და ამავდროულად, ის არ ექცევა რომელიმე სხვა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. მაგალითად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან

---

[990] შეადარე: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-58.

[991] საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის N1/2/174,199 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I.

[992] დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის N2/2/536 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ II-3; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-64.

[993] დაწვრილებით იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-56-61.

[994] დაწვრილებით იხ.: N3/7/679 გადაწყვეტილება, II-12-17.

[995] დაწვრილებით იხ.: N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-98-99.

მიმართებით შეფასდა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც ჭკუასუსტობისა და სულით ავადმყოფობის გამო, პირს უზღუდავდა თავისი ნებითა და მოქმედებით სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების სრული მოცულობით შეძენისა და განხორციელების თავისუფლებასა და მესამე პირებთან ურთიერთობაში საკუთარი თავის წარმოდგენის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში იზღუდებოდა ადამიანის პიროვნული ავტონომია, რადგანაც მისი ნება სრულად ჩანაცვლებული იყო მეურვის ნებით.[996] პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევად შეფასდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" კანონით ქმედუუნარო პირებისათვის წვდომის შეზღუდვა მათსავე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე,[997] ასევე ამავე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა საკუთარი სურვილით ფსიქიატრიული დაწესებულებისა და ექიმის არჩევასთან და მკურნალობისა და გამოკვლევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.[998] ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით, რომელიც ადამიანის ფიზიკურ სუბსტანციაში იჭრება, გადაწყვეტილების მიღების შეზღუდვა უფრო ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევაა, ვიდრე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში. საკონსტიტუციო სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევად შეაფასა ასევე: საკუთარი და აღმავალი შტოს ნათესავის გვარის გაერთიანების დაუშვებლობა,[999] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ჩანაწერების მუდმივად შენახვა,[1000] სისხლისსა-მართლებრივი[1001] და ადმინისტრაციულსამართლებრივი[1002] პასუხისმგებლობის დაკისრება მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის.

576

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე არ ითვალისწინებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, თუმცა მის ფუნქციას კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლება ასრულებს. ამ უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირებისათვის გამოიყენება ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა სახელმწიფო ღონისძიების ხანგრძლივობა, მასშტაბები, ზეგავლენა და შეუქცევადობა.[1003] ევროპული სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია ღონისძიების მიზანი, რამდენად იჭრება იგი ინდივიდის პირად სივრცეში და უკავშირდება პირად თუ საჯარო მოვლენებს.[1004] იქედან გამომდინარე, რომ მე-8 მუხლი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებსაც აკისრებდა, ჩარევად განიხილება ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა და საჭირო ღონისძიებების განუხორციელებლობა.[1005] ასევე შესაძლებელია დავა სამომავლო ჩარევებთან დაკავშირებით, როდესაც არსებობს მომავალში უფლების შესაძლო შეზღუდვის მაღალი ალბათობის დამადასტურებელი კონკრეტული მონაცემები.[1006]

[996] დაწვრილებით იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-8-9.
[997] იქვე, II-168.
[998] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-46-47.
[999] დაწვრილებით იხ.: N2/4/570 გადაწყვეტილება, II-12, 22.
[1000] დაწვრილებით იხ.: N1/2/622 გადაწყვეტილება, II-18-21.
[1001] დაწვრილებით იხ.: N1/13/732 გადაწყვეტილება, II-11-12.
[1002] დაწვრილებით იხ.: N1/3/1282 გადაწყვეტილება, II-4.
[1003] Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 61.
[1004] მაგ.: Friedl v. Austria (N15225/89; 19.5.1994); S. and Marper v. the United Kingdom (N30562/04, 30566/04; 4.12.2008).
[1005] Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 62.
[1006] Aly Bernard and Others and Greenpeace - Luxembourg v. Luxembourg (N29197/95; 29.6.1999).

577 ევროპულმა სასამართლომ ჩარევად მიიჩნია, მაგალითად: პირის ფოტოების, თითის ანაბეჭდების ან გენეტიკური მასალის შენახვა,[1007] სავარაუდო დამნაშავის მიზანმიმართული ვიდეოგადაღება მოწმეთა მიერ მისი იდენტიფიცირებისათვის,[1008] საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განხორციელებული ვიდეოჩანაწერების გადაცემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის,[1009] წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირზე ორკვირიანი უწყვეტი ვიდეოზედამხედველობა,[1010] სამხედრო მოსამსახურეების გამოკითხვა მათ სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით იმავე სქესის პირებთან და ჰომოსექსუალობის გამო სამსახურიდან დათხოვნა,[1011] ეთნიკურად ბოშა პირისათვის საკუთარ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელ ვაგონში ცხოვრების აკრძალვა,[1012] პირზე მეურვეობის დაწესება,[1013] სახელის შეცვლის ვალდებულების დაკისრება,[1014] პატიმრის სპეცტანსაცმლის ტარების ვალდებულება,[1015] თავსაბურავის ტარების აკრძალვა,[1016] ჩადრის ტარების აკრძალვა[1017] და ა.შ. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლში ჩარევად არ შეაფასა, მაგალითად: ღვედის გაკეთების ვალდებულება,[1018] სასკოლო ფორმის ტარების ვალდებულება,[1019] საჯარო სივრცეებში განხორციელებული მონიტორინგი მონაცემების შეგროვებისა და შენახვის გარეშე,[1020] დემონსტრაციის ფოტოგადაღება[1021] და ა.შ.

578 გერმანული გამოცდილების მიხედვით, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ სამართლებრივი აკრძალვებით თუ ვალდებულებების დაკისრებით, არამედ სახელმწიფო ორგანოების ისეთი მოქმედებითაც, როგორიცაა მონიტორინგის ზომები ან გაფრთხილებები.[1022] ზოგადი პიროვნული უფლების ინფორმაციული თვითგამორკვევის კომპონენტში ჩარევად მიიჩნევა სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება, რომლითაც ხდება პერსონალური ინფორმაციისა თუ მონაცემების ამოღება და დამუშავება (მაგალითად, მოსახლეობის აღწერისას).[1023] საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ასევე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სივრცეების ვიდეომონიტორინგი ჩარევად შეიძლება განიხილებოდეს, როდესაც ის იძლევა არა ზოგად სურათს, არამედ აღბეჭდავს მონიტორინგის არეალში მოხვედრილ პირთა მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს ან ამგვარი ნიშნების დადგენა შესაძლებელია მონიტორინგის შედეგად მოპოვებული და შენახული მონაცემების დამუშავებით.[1024] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ჩარევად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ინდივიდი ექვემდებარება ე.წ. „თვალთვალის

[1007] S. and Marper v. the United Kingdom.
[1008] Perry v. the United Kingdom (N63737/00; 17.7.2003).
[1009] Peck v. the United Kingdom.
[1010] Van der Graaf v. the Netherlands (N8704/03; 1.6.2004).
[1011] Smith and Grady v. the United Kingdom (N33985/96, 33986/96; 27.9.1999); Lustig-Prean and Beckett v. The United Kingdom (N31417/96, 32377/96; 27.9.1999).
[1012] Chapman v. the United Kingdom.
[1013] Shtukaturov v. Russia (N44009/05; 27.3.2008).
[1014] Heidecker-Tiemann v. Germany.
[1015] McFeeley and Others v. the United Kingdom; X. v. the United Kingdom (N8231/78).
[1016] Leyla Sahin v. Turkey.
[1017] S.A.S. v. France.
[1018] X. v. Belgium (N8707/79; 13.12.1979).
[1019] Stevens v. the United Kingdom (N11674/85; 3.3.1986).
[1020] Calmanovici v. Romania (N42250/02; 1.7.2008).
[1021] Friedl v. Austria.
[1022] მაგ.: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 246.
[1023] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 88; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 381.
[1024] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 88a.

ზეწოლას".[1025] ამ დროს სათვალთვალო კამერა რეალურად შეიძლება გამორთული იყოს ან არ ხდებოდეს ფოკუსირება ადამიანის ინდივიდუალურ ნიშნებზე, მაგრამ ინდივიდმა არ იცის ამის შესახებ. ლიტერატურაში ამას „დამაშინებელ ჩარევებსაც" უწოდებენ.[1026] ევროპული სასამართლოსაგან განსხვავებით, საქმიანობის საყოველთაო თავისუფ-ლებაში ჩარევად ითვლება ავტომობილში ღვედის გაკეთების, ასევე მოტოტრანსპორტით გადაადგილებისას დამცავი ჩაფხუტის ტარების ვალდებულება.[1027] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საჯაროსამართლებრივ კორპორაციებში სავალდებულო წევრობას განიხილავს ჩარევად არა გაერთიანების თავისუფლებაში, არამედ საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში.[1028]

3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცულ სფეროში ჩარევის შემოწმება

3.1. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება

კონსტიტუციის მე-12 მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს პიროვნების თავისუფალი 579
განვითარების უფლების მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე შეზღუდვის დასაშვებობაზე, მაგრამ ამგვარ შემთხვევებზე, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა. კანონის დათქმა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფორმალური კომპონენტია.[1029] ამ უფლებაში ჩარევის დადგენის შემდეგ, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, რამდენად აკმაყოფილებს შეზღუდვა კონსტიტუციის ამ ფორმალურ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხორციელებული შემოწმების თანამიმდევრობა,[1030] თუმცა უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძველი მის მიერ ფართოდაა გაგებული და გარდა ფორმალური კანონებისა, მოიცავს პრეცედენტულ და ჩვეულებით სამართალს, ასევე კანონქვემდებარე აქტებს.[1031] ამგვარად, ხდება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემების განსხვავებებისა და სპეციფიკის გათვალისწინება. საქართველოს კონსტიტუცია ამ კუთხით უფრო მკაცრია. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საკანონმდებლო აქტით ან მის საფუძველზე მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტით. უფლებაში ჩარევის ყველა პრინციპული და არსებითი მნიშვნელობის საკითხი უნდა მოაწესრიგოს კანონმდებელმა. დელეგირების ფარგლებში, კანონქვემდებარე აქტებით რეგულირებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ მეორეხარისხოვანი დეტალები.

[1025] BVerfGE 65, 1 (43).
[1026] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 88a.
[1027] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 109; BVerfGE 59, 275 (278).
[1028] მაგ.: BVerfGE 10, 89 (103 f.); 38, 281 (299 f.).
[1029] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 19.
[1030] Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 91.
[1031] შეადარე მაგ.: The Sunday Times v. the United Kingdom (N1); Leander v. Sweden Leander; Dogru v. France (N27058/05; 4.12.2008).

580 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემზღუდველი კანონი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის მოთხოვნებს.[1032] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო პირის ქმედუუნაროდ ცნობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მან უნდა „..მკაფიოდ განისაზღვროს პირის ქმედუუნაროდ ცნობის კრიტერიუმები. ქმედუუნაროდ აღიარების საკანონმდებლო რეგლამენტაცია უნდა გამოირჩეოდეს საკმარისი სიცხადით, რათა ზუსტად ასახავდეს პირის საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე მორგებული შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას ქმნიდეს. ამავე დროს, კანონი მკაფიო მითითებებს უნდა აძლევდეს ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე სუბიექტებს, იქნება ეს სასამართლო, ფსიქიატრიული დაწესებულება თუ სხვა, რათა ზუსტად იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რა ხარისხის გონებრივი შეფერხების არსებობისას უნდა მოხდეს პირის ქმედუუნაროდ აღიარება და რა მასშტაბით.“[1033] ჩარევის კანონიერი საფუძვლის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელობის შესატყვისად, საკმარისად განსაზღვრულად ჩამოყალიბებას მოითხოვს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც.[1034]

581 უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის გარკვევის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს ამ საფუძვლის ხარისხს.[1035] დაინტერესებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს კანონზე და შეეძლოს იმის აღქმა, თუ რა სამართლებრივი შედეგები დადგება მისთვის.[1036] კანონის განსაზღვრულობის სტანდარტები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი მოქმედების სფეროზე, ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ღონისძიების სახეზე, ასევე იმ პირთა რაოდენობასა და სამართლებრივ მდგომარეობაზე, რომელთაც შესაბამისი რეგულირება შეეხება.[1037]

3.2. კონსტიტუციის მატერიალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება

3.2.1. ლეგიტიმური მიზანი

582 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემზღუდველი კანონი არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ მატერიალურადაც კონსტიტუციური უნდა იყოს.[1038] ამის შეფასების კრიტერიუმი თანაზომიერების პრინციპია.[1039] ამას არაერთხელ გაუსვა ხაზი საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში.[1040]

583 პირველ რიგში, სახელმწიფო ვალდებულია დაასაბუთოს, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[1041]

[1032] მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 101.
[1033] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-27.
[1034] BVerfGE 65, 1 (44, 46).
[1035] Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 93.
[1036] მაგ.: Uzun v. Germany (N35623/05; 2.9.2010).
[1037] მაგ.: Wretlund v. Sweden (N46210/99; 9.3.2004).
[1038] მაგ.: BVerfGE 6, 32 (40 f.); 70, 1 (25).
[1039] მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 323; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 21, 101; BVerfGE 65, 1 (44).
[1040] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-13, 171; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-67; N2/4/570 გადაწყვეტილება, II-16, 26; N1/2/622 გადაწყვეტილება, II-21; N1/13/732 გადაწყვეტილება, II-17; N1/3/1282 გადაწყვეტილება, II-8.
[1041] მაგ.: N1/2/622 გადაწყვეტილება, II-22.

ამასთან, მიზნის ფორმალური დასახელება საკმარისი არ არის. „უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ მიზნის გახორციელებისთვის, რომელსაც აქვს უნარი, გაამართლოს თავად ამ უფლების შეზღუდვა. ხოლო მიზნები, რომლებიც უნარიანია, გაამართლოს კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა, მომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებებისგან, რაზეც სახელმწიფო და საზოგადოება არის დაფუძნებული. ამდენად, ლეგიტიმური მიზანი, რომელიც per se ნებას რთავს სახელმწიფოს, შეზღუდოს პირის კონსტიტუციურ უფლებები, ამავე დროს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტს, არ მოხდეს ამ უკანასკნელის უფლებების შეზღუდვა არარელევანტური მიზნებისა თუ მიზეზების გამო.“[1042]

584 კონსტიტუცია პირდაპირ არ ასახელებს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა გამოც შეიძლება ჩარევა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში, მაგრამ ამ საკითხზე წარმოდგენას გვიქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია სხვათა უფლებების, კონსტიტუციური წესრიგისა და ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.[1043] საზოგადოებრივ ინტერესს, რომლის დასაცავადაც იზღუდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ნაკლებად ექნება ჩარევის გამართლების უნარი, თუ ის არ უკავშირდება მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სიკეთეს ან სიკეთეებს. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფის ფარგლებში მოიაზრება.[1044]

585 სხვათა უფლებების დასაცავად უფლების შეზღუდვა ეფუძნება პრინციპს neminem laedere, რაც გულისხმობს, რომ თავისუფლება უზრუნველყოფილია მხოლო იმ ფარგლებში, რამდენადაც ის არ აზიანებს სხვათა უფლებებს.[1045] თეორიაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, რამდენად მოიცავს „სხვათა უფლებები“ ძირითად უფლებებს. მოსაზრება, რომელიც ძირითადი უფლებების „სხვათა უფლებებისადმი“ მიკუთვნებას უარყოფს, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ისინი უშუალოდ არ მოქმედებენ მესამე პირთა მიმართ. კერძო პირი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით სარგებლობისას ვერ დაარღვევს სხვის ძირითად უფლებას. ამდენად, სხვათა ძირითადი უფლებების დასაცავად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება უშუალოდ ვერ შეიზღუდება.[1046] მეცნიერთა დიდი ნაწილი „სხვათა უფლებებში“ ძირითად უფლებებსაც მოიაზრებს.[1047] მათი არგუმენტაციით, ძირითადი უფლებები იცავს სამართლებრივ სიკეთეებს (მაგალითად: სიცოცხლე, საკუთრება და ა.შ.) ხელყოფისაგან. „სხვათა უფლებებში“, პირველ რიგში, სწორედ ძირითადი უფლებებით გარანტირებული სამართლებრივი სიკეთეები იგულისხმება.[1048]

586 საკონსტიტუციო სასამართლო „სხვათა უფლებებში“, აშკარად, ძირითად უფლებებსაც მოიაზრებს. მაგალითად, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესაძლებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში მან ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად ჩათვალა სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა

[1042] N2/4/570 გადაწყვეტილება, II-17.
[1043] შეადარე: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-66; N2/4/570 გადაწყვეტილება, II-13; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-4, 11.
[1044] მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 21.
[1045] Kunig, GG, Art. 2, Rn. 20; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 385; Starck, GG, Art. 2, Rn. 33.
[1046] შეადარე მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 91.
[1047] მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 20; Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland Bd. IV/1. Halbband: Die einzelnen Grundrechte: Der Schutz und die freiheitliche Entfaltung des Individuums, 2006, 267.
[1048] Ipsen, Grundrechte, Rn. 779.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.[1049] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად გარკვეულ შემთხვევებში მიიჩნევს არა მხოლოდ სხვათა, არამედ თვით შეზღუდვის ადრესატების უფლებებისა და ინტერესების დაცვასაც. მისი პოზიციით, პირის ქმედუუნაროდ აღიარება, პირველ რიგში, თავად ამ პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას ემსახურება. ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითებისა და ფსიქიკური აშლილობის გამო, ადამიანს სხვადასხვა ხარისხით უქვეითდება თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეგნებისა და მისი წარმართვის უნარი. ეს გარემოება წარმოშობს რისკს, რომ დამოუკიდებელი მოქმედების პირობებში ამგვარი პრობლემების მქონე ინდივიდმა მნიშვნელოვნად დააზიანოს თავისივე ინტერესები.[1050] საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუუნარო პირებისათვის საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად ჩათვალა ამ პირების პერსონალური მონაცემების დაცვა, რადგანაც მათთვის ინფორმაციის გადაცემა შეიცავდა ამ მონაცემთა გაუცნობიერებელი ქმედებებით მათსავე საზიანოდ გავრცელების საფრთხეს.[1051] „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის სადავო ნორმების, რომლებიც ქმედუუნარო პირს უზღუდავდა მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, ლეგიტიმურ მიზნად ჩაითვალა თვით ამ კატეგორიის პირთა მკურნალობის პროცესის ოპტიმალური მართვა. საკონსტიტუციო სასამართლომ, ამავდროულად, ხაზი გაუსვა მესამე პირთა უსაფრთხოებისა და სხვა ინტერსების ხელყოფის პრევენციასაც, რაც შეიძლება გამოეწვია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის გაუცნობიერებელ მოქმედებებს მისი მკურნალობის არასათანადო მართვის შემთხვევაში.[1052]

587 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვერ ვხვდებით „კონსტიტუციური წესრიგის“, როგორც ფასეულობის, რომლის დასაცავადაც დასაშვებია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა, განმარტებას. აქედან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილებაზე. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის კონტექსტში, „კონსტიტუციური წესრიგი“ განიმარტება ფართოდ, როგორც კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი წესრიგი,[1053] ანუ ყველა ნორმა, რომელიც ფორმალურად და მატერიალურად კონსტიტუციურია.[1054] აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ტერმინი გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ვიწროდ განიმარტება და მასში მხოლოდ კონსტიტუციის ელემენტარული პრინციპები მოიაზრება.[1055] ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფართო დაცული სფერო აჩენს მისი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის ასევე ფართოდ გაგების საჭიროებას.[1056]

588 ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის მიზანი, საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე

[1049] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-69.
[1050] დაწვრილებით იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-14-16.
[1051] იქვე, II-170.
[1052] იქვე, II-49.
[1053] BVerfGE 6, 32 (37 ff.); 50, 256 (262); 55, 159 (165); 59, 275 (278); 63, 88 (108 f.); 74, 129 (152); 80, 137 (153); 90, 145 (171 f.).
[1054] Dreier, GG, Art. 2 I, Rn. 54; Ipsen, Grundrechte, Rn. 782; Starck, GG, Art. 2, Rn. 25.
[1055] BVerfGE 6, 32 (38).
[1056] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 89; BVerfGE 6, 32 (38 ff.).

გადაწყვეტილებაში იკვეთება. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა საშიში ინფექციური დაავადებებისაგან,[1057] ასევე მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა.[1058] გადაწყვეტილებებში, რომლებიც უკავშირდებოდა ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩარევის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია როგორც ჯანმრთელობის დაცვა, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.[1059] ცხადია, ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესების წრე აღნიშნული სიკეთეებით არ ამოიწურება. პრაქტიკაში შეიძლება გამოიკვეთოს მრავალი სიკეთე, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო ნებისმიერ საზოგადოებრივ ინტერესს a priori არ განიხილავს შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად. საკუთარი და აღმავალი შტოს ნათესავის გვარის გაერთიანების დაუშვებლობის ლეგიტიმურ მიზნად მან არ ჩათვალა საზოგადოების დაბნეულობის პრევენცია. სასამართლომ არ გამორიცხა, რომ ეს ზოგადად, შეიძლება ყოფილიყო ღირებული საჯარო ინტერესი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების დაბნეულობას ახლდა საფრთხეები, რომლებიც მიზეზობრივად უკავშირდებოდა სხვა პირთა უფლებების შელახვას. საკუთარი გვარის ბებიის ან ბაბუის გვართან გაერთიანება ამგვარ საფრთხეებს არ წარმოშობდა.[1060]

3.2.2. გამოსადეგობა

589 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემთხვევაშიც, სხვა უფლებებში ჩარევის გამოსადეგობის შემოწმების მსგავსად, ხდება იმის გარკვევა, რამდენადაა კავშირი შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის და იძლევა თუ არა ჩარევა მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. ამასთან, თუ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა რამდენიმე მიზანს ემსახურება, გამოსადეგობის შემოწმება ხდება თითოეულ მიზანთან მიმართებით ცალ-ცალკე. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ჩარევა გამოსადეგი იყოს, ხოლო სხვა მიზნის მიღწევისათვის - არა.

590 ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს შორის კავშირის დასადგენად საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიკვლია ჯანმრთელობისათვის მარიხუანის მავნებლობის საკითხი. ბუნებრივია, ამგვარი კავშირი არ იარსებებდა, თუ დადგინდებოდა, რომ მარიხუანის მოხმარება ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნიდა. საკონსტიტუციო სასამართლომ, თავის პრაქტიკაზე დაყრდნობით,[1061] განაცხადა, რომ მარიხუანასა და კანაფის პროდუქტების მოხმარება ქმნიდა პოტენციურ რისკს ჯანმრთელობისათვის. მართალია, საფრთხის ხარისხი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისას და ზოგიერთ

[1057] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-70.
[1058] დაწვრილებით იხ.: N1/2/622 გადაწყვეტილება, II-22-24.
[1059] დაწვრილებით იხ.: N1/13/732 გადაწყვეტილება, II-18-22; N1/3/1282 გადაწყვეტილება, II-9-13.
[1060] დაწვრილებით იხ.: N2/4/570 გადაწყვეტილება, II-27-32.
[1061] N1/4/592 გადაწყვეტილება, II-76; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

შემთხვევაში, ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარებასთან შედარებითაც კი, მაგრამ მაინც ეჭვგარეშე იყო კავშირი შეზღუდვასა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს შორის.[1062] მსგავსი არგუმენტაცია წარმოადგინა საკონსტიტუციო სასამართლომ ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს შორის კავშირთან მიმართებით.[1063]

591 როდესაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევა არ უკავშირდება ლეგიტიმურ მიზანს, ის არ აკმაყოფილებს გამოსადეგობის კრიტერიუმს. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მიზეზით საზოგადოების უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად არ ჩათვალა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის. სასამართლომ შეამოწმა, რამდენად ქმნიდა მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის მომეტებულ საფრთხეს, ასევე ხომ არ აძლევდა მარიხუანის მოხმარების მოთხოვნილება ბიძგს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. გაირკვა, რომ აგრესიული ქცევა არ წარმოადგენდა მარიხუანის მოხმარების თანმდევ ტიპურ ეფექტს. არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ქმნიდა დანაშაულის ჩადენის ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მომეტებულ საფრთხეს. ჰიპოთეტური იყო დასკვნა, რომ მარიხუანის მოხმარება მასზე დამოკიდებულებას და მით უმეტეს, მისი მოპოვების მიზნით, დანაშაულის ჩადენას გამოიწვევდა. გარდა ამისა, არ იყო წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რომ მარიხუანა იწვევდა სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებას. ამასთან, მარიხუანის მოხმარების დასჯადობას, შეიძლება, უკუეფექტიც კი გამოეწვია მისი მომხმარებლის სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე გადასვლის სახით.[1064] საკონსტიტუციო სასამართლომ, მსგავსი არგუმენტების საფუძველზე, საზოგადოების უსაფრთხოებისა და სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის მიზნების მიღწევისათვის გამოსადეგ საშუალებად არ ჩათვალა მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც.[1065]

592 როგორც აღვნიშნეთ, გამოსადეგობის კრიტერიუმის შესასრულებლად საკმარისი არ არის ჩარევასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის ლოგიკური კავშირის დადგენა. ამავდროულად, შეზღუდვა უნდა იძლეოდეს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ სარისკო დონორების დისტანცირება სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის პროცესისაგან მიიჩნია ქმედით ღონისძიებად სისხლის რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.[1066]

[1062] დაწვრილებით იხ.: N1/13/732 გადაწყვეტილება, II-24-32.
[1063] დაწვრილებით იხ.: N1/3/1282 გადაწყვეტილება, II-15-16.
[1064] დაწვრილებით იხ.: N1/13/732 გადაწყვეტილება, II-33-41.
[1065] დაწვრილებით იხ.: N1/3/1282 გადაწყვეტილება, II-20-26.
[1066] N2/1/536 გადაწყვეტილება, II-71.

3.2.3. აუცილებლობა

593 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგი საშუალებაა, ექვემდებარება შემოწმებას აუცილებლობის კრიტერიუმთან შესაბამისობაზე. ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, როდესაც ჩარევა ყველაზე ნაკლებად მზღუდველი ღონისძიებაა. თუ გაირკვა, რომ არსებობს მიზნის მსგავსი ეფექტიანობით მიღწევის ალტერნატიული საშუალება, რომელიც პიროვნების თავისუფლებაში საერთოდ არ ერევა ან მას უფრო ნაკლებად ზღუდავს, ჩარევა აუცილებელი არ არის და მაშასადამე, არაკონსტიტუციურია.

594 საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არსებულ პრაქტიკიდან გამომდინარე, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევები ძირითადად არ შეესაბამებოდა აუცილებლობის მოთხოვნას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ბლანკეტური ხასიათი ჰქონდა და გამოიყენებოდა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობდა. მაგალითად, არაკონსტიტუციურად ჩაითვალა ქმედუუნარო პირების უფლებების შემზღუდველი რიგი ბლანკეტური ნორმებისა, რომლებიც: (1) გარიგების მეორე მხარეს აძლევდა ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ დადებული ნებისმიერი გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას. ეს არ იძლეოდა დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას, რომელიც ცალკეული პირების ინტელექტუალური და ნებელობითი უნარების ფაქტობრივი დაქვეითების ხარისხის თანაზომიერი იქნებოდა და გაითვალისწინებდა მათ ინდივიდუალურ მდგომარეობას;[1067] (2) ახდენდა განურჩევლად ყველა ქმედუუნარო პირის ნების სრულ და უპირობო ჩანაცვლებას მეურვის ნებით იმ პირობებში, როდესაც მათ მარტივი გარიგებები დამოუკიდებლად შეეძლოთ დაედოთ, ხოლო თუ არ ჰქონდათ გარიგების დადების საკმარისი გონებრივი უნარი, არსებობდა მათი ნების შესაბამისი დოზითა და ფორმით ასახვის შესაძლებლობა მეურვეთა მიერ მათი სახელით გარიგებების დადებისას;[1068] (3) ქმედუუნარო პირებს სრულად გამორიცხავდა საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან. ამ შემთხვევაშიც არ ხდებოდა პირთა გრადაცია გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხისა და ფორმის მიხედვით და მათი მონაწილეობა შესაბამის პროცესში აბსოლუტურად და უპირობოდ გამოირიცხებოდა;[1069] (4) ქმედუუნარო პირებს ბლანკეტურად, ინდივიდუალური გონებრივი უნარების შეფასების გარეშე, უზღუდავდა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას და არ წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას.[1070]

595 შეიძლება ითქვას, რომ ჩარევის ბლანკეტური ბუნება და მისი გავრცელება ისეთი შემთხვევებზე, როდესაც არ არსებობდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის აუცილებლობა, გახდა იმ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი, რომლებიც შეეხებოდა: (1) სექსუალური ორიენტაციის გამო სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აბსოლუტურ და განუსაზღვრელი ვადით აკრძალვას მიუხედავად იმისა, კავდებოდნენ თუ არა და დროის რა მონაკვეთში აღნიშნული პირები სარისკო სექსუალური ქცევით;[1071] (2) პირის მიერ ადმინისტრაციული

[1067] დაწვრილებით იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-18-30.
[1068] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-31-45.
[1069] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-50-55.
[1070] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-172.
[1071] დაწვრილებით იხ.: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-72-78.

სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ ინფორმაციის ბლანკეტურად, ყოველგვარი კატეგორიზებისა და ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე მუდმივად შენახვას;[1072] (3) ნებისმიერ გარემოებაში მარიხუანის მოხმარების სრულ და ბლანკეტურ აკრძალვას და ამისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას, როდესაც ეს არ იყო აუცილებელი სხვა პირთა უფლებების ან საჯარო წესრიგის და არც მომხმარებლის ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერესების დასაცავად.[1073]

596 ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობა საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად არ შეამოწმა, ისე გადავიდა ჩარევის (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის შემოწმების ეტაპზე. მან განაცხადა, რომ ვერ შეაფასებდა, თუ ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის წინააღმდეგ რომელი ღონისძიება იყო უკეთესი ან უფრო მეტად მიზანშეწონილი და მისი ამოცანა იყო მხოლოდ გამოყენებული რეგულირების კონსტიტუციასთან შესაბამისობის კონტროლი.[1074] აუცილებლობის შემოწმების ფარგლებში, სასამართლოს არ მოეთხოვება ჩარევის მიზანშეწონილობაზე ან საუკეთესოობაზე მსჯელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან უნდა დაადგინოს, ხომ არ არსებობს დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის გარეშე ან ნაკლებ ინტენსიური შეზღუდვით, რასაც აკეთებდა კიდეც სხვა შემთხვევებში. პარადოქსულია საკონსტიტუციო სასამართლოს მითითება „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებულ ხელმომწერ სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, რომ სისხლისსამართლებრივი წესით დასაჯონ ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვასთან დაკავშირებული ქმედებები, გარდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა.[1075] სადავო ნორმა სწორედ ნარკოტიკის მოხმარების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობას ადგენდა, ხოლო კონვენციის მოთხოვნა აშკარად უფრო ნაკლებ მზღუდავი ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის საფუძველს იძლეოდა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ეს არ გაუკეთებია.

597 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აუცილებლობისა და პროპორციულობის შემოწმებას ფაქტობრივად ერთ საფეხურზე ახორციელებს. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არ იყენებს აუცილებლობისა და (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის კრიტერიუმებს.[1076] კერძოდ, ჩარევა მაშინ ითვლება აუცილებლად, როდესაც (1) არსებობს მისი განხორციელების გადაუდებელი სოციალური საჭიროება და (2) ის პროპორციულია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[1077] ევროპული სასამართლო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ანიჭებს დისკრეციის სფეროს იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რა მოცულობითაა ჩარევა აუცილებელი.[1078] დისკრეციის ფარგლები განსაკუთრებით დამოკიდებულია ჩარევის მიზანსა და ინტენსივობაზე. ისინი ფართოვდება, როდესაც

[1072] დაწვრილებით იხ.: N1/2/622 გადაწყვეტილება, II-29-33.
[1073] დაწვრილებით იხ.: N1/3/1282 გადაწყვეტილება, II-29-36.
[1074] N1/13/732 გადაწყვეტილება, II-43.
[1075] იქვე, II-44.
[1076] შეადარე: Grabenwarter/Pabel, EMRK, §18, Rn. 14 ff.; Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 97.
[1077] მაგ.: Uzun v. Germany.
[1078] შეადარე მაგ.: Groppera Radio AG v. Switzerland.

კონვენციის წევრ სახელმწიფოებში არ არსებობს კონსენსუსი დასაცავი ინტერესების მნიშვნელობასთან ან მათი დაცვის ოპტიმალურ საშუალებებთან მიმართებით.[1079] მაგალითად, იქედან გამომდინარე, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა რეგულირებები სახელის შეცვლასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდა, მათ ჰქონდათ დისკრეციის ფართო სფერო სახელის შეცვლის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას.[1080]

3.2.4. პროპორციულობა

598 თანაზომიერების ტესტის ბოლო საფეხური პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის შემთხვევაშიც (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის შემოწმებაა. ამ ეტაპზე ხდება აწონ-დაწონვა და დაპირისპირებულ სიკეთეთა შედარება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ კუთხით მდიდარი არ არის. აქამდე მას მხოლოდ იმ საკითხზე მოუწია მსჯელობა, თუ რამდენად პროპორციული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თუმცა, ეს მსჯელობაც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას სასამართლოს მიდგომებზე ამ საკითხისადმი. პირველ რიგში, რაც უფრო მძიმეა ჩარევა, მით უფრო მნიშვნელოვანი და წონადი უნდა იყოს ის მიზანი, რომლის მიღწევისკენაც ის არის მიმართული. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებით პირადი ავტონომიის შეზღუდვა შეიძლება პროპორციულად ჩათვლილიყო იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზანი იქნებოდა მარიხუანის მოხმარებიდან მომდინარე მნიშვნელოვანი საფრთხეების აღმოფხვრა. საკონსტიტუციო სასამართლომ პროპორციულ საშუალებად არ ჩათვალა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი ქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს არ უქნიდა სხვების ჯანმრთელობას, ხოლო საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის გამო პირის დასჯა ემსახურებოდა მხოლოდ ზოგად პრევენციას, სისხლისსამართლებრივ დევნას (თვით)მიზნად აქცევდა, წარმოადგენდა თავისუფალ საზოგადოებასთან არათავსებად სახელმწიფო პატერნალიზმის ფორმას და გაუმართლებელი იყო. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ინდივიდუალური მომხმარებლის როლი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში თითქმის უმნიშვნელო იყო, არ უკავშირდებოდა ნარკოტიკის გასაღებას და შესაბამისად, არც სხვა პირთა ჯანმრთელობას უქმნიდა საფრთხეს. ამრიგად, მარიხუანის მოხმარებისათვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იყო მისგან მომდინარე უმნიშვნელო რისკების პროპორციული.[1081]

599 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის პროპორციულობასთან დაკავშირებით გაცილებით მდიდარი გამოცდილება აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. პროპორციულობის შემოწმების სიმკაცრე და სიფრთხილე აქაც ჩარევის მასშტაბებსა და სიმძიმეზეა დამოკიდებული.[1082] ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სიკეთეთა წონას, რომელთა დაცვასაც კონკრეტული ჩარევა ემსახუ-

[1079] შეადარე მაგ.: Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 98; Schüth v. Germany (N1620/03; 23.9.2010).
[1080] Stjerna v. Finland (N18131/91; 25.11.1994).
[1081] დაწვრილებით იხ.: N1/13/732 გადაწყვეტილება, II-45-57.
[1082] შეადარე მაგ.: BVerfGE 17, 306 (314).

რება. მაგალითად, სასამართლომ გაამართლა საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში ჩარევა მოტოციკლით გადაადგილებისას დამცავი ჩაფხუტის ტარების ვალდებულების სახით არა მხოლოდ იმ საფრთხის გამო, რასაც უჩაფხუტოთ გადაადგილება უქმნიდა თავად პირს, არამედ იმითაც, რომ ეს ქმნიდა საშიშროებას სხვებისათვის და დაზიანების შემთხვევაში, წარმოშობდა სოციალური ხარჯების გაღების აუცილებლობასაც.[1083]

600 ზოგადი პიროვნული უფლების კონტექსტში, განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, რომლებიც პირის პატივის დაცვას შეეხება და ეს უფლება გამოხატვის თავისუფლებას უპირისპირდება. ზოგად პიროვნულ უფლებას ენიჭება უპირატესობა პატივის განზრახ, შეგნებულად ხელყოფისას, როდესაც ხდება ადამიანის პიროვნული იდენტობის შელახვა შეურაცხყოფით, დამცირებით ან უპატივცემულობის გამოვლენით.[1084] ამასთან, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაზარალებულის ქცევას. მაგალითად, როდესაც პირი პოლიტიკურ დისკუსიაში ერთვება მწვავე გამონათქვამებით, მას მძიმე პასუხის მოლოდინი უნდა ჰქონდეს.[1085] ანალოგიური მიდგომაა საჯარო პირების (მაგალითად, პოლიტიკოსების) მიმართაც, თუნდაც ისინი სხვების მისამართით მწვავე გამონათქვამებს არ იყენებდნენ.[1086] ზოგად პიროვნულ უფლებასა და სოციალურ იდენტობას უპირატესობა აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება პირთან დაკავშირებით დადასტურებულად ცრუ ფაქტების გავრცელება.[1087] ამასთან, სასამართლო ყურადღების მიღმა არ ტოვებს იმ საფრთხეს, რაც შეიძლება შეუქმნას აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას გავრცელებული ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების გადამეტებული ვალდებულების დაკისრებამ და ამასთან დაკავშირებულმა სანქციებმა.[1088] სხვაგვარი მიდგომაა შეფასებით მოსაზრებებთან დაკავშირებით, რადგანაც ამ დროს მოქმედებს თავისუფალი სიტყვის დასაშვებობის პრეზუმფცია.[1089] ზოგად პიროვნულ უფლებას ამგვარი გამოხატვის მიმართ უპირატესობა აქვს, თუ ის აღწევს შეურაცხმყოფელი კრიტიკის დონეს, ანუ წინა პლანზეა არა საგნობრივი დაპირისპირება, არამედ სხვა პირის დიფამაცია.[1090]

601 მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განხორციელებულ გამოხატვას, მისი გავრცელების მასშტაბისა და საზოგადოებაზე ინტენსიური ზეგავლენის გამო, შეუძლია ზოგადი პიროვნული უფლების განსაკუთრებული სიმძიმით დარღვევა არა მხოლოდ არასწორი ცნობების გავრცელებით ან შეურაცხყოფით, არამედ ადამიანის პირად სფეროსთან დაკავშირებული ნამდვილი ფაქტების გავრცელებითაც.[1091] ამ დროს ხორციელდება აწონ-დაწონვა ზოგად პიროვნულ უფლებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას შორის. რაც უფრო მეტია საზოგადოების ინტერესი შესაბამისი ინფორმაციის მიმართ, მით უფრო ინტენსიური ჩარევა შეიძლება გამართლდეს ზოგად პიროვნულ უფლებაში.[1092] ეს არ გამორიცხავს იმას, რომ გარკვეულ შემთხვევებში ზოგადმა პიროვნულმა უფლებამ გადაწონოს მასმედიით შინაარსობრივად სწორი ინფორმაციის გავრცელების ინტერესიც კი.[1093]

[1083] BVerfGE 59, 275 (278).
[1084] შეადარე მაგ.: BVerfGE 90, 241 (248).
[1085] BVerfGE 12, 113 (131); 24, 278 (286); 54, 129 (138); 60, 234 (241); 89, 272 (282).
[1086] BVerfGE 54, 129 (138); 61, 1 (13).
[1087] BVerfGE 54, 208 (219 f.); 61, 1 (8); 85, 1 (22).
[1088] შეადარე: BVerfGE 54, 208 (219 f.); 61, 1 (8); 85, 1 (15).
[1089] მაგ.: BVerfGE 7, 198 (212); 85, 1 (16).
[1090] BVerfGE 82, 272 (284); 85, 1 (16); 93, 266 (294).
[1091] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 131.
[1092] BVerfGE 35, 202 (225 f.); 63, 131 (144).
[1093] BVerfGE 35, 202 (225 f.); 63, 131 (144); 101, 361 (393 f., 396); 103, 44 (64 ff.).

ზოგადი პიროვნული უფლება შეიძლება დაუპირისპირდეს არა მხოლოდ სხვათა 602
უფლებებს, არამედ საჯარო ინტერესებსაც. მაგალითად, ამ უფლებითაა უზრუნ-
ველყოფილი ინდივიდის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი
გარეგნობა - შეარჩიოს ვარცხნილობა, ატაროს მისთვის სასურველი ტანსაცმელი თუ
სამკაული და ა. შ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში,
სამხედრო მოსამსახურეთა გარეგნობასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემთხვევაში,
მათი ზოგადი პიროვნული უფლება გადაწონა შეიარაღებული ძალებში ჰიგიენისა და
ფუნქციაუნარიანობის შენარჩუნების ინტერესებმა.[1094]

603
პროპორციულობის კონტექსტში, დაპირისპირებულ სიკეთეთა შედარებასა და აწონ-
დაწონვას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.[1095] ამ პროცესში
დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სიკეთეს, რომლის დაცვისკენაც არის ჩარევა მიმართული.
მაგალითად, მოსახლეობის წარმოდგენები მორალთან დაკავშირებით ვერ გადაწონის
პირის თავისუფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი სქესობრივი ორიენტაცია
და ქცევა, თუმცა ამ თავისუფლებასთან მიმართებით უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს
არასრულწლოვანთა დაცვის მიზანს.[1096] ასევე რელევანტურია შეზღუდვის სიმძიმე და
ინტენსივობა. რაც უფრო მსუბუქია უფლებაში ჩარევა, მით უფრო მეტია შანსი, რომ
უპირატესობა მიენიჭოს იმ ინტერესს, რომლის დაცვასაც ეს ჩარევა ემსახურება.[1097]

3.3. პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

სახელმწიფოს მიერ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის 604
ვალდებულებების შესრულება, მატერიალური თვალსაზრისით, უნდა შეესაბამებოდეს
თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.[1098] თუმცა, სახელმწიფოს ნეგატიური
ვალდებულების დარღვევის შემოწმებისაგან განსხვავებით, რომლის ფარგლებშიც
ყურადღება მახვილდება იმაზე, ხომ არ იყო ჩარევა გადაჭარბებული, ამ შემთხვევაში
მთავარია არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპის დაცვა. გერმანიის ფედერალური
საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადად ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ
დაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით, რამდენად
ეფექტიანი, ადეკვატური და ქმედითი იყო სახელმწიფო დაცვა.[1099] რაც შეეხება
კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს, ითვლება, რომ ისინი მორგებულია
სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებების შესრულებაზე და არარელევანტურია
დაცვის ვალდებულებების შემთხვევაში.[1100]

605
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს, რამდენად
არსებობს კონკრეტულ საქმეზე სახელმწიფოს მოქმედების პოზიტიური ვალდებულება,
ხოლო ამის შემდეგ - თუ განახორციელა სახელმწიფომ უფლების დასაცავად საჭირო
ღონისძიებები.[1101] ამ ღონისძიებების მოქმედება შეიძლება გავრცელდეს კერძო პირებს

[1094] BVerfGE 46, 1 (2 f.); 76, 60 (62); 76, 66 (67).
[1095] მაგ.: Jäggi v. Switzerland.
[1096] Dudgeon v. the United Kingdom.
[1097] Guillot v. France.
[1098] Hermes G., Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit: Schutzpflicht und Schutzanspruch aus Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG, 1987, 253 ff.; Murswiek, Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik, 109 f.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 27.
[1099] მაგ.: BVerfGE 88, 203 (254).
[1100] Hermes, Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit, 260; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 26.
[1101] მაგ.: Kolyadenko and Others v. Russia (N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05; 28.2.2012).

შორის ურთიერთობებზეც.[1102] შემოწმებისას ევროპული სასამართლოც თანაზომიერების პრინციპს ეყრდნობა.[1103] პოზიტიური ვალდებულების დარღვევის შემოწმებისას მნიშვნელოვანია აწონ-დაწონვა უფლების სუბიექტის ინტერესსა და დაპირისპირებულ საჯარო ინტერესს შორის.[1104]

ლიტერატურა

Di Fabio, (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 1, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958; Dreier, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 1 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013; Dürig, (Bearb.), Kommentar zum Art. 2, Abs. 1 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958; Grabenwarter, Pabel, 7. Auflage. Verlag. Helbing Lichtenhahn Verlag. Basel. 2021; Hermes G., Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit: Schutzpflicht und Schutzanspruch aus Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG, 1987; Hermes, Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit: Schutzpflicht und Schutzanspruch aus Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG, 1987; Ipsen, Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 25., überarbeitete Auflage, 2013; Kunig (Bearb.): Kommentar zum Art. 2 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Murswiek, Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik. Verfassungsrechtliche Grundlagen und immissionsschutzrechtliche Ausformung, 1985; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 35. Aufl. 2019; Starck, Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz Artikel 5. Starck/Paulus in v. Mangoldt/Klein/Starck | GG Art. 5, 7. Auflage 2018; Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland Bd. IV/1. Halbband: Die einzelnen Grundrechte: Der Schutz und die freiheitliche Entfaltung des Individuums, 2006.

[1102] Schüth v. Germany; Mosley v. the United Kingdom.
[1103] დაწვრილებით იხ.: Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 100.
[1104] Stjerna v. Finland; A, B and C v. Ireland (N25579/05; 16.12.2010).

მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.

2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

5. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

შინაარსი

მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება 225

შინაარსი 225

1. ადამიანის თავისუფლების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 227

1.1. ადამიანის თავისუფლების უფლების ზოგადი მნიშვნელობა 227

1.2. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცული სფერო 228

1.2.1. ადამიანის თავისუფლების პერსონალური დაცული სფერო..... 228

1.2.2. ადამიანის თავისუფლების საგნობრივი დაცული სფერო 228

1.2.3. ადამიანის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები 230

1.2.4. ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიები 231

1.2.4.1. სასამართლო კონტროლი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე..... 231

1.2.4.2. საპროცესო გარანტიები დაკავებისას და დაკავებული პირის უფლებები..... 234

1.2.4.3. ბრალდებულის პატიმრობის ვადა და სხვა გარანტიები 238

1.2.5. კომპენსაციის მიღების უფლება..... 239

2. ჩარევა ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში 241

2.1. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის იდენტიფიცირება 241

2.2. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის სახეები 245

2.3. ჩარევა ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიებსა და კომპენსაციის მიღების უფლებაში 250

3. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის გამართლება 250

3.1. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის გამართლების ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები 250

3.1. 1. კანონის დათქმა და ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის კანონიერება 250

3.1.2. თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპები, თვითნებობისაგან დაცვა ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევისას 252

3.2. ადამიანის თავისუფლების უფლების სახელმწიფო დაცვის ვალდებულების დარღვევის შემოწმება 255

3.3. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ცალკეული სახეების გამართლების თავისუბურებანი 255

3.3.1. მსჯავრდების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის გამართლება 255

3.3.2. სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის/კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დაკავების/დაპატიმრების გამართლება 257

3.3.3. უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად დაკავების/დაპატიმრების გამართლება 258

3.3.3.1. დაკავების გამართლების თავისებურებანი 258

3.3.3.2. ბრალდებულის პატიმრობის გამართლების თავისებურებანი 264

3.3.3.3. პრევენციული დაკავებისა და პატიმრობის გამართლების თავისებურებანი 272

3.3.4. არასრულწლოვანის დაპატიმრების გამართლება 272

3.3.5 გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის დაპატიმრების გამართლება 273

3.3.6. ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად და დეპორტაციისათვის/ექსტრადიციისათვის დაკავების/დაპატიმრების გამართლება ... 275

3.4. კომპენსაციის მიღების უფლების დარღვევის შემოწმება 276

ლიტერატურა

1. ადამიანის თავისუფლების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. ადამიანის თავისუფლების უფლების ზოგადი მნიშვნელობა

ფიზიკურ თავისუფლებას ადამიანისათვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს.[1105] ამ 606
მნიშვნელოვანი წინაპირობის გარეშე არსებითად იზღუდება ან სრულად გამოირიცხება ინდივიდის სხვადასხვა მიმართულებით თავისუფალი განვითარების შესაძლებლობები.[1106] ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას თავისთავად მოჰყვება გამოხატვისა და მიმოსვლის თავისუფლებების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და სხვა ძირითადი უფლებების შეზღუდვაც.[1107] აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანად მიიჩნევს ადამიანის თავისუფლების უფლებას ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთ ძირითად საყრდენად.[1108] ადამიანის თავისუფლების უფლების დიდ წონაზე მეტყველებს მისი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის კომპლექსური ხასიათი, რაც გამოიხატება მის არა მხოლოდ მატერიალური, არამედ პროცესუალური ნორმებით გარანტირებაში.[1109]

607 ადამიანის თავისუფლების სახელმწიფოსაგან დაცვის მომეტებული ინტერესის გამო, მან ადგილი ჰპოვა ჯერ კიდევ თავისუფლებათა დიდ ქარტიაში, ხოლო ჰაბეას კორპუს აქტში ის მთავარ ღირებულებად გვევლინება, რომლის დაცვისკენაც ეს აქტია მიმართული. აქედან გამომდინარე, ადამიანის თავისუფლებას სამართლიანად მიაკუთვნებენ უძველესი ძირითადი უფლებების რიგს.[1110] ადამიანის თავისუფლება და ე.წ. ჰაბეას კორპუს უფლებები განმტკიცებული იყო და დღესაც გარანტირებულია სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, თუ კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტებში. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული რეგულირება საკმაოდ ვრცელი იყო[1111] და რაც მთავარია, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ეფექტიანად შეეძლო ადამიანის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა.

608 ადამიანის თავისუფლება აღიარებული და დაცულია საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და სხვა საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული

[1105] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 1.

[1106] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28; BVerfGE 109, 133 (157).

[1107] საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-6.

[1108] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-1.

[1109] შეადარე: Gusy C. (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 13 ff.; Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 3, 2. Auflage, 2006, Rn. 38; საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

[1110] Degenhart C. (Bearb.), Kommentar zum Art.104 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 1; Gusy, GG, Art. 104, Rn. 1 ff.; Ipsen, Grundrechte, Rn. 265; Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 1 ff.

[1111] იხ.: საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 22-ე - 27-ე მუხლები.

კონვენციის მე-5 მუხლს და მასთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას. ის ხელს გვიწყობს ადამიანის თავისუფლების უფლების სრულყოფილ ინტერპრეტაციასა და ამ უფლების დაცვის ხარისხის გაზრდაში. აქედან გამომდინარე, კონვენციის გარანტიებისა და სტანდარტების და ზოგადად, საერთაშორისო გამოცდილების, გათვალისწინება და პატივისცემა აუცილებელია.[1112] ეს არ გულისხმობს უარს კონსტიტუციურ გარანტიებზე და მათ ჩანაცვლებას საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისინი ადამიანის თავისუფლების უფლების დაცულობის უფრო მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.[1113]

1.2. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცული სფერო

1.2.1. ადამიანის თავისუფლების პერსონალური დაცული სფერო

609 ადამიანის თავისუფლების უფლების სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი.[1114] ამ კუთხით, მნიშვნელობა არ აქვს ფიზიკური პირის ასაკსა და ქმედუნარიანობას.[1115] ადამიანის თავისუფლების უფლება არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. მათ არ გააჩნიათ ამ უფლებით დაცული სიკეთე და შესაბამისად, არც მისი ხელყოფის საფრთხე შეიქმნება. მსგავს შემთხვევებში მიუთითებენ, რომ სახეზე არ არის ძირითადი უფლებისათვის ტიპიური, საფრთხის შემცველი მდგომარეობა.[1116] ბუნებრივია, რომ იურდიული პირი ვერც კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და გარანტიების, მათ შორის კომპენსაციის მიღების უფლების, სუბიექტი იქნება.[1117]

1.2.2. ადამიანის თავისუფლების საგნობრივი დაცული სფერო

610 ადამიანის თავისუფლების საგნობრივი დაცული სფეროს მოცულობის განსაზღვრა და გამიჯვნა სხვა უფლებებით დაცული სფეროებისაგან საკმაოდ პრობლემატურია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ საკითხების გადაწვეტისადმი მიდგომა მნიშვნელოვან შედეგებს უკავშირდება უფლების დაცვის ხარისხის თვალსაზრისით. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცული სფეროს გადამეტებულად ვიწრო გაგებისას, ინდივიდი არ დარჩება კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის გარეშე და მისი ფიზიკური გადაადგილების თავისუფლებას დაიცავს რომელიმე სხვა უფლება, მაგალითად მიმოსვლის ან საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებები. ამავდროულად, ამ შემთხვევებში დაცვის სტანდარტი ნაკლებად მკაცრი იქნება, რადგანაც მათზე არ გავრცელდება კონსტიტუციის მე-13 მუხლით დადგენილი პროცესუალური გარანტიები.[1118] ადამიანის თავისუფლების დაცული სფეროს ზედმეტად გაფართოებაც არაა მისაღები, რადგანაც ეს არაგონივრულად დააბრკოლებს და გადამეტებულ

[1112] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 2; N2/1/415 გადაწყვეტილება, II-5.

[1113] შეადარე: N2/1/415 გადაწყვეტილება, იქვე.

[1114] მაგალითად იხ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 263.

[1115] მაგალითად იხ.: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 3.

[1116] Jarass, GG, Art. 2, Rn. 85; Kunig, GG, Art. 2, Rn. 73; Schmidt, Grundrechte, Rn. 312.

[1117] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-3.

[1118] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 235.

მოთხოვნებს წაუყენებს სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად ფიზიკური გადაადგილების ნაკლებინტენსიური შეზღუდვის შემთხვევებს.

611 საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადამიანის თავისუფლება „გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით.“[1119] ამდენად, ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა ზოგადად თავისუფლება, არამედ მისი ფიზიკური გადაადგილების თავისუფლება.[1120]

612 სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცული სიკეთეა გადაადგილების პოზიტიური თავისუფლება.[1121] რაც შეეხება გადაადგილების ნეგატიურ თავისუფლებას - დარჩე იმ ადგილზე, სადაც იმყოფები ან თავი აარიდო იმ ადგილზე ყოფნას, სადაც არ გსურს, მას ან სრულად უარყოფენ,[1122] ან მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაკუთვნებენ დაცულ სფეროს, როდესაც მისი შემზღუდველი ვალდებულების განხორციელება ხდება უშუალო იძულების საშუალებით,[1123] მაგალითად, მოწმის იძულებით მიყვანისას.[1124]

613 პრაქტიკაში ხშირად დგება ადამიანის თავისუფლებით დაცული სფეროს სხვა უფლებებით დაცული სფეროსაგან გამიჯვნის საკითხი, ეს განსაკუთრებით მიმოსვლის თავისუფლებას შეეხება, რადგანაც ფიზიკური გადაადგილების თავისუფლებას ეს უფლებაც იცავს. დაცული სფეროების გამიჯვნისათვის საკონსტიტუციო სასამართლო აქცენტს აკეთებს ჩარევის ინტენსივობასა და სიმძიმეზე: „აშკარად განსხვავდება იმ ჩარევების ინტენსიურობა და სიმძიმე, რომლისგანაც ამ უფლებებს იცავს კონსტიტუცია. ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა უფრო წონადია.“[1125] ამდენად, ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვამ უნდა მიაღწიოს ინტენსივობის გარკვეულ დონეს, რათა გაიხსნას ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცული სფერო, ხოლო სხვა, ნაკლებად ინტენსიური შეზღუდვებისაგან ადამიანს იცავს მიმოსვლის თავისუფლება.

614 არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის თავისუფლებით დაცული სფეროს ფარგლების ნათლად განსაზღვრისა და სხვა უფლებებით დაცული სფეროსაგან გამიჯვნისათვის უმჯობესია ორიენტირება ჩარევის მიზანზე. ეს უფლება იცავს მხოლოდ იმგვარი ჩარევებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავს მის შეზღუდვას და არ წარმოადგენს სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ და განჭვრეტად თანმდევ შედეგს. ადამიანის თავისუფ-ლების უფლება არ იცავს რაიმე მოქმედების განხორციელების ვალდებულებისაგან, რომელიც ფიზიკურ გადაადგილებას უკავშირდება.[1126] მაგალითად, სკოლაში გამოცხადების ვალდებულება არის ჩარევა საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში, ხოლო მასთან დაკავშირებული ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვა კი მხოლოდ

[1119] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-2.

[1120] Ipsen, Grundrechte, Rn. 265; Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 2; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 228; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 442; Schmidt, Grundrechte, Rn. 311.

[1121] შეადარე მაგ.: Dürig G. (Bearb.), Kommentar zum Art. 2, Abs. 2 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 50; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 229.

[1122] მაგალითად იხ.: Dürig, GG, Art. 2 II, Rn. 50; Ipsen, Grundrechte, Rn. 265.

[1123] მაგალითად იხ.: BVerfGE 22, 21 (26); Jarass, GG, Art. 2, Rn. 114; Kunig, GG, Art. 2, Rn. 76.

[1124] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 230.

[1125] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-2.

[1126] Gusy, GG, Art. 104, Rn. 18; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 444.

აუცილებელი თანმდევი შედეგია.[1127] ამასთან, თუ მსგავსი ტიპის ვალდებულებების განხორციელება იძულების გამოყენებითაა უზრუნველყოფილი, ის განიხილება დამოუკიდებელ, პირველადი მიზნისაგან მოწყვეტილ ჩარევად და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვად.[1128]

615 შეიძლება ითქვას, რომ ჩარევის მიზანზე მოახდინა ორიენტირება საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფეროების გამიჯვნისას. მან ხაზი გაუსვა, რომ პოლიციის მიერ პირის გაჩერების შემდეგ ჩატარებული ზედაპირული შემოწმება მიმართული არ იყო ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვისაკენ. სასამართლომ ეს ღონისძიება შეაფასა, როგორც ჩარევა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში.[1129]

1.2.3. ადამიანის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები

616 ადამიანის თავისუფლების უფლება განეკუთვნება თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებების კატეგორიას (Status negativus). აქედან გამომდინარე, ის სახელმწიფოს, პირველ რიგში, აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, არ მოახდინოს ინდივიდის ფიზიკური თავისუფლების ფორმალური თუ მატერიალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციური და თვითნებური შეზღუდვა.[1130]

617 ადამიანის თავისუფლების უფლება სახელმწიფოს აკისრებს ობიექტურსამართლებრივი ხასიათის დაცვის ვალდებულებას.[1131] ამ კუთხით, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მოქმედება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ანალოგიურად,[1132] ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვას ახორციელებს არა უშუალოდ სახელმწიფო, არამედ მესამე პირი. ეს გამომდინარეობს ადამიანის თავისუფლების უფლების ირიბი ზეგავლენიდან მესამე პირებზე.[1133]

618 სახელმწიფომ უნდა მიიღოს ადამიანის თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების დამცავი კანონმდებლობა და უზრუნველყოს მისი აღსრულება.[1134] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კანონმდებელმა უნდა შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რაც გამორიცხავს ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვას მყარი და კონსტიტუციურად ლეგიტიმური საფუძვლების გარეშე და ასევე, ახდენს მე-13 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებების გარანტირებას.[1135]

[1127] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 233; განსხვავებული პოზიცია იხ.: Schulze-Fielitz, GG, Art. 2 II, Rn. 104 f.

[1128] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 4; Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 24; Kunig, GG, Art. 2, Rn. 76; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 234; BVerfGE 22, 21 (26).

[1129] საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტისN1/1/503,513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17;

[1130] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 123.

[1131] Gusy, GG, Art. 104, Rn. 18; Ipsen, Grundrechte, Rn. 267.

[1132] მაგ.: Riera Blume and Others v. Spain (N37680/97; 14.10.1999); Storck v. Germany (N61603/00; 16.6.2005).

[1133] შეადარე მაგ.: BVerfGE 19, 303 (322).

[1134] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 124.

[1135] საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

619 სახელმწიფო ვალდებულებების კონტექსტში უნდა განვიხილოთ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც, ადამიანის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური მოთხოვნების დარღვევა ისჯება კანონით. ამ ნორმიდან არ გამომდინარეობს ინდივიდის სუბიექტური უფლება, რომლის დაცვაც საკონსტიტუციო სასამართლოში იქნებოდა შესაძლებელი. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად არ მიიჩნევს მის დაკავშირებას უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის მიღების უფლებასთან და გამოყენებას კომპენსაციის საკითხთან მიმართებით.[1136] დასჯადობის კანონით დაწესების მოთხოვნა და მისი შესრულება, ამცირებს რა ადამიანის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკს და იძლევა დარღვევებზე რეაგირების შესაძლებლობას, ამ უფლების სახელმწიფო დაცვის ვალდებულების კონკრეტული, რეპრესიული ფორმის კონსტიტუციური საფუძველია.

1.2.4. ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიები

1.2.4.1. სასამართლო კონტროლი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე

620 ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიების შესრულების უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოსა და მისი ზედამხედველობის მეშვეობით ხდება.[1137] კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სახეზეა სასამართლო დათქმა, რაც განპირობებულია ადამიანის თავისუფლების უფლების მნიშვნელობით და გამომდინარეობს ჰაბეას კორპუს უფლებების ტრადიციიდან.[1138] სასამართლოს ჩართულობას ორმაგი ბუნება აქვს - ერთი მხრივ, ის შეზღუდვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოა, ხოლო მეორე მხრივ, გვევლინება ადამიანის ფიზიკური თავისუფლების დაცვის გარანტად,[1139] რაც ამცირებს თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკს.[1140]

621 კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის გადაწყვეტილების მიღების მონოპოლიას სასამართლოს ანიჭებს და ადგენს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის აუცილებელი სასამართლო კონტროლის სტანდარტს.[1141] გამოირიცხება თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება არასასამართლო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ.[1142] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „ეს არის ძირითადი წესი, პრინციპი, რომელსაც თავისუფლების უფლების მზღუდავი ნორმა უნდა აკმაყოფილებდეს.“[1143] შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ კუთხით კონსტიტუცია უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა

[1136] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-8.

[1137] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 441.

[1138] Ipsen, Grundrechte, Rn. 274.

[1139] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-2.

[1140] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 219.

[1141] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-206.

[1142] საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III-1.

[1143] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-12.

ევროპული კონვენცია,[1144] რომლის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შესაბამისი უფლებამოსილე-ბის განხორციელების შესაძლებლობას, გარდა მოსამართლისა, ანიჭებს სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელესაც.

622 საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო კონტროლს მიაკუთვნებს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმის არსებობასაც. მისი პოზიციით, პირისათვის პატიმრობის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების უფლებაზე უარის თქმით, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად, ირღვევა ადამიანის თავისუფლების უფლებაც.[1145]

623 ტერმინი „სასამართლოს გადაწყვეტილება“ საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა. მან ამ კატეგორიას მიეკუთვნა მოსამართლის განკარგულება, რომელიც ფორმალურად არ შედიოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლოს გადაწყვეტილებების სახეების ჩამონათვალში. სასამართლომ ეს მიდგომა იმით დაასაბუთა, რომ კონსტიტუციურ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობა აქვთ და ისინი არ შემოიფარგლება კანონმდებლობით დადგენილი დეფინიციით. არსებითია არა თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ სასამართლო აქტის სახელწოდება, არამედ მის მიერ გადასაწყვეტი საკითხი, მიღების პროცედურა და შინაარსი.[1146]

624 სასამართლო კონტროლს ექვემდებარება ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ყველა შემთხვევა. გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას კონსტიტუცია არ იძლევა. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავისუფლების შეზღუდვა ხდება იძულებითი მკურნალობის მიზნებისათვის.[1147] საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ ადამიანის გადაადგილების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა არ იწვევს სასამართლოს წინასწარი თუ შემდგომი ჩართულობის აუცილებლობას, ისევე როგორც ფიზიკური გადაადგილების ყველა ხანმოკლე შეზღუდვა არ არის დაკავება. შემთხვევაზე სასამართლო დათქმისა და დაკავებასთან დაკავშირებული წესების გავრცელებისათვის აუცილებელია, რომ მან ინტენსივობის (სიმწვავის) და ხანგრძლივობის გარკვეულ ხარისხს, ზღვარს მიაღწიოს.[1148] სასამართლო აღიარებს, რომ ამ ზღვარის ამომწურავი განსაზღვრების მოძებნა ძალიან რთულია და მისი დადგენა ხშირად კონკრეტული გარემოებების შეფასებას საჭიროებს. ამ პროცესში მხედველობაშია მისაღები უფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი, შეზღუდვის მიზანი, ფორმა და ინტენსივობა, ხარისხი და ხანგრძლივობა, ასევე მისი სამართლებრივი შედეგი.[1149] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები რელევანტურია ადამიანის თავისუფლებასა და სხვა უფლებებით დაცულ სფეროებში ჩარევების გასამიჯნად. თუ დადგინდა, რომ სახეზეა

[1144] ტურავა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 149.

[1145] N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-4.

[1146] N1/3/393,397 გადაწყვეტილება, III-1.

[1147] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-189.

[1148] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-16, 19.

[1149] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-20.

ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა, მაშინ ის აუცილებლად უნდა შემოწმდეს სასამართლოს მიერ.

625 ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სასამართლო კონტროლს შეიძლება ჰქონდეს როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი ხასიათი. წინასწარი კონტროლი ხორციელდება თავისუფლების აღკვეთამდე ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, წინასწარი კონტროლი ძირითად წესს წარმოადგენს.[1150] ადამიანის თავისუფლების ხანგრძლივი შეზღუდვა, რომელიც აღემატება 72 საათს, აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს ამ სახის ზედამხედველობას და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელია.[1151] შემდგომ კონტროლს კონსტიტუცია, გამონაკლისის სახით, უშვებს პირის დაკავებისას, რომელიც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთაა. დაკავების დროს შესაძლებელია პირის თავისუფლების სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე აღკვეთა, მაგრამ იმ პირობით, რომ ის მაქსიმუმ 48 საათის უნდა წარედგინოს სასამართლოს.[1152] ამ გამონაკლისის დაშვების მიზნად საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს მხოლოდ დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის აღკვეთას ან პრევენციას, როდესაც სახეზეა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის მყისიერი, გადაუდებელი აუცილებლობა, ხოლო სასამართლოს წინასწარი თანხმობის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია[1153] „ან/და დაყოვნება რეალურ საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ მიზნებს - საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას, სხვათა უფლებების დაცვას ან მართლმსაჯულების განხორციელებას.“[1154]

626 სასამართლო დათქმა ვრცელდება არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის პირველად შეფარდებაზე, არამედ მათ გაგრძელებაზეც.[1155] გაგრძელების გამართლებულობის პერიოდული გადასინჯვა, როგორც სასამართლო კონტროლის ნაწილი, გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან[1156] კავშირში.

627 სასამართლო კონტროლის მიზანი - თავისუფლების უკანონო და თვითნებური შეზღუდ-ვისაგან ადამიანის დაცვა - ვერ შესრულდება სასამართლოს მხოლოდ ფორმალური ჩართულობით. ადამიანის თავისუფლებაში ჩარევაზე პასუხისმგებლობა ამ დროს სასამართლოზე გადადის.[1157] მოსამართლემ პირადად, სრულად და საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს, თუ რამდენადაა დაცული ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის თითოეული შემთხვევის ფორმალური და მატერიალური წინაპირობები. ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულე-ბების დამაჯერებლობის შემოწმებით, თუნდაც გადაწყვეტილება სასწრაფოდ იყოს

[1150] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-12; შეადარე ასევე: Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 19.

[1151] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-15.

[1152] შეადარე: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-206; N3/2/646 გადაწყვეტილება, II-12.

[1153] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-13, 14.

[1154] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-12.

[1155] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 24; Jarass, GG, Art. 104, Rn. 10; Kunig P. (Bearb.): Kommentar zum Art. 104 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 3, 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 17.

[1156] ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.

[1157] Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 19.

მისაღები.[1158] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს დაპატიმრების კანონიერების განხილვისას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ შემდეგი გარემოებების შემოწმებას: (1) პატიმრობის შესაბამისობა კანონმდებლობის პროცედურულ მოთხოვნებთან, (2) ეჭვის გონივრულობა, რომელიც ამყარებს დაკავების საფუძველს და (3) მიზნის კანონიერება, რასაც ემსახურება დაკავება და შემდეგ - პატიმრობა.[1159]

628 სასამართლო კონტროლი უნდა განხორციელდეს სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების დაცვით.[1160] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ შემთხვევაზე არ ავრცელებს კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) პირველი პუნქტით გათვალისწინებულის იდენტურ მოთხოვნებს, თუმცა აუცილებელია ისეთი გარანტიების უზრუნველყოფა, რაც შეესაბამება ადამიანის თავისუფლების განსახილველი შეზღუდვის სახეს.[1161] ამასთან, არ არსებობს განხილვის უნიფიცირებული და სავალდებულო ფორმა, სხვადასხვა სახელმწიფოებმა შეიძლება ამ კუთხით განსხვავებული ფორმები აირჩიონ, რომლებიც აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს.[1162] აუცილებელია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა.[1163] ასევე მნიშვნელოვანია საკითხის დაუყოვნებელი განხილვის უზრუნველყოფა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ამ კონტექსტში, მხედველობაში იღებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მაგალითად, საქმის განხილვასთან დაკავშირებული საკითხების სირთულე,[1164] საქმის ფაქტობრივი გარემოებები და თავისუფლების შეზღუდვის ხასიათი.[1165]

1.2.4.2. საპროცესო გარანტიები დაკავებისას და დაკავებული პირის უფლებები

629 კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, პირის დაკავებისას დადგენილია შემდეგი საპროცესო გარანტიები: 1) დაკავების კანონიერება და 2) სასამართლო კონტროლი დაკავებაზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს (1) დაკავებული პირისათვის განმარტების ვალდებულებას და (2) დაკავებული პირის უფლებას ადვოკატის დახმარებაზე. დაკავებული პირისათვის განმარტების ვალდებულება და მისი უფლება ადვოკატის დახმარებაზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, რომლებიც შეიძლება დაკავებად დაკვალიფიცირდნენ. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიციელის მიერ პირის შეჩერების კონსტიტუციურობის შეფასებისას განაცხადა, რომ ეს ღონისძიება არ უკავშირდება დაკავებას სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით და არ აღწევს ხანგრძლივობისა და ინტენსივობის იმ ხარისხს, რაც ადვოკატის დახმარების უფლებით უზრუნველყოფის აუცილებლობას გამოიწვევდა.[1166]

630 დაკავების კანონიერების მოთხოვნა გამოიხატება იმაში, რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. ის გულისხმობს კანონის მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვის

[1158] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 20; Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 36; BVerfGE 83, 24 (33 f.).

[1159] Jëèius v. Lithuania (N34578/97; 31.7.2000).

[1160] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 221.

[1161] Niedbala v. Poland (N27915/95; 4.7.2000); Nikolova v. Bulgaria (N31195/96; 25.3.1999).

[1162] Aboya Boa Jean v. Malta (N62676/16; 2.4.2019).

[1163] მაგ.: Ilijkov v. Bulgaria (N33977/96; 26.7. 2001).

[1164] Ilowiecki v. Poland (N27504/95; 4.10.2001).

[1165] Aboya Boa Jean v. Malta.

[1166] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-50-52.

ვალდებულებას და ემსახურება პირის დაცვას თვითნებური დაკავებისაგან. ტერმინი „კანონი“ ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა განიმარტოს და ის მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტებს, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების იმ ნორმებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პირის დაკავების შემთხვევაში.[1167] „კანონის“ ცნებაში იგულისხმება კანონი ფორმალური გაგებით, ანუ საკანონმდებლო აქტი და ის არ მოიცავს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.[1168]

631 კანონი, რომელიც განსაზღვრავს დაკავების შემთხვევებსა და დაკავებაზე უფლებამოსილ პირებს, უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს ფორმის, პროცედურისა და უფლებამოსილების თვალსაზირისით.[1169] მხოლოდ კანონმდებელმა უნდა მოაწესრიგოს დაკავებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი და პრინციპული საკითხი[1170] და გადაწყვიტოს, რა შემთხვევაშია დასაშვები ადამიანის დაკავება.[1171] დაკავებისას, ისევე როგორც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვა შემთხვევებში, მოქმედებს ანალოგიის აკრძალვა - დაუშვებელია დაკავების შემთხვევებისა და დაკავებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრა ანალოგიის საფუძველზე.[1172] კანონი უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების მოთხოვნებს და ასევე, აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ სტანდარტებს - იყოს ხელმისაწვდომი, საკმარისად განსაზღვრული, ზუსტი და განჭვრეტადი.[1173]

632 სასამართლო კონტროლი დაკავებაზე გულისხმობს შემდეგს: (1) დაკავებული პირი წარედგინება სასამართლოს განსჯადობის მიხედვით; (2) სასამართლოსათვის წარდგენის მაქსიმალური ვადაა 48 საათი; (3) სასამართლო ამოწმებს პირის დაკავების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, ასევე წყვეტს მისი დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის საკითხს; (4) სასამართლო კონტროლი უნდა დასრულდეს დაკავებულის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში; (5) დაკავებული პირი ექვემდებარება დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, თუ დადგენილ ვადაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მისი დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ. გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ პირის დაკავების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებული პირის სასამართლოს წინაშე წარდგენის მაქსიმალური ვადის დადგენა არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო უნდა დაელოდოს მის ამოწურვას. ის არ თავისუფლდება დაუყოვნებელი წარდგენის ვალდებულებისაგან. ვადის განსაზღვრით დამატებითი გარანტიის სახით ხდება აბსოლუტური ზღვრის დაწესება.[1174]

633 ზოგადად, პირის დაკავებაზე სასამართლო კონტროლი უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რაზეც ზემოთ უკვე გამახვილდა ყურადღება. ამავდროულად,

[1167] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 172; ტურავა, მე-18 მუხლის კომენტარი, 136, 143; Öcalan v. Turkey (N46221/99; 12.5.2005); Medvedyev and Others v. France (N3394/03; 29.3.2010).

[1168] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 269.

[1169] შეადარე: Ipsen, იქვე.

[1170] შეადარე: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 449.

[1171] შეადარე: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 9.

[1172] შეადარე: Gusy, GG, Art. 104, Rn. 24; BVerfGE 29, 183 (196); 83, 24 (31).

[1173] შეადარე მაგ.: Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 27 ff.; Kakabadze and Others v. Georgia (N1484/07; 2.10.2012); BVerfGE 14, 245 (251); 75, 329 (333 ff., 340 f.); 78, 374 (387 f.).

[1174] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 35, 38; Gusy, GG, Art. 104, Rn. 58.

გასათვალისწინებელია დაკავების სპეციფიკა, მაგალითად შეზღუდული ვადების გამო, გაზრდილია მოთხოვნები სასამართლო კონტროლის დროულობასა და სისწრაფესთან დაკავშირებით. სასამართლო განხილვის 24 საათიან ვადაზეც შეიძლება გავრცელდეს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება დაკავებულის სასამართლოსათვის წარდგენის ვადებთან დაკავშირებით.

634 საკონსტიტუციო სასამართლო დაკავების სასამართლო კონტროლთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სტანდარტებს ავრცელებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული წესით დაკავებაზე. მაგალითად, მან ხაზი გაუსვა, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავების შემთხვევაშიც უნდა მოხდეს პირის წარდგენა სასამართლოსათვის და დაუშვებელია ამ პროცედურის სასამართლო კონტროლისაგან გათავისუფლება.[1175] საკონსტიტუციო სასამართლომ ადმინისტრაციულ დაკავებაზე გაავრცელა დაკავებული პირის სასამართლოსათვის წარდგენის 48 საათიანი ვადის მოქმედებაც.[1176] ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი მიდგომა იქნება დაკავებასთან დაკავშირებული სხვა კონსტიტუციური მოთხოვნების შემთხვევაშიც.

635 დაკავებული პირის სასამართლოსათვის წარდგენა ყოველთვის აუცილებელი არ არის. ამგვარ შემთხვევად მიიჩნევა ვითარება, როდესაც დაკავების მიზანი იქამდე მიიღწევა, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებდეს (მაგალითად, მოკლევადიანი პოლიციური დაკავების დროს). ამ დროს დასაშვებად თვლიან, რომ დაკავებული პირი არ წარედგინოს სასამართლოს, თუ ეს მისი დაკავების გახანგრძლივებას გამოიწვევდა. ამგვარი ვარაუდი უნდა ეფუძნებოდეს საკმარისად დასაბუთებულ პროგნოზს.[1177] დაუშვებელია პირის დაკავების გაგრძელება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ დაკავების მიზანი აღარ არსებობს.[1178] მიუხედავად ამისა, სასამართლოს შემდგომი კონტროლი აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.[1179]

636 დაკავებული პირისათვის განმარტების ვალდებულება გულისხმობს მისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლის განმარტებას. განმარტების ვალდებულება თვითნებური დაკავების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი გარანტიაა, რაც ხელს უწყობს დაკავებულ პირს ვითარების შეფასებასა და თავისი უფლებების ეფექტიან სასამართლო დაცვაში.[1180] მაგალითად, პირის ინფორმირება დუმილის უფლებაზე ე.წ. „მირანდას გაფრთხილების“[1181] ფარგლებში, დანაშაულის თვითინკრიმინაციისაგან ეფექტიანი დაცვის აუცილებელ წინაპირობად ითვლება.[1182] განმარტების ვალდებულება მოქმედებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ სხვა წესით დაკავების შემთხვევებში. ის წარმოიშობა განმეორებითი დაკავების დროსაც, როდესაც წინა დაკავებისას განმარტება განხორციელდა.[1183]

[1175] საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის N2/1/263 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[1176] იქვე.

[1177] Gusy, GG, Art. 104, Rn. 55; BVerfGE 105, 239 (251).

[1178] Gusy, იქვე.

[1179] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 36.

[1180] შეადარე მაგ.: X v. the United Kingdom (N7215/75; 5.11.1981); Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom (N12244/86, 12245/86, 12383/86; 30.8.1990); Kaboulov v. Ukraine (N41015/04; 19.11.2009).

[1181] იხ.: Miranda v. Arizona, 384 U. S. 438 [1966].

[1182] ტურავა, მე-18 მუხლის კომენტარი, 146-147.

[1183] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 209; X v. Belgium (N4741/71; 1973).

637 დაკავებული პირისათვის განმარტების ვალდებულების შესრულების მომენტს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსხვავებული ტერმინებით აღნიშნავს. კონსტიტუცია მოითხოვს, რომ განმარტება უნდა განხორციელდეს „დაკავებისთანავე", ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი კი - „დაუყოვნებლივ". „დაკავებისთანავე" გულისხმობს განმარტების ვალდებულების მყისიერ, დაკავების მომენტში წარმოშობას. ნაკლებად მკაცრია ფორმულირება „დაუყოვნებლივ", რომელიც არა იმდენად განმარტების განხორციელების კონკრეტულ მომენტზე მიუთითებს, არამედ კრძალავს მის არაადეკვატურ დაგვიანებას.[1184] შეიძლება ითქვას, რომ განმარტების სისწრაფის უზრუნველყოფის კუთხით, საქართველოს კონსტიტუცია უფრო მკაფიო გარანტიას შეიცავს.

638 კონსტიტუციის მიხედვით, განმარტების შინაარსი მოიცავს ორ ასპექტს: 1) დაკავების საფუძვლის განმარტება და 2) დაკავებული პირის უფლებების განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უფლებების განმარტებაზე არ ამახვილებს ყურადღებას, თუმცა მოითხოვს, რომ დაკავებულ პირს „უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება".[1185] აქედან გამომდინარე, დაკავების საფუძვლების განმარტების შინაარსის მოცულობის დადგენისას, კონსტიტუციასთან ერთად, გასათვალისწინებელია კონვენციის მოთხოვნებიც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საკმარისად არ თვლის ფორმალურ მითითებას იმ ნორმაზე, რომელიც დაკავებას ითვალისწინებს და მოითხოვს დაკავების არსებითი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შეტყობინებას.[1186] ამდენად, განმარტების შინაარსი უნდა იძლეოდეს მოგვიანებით მისი კანონიერებისა და დასაბუთებულობის სასამართლო გადამოწმების შესაძლებლობას. დაკავებული პირის ინფორმირება წაყენებულ ბრალებაზე გულისხმობს კონკრეტული სამართალდარღვევის თაობაზე შეტყობინებას და არა მხოლოდ საკანონმდებლო დებულებებზე მითითებას.[1187] ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ტერმინი „განმარტება" უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე უბრალო შეტყობინება, გარკვეულწილად ახსნა-განმარტების ელემენტებსაც მოიცავს.[1188] რაც შეეხება დაკავებული პირისათვის მისი უფლებების განმარტებას, კონსტიტუცია არ აკონკრეტებს მის შინაარსს, თუმცა ცალსახაა, რომ ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას ადვოკატის დახმარებაზე კონსტიტუციურ უფლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აუცილებელია განმარტება მოიცავდეს ყველა იმ უფლებას, რომლის შესახებ ინფორმაციის დაკავებისთანავე მიუწოდებლობამ შეიძლება არსებითად დააზიანოს პირის ინტერესები. სავარაუდოდ, ამ ლოგიკითაცაა ნაკარნახევი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიდგომა, რაც ითვალისწინებს დაკავებულისათვის განმარტებას, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში.[1189]

639

[1184] შეადარე მაგ.: Kaboulov v. Ukraine.

[1185] მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1186] Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom.

[1187] Cf Raišelis v. Lithuania (N37195/97; 29.2.2000).

[1188] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-28.

[1189] 174-ე მუხლის პირველი ნაწილი.

განმარტება უნდა იყოს გასაგები დაკავებული პირისათვის. ამას კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა გამომდინარეობს შესაბამისი ნორმის ლოგიკური და ტელეოლოგიური განმარტებიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან კავშირში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლო პრაქტიკა მოითხოვს დაკავებულის ინფორმირებას მისთვის გასაგებ ენაზე.[1190] გასაგებობა მოიცავს არა მხოლოდ ენობრივ და ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ ასპექტსაც. განმარტების შინაარსი გასაგები უნდა იყოს დაკავებული პირისათვის და აძლევდეს მას შექმნილი ვითარების არსის შეფასების შესაძლებლობას.[1191]

640 დაკავებული პირი სარგებლობს უფლებით ადვოკატის დახმარებაზე. ამ უფლების წარმოშობაც დაკავებისთანავე ხდება და მას შეესატყვისება სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება, დააკმაყოფილოს დაკავებული პირის მოთხოვნა ადვოკატის დახმარებასთან დაკავშირებით. კონსტიტუცია პირდაპირ არ განსაზღვრავს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ის უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ - მაქსიმალურად გონივრულ ვადაში, რადგანაც დროში ადვოკატზე უფლების რეალიზაციის დაყოვნება სპობს მისი სრული მოცულობით განხორციელების შესაძლებლობას.[1192] დაკავებულ პირს უნდა მიეცეს გონივრული ვადა ადვოკატის ასარჩევად და მოსაწვევად. ერთი მხრივ, ეს ვადა არ უნდა იყოს ისე მცირე, რომ პირს ფორსმაჟორულ ვითარებაში მოუწიოს გადაწყვეტილების მიღება, რაც დააზიანებდა მის ინტერესებს. მეორე მხრივ, არც ადვოკატის შერჩევის ისეთი ხანგრძლივი ვადაა მისაღები, რაც, დაკავების მოკლე ვადის გათვალისწინებით, შექმნიდა გამოძიებისათვის ხელის განზრახ შეშლის შესაძლებლობას.[1193]

641 უფლება ადვოკატის დახმარებაზე გულისხმობს არა მხოლოდ ადვოკატის ფორმალურ ჩართულობას, არამედ ქმნის კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობას, რაც მოიცავს ადვოკატის დასაცავ პირთან პირისპირ შეხვედრასაც. დაკავებულ პირს უნდა მიეცეს გონივრული და საკმარისი ვადა ადვოკატთან შეხვედრისა და თავის დასაცავად მომზადებისათვის.[1194]

1.2.4.3. ბრალდებულის პატიმრობის ვადა და სხვა გარანტიები

642 კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლისთანავე პირი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, თუ სასამართლო ვერ მოასწრებს გადაწყვეტილების მიღებას მის ბრალეულობასთან დაკავშირებით.[1195] კონსტიტუცია იმპერატიულად განსაზღვრავს პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, მაქსიმალურ ვადას, რათა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე პირი არ დაექვემდებაროს თავისუფლების განუსაზღვრელი და არაპროპორციულად ხანგრძლივი

[1190] Baisuev and Anzorov v. Georgia (N39804/04; 18.12.2012).

[1191] შეადარე: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-28.

[1192] საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1, 2.

[1193] იქვე, 2.

[1194] იქვე, 2.

[1195] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-25.

დროით შეზღუდვას.[1196] გარდა ამისა, პატიმრობის მაქსიმალურ ვადას აქვს გარკვეული „დამაჩქარებელი“ ეფექტი გამოძიებასა და სასამართლოზე, რათა დროულად, არაგონივრული გაჭიანურების გარეშე მოხდეს საქმის გამოძიება და განხილვა, რომელზეც პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.[1197]

643 პატიმრობის მაქსიმალურ ვადას არ განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მიუხედავად ამისა, პატიმრობის ვადა მაინც ექვემდებარება შეფასებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან. ამ პროცეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული საქმის გარემოებებს.[1198]

644 კონსტიტუციის მე-13 მუხლში ბრალდებული მხოლოდ მე-5 პუნქტში, ბრალდებულის პატიმრობის ვადის კონტექსტშია პირდაპირ მოხსენიებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დაპატიმრებული ბრალდებულის უფლებები და გარანტიები მხოლოდ ამით შემოიფარგლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პატიმრობა ადამიანის თავისუფლების ძირითად უფლებაში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი და ინტენსიური ჩარევაა, რომელსაც თან ახლავს სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან შეცდომის შედეგად პირის დაუსაბუთებელი დაპატიმრების რისკი. ამ რისკისაგან პირის დასაცავად კონსტიტუცია აწესებს პროცესუალურ გარანტიებს, რომლებიც მკაცრ ფარგლებს უდგენს სახელმწიფოს პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების დადგენისას და გამოყენებისას.[1199]

645 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფართოდ უნდა განიმარტოს არა მხოლოდ ბრალდებულის პატიმრობის ვადის დამდგენი კონსტიტუციური ნორმა, არამედ დაპატიმრებული ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების საკითხი გადაწყდეს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა (სასამართლო კონტროლი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისი ნორმების[1200] გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომით, პატიმრობაში მყოფი ბრალდებული, გარდა პატიმრობის ზღვრული ვადის გარანტიისა, სარგებლობს პატიმრობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელების, რაც მისი კანონიერების გონივრულ ვადებში პერიოდულ გადამოწმებასაც გულისხმობს, გარანტიითა და შესაძლებლობის შემთხვევაში, პატიმრობიდან გათავისუფლების უფლებით.[1201]

1.2.5. კომპენსაციის მიღების უფლება

646 კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას. ტერმინში „უკანონოდ თავისუფლება-შეზღუდული პირი“ არ მოიაზრება მხოლოდ ის პირი, რომელსაც თავისუფლება შეეზღუდა კონსტიტუციის მე-13 მუხლის დარღვევით, არამედ ის პირებიც, რომელთა თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდა ზოგადად კანონის დარღვევით.[1202]

[1196] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-18, 21, 29.

[1197] შეადარე: იქვე, II-32.

[1198] მაგალითად იხ.: Wemhoff v. the Federal Republic of Germany (N2122/64; 27.6.1968); Stögmuller v. Austria (N1602/62; 10.11.1969); W v. Switzerland (N14379/88; 26.1.1993).

[1199] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-4.

[1200] მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი, მე-3 და მე-4 პუნქტები.

[1201] შეადარე: ტურავა, მე-18 მუხლის კომენტარი, 148.

[1202] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-9.

„უკანონოდ“ თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს კანონთან შეუსაბამობას ფორმალური ან მატერიალური თვალსაზრისით. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო დაკავებას უკანონოდ თვლის, თუ „ის, ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად, დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, პირს უჩნდება კომპენსაციის ქმედითი უფლება.[1203]

647 კონსტიტუცია სხვა ნორმით განამტკიცებს საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას,[1204] რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის მიღების უფლებას აღნიშნული უფლების კონკრეტულ შემთხვევად, ანუ სპეციალურ ნორმად განიხილავს,[1205] რომლის ცალკე გარანტირება ადამიანის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობითაა განპირობებული.[1206]

648 იმისათვის, რომ პირს გაუჩნდეს კომპენსაციის მიღების უფლება, საკონსტიტუციო სასამარლო მოითხოვს ორი წინაპირობის კუმულაციურად დაკმაყოფილებას: 1) სახელმწიფოს მხრიდან უკანონო მოქმედების ფაქტი, ანუ თავისუფლების შეზღუდვას უნდა ჰქონდეს უკანონო ხასიათი და 2) თავისუფლების უკანონო შეზღუდვით პირისათვის მატერიალური ან არამატერიალური ზიანის მიყენება.[1207] თუ სახელმწიფოს უკანონო მოქმედებასა და პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს, ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება.[1208] თუ ზემოაღნიშნული პირობები დაკმაყოფილებულია, კონსტიტუცია არ უშვებს ისეთი გამონაკლისების დადგენას, როდესაც თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება.[1209]

649 კომპენსაციის მიღების უფლება ლაკონურადაა ჩამოყალიბებული. მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი პირდაპირ არ ითვალისწინებს უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი დაცვის საშუალებებსა და კომპენსაციის მასშტაბს. მიუხედავად ამისა, საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებასთან მჭიდრო კავშირის გამო, ამ უკანასკნელით დადგენილი სასამართლო წესით სრული ანაზღაურების მოთხოვნა კომპენსაციის მიღების უფლებაზეც ვრცელდება.[1210] აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ უზრუნველყოფს გარკვეული ოდენობის კომპენსაციის უფლებას.[1211]

650 საინტერესოა კომპენსაციის ფორმის საკითხი. კონსტიტუცია ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს არ იძლევა და ამაზე არც საკონსტიტუციო სასამართლოს უმსჯელია. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის განმარტებას,

---

[1203] საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის N1/4/1464 გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ ხაინდრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

[1204] საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

[1205] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-3.

[1206] იქვე, II-4.

[1207] შეადარე: Wassink v. the Netherlands (N12535/86; 27.9.1990).

[1208] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-7.

[1209] იქვე, II-20.

[1210] იქვე, II-5.

[1211] Jeronovics v. Latvia (N547/02; 10.2.2009).

„კომპენსაცია“, პირველ რიგში, ზიანის ფინანსურ ანაზღაურებას მოიაზრებს, მაგრამ შესაძლებელია მისი მნიშვნელობის გაფართოება.[1212] მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა რა, რომ კომპენსაციაში მხოლოდ ფინანსური ანაზღაურება არ იგულისხმება, დაუშვა სასჯელის შემცირების ჩათვლა კომპენსაციად, თუ ის აშკარად განხორციელდა არსებული დარღვევის გამოსასწორებლად და აქვს ზომიერი და პროპორციული გავლენა სასჯელზე, რომელსაც პირი იხდის.[1213]

2. ჩარევა ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში

2.1. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის იდენტიფიცირება

651 ადამიანის თავისუფლების უფლება არ განეკუთვნება აბსოლუტური უფლებების კატეგორიას და მისი შეზღუდვა შესაძლებელია.[1214] ეს ნათლად ჩანს კონსტიტუციის მე-13 მუხლის ტექსტიდან, რომელიც ძირითადად სწორედ ჩარევის სტანდარტების განსაზღვრას ეძღვნება. პრობლემატურია ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირების საკითხი, რაც განპირობებულია ამ უფლებისა და რამოდენიმე სხვა ძირითადი უფლებით დაცული სფეროების გამიჯვნის სირთულით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ არსებობს წინააღმდეგობრივი და საკამათო პოზიციები როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

652 პირველ რიგში, შევეხებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც შეიძ-ლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, წინააღმდეგობრივია. გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ ვრცლად იმსჯელა იმაზე, თუ რამდენადაა ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მხარდაჭერის მიმღები პაციენტის მოთავსება ნებაყოფლობითი მკურნალობისათვის სტაციონარში მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნითა და ინფორმირებული თანხმობით.[1215] ჩარევის იდენტიფიცირების პირველ პირობად დასახელდა ის, რომ სახეზე უნდა იყოს ფიზიკური გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. სასამართლომ მიუთითა იმის გარკვევის აუცილებლობაზე, თუ რამდენად ხდება ეს შეზღუდვა პირის ნების საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, მან ჩამოთვალა სხვა ფაქტორები, რაც მხედველობაშია მისაღები ჩარევის იდენტიფიცირე-ბისას: თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა; პირზე ზედამხედველობის საშუალება და სიხშირე; გარე სამყაროსთან კონტაქტი და მასზე ზედამხედველობის ინტენსივობა და ა.შ. ამ ფაქტორების ანალიზის საფუძველზე სასამართლო საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ ფსიქიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებაში პირის მოთავსება თავისი ფორმის, ჩარევის ხარისხისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ცალსახად წარმოადგენდა ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევას.

653 ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გამოვარჩიოთ იმითაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა ადამიანის თავისუფლების უფლებაში

[1212] Bozano v. France (N9990/82; 15.5.1984).

[1213] Porchet v. Switzerland (N36391/16; 8.10.2019).

[1214] მაგ.: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-6; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-2; N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-204.

[1215] დეტალურად იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-188-203.

ჩარევის პრეზუმფცია. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „დაუშვებელია, ამ უფლების დაცვის სფეროდან ისეთი შემზღუდველი ქმედებების გამორიცხვა, რომლებიც ამ უფლებაში ჩარევის თუნდაც მცირე ეჭვს ბადებს.“[1216] აქედან გამომდინარე, როდესაც არსებობს ეჭვი სახელმწიფოს აქტით ან ქმედებით ადამიანის თავისუფლება იზღუდება თუ სხვა რომელიმე უფლება, ის უნდა გადაწყდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის სასარგებლოდ. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს პოზიცია გამომდინარეობს ინდივიდის ინტერესების პრიორიტეტიდან, რადგანაც ადამიანის თავისუფლების უფლება გაცილებით მყარ გარანტიებს გვთავაზობს ფიზიკური გადაადგილების თავისუფლების დასაცავად, ვიდრე სხვა უფლებები.

654 გადაწყვეტილებაში საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად წარმოადგენდა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას COVID-19-ით ინფიცირებულებთან კონტაქტირებული პირების იზოლაცია ეპიდემიოლოგების გადაწყვეტილების საფუძველზე.[1217] პირის ნების საწინააღმდეგოდ ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვა აშკარად სახეზე იყო, თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი ელემენტი მიმოსვლის თავისუფლებასაც ახასიათებდა, ამიტომ გამოჰყო დამატებითი ფაქტორები ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირებისათვის: პირის თავისუფლებაში ჩარევის, მის ნებაზე ზემოქმედების ხარისხი და ფარგლები; პირისათვის კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვის მიზანი; კონკრეტულ სივრცეში მოთავსებული პირისათვის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა; უფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი და ა.შ. რაც შეეხება ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვის ვადას, სასამართლომ ის მნიშვნელოვან, მაგრამ არა გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია, თუმცა შემდგომ მასზე საერთოდ არ იმსჯელა. მან კონტაქტირებული პირების სამართლებრივი მდგომარეობა გამიჯნა იმ პირთაგან, ვისი თავისუფლების შეზღუდვაც ხდება სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფარგლებში და დაასკვნა, რომ მათ არ ჰქონდათ ის სამართლებრივი სტატუსი, რაც გამოიწვევდა კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიების ამოქმედებას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ადამიანის თავისუფლების უფლებაში ყველა ჩარევა არ ხორციელდება სამართლებრივი დევნისა და პასუხისმგებლობის დაკისრების ფორმატში, მაგალითად თავისუფლების შეზღუდვა ავადმყოფობის გამო, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც ითვალისწინებს. იზოლირებული კონტაქტირებული პირების უფლებათა შეზღუდვის ინტენსივობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ წინა პლანზე წამოსწია იმის შეფასება, თუ რა ზომით ახორციელებდა სახელმწიფო პირის ქცევის თავისუფლების კონტროლს, გარესამყაროსთან კომუნიკაციისა და სოციალიზაციის რა საშუალებები გააჩნდა მას, ასევე რა ტიპის მოპყრობას შეიძლება დაქვემდებარებოდა თავისუფლების შეზღუდვის ადგილას. ამავდროულად, შეზღუდვის ინტენსივობის შესაფასებლად ყურადღების მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, როგორიცაა შეზღუდვის ხანგრძლივობა, რომელიც 12 დღე იყო. სასამართლომ განაცხადა, რომ იზოლირებულ პირზე არ ხორციელდებოდა სახელმწიფო კონტროლი და მის ნებაზე არ ხდებოდა სხვა ტიპის

[1216] იქვე, II-198.

[1217] დეტალურად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-10-22.

იძულებითი ზემოქმედება გარდა კონკრეტული სივრცის დატოვების აკრძალვისა და მისი თანმხლები შედეგებისა. მან ხაზი გაუსვა განსხვავებას დაკავებულ პირსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირზე განხორციელებულ სახელმწიფო კონტროლისა და ნების თავისუფლების შეზღუდვის ინტენსივობასთან. მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ იზოლაციის წესების დარღვევა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ მძიმე სანქციების გამოყენებასთან. გარდა ამისა, არარელევანტური იყო დაკავებულ პირთან შედარება, რადგანაც ამ დროს მკაცრი შეზღუდვები, ემსახურება მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. კონტაქტირებული პირებისათვის უფრო მსუბუქი რეჟიმის დაწესება იმით კი არ იყო განპირობებული, რომ მათი იზოლირება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას არ წარმოადგენდა, არამედ იმით, რომ მისი მიზნიდან გამომდინარე (ვირუსის გავრცელების პრევენციით ჯანმრთელობის დაცვა), დაკავებული პირის მსგავსი რეჟიმის დაწესება, აშკარად არათანაზომიერი საშუალება იქნებოდა. რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის რეჟიმს, ის a priori უფრო მძიმე არ არის, ვიდრე ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისა. თავისუფლების შეზღუდვის რეჟიმის სიმკაცრე დამოკიდებულია ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საფრთხის და არა იმაზე, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება მისი დაავადება - ფსიქიკურს თუ ფიზიკურს. აქედან გამომდინარე, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის გამო გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამიჯვნა და განსხვავებული უფლებების შეზღუდვად კვალიფიცირება მართებული არ არის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კონტაქტირებული პირის იზოლირება არ გულისხმობდა მისი ქცევის თავისუფლებაში ჩარევას ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენებით. ამავდროულად, მან აღიარა, რომ პირს ეკრძალებოდა კონკრეტული სივრცის მიღმა არსებული სერვისებითა და მომსახურებით სარგებლობის, ასევე სხვა ადგილზე მყოფ პირებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. ყურადღების მიღმა დარჩა საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით დაცული ნებისმიერი ქმედება, რომლის განხორციელებაც იზოლაციაში მყოფი პირისათვის შეუძლებელი იყო. საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კონტაქტირებული პირების იზოლირების ინსტიტუტი არ იყო ჩარევა ადამიანის თავისუფლების ძირითად უფლებასა და შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ საპროცესო გარანტიებში.

655 საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით გადაუხვია მის მიერვე ჩამოყალიბებულ ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის პრეზუმფციას. აშკარაა, რომ კონტაქტირებული პირის იზოლაცია ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის არათუ მცირე, არამედ საფუძვლიან ეჭვს აჩენდა. გარდა ამისა, სასამართლოს მიდგომა სამომავლოდ შეამცირებს ფიზიკური ჯანმრთელობის გამო გადაადგილების შეზღუდვისას ინდივიდის უფლებების დაცვის ხარისხს.

656 გაცილებით ლაკონური და თანამიმდევრული მიდგომა აქვს ჩამოყალიბებული გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც გამოიხატება შემდეგში: 1) ადამიანის თავისუფლების უფლება იცავს მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში მოცემულ ფაქტობრივი ფიზიკური გადაადგილების თავისუფლებას სახელმწიფოს ჩარევებისაგან; 2) მისი დაცული სფერო a priori არ მოიცავს უფლებას, შეუზღუდავად იყო ყველგან ან გადაადგილდე ყველა მიმართულებით; 3) ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვა მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება პირს მისი ნების საწინააღმდეგოდ უქმნის დაბრკოლებას, მივიდეს ან

იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე/სივრცეში, რომელიც მისთვის ფაქტობრივად და სამართლებრივად ხელმისაწვდომია.[1218]

657 ზემოაღნიშნული მიდგომა ძირითადად გაზიარებულია და განმარტებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. სახელმწიფოს მხრიდან პირის ფიზიკური გადაადგილებისათვის დაბრკოლებას შეიძლება ჰქონდეს ამკრძალავი ან მავალდებულებელი ხასიათი და გამოიხატოს რომელიმე ადგილზე მისვლის ან ყოფნის აკრძალვაში ან დავალდებულებაში.[1219] ამგვარი დაბრკოლება ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევად განიხილება მაშინ, როდესაც მას ახლავს უშუალო იძულება, ან დანამდვილებით შეიძლება განხორციელდეს იძულების საშუალებების გამოყენებით.[1220] ძალიან მნიშვნელოვანია მითითება ფაქტობრივ და სამართლებრივ ხელმისაწვდომობაზე. ბუნებრივია, აქ იგულისხმება ხელმისაწვდომობა, რომელიც ექნებოდა პირს სახელმწიფოს მხრიდან შემზღუდველი ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში.[1221] მაგალითად, პირისათვის სამართლებრივად ხელმისაწვდომი არ არის სხვის საცხოვრებელში შესვლა მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო ამის აკრძალვა ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევას არ წარმოადგენს[1222] ისევე, როგორც მოსწავლეების სკოლაში ან სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო ნაწილში სავალდებულო გამოცხადების, მაშველების უბედური შემთხვევის ადგილზე დარჩენისა და სხვა მსგავსი ვალდებულებები.[1223] გარდა ამისა, ჩარევად არ ითვლება ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეეხება არა ფიზიკურ გადაადგილებას, როგორც ასეთს, არამედ მის სახესა და ფორმას.[1224]

658 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოჰყოფს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს. ობიექტური ნიშანი მდგომარეობს პირის მოთავსებაში სივრცობრივად შეზღუდულ ადგილას, არაუმნიშვნელო დროის განმავლობაში, ხოლო სუბიექტური ნიშანი გულისხმობს ამგვარი მოთავსების განხორციელებას პირის ქმედითი თანხმობის გარეშე.[1225] ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იძულების ელემენტს მზღუდავი ღონისძიების განხორციელებისას.[1226] გარდა ამისა, კონვენციის მე-5 მუხლის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: პირის სტატუსი და მისი მდგომარეობის სპეციფიკა; საქმის კონკრეტული გარემოებები; სადავო ღონისძიებების განხორციელების ფორმები, ვადა და შედეგები; პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის ხარისხი და ა.შ.[1227]

[1218] BVerfGE 94, 166 (198). ასევე შეადარე: BVerfGE 96, 10 (21); 105, 239 (248).

[1219] შეადარე: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn.445.

[1220] Kunig, GG, Art. 2, Rn. 76; Schulze-Fielitz, GG, Art. 2 II, Rn. 104.

[1221] Schmidt, Grundrechte, Rn. 313.

[1222] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 235a.

[1223] შეადარე: Gusy, GG, Art. 104, Rn. 18; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 232, 239; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 416; Starck, GG, Art. 2, Rn. 196.

[1224] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 241.

[1225] Storck v. Germany.

[1226] De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium (N2832/66, 2835/66, 2899/66; 18.6.1971); M.A. v. Cyprus (N41872/10; 23.7.2013).

[1227] შეადარე მაგ.: Engel v. the Netherlands (N5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72; 8.6.1976); Ashingdane v. the United Kingdom (N8225/78; 28.5.1985); Weeks v. the United Kingdom (N9787/82; 2.3.1987); Bollan v. the United Kingdom (N42117/98; 4.5.2000); Baisuev and Anzorov v. Georgia; Gahramanov v. Azerbaijan (N26291/06; 15.10.2013).

ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირების პრობლემატიკა 659
კარგად ჩანს სასაზღვრო-სატრანზიტო ზონაში თავშესაფრის მაძიებლების დაკავების შემთხვევების მაგალითზე. ამ კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტორებზე: (1) დაკავებულთა ინდივიდუალური მდგომარეობა და მათი არჩევანი; (2) შესაბამისი ქვეყნის სამართლებრივი რეჟიმი და მისი მიზანი; (3) დაკავების ხანგრძლივობა, განსაკუთრებით მიზნის გათვალისწინებით და პროცედურული დაცვა; (4) დაკავებულთათვის დაწესებული ან მათ მიერ გამოცდილი ფაქტობრივი შეზღუდვების ბუნება და ხარისხი. ამ გარემოებების ანალიზის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირებს შეეძლოთ ისეთ ქვეყანაში დაბრუნება, რომელიც ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოა და სადაც საფრთხე არ ემუქრებოდა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სასამართლომ არ გამოიყენა კონვენციის მე-5 მუხლი.[1228] როდესაც ქვეყანა, სადაც თავშესაფრის მაძიებლებს შეეძლოთ დაბრუნება, მსგავს სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სასაზღვრო-სატრანზიტო ზონაში განთავსება თავისუფლების შეზღუდვად ჩათვალა.[1229] ამასთანავე, ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების შესაძლებლობა არ გამორიცხავს ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირებას.[1230]

660 მნიშვნელოვანია საკითხი, რამდენად ჩაითვლება ადამიანის თავისუფლებაში ჩარევად ის ღონისძიებები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მის საზღვრებს მიღმა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, კონვენციის მიზნებისათვის, სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება არა მხოლოდ მის საზღვრებში, არამედ იმ ტერიტორიებზეც, სადაც ის ახორციელებს ეფექტიან კონტროლს.[1231] აქედან გამომდინარე, ამგვარ შემთხვევებში უფლებაში ჩარევა სახეზეა ისევე, როგორც იმ ვითარებაში, როდესაც თავისუფლებაშეზღუდული პირი სხვა სახელმწიფოში თავისი ქვეყნის წარმომადგენლებს გადაეცემა.[1232]

2.2. ადამიანის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის სახეები

კონსტიტუცია არა მხოლოდ უშვებს ჩარევას ადამიანის თავისუფლების უფლებაში, 661
არამედ ადგენს მის სხვადასხვა სახეებს, საფუძვლებს, პირობებსა და ვადებს.[1233] ჩარევის სახეებთან დაკავშირებული საკითხის ნათლად გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მოქმედების ჩარჩოების განსაზღვრისათვის, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა ფორმების დადგენის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩარევის სახეების მკაფიო დიფერენცირება აადვილებს და აუმჯობესებს კონკრეტული შეზღუდვ-ებისათვის შესატყვისი სტანდარტების მისადაგებისა და მათი კონსტიტუციურობის შემოწმების პროცესს.

[1228] Ilias and Ahmed v. Hungary (N47287/15; 21.11. 2019).
[1229] Amuur v. France (N19776/92; 25.6.1996).
[1230] Riad and Idiab v. Belgium (N29787/03; 24.1.2008).
[1231] მაგ.: Loizidou v. Turkey (N15318/89; 18.12.1996).
[1232] Reinette v. France (N14009/88; 2.10.1989).
[1233] შეადარე: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-8; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-7.

662 კონსტიტუციის მე-13 მუხლი იყენებს შემდეგ ტერმინებს: „თავისუფლების აღკვეთა“, „თავისუფლების შეზღუდვა“, „დაკავება“ და „ბრალდებულის პატიმრობა“. ამ მუხლის მე-2 პუნქტი საუბრობს თავისუფლების აღკვეთაზე ან თავისუფლების „სხვაგვარ“ შეზღუდვაზე. ლოგიკურია დავასკვნათ, რომ სწორედ „თავისუფლების შეზღუდვა“ არის ის ზოგადი ცნება, რომლის ქვეშაც ერთიანდება „თავისუფლების აღკვეთა“ და სხვა ჩარევები ადამიანის თავისუფლების უფლებაში. ამ მოსაზრებას ამყარებს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციაც, რომლის მიხედვითაც, „თავისუფლების შეზღუდვის“ ცნება მოიცავს თავისუფლების აღკვეთის (მაგალითად, დაკავება) და თავისუფლების შეზღუდვის (მაგალითად, შინაპატიმრობა) სხვადასხვა ფორმებს.[1234]

663 ამრიგად, თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს ჩარევების 2 ჯგუფს: 1) თავისუფლების აღკვეთა და 2) თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა. მნიშვნელოვანია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგანაც თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე ინტენსიური ფორმაა[1235] და შესაბამისად, მისი უკანონო და თვითნებური გამოყენებისაგან დაცვის გარანტიებიც უფრო მკაცრია. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფლების აღკვეთად მიიჩნევს ისეთ სახელმწიფო ღონისძიებას, რომელიც სპობს ფიზიკური გადაადგილების თავისუფლებას ნებისმიერი მიმართულებით.[1236] აქ იგულისხმება პირის დაკავება ვიწროდ შემოფარგლულ სივრცეში[1237] (სასჯელაღსრულების დაწესებულება, ფსიქიატრიული სტაციონარი და ა.შ.) მისი ნების წინააღმდეგ ან ნების გარეშე.[1238] პირის დაკავება უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ასევე ტექნიკური იძულების საშუალებების გამოყენებით. ამაში იგულისხმება სასჯელაღსრულების დაწესებულების გალავანი, კონტროლის ტექნიკური სისტემები, ბადრაგი, რომელსაც აქვს ფიზიკური იძულების გამოყენების უფლებამოსილება, ფსიქოლოგიური (მაგალითად, სანქციების შიში) ან მედიკამენტოზური ზეგავლენა.[1239] ჩარევის ადამიანის თავისუფლების აღკვეთად ჩათვლისათვის აუცილებელია ის აღწევდეს ინტენსივობის მინიმალურ დონეს.[1240] ინტენსივობა, პირველ რიგში, განისაზღვრება შესაბამისი ღონისძიების ხანგრძლივობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთად არ განიხილავენ პირის შეჩერებას, მათ შორის, იდენტობის დასადგენად, იძულებით მიყვანას, ასევე გარკვეული ადგილიდან განრიდების მიზნით პირის სხვა ადგილზე გადაყვანასა და გათავისუფლებას.[1241] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისუფლების აღკვეთის იდენტიფიცირებას ახდენს კონკრეტული სიტუაციის შეფასების საფუძველზე, ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა თავისუფლების შეზღუდვის ფორმა, ხანგრძლივობა, მიმდინარეობა და სხვა.[1242]

664 „თავისუფლების აღკვეთაში“ არ იგულისხმება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სანქციის სახე ან სხვა ღონისძიება, ის ასევე მოიცავს სხვა, ნაკლები ინტენსივობის

[1234] შეადარე: N3/2/646 გადაწყვეტილება, II-15.

[1235] მაგალითად იხ.: BVerfGE 10, 302 (323); Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 22.

[1236] BVerfGE 94, 166 (198); 105, 239 (248).

[1237] Gusy, GG, Art. 104, Rn. 19; Dürig G. (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 6; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 447; BVerwGE 62, 325 (328).

[1238] მაგ.: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 5.

[1239] Gusy, GG, Art. 104, Rn. 21 f.; Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 23.

[1240] Gusy, იქვე, Rn. 20; Jarass, GG, Art. 104, Rn. 104.

[1241] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 5a.

[1242] მაგ.: Guzzardi v. Italy (N7367/76; 6.11.1980).

ჩარევებსაც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს პირის დაკავებას. მოკლე ხანგრძლივობის გამო, დაკავება, თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმებთან შედარებით, ნაკლებად მძიმე ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში. სასამართლო დაკავებაში მოიაზრებს ადამიანის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთას არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში.[1243] ის, დაკავების იდენტიფიცირებისათვის, რამოდენიმე ნიშანზე ამახვილებს ყურადღებას. დაკავება ხორციელდება კონკრეტული დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ. დაკავებად ითვლება თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, თუ პირს თავისუფლება (საკმარისად) ხანგრძლივი დროით (72 საათის ფარგლებში) ეზღუდება. დაკავების დროს ხდება პირის მისი ნების საწინააღმდეგოდ მოთავსება განსაზღვრულ (როგორც წესი, დახურულ) სივრცეში, რომლის დატოვების შესაძლებლობაც მას არ აქვს.[1244]

665 საკონსტიტუციო სასამართლო ფართოდ განმარტავს თავისუფლების აღკვეთის კიდევ ერთ სახეს - პატიმრობას. პატიმრობაში იგულისხმება სასჯელი ან აღკვეთის ღონისძიება, როდესაც ხდება პირის მოთავსება საპატიმროში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში. უფრო ვიწრო ცნებაა „ბრალდებულის პატიმრობა“. ბრალდებულის მიმართ განაჩენი ჯერ არ არის გამოტანილი და შესაბამისად, სასჯელიც არ აქვს შეფარდებული. ამდენად, ბრალდებულის პატიმრობა აღკვეთის ღონისძიებაა და არა სასჯელი.[1245] საკონსტიტუციო სასამართლო ბრალდებულის პატიმრობად განიხილავს იმ შემთხვევასაც, როდესაც პირის გათავისუფლება დამოკიდებულია გირაოს სრულ ან ნაწილობრივ შეტანაზე. ეს იმით აიხსნება, რომ გირაოს უზრუნველყოფამდე ბრალდებული რჩება პატიმრობაში და აღკვეთილი აქვს ფიზიკური თავისუფლება იგივე რეჟიმში, როგორც სხვა პატიმრობაშეფარდებულ პირებს.[1246]

666 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევების ამომწურავ ჩამონათვალს. მისი გათვალისწინება აუცილებელია კონსტიტუციის მე-13 მუხლის განმარტებისას. ჩამონათვალი კანონმდებელს უდგენს ზღვარს, რომელსაც ის ვერ გასცდება ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის სახეების, მათი შინაარსისა და გამოყენების სტანდარტების დადგენისას. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ კონვენციის განსაზღვრულ ჩარევის თითოეულ შემთხვევას.

667 - უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება.[1247] ჩარევის ეს სახე გულისხმობს როგორც სისხლისსამართლებრივი წესით, ასევე სხვა სამართალწარმოების შედეგად პირისათვის სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთას.[1248] არ არის სავალდებულო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, ჩარევა სახეზეა უკვე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან.[1249] თავისუფლების აღკვეთა, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, დროში უნდა მოჰყვებოდეს მსჯავრდებას, ხოლო

[1243] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-7.
[1244] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-21, 22.
[1245] შეადარე: N3/2/646 გადაწყვეტილება, II-23.
[1246] N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-10, 13.
[1247] მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[1248] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 200.
[1249] Wemhoff v. the Federal Republic of Germany.

მიზეზ-შედეგობრივი კუთხით, უნდა იყოს მისი შედეგი ან ხორციელდებოდეს მის საფუძველზე.[1250]

668 - კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ანდა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.[1251] ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ეს ფორმა ორ შემთხვევას მოიცავს. პირველ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა მოჰყვება სასამართლოს კანონიერი ბრძანების შეუსრულებლობას, მაგალითად მის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობას.[1252] მეორე შემთხვევაში ჩარევის წინაპირობაა პირის მიერ კანონით გათვალისწინებული სპეციფიური ან კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობა.[1253] ამგვარი ვალდებულების მაგალითია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ტარება, ცხოვრება განსაზღვრულ ადგილზე, სამხედრო სამსახურის განხორციელება, საბაჟო ან საგადასახადო დეკლარაციის შევსება და სხვა.[1254]

669 - პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.[1255] ამ დროს საქმე შეეხება ჩარევის ორ სახეს. პირველ შემთხვევაში დაკავება ან დაპატიმრება ხორციელდება პირის უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენისათვის იმ პირობით, რომ უნდა არსებობდეს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ასევე მიმალვის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის აღკვეთის აუცილებლობა. ამგვარი ღონისძიებაა ბრალდებულის პატიმრობა. მეორე შემთხვევაში დაკავება ან დაპატიმრება ხდება პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის აღკვეთის აუცილებლობისას.[1256] ამის მაგალითია პირის პრევენციული დაკავება ან პრევენციული პატიმრობა.[1257]

670 - არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად.[1258] ჩარევის ამ სახეშიც ორი შემთხვევა იგულისხმება. აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის დაპატიმრება გულისხმობს, არასრულწლოვანზე პარალელურად, მისი დაცვის მიზნით და სასიკეთოთ, აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელებას.[1259] თუ ამგვარი ღონისძიებები არ ხორციელდება და დაპატიმრება სხვა მიზანს ემსახურება, აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის დაპატიმრება სახეზე არ არის.[1260] ამ სახის ჩარევად ასევე არ განიხილება მშობლის მიერ

[1250] X v. the United Kingdom; Van Droogenbroeck v. Belgium (N7906/77; 24.6.1982); Weeks v. the United Kingdom.

[1251] მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდ „ბ“ ქვეპუნქტი.

[1252] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 204.

[1253] მაგ.: Lawless v. Ireland (N332/57; 1.7.1961).

[1254] McVeigh, O'Neill and Evans v. the United Kingdom (N8022/77, 8025/77, 8027/77; 18.3.1981); Ciulla v. Italy (N11152/84; 22.2.1989); Johansen v. Norway (N17383/90; 7.8.1996).

[1255] მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდ „ც“ ქვეპუნქტი.

[1256] ტურავა, მე-18 მუხლის კომენტარი, 138.

[1257] მაგ.: Shimovolos v. Russia (N30194/09; 21.6.2011).

[1258] მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდ „დ“ ქვეპუნქტი.

[1259] D. G. v. Ireland (N39474/98; 16.5.2002).

[1260] P. and S. v. Poland (N57375/08; 30.10.2012).

არასრულწლოვანის ინტერესებში სამეურვეო უფლებების განხორციელება, მაგალითად ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება.[1261] თუ მსგავს მოქმედებას სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელსაც არ აქვს არასრულწლოვანზე მეურვეობის უფლება, ის ითვლება არასრულწლოვანის დაპატიმრებად.[1262] რაც შეეხება დაპატიმრებას უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მას მიჯნავს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკავებისა და დაპატიმრებისაგან. ამავდროულად, კონვენციის შესაბამისი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ არასრულწლოვანს აკავებენ ფსიქიატრიული დაკვირვებისა და შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის ან დაკავებული არასრულწლოვანი წარედგინება სასამართლოს არასრულწლოვნებზე მზრუნველობის დაწესებულებაში მოთავსების მიზნით.[1263]

671 - პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის კანონიერი დაპატიმრება.[1264] აქ ჩამოთვლილ პირებს აერთიანებთ ის, რომ თავიანთი მდგომარეობის თუ ქცევის გამო, საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც. ჩარევის ამ სახის იდენტიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რამდენად მიეკუთვნება პირი რომელიმე ზემოთ მოყვანილ კატეგორიას. თუ ვინ მოიაზრება „სულით ავადმყოფში“, გადასაწყვეტია კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის, კანონმდებლობისა და თანამედროვე ფსიქიატრიული სტანდარტების საფუძველზე.[1265] „სულით ავადმყოფად“ ვერ ჩაითვლება პირი მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებისაგან განსხვავებული აზროვნება და მოქმედება.[1266] „გადამდები დაავადება“, რაც შეიძლება პირის დაპატიმრების მიზეზი გახდეს, უნდა მოვიაზროთ არა ნებისმიერი ინფექციური დაავადება, არამედ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაღალი რისკის მატარებელი საშიში ინფექციები. „მაწანწალად“ ითვლება პირი, რომელსაც არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, საარსებო საშუალება და მუდმივი საქმიანობა ან პროფესია.[1267] „ალკოჰოლიკად“ განიხილება პირი, თუ ეს დადასტურებულია შესაბამისი სამედიცინო დიაგნოზით. გარდა ამისა, შეიძლება ამგვარი დიაგნოზი არ არსებობდეს, მაგრამ პირი ალკოჰოლის ზემოქმედების გამო საფრთხეს უქმნიდეს საზოგადოებრივ წესრიგს ან საკუთარ თავს.[1268] მსგავსად უნდა მოხდეს ტერმინ „ნარკომანის“ განმარტებაც, რადგანაც ორივე შემთხვევაში პირის მდგომარეობა და ქცევა გამოწვეულია გარკვეული ნივთიერების ზემოქმედებით. აქ მნიშვნელობა აქვს ინდივიდიდან მომდინარე საფრთხის ხარისხს და არა იმდენად იმას, თუ რომელმა ნივთიერებამ გამოიწვია ეს.

672 - პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).[1269] ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის

[1261] Nielsen v. Denmark (N10929/84; 28.11.1988).
[1262] Koniarska v. the United Kingdom (N33670/96; 12.10.2000).
[1263] X v. Switzerland (N8500/79; 14.12.1979); Boumar v. Belgium (N9106/80; 29.2.1988).
[1264] მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდ „ე“ ქვეპუნქტი.
[1265] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 206-207.
[1266] Winterwerp v. the Netherlands (N6301/73; 24.10.1979).
[1267] De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium.
[1268] Witold Litwa v. Poland (N26629/95; 4.4.2000).
[1269] მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდ „ფ“ ქვეპუნქტი.

აღკვეთის შემთხვევა გულისხმობს ვითარებას, როდესაც პირს არ აქვს შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის უფლების მიმნიჭებელი შესაბამისი დოკუმენტი. ასეთია, მაგალითად, თავშესაფრის მაძიებელ პირთა სასაზღვრო-სატრანზიტო ზონაში დაკავების შემთხვევები, რაზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება. დეპორტაციისა და ექსტრადიციისას პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ხდება ამ ღონისძიებების მიზნების მისაღწევად და ბუნებრივია, აუცილებელია, რომ მიმდინარეობდეს პირის გაძევების ან სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურა.[1270] ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ამ ფორმის იდენტიფიცირება ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსტრადიცია ან დეპორტაცია ფაქტობრივად არ განხორციელებულა.[1271]

2.3. ჩარევა ადამიანის თავისუფლების დაცვის საპროცესო გარანტიებსა და კომპენსაციის მიღების უფლებაში

673 დაცული სფეროს განხილვისას ნათელი გახდა, რომ ადამიანის თავისუფლების უფლებას იცავს გარანტიების მთელი კომპლექსი. სახელმწიფოს მხრიდან მათი სრულად ან ნაწილობრივ იგნორირება ასევე უნდა იქნას განხილული ჩარევად ადამიანის თავისუფლების უფლებაში, რადგანაც საპროცესო გარანტიების მიზანი ამ კონსტიტუციური სიკეთის გარანტირებაა. მათში ჩარევა, იმავდროულად, ნიშნავს შესაბამის მატერიალურ უფლებაში ჩარევასაც. რაც შეეხება კომპენსაციის მიღების უფლებას, მისი მიზანი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ფორმით - თავისუფლების უკანონო აღკვეთით - მიყენებული ზიანის სრული კომპენსირებაა, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ მისი შეზღუდვით ადამიანის თავისუფლების უფლებაშიც ხდება ჩარევა. კომპენსაციის უფლებაში ჩარევად შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს აქტით ან მოქმედებით მისი მიღების შესაძლებლობის შეზღუდვის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირთა წრის შევიწროვება.

3. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის გამართლება

3.1. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის გამართლების ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები

3.1. 1. კანონის დათქმა და ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის კანონიერება

674 საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ადამიანის თავისუფლების უფლება, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საგანგებო დაცვას ექვემდებარება.[1272] ამ უფლებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს უზენაესი კანონის როგორც ფორმალურ, ასევე მატერიალურ მოთხოვნებს.[1273]

[1270] ტურავა, მე-18 მუხლის კომენტარი, 142; Saadi v. the United Kingdom (N13229/03; 29.1.2008).
[1271] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 202.
[1272] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-1.
[1273] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-9.

675 კონსტიტუციის მე-13 მუხლი კანონის სპეციალურ დათქმას პირდაპირ მხოლოდ ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი სახის - დაკავების კონტექსტში ითვალისწინებს. ეს არ ნიშნავს, რომ თავისუფლების სხვა შეზღუდვები კანონქვემდებარე აქტებით შეიძლება მოწესრიგდეს. ამ შემთხვევებზე ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა.[1274] მხოლოდ კანონმდებელია უფლებამოსილი, რომ მიიღოს ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის სახეებთან, საფუძვლებთან, ზომასთან და პროცედურასთან დაკავშირებული რეგულირებები, გადაწყვიტოს ყველა არსებითი საკითხი ამ კუთხით.[1275] დაუშვებელია ადამიანის თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა რომელიმე სხვა ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე, ასევე კანონის ანალოგიის გამოყენებით.[1276]

676 ამასთანავე, არის საკითხები, სადაც კანონმდებელს და ზოგადად, სახელმწიფოს, დისკრეციის სფერო არ აქვს. ის ვერ გაათავისუფლებს თავისუფლების აღკვეთას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას სასამართლო კონტროლისაგან, ვერ გაზრდის დაკავებული პირის სასამართლოსათვის წარდგენისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების, ასევე ბრალდებულის პატიმრობის ვადებს, უარს ვერ იტყვის სასამართლოს მიერ დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობისას პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე ისევე, როგორც დაკავებული პირისათვის განმარტებისა და მისი ადვოკატით დაკმაყოფილების ვალდებულებაზე. ამგვარი ჩარევები კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას არ ექვემდებარება.

677 ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევისას სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით კი - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები.[1277] კონვენცია მოითხოვს კანონიერების დაცვას, როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით და თვითნებობის გამო-რიცხვას.[1278] თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები და პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს როგორც სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას, ასევე კონვენციას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს თავისუფლების შეზღუდვას, რომელიც თავსებადი არ არის ეროვნულ კანონმდებლობასთან.[1279] ის ასევე უკანონოდ და კონვენციის საწინააღმდეგოდ თვლის ჩარევას, რომელიც არ შეესაბამება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ჩამონათვალს და არ ემსახურება აქ განსაზღვრულ რომელიმე მიზანს.[1280] კონვენციას ასევე არ შეესაბამება შემთხვევები, როდესაც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ხდება სამართალგამოყენების არასწორ, გაუმჭვირვალე და თვითნებურ პრაქტიკაზე დაყრდნობით.[1281]

[1274] შეადარე: N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-36.

[1275] შეადარე: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 9 f.; Ipsen, Grundrechte, Rn. 269; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 449; BVerfGE 14, 174 (187 f.); 14, 245 (251); 22, 21 (25); 75, 329 (342).

[1276] Gusy, GG, Art. 104, Rn. 24; BVerfGE 29, 183 (195 f.); 83, 24 (31); 109, 133 (188).

[1277] შეადარე: ტურავა, მე-18 მუხლის კომენტარი, 143; Öcalan v. Turkey; Medvedyev and Others v. France.

[1278] შეადარე: ტურავა, იქვე, 136.

[1279] მაგ.: Lukanov v. Bulgaria (N21915/93; 20.3.1997); Steel and Others v. the United Kingdom (N24838/94; 23.9.1998); Kakabadze and Others v. Georgia).

[1280] Denizci and Others v. Cyprus (N25316-25321/94, 27207/95; 23.5.2001); Iskandarov v. Russia (N17185/05; 23.9.2010); Baisuev and Anzorov v. Georgia.

[1281] Baranowski v. Poland (N28358/95; 28.3.2000); Jëèius v. Lithuania.

3.1.2. თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპები, თვითნებობისაგან დაცვა ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევისას

678 როგორც აღვნიშნეთ ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, გარდა ფორმალურისა, მატერიალურ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. სხვაგვარად შეუძლებელია ინდივიდის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან დაუსაბუთებელი და თვითნებური ხასიათის ჩარევებისაგან,[1282] რომლებიც არ შეესაბამებიან თანაზომიერების პრინციპს. ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის მატერიალური კონსტიტუციურობა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე ფასდება,[1283] რომლითაც შებოჭილია ხელისუფლების ყველა შტო.[1284] მაგალითად, დაკავების კონტექსტში მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა „უნდა იყოს სათანადო, აუცილებელი და პროპორციული საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი მიზნებისა და მთავარი მიზნის - მართლმსაჯულების განხორციელების მისაღწევად.“[1285]

679 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მართალია, ადამიანის თავისუფლება აბსოლუტური უფლება არ არის, „თუმცა, ის აბსოლუტურად არის დაცული უკანონო, უსაფუძვლო და თვითნებური შეზღუდვისგან.“[1286] ამდენად, ნებისმიერი ჩარევა a priori მკაცრ შემოწმებას ექვემდებარება[1287] და თუნდაც შედარებით ხანმოკლე ჩარევაც კი მოითხოვს მყარი კონსტიტუციურსამართლებრივი ბარიერის არსებობას, რომლის გადალახვაც დაუშვებელი იქნება.[1288] სახელმწიფო ვალდებულია ამტკიცოს ადამიანის თავისუფლების დაბალი ინტენსივობის შეზღუდვის თანაზომიერებაც.[1289] ამავდროულად, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ინტენსივობის მატებასთან ერთად, პროპორციულად იზრდება მისი დასაბუთებულობის მოთხოვნაც[1290] ისევე, როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც ამ უფლებაში ჩარევას თან სდევს სხვა ძირითადი უფლებებით სარგებლობის შეფერხება ან სრული გამორიცხვა.[1291]

680 ადამიანის თავისუფლების უფლების ფუნდამენტური ხასიათის გათვალისწინებით, მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, წონადი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[1292] სხვადასხვა სახის ჩარევები შეიძლება ემსახურებოდეს განსხვავებულ მიზნებს, როგორიცაა: სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება და მისი ხელშემშლელი გარემოებების აღმოფხვრა; მესამე პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან; საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დანაშაულის თავიდან აცილება, გამოვლენა და

[1282] შეადარე: N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-8.

[1283] მაგალითად იხ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 275; Katz, Staatsrecht, Rn. 703; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 455; N1/3/393,397 გადაწყვეტილება, I;
N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-16.

[1284] შეადარე: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 32.

[1285] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-37.

[1286] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-2.

[1287] შეადარე: Gusy, GG, Art. 104, Rn. 27.

[1288] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-16.

[1289] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-17.

[1290] შეადარე: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-15; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-34; N3/2/646 გადაწყვეტილება, II-58; BVerfGE 70, 297 (311 ff.).

[1291] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-6.

[1292] შეადარე მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 243; N3/2/646 გადაწყვეტილება, II-48; BVerfGE 22, 180 (219).

აღკვეთა; თავისუფლებაშეზღუდული პირის დაცვა იმ საფრთხისაგან, რომელსაც უქმნის საკუთარ თავს და სხვა.[1293] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, უკანონო და თვითნებურია ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა, რომელიც არ ემსახურება კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე მიზანს.[1294]

681 ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის გამოსადეგად ჩათვლისათვის არ არის აუცილებელი, რომ ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება იყოს. საშუალების ეფექტიანობა a priori არ გულისხმობს მის კონსტიტუციურობას, ისევე, როგორც არაეფექტიანობა - არაკონსტიტუციურობას. მთავარია, რომ თავისუფლების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურებოდეს და ამისათვის ერთ-ერთი ვარგისი საშუალება იყოს.[1295]

682 რაც შეეხება აუცილებლობის კრიტერიუმს, საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევს ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება.[1296] შეზღუდვა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება აუცილებლად, თუ სრულად გამოირიცხება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უფრო მსუბუქი საშუალებების გამოყენება. აქედან გამომდინარე, ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევა სახელმწიფომ უნდა განიხილოს, როგორც უკანასკნელი საშუალება (ultima ratio).[1297] ამ დროს მოქმედებს თავისუფლების პრეზუმფცია, რაც გულისხმობს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის, როგორც საგამონაკლისო შემთხვევის განხილვას და მის გამოყენებას მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის პირობებში, რომლის მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.[1298]

683 ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება აკმაყოფილებდეს ზემოთ აღწერილ კრიტერიუმებს, თუმცა მაინც არ შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს, თუ არ იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება. თავისუფლების შეზღუდვა პროპორციულად ჩაითვლება, თუ დაცულია სამართლიანი ბალანსი მასსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის. როდესაც ჩარევით მიყენებული ზიანი აღემატება იმ სიკეთეს, რის მიღწევასაც ის ემსახურება, პროპორციულობის კრიტერიუმი დარღვეულია. რაც უფრო მაღალია ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ინტენსივობა, მით უფრო წონადი უნდა იყოს მისი ლეგიტიმური მიზანი.

684 ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ექვემდებარება შემოწმებას განსაზღვრულობის პრინციპთან შესაბამისობის კუთხით. ჩარევის გამართლებისათვის საკმარისი არ არის მისი საფუძვლებისა და შესაბამისი პროცედურების ფორმალურად საკანონმდებლო აქტით მოწესრიგება, თუ ის არ აკმაყოფილებს ხარისხობრივ-შინაარსობრივ სტანდარ-ტებს. კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განსაზღვრული. ხელმისაწვდომობა გულიხმობს შეზღუდვის ნორმატიული საფუძველის გამოქვეყნებას,[1299] ხოლო განსაზღვრულობა - საკმარის განსაზღვრულობას.[1300] კანონი მკაფიოდ და ცხადად უნდა

[1293] მაგალითად იხ.: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-18; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-10; N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-200; N3/2/646 გადაწყვეტილება, II-49.

[1294] Iskandarov v. Russia.

[1295] შეადარე: N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-40.

[1296] მაგალითად, იხ.: N3/2/646 გადაწყვეტილება, II-48.

[1297] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-15.

[1298] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 168.

[1299] შეადარე: იქვე, 175.

[1300] შეადარე მაგ.: Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 27 ff.; BVerfGE 14, 245 (251); 75, 329 (333 ff., 340 f.); 78, 374 (387 f.).

აწესრიგებდეს თავისუფლების შეზღუდვის მიზნებსა და საფუძვლებს.[1301] მისი განსაზღვრულობის ხარისხი მის ადრესატს უნდა აძლევდეს თავისი ქმედების სამართლებრივი შედეგების, თუნდაც შესაბამისი კონსულტაციის დახმარებით, განჭვრეტის საშუალებას.[1302] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „განუსაზღვრელი, ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმა ვერ მოახდენს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის სრულფასოვან, კონსტიტუციის შესაბამის რეგლამენტაციას. ნორმა არ უნდა იყოს ფორმულირებული ისე, რომ კანონმდებლის მიერ გადასაწყვეტი და მოსაწესრიგებელი საკითხები ფაქტობრივად გადავიდეს სხვა ორგანოების დისკრეციის სფეროში.“[1303]

685 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს კანონის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის შემთხვევას, ხელმისაწვდომობის, სიზუსტისა და განჭვრეტადობის აუცილებლობას.[1304] მისი პრაქტიკიდან გამომდინარე, ეს მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ პროცესუალურ ნორმებზე,[1305] სახელმწიფოს შიდა პრეცედენტულ სამართალსა[1306] და საერთაშორისო სამართალზე.[1307] კანონი უნდა იყოს გასაგები როგორც მისი ადრესატებისათვის, ასევე შემფარდებლებისათვის. თუ ნორმა, მისი ბუნდოვანების გამო, თვით ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ურთიერთსაწინააღმდეგოდ განიმარტება, ის არღვევს კონვენციას.[1308]

686 განსაზღვრულობის პრინციპი არ მოითხოვს აბსოლუტურ განსაზღვრულობას. საკონსტიტუციო სასამართლო ობიექტურად შეუძლებლად მიიჩნევს ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ყოველი კონკრეტული შემთხვევის სხვადასხვა ვარიანტის თუ სცენარის მოწესრიგებას.[1309] „რიგ შემთხვევებში, კანონმდებელი იძულებულია, გამოიყენოს მოქნილი ტერმინები, რათა შესაბამისი ნორმა მოერგოს სხვადასხვა წინასწარ განუსაზღვრელ გარემოებებს.“[1310] მთავარია, მან დაადგინოს ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის კონკრეტული შემთხვევების განხილვა და შეფასება.[1311]

687 ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის მომწესრიგებელი ნორმის შინაარსი უნდა იძლეოდეს მისი განმარტების შესაძლებლობას ახსნა-განმარტების რომელიმე ტრადიციული მეთოდით მაინც.[1312] თუ კანონის არსი, მიზანი და მოთხოვნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რაც იძლევა კეთილსინდისიერი და გონივრული განმარტების პირობებში კანონმდებლის ნების გარკვევის საშუალებას, არაორაზროვანი და გასაგებია როგორც ნორმის შემფარდებლებისათვის, ასევე მისი ადრესატებისათვის, განსაზღვრულობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.[1313] ადამიანის უფლებათა ევროპული

[1301] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-25, 26.
[1302] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 11.
[1303] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-41.
[1304] მაგ.: Kakabadze and Others v. Georgia.
[1305] Baranowski v. Poland; Toniolo v. San Marino and Italy (N44853/10; 26.6.2012).
[1306] Del Rio Prada v. Spain (N42750/09; 21.10.2013).
[1307] Medvedyev and Others v. France.
[1308] Jëèius v. Lithuania.
[1309] შეადარე: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-38.
[1310] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-31.
[1311] შეადარე: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-46.
[1312] იქვე, II-43.
[1313] შეადარე: იქვე, II-45; N3/2/646 გადაწყვეტილება, II-69.

სასამართლო ასევე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ განსაზღვრულობის სტანდარტი დაკმაყოფილდეს სასამართლო პრაქტიკაში არსებული განმარტებების საშუალებით.[1314] აღსანიშნავია, რომ კანონის განსაზღვრულობა მისი კონსტიტუციურობის გარანტია არ არის,[1315] რადგანაც ამ თვალსაზრისით არაპრობლემატური ნორმა შეიძლება არღვევდეს კონსტიტუციის სხვა სტანდარტებს.

688 სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობა არა მხოლოდ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ნორმატიული რეგულირებისას შეიძლება გამომჟღავნდეს, არამედ კანონის აღსრულებისა და შეფარდების პროცესში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისუფლების შეზუდვას თვითნებურად თვლის, როდესაც ხელისუფლება მოქმედებს არაკეთილსინდისიერად ან სწორად არ იყენებს შესაბამის კანონმდებლობას.[1316] მაგალითად, თვითნებურად და კონვენციის უხეშ დარღვევად ითვლება თავისუფლების დაურეგისტრირებელი აღკვეთა მიუხედავად მისი ფაქტობრივი ხანგრძლივობისა.[1317]

3.2. ადამიანის თავისუფლების უფლების სახელმწიფო დაცვის ვალდებულების დარღვევის შემოწმება

689 თუ ადამიანის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე ნეგატიურ ვალდებულებას სახელმწიფო არ ასრულების თანაზომიერების, ანუ გადამეტებული ზომების აკრძალვის პრინციპის დარღვევით, დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიხატება არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპის დარღვევაში - სახელმწიფოს უმოქმედობაში ან არასათანადო მოქმედებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მოთხოვნებს დარღვეულად მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფო თავისი პასიურობით, შემწყნარებლური მიდგომით თუ გონივრული და ადეკვატური ზომების მიუღებლობით, არ იცავს ინდივიდის თავისუფლებას მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან.[1318]

3.3. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ცალკეული სახეების გამართლების თავისებურებანი

3.3.1. მსჯავრდების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის გამართლება

690 ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ეს სახე სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას წინ უსწრებს პირის მსჯავრდება, ხორციელდება მსჯავრდების საფუძველზე და წარმოადგენს მის შედეგს.[1319] მსჯავრდებაში იგულისხმება და შესაბამისად, შემოწმებას ექვემდებარება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე პირისათვის თავისუფლების აღკვეთა, არამედ სასამართლოს მიერ სხვა

[1314] Steel and Others v. the United Kingdom.
[1315] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-40.
[1316] Giorgi Nikolaishvili v. Georgia (N37048/04; 13.1.2009); Kakabadze and Others v. Georgia.
[1317] შეადარე: Kurt v. Turkey (N15/1997/799/1002; 25.5.1998); Iskandarov v. Russia; Baisuev and Anzorov v. Georgia.
[1318] Riera Blume and Others v. Spain; Storck v. Germany.
[1319] შეადარე მაგ.: X v. the United Kingdom; Van Droogenbroeck v. Belgium; Weeks v. the United Kingdom.

სამართალდარღვევების ჩადენის გამო თავისუფლების აღკვეთის ამა თუ იმ ფორმის შეფარდება (მაგალითად, ადმინისტრაციული პატიმრობა), ასევე ფსიქიკურად დაავადებული მსჯავრდებულის მოთავსება დახურულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.[1320] გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მნიშვნელობით მსჯავრდებად თვლის არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ, არამედ საბოლოო, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას.[1321]

691 მსჯავრდების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთაზე ვრცელდება კანონის დათქმა. კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმ სამართალდარღვევას, რომლისათვისაც სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის ესა თუ ის ფორმა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ამ კონტექსტში, კანონიერებაში გულისხმობს არა პირის მსჯავრდების ან სასჯელის კანონიერებას, არამედ მისთვის თავისუფლების აღკვეთას ეროვნული კანონმდებლობისა და კონვენციის შესაბამისად.[1322] კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ასევე არ ხდება პატიმრობის ადგილისა და პირობების შეფასება.[1323]

692 მსჯავრდების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთას არ უნდა ჰქონდეს თვითნებური ხასიათი. ეს არ გულისხმობს სასჯელის შესაბამისი სახისა და ზომის თანაზომიერების შემოწმებას. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თავისუფლების აღკვეთის, როგორც სანქციის, თანაზომიერება, უპირველეს ყოვლისა, სასჯელის ბრალთან თანაზომიერ მიმართებაში გამოიხატება.[1324] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რამდენადაა მსჯავრდება და შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა ისეთი სამართალწარმოების შედეგი, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც „უხეში უარი მართლმსაჯულების განხორციელებაზე“. თუ სამართალწარმოება აშკარად ეწინააღმდეგება საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპებს, მაშინ მის შედეგად პირის მსჯავრდება არღვევს ადამიანის თავისუფლების უფლებასაც. ამ კუთხით, საკმარისი არ არის საქმის სამართლიანი განხილვის უფლების არაფუნდამენტური ხასიათის დარღვევის დადგენა.[1325]

693 პასუხისმგებლობის სახით პატიმრობის დამდგენი ნორმის განსაზღვრულობის მიმართ საკონსტიტუციო სასამართლო ორ ძირითად მოთხოვნას გამოჰყოფს: 1) იმ სამართალდარღვევის შინაარსის მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პატიმრობა და 2) შესაბამისი სამართალდარღვევის მკვეთრი და აშკარა განსხვავება იგივე ობიექტის წინააღმდეგ მიმართული სხვა სახის სამართალდარღვევისა და მისთვის დაწესებული პასუხისმგებლობისაგან.[1326]

694 საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, პირისათვის თავისუფლების აღკვეთის, მათ შორის მსაჯავრდების საფუძველზე, სანქციის სახით, შეფარდების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს აქვს. ეს კონსტიტუციური ნორმა არ იძლევა ფართო ინტერპრეტაციისა და თავისუფლების აღკვეთის არასასამართლო ორგანოს მიერ შეფარდების შესაძლებლობას. წინააღმდეგ

[1320] შეადარე: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 200.

[1321] Wemhoff v. the Federal Republic of Germany.

[1322] Weeks v. the United Kingdom.

[1323] Bizzotto v. Greece (N22126/93; 15.11.1996).

[1324] BVerfGE 20, 323 (331); 25, 269 (286); 27, 18 (29); 45, 187 (228); 50, 5 (10 ff.).

[1325] Kereselidze v. Georgia (N39718/09; 28.3.2019).

[1326] N1/3/393,397 გადაწყვეტილება, III-2.

შემთხვევაში, ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ეს ფორმა არ დაექვემდებარება გამართლებას.

695 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიუთითებს „უფლებამოსილი სასამართლოს“ მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერ დაპატიმრებაზე.[1327] თუ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა არ შეუფარდებია „უფლებამოსილ სასამართლოს“, მაშინ სახეზეა კონვენციის დარღვევა.[1328] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ეს ტერმინი საკმაოდ ფართოდაა განმარტებული. „უფლებამოსილი სასამართლო“ არის ორგანო, რომელსაც აქვს საქმის განხილვის იურისდიქცია, დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და შესაბამისი საქმის მხარეებისაგან და უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს ადეკვატურ გარანტიებს.[1329] გარდა ამისა, „უფლებამოსილი სასამართლო“ უნდა აკმაყოფილებდეს კომპეტენტურობის კრიტერიუმს.[1330]

696 თავისუფლების აღკვეთის ყველაზე მძიმე ფორმაა სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა. ეს გარემოება განაპირობებს მისი კონსტიტუციურობის შემოწმების მაქსიმალურ სიმკაცრეს.[1331] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მისი შეფარდება დასაშვებია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას, რომელიც მიმართულია უზენაესი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ.[1332] სასამართლოს პოზიციით, უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც მსჯავრდებული არ არის დამოკიდებული მხოლოდ შეწყალებაზე და კანონი აწესრიგებს იმ წინაპირობებსა და პროცედურას, რომელთა დაცვითაც შესაძლებელია მისი გათავისუფლება.[1333] თუ უვადო თავისუფლების აღკვეთა გრძელდება მსჯავრდებულის განგრძობადი საშიშროების გამო, დროის გასვლასთან ერთად, იზრდება ამ სასჯელის გამართლების მატერიალური და პროცესუალურსამართლებრივი წინაპირობების სიმკაცრე.[1334]

3.3.2. სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის/კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დაკავების/დაპატიმრების გამართლება

697 სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის დაკავების/დაპატიმრების შემოწმებისას ყურადღება მახვილდება რამოდენიმე გარემოებაზე. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ეს ფორმა უნდა ემსახურებოდეს სასამართლოს ბრძანების შესრულების უზრუნველყოფის მიზანს, იყოს კანონიერი და არ წარმოადგენდეს თვითნებურ შეზღუდვას.[1335]

[1327] მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[1328] Ilascu and Others v. Moldova and Russia (N48787/99; 8.7.2004).
[1329] De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium; Engel v. the Netherlands.
[1330] Yefimenko v. Russia (N152/04; 12.2.2013).
[1331] შეადარე: Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 455.
[1332] BVerfGE 45, 187 (223 ff.).
[1333] BVerfGE 45, 187 (242 ff.); 72, 105 (113); 113, 154 (164 ff.).
[1334] BVerfGE 117, 71 (94 ff.).
[1335] Slavomir Berlinski v. Poland (N27715/95, 30209/96; 18.1.2001).

698 აუცილებელია, რომ პირი იყოს ინფორმირებული სასამართლოს იმ გადაწყვეტილების თაობაზე, რომლის შეუსრულებლობასაც შეიძლება მოჰყვეს თავისუფლების აღკვეთა.[1336] შესაბამისად, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეასრულოს ან არ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება.[1337] ამდენად, პატიმრობის, როგორც უკანასკნელი საშუალების, გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლოს ბრძანება ნებაყოფლობით არ აღსრულდა და არც იძულების გამოყენების მუქარამ გამოიღო შედეგი.[1338]

699 დაუშვებელია პირის დაპატიმრება, თუ მან უკვე შეასრულა სასამართლოს ბრძანება და დაპატიმრების საფუძველი აღარ არსებობს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ ამის შესახებ პირისაგან შეტყობინება არ მიუღია. ის ვალდებულია, რომ ჰქონდეს სასამართლო აქტების შესრულების შეტყობინების ეფექტიანი სისტემა.[1339]

700 კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად პირის დაკავება ან დაპატიმრება დასაშვებია არა ზოგადად, კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე შეეხება სპეციფიკური და კონკრეტული ხასიათის ვალდებულებას.[1340] კონვენციას არღვევს პირის დაპატიმრება, როდესაც ფორმალურად ის ემსახურება კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას, ხოლო რეალურად - სხვა მიზანს.[1341] ვალდებულების შესრულება უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი და გამოირიცხოს შესრულების უზრუნველყოფისათვის უფრო მსუბუქი ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.[1342] სახელმწიფომ უნდა დაიცვას სამართლიანი ბალანსი კანონიერის-მიერი ვალდებულების შესრულების ინტერესსა და ადამიანის თავისუფლების უფლებას შორის. ამ ბალანსს არღვევს, მაგალითად, პირის დაკავების არაგონივრულად ხანგრძლივი ვადა.[1343]

3.3.3. უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად დაკავების/დაპატიმრების გამართლება

3.3.3.1. დაკავების გამართლების თავისებურებანი

701 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დაკავების შემთხვევები უნდა დადგინდეს მხოლოდ საკანონმდებლო აქტით.[1344] სხვაგვარად სახეზე იქნება ადამიანის თავისუფლების უკანონო ხელყოფა.[1345] კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნაა ასევე

[1336] Beiere v. Latvia (N30954/05; 29.11.2011).
[1337] Petukhova v. Russia (N28796/07; 2.5.2013).
[1338] შეადარე: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 17.
[1339] Velinov v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N16880/08; 19.9.2013).
[1340] შეადარე მაგ.: Engel v. the Netherlands; McVeigh, O'Neill and Evans v. the United Kingdom; Ciulla v. Italy; Johansen v. Norway; Ostendorf v. Germany (N15598/08; 7.3.2013).
[1341] Khodorkovskiy v. Russia (N5829/04; 31.5.2011).
[1342] McVeigh, O'Neill and Evans v. the United Kingdom.
[1343] Vasileva v. Denmark (N52792/99; 25.9.2003).
[1344] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-9.
[1345] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 1.

დაკავების განხორციელება კანონით უფლებამოსილი პირის მიერ.[1346] ეს ვრცელდება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული წესით დაკავებაზე. კანონი კონკრეტულად და ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და დაკავებაზე უფლებამოსილ მათ წარმომადგენლებს.[1347] აუცილებელია ამ პირთა უფლება-მოვალეობების მკაფიო რეგულირება. კონსტიტუციას ეწინააღმდეგება დაკავების უფლებამოსილების მინიჭება ფაქტობრივად არარსებული ორგანოს წარმომადგენლისათვის, რომლის სტატუსი და კომპეტენცია სამართლებივად მოწესრიგებული არ არის.[1348]

702 საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ პირის დაკავება უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს და იყოს „..სათანადო, აუცილებელი და პროპორციული საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი მიზნებისა და მთავარი მიზნის - მართლმსაჯულების განხორციელების მისაღწევად. ერთის მხრივ, ჩარევის სიმძიმისა და მეორე მხრივ, მისი გამამართლებელი მიზეზების აწონ-დაწონვისას უნდა იქნეს დაცული დასაშვებობის ზღვარი დაკავებული პირისათვის. დაკავება არ უნდა აწვებოდეს ამ ღონისძიების ადრესატს გადამეტებულ ტვირთად“.[1349]

703 სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების უმთავრესი ლეგიტიმური მიზანია მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა. რაც შეეხება პირის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთას, მისი გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილებას, საკონსტიტუციო სასამართლო მათ შუალედურ მიზნებად თვლის ძირითადი მიზნის მისაღწევად.[1350] ეს მიზანი სახეზე არ იქნება, თუ არ იარსებებს სავარაუდო დანაშაული და გონივრული ეჭვი, რომ დანაშაული ჩადენილია სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ.[1351] დანაშაული უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით. დაკავების შემთხვევაში არ არის აუცილებელი, უკვე დადგენილი იყოს, რომ დანაშაული ნამდვილად არის ჩადენილი. პირის ქმედება, რაც საფუძვლად დაედო მის დაკავებას, უნდა შეიცავდეს კანონით განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს.[1352]

704 საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პირის თავისუფლებაში ჩარევა ვერ მოხდება იმგვარი ეჭვის საფუძველზე, რომელიც ემყარება მხოლოდ სუბიექტურ განწყობას. ამგვარი მიდგომა იქნებოდა მწვანე შუქი თვითნებობისათვის... უნდა არსებობდეს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის, ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომელიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ. სხვა სიტყვებით, ეჭვი უნდა იყოს საფუძვლიანი. ამავდროულად, ეჭვი უნდა ემყარებოდეს ობიექტური მონაცემების კეთილსინდისიერ და გონივრულ შეფასებას.“[1353] დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არა მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაკავებული პირის მიერ ჩადენილია დანაშაული, არამედ იმის გარკვევაც შეეძლოს, რომ საქმე შეეხება

[1346] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-11.
[1347] იქვე, II-12.
[1348] N2/1/263 გადაწყვეტილება.
[1349] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-37.
[1350] იქვე, II-18.
[1351] იქვე, II-20, 23.
[1352] Lukanov v. Bulgaria.
[1353] N2/1/415 გადაწყვეტილება, II-21.

დანაშაულს, რომლისთვისაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული და ეს ყოველივე განუმარტოს მას დაკავებისთანავე.[1354]

705 საკონსტიტუციო სასამართლომ ტერმინი „გონივრული ეჭვი“ გამოიყენა იმჟამინდელი ტერმინოლოგიის გათვალისწინებით. დღეისათვის კანონმდებლობაში ეს ტერმინი ჩაანაცვლა „დასაბუთებულმა ვარაუდმა“,[1355] ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იყენებს ტერმინს „საფუძვლიანი ეჭვი“.[1356] მიუხედავად ტერმინოლოგიური განსხვავებებისა, ყველა ამ ცნების უკან ფაქტობრივად ანალოგიური შინაარსი დგას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „საფუძვლიანი ეჭვის“ ელემენტებად მიიჩნევს მის ობიექტურობას და კეთილსინდისიერებას (bona fides). ის უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურად ადასტურებს პირის კავშირს სავარაუდო დანაშაულთან. დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთა სუბიექტური განწყობის, წარმოდგენების თუ ინსტინქტების საფუძველზე.[1357] საფუძვლიან ეჭვს და შესაბამისად, სხვა მონაცემების გარეშე, დაკავებას ვერც ის გაამართლებს, რომ პირი წარსულში მსჯავრდებული იყო თუნდაც ანალოგიური დანაშაულისათვის.[1358] ამავდროულად, არ არის აუცილებელი, რომ მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც დაკავება განხორციელდა, საკმარისი იყოს პირისათვის ბრალის წარდგენის ან მისი მსჯავრდებისათვის.[1359] საფუძვლიანი ეჭვის არსებობის მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.[1360]

706 ნორმა, რომელიც პირის დაკავების ზოგად, ბუნდოვან საფუძველს ადგენს, ეწინააღმდეგება განსაზღვრულობის პრინციპს და იძლევა თვითნებური დაკავების საშუალებას. ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ შესაბამისი „ნორმები უნდა იყოს მაქსიმალურად ცალსახა და გასაგები, რათა არ იძლეოდეს მათი ორაზროვანი განმარტების შესაძლებლობას.“[1361]

707 აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ თავისუფლების აღკვეთა, მათ შორის დაკავება, მიიჩნევა გამონაკლისად, რომელსაც აქვს დროებითი ხასიათი, რადგანაც ზოგადი წესი არის თავისუფლების აღკვეთა წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.[1362] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ ამ წესიდან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარად ვერ იქნებოდა მიღწეული მიზანი, რასაც ემსახურება თავისუფლების აღკვეთა.[1363] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, გამონაკლისის სახით, პირის თავისუფლების აღკვეთა ან სხვაგვარი შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დასაშვებია მხოლოდ დაკავებისას, სასამართლოსათვის წარდგენამდე 48 საათის განმავლობაში. კონსტიტუციის მოთხოვნები თავისუფლების უფლების შეზღუდვაზე სასამართლო მონოპოლიასთან და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე

[1354] იქვე, II-29.

[1355] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[1356] მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი.

[1357] Murray v. the United Kingdom (N14310/88; 28.10.1994).

[1358] Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom.

[1359] Brogan and Others v. the United Kingdom (N11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85; 29.11.1989); Murray v. the United Kingdom.

[1360] Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom.

[1361] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 1.

[1362] Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 33.

[1363] BVerfGE 22, 311 (317); 105, 239 (247 f.); Degenhart, GG, Art. 104, Rn. 31; Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 41.

თავისუფლების შეზღუდვის ზღვრულ ვადასთან დაკავშირებით მას იმპერატიულად მიაჩნია, რომლიდან გადახვევა აბსოლუტურად გამორიცხულია.[1364] ისინი ვრცელდება როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავების შემთხვევებზე. შესაძლოა, კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებდეს დაკავებული პირის სასამართლოსათვის წარდგენის გაზრდილ ვადას, მაგრამ არაკონსტიტუციურია მისი გაზრდის ირიბი შესაძლებლობის გაჩენაც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ჩათვალა შეკრებების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დამრღვევთა ადმინისტრაციული დაკავება უფლებამოსილი ორგანოს მიერ მათი დარღვევის განხილვამდე და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებამდე. შესაბამისი საქმის განხილვისათვის დადგენილი იყო სამდღიანი განხილვის ვადა, რაც იძლეოდა სასამართლოსათვის წარდგენამდე პირის 48 საათზე მეტი პერიოდით დაკავების შესაძლებლობას.[1365]

708 სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პირის თავისუფლების აღკვეთისას, მათ შორის, დაკავებისას სასამართლოს კონტროლის დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობას უსვამს ხაზს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და სამეცნიერო ლიტერატურა. ეს მოთხოვნა ირღვევა მაშინ, როდესაც პირის სასამართლოსათვის წარდგენის დაყოვნება ობიექტურად არ არის გამოწვეული დაუძლეველი გარემოებებით.[1366] სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სასამართლო სისტემის ისეთ ორგანიზებაზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ხელმისაწვდომობა სასამართლოზე.[1367]

709 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლო კონტროლს დაკავებაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი პოზიციით, კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული დაკავების შემდეგ სასამართლოსათვის ავტომატური წარდგენის მექანიზმი.[1368] სასამართლო კონტროლის აუცილებლობის კონტექსტში, საინტერესოა სასამართლოსათვის წარდგენის გარეშე კანონიერად დაკავებული პირის გათავისუფლების საკითხი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლო კონტროლის აუცილებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ხედავს, როდესაც ხელისუფლებას სურს დაკავებული პირისათვის პატიმრობის შეფარდება. ის პრობლემატურად არ მიიჩნევს სიტუაციას, როდესაც დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, სასამართლო ზედამხედველობის განხორციელებამდე გათავისუფლდება და ამისათვის აუცილებლად არ თვლის სასამართლოს თანხმობას.[1369]

710 კონსტიტუცია მოითხოვს დაკავებული პირის პირადად წარდგენას სასამართლოსათვის. აქედან გამომდინარე, მასთან წინააღმდეგობაში მოვა შემთხვევა, როდესაც არ მოხდება სასამართლოში მისი პერსონალური მოსმენა.[1370] დაუშვებელია ეს ჩაანაცვლოს იმ პირთა მოსმენამ, რომლებმაც განახორციელეს დაკავება.[1371]

[1364] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-207; N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება, II-11.

[1365] N2/1/263 გადაწყვეტილება.

[1366] Jarass, GG, Art. 104, Rn. 13.

[1367] BVerfGE 105, 239 (248).

[1368] Jëèius v. Lithuania.

[1369] მაგალითად იხ.: De Jong, Baljet and Van den Brink v. the Netherlands (N8805/79, 8806/79, 9242/81; 22.5.1984); Brogan and Others v. the United Kingdom.

[1370] შეადარე: BVerfGE 58, 208 (220 f.).

[1371] Degenhart, GG, Art. 104, Rn. 39.

711 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ განსაზღვრავს დაკავებული პირის სასამართლოსათვის წარდგენის კონკრეტულ ვადას და მიუთითებს პირის „დაუყოვნებლივ“ წარდგენაზე.[1372] კონვენციის ამ მოთხოვნის დარღვევის შემოწმებისას გაითვალისწინება კონკრეტული საქმის გარემოებები, რაც გავლენას ახდენს წარდგენის დაყოვნებაზე, მაგალითად პირის დაკავების ადგილსა და პოლიციის უახლოეს განყოფილებას შორის შორი მანძილი,[1373] პირის დაკავება სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ,[1374] სახელმწიფო ორგანოების მოქმედება,[1375] გარკვეული სახის დანაშაულთან ბრძოლის სპეციფიკა,[1376] მათგან მომდინარე საფრთხის ბუნება და მასშტაბი[1377] და ა.შ. გამართლებულად არ ითვლება პირის სასამართლოსათვის წარდგენის დაყოვნება ორგანიზაციული ან პროცედურული პრობლემებით, თუ მათი გადაწყვეტა, სათანადო ორგანიზებისა და დაგეგმვის პირობებში, შესაძლებელი იყო.[1378]

712 დაკავებაზე ეფექტიანი სასამართლო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სახელმწიფოს მიერ დაკავებული პირისათვის განმარტების ვალდებულების შესრულება. საკმარისი არ არის დაკავებულისათვის ფორმალური მითითება კანონის დებულებებზე. მისი შინაარსი უნდა იძლეოდეს მოგვიანებით სასამართლოში დაკავების კანონიერებაზე მსჯელობის შესაძლებლობას.[1379] გარდა ამისა, განმარტება უნდა იყოს გასაგები დაკავებულისათვის. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის დარღვევას ადგენს, როდესაც არ ხდება სათანადო დახმარებით ფიზიკური ნაკლის მქონე დაკავებული პირის უზრუნველყოფა, რომელთანაც შეუძლებელია ჩვეულებრივი გზით კომუნიკაცია[1380] ან დაკავებული არ ფლობს სახელმწიფო ენას და განმარტება არ ხორციელდება მისთვის გასაგებ ენაზე.[1381] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განმარტების დაუყოვნებლივ განხორციელების შემოწმებას. გაითვალისწინება კონკრეტული საქმის გარემოებები, როგორიცაა დაკავებულის პირის მიერ დაკავების მიზეზების გაცნობიერების შესაძლებლობა,[1382] დაკავებული პირის მხრიდან ხელშეშლა[1383] და სხვა.

713 დაკავებული პირის გარანტიებისა და უფლებების რეალიზაციას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი. მაგალითად, უფლება ადვოკატის დახმარებაზე გულისხმობს არა მარტო დამცველის დაშვებას საქმეზე, არამედ კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობას, რაც მოიცავს ადვოკატის პირთან პირისპირ შეხვედრასაც. დაკავებულ პირს უნდა მიეცეს გონივრული და საკმარისი ვადა, რათა შეხვდეს ადვოკატს და მოემზადოს თავის დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია დამცველთან პირისპირ შეხვედრის

[1372] მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.
[1373] Rigopoulos v. Spain (N37388/97; 12.1.1999).
[1374] Vassis and Others v. France (N62736/09; 27.6. 2013).
[1375] S.T.S. v. the Netherlands (N277/05; 7.6.2011).
[1376] Brogan and Others v. the United Kingdom.
[1377] Aksoy v. Turkey (N21987/93; 18.12.1996); Demir and Others v. Turkey (N21380/93, 21381/93, 21383/93; 23.9.1998).
[1378] Koster v. the Netherlands (N12843/87; 28.11.1991).
[1379] შეადარე: Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom; J.R and Others v. Greece (N22696/16; 25.1.2018).
[1380] Z.H. v. Hungary (N28973/11; 8.11.2012).
[1381] Baisuev and Anzorov v. Georgia.
[1382] Murray v. the United Kingdom; Dikme v. Turkey (N20869/92; 11.7.2000).
[1383] Keus v. the Netherlands (N12228/86; 25.10.1990).

ხანგრძლივობის ზოგადი ერთსაათიანი შეზღუდვა. ამასთანავე, მან არ გამორიცხა გონივრული ვადის განსაზღვრა, კონკრეტული საქმის სირთულის გათვალისწინებით, დაცვის უფლებისა და გამოძიების ინტერესების დაბალანსების საფუძველზე.[1384]

714 გონივრული ვადის მიცემაა ასევე საჭირო დაკავებულისათვის ადვოკატის ასარჩევად და მოსაწვევად. ერთი მხრივ, ეს პერიოდი არ უნდა იყოს ისე მცირე, რომ პირს ფორსმაჟორულ ვითარებაში მოუწიოს გადაწყვეტილების მიღება, რაც დააზიანებდა მის ინტერესებს. მეორე მხრივ, დაკავების მაქსიმალური 72 საათიანი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არც ისეთი ხანგრძლივი ვადაა მისაღები, რაც შექმნიდა გამოძიებისათვის ხელის განზრახ შეშლის შესაძლებლობას. გონივრულ ვადაში ადვოკატის ვერგამოცხადებისას, დაკავებული პირისათვის დამცველის დანიშვნით შეთავაზება, ხოლო მის უარის შემთხვევაში, ადვოკატის გამოცხადებამდე დაცვის დამოუკიდებლად განხორციელება, არ არღვევს უფლებას ადვოკატის დახმარებაზე.[1385]

715 არაკონსტიტუციურია არა მხოლოდ პირის დაკავება მისთვის უფლებებისა და დაკავების საფუძვლის განმარტების გარეშე ან ადვოკატის დახმარებაზე უარი, არამედ ამ გარანტიების რეალიზაციის დროში დაყოვნება.[1386] ამის მაგალითია ნორმა, რომელიც აჭიანურებდა დამცველის საქმეში ჩართვას ეჭვმიტანილის დაკავებისას. მისი დაკითხვა უნდა მომხდარიყო პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ამ პერიოდის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შეეძლოთ საკუთარი შეხედულებისამებრ შეერჩიათ დამცველის დაშვების დრო. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავებულ პირს დამცველის დახმარება ესაჭიროება „..არა მარტო დაკითხვამდე, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიცირებული იურიდიული დახმარების გასაწევად.“[1387]

716 მსგავსი მანიპულაციებისა და დაკავებულის უფლებების თვითნებური შეზღუდვის შესაძლებლობის გამორიცხვისათვის, საკონსტიტუციო სასამართლო მკაფიოდ განსაზღვრავს დაკავების მომენტს. კერძოდ, პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც, დახურულ სივრცეში გადაყვანის მიზნით, დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს მას ფიზიკურ თავისუფლებას.[1388] დაკავების მაქსიმალური ვადის - 72 საათის - დარღვევის პრევენციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დაკავების ვადის ათვლის დასრულების მომენტს. საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამ ვადის ათვლა სრულდება (1) პირის დაპატიმრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან (2) მისი გათავისუფლებით.[1389]

[1384] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 2.

[1385] იქვე.

[1386] იქვე, 1.

[1387] იქვე, 2.

[1388] შეადარე: იქვე, 1; N2/1/263 გადაწყვეტილება; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-21. ასევე იხილე მაგ.: Gusy, GG, Art. 104, Rn. 48.

[1389] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-15.

3.3.3.2. ბრალდებულის პატიმრობის გამართლების თავისებურებანი

717 ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდებისას ან გაგრძელებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის შესაბამისობას თანაზომიერების პრინციპთან.[1390] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება მართლმსაჯულების ხელშემშლელი გარემოებების აღმოფხვრის, სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფისა და სამომავლო დანაშაულის პრევენციის მიზნებს.[1391] ლეგიტიმური მიზანი a priori გამოირიცხება დანაშაულის ფაქტისა და დასაბუთებული ვარაუდის გარეშე, რომ პირმა ჩაიდინა ან შესაძლოა ჩაიდინოს დანაშაული ან განახორციელოს სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რითაც ხელი შეეშლება საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას.[1392] ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს ვრცელი პოზიცია.[1393] მართალია, დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი არ ნიშნავს, რომ დანაშაული დამტკიცებულია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, თუმცა არსებობს ობიექტურ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ვარაუდი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ამასთან, დასაბუთებული ვარაუდის არსებობა მაინც არ ქმნის ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების დამოუკიდებელ საფუძველს. საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ (1) პატიმრობა ემსახურებოდეს მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ინტერესების დაცვას და (2) ამ ინტერესების ბრალდებულის მიერ ხელყოფის საფრთხე რეალური იყოს. არაკონსტიტუციურია პატიმრობის შეფარდება ჰიპოთეტური და თეორიული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. სასამართლო პატიმრობის გამოყენების სამ ძირითად საფუძველს გამოჰყოფს - (1) ბრალდებულის მიმალვის, (2) მტკიცებულებების განადგურების ან მოწმეებზე ზემოქმედებისა და (3) ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებს. მათ რეალურობაში სასამართლო უნდა დარწმუნდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. ბრალდების მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ რომელი ობიექტური გარემოებები იძლევა ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველს. პატიმრობის გამოყენების საკმარის წინაპირობად არ გამოდგება ის გარემოება, რომ დაცვის მხარემ ვერ შეძლო სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენა. საკონსტიტუციო სასამართლომ პირის დაკავების ფაქტი არ ჩათვალა მისთვის შემდეგომში a priori პატიმრობის შეფარდების საფუძვლად ან წინაპირობად. მან აღნიშნა, რომ კონსტიტუცია დაკავებასა და პატიმრობას ერთმანეთისაგან მიჯნავს და ბრალდებულის პატიმრობის საჭიროებისა და აუცილებლობის საკითხი სასამართლომ მისი დაკავების ფაქტისაგან დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს.[1394]

718 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრობის შეფარდებისა და გაგრძელებისას, გარდა დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვისა, რაც აუცილებელი (sine qua non) წინაპირობაა და ობიექტურად დადასტურებულია მტკიცებულებათა ერთობლიობით,[1395] ასევე მოითხოვს შესაბამისი და საკმარისი საფუძვლების

[1390] მაგ.: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 40.
[1391] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-49.
[1392] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-19.
[1393] დეტალურად იხ.: იქვე, II-48-73.
[1394] N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-32.
[1395] მაგ.: Erdagöz v. Turkey (N21890/93; 22.10.97); Tsarkov v. Russia (N16854/03; 16.7.2009).

არსებობას.[1396] ამაში იგულისხმება პირის მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლის ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეები, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა.[1397] მიმალვის საფრთხის შეფასებისას გასათვალისწინებელია კონკრეტული საქმის მნიშვნელოვანი გარემოებები - ბრალის წარდგენის შემდეგ მიმალვის ფაქტი; მიმალვის განზრახვის დამადასტურებელი მტკიცებულება; მიმალვის გაადვილებული შესაძლებლობა; მიმალვის პრევენციის ალტერნატიული გარანტიების არსებობა და ხარისხი; ბრალდებულის ხასიათი, მორალური პრინციპები და დამოკიდებულება პატიმრობასთან; მისი სტატუსი, პასუხისმგებლობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ.[1398] ცალკე აღებული რომელიმე საფუძველი თავისთავად არ ამართლებს პატიმრობას. აუცილებელია დადასტურდეს, რომ ის დამოუკიდებლად ან სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში, მიუთითებს მიმალვის რეალურ საფრთხეზე.[1399] მაგალითად, პატიმრობის შეფარდების ან გაგრძელების საფუძველი ვერ იქნება მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე.[1400] მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებული ფაქტორები სრულად და სათანადოდ უნდა გაანალიზდეს, რათა არ მოხდეს პირის დაპატიმრება დაუსაბუთებელი და შაბლონური სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.[1401] პატიმრობაში ყოფნის პერიოდის ზრდასთან ერთად, მცირდება პირის მიმალვის საფრთხე და იზრდება სასამართლოს მიერ შეფასების სიმკაცრე.[1402] მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლის საფრთხე შეიძლება გამოიხატოს მოწმეებზე ზემოქმედებაში, ბრალდებულთა შორის შეთანხმებაში, მტკიცებულებათა დამალვაში, განადგურებაში ან ყალბ მტკიცებულებათა შექმნაში.[1403] აქ იგულისხმება ფაქტობრივი გარემოებებით დადასტურებული, კონკრეტული ბრალდებულიდან მომდინარე და არა აბსტრაქტული საფრთხეები.[1404] თუ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლის საფრთხე აღარ არსებობს საგამოძიებო მოქმედებების (მაგალითად, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებების ამოღება) დასრულების ან სხვა მიზეზების გამო, პატიმრობის გაგრძელება ამ საფუძვლით აღარ იქნება გამართლებული.[1405] ახალი დანაშაულის ჩადენის საფთხეზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები ბრალდებულის მიერ წარსულში იგივე ან მსგავსი დანაშაულის ჩადენა.[1406] პატიმრობას ვერ გაამართლებს წარსულში ისეთი დანაშაულისათვის მსჯავრდების ფაქტი, რომელიც თავისი ხასიათითა და სიმძიმის ხარისხით განსხვავდება ამჟამად წარდგენილი ბრალდებისაგან.[1407] ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ვერ დაეფუძნება აბსტრაქტულ ვარაუდსა და ალბათობას. აუცილებელია შესაბამისი ვარაუდის კონკრეტული, ერთმნიშვნელოვანი

[1396] Letellier v. France (N12369/86; 26.6.1991); Labita v. Italy (N26772/95; 6.4.2000); Idalov v. Russia (N5826/03; 22.5.2012); Buzadji v. the Republic of Moldova (N23755/07; 5.7.2016).

[1397] შეადარე: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 189-190.

[1398] შეადარე მაგ.: Wemhoff v. the Federal Republic of Germany; Stögmuller v. Austria; Matznetter v. Austria (N2178/64; 10.11.1969); Letellier v. France; Yaðci and Sargin v. Turkey (N16419/90, 16426/90; 8.6.1995); Punzelt v. the Czech Republic (N31315/96; 25.7.2000); Barfuss v. the Czech Republic (N35848/97; 31.7.2000).

[1399] მაგ.: Stögmuller v. Austria; Letellier v. France.

[1400] Matznetter v. Austria; Yaðci and Sargin v. Turkey; Muller v. France (N21802/93; 17.3.1997); Ilijkov v. Bulgaria.

[1401] შეადარე მაგ.: Yaðci and Sargin v. Turkey.

[1402] I.A. v. France (N28213/95; 23.9.1998).

[1403] შეადარე მაგ.: Wemhoff v. the Federal Republic of Germany; Letellier v. France; W v. Switzerland.

[1404] Trzaska v. Poland (N25792/94; 11.7.2000).

[1405] შეადარე: Clooth v. Belgium (N12718/87; 12.12.1991); Muller v. France; I.A. v. France.

[1406] Assenov and Others v Bulgaria (N24760/94; 28.10.1998).

[1407] Clooth v. Belgium.

დასაბუთება.[1408] საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოებისა და მესამე პირების, არამედ თვით ბრალდებულის დაცვას საფრთხეებისაგან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ საფუძვლით პატიმრობის შეფარდებას ან გაგრძელებას უშვებს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ ბრალდებულის გათავისუფლება საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას. მაგალითად, როდესაც პირს მკვლელობაში ედება ბრალი, რაზეც დაზარალებულის ნათესავებსა და საზოგადოებას მწვავე რეაქცია აქვთ, მისი გათავისუფლება საფრთხეებთან იქნება დაკავშირებული, მათ შორის, თვით ბრალდებულისათვის. განსხვავებული ვითარებაა, როდესაც დაზარალებულის ნათესავები არ ეწინააღმდეგებიან ბრალდებულის გათავისუფლებას[1409] ან მათგან შურისძიების საფრთხე ბუნდოვანი და არარეალურია.[1410]

719 ბრალდებულის პატიმრობის ლეგიტიმური მიზნები, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ვრცელდება პატიმრობაზეც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფისათვის.[1411] ეს პოზიცია საკამათოა, რადგანაც ამ ტიპის პატიმრობის მიზანი გირაოს სრულად ან ნაწილობრივ შეტანაა, ხოლო პატიმრობის დასრულება უკავშირდება სწორედ ამ მიზნის მიღწევას - გირაოს შეტანას და არა იმ საფრთხეების აღმოფხვრას, რაც ზოგადად პატიმრობის გამოყენების საფუძველია. აქ ძირითადი პრობლემაა, თუ რამდენად შეიძლება ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, ამ კუთხით, წინააღმდეგობრივია. მისი აზრით, გირაოს გამოყენებით საერთო სასამართლო ადგენს, რომ „საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის ყველაზე ოპტიმალური, შესაფერისი და საკმარისი სახე სწორედ დასახელებული ღონისძიებაა.“[1412] ამ ფონზე, ალოგიკურია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ შესაძლებლობის დაშვება, რომ გირაოს შეფარდების შემდეგ არსებობდეს ბრალდებულის გარკვეული პერიოდით პატიმრობაში დატოვების ობიექტური საჭიროება გირაოს შეტანის უზრუნველყოფისათვის. ის აცხადებს, რომ „საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე და არსებული საფრთხეების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს მოსამართლემ, თუ გირაოს დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად, რამდენად არსებობს პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა.“[1413] თუ მოსამართლე უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა გირაოს გამოყენებითაა შესაძლებელი, თანაზომიერების პრინციპის აუცილებლობის კომპონენტიდან გამომდინარე, პატიმრობის გამოყენება არაკონსტიტუციურია. ბრალდებულის პატიმრობის ლეგიტიმურ მიზნებს შორის არ არის აღკვეთის სხვა ღონისძიების განხორციელების უზრუნველყოფა. მისი, როგორც ბრალდებულზე ზემოქმედების მექანიზმის, გამოყენება ამ მიზნით აშკარად თვითნებურია.

ბრალდებულის პატიმრობის გამოსადეგობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო არ ადგენს განსაკუთრებულ და სპეციფიურ მოთხოვნებს. ის სარგებლობს გამოსადეგობის განსაზღვრის ზოგადი სტანდარტით - უნდა არსებობდეს ლოგიკური

[1408] Stögmuller v. Austria.

[1409] Letellier v. France.

[1410] I.A. v. France.

[1411] დეტალურად იხ.: N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-23-25.

[1412] იქვე, II-34.

[1413] იქვე, II-35.

კავშირი ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვას შორის და სადავო ნორმა იძლეოდეს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგ საშუალებად ითვლება.[1414]

720 პატიმრობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულთაგან ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიებაა, ამიტომაც უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებლობის მაღალ სტანდარტს. საკონსტიტუციო სასამართლო ბრალდებულისათვის მის შეფარდებას, გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ უკიდურესი საშუალების სახით,[1415] როდესაც ის ერთადერთი გზაა ბრალდებულის შესაძლო მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მოწმეებზე ზემოქმედების ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად და არ არსებობს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სხვა ალტერნატივა. პატიმრობის საკითხის გადაწყვეტისას მიდგომა უნდა იყოს ინდივიდის თავისუფლების სასარგებლოდ. ანალოგიურ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს ბრალდებულის პატიმრობის გაგრძელება.[1416] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, კონვენციას არღვევს სასამართლოს მიერ პატიმრობის გაგრძელების დამაჯერებლად დაუსაბუთებლობა და პარალელურად აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის განუხილველობა.[1417] ასევე დაუშვებელია კანონმა აკრძალოს აღკვეთის სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენება ბრალდებულის დანაშაულებრივი წარსულის ან იმის გამო, რომ მას ბრალი აქვს წარდგენილი გარკვეული დანაშაულის ჩადენისათვის.[1418]

721 პატიმრობის გამოყენება ბრალდებულის მიმართ უნდა იყოს პროპორციული ზომა. პატიმრობის შეფარდება ან გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენების ინტერესი გადაწონის ბრალდებულის თავისუფლების უფლებას. სიკეთეთა შედარებისას გაითვალისწინება ისიც, რომ ბრალდებულზე ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმფცია,[1419] რაც კრძალავს ბრალდებულისადმი ისეთივე მოპყრობას, როგორც მსჯავრდებულისადმი.[1420] ბრალდებულის პატიმრობა აღკვეთის ღონისძიებაა და დაუშვებელია, რომ მან სასჯელის ხასიათი მიიღოს.[1421]

722 საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრ სტანდარტებს ადგენს ბრალდებულის პატიმრობის მარეგულირებელი ნორმების განსაზღვრულობის მიმართ. შესაბამისი ნორმა უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული, არაორაზროვანი, ადგენდეს პატიმრობის გამოყენების ობიექტურ კრიტერიუმებს. განსაზღვრულობის პრინციპის შესაბამისი რეგულირება მკაფიოდ მიუთითებს მოსამართლეს, თუ რას დაეყრდნოს პატიმრობის შეფარდებისას და საკითხი არ გადაწყვიტოს მხოლოდ სუბიექტური შეფასების საფუძველზე.[1422] განსაკუთრებული ყურადღებით უდგება საკონსტიტუციო სასამართლო იმ ვითარების შეფასებას, როდესაც ნორმის განუსაზღვრელობამ შეიძლება კონსტიტუციის

[1414] იქვე, II-26-27.

[1415] შეადარე ასევე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 244.

[1416] შეადარე მაგ.: N3/2/646 გადაწყვეტილება, II-68, 70-72; N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-29, 33-34.

[1417] მაგ.: Janiashvili v. Georgia (N35887/05; 27.11.2012).

[1418] Caballero v. the United Kingdom (N32819/96; 29.2.2000); Piruzyan v. Armenia (N33376/07; 26.6.2012).

[1419] შეადარე: Degenhart, GG, Art. 104, Rn. 16; Punzelt v. the Czech Republic; BVerfGE 74, 358 (370 ff.); 82, 106 (144 f.); 110, 1 (23).

[1420] Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 456.

[1421] BVerfGE 19, 342 (349).

[1422] დეტალურად იხ.: N3/2/646 გადაწყვეტილება, II-60-61.

იმპერატიული მოთხოვნის დარღვევა გამოიწვიოს. თუ ნორმა იძლევა ისეთი განმარტების შესაძლებლობას, როდესაც რამდენიმე საქმეზე ბრალდებული პირი შეიძლება განუსაზღვრელი ვადით დარჩეს პატიმრობაში, ის არაკონსტიტუციურია.[1423]

723 ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლო დათქმა დაკმაყოფილებულად ჩათვალა გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას. ამავდროულად, მან აღიარა, რომ სადავო ნორმის რეგულირება სასამართლოს აძლევდა ბრალდებულისათვის მხოლოდ პატიმრობის შეფარდების შესაძლებლობას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ საკმარისად ჩათვალა, რომ ნორმამ ფორმალურად გაითვალისწინოს სასამართლოს გადაწყვეტილება უფლების შეზღუდვის თაობაზე.[1424] სასამართლო დათქმის ამგვარი ინტერპრეტაცია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ამ ინსტიტუტის ფუნქციას, რაც მდგომარეობს სახელმწიფო თვითნებობისაგან დასაცავად ინდივიდისათვის გარანტიების შექმნაში. სასამართლო კონტროლი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს იმ შემთხვევაში, როდესაც მართალია, მოსამართლე ფორმალურად იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ სამართლებრივად და ფაქტობრივად მას მხოლოდ ერთი ვარიანტი აქვს - შეუფარდოს პატიმრობა.

724 ფორმალურ ჩართულობაზე გაცილებით ფართოდ ხედავს სასამართლოს როლს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლომ თავად, საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებს პირის დაპატიმრებას და არ შემოიფარგლოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შემოწმებით. ეს ვალდებულება სასამართლოს იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც გადაწყვეტილება სასწრაფოდაა მისაღები.[1425] სასამართლო პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე სტანდარტებს.[1426]

725 როგორც დაცულ სფეროზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, სასამართლო დათქმის ნაწილში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ნაკლებ კატეგორიულია, ვიდრე საქართველოს კონსტიტუცია, რადგანაც იძლევა პირის დაპატიმრების შესაძლებლობას არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის მიერ. თუმცა, კონვენციის დარღვევად ითვლება, თუ ეს მოხელე არ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს.[1427] პატიმრობის კანონიერების გადასინჯვის კონტექსტში, კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ხდება სასამართლოსათვის და არა სხვა ორგანოსათვის მიმართვა.[1428] კონვენციის მოთხოვნებს არ შეესაბამება პატიმრობის კანონიერების შემოწმება მოსამართლის მიერ, რომელსაც არ აქვს პირის გათავისუფლების უფლებამოსილება, თუ პატიმრობა უკანონო

[1423] დეტალურად იხ.: იქვე, II-41-46.

[1424] N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება, II-19.

[1425] მაგ.: BVerfGE 83, 24 (33 f.). ასევე შეადარე: Gusy, GG, Art. 104, Rn. 43; Degenhart, GG, Art. 104, Rn. 20; Schulze-Fielitz, GG, Art. 104, Rn. 36.

[1426] BVerfGE 58, 208 (222).

[1427] Brincat v. Italy (N13867/88; 26.11.1992); Assenov and Others v Bulgaria; Niedbala v. Poland.

[1428] მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი; Varbanov v. Bulgaria (N31365/96; 5.10.2000); Vodenicarov v. Slovakia (N24530/94; 12.12.2000).

აღმოჩნდა.[1429] გარდა ამისა, პატიმრობის კანონიერების განხილვისას აუცილებელია პროცესუალური გარანტიების დაცვა - სასამართლო დაცვაზე ხელმისაწვდომობა, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა, ბრალდებულის სასამართლოსათვის პირადად წარდგენა, დაცვის უფლების უზრუნველყოფა, საქმის დროული განხილვა და სხვა.[1430]

726 სასამართლო კონტროლი ფორმალობად შეიძლება აქციოს არა მხოლოდ არაკონსტიტუციურმა კანონმდებლობამ, არამედ მოსამართლის არაკეთილსინდისიერმა და არაკვალიფიციურმა მიდგომამაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაგონივრულად და გაუმართლებლად მიიჩნევს პატიმრობას, რომელიც ეფუძნება მოსამართლის შაბლონურ, აბსტრაქტული შინაარსის, დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას.[1431] კიდევ უფრო მძიმე ადამიანის თავისუფლების უფლების ხელყოფის ხარისხი, როდესაც ის სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე იმყოფება პატიმრობაში.[1432]

727 იქედან გამომდინარე, რომ ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალური 9 თვიანი ვადა კონსტიტუციის მიერ იმპერატიულადაა დადგენილი, დაუშვებელია, გამონაკლისის სახით, მისი გადამეტება, თუნდაც ამას სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესები მოითხოვდეს და არსებობდეს პატიმრობის გამოყენების ლეგიტიმური მიზნები.[1433] ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალური კონსტიტუციური ვადის დაცვის შემოწმებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ათვლის დასაწყისისა და დასასრულის ზუსტ განსაზღვრას. ვადის ათვლა იწყება (1) პირის დაკავების, ხოლო თუ ის დაკავებული არ იყო - (2) დაპატიმრების მომენტიდან. ათვლის დასრულება უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მომენტს.[1434] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვის შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები პერიოდი გაუქმებულ და ახალ განაჩენებს შორის.[1435]

728 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ადგენს პატიმრობის მაქსიმალურ ვადას, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრობის ვადის გახანგრძლივებას მხოლოდ იქამდე მიიჩნევს გამართლებულად, ვიდრე არსებობს ამის საკმარისი და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საფუძველი.[1436] ის აფასებს, თუ რამდენადაა გამართლებული პატიმრობის ხანგრძლივობა კონკრეტული საქმის

[1429] Van Droogenbroek v. Belgium.

[1430] დეტალურად იხილე მაგ.: Luberti v. Italy (N9019/80; 23.2.1984); Sanchez-Reisse v. Switzerland (N9862/82; 21.10.1986); Woukam Moudefo v. France (N10868/84; 11.10.1988); Lamy v. Belgium (N10444/83; 30.3.1989); Bezicheri v. Italy (N11400/85; 25.10.1989); Toth v. Austria (N11894/85; 12.12.1991); Megyeri v. Germany (N13770/88; 12.5.1992); Navarra v. France (N13190/87; 23.11.1993); Kampanis v. Greece (N17977/91; 13.7.1995); Nikolova v. Bulgaria; Baranowski v. Poland; Niedbala v. Poland; Jablonski v. Poland (N33492/96; 21.12.2000); Trzaska v. Poland; Kawka v. Poland (N25874/94; 9.1.2001); Ilijkov v. Bulgaria; Ilowiecki v. Poland; Giorgi Nikolaishvili v. Georgia; Saghinadze and others v. Georgia (N18768/05; 27.5.2010); Sher and Others v. the United Kingdom (N5201/11; 20.10.2015); Sahin Alpay v. Turkey (N16538/17; 20.3.2018); Batiashvili v. Georgia (N8284/07; 10.10.2019).

[1431] Mansur v. Turkey (N16026/90; 8.6.1995); Giorgi Nikolaishvili v. Georgia; Saghinadze and others v. Georgia; Janiashvili v. Georgia.

[1432] მაგ.: Giorgi Nikolaishvili v. Georgia.

[1433] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-19, 31.

[1434] იქვე, II-22, 24.

[1435] Punzelt v. the Czech Republic.

[1436] Letellier v. France; Tomasi v. France (N12850/87; 27.8.1992).

გარემოებების გათვალისწინებით.[1437] ამითაა განპირობებული, რომ პატიმრობის მსგავსი ვადები ზოგიერთ შემთხვევებში კონვენციის შესაბამისად ითვლება, ხოლო სხვა შემთხვევებში - არა.[1438] პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საქმის სირთულე,[1439] რაც, თავისთავად, უფრო მეტ დროს მოითხოვს. ამავდროულად, პატიმრობის ხანგრძლივი ვადა მხოლოდ მაშინ ექვემდებარება გამართლებას, თუ სამართალწარმოებისას ხელისუფლება განსაკუთრებულ გულმოდგინებას (special diligence) იჩენდა და თვითნებურ გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია.[1440] კონვენცია ირღვევა სახელმწიფო ორგანოთა პასიურობისა და სამართალწარმოების გაჭიანურების შემთხვევაში საკადრო, ორგანიზაციული თუ სხვა მიზეზების გამო.[1441] მხედველობაში მიიღება ასევე ბრალდებულის ქცევა და მისი მხრიდან დაბრკოლებების შექმნა გამოძიებისათვის,[1442] მაგრამ ეს ვერ გაამართლებს პატიმრობის ხანგრძლივობას, როდესაც ის სხვა მიზეზების გამო ისედაც ეწინააღმდეგება კონვენციას.[1443] განსაკუთრებით მკაცრია მიდგომა არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის ხანგრძლივობის შეფასებისას. მისი პატიმრობა რაც შეიძლება მოკლე ვადის განმავლობაში შეიძლება გრძელდებოდეს. არასწრულწლოვანის ხანგრძლივ პატიმრობას ვერ გაამართლებს წარდგენილი ბრალდების სიმძიმე.[1444]

729 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ადამიანის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარეობს სისხლის სამართალწარმოების მაქსიმალური დაჩქარების მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას.[1445] თანაზომიერების პრინციპი ფარგლებს უდგენს ბრალდებულის პატიმრობის ხანგრძლივობას იმისდა მიუხედავად, თუ რა სასჯელს ითვალისწინებს მისთვის წარდგენილი ბრალდება.[1446] პატიმრობის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, იზრდება ადამიანის თავისუფლების უფლების დაცვის ინტერესის წონა სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესთან მიმართებით.[1447]

730 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რამოდენიმე კონსტიტუციური სარჩელი, სადაც სახეზე იყო ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალურ ვადასთან დაკავშირებული კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნის სხვადასხვა მანიპულაციებით დაძლევა. არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ბრალდებულის პატიმრობის ვადის გამოთვლის წესი, რომელიც გამოთვლისას მხედველობაში არ იღებდა პერიოდს, როდესაც ბრალდებული და მისი დამცველი ეცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ბუნებრივია, ეს იწვევდა 9 თვიანი ვადის ფაქტობრივ გაზრდას.[1448] საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ერთი და იმავე ბრალდებულისათვის პატიმრობის

[1437] მაგ.: Wemhoff v. the Federal Republic of Germany; Stögmuller v. Austria; W v. Switzerland.

[1438] მაგ.: Stögmuller v. Austria; Letellier v. France; Punzelt v. the Czech Republic; Kudla v. Poland (N30210/96; 26.10.2000).

[1439] W v. Switzerland.

[1440] მაგ.: W v. Switzerland; Assenov and Others v Bulgaria; Punzelt v. the Czech Republic; Batiashvili v. Georgia.

[1441] შეადარე მაგ.: Stögmuller v. Austria; Clooth v. Belgium; Muller v. France; Assenov and Others v Bulgaria; Trzaska v. Poland; Punzelt v. the Czech Republic.

[1442] W v. Switzerland.

[1443] Stögmuller v. Austria; Jablonski v. Poland.

[1444] Nart v. Turkey (N20817/04; 6.5.2008).

[1445] BVerfGE 19, 342 (347 f.); 46, 194 (195); 53, 152 (158 f.).

[1446] BVerfGE 20, 45 (49 f.); 20, 144 (148); 53, 152 (158 f.).

[1447] BVerfGE 19, 342 (347); 36, 264 (270); 53, 152 (158 f.).

[1448] საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის N1/5/193 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.

განმეორებით შეფარდების საკითხზე. ზოგადად, პატიმრობის განმეორებით შეფარდება პირისათვის, რომელსაც რამოდენიმე ბრალდება აქვს წაყენებული, დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამავდროულად, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ამგვარ შემთხვევებში ბრალდებულს პატიმრობის ვადაში უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წარდგენის შემდეგ გაატარა პატიმრობაში. როდესაც აღნიშნული პერიოდი 9 თვეს შეადგენს, პატიმრობის განმეორებით გამოყენება დაუშვებელია. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც: 1) პირს ბრალი ედება დაპატიმრების შემდეგ ჩადენილ დანაშაულში და 2) დაპატიმრებამდე ჩადენილ დანაშაულზე ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდა პირველ საქმეზე პატიმრობის შეფარდების შემდეგ. სასამართლოს პოზიციით, ამ დროსაც პატიმრობის შეფარდება არაკონსტიტუციურია, თუ საქმე გვაქვს ბრალის წარდგენის ან/და დაპატიმრების მოთხოვნის ხელოვნურად გაჭიანურებასთან და ამით პატიმრობის ვადით მანიპულირებასთან.[1449]

731 ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაზრდის შესაძლებლობას ქმნის ტერმინებით მანიპულირებაც. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ტერმინს „განსასჯელი“.[1450] შესაბამისად, ერთმანეთისაგან იყო გამიჯნული განსასჯელისა და ბრალდებულის პატიმრობები, ხოლო ბრალდებულის პატიმრობის ვადაში არ ითვლებოდა ის პერიოდი, რასაც პირი პროკურორის მიერ საქმის სასამართლოსათვის გადაგზავნის შემდეგ, უკვე მსჯავრდებულის სტატუსით ატარებდა პატიმრობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ თავდაპირველად განაცხადა, რომ განსასჯელის პატიმრობის ვადის საკითხი კონსტიტუციით არ იყო გადაწყვეტილი,[1451] რითაც მასთან დაკავშირებული რეგულირებები ფაქტობრივად კონსტიტუციურ კონტროლს მიღმა დატოვა. წლების შემდეგ სასამართლო კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და მართებულად შეცვალა პოზიცია.[1452] მისი აზრით, სასამართლოს ძველი პრაქტიკა არასწორად ეყრდნობოდა იმჟამინდელ კანონმდებლობას და არ არკვევდა კონსტიტუციური ტერმინის „ბრალდებული“ ავტონომიურ სამართლებრივ მნიშვნელობას. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა მის დამნაშავედ ცნობამდე, კონსტიტუცია „ბრალდებულად“ მოიხსენიებდა და ეს ტერმინი „განსასჯელსაც“ მოიცავდა. აქედან გამომდინარე, ბრალდებულის პატიმრობის ვადაში გასათვალისწინებელი იყო ის პერიოდიც, რასაც პირი სასამართლოსათვის საქმის გადაცემის შემდეგ, განსასჯელის სტატუსით ატარებდა პატიმრობაში.

[1449] დეტალურად იხ.: N3/2/646 გადაწყვეტილება, II-27-47.

[1450] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 25-ე ნაწილის შესაბამისად, განსასჯელად ითვლებოდა ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ეგზავნებოდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. ამ მომენტიდან პირი ითვლებოდა არა ბრალდებულად, არამედ განსასჯელად და აღნიშნულ საპროცესო სტატუსს ინარჩუნებდა, ვიდრე მის მიმართ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი არ გამოვიდოდა.

[1451] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 3.

[1452] N3/2/646 გადაწყვეტილება, II-7-8, 16-17.

3.3.3.3. პრევენციული დაკავებისა და პატიმრობის გამართლების თავისებურებანი

732 პრევენციულ დაკავებას ან დაპატიმრებას უნდა ჰქონდეს კანონიერი ხასიათი. დარღვევად ითვლება ისეთი პატიმრობა, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის არც ერთი საფუძველი აქვს.[1453]

733 პრევენციული დაკავება და პატიმრობა ემსახურება პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის აღკვეთის მიზანს. აღკვეთის აუცილებლობა საფუძვლიანად უნდა იყოს მიჩნეული. დაუშვებელია დაკავება ან დაპატიმრება სამართალდარღვევის ჩადენის ზოგადი საფრთხის საფუძველზე, როდესაც არ ხდება ისეთი სამართალდარღვევის პრევენცია, რაც არ არის საკმარისად დაკონკრეტებული ჩადენის ადგილის, დროისა და მსხვერპლის თვალსაზრისით.[1454] კონვენციას ასევე ეწინააღმდეგება პრევენციული დაკავება, როდესაც ის მიმართულია ისეთი ქმედების აღკვეთისაკენ, რაც პირის უფლების რეალიზაციაა და არა სამართალდარღვევა (მაგალითად, პირის დაკავება შეკრებაში მონაწილეობის პრევენციისათვის).[1455]

734 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს პრევენციული დაკავებისა და პატიმრობის ვადას. კონვენციას ეწინააღმდეგება პირის პატიმრობის გაგრძელება იმაზე ხანგრძლივი ვადით, რაც განსაზღვრული იყო მისთვის ამ პატიმრობის შეფარდებისას.[1456] პრევენციული დაკავების ხანგრძლივობის შეფასებისას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამართლიანი ბალანსის დაცვაზე დაკავებულის თავისუფ-ლების უფლებასა და სამართალდარღვევის პრევენციის ინტერესს შორის.[1457] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ხანგრძლივი პრევენციული პატიმრობის შემთხვევაში, მისი გამოყენების საფუძველი სისტემატურად უნდა გადამოწმდეს.[1458]

735 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უყენებს პრევენციული პატიმრობის გამოყენებასა და აღსრულებას. მისი აღსრულების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს დაპატიმრებული პირის თერაპიასა და გათავისუფლებაზე.[1459]

3.3.4. არასრულწლოვანის დაპატიმრების გამართლება

736 აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის არასწრულწლოვანის დაპატიმრების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს ეკისრება აღმზრდელობითი მიზნების მისაღწევად სათანადო პირობების (შესატყვისი აღმზრდელობითი პროგრამა, შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი და ა.შ.) შექმნის ვალდებულება.[1460] თუ

[1453] მაგ.: M. v. Germany (N19359/04; 17.12.2009); Al-Jedda v. the United Kingdom (N27021/08; 7.7.2011).

[1454] მაგ.: Ciulla v. Italy; M. v. Germany; Haidn v. Germany (N6587/04; 13.1.2011); Shimovolos v. Russia; S., V. and A. v. Denmark (N35553/12, 36678/12, 36711/12; 22.10.2018).

[1455] Schwabe and M.G. v. Germany (N8080/08, 8577/08; 1.12.2011).

[1456] M. v. Germany; Jendrowiak v. Germany (N30060/04; 14.4.2011).

[1457] S., V. and A. v. Denmark.

[1458] BVerfGE 109, 133 (160 ff.).

[1459] BVerfGE 128, 326 (374).

[1460] მაგ.: Koniarska v. the United Kingdom.

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი აღმზრდელობითი ზედამხედველობის განხორციელებას, დაპატიმრება არღვევს კონვენციას.[1461] კონვენციას ასევე არ შეესაბამება დაკავებული არასწრულწლოვანის შესაბამის აღმზრდელობით დაწესებულებაში გადაყვანის პროცესის გაჭიანურება.[1462]

737 უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად არასწრულწლოვანის დაპატიმრების მიზანია მისი ჩამოშორება მავნე გარემოსაგან. ამ პროცედურის შინაარსი და მისი გამოყენება საკმარისი სიზუსტით უნდა იყოს დეფინირებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობა. კონვენციას არღვევს არასწრულწლოვანის დაპატიმრება, როდესაც ის არც უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენას ისახავს მიზნად და არც აღმზრდელობითი ზედამხედველობის განხორციელებას.[1463]

3.3.5 გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის დაპატიმრების გამართლება

738 გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის დაპატიმრება უნდა აკმაყოფილებდეს კანონიერებისა და თვითნებობის აკრძალვის სტანდარტებს.[1464] დაპატიმრების საფუძვლები და პროცედურა შეიძლება დაადგინოს მხოლოდ კანონმა, რომელიც შესაბამისობაშია კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებთან. დაპატიმრების თითოეული შემთხვევა შეიძლება დაექვემდებაროს შემოწმებას, როგორც ფორმალური კანონიერების, ასევე თანაზომიერების თვალსაზრისით.

739 პირის ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება, ფორმალური საპროცესო გარანტიების მკაცრი დაცვის პირობით, დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პირველ რიგში, აქ იგულისხმება თვით ამ პირის ინტერესების დაცვა - მისი განკურნება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შემსუბუქება, თვითდაზიანების პრევენცია. გარდა ამისა, ლეგიტიმური მიზანია საზოგადოებისა და მესამე პირთა დაცვა იმ საფრთხეებისაგან, რაც შეიძლება მომდინარეობდეს პირისაგან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.[1465] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც მსგავსია. ის ხაზს უსვამს სულით ავადმყოფის დაპატიმრების ორმაგ ფუნქციას - სოციალურს, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და თერაპიულს, რაც გულისხმობს „შესაბამის და ინდივიდუალიზებულ მკურნალობას“ და რისი მიზანიც პირის გათავისუფლებაა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისგან მომდინარე საფრთხის შემცირების შემდეგ.[1466]

[1461] მაგ.: Boumar v. Belgium.

[1462] D. G. v. Ireland.

[1463] Ichin and Others v. Ukraine (N28189/04; 21.12.2010).

[1464] შეადარე: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 207.

[1465] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-200. შეადარე ასევე: Schmidt, Grundrechte, Rn. 319.

[1466] Rooman v. Belgium (N18052/11; 31.1.2019).

740 თუ არ არის სახეზე ზემოაღნიშნული მიზნები, მხოლოდ პირის გარკვეულ მდგომარეობაში ყოფნა, მაგალითად ფსიქიური პრობლემები და აზროვნებისა თუ მოქმედების განსხვავება საზოგადოებაში დამკვიდრებული სტანდარტებისაგან, ვერ გაამართლებს მის დაპატიმრებას.[1467] მსგავსია მიდგომა ალკოჰოლიკის დაპატიმრების მიმართაც, რაც დაუშვებელია პირის მხოლოდ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო, თუ ის საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებას ან საკუთარ თავს.[1468]

დაპატიმრებას არ უნდა ჰქონდეს თვითნებური ხასიათი. სულით ავადმყოფის დაპატიმრების თვითნებურობის შეფასებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახდენს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: 1) ფსიქიკური აშლილობის დადგენა ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზით; 2) ფსიქიკური აშლილობის საკმარისად მძიმე ფორმა ან ხარისხი, რაც ამართლებს პატიმრობას; 3) პატიმრობის გაგრძელება მხოლოდ იმ ვადით, რასაც მოითხოვს ფსიქიკური აშლილობის სიმძიმე; 4) პატიმრობის განუსაზღვრელი ვადის შემთხვევაში, პირის გათავისუფლების საკითხის პერიოდული განხილვა სასამართლოს მიერ; 5) პირის მოთავსება შესაბამის, ადაპტირებულ დაწესებულებაში.[1469] ამასთან, ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზის პირობა შეიძლება არ იქნას დაცული საგანგებო ვითარებისას, როდესაც პირის ქცევიდან გამომდინარე, სახეზეა მისი ფსიქიატრულ დაწესებულებაში მოთავსების გადაუდებელი აუცილებლობა.[1470] ამგვარ შემთხვევებში აღნიშნული პირობა მაინც უნდა შესრულდეს, პირისათვის თავისუფლების აღკვეთიდან უმოკლეს დროში.[1471]

741 საკონსტიტუციო სასამართლო პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო კონტროლს. ის ამას ხსნის ინდივიდის უუნარობით, „სრულად ან ნაწილობრივ გააცნობიეროს მის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის მნიშვნელობა და სამომავლო შედეგები“. ამდენად, „იქმნება იმის გაუმართლებელი რისკი, რომ ნეიტრალური სუბიექტის მხრიდან კონტროლის არარსებობის პირობებში, მეურვემ ან სამკურნალო დაწესებულებამ გადაამეტონ მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.“[1472] სასამართლოს ფორმალური ჩართულობა საკმარისი არ არის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, თუ ფსიქიატრულ საავადმყოფოში იძულებითი მოთავსებისას სასამართლოს მიერ ირღვევა პროცედურული მოთხოვნები, ეს ღონისძიება ითვლება არაკანონიერად.[1473] პირს უნდა ჰქონდეს მის მიმართ გამოყენებული ღონისძიების კანონიერების სასამართლო წესით შემოწმების შესაძლებლობა, რომელიც უნდა წარიმართოს საპროცესო გარანტიების დაცვით.[1474]

[1467] Winterwerp v. the Netherlands.

[1468] Witold Litwa v. Poland.

[1469] შეადარე: Winterwerp v. the Netherlands; X v. the United Kingdom; Ashingdane v. the United Kingdom; Varbanov v. Bulgaria; O.H. v. Germany (N4646/08; 24.11.2011); S.R. v. the Netherlands (N13837/07; 18.9.2012); L.B. v. Belgium (N22831/08; 2.10.2012); Plesó v. Hungary (N41242/08; 2.10.2012).

[1470] Winterwerp v. the Netherlands.

[1471] ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 207.

[1472] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-205.

[1473] Van der Leer v. the Netherlands (N11509/85; 21.2.1990).

[1474] შეადარე მაგ.: Stanev v. Bulgaria (N36760/06; 17.1.2012); D.D. v. Lithuania (N13469/06; 14.2.2012).

3.3.6. ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად და დეპორტაციისათვის/ექსტრადიციისათვის დაკავების/დაპატიმრების გამართლება

742 ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვა შემთხვევების ანალოგიურად, აუცილებელია ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ასევე დეპორტაციის ან ექსტრადიციისათვის თავისუფლების აღკვეთა შეესაბამებოდეს კანონიერების მოთხოვნას. კანონიერების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუ პირის აღნიშნული მიზნებისათვის პირის დაკავება ან დაპატიმრება შეესაბამება შიდა კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს და არ არის თვითნებური.[1475] დაუშვებელია იმ მიზნებისათვის პირის დაპატიმრება, რომელსაც არ აქვს კანონიერი საფუძველი.[1476]

743 თვითნებობის შემოწმების კონტექსტში, რელევანტურია შემდეგი ფაქტორები:[1477] 1) დაკავების/დაპატიმრების კეთილსინდისიერება - მაგალითად, დეპორტაციისათვის პირის დაკავება იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, თუ გაძევების პროცედურა მიმდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით.[1478] თვითნებურია პოლიტიკური მოტივით დეპორტაციისათვის პირთა კოლექტიური და მასობრივი დაკავება/დაპატიმრება;[1479] 2) დაკავების/დაპატიმრების მჭიდრო კავშირი მის მიზანთან - ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ამ ფორმის ლეგიტიმური მიზნები მისივე სახელწოდებიდან გამომდინარეობს - ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღკვეთა, პირის ქვეყნიდან დეპორტაციის ან სხვა სახელმწიფოსათვის მისი ექსტრადიციის უზრუნველყოფა. თუ პირის დაკავება ან დაპატიმრება არ უკავშირდება და ემსახურება ამ მიზანთაგან რომელიმეს მიღწევას, ის არღვევს კონვენციის მოთხოვნებს.[1480] თვითნებურია დაკავება ან დაპატიმრება, რომელიც ფორმალურად ხორციელდება ერთი მიზნით, თუმცა რეალურად სხვა მიზანს ემსახურება. ამის მაგალითია ე.წ. „შენიღბული ექსტრადიცია“, როდესაც პირს ფორმალურად აკავებენ დეპორტაციის მიზნით, რათა თავიდან აიცილონ ექსტრადიციაზე დაწესებული შეზღუდვები, რეალურად კი ხდება მისი სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა;[1481] 3) პატიმრობის ადგილისა და პირობების შესატყვისობა - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად არსებობს ურთიერთიკავშირი, ერთი მხრივ, თავისუფლების აღკვეთის საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ, მისი განხორციელების ადგილსა და პირობებს შორის. მაგალითად, კონვენციას არღვევს ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ამისათვის შეუსაბამო ადგილას - აეროპორტის სატრანზიტო ზონაში, ელემენტარული ჰუმანიტარული და სოციალური პირობების უზრუნველყოფის გარეშე.[1482] განსაკუთრებულად მკაცრი მიდგომაა იმ შემთხვევებისადმი, რომელიც შეეხება არასწრულწლოვნების პატიმრობას;[1483] 4) პატიმრობის ვადის გონივრულობა -

[1475] მაგ.: Georgia vs. Russia (N13255/07; 31.1.2019).
[1476] მაგ.: Dougoz v. Greece (N40907/98; 6.3.2001); Riad and Idiab v. Belgium.
[1477] შეადარე: Saadi v. the United Kingdom.
[1478] S.K. v. Russia (N52722/15; 14.2.2017).
[1479] Georgia vs. Russia.
[1480] Yoh-Ekale Mwanje v. Belgium (N10486/10; 20.12.2011).
[1481] Bozano v. France.
[1482] Amuur v. France; Riad and Idiab v. Belgium.
[1483] Rahimi v. Greece (N8687/08; 5.4.2011); Kanagaratnam v. Belgium (N15297/09; 13.12.2011).

კონვენცია არ ადგენს კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც არის დასაშვები პირის დაკავება ან დაპატიმრება, თუმცა მისი ხანგრძლივობის გონივრულობა შემოწმებას ექვედებარება.[1484] პირისათვის თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრელი და არაპროგნოზირებადი ვადით ეწინააღმდეგება განსაზღვრულობის პრინციპს.[1485] ვადის გონივრულობის შემოწმებისას, დიდი ყურადღება ექცევა, რამდენად ახორციელებდა სახელმწიფო შესაბამის პროცედურას საჭირო გულმოდგინებით (requisite diligence),[1486] ასევე ხომ არ არის გამოწვეული გაჭიანურება თვით დაპატიმრებული პირის ბრალით.[1487] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ექსტრადიციის პატიმრობის ვადის გონივრულობის შეფასებისას, სახელმწიფოსაგან უფრო მეტ გულმოდგინებას მოითხოვს, როდესაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი განაჩენი და მის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება.[1488]

744 ადამიანის თავისუფლების აღკვეთის ეს ფორმები, სხვების მსგავსად, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებს უნდა მიეცეთ მათი დაკავების/დაპატიმრების კანონიერების, შესაბამისი საპროცესო გარანტიების დაცვით, გასაჩივრების საშუალება.[1489]

3.4. კომპენსაციის მიღების უფლების დარღვევის შემოწმება

745 უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის მიღების უფლებაში ჩარევის შემოწმებისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადების, არამედ მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებიც, რომელიც ადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას სასამართლო წესით და სრულად.

746 საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას აძლევდა მხოლოდ იმ პირებს, ვინც დაავადდა საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევის გამო. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კომპენსაციაზე უფლების წარმოშობისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად იყო დაცული შესაბამისი რეჟიმი პირის თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ. რეჟიმის დარღვევა ამძიმებს სიტუაციას, მაგრამ თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა, როგორც ასეთი, უკვე პირისათვის ზიანის მიმყენებელია.[1490] სადავო ნორმით ვიწროვდებოდა კომპენსაციის მიღების უფლების სუბიექტთა წრე და ირღვეოდა იმ უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლება, რომლებიც ამ ნორმის მოქმედების მიღმა აღმოჩდნენ. გარდა ამისა, მათ ერთმეოდათ კომპენსაციის მიღების უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებაც.[1491] დარღვეული იყო ზიანის სრულად ანაზღაურების მოთხოვნაც, რადგანაც მისი მხოლოდ ის ნაწილი ექვემდებარებოდა

[1484] მაგ.: Suso Musa v. Malta (N42337/12; 23.7.2013); J.R and Others v. Greece.

[1485] Riad and Idiab v. Belgium.

[1486] მაგ.: Lynas v. Switzerland (N7317/75; 6.10.1976); K.G. v. Belgium (N52548/15; 6.11.2018).

[1487] Kolompar v. Belgium (N11613/85; 24.9.1992).

[1488] Gallardo Sanchez v. Italy (N11620/07; 24.3.2015).

[1489] შეადარე მაგ.: Popov v. France (N39472/07, 39474/07; 19.1.2012); M.A. v. Cyprus; Shcherbina v. Russia (N41970/11; 26.6.2014); Kim v. Russia (N44260/13; 17.7.2014); S.K. v. Russia; O.S.A. and Others v. Greece (N39065/16; 21.3.2019); Aboya Boa Jean v. Malta.

[1490] შეადარე: N2/3/423 გადაწყვეტილება, II-21, 22.

[1491] შეადარე: იქვე, II-18, 19.

კომპენსირებას, რაც პირს საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევის შედეგად მიადგა.[1492]

ლიტერატურა

ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა,/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Degenhart, (Bearb.), Kommentar zum Art.104 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Dürig, (Bearb.), Kommentar zum Art. 2, Abs. 2 GG, in: Maunz, Theodor/ Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958; Gusy, (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Ipsen, staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Kunig, (Bearb.): Kommentar zum Art. 104 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 3, 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Murswiek, (Bearb.), Kommentar zum Art. 2, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 35. Aufl. 2019; Schmidt, Grundrechte, sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde, 17., Aufl. 2015; Schulze-Fielitz (Bearb.), Kommentar zum Art. 2 Abs. 2, in: Dreier, (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006; Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 104 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 3, 2. Auflage, 2006; Starck, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt/ Klein / Starck(Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010.

[1492] იქვე, II-23.

მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

3. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში

შინაარსი

მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება 278

შინაარსი 278

1. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლების ისტორიული განვითარება და ზოგადი მნიშვნელობა 279

2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებით დაცული სფერო 280

2.1. პერსონალურად დაცული სფერო 280

2.2. საგნობრივად დაცული სფერო 283

2.3. მიმოსვლის თავისუფლებისა და საცხოვრებლის უფლების არჩევის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 284

2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 284

2.3.2. სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება 285

3. ჩარევა საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლება 285

3.1. ჩარევის იდენტიფიცირება 285

3.2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის სახეები 286

4. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 286

4.1. კანონის დათქმა 286

4.2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 289

4.2.1. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 289

4.2.2. ჩარევის გამოსადეგობა 289

4.2.3. ჩარევის აუცილებლობა 290

4.2.4. ჩარევის პროპორციულობა 291

5. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 293

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 294

6.1. ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ,- 1509/02 - გადაწყვეტილება. 22.2.2007 294

6.2. სტამოსე ბულგარეთის წინააღმდეგ - 29713/05 გადაწყვეტილება. 27.11.2012 295

6.3. საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება 296

ლიტერატურა 297

1. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლების ისტორიული განვითარება და ზოგადი მნიშვნელობა

747 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი იცავს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებას, როგორიცაა გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის, ქვეყნის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების და საქართველოში შემოსვლის უფლება.

748 მიმოსვლის თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა ადამიანის ბუნებითი უფლებაა. საქართველოში „მიმოსვლისა და ბინადრობის თავისუფლება", როგორც კონსტიტუციური ღირებულება, ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით იქნა აღიარებული.[1493]

749 საბჭოთა კავშირის, და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონმდებლობა ამ მიმოსვლის თავისუფლებასთან დაკავშირებით ძალიან მკაცრი იყო. მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმიდან გამომდინარე შეზღუდული იყო მოქალაქეთა მიმოსვლის განმსაზღვრელი კანონმდებლობა. ამ პერიოდში მიმოსვლის თავისუფლება არ იყო აღიარებული არც სსრ კავშირისა და არც მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით. ასეთი სამართლებრივი მდგომარეობა სწორედ იმდროინდელი რეალობის ამსახველი იყო.

750 1995 წლის კონსტიტუციამ, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება ადამიანის ძირითად უფლებად აღიარა. საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი 1995 წლის რედაქციით იგი 22-ე მუხლით იყო აღიარებული. ამ მუხლმა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით ცვლილება განიცადა და სტრუქტურულად შეიცვალა. პირვანდელი რედაქციით მუხლის მე-2 ნაწილში მოქცეული იყო სახელმწიფოდან გასვლის და საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში შემოსვლის უფლება. 2010 წლის რედაქციით კი იგი ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ორ – მე-2 და მე-4 პუნქტებად. კონსტიტუციურ ნორმაში ცვლილების მიზანი იყო, რომ

[1493] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 30-ე მუხლით: „ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია".

საქართველოს მოქალაქის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა არ მოქცეულიყო ჩამოთვლილ შეზღუდვებში.[1494] ამით, კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის შეზღუდვას დაუშვებლად მიიჩნევდა.

751 საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში, 2017 წლის კონსტიტუციის გადასინჯვისას კვლავ შეიცვალა მუხლის ფორმულირება და მისი ნუმერაციაც, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით მასში ცვლილება არ შესულა. იგი დღევანდელი რედაქციით 3 პუნქტისგან შედგება. მიმოსვლის თავისუფლება მოქმედი კონსტიტუციით მე-14 მუხლით არის გარანტირებული. პირველი პუნქტით, იგი ადგენს ყველასთვის, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებას. ხოლო მეორე პუნქტით დადგენილია პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვა. რომელიც დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად და დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. მესამე პუნქტით კი საქართველოს მოქალაქეს, ყოველგვარი დათქმისა და შეზღუდვის გარეშე, შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

752 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით[1495] თავისუფალი მიმოსვლა მჭიდრო კავშირშია პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან. პიროვნული ავტონომიისა და თვითგამორკვევის მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანის თავისუფლება, საკუთარი არჩევანით დატოვოს საქართველოს ტერიტორია და საკუთარი გადაწვეტილებით გაემგზავროს ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა მიზნით. ამ უფლების რეალიზაცია მეტწილად არის დამოკიდებული პირის ნების ავტონომიაზე და ორგანულ კავშირშია პირის თავისუფალი, გაცნობიერებული ნების არსებობასა და გამოვლენასთან.

753 განსაკუთრებით გლობალიზაციასთან ერთად, იმატებს გადაადგილების და საცხოვრებლის არჩევის უფლების მნიშვნელობა. თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია ამ თავისუფლების გარეშე. სწორედ ამიტომ მიმოსვლისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე სამყაროში.

2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებით დაცული სფერო

2.1. პერსონალურად დაცული სფერო

754 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტებს სხვადასხვა სუბიექტი ჰყავს. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, საქართველოდან გასვლის უფლების სუბიექტია ,,ყველა, ვინც

[1494] დემეტრაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, დანართი № 6, გვ. 71-დან.

[1495] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილება №2/10/1212, საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-11 .

კანონიერად იმყოფება'' საქართველოს ტერიტორიაზე. ,,ყველაში'' იგულისხმება როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი. სასამართლომ განმარტა: ,,ამ ტერმინოლოგიურ მრავალფეროვნებაში, ერთი ცხადია, რომ ,,ყველა'' პირთა გაცილებით ფართო წრეს გულისხმობენ, ვიდრე ,,საქართველოს მოქალაქე'', ეხება ყველა ადამიანს, მათი მოქალაქეობრივი კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს''.[1496] ხოლო მესამე პუნქტით მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

755 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, სამართლებრივ სიკეთეს: საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას. მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა აუცილებელია.[1497] ჯერ ერთი, ეს ორი უფლება შინაარსობრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება იქნეს განხილული და, მეორე, ამ უფლებათა მატარებლები სხვადასხვა კატეგორიის არიან.

756 თუ, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლებაში პირის ფიზიკური გადაადგილება მოიაზრება, ასეთი არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიულ პირს, რადგან იგი შინაარსობრივად (კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე) ვერ გავრცელდება იურიდიულ პირებზე. საცხოვრებლის არჩევის უფლება კი იურიდიული პირისათვის რეგისტრაციის ადგილის არჩევას ნიშნავს.[1498] ამიტომაც ამ უფლების მატარებელნი არიან არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც.

757 კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სფერო რამდენიმე კატეგორიად იქნა გაყოფილი. მათი შინაარსიდან გამომდინარე, მიმოსვლის თავისუფლების მატარებელნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, ისევე როგორც საქართველოს საზღვრის გადაკვეთა (ან გადმოკვეთა) მხოლოდ ფიზიკური პირებისათვის არის შესაძლებელი. მათგან განსხვავებით, საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლებას ფიზიკურ პირებთან ერთად კერძო სამართლის იურიდიული პირებიც ფლობენ.[1499]

758 მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მოაზრებული ფიზიკურ პირთა „საცხოვრებელი ადგილი" უტოლდება კერძო სამართლის იურიდიული პირთა „ადგილსამყოფელს". აქ მოიაზრებიან საქართველოს იურიდიული პირები და უცხო ქვეყნის ის იურიდიული პირები, რომლებიც კანონიერად არიან რეგისტრირებულნი საქართველოში.

759 პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც პირი დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად ირჩევს. საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევას უზრუნველყოფს საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ".[1500] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი კი

[1496] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის №466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.
[1497] Umbach, Grundgesetz: Mitarbeiterkommentar und Handbuch, herausgegeben von Dieter C. Umbach u.a. S. 739, f. 19; S. 740, f 21.
[1498] Jarass, in: Jarass/Pieroph, Grungdesetz fuer Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 8 Auflage S. 287, f.6.
[1499] იგივე ითვლება გერმანიის ძირითადი კანონის მე-11 მუხლის სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით, იხ. Sachs, Verfassungsrecht II, Grundrechte S. 394, f 7.
[1500] 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი № 181-სსმI, № 19, 15.07.2004.

იურიდიული პირის ადგილსამყოფელად მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილს თვლის.

760 თავის მხრივ, ფიზიკურ პირებშიც უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი. პირველი: საქართველოს მოქალაქენი (რადგან ისინი უკანონოდ არ შეიძლება იმყოფებოდნენ საქართველოში) და მეორე, ის უცხოელები, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან საქართველოში. ასეთად შეიძლება ჩაითვალონ როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქენი, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ უცხოელად ჩაითვლება საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელი და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი.

761 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოში უპირობოდ – თავისუფლად შემოსვლის უფლებას ძირითადი კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს ანიჭებს. ძირითადი კანონის 22-ე მუხლის ამ პუნქტში არ არის ასახული საქართველოში იმიგრანტის თავისუფლად შემოსვლის უფლება. პირიქით, კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსის მიხედვით კარგად ჩანს, რომ იმიგრანტს ასეთი უფლება არ გააჩნია".[1501]

762 იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს საქართველოდან გასვლისას შესაბამის ორგანოებში უნდა წარედგინათ საქართველოდან გასვლის ვიზა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის უფლებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად დაასაბუთა: „კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) პირდაპირ ადგენს, რომ საქართველოდან თავისუფლად გასვლა შეუძლია ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ამ ქვეყანაში.(...)ამგვარად, იმიგრანტს, კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის თვალსაზრისით საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლება აქვს მინიჭებული."

763 ერთ-ერთ საქმეში[1502], სასამართლოს უნდა დაედგინა თუ რამდენად არღვევს რეგულაცია, რომელიც მშობელს უკრძალავს არასრულწლოვანი შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანას, საქართველოს კონსტიტუციის დაცულ, ქვეყნის თავისუფლად დატოვების უფლებას. დავის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლომ, იმსჯელა რამდენად წარმოადგენს მამა, მცირეწლოვანი შვილის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილ სუბიექტს. სასამართლოს აზრით მოცემულ შემთხვევაში მშობელი (მამა) წარმოჩნდება მცირეწლოვანი შვილის სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების განმახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში მშობელი ეხმარება არასრულწლოვანს კონსტიტუციური უფლების განხორციელებაში, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ

[1501] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება № 1/4/212 საქმეზე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე სერგო მუშლიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

[1502] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილება №2/10/1212.

მოსარჩელე წარმოადგენს შვილის უფლებების დარღვევაზე კონსტიტუციური დავის სათანადო სუბიექტს.[1503]

764 საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა ერთ-ერთ საქმეს, სადაც შვილი ითხოვდა იმ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ეხებოდა მშობლის უფლებას, მისი თანხმობის გარეშე არ მომხდარიყო საკუთარი სრულწლოვანი შვილის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება.[1504] საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად სცნო აღნიშნული სარჩელი და აღიარა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი იცავდა აღნიშნულ უფლებას.

2.2. საგნობრივად დაცული სფერო

765 მიმოსვლის თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისუფლებაა, რადგან თანამედროვეობაში მის გარეშე წარმოუდგენელია ისეთი ფუნდამენტურ უფლებათა განხორციელება, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის ღირსება, თავისუფლება ან მისი თავისუფალი განვითარება. თუმცა, ასეთი მჭიდრო კავშირი არ უნდა იწვევდეს მის გაიგივებას სხვა ძირითად უფლება-თავისუფლებებთან. ამიტომაც იგი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სხვა კონსტიტუციურ უფლებათაგან.

766 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „საქართველოს ტერიტო-რიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლება ორგანულ კავშირშია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან.“[1505]

767 მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციის მე- 14 მუხლს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან სამართლიანად მიიჩნევს ორგანულ კავშირში, ეს ორი ნორმა მე-12 (პიროვნების თავისუფალი განვითარება) და 14-ე (თავისუფალი მიმოსვლა) წარმოადგენენ სხვადასხვა მოცულობის და დანიშნულების მუხლებს. ზოგადად, მსგავს შემთხვევაში ვრცელდება პრინციპი lex specialis derogat legi generali, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ რომელიმე უფლება კონსტიტუციით დაცულია სპეციალურ ნორმით, შესაბამის უფლებრივ კომპონენტში ჩარევის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს სწორედ ამ სპეციალურ და არა გენერალურ ნორმასთან მიმართებით. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე სასამართლომ მასში ჩარევა უნდა შეამოწმოს კონსტიტუციის მე-14 და არა მე-12 (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) მუხლთან მიმართებით.

768 ამრიგად კონსტიტუციის მე-14 მუხლი მე-12 მუხლთან მიმართებით სპეციალური ნორმაა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით lex specialis არის კონსტიტუციის ის სპეციალური ნორმები, რომლებიც გადაადგილების და საცხოვრებლის არჩევის უფლებას იცავს.

769 მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული მიმოსვლის თავისუფლება გაიმიჯნოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით

[1503] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილება №2/10/1212. II-5.

[1504] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს №1/15/38 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; თუმცა აღნიშნულ საქმეზე შეწყდა წარმოება, რადგან კანონმდებელმა სადავო ნორმაში ცვლილება შეიტანა.

[1505] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილება №2/10/1212, II-11 .

გარანტირებული თავისუფლებისგან. თუ კონსტიტუციის 14-ე მუხლი იცავს ადამიანის დაუბრკოლებელ გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორესაკენ და მის გადაწყვეტილებას ამისათვის აირჩიოს მისთვის სასურველი ფორმა, საშუალება თუ მარშრუტი, კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა, მისი თავისუფლება, იმის მიუხედავად, იგი გადაადგილდება თუ არა სივრცეში.[1506] სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო შთანთქავს 14-ე მუხლით გარანტირებულ თავისუფალი მიმოსვლის უფლებას.

770 ასევე მკვეთრი ზღვარი უნდა გაევლოს კონსტიტუციის 14-ე მუხლით დაცულ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევასა და კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას შორის. თუ 14-ე მუხლით გარანტირებული უფლება საცხოვრებელი ადგილის არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას უზრუნველყოფს, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული „საცხოვრებელი" უკვე არსებულ საცხოვრებელ ადგილს იცავს. ორივე მათგანი შინაარსობრივად ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე.

771 უნდა აღინიშნოს, რომ მე-14 მუხლით დაცულ სფეროში ასევე იგულისხმება ჩამოთვლილ თავისუფლებათა არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ მისი ნეგატიური (თავისუფლების არგამოყენება) გამოვლინება. ე.ი. პირს არამხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ ისარგებლოს თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებლის არჩევის უფლებით, არამედ უფლებას აქვს სხვა კონტექსტიც, მას შეუძლია უარი თქვას უფლებით სარგებლობაზე. მე-14 მუხლით გარანტირებული უფლების მატარებელი დაცულია სახელმწიფოს იძულებისაგან, აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

2.3. მიმოსვლის თავისუფლებისა და საცხოვრებლის უფლების არჩევის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

772 სახელმწიფოს ყველა ძირითად უფლებასთან და მათ შორის კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე წარმოიშობა გარკვეული ვალდებულებები. ამგვარი ვალდებულებები მე-14 მუხლთან მიმართებით არის ნეგატიური და პოზიტიური.

2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

773 სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას მიმოსვლის თავისუფლებისა და საცხოვრებელის არჩევის კონტექსტში წარმოადგენს, თავის შეკავებას ადამიანის ამ კონკრეტულ უფლებაში ჩარევისაგან. მიმოსვლისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებაა, *და იგი* იცავს ინდივიდს ხელისუფლებისაგან და მას სახელმწიფოსაგან თავისუფალ სამოქმედო სივრცეს ანიჭებს. შესაბამისად ამ უფლების სუბიექტებს შეუძლიათ მოითხოვონ სახელმწიფოსაგან უფლებაში სამომავლო ჩარევისაგან თავის შეკავება, მიმდინარე ჩარევის შეწყვეტა ან განხორციელებული ჩარევის შედეგების აღმოფხვრა.

[1506] Schmidt, Grundrechte, (sowie Grundzuege der Verfassungsbeschwerde). 8. Auflage, S. 302, f. 754.

2.3.2. სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება

774 მე-14 მუხლი უნდა იქნეს განხილული სახელმწიფო დაცვის ვალდებულებების კონტექსტში.[1507] სახელმწიფო, ვალდებულია დაიცვას მიმოსვლისა და საცხოვრებლის არჩევის უფლებებით გარანტირებული სიკეთეები ისეთი საფრთხეებისაგან რომელიც მოდის მაგალითად სხვა სახელმწიფოსგან, ბუნებრივი კატასტროფიდან, ტექნოგენური ზემოქმედებიდან, ეპიდემიებიდან ან ასევე სხვა პირებისგან. კარგი მაგალითია, კოვიდ-19 რეგულაციების გამო მე-14 მუხლის შეზღუდვა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებდა მისი დაცვის ვალდებულებებიდან გამომდინარე. სახელმწიფო დაცვის ვალდებულება ირღვევა, როდესაც სახელმწიფო უმოქმედოდაა, ან მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები აშკარად გამოუსადეგარი ან არაადეკვატურია.[1508]

3. ჩარევა საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლება

3.1. ჩარევის იდენტიფიცირება

775 კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო ხელისუფლება სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახდენს ისეთ ინტერვენციას, რომელიც ხელს უშლის, ზღუდავს ან საერთოდ კრძალავს ამ მუხლით გარანტირებულ სიკეთეთა განხორციელებას. ასევე აიძულებს პირებს საცხოვრებელი ადგილის არჩევას, ან გადაადგილებას საკუთარი ნების გარეშე.

776 საინტერესოა, მაგალითად, შეიძლება თუ არა განვიხილოთ კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებაში ჩარევა საქართველოს კანონით, რომელიც ადგენს უცხოელთა და საქართველოს მოქალაქეთა სავალდებულო რეგისტრაციას.[1509] თუმცა, კანონიდან გამომდინარე, რეგისტრაცია არ არის ნებართვასთან გაიგივებული, რეგისტრაციის გავლის აუცილებლობა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის არჩევს შემდეგ ხდება. ამიტომაც რეგისტრაციის სავალდებულოობა არ შეიძლება კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევად იქნეს განხილული. ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა, მაგალითად, პირისადმი მოთხოვნა, წინასწარ შეატყობინოს ან შეუთანხმდეს სახელმწიფოს მისი გადაადგილების დროის, ფორმის ან საშუალების შესახებ, ან მისი საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესახებ, შეიძლება ჩაითვალოს მე-14 მუხლში ჩარევად.

[1507] Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (149); Kahl, Grundrechte, 807 (817).

[1508] Katz, Staatsrecht, Rn. 575; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 113; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 36, ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულება და კანონი, 1 (32), 2012, 46 (49).

[1509] მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" კანონის მე-3 მუხლიდან გამომდინარეობს რეგისტრაციის სავალდებულოობა.

3.2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის სახეები

777 კანონმდებელი კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში დაცულ სიკეთეთა შეზღუდვა კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებადია. კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, „ამ უფლებათა" შეზღუდვათა შესაძლებლობაზე. შესაბამისად (ისტორიული განმარტებიდან გამომდინარე), მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება მე-14 მუხლის მხოლოდ პირველ პუნქტზე. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტზე იგი არ ვრცელდება. მე-2 პუნქტში გვაქვს საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას აძლევს იმის დისკრეციას, რომ შეზღუდოს მე14-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლებრივი სიკეთეები. იგი ითვალისწინებს კანონის დათქმას. კონკრეტულად კი, კანონმდებელი ამ მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას ფორმალურად უშვებს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ხოლო მატერიალურად ჩარევა უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს.

778 მიმოსვლის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ-19 ის რეგულაციების გამო მე-14 მუხლში ჩარევის ფორმალურად და მატერიალურად შემოწმება.[1510] საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების" მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. რომლის თანახმადაც იკრძალებოდა 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით. საქმეში მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ დაადგინა ჩარევა, და ორივე - ფორმალური და მატერიალური - კრიტერიუმით იმსჯელა ამ ჩარევის კონსტიტუციურობაზე.

4. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის გამართლება

4.1. კანონის დათქმა

779 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირდაპირი მოთხოვნაა მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების შეზღუდვის კანონის დათქმის კრიტერიუმი.

[1510] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.№1/5/1499.

780 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. შესაბამისად, კონსტიტუცია ადგენს ჩარევის შემოწმების ორ აუცილებელ კრიტერიუმს ფორმალურს და მატერიალურს. ფორმალური შესაბამისობა უპირველესად გულისხმობს კანონის მიღების პროცედურას და ფორმას. მართალია, კანონმდებელი ადგენს დაცულ სამართლებრივ სიკეთეში ჩარევის ზოგად ფორმალურ საფუძველს: კანონს, რომლის არარსებობის შემთხვევაში კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარევა გაუმართლებელი იქნებოდა, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს არაორდინალურ სიტუაციაში ჩარევის კრიტერიუმს. საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, ადამიანის ძირითად უფლებებში და მათ შორის მე-14 მუხლში სახელმწიფოს ჩარევის განსხვავებულ კრიტერიუმს. ასეთ საგამონაკლისო სიტუაციაში, საგანგებო მდგომარეობის დროს ეს არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტი, რომელიც მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ და ორგანული კანონის ძალის მქონე აქტია.

781 საქმეში მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, საკითხი ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტს, რომელიც არ განსაზღვრავდა კონკრეტულ რეგულაციებს და კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის სრულ უფლებამოსილებას გადასცემდა საქართველოს მთავრობას, რაც იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ თავისუფლებაში ჩარევას.

782 ზოგადად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტები შეიცავს ადამიანის უფლებათა მომეტებული შეზღუდვის რისკებს, ამიტომაც, მათი დამტკიცება საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოადგენს ამ რისკის შემცირების კონსტიტუციურსამართლებრივ გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, მთავრობის მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით თავისუფალი გადაადგილების კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა იმგვარ პირობებში, როდესაც მასზე არ ხორციელდება საპარლამენტო კონტროლი, ვერ ჩაითვლება კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვად და, ამიტომ დიდია, უფლებაში ჩარევის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების დარღვევის რისკი.

783 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა, რამდენად აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს.[1511] საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწვეტილებაში კიდევ ერთხელ გაამყარა მისი პრაქტიკა, რომ „კანონშემოქმედებითი კომპეტენციით ხალხის მიერ უშუალოდ არჩეული ორგანო - საქართველოს პარლამენტია აღჭურვილი, ხოლო საქართველოს მთავრობას - აღმასრულებელი ფუნქცია ენიჭება. საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს (გარდა საგანგებო და საომარი მდგომარეობისა) პარლამენტის მიღმა სხვა რომელიმე ორგანოს უფლებამოსილებას, განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. სწორედ პარლამენტის პრეროგატივა და უპირობო ვალდებულებაა, შეასრულოს

[1511] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება №1/5/1499.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – კანონშემოქმედება"[1512] მისი აზრით საქართველოს პარლამენტი არის ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკითხს წყვეტს გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე, პოლიტიკური დებატების შედეგად, რაც საფუძველშივე ქმნის დამატებით ფილტრს უფლებაში გაუმართლებლად ჩარევის რისკების შესამცირებლად.

784 იმისათვის, რომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის დელეგირება ფორმალური კრიტერიუმით გამართლებული იყოს სასამართლოს აზრით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: „1. აუცილებელია, დელეგირების მიზნები, შინაარსი და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დასაშვები ფარგლები თავად უფლებამოსილების მიმნიჭებელი აქტით იყოს განსაზღვრული; 2. საქართველოს პარლამენტმა არ უნდა მოახდინოს უფლებისათვის სისტემური მნიშვნელობის საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება."[1513] ამით სასამართლომ დაადგინა უფლებამოსილების დელეგირებისათვის დადგენილი კონსტიტუციურ მოთხოვნები.

785 საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „კომენდანტის საათის დაწესება, ერთი მხრივ, არ განეკუთვნება სისტემური მნიშვნელობის საკითხს, რომელზეც აუცილებელია პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს იმგვარ მექანიზმს, რომელიც გამოიყენება სწრაფად ცვალებად ვითარებაში სიტუაციასთან ადეკვატური ადაპტაციის, ექსტრაორდინარული გარემოებების ნორმალიზაციის მიზნით და ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობისათვის დელეგირება გამართლებულია გადაწყვეტილების სწრაფად და ეფექტურად მიღების საჭიროებით. ამიტომ მან მიიჩნია, რომ, რომ სადავო ნორმა აკმაყოფილებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 მუხლის ფორმალურ კრიტერიუმს და დარღვეული არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციური მოთხოვნები.[1514]

786 ფორმალური შესაბამისობის თვალსაზრისით აუცილებელია რომ კანონი, რომელიც თუნადაც პროცედურულად სწორად იყოს მიღებული, არ იყოს ბუნდოვანი და განუსაზღვრელი. ე.ი. მნიშვნელოვანია იგი აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის კრიტერიუმს.

787 ამ თვალსაზრისით საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილება,[1515] რომელშიც მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებს, მისი განუსაზღვრელობისა და ბუნდოვანების გამო. საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა, სადავო ნორმის გონივრული განმარტების შესაძლებლობა, ისევე როგორც მისი პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევები და მივიდა დასკვნამდე რომ საკითხის ამგვარად მოწესრიგება არათუ არასრულწლოვნის საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მიმოსვლის თავისუფლებას არ ზღუდავს, არამედ ამ უფლების განხორციელებისათვის

[1512] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-34.

[1513] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება №1/5/1499 II-1,16 და ასევე 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება II-41-43.

[1514] იქვე. II-24.

[1515] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილება №2/10/1212, საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

აუცილებელ კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს.[1516] და სადავო ნორმა ძალაში დატოვა

4.2. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება

4.2.1. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

788 კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ამ მუხლში გარანტირებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სიკეთეთა არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი შეზღუდვის საფუძვლებს. ასეთი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი 1. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა 2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, 3. ჯანმრთელობის დაცვა ან 4. მართლმსაჯულების განხორციელება.

789 თუმცა აუცილებელია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისი (ვიწრო გაგებით პროპორციული) საშუალება. თუ აღნიშნული კრიტერიუმები დაკმაყოფილებული არ არის, ძირითად უფლებაში ჩარევა ვერ გაივლის თანაზომიერების ტესტს, რაც ნიშნავს იმას რომ ასეთ შემთხვევაში მე-14 მუხლი დარღვეულია და სახელწმიფოს მიერ განხორცილებული ქმედება ან უმოქმედობა არ არის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი.

790 ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, უფლების შემზღუდველი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციას.

4.2.2. ჩარევის გამოსადეგობა

791 მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევის საჯარო ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავადად არ არის საკმარისი უფლებაშემზღუდველი რეგულაციის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის კრიტერიუმს. იმისათვის, რათა აღნიშნული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვა უზრუნველყოფდეს დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. ე.ი. იგი იყოს მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალება.

792 საქმეში კოვიდ-19 ის გამო კომენდატის საათის შემოღების საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კომენდანტის საათის ძირითადი არსი – იყო დღის გარკვეული მონაკვეთის განსაზღვრა, რომლის განმავლობაშიც პირებს ეკრძალებათ ქუჩასა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში გადაადგილება სპეციალური ნებართვის გარეშე. სასამართლოს აზრით, "აღნიშნული მექანიზმი მკვეთრად ამცირებს მობილობას კომენდანტის საათის მოქმედების პერიოდში, რაც მინიმუმამდე ამცირებს პირთა თავშეყრის, ხალხმრავალი შეკრებების გამართვისა და დიდი რაოდენობის პირთა

[1516] იქვე.

ახლო კონტაქტის ალბათობას. გამომდინარე იქიდან, რომ კორონა ვირუსის გავრცელების ძირითადი წყარო ადამიანთა ახლო ფიზიკური კონტაქტია, კომენდანტის საათი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა მობილობისა და ნაკლებად აუცილებელი სოციალური აქტივობების შემცირებას, წარმოადგენს ვირუსის სწრაფი გავრცელების შეკავების მექანიზმს და, შესაბამისად, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას".[1517] ამიტომ სასამართლომ ჩათვალა რომ ე.წ. კომენდატის საათი იყო გამოსადეგი საშუალება მიზნის მისაღწევად, და ამ მხრივ, აკმაყოფილებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს.

4.2.3. ჩარევის აუცილებლობა

793 საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევაში საჯარო ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი უფლებაშემზღუდ-ველი რეგულაციის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის, აუცილებელია შემოწმდეს ამ ჩარევის თანაზომიერება. ჩარევა სხვა კრიტერიუმებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებლობის მოთხოვნასაც, აუცილებლობა ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა წარმოადგენდეს ამ უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ღონისძიება იმაზე მეტად ზღუდავს ძირითად უფლებას, ვიდრე ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციისათვის. და შესაბამისად იგი არაკონსტიტუციურად ჩაითვლება.

794 საკონსტიტუციო სასამართლომ „კომენდატის საათის" შემოღებასთან სადავო რეგულაციის აუცილებლობის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვირუსის გავრცელების ძირითადი წყაროა დაინფიცირებულ პირთან ფიზიკური კონტაქტი. 21:00 საათიდან 06:00 საათამდე მობილობის აკრძალვით კი ვირუსით დაინფიცირების რისკი მცირდება. ის თავისთავად, იმატებს გაზრდილი მობილობის პირობებში, როდესაც პირები აქტიურად გადაადგილდებიან სხვადასხვა ლოკაციაზე, ხვდებიან სხვადასხვა ადამიანებს და ახორციელებენ სოციალურ აქტივობებს. აქედან გამომდინარე, ვირუსის გავრცელების შეჩერების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნია ადამიანთა შორის ფიზიკური კონტაქტის შეზღუდვით მობილობის შემცირება, რომლის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებადაც მან კომენდანტის საათის შემოღება ჩათვალა. [1518]

795 მან იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად შეიძლებოდა უფრო მსუბუქი შეზღუდვით იგივე მიზნის, ამ შემთხვევაში კოვიდ-19 პანდემიის გამკლავება, მიღწევა. სასამართლოს აზრით 21:00 საათიდან 06:00 საათამდე მობილობის აკრძალვით შეიზღუდა არა მხოლოდ ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე გადაადგილება, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა პირთა კერძო საკუთრებაში სოციალური აქტივობები, როგორიცაა ქორწილი, დღესასწაულის აღნიშვნა, მეგობრების შეკრება თუ სხვა რაიმე თავშეყრა. ამგვარი სოციალური აქტივობების დროს, როდესაც ეს ხდება არა საჯარო, არამედ კერძო სივრცეში, თითქმის შეუძლებელია იმის გაკონტროლება, თუ რამდენად ხდება სოციალური დისტანციისა თუ პირბადის ტარების წესის დაცვა. აქედან გამომდინარე, მიიჩნია, რომ პირბადითა და სოციალური დისტანციით გადაადგილება ისეთივე ეფექტურობით ამცირებს ვირუსის

[1517] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება №1/5/1499, II-31.
[1518] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება. №1/5/1499, II-33.

გავრცელებას, როგორც კომენდანტის საათის შემოღებით მობილობის უკიდურესად შემცირება და ადამიანთა ახლო კონტაქტის შეზღუდვა, და დაასკვნა, რომ დადგენილი რეგულაცია წარმოადგენდა ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებას და, ამ მხრივ, აკმაყოფილებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს.[1519]

4.2.4. ჩარევის პროპორციულობა

796 კანონმდებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეზღუდვას უშვებს მხოლოდ კანონის შესაბამისად და იმ ზომით, რომელიც აუცილებელია მთლიანად საზოგადოების ან საზოგადოების ნაწილისათვის, რათა მიღწეული იყოს სამართლიანი ბალანსი. პროპორციული ჩარევისათვის აუცილებელია შეწინააღმდეგებულ ინტერესთა აწონ-დაწონვა, მათი ურთიერთბალანსის დადგენა და პრიორიტეტის მინიჭება იმ ინტერესისთვის, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში არის პრიორიტეტული.

797 რამდენადაც ადამიანის ძირითად უფლებებს ერთმანეთთან მიმართებით ავტომატური უპირატესობა არ გააჩნიათ და მათი ურთიერთმიმართების, კონკურენციის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ინდივიდუალური შეფასების გზით უნდა გადაწყდეს, სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებაა, რომ ორ დაპირისპირებულ ინტერესს შორის დაადგინოს სამართლიანი ბალანსი.[1520] მან დაპირისპირებულ ინტერესებს შორის კონფლიქტი შეაფასა, რამდენად ინტენსიური და ხანგრძლივი იყო უფლების შეზღუდვა და რამდენად არსებით გავლენას ახდენდა ის სხვა უფლებებით სარგებლობაზე და დაადგინა რომ ე.წ. „კომენდანტის საათი“ იყო დროებითი გამოყენების მექანიზმი, რათა სახელმწიფოს ჰქონოდა ეფექტიანი შესაძლებლობა, მობილობის შემცირების გზით ვირუსის სწრაფი და ფართომასშტაბიანი გავრცელების შესაჩერებლად.[1521] გარდა სადავო რეგულაციის დროებითობისა, სასამართლოს აზრით დროის დასახელებულ მონაკვეთში მობილობის მკაცრად შემცირება ვიწროდაა მიმართული ნაკლებად აუცილებელი აქტივობებისა და თავყრილობების პრევენციისაკენ, რათა არ მოხდეს, პირთა ახლო კონტაქტის გზით, ვირუსის გავრცელება. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია,[1522] რომ გადაადგილების თავისუფლების მოცემული ფორმით შეზღუდვა მიმართულია დაპირისპირებულ ინტერესთა შორის სწორი და სამართლიანი ბალანსის დადგენისაკენ.

798 მაგალითისთვის ასევე გამოდგება შეკრება-მანიფესტაციების ჩატარებისთვის სავალი ან საავტომობილო გზის გადაკეტვა. თუმცა, სავალი გზის მუდმივი გადაკეტვა და შემოვლითი გზის არარსებობა დაარღვევს მიმოსვლის თავისუფლების არსს. აღნიშნული დაუშვებელია. „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ” საქართველოს კანონის14 მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, იკრძალება განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისთვის, ხოლო 11[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნური ბლოკირება, აგრეთვე სავალი ნაწილის გადაკეტვა ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით.

[1519] იქვე, II-35.
[1520] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება. №1/5/1499. II-38.
[1521] იქვე II-40.
[1522] იქვე II-43.

შესაბამისად, კონკრეტული პირის (მათ შორის, შეკრების და მანიფესტაციის მონაწილის) მიერ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე გამოხატვის უფლების რეალიზაციისა და სხვათა გადაადგილების უფლებას შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ხელისუფლება (პოლიცია) უფლებამოსილი ხდება გადაწყვიტოს ორ უფლებას შორის წარმოქმნილი კოლიზია. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის, მათ შორის, მე-11 და 11[1] მუხლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, სწორედ ასეთი კოლიზიის გადასაჭრელად მკაფიო და განჭვრეტადი კრიტერიუმების დადგენის მცდელობა წარმოადგენს.

799 ამ საკითხის შესახებ იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და შეაფასა, არის თუ არა მიზნის თანაზომიერი კანონმდებლის მიერ დაწესებული შეზღუდვები.[1523] საკონსტიტუციო სასამართლომ სრულიად მართებულად მიიჩნია, რომ „ქუჩის გადაკეტვის შესაძლებლობის ნებისმიერ დროს და ადგილას გარანტირება სხვათა უფლების გაუმართლებლად ხშირ შეზღუდვას გამოიწვევს". სხვათა უფლებებად კი იგი ამ შემთხვევაში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას მოიაზრებს.[1524]

800 საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა ვიწრო გაგებით პროპორციულობაზე, საქმეში მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. მან კოვიდ-19 რეგულაციების ფარგლებში შეაფასა მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა 21:00 საათიდან 06:00 საათამდე. სასამართლომ დაინახა მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეული სხვა უფლებათა შეზღუდვა და მიუთითა რომ „პირის თავისუფლების ერთი კონკრეტული ლოკაციით შემოფარგვლა ავტომატურად ამცირებს მისი თავისუფლების ხარისხს, სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად აუარესებს ცხოვრების ზოგად ხარისხს. ამდენად, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას, სახელმწიფო ვალდებულია, გაითვალისწინოს ყველა ის უარყოფითი ასპექტი, რაც შედეგად მოსდევს ამ უფლებაში ჩარევას".[1525] მისი აზრით 21:00 საათიდან 06:00 საათამდე დღის მონაკვეთი შედარებით ნაკლებადაა დატვირთული სასიცოცხლო მნიშვნელობის აქტივობებით და ამ დროს ადამიანები ძირითადად უთმობენ პირადი თუ სოციალური ურთიერთობების განვითარებას, განტვირთვასა და დასვენებას. დროის დასახელებულ მონაკვეთში მობილობის მკაცრად შემცირება ვიწროდაა მიმართული ნაკლებად აუცილებელი აქტივობებისა და თავყრილობების პრევენციისაკენ, რათა არ მოხდეს, პირთა ახლო კონტაქტის გზით, ვირუსის გავრცელება.

801 საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთს შეადარა კონკურირებადი უფლებები, მიიჩნია, რომ „გადაადგილების თავისუფლების მოცემული ფორმით შეზღუდვა მიმართულია დაპირისპირებულ ინტერესთა შორის სწორი და სამართლიანი ბალანსის დადგენისაკენ. ერთი მხრივ, გადაადგილების თავისუფლება შეიზღუდა დროის იმ მონაკვეთში, რომელიც ყველაზე ნაკლებად ეთმობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებას, ვიწროდაა მიმართული ვირუსის გავრცელების მომეტებული რისკის შემცველი და, ამავე დროს, ნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალური

[1523] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[1524] იქვე.

[1525] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება №1/5/1499. II-38.

ქცევების და თავყრილობების შეზღუდვისაკენ“. ამიტომ სადავო რეგულაცია კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია.

5. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლებაში სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

802 საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლების ეფექტიანი დაცვა წარმოუდგენელია, თუ სახელმწიფო ერთის მხრივ გაუმართლებლად ჩაერევა პირის უფლებაში, ან მეორეს მხრივ არ შეასრულებს თავის დაცვის ვალდებულებას. აღნიშნული პირველ რიგში არის კანონმდებლის პასუხისმგებლობაა, რომელმაც უნდა შექმნას იმგვარი კანონმდებლობა, რომელიც გამორიცხავს ამ უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხეებს.

803 საქართველოს კონსტიტუცია ასევე ადგენს, რომ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა ასევე შესაძლებელია მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

ასეთი შეზღუდვა გვაქვს, მაგალითად, საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ”.[1526] ამ კანონის 51-ე მუხლი განმარტავს იმ საფუძვლების ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც უცხოელს საქართველოდან გასვლაზე შეიძლება უარი ეთქვას. ესენია: ა) თუ სასამართლოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება; ბ) თუ იგი მსჯავრდებულია ჩადენილი დანაშაულისათვის – სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისაგან გათავისუფლებამდე; გ) თუ თავს არიდებს საქართველოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას – მოვალეობის შესრულებამდე.

804 არა მხოლოდ უცხოელის, არამედ საქართველოს მოქალაქის საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძველიც შეიძლება მართლმსაჯულების განხორციელება იყოს. „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ საქართველოს კანონის”[1527] მე-10 მუხლის „ა” ქვეპუნქტით, საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებით გასვლაზე, თუ ის იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

805 კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციით ჩამოთვლილი შეზღუდვის საფუძვლის არსებობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მე-14 მუხლით დაცულ სფეროში ყოველგვარი ჩარევა თავისთავად გამართლებული იყოს. თვით კონსტიტუციის მუხლის 34-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ნებისმიერი ჩარევა უნდა შემოწმდეს თანაზომიერების პრინციპით.

[1526] საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.
[1527] საქართველოს 1993 წლის 7 დეკემბერის კანონი საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

6.1. ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ,- 1509/02 - გადაწყვეტილება. 22.2.2007

806 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის № 4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად დაცულია მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.[1528] ამ მხრივ საინტერესოა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწვეტილება ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ.[1529]

807 საქმე ეხებოდა, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას. განმცხადებელი ასაჩივრებდა მის საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრაციაზე სახელმწიფო ორგანოების უარს. განმცხადებელი დაიბადა საქართველოში, იყო ყოფილი სსრკ-ს მოქალაქე 2000 წლის 31 დეკემბრამდე, როდესაც ის გახდა მოქალაქეობის არმქონე პირი. ის მოსკოვში ცხოვრობდა განაცხადის განხილვის მომენტისთვის. რუსეთის კანონმდებლობისა და რეგულაციების თანახმად რუსეთში მაცხოვრებელ პირებს ე.წ. „პროპისკის“ (შიდა რეგისტრაცია) სისტემის შესაბამისად ქონდათ ზოგადი მოვალეობა, დარეგისტრირებულიყვნენ ნებისმიერ ადგილას, სადაც ისინი ათ დღეზე მეტი ვადით დარჩენას გეგმავდნენ. დაურეგისტრირებლობას მოყვებოდა დაჯარიმება და სოციალური უფლებებით სარგებლობის დაკარგვა, როგორებიც იყო სამედიცინო დახმარება, სოციალური უზრუნველყოფა ან ასაკობრივი პენსია. განმცხადებელმა მიმართა საპასპორტო ორგანოებს და მოითხოვა მოსკოვში მდებარე ბინის მის საცხოვრებელ ადგილად რეგისტრაცია, მაგრამ მას უპასუხეს, რომ ეს მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა. მან გაასაჩივრა გადაწყვეტილება რაიონულ სასამართლოში, რომელმაც არ დააკმაყოფილა საჩივარი. იმ საფუძვლით, რომ მას უნდა ჰქონოდა ვიზა. მან სააპელაციო საჩივრით მიმართა ქალაქის სასამართლოს, ამტკიცებდა რა, რომ ის არასდროს ყოფილა საქართველოს მოქალაქე, შესაბამისად, ვიზის მოთხოვნა მასთან მიმართებით შეუსაბამო იყო და რომ ნებისმიერ შემთხვევაში ბინადრობის რეგულაციები რუსეთის ფედერაციაში კანონიერად მცხოვრებ ყველა პირზე თანაბრად ვრცელდებოდა, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს დადგენილება, განმცხადებლის მიერ მოყვანილ არგუმენტებზე მსჯელობის გარეშე.

808 სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეზე ვრცელდებოდა მე-4 დამატებით ოქმის მე-2 მუხლი, და სახელმწიფო ორგანოების უარი, დაედასტურებინათ კონკრეტულ მისამართზე მისი ცხოვრების ფაქტი უტოლდება ჩარევას, რადგანაც ამით მას შეეზღუდა მთელი რიგი ძირითადი სოციალური უფლებებით სარგებლობა და ამავდროულად

[1528] მუხლი 2. 1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება. 2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა. 3. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაზე შეზღუდვის დაწესება, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის ინტერესებისათვის ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. 4. ზოგიერთ სივრცეში 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლება ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც შემოღებულია კანონის შესაბამისად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესებით.

[1529] 1509/02 გადაწყვეტილება 22.2.2007.

დაექვემდებარა ადმინისტრაციულ სახდელებს და ჯარიმას. შესაბამისად სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ მე-4 დამატებით ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა.

809 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (საქმის სამართლიანი განხილვა) დარღვევა, რადგან სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ საპასპორტო ორგანოს განაცხადს, შემდგომ დასაბუთების არაადეკვატურობა არ გამოუსწორებიათ მაღალი ინსტანციის სასამართლოებს, რომელმაც განმცხადებლის სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი არგუმენტების განხილვის გარეშე მარტივად გაიზიარა ქვედა ინსტანციის მიგნებები შეჯამების სახით. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები არ შესრულდა.

6.2. სტამოსე ბულგარეთის წინააღმდეგ - 29713/05 გადაწყვეტილება. 27.11.2012

810 2003 წელს, მას შემდეგ, რაც სტუდენტურ ვიზასთან დაკავშირებული პირობების დაღვევით მომჩივანმა ანაზღაურებადი სამსახური დაიწყო, მას ამერიკის შეერთებული შტატებიდან დეპორტაცია გაუკეთეს თავის სამშობლოში, ბულგარეთში. სამშობლოში ჩასულ მომჩივანს ბულგარეთის ხელისუფლებამ მოგზაურობაზე ორწლიანი აკრძალვა დაუწესა და ამერიკის საელჩოდან მიღებული წერილის შემდეგ, პასპორტი ჩამოართვა. ბულგარეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებების სასამართლო განხილვის შესახებ შუამდგომლობაზე მომჩივანს უარი ეთქვა.

811 ბულგარეთის სახელმწიფომ, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ უშუალოდ დააზარალა მომჩივნის მიერ ამერიკის იმიგრაციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევამ, საჭიროზე მკაცრი მიდგომა გამოიყენა, რადგან მომჩივანს ორი წლის განმავლობაში ნებისმიერ სხვა უცხო ქვეყანაში მოგზაურობაც აუკრძალა. ხოლო ბულგარეთის ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მათ არ ჰქონდათ უფლებამოსილება, განეხილათ ამ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების საკითხი. შესაბამისად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის № 4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

812 ამასთანავე სასამართლომ ამავე საქმეში ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-13[1530] მუხლის- სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლების დარღვევა, რადგან ბულგარეთის ეროვნულმა სასამართლოებმა აკრძალვის მხოლოდ ფორმალური საფუძვლიანობა განიხილეს და დაადგინეს, რომ მათ არ შეეძლოთ დაწვრილებით განეხილათ აკრძალვის საჭიროების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული შეფასება, რაც, სინამდვილეში, მომჩივნის მიერ დასმული მთავარი საკითხი და მე-4 ოქმის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბალანსის ტესტის არსებითი ნაწილი იყო. განხილვის შეზღუდული ფარგლების გამო ამგვარი პროცედურა კონვენციასთან დაკავშირებული დასაბუთებადი საჩივრის არსებითი მხარის განხილვის

[1530] მუხლი 13. ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

შესაძლებლობას არ იძლეოდა და, ამდენად, მე-13 მუხლის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა.

6.3. საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება

813 საქმეში საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) საჩივარი შეტანილი იქნა იმ შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2008 წლის აგვისტოში, ამ ორ ქვეყანას შორის მუდმივად მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.

814 საქმე შეიცავდა შეფასებას დროის ორ ძირითად პერიოდში: რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ინტერვენციის შემდეგ ხუთდღიანი ომის დროს საომარი მოქმედებების აქტიური ფაზა (2008 წლის 8-დან 12 აგვისტომდე) და ოკუპაციის ფაზა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება).[1531]

815 საქმეში საქართველოს მხარე ასაბუთებდა რომ რუსეთმა დაარღვია კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-8 და მე-13 მუხლები, კონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლები და კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი და არ გამოიძია ის შემთხვევები, რომლებმაც შექმნა ამ დარღვევების საფუძველი.“

816 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ეთნიკურად ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ დაარღვია კონვენციის რამდენიმე მუხლი და მათ შორის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება).[1532]

817 იძულებით გადაადგილებული პირების მიმოსვლის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველო დავობდა რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებების მხრიდან ამ რეგიონებში დაბრუნებაში დაახლოებით 23 000 იძულებით გადაადგილებული ქართველისთვის სავარაუდო ხელის შეშლაზე. აქედან გამომდინარე, იგი თვლიდა რომ მე-4 ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლებები დაირღვა.

818 მიმოსვლის თავისუფლებასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ საქმეში „ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სამხედრო ოპერაციები, რომლებიც განხორციელდა საომარი მოქმედებების აქტიურ ფაზაში და დანარჩენი მოვლენები, რომელთა შესწავლაც მას მოეთხოვება მოცემული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის, მათ შორის, იმ მოვლენების კონტექსტში, რომლებიც მოხდა „ოკუპაციის“ ფაზაში, საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ, აგრეთვე სამოქალაქო პირებისა და სამხედრო ტყვეების დაპატიმრებისა და მათ მიმართ მოპყრობის, იძულებით გადაადგილებული პირების მიმოსვლის თავისუფლების, განათლების მიღების უფლებისა და გამოძიების ვალდებულების კონტექსტში.[1533]

[1531] დეტალურად იხ. ქვეთავი 13.6.3.
[1532] ECHR, 21.02.2021, Georgia v. Russia (II) 38263/08.
[1533] იქვე, P. 83.

2021 წლის 21 იანვრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების 298-ე პარაგრაფის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ეთნიკურად ქართველებსა და საქართველოს მოქალაქეებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანად დაბრუნების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. 819

820

როგორც აღინიშნა სასამართლომ დაადგინა რამდენიმე მუხლის დარღვევა, რუსეთის ფედერაციის მიერ. მათ შორისაა მე-4 ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევა. 2023 წლის 28 აპრილს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, 2021 წლის 21 იანვარს გამოტანილი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საქმეზე Georgia v. Russia (II), რუსეთის ფედერაციის მიერ ასანაზღაურებელი არაქონებრივი ზიანის მოცულობა განსაზღვრა.[1534] მან საქართველოს მოქალაქეების მიმართ ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევის გამო რუსეთმა ეთნიკურად ქართველებსა და საქართველოს მოქალაქეებს 130 მილიონ ევრომდე უნდა გადაუხადოს. [1535]

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013; დემეტრაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, თბილისი, 2010; ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულება და კანონი, 1 (32), 2012; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005; შვაბე, (შემდგენელი), გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011; Degenhart, Staatrecht I, Staatsorganizationrecht, 18., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2002; Hesse, Bedeutung der Grundrechte, Bedeutung der Grundrechte, § 5. Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland. 1995; Maurer, Staatsrecht, Munchen, 1999; Ipsen, Staatsrecht I, Staatsorganisationrecht, 12. Auflage, 2000; Katz, Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht. C.F. Müller; 16., neu bearb. Edition. 2005; Jarass/Pieroth Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, GG Kommentar, München 2006; Münch/Kunig, (Hrsg.) Grundgesetz Kommentar, Muenchen, Bd. 16. Auflage, München, 2012; Pieroth/ Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28. Aufl. Heidelberg, 2011; Randelzhofer, Kahl, Bonner Kommentar zum Grundgesetz, Loseblattsammlung seit 1950, Art. 11. Heidelberg; Sachs, Verfassungsrecht II, Grundrechte, 2. Auflage, Berlin, Heidelberg, 2003; Schmidt, Grundrechte, (sowie Grundzuege der Verfassungsbeschwerde).10.Aufl., Bremen, 2016; Umbach, (Herausgeber, Autor) Bundesverfassungsgerichtsgesetz: Mitarbeiter kommentar und Handbuch (Heidelberger Kommentar) Auflage: 2., Auflage 2005; Zenthöfer, Staatsrecht 2, Grundrechte, Kiel, 7. Auflage, 2009/2010.

[1534] იქვე.
[1535] იქვე, P. 4.

მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

შინაარსი

მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები 298

შინაარსი 298

1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 300

1.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 300

1.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცული სფერო 301

1.2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების პერსონალური დაცული სფერო 301

1.2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების საგნობრივი დაცული სფერო 303

1.2.2.1. საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლები და მისი გამიჯვნა სხვა ძირითადი უფლებებით დაცული სფეროებისაგან 303

1.2.2.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო 307

1.2.2.3. ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო..... 312

1.2.2.4. პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო 315

1.2.2.5. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო 319

1.3. ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების უზრუნველყოფის ფორმალური გარანტიები 324

1.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 327

1.4.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 327

1.4.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები 328

2. ჩარევა პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში 330

2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება 330

2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის სახეები 331

3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამართლება 334

3.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამართლების ფორმალური მოთხოვნები 334

3.1.1. კანონის დათქმა და პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის კანონიერება 334

3.1.2. ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევისას სასამართლო დათქმის დარღვევის შემოწმება 337

3.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 339

3.2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 339

3.2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამოსადეგობა 341

3.2.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის აუცილებლობა 342

3.2.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის პროპორციულობა 343

3.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 345

ლიტერატურა 348

1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა

821 საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი განამტკიცებს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს. ეს უფლებები ემსახურება ინდივიდის პირადი სფეროს ამა თუ იმ ასპექტის დაცვას. იქედან გამომდინარე, რომ სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ფასეულობა ადამიანია, შესაბამისად მაღალია მისი პირადი სფეროს პატივისცემის ხარისხი. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი პირადი ცხოვრებისა და მე-15 მუხლით გათვალისწინებული სხვა სიკეთეების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.[1536] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ადამიანის ღირსების გამოხატულება, ფუნდამენტური კონსტიტუციური გარანტია და ინდივიდის თავისუფლ-ების კონცეფციის განუყოფელი ნაწილი, სამართლიანად მიიჩნევა სასიცოცხლოდ აუცილებლად ადამიანის დამოუკიდებელი განვითარების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის.[1537]

822 დიდია კონსტიტუციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებების არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ ობიექტური მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.[1538] დემოკრატიული საზოგადოების თანმდევი მოთხოვნილებაა ინდივიდის ავტონომიის პატივისცემა და დაცვა, რაც აუცილებელია მისი არსებობის, სტაბილურობისა და განვითარებისათვის.[1539]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იცავდა საცხოვრებლისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლებებს. ყოველი მოქალაქის ბინა ცხადდებოდა შეუვალად, ხოლო მისი გაჩხრეკა დაშვებული იყო მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.[1540] ხელშეუხებელი იყო ასევე კერძო მიწერ-მოწერა, რომლის ამოხმა, ანუ ამოღება და გადასინჯვა შეიძლებოდა მხოლოდ

[1536] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

[1537] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-60; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-4.

[1538] შეადარე მაგ.: N1/2/519 გადაწყვეტილება, II-2, 5.

[1539] შეადარე მაგ.: N2/1/484 გადაწყვეტილება, II-15.

[1540] იქვე, 28-ე მუხლი.

სასამართლოს დადგენილებით.[1541] ამ ფორმულირებებში ნათლად იკვეთება ადამიანის პირადი სფეროს პატივისცემისა და მისი დაცვის შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფის ნება.

823 პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი განმტკიცებულია საერთაშორისო დონეზე. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც კრძალავს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას, ასევე პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას, ასევე ადგენს ამგვარი ჩარევებისა და ხელყოფისაგან კანონის მიერ დაცვის უფლებას.[1542] მსგავს ფორმულირებას შეიცავს საერთაშირისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.[1543] საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ მუხლთან დაკავშირებული საინტერესო და მრავალმხრივი პრაქტიკა. ასევე უნდა გამოვყოთ ძირითად უფლებათა ევროკავშირის ქარტიის მე-7 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უფლებას პირადი და ოჯახური ცხოვრების, ბინისა და კომუნიკაციის პატივისცემაზე და მე-8 მუხლი, რომელიც ეძღვნება პერსონალური მონაცემების დაცვას.

1.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცული სფერო

1.2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების პერსონალური დაცული სფერო

824 პირველ რიგში, შევეხებით იმ ფიზიკური პირების წრეს, რომლებზეც ვრცელდება პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლებები. კონსტიტუციის მე-15 მუხლი იყენებს ტერმინს „ადამიანი“, რაც გულისხმობს, რომ ამ უფლებებით დაცულია ნებისმიერი ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა.[1544]

825 იმისათვის, რომ ფიზიკურმა პირმა ისარგებლოს საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებით, ის მართლზომიერად უნდა ცხოვრობდეს შესაბამის სივრცეში.[1545] სხვაგვარად, ამ უფლებით ისარგებლებდნენ არამართლზომიერად შეჭრილი პირებიც, რაც მას

[1541] იქვე, 29-ე მუხლი.
[1542] იქვე, მე-12 მუხლი.
[1543] იქვე, მე-17 მუხლი.
[1544] შეადარე მაგ.: კორკელია, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის კომენტარი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 123; Kunig, GG, Art. 2, Rn. 45, 73; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 39; Pagenkopf M. (Bearb.), Kommentar zum Art. 10, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 11; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 150 f.
[1545] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 149; Hermes G. (Bearb.), Kommentar zum Art. 13 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, Tübingen 2013, Rn. 21 f.

სრულიად საწინააღმდეგო შინაარს შესძენდა.[1546] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს ორ მომენტს: (1) სახეზე უნდა იყოს შესაბამის სივრცეში პირის ცხოვრების აღქმადი ნება და (2) მის მიერ საცხოვრებლის ფლობას არ უნდა უპირისპირდებოდეს მესამე პირების უპირატესი უფლებები.[1547] აქედან გამომდინარე, საცხოვრებელში ცხოვრების მიზნის გარეშე მყოფ პირებზე (მაგალითად, მომსახურე პერსონალი ან სტუმრები) ვრცელდება საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების მოქმედების ეფექტი, თუმცა ისინი არ ითვლებიან ამ უფლების სუბიექტებად.[1548] ამასთანავე, პირი, რომელიც არ არის მფლობელი, მფლობელის არყოფნის შემთხვევაში, უფლებამოსილია იმოქმედოს ამ უკანასკნელის სავარაუდო ნების შესაბამისად.[1549] საცხოვრებლის მესაკუთრე ინარჩუნებს საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის ხანგრძლივი ვადის განმავლობაში არ სარგებლობდა შესაბამისი სივრცით.[1550]

826 საინტერესოა სახელმწიფოსთან ე.წ. „განსაკუთრებულ სახელისუფლებო ურთიერთობებში“ მყოფი პირების საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ეს საკითხი აქტუალური გახდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან დაკავშირებით. სასამართლომ ისინი მიაკუთვნა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სუბიექტებს, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის სპეციფიკა მნიშვნელოვნად ამცირებს მათი პირადი ცხოვრების დაცულობის ხარისხს. აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების უფლების ცალკეული კომპონენტების დაცვის სტანდარტები ამ კატეგორიის პირების მიმართ შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ სტანდარტებისაგან, რაც ვრცელდება სხვა, თავისუფლებაში მყოფ პირებზე,[1551] რადგანაც ამ უფლებების „სრულყოფილი რეალიზაცია გარდაუვლად დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებასთან“.[1552]

827 სუბიექტის სტატუსიდან გამომდინარე, შეიძლება მისი უფლებების დაცვის ხარისხი არა მხოლოდ შემცირდეს, არამედ გაიზარდოს. მაგალითად, კომუნიკაციის ხელშეუხებლობა განსაკუთრებით იცავს ადვოკატსა და მის კლიენტს შორის, მით უმეტეს, თუ საქმე თავისუფლებაშეზღუდულ პირს შეეხება, მიმდინარე კომუნიკაციას.[1553]

828 დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს იურიდიული პირების საკითხი. საჯარო სამართლის იურდიული პირი ვერ იქნება მე-15 მუხლით გარანტირებული რომელიმე უფლების ან მისი რომელიმე კომპონენტის სუბიექტი,[1554] ხოლო ისინი ვრცელდება კერძო

[1546] Ipsen, Grundrechte, Rn. 282.

[1547] BVerfGE 109, 279 (326).

[1548] Herdegen M. (Bearb.), Erläuterungen zum Art. 13 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Bd. 4, seit 1950; Rn. 36; Kühne J.-D. (Bearb.), Kommentar zum Art. 13, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 17.

[1549] Kühne, GG, Art. 13, Rn. 18.

[1550] შეადარე: Gillow v. the United Kingdom (N9063/80; 24.11.1986).

[1551] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-101-102.

[1552] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის N2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

[1553] შეადარე: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 271; Laurent v. France (N28798/13; 24.5.2018); Altay v. Turkey (no. 2) (N11236/09; 9.4.2019).

[1554] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 298; BVerfGE 21, 362 (369); 61, 82 (100 f.); 68, 193 (206).

სამართლის იურიდიულ პირებზე მათი შინაარსის გათვალისწინებით.[1555] კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების სუბიექტად, გამონაკლისის სახით, თვლიან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ეს აიხსნება მჭიდრო კავშირით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებასა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას შორის.[1556] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მათ შეუძლიათ გამოიყენონ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება ინფორმაციის მოპოვებისა და სარედაქციო საქმიანობის საიდუმლოების დასაცავად.[1557]

829 იურიდიული პირი ვერ ისარგებლებს პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლებით,[1558] თუმცა მასზე ვრცელდება პირადი სივრცისა (გარდა იმ ასპექტებისა, რაც პიროვნულობას უკავშირდება)[1559] და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის,[1560] ასევე ზოგადი პიროვნული უფლების ის ელემენტები, ან მათი ნაწილი (მაგალითად, ინფორმაციული თვითგამორ-კვევის უფლება იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც არ არის დაცული ოფიციალურ ჩანაწერებში), რომლებიც ექცევა კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სფეროში.[1561]

1.2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლები და მისი გამიჯვნა სხვა ძირითადი უფლებებით დაცული სფეროებისაგან

830 კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული საგნობრივი სფეროსა და სიკეთეების შეძლებისდაგვარად მკაფიო იდენტიფიცირებას დიდი თეორიული და პრაქტიკული დატვირთვა აქვს. აქ დასახელებულ უფლებებს და მათ კომპონენტებს შინაარსობრივად კონსტიტუციის სხვა მუხლებით გათვალისწინებული უფლებები უკავშირდება - პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება, ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები.[1562] დაცული სფეროები არც თუ იშვიათად იმდენად იკვეთება, რომ მკაფიო მიჯნის გავლება რთულ ამოცანას წარმოადგენს. თავის მხრივ, საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების ნათლად ჩამოყალიბების გარეშე არ არის გამორიცხული, უფლებაში ჩარევის ამა თუ იმ შემთხვევის კონსტიტუციურობის შეფასება არასწორი კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე განხორციელდეს, რამაც შემფასებელი შესაძლოა მცდარ დასკვნებამდე მიიყვანოს. ეს,

[1555] შეადარე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 45, 73; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 39; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 150 f.
[1556] Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 11.
[1557] BVerfGE 107, 299 (310).
[1558] კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 180; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 147.
[1559] Kühne, GG, Art. 13, Rn. 20.
[1560] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 146, 147, 149; Ipsen, Grundrechte, Rn. 297.
[1561] შეადარე მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 77.
[1562] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 144-145.

უპირველეს ყოვლისა, იმით იქნება განპირობებული, რომ ხშირად სახვადასხვა ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმები განსხვავებულ სტანდარტებს აწესებენ, რაც უნდა დააკმაყოფილოს ამ უფლების შეზღუდვამ, რათა ის კონსტიტუციურად ჩაითვალოს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს თვით მე-15 მუხლის ფარგლებში დაცული სფეროების გამიჯვნასაც, განსაკუთრებით ერთი მხრივ, პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და მეორე მხრივ, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს შორის, რადგანაც პირველ შემთხვევაში დაცულ სფეროში ჩარევა არ ექვემდებარება სავალდებულო სასამართლო კონტროლს, ხოლო მეორე შემთხვევაში - ეს აუცილებელია. ამ საკითხზე ქვემოთ, მე-15 მუხლით გათვალისწინებული ცალკეული უფლებებით დაცული საგნობრივი სფეროს ანალიზისას გავამახვილებთ ყურადღებას.

831 ზემოაღნიშნული საკითხის განხილვისას, ბუნებრივია, მხედველობაშია მისაღები მდიდარი საერთაშორისო თუ სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უცხოური თეორია და სასამართლო პრაქტიკა დაფუძნებულია შესაბამისი აქტების სტრუქტურასა და შინაარსზე და მისი პირდაპირი ასახვა ქართულ სინამდვილეში რთულია. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სპეციალურ ნორმას არ უძღვნის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი - პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებებს. ეს გარემოება განაპირობებს, რომ ერთსა და იმავე საკითხს (მაგალითად, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით, ხოლო გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო - პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების კონტექსტში. საქართველოს კონსტიტუცია, ამ კუთხით, უფრო ფართო არჩევანს გვთავაზობს - გარდა მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა, ის ითვალისწინებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას და სპეციალურ უფლებებს, რომლებიც უკავშირდება პირადი სფეროს დაცვას. ეს არჩევანი, იმავდროულად, გამოწვევასაც წარმოადგენს ამ უფლებებით დაცული სფეროების ერთმანეთისაგან მართებული გამიჯვნის თვალსაზრისით.

832 თავდაპირველად, მოკლედ მიმოვიხილავთ, თუ როგორ უდგება საკონსტიტუციო სასამართლო ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტას. ზოგადად, ის ეყრდნობა პრინციპს lex specialis derogat legi generali, ანუ თუ რომელიმე უფლების ცალკეულ კომპონენტს კონსტიტუცია უძღვნის სპეციალურ ნორმას, შესაბამის უფლებრივ კომპონენტში ჩარევის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს სწორედ ამ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით.[1563] ამ პრინციპიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების უფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ერთ-ერთი კომპონენტია,[1564] მასში ჩარევა უნდა შემოწმდეს კონსტიტუციის მე-15 და არა მე-12 (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) მუხლთან მიმართებით - „იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების ესა თუ ის უფლებრივი კომპონენტი დაცულია სპეციალური კონსტიტუციური დებულებით“, სადავო

[1563] მაგ.: N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-96; საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.
[1564] მაგ.: კობახიძე, მე-20 მუხლის კომენტარი, 180.

ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი უნდა შეფასდეს არა კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, „არამედ იმ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც მოცემული უფლებრივი კომპონენტის კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს ადგენს“.[1565] ამრიგად კონსტიტუციის მე-15 მუხლი მე-12 მუხლთან მიმართებით სპეციალური ნორმაა[1566] და ის საკითხები, რომელიც შეეხება პირად ცხოვრებას, თუ მის რომელიმე ასპექტს (თუ მათ კონსტიტუციის სხვა სპეციალური ნორმა არ ეძღვნება), სწორედ ამ მუხლის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. თავის მხრივ, კონსტიტუციის მე-15 მუხლთან მიმართებით lex specialis არის კონსტიტუციის ის სპეციალური ნორმები, რომლებიც იცავენ ადამიანის პირადი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტს.

833 დამაბნეველია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადება, რომ მისი ამოცანა არა ზემოაღნიშნული მუხლებით დაცული სფეროების მკვეთრი გამიჯვნა, არამედ ადამიანის პრივატულ სფეროსთან დაკავშირებული ფუნდამენტური ასპექტების კონსტიტუციური გარანტიების სრულყოფილი გააზრებაა.[1567] ამგვარი გააზრება წარმოუდგენელია იმის მკაფიო იდენტიფიცირების გარეშე, თუ კონკრეტულად რომელი კონსტიტუციური ნორმის მოქმედების არეალში შედის პირადი სფეროს ესა თუ ის ასპექტი, რამდენადაც სხვადასხვა ნორმების მიერ შემოთავაზებული გარანტიები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მთავარი ინტერპრეტატორის, ამოცანაა.

834 მხოლოდ lex specialis derogat legi generali პრინციპი საკმარისი არ არის მე-15 მუხლისა და სხვა „მონათესავე“ უფლებების, განსაკუთრებით - პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, დაცულ სფეროებს შორის ასე თუ ისე მკაფიო მიჯნის გასავლებად. აუცილებელია გარკვეულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ფორმულა, რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას მიგვეკუთვნებინა ადამიანის პრივატულ სფეროსთან დაკავშირებული სიკეთე ან მისი კომპონენტი ამა თუ იმ ძირითადი უფლებით დაცული სფეროსათვის. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი უფლებების არსისა და მიზნის გაანალიზება.

835 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ელემენტია ზოგადი პიროვნული უფლება, რომელიც ყოვლისმომცველად იცავს პიროვნების მთლიანობას, გარდა იმ ნაწილებისა, რაც სპეციალური ძირითადი უფლებებითაა უზრუნველყოფილი.[1568] ეს ტერმინი გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან მომდინარეობს, რომელმაც „ზოგადი პიროვნული უფლება“ უწოდა უფლებას ინდივიდის პირადი სფეროსა და სოციალური მნიშვნელობის პატივისცემაზე და განასხვავა იგი

[1565] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

[1566] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამგვარი პოზიციისა, ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები მაინც ერთდროულად ორივე მუხლთან მიმართებით შეაფასა (იხ.: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-35-117).

[1567] იქვე, II-3.

[1568] მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn.59; BVerfGE 54, 148 (153).

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების „აქტიური“ ელემენტიდან - საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებიდან.[1569]

836 სწორედ ზოგადი პიროვნული უფლების ფარგლებში უნდა გამოიყოს უფრო ვიწრო სფერო, რომელსაც იცავს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა. ამის განხორციელება საჭიროებს ლოგიკურად შერჩეული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობას. ზოგადი პიროვნული უფლება, ერთი მხრივ, მოიცავს კომპონენტებს, რომლებიც, თავისი არსით, ობიექტურად ღია, საჯარო ხასიათისაა (მაგალითად, ემსახურება ინდივიდის წარმოჩენას საზოგადოების თვალში) ან თავად ინდივიდს არ აქვს კონფიდენციალობის ნება და ინტერესი. მეორე მხრივ, ზოგადი პიროვნული უფლების კონცეფცია მოიაზრებს ადამიანის პირად სფეროს, ანუ ისეთ კომპონენტებს, რომლებიც ობიექტურად დახურული, არასაჯარო ხასიათისაა და ინდივიდსაც აქვს ინტერესი, რომ ამ სფეროში განმარტოვდეს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და თავისუფალი იყოს საჯარო კონტროლისა და ნებისმიერი გარე ჩარევისაგან.[1570] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს პირადი სფეროს თემატურ და სივრცობრივ განზომილებებს. თემატური თვალსაზრისით, ის მოიცავს საკითხებს, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ „პირადის“ კატეგორიას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათი საჯარო განხილვა ან გამოაშკარავება შეუფერებლად ითვლება, უხერხულად აღიქმება ან საზოგადოების არასასურველ რეაქციას იწვევს. სივრცობრივი კუთხით, პირად სფეროს მიეკუთვნება სივრცე, რომელშიც ინდივიდს შეუძლია განმარტოვდეს, განიტვირთოს ან სულაც, დატოვოს ეს ადგილი.[1571] აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც საუბრობს ინდივიდის იზოლირებულ სფეროზე,[1572] ასევე ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროზე, რომლის ფარგლებშიც ის დამოუკიდებლად ქმნის და ანვითარებს კერძო ცხოვრებას და დაცულია სახელმწიფოსა და ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისაგან.[1573]

837 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე-15 მუხლით დაცული სფეროს მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, კონსტიტუციის მეორე თავის შინაარსისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, გონივრული იქნებოდა შემდეგი ფორმულის გამოყენება: მე-15 მუხლით დაცულ სფეროში შედის ზოგადი პიროვნული უფლების ადამიანის პირად სფეროსთან დაკავშირებული ის კომპონენტები, რომლებიც (1) ობიექტური თვალსაზრისით, კერძო, დახურული და არასაჯარო ხასიათისაა, ხოლო (2) სუბიექტური კუთხით - ინდივიდს აქვს კონფიდენციალობის შენარჩუნებისა და გარე ჩარევისაგან თავისუფლების ნება.

838 საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციის ანონიმურობისა და პრივატულობის უზრუნველყოფას მოიაზრებს იმ კრიტერიუმად, რომელიც განაპირობებს ფუნქციურ განსხვავებას, ერთი მხრივ, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის, ხოლო მეორე მხრივ -

[1569] მაგ.: BVerfGE 27, 1 (6); 35, 202 (220); 54, 148 (153).
[1570] შეადარე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 32 f.; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 70; BVerfGE 27, 1 (6); 34, 269 (282); 54, 148 (153).
[1571] BVerfGE 101, 361 (382 f.).
[1572] N1/2/458 განჩინება, II-16.
[1573] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4.

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს შორის.[1574] ეს მიდგომა საკამათოა, რადგან ამ უფლებათა არსი და ფორმა, პირველ რიგში, სწორედ კონფიდენციალობისა და პრივატულობის დაცვას გულისხმობს. თვით ტერმინებიდან „პირადი ცხოვრება“ და „ოჯახური ცხოვრება“, თავისთავად გამომდინარეობს, რომ საქმე შეეხება კერძო, არასაჯარო, სხვებისაგან იზოლირებულ სფეროებს, ხოლო ტერმინი „ხელშეუხებლობა“, პირველ რიგში, მათ დაცვას უზრუნველყოფს ანონიმურობის დარღვევისა და გარედან არასასურველი ჩარევებისაგან. აქედან გამომდინარე, ანონიმურობა და პრივატულობა ის კრიტერიუმია, რომელიც კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სიკეთეებს არათუ მიჯნავს, არამედ აერთიანებს და განასხვავებს მათ სხვა კონსტიტუციური ნორმებით გარანტირებული „მონათესავე“ სიკეთეებისაგან.

839 ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მე-15 მუხლით დაცული სფერო პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს არ მოიცავს[1575] და თუ რომელიმე მსგავს კომპონენტს კონსტიტუცია სპეციალურ ნორმას უძღვნის, მაშინ ის განეკუთვნება სწორედ ამ ნორმით და არა მე-15 მუხლით დაცულ სფეროს. მაგალითად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით. თუ პირობითად, ადამიანის თანხმობის გარეშე ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცის მისი ჯანმრთელობის შესახებ, ეს ჩარევა უნდა შეფასდეს სწორედ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტთან, როგორც სპეციალურ ნორმასთან მიმართებით.

840 საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად მიუთითებს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სფეროს ღია ხასიათზე: „თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის“.[1576] დაცული სფეროს ამგვარი გაფართოება უნდა განხორციელდეს ზემოთ მოყვანილი ფორმულის საფუძველზე, სხვა შემთხვევაში „ახალ ინსტიტუტს“ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დაიცავს და არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

1.2.2.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო

841 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, თუმცა ამავდროულად „პირად ცხოვრებას“ აქვს ზოგადი დატვირთვა.[1577] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მე-15 (და სხვა რამდენიმე) მუხლით დაცული სიკეთეები მიჩნეულია პირადი ცხოვრების უფლებრივ კომპონენტებად.[1578] აქედან

[1574] საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.
[1575] შეადარე: N1/2/622 გადაწყვეტილება, II-7.
[1576] N1/2/458 განჩინება, II-17.
[1577] N1/2/622 გადაწყვეტილება, II-5.
[1578] შეადარე მაგ.: N2/1/484 გადაწყვეტილება, II-3; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II- 10, 20, 21; N1/2/622 გადაწყვეტილება, II-4-5; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-7.

გამომდინარე, მათ შორის ურთიერთობა lex specialis derogat legi generali პრინციპს ეფუძნება, სადაც პირადი ცხოვრების უფლება ზოგადია, ხოლო სხვა უფლებები - სპეციალური. შედეგად, პირადი ცხოვრების უფლების გამოყენება უნდა მოხდეს სუბსიდიურად, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი არ შედის სპეციალური უფლებით დაცულ სფეროში. თუ კონსტიტუციის სხვა ნორმით გათვალისწინებულ პირადი ცხოვრების რომელიმე კომპონენტში ხდება ჩარევა, მისი შემოწმება უნდა მოხდეს სწორედ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით. ამგვარ შემთხვევებში ჩარევის არაკონსტიტუციურობის დადგენა გულისხმობს ამ ნორმის და არა კონსტიტუციის მე-15 მუხლის დარღვევას.[1579]

842 პირადი ცხოვრების უფლებაზე მსჯელობისას, ხაზს უსვამენ, რომ ის მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს.[1580] დაცული სფეროს ამგვარი დაყოფა ეფუძნება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ ე.წ. „სფეროთა თეორიას“, რომლის მიხედვითაც პიროვნების თავისუფალი განვითარების სხვადასხვა სფეროები განსხვავებული ხარისხითაა დაცული. შიდა (ინტიმური) სფერო არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებელი ნაწილი და სრულად დაცულია სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევებისაგან.[1581] ინტიმურ სფეროს მოსდევს კერძო (საიდუმლო) სფერო, რომელში ჩარევაც შესაძლებელია, მაგრამ თანაზომიერების პრინციპის განსაკუთრებით მკაცრი დაცვით.[1582] გარე (სოციალური) სფერო ყველაზე ნაკლებადაა დაცული და მასში ჩარევების გამართლება შესაძლებელია ე.წ. „ნორმალური“ კრიტერიუმების საფუძველზე.[1583] აღსანიშნავია, რომ სფეროთა თეორია ხშირად არის კრიტიკის ობიექტი. პრაქტიკულად შეუძლებელია სფეროებს შორის მკვეთრი საზღვრის გავლება და რომელიმე საკითხის კონკრეტული სფეროსათვის ცალსახად მიკუთვნება. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ სხვადასხვა ინდივიდებს შეიძლება განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეთ ამა თუ იმ სფეროს შინაარსსა და ფარგლებზე.[1584] მიუთითებენ, რომ თვით ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსაც უწევს სფეროთა თეორიიდან გადახვევა. მაგალითად, მან დაუშვა, რომ პირადი დღიური შეიძლება ყოველთვის არ მიეკუთვნებოდეს ინტიმურ სფეროს და შეიძლებოდეს მისი გამოყენება მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში.[1585] იქედან გამომდინარე, რომ სფეროების თეორია უფრო ჩარევის დაშვება-არდაშვებისა და მისი შემოწმების სიმკაცრის საკითხების გადაწყვეტისკენაა მიმართული, ლოგიკურია შემდეგი მიდგომა[1586]: (1) პირადი ცხოვრება აბსოლუტურადაა დაცული ისეთი ჩარევებისაგან, რომლებიც შეუთავსებელია ადამიანის ღირსებასთან. ამგვარ შემთხვევებში ჩარევის შეფასება უნდა მოხდეს ღირსების, რომელიც აბსლუტური უფლებაა და არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით; (2) სხვა ჩარევების შემოწმების, განსაკუთრებით თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის დადგენის, სიმკაცრე უნდა გაიზარდოს პირადი ცხოვრების შეზღუდვის ინტენსივობის ზრდის კვალობაზე.

[1579] შეადარე: N1/7/454 განჩინება, II-1-2.
[1580] მაგალითად იხ.: კობახიძე, მე-20 მუხლის კომენტარი, 180.
[1581] BVerfGE 6, 32 (41); 27, 1 (6); 34, 238 (245 f.); 38, 316 (320).
[1582] BVerfGE 27, 344 (350); 34, 238 (245).
[1583] Kunig, GG, Art. 2, Rn. 41; BVerfGE 35, 35 (39); 35, 202 (220); 80, 367 (373).
[1584] მაგ.: Kunig, იქვე.
[1585] BVerfGE 80, 367 (374 ff.).
[1586] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 105.

843 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ზოგადი ხასიათის, მისი ფართო და მრავალმხრივი შინაარსის გამო, საკონსტიტუციო სასამართლო მის ზუსტ და ამომწურავ განმარტებას არამიზანშეწონილად და შეუძლებლად მიიჩნევს.[1587] ეს მოსაზრება მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციისა,[1588] რომელსაც ამის კიდევ უფრო მყარი საფუძველი აქვს, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას და პირად სფეროსთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად კონვენციის მე-8 მუხლის „ქოლგის" ქვეშ იყრის თავს. მიუხედავად აღნიშნული სირთულისა, ქვემოთ შევეხებით რამდენიმე საკითხს, რომელიც სწორედ პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში შეიძლება მოვიაზროთ და ამავდროულად, არ არის დაცული ამ უფლების რომელიმე სპეციალური, კონსტიტუციით ცალკე გათვალისწინებული კომპონენტით.

844 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოიცავს განმარტოების უფლებას. ეს უფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავისი ცხოვრება წარმართოს სოციუმისაგან განცალკევებითა და დამოუკიდებლად, თავად გადაწყვიტოს საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის პირობები, ფორმა, დრო და მასშტაბები.[1589]

845 პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევენ პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას.[1590] ფიზიკური ხელშეუხებლობის მოაზრება პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება ცალკე ნორმით არ არის უზრუნველყოფილი. როგორც ვიცით, საქართველოს კონსტიტუცია ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას სპეციალურ ნორმას უძღვნის, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისაგან, რაც განაპირობებს ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში ისეთი ჩარევების (მაგალითად, სავალდებულო სამედიცინო მკურნალობა, ანალიზების იძულებით აღება, სავალდებულო ვაქცინაცია, იძულებითი კვება და ა.შ.) განხილვას,[1591] რაც საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ჩარევად იქნებოდა მიჩნეული. ამავდროულად, პირადი ცხოვრების უფლებამ პირი შეიძლება დაიცვას ისეთი ჩარევებისაგან, რომლებიც იჭრება პირის ფიზიკურ სფეროში, თუმცა თავისი არსით ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას არ წარმოადგენს. მაგალითად, ტექნოგენური ხასიათის ემისია (ხმაური, სუნი და ა.შ.) ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევაა მაშინ, როდესაც მას მოჰყვება ჯანმრთელობის დაზიანება, თუმცა მისი შეფასება შეიძლება პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში. ადამიანის პირადი შემოწმება, თუ ის არ იჭრება მის სხეულებრივ სუბსტანციაში, ასევე შეფასდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

[1587] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4; N2/1/484 გადაწყვეტილება, II-3. ასევე მაგალითად იხ.: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 122.
[1588] მაგ.: Niemietz v. Germany (N13710/88; 16.12.1992); Costello-Roberts v. the United Kingdom (N13134/87; 25.3.1993).
[1589] შეადარე: N2/1/484 გადაწყვეტილება, II-2; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-10.
[1590] შეადარე მაგ.: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 123-125; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4; X. and Y. v. the Netherlands (N8978/80; 26.3.1985); Costello-Roberts v. the United Kingdom.
[1591] შეადარე მაგ.: X. v. Austria (N8278/78; 13.12.1979); Roger Acmanne and Others v. Belgium (N10435/83; 10.12.1984); Herczegfalvy v. the Austria (N10533/83; 24.9.1992); Peters v. the Netherlands (N21132/93; 6.4.1994).

უფლებასთან მიმართებით.[1592] რაც შეეხება მორალურ ხელშეუხებლობას, ყველაფერი დამოკიდებულია ჩარევის შინაარსსა და ინტენსივობაზე. თუ ის შეეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით, შეიძლება მივაკუთვნოთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროს, მაშინ შესაძლებელია მისი შემოწმება სწორედ ამ უფლებასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევებში მართებული იქნებოდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, კერძოდ ზოგადი პიროვნული უფლების გამოყენება. როდესაც მორალური ხელშეუხებლობის ხელყოფას აქვს იმდენად ინტენსიური ხასიათი, რომ სახეზეა ადამიანის ინსტრუმენტალიზაცია და ე.წ. „ობიექტის ფორმულის“ დარღვევა, ამ დროს მისი კონსტიტუციურობის განხილვა უნდა მოხდეს ღირსების ძირითად უფლებასთან მიმართებით.

846 პირადი ცხოვრების ფარგლებში უზრუნველყოფილია ადამიანის ინტიმური, სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოება.[1593] ეს უფლება დაცულია მიუხედავად ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა.[1594] საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს პირადი ცხოვრების ამ კომპონენტის განსაკუთრებულ დაცვას სახელმწიფოსა და მესამე პირების მხრიდან ზედამხედველობისაგან.[1595] სქესობრივ ცხოვრებასა და სქესობრივ იდენტობას ადამიანის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ასპექტად განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.[1596]

847 ინდივიდის პერსონალური მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გამოყენების, ასევე პერსონალურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხს ასევე უკავშირებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროს.[1597] ამ შემთხვევაში, საუბარია პირის ინფორმაციულ თვითგამორკვევის უფლებაზე. ეს უფლება, ე.წ. „მოსახლეობის აღწერის“ საქმეში, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყვანა ზოგადი პიროვნული უფლებიდან,[1598] ადამიანის ღირსების უფლებასთან კავშირში.[1599] ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება იცავს ინდივიდს სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი საშუალებით მისი პერსონალური მონაცემების შეუზღუდავი ამოღებისაგან, შენახვისაგან, გამოყენებისა და გადაცემისაგან და უზრუნველყოფს ადამიანის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მისი პერსონალური მონაცემების გაცემისა და გამოყენების შესახებ.[1600] ამასთან არარელევანტურია, ეს მონაცემები განსაკუთრებით ღირებულია თუ უმნიშვნელო.[1601] იქედან გამომდინარე, რომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების მიზანი ინდივიდისა და მისი პირადი სფეროს დაცვაა (პერსონალური მონაცემების ამოღების,

---

[1592] შეადარე მაგ.: N1/2/503/513 გადაწყვეტილება; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-98, 99; N1/2/458 განჩინება, II-17.

[1593] მაგ.: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4.

[1594] შეადარე: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 129.

[1595] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-12.

[1596] მაგ.: Dudgeon v. the United Kingdom (N7525/76; 22.10.1981).

[1597] მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 262; კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 125-126; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-113.

[1598] ამ კონტექსტში, კვლავ აღვნიშნავთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი პირადი ცხოვრების უფლებას სპეციალურ ნორმას არ უძღვნის, ამიტომ ამ უფლების მრავალი კომპონენტი სწორედ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების და შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლების სფეროში ექცევა.

[1599] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 72.

[1600] BVerfGE 65, 1 (43); 78, 77 (84).

[1601] BVerfGE 120, 378 (398 f.).

შენახვის, გადაცემისა და დამუშავების თვალსაზრისით), ხაზს უსვამენ, რომ ის მჭიდრო კავშირშია პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებთან და განავრცობს მათ.[1602]

848 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, კონსტიტუციის სპეციალური ნორმითაა დაცული და ეს საკითხი, ბუნებრივია ვერ მოექცევა პირადი ცხოვრების უფლების მოქმედების სფეროში. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფოს მიერ უკვე მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვის საკითხს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროს მიაკუთვნებს.[1603] ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, სავარაუდოდ, პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში უნდა მოვიაზროთ.

849 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებით აფასებს სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გამოყენების სხვადასხვა ფორმებს.[1604] რაც შეეხება თავად ინდივიდის ხელმისაწვდომობას სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციაზე, ევროპული სასამართლო ამ საკითხსაც კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში განიხილავს,[1605] თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებით[1606] და არა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროშია მოქცეული.

850 კონსტიტუციის 2017 წლის რეფორმამდე რედაქციის მე-20 მუხლი ითვალისწინებდა პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლებას. კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში ეს უფლება პირდაპირ არ არის ნახსენები. რაც იმას არ ნიშნავს, რომ პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობა გარანტირებული აღარ არის, რადგანაც მას იცავს პირადი ცხოვრების უფლება. პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობით დაცულია პირადი გამოყენებისათვის განკუთვნილი დოკუმენტების საიდუმლოება. ტერმინი „ჩანაწერი“ გულისხმობს როგორც ხელნაწერ, ასევე სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების (მაგალითად, კომპიუტერი, ვიდეოკამერა და ა.შ.) გამოყენებით შექმნილ დოკუმენტს, ანუ მნიშვნელობა აქვს არა მის ფორმას, არამედ იმას, რომ მისი შინაარსი არ არის ღია სახელმწიფოს წარმომადგენლების თუ სხვა პირთა გაცნობისათვის.[1607]

[1602] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 319.

[1603] N1/2/622 გადაწყვეტილება, II-15; საკონსტიტუციო სასამართლოს N1/5/625,640 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[1604] მაგალითად იხ.: X. v. the United Kingdom (N9072/82; 6.10.1982); X v. Belgium (N9804/82; 7.12.1982); Murray v. the United Kingdom; Leander v. Sweden (N9248/81; 26.3.1987); Z. v. Finland (N22009/93; 25.2.1997); Brunet v. France (N21010/10; 18.9.2014); Catt v. The United Kingdom (N43514/15; 24.1.2019).

[1605] მაგ.: Gaskin v. the United Kingdom (N10454/83; 7.7.1989).

[1606] კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1607] შეადარე: კობახიძე, მე-20 მუხლის კომენტარი, 180; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 147.

851 პირადი ცხოვრების უფლებას ასევე უკავშირებენ სახელის (და გვარის) არჩევის უფლებას.[1608] ეს საკითხი ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ზოგადი პიროვნული უფლების კომპონენტებთან - პიროვნული თვითიდენტიფიკაციის (საკუთარი პიროვნების შეგრძნების) უფლებასა და უფლებას საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე. ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილი იქნებოდა მე-15 მუხლით დაცული სფეროს განსაზღვრის ფორმულის გამოყენება. ეჭვგარეშეა, რომ სახელი და გვარი, რომლებითაც ხდება, ერთი მხრივ, პიროვნების თვითმყოფადობის, ინდივიდუალობის ხაზგასმა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ასოცირება საზოგადოების სხვადასხვა (მაგალითად სქესობრივ, ეთნიკურ, სოციალურ და ა.შ.) ჯგუფებთან, პირად სფეროს უკავშირდება. ობიექტური მოცემულობაა, რომ სახელი და გვარი, როგორც ასეთი, ღიაა საზოგადოებისათვის - ადამიანი მათ საკუთარი პიროვნების სხვათათვის წარმოსაჩენად ატარებს და არა დასამალად, თუმცა ამას ვერ ვიტყვით მათი შერჩევისა თუ შეცვლის პროცესზე და ამის განმაპირობებელ მიზეზებზე. თუ ინდივიდს აქვს ამის კონფიდენციალობის ან/და გარე ჩარევისაგან თავისუფლების ნება, ობიექტური კუთხით, ეს არ არის სხვათათვის ღია პროცედურა. ამდენად, ამ ნაწილში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

1.2.2.3. ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო

852 ოჯახური ცხოვრების უფლებას საკონსტიტუციო სასამართლო უწოდებს „პირადი ცხოვრების განსაკუთრებულ უფლებრივ კომპონენტს“. ეს განპირობებულია ოჯახური ცხოვრების, როგორც „საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური კომპონენტის“, არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ უდიდესი ობიექტური მნიშვნელობით და რაც გამოიხატება არა მხოლოდ შესაბამისი ძირითადი უფლების, არამედ ოჯახის, როგორც ინსტიტუტის აღიარებით და კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით სახელმწიფოსათვის ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე ვალდებულების დაკისრებით.[1609] ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა შესაძლებლობას აძლევს ინდივიდებს, რომ განახორციელონ მშვიდი თანაცხოვრება მათი ოჯახური წესების მიხედვით.[1610] არაკონსტიტუციური ჩარევებისაგან არის დაცული ინდივიდის პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, სფერო, სადაც ის ცხოვრობს და ურთიერთობს მისთვის ყველაზე ახლობელ ადამიანებთან. ამასთან, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში არ შედის ოჯახის შექმნის, ანუ ქორწინების უფლება, ასევე დედათა და ბავშვთა უფლებები, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის სპეციალური ნორმით - 30-ე მუხლით.

853 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვხვდებით „ოჯახური ცხოვრების“ განმარტებებს. მასში მოიაზრება ადამიანის კავშირი და ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და „ახლო წრესთან“. აქცენტი კეთდება სუბიექტთა გარკვეულ წრეზე და

[1608] მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 263, 292; კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 130; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4; B. v. France (N13343/87; 25.3.1992); Stjerna v. Finland (N18131/91; 25.11.1994); Guillot v. France (N22500/93; 24.10.1996).
[1609] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-9.
[1610] შეადარე: BVerfGE 10, 59 (85); 80, 81 (92).

ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისათვის სწორედ მისი იდენტიფიცირებაა საჭირო. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ოჯახურ ცხოვრებას მიეკუთვნება ურთიერთობები: მეუღლეებს შორის (მიუხედავად იმისა, ისინი ქორწინებაში იმყოფებიან, თუ ფაქტობრივ თანაცხოვრებაში); ოჯახის წევრებს (მაგალითად, მშობლებსა და შვილებს) შორის; ბიოლოგიურ ნათესავებს შორის; „ახლო წრეში“ არსებული ძლიერი ემოციური ან/და ბიოლოგიური კავშირები.[1611] როგორც ვხედავთ, „ოჯახური ცხოვრება“ საკმაოდ ფართოდაა განმარტებული, რაც აჩენს გარკვეულ კითხვებს მისი ფარგლების მკაფიოობასთან დაკავშირებით. მაგალითად, „ბიოლოგიური ნათესავების“ წრე გაცილებით ფართოა, ვიდრე ოჯახის წევრებისა. ადამიანებს შორის ბიოლოგიური კავშირი არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის ურთიერთობა (მისი არსებობის შემთხვევაში), თავისი არსით, ოჯახურ ურთიერთობას შეიძლება მივაკუთვნოთ. ოჯახური ცხოვრებით დაცულ სფეროში ბიოლოგიურ ნათესავებს შორის ურთიერთობების შეყვანა ძალიან გააფართოვებს და რთულად იდენტიფიცირებადს გახდის მის ფარგლებს. კიდევ უფრო ბუნდოვანია „ძლიერი ემოციური კავშირის“ კრიტერიუმი. მის საფუძველზე ოჯახური ცხოვრებით დაცულ სფეროში შეიძლება მოხვდეს, მაგალითად, ურთიერთობები შეყვარებულებს ან ახლო მეგობრებს შორის.

854

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ოჯახური ცხოვრების“ დეფინიცია უფრო ზუსტ და მკაფიო ჩამოყალიბებას საჭიროებს. ამისათვის, პირველ რიგში, გასარკვევია, თუ რა მოაზრება ტერმინში „ოჯახი“, ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში. ამ კუთხით, საინტერესოა ამ ტერმინის ევოლუცია გერმანულ საკონსტიტუციო სინამდვილეში. ძირითადი კანონის მიღების დროს „ოჯახში“ იგულისხმებოდა ე.წ. „მცირე ოჯახი“, ანუ ის ყოვლისმომცველი ეკონომიკური და ემოციური ერთობა, რასაც ქმნიდნენ მშობლები და (განსაკუთრებით, მცირეწლოვანი) შვილები.[1612] ქორწინება განიხილებოდა, როგორც ოჯახის წინარე (და აუცილებელი) საფეხური. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახის“ ცნებაში არ მოიაზრება ე.წ. „დიდი ოჯახი“, რომელიც რამდენიმე თაობისაგან შედგება და სანათესავო.[1613] დროთა განმავლობაში, საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და გაჩნდა ოჯახური ტიპის თანაცხოვრების ისეთი ფორმები, რაც არ თავსდება „ოჯახის“ კლასიკურ გაგებაში, თუმცა ქორწინების გარეშე ასრულებს ოჯახის ფუნქციებს და ობიექტურად მოითხოვს დაცვას ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით.[1614] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ „ოჯახის“ ცნებაში მოაქცია მაგალითად: მშობლები გერებით, შვილად აყვანილი ან მზრუნველობაში გადაცემული ბავშვებით;[1615] დედები ქორწინების გარეშე დაბადებული შვილებით;[1616] მამები ქორწინების გარეშე დაბადებული შვილებით;[1617] დაქორწინებული წყვილი ერთ-ერთი მეუღლის

[1611] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-8; N1/2/458 განჩინება, II-4.
[1612] Gröschner R. (Bearb.), Kommentar zum Art. 6 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band I, 2. Auflage, 2006, Rn. 3; BVerfGE 10, 59 (66); 48, 327 (339); 80, 81 (90 f.).
[1613] Ipsen, Grundrechte, Rn. 346.
[1614] შეადარე: Gröschner, GG, Art. 6, Rn. 47 f.; Schmitt-Kammler A. (Bearb.), Kommentar zum Art. 6, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 16.
[1615] BVerfGE 18, 97 (105); 80, 81 (90).
[1616] იქვე.
[1617] BVerfGE 45, 104 (123); 79, 203 (211).

შვილებით.[1618] ამავდროულად, არც „ოჯახის“ ცნების გადამეტებული გაფართოვება მიიჩნევა გამართლებულად. ამის თავიდან ასაცილებლად შემოთავაზებულია შემდეგი გამოსავალი - იმისათვის, რომ ადამიანთა ერთობა „ოჯახად“ ჩაითვალოს, აუცილებელი უნდა იყოს მასში სხვადასხვა თაობების წარმომადგენელთა ყოფნა.[1619] ეს უნდა იყოს „ოჯახის“ იდენტიფიცირების ერთ-ერთი და არა ერთადერთი კრიტერიუმი, რადგანაც შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა თაობის ადამიანების მონაწილეობით შექმნილი ერთობა, რომელსაც არანაირი საერთო აქვს „ოჯახთან“ და შესაბამისად, ოჯახურ ცხოვრებასთან.

855 ოჯახური ცხოვრების კონცეფციამ, სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების კვალობაზე, ასევე განიცადა ცვლილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და იკვეთება მისი გაფართოების ტენდენცია.[1620] პირველ რიგში, „ოჯახში“ მოიაზრება ურთიერთობა კანონიერ ქორწინებაში მყოფ მშობლებსა და მათ შვილებს შორის.[1621] ქორწინება და ორივე მშობლის სახეზე ყოფნა არ არის სავალდებულო წინაპირობა. განქორწინება არ განიხილება ოჯახური ცხოვრების დასასრულად.[1622] ოჯახური ცხოვრება მოიცავს ურთიერთობას მარტოხელა მშობელსა და მის შვილს შორის,[1623] ისევე, როგორც ქორწინებაში არმყოფ მშობლებსა და მათ შვილებს შორის, თუ ეს ურთიერთობა თვისობრივად არ განსხვავდება დაქორწინებულ წყვილსა და შვილებს შორის ურთიერთობისაგან.[1624]

856 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ოჯახური ცხოვრების სავალდებულო წინაპირობას არ მიიჩნევს მშობლებისა და შვილების თანაცხოვრებას და როგორც წესი, კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში აქცევს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მშობელი შვილთან ერთად მუდმივად არ ცხოვრობს და მასთან ხშირი კონტაქტიც არ აქვს.[1625] თანაცხოვრების არარსებობის ფაქტი, როგორც ასეთი, არ გულისხმობს ოჯახური ცხოვრების არარსებობას.[1626] ურთიერთობის ოჯახურ ცხოვრებად აღიარებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ბიოლოგიური კავშირის არსებობა, აუცილებელია, რომ მშობელსა და შვილს შორის ასევე იყოს ახლო პირადი კავშირი.[1627] ოჯახურ ცხოვრებას შეიძლება მიეკუთვნოს შემთხვევა, როდესაც პირს არ აქვს ბიოლოგიური კავშირი ბავშვთან, მაგრამ მათი კავშირი არ განსხვავდება კლასიკური ოჯახური ურთიერთობისაგან,[1628] ასევე როდესაც დასტურდება ძლიერი ემოციური კავშირის არსებობა არაბიოლოგიურ მშობელსა და ბავშვს შორის.[1629] თუ ამგვარი ურთიერთობა და კავშირი სახეზე არ არის, მაშინ საკითხი არ განიხილება ოჯახურ ცხოვრებასთან

[1618] BVerfGE 79, 256 (267).
[1619] Schmitt-Kammler, GG, Art. 6, Rn. 15.
[1620] ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებით დეტალურად იხ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 260-269.
[1621] Abdellah Berrehab and Rebecca Berrehab v. the Netherlands (N10730/84; 21.6.1988).
[1622] Hendriks v. the Netherlands (N8427/78; 8.3.1982).
[1623] Marckx v. Belgium (N6833/74; 13.6.1979).
[1624] Johnston and Others v. Ireland (N9697/82; 18.12.1986).
[1625] შეადარე მაგ.: Johnston and Others v. Ireland; Keegan v. Ireland (N16969/90; 26.5.1994); Boughanemi v. France (N22070/93; 24.4.1996); C. v. Belgium (N21794/93; 7.8.1996); Ahmut v. the Netherlands (N21702/93; 28.11.1996); Söderbäck v. Sweden (N24484/94; 28.10.1998).
[1626] Abdellah Berrehab and Rebecca Berrehab v. the Netherlands.
[1627] G. v. the Netherlands (N16944/90; 8.2.1993).
[1628] Jolie and Lebrun v. Belgium (N11418/85; 14.5.1986); X, Y and Z v. the United Kingdom (N21830/93; 22.4.1997).
[1629] Kopf and Liberda v. Austria (N1598/06; 17.1.2012).

მიმართებით.[1630] დაცულ სფეროში შედის მშვილებელსა და შვილად აყვანილს შორის არსებული ურთიერთობა.

857 შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „ოჯახში“ უფრო „დიდ ოჯახს“ მოიაზრებს და გარკვეულ შემთხვევებში, ოჯახური ცხოვრების უფლების მოქმედების სფეროში ნათესავებს შორის ურთიერთობებსაც აქცევს. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ოჯახურ ცხოვრებას შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად, ურთიერთობები ბებია-ბაბუებსა და შვილიშვილებს[1631] და მშობლების და-ძმებსა და მათ ძმისშვილებს/დისშვილებს შორისაც, თუ სახეზეა მათ შორის შესაბამისი კავშირის მტკიცებულება.[1632] ქართული საზოგადოებისა და ოჯახის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო გონივრული „დიდი ოჯახის“ კონცეფციის გამოყენება იქნებოდა, ბუნებრივია იმ პირობით, რომ ურთიერთობა არსებითად მსგავსი უნდა იყოს იმისა, რაც არის მშობლებსა და შვილებს შორის.

1.2.2.4. პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო

858 საკონსტიტუციო სასამართლო, პირადი სივრცის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, მას უპირისპირებს საჯარო სივრცეს, სადაც ადამიანი შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ უწევს თავისი ქცევის კორექტირება და საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევა. ამისაგან განსხვავებით, პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლება „ქმნის შესაძლებლობას, ადამიანმა საზოგადოების, ნებისმიერი მესამე პირის, სახელმწიფოს ჩართულობის, კონტროლის, შესაბამისად, მათთვის ანგარიშის გაწევის საჭიროების გარეშე, საკუთარი არჩევანის მიხედვით, თავისუფლად შექმნას მისთვის სასურველი გარემო.“[1633]

859 პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფეროს განსაზღვრა შეუძლებელია, თუ არ განიმარტება, თუ რას გულისხმობს ტერმინი „პირადი სივრცე“. დაცული სფეროს ფარგლების მკაფიო იდენტიფიცირება აუცილებელია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე. პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლება, კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად, მოცემულია კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში. პირადი ცხოვრების უფლების ეს კომპონენტები ცალკეა გამოყოფილი და დაცულია დამატებითი გარანტიით - მათში ჩარევა ექვემდებარება წინასწარ ან შემდგომ სასამართლო კონტროლს. აქედან გამომდინარე, დაცული სფეროს არასწორი შევიწროება დააზიანებს ამ უფლებათა დაცულობის ხარისხს, ხოლო გაფართოებამ კი - შეიძლება გაუმართლებლად გაართულოს ლეგიტიმური საჯარო მიზნების მიღწევა.

860 საკონსტიტუციო სასამართლო „კერძო სფეროსა“ და „კერძო სივრცეს“ ფაქტობრივად სინონიმებად იყენებს და მიუთითებს, რომ „აქ იგულისხმება როგორც კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა

[1630] Paradiso and Campanelli v. Italy (N25358/12; 24.1.2017).
[1631] Marckx v. Belgium; Manuello and Nevi v. Italy (N107/10; 20.1.2015).
[1632] Boyle v. the United Kingdom (N16580/90; 9.2.1993).
[1633] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-11.

პირადი მფლობელობა), ისე განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში გასაჯაროებაც სურს პირს.“[1634] სასამართლოს აზრით, „პირად სივრცეში“ მოიაზრება „საკუთარ სოციუმზე ინდივიდუალური და დამოუკიდებელი არჩევანის ანონიმურობის უფლებაც“.[1635] „პირადი სივრცის“ ასეთმა ფართო გაგებამ პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში შეიძლება შეიყვანოს ის საკითხები, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის (ზოგადი) უფლებით ან კომუნიკაციის ხელშეუხებლობის (სპეციალური) უფლებითაა დაცული. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ კერძო პირისათვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი განიხილა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით[1636] მაშინ, როდესაც ის, თავისი არსით, არც პირადი სივრცისა და არც კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში შედის და მსჯელობა უნდა წარმართულიყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის (ზოგადი) უფლების კონტექსტში.

861 „პირადი სივრცის“ ფარგლებთან დაკავშირებით უფრო მკაფიო მიდგომა აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. როგორც აღვნიშნეთ, ის გამოჰყოფს პირადი სფეროს სივრცობრივ განზომილებას, სადაც ადამიანს შეუძლია განმარტოვება და განტვირთვა.[1637] აქ იგულისხმება არა მხოლოდ საცხოვრებელი სივრცე, არამედ ნებისმიერი სხვა ადგილი, სადაც ინდივიდი ჰპოვებს ან ქმნის სიტუაციას, რაც მას უყალიბებს ნათელ მოლოდინს, რომ არ იქნება საზოგადოების დაკვირვების ქვეშ.[1638] პირადი სფეროს სივრცობრივი ნაწილი - ე. წ. „სივრცობრივი პირადი სფერო“[1639] - დაცულია სპეციალური ძირითადი უფლებით - საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებით.[1640] ეს უფლება მიჯნავს ადამიანის პირად-ოჯახურ სივრცეს სახელმწიფოსაგან[1641] და მას პირადი სფეროს სივრცობრივ „ზღუდესაც“ კი უწოდებენ.[1642] როგორც ვხედავთ, აქცენტი გაკეთებულია პირადი სივრცის ფიზიკურ და არა სოციალურ ასპექტზე. ერთმანეთისგანაა გამიჯნული საცხოვრებლისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიც. მართალია საცხოვრებლის ხელშეუხებლობის მსგავსად, კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სიკეთეა პირადი სფერო,[1643] მაგრამ საცხოვრებლის ხელშეუხებლობა იცავს პირადი სფეროს სივრცობრივ-საგნობრივ განზომილებას, ხოლო კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება კი განავრცობს მას გარე კომუნიკაციის, მისი პრივატულობისა და კონფიდენციალობის დაცვით.[1644]

[1634] N1/2/519 გადაწყვეტილება, II-3. შეადარე ასევე: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-10.
[1635] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-25.
[1636] საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[1637] BVerfGE 101, 361 (382 f.).
[1638] იქვე (384).
[1639] BVerfGE 103, 142 (151).
[1640] შეადარე: Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 6a.
[1641] შეადარე: Herdegen, GG, Art. 13, Rn. 31; Kühne, GG, Art. 13, Rn. 9.
[1642] შეადარე: Kühne, GG, Art. 13, Rn. 7.
[1643] BVerfGE 67, 157 (171); 85, 386 (395 f.).
[1644] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 299.

862 კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, „პირადი სივრცე“ უდავოდ მოიცავს „საცხოვრებელ და სხვა მფლობელობას“. „საცხოვრებელი“ განიმარტება, როგორც სივრცითი სფერო, რომელშიც ვითარდება პირადი ცხოვრება.[1645] კონკრეტული სივრცის, როგორც „საცხოვრებლის“ იდენტიფიცირებისათვის ეყრდნობიან სუბიექტურ და ობიექტურ კრიტერიუმებს. პირველ რიგში, ინდივიდს, სუბიექტური თვალსაზრისით, სივრცე უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ისეთი საცხოვრებელი მიზნებისათვის, როგორიცაა პრივატულობა, განმარტოება, საზოგადოებისაგან განცალკევება და ა.შ. გარდა ამისა, ეს სივრცე ობიექტური კუთხითაც უნდა აღიქმებოდეს საცხოვრებლად.[1646] „საცხოვრებლად“ განიხილება და შესაბამისად, დაცულია არა მხოლოდ სახლი ან ბინა, არამედ ცხოვრების მიზნით გამოყენებული სხვა, მათ შორის დამხმარე, სივრცეებიც (მაგალითად, შესაბამისად აღჭურვილი მოძრავი ნივთები - ე.წ. კემპერი, იახტა და ა.შ., სასტუმროს ან პანსიონის ნომერი და ა.შ.). გარდა ამისა, „საცხოვრებელს“ აქცესორულად მიაკუთვნებენ ისეთ ფართებს, რომლებიც განაშენიანებული არაა, მაგრამ ცხოვრების მიზანს უკავშირდება (მაგალითად, ეზო და ა.შ.).[1647]

863 თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში პოზიციათა ერთიანობაა იმასთან დაკავშირებით, „საცხოვრებელი და სხვა მფლობელობა“ ფართოდ უნდა განიმარტოს და ამაში შედის არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ სამუშაო და სამეწარმეო საქმიანობის სივრცეც, მიუხედავად იმისა, ეს ადგილი პირის საცხოვრებლის ნაწილია, თუ ცალკეა განლაგებული.[1648] ამგვარი განმარტების აუცილებლობა აიხსნება იმით, რომ შეუძლებელია პირადი პროფესიული და პირადი პერსონალური სფეროების მკვეთრი გამიჯვნა.[1649] აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომითაც, „საცხოვრებლის“ ცნება შეიძლება მოიცავდეს ასევე პირის სამუშაო ადგილსაც.[1650]

864 საცხოვრებლის „ხელშეუხებლობის ფორმულა“ ფართოდ განიმარტება,[1651] თუმცა ის არა ჩარევის აბსოლუტურ აკრძალვას, არამედ თვითნებური ჩარევის დაუშვებლობას გულისხმობს.[1652] ამასთან, საცხოვრებლის უფლება, თუნდაც მისი ისტორიული გენეზისიდან გამომდინარე, თავისი არსით თავდაცვითი და არა სოციალური უფლებაა, ამიტომ მას ვერ დაეფუძნება ინდივიდის მოთხოვნა სახელმწიფოსადმი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე.[1653] საცხოვრებლის „ხელშეუხებლობა“ მოიაზრებს მის გარეგან და შიდა დაცვას.[1654] გარეგან დაცვას უკავშირდება: საცხოვრებლის თავისუფლად არჩევა; ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ცხოვრების არჩევა; საცხოვრებელში თავისუფლად ყოფნა; საცხოვრებელში სახელმწიფოს წარმომადგენელთა და მესამე პირთა დაშვებაზე

[1645] BVerfGE 89, 1 (12).
[1646] Kühne, GG, Art. 13, Rn. 2.
[1647] მაგ.: Herdegen, GG, Art. 13, Rn. 26.
[1648] შეადარე: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 133; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 148; Herdegen, GG, Art. 13, Rn. 29; Kühne, GG, Art. 13, Rn. 1; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 13 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 10; Papier H.-J. (Bearb.), Kommentar zum Art. 13 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band II, seit 1958, Rn. 10 ff.; BVerfGE 32, 54 (68 f.); 44, 353 (371); 76, 83 (86).
[1649] Ipsen, Grundrechte, Rn. 283.
[1650] მაგ.: Niemietz v. Germany.
[1651] მაგ.: Herdegen, GG, Art. 13, Rn. 41; BVerfGE 65, 1 (40); 70, 318 (328).
[1652] შეადარე: Kühne, GG, Art. 13, Rn. 6.
[1653] შეადარე: Herdegen, GG, Art. 13, Rn. 31; Kühne, GG, Art. 13, Rn. 9.
[1654] დეტალურად იხ.: Kühne, GG, Art. 13, Rn. 10 f., 13; BVerfGE 18, 121 (131 f.); 32, 54 (70, 72); 89, 1 (12); 109, 279 (314).

გადაწყვეტილების მიღება. გარეგანი დაცვა ემსახურება საცხოვრებლით, როგორც ადამიანური არსებობის ამოსავალი წერტილითა და პიროვნების განვითარების სივრცობრივი სფეროთი, დაუბრკოლებელი შიდა სარგებლობის უზრუნველყოფას.

865 კიდევ უფრო ფართოდ განმარტავს საცხოვრებლის დაცულობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[1655] დაცულია არა მხოლოდ საცხოვრებლით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება,[1656] არამედ უზრუნველყოფილია მისი დაცვა სახელმწიფოს მხრიდან განზრახ განადგურებისა და დაზიანებისაგან,[1657] ასევე გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ხელყოფისაგან.[1658] საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხები მხოლოდ მაშინ მოხვდება პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში, თუ მათზე არ გავრცელდება რომელიმე სპეციალური უფლება (მაგალითად, გარემოს დაცვის უფლება).

866 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციიდან გამომდინარე, პირადი სივრცის ხელშეუხებლობა, გარდა საკუთრივ სივრცისა, მოიცავს ასევე ადამიანის სხეულის, ტანსაცმლისა და პირადი ნივთების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.[1659] ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია კონკრეტული ჩარევის არსისა და მიზნობრიობის მართებული შეფასება, რადგანაც აღნიშნული სიკეთეები სხვა უფლებებით (მაგალითად, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით) დაცულ სფეროშიც ექცევა და შესაძლოა, რომ სწორედ მათი გამოყენება იყოს საჭირო და არა პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებისა.

867 თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა ადამიანის პირად სივრცეში შეღწევის შესაძლებლობებიც. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. „ონლაინ ჩხრეკებთან“ დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში[1660] განავითარა „საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების კონფიდენციალობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის“ ძირითადი უფლება (ე.წ. „კომპიუტერული ძირითადი უფლება“), როგორც ზოგადი პიროვნული უფლების გამოხატულება.[1661] ეს იყო სასამართლოს რეაგირება იმ განსაკუთრებულ საფრთხეებზე, რაც მდგომარეობს კომპლექსური საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით მონაცემთა ბაზების (ფარული) ჩხრეკისა და მანიპულაციის შესაძლებლობიდან. საქართველოს კონსტიტუცია იძლევა ამ საკითხის პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში მოქცევის შესაძლებლობას, თუ ვაღიარებთ, რომ მას აქვს ციფრული განზომილებაც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ონლაინ ჩხრეკა“, ჩარევის სიმძიმის თვალსაზრისით, შეიძლება აღემატებოდეს კიდეც „ჩვეულებრივ ჩხრეკას“ და ამ შემთხვევაში ინდივიდი უფრო მოწყვლადია, რადგანაც გაცილებით მაღალია მისი ფარულად ჩატარების რისკი.

868 როგორც ვხედავთ, არსებობს საკმარისი კრიტერიუმები იმისათვის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გაიმიჯნოს სხვა ძირითადი უფლებებისაგან,

---

[1655] დეტალურად იხ.: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 133-135.
[1656] მაგ.: Powell and Rayner v. the United Kingdom (N9310/81; 21.2.1990).
[1657] მაგ.: Akdivar and Others v. Turkey (N21893/93; 16.9.1996); Ivanova and Cherkezov v. Bulgaria (N64577/15; 21.4.2016).
[1658] მაგ.: Lopez Ostra v. Spain (N16798/90; 9.12.1994).
[1659] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-25.
[1660] BVerfGE 120, 274.
[1661] დეტალურად იხ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 317 f., 325a.

განსაკუთრებით - პირადი ცხოვრების უფლების სხვა კომპონენტებისაგან. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს ერთ ძირითად უფლებად განიხილავს.[1662] ეს უფლებები განთავსებულია კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში. ასევე უდავოა, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რაც თუნდაც იმითაა განპირობებული, რომ ორივე პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტია. ამავდროულად, ისინი იცავს პირადი სფეროს არსებითად განსხვავებულ ნაწილებს, ამიტომ მათი წარმოჩენა ერთ უფლებად არ არის გამართლებული.

1.2.2.5. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო

869 დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანს აქვს მოლოდინი, რომ მისი ზეპირი თუ წერილობითი ურთიერთობა სხვა ინდივიდებთან წარიმართება სახელმწიფოსა თუ მესამე პირთა არასასურველი მონაწილეობის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შინაარსის განსაზღვრისას ხელისუფლება დემოკრატიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე გადის.[1663] პოლიციური სახელმწიფო პატივს არ სცემს ადამიანის კერძო სფეროს, ის მოქალაქეებს თვლის ქვეშევრდომებად, ხოლო თავს წარმოაჩენს მათ მეურვედ, რომელიც უცერემონიოდ ერევა ქვეშევრდომების პირად ცხოვრებაში, მათ შორის კომუნიკაციაში, და კარნახობს მათ, როგორ წარმართონ პირადი ცხოვრება.[1664]

870 „კომუნიკაცია“ არის ორ ან მეტ პირს შორის ზეპირი ან წერილობითი ურთიერთობა ნებისმიერი „ჩვეულებრივი“ თუ ტექნიკური საშუალებით. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე კონსტიტუცია არ იყენებდა ამ ტერმინს, თუმცა უზრუნველყოფდა მიმოწერის, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრებისა და ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუვალობას.[1665] აქ ჩამოთვლილი სიკეთეები კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს ასახავს და მათი გაერთიანება ერთიანი ტერმინის „კომუნიკაცია“ ქვეშ ლოგიკურია. ამავდროულად, „კომუნიკაციის“ არსის სრულყოფილად გაგებისათვის, მიზანშეწონილია მოკლედ აღვწეროთ თითოეული მათგანი.

871 „მიმოწერა“ არის წერილების საშუალებით ინდივიდებს შორის დამყარებული კომუნიკაცია.[1666] „წერილში“ იგულისხმება ნებისმიერი ფორმის წერილობითი გზავნილი.[1667] გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მნიშვნელობა არ აქვს წერილი

[1662] შეადარე: N2/1/877 გადაწყვეტილება, II-94, 104; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-1, 27.
[1663] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-8.
[1664] შეადარე: Radbruch, Der Mensch im Recht, 1927, S. 7.
[1665] მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.
[1666] BVerfGE 33, 1 (11); 67,137 (171).
[1667] Badura P., Erläuterungen zum Art. 10 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Bd. 4, seit 1950, Rn. 29; Dürig G., Kommentar zum Art. 10 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band II, seit 1958, Rn. 13.

დახურული კონვერტით იგზავნება თუ ღია ბარათის სახით.[1668] დაცულია როგორც მიმოწერის შინაარსობრივი მხარე - წერილის შინაარსის საიდუმლოება,[1669] ასევე მასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების კონფიდენციალობა - მონაწილეთა ვინაობა, დრო და სიხშირე.[1670] აღსანიშნავია, რომ „მიმოწერის" შინაარსს უფრო ფართოდ განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც მასში ტექნიკური საშუალებებით განხორციელებულ კომუნიკაციასაც მოიაზრებს.[1671] სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის სპეციფიკით, რომელიც კომუნიკაციის კონტექსტში, მხოლოდ ტერმინს „მიმოწერა" იყენებს, რაც ქმნის მისი ფართო ინტერპრეტაციის აუცილებლობას.

872 კონსტიტუცია ცალკე უფლებად არ განსაზღვრავს საფოსტო საიდუმლოებას, თუმცა ფოსტის საშუალებით დამყარებული კომუნიკაციაც კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებითაა დაცული. საფოსტო საიდუმლოება მჭიდროდაა დაკავშირებული მიმოწერის ხელშეუხებლობასთან, რადგანაც იცავს წერილობით გზავნილებს მათი ფოსტაში ჩაბარებიდან ადრესატისათვის გადაცემამდე პერიოდის განმავლობაში. ამავდროულად, უზრუნველყოფილია არა მხოლოდ წერილობითი, არამედ ფოსტის საშუალებით გაგზავნილი ნებისმიერი სხვა გზავნილის (მაგალითად, ამანათის) საიდუმლოება.[1672] აღსანიშნავია, რომ საფოსტო საიდუმლოება მნიშვნელოვანია საფოსტო მომსახურებაზე სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში, რაც სახელმწიფოს უადვილებს მიმოწერის ხელშეუხებლობაში ჩარევას, თუმცა ამგვარი მონოპოლიის არარსებობისას, გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, საფოსტო საიდუმლოების მნიშვნელობა მცირდება.[1673] როდესაც საფოსტო მომსახურებას ახორციელებს კერძო სამართლის იურიდიული პირი, ის არ იბოჭება საფოსტო საიდუმლოებით, რადგან არ არის სახელმწიფო დაწესებულება და შესაბამისად, ძირითადი უფლების ადრესატი.[1674] სხვაგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოვიდოდა იმ პრინციპთან, რომ ძირითადი უფლება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე ირიბად და არა უშუალოდ მოქმედებს.[1675] რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფოსტის საშუალებით განხორციელებული მიმოწერა და გზავნილები დაცული არ არის - დაუშვებელია სახელმწიფოს, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების, არაკონსტიტუციური ჩარევა კერძო სუბიექტების მიერ განხორციელებულ საფოსტო მომსახურებაში, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მაინც შეზღუდული არიან საფოსტო

[1668] Badura, GG, Art. 10, Rn. 48; Ipsen, Grundrechte, Rn. 302; Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 10 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 3; Hermes G. (Bearb.), Kommentar zum Art. 10, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band I, 2. Auflage, 2006, Rn. 30 f.; Löwer W. (Bearb.), Kommentar zum Art. 10 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 16; Dürig, GG, Art. 10, Rn. 68. განსხვავებული პოზიცია იხ.: Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 12; BVerwGE 6, 229 (300).

[1669] Gusy C. (Bearb.), Kommentar zum Art. 10 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 27; Löwer, GG, Art. 10, Rn. 16; BVerfGE 67, 157 (171).

[1670] მაგ.: Badura, GG, Art. 10, Rn. 32; Jarass, GG, Art. 10, Rn. 10; Hermes, GG, Art. 10, Rn. 27; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 12.

[1671] მაგ.: Klass and Others v. Germany (N5029/71; 6.9.1978); Campbell Christie v. the United Kingdom (N21482/93; 27.6.1994).

[1672] მაგ.: Jarass, GG, Art. 10, Rn. 4; BVerfGE 67, 157 (171 f.).

[1673] შეადარე მაგ.: Hermes, GG, Art. 10, Rn. 46; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 770; Jarass, GG, Art. 10, Rn. 6.

[1674] Hermes, GG, Art. 10, Rn. 24; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn 13.

[1675] მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 68 f., 304.

საიდუმლოებით.[1676] რაც შეეხება იმ სუბიექტებს, რომლებიც, მართალია, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არიან ჩამოყალიბებული, მაგრამ აქციების ან წილის 100% სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება, ისინი ისევე არიან შებოჭილი საფოსტო საიდუმლოებით, როგორც სახელმწიფო ორგანოები,[1677] რადგანაც ამ ტიპის საწარმოები ძირითადი უფლებებით იზღუდებიან.[1678]

873 როგორც ვხედავთ, „მიმოწერა“ კომუნიკაციის ტრადიციული ფორმაა, რომელიც თანამედროვე სამყაროში დიდწილად ჩაანაცვლა დისტანციურმა ანუ ტელეკომუნიკაციამ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ არის ტექნიკური საშუალებებით საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი.[1679] ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალის ამომწურავად განსაზღვრა, მათი განვითარების თავბრუდამხვევი ტემპის გამო, ფაქტობრივად შეუძლებელია. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ტელეფონი (მათ შორის, მობილური ტელეფონი), ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საკომუნიკაციო ინტერნეტპროგრამები და აპლიკაციები და ა.შ.[1680] ტექნიკური საშუალების კონკრეტულ სახეს არ აქვს მნიშვნელობა.[1681] დაცულია ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელებული ზეპირი და წერილობითი ურთიერთობის შინაარსი, მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს კომუნიკაცია.[1682] დაცულ სფეროში შედის ტელეკომუნიკაციისას გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია და კომუნიკაციის გარემოებები - დრო, სიხშირე და მონაწილეები.[1683]

874 ტექნიკური პროგრესი, განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციის სფეროში, სულ უფრო სწრაფი და მასშტაბური ხდება. ეს განაპირობებს კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების დაცული სფეროს ღია და დინამიურ ხასიათს.[1684] პროგრესი ქმნის ახალ პოზიტიურ შესაძლებლობებს და ამავდროულად, საფრთხეებსა და გამოწვევებსაც. ციფრული კომუნიკაცია, კომუნიკაციის შედარებით ძველი საშუალებებისაგან განსხვავებით, ყოველთვის ტოვებს ტექნიკურად წაკითხვად კვალს, რაც მის გაზრდილ მოწყვლადობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სამართალი შეძლებისდაგვარად აჰყვეს ტექნიკური განვითარების ტემპს და პასუხი გასცეს კითხვას, რა და რა მასშტაბებით არის აუცილებელი ინდივიდის უფლებების გარანტირებისათვის კომუნიკაციის ახალ სფეროებში.[1685]

875 საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აღნიშნავს, რომ დაცულია „კერძო სფეროში განხორციელებული კომუნიკაცია“.[1686] აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის ხელშეუხებლობით დაცულ სფეროში არ შედის შეტყობინებების, აზრებისა თუ

[1676] შეადარე: Löwer, GG, Art. 10, Rn. 13; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 13; BVerfGE 67, 157 (171 f.); 85, 386 (396).
[1677] შეადარე მაგ.: Gusy, GG, Art 10, Rn. 36 f.
[1678] Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 69; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3 GG, Rn. 96; Jarass, GG, Art. 1, Rn. 39. დეტალურად ამ თემაზე იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 304 f.
[1679] Löwer, GG, Art. 10, Rn. 18; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 14.
[1680] შეადარე: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-6; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-5; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-23.
[1681] Gusy, GG, Art. 10, Rn. 39 f.; Jarass, GG, Art. 10, Rn. 4; Löwer, GG, Art. 10, Rn. 12; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 14.
[1682] შეადარე: Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 14; A. v. France (N14838/89; 23.11.1993); BVerfGE 100, 313 (358); 106, 28 (37); 107, 299 (313); 110, 33 (52 f.); 113, 348 (364 f.).
[1683] BVerfGE 67, 157 (172); 85, 386 (396); 100, 313 (358); 107, 299 (312).
[1684] შეადარე: Gusy, GG, Art. 10, Rn. 23; Hermes, GG, Art. 10, Rn. 20 ff.; BVerfGE 46, 120 (144); 106, 28 (36).
[1685] შეადარე: Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 6.
[1686] N2/1/484 გადაწყვეტილება, II-5.

ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, თუ მას საჯარო ხასიათი აქვს.[1687] მაგალითად, ტელეკომუნიკაციის ხელშეუხებლობა არ უზრუნველყოფს ისეთი ტექნიკური საშუალებებით განხორციელებულ კომუნიკაციას, რომელიც ღიაა მთელი საზოგადოებისათვის ან პირთა განუსაზღვრელი წრისთვისაა ხელმისაწვდომი (მაგალითად, ტელევიზია, ინტერნეტგვერდი და ა.შ.).[1688]

876 კომუნიკაციის ხელშეუხებლობით დაცული სფეროს ფარგლები შეზღუდულია ტექნიკური კრიტერიუმითაც. საკომუნიკაციო საშუალება ტექნიკური თვალსაზრისით, ობიექტურად უნდა იძლეოდეს კომუნიკაციის კონფიდენციალობის დაცვის შესაძლებლობას. თუ ის ამ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, მაშინ ამგვარი საშუალებით განხორციელებული ურთიერთობა უთანაბრდება საჯარო კომუნიკაციას, რომელიც დაცული არ არის.[1689] მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაციისას მთავარია, რამდენადაა მისი შინაარსი ხელმისაწვდომი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. თუ კომუნიკაციის შინაარსის გასაცნობად დაბრკოლებების (მაგალითად, პაროლი და ა.შ.) გადალახვაა საჭირო, ის დაცულია კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით.[1690] ამგვარ დაბრკოლებად არ განიხილება, მაგალითად ინტერნეტმისამართის აკრეფა, რომელსაც ადარებენ ტელევიზორის ან რადიოს ჩართვას, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.[1691]

877 კომუნიკაციის „ხელშეუხებლობა“ ნიშნავს მისი განხორციელების შესაძლებლობას გარედან არალეგიტიმური ჩარევის, მონაწილეობისა და კონტროლის გარეშე.[1692] აქ იგულისხმება არა მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსის გაცნობა, არამედ მისი მონაწილეების, დროისა და ინტენსივობის მონიტორინგიც.[1693] ამდენად, უზრუნველყოფილია პირის უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს კომუნიკაციის ადრესატი, შინაარსი, დრო, ხანგრძლივობა და დაიცვას კომუნიკაციის ამ კომპონენტების კონფიდენციალობა სახელმწიფოსა და მესამე პირთაგან.[1694] ინდივიდს „..აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა.“[1695] კომუნიკაცია უნდა მიმდინარეობდეს იმის შიშისა და ეჭვის გარეშე, რომ მისი შინაარსი თუ ფორმა გამოყენებული იქნება მისივე მონაწილეთა წინააღმდეგ.[1696] ეს შესაძლებელია კომუნიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის და მონაცემების არა მხოლოდ მოპოვების, არამედ მათი სახელმწიფოს მხრიდან გადამუშავებისა და გამოყენების შედეგად. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, კომუნიკაციის შემდეგ რჩება მრავალი დამახსოვრებადი მონაცემი, რომლებიც შეიძლება არ ასახავდეს მის შინაარსს, თუმცა იძლეოდეს მნიშვნელოვანი

[1687] BVerfGE 67, 157 (171).
[1688] შეადარე: Hermes, GG, Art. 10, Rn. 28; Jarass, GG, Art. 10, Rn. 4; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 14a.
[1689] დეტალურად იხ.: Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 14a.
[1690] მაგ.: Gusy, GG, Art. 10, Rn. 44.
[1691] Ipsen, Grundrechte, Rn. 306.
[1692] შეადარე მაგ.: Rohlf D., Der grundrechtliche Schutz der Privatsphäre. Zugleich ein Beitrag zur Dogmatik des Art. 2 Abs. 1 GG, 1980, 163 ff.; Rüpke G., Der verfassungsrechtliche Schutz der Privatheit. Zugleich ein Versuch pragmatischen Grundrechtsverständnisses, 1976, 75 f., 84.
[1693] შეადარე: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 132; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 146-147; BVerfGE 100, 313 (358); 106, 28 (37); 107, 299 (313); 110, 33 (52 f.); 113, 348 (364 f.).
[1694] შეადარე: N1/2/519 გადაწყვეტილება, II-6; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-24-25.
[1695] N1/2/519 გადაწყვეტილება, II-3.
[1696] შეადარე: BVerfGE 34,238 (246 f.).

დასკვნების გაკეთების საშუალებას. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების მოქმედება ვრცელდება აღნიშნულ პროცესებსა და მონაცემებზე.[1697]

878 კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს მასში ჩარევის შესახებ შეტყობინების უფლებასაც. ფარული ხასიათის ჩარევების (მაგალითად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მოსმენის) დროს, სხვაგვარად წარმოუდგენელია, რომ ადამიანმა აღადგინოს დარღვეული უფლებები და უკანონო ხელყოფის შემთხვევაში, მიიღოს კომპენსაცია. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. „მოსმენების შესახებ გადაწყვეტილება“. მან არაკონსტიტუციურად სცნო ნორმა, რომელიც სრულად გამორიცხავდა ჩარევის შესახებ ინდივიდის ინფორმირებას. თუ ინფორმირება საფრთხეს არ უქმნის ჩარევის მიზნის მიღწევას, მაშინ მისი განუხორციელებლობა არღვევს კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას.[1698]

879 კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, როგორც თავდაცვითი (თავისუფლების) უფლება, ინდივიდებს იცავს ამ უფლებით დაცული სიკეთეების წინააღმდეგ მიმართული ჩარევებისაგან. მისგან არ გამომდინარეობს სუბიექტური მფარველობითი უფლებები, მაგალითად სწრაფი საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა, ხელმისაწვდომი და იაფი ტელეკომუნიკაცია და ა.შ.[1699]

880 კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, როგორც პირადი ცხოვრების უფლების კომპონენტი[1700] და სპეციალური უფლება, რომელიც უზრუნველყოფს პირადი სფეროს გარკვეული ნაწილის დაცვას,[1701] მჭიდროდ უკავშირდება ამ უფლების სხვა კომპონენტებს და ამავდროულად, სხვა ძირითად უფლებებსაც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს კავშირს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებასთან და გამოხატვის თავისუფლებასთან, რადგანაც კომუნიკაციის ხელშეუხებლობა „..უზრუნველყოფს ადამიანების თვითგამოხატვას მათთვის სასურველ და მისაღებ სოციუმში, რაც უპირობოდ დაცული უნდა იყოს ამ პროცესში ჩარევის, კონტროლის შიშით განპირობებული თვითშეზღუდვისგან, თავშეკავებისაგან.. ეს უფლება ემსახურება და უზრუნველყოფს ინფორმაციული თვითგამორკვევისა და აზრის, გამოხატვის თავისუფლებებს ან დაკავშირებულია მათთან. აზრის და გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული შინაარსის მოსაზრებების, ინფორმაციის ამა თუ იმ ფორმით გამოხატვას და ამ გზით თვითრეალიზაციას, არამედ, მათ შორის, კონკრეტულ პირებთან, კონკრეტულ სოციუმში ამ მოსაზრებების გაცვლასაც..“.[1702] აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კავშირს აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან ხაზს უსვამს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და სამეცნიერო ლიტერატურაც. გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ აზრების გამოხატვას, არამედ მათ მიღებასაც. კომუნიკაციის ხელშეუხებლობა იცავს აზრის

[1697] შეადარე: Badura, GG, Art. 10, Rn. 32, 37; Dürig, GG, Art. 10, Rn. 15, 18; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 9; BVerfGE 100, 313 (358); 106, 28 (37); 107, 299 (313); 110, 33 (52 f.); 113, 348 (364 f.).
[1698] BVerfGE 30, 1 (3).
[1699] Hermes, GG, Art. 10, Rn. 82; Ipsen, Grundrechte, Rn. 308.
[1700] მაგ.: N2/1/877 გადაწყვეტილება, II-94.
[1701] Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 8.
[1702] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-24.

გამჟღავნებას გამგზავნიდან ადრესატამდე მისვლის გზაზე, უზრუნველყოფს აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესის კონფიდენციალობას.[1703]

881 სხვა უფლებებთან კავშირი განაპირობებს კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების კონკურენციაში ხშირ შესვლას მათთან. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება. პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ზოგადი პიროვნული უფლების, ასევე ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების მიმართ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება განიხილება, როგორც lex specialis,[1704] ანუ კონკურენციის შემთხვევაში, გამოიყენება ეს უკანასკნელი. თუ სახელმწიფოს ჩარევა გამოიხატება კომუნიკაციის შეწყვეტაში მასში მონაწილეთა ნების საწინააღმდეგოდ, გამოიყენება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ან აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება.[1705] ღია კომუნიკაციას იცავს აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება, ხოლო თუ მისი მონაწილეები ირჩევენ კომუნიკაციის პრივატულ, საზოგადოებისაგან დაფარულ ფორმას, მასზე ვრცელდება კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება.[1706] სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელში წარმოებული საუბრების ფარული მოსმენისას გამოიყენება საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება.[1707]

1.3. ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების უზრუნველყოფის ფორმალური გარანტიები

882 კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სასამართლო დათქმას ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდ-ვისათვის. კერძოდ, გარდა სხვა წინაპირობებისა, ამ უფლებათა შეზღუდვა საჭიროებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც, თუმცა მის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამდენად, ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა ექვემდებარება წინასწარ (a priori) ან შემდგომ (a posteriori) სასამართლო კონტროლს.[1708] ამით კონსტიტუცია ითვალისწინებს განსაკუთრებულ ფორმალურ გარანტიებს ადამიანის პირადი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტების დასაცავად.[1709]

883 სასამართლო დათქმა, როგორც ზოგადად, ასევე ამ შემთხვევაში არის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტია ადამიანის სახელმწიფო თვითნებობის, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და უსაფუძვლო შეზღუდვებისაგან დასაცავად.[1710]

[1703] შეადარე: Badura, GG, Art. 10, Rn. 26; Dürig, GG, Art. 10, Rn. 29; Evers H.-U., Privatsphäre und Ämter für Verfassungsschutz, 1960, 179 f.; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 10; BVerfGE 107, 299 (330).
[1704] BVerfGE 67, 157 (171); 100, 313 (358).
[1705] Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 52.
[1706] შეადარე: BVerfGE 113, 348 (391).
[1707] შეადარე: BVerfGE 109, 279 (313); 113, 348 (391).
[1708] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-72.
[1709] შეადარე: N1/2/519 გადაწყვეტილება, II-12; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-108; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-28.
[1710] შეადარე: N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-63; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-42, 44.

ამავდროულად, სასამართლო კონტროლი (იმ პირობით, თუ სასამართლო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია) მართებულად მიიჩნევა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების ინსტრუმენტად.[1711] სასამართლოს სახით, ნეიტრალური ორგანო, ფორმალური თვალსაზრისით, ამოწმებს რამდენად სწორად იყენებს აღმასრულებელი ხელისუფლება კანონს, ხოლო მატერიალური თვალსაზრისით - იყო თუ არა თანაზომიერი კონკრეტულ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა.[1712] ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც შეზღუდვა ფარული ხასიათისაა.[1713] სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩარევის განხორციელება თავისთავად არ ნიშნავს, რომ ის თანაზომიერი და კონსტიტუციურია. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას და სასამართლოს მიერ კანონის საფუძველზე დასაბუთებული და სწორი გადაწყვეტილების მიღებას კონკრეტულ შემთხვევაში.[1714]

884 ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდვა, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე. „შეზღუდვის კანონიერების დადასტურება“, ანუ შემდგომი სასამართლო კონტროლი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლისის სახით,[1715] „კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“ საკმარისი არ არის „გადაუდებელი აუცილებლობის“ მხოლოდ ფორმალურად კანონით დადგენა. სახელმწიფოს არ აქვს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების ზოგადად და საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლება. ის ვალდებულია, რომ მხედველობაში მიიღოს „გადაუდებელი აუცილებლობის“ ის შინაარსი, რაც ამ ტერმინში კონსტიტუციითაა ჩადებული.[1716]

885 საკონსტიტუციო სასამართლო მკაფიოდ განმარტავს „გადაუდებელი აუცილებლობის“ კონსტიტუციურ შინაარსს: „გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას... „კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“ კი თვისობრივად არის არა საფუძველი, არამედ მდგომარეობა, პირობა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ან არ არსებობდეს უფლებაში ჩარევის ნებისმიერი საფუძვლის.. არსებობისას.“[1717]

[1711] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-24; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-21; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-33.
[1712] შეადარე: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-41; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-111.
[1713] შეადარე: N2/1/484 გადაწყვეტილება, II-20.
[1714] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-24.
[1715] შეადარე: Kühne, GG, Art. 13, Rn. 34.
[1716] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 150.
[1717] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-26.

886 გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა სასამართლო კონტროლს კი არ გამორიცხავს, არამედ მისი მხოლოდ დროში მოგვიანებით გადანაცვლებას იწვევს.[1718] კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, ეს გადანაცვლებაც მკაცრადაა ლიმიტირებული და ჯამურად 48 საათს არ უნდა აღემატებოდეს, აქედან 24 საათი შეზღუდვის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინების მაქსიმალური ვადაა, ხოლო მომდევნო 24 საათი კი - სასამართლოს მიერ შეზღუდვის კანონიერების შემოწმებისა.

887 პირად ცხოვრებასა და მის ცალკეულ კომპონენტებს 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავდა, რომელიც სასამართლო დათქმას დაცულ სფეროში ნებისმიერ ჩარევაზე ავრცელებდა. რეფორმის შემდეგ ის ჩაანაცვლა მე-15 მუხლმა, რომელმაც სასამართლო კონტროლის სფერო შეავიწროვა და ის აღარ გაავრცელა ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებზე. ეს ნაბიჯი მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა, რადგანაც გაიზარდა სახელმწიფოს თვითნებური ჩარევების საფრთხე აღნიშნულ უფლებებში, რაც დარჩება სასამართლოს ზედამხედველობის მიღმა.[1719] ეს შეშფოთება ნამდვილად გასაზიარებელია, როდესაც საქმე შეეხება მძიმე ჩარევებს ან/და ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომეტებულია შეზღუდვის განმხორციელებელი სუბიექტების მხრიდან თვითნებობის რისკი (მაგალითად, ფარული ხასიათის შეზღუდვების დროს). ამავდროულად, დაბალი ინტენსივობის ჩარევისას, როდესაც სახელმწიფოს თვითნებობის საფრთხე არ არის მაღალი ხარისხის, ლოგიკურად არც სასამართლოს ჩართულობის საჭიროება არსებობს.

888 სასამართლო კონტროლის არეალის არაგონივრული შემცირება დააზიანებს პირადი ცხოვრების უფლებისა და მისი კომპონენტების დაცულობის ხარისხს, ხოლო გაზრდა - გაუმართლებელ დაბრკოლებებს შექმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით შემოთავაზებული კონსტრუქცია სრულყოფილად ვერ უმკლავდება ამ გამოწვევას, მაგრამ პრობლემა უნდა გადაიჭრას საკანონმდებლო ხელისუფლების და არა ხელისუფლების სხვა შტოებში შემავალი ორგანოების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამა თუ იმ უფლების შეზღუდვაზე სასამართლო ზედამხედველობის გავრცელების საკითხი პარლამენტის და არა საკონსტიტუციო სასამართლოს გადასაწყვეტია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონსტიტუციაში ცალსახად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონმდებლის ნება არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში, ინტერპრეტაციის გზით, დაავიწროვა სასამართლო დათქმის მოქმედების ფარგლები. ერთ შემთხვევაში, მან სასამართლო ზედამხედველობიდან გაათავისუფლა ისეთი ჩარევები, როდესაც მუდმივად არსებობს მათი საფუძველი და საჭიროება, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მოქმედებას კანონით დაკისრებული პირდაპირი ვალდებულებით, არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება და შესაბამისად, დაუსაბუთებელ შეზღუდვასაც ვერ განახორციელებს. აქედან გამომდინარე, აზრს არის მოკლებული სასამართლო კონტროლი. რაც შეეხება უფლების შეზღუდვის მუდმივი საჭიროების არსებობის შემოწმებას, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეს უნდა მოხდეს შეზღუდვის დამდგენი კანონის

[1718] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-63; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-34.
[1719] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 149.

კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში.[1720] ამგვარი პოზიციით საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, თავის მიხედულების სფეროს მიაკუთვნა სასამართლო დათქმის მოქმედების ფარგლების განსაზღვრა, რაც აშკარად სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს. რაც შეეხება შეზღუდვის მუდმივ საჭიროებას, ურთულესია შემთხვევათა ისეთი ჯგუფის მკაფიოდ იდენტიფიცირება, სადაც შეზღუდვა მუდმივად, ანუ ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე არის აუცილებელი. ამგვარი მიდგომა ფაქტობრივად სპობს კონკრეტულ პირებთან მიმართებით ინდივიდუალური შეზღუდვის აუცილებლობის შემოწმების შესაძლებლობას. მიუღებელია ისეთი კონცეფცია, რომელიც კატეგორიულად არ გამორიცხავს თუნდაც ერთი პირის უფლების თვითნებურ შეზღუდვას. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო კონტროლის საჭიროებას არა მხოლოდ სახელმწიფო თვითნებობის საფრთხე (ასეთი საფრთხე იმ უფლებების შეზღუდვისასაც არსებობს, რომლებთან მიმართებით სასამართლო დათქმა არ არის გათვალისწინებული), არამედ ჩარევის ბუნება და მისი სიმძიმეც განაპირობებს. ეს ფაქტორი საკონსტიტუციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა.

889 აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვიანებით განაგრძო სასამართლო დათქმის მოქმედების ფარგლების შევიწროების ტენდენცია, ოღონდ მის მიერ მოყვანილი არგუმენტი კიდევ უფრო ზოგადი და ბუნდოვანი გახდა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ჩარევაზე სასამართლო კონტროლის საჭიროების განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამისი „ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით“.[1721] შეიძლება ითქვას, რომ გახსნილია ერთგვარი „პანდორას ყუთი“, რაც საფრთხეს უქმნის კონსტიტუციის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ სასამართლო დათქმებსაც. მაგალითად, თუ მივყვებით საკონსტიტუციო სასამართლოს ლოგიკას, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა შემთხვევათა გარკვეულ კატეგორიაში შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც მოხდეს და ეს დასაბუთდეს „მუდმივი საჭიროებით“ ან „ურთიერთობათა სპეციფიკით“.

1.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1.4.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

890 სხვა თავდაცვითი (თავისუფლების) უფლებების მსგავსად, კონსტიტუციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებები მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ და ინდივიდს იცავენ მისი მხრიდან ჩარევებისაგან (Status negativus).[1722] სახელმწიფოს მიერ ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული მოცულობით და საჭიროებს

[1720] დეტალურად იხ.: N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-113-118.
[1721] N2/1/877 გადაწყვეტილება, II-111.
[1722] შეადარე: Badura, GG, Art. 10, Rn. 19 f.; Dürig, GG, Art. 10, Rn. 21; Ipsen, Grundrechte, Rn. 286; Pagenkopf, GG, Art. 10, Rn. 16; BVerfGE 33, 1 (11); 65, 1 (40); 67, 157 (171); 113, 348 (364 ff.).

კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას.[1723] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, კონსტიტუციის დარღვევით არ ჩაერიოს მე-15 მუხლით „..დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.“[1724]

891 საკონსტიტუციო სასამართლო აკონკრეტებს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებებს ცალკეულ უფლებებთან მიმართებით. მაგალითად, ტელეკომუნიკაციის ხელშეუხებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს „..ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები.“[1725]

1.4.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

892 პირადი ცხოვრების უფლება და მისი კომპონენტები, მათი ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც კონსტიტუციური ფასეულობები, სახელმწიფოს აკისრებენ დაცვისა და სხვა პოზიტიურ ვალდებულებებს. დაცვის ვალდებულება სახელმწიფოსაგან მოითხოვს პირადი სფეროს დაცვას არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა, არამედ ასევე მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან.[1726] პირადი სფეროს დაცვაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა, თუ ნებისმიერს, შესაძლო სანქციების შიშის გარეშე, ექნებოდა მასში ჩარევის შესაძლებლობა. სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი დამცავი სამართლებრივი ბაზა, მაგალითად პერსონალური მონაცემების მესამე პირთა მხრიდან უკანონო დამუშავებისაგან დასაცავად.[1727] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პირადი ცხოვრებისა და მისი კომპონენტების არამართლზომიერი ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებს.[1728] ამასთან, დამცავი კანონმდებლობის არსებობას ეფექტი არ ექნება და ფორმალობად იქცევა, თუ არ განხორციელდა მისი სათანადო აღსრულება აღმასრულებელი ხელისუფლების, ხოლო შეფარდება - სასამართლოების მიერ.

893 საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, „...უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უგულებელყოფას, აღკვეთას.“[1729] პირადი ცხოვრების უფლების თავისთავად შემადგენელ ნაწილად განიხილება „..თითოეული

[1723] შეადარე: Murswiek, GG, Art. 2, Rn.18.
[1724] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4.
[1725] იქვე, II-6.
[1726] შეადარე მაგ.: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 123; Hermes, GG, Art. 13, Rn. 117; Ipsen, Grundrechte, Rn. 286.
[1727] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 122; Starck, GG, Art. 2, Rn. 177.
[1728] მაგალითად იხ.: სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა); 157^1 (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა); 158-ე (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა); 159-ე (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) და 160-ე (ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა) მუხლები.
[1729] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-4.

ადამიანის უფლება, მოსთხოვოს ხელისუფლებას მისთვის გასაგები, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ეფექტური და საკმარისი გარანტიები საიმისოდ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება.. საიმედოდ კონტროლდებოდეს."[1730] თავისუფლებაშეზღუდული პირების ოჯახური ცხოვრების კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, რომ გარკვეული ხარისხით იქნეს უზრუნველყოფილი მათი შესაძლებლობა, იქონიონ კონტაქტი ოჯახის წევრებთან.[1731]

894 სახელმწიფო დაცვის ვალდებულებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც. მაგალითად, მისი პოზიციით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას კომუნიკაცია მესამე პირთა მხრიდან ჩარევისაგან.[1732]

895 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდანაც. რა თქმა უნდა, მისი მთავარი მიზანი სახელმწიფოს მხრიდან პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმოწერის უფლებათა დაცვაა, რისი უზრუნველყოფაც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსათვის ნეგატიური ვალდებულებების დაკისრებით ხდება. ამავდროულად, მე-8 მუხლიდან გამომდინარეობს რიგი პოზიტიური ვალდებულებებისა, რომლებიც შეეხება: ზოგადად პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიან პატივისცემას;[1733] შესატყვისი და ეფექტიანი გარანტიებისა და კანონმდებლობის შექმნას უფლებათა დარღვევისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დასაცავად;[1734] სათანადო გარანტიების შექმნას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად;[1735] ოჯახური კავშირების შენარჩუნებისათვის ხელშეწყობას;[1736] შვილების ინტერესების სათანადოდ დასაცავად მშობლების მათთან დაკავშირებულ პროცედურებში ჩართვასა და სამართლებრივი დაცვით სარგებლობას;[1737] გადაწყვეტილების მიღებისას მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას;[1738] სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული მონდომებას, როდესაც პროცედურულმა შეფერხებამ შეიძლება შეუქცევადი ზეგავლენა მოახდინოს ოჯახურ ცხოვრებაზე;[1739] თავისუფლებაშეზღუდულ პირთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემას[1740] და ა.შ.

[1730] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-80.
[1731] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-16-17.
[1732] BVerfGE 106, 28 (37).
[1733] შეადარე მაგ.: X. and Y. v. the Netherlands; Kroon and Others v The Netherlands (N18535/91; 27.10.1994).
[1734] შეადარე მაგ.: Leander v. Sweden; Gozum v. Turkey (N4789/10; 15.1.2015).
[1735] Z. v. Finland.
[1736] მაგ.: T. v. the Czech Republic (N19315/11; 17.7.2014); Manuello and Nevi v. Italy.
[1737] მაგ.: Price v. the United Kingdom (N12402/86; 14.7.1988); B. v. Romania (N2) (N1285/03; 19.2.2013).
[1738] მაგ.: G. S. v. Georgia (N2361/13; 21.7.2015).
[1739] შეადარე მაგ.: H. v. the United Kingdom (N9580/81; 8.7.1987); R. S. v. Poland (N63777/09; 21.7.2015).
[1740] მაგ.: Khoroshenko v. Russia (N41418/04; 30.6.2015).

2. ჩარევა პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში

2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება

896 პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები არ მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცული უფლებების კატეგორიას.[1741] ამდენად, შესაძლებელია მათი შეზღუდვა კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნების დაცვით.

897 ჩარევად განიხილება სახელმწიფოს ნებისმიერი აქტი ან ღონისძიება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლებებით სარგებლობას ან მესამე პირებს აძლევს ამის შესაძლებლობას.[1742] ამასთან, საკმაოდ რთული ამოცანაა, იმის იდენტიფიცირება განხორციელდა თუ არა ჩარევა ზოგადად კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სფეროში და ამ მუხლით გათვალისწინებული რომელი უფლება შეიზღუდა კონკრეტულად. ამ პროცესში, მთავარია, გათვალისწინებული იქნეს მე-15 მუხლითა და მასთან კავშირში მყოფი სხვა უფლებებით დაცული სფეროების გამიჯვნის კრიტერიუმები და მე-15 მუხლში მოცემული ცალკეული უფლებებით დაცული სფეროების ფარგლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის მხედველობაში მიღება, თუ ერთმანეთთან მიმართებით რომელი უფლება ითვლება ზოგადად და რომელი - სპეციალურად. ამ საკითხებზე უკვე ვრცლად გამახვილდა ყურადღება ზემოთ, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სფეროზე მსჯელობისას.

898 იმისათვის, რომ გარკვეული მოქმედება ჩაითვალოს ჩარევად, ის უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი უფლების სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ ან ნების გარეშე. მაგალითად, კონსტიტუცია კრძალავს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში შესვლას მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ. თუ შესვლა მფლობელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე ხორციელდება, მაშინ პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასაც არ ექნება ადგილი.[1743] პირის ნების გარეშე სახელმწიფოს მოქმედების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მის კომუნიკაციაზე ფარული მონიტორინგის განხორციელება. ფარულობა თავისთავად გულისხმობს, რომ ინდივიდმა არ იცის ამგვარი ღონისძიების შესახებ და შესაბამისად, მისი ნების გამოხატვაც არ ხდება.

899 ჩარევის იდენტიფიცირებისას გასათვალისწინებელია ობიექტური გარემოებებიც. მაგალითად, კომუნიკაციის უფლების შეზღუდვად არ ჩაითვლება სოციალურ ქსელში ე.წ. „კედელზე“ მიმდინარე კომუნიკაციის შინაარსის გაცნობა სახელმწიფო ორგანოების

[1741] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-6; N2/1/484 გადაწყვეტილება, II-9; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-61; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-11, 29; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-26; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-106; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-28.

[1742] შეადარე მაგ.: კორკელია, მე-20 მუხლის კომენტარი, 136; N2/1/484 გადაწყვეტილება, II-6; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-101.

[1743] შეადარე მაგ.: Herdegen, GG, Art. 13, Rn. 44.

მხრიდან, იმ ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე, რომ ამგვარ კომუნიკაციას ღია და საჯარო ხასიათი აქვს. საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევად არ განიხილება ისეთი ღონისძიება, რომელიც წინასწარგანჭვრეტადია და როგორც წესი, გულისხმობს საწარმოო და დამხმარე სივრცეებში შესვლას ისეთი მიზნებით, როგორიცაა მრიცხველის მონაცემების წაკითხვა, ხმაურის დონის გაზომვა და ა.შ.[1744] საერთოდ, სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენებულ ფართში (მაგალითად, მაღაზია) შესვლა, როგორც წესი, არ საჭიროებს მისი მფლობელის წინასწარ ნებართვას, მაგრამ ჩარევა მაშინ არის სახეზე, თუ სახელმწიფო მოხელე, უფლებამოსილი პირის ნების საწინააღმდეგოდ, რჩება შესაბამის სივრცეში.[1745]

900 ჩარევის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც დავობს უფლების შეზღუდვაზე. მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული მისი რომელიმე უფლება.[1746] მსგავსი მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც. განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს მისი უფლების შეზღუდვის ფაქტი, ან დაასაბუთოს, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა შეზღუდვას ან არსებობს ამის რეალური საფრთხე.[1747] თუ სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებას ფარული ხასიათი აქვს (მაგალითად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მოსმენა), განმცხადებელი არ არის ვალდებული ამტკიცოს ამგვარი შეზღუდვის მის წინააღმდეგ გამოყენების ფაქტი. ჩარევის დასადგენად ამ დროს საკმარისია, რომ სახეზე იყოს შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა.[1748]

2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის სახეები

901 როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციის მე-15 მუხლით, განსაკუთრებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით, დაცული სფერო ძალიან ფართოა და ფაქტობრივად შეუძლებელია მისი ამომწურავად განსაზღვრა. მით უფრო გამორიცხულია, რომ განვიხილოთ ამ უფლებებში ჩარევის ყველა შესაძლო ვარიანტი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდვის მაგალითების მოტანა საკონსტიტუციო სასამართლოსა და უცხოური პრაქტიკიდან.

902 უფლებების შეზღუდვის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და მის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები. საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ ეს შეიძლება გულისხმობდეს ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას.[1749] ამავდროულად,

[1744] Kühne, GG, Art. 13, Rn. 51.
[1745] Hermes, GG, Art. 13, Rn. 105 f.; Ipsen, Grundrechte, Rn. 292.
[1746] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[1747] შეადარე მაგ.: Dudgeon v. the United Kingdom; Campbell v. the United Kingdom (N13590/88; 25.3.1992); D. and Others v. Belgium (N29176/13; 8.7.2014).
[1748] შეადარე მაგ.: Klass and Others v. Germany; Malone v. the United Kingdom (N8691/79; 2.8.1984).
[1749] N2/1/484 გადაწყვეტილება, II-10.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ბუნებიდან გამომდინარე, ის შეიძლება კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სხვა სიკეთეებშიც ჩაერიოს. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩარევად მიიჩნია და შეაფასა ისეთი ღონისძიებების კონსტიტუციურობა, როგორიცაა სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ასევე ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის საშუალებებიდან, კომპიუტერული ქსელებიდან და კომპიუტერული სისტემებიდან.[1750] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევად განიხილავს არა მხოლოდ ფარულ თვალთვალს,[1751] არამედ ფარული ღონისძიებებით მოპოვებული ინფორმაციის შენახვასაც.[1752] ჩარევას წარმოადგენს არა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, როგორც ასეთი, არამედ მასთან დაკავშირებული პროცედურული რეგულირებებიც.[1753]

903 ჩხრეკას, როგორც ადამიანის პირად სივრცეში ჩარევის ფორმას, თვით კონსტიტუცია გამოჰყოფს, რითაც ხაზგასმულია მასთან დაკავშირებული თვითნებობის რისკების პრევენციისა და უფლების დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველყოფის მნიშვნელობა. მას საცხოვრისის ხელშეუხებლობაში ჩარევად განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[1754] ჩხრეკას მოკლედ განმარტავენ, როგორც რაიმე დამალულის მიზანმიმართულ ძებნას.[1755] მისი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ჩხრეკა, როგორც საგამოძიებო მოქმედება, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, რომლის მიზანიცაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოჩენა.[1756] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ჩხრეკის ცნება ასევე მოიცავს პრევენციულ-ადმინისტრაციულ და პოლიციურ ღონისძიებებს.[1757]

904 საკონსტიტუციო სასამართლო ჩხრეკისაგან განასხვავებს ზედაპირულ შემოწმებას, როგორც პირად ცხოვრებაში ჩარევის ნაკლებად ინტენსიურ ფორმას.[1758] ამავდროულად, გაცილებით მძიმე ჩარევაა და ინტენსივობით ჩხრეკას უთანაბრდება ისეთი შემოწმება, რომელიც სცდება ტანსაცმელზე ხელის შეხებისა და ტექნიკური საშუალებების დახმარებით შემოწმების ფარგლებს და მოიცავს ტანსაცმლის ვიზუალურად უხილავი ნაწილის გამოჩენას ან მის გახდას.[1759] საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევად ჩათვალა ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრული პირადი შემოწმება, რაც გულისხმობდა უფლებამოსილი პირის მითითებით, მთლიანად გახდას ან სხეულის შესაბამისი ნაწილების გაშიშვლებას.[1760]

905 საცხოვრებელში შესვლა ან ყოფნა მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ითვლება ჩარევად საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებაში.[1761] ამასთან, აუცილებელი არ

[1750] N1/1/625,640 გადაწყვეტილება.
[1751] მაგ.: Shimovolos v. Russia.
[1752] მაგ.: Association „21 December 1989“ and Others v. Romania.
[1753] N2/1/484 გადაწყვეტილება, II-14.
[1754] მაგ.: Chappell v. the United Kingdom (N10461/83; 30.3.1989).
[1755] Kühne, GG, Art. 13, Rn. 27.
[1756] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[1757] მაგ.: BVerwGE 28, 285.
[1758] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-70.
[1759] იქვე, II-72.
[1760] N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-99.
[1761] მაგ.: BVerfGE 76, 83 (90); 89, 1 (12).

არის, რომ საცხოვრებელში შეღწევა ფიზიკურად განხორციელდეს. ჩარევად ასევე ითვლება თვალთვალი ან ფარული მოსმენა საცხოვრებელში განლაგებული ტექნიკური საშუალებებით, ასევე აკუსტიკური ან ვიზუალური მონიტორინგი საცხოვრებლის გარედან.[1762]

906 პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევად განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პერსონალური მონაცემების ამოღებას და შენახვას, თუნდაც ეს ხორციელდებოდეს არა უშუალოდ სახელმწიფოს, არამედ კერძო სუბიექტების მიერ სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ვალდებულების საფუძველზე.[1763] პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევაა პირის მიმართ გამოძიების ფარგლებში ისეთი საზედამხედველო ზომების გამოყენება, რაც პირის ადგილსამყოფელისა და გადაადგილების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.[1764] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის პირად ცხოვრებაში საკმაოდ მკაცრ და ინტენსიურ ჩარევად შეაფასა ე.წ. „მეტადატის“ (ანუ ინფორმაციის მობილური ტელეფონების ადგილმდებარეობის, განხორციელებული და შემოსული ზარების, ონლაინ ღიად თუ ფარულად განხორციელებული ძიებისა და სხვა ონლაინქმედებებთან დაკავშირებით) შეკრება და შენახვა, თუნდაც არ მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ამ მონაცემების შემდგომი გაცნობა და გამოყენება.[1765] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე ჩარევად ჩათვალა ვიდეოთვალთვალის განხორციელება უნივერსიტეტის შენობაში დამონტაჟებული ვიდეოკამერების საშუალებით.[1766]

907 სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მესამე პირისათვის მიწოდების ვალდებულება საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა, როგორც ჩარევა პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ამ ინფორმაციის მიმართ შესაბამის სუბიექტს შეიძლება გააჩნდეს ანონიმურობისა და კონფიდენციალობის ინტერესი და მოლოდინი.[1767] თავისი არსით, ეს ვალდებულება არც პირადი სფეროს სივრცობრივ განზომილებაში იჭრება და მით უმეტეს, არც კომუნიკაციის ხელშეუხებლობაში. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნულ შემთხვევას არ ფარავდა კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული არც ერთი სპეციალური უფლებით დაცული სფერო, ჩარევა უნდა შეფასებულიყო პირადი ცხოვრების (ზოგად) უფლებასთან მიმართებით.

908 პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად ჩათვალა საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის აკრძალვა.[1768] ამავდროულად, მისი მსჯელობა უფრო იქითაა მიმართული, თუ რატომ წარმოადგენს ეს ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის (სპეციალური) უფლების შეზღუდვას, ხოლო პირადი ცხოვრების (ზოგად) უფლებასთან

[1762] მაგ.: Herdegen, GG, Art. 13, Rn. 42.
[1763] შეადარე მაგ.: Leander v. Sweden; Trabajo Rueda v. Spain (N32600/12, 30.5.2017); Breyer v. Germany (N50001/12; 30.1.2020).
[1764] Ben Faiza v. France (N31446/12; 8.2.2018).
[1765] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-92-93, 116.
[1766] Antovic and Mirkovic v. Montenegro (N70838/13; 28.11.2017).
[1767] N2/1/877 გადაწყვეტილება, II-103-105.
[1768] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-25.

მიმართებით არგუმენტები არაა მოტანილი. აღსანიშნავია, რომ პატიმრისა და მისი ოჯახის წევრების ურთიერთობასთან დაკავშირებულ შეზღუდვას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს ოჯახური ცხოვრების უფლების კონტექსტში.[1769]

3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამართლება

3.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამართლების ფორმალური მოთხოვნები

3.1.1. კანონის დათქმა და პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის კანონიერება

909 კონსტიტუციის მე-15 მუხლი პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა შეზღუდვას ითვალისწინებს „მხოლოდ კანონის შესაბამისად“. სახეზეა კანონის სპეციალური დათქმა, რაც გულისხმობს, რომ ამ უფლებებში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. ასევე მხოლოდ კანონმა უნდა გაითვალისწინოს გადაუდებელი აუცილებლობა, როდესაც პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლებებში ჩარევა შეიძლება მოხდეს სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე. თუ კონსტიტუციის ეს ფორმალური მოთხოვნები არ არის დაცული, მაშინ ჩარევა არაკონსტიტუციურია და აღარ ხდება მისი კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

910 კანონის დათქმა უმნიშვნელოვანეს ფორმალურ გარანტიად ითვლება. როგორც აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლება მხოლოდ მაშინ სარგებლობს ძირითადი უფლებით დაცულ თავისუფლებაში ჩარევის უფლებამოსილებით, როდესაც ეს ხდება კანონის საფუძველზე, რომელიც საკმარისად განსაზღვრულია. დაუშვებელია მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების დარღვევა.[1770]

911 პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში ამოწმებს, თუ რამდენად მიეკუთვნება ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვას, ფორმალური თვალსაზრისით, საქართველოს საკანონმდებლო აქტების კატეგორიას.[1771] გარდა ამისა, კანონი, რომელიც ზღუდავს პირად ცხოვრებას ან მის რომელიმე კომპონენტს, უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულობის მაღალ სტანდარტებს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობის შეზღუდვაზე მსჯელობისას, განაცხადა, რომ კანონი უნდა აკმაყოფილებდეს

[1769] Nusret Kaya and Others v. Turkey (N43750/06, 43752/06, 32054/08, 37753/08, 60915/08; 22.4.2014).
[1770] Murswiek, GG, Art. 2, Rn.19.
[1771] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-27; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-107.

ხარისხობრივ მოთხოვნებს, იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი,[1772] ხოლო მისი შინაარსი - ზუსტი, მკაფიო და არაორაზროვანი ადრესატებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს კანონის განსაზღვრულობის იმ ხარისხს, რაც ცალსახად გამორიცხავს კონსტიტუციური უფლების დარღვევის თუნდაც ერთეულ შემთხვევას.[1773] თუ იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად აღმოჩნდა, რომ ნორმის წაკითხვის ერთი ვერსია მაინც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ის ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრულობის მოთხოვნას.[1774] ამდენად, არ უნდა რჩებოდეს სივრცე ნორმის არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციისათვის.[1775] კანონი გასაგებად და მკაფიოდ უნდა აწესრიგებდეს შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების უფლებამოსილების ფარგლებს და იძლეოდეს დროული და ეფექტიანი სასამართლო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.[1776] განსაზღვრულობის შემოწმების ჩვეულებრივზე გაცილებით მაღალი სიმკაცრე საკონსტიტუციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგი არგუმენტებით: ჩარევას აქვს ფარული ხასიათი; ინდივიდი არ არის ჩართული იმ სასამართლო პროცესში, რომელზეც მის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენების საკითხი წყდება; გართულებულია მესამე პირების ინტერესების დაცვა, რომლების ფარული კონტროლის ადრესატები ხდებიან ამ კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან კომუნიკაციისას.[1777] საკონსტიტუციო სასამართლო, კანონის ხარისხზე მსჯელობის კონტექსტში, კანონმდებელს აკისრებს პასუხისმგებლობას, „რომ შექმნას ისეთი სისტემა, როდესაც ობიექტურად შესაძლებელი იქნება საკმარისი, ეფექტური და გამჭვირვალე მექანიზმებით კონტროლი ხელისუფლების საქმიანობაზე. კანონი ვერ დააკმაყოფილებს „კანონის ხარისხის“ მოთხოვნებს, თუ ის ქმნის მის მიერვე დადგენილი წესების მიღმა ქმედების ცდუნებას. კანონი თავად არ უნდა ახდენდეს მისივე დარღვევის პროვოცირებას.“[1778]

გადაუდებელ აუცილებლობასთან მიმართებით კანონის დათქმის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ გადაუდებელი აუცილებლობის თითოეული პირობა უნდა იყოს დადგენილი მხოლოდ საკანონმდებლო აქტით, ანუ მას ვერ განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლება. შეიძლება რომელიმე პირობა, თავისი შინაარსით, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდეს, მაგრამ თუ მას კანონი არ ითვალისწინებს, დაუშვებელია მის საფუძველზე მოსამართლის წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე უფლების შეზღუდვა. არ არის აუცილებელი, თუმცა სასურველია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებს კანონი ამავე სახელწოდებით მოიხსენებდეს. ის, თუ რამდენად განსაზღვრავს კანონის ნორმა გადაუდებელ აუცილებლობას, უნდა გაირკვეს მისი განმარტებისა და ანალიზის საფუძველზე.[1779] ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის კანონით ფორმალური მოწესრიგება არ არის საკმარისი. კანონის შესაბამისი რეგულირება უნდა

[1772] შეადარე ასევე: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-40.
[1773] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11. შეადარე ასევე: N2/1/484 გადაწყვეტილება, II-10.
[1774] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-30.
[1775] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-60.
[1776] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-14.
[1777] იქვე, II-13.
[1778] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-69.
[1779] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-66.

შეესაბამებოდეს გადაუდებელი აუცილებლობის კონსტიტუციურ შინაარსს.[1780] გარდა ამისა, ის უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის მოთხოვნას - „კანონმდებლის ნება.. საკმარისად მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, რათა გამოირიცხოს ამ ცნების [გადაუდებელი აუცილებლობის] არასწორი ინტერპრეტაცია, რაც, საბოლოო ჯამში, უფლების დარღვევას გამოიწვევს.“[1781]

912 განსაზღვრულობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ ნორმატიული, არამედ ინდივიდუალური აქტებიც. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს მხოლოდ ნორმატიული აქტების შესაბამისობა ძირითად უფლებებთან. ამ კუთხით, უფრო ფართო უფლებამოსილება აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. მაგალითად, მან დაადგინა, რომ ჩხრეკის შესახებ ბრძანება უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულობის პრინციპს.[1782] კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ უფლებებში ინდივიდუალურსამართლებრივი აქტებით ჩარევის კანონიერების შემოწმებისას, განსაზღვრულობის საკითხს ყურადღება უნდა მიაქციონ საერთო სასამართლოებმა.

913 კანონიერების მოთხოვნას[1783] ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ჩარევა ამ მუხლით დაცულ უფლებებში შეიძლება განხორციელდეს „კანონის შესაბამისად“. ამ ფორმალური მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს კონვენციის დარღვევას.[1784] კონვენციის მე-8 მუხლი ირღვევა მაშინაც, როდესაც უფლების შეზღუდვა არ შეესაბამება კანონმდებლობას.[1785] კანონიერად არ ითვლება ჩარევა, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი საფუძველი და ხორციელდება ადმინისტრაციული პრაქტიკის საფუძველზე, რომელიც შეიძლება შეცვლას დაექვემდებაროს[1786] ან შეზღუდვა, რომელიც ხორციელდება ისეთი აქტის საფუძველზე, რომელსაც არ აქვს კანონის ძალა და არ არის ხელმისაწვდომი.[1787]

914 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე,[1788] საკმარისი არ არის, რომ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას ფორმალურად ჰქონდეს კანონიერი საფუძველი. კანონი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მოთხოვნებს, ანუ იყოს საკმარისად ნათელი, ზუსტი და განჭვრეტადი (მაგალითად, ჩარევის ფორმის, შინაარსის, მასშტაბების, ხანგრძლივობისა და შედეგების მკაფიო განსაზღვრა და ა.შ.), განსაკუთრებით მაშინ, თუ ის უფლების ფარულ შეზღუდვას ითვალისწინებს და შეიცავდეს სახელმწიფოს თუ მესამე პირების თვითნებობისაგან დამცავ გარანტიებს (მაგალითად, ჩარევაზე დამოუკიდებელი

[1780] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-26; N2/1/484 გადაწყვეტილება, II-22; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-64.
[1781] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-66.
[1782] BVerfGE 42, 212 (220 f.).
[1783] დეტალურად იხ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 276.
[1784] მაგ.: Radu v. the Republic of Moldova (N50073/07; 15.4.2014); Altay v. Turkey (no. 2).
[1785] მაგ.: Antovic and Mirkovic v. Montenegro.
[1786] მაგ.: Malone v. the United Kingdom.
[1787] Silver and Others v. the United Kingdom (N6205/73; 25.3.1983).
[1788] დეტალურად იხილე მაგ.: Malone v. the United Kingdom; Leander v. Sweden; Olsson v. Sweden (N1) (N10465/83; 24.3.1988); Huvig v. France (N11105/84; 24.4.1990); Kruslin v. France (N11801/85; 24.4.1990); Margareta and Roger Andersson v. Sweden (N12963/87; 25.2.1992); Herczegfalvy v. Austria; Rotaru v. Romania (N28341/95; 4.5.2000); Niedbala v. Poland; Oleksandr Volkov v. Ukraine (N21722/11; 9.1.2013); L. H. v. Latvia (N52019/07; 29.4.2014); Dragojevic v. Croatia (N68955/11; 15.1.2015); Vukota-Bojic v. Switzerland (N61838/10; 18.10.2016); Ben Faiza v. France; Benedik v. Slovenia (N62357/14; 24.4.2018); Breyer v. Germany.

ზედამხედველობა, გასაჩივრების შესაძლებლობა, ხელისუფლების დისკრეციის ფარგლების ნათლად განსაზღვრა და ა.შ.). ამასთან, განსაზღვრულობის მოთხოვნები მკაცრდება ჩარევის სიმძიმის ზრდასთან ერთად.

3.1.2. ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევისას სასამართლო დათქმის დარღვევის შემოწმება

ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების 915
შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის არსსა და მიზანზე უკვე გამახვილდა ყურადღება.[1789] როგორც აღინიშნა, სასამართლო დათქმა ამ უფლებების დაცვის ფორმალური გარანტიაა და მისი დარღვევა ნიშნავს შესაბამისი მზღუდავი ნორმის ან ღონისძიების წინააღმდეგობას კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებთან. დარღვევა, პირველ რიგში, შეიძლება იმაში გამოიხატოს, რომ კანონმა დაუშვას ან პრაქტიკაში განხორციელდეს პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევა სასამართლოს წინასწარი ან შემდგომი კონტროლის გარეშე.

916
საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, ხომ არ ქმნის ან ტოვებს კანონი რისკს, რომ ჩარევა განხორციელდეს სასამართლო შემოწმების გარეშე.[1790] როდესაც სახეზე არ არის საკმარისი გარანტიები, რომ შეზღუდვა სასამართლო კონტროლის გარეშე არ განხორციელდება, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია.[1791] თუ კანონი მკაფიოდ ითვალისწინებს სასამართლო ზედამხედველობას ჩარევის განხორციელებაზე, სასამართლო დათქმის ფორმალური კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.[1792] საკონსტიტუციო სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს კანონმდებლის მხოლოდ მისწრაფებასა და მიზანს, რომ უფლების შეზღუდვა სასამართლო კონტროლს დაუქვემდებაროს, თუ ეს არ არის ასახული თვით კანონში.[1793]

917
საკონსტიტუციო სასამართლო ავლებს მკაფიო კომპეტენციურ მიჯნას საერთო სასამართლოებთან. კერძოდ, საერთო სასამართლოები ამოწმებენ იმას, თუ რამდენად ხორციელდება უფლების შეზღუდვა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების სწორად გამოყენებით და იყენებს თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლება კანონს მართებულად. რაც შეეხება იმის შეფასებას, რამდენად სწორად განსაზღვრავს კანონმდებლობა ჩარევის საფუძვლებს, ეს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა.[1794] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს სცდება იმის გადაწყვეტა, ექვემდებარება თუ არა ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობაში ესა თუ ის ჩარევა სასამართლო კონტროლს, რადგანაც ეს საკითხი უკვე ცალსახად დადებითადაა გადაწყვეტილი კონსტიტუციით. ამ თემაზე ზემოთ უკვე გამახვილდა ყურადღება.[1795] ასევე მართებული არ არის პოზიცია, რომ

[1789] იხ.: ქვეთავი 9.1.3.
[1790] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-45.
[1791] იქვე, II-83.
[1792] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-33.
[1793] N1/2/519 გადაწყვეტილება, II-30.
[1794] N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-112.
[1795] იხ.: ქვეთავი 9.1.3.

კონსტიტუციით განსაზღვრული სასამართლო კონტროლის წინასწარი ან ვადებში მკაცრად გაწერილი შემდგომი პროცედურა შეიძლება ჩაანაცვლოს თავისი შინაარსითა და ფორმით განსხვავებულმა სასამართლო პროცედურამ, რასაც ფაქტობრივად უშვებს საკონსტიტუციო სასამართლო.[1796]

918 იქედან გამომდინარე, რომ წინასწარი კონტროლის გარეშე შეზღუდვა მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას არის დაშვებული, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ამგვარი აუცილებლობის არსებობის საკითხს.[1797] ამასთან, სავალდებულო არ არის, რომ გადაუდებელი აუცილებლობა დადგენილი იყოს იმავე ნორმით, რითაც ჩარევა. შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის გავრცელების შესაძლებლობის დასადგენად, საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებლად თვლის ნორმის სისტემურ განმარტებას.[1798] თუ სადავო ნორმა ითვალისწინებს ჩარევას სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის გადაუდებელი აუცილებლობა, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კონსტიტუციის დარღვევას.[1799] ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს სადავო ნორმის გამოყენების სასამართლო პრაქტიკას. როდესაც ის იძლევა შესაძლებლობას, რომ სასამართლომ ჩარევის კანონიერება დაადასტუროს თუნდაც გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში, სხვა არგუმენტების საფუძველზე, ნორმა არაკონსტიტუციურია. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ჩათვალა სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იძლეოდა გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების დადასტურების საშუალებას არა ჩხრეკისათვის აუცილებელ წინასწარ დასაბუთებულ ვარაუდზე, არამედ უკვე ჩატარებული ჩხრეკის შედეგებზე დაყრდნობით.[1800]

919 სასამართლო დათქმა მხოლოდ სასამართლოს ფორმალური ჩართულობის კანონით გათვალისწინებით არ ამოიწურება. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კანონის ზოგადი ჩანაწერი სასამართლო კონტროლთან დაკავშირებით ფიქციად გადაიქცევა, თუ არ არსებობს სასამართლოს ჩართულობის ეფექტიანი და საკმარისი გარანტიები. კანონი, რომელიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ უფლების შეზღუდვა არ განხორციელდეს სასამართლოს გვერდის ავლით, ვერ აკმაყოფილებს კანონის ხარისხის მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურია.[1801]

920 საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აღნიშნავს, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც ასეთის, არსებობა არ ნიშნავს აპრიორი შესაბამის უფლებაში ჩარევის თანაზომიერებას.“[1802] მატერიალურსამართლებრივ მოთხოვნებს, პირველ რიგში, თანაზომიერების პრინციპს უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც ის საკანონმდებლო საფუძველი, რომელსაც დაეფუძნა სასამართლო უფლების შეზღუდვის კანონიერების წინასწარი ან შემდგომი დადასტურებისას, ასევე თვით სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

[1796] N2/1/877 გადაწყვეტილება, II-113.
[1797] N2/1/484 გადაწყვეტილება, II-22; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-67; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-31.
[1798] N1/2/519 გადაწყვეტილება, II-22-23.
[1799] N2/1/484 გადაწყვეტილება, II-23-24; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-33-34.
[1800] დეტალურად იხ.: N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-66, 68, 73-74.
[1801] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-116.
[1802] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-63.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს 921
უფლებების შეზღუდვისას სასამართლო კონტროლს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიების უზრუნველყოფა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობისაგან დასაცავად. ამ კონტექსტში, მხედველობაში მიიღება, თუ რა საფუძველზე და როგორ ხდება შეზღუდვაზე ნებართვის გაცემა, ვინ ახორციელებს ამაზე ზედამხედველობას და რამდენად აქვს ინდივიდს ჩარევისაგან დაცვის სამართლებრივი საშუალებები. მართალია, სასამართლო კონტროლი სასურველად მიიჩნევა, თუმცა შესაბამისი გარანტიები შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სხვა ორგანოების მეშვეობით, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ჩარევის განმახორციელებელი სუბიექტებისაგან და აქვთ საკმარისი უფლებამოსილებები ეფექტიანი და განგრძობადი ზედამხედველობის განსახორციელებლად.[1803] კონვენციის მე-8 მუხლს ეწინააღმდეგება შემთხვევა, როდესაც პირს ხელი (სათანადოდ) არ მიუწვდება უფლების შეზღუდვისაგან დაცვის სამართლებრივ საშუალებებსა და შესაბამის პროცედურულ გარანტიებზე.[1804] დარღვევად მიიჩნევა ასევე ჩარევა, რომელიც განხორციელდა წინასწარი სასამართლო კონტროლის გარეშე, მაგრამ სახეზე არ იყო გადაუდებელი აუცილებლობა, ხოლო უფლების შეზღუდვაზე სასამართლოს ნებართვის მიღება შეიძლებოდა სწრაფად და გამოძიებისათვის ხელშეშლის გარეშე.[1805] სასამართლოს აქვს პროცედურული ვალდებულება, რომ უფლებაში ჩარევის საკითხი, მათ შორის მისი შესაძლო შედეგები, გამოიკვლიოს და განიხილოს საფუძვლიანად და სრულფასოვნად. მათი გადაწყვეტილება უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული და არ ჰქონდეს ზედაპირული და ავტომატური ხასიათი.[1806]

3.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება

3.2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის 922
უფლებებში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ მოთხოვნებსაც. კერძოდ, ის უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს - ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და იყოს ამისათვის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული საშუალება.[1807]

[1803] მაგ.: Klass and Others v. Germany.
[1804] შეადარე მაგ.: Kroon and Others v. the Netherlands; B. v. Romania (N2); Delta Pekarny a.s. v. the Czech Republic (N97/11; 2.10.2014).
[1805] Trabajo Rueda v. Spain.
[1806] შეადარე მაგ.: Neulinger and Shuruk v. Switzerland (N41615/07; 6.7.2010); Ageyevy v. Russia (N7075/10; 18.4.2013); X. v. Latvia (N27853/09; 26.11.2013); Brazzi v. Italy (N57278/11; 27.9.2018).
[1807] შეადარე მაგ.: N2/1/484 გადაწყვეტილება, II-9; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-29; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-34; Ipsen, Grundrechte, Rn. 296; Murswiek, GG, Art. 2, Rn.21; BVerfGE 59, 95 (97).

თანაზომიერების პრინციპით შეზღუდულია არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებიც. როდესაც კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ანიჭებს დისკრეციას უფლებაში ჩარევისას, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით.[1808] იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებზე, როდესაც ჩარევა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მასზე ხორციელდება შემდგომი სასამართლო კონტროლი.

923 პირველი საკითხი, რაც უნდა შემოწმდეს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევის თანაზომიერების შეფასებისას, არის ლეგიტიმური მიზნის არსებობა.[1809] აღნიშნული მიზნები თვით ამ მუხლის ტექსტშივე არის დაკონკრეტებული და ესაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი (1) სახელმწიფო ან (2) საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან (3) სხვათა უფლებების დაცვა. დაუშვებელია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა შეზღუდვა სხვა რომელიმე მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის a priori არათანაზომიერი და შესაბამისად, არაკონსტიტუციური იქნება. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ უფლების შემზღუდველი ნორმა სიტყვასიტყვით ასახელებდეს კონსტიტუციაში მოცემულ რომელიმე მიზანს. რამდენად ემსახურება ის რომელიმე კონსტიტუციური მიზნის ან მიზნების მიღწევას, შეიძლება გაირკვეს ნორმის განმარტების შედეგად. მსგავს შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმის მიზნების იდენტიფიცირების შემდეგ, ადგენს, თუ რამდენად შეესატყვისება და უკავშირდება ისინი კონსტიტუციით დადგენილ მიზნებს.[1810]

924 მიუხედავად იმისა, რომ ლეგიტიმური მიზნები კონსტიტუციაშია ჩამოთვლილი, თითოეული მათგანი მრავალ ვარიანტს მოიცავს. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია კონსტიტუციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებზე ამომწურავად საუბარი, თუმცა შესაძლებელია მაგალითების მოყვანა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან იმაზე წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად, თუ რა განიხილება ლეგიტიმურ მიზნებად. საკონსტიტუციო სასამართლომ ლეგიტიმურ მიზნად ჩათვალა:[1811] სხვათა უფლებებისა და ინტერესების დაცვა; კონსტიტუციური წყობის დაცვა; სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა; პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების განხორციელება; დანაშაულის პრევენცია, აღკვეთა და გამოძიება; არეულობის აღკვეთა; სამაშველო ღონისძიებების დროული განხორციელება; თავისუფლებაშეზღუდულ პირთა გაქცევის პრევენცია და ა.შ.

925 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმოწერის დაცულობის უფლებებში ჩარევა დასაშვებია „დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების,

[1808] Murswiek, GG, Art. 2, Rn.20.
[1809] მაგ.: N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-35.
[1810] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-31; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-36.
[1811] დეტალურად იხ.: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-8; N2/1/484 გადაწყვეტილება, II-10; N1/2/519 გადაწყვეტილება, II-10; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-40, 94; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-130; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-116; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-36.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად." აქ ჩამოთვლილი მიზნებიდან ზოგი (მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოება) პირდაპირ ემთხვევა კონსტიტუციის მე-15 მუხლში მითითებულ მიზნებს, ზოგიც კი შეიძლება შინაარსობრივად დავუკავშიროთ მათ (მაგალითად, უწესრიგობის თავიდან აცილება - საზოგადოებრივ უსაფრთხოებას). „ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები" იმ ნაწილში, რაც შეეხება ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, შეიძლება დავუკავშიროთ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს. რაც შეეხება „მორალის დაცვას", მას საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უფლებათა შეზღუდვის უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა, ხოლო კონსტიტუცია შედარებით მკაცრ მოთხოვნებს უდგენს სახელმწიფოს ამ კუთხით.[1812] ამ შემთხვევაში, ძირითად უფლებათა დაცვის პრიორიტეტიდან გამომდინარე, ლეგიტიმურ მიზნად ვერ ჩაითვლება ის მიზანი, რომელსაც ითვალისწინებს კონვენცია, თუმცა არ მოიაზრებს კონსტიტუცია.[1813]

926 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეზღუდვის კანონიერი მიზნის შემოწმებაზე გადადის მას შემდეგ, რაც დაადგენს, რომ ის კანონის შესაბამისად ხორციელდება.[1814] სახელმწიფო ვალდებულია მიუთითოს ის რეალური მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება შეზღუდვა.[1815] თუ კანონიერი მიზანი სახეზე არ არის, სასამართლო ადგენს მე-8 მუხლის დარღვევას.[1816] ჩარევის სიმძიმის ზრდის კვალობაზე, მის გასამართლებლად უფრო მნიშვნელოვანი მიზნებია საჭირო.[1817] პრაქტიკიდან გამომდინარე,[1818] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კანონიერ მიზნებად განიხილავს: სხვათა უფლებების დაცვას; ეროვნული უშიშროების დაცვას; დანაშაულის პრევენციას, აღკვეთასა და გამოძიებას; მართლმსაჯულების განხორციელებას; არეულობის პრევენციას; სამეწარმეო სუბიექტის გამართულ ფუნქციონირებას; დამსაქმებელთა უფლებების დაცვას; ჯანმრთელობის დაცვას და ა.შ.

3.2.2. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამოსადეგობა

927 პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის გამოსადეგობის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენადაა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ლეგიტიმური

[1812] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 151.
[1813] განსხვავებული პოზიცია იხ.: კობახიძე, მე-20 მუხლის კომენტარი, 191-192.
[1814] დეტალურად იხ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 281.
[1815] მაგ.: Open Door and Dublin Well Woman v. Ireland.
[1816] მაგ.: Z. v. Finland.
[1817] მაგ.: Lopez Ribalda and Others v. Spain (N1874/13, 8567/13; 17.10.2019).
[1818] დეტალურად იხილე მაგ.: Leander v. Sweden; Doorson v. the Netherlands (N20524/92; 29.11.1993); Z. v. Finland; Paradiso and Campanelli v. Italy; Trabajo Rueda v. Spain; Ben Faiza v. France; Libert v. France (N588/13; 22.2.2018); Lopez Ribalda and Others v. Spain.

მიზნის მიღწევისათვის ვარგისი, გამოსადეგი საშუალება.[1819] ამ უფლებებში ჩარევის გამოსადეგობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს იგივე ზოგად სტანდარტს, რასაც სხვა უფლებებთან დაკავშირებით.[1820] კერძოდ, სასამართლო ამოწმებს (1) რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის და (2) იძლევა თუ არა შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[1821] შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს და აახლოებდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, იძლეოდეს ამის რეალურ შანსებს.[1822] არ არის სავალდებულო, რომ ის იყოს მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება.[1823]

3.2.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის აუცილებლობა

928 თუ შეზღუდვა აკმაყოფილებს გამოსადეგობის მოთხოვნას, შემდგომი ეტაპია მისი აუცილებლობის შემოწმება. კონსტიტუციის მე-15 მუხლი მოითხოვს, რომ უფლებათა შეზღუდვა უნდა იყოს „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი". საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ჩარევა უნდა განხორციელდეს ყველაზე ნაკლებად მზღუდავი ფორმით.[1824] აუცილებლობის შემოწმების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს, რამდენადაა უფლებაში ჩარევის სიმძიმე და ინტენსივობა აუცილებელი მიზნის მიღწევისათვის და ხომ არ იყო შესაძლებელი ეს სხვა ნაკლებად მზღუდავი საშუალების გამოყენებით.[1825]

929 აუცილებლობის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც: 1) არ არსებობს შეზღუდვის უფრო მსუბუქი ალტერნატივა და 2) ასეთი ალტერნატივა (ან ალტერნა-ტივები) არსებობს, მაგრამ მისი გამოყენებით მიზნის მიღწევა იმავე ეფექტიანობით ვერ მოხდება ან დაკავშირებული იქნება განსაკუთრებულ ძალისხმევასთან და მნიშვნელოვნად გართულდება.[1826] აუცილებლობის მოთხოვნა ირღვევა, თუ სახელმ-წიფოს შეუძლია ლეგიტიმური მიზნის ეფექტიანი მიღწევა უფლების შეზღუდვის გარეშე ან ნაკლებად მზღუდავი საშუალების გამოყენებით და შესაბამისად, გაუმართლებელი ჩარევისა და უფლების დარღვევის რისკების მინიმიზაციით, მაგრამ ის ამ შესაძლებლობას (სრულად) არ იყენებს.[1827]

930 აუცილებლობის მტკიცების ტვირთს საკონსტიტუციო სასამართლო აკისრებს სახელმწიფოს.[1828] ამასთან, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა, მით უფრო დამაჯერებელი

[1819] N2/1/484 გადაწყვეტილება, II-18; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-94; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-131; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-37; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-117.
[1820] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-37.
[1821] საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-48.
[1822] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-32; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-120.
[1823] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-40; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-39.
[1824] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-40; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-132.
[1825] მაგ.: N2/1/877 გადაწყვეტილება, II-121.
[1826] შეადარე: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-32; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-133-134; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-50-51; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-42.
[1827] შეადარე: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-81; N2/1/877 გადაწყვეტილება, II-130.
[1828] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-94.

არგუმენტები უნდა წარმოადგინოს მან მის აუცილებლობასა და გარდაუვალობასთან დაკავშირებით.[1829]

931 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ ამ მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლი ამ ფორმულირებას იმეორებს. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აუცილებლობასთან დაკავშირებული მიდგომებს დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის განმარტების კონტექსტშიც. მისი ინტერპრეტაციით, „აუცილებელი“ არ არის „შეუცვლელის“ სინონიმი, ანუ მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალების არსებობა, როგორც ასეთი, არ ნიშნავს აუცილებლობის მოთხოვნის დარღვევას. ამასთან, ამ ტერმინს არც ისეთი მობილობა აქვს, როგორც ტერმინებს „დასაშვები“, „ჩვეულებრივი“, „ხელსაყრელი“, „გონივრული“ ან „სასურველი“.[1830] უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს „გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას“.[1831] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კანონიერი მიზნის მიღწევა ისეთი მეთოდებისა და ზომების გამოყენებით, რომლებიც ნაკლებად მკაცრად ერევა უფლებაში.[1832] აუცილებლობის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ შეზღუდვის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება წარუმატებელი აღმოჩნდა ან ვერ მოახერხებს იგივე ეფექტით ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[1833] აუცილებლობის მოთხოვნა ირღვევა, როდესაც უფლების შეზღუდვა გადაჭარბებულია და არსებობდა მიზნის მიღწევის სხვა, უფრო მსუბუქი საშუალება.[1834] კონვენციის მე-8 მუხლს არ შეესაბამება შეზღუდვა, როდესაც შიდა კანონმდებლობა მას ანიჭებს ავტომატურ ხასიათს და არ უშვებს ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობას.[1835] აუცილებლობის კრიტერიუმს არღვევს რადიკალური ხასიათის ჩარევა, რომელიც არ არის გამართლებული საკმარისად გასაგები და წონადი მიზეზებით.[1836]

3.2.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის პროპორციულობა

932 თანაზომიერების ტესტის ბოლო საფეხურზე მოწმდება, თუ რამდენად არის უფლების შეზღუდვა პროპორციული ვიწრო გაგებით. სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას პროპორციული ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და არ მოახდინოს ლეგიტიმური მიზნების მიღწევა უფლების დარღვევის ხარჯზე.[1837] იმისათვის, რომ უფლების შეზღუდვა პროპორციულად ჩაითვალოს, მისი საშუალებით „დაცული ინტერესი მნიშვნელობით უნდა აღემატებოდეს შეზღუდულ ინტერესს“.[1838]

[1829] იქვე, II-108.
[1830] Handyside v. the United Kingdom (N5493/72; 7.12.1976).
[1831] Olsson v. Sweden (N1).
[1832] მაგ.: Hanzelkovi v. the Czech Republic (N43643/10; 11.12.2014); Lopez Ribalda and Others v. Spain.
[1833] შეადარე მაგ.: Olsson v. Sweden (N1); Federation Nationale des Syndicats Sportifs (FNASS) and Others v. France (N48151/11, 77769/13; 18.1.2018).
[1834] მაგ.: K. and T. v. Finland (N25702/94; 27.4.2000).
[1835] Sabanchiyeva and Others v. Russia (N38450/05; 6.6.2013); Maskhadova and Others v. Russia (N18071/05; 6.6.2013).
[1836] Zaiet v. Romania (N44958/05; 24.3.2015).
[1837] შეადარე: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-7; N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-31.
[1838] N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-136.

933 არაპროპორციულმა შეზღუდვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას არა მხოლოდ შესაბამის უფლებას, არამედ კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო, ადამიანის პირადი სივრცის შეზღუდვის პროპორციულობაზე მსჯელობისას აცხადებს: „სახელმწიფო უსაფრთხოების საჯარო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭების გზით, ხელისუფლებამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, თავად დემოკრატიას არ უნდა შეუქმნას საფრთხე, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა ადამიანის პირადი სივრცის არაპროპორციულად შეზღუდვით, შეიცავს, დემოკრატიის დაცვის მიზნით, დემოკრატიისვე დარღვევის მაღალ რისკებს.[1839]

934 საკონსტიტუციო სასამართლო აანალიზებს, რამდენადაა დაცული პროპორციული ბალანსი და აღემატება თუ არა უფლებაში ჩარევის გზით სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესი ჩარევის შედეგად შეზღუდულ ინტერესს.[1840] ჩარევის პროპორციულობის შემოწმებისას ხდება მოსალოდნელი საფრთხის სიმძიმის შეფასება, რაც ემუქრება, ერთი მხრივ, შეზღუდულ უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ - იმ საზოგადოებრივ ინტერესს, რომლის დაცვასაც ემსახურება ჩარევა.[1841] ეს საკონსტიტუციო სასამართლოს სჭირდება იმისათვის, რომ განახორციელოს სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის პროცესი. შეზღუდული უფლებისათვის შექმნილი საფრთხის შეფასებისას, ის ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებებს, როგორიცაა ჩარევის მოქმედების მასშტაბები და ინტენსივობა და ადგენს, თუ რამდენად შეიძლება გამოდგეს ამის საპირწონედ ჩარევის ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობა.[1842]

935 საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვას უფლების შეზღუდვის ინდივიდუალურ შემთხვევებშიც (მაგალითად, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სრული პირადი შემოწმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას), რისთვისაც კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს ჩარევის მკაფიო კრიტერიუმებს.[1843] ჩხრეკის ჩატარებასთან დაკავშირებით მსჯელობისას, სასამართლო აცხადებს, რომ „..იმ პირობებში, როდესაც სამართალდამცავებს არ გააჩნიათ დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების სათანადო ინფორმაციით გამყარებული მოლოდინი, თავისი მნიშვნელობით ვერ გადაწონის ხსენებული ღონისძიების შედეგად უფლებისათვის მიყენებულ ზიანს.“[1844]

936 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვისას აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა უფლებათა დაცვის მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ ან დაპირისპირებულ კერძო ინტერესებს შორის.[1845] რაც უფრო მნიშვნელოვანია უფლების შეზღუდვისაგან დაცვის ინტერესი და

[1839] N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-31.
[1840] შეადარე მაგ.: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-10; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-53.
[1841] N1/3/407 გადაწყვეტილება, II-12; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-71.
[1842] შეადარე: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-112; N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-136; N2/1/704 გადაწყვეტილება, II-56-58.
[1843] N2/4/665,683 გადაწყვეტილება, II-137-140.
[1844] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-44.
[1845] შეადარე მაგ.: López Ostra v. Spain; Velosa Barreto v. Portugal (N18072/91; 21.11.1995); Jelsevar and Others v. Slovenia (N47318/07; 11.3.2014); I. S. v. Germany (N31021/08; 5.6.2014); Jeunesse v. the Netherlands (N12738/10; 3.10.2014); Bohlen v. Germany (N53495/09; 19.2.2015); Aycaguer v. France (N8806/12; 22.6.2017); Pojatina v. Croatia (N18568/12; 4.10.2018); Lopez Ribalda and Others v. Spain.

მძიმეა შეზღუდვა, მით უფრო სერიოზულ მიზეზებს მოითხოვს ჩარევის გამართლება.[1846] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ანიჭებს შეფასების ზღვარს, ანუ დისკრეციული მოქმედების სივრცეს, რაც არ გულისხმობს მის გათავისუფლებას დაპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის ვალდებულებისაგან. ამ სივრცის მასშტაბი დამოკიდებულია პირადი ცხოვრების შეზღუდული სფეროს სპეციფიკაზე (მაგალითად, თუ საქმე ინტიმურ სფეროს შეეხება, სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა), ჩარევის სიმძიმეზე, შეზღუდვას დაქვემდებარებულ სუბიექტზე, ასევე კონკრეტული შემთხვევის არსსა და გარემოებებზე.[1847] როდესაც კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე უფლებაში ჩარევა უმნიშვნელო ხასიათისაა, ხოლო მიზანი დემოკრატიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, პროპორციულობის მოთხოვნა არ არის დარღვეული.[1848] ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ადარებს და ამოწმებს, ლეგიტიმური მიზნის (მაგალითად, დანაშაულის აღკვეთის და ა.შ.) მნიშვნელობა გადაწონის თუ შესაბამისი უფლების (მაგალითად, პირადი ცხოვრების უფლების და ა.შ.) დაცვის ინტერესი და ხომ არ არის უარყოფითი გავლენა, რასაც შეზღუდვა ახდენს უფლებაზე, არაპროპორციულ მიმართებაში ჩარევის მიზანთან.[1849] ამასთან, მეორე მხარეს ჩარევის საპირწონედ არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებიც იდგეს. მაგალითად, სამედიცინო მონაცემების საიდუმლოების დაცვის კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ამ მონაცემებს კონფიდენციალობის დაუცველობამ, როდესაც საქმე გადამდებ დაავადებას შეეხება, შეიძლება პირს უბიძგოს მკურნალობისაგან თავშეკავებისაკენ, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს როგორც მას, ასევე საზოგადოებას.[1850]

3.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის 937
უფლებების ეფექტიანი დაცვა წარმოუდგენელია, თუ სახელმწიფო არ შეასრულებს თავის

[1846] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 283-284; Dudgeon v. the United Kingdom; Campbell v. the United Kingdom.

[1847] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 284; Norris v. Ireland (N10581/83; 26.10.1988); Olsson v. Sweden (N2) (N13441/87; 30.10.1992); Burghartz v. Switzerland (N16213/90; 22.2.1994); Murray v. the United Kingdom; Buckley v. the United Kingdom (N20348/92; 29.9.1996); A. D. T. v. the United Kingdom (N35765/97; 31.7.2000); Yordanova and Others v. Bulgaria (N25446/06; 24.4.2012); Garnaga v. Ukraine (N20390/07; 16.5.2013); Winterstein and Others v. France (N27013/07; 17.10.2013); Henry Kismoun v. France (N32265/10; 5.12.2013); Mennesson v. France (N65192/11; 26.6.2014); Breyer v. Germany.

[1848] მაგ.: G. W. v. the Federal Republic of Germany (N1307/61; 4.10.1962).

[1849] შეადარე მაგ.: McFeeley and Others v. the United Kingdom (N8317/78; 15.5.1980); McVeigh, O'Neill and Evans v. the United Kingdom; Gillow v. the United Kingdom; Abdellah Berrehab and Rebecca Berrehab v. the Netherlands; Moustaquim v. Belgium (N12313/86; 18.2.1991); Campbell v. the United Kingdom; Doorson v. the Netherlands; Boughanemi v. France; Laskey, Jaggard and Brown v. the United Kingdom (N21826/93, 21627/93, 21974/93; 19.2.1997); MS v. Sweden (N20837/92; 27.8.1997); Mehemi v. France (N25017/94; 26.9.1997); Ageyevy v. Russia; Avilkina and Others v. Russia (N1585/09; 6.6.2013); Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (N11082/06, 13772/05; 25.7.2013); Fernandez Martinez v. Spain (N56030/07; 12.6.2014); Mennesson v. France; Y. v. Turkey (N648/10; 17.2.2015); Y. v. Slovenia (N41107/10; 28.5.2015); Soro v. Estonia (N22588/08; 3.9.2015).

[1850] Z. v. Finland.

პოზიტიურ ვალდებულებებს. ეს, პირველ რიგში, კანონმდებლის პასუხისმგებლობაა, რომელმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო სისტემა, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს ამ უფლებებში თვითნებური ჩარევის საფრთხეებს. საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციურობის კუთხით საეჭვოდ მიაჩნია კანონი, რომელიც პირდაპირ არ არღვევს უფლებას, მაგრამ ადგენს ისეთი სისტემას, რაც თავისთავად ზრდის ამგვარი შედეგის დადგომის რისკს. მაგალითად, მან კრიტიკულად შეაფასა საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც არ ითვალისწინებდა კონტროლს უსაფრთხოების სამსახურის მიერ პერსონალური ინფორმაციის კოპირებისა და მოპოვების პროცესზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ზედამხედველობა ვრცელდებოდა მხოლოდ იმ მონაცემთა ბანკზე, რომელზედაც მას დაუშვებდა უსაფრთხოების სამსახური. უფლების დაცვის საიმედო გარანტიად ვერ ჩაითვლებოდა ის გარემოება, რომ მისი დარღვევის გამორიცხვა დამოკიდებული იყო უსაფრთხოების სამსახურის ნებაზე, კეთილსინდისიერების ხარისხსა და ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე. ინსპექტორი ტექნიკურად ვერც იმ მონაცემთა ბანკების სრულფასოვან კონტროლს ახორციელებდა, რაზეც დაშვება ჰქონდა. მას ჰქონდა ადგილზე მისვლით კონტროლის უფლებამოსილება, მაგრამ ისიც არასაიმედო და გართულებული იყო შენახული ინფორმაციის დიდი მოცულობის გამო და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხდებოდა. საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ „...კანონით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები არაეფექტურია და ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიების შექმნას“.[1851]

938 კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სფეროს მრავალფეროვნებიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების და მათი ფარგლების ამომწურავად განსაზღვრა შეუძლებელია, რასაც ხაზი გაუსვა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვის შეფასებისას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულების ფარგლები კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკაზეა დამოკიდებული. თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოჰყო ორი ფაქტორი, რაც გასათვალისწინებელია სახელმწიფო ვალდებულებების ფარგლების განსაზღვრისას. პირველ რიგში, სახელმწიფოს ვერ დაეკისრება ისეთი ვალდებულება, რაც არ არის თავსებადი პირის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან. თავისუფლების აღკვეთა a priori გულისხმობს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებების რეალიზაციას ვერ მოახდენს იმ ფორმითა და მასშტაბებით, როგორც თავისუფლებაზე მყოფი ადამიანი. გარდა ამისა, ვალდებულების შესრულება არ უნდა აკისრებდეს სახელმწიფოს არაგონივრულად მძიმე ტვირთს.[1852] აღსანიშნავია, რომ პატიმრების ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან დაკავშირებით მდიდარი პრაქტიკა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ

[1851] დეტალურად იხ.: N1/1/625,640 გადაწყვეტილება, II-101-104.
[1852] N2/1/704 გადაწყვეტილება, II-18.

ფაქტორის როლს მათი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის, რისი გათვალისწინება და შესაბამისი პროქტიული მოქმედება სახელმწიფოს ვალდებულებაა.[1853]

939 პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემის ვალდებულების ფარგლებს მკაფიოდ არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაზღვრავს. კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფეროს სპეციფიკის გარდა, ეს გამოწვეულია ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული პირობებით. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული საქმის გარემოებებს, ხოლო სახელმწიფო აღჭურვილია, შეფასების ფართო ზღვრით, ანუ მისი თავისუფალი მიხედულების სფერო ფართოა.[1854] პოზიტიური ვალდებულების შესრულებისას სახელმწიფომ საჭირო გულმოდგინებით უნდა გასწიოს აუცილებელი ძალისხმევა და განახორციელოს გონივრულად მოსალოდნელი ყველა ღონისძიება, მათ შორის უზრუნველყოს შესაბამისი კანონმდებლობის მიღება. თუ ის უმოქმედოდაა ან მისი მოქმედება არაადეკვატურია, მაშინ სახეზეა მე-8 მუხლის დარღვევა, ხოლო როდესაც სახელმწიფო ყველა აუცილებელ ღონისძიებას ახორციელებს, ბუნებრივია, ეს შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.[1855]

940 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემოწმებისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენადაა დაცული სამართლიანი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს ან ურთიერთდაპირისპირებულ კერძო ინტერესებს შორის.[1856] ამ ბალანსის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს კოლიდირებული ინტერესების სათანადო შეფასებასა და გათვალისწინებას. ეროვნული ხელისუფლება აქაც თავისუფალი შეფასების ფარგლებით სარგებლობს.

941 სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროცესუალური გარანტიები კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული სიკეთეების დაცვისათვის თვითნებური შეზღუდვებისაგან (მაგალითად: ადეკვატური და საკმარისი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა; შესაბამისი პროცედურების შესახებ დაინტერესებული პირის ინფორმირება და მისი ჩართულობის უზრუნველყოფა; იმ პროცედურული შეფერხებების პრევენცია, რამაც შეიძლება შეუქცევადი ზეგავლენა მოახდინოს უფლებაზე; პროცედურების დროული განხორციელება; დამოუკიდებელი ზედამხედველობა შეზღუდვის განხორციელებაზე; ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობის დაცვა; უფლებით სარგებლობაზე შეზღუდვის გავლენის გათვალისწინება; უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენცია;

[1853] დეტალურად იხ.: Dickson v. the United Kingdom (N44362/04; 4.12.2007); Vinter and Others v. the United Kingdom (N66069/09, 130/10, 3896/10; 9.7.2013); Harakchiev and Tolumov v. Bulgaria (N15018/11, 61199/12; 8.7.2014); Khoroshenko v. Russia.

[1854] შეადარე მაგ.: X, Y and Z v. the United Kingdom; Hamalainen v. Finland (N37359/09; 16.7.2014).

[1855] შეადარე მაგ.: Johansen v. Norway; Nuutinen v. Finland (N32842/96; 27.6.2000); Kurić and Others v. Slovenia (N26828/06; 26.6.2012); Di Sarno and Others v. Italy (N30765/08; 10.1.2012); Eremia v. the Republic of Moldova (N3564/11; 28.5.2013); T. v. the Czech Republic; Konovalova v. Russia (N37873/04; 9.10.2014); Hromadka and Hromadkova v. Russia (N22909/10; 11.12.2014); Gozum v. Turkey; Manuello and Nevi v. Italy; Nazarenko v. Russia (N39438/13; 16.7.2015); Roman Zakharov v. Russia (N47143/06; 4.12.2015).

[1856] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 272; Marckx v. Belgium; Powell and Rayner v. the United Kingdom; Węgrzynowski and Smolczewski v. Poland (N33846/07; 16.7.2013); Lillo-Stenberg and Saether v. Norway (N13258/09; 16.1.2014); Hamalainen v. Finland; Ion Carstea v. Romania (N20531/06; 28.10.2014); Bremner v. Turkey (N37428/06; 13.11.2015); Barbulescu v. Romania (N61496/08; 12.1.2016); Rubio Dosamantes v. Spain (N20996/10; 21.2.2017); Egill Einarsson v. Iceland (N24703/15; 7.11.2017); M. L. and W. W. v. Germany (N60798/10, 65599/10; 28.6.2018); Jishkariani v. Georgia (N18925/09; 20.9.2018); Hoiness v. Norway (N43624/14; 19.3.2019); Guimon v. France (N48798/14; 11.4.2019); Strand Lobben and Others v. Norway (N37283/13; 10.9.2019).

უფლებათა დარღვევის შესაბამისი გამოძიება და ა.შ.).[1857] კონკრეტული შემთხვევის გარემოებების დეტალურად შეფასების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, თუ რამდენად არის არსებული გარანტიები საკმარისი და ადეკვატური იმისათვის, რომ სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი ინდივიდის ინტერესები. თუ ინდივიდი არ იყენებს არსებულ გარანტიებს, ეს უკვე აღარ არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

ლიტერატურა

ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია**/** კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Badura, Erläuterungen zum Art. 10 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Bd. 4, seit 1950; Dürig, Kommentar zum Art. 10 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band II, seit 1958; Evers, Privatsphäre und Ämter für Verfassungsschutz, 1960; Gröschner, (Bearb.), Kommentar zum Art. 6 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band I, 2. Auflage, 2006; Gusy (Bearb.), Kommentar zum Art. 10 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Herdegen, (Bearb.), Erläuterungen zum Art. 13 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Bd. 4, seit 1950; Hermes, (Bearb.), Kommentar zum Art. 10, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band I, 2. Auflage, 2006; Hermes, (Bearb.), Kommentar zum Art. 13 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, Tübingen 2013; Ipsen, staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 10 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Kühne, (Bearb.), Kommentar zum Art. 13, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Kunig, (Bearb.), Kommentar zum Art. 13 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1

[1857] შეადარე მაგ.: Leander v. Sweden; H. v. the United Kingdom; W. v. the United Kingdom (N9749/82; 8.7.1987); Price v. the United Kingdom; Keegan v. Ireland; Camenzind v. Switzerland (N21353/93; 16.12.1997); Guerra and Others v. Italy (N14967/89; 19.2.1998); Santos Nunes v. Portugal (N61173/08; 22.5.2012); Zorica Jovanović v. Serbia (N21794/08; 26.3.2013); Söderman v. Sweden (N5786/08; 12.11.2013); Ostace v. Romania (N12547/06; 25.2.2014); Lopez Guio v. Slovakia (N10280/12; 3.6.2014); Gajtani v. Switzerland (N43730/07; 9.9.2014); Dragojevic v. Croatia; Phostira Efthymiou and Ribeiro Fernandes v. Portugal (N66775/11; 5.2.2015); R. S. v. Poland; G. S. v. Georgia; M. and M. v. Croatia (N10161/13; 3.9.2015); Servulo & Associados - Sociedade de Advogados, RL v. Portugal (N27013/10; 3.9.2015); R. E. v. the United Kingdom (N62498/11; 27.10.2015); Henrioud v. France (N21444/11; 5.11.2015); Roman Zakharov v. Russia; Ramadan v. Malta (N76136/12; 21.6.2016); Paposhvili v. Belgium (N41738/10; 13.12.2016); Kacper Nowakowski v. Poland (N32407/13; 10.1.2017); K 2 v. the United Kingdom (N42387/13; 7.2.2017); A.-M. V. v. Finland (N53251/13; 13.3.2017); Libert v. France; Leotsakos v. Greece (N30958/13; 4.10.2018); Vicent Del Campo v. Spain (N25527/13; 6.11.2018); Catt v. The United Kingdom; Beghal v. the United Kingdom (N4755/16; 28.2.2019); Buturuga v. Romania (N56867/15; 11.2.2020).

(Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Loladze, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens. Dissertation zur Erlangung des akademischen Grades Dr. iur. der Juristischen Fakultät der Universität, Potsdam 2015; Löwer, (Bearb.), Kommentar zum Art. 10 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Murswiek, Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik. Verfassungsrechtliche Grundlagen und immissionsschutzrechtliche Ausformung, 1985; Pagenkopf, (Bearb.), Kommentar zum Art. 10, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Papier, (Bearb.), Kommentar zum Art. 13 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band II, seit 1958; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 35. Aufl. 2019; Radbruch, Der Mensch im Recht, 1927; Rohlf, Der grundrechtliche Schutz der Privatsphäre. Zugleich ein Beitrag zur Dogmatik des Art. 2 1980; Rüpke, Der verfassungsrechtliche Schutz der Privatheit. Zugleich ein Versuch pragmatischen Grundrechtsverständnisses, 1976; Schmitt-Kammler, (Bearb.), Kommentar zum Art. 6, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011.

მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

3. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

შინაარსი

მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები 350

შინაარსი 350

1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 351

1.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების ზოგადი მნიშვნელობა 351

1.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების დაცული სფერო 355

1.2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების პერსონალური დაცული სფერო 355

1.2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების საგნობრივი დაცული სფერო 357

1.2.2.1. რწმენის თავისუფლება 357

1.2.2.2. სინდისის თავისუფლება 360

1.2.2.3. აღმსარებლობის თავისუფლება 363

1.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 366

1.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 366

1.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები 366

2. ჩარევა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში 370

2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება 370

2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის სახეები 372

3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის გამართლება. 373

3.1. კანონის დათქმა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევისას 373

3.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 374

3.2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 374

3.2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის გამოსადეგობა 375

3.2.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის აუცილებლობა 375

3.2.4. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის პროპორციულობა 376

3.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 380

ლიტერატურა 382

1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების ზოგადი მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს რწმენის, აღმსარებლობისა და 942
სინდისის თავისუფლებებს. ამ უფლებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პიროვნებისა და შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისათვის. ხშირად სწორედ მათ საფუძველზე ხდება ინდივიდის მიერ მისი ცხოვრებისათვის განმსაზღვრელი და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. ეს გადაწყვეტილებები წარმოაჩენს მისი პიროვნების სულიერ, მორალურ და მსოფლმხედველობრივ არსს, განაპირობებს მის დამოკიდებულებას სოციუმთან და პირიქით, საზოგადოების მხრიდან ინდივიდის აღქმასა და შეფასებას. ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი არსება, ვერ შედგება რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის სფეროში თავისუფლების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო, რწმენის თავისუფლების მნიშვნელობაზე მსჯელობისას, მართებულად უსვამს ხაზს, რომ ეს უფლება ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულება, მისი თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია.[1858] ითვლება, რომ

[1858] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

რწმენისა და სინდისის გარანტიები განსაკუთრებული მასშტაბებით გამოხატავს პიროვნულობის უფლებასა და ადამიანის ღირსებას.[1859]

943 მასშტაბურია რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის, როგორც კონსტიტუციური ღირებულებების ობიექტური მნიშვნელობა. საკონსტიტუციო სასამართლო რწმენის თავისუფლებას დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითად პრინციპსაც კი უწოდებს.[1860] ამ უფლებებს არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდებისათვის აქვთ სუბიექტური დატვირთვა, არამედ ახორციელებენ ზეგავლენას მთელ საზოგადოებაზე, როგორც თავისუფლად თვითრეალიზებადი ადამიანების ერთობაზე, განსაზღვრავს მის არქიტექტურასა და დემოკრატიულობის ხარისხს. დემოკრატიული საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია რელიგიური და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ამ კუთხით განსხვავებული ინდივიდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ჰარმონიული თანაცხოვრება.[1861]

944 რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებათა მაღალ ღირებულებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ისინი განეკუთვნება უძველესი ძირითადი უფლებების რიგს. ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციის (1776 წ.) მე-16 მუხლი უზრუნველყოფდა რელიგიისა და მისი განხორციელების თავისუფლებას ყველა ადამიანისათვის მისი სინდისის პრინციპების მიხედვით. საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის (1789 წ.) მე-10 მუხლი კრძალავდა ადამიანის შევიწროებას მისი რელიგიური მოსაზრებების გამო.

945 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლი უზრუნველყოფდა სინდისის სრულ თავისუფლებას, კრძალავდა სარწმუნოების ან რწმენის გამო დევნას, პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების შეზღუდვას. ყველას შეეძლო ეღიარებინა ის სარწმუნოება, რომელიც სურდა, გამოეცვალა სარწმუნოება ან არ ყოფილიყო არც ერთი რელიგიის მიმდევარი. სარწმუნოება და რწმენა არ შეიძლებოდა ყოფილიყო უარის საფუძველი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის შესრულებაზე, გარდა ცალკე კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. 31-ე მუხლით დაცული სიკეთეების უზრუნველყოფის მაღალ ხარისხზე მიუთითებს, რომ ამ გარანტიების შეჩერება დაუშვებელი იყო ამბოხების ან ომის დროს.[1862] სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ეფუძნებოდა სეკულარიზმის პრინციპს - ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებული და დამოუკიდებელი იყვნენ,[1863] ხოლო სარწმუნეობრივი ხასიათის აქტებს არ ჰქონდა გავლენა მოქალა-ქეობრივ უფლებებსა და მდგომარეობაზე.[1864] აღიარებული იყო რელიგიათა პარიტეტის პრინციპი - არც ერთ სარწმუნოებას არ ჰქონდა უპირატესობა.[1865] აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის 1921 წლის კონსტიტუციით არჩეული მოდელი უფრო მკაცრ გამიჯვნას ეფუძნებოდა, ვიდრე დღეისათვის მოქმედი. ამაზე

[1859] მაგ.: Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Art. 4, Rn. 10 ff.; Kokott J. (Bearb.), Kommentar zum Art. 4, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 3; BVerfGE 35, 366 (376).

[1860] საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის N1/1/1404 გადაწყვეტილება საქმეზე „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-3.

[1861] შეადარე: N1/1/477 გადაწყვეტილება, II-7; N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-4.

[1862] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლი.

[1863] იქვე, 142-ე მუხლი.

[1864] იქვე, 31-ე მუხლის მე-4 აბზაცი.

[1865] იქვე, 143-ე მუხლი.

ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ იკრძალებოდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსების გამოყოფა სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის.[1866]

946 რწმენის, რელიგიისა და აღმსარებლობის თემა საქართველოს კონსტიტუციაში მხოლოდ მე-16 მუხლით არ ამოიწურება. ამ უფლებათა ეფექტიანი დაცვის, ქვეყანაში რელიგიური და მსოფლმხედველობრივი პლურალიზმისა და პარიტეტის უზრუნველყოფისათვის, მათი ცალკე მუხლით გარანტირებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის კონცეფცია და პრინციპები, რასაც ეფუძნება ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომელიც სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას ეძღვნება. კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან და ითვალისწინებს სახელმწიფოსა და ამ რელიგიურ ორგანიზაციას შორის ურთიერთობის მოწესრიგების განსაკუთრებულ ფორმას - კონსტიტუციურ შეთანხმებას. ეს აშკარად სცდება განსაკუთრებული ისტორიული როლის, როგორც ფაქტის კონსტატაციას და იწვევს მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს.[1867] მეორე მხრივ, იქვეა აღიარებული რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება და ხაზგასმულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტი - კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში. აუცილებელია მათი გათვალისწინება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის განსაზღვრისას.[1868]

947 ზემოაღნიშნული კონსტიტუციურსამართლებრივი კონსტრუქცია მეტყველებს იმაზე, რომ საქართველომ არჩევანი გააკეთა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის კოოპერაციის მოდელზე, რომელიც სახელმწიფოთა უმრავლესობაშია[1869] გავრცელებული და უარყოფს როგორც სახელმწიფო ეკლესიის აღიარებას, ასევე სახელმწიფოსა და ეკლესიის მკაცრ გამიჯვნას. ამ მოდელში, სეკულარიზმის პრინციპის საფუძველზე, ეკლესია ორგანიზაციულად და შინაარსობრივად დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან და პირიქით - სახელმწიფო ეკლესიისაგან, მაგრამ ამავდროულად, სეკულარიზმი არ გულისხმობს რელიგიის უარყოფას და მათ შორის ურთიერთობა წარიმართება თანამშრომლობის ფორმატში.[1870] ამასთან, კოოპერაციის მოდელი მოიცავს ურთიერთობას ყველა რელიგიურ ორგანიზაციასთან და არ შემოიფარგლება

[1866] იქვე, 144-ე მუხლი.

[1867] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

[1868] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია”, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია”, სსიპ „ქრისტეს ეკლესია”, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია”, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი”, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია”, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი”, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

[1869] მაგ.: ესპანეთი, ავსტრია, გერმანია.

[1870] შეადარე მაგ.: Kokott, GG, Art. 4, Rn. 6.

მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მრავალრიცხოვანი და ტრადიციული ორგანიზაციით. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტი და პარიტეტის პრინციპი, პატივი სცეს რელიგიურ და მსოფლმ-ხედველობრივ მრავალფეროვნებას.[1871] დაუშვებელია რომელიმე ადამიანის ან რელიგიური ორგანიზაციის პრივილეგირება[1872] ან დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით.[1873] ამასთან, კოოპერაციის მოდელში მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტი განიხილება არა როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიის მკაცრი გამიჯვნა, არამედ სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი რწმენის თავისუფლების მხარდაჭერა.[1874] აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციურ წესრიგთან არათუ სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელებაა შეუთავსებელი, არამედ ასევე პოლიტიკურ სივრცეში ისეთი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომელიც აღვივებს რელიგიურ შუღლს.[1875] მსგავსი პოლიტიკური გაერთიანება ექვემდებარება აკრძალვას და თეორიულადაც კი არ უნდა შეექმნას ხელისუფლებაში მოსვლის შანსი.

948 კონსტიტუციით მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება არ ნიშნავს მისთვის უპირატესობის მინიჭებას სხვა რელიგიებთან შედარებით, ხოლო მისთვის გარკვეული უფლების მინიჭება - სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის ხელშეშლას ანალოგიური უფლებით სარგებლობაში.[1876] საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული როლის აღიარება უკავშირდება ისტორიულ ღვაწლს. თავის მხრივ, ისტორიული ღვაწლი ვერ იქნება აწმყოში პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნის ლეგიტიმური საფუძველი. სასამართლო კატეგორიულად გამორიცხავს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სამართლებ-რივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა წარმოადგენდეს კონსტიტუციის თვითმიზანს. ამავდროულად, ის უშვებს მართლზომიერი დიფერენციაციის შესაძლებლობას, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიება ობიექტურ და რაციონალურ კავშირშია მის ღვაწლთან და ისტორიულ გარემოებებთან და წარმოადგენს მათ თანმდევ სამართლებრივ შედეგს.[1877]

949 რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები უზრუნველყოფილია არა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებით, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ამ თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,[1878] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების

[1871] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 158; US Supreme Court, Mc Creary Country, Kentucky v. American Civil Liberties Union of Kentucky, 125 S. Ct. 2722 (2005); BVerfGE 19, 206 (216); Nachova and Others v. Bulgaria (N43577/98, 43579/98; 6.7.2005); Izzettin Dogan and Others v. Turkey (N62649/10; 26.4.2016).

[1872] შეადარე: N1/2/671 გადაწყვეტილება, II-31, 33; N1/1/811 გადაწყვეტილება, II-21.

[1873] საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[1874] მაგ.: BVerfGE 108, 282 (300).

[1875] საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1876] N1/2/671 გადაწყვეტილება, II-34; N1/1/811 გადაწყვეტილება, II-23; საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის N2/18/206 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ზურაბ არეშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[1877] N1/2/671 გადაწყვეტილება, II-35; N1/1/811 გადაწყვეტილება, II-19-20, 22, 24, 27.

[1878] იქვე, მე-18 მუხლი.

შესახებ,[1879] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია[1880] და ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტია.[1881]

1.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების დაცული სფერო

1.2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების პერსონალური დაცული სფერო

950 კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება აქვს „ყოველ ადამიანს“. ეს ჩანაწერი მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ამ უფლებათა პერსონალური დაცული სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებით და მათი სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი მიუხედავად მოქალაქეობისა.[1882] შედარებით ვიწროა იმ ფიზიკური პირების წრე, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებით. ამ უფლებით დაცულ სუბიექტებს მიაკუთვნებენ არა მხოლოდ სამხედრო სავალდებულო სამსახურში წვევამდელებსა და რეზერვისტებს, არამედ ასევე საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მყოფ პირებსაც, თუ მათ სხვაგვარად არ შეუძლიათ შეწყვიტონ სამსახურებრივი ურთიერთობა.[1883] აქ იგულისხმებიან ის ქალებიც, რომლებიც გადიან საკონტრაქტო სამსახურს თავდაცვის ძალებში.[1884]

951 რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები ვრცელდება არასრულწ-ლოვნებზეც. ამ კონტექსტში, საინტერესოა მათი ქმედუნარიანობის საკითხი. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს რელიგიური ქმედუნარიანობის[1885] ცნებას და მისი მიღწევის ასაკს. აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ მე-16 მუხლით განსაზღვრული უფლებების თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით რეალიზაციის უნარი პირს უჩნდება სრულწლოვანების, ანუ 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე, ხოლო ამ მომენტამდე მის ინტერესებს წარმოადგენენ მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები, რადგანაც შვილების რელიგიური და

[1879] იქვე, მე-18 მუხლი.
[1880] იქვე, მე-9 მუხლი.
[1881] იქვე,მე-10 მუხლი.
[1882] შეადარე მაგ.: კორკელია, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის კომენტარი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 111; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 160; Kokott, GG, Art. 4, Rn. 7.
[1883] შეადარე: Herzog, GG, Art. 4, Rn. 189; Morlok M. (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Bd. 1, 2. Auflage, 2006, Rn. 172.
[1884] შეადარე: Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 55; Kokott, GG, Art. 4, Rn. 93.
[1885] მაგალითად, რელიგიური ქმედუნარიანობა გერმანიაში განისაზღვრება „ბავშვთა რელიგიური აღზრდის შესახებ“ კანონით და იწყება 14 წლიდან. ამ ასაკის მიღწევის შემდეგ ბავშვს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, თუ რა რელიგიური რწმენით აღიზრდება. 12 წლის ასაკიდან ბავშვს აქვს უფლება, რომ მისი აღზრდა არ მოხდეს იმისაგან განსხვავებული რწმენით, რითაც ადრე იზრდებოდა. ამასთან, სრულწლოვანების მიღწევამდე არასრულწლოვანის რელიგიურ ქმედუნარიანობას გადაფარავს მისი მშობლების აღმზრდელობითი და მზრუნველობითი უფლებები (BVerwGE 15, 134 (138 f.); 68, 16 (18 f.)).

მსოფლმხედველობრივი აღზრდა მშობლების რელიგიის/მსოფლმხედველობის და იმავდროულად, მშობლების უფლების გამოხატულებად ითვლება.[1886]

952 რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებებით დაცული სუბიექტების წრე არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური პირებით, რადგანაც ამ უფლებებით სარგებლობა ადამიანს შეუძლია როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად.[1887] რწმენისა და აღმსარებლობის უფლებებით შეიძლება ისარგებლონ ასევე კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურმა ორგანიზაციებმა. მთავარია, რომ იურდიული პირის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მისი წევრების რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი რწმენისა და აღმსარებლობის რეალიზაცია, მხარდაჭერა და გავრცელება იყოს.[1888] რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროში ვერ ექცევიან ისეთი გაერთიანებები, რომელთა საქმიანობა ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა და რელიგიას ერთგვარი შირმის სახით იყენებენ.[1889] საჯარო სამართლის იურდიული პირების სუბიექტებად აღიარება, გარდა იმისა, რომ ისინი ემსახურებიან რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებების განხორციელებას, იმითაც აიხსნება, რომ ამ სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაციები არ არიან დაფუძნებული სახელმწიფოს მიერ და არ ახორციელებენ სახელმწიფო უფლებამოსილებებს.[1890]

953 საკონსტიტუციო სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუ რამდენად ახორციელებს იურდიული პირი რელიგიურ საქმიანობას და წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაციას. ამ დროს მხედველობაში მიიღება ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ორგანიზაციის ადგილი შესაბამის რელიგიურ მიმდინარეობაში მსოფლიოს მასშტაბით; მისი საქმიანობის წარმართვის (რელიგიური) სამართლებრივი საფუძვლები; ორგანიზაციის როლი რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით; მისი შესაძლებლობა, შევიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში მორწმუნეთა ჯგუფის სახელით და ისარგებლოს შესაბამისი უფლებებით; მორწმუნეთა მსახურებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და რელიგიური საქმიანობის კოორდინაცია, როგორც გაერთიანების უმთავრესი მიზანი.[1891] ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა ევროპული პრაქტიკა, რომელიც ეკლესიის დეფინიციისას ხაზს უსვამს მისი, როგორც რელიგიური საზოგადოების, ორგანიზებულ ხასიათს და მის დაფუძნებას წევრთა იდენტურ ან არსებითად მსგავს შეხედულებებზე.[1892]

954 იურიდიულ პირებზე არ ვრცელდება რწმენის თავისუფლების შინაგანი განზომილება (forum internum), რომელიც უკავშირდება ადამიანის აზროვნებას.[1893] რაც შეეხება

[1886] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 378; BVerfGE 41, 29 (47 f.).
[1887] შეადარე: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 111-112; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 160.
[1888] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 170; Ipsen, Grundrechte, Rn. 378, 397; Kokott, GG, Art. 4, Rn. 9; Zippelius R., Erläuterungen zum Art. 4 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950, Rn. 4; BVerfGE 24, 236 (146 f.); 42, 312 (323); 83, 341.
[1889] შეადარე: Kokott, GG, Art. 4, Rn. 20; Morlok, GG, Art. 4, Rn. 70; BVerfGE 105, 279 (293).
[1890] შეადარე მაგ.: Kokott, GG, Art. 4, Rn. 10; BVerfGE 21, 362 (374); 42, 312 (321 f.).
[1891] N1/2/671 გადაწყვეტილება, II-15; N1/1/811 გადაწყვეტილება, II-9-10.
[1892] X. v. Denmark (N7374/76; 8.3.1976).
[1893] Herzog, GG, Art. 4, Rn. 35; Starck C. (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 67.

სინდისის თავისუფლებას, ის როგორც ინდივიდუალური ფენომენი, ასევე ვერ იქნება გამოყენებული იურდიული პირების მიერ.[1894]

1.2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. რწმენის თავისუფლება

955 საკონსტიტუციო სასამართლო, რწმენის შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, შეუძლებლად მიიჩნევს მისი დაცული სფეროს ფარგლების, ასევე იმ კრიტერიუმების ზუსტ და ამომწურავ განსაზღვრას, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ამ სფეროში ცალკეული საკითხების მოქცევა. ის ზოგადი კრიტერიუმებისა და უნივერსალური მიდგომების ჩამოყალიბებაში თვით ამ უფლების დაზარალების რისკსაც კი ხედავს და უპირატესობას ანიჭებს კონკრეტული შემთხვევის გააზრებასა და შეფასებას ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.[1895] ცნებების „რწმენა“, „რელიგია“ და „მსოფლმხედველობა“ ჩამოყალიბებას ფრთხილად უდგებიან თეორიაშიც. მათი ვიწრო-ფორმალური განმარტება ხელს შეუშლის შესაბამისი ძირითადი უფლებების სათანადო დაცვას. თუ ამ ცნებების შინაარსის განსაზღვრას ინდივიდის მიხედულებას მივანდობთ, არსებობს საფრთხე, რომ რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროში მოექცეს ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც ადამიანი სუბიექტურად რელიგიას ან მსოფლმხედ-ველობას დაუკავშირებს.[1896] მიუხედავად რწმენის თავისუფლების ფარგლების მკაფიოდ განსაზღვრის სირთულისა, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ნიშანი, რომელიც აადვილებს ამა თუ იმ სიკეთის მიკუთვნებას ამ უფლებით დაცული სფეროსთვის.

956 კონსტიტუციით გარანტირებული არ არის ნებისმიერი სახის რწმენა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, უზრუნველყოფილია მხოლოდ იმგვარი რწმენის დაცვა, რომელიც დამაჯერებლობის, სერიოზულობის, თანმიმდევრულობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს აღწევს. აქ არ იგულისხმება რწმენის მართებულობისა და გონივრულობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების სუბიექტური გადმოსახედიდან და მისი ლეგიტიმურობისა და მართებულობის შემოწმება.[1897] საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მართებულად არ თვლის თავის კომპეტენციად რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციის საფუძველზე დასკვნების გამოტანას შესაბამისი რელიგიის მოთხოვნებთან დაკავშირებით.[1898] ამავდროულად, სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს შეაფასოს პირის რელიგიური გრძნობების უტყუარობა ან/და გულწრფელობა.[1899] მსგავსი მიდგომა აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსაც, რომელიც ყურადღებას აქცევს ცალკეული პირების[1900] და რელიგიური

[1894] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 172; Herzog, GG, Art. 4, Rn. 35; Ipsen, Grundrechte, Rn. 388.
[1895] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-9; N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-8.
[1896] Kokott, GG, Art. 4, Rn. 16.
[1897] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-19. შეადარე ასევე: Manoussakis and Others v. Greece (N18748/91; 26.9.1996); Hasan and Chaush v. Bulgaria (N30985/96; 26.10.2000); Fernandez Martinez v. Spain; Izzettin Dogan and Others v. Turkey.
[1898] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-21.
[1899] იქვე, II-10, 15, 22.
[1900] BVerfGE 33, 23.

ან მსოფლმხედველობრივი ორგანიზაციების[1901] თვითშეფასებას, მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თვითშეფასების დამაჯერებლობას.[1902] შეიძლება დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ რწმენის მე-16 მუხლით დაცული სფეროსათვის მიკუთვნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მის შინაარსს აქვს, რაც შეიძლება სხვათათვის აბსურდული და მიუღებელი იყოს, არამედ მიმდევრების მხრიდან შესაბამისი რწმენისადმი და მისი მნიშვნელობისადმი სერიოზული და თანამიმდევრული დამოკიდებულების დამაჯერებლობას და გულწრფელობას ნეიტრალური დამკვირვებლის შეფასებით. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივ და ობიექტურ გარემოებებს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ელექტრონული პირადობის მოწმობის აღებაზე რწმენით მოტივირებული უარის გულწრფელობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთმა მოსარჩელემ ამის გამო პროფესიული საქმიანობის განხორციელებაზეც კი თქვა უარი. გარდა ამისა, მოსარჩელეებმა იდავეს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში არაელექტრონული პირადობის მოწმობის მიღების უფლებისათვის.[1903]

957 რწმენის თავისუფლებაში მოიაზრება ადამიანის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი რელიგიური და მსოფლმხედველობრივი განვითარების მიმართულებები. ამდენად, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ რელიგიის თავისუფლებით, აქვს ფართო შინაარსი და მოიცავს როგორც რელიგიურ (ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი, ბუდიზმი, კრიშნაიზმი, ზოროასტრიზმი, იეჰოვას მოწმეობა, ალევიზმი, სიკხიზმი და ა.შ.), ასევე არარელიგიურ (პაციფიზმი, ვეგანიზმი, აგნოსტიციზმი, ათეიზმი, აბორტისადმი წინააღმდეგობა და ა.შ.) რწმენას - რელიგიისათვის უცხო ან მისგან თავისუფალ მსოფლმხედველობას.[1904]

958 გადამწყვეტია არა რწმენის რელიგიური თუ არარელიგიური შინაარსი, არამედ ის, რომ ადამიანი, სამყაროზე თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე, მას თვლის ჭეშმარიტებად.[1905] ხაზს უსვამენ რელიგიური რწმენის ტრანსცენდენტულ ხასიათს. ის ეფუძნება ინდივიდის სუბიექტურ დარწმუნებას ზებუნებრივ ძალებში, კავშირებსა და მიზეზობრიობაში, რომლის რაციონალური შეფასება შეუძლებელია ადამიანური განზომილებებით და სამეცნიერო შემეცნების წყაროებით, ის არ ექვემდებარება მტკიცებას ან გადამოწმებას ობიექტური მტკიცებულებების საფუძველზე.[1906] მსოფლმხედველობაში გულისხმობენ აზროვნების სისტემას, რომელიც გვთავაზობს სამყაროში მიმდინარე მოვლენების შეფასებას ზებუნებრივ ძალებსა თუ მოვლენებზე

[1901] BVerfGE 24, 236 (247); 83, 341 (353).
[1902] BVerfGE 108, 282 (299).
[1903] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-23.
[1904] შეადარე მაგ.: N1/1/477 გადაწყვეტილება, II-5; N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-4-5; X. v. the United Kingdom (N5442/72; 20.12.1974); Arrowsmith v. the United Kingdom (N7050/75; 12.10.1978); X. v. the United Kingdom (N8160/78; 12.3.1981); Swami Omkarananda and the Divine Light Zentrum v. Switzerland (N8118/77; 19.3.1981); X. v. the United Kingdom (N8231/78; 6.3.1982); X. v. the United Kingdom (N10295/82; 14.10.1983); D. v. France (N10180/82; 6.12.1983); Knudsen v. Norway (N11045/84; 8.3.1985); Chappell v. the United Kingdom (N12587/86; 14.7.1987); C. W. v. the United Kingdom (N18187/91; 10.2.1993); Kokkinakis v. Greece (N14307/88; 25.5.1993); ISKCON and 8 Others v. the United Kingdom (N20490/92; 8.3.1994); Manoussakis and Others v. Greece; Stedman v. the United Kingdom (N29107/95; 9.4.1997); Church of Scientology Moscow v. Russia (N18147/02; 5.4.2007); Izzettin Dogan and Others v. Turkey.
[1905] შეადარე: Starck, GG, Art. 4, Rn. 33; Robbers G. (Bearb.), Kommentar zum Art. 7 Abs. 3 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 117.
[1906] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 380; Kokott, GG, Art. 4, Rn. 19.

მითითების გარეშე. მსოფლმხედველობას ხშირად მიაკუთვნებენ ფილოსოფიურ და სამეცნიერო კონცეფციებსაც სამყაროსთან დაკავშირებით.[1907]

959 დაცულია რწმენის თავისუფლების როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ასპექტი. პოზიტიური თვალსაზრისით, ადამიანს უფლება აქვს დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე აირჩიოს, გაიზიაროს და იქონიოს რომელიმე რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი რწმენა. რწმენის ნეგატიური თავისუფლება ინდივიდს აძლევს მისი უარყოფისა (ათეიზმი) და შეცვლის შესაძლებლობას.[1908] რწმენის ნეგატიურ თავისუფლებაზე დაყრდნობით პირს შეუძლია ედავოს სახელმწიფოს, როდესაც ის არღვევს რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ნეიტრალიტეტის ვალდებულებას.[1909] დაცულია ასევე გულგრილობა რელიგიური და მსოფლმხედველობრივი საკითხებისადმი, ანუ ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანს არ სწამს უინტერესობის გამო და არა მსოფლმხედველობრივი მოტივაციიდან გამომდინარე.[1910]

960 რწმენის თავისუფლებას აქვს შინაგანი (forum internum) და გარეგანი (forum externum) სფეროები. შინაგანი განზომილება იცავს ადამიანის რელიგიურ ან მსოფლმხედველობრივ აზროვნებასა და თავისუფალ (პოზიტიურ ან ნეგატიურ), დამოუკიდებელ არჩევანს, რაც მის შინაგან სამყაროში ხდება.[1911] რაც შეეხება გარეგან განზომილებას, მასში იგულისხმება ინდივიდის შესაძლებლობა, საჯაროდ გააცხადოს და იქადაგოს თავისი მსოფლმხედველობრივი თუ რელიგიური რწმენა, იცხოვროს, მიიღოს გადაწყვეტილებები, იმოქმედოს და განვითარდეს მის მიხედვით.[1912]

961 დაცულია არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების ინდივიდუალური, არამედ რწმენის კოლექტიური თავისუფლება.[1913] უზრუნველყოფილია რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი გაერთიანებების თავისუფლება. გაერთიანების თავისუფლება შეიძლება განვიხილოთ ერთდროულად ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებად. ინდივიდუალური კუთხით, ის იცავს პოზიტიურ თავისუფლებას, შექმნა რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი გაერთიანება და მონაწილეობდე მის საქმიანობაში, ასევე ნეგატიურ თავისუფლებას უარი განაცხადო მსგავს გაერთიანებაში შესვლაზე ან დატოვო იგი. კოლექტიური თვალსაზრისით, დაცულია თვით გაერთიანება, მისი სამართლებრივი არსებობა, შიდა ორგანიზაცია და საქმიანობა.[1914] საკონსტიტუციო სასამართლო

[1907] შეადარე: Kokott, GG, Art. 4, Rn. 22.

[1908] შეადარე მაგ.: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 110; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 162; საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10; N1/1/477 გადაწყვეტილება, II-12; Jarass, GG, Art. 4, Rn. 7, 11; Kokott, GG, Art. 4, Rn. 18; Mager U. (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 12; Buscarini and Others v. San Marino (N24645/94; 18.2.1999).

[1909] Kokott, GG, Art. 4, Rn. 28.

[1910] იქვე, Rn. 30.

[1911] შეადარე: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 111; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 159-160; N1/1/477 გადაწყვეტილება, II-12; N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-6.

[1912] შეადარე: კორკელია, იქვე; კუბლაშვილი, იქვე; N1/1/477 გადაწყვეტილება, II-13; N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-7; Kokott, GG, Art. 4, Rn. 12.

[1913] მაგ.: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 112.

[1914] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 170; N1/2/671 გადაწყვეტილება, II-15; Kokott, GG, Art. 4, Rn. 4, 33, 75; BVerfGE 44, 59 (66 f.); 55, 32 (36); 83, 341.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიური ორგანიზაციის დამოუკიდებლობას, თვლის მას რელიგიის თავისუფლების განუყოფელ ნაწილად და აცხადებს, რომ „..იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს იდეის ყოფიერებისთვის.“[1915] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობის პრინციპს და მათი ავტონომიურად არსებობის უფლებას კონვენციის მე-9 მუხლის არსებით გარანტიად მიიჩნევს.[1916]

962 დაცული სფეროსადმი მიკუთვნებისას მნიშვნელობა არ აქვს მსოფლმხედველობრივი ან რელიგიური რწმენის შინაარსს, სიძველეს, გავრცელების მასშტაბსა და მიმდევრების რაოდენობას. უზრუნველყოფილია როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის რწმენის თავისუფლება. რწმენის თავისუფლება, „ტრადიციულის“ პარალელურად და თანაბრად, იცავს „არატრადიციულ“ რელიგიებსა და მსოფლმხედველობებსაც.[1917] საკონსტიტუციო სასამართლო პლურალიზმსა და განსხვავებული აზრების შემწყნარებლობას განიხილავს დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ნიშნებად და საყრდენად. ის ხაზს უსვამს რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისადმი არადისკრიმინაციული, სამართლიანი და დაბალანსებული მიდგომის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში ჰარმონიის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის.[1918] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ყველა რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი გაერთიანების თანაბრად დაცვის მოთხოვნას უკავშირებს სახელმწიფოსათვის სავალდებულო მსოფლმხედველობრივ-რელიგიურ ნეიტრალიტეტსა და რელიგიისა და აღმსარებლობის პარიტეტის პრინციპს.[1919] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, არატრადიციული და უმცირესობათა რელიგიების რელიგიური დენომინაციის ცნების მიღმა დატოვება კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ უფლებებს თეორიულ და ილუზორულ ხასიათს შესძენდა.[1920]

1.2.2.2. სინდისის თავისუფლება

963 სინდისის თავისუფლება დამოუკიდებელი ძირითადი უფლებაა, რომელიც განსხვავდება რწმენის თავისუფლებისაგან იმით, რომ მისი წინაპირობა არ არის ინდივიდის ყოფნა რომელიმე რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი ერთობის ნაწილად.[1921] ამ უფლებით დაცული სფეროს კონტურების მართებულად აღსაქმელად აუცილებელია იმის გააზრება, თუ რას გულისხმობს ტერმინი „სინდისი“. ამ კუთხით ნიშანდობლივია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომელიც ამ ცნებას განმარტავს მისი ზოგადი მნიშვნელობის გათვალისწინებით. სინდისი არის სულიერი ფენომენი,

[1915] N1/1/811 გადაწყვეტილება, II-23.
[1916] Mirolubovs and Others v. Latvia (N798/05; 15.9. 2009); Izzettin Dogan and Others v. Turkey.
[1917] შეადარე მაგ.: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 111; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 162; Kokott, GG, Art. 4, Rn. 19; BVerfGE 24, 236 (246); 33, 23 (28 f.).
[1918] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-43.
[1919] BVerfGE 32, 98 (106).
[1920] Kimlya and Others v. Russia (N76836/01, 32782/03; 1.10.2009); Izzettin Dogan and Others v. Turkey; Magyar Kereszteny Mennonita Egyhaz and Others v. Hungary (N70945/11, 23611/12, 26998/12, 41150/12, 41155/12, 41553/12, 54977/12, 56581/12; 28.6.2016).
[1921] Ipsen, Grundrechte, Rn. 389; Starck, GG, Art. 4, Rn. 63.

რომლის მოთხოვნები, გაფრთხილებები თუ შეხსენებები ადამიანისათვის წარმოადგენს უშუალო, აშკარა და აუცილებელ მცნებებს.[1922]

964 საგნობრივ დაცულ სფეროს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება სინდისის თავისუფლების შინაგანი განზომილება (forum internum), ანუ ადამიანის უფლება ჰქონდეს იმპერატიული ხასიათის შინაგანი პრინციპები. დაუშვებელია ჩარევა ამ სფეროში, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ინდივიდზე ზემოქმედებაში ე.წ. „ტვინის რეცხვის“ საშუალებით და ა.შ. ამავდროულად, აკრძალული არ არის ნებისმიერი გავლენა სინდისის ფორმირებაზე. ამის მაგალითად მოჰყავთ ბავშვების სასკოლო აღზრდის პროცესში მათთვის იმ ფასეულობების გაზიარება, რომლებმაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს მათი სინდისის ჩამოყალიბებაზე.[1923]

965 სინდისის თავისუფლებას აქვს გარეგანი გამოხატულებაც (forum externum) - პირის უფლება, იმოქმედოს საკუთარი სინდისის შინაგანად მბოჭავი და სავალდებულო მოთხოვნების საფუძველზე.[1924] „სინდისის გადაწყვეტილებას“ პრინციპული და სიტუაციური ხასიათი აქვს და განსაზღვრავს ადამიანის ქცევას კონკრეტულ შემთხვევაში.[1925] გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო სინდისის გადაწყვეტილებად მიიჩნევს ნებისმიერ მნიშვნელოვან მორალურ გადაწყვეტილებას, რომელიც ორიენტირებულია „კარგსა (კეთილსა)“ და „ცუდზე (ბოროტზე)“. ის ინდივიდისათვის შინაგანად მბოჭავი, სავალდებულო, აუცილებელია და მოცემულ სიტუაციაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია სინდისის სერიოზული ქენχნის გარეშე.[1926] „სინდისის გადაწყვეტილებას“ არ მიეკუთვნება „რაციონალური გადაწყვეტილება“, რომლის მიღების დროსაც ადამიანი ეფუძნება ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა „აზრიანი“ და „უაზრო“, „სწორი“ და „არასწორი“, „მიზანშეწონილი“ და „მიზანშეუწონელი“.[1927]

966 სინდისის გადაწყვეტილება შეიძლება ეფუძნებოდეს ცნობიერ თუ არაცნობიერ შინაგან ვალდებულებებს, არადოგმატურ ინდივიდუალურ რწმენას, ასევე მსოფლმხედველობრივ ან რელიგიურ პრინციპებს.[1928] ამდენად, ის სინდისის თავისუფლებასთან ერთად, რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროშიც ექცევა, როდესაც ადამიანის რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი პრინციპებითაა განპირობებული. მის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“,[1929] რომლის მიზანია რწმენის შენარჩუნება და მის შესაბამისად ცხოვრება.[1930] კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ემყარება ადამიანის რელიგიურ ან მსოფლმხედველობრივ (მაგალითად, პაციფიზმი) რწმენას, რომელიც კრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“ გამოიხატება პირის უარში სამხედრო სამსახურზე როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს, რადგანაც ომი ან ომისათვის

[1922] BVerfGE 12, 45 (54).
[1923] Kokott, GG, Art. 4, Rn. 79.
[1924] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 172; Kokott, GG, Art. 4, Rn. 80; Starck, GG, Art. 4, Rn. 62; BVerfGE 48, 127 (163).
[1925] შეადარე: BVerfGE 12, 45 (55).
[1926] იქვე.
[1927] Ipsen, Grundrechte, Rn. 391 f.; BVerfGE 67, 26 (37 f.).
[1928] BVerfGE 7, 242 (245 f.).
[1929] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 172; Kokott, GG, Art. 4, Rn. 89, 91.
[1930] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-22;

მზადება უკავშირდება ძალის გამოყენებასა და სხვა ადამიანების სიცოცხლის მოსპობას.[1931]

967 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო „კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან“ დაკავშირებით იყენებს ე.წ. „უშუალობის კრიტერიუმს“, რომლის მიხედვითაც სინდისის გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს იარაღის გამოყენების ან ისეთი მოქმედებების წინააღმდეგ, რაც უშუალო კავშირშია იარაღის გამოყენებასთან (მაგალითად, იარაღის მოვლა, იარაღითა და საბრძოლო მასალებით მომარაგება და ა.შ.).[1932] გარდა ამისა, ის ერთმანეთისაგან მიჯნავს „პრინციპულ წინააღმდეგობას“ და „სიტუაციურ წინააღმდეგობას“. პრინციპული წინააღმდეგობა გულისხმობს უარს ნებისმიერ შემთხვევაში იარაღით ხელში სამსახურზე. სიტუაციური წინააღმდეგობა არის უარი კონკრეტულ ომში ან განსაზღვრული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე. დაცულია მხოლოდ პრინციპული წინააღმდეგობა.[1933] ამგვარი მიდგომით ხდება „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ უფლების პოლიტიზების პრევენცია და ადვილდება მისი საფუძვლების დამტკიცება.[1934]

968 „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ დადგენა განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო მკვეთრად ემიჯნება იმ მოსაზრებას, რომ ამ ტიპის სირთულეების გამო უარი უნდა ითქვას ამ უფლების აღიარებაზე.[1935] როგორც მისი, ასევე საზღვარგარეთული სასამართლო პრაქტიკიდან და თეორიიდან გამომდინარეობს გარკვეული სტანდარტები „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ რეალურობის შემოწმებასთან დაკავშირებით. საერთოდ, ამ საკითხის გამოკვლევის ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება. სინდისი ადამიანის შინაგან სფეროს განეკუთვნება, ამიტომ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ შემოწმება დიდწილად დამოკიდებულია თვით ინდივიდის ახსნა-განმარტებაზე. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირის სანდოობის ხარისხს.[1936] ინდივიდი არ არის ვალდებული, რომ სინდისის გადაწყვეტილება, მათ შორის „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“, დაასაბუთოს შინაარსობრივად, რაციონალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.[1937] ამგვარი ვალდებულების დაკისრება ალოგიკურიც იქნებოდა, რადგანაც სინდისის გადაწყვეტილება უმეტესწილად ისეთ გარემოებებს ეფუძნება, რომელთა რაციონალური ახსნა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამავდროულად, პირმა უნდა შეძლოს მისი სინდისის გადაწყვეტილების სერიოზულობის, სიღრმისა და აბსოლუტური სავალდებულოობის გასაგებად ჩამოყალიბება.[1938] ბუნებრივია, ამ კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეფასდეს ინდივიდის დამოკიდებულება მისი გადაწყვეტილების მიმართ და არა თვით გადაწყვეტილების საფუძვლები. „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“ უნდა ეფუძნებოდეს სერიოზულ და დაუძლეველ კონფლიქტს, ერთი მხრივ, პირის სინდისს, გულწრფელ რელიგიურ თუ მსოფლმხედველობრივ მრწამსსა და მეორე მხრივ, სამხედრო სამსახურის

[1931] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-16-17; BVerfGE 80, 354 (358).
[1932] BVerfGE 12, 45 (56 f.); 69, 1 (56). შეადარე ასევე: Herzog, GG, Art. 4, Rn. 181 ff.; Kokott, GG, Art. 4, Rn. 95; Starck, GG, Art. 4, Rn. 164; Mager, GG, Art. 4, Rn. 79.
[1933] BVerfGE 12, 45.
[1934] Herzog, GG, Art. 4, Rn. 198; Kokott, GG, Art. 4, Rn. 96.
[1935] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-23.
[1936] Herzog, GG, Art. 4, Rn. 162 ff.; Kokott, GG, Art. 4, Rn. 97.
[1937] BVerwGE 12, 270 (272 f.).
[1938] BVerwGE 79, 24. შეადარე ასევე: N1/1/477 გადაწყვეტილება, II-25.

გავლის ვალდებულებას შორის.[1939] საკონსტიტუციო სასამართლო, მართალია, თავის მიზნად არ თვლის იმ უნივერსალური კრიტერიუმების დადგენას, რომელთა საფუძველზეც კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყდება „კეთილსინდისიერი წინააღმ-დეგობის“ არსებობა-არარსებობის საკითხი, თუმცა იქვე ხაზს უსვამს, რომ პირს რწმენა უნდა კარნახობდეს „...იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც მის პიროვნულ იდენტუ-რობას ეხება. პიროვნება, კონკრეტულ ვითარებაში, შინაგანად უნდა გრძნობდეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს მისთვის მბოჭავ და უპირობოდ/ აბსოლუტურად მავალდებულებელ გადაწყვეტილებას.“[1940] „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ არსებობის ძლიერ ინდიკატორად მიიჩნევა ასევე პირის მზაობა ალტერნატიული სამსახურისათვის.[1941]

1.2.2.3. აღმსარებლობის თავისუფლება

969 აღმსარებლობის თავისუფლება გულისხმობს ინდივიდის უფლებას, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის გამოხატვაზე[1942] და ქცევის სრულად წარმართვასა და მოქმედებაზე შინაგანი რწმენის შესაბამისად.[1943] ამდენად, ეს უფლება მჭიდრო კავშირშია რწმენის თავისუფლებასთან და შეიძლება ითქვას, რომ მის გარეგან გამოხა-ტულებას, გაცხადებას (forum externum) წარმოადგენს. ამ კონტექსტში საგულისხმოა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომ რელიგიის თავისუფლება, კერძოდ მისი გაცხადება და განხორციელება, დაცულია როგორ რწმენის, ისე აღმსარებლობის თავისუფლებით.[1944] აღმსარებლობის თავისუფლება ასევე ორგანულად უკავშირდება სინდისის თავისუფლებასაც, რადგანაც ის სინდისის საფუძველზე განხორციელებულ საჯარო მოქმედებასაც გულისხმობს.[1945] აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო რწმენის, სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის გაცხადების თავისუფლებებს არათუ აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ ერთიან ძირითად უფლებადაც კი განიხილავს.[1946] თეორიაში ასევე გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, აღმსარებლობა განიხილება კომუნიკაციის დამოუკიდებელ და გამორჩეულად პრივილეგირებულ ფორმად და აზრის თავისუფლების სპეციალურ შემთხვევად.[1947]

970 აღმსარებლობის თავისუფლებით დაცულ სფეროში ექცევა რწმენის გამოხატვის სხვადას-ხვა ინდივიდუალური თუ კოლექტიური, საქვეყნო თუ განკერძოებითი ფორმები:[1948] ღვთისმსახურება, ლოცვა, ქადაგება, ზიარება, ზარების რეკვა ან მორწმუნეთა სხვა ფორმით მოხმობა, რელიგიური აღზრდა-სწავლება, რელიგიური პროცესია, რელიგიური

[1939] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-19; Bayatyan v. Armenia (N23459/03; 7.7.2011).
[1940] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-24.
[1941] Kokott, GG, Art. 4, Rn. 101.
[1942] Starck, GG, Art. 4, Rn. 36.
[1943] BVerfGE 32, 98 (106); 41, 29 (49).
[1944] შეადარე: N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-5.
[1945] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 161.
[1946] მაგ.: BVerfGE 108, 282 (297).
[1947] Herzog, GG, Art. 4, Rn. 83; Kokott, GG, Art. 4, Rn. 32; Mager, GG, Art. 4, Rn. 34; Zippelius, GG, Art. 4, Rn. 98.
[1948] შეადარე მაგ.: N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-7; Kokott, GG, Art. 4, Rn. 54, 68; Mager, GG, Art. 4, Rn. 25, 55, 65; Starck, GG, Art. 4, Rn. 39, 137; BVerfGE 12, 1 (4); 24, 236 (245 f.); 32, 98; 104, 337 (353 ff.); BVerwGE 94, 82; 68, 62 (67); X. v. Denmark.

თუ ათეისტური დღესასწაულები და შეკრებები, საკვების მომზადებისა და კვების წესები, ჩაცმის წესები და სიმბოლიკის ტარება, რწმენაზე დაფუძნებული უარი გარკვეული სამუშაოს განხორციელებაზე, სამედიცინო მომსახურების მიღების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტა და რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი ცხოვრების სხვა გამოვლინებები.

971 აღმსარებლობის თავისუფლება უზრუნველყოფს არა მარტო რწმენის გაცხადებას პოზიტიური თვალსაზრისით, არამედ მის ნეგატიურ ასპექტსაც - უფლებას, არ გააცხადო რწმენა.[1949] ნეგატიური თავისუფლების გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე ადამიანის უფლება, არ გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის შესახებ.[1950] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღმსარებლობის ნეგატიურ თავისუფლებაში აქცევს ინდივიდის უფლებას, არ გაამჟღავნოს მის რწმენასთან დაკავშირებული ინფორმაცია.[1951] ამავდროულად, არც აღმსარებლობისა და არც რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარეობს ადამიანის უფლება, იზოლირებული იყოს სხვათა რწმენის გაცხადებისაგან (მაგალითად, არ გაიგონოს მოლას მიერ მორწმუნეთა მოხმობა). კონსტიტუცია უზრუნველყოფს რწმენის გაცხადებას ხელშეშლის გარეშე და აკისრებს სახელმწიფოს მისი დაცვის ვალდებულებას. ალოგიკური იქნებოდა, რომ იმავე ძირითადი უფლებით მომხდარიყო საპირისპიროს გარანტირება.[1952] რა თქმა უნდა ეს არ გამორიცხავს რწმენის გაცხადების კონფლიქტს სხვა ძირითად უფლებებთან ან კონსტიტუციით დაცულ სიკეთეებთან და არც მისი შეზღუდვის შესაძლებლობას ამ უფლებებისა და სიკეთეების დასაცავად.

972 პროზელიტიზმი, ანუ რწმენის გავრცელება ქადაგებისა და სხვა ადამიანების დარწმუნების გზით, უარყონ თავისი რწმენა და გახდნენ შენი რწმენის მიმდევრები, ასევე გარანტირებულია აღმსარებლობის თავისუფლებით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დაცული არ არის პროზელიტიზმი, თუ ის ეფუძნება ძალადობას, მოტყუებას ან მუქარას, რადგანაც ეს მეთოდები არ განეკუთვნება სულიერი კომუნიკაციისა და დარწმუნების საშუალებებს.[1953] მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც, რომელიც კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებულად მიიჩნევს სხვა სარწმუნოების მიმდევრების გადაბირებას, თუმცა დაუშვებლად თვლის ამის განხორციელებას „არასათანადო პროზელიტიზმის“ - პირისათვის მატერიალური თუ სოციალური სიკეთეების შეთავაზების, სასოწარკვეთილებაში ან გაჭირვებაში მყოფ ადამიანებზე ზეწოლის, ძალის გამოყენების, „ტვინის რეცხვის“ ან სხვა უკანონო ზეგავლენის გზით.[1954]

973 აღმსარებლობის თავისუფლებით არ არის დაცული რელიგიის გამოხატვის ისეთი ფორმები და რელიგიით ან მსოფლმხედველობით ინსპირირებული ისეთი მოქმედებები,

---

[1949] მაგ.: Buscarini and Others v. San Marino.

[1950] შეადარე: გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 168; კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 111.

[1951] BVerfGE 12, 1 (4); 46, 267.

[1952] Ipsen, Grundrechte, Rn. 405.

[1953] BVerfGE 12, 1 (4 f.).

[1954] Kokkinakis v. Greece; Larissis and Others v. Greece (N23372/94; 24.2.1998).

რომლებიც საფრთხეს უქმნის უფრო მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სიკეთეებს.[1955] მაგალითად რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე მსუბუქი ნარკოტიკების სისტემატური მიღება არ არის გარანტირებული, რადგანაც მას გადაწონის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ინტერესი.[1956] საკონსტიტუციო სასამართლო რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებით დაცული სფეროდან გამორიცხავს პირის უფლებას, შეასრულოს კანონის მხოლოდ ის მოთხოვნები, რომლებიც მისი სუბიექტური შეფასებით თავსებადია მის რწმენასთან. დაცულ სფეროში ასევე არ ექცევა პირის უფლება, სუბიექტური მოტივებით ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოზე და უკარნახოს, თუ როგორ გადაწყვიტოს მის გამგებლობასა და დისკრეციას მიკუთვნებული საკითხები.[1957]

974

აღმსარებლობის თავისუფლებით დაცულ სფეროში საკმარისი არ არის ამა თუ იმ მოქმედების ირიბი და ზოგადი კავშირი რწმენასთან, თუნდაც ის მოტივირებული იყოს რწმენით.[1958] მაგალითად, ამ უფლებით გარანტირებული არ არის რელიგიური ორგანიზაციების წმინდა ეკონომიკური ხასიათის საქმიანობა, თუნდაც აქედან მიღებული შემოსავალი რელიგიური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდეს.[1959] რელიგიის გაცხადების თავისუფლებით გარანტირებული ასევე არ არის რელიგიური გაერთიანების მიერ გაკეთებული კომერციული რეკლამა.[1960] ამასთან, ეკონომიკური საქმიანობა ექცევა მეწარმეობის თავისუფლების დაცვის ქვეშ.[1961] იმისათვის, რომ გარკვეული მოქმედება რწმენის გაცხადებად ჩაითვალოს, საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს მის მჭიდრო და პირდაპირ კავშირს რწმენასთან. ამგვარი კავშირის არსებობა უნდა გაირკვეს ინდივიდუალურად, კონკრეტული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით. ის სახეზეა, როდესაც გარკვეული ქმედება წარმოადგენს შესაბამისი რელიგიის უშუალო მოთხოვნას (მაგალითად, რელიგიის გაცხადების ტრადიციული ფორმები - ლოცვა, მარხვა, აღსარება და ა.შ.).[1962] აღსანიშნავია, რომ ეს პოზიცია იზიარებს ევროპულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც რწმენის გაცხადებად არ ითვლება ის მოქმედება, რომელიც რწმენითაა მოტივირებული, მაგრამ არ წარმოადგენს რომელიმე რწმენის მიმდევრობის აშკარა გამოხატვას.[1963]

[1955] შეადარე მაგ.: Kalaç v. Turkey (N20704/92; 1.7.1997).
[1956] Kokott, GG, Art. 4, Rn. 55; US Supreme Court in Employment Division v. Smith, 494 U. S. 872 (1990).
[1957] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-16, 37-38.
[1958] იქვე, II-11.
[1959] Mager, GG, Art. 4, Rn. 57; BVerfGE 19, 129 (133).
[1960] X. and Church of Scientology v. Sweden (N805/77; 5.5.1979).
[1961] შეადარე: Kokott, GG, Art. 4, Rn. 69.
[1962] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-11-12, 15, 20.
[1963] Arrowsmith v. the United Kingdom.

1.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

975 რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები მიეკუთვნება თავისუფლების უფლებების (status negativus) ჯგუფს, რომელთა უმთავრესი ფუნქციაა ინდივიდის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე ჩარევებისაგან.[1964] აქედან გამომდინარე, ეს უფლებები სახელმწიფოს, უპირველეს ყოვლისა, ნეგატიურ ვალდებულებებს აკისრებს. მან თავი უნდა შეიკავოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული სიკეთეების ფორმალური თუ მატერიალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციური ხელყოფისაგან.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ეძღვნება ორი აბსოლუტური ხასიათის აკრძალვას: 1) დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო და 2) აკრძალულია პირის იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის შესახებ. ამ კონსტიტუციური ნორმიდან, ერთი მხრივ, გამომდინარეობს ადამიანის უფლებები, არ დაექვემდებაროს დევნას ან იძულებას ზემოაღნიშნული მიზეზებით. მეორე მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, არ განახორციელოს პირის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო ან მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

1.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

976 რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის ძირითადი უფლებების მაღალი ობიექტური ღირებულებიდან გამომდინარე, მათი სრულფასოვანი დაცვისათვის საკმარისი არ არის სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებების შესრულება. მან უნდა უზრუნველყოს სივრცე, სადაც ინდივიდი დაცული იქნება მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან და მიეცემა თავისუფალი განვითარების საშუალება თავისი მსოფლმხედველობრივი თუ რელიგიური მრწამსის საფუძველზე.[1965]

977 სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას ინდივიდები და რელიგიური/მსოფლმ-ხედველობრივი ორგანიზაციები მესამე პირთა მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებისაგან, რაც შეიძლება გამოიხატოს მე-16 მუხლით უფლებათა რეალიზაციის ხელშეშლაში, დევნაში რწმენის, სინდისის ან აღმსარებლობის გამო, ასევე იძულებაში, გამოთქვას შეხედულებები მათ შესახებ.[1966] სახელმწიფომ უნდა მიიღოს დამცავი კანონმდებლობა და გამოიყენოს სხვა სახელისუფლებო საშუალებები ამ უფლებათა დასაცავად.[1967] დამცავი კანონმდებლობის მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დანაშაულად აცხადებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას (მათ შორის, რელიგიის ან რწმენის ნიშნით),[1968] რელიგიური წესის აღსრულებისათვის

[1964] Ipsen, Grundrechte, Rn. 384; Morlok, GG, Art. 4, Rn. 103; Starck, GG, Art. 4, Rn. 18.
[1965] შეადარე მაგ.: BVerfGE 41, 29 (49).
[1966] შეადარე: გოცირიძე, მე-19 მუხლის კომენტარი, 167-168; კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 112.
[1967] Ipsen, Grundrechte, Rn. 402.
[1968] სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი.

უკანონოდ ხელის შეშლას[1969] და დევნას (მათ შორის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო).[1970] დამცავი კანონმდელობის არსებობას აზრი დაეკარგება მისი სათანადო აღსრულების გარეშე. სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები მესამე პირთა მიერ განხორციელებული დევნისა და ხელშეშლის მიმართ, ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება რელიგიურად მოტივირებული ძალადობის ფაქტებზე, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება და უზრუნველყოს დამნაშავეთა დასჯა.[1971]

978 სახელმწიფო დაცვის ვალდებულება არ მოითხოვს, რომ სახელმწიფომ არ დაუშვას განსაზღვრული რწმენისა და მისი მიმდევრების მიმართ კრიტიკა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ რელიგიის მიმდევრები არ უნდა გამოვიდნენ იმ ვარაუდიდან, რომ ისინი არ დაექვემდებარებიან კრიტიკას. მეტიც, მათ უნდა მოითმინონ და შეეგუონ სხვა რელიგიური ჯგუფების მხრიდან მათი რელიგიური მრწამსის უარყოფას ან საწინააღმდეგო სწავლების გავრცელებას. ამ დროს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ის კი არ არის, რომ აღკვეთოს ნებისმიერი მსგავსი ქმედება, არამედ იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებით მშვიდობიანი სარგებლობა ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრებისათვის და რელიგიური მშვიდობის შენარჩუნება, როდესაც ამას საფრთხეს უქმნის ამ რელიგიის ან მრწამსის კრიტიკისა და უარყოფის შეურაცხმყოფელი ხერხები.[1972]

979 ინდივიდს შეიძლება მიადგეს ზიანი იმ გადაწყვეტილებების გამო, რაც მან მიიღო რწმენის ან სინდისის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლომ, ელექტრონული პირადობის მოწმობების აღებაზე უარის მთქმელი პირების საქმის განხილვისას განაცხადა, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე დარჩენა იწვევდა სერიოზულ გვერდით შედეგებს და სახელმწიფოს წარმოეშობოდა ამ ზიანის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის ზრუნვის პოზიტიური ვალდებულება. მას არ უნდა დაეტოვებინა მსგავსი კატეგორიის პირები ცხოვრებისათვის აუცილებელი სერვისებისა და მათთან დაკავშირებული ელემენტარული საჭიროებების უზრუნველყოფის შესაძლებლობის გარეშე. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად არცნობა არ ათავისუფლებდა სახელმ-წიფოს მოსარჩელეთა ინტერესების დაცვისა და იმ საფრთხეების განეიტრალების ვალდებულებისაგან, რომლის წინაშეც ისინი აღმოჩდნენ სადავო ნორმების მოთხოვნე-ბისადმი მათი გულწრფელი წინააღმდეგობის გამო.[1973] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლები და ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში რჩებოდა საკითხი, რამდენად დაუშვებდა ის „გაყალბებისაგან მაღალი ხარისხით დაცული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გარეშე პირთა მონაწილეობას იმგვარ ურთიერთო-ბებში, რომლებიც საჯარო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, მთელი საზოგა-დოების ინტერესებს (როგორიცაა, მაგალითად, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება) ან საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების

[1969] იქვე, 155-ე მუხლი.
[1970] იქვე, 156-ე მუხლი.
[1971] 97 members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia (N71156/01; 3.5.2007); Begheluri and Others v. Georgia (N28490/02; 7.10.2014).
[1972] შეადარე მაგ.: Otto-Preminger-Institut v. Austria (N13470/87; 20.9.1994); Wingrove v. the United Kingdom (N17419/90; 25.11.1996); Klein v. Slovakia (N72208/01; 31.10.2006).
[1973] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-40.

შესრულებას უკავშირდება და არა ამ პირთა მხოლოდ ყოველდღიური სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებას.“[1974]

სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის ობიექტური მნიშვნელობა კანონმდებლობის მიღებისას, აღსრულებისას და განმარტებისას სხვადასხვა სფეროებში. მაგალითად, შრომის სამართლის სფეროში დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა თავისი საქმიანობა განახორციელოს საკუთარი რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის შესაბამისად. ამავდროულად, დამსაქმებელსაც არ უნდა დააწვეს ცალმხრივი და გადამეტებული ტვირთი და მოხდეს ინტერესთა დაბალანსება.[1975] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს სინდისის თავისუფლებისა და მის საფუძველზე მიღებული სინდისის გადაწყვეტილების მნიშვნელობის გათვალისწინებას სისხლის სამართლის კანონმდებლობის განმარტებისა და გამოყენებისას, მათ შორის სასჯელის განსაზღვრის დროს.[1976] ამავდროულად, ის ხაზს უსვამს, რომ არავის შეუძლია მოითხოვოს სინდისზე დაფუძნებული სუბიექტური წარმოდგენების გადაქცევა მასშტაბად ზოგადი სამართლებრივი ნორმების მოქმედების ან მათი გამოყენებისათვის.[1977] მსგავს მიდგომას ავითარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, როდესაც უარყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას, „..ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებისას გაითვალისწინოს ყველა ის გულწრფელი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება თავიანთი რწმენის საფუძველზე წარმოიშვას მის მოქალაქეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა რელიგიას მიეკუთვნებიან, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც რელიგიური რწმენით შთაგონებული ესა თუ ის ქმედება არ წარმოადგენს შესაბამისი რელიგიის პრინციპულ/სავალდებულო მოთხოვნას. თუ სახელმწიფო ყოველ ჯერზე დაჰყვებოდა მორწმუნეთა ინდივიდუალურ სურვილებსა და მოთხოვნებს, იგი ვერ შეძლებდა, დაეცვა თანაბრობა და ნეიტრალიტეტი ქვეყანაში ფუნქციონირებადი განსხვავებული რელიგიების მიმართ.“[1978]

980 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, შესაბამისი მხარდაჭერა გაუწიოს სამხედრო სამსახურისადმი „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ მქონე პირებს. ეს გამოიხატება მათთვის ალტერნატიული სამსახურის შეთავაზებაში და ამგვარი სამსახურის სათანადო სისტემის შექმნაში, რომელიც განცალკევებული იქნება სამხედრო სისტემისაგან ორგანიზაციული და სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით და არ ექნება სადამსჯელო ეფექტი.[1979]

981 რწმენა, სინდისი და აღმსარებლობა არ წარმოადგენს მფარველობით (status positivus) უფლებებს და არ აძლევს შესაძლებლობას ფიზიკურ და იურდიულ პირებს, რომ მოითხოვონ სახელმწიფოსაგან დახმარება მათ რეალიზაციაში.[1980] მაგალითად, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება არ მოიცავს რელიგიური დანიშნულების

[1974] იქვე, II-41.
[1975] Morlok, GG, Art. 4, Rn. 115.
[1976] BVerfGE 23, 127 (134).
[1977] BVerfGE 67, 26 (37).
[1978] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-37.
[1979] Adyan and Others v. Armenia (N75604/11; 12.10.2017).
[1980] შეადარე მაგ.: Herzog, GG, Art. 4, Rn. 108; Jarass, GG, Art. 4, Rn. 43; Kokott, GG, Art. 4, Rn. 70; Starck, GG, Art. 4, Rn. 18; BVerfGE 93, 1 (16).

შენობა-ნაგებობების გადასახადებისაგან გათავისუფლების უფლებას.[1981] შესაბამისად, სახელმწიფოს არც ვალდებულება ეკისრება, რომ გადასახადებისაგან გათავისუფლების გზით განახორციელოს რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა.

982 თუ საქმე შეეხება თავისუფლებაშეზღუდულ პირებს, ანუ ადამიანი, ობიექტური მიზეზების გამო, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე ვერ განახორციელებს თავის უფლებებს, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულებები.[1982] მაგალითად, პატიმართა კვების რაციონის შერჩევისას გასათვალისწინებელია მათი რელიგიიდან თუ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე თავისებურებები.[1983] იგივე მიდგომა შეიძლება გავავრცელოთ სახელმწიფოსთან განსაკუთრებულ სახელისუფლებო ურთიერთობაში მყოფ სხვა პირებზე - სამხედრო მოსამსახურეებზე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი პირობების შექმნა, რათა ამ კატეგორიის პირებს მიეცეთ რწმენიდან და სინდისიდან გამომდინარე ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თუმცა მისი პოზიტიური ვალდებულების ფარგლები არ არის ისეთი ფართო, რომ მას დაევალოს შესაბამისი უფლებების სრულფასოვან და ყოველმხრივ რეალიზაციაში დახმარება, მაგალითად თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის რელიგიური ლიტერატურის მიწოდება.[1984]

983 როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, სახელმწიფო უნდა იცავდეს მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტისა და ეკლესიათა და აღმსარებლობათა პარიტეტის პრინციპებს.[1985] ამ პრინციპებს უკავშირდება სახელმწიფოს არაერთი პოზიტიური ვალდებულება. მან არ უნდა დაუშვას დისკრიმინაცია რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნიშნით სხვადასხვა უფლებრივი საკითხების გადაწყვეტისას.[1986] თუ სახელმწიფო ახორციელებს რომელიმე რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი გაერთიანების ხელშეწყობას, მაშინ ის ვალდებულია, რომ დახმარება გაუწიოს სხვა მსგავს სუბიექტებსაც.[1987] ნეიტრალიტეტისა და პარიტეტის პრინციპების გავლენა განსაკუთრებით მკაფიოა საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლებასთან მიმართებით. ევროპული სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, რელიგიისა და ფილოსოფიის სწავლებისას, მოსწავლეებს თავს არ მოახვიოს რომელიმე დოქტრინა და სწავლებას ჰქონდეს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური ფორმა და შინაარსი. დაუშვებელია რომელიმე რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭება და მით უმეტეს, მისი თავსმოხვევა მოსწავლეებისათვის. განსხვავებული რწმენის მქონე პირებს უნდა მიეცეთ რელიგიის სავალდებულო გაკვეთილებიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ეს პროცედურა არ უნდა იყოს გართულებული და მოითხოვდეს რწმენისა და მსოფლმხედველობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ხოლო გათავისუფლების შემთხვევაში შეთავაზებული უნდა იქნეს რეალურად განსხვავებული ალტერნატივა.[1988]

[1981] Iglesia Bdulisla "El Salvador" and José Aquilino Ortega Moratilla v. Spain (N17522/90; 11.1.1992).
[1982] შეადარე მაგ.: გოცირიძე, მე-19 მუხლის კომენტარი, 172.
[1983] X. v. the United Kingdom (N5947/72; 5.3.1976).
[1984] X. v. Austria (N1753/63; 22.4.1965).
[1985] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 158; Izzettin Dogan and Others v. Turkey.
[1986] შეადარე: გოცირიძე, მე-19 მუხლის კომენტარი, 165.
[1987] Herzog, GG, Art. 4, Rn. 110; Kokott, GG, Art. 4, Rn. 71.
[1988] დეტალურად იხ.: Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark (N5095/71, 5920/72, 5926/72; 7.12.1976); Folgerø and Others v. Norway (N15472/02; 29.6.2007); Hasan and Eylem Zengin v. Turkey (N1448/04; 9.10.2007).

2. ჩარევა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში

2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება

984 საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევა დასაშვებია, ანუ ამ უფლებებს არ აქვთ აბსოლუტური ხასიათი. მიუხედავად ამისა, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში გარკვეულ შემთხვევებში ჩარევა დაუშვებელია. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი სრულად გამორიცხავს ჩარევის ორ სახეს: 1) ადამიანის დევნას რწმენის აღმსარებლობის ან სინდისის გამო და 2) ადამიანის იძულებას, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის შესახებ.[1989] აუცილებელია „ადამიანის დევნის“ გამიჯვნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის თავისუფლებაში ჩარევის სხვა შემთხვევებისაგან. დევნად არ ჩაითვლება შეზღუდვა ან აკრძალვა, ასევე მათი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება, თუ ის ხორციელდება მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და შეიძლება დაექვემდებაროს კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას. „ადამიანის დევნა“ გულისხმობს მის მიმართ არამართლ-ზომიერი მოქმედებების განხორციელებას.[1990]

985 აბსოლუტურადაა გარანტირებული რწმენისა და სინდისის თავისუფლების შინაგანი სფეროები (forum internum). ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები გააჩინა 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ. კონსტიტუციის რეფორმამდელი რედაქციის მიხედვით, შესაძლებელი იყო რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის მხოლოდ „გამოვლინების“, ანუ გარეგანი სფეროს (forum externum) შეზღუდვა.[1991] მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ამგვარ მინიშნებას აღარ შეიცავს და მიზანშეწონილია, რომ მისი ფორმულირება შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნულ და უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და თეორიაში დამკვიდრებულ მკაფიო პოზიციასთან, რომლის მიხედვითაც დასაშვებია მხოლოდ გარეგანი სფეროს შეზღუდვა, ხოლო შინაგანი, პრივატული სფერო აბსოლუტურადაა დაცული და ნებისმიერ გარემოებაში თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოს ჩარევისაგან.[1992]

986 რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებაში ჩარევა სახეზეა, როდესაც სახელმწიფო კრძალავს ან ზღუდავს ამ უფლებებით სარგებლობას.[1993] პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, რამდენად მიემართება სახელმწიფოს აქტი ან ქმედება კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ რომელიმე სიკეთეს, ხოლო შემდეგ - ამ მიმართების ხასიათი. საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ჩარევას და გვერდით

[1989] შეადარე: გოცირიძე, მე-19 მუხლის კომენტარი, 168; N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-10.
[1990] დეტალურად იხ.: გოცირიძე, მე-19 მუხლის კომენტარი, 167-168.
[1991] მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.
[1992] შეადარე მაგ.: ბოხაშვილი, პრეცედენტული სამართალი, 318; გოცირიძე, მე-19 მუხლის კომენტარი, 169; კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 117; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 165-166; N1/1/477 გადაწყვეტილება, II-14; N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-10; N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-6; Ipsen, Grundrechte, Rn. 385; Kokott, GG, Art. 4, Rn. 78, 124.
[1993] მაგ.: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 117.

ეფექტს. თუ სადავო ნორმა (პირდაპირ) ერევა ძირითად უფლებაში, ხდება მისი ფორმალური და მატერიალური კონსტიტუციურობის შეფასება თავისუფლების ძირითადი უფლების შემოწმების სქემის მიხედვით. როდესაც სადავო ნორმით უფლებისათვის მიყენებულ ზიანს მხოლოდ გვერდითი ეფექტის სახე აქვს, საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს, რამდენად წარმოეშვა სახელმწიფოს ამ ზიანის განჭვრეტის, პრევენციის ან შემცირების პოზიტიური ვალდებულება სადავო ნორმის შემუშავების პროცესში.[1994] ამ შემთხვევაში, შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს ამ ვალდებულების შესრულება.

987 ჩარევის იდენტიფიცირებისას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო ნორმის შინაარსს. სასამართლო ამოწმებს, რამდენად ადგენს ნორმა აკრძალვას ან შეზღუდვას. თუ სადავო რეგულირება აღნიშნულს არ ითვალისწინებს და შესაბამისად, არც პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, ასევე არ აქვს უშუალო შინაარსობრივი კავშირი რწმენის საკითხებთან, ის არ განიხილება ჩარევად რწმენის თავისუფლებაში.[1995] ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავს პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევად არ ითვლება საერთო კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება ნეიტრალურ საფუძველზე და კავშირი არ აქვს განმცხადებლის პიროვნულ რწმენასთან.[1996]

988 საკონსტიტუციო სასამართლო ჩარევის იდენტიფიცირებისას სისტემურად აანალიზებს არა მხოლოდ სადავო ნორმას, არამედ შესაბამის კანონმდებლობას. მაგალითად, იმ საკითხზე მსჯელობისას, რამდენად იყო ჩარევა რწმენის თავისუფლებაში „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ მქონე პირების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა, სასამართლომ კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გამოჰყო ორი გარემოება: 1) სამხედრო სარეზერვო სამსახური პოტენციურად წარმოშობდა ლეგიტიმურ საფუძვლებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის, რადგანაც ის შინაარსითა და სიმძიმით უტოლდებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს; 2) კანონმდებლობა გამორიცხავდა რეზერვში გასაწვევ პირთა ან სარეზერვო სამსახურში მყოფთა შესაძლებლობას, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, მოეთხოვათ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სახეზე იყო რწმენის თავისუფლებაში ჩარევა.[1997]

989 რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაში ჩარევა უნდა მომდინარეობდეს სახელმწიფოსაგან. როდესაც ამ უფლებებს მესამე პირები ზღუდავენ, ჩარევა არ არის სახეზე. მაგალითად, საეკლესიო გადასახადებთან და მოსაკრებლებთან დაკავშირებული საჩივრების დაშვებაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ ამ გადასახადებსა და მოსაკრებლებს კრეფდნენ ის რელიგიური გაერთიანებები, რომელთა წევრებსაც განმცხადებლები წარმოადგენდნენ. მათ თავისუფლად შეეძლოთ ამ გაერთიანებების დატოვება.[1998]

[1994] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-25.
[1995] იქვე, II-28.
[1996] იქვე, II-29; Skugar and Others v. Russia (N40010/04; 3.12.2009). შეადარე ასევე: Valsamis v. Greece (N21787/93; 18.12.1996).
[1997] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-41.
[1998] Klein and Others v. Germany (N24268/08; 6.4.2017).

2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის სახეები

990 განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რწმენისა და სინდისის თავისუფლების შინაგან და გარეგან სფეროებში ჩარევის გამიჯვნას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შინაგანი სფერო აბსოლუტურად დაცულია, რაც შედეგად იწვევს იმას, რომ ამ სფეროში ჩარევა a priori არაკონსტიტუციურია, ხოლო გარეგან სფეროში ჩარევა კი შეიძლება დაექვემდებაროს გამართლებას.

991 შინაგან სფეროში ჩარევა სახეზეა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს აქტი ან მოქმედება აიძულებს ადამიანს თავისი ნების საწინააღმდეგოდ გადაწყვიტოს რომელიმე რწმენისადმი მისი კუთვნილების, ასევე შინაგანი იმპერატიული მორალური პრინციპების საკითხები, რაც იწვევს პიროვნების დაუძლეველ კონფლიქტს მის შინაგან რწმენასთან ან/და სინდისთან. ეს შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა: რელიგიური ფიცის დადების ვალდებულება, რაც შეიძლება გაუთანაბრდეს კონკრეტული რელიგიისადმი ერთგულების გამოცხადების იძულებას;[1999] კეთილსინდისიერი წინააღმ-დეგობის მქონე პირის იძულება, საკუთარი რწმენის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, გაიაროს სამხედრო სამსახური და ამით ფაქტობრივად უარყოს რწმენა;[2000] სახელმწიფოს მიერ პირის იძულება აღიაროს, შეიცვალოს ან უარყოს რაიმე რწმენა.[2001]

992 გარეგან სფეროში ჩარევა სახეზეა მაშინ, როდესაც ხდება რწმენის გაცხადების, სინდისის გადაწყვეტილების და აღმსარებლობის სხვადასხვა ფორმების აკრძალვა ან შეზღუდვა. გარეგან სფეროში ჩარევას წარმოადგენს მაგალითად: აკრძალვა ან შეზღუდვა რელიგიური ტანისამოსის ტარებასთან დაკავშირებით;[2002] ისეთ სასკოლო გაკვეთილში სავალდებულო მონაწილეობა, რაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს რწმენის მოთხოვნებთან;[2003] სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება რელიგიურ მსახუ-რებაში მონაწილეობისათვის;[2004] სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება პროზელიტიზმისათვის;[2005] მსოფლმხედველობრივი ან რელიგიური გაერთიანების აკრ-ძალვა;[2006] სახელმწიფოს უარი რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი გაერთიანების ოფიციალურ აღიარებაზე;[2007] რელიგიური გაერთიანებისათვის რელიგიური დანიშნულების ქონების ჩამორთმევა.[2008]

[1999] Buscarini and Others v. San Marino.
[2000] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-59.
[2001] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-6.
[2002] მაგ.: S.A.S. v. France (N43835/11; 1.7.2014).
[2003] მაგ.: Hasan and Eylem Zengin v. Turkey; Osmanoglu and Kocabas v. Switzerland (N29086/12; 10.1.2017).
[2004] მაგ.: Guler and Ugur v. Turkey (N31706/10, 33088/10; 2.12.2014).
[2005] მაგ.: Larissis and others v. Greece.
[2006] მაგ.: Kokott, GG, Art. 4, Rn. 76.
[2007] მაგ.: Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova (N45701/99; 13.12.2001).
[2008] Iglesia Bdulisla "El Salvador" and José Aquilino Ortega Moratilla v. Spain.

3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის გამართლება

3.1. კანონის დათქმა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევისას

კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს კანონის დათქმას, კერძოდ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად. ამ მკაფიო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ უფლებებში ჩარევა არაკონსტიტუციური იქნება ფორმალური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ მსგავს დათქმას ითვალისწინებენ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლების შეზღუდვას უშვებს მხოლოდ იმ პირობით, თუ ის გათვალისწინებულია კანონით.

993 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დადგინდა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის თავისუფლებებში ჩარევის არაკონსტიტუციურობა კანონის დათქმის დარღვევის გამო. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო ყურადღების მიღმა ტოვებს კანონის დათქმის შესრულებას სადავო ნორმის ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევაზე მსჯელობისას, აუცილებლად არკვევს, რამდენად იყო შეზღუდვა გათვალისწინებული კანონით.[2009] თუ კონვენციის ეს ფორმალური მოთხოვნა შესრულებული არ არის, სახეზეა მე-9 მუხლის დარღვევა.[2010]

994 გარდა იმისა, რომ სინდისის, რწმენის ან აღმსარებლობის შემზღუდველი კანონი ფორმალურად უნდა არსებობდეს, ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს - იყოს ხელმისაწვდომი მისი ადრესატებისათვის, განჭვრეტადი და განსაზღვრული. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ პედაგოგებისათვის ისლამური თავსაბურავის ტარების შეზღუდვის კონსტიტუციურობისათვის აუცილებელია საკმარისად განსაზღვრული საკანონმდებლო საფუძველი.[2011] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ კანონი რომელიც ითვალისწინებს ჩარევას, შეესაბამებოდეს სიცხადისა და წინასწარ განჭვრეტადობის მოთხოვნებს. ნორმის ბუნდოვანება არ უნდა იძლეოდეს უფლების ხელყოფის საშუალებას.[2012]

[2009] მაგ.: Kokkinakis v. Greece; Larissis and others v. Greece; Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova; S.A.S. v. France.
[2010] მაგ.: Guler and Ugur v. Turkey.
[2011] BVerfGE 108, 282 (302 f., 306 ff., 309 ff.).
[2012] შეადარე მაგ.: Hasan and Eylem Zengin v. Turkey; Guler and Ugur v. Turkey.

3.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება

3.2.1. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

995 კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი მკაფიოდ ჩამოთვლის იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც დასაშვებია რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების შეზღუდვა. ესენია: (1) საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; (2) ჯანმრთელობის დაცვა; (3) სხვათა უფლებების დაცვა. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია ჩარევა განხორციელდეს რომელიმე სხვა მიზნით, თუნდაც ის თავისი არსით არ იყოს არალეგიტიმური.

996 საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის მატერიალური კონსტიტუციურობის შემოწმებას იწყებს მისი ლეგიტიმური მიზნის გარკვევით.[2013] მაგალითად, რწმენის თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტში, მან ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.[2014] ამასთან, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ ფართო ცნებაა და მაგალითად, მოიცავს საზოგადოების დაცვას ისეთი არამართლზომიერი ქმედებებისაგან, რომლებიც ხორციელდება რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი მრწამსის საფარქვეშ. ქვეყნის ქმედითი თავდაცვის ინტერესის მოაზრებას ლეგიტიმურ მიზნებში ხსნიან სახელმწიფოს უმთავრესი მიზნით, უზრუნველყოს ინდივიდის დაცვა როგორც ქვეყნის შიგნით (იძულების მონოპოლიის გამოყენებით), ასევე გარედან მომდინარე საფრთხეებისაგან. ადამიანები ექვემდებარებიან სახელმწიფო ხელისუფლებას იმისათვის, რომ იყვნენ დაცულნი (Protectio trahit subiectionem et subiectio protectionem).[2015] „ჯანმრთელობის დაცვაში“ იგულისხმება მთლიანობაში საზოგადოებისა და კონკრეტულად მესამე პირთა ჯანმრთელობისათვის საფრთხის არიდება, რაც შეიძლება მოდიოდეს რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი რწმენით მოტივირებული ქმედებისაგან (მაგალითად, საშიში გადამდები დაავადების პრევენციაზე ან მკურნალობაზე პირის უარი). „სხვათა უფლებების“ ცნება ფართოა, მაგრამ აქ იგულისხმება არა ნებისმიერი, არამედ ის უფლებები, რომელთა დაცვის ინტერესი შეზღუდვის კონკრეტულ შემთხვევაში გადაწონის რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის დაცვის ინტერესს. ამ უფლებათა რეალიზაცია შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს ადამიანის ღირსებასთან, სიცოცხლის უფლებასთან, განათლების უფლებასთან და ა.შ.[2016] სავსებით შესაძლებელია, რომ ჩარევა ემსახურებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ არა ერთ, არამედ რამდენიმე მიზანს.

997 ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტიც. კერძოდ, რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების

[2013] მაგ.: N1/1/477 გადაწყვეტილება, II-42.
[2014] იქვე, II-53.
[2015] შეადარე: Kokott, GG, Art. 4, Rn. 132.
[2016] შეადარე: იქვე, Rn. 125.

თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.[2017] როგორც ვხედავთ, კონსტიტუციისა და კონვენციის მოთხოვნები, ამ კუთხით, ერთმანეთს თითქმის ემთხვევა. გამონაკლისია შეზღუდვის დაწესება მორალის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ამ სიკეთის დასაცავად რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებებში ჩარევა დაუშვებელია, თუ იმავდროულად ის არ ემსახურება კონსტიტუციით დადგენილ რომელიმე სხვა მიზანს.

998 პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ლეგიტიმურ მიზნებად მიიჩნევს ისეთი სიკეთეების დაცვას, როგორიცაა: რელიგიური ტანისამოსის ტარებისას საზოგადოებაში თანაცხოვრების მინიმალური საჭიროებების პატივისცემა;[2018] საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა რელიგიური ორგანიზაციებიდან მომდინარე შესაძლო საფრთხისაგან;[2019] სკოლის მოსწავლეთა უფლებებისა და სკოლებში კონფესიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვა;[2020] მესამე პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა არასათანადო პროზელიტიზმისაგან[2021] და ა.შ.

3.2.2. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის გამოსადეგობა

999 რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის გარკვევის შემდეგ უნდა განხორციელდეს მისი გამოსადეგობის შემოწმება. ამ უფლებების შეზღუდვის გამოსადეგობის შეფასების კუთხით რაიმე სპეციფიურ მიდგომას საკონსტიტუციო სასამართლო არ გვთავაზობს. ამდენად, ზოგადი სტანდარტების მიხედვით, უნდა შემოწმდეს ლოგიკური კავშირი ჩარევასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის და გაანალიზდეს, რამდენად იძლევა შეზღუდვა მიზნის მიღწევის თუნდაც თეორიულ შესაძლებლობას. პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა გამოსადეგობაზე ძალიან ლაკონურია. კერძოდ, სამხედრო სარეზერვო სამსახურში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა გაწვევასთან დაკავშირებით ის შემოიფარგლება მოკლე დასკვნით, რომ ეს „უდავოდ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გზას...“,[2022] მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რატომ მივიდა ამ დასკვნამდე.

3.2.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის აუცილებლობა

1000 კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ

[2017] ფაქტობრივად ანალოგიურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის ფორმულირება.
[2018] S.A.S. v. France.
[2019] Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova.
[2020] Dahlab v. Switzerland (N42393/98; 15.2.2001).
[2021] Kokkinakis v. Greece; Larissis and others v. Greece.
[2022] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-60.

საზოგადოებაში. ეს მოთხოვნა იმეორებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებულ სტანდარტს და ხაზს უსვამს აუცილებლობის კრიტერიუმის მნიშვნელობას ჩარევის მატერიალური კონსტიტუციურობის შემოწ-მებისას.

1001 საკონსტიტუციო სასამართლო მე-16 მუხლით დაცული სიკეთეების შეზღუდვისას იყენებს აუცილებლობის შემოწმების სტანდარტულ მიდგომას. მაგალითად, სამხედრო სარეზერვო სამსახურში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა გაწვევასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს იყო რწმენის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე მძიმე ფორმა, როდესაც ლეგიტიმური მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო უფლებაში ნაკლებად ჩარევის გზით. ამგვარი ალტერნატივა იყო კეთილსინდისიერი წინააღმ-დეგობის მქონე პირებისათვის სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვალდებულების შემოღება.[2023] აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის გავლის შესაძლებლობის არარსებობა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთათვის კონვენციის დარღვევად მიაჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც.[2024]

1002 როდესაც არსებობს მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალება, რომელიც უფლებას ნაკლებად ზღუდავს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჩარევას არ მიიჩნევს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში. მაგალითად, საჯარო ადგილებში სახის დაფარვის აკრძალვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის არ ჩაითვალა აუცილებლად, რადგანაც ამ მიზნის მიღწევა შეიძლებოდა მესამე პირთათვის ან მათი საკუთრებისათვის უსაფრთხოების რისკის არსებობისას პირბადიანი პირისათვის სახის გამოჩენისა და იდენტიფიცირების ვალდებულების დაკისრებით, ანუ უფრო მსუბუქი საშუალებით.[2025] რელიგიის ქადაგების გამო პირისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ სახეზე არ არის არასათანადო პროზელიტიზმი, ითვლება რელიგიის თავისუფლებაში ისეთ ჩარევად, რომელიც არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.[2026]

3.2.4. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებში ჩარევის პროპორციულობა

1003 რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროპორციულობის შემოწმების ეტაპს. ეს განპირობებულია იმით, რომ ეს უფლებები ხშირად უპირისპირდება სხვათა ანალოგიურ უფლებებს ან სხვა ძირითად უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამგვარ ვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მართებულად მიაჩნია ერთადერთ

[2023] იქვე, II-60.
[2024] მაგ.: Erçep v. Turkey (N43965/04, 22.11.2011); Mushfig Mammadov and Others v. Azerbaijan (N14604/08, 41792/15, 45823/11, 76127/13; 17.1.2020).
[2025] S.A.S. v. France.
[2026] Kokkinakis v. Greece.

გამოსავლად დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა.[2027] სწორედ ამგვარი დაბალანსებითაა შესაძლებელი, ერთი მხრივ, უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ - კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა.[2028] საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება და საზოგადოების საჭიროებები მოითხოვს გონივრულ დაბალანსებას. ამ დროს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებები a priori პრიორიტეტით არ სარგებლობს და ისინი „...შეიძლება გადაწონოს სხვა ღირებულებებმა, მათ შორის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის საჭიროებამ.“[2029] უნდა იქნეს მიღწეული კოლიზიაში მყოფი ინტერესების თანაარსებობა და არა ერთის დაცვა მეორის ხელყოფის ხარჯზე.[2030]

1004 სიკეთეთა შორის სამართლიანი ბალანსისა და შესაბამისად, შეზღუდვის პროპორციულობის შემოწმება, სხვა უფლებების ანალოგიურად, უნდა განხორციელდეს სიკეთეთა შედარების მეთოდის გამოყენებით, აწონ-დაწონვის საფუძველზე.[2031] მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გაამართლა უარი დაწყებით სკოლაში მასწავლებლის დანიშვნაზე, რომელსაც სურდა პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას, რელიგიური მოტივებიდან გამომდინარე, ეტარებინა თავსაბურავი. ამ შემთხვევაში მასწავლებლის რელიგიური რწმენის გაცხადების თავისუფლების მნიშვნელობა გადაწონა პედაგოგების ნეიტრალურობის ვალდებულებამ და მოსწავლეთა რწმენის ნეგატიურმა თავისუფლებამ.[2032]

1005 „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისას“ ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, პირის უფლება, იმოქმედოს თავისი რწმენისა და სინდისის შესაბამისად, რაც მას უკრძალავს სამხედრო სამსახურის გავლას, ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება. საკონსტიტუციო სასამართლო ამ ვალდებულებას ფართოდ განმარტავს და მასში გულისხმობს არა მარტო იარაღით ხელში ქვეყნის დაცვას, არამედ ისეთ მოქმედებასაც რაც არ არის დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან.[2033] ეს მიდგომა სრულად გამართლებულია თანამედროვე ჰიბრიდული ომის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც შემოიფარგლება მხოლოდ ე.წ. კონვენციური საშუალებების გამოყენებით და გულისხმობს ომის წარმოების სხვა მეთოდების (მაგალითად, კიბერთავდასხმები) გამოყენებასაც. ამ პირობებში, კონკრეტული პირების წვლილი სახელმწიფო თავდაცვაში შეიძლება გაცილებით ღირებული იყოს მათი იმ პროფესიული უნარ-ჩვევების გამოყენებით, რაც საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობასთან და ადამიანების სიცოცხლის მოსპობასთან კავშირში არ არის. საკონსტიტუციო სასამართლომ კოლიდირებულ სიკეთეებს შორის გონივრული კომპრომისისა და შესაბამისად, ბალანსის მიღწევის გზად მიუთითა „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ მქონე პირების მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი

[2027] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-8, 45.
[2028] იქვე, II-48.
[2029] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-37.
[2030] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-60.
[2031] შეადარე მაგ.: კორკელია, მე-19 მუხლის კომენტარი, 119; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 167, 172; Kokott, GG, Art. 4, Rn. 57; BVerwGE 112, 314 (318).
[2032] BVerwGE 116, 359.
[2033] N1/1/477 გადაწყვეტილება, II-53.

სამსახურის გავლა, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს სამსახური თავისი სიმძიმით უნდა წარმოადგენდეს სამხედრო სამსახურის რეალურ და ადეკვატურ ალტერნატივას.[2034]

1006 მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების დავალდებულების ან მის მიღებაზე უარის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, როდესაც უარი განპირობებულია პირის რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი შეხედულებებით. როგორც დაცულ სფეროზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, სამედიცინო მომსახურების მიღების საკითხს პირი დამოუკიდებლად წყვეტს, თუმცა ეს გადაწყვეტილება შეიძლება დაუპირისპირდეს წონად საჯარო თუ კერძო ინტერესებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიტუაცია, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ადამიანს აქვს განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადება. ამ დროს საქართველოს კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესს. დასაბუთებული ეჭვის შემოწმების საჭიროებისას ინდივიდი, მიუხედავად მისი რწმენისა, ვალდებულია ჩაიტაროს ყველა სათანადო სამედიცინო გამოკვლევა. ამავდროულად, გამოკვლევისას დაცული უნდა იყოს მისი ღირსება და სხვა ძირითადი უფლებები.[2035]

1007 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პოზიციით, რელიგიურად მოტივირებული მეუღლე არ აგებს პასუხს იმის გამო, რომ მან არ გადააფიქრებინა იმავე რწმენისა და მოტივაციის მქონე მეუღლეს უარი სამედიცინო დახმარების მიღებაზე, რაც სავარაუდოდ მის სიცოცხლეს გადაარჩენდა.[2036] განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმე შეეხება მშობლების უარს მცირეწლოვანი შვილებისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე, მსოფლმხედველობრივი ან რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თუნდაც შვილი იზიარებდეს მათ რწმენას. სიკეთეთა შედარების შედეგად, მშობლების რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს შვილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[2037] რწმენის თავისუფლებისა და მშობლის უფლებათა რეალიზაცია არ უნდა განხორციელდეს შვილის სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფის ხარჯზე.

1008 კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მათდამი დაპირისპირებულ სიკეთეებს შორის პროპორციული ბალანსის დაცვის საკითხის შემოწმება ხშირად უწევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ბალანსის დადგენისას სახელმწიფოს აქვს შეფასების ზღვარი, ანუ თავისუფალი მოქმედების გარკვეული სივრცე, რომლის ფარგლებიც არ უნდა დაირღვეს. მაგალითად, სოციალური მუშაკისათვის შრომითი ხელშეკრულების არგაგრძელების შემთხვევაში იმის გამო, რომ ის არ დაემორჩილა მუსლიმური პირბადის ტარების შეზღუდვას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს არ გადაუჭარბებია შეფასების ზღვრისათვის, როდესაც მან განმცხადებლის რელიგიური რწმენის გაცხადებასთან მიმართებით უპირატესობა მიანიჭა უფრო წონად სიკეთეებს სახელმწიფოსა და საჯარო მოხელეების ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნას.[2038]

[2034] იქვე, II-56.
[2035] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 76-ე მუხლი.
[2036] BVerfGE 32, 98.
[2037] Kokott, GG, Art. 4, Rn. 66.
[2038] Ebrahimian v. France (N64846/11; 26.11.2015).

1009 აღსანიშნავია, რომ ევროპულ სასამართლოს ხშირად უწევს რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვასთან დაკავშირებით სიკეთეთა შორის ბალანსის შემოწმება. სტუდენტებთან დაკავშირებული აკრძალვა მუსლიმური თავსაბურავის ტარებასთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის დროს მიჩნეული იქნა დასახული მიზნის პროპორციულ ღონისძიებად, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო განათლების ნეიტრალურობის პრინციპის დაცვასა და სხვადასხვა რელიგიის სტუდენტებს შორის კონფლიქტების პრევენციაში.[2039] რელიგიური თავსაბურავის საჯარო ადგილებში ტარების აკრძალვა, რომელიც პირდაპირ არ იყო გამოწვეული რელიგიური კონტექსტით, არამედ გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ ხდებოდა პირსახის დაფარვა, ჩაითვალა პროპორციულ ღონისძიებად. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ამ აკრძალვის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო ყველაზე მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომები.[2040]

1010 საინტერესოა მიდგომა იმ შემთხვევისადმი, როდესაც ბავშვის ინტერესი სრულფასოვანი განათლების მიღებასა და სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით დაუპირისპირდა მშობელთა რელიგიურად მოტივირებულ ინტერესს, გაეთავისუფლებინათ მათი შვილები ცურვის გაკვეთილებიდან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უპირატესობა ბავშვის ინტერესს მიანიჭა. მან მხედველობაში მიიღო ასევე ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ განმცხადებლებს შესთავაზა საკმაოდ მოქნილი ალტერნატივა - მათ ქალიშვილების შეეძლოთ ეტარებინათ საცურაო კოსტიუმი, რომელიც მთელ სხეულს ფარავდა (ე.წ. „ბურკინი“) და გამოეცვალათ ცალკე, ვაჟი მოსწავლეების თანდასწრების გარეშე.[2041]

1011 ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, კონვენციის მე-9 მუხლს არ შეესაბამება სახელმწიფო სკოლაში მშობლისათვის უარის თქმა შვილის რელიგიის გაკვეთილიდან გათავისუფლების შესახებ, როდესაც ეს გაკვეთილი არ აკმაყოფილებს ობიექტურობის, კრიტიკულობისა და პლურალიზმის კრიტერიუმებს და უპირატესობა ენიჭება კონკრეტულ რელიგიას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაპროპორციულად ჩათვალა გაკვეთილიდან გათავისუფლების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა - მშობლებს უნდა ეცნობებინათ, ანუ გაემჟღავნებინათ თავიანთი რელიგიური რწმენა სკოლის ადმინისტრაციისათვის.[2042]

1012 პროზელიტიზმის გამო დასჯის შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ პროპორციულად ჩათვალა განმცხადებლების (სამხედრო ოფიცრების) მიმართ გამოყენებული სანქციები იმ ნაწილში, რაც უკავშირდებოდა მათ მიერ სამსახურეობრივად დაქვემდებარებული პირების მიმართ განხორციელებულ არასათანადო პროზელიტიზმს. ამავდროულად, სამოქალაქო პირების მიმართ განმცხადებლების მსგავსი მოქმედება არ ჩაითვალა არასათანადო პროზელიტიზმად, რადგანაც ისინი არ იმყოფებოდნენ დაქვემდებარებული სამხედროების მსგავსი ზეწოლის ქვეშ.[2043] საერთოდ, თუ სახეზე არ არის არასათანადო პროზელიტიზმი, მაგრამ პირს მაინც

[2039] Leyla Sahin v. Turkey (N44774/98; 10.11.2005).
[2040] S.A.S. v. France.
[2041] Osmanoglu and Kocabas v. Switzerland.
[2042] Hasan and Eylem Zengin v. Turkey.
[2043] Larissis and others v. Greece.

ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასამართლო ამას არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნევს.[2044]

3.3. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

1013 როგორც აღინიშნა, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებიდან სახელმწიფოს არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური ვალდებულებებიც გამომდინარეობს. კონკრეტულ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს რამდენად არის სახეზე და რაში გამოიხატება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. ამის შემდეგ, შემოწმებას ექვემდებარება, ხომ არ დაირღვა ეს ვალდებულება სახელმწიფოს სრული უმოქმედობით ან არასაკმარისი მოქმედებით (არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპი).

1014 რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ელექტრონული პირადობის მოწმობების აღებაზე უარის მთქმელი პირების კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში, თუმცა იმსჯელა საკითხზე, თუ რამდენად წარმოეშვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, გამონაკლისი დაეწესებინა რელიგიური წინააღმდეგობის მქონე პირებისათვის შესაძლო ზიანის, როგორც სადავო ნორმის გვერდითი ეფექტის პრევენციის ან შემცირების მიზნით.[2045] სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობების უალტერნატივო, უგამონაკლისო წესი განპირობებული იყო ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით, როგორიცაა „.გაყალბებისგან მაქსიმალურად დაცული დოკუმენტების დანერგვა და, ამ გზით, მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა.“[2046] მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საშინაო ადმინისტრირებისას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ძალიან ფართო იყო. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა ოფიციალური დოკუმენტების ერთგვაროვნების დაცვის მნიშვნელობას და რომ მათი შემადგენლობის განსაზღვრა ვერ დაექვემდებარებოდა ინდივიდუალურ, თუნდაც რწმენით მოტივირებულ, შეხედულებებს. სახელმწიფოს არ ეკისრებოდა ვალდებულება იმის წინასწარ სრულად განჭვრეტისა, თუ როგორ მოხდებოდა პირადობის მოწმობის ფორმის, შინაარსისა და ტექნიკური მახასიათებლების ინტერპრეტაცია რელიგიური რწმენის კუთხით. მას არც ის ევალებოდა, რომ ოფიციალური ადმინისტრაციული დოკუმენტების მოდიფიცირება მოეხდინა რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციების მიხედვით. გონივრული არ იყო იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების შინაარსი და ფორმა ინდივიდების განსხვავებულ სურვილებზე მოერგო და მათთვის ალტერნატიული სამართლებრივი რეჟიმი შეექმნა, რაც გაუმართლებლად დაავიწროვებდა სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებს სანდოობის კუთხით, მოწყვლადს გახდიდა გაყალბებისაგან დაუცველ დოკუმენტებზე დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. საბოლოოდ,

[2044] Kokkinakis v. Greece.
[2045] N1/1/1404 გადაწყვეტილება, II-25, 30-31.
[2046] იქვე, II-32.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმის შემუშავების პროცესში სახელმწიფოს არ წარმოეშვა გამონაკლისების დაშვების პოზიტიური ვალდებულება და შესაბამისად, ელექტრონული პირადობის მოწმობების შემოღების უალტერნატივო წესი არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს.[2047] ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მიერ კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული და სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობას, რაც ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე უარის მთქმელი პირების ყოველდღიური სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს რჩებოდა შესაძლებლობა, არ დაეშვა გაყალბებისაგან დაუცველი საიდენტიფიკაციო დოკუმენ-ტების გამოყენება საჯარო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ურთიერთობებში.[2048]

სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებების დარღვევა ხშირად გამოიხატება შესაბამისი მატერიალური თუ პროცესუალური კანონმდებლობის არმიღებაში. მაგალითად, როდესაც არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურისადმი „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ დადგენას აწესრიგებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამას კონვენციის დარღვევად მიიჩნევს.[2049] კონვენციის დარღვევა ასევე სახეზეა იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ფორმალურად იღებს შესაბამის კანონმდებლობას, მაგრამ ეს კანონმდებლობა შინაარსობრივად ნაკლოვანია და არ სთავაზობს „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ მქონე პირებს სამხედრო სამსახურის რეალურ ალტერნატივას, რომელიც დაიცავდა სამართლიან ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.[2050]

1015 გარკვეულ შემთხვევებში დამცავი კანონმდებლობის არარსებობა a priori დარღვევას არ გულისხმობს. მაგალითად, დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილზე რელიგიური ტანისამოსისა და სიმბოლოს ტარებით რელიგიური აღმსარებლობის გამოხატვასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო შიდა კანონმდებლობაში ცხადი დაცვის არარსებობას თავისთავად არ თვლის უფლების არაჯეროვან დაცვად. ის მიუთითებს სახელმწიფოს შეფასების ფართო ზღვარზე, როდესაც საქმე შეეხება დაპირისპირებული ინტერესების დაბალანსებას. კონკრეტული შემთხვევის შეფასება ხდება სწორედ იმის გათვალისწინებით, რამდენად იქნა ეს ბალანსი დაცული და სავსებით შესაძლებელია, რომ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ინტერესი გადაწონოს სხვა უფრო მნიშვნელოვანმა სიკეთემ, მაგალითად მედდის მიერ სამსახურში ჯვრის საჯაროდ ტარების ინტერესი - ჯანმრთელობის დაცვამ და საავადმყოფოში უსაფრთხოების უზრუნველყოფამ.[2051]

1016 როდესაც სახეზეა მესამე პირების მხრიდან ჩარევა რწმენის თავისუფლებაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს, რამდენად შეასრულა სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულებები უფლებათა ხელყოფის პრევენციისა და მათზე სათანადო რეაგირების თვალსაზრისით. თუ სახეზეა მისი მხრიდან უმოქმედობა ან

[2047] დეტალურად იხ.: იქვე, II-33-39.
[2048] იქვე, II-40-41.
[2049] Savda v. Turkey (N42730/05; 12.6.2012).
[2050] Adyan and Others v. Armenia.
[2051] დეტალურად იხ.: Eweida and Others v. the United Kingdom (N48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10; 15.1.2013).

არაადეკვატური რეაგირება, მაგალითად სახელმწიფომ არ მიიღო შესაბამისი ზომები დევნისა და ხელშეშლის პრევენციისა და აღკვეთისათვის ან რელიგიურად მოტივირებული ძალადობის ფაქტები არაეფექტიანად იქნა გამოძიებული, სახეზეა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა.[2052]

ლიტერატურა

ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Ipsen, Staatsrecht II. Grundrechte, 16., überarbeitete Auflage, 2013; Herzog, (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Kokott, (Bearb.), Kommentar zum Art. 4, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Mager, (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Morlok, (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Bd. 1, 2. Auflage, 2006; Starck, (Bearb.), Kommentar zum Art. 4 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Zippelius, Erläuterungen zum Art. 4 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950.

[2052] შეადარე მაგ.: 97 members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia; Begheluri and Others v. Georgia.

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.

7. მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველ-საყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

შინაარსი

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები 383

შინაარსი 384

1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 385

1.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 385

1.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცული სფერო 387

1.2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების პერსონალური დაცული სფერო 387

1.2.1.1. ფიზიკური პირები 387

1.2.1.2. იურიდიული პირები 389

1.2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების საგნობრივი დაცული სფერო 390

1.2.2.1. აზრის თავისუფლება 390

1.2.2.2. ინფორმაციის თავისუფლება 397

1.2.2.3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება 401

1.2.2.3.1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებით დაცული სფეროს შემადგენელი კომპონენტები 401

1.2.2.3.2. პრესის თავისუფლება 402

1.2.2.3.3. მაუწყებლობის თავისუფლება 406

1.2.2.3.4. ცენზურის აკრძალვა 408

1.2.2.3.5. მონოპოლიზაციის აკრძალვა 410

1.2.2.4. ინტერნეტის თავისუფლება 411

1.2.2.5. ინსტიტუციური გარანტიები 412

1.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 413

1.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 413

1.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები 414

2. ჩარევა აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში 417

2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება 417

2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის სახეები 419

3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის გამართლება 423

3.1. კანონის დათქმა აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევისას 423

3.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 426

3.2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 426

3.2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის გამოსადეგობა 432

3.2.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის აუცილებლობა 432

3.2.4. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის პროპორციულობა 437

3.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 452

ლიტერატურა 453

1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი განამტკიცებს ლიბერალური დემოკრა- 1017
ტიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო უფლებებს, რომლებიც სამართლიანად ითვლება ძირითად უფლებათა კონსტიტუციური წესრიგის ქვაკუთ-ხედად,[2053] დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ

[2053] შეადარე მაგ.: Bethge H. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 9; BVerfGE 20, 56 (97); 27, 71 (81 f.); 90, 27 (32 f.); 107, 299 (329).

ელემენტად.[2054] აზრის შეზღუდვა და ინფორმაციული ვაკუუმი გამორიცხავს ამგვარი საზოგადოების არსებობასა და დემოკრატიული კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობას.[2055]

1018 დემოკრატია ვერ იარსებებს თავისუფალი აზრის გარეშე, ხოლო ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება სწორედ კომუნიკაციის პროცესში ხდება, აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გამოხატვის, გავრცელებისა და მიღების შედეგად. კონსტიტუცია უზრუნველყოფს საკომუნიკაციო უფლებებს, როგორც სუბიექტურ უფლებებს და ამავდროულად, იცავს კომუნიკაციას, როგორც პროცესს და აზრის თავისუფლებას - კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგის ობიექტურ პრინციპს. აქ სუბიექტური და ობიექტურსამართლებრივი ელემენტები ერთმანეთს განაპირობებს და აძლიერებს.[2056] საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განიხილავს, ერთი მხრივ, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტად და მისი სრულფასოვანი განვითარების წინაპირობად, რომლის დაცვაც ამ საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხოლო მეორე მხრივ - თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ძირითად პირობად და ადამიანის უფლებების აუცილებელ საფუძვლად, რომლის უზრუნველყოფაც ინდივიდუალური ინტერესებისა და მისწრაფებების პატივისცემას ემსახურება.[2057] აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციას, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას მიიჩნევს როგორც „დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედად“, ასევე ინდივიდის „თვითგანვითარების ძირითად პირობად“.[2058]

1019 ამრიგად, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე აღიარებულია გამოხატვის თავისუფლების ორმაგი მიზნობრიობა. ძირითადი უფლებების ლიბერალური გაგებიდან გამომდინარე, გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ინდივიდუალურ თავისუფლებას სახელმწიფო ჩარევებისაგან. გარდა ამისა, მას აქვს დემოკრატიულ-ფუნქციონალური კომპონენტი, რომელიც ხაზს უსვამს ამ უფლების მნიშვნელობას აზრისა და ნების ჩამოყალიბების დემოკრატიულ პროცესში.[2059]

[2054] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

[2055] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-4.

[2056] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 18, 20, 46; BVerfGE 27, 71 (81 f.).

[2057] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1; N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-25; საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალევი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-54.

[2058] Handyside v. the United Kingdom.

[2059] Mensching C. (Bearb.), Kommentar zum Art. 10 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 1; Nolte G., "Soldaten sind Mörder" - Europäisch betrachtet, in: Archiv für Presserecht 27 (1996), 313 (316).

1020 აზრების გამოთქმას და გავრცელებას მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე, „სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით“, უზრუნველყოფდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლი. ეს ნორმა აშკარად მიანიშნებდა დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის განზრახვაზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა და დისკუსია. ამავდროულად, კითხვის ნიშნებს აჩენს ამავე მუხლში არსებული ჩანაწერი, რომელიც უშვებდა, რომ აზრის გამოთქმასა და გავრცელებას შეიძლება დანაშაულის ფორმა მიეღო, რომლისათვისაც პირი პასუხს მხოლოდ სასამართლოს წინაშე აგებდა.[2060]

1021 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია უზრუნველყოფს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას, რაც მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი, დაუბკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ნებისმიერი საშუალებით, საზღვრების მიუხედავად.[2061] მსგავს გარანტიებს შეიცავს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.[2062] ევროპის მასშტაბით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას - ადამიანის უფლებას „გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.“[2063] აზრისა და მისი გამოხატვის, ინფორმაციისა და იდეების სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას, ასევე მედიის თავისუფლებასა და მრავალფეროვნებას განამტკიცებს ძირითად უფლებათა ევროკავშირის ქარტია.[2064]

1.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცული სფერო

1.2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების პერსონალური დაცული სფერო

1.2.1.1. ფიზიკური პირები

1022 კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებებით დაცული სუბიექტია ყველა ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა.[2065] ეს მკაფიოდ გამომდინარეობს ამ

[2060] შეადარე: ზოიძე, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორი, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 254.

[2061] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი.

[2062] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი.

[2063] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

[2064] ძირითად უფლებათა ევროკავშირის ქარტიის მე-11 მუხლი.

[2065] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 24, 58; Ipsen, Grundrechte, Rn. 410, 426.

მუხლის ფორმულირებებიდან. დაუშვებელია „ადამიანის“ დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო,[2066] საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების სუბიექტი „ადამიანია“ და არა მხოლოდ „მოქალაქე“. ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება აქვს „ყოველ ადამიანს“,[2067] ხოლო ინტერნეტზე წვდომისა და მისით თავისუფლად სარგებლობის უფლება - „ყველას“.[2068]

1023 კონსტიტუცია არ შეიცავს პირდაპირ ჩანაწერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებით დაცულ ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით, თუმცა თეორიიდან და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ უფლებათა სუბიექტადაც ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც მონაწილეობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროდუქციის შექმნასა და გავრცელებაში, თუ ამ მონაწილეობას არ აქვს შემთხვევითი ხასიათი. აქ იგულისხმება ჟურნალისტები, რედაქტორები, პროდიუსერები, ოპერატორები, მაუწყებლის თანამშრომლები, პრესის დისტრიბუტორები და ა.შ. ამდენად, სუბიექტი ფიზიკური პირების განსაზღვრა ამ შემთხვევაში უკავშირდება მათი საქმიანობის ტიპს და გარკვეული ინსტიტუციებისადმი - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი კუთვნილებას.[2069] იმისათვის, რომ პირი დაექვემდებაროს დაცვას, როგორც ჟურნალისტი, არაა სავალდებულო, რომ ის ფორმალურად იყოს ამ პროფესიის წარმომადგენელი. ითვლება, რომ ჟურნალისტური საქმიანობა არ არის დამოკიდებული ამ პროფესიის სამართლებრივ გაფორმებაზე და ეს არის ღია, ადამიანის უნარზე დაფუძნებული პროფესია.[2070]

1024 მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებით დაცულია არა მარტო ის ფიზიკური პირები, რომლებიც უკვე გამოსცემენ პრესას ან ახორციელებენ მაუწყებლობის ორგანიზებას, არამედ ისინი, ვისაც აქვთ ამ საქმიანობის განხორციელების სურვილი.[2071] ამ პოზიციის ავტორები მაუწყებლობის თავისუფლებას, პრესის თავისუფლების ანალოგიურად, მოიაზრებენ პოტენციურ „ყველას უფლებად“,[2072] რომელიც პრინციპულად უზრუნველყოფს მაუწყებლობის ორგანიზებაზე ხელმისაწვდომობას კერძო პირებისათვის, თუ ისინი აკმაყოფილებენ სათანადო ტექნიკურ სტანდარტებს.[2073]

[2066] კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი.

[2067] კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2068] კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

[2069] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 109 ff., 111; Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 I, II GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 135; Ipsen, Grundrechte, Rn. 435, 451; Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 41; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 14; Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 I, II, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006, Rn. 118; BVerfGE 39, 159 (162 ff.); 77, 346 (354 f.).

[2070] Bethge, GG, Art. 5, Rn. 75 a.

[2071] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 453.

[2072] შეადარე: Starck C., Kommentar zum Art. 5 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 178.

[2073] შეადარე: Degenhart C., Kommentar zum Art. 5 I, II GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950, Rn. 712; Jarass, GG, Art. 5, Rn. 40; Wendt R. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 50.

1025 მე-17 მუხლით დაცული უფლებების სუბიექტის ფიზიკური პირების წრე არ არის შეზღუდული ასაკის მიხედვით. ისინი ვრცელდება არასრულწლოვნებზეც. ამავდროულად, მართებულად უსვამენ ხაზს, რომ საკომუნიკაციო უფლებებით (სრულყოფილი) სარგებლობა ხშირად პირის მხრიდან გარკვეული უნარების ქონას მოითხოვს. თუ მას ეს შესაძლებლობები განვითარებული არ აქვს, უფლების დაცვა უფრო ვირტუალური ხასიათისაა, ვიდრე აქტუალურის. ამავდროულად, ეს გარემოება არაფერს ცვლის იმ კუთხით, რომ არასრულწლოვნები შესაბამისი უფლებების სუბიექტები არიან.[2074]

1026 აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც მონაწილეობენ ე.წ. „განსაკუთრებული სტატუსის ურთიერთობებში“, როგორიცაა ჯარისკაცები,[2075] სახელმწიფო მოხელეები[2076] და პატიმრები.[2077] ამ დროს გასათვალისწინებელია სახელმწიფოსთან მათი ურთიერთობის სპეციფიკა.[2078] ამასთან, მათი გამოხატვა შეიძლება დაექვმდებაროს უფრო ფართო შეზღუდვებს.[2079] მაგალითად, სახელმწიფო მოხელეებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, გამოხატვისას ეკისრებათ ზომიერების დაცვისა და თავშეკავების ვალდებულებები.[2080]

1027 მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების სუბიექტი არ არის მათი მომხმარებელი - მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი. ეს იმით აიხსნება, რომ მათ არ აქვთ საგნობრივი სიახლოვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის წარმოებასთან, თუმცა ამ დროს ისინი ექცევიან ინფორმაციის მიღების თავისუფლებით დაცულ სფეროში. მასობრივი ინფორმაციის საშუალების მომხმარებელი თავის მოსაზრებას ავრცელებს ამ საშუალების გამოყენებით (მაგალითად, მკითხველთა წერილები), ის დაცულია არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, არამედ აზრის გამოხატვის თავისუფლებით.[2081]

1.2.1.2. იურიდიული პირები

1028 მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებები ვრცელდება იურიდიულ პირებზეც. პირველ რიგში, აქ იგულისხმება კერძო სამართლის იურიდიული პირები.[2082] პრესისა და მაუწყებლობის თავისუფლება, ფიზიკური პირების მსგავსად და იმავე არგუმენტაციით ვრცელდება პრესის გამოცემის ან მაუწყებლობის ორგანიზების მსურველ კერძო სამართლის იურდიულ პირებზეც. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრესის თავისუფლებასთან დაახლოებული დაცვის დონე გაავრცელა

[2074] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 410, 426.

[2075] მაგ.: Engel and Others v. the Netherlands; Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria (N15153/89; 19.12.1994).

[2076] მაგ.: Vogt v. Germany (N17851/91; 26.9.1995); Wille v. Liechtenstein (N28396/95; 28.10.1999).

[2077] მაგ.: Silver and Others v. the United Kingdom (N5947/72, 6205/73, 7052/75, 7061/75, 7107/75, 7113/75, 7136/75; 25.3.1983); Kalda v. Estonia (N17429/10; 19.1.2016).

[2078] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 77.

[2079] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 7.

[2080] Bethge, GG, Art. 5, Rn. 41.

[2081] შეადარე მაგ.: იქვე, Rn. 76, 114.

[2082] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 58, 78, 110; Herzog, GG, Art. 5 I, II, Rn. 17; Ipsen, Grundrechte, Rn. 411, 450; Jarass, GG, Art. 5, Rn. 41; Starck, GG, Art. 5, Rn. 181, 184 ff.; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 116 ff.; Wendt, GG, Art. 5 GG, Rn. 50; BVerfGE 21, 271 (277); 73, 118 (183); 77, 346 (354); 80, 124 (131).

არასამთავრობო ორგანიზაციებზე. როდესაც ისინი ყურადღებას ამახვილებენ საზოგადოებრივი ინტერესის საგანზე, მოქმედებენ „მოდარაჯე ძაღლის“ (social watchdog) როლში. საზოგადოებისათვის აქტუალური ინფორმაციისა და იდეების გავრცელება არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებაა, ხოლო საზოგადოებას აქვს მათი მიღების უფლება.[2083]

1029 საჯარო სამართლის იურდიულ პირები არ არიან დაცული სუბიექტები. ამ ზოგადი პრინციპიდან გამონაკლისია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით შექმნილი მაუწყებლები,[2084] ისიც მხოლოდ შესაბამისი ძირითადი უფლების - მაუწყებლობის თავისუფლების ფარგლებში.[2085] გარდა ამისა, ისინი ვერ სარგებლობენ მაუწყებლობის ნეგატიური თავისუფლებით და შესაბამისად, არ აქვთ ამ უფლების განხორციელებაზე უარის თქმის უფლება. ამას იმ გარემოებით ასაბუთებენ, რომ საჯარო მაუწყებლებს მაუწყებლობის თავისუფლება მიენიჭება არა მათი ინიციატივით, არამედ ალტრუისტული მიზნებიდან გამომდინარე.[2086]

1030 საჯარო სამართლის იურდიული პირები არ არიან დაცული პრესის თავისუფლებით,[2087] თუმცა ამ სტატუსის მქონე მაუწყებლების მაუწყებლობის თავისუფლება მოიცავს სამაუწყებლო პროგრამის თანმხლები ბეჭდვითი მასალების გამოცემას. პრესის თავისუფლება ვრცელდება საჯარო სამართლის იურდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებზე, როდესაც ისინი გამოსცემენ რელიგიურ პრესას.[2088]

1.2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. აზრის თავისუფლება

1031 კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი იცავს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას. აზრის თავისუფლება ითვლება ადამიანის პიროვნულობის უშუალო გამოხატულებად და მისი განვითარების უმნიშვნელოვანეს ფორმად, ასევე თავისუფალი, დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის სასიცოცხლო, ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტად.[2089] თავისუფალი საზოგადოება თავისუფლად მოაზროვნე ინდივიდების ერთობაა, რომლებსაც „..აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს. ..დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა,

[2083] Társaság a Szabadságjogokért v. Hungary (N37374/05; 14.4.2009); Animal Defenders International v. the United Kingdom (N48876/08; 22.4.2013).

[2084] Bethge, GG, Art. 5, Rn. 43, 99; BVerfGE 31, 314 (321 f.); 59, 231 (254 f.); 74, 297 (317 f.).

[2085] BVerfGE 59, 231 (254); 83, 238 (312 f.).

[2086] Bethge, GG, Art. 5, Rn. 107.

[2087] მაგ.: BVerfGE 68, 193 (207f.); 75, 192 (197).

[2088] Bethge H., Die Grundrechtsberechtigung juristischer Personen nach Art. 19 Abs. 3 Grundgesetz, 1985, 61 ff.

[2089] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 17, 22; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 1 ff.; BVerfGE 7, 198 (208); 62, 230 (247); 69, 315 (344 f.); 102, 347 (366).

რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი.“[2090] თავისუფალ სამყაროში აზრის თავისუფლების მიზანია, უზრუნველყოს აზრებისა და იდეების შეუზღუდავი გაცვლა-გამოცვლა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში.[2091]

„აზრის“ ლეგალური დეფინიცია მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების 1032
შესახებ“ კანონში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მის ფორმალურ და შინაარსობრივ მახასიათებლებზე. კერძოდ, „აზრად“ ითვლება „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.“[2092] აზრი გამოიხატება გონებრივი დაპირისპირების ფარგლებში და ახასიათებს განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტები.[2093]

1033
შინაარსობრივი თვალსაზრისით, „აზრი“ გულისხმობს არა მარტო სხვათათვის მისაღებ და არასაკამათო, არამედ კრიტიკულ, მწვავე, ზედმეტად მკაცრ, არაადეკვატურ, არაპოპულარულ, გაზვიადებულ, სატირულ, ირონიულ, წინააღმდეგობრივ, აღმაშფოთებელ, პროვოკაციულ და შოკისმომგვრელ გამოხატვას.[2094] „აზრისადმი“ მიკუთვნებისათვის მნიშვნელობა არ აქვს გამონათქვამის ფასეულობას, მართებულებასა და გონივრულობას.[2095] ასევე არსებით როლს არ თამაშობს ის, თუ როგორია აზრის დასაბუთება - ღირებული თუ არაღირებული, სწორი თუ არასწორი, ემოციური თუ რაციონალური.[2096] აზრს შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ პოლიტიკური, იდეური ან პოპულარული, არამედ პრივატული და ბანალური შინაარსიც.[2097]

1034
ე.წ. „სიძულვილის ენა“ (hate speech) a priori არ არის გამორიცხული აზრის თავისუფლებით დაცული სფეროდან,[2098] თუმცა ის შეიძლება დაექვემდებაროს გაცილებით მკაცრ შეზღუდვებს.[2099] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კონსტიტუციით დაცული სფეროდან გამოდის სიტყვა, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური, სოციალური, მხატვრული ან სხვა ღირებულება, როდესაც ის უპირისპირდება საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებას, სხვათა უფლებებსა და

[2090] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-13.

[2091] Rohloff A., Grundrechtsschranken in Deutschland und den USA, 2007, 108; Wissenschaftliche Dienste Deutscher Bundestag, Freie Meinungsäußerung in der Bundesrepublik Deutschland und den USA im Vergleich (www.bundestag.de; 5.5.2023), 11;

[2092] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[2093] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 182; Bethge, GG, Art. 5, Rn. 25.

[2094] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-106; The Sunday Times v. the United Kingdom (N1) (N6538/74; 26.4.1979); Vogt v. Germany; Hertel v. Switzerland (N25181/94; 25.8.1998); Janowski v. Poland (N25716/94; 21.1.1999); Sokolowski v. Poland (N75955/01; 29.3.2005); Vereinigung Bildender Künstler v. Austria (N68354/01; 25.1.2007); Leroy v. France (N36109/03; 2.10.2008); Alves da Silva v. Portugal (N41665/07; 20.10.2009); Eon v. France (N26118/10; 14.3.2013); Kharlamov v. Russia (N27447/07; 8.10.2015); Perinçek v. Switzerland (N27510/08; 15.10.2015); Ziembinski v. Poland (N2) (N1799/07; 5.8.2016); BVerfGE 93, 266 (289).

[2095] BVerfGE 61, 1 (8); 85, 1 (14).

[2096] BVerfGE 61, 1 (7).

[2097] შეადარე მაგ.: Jacubowski v. Germany (N15088/89; 23.6.1994); Juppala v. Finland (N18620/03; 2.12.2008).

[2098] მაგ.: Möller T., Der grundrechtliche Schutzbereich der Meinungsfreiheit in Deutschland, England und den USA, 2016, 264; Wissenschaftliche Dienste Deutscher Bundestag, Zum Schutz der Meinungsfreiheit in Deutschland und in den USA (www.bundestag.de; 05.05.2023).

[2099] შეადარე მაგ.: BVerfGE 99, 185 (197).

თავისუფლებებს.[2100] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „აზრად“ მსგავსი „არაღირებული“ გამონათქვამებიც ითვლება, თუმცა როდესაც მათი მიზანი ამ სიკეთეების დაზიანებაა და არა გონებრივ დისკუსიაში წვლილის შეტანა, მაშინ კონსტიტუცია აღარ ახდენს მათ უზრუნველყოფას.

1035 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის მე-17 მუხლის (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა) საფუძველზე, გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროდან გამორიცხავს ჰოლოკოსტის უარყოფას,[2101] ანტისემიტურ[2102] ან ექსტრემისტულ[2103] გამოხატვას, სიძულვილის გაღვივებას,[2104] რასისტულ შეურაცხ-ყოფას[2105] და ა.შ. მსგავსი შინაარსის გამოხატვა ვერ ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგანაც ის წინააღმდეგობაშია კონვენციით განმტკიცებულ ღირებულებებთან.[2106] განსხვავებულია ამ საკითხისადმი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიდგომა, რომელიც ეფუძნება აზრის თავისუფლების ფართო ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც გამოხატვა არ უნდა გამოირიცხოს აზრის თავისუფლებით დაცული სფეროდან მხოლოდ მისი შინაარსის გამო.[2107] ამასთან, გამოხატვის გარკვეული კატეგორიები იმთავითვე არ არის დაცული აზრის თავისუფლებით (unprotected speech). მაგალითად, შეურაცხმყოფელი გამოხატვა დაცული სფეროდან გამოირიცხება მაშინ, როდესაც ის არასწორ ფაქტებს შეიცავს.[2108]

1036 დაცულია აზრის გამოხატვისა და გავრცელების საშუალება. გამოხატვის ხერხებისა და ფორმების ამომწურავად განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია. ის შეიძლება განხორციელდეს ზეპირად, წერილობით, გამოსახულებებისა თუ სიმბოლოების გამოყენებით, მუსიკით, ჟესტიკულაციით და ა.შ.[2109] შინაარსის მსგავსად, აზრის გამოხატვის ფორმაც შეიძლება გადაჭარბებული და პროვოკაციული იყოს (მაგალითად, პროტესტის გამოხატვა სიშიშვლით).[2110] თავისუფალია გამოხატვის ადგილისა და დროის შერჩევაც.[2111] ინდივიდს უნდა მიეცეს გამოხატვის შესაძლებლობა ისეთ გარემოებებში, რაც მისი ვარაუდით, უზრუნველყოფს აზრის მაქსიმალური გავრცელების მასშტაბსა და ზეგავლენის სიძლიერეს.[2112] თუმცა, აზრის თავისუფლებაზე დაყრდნობით პირი ვერ

[2100] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-31.

[2101] Lehideux and Isorni v. France (N24662/94; 23.9.1998); Garaudy v. France (N65831/01; 24.6.2003); Witzsch v. Germany (N2) (N72485/03; 13.12.2005); Pastörs v. Germany (N55225/14; 3.10.2019).

[2102] Pavel Ivanov v. Russia (N35222/04; 20.2.2007); Hizb ut-Tahrir and Others v. Germany (N31098/08; 12.6.2012).

[2103] Norwood v. The United Kingdom (N23131/03; 16.11.2004).

[2104] Belkacem v. Belgium (N34367/14; 27.6.2017).

[2105] M’Bala M’Bala v. France (N25239/13; 20.10.2015).

[2106] მაგ.: Pastörs v. Germany.

[2107] Möller, Schutzbereich der Meinungsfreiheit, 235 ff.; WD, Zum Schutz der Meinungsfreiheit, 8.

[2108] Möller, Schutzbereich der Meinungsfreiheit, 265; United States v. Alvarez, 567 U.S. 709 (2012).

[2109] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-3; Bethge, GG, Art. 5, Rn. 26a; Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 142 ff.; Ipsen, Grundrechte, Rn. 419; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 67; Starck, GG, Art. 5, Rn. 28 ff.; Wendt, GG, Art. 5, Rn. 15; Steel and Others v. the United Kingdom; Hashman and Harrup v. the United Kingdom (N25594/94; 25.11.1999); Vajinai v. Hungary (N33629/09; 8.7.2008); Tatár and Fáber v. Hungary (N26005/08; 12.6.2012); Murat Vural v. Turkey (N9540/07; 21.10.2014).

[2110] მაგ.: Perna v. Italy (N48898/99; 6.5.2003); Mamére v. France (N12697/03; 7.11.2006); Gough v. the United Kingdom (N49327/11; 28.10.2014); Stern Taulats and Roura Capellera v. Spain (N51168/15; 13.3.2018).

[2111] Bethge, GG, Art. 5, Rn. 26a.

[2112] BVerfGE 93, 266 (289).

მოითხოვს კომუნიკაციის პარტნიორით ან მსმენელთა აუდიტორიით უზრუნველყოფას.[2113]

1037 აზრის თავისუფლების, ისევე როგორც ნებისმიერი ძირითადი უფლებით, სარგებლობას უნდა ჰქონდეს მშვიდობიანი და არაძალადობრივი ხასიათი.[2114] აზრის გამოხატვა გონებრივი დაპირისპირების ელემენტია და მისი მიზანია სხვებზე ზეგავლენის მოხდენა, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ზეწოლისა და ძალის გამოყენების გზით.[2115] ამგვარი ქმედება არათუ ხელს უწყობს კომუნიკაციის, არამედ პირიქით - ხელს უშლის მის წარმართვას.[2116] თუ ფიზიკური ზემოქმედებით საკუთარი აზრის თავსმოხვევა ცალსახად დაუშვებელია, გაცილებით კომპლექსურია ფსიქოლოგიური ზემოქმედების საკითხი, რადგანაც სხვებისათვის საკუთარი მოსაზრების სისწორის შთაგონების თანამიმდევრული მცდელობა ნებისმიერი დისკუსიის ნაწილია. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ არ უნდა შეიძინოს ისეთი შინაარსი და ინტენსივობა, რაც კომუნიკაციის პარტნიორს წაართმევს საკუთარი პოზიციის თავისუფლად ჩამოყალიბების შესაძლებლობას.[2117]

1038 თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში მიჯნავენ „აზრსა“ და „ფაქტს“.[2118] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აზრი“ ადამიანის პირადი, სუბიექტური შეფასებაა „ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ“, რომლის მართებულობაც მტკიცებას არ ექვემდებარება.[2119] რაც შეეხება „ფაქტს“, მასში იგულისხმება „რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი.“ ამდენად ფაქტი მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს და ექვემდებარება ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას.[2120]

1039 აღსანიშნავია, რომ ფაქტებსა და აზრებს, შეფასებით მსჯელობებს შორის აღნიშნული დიფერენციაცია ეფუძნება დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო, განსაკუთრებით კი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომასა და გამოცდილებას.[2121] ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ასევე ვხვდებით ერთგვარ შერეულ ფორმას - შეფასებაზე დაფუძნებულ ფაქტების კონსტატაციას (value-laden statement of fact).[2122] მართალია, მოსაზრება მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ ის შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს, როდესაც მას არ აქვს ფაქტობრივი საფუძველი.[2123]

[2113] Bethge, GG, Art. 5, Rn. 26a.

[2114] იქვე, Rn. 35.

[2115] BVerfGE 25, 256 (264 f.); 104, 92 (105 f.).

[2116] Bethge, GG, Art. 5, Rn. 34.

[2117] შეადარე: BVerfGE 25, 256 (265).

[2118] მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 67.

[2119] N2/1/241 გადაწყვეტილება, იქვე.

[2120] მაგ.: N2/1/241 გადაწყვეტილება, იქვე; Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovina (N17224/11; 27.6.2017).

[2121] მაგ.: Lingens v. Austria (N9815/82; 8.7.1986).

[2122] Karsai v. Hungary (N5380/07; 1.12.2009).

[2123] მაგ.: De Haes and Gijsels v. Belgium (N19983/92; 24.2.1997).

1040 ფაქტის კონსტატაციას არ აქვს აზრის გამოხატვისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა ეს გარემოება a priori არ გამორიცხავს მას აზრის თავისუფლებით დაცული სფეროდან. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მას მიიჩნევს დაცულად, როდესაც ის აზრის ჩამოყალიბების წინაპირობაა.[2124] ამდენად, აზრის თავისუფლებით დაცული სფეროს მიღმა რჩება ფაქტების გავრცელება, რომელსაც წვლილი არ შეაქვს აზრის ჩამოყალიბებაში. თუმცა, მთავარი ფაქტორი, რაზეც დამოკიდებულია ფაქტების კონსტატაციის კონსტიტუციურსამართლებრივი უზრუნველყოფა, არის მათი ნამდვილობა. აზრის თავისუფლებით არ არის გარანტირებული შეგნებულად არასწორი ფაქტების ან ციტატების გავრცელება, ან ისეთი ფაქტების კონსტატაცია, რომელთა სინამდვილესთან შეუსაბამობა გამოხატვის მომენტში უდავოდ დადგენილი იყო. ამასთან, დაცვას ექვემდებარება ისეთი ფაქტების გავრცელება, რომელთა არანამდვილობა მოგვიანებით გამომჟღავნდა.[2125] მით უფრო გარანტირებულია ისეთი გამოხატვა, რომლის საგანსაც ნამდვილი ფაქტები წარმოადგენს.[2126]

1041 აზრი, შეფასებითი მსჯელობა დაცვის უფრო მაღალი ხარისხით სარგებლობს, ვიდრე ფაქტი და მისი გავრცელება, რაც გადამწყვეტია აზრის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასებისას.[2127] საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით,[2128] რაც იმას ნიშნავს, რომ აზრის გამოხატვისათვის პირი სრულად და უპირობოდ თავისუფლდება სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.[2129] უზრუნველყოფის მსგავსი ხარისხი არ ვრცელდება ფაქტების მტკიცებაზე. მეტიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, იშველიებს რა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილებას, აღნიშნავს, რომ შეგნებულად ცრუ ფაქტების გავრცელება დაცვას არ ექვემდებარება.[2130]

1042 გარკვეულ შემთხვევებში „აზრისა“ და „ფაქტის“ განსხვავება საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგანაც გამოხატვის ეს ფორმები ხშირად ერთმანეთთანაა მჭიდროდ დაკავშირებული და ერთობლივად ქმნის გამოხატვის არსს. „აზრები უმეტესწილად გამოიხატება რაღაც კონკრეტულ ფაქტებთან კავშირში, ეხება და ეფუძნება მათ.“[2131] აზრის თავისუფლების ეფექტიანი დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.[2132] ამით გაზიარებულია დასავლური საკითხისადმი დასავლური მიდგომა. მაგალითად, მსგავს ვითარებაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამოდის „აზრის“ ფართო გაგებიდან და გამოხატვას, რომელშიც აზრები და ფაქტები ერთმანეთშია შერეული, განიხილავს როგორც „აზრს“. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებს შეეხება,

---

[2124] BVerfGE 54, 208 (219); 61, 1 (8); 85, 1 (15).

[2125] BVerfGE 61, 1 (8); 90, 1 (15); 90, 241 (254) 99, 185 (197).

[2126] BVerfGE 97, 391 (403).

[2127] მაგ.: BVerfGE 61, 1 (17 f.); 99, 185 (196 f.).

[2128] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[2129] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი.

[2130] N2/1/241 გადაწყვეტილება, II; BVerfGE 54, 208 (219); 99, 185 (197).

[2131] იქვე, II.

[2132] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

როდესაც გამოხატვის შეფასებითი და ფაქტობრივი შინაარსის გამიჯვნა მას აზრს დაუკარგავდა ან დაუმახინჯებდა.[2133]

1043 აზრის თავისუფლებით დაცულია კითხვებიც, რადგანაც ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფაქტების დადგენისა[2134] და აზრის ჩამოყალიბების პროცესში.[2135] კითხვები განსხვავდება შეფასებითი მსჯელობებისა და ფაქტების კონსტატაციისაგან იმით, რომ აზრს თავად კი არ გამოხატავენ, არამედ მიზნად ისახავენ გამოხატვის გამოწვევას. განსხვავებულად განიხილავენ ე.წ. „რიტორიკულ კითხვებს", რომლებიც იმთავითვე შეიცავენ აზრის გამოხატვას.[2136]

1044 აზრის გამოხატვა შეიძლება განხორციელდეს მოწოდების სახით. „მოწოდება" განიმარტება, როგორც „განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას."[2137] მოწოდება გონებრივი ზეგავლენის მოხდენისკენაა მიმართული და მას მესამე პირთა მხრიდან მოქმედება მოჰყვება იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაექვემდებარებიან ამ ზეგავლენას. გამოხატვის ეს ფორმა შეიძლება შეიცავდეს მოწოდებას მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისაკენ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში გამოხატვა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქცევა ან გაზარდოს მისი ალბათობა და შესაბამისად, დაარღვიოს საზოგადოებრივი მშვიდობა, მიეკუთვნება ე.წ. „საბრძოლო სიტყვების" (fighting words) კატეგორიას.[2138] საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით, რაც იმას გულისხმობს, რომ თუნდაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისაკენ მოწოდება a priori არ იწვევს მისი ავტორისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.[2139] ამდენად, მსგავსი მოწოდებები აზრის გამოხატვით დაცულ სფეროშია მოქცეული, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, როდესაც მათ უშუალოდ შეიძლება გამოიწვიონ ძალადობრივი დაპირისპირება.[2140]

1045 საინტერესოა ბოიკოტისაკენ მოწოდების საკითხი, რაც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზემოქმედების განხორციელებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მას თვლის პროტესტის გამოხატვის საშუალებად.[2141] ბოიკოტისაკენ მოწოდება დაცულია აზრის თავისუფლებით, როდესაც გამოყენებულია, როგორც გონებრივი დაპირისპირების საშუალება და მისი მიზანია ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებრივი დებატების გამოწვევა.[2142] დაუშვებელია მოწოდების ადრესატებზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნით მინიშნება, რომ მისი არგაზიარება გამოიწვევს მძიმე შედეგებს. ასევე

[2133] BVerfGE 85, 1 (15 f.).
[2134] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 190.
[2135] BVerfGE 85, 23 (31 f.).
[2136] Bethge, GG, Art. 5, Rn. 30.
[2137] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის პირველი მუხლის „დ" ქვეპუნქტი.
[2138] Chaplinsky v. New Hampshire, 315 U.S. 296 (1940).
[2139] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.
[2140] Möller, Schutzbereich der Meinungsfreiheit, 270 f.; WD, Zum Schutz der Meinungsfreiheit, 9.
[2141] მაგ.: Willem v. France (N10883/05; 16.7.2009).
[2142] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 37; Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 152 f.; Baldassi and Others v. France (N15271/16; 11.7.2020).

მიუღებელია იმავე მიზნით მოწოდების ავტორის მიერ ეკონომიკური ან სოციალური ძალაუფლების გამოყენება.[2143]

1046 სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა ოფიციალური განცხადებები და შეფასებები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების ფარგლებში, არ მიეკუთვნება აზრის თავისუფლების საგნობრივ დაცულ სფეროს. ამის მიზეზია ის ფუნქციონალური განსხვავება, რაც არსებობს, ერთი მხრივ, ძირითად უფლებებსა და მეორე მხრივ, საჯარო უფლებამოსილებებს შორის.[2144] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს არა აზრის თავისუფლების რეალიზაციას, არამედ ადმინისტრაციული კომპეტენციის განხორციელებას. შესაბამისად, „ესა თუ ის ორგანო ან თანამდებობა გამოხატვის ფორმას კი არ წარმოადგენს, არამედ პირის მიერ ადმინისტრაციული უფლებამოსილებების განხორციელების ადგილი და ფორმაა," ხოლო კონსტიტუციის მე-17 მუხლის „..მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა და არა რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის სტაბილურობის გარანტირება."[2145] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დეპუტატის მიერ აზრის თავისუფალი გამოხატვა დაცულია არა აზრის თავისუფლებით, არამედ მისი თავისუფალი მანდატით, რაც უზრუნველყოფს მის მონაწილეობას საკანონმდებლო ორგანოს ნების ჩამოყალიბების პროცესში.[2146] მოხელეთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში გაკეთებული განცხადებებისაგან განსხვავებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს მათ მიერ განხორციელებულ მხილებას (whistle-blowing).[2147]

1047 განსხვავებულ პოზიციებს ვხვდებით იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა დაცული აზრის თავისუფლებით კომერციული გამოხატვა. გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, კომერციული რეკლამა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც „აზრი".[2148] თუმცა, უფრო დამაჯერებელია საწინააღმდეგო არგუმენტები.[2149] პირველ რიგში, კომერციული რეკლამა ეკონომიკური საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება, მისი ფუნქცია არა გონებრივ დაპირისპირებაში წვლილის შეტანა, არამედ განსაზღვრული პროდუქტის რეალიზაციის გაუმჯობესებაა. მეტიც, კომერციული რეკლამა განსაკუთრებით წარმატებული იმ შემთხვევაშია, როდესაც გონებრივ დაპირისპირებას საერთოდ არ აქვს ადგილი. მისი მიზანი არაა, რომ მომხმარებელს აუცილებლად გააზრებულად და ცნობიერად გაუჩნდეს რეკლამირებული პროდუქტის შეძენის იმპულსი. გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ წინააღმდეგობრივი იქნება, თუ აზრის თავისუფლებით დაცული სფეროს ფარგლების

[2143] BVerfGE 25, 256 (265).

[2144] Bethge, GG, Art. 5, Rn. 39.

[2145] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-16.

[2146] BVerfGE 60, 374 (380); 88, 188 (218).

[2147] Heinisch v. Germany (N28274/08; 21.7.2011); Gawlik v. Liechtenstein (N23922/19; 16.2.2021).

[2148] შეადარე მაგ.: Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 137; Jarass, GG, Art. 5, Rn. 3; Starck, GG, Art. 5, Rn. 25; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 62; Wendt, GG, Art. 5, Rn. 11; Casado Coca v. Spain (N15450/89; 24.2.1994); BVerfGE 95, 173 (182); 102, 347 (365 f.).

[2149] Ipsen, Grundrechte, Rn. 422.

განმარტებაზე არ გავრცელდება იგივე მიდგომა, რაც შეკრების თავისუფლებაზე, რომელიც გამოხატვის ფორმაა და შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი შეკრებების დაცვით, რომლით დაცულ სფეროშიც მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისაკენ მიმართული შეკრებები შედის.[2150] აღნიშნულიდან გამომდინარე, კომერციული რეკლამა უფრო მეწარმეობის თავისუფლებით დაცულ სფეროს განეკუთვნება, ვიდრე აზრის თავისუფლებისას.

1048 აზრის თავისუფლებას, თავისუფლების თითქმის ყველა უფლების მსგავსად, აქვს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. აზრის პოზოტიური თავისუფლება უზრუნ-ველყოფს აზრის გამოხატვას, ხოლო ნეგატიური თავისუფლება კი - შესაძლებლობას, არ ისარგებლო ამ ძირითადი უფლებით,[2151] თავი შეიკავო შენთვის არასასურველი და შენი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრის გამოხატვისაგან.[2152]

1049 აზრის თავისუფლებას აქვს შინაგანი (forum internum) და გარეგანი (forum externum) განზომილება. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით დაცული სფეროები.[2153] აზრის თავისუფლება ორივე მუხლში იყო ნახსენები, ხოლო მე-19 მუხლი დაცულ სიკეთედ ასევე ითვალისწინებდა „სიტყვას“. იქედან გამომდინარე, რომ ეს ნორმა ადამიანის პირადულ სფეროს იცავდა, ის ჩაითვალა აზრისა და სიტყვის თავისუფლების forum internum-ის, ადამიანის შინაგანი სამყაროს გარანტიად, რომელიც არ ექვემდებარებოდა შეზღუდვასა და რეგულირებას, რადგან ინდივიდის თავისუფლების, იდენტობისა და ავტონომიის საფუძველს ქმნიდა. თუმცა, შესაძლებელი იყო აზრის გამოვლინების (ანუ forum externum-ის) შეზღუდვა, როდესაც ის არღვევდა პირადი სფეროს შიგნით მყოფი პირების უფლებებს. კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროში ხვდებოდა აზრი ან სიტყვა, რომელიც სცდებოდა პირადულ სფეროს, გარე სამყაროსთან მოდიოდა შემხებლობაში, უპირისპირდებოდა პირადი სივრცის მიღმა მყოფი პირების ან საზოგადოების ინტერესებს. ამგვარი გამოხატვის შეზღუდვა შესაძლებელი იყო 24-ე ან/და სხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება აქტუალურია აზრის თავისუფლების შინაგანი და გარეგანი განზომილებების გამიჯვნისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის რეფორმის შემდეგ აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებულმა რეგულირებებმა თავი მოიყარა მე-17 მუხლში და სწორედ ამ ნორმითაა დაცული მისი ორივე განზომილება.

1.2.2.2. ინფორმაციის თავისუფლება

1050 კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ადამიანის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. აზრის გამოხატვისა და გავრცელების წინაპირობაა მისი ჩამოყალიბება.[2154] თავის მხრივ, აზრის ჩამოყალიბებას

[2150] მაგ.: BVerfGE 104, 92 (104). შეადარე ასევე: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-3.

[2151] მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 23, 38a; BVerfGE 95, 173 (182).

[2152] N2/1/241 გადაწყვეტილება, I-1; N2/2-389 გადაწყვეტილება, II-13.

[2153] დეტალურად იხ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-9-14.

[2154] BVerfGE 54, 208 (219); 61, 1 (8); 85, 1 (15).

ემსახურება ინფორმაციის თავისუფლება.[2155] ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე.[2156]

1051 გამოყოფენ ინფორმაციის თავისუფლების არსის განმსაზღვრელ ორ კომპონენტს.[2157] პირველი გამოიხატება მის კავშირში დემოკრატიის პრინციპთან. დემოკრატია ვერ იარსებებს თავისუფალი და ინფორმირებული საზოგადოებრივი აზრის გარეშე. „ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა.“[2158] ინფორმაციის თავისუფლება „კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.“[2159] ინფორმაციის თავისუფლების ინდივიდუალურსამართლებრივი კომპონენტი გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან. ადამიანის პიროვნული განვითარების ელემენტარული წინაპირობაა, რომ მიიღოს ინფორმაცია შეძლებისდაგვარად ბევრი წყაროებიდან და გაიღრმავოს ცოდნა.[2160] საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ინფორმაციის თავისუფლების საზოგადოებრივ დატვირთვას, ხოლო მეორე მხრივ - მის დიდ მნიშვნელობას „ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის.“[2161]

1052 ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას ზეპირად, წერილობით ან სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.[2162] დაცულია როგორც ინფორმაციის მოპოვება აქტიური მოქმედების საშუალებით, ასევე მისი პასიური მიღება. დაცვას ექვემდებარება ისეთი ინფორმაციის მიღების შანსიც, რომელიც წინასწარ არ იყო „შეკვეთილი“.[2163]

1053 ინფორმაციის თავისუფლება იცავს ინფორმაციის მიღებას მხოლოდ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.[2164] ამ კატეგორიას მიეკუთვნება წყარო, რომელიც (1) ტექნიკურად გამოსადეგია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად და (2) ფაქტობრივად ხელმისაწვდომია.[2165] ამდენად, წყაროს

[2155] Bethge, GG, Art. 5, Rn. 24.

[2156] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

[2157] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 181.

[2158] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

[2159] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-14.

[2160] BVerfGE 27, 71 (81f.).

[2161] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-10.

[2162] საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[2163] Bethge, GG, Art. 5, Rn. 53.

[2164] მაგ.: Von Coelln C., Zur Medienöffentlichkeit der Dritten Gewalt. Rechtliche Aspekte des Zugangs der Medien zur Rechtsprechung im Verfassungsstaat des Grundgesetzes, 2005, 142 ff.; Gaskin v. the United Kingdom; Sdruženi Jihoceské Matky v. Czech Republic (N19101/03; 10.7.2006); BVerfGE 103, 44 (60).

[2165] Ipsen, Grundrechte, Rn. 428.

ხელმისაწვდომობა ამ ფაქტორების მიხედვით განისაზღვრება და ამ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული.[2166] საყოველთაოდ ხელმისაწვდომია როგორც ინფორმაციის ტრადიციული მატარებლები, მაგალითად პრესა, რადიო და ტელევიზია,[2167] ასევე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებიც, როგორიცაა ინტერნეტი და ციფრული ტელევიზია.[2168] ამისგან განსხვავებით, ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყარო არ არის შეტყობინებები, რომლებიც გამიზნულია ადრესატთა შეზღუდული წრისათვის, კერძო ჩანაწერები და სატელეფონო საუბრები.[2169] წყაროს ხელმისაწვდომობისათვის მნიშვნელობა არ აქვს შიდა არის ის თუ საზღვარგარეთული.[2170] როდესაც ინფორმაციის მიღება დამოკიდებულია ტექნიკურ მოწყობილობებზე, ინფორმაციის თავისუფლებით დაცულია მათი შეძენა და გამოყენება.[2171] მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაცულად მიიჩნია პარაბოლური ანტენის დაყენება, რომელიც იძლევა სატელიტური მაუწყებლობის მიღების ტექნიკურ შესაძლებლობას.[2172] წყაროს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ბუნებას ვერ უკარგავს სახელმწიფოს მიერ მისი ხელმისაწვდომობის შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენება.[2173]

1054 სახელმწიფო ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროს არ წარმოადგენს.[2174] მას ასევე არ აქვს პოზიტიური ვალდებულება, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია.[2175] აქედან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის მიღება არ არის დაცული ინფორმაციის თავისუფლებით. თუმცა, ამ შესაძლებლობას უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთმანეთისაგან არ მიჯნავდა ინფორმაციის მიღებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან და საჯარო დაწესებულებებიდან. კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც შეეხებოდა ინფორმაციის მიღებას სახელმწიფო ორგანოებიდან, მან განიხილა როგორც ინფორმაციის თავისუფლების, ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით.[2176] მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა მიდგომა და ინფორმაციის თავისუფლება განმარტა, როგორც „..მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის.“[2177] მან მკაფიოდ განაცხადა, რომ სახელმწიფო დაწესებულებები არ

[2166] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 57b.

[2167] BVerfGE 27, 71 (83 f.); 35, 307 (309); 90, 27 (32).

[2168] Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 276.

[2169] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 431; Starck, GG, Art. 5, Rn. 49.

[2170] შეადარე: Ipsen, იქვე; Starck, იქვე, Rn. 45.

[2171] Bethge, GG, Art. 5, Rn. 54.

[2172] BVerfGE 90, 27 (32).

[2173] მაგ.: BVerfGE 27, 71 (83 f.); 33, 52 (65); 90, 27 (32).

[2174] მაგ.: Jarass, GG, Art. 5, Rn. 16a; BVerfGE 103, 44 (60).

[2175] Roche v. the United Kingdom (N32555/96; 19.10.2005); Magyar Helsinki Bizottsag v. Hungary (N18030/11; 8.11.2016).

[2176] N2/2/359 გადაწყვეტილება; საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[2177] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-14.

წარმოადგენენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს და მათთან დაცულ „..ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურსამართლებრივი რეჟიმი.. განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორ-მაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისაგან.“[2178]

1055 ინფორმაციის თავისუფლება არ უზრუნველყოფს ინფორმაციის პროაქტიულად მოპოვების უფლებას დაცული წყაროებიდან. საკონსტიტუციო სასამართლო გამონაკლისად მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც შესაბამისი ინფორმაცია საჯარო მნიშვნელობისაა და არსებითია გამოხატვის თავისუფლებისათვის. ამავდროულად, ის ხაზს უსვამს, რომ „ერთი პირის შესახებ პერსონალურ ინფორმაციას, როგორც წესი, ამგვარი ხასიათი არ გააჩნია.“[2179]

1056 ინფორმაციის თავისუფლებით უზრუნველყოფილია ინფორმაციის გავრცელების უფლება, ანუ უფლება, განახორციელო სხვების ინფორმირება.[2180] პირს შეუძლია ინფორმაციის გავრცელება ზეპირად, წერილობით ან სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. დაცულია ინფორმაციის გავრცელებისათვის შერჩეული საშუალება.[2181]

1057 კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე სხვა პირის დავალებით.[2182] ამასთან, პირის შესაძლებლობა, დაიკავოს რაიმე თანამდებობა, შევიდეს შრომით ან სხვა სახის ურთიერთობაში, რომელიც შეიძლება მოიაზრებდეს ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებას, არ არის დაცული ინფორმაციის თავისუფლებით.[2183] საკონსტიტუციო სასამართლო ამისაგან განასხვავებს შემთხვევას, „..როდესაც ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა პირის შრომითი ან სხვა სახის ურთიერთობის თანმდევი პროცესია და მის ფარგლებში ხორციელდება.“ აქედან გამომდინარე, იგი გარანტირებულად მიიჩნევს „...ჟურნალისტის, მკვლევარის, მასწავლებლის ან/და სხვა პირის საქმიანობას, როდესაც იგი იღებს, ამუშავებს ან/და ავრცელებს ინფორმაციას სხვისი დავალებით.“[2184]

1058 ის გარემოება, რომ სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს ინფორმაციის მიმოცვლას, თავისთავად არ ნიშნავს მის კავშირს ინფორმაციის თავისუფლებასთან. ამ დროს გადამწყვეტია თვით ამ ურთიერთობის შინაარსი და სპეციფიკა.[2185] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ პაციენტსა და ფსიქიატრიული დახმარების დაწესებულებას შორის ინფორმაციის მიმოცვლა ჩათვალა ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტად და არა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში სუბიექტებს შორის ინფორმაციის გავრცელებად.[2186]

[2178] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-11.

[2179] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-159.

[2180] მაგ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 20.

[2181] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-3; N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-3.

[2182] N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-6.

[2183] იქვე, II-5.

[2184] იქვე, II-6.

[2185] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-160.

[2186] იქვე, II-161.

ინფორმაციის თავისუფლებას, პოზიტიურ ასპექტთან ერთად, აქვს ნეგატიური ასპექტიც.[2187] ინფორმაციის პოზიტიური თავისუფლება გულისხმობს არაკონსტიტუციური აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობას. ინფორმაციის ნეგატიური თავისუფლების გამოყენებით პირს შეუძლია უარი განაცხადოს ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებაზე და არ დაექვემდებაროს იძულებას ამ თვალსაზრისით.[2188] ინფორმაციის ნეგატიური თავისუფლების საკითხი ღიად დატოვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.[2189] თუმცა, აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის გავრცელებისაგან „თავშეკავების უფლება“ ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება გამომდინარეობდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებიდან.[2190] 1059

1.2.2.3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება

1.2.2.3.1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებით დაცული სფეროს შემადგენელი კომპონენტები

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენენ ადამიანების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს და თავად ინფორმაციის გავრცელების აზრების ურთიერთგაცვლისა და გაზიარების ყველაზე ეფექტურ ფორუმს.“[2191] „სახელმწიფო ვერ იქნება წარმატებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის გარეშე, რომლის მთავარ ფუნქციას საზოგადოების ინფორმირება, მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ხელშეწყობა წარმოადგენს.“[2192] მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებისა და სათანადო მუშაობის უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც თითოეული ადამიანის მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზება, ასევე საზოგადოების დემოკრატიული განვითარება. ამდენად, მათი თავისუფლების დაცვა ერთდროულად წარმოადგენს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესს.[2193] 1060

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მასმედიას განიხილავს, როგორც თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის აუცილებელ საშუალებას, რომელიც საზოგადოებრივი და ინდივიდუალური აზრის ჩამოყალიბების გამორჩეული ფაქტორია.[2194] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც „საზოგადოებრივი მოდარაჯე ძაღლის“ (public watchdog) ამოცანას, გაავრცელოს ინფორმაციები და იდეები საზოგადოებრივი 1061

[2187] Bethge, GG, Art. 5, Rn. 53; Wendt, GG, Art. 5, Rn. 26.

[2188] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 57a.; Fenchel J., Negative Informationsfreiheit. Zugleich ein Beitrag zur negativen Grundrechtsfreiheit, 1997, 137 ff.

[2189] Gillberg v. Sweden (N41723/06; 3.4.2012).

[2190] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 20.

[2191] N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-71.

[2192] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

[2193] N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-73. შეადარე ასევე: N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-58.

[2194] BVerfGE 12, 205 (260); 35, 202 (222); 59, 231 (257); 83, 238 (296); 107, 299 (329).

ყურადღების ყველა საკითხთან დაკავშირებით, რასაც შეესატყვისება საზოგადოების უფლება, იყოს ინფორმირებული.[2195] მედია მონაწილეობს დემოკრატიული აზრის ფორმირებაში.[2196] მედიასაშუალებები წარმოადგენენ მაკავშირებელ რგოლს პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის. ისინი იძლევიან თავისუფალ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის საშუალებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს.[2197]

1062 კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება მოიცავს პრესისა და მაუწყებლობის თავისუფლებებს. გარდა ამისა, კონსტიტუცია ადგენს დამატებით გარანტიებს ცენზურისა და მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის აკრძალვის სახით. თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა ინტერნეტი, თუმცა მას მე-17 მუხლის ცალკე პუნქტი ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ასევე იყენებს ტერმინს „მედია“, რაშიც გულისმობს მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვით ან ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის, ინტერნეტს.[2198]

1.2.2.3.2. პრესის თავისუფლება

1063 პრესა მასობრივი ინფორმაციის ყველაზე ძველი და ტრადიციული საშუალებაა, რომელიც თავისუფალი დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგისათვის ფუნდამენტურ როლს თამაშობს.[2199] თავისუფალი პრესა ლიბერალური სახელმწიფოს არსებით ელემენტად ითვლება. წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პრესა, რომელიც მუდმივი დამაკავშირებელი და მაკონტროლებელი სუბიექტია ხალხსა და მის წარმომადგენლებს შორის სახელმწიფო ხელისუფლებაში.[2200]

1064 პრესის თავისუფლების საგნობრივი დაცული სფეროს განსაზღვრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რას გულისხმობს ტერმინი „პრესა“. პრესა აზრისა და ინფორმაციის ბეჭდვითი ფორმით გამოხატვისა და გავრცელების საშუალებაა. ამდენად „პრესის“ ცნება მოიცავს ყველა ბეჭდვით მასალას, რომელიც გამოსადეგია გავრცელებისათვის - გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს და ა.შ.[2201] ამდენად, პრესის ცნების განსაზღვრისას გადამწყვეტია მისი წარმოებისა და ტირაჟირების ტექნიკა.[2202] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „პრესაში“, პირველ რიგში, პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებს მოიაზრებს, თუმცა პრესის თავისუფლებას ასევე ავრცელებს არაპერიოდულ,

[2195] შეადარე: Observer and Guardian v. the United Kingdom (N13585/88; 26.11.1991); Bergens Tidende and Others v. Norway (N26132/95; 2.5.2000).

[2196] მაგ.: M.L. and W.W. v. Germany.

[2197] მაგ.: Castells v. Spain (N11798/85; 23.4.1992).

[2198] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი.

[2199] BVerfGE 35, 202 (221 f.).

[2200] შეადარე მაგ.: BVerfGE 20, 162 (174 f.).

[2201] Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 361 ff.

[2202] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 68; Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 361 ff.; Ipsen, Grundrechte, Rn. 439; Starck, GG, Art. 5, Rn. 59; Wendt, GG, Art. 5, Rn. 30.

მოქმედების ფართო მასშტაბის მქონე გამოცემებზეც.[2203] თანამედროვე პირობებში სხვადასხვა გამოცემები ხშირად ვრცელდება ინტერნეტის საშუალებითაც. ბეჭდვითი მედიის ამგვარი გზით გავრცელებული პროდუქტი დაცულია ინტერნეტის თავისუფლებით.[2204]

1065 დაცულია პრესის საშუალებით აზრების გავრცელება, ასევე მის მიერ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება.[2205] წარმოუდგენელია პრესამ განახორციელოს ლიბერალურ დემოკრატიაში მისთვის განსაზღვრული ფუნქცია ინფორმაციაზე დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობის გარეშე.[2206] მაგალითად, პრესის თავისუფლება მოიცავს პრესის მუშაკების უფლებას, მიიღონ ინფორმაცია ღია სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ და თავად მოახდინონ ამის თაობაზე მკითხველის ინფორმირება.[2207] ამასთან, პრესა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან ინფორმაციის მიღებაზე. მან შეიძლება მოიპოვოს ინფორმაცია ჟურნალისტური გამოძიების გზით, რომელიც დაცულია[2208] ისევე, როგორც საჯარო ღონისძიებებზე ან დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა პუბლიკაციების მომზადების მიზნით[2209] და კონფიდენციალური, მათ შორის სახელმწიფოს მიერ დაცული, ინფორმაციების გამოქვეყნება.[2210]

1066 უზრუნველყოფილი არ არის პრესის მიერ ინფორმაციის კანონსაწინააღმდეგო გზით მოპოვება. თუმცა, დაცულ სფეროში ხვდება არალეგალურად მოპოვებული მასალების გამოქვეყნება.[2211] წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელი შეეშლებოდა პრესის საზედამხედველო ამოცანის განხორციელებას, რომლის ნაწილიცაა საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე ყურადღების მიპყრობა.[2212]

1067 პრესის თავისუფლება არა მხოლოდ ინდივიდუალური თავდაცვითი უფლებაა, არამედ უზრუნველყოფს თავისუფალი პრესის ინსტიტუტს.[2213] მისი ობიექტური ხასიათი და ინსტიტუტის გარანტია უზრუნველყოფს რამოდენიმე სტრუქტურულ პრინციპს. პირველ რიგში, გამოჰყოფენ სახელმწიფოსაგან თავისუფლების პრინციპს,[2214] რაც მაგალითად,

[2203] მაგალითად იხ.: Grabenwarter C., Pabel K., Europäische Menschenrechtskonvention, 7. Auflage, 2021, §23, Rn. 10; Association Ekin v. France (N39288/95; 17.7.2001); Riolo v. Italy (N42211/07; 17.7.2008).

[2204] შეადარე: Brand T., Rundfunk im Sinne des Artikel 5 Abs. 1 Satz 2 GG. Eine Analyse der Reichweite des verfassungsrechtlichen Rundfunkbegriffs unter besonderer Berücksichtigung neuerer medialer Angebotsformen, 2002, 242 ff.

[2205] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-3; N1/1/468 გადაწყვეტილება, II-27; N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-56; Bladet Tromsø and Stensaas v. Norway (N21980/93; 20.5.1999); BVerfGE 10, 118 (121); 50, 234 (240); 77, 346 (354); 91, 125 (134).

[2206] Bethge, GG, Art. 5, Rn. 70.

[2207] BVerfGE 91, 125 (134); 103, 44 (61 f.).

[2208] მაგ.: Dammann v. Switzerland (N77551/01; 25.4.2006).

[2209] მაგ.: Gsell v. Switzerland (N12675/05; 8.10.2009); Schweizerische Radio- und Fernsehgesellschaft SRG v. Switzerland (N34124/06; 21.6.2012); Mandli and Others v. Hungary (N63164/16; 26.5.2020).

[2210] მაგ.: Stoll v. Switzerland (N69698/01; 10.12.2007); Bédat v. Switzerland (N56925/08; 29.3.2016); Sellami v. France (N61470/15; 17.12.2020).

[2211] მაგ.: Freessoz and Roire v. France (N29183/95; 21.1.1999); Dupuis and Others v. France (N1914/02; 7.6.2007).

[2212] BVerfGE 66, 116 (137); 101, 361 (394).

[2213] BVerfGE 20, 162 (175); 66, 116 (133); 80, 124 (133).

[2214] BVerfGE 80, 124 (134).

გამორიცხავს პრესის წარმომადგენლების პროფესიული ნიშნით სავალდებულო გაერთიანებას საჯარო სამართლის კორპორაციებში.[2215] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს პრესის კერძოსამართლებრივი ორიენტაციის პრინციპს, რაც კრძალავს მის ჩამოყალიბებას საჯაროსამართლებრივი ფორმით.[2216] თავისუფალი პრესის ინსტიტუტს უკავშირდება ტრენდის,[2217] სარედაქციო საიდუმლოების,[2218] ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობისა და ინფორმატორებთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის[2219] დაცვა.

1068 პრესის თავისუფლება ვრცელდება ბეჭდვითი მედიის სრულ შინაარსზე.[2220] დაცულია არა მხოლოდ ცალკეული გამოცემის შინაარსი თუ სტატიის თემა, არამედ ბეჭდვითი მედიის მიმართულება და შინაარსი მთლიანობაში. პრესის თავისუფლება, რედაქციის თანამშრომლების პუბლიკაციებთან ერთად, იცავს მესამე პირთა ინფორმაციებისა და აზრების გავრცელებასაც, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობას არ ახორციელებენ პრესის სფეროში.[2221] ასევე დაცულია გადაწყვეტილება მესამე პირთა წერილების ანონიმური, ანუ ავტორის ვინაობის მითითების გარეშე, გამოქვეყნების შესახებ. ანონიმურობის მიზანია დაიცვას ავტორი შესაძლო ნეგატიური შედეგებისაგან, ხოლო პრესას შეუნარჩუნოს შესაბამისი წყაროდან ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. [2222]

1069 პრესის თავისუფლება უზრუნველყოფილია მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სერიოზული, ფასეული და გონივრულია მისი შინაარსი.[2223] ის მოიცავს არა მხოლოდ შინაარსს, როგორც ასეთს, არამედ ჟურნალისტური გადმოცემის ფორმასაც.[2224] აქედან გამომდინარე, პრესის თავისუფლებით დაცულია ფოტორეპორტაჟიც.[2225] ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობს ასევე გაზვიადებას და პროვოკაციასაც კი.[2226]

1070 დაცვას ექვემდებარება პრესის ე.წ. „არაშინაარსობრივი ფუნქციებიც“,[2227] არა მხოლოდ ჟურნალისტური, არამედ პრესის სფეროში დამხმარე საქმიანობებიც,[2228] როგორიცაა პრესის დისტრიბუცია.[2229] თავისუფალი პრესა, როგორც ინსტიტუტი, აღნიშნული

[2215] Starck, GG, Art. 5, Rn. 46.

[2216] BVerfGE 20, 162 (175); 66, 116 (133).

[2217] BVerfGE 52, 283 (296).

[2218] მაგ.: Dunkhase D., Das Pressegeheimnis: Wandel und Perspektiven gesetzlicher Sicherungen der Pressefreiheit gegen strafprozessuale Zwangsmassnahmen, 1998; Tillack v. Belgium (N20477/05; 27.11.2007); BVerfGE 20, 162 (176); 66, 116 (134); 107, 299 (331).

[2219] შეადარე მაგ.: Goodwin v. the United Kingdom (N17488/90; 27.3.1996); Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands (N38224/03; 14.9.2010); Telegraaf Media Nederland Landelijke Media B.V. and Others v. the Netherlands (N39315/06; 22.11.2012); BVerfGE 64, 108 (114 f., 116); 66, 116 (133 f.); 77, 65 (74 ff., 81 ff.); 107, 299 (329 f.).

[2220] BVerfGE 21, 271 (278 f.).

[2221] მაგ.: Jersild v. Denmark (N15890/89; 23.9.1994); Pedersen and Baadsgaard v. Denmark (N49017/99; 17.12.2004); July and SARL Libération v. France (N20893/03; 14.2.2008); De Carolis and France Télévisions v. France (N29313/10; 21.1.2016).

[2222] BVerfGE 20, 162 (176).

[2223] Bethge, GG, Art. 5, Rn. 69.

[2224] Bladet Tromsø and Stensaas v. Norway; Tønsbergs Blad A.S. and Haukom v. Norway (N510/04; 1.3.2007).

[2225] News Verlags GmbH & Co.KG v. Austria (N31457/96; 11.1.2000).

[2226] De Haes and Gijsels v. Belgium.

[2227] შეადარე: BVerfGE 25, 296 (304); 64, 108 (114 f.); 77, 346 (353 f.).

[2228] BVerfGE 100, 313 (365); 107, 299 (329 f.).

[2229] მაგ.: Halis Doğan and Others v. Turkey (N50693/99; 10.1.2006).

ფუნქციებისა და საქმიანობების განხორციელების შეზღუდვით შეიძლება უფრო მტკივნეულადაც კი დაზიანდეს, ვიდრე სარედაქციო საქმიანობაში ჩარევით. მაგალითად, როდესაც ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებას ეშლება ხელი, პრესას არა მარტო წვლილი ვეღარ შეაქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, არამედ ექმნება რეალიზაციის პრობლემა, რაც შეიძლება დაემუქროს მისი არსებობის გაგრძელებასაც კი.[2230]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლებების სუბიექტები არასრულწლოვანი პირებიც არიან. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ პრესის თავისუფლებით დაცულია ასევე მოსწავლეთა მიერ გამოცემული გაზეთები.[2231]

1071 პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროს მიაკუთვნებენ პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებებსაც, მათ შორის კომერციულ სარეკლამო განცხადებებსაც.[2232] განცხადებებს განიხილავენ როგორც პრესის სპეციფიურ გამოხატულებას და არა მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფის წყაროს.[2233] კომერციულ რეკლამასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მეწარმეობის თავისუფლების სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე გამოხატვის თავისუფლებისა.

პრესის თავისუფლება არ უზრუნველყოფს ჟურნალისტის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული მასალის ამოღების სრულ აკრძალვას.[2234] ამ უფლებიდან ასევე არ გამომდინარეობს ჟურნალისტების კომუნიკაციის მონიტორინგისა და შესაბამისი მონაცემების ამოღების გენერალური აკრძალვაც.[2235] ასევე დაცვას არ ექვემდებარება ჟურნალისტური წყარო, თუ არ მოხდა კონფიდენციალობის გარანტირება ჟურნალისტის მხრიდან.[2236] წყაროს დაცვა არ გულისხმობს იმ პირის იდენტობის საიდუმლოებას, რომელმაც თავად კი არ მიმართა მედიას, არამედ ფარული ჟუნალისტური გამოძიების ობიექტი იყო.[2237] ჟურნალისტურ წყაროდ ასევე არ მიიჩნევა ინფორმატორი, რომელსაც ამოძრავებს არა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების, არამედ პასუხისმგებლობის არიდების სურვილი.[2238]

1072 პრესის თავისუფლება მჭიდრო კავშირშია აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან. ეს უკანასკნელი სისტემატურად გამოიყენება პრესის თავისუფლების მიერ, როდესაც აზრის გამოხატვა პრესის საშუალებით ხდება.[2239] პრესაში გავრცელებული აზრებისა და ფაქტების მოქმედების ეფექტი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე თუნდაც ე.წ. „პრივატული“ გამოხატვისა.[2240] პრესის თავისუფლება არ არის აზრის გამოხატვის თავისუფლების უბრალო ქვეშემთხვევა და მას უფრო ფართო მნიშვნელობა ენიჭება.[2241]

[2230] Ipsen, Grundrechte, Rn. 436.
[2231] BVerfGE 86, 122 ff.
[2232] BVerfGE 107, 275 (280).
[2233] Wendt, GG, Art. 5, Rn. 11; BVerfGE 21, 271 (278 f.); 102, 347 (359); 107, 275 (280).
[2234] BVerfGE 77, 65 (82).
[2235] BVerfGE 107, 299 (331).
[2236] Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands.
[2237] Nordisk Film & TV A/S v. Denmark (N40485/02; 8.12.2005).
[2238] Stichting Ostade Blade v. the Netherlands (N8406/06; 27.5.2014).
[2239] Bethge, GG, Art. 5, Rn. 89.
[2240] Ipsen, Grundrechte, Rn. 445.
[2241] BVerfGE 10, 118 (121).

ამ კონტექსტში, ხაზს უსვამენ პრესის როლს აზრის თავისუფალი და საჯარო ჩამოყალიბებისათვის. პრესის თავისუფლება, პირველ რიგში, იმ წინაპირობებს იცავს, რაც უნდა იყოს სახეზე, რათა პრესამ შეასრულოს თავისი ამოცანა კომუნიკაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, ამ უფლებაში ჩარევა ხდება, როდესაც საქმე შეეხება პრესაში დასაქმებული პირების მიერ მათი ფუნქციების განხორციელებას, თვით პრესის პროდუქტს, მის ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ წინაპირობებსა და ჩარჩოებს, ასევე თავად თავისუფალი პრესის ინსტიტუტს.[2242] როდესაც მესამე პირთა აზრები, რომლებიც დაცულია აზრის თავისუფლებით, გამოხატული და გამოქვეყნებულია პრესაში, პრესის თავისუფლება მოიცავს მათ დაცვასაც.[2243]

1.2.2.3.3. მაუწყებლობის თავისუფლება

1073 მაუწყებლობის თავისუფლება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებზე, როგორიცაა რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა.[2244] პრესის მსგავსად, აქაც ტექნიკური ასპექტია განმსაზღვრელი, რაც გულისხმობს აზრებისა და ინფორმაციის დისტანციურად, ელექტრომაგნიტური ფორმით გადაცემას. გარდა ამისა, მაუწყებლობა უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ანუ მიმართული პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. ამდენად, მაუწყებლობას არ მიეკუთვნება ტექნიკური საშუალებებით დისტანციურად განხორციელებული ინდივიდუალურ ადრესატებზე მიმართული კომუნიკაცია.[2245] შინაარსობრივ მხარეს, ამ კონტექსტში, მნიშვნელობა არ აქვს.[2246] რაც შეეხება აზრებისა და ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ინტერნეტის გამოყენებით ხორციელდება, მას ცალკე ნორმა - კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი იცავს.

1074 აუდიოვიზუალური მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოხატვის უფლების განხორციელების პროცესში. ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს მათი საქმიანობს განხორციელებისათვის საკმარისი გარანტიების შექმნას.[2247] ის მიუთითებს მაუწყებლობის შესაძლებლობაზე, ძლიერი ემოციური ეფექტი მოახდინოს ადამიანთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე რეალურ დროში. ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ემსგავსება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ხაზგასმას აუდიოვიზუალური ფორმით შინაარსის გადმოცემის განსაკუთრებით ინტენსიურ ზეგავლენაზე.[2248] ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „..საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, „ტრადიციულმა“ მაუწყებლობამ ასეთი „განსაკუთრებულობა“ დაკარგა.“[2249] ეს მართებული შენიშვნაა, რადგანაც მზარდია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც

[2242] BVerfGE 85, 1 (11 ff.); 86, 122 (128).

[2243] BVerfGE 102, 347.

[2244] მაგ.: N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-56; დეტალურად იხილე მაგ.: Brand, Rundfunk im Sinne des Artikel 5 Abs. 1 Satz 2 GG, 2002, 266 f.

[2245] შეადარე: Jarass, GG, Art. 5, Rn. 36; Starck, GG, Art. 5, Rn. 95; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 99 f.

[2246] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 90a.

[2247] N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-58.

[2248] Manole and Others v. Moldova (N13936/02; 17.9.2009).

[2249] N1/1/468 გადაწყვეტილება, II-39.

ინფორმაციას არა ტელე- და მით უმეტეს, რადიომაუწყებლობის საშუალებით, არამედ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით იღებენ. ეს ტენდენცია ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად სულ უფრო გაძლიერდება.

1075 მაუწყებლობის თავისუფლებას აქვს ორმაგი ფუნქცია. ერთი მხრივ, ის ინდივიდუალური უფლებაა, რომელიც კერძო ინტერესების რეალიზაციას ემსახურება, თუმცა მისი ამოცანა ამით არ ამოიწურება.[2250] მეორე მხრივ, მას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგისათვის.[2251] მაუწყებლობის თავისუფლება დამხმარე ხასიათისაა და ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ემსახურება.[2252]

1076 თავისი არსით, მაუწყებლობის თავისუფლება არ არის ბუნებითი უფლება.[2253] ის ნორმატიულ საფუძველს ემყარება, ხოლო მისი შინაარსი კი საკანონმდებლო გაფორმებას ექვემდებარება.[2254] აქედან გამომდინარე, მაუწყებლობის თავისუფლების გარანტირების არსებითი საკითხები პარლამენტის გადასაწყვეტია.[2255] ამასთან, დაუშვებელია მაუწყებლობისათვის რელევანტური ყველა სფეროს გადამეტებული ნორმატიული რეგლამენტაცია.[2256]

1077 პრესის თავისუფლების ანალოგიურად, მაუწყებლობის თავისუფლების სტრუქტურული პრინციპია სახელმწიფოსაგან თავისუფლება.[2257] ზოგადად, მაუწყებლობის თავისუფლების მიმართ პრესის თავისუფლების კონტექსტში დამკვიდრებული პრინციპები გამოიყენება, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერაც.[2258] ამასთანავე, ასევე დაცულია მაუწყებლობისათვის სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების ფორმა.[2259]

1078 საგნობრივ დაცულ სფეროში შედის მაუწყებლობის ორგანიზება, როგორც ასეთი და მისი ორგანიზაციული საფუძვლები. სახელმწიფო უფლებამოსილია, შემოიღოს სანებართვო მოთხოვნები, თუმცა ამის წინაპირობები და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა ექვემდებარება შემოწმებას.[2260] მაუწყებლობის თავისუფლებით დაცულია ასევე მაუწყებლობის განხორციელება საკაბელო ქსელით.[2261]

1079 მაუწყებლობის თავისუფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ მაუწყებლის საშუალებით აზრებისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებით და უზრუნველყოფს

[2250] შეადარე: BVerfGE 87, 181 (197).
[2251] BVerfGE 35, 202 (219).
[2252] შეადარე მაგ.: BVerfGE 57, 295 (319 f.); 95, 220 (236).
[2253] BVerfGE 95, 220 (237).
[2254] BVerfGE 57, 295 (320 f.); 73, 118 (166); 95, 220 (237); 114, 371 (387).
[2255] Schmidt W., Rundfunkvielfalt: Möglichkeiten und Grenzen einer "pluralistischen" Rundfunkorganisation, 1984, 39.
[2256] Bethge, GG, Art. 5, Rn. 98.
[2257] BVerfGE 83, 238 (322); 88, 25 (36).
[2258] Jersild v. Denmark.
[2259] მაგ.: Schweizerische Radio- und Fernsehgesellschaft SRG v. Switzerland.
[2260] შეადარე: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 18.
[2261] Groppera Radio AG v. Switzerland (N10890/84; 28.3.1990).

სამაუწყებლო პროგრამების ყოვლისმომცველ თავისუფლებას.[2262] პროგრამების ავტონომია - მაუწყებლის მიერ თავისი პროგრამის დამოუკიდებლად განსაზღვრა არ ექვემდებარება საკანონმდებლო რეგულირებას, გარდა ზოგადი ხასიათის მოწესიგებისა.[2263] ის ვრცელდება პროგრამების მომზადების დამხმარე და თანმხლებ საქმიანობებზეც.[2264] დაცულია შესაბამისი პერსონალის შერჩევაც.[2265]

მაუწყებლობის თავისუფლება იცავს მაუწყებლის ტრენდს. დაცვა ვრცელდება რეკლამით დაფინანსებულ და შემოსავალზე ორიენტირებულ პროგრამებზე. სახელმწიფოს ეკრძალება სამაუწყებლო პროგრამების გემოვნებისა თუ პროფესიული დონის კონტროლი.[2266]

1080 უზრუნველყოფილია მაუწყებლის სარედაქციო საქმიანობის საიდუმლოება და წყაროების კონფიდენციალობა. მაუწყებლებს აქვთ უფლება, უარი განაცხადონ ინფორმაციის გაცემაზე. ამის მიზანი არა იმდენად ინფორმატორების დაცვაა, რამდენადაც თავისუფალი მაუწყებლობისა. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანისათვის მაუწყებელი დამოკიდებულია ინფორმაციის შეძლებისდაგვარად დაუბრკოლებლად მიღებაზე, რასაც ხელს უწყობს ინფორმატორების კონფიდენციალობის დაცვა.[2267] ამასთან, შესაძლებელია სახელმ-წიფოს ხელი მიუწვდებოდეს იმ მასალებზე, რაც მაუწყებლის ჟურნალისტებმა თავად და არა ჟურნალისტური წყაროებიდან მოიძიეს.[2268]

კერძო მაუწყებლების თავისუფლება უფრო ფართოა, ვიდრე საჯარო სამართლის იურდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული მაუწყებლებისა. მაგალითად, კერძო მაუწყებლობას ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები წარედგინება დაბალანსებულობასთან დაკავშირებით.[2269]

1.2.2.3.4. ცენზურის აკრძალვა

1081 ცენზურის აკრძალვის პრინციპი განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის მიხედვითაც „ცენზურა დაუშვებელია“. ცენზურის აკრძალვა განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი უფლება, არამედ როგორც „ზღვრის დამატებითი ზღვარი“, ანუ დამატებითი დაბრკოლება და მოთხოვნა სახელმწიფოსადმი მე-17 მუხლით დაცულ სიკეთეებში ჩარევის განხორციელებისას.[2270] ამდენად, ის არ

[2262] შეადარე მაგ.: Herzog, GG, Art. 5 I, II, Rn. 201 f.; Ipsen, Grundrechte, Rn. 454; Starck, GG, Art. 5, Rn. 104; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 104. BVerfGE 12, 205 (260); 31, 314 (326); 57, 295 (323); 59, 231 (258); 87, 181 (201); 90, 60 (87); 95, 220 (224, 234); 97, 298 (312 f.).

[2263] Bethge, GG, Art. 5, Rn. 98.

[2264] BVerfGE 83, 238 (303 ff., 312 ff.).

[2265] BVerfGE 59, 231 (258 ff.).

[2266] Bethge, GG, Art. 5, Rn. 111.

[2267] შეადარე: BVerfGE 95, 220 (238).

[2268] BVerfGE 77, 65 ff.

[2269] BVerfGE 73, 118 (159).

[2270] შეადარე: Gucht C., Das Zensurverbot im Gefüge der grundrechtlichen Eingriffskautelen, 2000; Bethge, GG, Art. 5, Rn. 129; Herzog, GG, Art. 5 I, II, Rn. 296; Jarass, GG, Art. 5, Rn. 63; Nessel T., Das grundgesetzliche Zensurverbot, 2004; Starck, GG, Art. 5, Rn. 173; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 170; BVerfGE 33, 52 (53).

განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე.[2271] ცენზურის ფორმით უფლების შეზღუდვაზე კონსტიტუცია აწესებს აბსოლუტურ აკრძალვას.[2272] აღსანიშნავია, რომ ის ასევე კრძალავს ცენზურას შემოქმედებით საქმიანობის სფეროში.[2273] ეს პრინციპი შეიძლება გავავრცელოთ აკადემიურ თავისუფლებასა და შეკრების თავისუფლებაზე, როგორც გამოხატვის ფორმებზე.[2274]

1082 ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ წინასწარი და შემდგომი ცენზურა. წინასწარი (პრევენციული) ცენზურა, კონსტიტუციის მე-17 მუხლის კონტექსტში, გულისხმობს აზრების, ინფორმაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროდუქციის შექმნისა ან/და გავრცელების აკრძალვას სახელმწიფო ორგანოს მიერ მათი შინაარსის წინასწარი შემოწმებისა და ნებართვის გარეშე. ცენზურის აკრძალვის პრინციპი მხოლოდ წინასწარ ცენზურას ცნობს დაუშვებლად და გამორიცხავს რაიმე გამონაკლისს ამ კუთხით.[2275] მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად სცნო გაზეთებზე ნებისმიერი ფორმით წინასწარი ცენზურის განხორციელება.[2276]

1083 წინასწარი ცენზურისაგან განსხვავებით, შემდგომი ცენზურა, რაშიც ფაქტობრივად იგულისხმება აზრის, ინფორმაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვა, დასაშვებად მიიჩნევა.[2277] შეზღუდვასთან დაკავშირებული კონსტიტუციური რეგულირებები უსაგნო გახდებოდა, თუ ცენზურის აკრძალვის პრინციპი მოიცავდა შემდგომ ცენზურასაც, ანუ იმ ჩარევებს, რაც შეიძლება განხორციელდეს აზრის, ინფორმაციის თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის გავრცელების შემდეგ.[2278] შემდგომ ცენზურას არა მარტო დასაშვებად, არამედ აუცილებლადაც კი მიიჩნევენ, რადგანაც სხვაგვარად, პროცესუალური თვალსაზრისით, შეუძლებელი გახდებოდა იმ სიკეთეების დაცვა (მაგ.: პატივი და ღირსება, არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისაგან), რომლებთანაც შეიძლება კონფლიქტში შევიდეს გამოხატვის თავისუფლება.[2279] რა თქმა უნდა, შემდომი ცენზურის დასაშვებობა არ ნიშნავს ამგვარი ჩარევების გათავისუფლებას კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმებისაგან.

1084 საინტერესოა სახელმწიფოს მიერ ისეთი რეგულირებების მიღების საკითხი, რომლებიც ცენზურას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა ფაქტობრივად იწვევს ცენზურის მაკორექტირებელი ფუნქციის გააქტიურებას.[2280] მაგალითად, როდესაც კანონი მაუწყებლებს უდგენს პროგრამების შინაარსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და მათი დარღვევისათვის სანქციებსაც ითვალისწინებს, ის უნდა აკმაყოფილებდეს

[2271] Ipsen, Grundrechte, Rn. 492.

[2272] შეადარე: BVerfGE 33, 52 (71 f.).

[2273] კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2274] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 129.

[2275] მაგ.: Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 17, 918; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 171; Wendt, GG, Art. 5, Rn. 62; BVerfGE 33, 52 (72); 47, 198 (236); 83, 130 (155); 87, 209 (230).

[2276] Near v. Minnesota, 283 U.S. 697 (1931).

[2277] Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 923 f.

[2278] BVerfGE 33, 52 (72).

[2279] Ipsen, Grundrechte, Rn. 495.

[2280] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 135a.

განსაზღვრულობის გამკაცრებულ მოთხოვნებს. კანონის ადრესატისათვის მკაფიოდ გასაგები უნდა იყოს ამ მოთხოვნების შინაარსი, რათა თავიდან აირიდოს მათი დარღვევა და შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრება. თუ კანონის მოთხოვნები ბუნდოვანი და ორაზროვანია, მაუწყებელი, შესაძლო სანქციების შიშით, ან თავად შეიკავებს თავს შესაბამისი პროგრამის გავრცელებისაგან, ან შეეცდება მისი შინაარსობრივი მხარის კანონთან შესაბამისობის გარკვევას სახელმწიფო ორგანოსთან. ორივე შემთხვევაში სახეზე იქნება ის ეფექტი, რაც წინასწარი ცენზურისთვისაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მსგავს „ირიბ ცენზურაზეც“ უნდა გავრცელდეს ცენზურის აკრძალვის პრინციპი.

1085 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, გამოხატვის თავისუფლების რეგულირებისას კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმის გავლენა პირის უფლებაზე. ის საუბრობს „მსუსხავ ეფექტზე“, რაც აიძულებს პირს მოსალოდნელი სანქციის შიშით თავის შეკავებას უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან. სასამართლოს აზრით, ამან „...შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი ჩაკეტვა, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, განახორციელონ თვითცენზურა გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს იმ ნაწილში, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, რაც, თავისთავად, ამ უფლების არათანაზომიერად შეზღუდვის ტოლფასია.“[2281] საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ლოგიკური და მართებულია, თუმცა წინასწარი ცენზურის მსგავსი ეფექტის არსებობის დადგენა თავისთავად ნიშნავს მზღუდავი ნორმის ან ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობას და თანაზომიერების შემოწმებას არ საჭიროებს, რადგანაც ცენზურა ვერასოდეს იქნება თანაზომიერი და კონსტიტუციური.

1.2.2.3.5. მონოპოლიზაციის აკრძალვა

1086 კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს ეკრძალებათ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია. აღსანიშნავია, რომ მონოპოლიურ საქმიანობას, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, კრძალავს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტიც. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციიდან გამომდინარე, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის აკრძალვა სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, რომლის მიზანია არა მედიასაშუალებების მესაკუთრეების ქონებრივი ან სამეწარმეო ინტერესების დაცვა, არამედ საზოგადოების თითოეული წევრის უფლების გარანტირება, „ჰქონდეს თვისუფალ გარემოში ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების შესაძლებლობა“, ისარგებლოს თავისუფალი მედიაგარემოთი.[2282] გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ აკრძალვას აბსოლუტური ხასიათი აქვს და, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტისაგან განსხვავებით, არ უშვებს გამონაკლისებს.[2283]

[2281] N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-8.

[2282] N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-74.

[2283] შეადარე: ზოიძე, 24-ე მუხლის კომენტარი, 267.

1087 გარდა ინდივიდუალური ინტერესების დაცვისა, მონოპოლიზაციის აკრძალვა დემოკრატიასაც იცავს. აზრთა მრავალფეროვნებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში. მონოპოლია ინფორმაციაზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახელმწიფოს ან ცალკეულ პირთა კონტროლქვეშ მოქცევა არსებითად აზიანებს ან სრულად შეუძლებელს ხდის აზრებისა და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლისა და თავისუფალი კომუნიკაციის პროცესს, რაც ბუნებრივია, დემოკრატიის პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში.[2284]

1088 მონოპოლიზაციის აკრძალვას პირდაპირ არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, გამართლებას არ ექვემდებარება მაუწყებლობის ორგანიზებიდან კერძო პირების სრული გამორიცხვა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო გადაცემების მონოპოლიზაცია. მართალია, ამგვარი მონოპოლია per se კონვენციის მე-10 მუხლს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ტექნიკური პროგრესისა და სამაუწყებლო სიხშირეებისა და არხების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ამგვარი ჩარევა აღარ არის თანაზომიერი.[2285]

1.2.2.4. ინტერნეტის თავისუფლება

1089 კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი განამტკიცებს ინტერნეტის თავისუფლებას, რაც გამოიხატება ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლებაში. ინტერნეტი სხვადასხვა ძირითადი უფლებების რეალიზაციისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული. მაგალითად, როდესაც მეწარმე ახდენს თავისი პროდუქციის რეალიზაციას ინტერნეტის საშუალებით, საქმე გვაქვს მეწარმეობის თავისუფლებასთან. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ნორმა კონსტიტუციის მე-17 მუხლშია განთავსებული, ის იცავს ინტერნეტზე წვდომასა და ინტერნეტით თავისუფალ სარგებლობას აზრის ან ინფორმაციის გამოხატვისა და გავრცელების, ასევე მათი მიღების მიზნით.

1090 საქართველოს კანონმდებლობა ინტერნეტს მედიას, ანუ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს მიაკუთვნებს.[2286] შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მიდგომაა უცხოეთშიც.[2287] ინტერნეტი მიეკუთვნება ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს.[2288] ის იძლევა არა მარტო ინდივიდუალური, არამედ მასობრივი კომუნიკაციის განხორციელების შესაძლებლობას.[2289] მეტიც, ინტერნეტი თავისი მასშტაბებით, ტექნიკური შესაძლებლობებითა და ხელმისაწვდომობით გაცილებით აღემატება მასობრივი კომუნიკაციის სხვა, „ტრადიციულ“ საშუალებებს.[2290] საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად შენიშნავს, რომ „..ინტერნეტის მნიშვნელობა თანამედროვე

[2284] შეადარე: BVerfGE 57, 295 (323); 73, 118 (177); 83, 238 (324); 97, 228 (257 f.).

[2285] Informationsverein Lentia and Others v. Austria (N13914/88, 15041/89, 15717/89, 15779/89, 17207/90; 24.11.1993).

[2286] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი.

[2287] მაგ.: Brand, Rundfunk im Sinne des Artikel 5 Abs. 1 Satz 2 GG, 2002, 266 f.

[2288] შეადარე: Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 276; Ipsen, Grundrechte, Rn. 431; Starck, GG, Art. 5, Rn. 45.

[2289] შეადარე მაგ.: N1/2/519 გადაწყვეტილება, II-6.

[2290] შეადარე მაგ.: N1/1/468 გადაწყვეტილება, II-68-69.

დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა."[2291] აზრისა და ინფორმაციის გავრცელების „ტრადიციულ" და „ახალ" ფორმებს შორის არჩევანის გაკეთება, სასამართლოს პოზიციით, თავად გამოხატვის ავტორის პრეროგატივაა.[2292]

1091 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ინტერნეტის თავისუფლებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს ინტერნეტის, როგორც ინფორმაციისა და აზრის მიღებისა და გავრცელების საშუალების, დიდ მნიშვნელობას.[2293] ინტერნეტის საშუალებით გამოხატვის თავისუფლება არ განიხილება მაუწყებლობის თავისუფლების კონტექსტში.[2294] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონკრეტული საქმის შინაარსიდან გამომდინარე, იყენებს გამოხატვის ზოგად თავისუფლებას,[2295] ინფორმაციის თავისუფლებას[2296] ან პრესის თავისუფლებას.[2297]

1.2.2.5. ინსტიტუციური გარანტიები

1092 კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები არ არის ძირითადი უფლების დამდგენი ნორმები. ისინი ითვალისწინებენ ინსტიტუციურ გარანტიებს და არა უფლებებს, რომელთა დარღვევაზეც შეიძლება იდავოს მათმა სუბიექტმა. ამავდროულად, ამ ნორმების დარღვევის საკითხი შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში.

1093 მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან. ეს არის საჯაროსამართლებრივი მაუწყებლობის არსებობისა და დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ-ფუნქციური გარანტია, რომელიც არ იცავს კონკრეტული საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობას.[2298] აქედან გამომდინარე, კონკრეტული მაუწყებელი შეიძლება დაექვემდებაროს ლიკვიდაციას.[2299] მთავარია, რომ სახელმწიფოში არსებობას განაგრძობდეს სახელმწიფო უწყებებისაგან, პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტი.

1094 მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობის კანონით გარანტირებას, რომელიც იქმნება მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის

[2291] N1/2/519 გადაწყვეტილება, II-5.

[2292] N1/1/468 გადაწყვეტილება, II-71.

[2293] შეადარე მაგ.: Yildirim v. Turkey (N3111/10; 18.12.2012); Delfi AS v. Estonia (N64569/09; 10.10.2013); Cengiz and Others v. Turkey (N48226/10, 14027/11; 1.12.2015).

[2294] შეადარე მაგ.: Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 12.

[2295] მაგ.: Nix v. Germany (N35285/16; 13.3.2018); Hoiness v. Norway.

[2296] მაგ.: Fredrik Neij and Peter Sunde Kolmisoppi v. Sweden (N40397/12; 19.2.2013).

[2297] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 17.

[2298] Bethge, GG, Art. 5, Rn. 105.

[2299] BVerfGE 89, 144 (153).

გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად. შეიძლება ითქვას, რომ აქაც ინსტიტუციურ-ფუნქციური გარანტიაა სახეზე, რაც არ გამორიცხავს კონკრეტული სუბიექტის ლიკვიდაციას იმ პირობით, რომ ამ ფუნქციებს განახორციელებს ზემოაღნიშნული კონსტიტუციური სტანდარტებით შექმნილი სხვა სუბიექტი.

1.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

1095 აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები, თავისი არსით, თავდაცვითი, status negativus უფლებებია.[2300] მათ, პირველ რიგში, აქვთ ნეგატორული ფუნქცია,[2301] რაც გულისხმობს სახელმწიფოსათვის ნეგატიური ვალდებულების დაკისრებას. სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ამ უფლებებში ჩარევისაგან, ხოლო შეზღუდვის შემთხვევაში კი დაიცვას კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს ეკრძალება, ხელი შეუშალოს ინდივიდს იმაში, რომ მიიღოს ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც სურს მისთვის სხვა პირს.[2302]

1096 სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებებს წინა პლანზე აყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. ინფორმაციის თავისუფლებაზე მსჯელობის კონ-ტექსტში ის აცხადებს: „ამ უფლების განხორციელება, ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულება ეკისრება, რომ ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე არ შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით.“[2303]

1097 გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა, სახელმწიფოს ეზღუდება ისეთი მოქმედებაც, რომელიც მესამე პირებს აძლევს უფლების ხელყოფის საშუალებას. მაგალითად, მას ეკრძალება პრესის ტრენდზე როგორც უშუალო ზეგავლენა, ასევე

[2300] შეადარე: Herzog, GG, Art. 5 I, II, Rn. 62; Ipsen, Grundrechte, Rn. 423, 447, 457; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 121; Starck, GG, Art. 5, Rn. 50; Wendt, GG, Art. 5, Rn. 18.

[2301] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 71.

[2302] Leander v. Sweden; Khurshid Mustafa and Tarzibachi v. Sweden (N23883/09; 16.12.2008); Gillberg v. Sweden; Ahmet Yıldırım v. Turkey.

[2303] N2/3/364 გადაწყვეტილება.

სამართლებრივი რეგულირების საშუალებით პრესის დაქვემდებარება უცხო, თუმცა არასახელმწიფო გავლენებისადმი.[2304]

1.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

1098 მე-17 მუხლით დაცული უფლებების ნეგატორული ფუნქცია არ გამორიცხავს, რომ მათ საფუძველზე სახელმწიფოს დაეკისროს პოზიტიური ვალდებულებებიც.[2305] ამავდროულად, ამ ვალდებულებებს არ შეიძლება ჰქონდეთ ისეთი ხასიათი, რასაც სახელმწიფოს დააკისრებდნენ მფარველობითი (status positivus) უფლებები. მაგალითად, აზრის თავისუფლებიდან გამომდინარე პირი სახელმწიფოს ვერ წარუდგენს აზრის გავრცელების საშუალებებით უზრუნველყოფის მოთხოვნას.[2306] არც ინფორმაციის თავისუფლება იძლევა სახელმწიფოსათვის გარკვეული ინფორმაციების მოპოვების მოთხოვნის საფუძველს.[2307]

1099 ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს მათი ობიექტური ღირებულება განაპირობებს. მაგალითად, აზრის თავისუფლება არა მხოლოდ ძირითადი უფლება, არამედ ობიექტური კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგის პრინციპიცაა. ობიექტურ-სამართლებრივ კომპონენტებს შეიცავს ინფორმაციის თავისუფლებაც.[2308] როდესაც საფრთხე ექმნება აზრის თავისუფლებას, მათ შორის ინფორმაციის თავისუფლებას, როგორც აზრის ჩამოყალიბების წინაპირობას, სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს მის დასაცავად მოქმედების პოზიტიური ვალდებულება.[2309] მან უნდა იზრუნოს საჯარო კომუნიკაციის პროცესის არა მხოლოდ სახელმწიფოსაგან, არამედ ზოგად თავისუფლებაზეც.[2310]

1100 სახელმწიფოს, პირველ რიგში, ევალება მე-17 მუხლით დაცულ უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი წესრიგის კონსტიტუციასთან შესაბამისი საკანონ-მდებლო გაფორმება და ჩამოყალიბება. ამის ძირითადი მიზანია არა გამოხატვის ნორმატიულ მარწუხებში მოქცევა, არამედ მისი დაცვისა და განხორციელების სათანადო გარანტიების შექმნა, დაპირისპირებულ ინტერესთა სამართლიანი დაბალანსება. ამასთან, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ არის ყველა დეტალის სამართლებრივი რეგლამენტაცია, ეს უკუეფექტს გამოიწვევს და შეაფერხებს საკომუნიკაციო უფლებებით სარგებლობას. ნორმატიულ მოწესრიგებას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ ის საკითხები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნება ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა.

1101 პრესის თავისუფლება, რომელიც თავისუფალი პრესის ინსტიტუტსაც უზრუნველყოფს, სახელმწიფოს აკისრებს პრესის დაცვის ვალდებულებას.[2311] ამ ვალდებულების

[2304] Bethge, GG, Art. 5, Rn. 84.
[2305] შეადარე მაგ.: იქვე, Rn. 71.
[2306] შეადარე: Starck, GG, Art. 5, Rn. 19.
[2307] Starck, იქვე, Rn. 50.
[2308] Bethge, GG, Art. 5, Rn. 46, 58.
[2309] BVerfGE 20, 162 (175).
[2310] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 58.
[2311] BVerfGE 80, 124 (133).

ადრესატი კანონმდებელია, რომელმაც უნდა იზრუნოს თავისუფალი პრესის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნაზე.[2312] მხოლოდ სახელმწიფო ზეგავლენისაგან დაცვის გარანტირება შეუთავსებელი იქნებოდა მაუწყებლობის თავისუფლების ხასიათთანაც. სახელმწიფოსგან თავისუფლება a priori არ ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილია მაუწყებლობის მეშვეობით აზრის თავისუფალი და სრულყოფილი ჩამოყალიბება. ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია მხოლოდ ნეგატორული მიდგომით, პოზიტიური საკანონმდებლო წესრიგის არებობის გარეშე, რაც კანონმდებლის ვალდებულებაა და განამტკიცებს მაუწყებლობის თავისუფლებასა და შესაბამისობას პლურალიზმის, გაწონასწორებულობის, საგნობრიობისა და ურთიერთპატივისცემის მოთხოვნებთან ორგანიზაციული და შინაარსობრივი თვალ-საზრისით.[2313] საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას, „..შექმნას სამართლებრივი წესრიგი, რომელშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაცული იქნებიან იმგვარი ვალდებულებების დაწესებისაგან, რომლებიც დაუსაბუთებლად შეზღუდავენ მათ მიერ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობას და უარყოფით გავლენას მოახდენენ მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებებით სრულყოფილ სარგებლობაზე.“[2314]

1102 სახელმწიფოს არა მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული მოწესრიგების, არამედ სხვა სახის მოქმედებების განხორციელების პოზიტიური ვალდებულებაც შეიძლება დაეკისროს. მაგალითად, მას არ ევალება, რომ შექმნას ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმი-საწვდომი წყაროები,[2315] მაგრამ ვალდებულია, ხელი შეუწყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ინფორმაციის გავრცელებისათვის როგორც სამართლებრივი, ასევე ტექნიკური წინაპირობების შექმნით.[2316] საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციის თავისუფლებიდან გამომდინარეობს საჯარო ხელისუფლების ვალდებულება „..ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია გონივრული შეზღუდვების ფარგლებში.“[2317] რაც შეეხება ამ ვალდებულების მოცულობასა და მასშტაბებს, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული.[2318] სახელმწიფოსათვის უზრუნველყოფის პრეტენზიების წაყენების საფუძველს არც მაუწყებლობის თავისუფლება ქმნის,[2319] თუმცა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მის პოზიტიურ ვალდებულად მიიჩნევს საჯარო-სამართლებრივი მაუწყებლების სათანადო აღჭურვას, რათა მათ უზრუნველყონ საზოგადოების პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სამაუწყებლო პროგრამებით.[2320]

[2312] Bethge, GG, Art. 5, Rn. 73.

[2313] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 97, 154; Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 63; BVerfGE 12, 205 (263); 57, 295 (320 f., 325 f.); 83, 238 (296); 95, 220 (236); 114, 371 (387).

[2314] N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-61.

[2315] Bethge, GG, Art. 5, Rn. 59a; Hoffmann-Riem W., Kommunikationsfreiheiten. Kommentierungen zu Art. 5 Abs. 1 und 2 sowie Art. 8 GG, 2002, 59; BVerfGE 103, 44 (59 f.).

[2316] Degenhart, GG, Art. 5 I, II, Rn. 316.

[2317] N2/2/359 გადაწყვეტილება, 1.

[2318] N2/2/359 გადაწყვეტილება, 1; N2/3/364 გადაწყვეტილება.

[2319] შეადარე: Wendt, GG, Art. 5, Rn. 50.

[2320] მაგ.: BVerfGE 90, 60 (90 f.).

1103 საინტერესოა მე-17 მუხლით დაცული უფლებების კერძო პირებს შორის ურთიერთობებზე მოქმედებისა და ამ კონტექსტში სახელმწიფოს ვალდებულებების თემა. აზრის თავისუფლება, მისი ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ირიბად ზემოქმედებს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი დოქტრინა სწორედ აზრის თავისუფლების კონტექსტში განავითარა ცნობილ „ლიუთის გადაწყვეტილებაში“.[2321] სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, გაითვალისწინოს ამ უფლების ფუძემდებლური მნიშვნელობა, მათ შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ან სასამართლო დავების განხილვისას და გადაწყვეტისას. მართალია, ინფორმაციის თავისუფლების მოქმედებას მესამე პირებზე სასამართლო არ აღიარებს,[2322] მაგრამ ის ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ გაითვალისწინოს ამ უფლების მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, მაგალითად როდესაც დავა შეეხება ინფორმაციის მიღებისათვის ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებას კერძო პირისაგან დაქირავებულ ბინაში.[2323]

1104 მსგავსი მიდგომაა განვითარებული თეორიაში პრესის (და შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების) თავისუფლების მიმართაც. ამ უფლების ადრესატიც სახელმწიფოა და არა კერძო პირები. მესამე პირთა მიმართ პრესის თავისუფლების მოქმედების საკითხი ძირითადად დღის წესრიგში დგება პრესის შიგნით კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას. მიიჩნევა, რომ „პრესის შინაგანი თავისუფლება“ არა კონსტიტუციურსამართლებრივი პრობლემა, არამედ კერძო ავტონომიის სფეროს მიკუთვნებული, სახელშეკრულებო რეგულირებას დაქვემდება-რებული საკითხია. საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც გავლენას ახდენს პრესის შიდა ორგანიზაციაზე, პრესის თავისუფლების შეზღუდვაა და არა მისი დაცვისათვის სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შესრულება. ეს მსჯელობა არ ვრცელდება პრესის თავისუფლების ზეგავლენაზე კერძო სამართალზე, რაც შეიძლება შეეხოს ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობებს გამომცემელსა და ჟურნალისტებს შორის.[2324] ამასთან, პრესის მუშაკებს, აზრის ნეგატიური თავისუფლების სახით, აქვთ გამომცემლის ზემოქმედებისაგან დაცვის საშუალება. მაგალითად, დაუშვებელია გამომცემელმა აიძულოს ჟურნალისტი, რომ სხვისი აზრი წარმოაჩინოს საკუთარ მოსაზრებად.[2325] ამ დოგმატიკისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს მედიის გარკვეულ „შინაგან“ თავისუფლებას. მაგალითად, ის კონვენციის მე-10 მუხლს იყენებს ამ სფეროში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის შესაფასებლად.[2326]

1105 სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. მას ევალება გამოხატვისა და მასმედიის თავისუფლების

[2321] BVerfGE 7, 198 ff.

[2322] BVerwGE 70, 310 (316).

[2323] BVerfGE 90, 27 (33).

[2324] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 81; Ipsen, Grundrechte, Rn. 448; Lerche P., Verfassungsrechtliche Aspekte der "inneren Pressefreiheit", 1974; Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 308; Starck, GG, Art. 5, Rn. 90 ff.

[2325] შეადარე: Bethge H., Zur Problematik von Grundrechtskollisionen, 1977, 153; Weber W., Innere Pressefreiheit als Verfassungsproblem, 1973, 33.

[2326] Fuentes Bobo v. Spain (N39293/98; 29.2.2000).

დაცვა კერძო პირების მხრიდან ხელყოფისაგან.[2327] მაგალითად, სახელმწიფოს ეკისრება დაცვისა და გამოძიების ვალდებულება, როდესაც გაზეთისა და მისი თანამშრომლების მიმართ მიმდინარეობს ძალადობრივი კამპანია.[2328] ამავდროულად, კონვენციის მე-10 მუხლიდან არ გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს შესაბამისი ფორუმით თითოეული გამოხატვა, თუ ეს ცალკეულ შემთხვევაში არ არის აუცილებელი წინაპირობა ამ უფლების ეფექტიანი განხორციელებისათვის, მაგალითად კერძო სავაჭრო ცენტრში საინფორმაციო სტენდის განთავსებით.[2329]

1106 ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-10 მუხლიდან გამოჰყავს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - უზრუნველყოს მაუწყებლობის მრავალფეროვნება.[2330] ეს განპირობებულია აზრთა მრავალფეროვნების ფუძემდებლური მნიშვნელობით დემოკრატიისათვის და აუდიოვიზუალური მასალის განსაკუთრებული გავლენის ძალით.[2331] სახელმწიფომ, როგორც მრავალფეროვნების გარანტმა, ხელი უნდა შეუშალოს რომელიმე პოლიტიკური ან ეკონომიკური ჯგუფის მიერ მაუწყებლობაზე განმსაზღვრელი ზეგავლენის მოპოვებას.[2332] თუ სახელმწიფო ქმნის საჯარო მაუწყებლობის სისტემას, მან უნდა უზრუნველყოს ამ სისტემის პლურალისტული და დაბალანსებული საქმიანობა. ეს ვალდებულება განსაკუთრებით მკაცრია იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მაუწყებლები არ წარმოადგენენ საჯარო მაუწყებლობის რეალურ ალტერნატივას.[2333]

2. ჩარევა აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში

2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება

1107 აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები არ განეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ უფლებათა რიცხვს.[2334] კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი უშვებს მათ შეზღუდვას. ამავდროულად, ჩარევა შეიძლება განხორციელდეს ამ პუნქტისა და კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნათა დაცვით. შეზღუდვის შესაძლებლობასა და პირობებს

[2327] მაგ.: Fuentes Bobo v. Spain; Dink v. Turkey (N2668/07; 14.9.2010); Palomo Sánchez and Others v. Spain (N28955/06, 28957/06, 28959/06, 28964/06; 12.9.2011).

[2328] Özgür Gündem v. Turkey (N23144/93; 16.3.2000).

[2329] Appleby and Others v The United Kingdom (N44306/98; 6.5.2003).

[2330] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 107 f.

[2331] Manole and Others v. Moldova; Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy (N38433/09; 7.6.2012).

[2332] Informationsverein Lentia and Others v. Austria; Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy.

[2333] Manole and Others v. Moldova.

[2334] შეადარე მაგ.: N2/1/241 გადაწყვეტილება, I-1; N2/2/359 გადაწყვეტილება, 1; N2/3/364 გადაწყვეტილება; N2/2-389 გადაწყვეტილება, II-13-14; N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-10; N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-6; N1/1/468 გადაწყვეტილება, II-29; N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-7; N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-77; N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-67.

ითვალისწინებენ საერთაშორისოსამართლებრივი აქტებიც.[2335] ამასთან, კონსტიტუცია აბსოლუტურად გამორიცხავს ადამიანის დევნას აზრისა და მისი გამოხატვის გამო,[2336] ცენზურას და მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციას.[2337] გარდა ამისა, შეზღუდვას არ ექვემდებარება აზრის თავისუფლების შიდა განზომილებაც (forum internum).

1108 იმის დადგენისათვის, რამდენად არის კონკრეტულ შემთხვევაში ჩარევა კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ რომელიმე უფლებაში, რამოდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, მზღუდავ აქტს ან მოქმედებას უშუალოდ უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო ან პასუხს აგებდეს მასზე. ჩარევად არ თვლიან მზღუდავი ხასიათის იმ ღონისძიებებს, რაც ხორციელდება შიდამედიური თვითკონტროლისა და თვითრეგულირების ფარგლებში,[2338] ანუ არასახელმწიფო სუბიექტების მხრიდან.

1109 ჩარევის იდენტიფიცირებისას მნიშვნელოვანია, თუ რამდენადაა დაცული შეზღუდული სიკეთე კონსტიტუციის მე-17 მუხლით. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საკითხზე, თუ რამდენად წარმოადგენდა სხვისი დავალებით ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა ჩარევას ინფორმაციის თავისუფლებაში. იქედან გამომდინარე, რომ ინფორმაციის თავისუფლებით არა მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, არამედ სხვისგან მიღებული დავალების ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება და გადაცემაცაა დაცული, სასამართლომ სადავო ნორმა ჩარევად მიიჩნია.[2339]

1110 ნორმატიული აქტებით შეზღუდვის დადგენისას არსებითია თვით სადავო ნორმის შინაარსი. მაგალითად, მაუწყებლობის მარეგულირებელ ნორმებს, მათი შინაარსის მიხედვით, ყოფენ ორ კატეგორიად: 1) ნორმები, რომლებიც ახდენენ მაუწყებლობის თავისუფლების სამართლებრივ გაფორმებას და 2) მაუწყებლობის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები. იქედან გამომდინარე, რომ მაუწყებლობის თავისუფლება ბუნებით უფლებად არ ითვლება, მის სამართლებრივ გაფორმებაზე მიმართული რეგულირებები ჩარევად არ განიხილება.[2340] რაც შეეხება ნორმათა მეორე კატეგორიას, ისინი ჩარევად მიიჩნევა და ექვემდებარება კონსტიტუციურსამართლებრივ კონტროლს. მაგალითად, მაუწყებლობის თავისუფლების შეზღუდვაა ნორმა, რომელიც მაუწყებლებს ავალდებულებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო რეკლამების გაშვებას ეთერში.[2341] როდესაც ნორმას ორივე კატეგორიის ნიშნები ახასიათებს, ის განიხილება მაუწყებლობის თავისუფლებაში ჩარევად. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მაუწყებლის ვალდებულება, ჩაეწერა და მარეგულირებელი ორგანოსათვის წარედგინა ეთერში უკვე გაშვებული გადაცემები. ამასთანავე, სასამართლომ აღიარა შესაბამისი ნორმის ორმაგი ხასიათი. ერთი მხრივ, ის

[2335] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2336] კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი; N2/2-389 გადაწყვეტილება, II-13.

[2337] კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

[2338] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 141a.

[2339] დეტალურად იხ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-4-6.

[2340] Bethge, GG, Art. 5, Rn. 13a; Hoffmann-Riem W., Personalrecht der Rundfunkaufsicht: Zum Status und dienstrechtlichen Spielraum von grundrechtssichernden Anstalten des öffentlichen Rechts, 1991, 86; BVerfGE 73, 118 (166); 95, 220 (235 f.).

[2341] BVerfGE 97, 298 ff.

უკავშირდებოდა მარეგულირებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა, რომ ეთერში გასული გადაცემები შეუქცევადად არ დაკარგულიყო.[2342]

1111 ჩარევად ითვლება არა მხოლოდ უფლების უშუალოდ და მიზანმიმართულად, არამედ არაპირდაპირ შემზღუდველი ნორმები. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში „მსუსხავი ეფექტის" გავლენით ნორმის ზემოქმედება გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა."[2343] საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ჩარევად მიიჩნია ნორმები, რომლებიც უშვებდნენ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზირებული ან/და ავტორიზებული პირის წილის ან აქციების იძულებით აუქციონზე გასხვისებას ისეთ პირზე, რომლის მიერ შეძენასაც შეიძლება გამოეწვია ლიცენზიის/ავტორიზაციის გაუქმება. შედეგად, ლიცენზიის ან/და ავტორიზაციის მფლობელს ერთმეოდა მაუწყებლობის განხორციელების, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობა.[2344]

1112 სახელმწიფოს მიერ მიღებული აქტის ან განხორციელებული ღონისძიების საკომუნიკაციო უფლებებში ჩარევად დაკვალიფიცირებისათვის არ არის საკმარისი, რომ მათი ადრესატი კომუნიკაციის სფეროში ახორციელებდეს საქმიანობას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი იმ პირებისათვის, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება, თავისთავად, არ იწვევს აზრის გამოხატვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. დასახელებული სუბიექტებისათვის გამოხატვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების უფლების შეზღუდვა შესაძლებელია სახეზე იყოს მაშინ, როდესაც კონკრეტული ვალდებულება ან ბარიერი ისეთი ბუნების არის, რომელიც აფერხებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობას."[2345]

2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის სახეები

1113 კონსტიტუციის მე-17 მუხლი პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ ისეთ ჩარევებზე, რომლებიც აბსოლუტურად არის აკრძალული, რაზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება. სხვა სახის შეზღუდვებს კონსტიტუცია უშვებს, თუმცა არ ახდენს მათ ჩამოთვლას ან კლასიფიკაციას. ეს არ არის მისი ნაკლი, რადგანაც მსგავსი ზოგადი ხასიათის აქტებში ყველა დეტალის ასახვა წარმოუდგენელია. შედარებით კონკრეტულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც მიუთითებს

[2342] BVerfGE 95, 220 (234 ff.).

[2343] N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-8.

[2344] N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-62.

[2345] იქვე, II-65.

წესებზე, პირობებზე, შეზღუდვებზე ან სანქციებზე, ასევე გამოჰყოფს ჩარევის ერთ-ერთ სახეს - რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირებას. ამავდროულად, ესეც არ ითვლება ჩარევების ამომწურავ ჩამონათვალად.[2346]

1114 თეორიაში ხდება შეზღუდვების კატეგორიზაცია, ასევე სხვადასხვა საკომუნიკაციო უფლებაში ტიპიური ჩარევების გამოყოფა.[2347] პირდაპირი ჩარევები უშუალოდ მიმართულია კომუნიკაციის აქტის წინააღმდეგ, ართულებს ან შეუძლებელს ხდის მის განხორციელებას. მათ შეიძლება ჰქონდეთ წინასწარი შეზღუდვის (prior restraint) ან შემდგომი სანქციის (subsequent punishment) ფორმა. წინასწარი შეზღუდვის მაგალითია პრესისათვის გარკვეული მასალის გამოქვეყნების აკრძალვა.[2348] შემდგომ სანქციებს მიეკუთვნება პირისათვის სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო პასუხისმგებ-ლობის დაკისრება გამოხატვასთან დაკავშირებული დელიქტების გამო,[2349] ასევე გავრცელებული ცნობების უარყოფის ვალდებულების დაკისრება.[2350]

1115 არაპირდაპირი ჩარევები არ ქმნის უშუალო დაბრკოლებებს საკომუნიკაციო უფლებებით სარგებლობისას, თუმცა იწვევს ნეგატიურ შედეგებს, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის უფლების რეალიზაციას. მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანია დამაშინებელი მოქმედება, ე.წ. „მსუსხავი ეფექტი“ (chilling effect), როდესაც პირი იძულებული ხდება თავი შეიკავოს უფლების გამოყენებისაგან.[2351] არაპირდაპირი ჩარევის მაგალითია სამსახურიდან გათავისუფლება ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა აზრის გამოხატვის გამო.[2352]

1116 კანონისმიერი ჩარევა სახეზეა, როდესაც კანონის ნორმა უშუალოდ, აღსრულების აქტის გამოცემის გარეშე, ახდენს ზეგავლენას რომელიმე საკომუნიკაციო უფლების განხორციელებაზე. მაგალითად, ნორმები რომლებიც აწესებს სანქციას გამოხატვისათვის, პირს უზღუდავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას უკვე შესაბამისი სანქციის შეფარდებამდე, ანუ კანონის აღსრულებამდე.[2353] ამდენად, ნორმის თვითაღსრულებადი ხასიათი არის იმის ნიშანი, რომ ნორმა, როგორც ასეთი, უკვე განხილულ იქნას ჩარევად. ამასთანავე ეს არ არის აუცილებელი წინაპირობა ნორმის უფლების შეზღუდვად დასაკვალიფიცირებლად. ჩარევად ასევე ჩაითვლება კანონი, რომელიც მართალია აღსრულების აქტს საჭიროებს, მაგრამ ანვითარებს პირის ქცევაზე და შესაბამისად, უფლების რეალიზაციაზე „მსუსხავ ეფექტს“. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კანონისმიერი ჩარევის საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე, როდესაც ის არკვევს, რამდენად არის პირი უფლებამოსილი მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ანუ რამდენად არის დარღვეული ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მისი რომელიმე საკომუნიკაციო

[2346] მაგ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 25.

[2347] დეტალურად იხილე მაგ.: იქვე, Rn. 25 ff.

[2348] მაგ.: Observer and Guardian v. the United Kingdom.

[2349] მაგ.: Juppala v. Finland.

[2350] მაგ.: Karsai v. Hungary.

[2351] მაგ.: Wille v. Liechtenstein.

[2352] მაგ.: Vogt v. Germany; Baka v. Hungary (N20261/12; 23.6.2016).

[2353] მაგ.: Open Door and Dublin Well Woman v. Ireland.

უფლება. თუ კანონისმიერი ჩარევა სახეზე არ არის, სადავო ნორმა მოსარჩელის მიმართ არ აღსრულებულა და მომავალშიც არ არსებობს ამის უშუალო და გარდაუვალი საფრთხე, მაშინ უფლების შეზღუდვაც არ არსებობს და პირიც არ წარმოადგენს უფლებამოსილ მოსარჩელეს.

1117 კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ სიკეთეებში ჩარევა შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს უმოქმედობით. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სახელმწიფო არ ასრულებს ან არასაკმარისად, არასათანადოდ ასრულებს იმ პოზიტიურ ვალდებულებებს, რაც საკომუნიკაციო უფლებებიდან გამომდინარეობს.

გამოხატვის თავისუფლება არა მხოლოდ მის შინაარსს, არამედ ფორმასაც იცავს. ჩარევა შეიძლება შეიძლება მდგომარეობდეს აზრის გამოხატვის ხერხისა და ფორმის შეზღუდვაში.[2354] აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ შინაარსობრივი და შინაარსობრივად ნეიტრალური ჩარევები. საქართველოს კანონმდებლობა ამ კონტექსტში იყენებს ტერმინს „რეგულირება“, რაც არსობრივად „ჩარევის“ იდენტურია.

1118 შინაარსობრივი ჩარევა გულისხმობს გამოხატვის შინაარსთან დაკავშირებით შეზღუდვების დაწესებას. ამ შეზღუდვებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური და არადისკრიმინაციული სახე.[2355] მაგალითად, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დამცავი ნორმები ძირითადად სწორედ შინაარსობრივ ჩარევებს წარმოადგენენ.[2356]

შინაარობრივად ნეიტრალური ჩარევა არ ზღუდავს გამოხატვის შინაარსს, მის საგანს.[2357] ის შეეხება მხოლოდ გამოხატვის ადგილს, დროს ან/და ფორმას, გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას.[2358] შინაარსობრივად ნეიტრალური ჩარევის მაგალითია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულებისათვის ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე.[2359]

1119 აზრის თავისუფლებაში ჩარევებს ძირითადად შემდგომი ხასიათი აქვს, მაგალითად აზრის გამოხატვის შინაარსის (მაგალითად, სიძულვილის ენის გამოყენება) ან ფორმისათვის (მაგალითად, ცნობილი ისტორიული პოლიტიკური მოღვაწის ძეგლის შეღებვა) სისხლის, ადმინისტრაციული, დისციპლინური ან სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.[2360] ამასთან, შესაძლოა განხორციელდეს წინასწარი,

[2354] მაგ.: Women on Waves and Others v. Portugal (N31276/05; 3.2.2009).

[2355] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2356] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 159.

[2357] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

[2358] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2359] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-108.

[2360] მაგ.: Castells v. Spain; Thorgeir Thorgeirson v. Iceland (N13778/88; 25.6.1992); Schwabe v. Austria (N13704/88; 28.8.1992); Okçuoğlu v. Turkey (N24246/94; 8.7.1999); Öztürk v. Turkey (N22479/93; 28.9.1999); Tammer v. Estonia (N41205/98; 6.2.2001); Thoma v. Luxembourg (N38432/97; 29.3.2001); Sukran Aydin And Others v. Turkey (N49197/06, 23196/07, 50242/08, 60912/08, 14871/09; 22.1.2013); Reznik v. Russia (N4977/05; 4.4.2013); Murat Vural v. Turkey; Gough v. the United Kingdom; Tesic v. Serbia (N4678/07, 50591/12; 11.2.2014); Braun v. Poland (N30162/10; 4.11.2014); Morice v. France (N29369/10; 23.4.2015); Kharlamov v. Russia; Perinçek v. Switzerland; Ana Ionita v. Romania (N30655/09; 21.3.2017);

პრევენციული ჩარევებიც, მაგალითად სასამართლოს მიერ გამოხატვის აკრძალვა ან შეზღუდვა,[2361] შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას გარკვეული შინაარსის მოწოდებების აკრძალვა[2362] და ა.შ.

1120 ინფორმაციის თავისუფლებაში ჩარევებია სახელმწიფოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც აბრკოლებს ან ნეგატიურ შედეგებს უკავშირებს ინფორმაციის მიღებას ან გავრცელებას. ინფორმაციის თავისუფლებაში ჩარევის მაგალითია პირისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნების გამო.[2363]

პრესის თავისუფლებაში ჩარევებია ისეთი შემდგომი ხასიათის შეზღუდვები, როგორიცაა პირის პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში, საინფორმაციო საშუალებისათვის პასუხის გამოქვეყნების დავალდებულება;[2364] გავრცელებული ცნობების უარყოფისა და ბოდიშის მოხდის დავალდებულება;[2365] სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება (შეურაცხყოფისათვის, ცილისწამებისათვის, სიძულვილის ენის შემცველი მოწოდებისათვის, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისათვის და სხვა);[2366] ზიანის ანაზღაურების დაკისრება;[2367] ინფორმაციის წყაროების გამღავნების დავალდებულება[2368] და ა.შ. წინასწარი ჩარევები პრესის თავისუფლებაში შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად გარკვეული მასალის გამოქვეყნების აკრძალვაში.[2369] ჩარევად მიიჩნევა ასევე ის ღონისძიებები, რაც შეუძლებელს ხდის ან ართულებს გაზეთის გავრცელებას.[2370] იგივე შეიძლება ითქვას სარედაქციო სივრცეების ჩხრეკაზე, ჟურნალისტური წყაროების ან ჟურნალისტური გამოძიებისას მოპოვებული მასალების გამჟღავნების დავალდებულებაზე, ასევე გამოძიების ფარგლებში განხორციელებულ სხვაგვარ შეზღუდვებზე.[2371]

Marunić v. Croatia (N51706/11; 28.3.2017); Stern Taulats and Roura Capellera v. Spain; Ottan v. France (N41841/12; 19.4.2018); Savva Terentyev v. Russia (N10692/09; 28.8.2018); Stomakhin v. Russia (N52273/07; 8.10.2018); Pais Pires de Lima v. Portugal (N70465/12; 12.2.2019); Baldassi and Others v. France; Schenck v. United Staates 249 U.S. 47, 52 (1919).

[2361] მაგ.: Stambuk v. Germany (N37928/97; 17.10.2002); Bidart v. France (N52363/11; 12.11.2015).

[2362] მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება.

[2363] მაგ.: Sürek v. Turkey (N2) (N24122/94; 8.7.1999).

[2364] მაგ.: Kaperzynski v. Poland (N43206/07; 3.4.2012); Eker v. Turkey (N24016/05; 24.10.2017); BVerfGE 97, 125 (146).

[2365] მაგ.: Editorial board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine (N33014/05; 5.5.2011).

[2366] მაგ.: Prager and Oberschlick v. Austria (N15974/90; 26.4.1995); Oberschlick v. Austria (N2) (N20834/92; 1.7.1997); Fressoz and Roire v. France; Ceylan v. Turkey (N23556/94; 8.7.1999); Dalban v. Romania (N28114/95; 28.9.1999); Erdogdu v. Turkey (N25723/94; 15.6.2000); Sener v. Turkey (N26680/95; 18.7.2000); Lopes Gomes da Silva v. Portugal (N37698/97; 28.9.2000); Du Roy And Malaurie v. France (N34000/96; 3.10.2000); Ojala and Etukeno Oy v. Finland (N69939/10; 14.1.2014); Ruusunen v. Finland (N73579/10; 14.1.2014); Mustafa Erdogan and Others v. Turkey (N346/04; 27.5.2014); Belek and Velioglu v. Turkey (N44227/04; 6.10.2015); Couderc and Hachette Filipacchi Associes v. France (N40454/07; 10.11.2015); Ziembinski v. Poland (N2); Milisavlievic v. Serbia (N50123/06; 4.4.2017); Novaya Gazeta and Milashina v. Russia (N45083/06; 3.10.2017).

[2367] მაგ.: Bladet Tromsø and Stensaas v. Norway; Bergens Tidende and Others v. Norway; Perna v. Italy; Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovina.

[2368] მაგ.: Goodwin v. the United Kingdom.

[2369] მაგ.: The Sunday Times v. the United Kingdom (N1); The Sunday Times v. the United Kingdom (N13166/87; 16.11.1991); Observer and Guardian v. the United Kingdom; Hertel v. Switzerland; News Verlags GmbH and CoKG v. Austria; Axel Springer AG v. Germany (N39954/08; 7.2.2012); Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland (N931/13; 27.6.2017); Ibragim Ibragimov and Others v. Russia (N1413/08, 28621/11; 28.8.2018).

[2370] მაგ.: Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria.

[2371] შეადარე მაგ.: Özgür Gündem v. Turkey; Ressiot and Others v. France (N15054/07; 12.6.2012); Stichting Ostade Blade v. the Netherlands.

1121 მაუწყებლობის თავისუფლებაში ჩარევის მაგალითებია: საკაბელო ან/და თანამგზავრული მაუწყებლობის სავალდებულო ლიცენზირება;[2372] სასამართლოს მიერ მაუწყებელში აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დროებითი მმართველის დანიშვნა, რომელიც აღჭურვილია სარედაქციო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობით;[2373] სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება;[2374] საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფის დავალდებულება[2375] და ა.შ. ჩარევად ასევე ითვლება სახელმწიფოს მიერ მაუწყებლობის სამართლებრივი რეგულირებისას თავისი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, იყოს მაუწყებლობის პლურალიზმისა და მრავალფეროვნების გარანტი.

1122 ინტერნეტის თავისუფლებაში ჩარევად შეიძლება განხილული იქნას სამართლებრივი აქტი ან ღონისძიება, რომელიც ზღუდავს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას და სარგებლობას აზრის ან ინფორმაციის მიღების ან გავრცელების მიზნით. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც პრევენციული ხაზიათის შეზღუდვებში (მაგალითად, გარკვეულ ინტერნეტ-რესურსებზე წვდომის დაბლოკვა),[2376] ასევე შემდგომ ჩარევებსა და სანქციებში (მაგალითად, დაჯარიმება მობილური ტელეფონის აპლიკაციის შექმნისა და ექსპლუატაციის გამო).[2377]

3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის გამართლება

3.1. კანონის დათქმა აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევისას

1123 კონსტიტუცია ითვალისწინებს კანონის დათქმას აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევისას. მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად..“. შეზღუდვების კანონით დადგენას ასევე მოითხოვს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ[2378] და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.[2379] საკომუნიკაციო უფლებებში ჩარევის შემოწმება სწორედ იმის გარკვევით იწყება, თუ რამდენადაა დაცული აღნიშნული

[2372] N1/1/468 გადაწყვეტილება.

[2373] N1/5/675,681 გადაწყვეტილება.

[2374] მაგ.: Frisk and Jensen v. Denmark (N19657/12; 5.1.2017).

[2375] მაგ.: N2/1/241 გადაწყვეტილება.

[2376] Cengiz and Others v. Turkey; Kalda v. Estonia.

[2377] შეადარე მაგ.: Fredrik Neij and Peter Sunde Kolmisoppi v. Sweden; Delfi AS v. Estonia; Olafsson v. Iceland (N58493/13; 16.3.2017); Magyar Ketfarkú Kutya Párt v. Hungary (N201/17; 20.1.2020).

[2378] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშრისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

[2379] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

ფორმალური მოთხოვნა.[2380] თუ შეზღუდვას არ აქვს საკანონმდებლო საფუძველი, სახეზეა უფლების დარღვევა.[2381]

1124 კანონის დათქმის ფორმალური დაცვა არ არის საკმარისი შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლებისათვის. მზღუდავი ნორმა უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს. აქ იგულისხმება მისი განჭვრეტადობა, საკმარისი სიცხადე და გასაგებობა ნებისმიერი რაციონალურად მოაზოვნე ადამიანისათვის.[2382] საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე, გამოხატვის თავისუფლების მზღუდავი ნორმა განსაზღვრულობის სტანდარტს არ აკმაყოფილებს, როდესაც მისი ბუნდოვანების გამო, პრინციპული მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა, ერთი მხრივ, სამართალშემფარდებლის, ხოლო მეორე მხრივ, ნორმის შესაძლო სუბიექტების განმარტების ამარა რჩება. გარდა ამისა, გამოხატვის თავისუფლების სფეროში პასუხისმგებლობის დამდგენი კანონი უნდა იყოს იმდენად განსაზღვრული, რომ გამორიცხოს „მსუსხავი ეფექტი“, რაც გამოიხატება სანქციის შიშით უფლების რეალიზაციაზე უარის თქმაში.[2383]

1125 განსაზღვრულობის პრინციპი არ გამორიცხავს კანონმდებლის მიერ საკომუნიკაციო უფლებების შეზღუდვისას ზოგადი ტერმინების გამოყენებას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატებისა და სიმბოლოების თვითნებურად შესრულების აკრძალვაზე, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა მიმდებარე ტერიტორიაზე. მან ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ „მიმდებარე ტერიტორია“ აბსტრაქტული შინაარსის ტერმინი იყო და ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებდა იმაზე, თუ სად გადიოდა ზღვარი „მიმდებარე“ და სხვა ტერიტორიებს შორის. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ შემთხვევაში კანონით უნივერსალური კრიტერიუმების დადგენის შეუძლებლობას და მიუთითა, რომ ეს კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს შენობის ადგილმდებარეობის, მისი არქიტექტურის, პარამეტრების, ურბანული დაგეგმარებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება განხორციელებულიყო. გარდა ამისა კანონი შეიცავდა რეგულირებას, რომ ნახატებისა და წარწერების განთავსება იმ ადგილებზე იკრძალებოდა, რომლებიც „საამისოდ არ არს განკუთვნილი“, რაც საშუალო, გონიერი ადამიანისათვის საკმარისად ცხადი უნდა ყოფილიყო. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ზოგადი ტერმინების გამოყენებას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას უშვებს, თუ შესაძლებელი იქნება კონკრეტულ შემთხვევაში მისი გონივრული განმარტება.[2384]

1126 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევა საჭიროებს საფუძველს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნულ სამართალში.[2385] ის იყენებს „კანონის“

[2380] მაგ.: Haldimann and Others v. Switzerland (N21830/09; 24.2.2015); Morice v. France; Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland; Ottan v. France.

[2381] შეადარე მაგ.: Cengiz and Others v. Turkey.

[2382] შეადარე მაგ.: N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-7; N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-21-22; N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-83.

[2383] დეტალურად იხ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-25-26.

[2384] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-117-118.

[2385] მაგ.: Association Ekin v. France.

ავტონომიურ, მატერიალური ცნებას, რაც მოიცავს როგორც დაწერილ, ასევე დაუწერელ და სამოსამართლო სამართალს და სცდება ფორმალური გაგებით „კანონის“ ცნებას.[2386] გარდა ამისა, ევროპული სასამართლო ეროვნული სამართლით გათვალისწინებულ ჩარევის საფუძვლებს უყენებს „ხარისხობრივ მოთხოვნებს“.[2387] ე.წ. „სანდეი თაიმსის ტესტი“, მოითხოვს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის საკმარის ხელმისაწვდომობასა და განსაზღვრულობას.[2388] ჩარევის საკანონმდებლო საფუძველი საკმარისად ხელმისაწვდომია მაშინ, როდესაც ინდივიდს შეუძლია შესაბამისი ნორმების მოძიება და მათი შინაარსის გაცნობა.[2389] რაც შეეხება საკმარის განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას, ნორმა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ პირს (გარკვეულ შემთხვევებში სამართლებრივი კონსულტაციის დახმარებით) შეეძლოს თავისი ქმედების შედეგების განჭვრეტა და ქცევის კანონის მოთხოვნათა შესატყვისად წარმართვა. განსაზღვრულობის შეფასების სტანდარტი მოქნილია და მისი სიმკაცრე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ჩარევის ინტენსივობა, მისგან გამომდინარე „მსუსხავი ეფექტი“ და ადრესატების წრე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მოითხოვს ნორმის აბსოლუტურ განსაზღვრულობას, რადგანაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია და სასურველიც არაა, რადგან რეგულირების გადაჭარბებულ სიხისტეს იწვევს. ნორმა შესაძლებელია განსაზღვრულ ფარგლებში ტოვებდეს სივრცეს ინტერპრეტაციისათვის.[2390] თუმცა, ეს სივრცე არც ისე ფართო უნდა იყოს, რომ სამართალშემფარდებელს მიენიჭოს ძალიან ფართო დისკრეცია და თვითნებობის შესაძლებლობა.[2391] განსაზღვრულობის შეფასებისას ყურადღება ექცევა ნორმის გამოყენების პრაქტიკას. შესაძლოა, ნორმის შინაარსი საკმარისად იყოს განსაზღვრული, მაგრამ ის მაინც არ აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობის მოთხოვნას მის საფუძველზე განვითარებული წინააღმდეგობრივი სასამართლო პრაქტიკის გამო.[2392]

საკომუნიკაციო უფლების მზღუდავი კანონის კონსტიტუციურობას a priori არც მისი განსაზღვრულობა განაპირობებს, რადგანაც ამ პრინციპთან შესაბამისობაში მყოფი ნორმაც შეიძლება არღვევდეს თანაზომიერების მატერიალურ მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „უდავოა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის უფლებამოსილება არსებობს, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვის პირობით.“[2393] გამოხატვის თავისუფლების კანონით შეზღუდვის კონტექსტში, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა ე.წ. „ურთიერზემოქმედების თეორია“ (Wechselwirkungstheorie), რომელიც მოგვიანებით სხვა უფლებებზეც გავრცელდა. ურთიერთზემოქმედება გამოიხატება შემდეგში: ერთი მხრივ, კანონი ზემოქმედებს უფლებაზე, ზღუდავს და ფარგლებს უდგენს მას, ხოლო მეორე მხრივ, უფლება ზემოქმედებს კანონზე, ის უნდა აკმაყოფილებდეს

[2386] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 37.

[2387] Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands.

[2388] The Sunday Times v. the United Kingdom (N1).

[2389] იქვე.

[2390] Grabenwarter/Pabel, EMRK, §18, Rn. 11; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 41; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France (N21279/02; 22.10.2007); Hoffer and Annen v. Germany (N397/07, 2322/07; 13.1.2011).

[2391] შეადარე მაგ.: Magyar Ketfarkú Kutya Párt v. Hungary.

[2392] Goussev and Marenk v. Finland (N35083/97; 17.1.2006); RTBF v. Belgium (N50084/06; 29.3.2011).

[2393] N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-7. შეადარე ასევე: N1/3/538 გადაწყვეტილება, II-2.

კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებს და მისი განმარტება უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით.[2394]

3.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება

3.2.1. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

1127 საკომუნიკაციო უფლებების გამოვლინება ხშირად შეიძლება შევიდეს კონფლიქტში კერძო თუ საზოგადოებრივ ინტერესებთან.[2395] სწორედ აღნიშნული ინტერესების დაცვა არის ამ უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი. მათ ჩამონათვალს შეიცავს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი. საკომუნიკაციო უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია შემდეგი მიზნებისათვის: 1) სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 2) საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 3) ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; 4) სხვათა უფლებების დაცვა; 5) კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება და 6) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. ამ ჩამონათვალს ამომწურავი ხასიათი აქვს.[2396] საკომუნიკაციო უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ზემოაღნიშნულიდან ერთ-ერთ მკაფიოდ იდენტიფიცირებულ მიზანს მაინც.[2397] წინააღმდეგ შეთხვევაში, ის დაარღვევს თანაზომიერების პრინციპს და არაკონსტიტუციური იქნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „ვიწროდ მიზანმიმართულ კანონს“ განმარტავს, როგორც ნორმას, რომელიც შეიცავს მისი არამიზნობრივად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს.[2398]

1128 საკონსტიტუციო სასამართლო საკმარისად არ თვლის ლეგიტიმური მიზნის მხოლოდ დასახელებას. აუცილებელია, რომ მასსა და უფლების შეზღუდვას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობდეს.[2399] შედარებით რბილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა. ლეგიტიმური მიზნის დეფინირება ჩარევის აუცილებლობის შემოწმების მოსამზადებელ ეტაპად უფრო განიხილება. ის, თუ რამდენად ექმნებოდა საფრთხე სიკეთეს, რომლის დაცვაც კონკრეტული ჩარევის ლეგიტიმურ მიზნადაა წარმოჩენილი, ირკვევა აუცილებლობის შემოწმების ეტაპზე და

[2394] BVerfGE 7, 198 (208 f.).

[2395] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-26.

[2396] N1/1/468 გადაწყვეტილება, II-29.

[2397] შეადარე: N1/1/468 გადაწყვეტილება, II-30; N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-77; N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-69.

[2398] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი.

[2399] N1/1/468 გადაწყვეტილება, II-43.

არა ლეგიტიმური მიზნის დასახელებისას.[2400] ამგვარი მიდგომა თანაზომიერების შემოწმების პირველ საფეხურს ფორმალობად აქცევს. თუ გაირკვა, რომ ლეგიტიმურ მიზანს აშკარად არ აქვს ლოგიკური კავშირი შეზღუდვასთან, მაშინ შეზღუდვა თვითმიზნური და არაკონსტიტუციურია, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ აღარ უნდა დაკარგოს დრო მისი გამოსადეგობისა და მით უმეტეს, აუცილებლობის შემოწმებაზე. არარსებული მიზნის მიღწევისათვის ჩარევის გამოსადეგობისა და აუცილებლობის შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია და აზრს არის მოკლებული, რადგანაც ამ შემთხვევაში სწორედ ჩარევაა თვითმიზანი.

1129 ლეგიტიმური მიზნების ზემოაღნიშნული ჩამონათვალი, მთლიანობაში, იმეორებს იმას რაც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.[2401] მართალია, კონვენციით გათვალისწინებული კატალოგი შედარებით ვრცელია, მაგრამ მასში ჩამოთვლილი სიკეთეები, რომლებიც კონსტიტუციით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაინც შეიძლება მივაკუთვნოთ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს ან მიზნებს. მაგალითად, „საზოგადოებრივი უწესრიგობის აღკვეთა“ აშკარად „საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ ნაწილია. სხვაგვარადაა საქმე „მორალის დაცვის“ მიზნის შემთხვევაში. მორალის დაცვის მიზანზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მიუთითებენ ძირითადად მკრეხელური ან უხამსი გამოხატვის შეზღუდვისას.[2402] ზოგადად, „მორალურსა“ და „ამორალურს“ შორის მკვეთრი მიჯნის გავლება ურთულესი საკითხია, რაც უფრო სუბიექტური შეფასების საგანია, ვიდრე ობიექტური ანალიზის შედეგი. აქ გადამწყვეტია შემფასებლისა და იმ საზოგადოების სუბიექტური დამოკიდებულება, რომელშიც მას უწევს ცხოვრება. საკონსტიტუციო სასამართლო, ითვალისწინებს რა აღნიშნულ სირთულეებს, მიუთითებს იმ უარყოფით, გამყინავ ეფექტზე, რასაც ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე.[2403] „მორალის დაცვას“, როგორც დამოუკიდებელ ლეგიტიმურ მიზანს კონსტიტუცია არ აღიარებს. ამავდროულად, ამ საკითხმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებისას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ „..გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა.“[2404]

1130 საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაციით სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის რისკის შექმნა ყოველდღიური მოვლენა არ არის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ დღის წესრიგში დადგეს შეზღუდვს აუცილებლობა სწორედ ამ სიკეთის დაცვის მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს, რომ „..კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული..

[2400] შეადარე მაგ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 47, 50; Gorelishvili v. Georgia (N12979/04; 5.6.2007); Vajnai v. Hungary (N33629/06; 8.7.2008); Karsai v. Hungary.

[2401] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2402] მაგ.: Perrin v. the Unidet Kingdom (N5446/03; 18.10.2005).

[2403] N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-7.

[2404] იქვე.

გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს."[2405] ამავდროულად, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანი სახეზე არ არის, როდესაც მოქალაქეების ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მშვიდობიან გამოხატვას შეიძლება მოჰყვეს ცვლილებები ხელისუფლებაში, ან სულაც პოლიტიკური წყობილებისა და მმართველობის ფორმის შეცვლა. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება დგება, როდესაც გამოხატვას აქვს ძალადობრივი და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისაკენ მოწოდების სახე და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ქმნის ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს.[2406] სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეიძლება ემსახურებოდეს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვაც. მაგალითად, უცხო სახელმწიფოს დაზვერვის დავალებით, სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ ინფორმაციის შეგროვების ან/და მიწოდების აკრძალვისას კანონმდებელი მოქმედებს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზნის ფარგლებში.[2407] ამასთან სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად არ ითვლება და შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მიღწევისაკენ არ არის მიმართული ინფორმაციის მიწოდება არა დაზვერვისათვის, არამედ უცხოეთის ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისათვის,[2408] თუმცა არც ისაა სრულად გამორიცხული, რომ გარკვეულ უცხურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის იგივე რისკის მატარებელი იყოს, როგორც უცხოეთის დაზვერვისათვის ინფორმაციის მიწოდება.[2409] სახელმწიფო უსაფრთხოების მიზანია რელევანტური ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება პრესისათვის ისეთი მასალების გამოქვეყნების აკრძალვა, რომლის გამჟღავნებითაც დაზიანდება ეროვნული უშიშროების ინტერესი.[2410]

1131 საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი სიკეთეთა ფართო სპექტრის დაცვას ემსახურება. ამასთან, საკომუნიკაციო უფლებების შეზღუდვა არ უნდა მოხდეს მართლწესრიგზე ან საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზოგადი მითითებების საფუძველზე.[2411] ჩარევა უნდა იყოს მიმართული იმ კონკრეტული სიკეთის ან სიკეთეების დაცვისაკენ, რაც შეიძლება მოიაზრებოდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფარგლებში. აღნიშნულ მიზანს, სახელმწიფო უსაფრთხოებასთან ერთად, ემსახურება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისას, რომლებიც მიმართულია ტერორიზმის[2412] ან ომის დანაშაულის

[2405] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-90.

[2406] იქვე, II-91, 96, 106.

[2407] N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-17.

[2408] იქვე, II-23.

[2409] იქვე, II-25.

[2410] Observer and Guardian v. The United Kingdom.

[2411] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 174.

[2412] Zana v. Tukey (N18954/91; 15.11.1997); Incal v. Turkey (N22678/93; 9.6.1998).

გამართლების წინააღმდეგ.[2413] სახელმწიფო დაწესებულებების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, თვით ამ დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება შედიოდეს საზოგადოებრივი ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებში.[2414] იგივე შეიძლება ითქვას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე დანაშაულის პრევენციის მიზნით.[2415] ამასთან, აღნიშნული მიზანი სახეზე არ არის, როდესაც არ მომხდარა ძალადობის ან/და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი ან საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაცია განზრახ და მიზანმიმართულად არ ქმნის ამის რეალურ, პირდაპირ, არსებით და მყისიერ საფრთხეს.[2416] საკონსტიტუციო სასამართლო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სხვათა უფლებების დაცვასთან ერთად, უკავშირებს ნახატების, წარწერებისა და სიმბოლოების თვითნებურად შესრულების აკრძალვასაც საჯარო სივრცით ყველასათვის თანაბარი და არათვითნებური სარგებლობის უზრუნველყოფის, ასევე შენობა-ნაგებობების იერსახეზე ზრუნვის მიზნით.[2417] საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ მართლწესრიგისა[2418] და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა,[2419] სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.[2420]

1132 ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი გათვალისწინებულია როგორც კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ტერიტორია სახელმწიფოს, როგორც ტერიტორიული კორპორციის, ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია, ამიტომ მისი მთლიანობის შენარჩუნება და შესაძლო საფრთხეების აცილება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთე და სახელმწიფო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოსაგან, არის საქმეები, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა განპირობებულია სწორედ ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ინტერესებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებთან ერთად. ამ დროს ჩარევა მიმართულია სეპარატისტული შინაარსის გამოხატვის წინააღმდეგ.[2421]

1133 საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაცია ხშირად შედის კოლიზიაში სხვა პირების უფლებებთან. ამ დროს შესაძლებელია მათი შეზღუდვა სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნისათვის. საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შესაძლებლად მიიჩნევს, „...როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლებულს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის.“[2422] ამავდროულად, ის

[2413] Orban and Others v. France (N20985/05; 15.1.2009).

[2414] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-53.

[2415] შეადარე მაგ.: Mudur Duman v. Turkey (N15450/03; 6.10.2015).

[2416] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-97, 100, 102, 104-105.

[2417] იქვე, II-114, 115.

[2418] მაგ.: Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria.

[2419] მაგ.: Gough v. the United Kingdom.

[2420] Kalda v. Estonia.

[2421] შეადარე მაგ.: Piermont v. France (N15773/89; 27.4.1995); Erdoğdu and Ince v. Turkey (N25067/94, 25068/94; 8.7.1999); Sürek and Özdemir v. Turkey (N23927/94, 24277/94; 8.7.1999); Sürek v. Turkey (N1) (N26682/95; 8.7.1999); Sürek v. Turkey (N4) (N24762/94; 8.7.1999); Erdogdu v. Turkey; Sener v. Turkey; Kommersant Moldovy v. Moldova (N41827/02; 9.1.2007); Doner and Others v. Turkey (N29994/02; 7.3.2017).

[2422] N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-6.

მართებულად აღნიშნავს, რომ სხვათა უფლებების დაცვა არ გულისხმობს შეზღუდვას „..იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს.“[2423] „მხოლოდ მაუწყებლის პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები.“[2424] შეზღუდვა ვერ იქნება მიმართული აბსტრაქტულად სხვათა უფლებების დასაცავად, არამედ აუცილებელია, რომ გამოკვეთილი იყოს ის კონკრეტული უფლება ან უფლებები, რომელთა დაცვასაც ემსახურება ის.[2425] სხვათა უფლებების დაცვის მიზანი სახეზე იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საკომუნიკაციო უფლების რეალიზაცია იჭრება სხვა უფლებით დაცულ სფეროში. მაგალითად, მშობელს აქვს უფლება, აღზარდოს შვილი თავისი ზნეობრივი შეხედულებების მიხედვით და გავლენა მოახდინოს მისი პიროვნების მორალურ და მსოფლმხედველობრივ ფორმირებაზე, მაგრამ ეს არ აძლევს მას შესაძლებლობას, რომ მოსთხოვოს მაუწყებელს ან სხვა კერძო პირებს მხოლოდ მის მორალთან შესაბამისი გადაცემების გაშვება. აქედან გამომდინარე, რომელიმე მშობლისათვის ზნეობრივად მიუღებელი პროგრამის გადაცემის შემთხვევაში, სახეზე არ არის მისი უფლების ხელყოფა და შესაბამისად, არც ამ უფლების დაცვის ლეგიტიმური მიზანი.[2426] სხვათა უფლებების დასაცავად საკომუნიკაციო უფლებების შეზღუდვის განსაკუთრებით გავრცელებული შემთხვევაა ჩარევა სხვათა ღირსების, პატივისა თუ რეპუტაციის დასაცავად.[2427] სხვათა უფლებების კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ არასწრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა, რაც საზოგადოებრივი ზრუნვის უმნიშვნელოვანესი ობიექტია და ემსახურება მათ შეუფერხებელ განვითარებას.[2428] აღსანიშნავია ისეთი შეზღუდვებიც, რომლებიც ემსახურება სხვათა ჯანმრთელობის დაცვის მიზანს და უკავშირდება მაგალითად, ორსულობის შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებულ გამოხატვას[2429] ან თამბაქოს რეკლამის აკრძალვას.[2430] ჩარევა შეიძლება ირიბად ემსახურებოდეს სხვათა უფლებების დაცვას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება მოხდეს ეფექტიანი მართლმსაჯულების

[2423] იქვე, II-7.

[2424] იქვე.

[2425] შეადარე: იქვე.

[2426] იქვე.

[2427] დეტალურად იხილე მაგ.: N2/1/241 გადაწყვეტილება, II; Bethge, GG, Art. 5, Rn, 163; Ipsen, Grundrechte, Rn. 484; Starck, GG, Art. 5, Rn. 209; Starck R., Ehrenschutz in Deutschland, 1996; Thorgeir Thorgeirson v. Iceland; Schwabe v. Austria; Prager and Oberschlick v. Austria; Bladet Tromsø and Stensaas v. Norway; Dalban v. Romania; Bergens Tidende and Others v. Norway; Du Roy And Malaurie v. France; Tammer v. Estonia; Perna v. Italy; Axel Springer AG v. Germany; Reznik v. Russia; Tesic v. Serbia; Axel Springer AG v. Germany (N2) (N48311/10; 18.7.2014); Braun v. Poland; Morice v. France; Kharlamov v. Russia; Perinçek v. Switzerland; Magyar Tartalomszolgaltatok Egyesulete and Index.hu Zrt v. Hungary (N22947/13; 2.2.2016); Frisk and Jensen v. Denmark; Olafsson v. Iceland; Marunić v. Croatia; Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovina; Novaya Gazeta and Milashina v. Russia; Eker v. Turkey; Stiftung Gegen Rassismus und Antisemitismus v. Switzerland (N18597/13; 9.1.2018); Pais Pires de Lima v. Portugal.

[2428] ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 160; Isensee J., Axer P., Jugendschutz im Fernsehen. Verfassungsrechtliche Vorgaben für staatsvertragliche Beschränkungen der Ausstrahlung indexbetroffener Sendungen, 1998; Starck, GG, Art. 5, Rn. 204; BVerfGE 30, 336 (347 ff.); 77, 346 (356); 83, 130 (139 f.); 90, 1 (18 ff.).

[2429] Women On Waves and Others v. Portugal.

[2430] Hachette Filipacchi Presse Automobile and Dupuy v. France (N13353/05; 5.3.2009).

უზრუნველყოფისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გზით სხვათა უფლებების დაცვისათვის.[2431]

1134 ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება ხშირად შევიდეს კონფლიქტში ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ინტერესთან. საქმე შეიძლება შეეხოს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს,[2432] სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზანთან ერთად, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება ისეთი შეზღუდვები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებას უკავშირდება (სამხედრო ხასიათის ინფორმაცია, უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირებული ინფორმაცია და ა.შ.).[2433] ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას ემსახურება ასევე ისეთი ჩარევა, როგორიცაა მაგალითად, პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო პროცესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისათვის[2434] ან რომელიც მიმართულია მედიის ინფორმატორის იდენტიფიცირებისაკენ.[2435] თუ ინფორმაციის კონფიდენციალობა უკვე დარღვეულია, ლოგიკურია, რომ აღარ არსებობს მისი გამჟღავნების თავიდან აცილების მიზანი და არც ამ მიზნის გამო უფლებაში ჩარევის აუცილებლობა.[2436]

1135 სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა გულისხმობს სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის და ცალკეული მოსამართლის დაცვას ზეწოლისა და ზეგავლენისაგან.[2437] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის ფარგლებში შეიძლება მოვიაზროთ ასევე სასამართლოს ავტორიტეტის უზრუნველყოფაც.[2438] მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცის მიზანი შეიქმნა საერთო სამართლის ქვეყნებში გავრცელებული „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ (Contempt of Court) ინსტიტუტის გათვალისწინებით,[2439] თუმცა ის არ ემსახურება სასამართლო პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას, მაგალითად მედიების მიერ წინასწარი „მსჯავრდებისაგან“.[2440] პრაქტიკაში არის შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზანი კომბინირებს სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის მიზანთან.[2441]

[2431] N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-80; N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-69.

[2432] მაგ.: Sürek v. Turkey (N2); Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland.

[2433] მაგ.: Observer and Guardian v. the United Kingdom; Hadjianastassiou v. Greece (N12945/87; 16.12.1992).

[2434] Weber v. Switzerland (N11034/84; 22.5.1990).

[2435] მაგ.: Stoll v. Switzerland.

[2436] Observer and Guardian v. The United Kingdom.

[2437] შეადარე: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-60, 66; Worm v. Austria (N22714/93; 29.8.1997).

[2438] შეადარე მაგ: The Sunday Times v. the United Kingdom (N1); Prager and Oberschlick v. Austria; Du Roy And Malaurie v. France.

[2439] Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 27.

[2440] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 51; The Sunday Times v. the United Kingdom (N1); News Verlags GmbH & Co.KG v. Austria.

[2441] მაგ.: Ottan v. France.

3.2.2. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის გამოსადეგობა

1136 საკომუნიკაციო უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის გარკვევის შემდეგ, თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რამდენადაა შემზღუდველი ღონისძიება ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა იმ ნორმათა გამოსადეგობა, რომლებიც შეეხებოდა აუქციონში/ინტერნეტ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განკარგულების გამოცემას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ეს ნორმები უზრუნველყოფდნენ იძულებითი აუქციონის გზით, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზირებული/ავტორიზებული პირის წილზე ან აქციებზე საკუთრების უფლების დაუბრკოლებლად გადასვლას შემძენ პირზე და ასევე კრეტიდორების აღიარებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას. აქედან გამომ-დინარე, გასაჩივრებული ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ საშუალებად ჩაითვალა.[2442]

3.2.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის აუცილებლობა

1137 როგორც კონსტიტუცია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებით გამოჰყოფს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ჩარევის აუცილებლობის საკითხს.[2443] კერძოდ, საკომუნიკაციო უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[2444] ამასთან, აუცილებლობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს გამოხატვის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვებიც,[2445] თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო მიხედულების უფრო ფართო ფარგლებით სარგებლობს.[2446] აუცილებლობის მაღალ სტანდარტს აწესებს საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც „დემოკრატიული საზოგადოებისათვის კრიტიკულად აუცილებელ შეზღუდვას“ განმარტავს, როგორც შეზღუდვას, „..რომელიც ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა სხვა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობა.“[2447]

[2442] N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-70.

[2443] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე იხ.: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

[2444] შეადარე მაგ.: N1/1/468 გადაწყვეტილება, II-44.

[2445] იქვე, II-53.

[2446] იქვე, II-81.

[2447] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი.

1138 საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, აუცილებლობის მოთხოვნა დაცულია, როდესაც გამოყენებულია უფლების შეზღუდვის (ყველაზე) ნაკლებად მკაცრი ფორმა.[2448] მაგალითად, საჯარო სივრცეში წარწერების, ნახატებისა და სიმბოლოების თვითნებური განთავსების აკრძალვა აუცილებლობის კრიტერიუმთან შესაბამისად ჩაითვალა. ის ემსახურებოდა საზოგადოებრივი წესრიგის, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების თვითნებური სარგებლობისაგან დაცვის მიზანს. უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით ამ ფორმით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა ყველასათვის იყო ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევაში სასამართლომ ვერ დაინახა ლეგიტიმური მიზნის მიზღწევის სხვა, ნაკლებად მზღუდავი საშუალება.[2449] აუცილებლობის მოთხოვნასთან შეუსაბამოდ ჩაითვალა საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზირება. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საკაბელო მაუწყებლის მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებული შედეგების გააზრებისათვის, რაც ისედაც ყოველი პირის ვალდებულება იყო, აუცილებლობას არ წარმოადგენდა მისი ლიცენზირება.[2450] სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან სხვათა უფლებების დაცვის, ასევე სხვა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს შეეძლო სხვა ზომების გამოყენება, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა კანონდამრღვევ მაუწყებელს ლიცენზია.[2451] საკონსტიტუციო სასამართლომ დაასახელა ნაკლებად მზღუდავი საშუალების ვარიანტიც - მაუწყებლობის მსურველი პირებისათვის კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გარკვეული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დაწესება.[2452]

1139 იმისათვის, რომ აუცილებლობის მოთხოვნა დარღვეულად ჩაითვალოს, საკმარისი არ არის მხოლოდ ალტერნატიული, ნაკლებად მზღუდავი საშუალების არსებობა. აუცილებელია, რომ ეს საშუალება იძლეოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გონივრულ შესაძლებლობას.[2453] მაგალითად, უცხო ქვეყნის დაზვერვისათვის ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის დასჯადობა საკონსტიტუციო სასამართლომ აუცილებელ ჩარევად ჩათვალა, რადგანაც არ არსებობდა სხვა საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმავე მიზნის მიღწევა. უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების ინტერესის საგანი შესაძლებელია ყოფილიყო ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ხოლო საქართველოს წინააღმდეგ მათთან თანამშრომლობის ფაქტი თავისთავად სახელმწიფოსთვის საზიანო იყო, მიწოდებული ინფორმაციის ღია ან საიდუმლო შინაარსის მიუხედავად. შესაბამისად, სადავო ნორმის შინაარსის დავიწროება მხოლოდ და მხოლოდ შეამცირებდა მის ეფექტიანობას და უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით მოქმედ პირებს დამატებით შესაძლებლობებს გაუჩენდა. იმ პირობებში, როდესაც უცხო ქვეყნის დაზვერვასთან თანამშრომლობის ფაქტი თავისთავად საფრთხეს წარმოადგენდა სახელმწიფო უშიშროებისათვის, დაზვერვისთვის ერთი შეხედვით უწყინარი ინფორმაციის გადაცემასაც შეეძლო სახელმწიფო ინტერესების მნიშვნელოვნად დაზიანება.[2454]

[2448] მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-32; N1/1/468 გადაწყვეტილება, II-32.

[2449] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-116.

[2450] N1/1/468 გადაწყვეტილება, II-50.

[2451] იქვე, II-51.

[2452] იქვე, II-56.

[2453] მაგ.: N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-71.

[2454] N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-19.

1140 უფრო მოცულობითი და კომპლექსურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მერ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის შემოწმება, რაც ჩარევის გამართლების ცენტრალურ წინაპირობად ითვლება.[2455] აუცილებლად ითვლება შეზღუდვა, როდესაც ის წარმოადგენს „გადაუდებელ სოციალურ საჭიროებას“ (pressing social need).[2456] შეზღუდვა რომ ასეთად იქნეს მიჩნეული, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი წინაპირობები: 1) სახელმწიფოს მიერ ჩარევის გამართლებისათვის დასახელებული საფუძვლების რელევანტურობა და საკმარისობა (relevant and sufficient). საფუძვლები „რელევანტური და საკმარისია“, როდესაც ისინი გამოსადეგია, რომ გაამართლონ კონკრეტული ჩარევა;[2457] (2) ჩარევის პროპორციულობა დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან (proportionate to the legitimate aims pursued).[2458] პროპორციულობის საკითხი განსაკუთრებით შეეხება კონკრეტულ შემთხვევაში შერჩეული მიზნის მიღწევის საშუალებას, მაგალითად სანქციის ბუნებას და სიმძიმეს.[2459] ამდენად, აუცილებლობის შემოწმებაში ინტეგრირებულია როგორც ლეგიტიმური მიზნის, ასევე პროპორციულობის შეფასება. ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით ზემოთ უკვე გამახვილდა ყურადღება, რაც შეეხება პროპორციულობას, ევროპული სასამართლოს მიდგომას შესაბამის ქვეთავში შევეხებით. მოცემული ქვეთავის ფარგლებში ყურადღებას მივაპყრობთ აუცილებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1141 კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევის აუცილებლობის შემოწმებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეციის სფერო (margin of appreciation). მისი მოცულობა იცვლება თანაზომიერების შემოწმების სტანდარტების სიმკაცრის კვალობაზე.[2460] შეფასების სფეროს მოცულობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: შეზღუდული უფლების მნიშვნელობა; ჩარევის მიზანი და ინტენსივობა; გამოხატვის შინაარსი; ევროპული კონსენსუსის არსებობა შესაბამის საკითხთან დაკავშირებით; სახელმწიფოს ვალდებულების სახე და ა.შ.[2461] დემოკრატიისათვის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს დისკრეციის სფერო ამ უფლების შეზღუდვისას იმთავითვე ვიწროა და კიდევ უფრო ვიწროვდება მაღალი ინტენსივობის ჩარევებისას, რომელთაც შემაკავებელი ეფექტი აქვთ.[2462] ანალოგიური მიდგომა ვრცელდება გამოხატვაზე, რომელსაც აქვს პოლიტიკური ან საჯარო ინტერესი.[2463] სახელმწიფოს დისკრეციის სფერო ფართოვდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩარევა ემსახურება სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს ძალადობისაკენ მოწოდებებისაგან.[2464] სახელმწიფოს შეფასების ფარგლები ასევე გაფართოებულია იმ

[2455] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 52.

[2456] მაგ.: Vogt v. Germany; Doner and Others v. Turkey.

[2457] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 52.

[2458] მაგ.: Cumpana and Mazare v. Romania (N33348/96; 17.12.2004).

[2459] Leroy v. France.

[2460] Grabenwarter/Pabel, EMRK, §18, Rn. 20.

[2461] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 56.

[2462] იქვე, Rn. 57.

[2463] მაგ.: Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (N2) (N32772/02; 30.6.2009).

[2464] Sürek v. Turkey (N1).

სფეროებში (მაგალითად, რელიგია და მორალი), სადაც არ არსებობს საერთოევროპული კონსენსუსი.[2465]

1142 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შემოწმებისას დიდ როლს თამაშობს რამდენიმე გარემოება,[2466] რომლებიც ნაწილობრივ ემთხვევა იმ ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს სახელმწიფოს დისკრეციის სფეროზე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის გამოხატვის განმხორციელებელი პირი, განსაკუთრებით -რამდენად ეკისრება მას თავშეკავების ვალდებულება.[2467] ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს გამოხატვის კონკრეტულ შინაარსს[2468] და გამოხატვის ინტერპრეტაციას ეროვნული ორგანოების მიერ.[2469] გაითვალისწინება გამოხატვის კონტექსტი როგორც დროის, ასევე პერსონალური თვალსაზრისით.[2470] ყურადსაღებია გამოხატვის განმხორციელებელი პირის მიერ იმავე თემაზე სხვა დროს გამოხატული მოსაზრებები,[2471] ასევე გამოხატვით დაზარალებულის პიროვნება და მისი ქცევა.[2472] მნიშვნელოვანია, რამდენად აქვს ჩარევას შემაკავებელი, „მსუსხავი ეფექტი“[2473] და გავლენა სხვა უფლებებზე (მაგალითად: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რწმენის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება და ა.შ.).[2474] მხედველობაში მიიღება გამოხატვისათვის დაწესებული სამართლებრივი სანქციის სახე, სიმკაცრე და ალტერნატიული უფრო მუბუქი სანქციის გამოყენების შესაძლებლობა.[2475] თუ სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დაუსაბუთებელია ან საკმარისად დასაბუთებული არ არის, ეს უკვე ნიშნავს კონვენციის დარღვევას და ევროპულ სასამართლოს შეუძლია არც გადაამოწმოს, რადენად არის სახეზე გადაუდებელი სოციალური საჭიროება.[2476]

1143 ინფორმაციის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შემოწმების[2477] პროცესში მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ინფორმაციის მიღების ან გავრცელების აკრძალვის მასშტაბი; აკრძალული ინფორმაციის მნიშვნელობა მისი

[2465] მაგ.: Murphy v. Ireland (N44179/98; 10.7.2003).

[2466] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 61 ff.

[2467] შეადარე მაგ.: Vogt v. Germany; Rekvényi v. Hungary (N25390/94; 20.5.1999); Kyprianou v. Cyprus (N73797/01; 15.12.2005); Baka v. Hungary; Baldassi and Others v. France.

[2468] მაგ.: Oberschlick v. Austria (N1) (N11662/85; 23.5.1991); Nilsen and Johnsen v. Norway (N23118/93; 25.11.1999); Perna v. Italy; Mustafa Erdogan and Others v. Turkey; Belek and Velioglu v. Turkey; Ottan v. France; Stomakhin v. Russia.

[2469] მაგ.: Ferihumer v. Austria (N30547/03; 1.2.2007); Vajinai v. Hungary; Ibragim Ibragimov and Others v. Russia.

[2470] შეადარე მაგ.: Zana v. Turkey; Mustafa Erdogan and Others v. Turkey; Ottan v. France.

[2471] მაგ.: Öztürk v. Turkey; Brunet Lecomte and Lyon Mag v. France (N17265/05; 6.5.2010).

[2472] შეადარე მაგ.: Tammer v. Estonia; Steel and Morris v. the United Kingdom (N68416/01; 15.2.2005); Mamére v. France; Mustafa Erdogan and Others v. Turkey; Marunić v. Croatia.

[2473] შეადარე მაგ.: Barfod v. Denmark (N11508/85; 22.2.1989); Times Newspapers Ltd. v. the United Kingdom (N1 and 2) (N3002/03, 23676/03; 10.3.2009); Karsai v. Hungary.

[2474] მაგ.: Women On Waves and Others v. Portugal.

[2475] შეადარე მაგ.: Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom (N18139/91; 13.7.1995); Lehideux and Isorni v. France; Sürek v. Turkey (N1); Ceylan v. Turkey; Özgür Gündem v. Turkey; Tesic v. Serbia; Perinçek v. Switzerland; Stomakhin v. Russia; Pais Pires de Lima v. Portugal.

[2476] Kommersant Moldovy v. Moldova; Sapan v. Turkey (N44102/04; 8.6.2010).

[2477] დეტალურად იხ.: Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 39; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 110.

გამავრცელებლისა და (პოტენციური) მიმღებისათვის; ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ალტერნატიული გზები და ანალოგიური ინფორმაციის უკვე გავრცელების ფაქტი[2478] და ა.შ. მკაცრ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ისეთი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შეზღუდვა, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუ ჩარევა სხვათა უფლებების დაცვას ემსახურება და ინფორმაციაც არ განეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას, მოთხოვნები შერბილებულია.[2479] ინფორმაციის თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც საქმე შეეხება ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სახელმწიფოს მხრიდან.[2480]

1144 პრესის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის შემოწმებისას[2481] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ამ უფლების ცენტრალურ მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს დისკრეციის სივრცე შეზღუდულია, ხოლო ჩარევის აუცილებლობა განსაკუთრებით მკაცრ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.[2482] არსებითია ის გარემოება, რამდენად ახლავს შეზღუდვას მსუსხავი ეფექტის საფრთხე და ხომ არ უბიძგებს ის პრესას, საზოგადოებრივი ყურადღების საკითხების გაშუქებისაგან.[2483] ამასთან, თავისუფალი პრესის მაღალი ღირებულება და მიდგომის სიმკაცრე არ ნიშნავს, რომ ჩარევა გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელი არ იქნება, მით უმეტეს იმ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რაც თან სდევს პრესის თავისუფლებას.[2484] პრესის თავისუფლების ერთ-ერთი მძიმე შეზღუდვაა მასალის გამოქვეყნების აკრძალვა. ის per se დაუშვებელი არ არის, თუმცა ექვემდებარება გამართლების გამკაცრებულ წინაპირობებს. გარდა ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, გამოქვეყნების აკრძალვის საკანონმდებლო საფუძვლები ნათლად უნდა იყოს დეფინირებული, ხოლო მისი განხორციელება ეფექტიან, ყოვლისმომცველ და სწრაფ სასამართლო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. ასევე გაითვალისწინება, გამოქვეყნება სრულადაა აკრძალული თუ ნაწილობრივ.[2485] უმკაცრესი სტანდარტი გამოიყენება იმ ჩარევებისადმი, რომლებიც უკავშირდება სარედაქციო საიდუმლოებასა და წყაროების დაცვას.[2486] ის ვრცელდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც პირდაპირ მჟღავნდება სარედაქციო საიდუმლოება ან ხდება წყაროს იდენტიფიკაცია, არამედ იმ ჩარევებზეც (მაგალითად, სარედაქციო ოთახების ჩხრეკა), რასაც ახლავს ამის ირიბი საფრთხე.[2487]

[2478] შეადარე მაგ.: Weber v. Switzerland; Observer and Guardian v. The United Kingdom; Open Door and Dublin Well Woman v. Ireland.

[2479] Fredrik Neij and Peter Sunde Kolmisoppi v. Sweden.

[2480] Kalda v. Estonia; Mehmet Reşit Arslan and Orhan Bingöl v. Turkey (N47121/06, 13988/07, 34750/07; 18.6.2019).

[2481] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 83 ff.

[2482] შეადარე მაგ.: Bladet Tromsø and Stensaas v. Norway; Tønsbergs Blad A.S. and Haukom v. Norway.

[2483] Erla Hlynsdottir v. Iceland (N2) (N54125/10; 21.10.2014).

[2484] შეადარე მაგ.: Bladet Tromsø and Stensaas v. Norway; Sürek v. Turkey (N1); Sürek v. Turkey (N3) (N24735/94; 8.7.1999).

[2485] შეადარე მაგ.: The Sunday Times v. the United Kingdom (N1); Observer and Guardian v. The United Kingdom; Association Ekin v. France.

[2486] დეტალურად იხილე მაგ.: Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands.

[2487] მაგ.: Roemen and Schmit v. Luxembourg (N51772/99; 25.2.2003); Tillack v. Belguim; Nagla v. Latvia (N73469/10; 16.7.2013).

1145 მაუწყებლობის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასების პროცესში[2488] მხედველობაში მიიღება მისი განსაკუთრებით ინტენსიური ზეგავლენა საზოგადოებაზე. მაგალითად, პოლიტიკური აქტორების შესაძლებლობების თანასწრობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს მაუწყებლობის საშუალებით საზოგადოებასთან ურთიერთობას, მათ შორის პოლიტიკური რეკლამის გავრცელებით. მართალია, პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა a priori დაუშვებელი არ არის, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბლანკეტური აკრძალვა არაერთხელ ჩათვალა გაუმართლებლად განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის მიმართული იყო მცირე ჯგუფების ან პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ, რომლებსაც არ ჰქონდათ ფინანსური საშუალებები და მაუწყებლობაზე და მის ფართო აუდიტორიაზე ხელმისაწვდომობის ერთადერთ გზას ფასიანი რეკლამა წარმოადგენდა.[2489]

3.2.4. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებში ჩარევის პროპორციულობა

1146 საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაციის პროცესში ხშირად გარდაუვალია კოლიზია კერძო თუ საჯარო ინტერესებთან. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევა სწორედ ამ ინტერესების დაცვას ემსახურება, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს პროპორციულად, დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის გონივრული და სამართლიანი ბალანსის დაცვით.[2490] გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი, მათ შორის ჩარევის პროპორციულობასთან დაკავშირებით, შეზღუდვის ინიციატორზეა, ხოლო ყოველგვარი ეჭვი, რაც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს.[2491] ჩარევის პროპორციულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ საკომუნიკაციო უფლების შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს ჩარევით გამოწვეულ ზიანს.[2492] თუ შემოწმების შედეგად საპირისპირო სურათი მიიღება, უფლების შეზღუდვა ვერ აკმაყოფილებს პროპორციულობის ტესტის მოთხოვნებს.[2493] მაგალითად, როდესაც გამოხატვას აქვს მშვიდობიანი და არაძალადობრივი ფორმა, პირისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება აშკარად გაუმართლებელი და არაპროპორციულია.[2494]

[2488] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 109.

[2489] მაგ.: VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland (N24699/94; 28.6.2001); TV Vest and Rogaland Pensjonistparti v. Norway (N23132/05; 11.12.2008).

[2490] შეადარე მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-32; N1/1/468 გადაწყვეტილება, II-32; Sürek v. Turkey (N2); Bergens Tidende and Others v. Norway; Tammer v. Estonia; Ressiot and Others v. France; Axel Springer AG v. Germany; Reznik v. Russia; Braun v. Poland; Kharlamov v. Russia; Magyar Tartalomszolgaltatok Egyesulete and Index.hu Zrt v. Hungary; Frisk and Jensen v. Denmark; Olafsson v. Iceland; Ana Ionita v. Romania; Milisavlievic v. Serbia; Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovina; Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland; Eker v. Turkey.

[2491] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

[2492] შეადარე მაგ.: N1/1/468 გადაწყვეტილება, II-44; Animal Defenders International v. the United Kingdom; Haldimann and Others v. Switzerland.

[2493] მაგ.: N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-80; N2/6/1311 გადაწყვეტილება, II-74.

[2494] Murat Vural v. Turkey.

1147 ის, თუ რამდენადაა დაცული პროპორციულობის მოთხოვნა, მოწმდება კონკრეტულ შემთხვევაში კოლიდირებულ სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის გზით.[2495] კონკრეტულ შემთხვევაზე ორიენტაციის გამო, შეუძლებლად მიიჩნევენ აწონ-დაწონვის ზოგადი, აბსტრაქტული კრიტერიუმების განსაზღვრას.[2496] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „შეზღუდვა, რომელიც შეიძლება გამართლებული იყოს მაუწყებლობისათვის გამოყენებული ერთი საშუალების მიმართ, შესაძლოა არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენდეს მეორე სახის მაუწყებლობისათვის და პირიქით.“ აქედან გამომდინარე, მან არაგონივრულად ჩათვალა თანამგზავრული მაუწყებლობის შეზღუდვის კონსტიტუციით დასაშვები შემთხვევების ინტერნეტმაუწყებ-ლობაზე გავრცელება და ხაზი გაუსვა პროპორციულობის დადგენის საჭიროებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.[2497]

1148 განსხვავებულია ამერიკული მიდგომა, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა უფლებათა კოლიზიისას არ ითვალისწინებს ცაკლეულ შემთხვევებში სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის განხორციელებას.[2498] აშშ-ის უზენაესი სასამართლო არ იყენებს ე.წ. „კონკრეტულ მეთოდს“ და ხელმძღვანელობს ზოგად-აბსტრაქტული კრიტერიუმებით.[2499] ეს აიხსნება შესაძლო სამართლებრივი გაურკვევლობით, რაც უკავშირდება აწონ-დაწონვაზე დამყარებულ გადაწყვეტილებას. ამავდროულად, მხოლოდ აბსტრაქტულმა მიდგომამ, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე, შეიძლება დააზიანოს ამ შემთხვევების სამართლიანად გადაწყვეტის ინტერესი.[2500]

1149 სახელმწიფო, პროპორციულობის კონტექსტშიც, დისკრეციის სფეროთი სარგებლობს, რომელიც ფართოვდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვას შინაარსობრივად ნეიტრალური ხასიათი აქვს.[2501] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონკრეტულ შემთხვევაში ამოწმებს, ხომ არ გადაადამეტა სახელმწიფომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას შეფასების ზღვარს.[2502] სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების არეალი ფართოვდება ე.წ. „მრავალპოლუსიანი ურთიერთობების“ სფეროში. აქ იგულისხმება საკომუნიკაციო უფლებების დაპირისპირება სხვათა უფლებებთან, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის[2503] ან საკუთრების[2504] უფლებები. ამ დროს ეროვნულ ორგანოებს აქვთ კონკურირებად სიკეთეებს შორის პროპორციული ბალანსის მიღწევის უკეთესი შესაძლებლობა.[2505] გამოხატვის

[2495] მაგ.: N2/1/241 გადაწყვეტილება, II; N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-6; Bethge, GG, Art. 5, Rn. 147; BVerfGE 34, 269 (282); 71, 206 (219 f.); 99, 185 (196).

[2496] მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 32.

[2497] N1/1/468 გადაწყვეტილება, II-70.

[2498] ამ თემაზე აშშ-ისა და გერმანიის სასამართლო პრაქტიკის შედარება იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 195-199.

[2499] შეადარე მაგ.: Gertz v. Robert Welch, Inc., 418 U.S. 323, 343 f. (1974).

[2500] შეადარე მაგ.: Meskouris J., Der Stolpe-Beschluss des Bundesverfassungsgerichts in rechtsvergleichender Betrachtung: der Schutz vor gerichtlichen Verurteilungen zur Unterlassung von Meinungsäußerungen nach dem Grundgesetz und nach der Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika, Der Staat (48), 2009, 364.

[2501] მაგ.: N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-29-30.

[2502] მაგ.: Bidart v. France; Ana Ionita v. Romania; Stiftung Gegen Rassismus und Antisemitismus v. Switzerland.

[2503] MGN Limited v. the United Kingdom (N39401/04; 18.1.2011).

[2504] Fredrik Neij and Peter Sunde Kolmisoppi v. Sweden; Ernst August von Hannover v. Germany (N53649/09; 19.2.2015).

[2505] Mensching, EMRK, Art. 10, Rn.59.

პროვოკაციული ფორმების შეზღუდვის შემთხვევაში, როდესაც ის ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ქცევის სტანდარტებს, ევროპული სასამართლო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სახელმწიფოს შეფასების ფართო ზღვარს ანიჭებს.[2506]

1150

გამოხატვა ხშირად უპირისპირდება სხვის პატივსა და ღირსებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ამ სიკეთეთა დასაცავად აზრის გამოხატვის შეზღუდვა დასაშვები და ზოგჯერ სავალდებულოცაა.[2507] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის ღირსება, მისი კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებით, საკომუნიკაციო უფლებებს აბსოლუტურ ზღვარს უწესებს.[2508] აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში სიკეთეთა შედარება არც გახდება საჭირო, რადგანაც ღირსებას a priori უპირატესობა მიენიჭება. სხვაგვარადაა საქმე ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი გაგების შემთხვევაში. როდესაც გამოხატვა მიმართულია სხვა პირის დამცირებისა და შეუაცხყოფისაკენ, მას უპირისპირდება ამ პირის ზოგადი პიროვნული უფლება და აწონ-დაწონვა სწორედ ამ ორ სიკეთეს შორის უნდა განხორციელდეს.[2509] ამ პროცესში პრინციპული პრიორიტეტით არ სარგებლობს რომელიმე დაპირისპირებული სიკეთეთაგან.[2510] დიდი მნიშვნელობა აქვს აზრის გამოხატვის შინაარსს. როდესაც პირი ავრცელებს სხვისი პატივისა და ღირსების შემლახველ მცდარ ფაქტებს, მაშინ როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება პატივისა და ღირსების დაცვას.[2511] მხედველობაში მიიღება ის, თუ ვინ არის აზრის გამოხატვის ადრესატი. თუ საქმე შეეხება საჯარო პირს,[2512] მას აქვს თმენის ვალდებულება. კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, გადაწყდება პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.[2513] ამგვარი მიდგომით საქართველოს კანონმდებლობა უკეთ უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლების დაცვას. საჯარო პირების თმენის ვალდებულების სტანდარტი, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება განსხვავდებოდეს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსამართლის თმენის ვალდებულების შედარებით დაბალ ხარისხს საჯარო-პოლიტიკური თანამდებობის პირებთან შედარებით. ეს განპირობებულია იმით, რომ მოსამართლეს ეზღუდება საკუთარი პოზიციის დასაცავად საჯარო-პოლიტიკურ დებატებში ჩართვა. თავს მხრივ, ამგვარი შეზღუდვა გამომდინარეობს მოსამართლის

[2506] მაგ.: Gough v. the United Kingdom.

[2507] N2/1/241 გადაწყვეტილება, II.

[2508] BVerfGE 107, 275 (281).

[2509] BVerfGE 82, 272 (283 f.); 85, 1 (16).

[2510] BVerfGE 44, 353 (373); 63, 131 (144).

[2511] მაგ.: N2/1/241 გადაწყვეტილება, II; BVerfGE 99, 185 (197).

[2512] „საჯარო პირის“ ცნებას განმარტავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტი. ის მოიცავს პირთა სამ კატეგორიას: 1) „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი (პრეზიდენტი, მთავრობის წევრი, პარლამენტის წევრი, მოსამართლე და ა.შ.); 2) პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე (ცნობილი ხელოვანი, მწერალი, სპორტსმენი და ა.შ.) და 3) პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. ფიზიკური და იურდიული პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან საჯარო პირების კატეგორიას და არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ითვლებიან „კერძო პირებად“ („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტი).

[2513] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

მიუკერძოებლობის პრინციპიდან და ემსახურება სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფას.[2514]

1151 გამოხატვის თავისუფლებასა და პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას შორის ბალანსის თემას[2515] დიდი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და დემოკრატიული სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკაშიც. კონფლიქტი კომუნიკაციის თავისუფლებასა და ზოგად პიროვნულ უფლებას შორის მედიასამართლის ცენტრალურ თემადაც კი მიიჩნევა.[2516] ჩარევა უნდა იყოს კონვენციის „სხვათა ღირსების დაცვის" ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. ერთი მხრივ, გამოხატვისას, მათ შორის მედიის საშუალებით, დაუშვებელია გარკვეული ზღვარის გადალახვა, ხოლოდ მეორე მხრივ, მედიას აქვს ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელების ვალდებულება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო საზოგადოებას უფლება - მიიღოს ისინი.[2517] ევროპული სასამართლო ყურადღებას აქცევს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა; საზოგადოებრივი ინტერესი გამოხატვის საგნისადმი და კონკრეტული გამოხატვის წვლილი საზოგადოებრივ დისკუსიაში; გამოხატვის კონტექსტი; გამოხატვის ადრესატი და მისი ცნობადობის ხარისხი; გამოხატვის საგანი; ინფორმაციის მოპოვების ხერხი; ინფორმაციის სისწორე; ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა და კეთილსინდისიერება; დაზარალებულის ქცევა; გამოხატვის შინაარსი, ფორმა და ზეგავლენა; გამოხატვის ფაქტობრივი საფუძვლები; შეზღუდვის მსუსხავი ეფექტი; დასაშვები კრიტიკის ზღვრის დაცვა; გამოყენებული სანქციის სიმძიმე და ა.შ.[2518]

1152 განსხვავებულია ამერიკული მიდგომა, სადაც თუნდაც სხვათა დამაზიანებელი გამოხატვა მიეკუთვნება სიტყვის თავისუფლებას. თავის მხრივ, სიტყვის თავისუფლება კონსტიტუციის სხვა ღირებულებებზე წინ დგას და შესაბამისად, როგორც წესი, თითქმის უპირობო უპირატესობა ენიჭება.[2519] შეურაცხმყოფელ გამოხატვას პასუხი შეიძლება გაეცეს საწინააღმდეგო გამოხატვით და არა სახელმწიფო რეგულირებით.[2520] ამდენად, გამოხატვის თავისუფლება აშშ-ში უმეტესწილად იმ შემთხვევაშიც გადაწონის სხვათა პატივს, ღირსებასა თუ რეპუტაციას, როდესაც ანალოგიურ გარემოებებში ევროპაში ამ უკანასკნელთ მიენიჭებოდა უპირატესობა.[2521] აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პოზიციით, დეფამაციაც დაცულია კონსტიტუციის პირველი დამატებით. ცილისწამებამ, როგორც სამოქალაქოსამართლებრივმა დელიქტმა, შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ზიანის

[2514] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-67.

[2515] დეტალურად იხ.: Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 30 f.; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 66 ff.; Nußberger A., Der freie Meinungsprozess als gefährdetes Gut in Europa, Archiv für Presserecht, 481 (482 ff.); Stegmann O., Tatsachenbehauptung und Werturteil in der deutschen und französischen Presse. Eine rechtsvergleichende Untersuchung des Schutzes der persönlichen Ehre durch das Deliktsrecht, 2004, 214 ff.

[2516] მაგ.: Schulze-Fielitz, GG, Art. 5 I, II, Rn. 278 ff.

[2517] შეადარე მაგ.: Thorgeir Thorgeirson v. Iceland; Prager and Oberschlick v. Austria.

[2518] დეტალურად იხ.: Axel Springer AG v. Germany; Reznik v. Russia; Kharlamov v. Russia; Couderc and Hachette Filipacchi Associes v. France; Olafsson v. Iceland; Droemer Knaur GmbH & Co. KG v. Germany (N35030/13; 19.10.2017); Eker v. Turkey; Stiftung Gegen Rassismus und Antisemitismus v. Switzerland.

[2519] Meskouris, Der Schutz vor gerichtlichen Verurteilungen zur Unterlassung von Meinungsäußerungen, 364.

[2520] Freie Meinungsäußerung, 13.

[2521] შეადარე: Freie Meinungsäußerung, 16; Meskouris, Der Schutz vor gerichtlichen Verurteilungen zur Unterlassung von Meinungsäußerungen, 364.

ანაზღაურების დაკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის რეპუტაციაა შელახული. როდესაც თანამდებობის პირი მოითხოვს ზიანის ანაზღაურების დაკისრებას დეფამაციის გამო, მან უნდა დაამტკიცოს როგორც გავრცელებული ფაქტების სიცრუე, ასევე ის, რომ ცრუ ფაქტების გავრცელება მოხდა განზრახ ან დაუდევრობით (actual malice).[2522]

1153

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოხატვა შეფასებით მსჯელობას (value judgment) წარმოადგენს, თუ ფაქტების მტკიცებას (statement of fact). თუ ფაქტების სინამდვილე (თეორიულად) შეიძლება დამტკიცდეს, შეფასებითი მსჯელობა ანუ აზრი მტკიცებას არ ექვემდებარება.[2523] გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა აზრს იცავს აბსოლუტური პრივილეგიით,[2524] რაც ნიშნავს აზრის გამოხატვისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან სრულ და უპირობო გათავისუფლებას.[2525] საქართველოს კანონმდებლობით ფაქტების გავრცელებაც დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზეა ცილისწამება - არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.[2526] კერძო პირის ცილისწამებისათვის მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაა შესაძლებელი და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც გამოხატვის ადრესატი სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხემ არსებითად მცდარი ფაქტი გაავრცელა, რითაც მას ზიანი მიაყენა.[2527] საჯარო პირის ცილისწამებისას, აღნიშნულ პირობებს ემატება ის, რომ მოპასუხისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი მის მიერ გავრცელებული ფაქტის მცდარობა, ანუ უნდა მოქმედებდეს განზრახ ან გამოიჩინოს აშკარა და უხეში დაუდევრობა, რასაც მოჰყვა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.[2528] ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება გამორიცხულია, თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.[2529] აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ცილისწამება პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება[2530] ან მასზე ვრცელდება კვალიფიციური პრივილეგია.[2531] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირი

[2522] New York Times v. Sullivan, 376 U.S. 254, 265 (1964).

[2523] მაგ.: Lingens v. Austria; Dalban v. Romania.

[2524] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[2525] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი.

[2526] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

[2527] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლი.

[2528] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი.

[2529] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი.

[2530] კერძოდ, როდესაც საქმე შეეხება განცხადებას, რომელიც გაკეთებულია: ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს, აგრეთვე მისი კომიტეტის/კომისიის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში; გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი).

[2531] პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ: ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს; გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით; დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის

შეიძლება დაექვემდებაროს სამოქალაქო პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, შეზღუდულია შესაძლო სანქციების წრე და მათი გამოყენების შესაძლებლობა. აკრძალულია პირის იძულება, მოიხადოს ბოდიში. მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მან კანონით დადგენილ ვადაში გამოაქვეყნა მცდარი ფაქტებს შესწორება ან უარყოფა, თუმცა ეს არ არის საკმარისი მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს (ქონებრივი ან/და არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება.[2532] ზემოაღნიშნული მიდგომა ემსახურება გამოხატვის თავისუფლების მაქსიმალურად ეფექტიან დაცვას და ამ საკითხების გადაწყვეტაში სახელმწიფოს ჩართვა ადმინისტრაციული და მით უმეტეს, სისხლისსამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

1154 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის დიფერენცირებას აზრებად და ფაქტებად სახელმწიფოთა დისკრეციის სფეროს მიაკუთვნებს,[2533] თუმცა თავისთვისაც იტოვებს შეფასების სივრცეს და ეჭვის შემთხვევაში გამოხატვას შეფასებით მსჯელობად მიიჩნევს.[2534] კონვენციას შეესაბამება ღირსების ხელმყოფი ფაქტების სინამდვილის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა.[2535] ამასთან, თუ პირს არ ეძლევა მათი წარდგენის შესაძლებლობა, ეს შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის დარღვევად.[2536] თუ აღმოჩნდა, რომ მცდარი ფაქტების გავრცელება მოხდა ან არ იქნა წარმოდგენილი მათი სინამდვილის დამადასტურებელი მტკიცებულება, მოწმდება, რამდენად გამოიჩინა პირმა აუცილებელი წინდახედულება გამოხატვამდე. თუ ეს დადასტურდა, მისი შეცდომა არაბრალეულად ითვლება. წინდახედულების სტანდარტები მკაცრდება გავრცელებული ფაქტის შინაარსის სიმძიმისა და მისი გავრცელების მასშტაბების ზრდის კვალობაზე.[2537] არ არის გამორიცხული, რომ პროპორციულად ჩაითვალოს ნამდვილი ფაქტების გავრცელების შეზღუდვაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შეეხება პირად ცხოვრებას და არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.[2538] განსხვავებულია მიდგომა ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებითაც არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი (მაგალითად, უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა).[2539] როდესაც გამოხატვა შეფასებით მსჯელობას

მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს; ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლი).

[2532] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი.

[2533] მაგ.: Prager and Oberschlick v. Austria (N19574/90; 26.4.1995).

[2534] მაგ.: Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft v. Austria (N3) (N66298/01, 15653/02; 13.12.2005); Ferihumer v. Austria; Roland Dumas v. France (N34875/07; 15.7.2010). მსგავსი მიდგომა ასახულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტშიც: „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“.

[2535] მაგ.: McVicar v. the United Kingdom (N46311/99; 7.5.2002); Steel and Morris v. the United Kingdom.

[2536] მაგ.: Colombani and Others v. France (N51279/99; 25.6.2002).

[2537] მაგ.: Rumyana Ivanova v. Bulgaria (N36207/03; 14.2.2008); Ringier Axel Springer Slovakia, a.s. v. Slovakia (N41262/05; 26.7.2011).

[2538] მაგ.: Standard Verlags GmbH v. Austria (N2) (N21277/05; 4.6.2009); Ruusunen v. Finland.

[2539] მაგ.: Éditions Plon v. France (N58148/00; 18.5.2004).

წარმოადგენს, მისი სინამდვილის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად განიხილება.[2540] ამ ტიპის გამოხატვის შემთხვევაში გამოიყენება აზრისათვის სასარგებლო სტანდარტი, რაც უშვებს მწვავე შეფასებებსაც, თუ ისინი საგნობრივი ხასიათისაა და აშკარად არ კვეთენ პერსონალური და დამამცირებელი თავდასხმის ზღვარს.[2541]

1155

კრიტიკული შეფასებების დასაშვები ფარგლები განსაკუთრებით ფართოა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხება პოლიტიკური დებატების მონაწილეთა, განსაკუთრებით პოლიტიკოსების, გამოხატვას, ასევე კრიტიკას, რომლის ადრესატია სახელმწიფო, მთავრობა, პოლიტიკოსები, მაღალი რანგის მოხელეები თუ სხვა საჯარო პირები. საჯარო პირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიაკუთვნებს ყოფილ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებსაც.[2542] პირთა ამ კატეგორიისათვის საერთოა ის, რომ ისინი საკუთარი ნებით ჩაერთნენ საჯარო დებატებში, აქციეს თავისი სიტყვა თუ მოქმედება ჟურნალისტებისა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგნად, გარდაუვალად დაუქვემდებარეს თავი გამძაფრებულ საზოგადოებრივ ინტერესსა და კრიტიკას და ამდენად, მათ უფრო მეტი თმენის ვალდებულება ეკისრებათ.[2543] საჯარო პირებისადმი გამოხატვასთან დაკავშირებით ეს მიდგომა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც ის შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.[2544] დასაშვები კრიტიკის ფარგლები ვიწროვდება, როდესაც ის შეიცავს გამოკვეთილად პირად საკითხებთან დაკავშირებულ ბრალდებებს.[2545] ამასთან, პირადი საკითხი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი დისკუსიის ლეგიტიმური საგანი, თუ ის უკავშირდება გამოხატვის ადრესატის საჯარო ამოცანას.[2546] ამ კონტექსტში, ევროპული სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს გარემოებებს, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტია და საკითხებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პუბლიკის უბრალო ცნობისმოყვარეობას.[2547] იმას, თუ რამდენად შეაქვს გამოხატვას წვლილი საზოგადოების არსებითი ინტერესის სფეროში შემავალ თემაზე დისკუსიაში, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც. თუ სახეზეა ამგვარი სიტუაცია, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც გამოხატვას მწვავე, გადაჭარბებული და დამაზიანებელი ფორმა აქვს, მოქმედებს თავისუფალი სიტყვის პრეზუმფცია.[2548] გამონაკლისის სახით, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას შეიძლება დასაშვებად არ ჩაითვალოს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებული გამოხატვაც. ამის მაგალითია გამოხატვა, რომელიც ჰოლოკოსტთან ავლებს პარალელს: ცხოველთა დამცველების პლაკატი

[2540] მაგ.: Lingens v. Austria; OOO Ivpress ans Others v. Russia (N33501/04, 38608/04, 35258/05, 35618/05; 22.1.2013).

[2541] მაგ.: Katamadze v. Georgia (N69857/01; 14.2.2006); Gorelishvili v. Georgia.

[2542] მაგ.: Axel Springer AG v. Germany (N2).

[2543] შეადარე მაგ.: Lingens v. Austria; Oberschlick v. Austria (N2); Okçuoğlu v. Turkey; Jerusalem v. Austria (N26958/95; 27.2.2001); Steel and Morris v. the United Kingdom; Dupuis and Others v. France; July and SARL Libération v. France; Otegi Mondragon v. Spain (N2034/07; 15.3.2011); Eon v. France.

[2544] შეადარე მაგ.: Dalban v. Romania.

[2545] მაგ.: Tammer v. Estonia.

[2546] მაგ.: Standard Verlags GmbH v. Austria (N2).

[2547] მაგ.: Von Hannover v. Germany (N59320/00; 24.6.2004); Saaristo and Others v. Finland (N184/06; 12.10.2010); Axel Springer AG v. Germany.

[2548] BVerfGE 85, 1 (16); 90, 241 (249); 93, 266 (294 f.).

შინაარსით: „ჰოლოკოსტი შენს თეფშზე";[2549] ღეროვანი უჯრედების კვლევის გათანაბრება საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანებზე ჩატარებულ ცდებთან[2550] და ტერმინ „ბეიბიკოსტის" გამოყენება.[2551] ევროპული სასამართლო არსებით მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ რამდენად ეფუძნება შეფასებითი მსჯელობა შესატყვის ფაქტობრივ საფუძველს (sufficient basis in fact).[2552] თუ ამგვარი საფუძველი არ არსებობს, შეფასებითი მსჯელობა ჩაითვალოს გადაჭარბებულად და დაუშვებლად,[2553] თუმცა აზრის გამოხატვის ფაქტობრივ საფუძველთან დაკავშირებული მოთხოვნები არ უნდა იყოს გადამეტებული.[2554]

1156 აზრის, ინფორმაციისა და განსაკუთრებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება ხშირად შედის კონფლიქტში პირადი და ოჯახურის ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან.[2555] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ამ კონტექსტში, ერთმანეთისაგან განასხვავებს გამოხატვას, რომელსაც წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი ინტერესის საგანთან დაკავშირებულ დისკუსიაში და ცნობის-მოყვარეობის უბრალო დაკმაყოფილებას.[2556] ბუნებრივია, რომ პირველ შემთხვევაში შეზღუდვის გამართლებისათვის გაცილებით მაღალი მოთხოვნებია დაწესებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.[2557] როდესაც სახეზე მხოლოდ ცნობისმო-ყვარეობის დაკმაყოფილების ინტერესია, მასმედია აღარ გვევლინება „საზოგადოებრივი მოდარაჯე ძაღლის" როლში და შესაბამისად, დაცვის ხარისხიც დაბალია.[2558] იმისათვის, რომ მასმედიის საშუალებით პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალის გავრცელება ჩაითვალოს წვლილის შემტანად საზოგადოებრივ დისკუსიაში, აუცილებელია მას ჰქონდეს კონკრეტული საგნობრივი კავშირი იმ საკითხთან, რომელიც

[2549] PETA Deutschland v. Germany (N43481/09; 8.11.2012).

[2550] Annen v. Germany (N6) (N3779/11; 18.10.2018).

[2551] Hoffer and Annen v. Germany.

[2552] მაგ.: De Haes and Gijsels v. Belgium; Jerusalem v. Austria; Annen v. Germany (N2) (N3682/10; 20.9.2018).

[2553] მაგ.: Steel and Morris v. the United Kingdom.

[2554] მაგ.: Brosa v. Germany (N5709/09; 17.4.2014).

[2555] დეტალურად იხ.: Klass N., Der Schutz der Privatsphäre durch den EGMR im Rahmen von Medienberichterstattungen – Zugleich Besprechung der dritten „Caroline von Hannover/Deutschland"-Entscheidung sowie der „Ruusunen/Finnland"-Entscheidung des EGMR, Zeitschrift für Urheber- und Medienrecht (58), 2014, 261 (265 ff.); Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 93 ff.

[2556] ეს მიდგომა ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტი „საზოგადოებრივ ყურადღებას" განმარტავს შემდეგნაირად: „საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან." საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, გადაწყდება მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი).

[2557] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

[2558] შეადარე მაგ.: Von Hannover v. Germany; MGN Limited v. the United Kingdom; Mosley v. the United Kingdom (N48009/08; 10.5.2011); Bild GmbH & Co. KG und Axel Springer AG v. Germany (N62721/13; 4.12.2018).

არსებითად აინტერესებს საზოგადოებას.[2559] ამგვარ საკითხად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური მოვლენები, დანაშაულის ფაქტები, მოვლენები სპორტის ან კულტურის სფეროდან და ა.შ.[2560] პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესის წონა იმატებს და შესაბამისად, მედიისათვის დაწესებული ჩარჩოები ვიწროვდება, როდესაც ის ავრცელებს პირის ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციას.[2561] პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობასთან კონფლიქტისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოხატვის ადრესატის ვინაობას. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მონაკოს პრინცის გასაიდუმლოებულ შვილთან დაკავშირებით მასალის გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაიცვეს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემას შორის. გასაჯაროებული ინფორმაცია, მართალია, პირად ცხოვრებას შეეხებოდა, მაგრამ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და პრინცის, როგორც ქვეყნის პირველი პირის, ფუნქციების მემკვიდრეობითი ხასიათის გათვალისწინებით, სცილდებოდა პირადი სფეროს ფარგლებს.[2562] მედიას ასევე აქვს შეფასებისა და საკითხების გაშუქების მნიშვნელოვანი სივრცე, როდესაც საქმე შეეხება ისეთ საჯარო პირებს, რომლებიც არ არიან პოლიტიკოსები ან მაღალი რანგის თანამდებობის პირები.[2563] ამასთან, საზოგადოებრივ დისკუსიაში წვლილის შესატანად საკმარისი არ არის მხოლოდ ის გარემოება, რომ საქმე საჯარო პირს შეეხება ან მასალას აქვს ზოგადი მიმართება საზოგადოებრივი ინტერესის თემასთან.[2564] ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის საგნობრივად ორიენტირებული და სერიოზული განხილვა, საკმარისი არ არის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და საჭიროა ინტერესების ყოვლისმომცველი აწონ-დაწონვა.[2565]

1157 სიძულვილის ენის გამოყენება და ძალადობისაკენ მოწოდებები[2566] მკაცრ ზღვარს უდგენს გამოხატვის თავისუფლების ფართო უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის ამ შემთხვევაში ორიენტირია გამოხატვის შინაარსი. ამ შინაარსის გამოხატვა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის ფუნდამენტურ ფასეულობებს, საერთოდ არაა დაცული ან შეიძლება დაექვემდებაროს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.[2567] ამის მაგალითია ჰოლოკოსტის უარყოფა. კონვენციის მე-17 მუხლიდან (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა) გამომდინარე, ძირითადად

[2559] Karhuvaara and Iltalehti v. Finland (N53678/00; 16.11.2004); Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft v. Austria (N3); Minelli v. Switzerland (N14991/02; 14.6.2006).

[2560] მაგ.: Sihler-Jauch and Jauch v. Germany (N68273/10; 24.5.2016); Karl-Theodor zu Guttenberg v. Germany (N14047/16; 25.6.2019).

[2561] მაგ.: Kurier Zeitungsverlag und Druckerei GmbH v. Austria (N2) (N1593/06; 19.6.2012); Ojala and Etukeno Oy v. Finland; Ruusunen v. Finland.

[2562] Couderc and Hachette Filipacchi Associes v. France.

[2563] მაგ.: Axel Springer AG v. Germany; Von Hannover v. Germany (N2) (N40660/08; 7.2.2012); Von Hannover v. Germany (N3) (N8772/10; 19.9.2013).

[2564] Hachette Filipacchi Associes (ICI Paris) v. France (N12268/03; 23.7.2009).

[2565] Lillo-Stenberg and Sæther v. Norway.

[2566] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 78 ff.; Struth A. K., Hassrede und Freiheit der Meinungsäußerung. Der Schutzbereich der Meinungsäußerungsfreiheit in Fällen demokratiefeindlicher Äußerungen nach der Europäischen Menschenrechtskonvention, dem Grundgesetz und der Charta der Grundrechte der Europäischen Union, 2019, 258 ff., 281 f.

[2567] მაგ.: Roj TV AS v. Denmark (N24683/14; 17.4.2019).

არც არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით.[2568] მე-17 მუხლის გამოყენება დაცული სფეროს ფარგლების გარკვევის ეტაპზე მოხდება თუ ჩარევის გამართლებისას, ევროპული სასამართლო წყვეტს კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით.[2569] ღიაა საკითხი, რამდენად მოხდება ამ მიდგომის გამოყენება ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულების უარყოფისას. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში მოაქცია მოსაზრება, რომელიც სადავოდ ხდიდა 1915 წელს თურქეთის მიერ სომეხი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედებების, როგორც გენოციდის, სამართლებრივ კვალიფიკაციას.[2570]

1158 სიძულვილის ენა (hate speech) ისეთი გამოხატვაა, რომელიც მიმართულია ცალკეულ პირთა ან გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი სიძულვილის გაღვივებისაკენ. არ არის აუცილებელი, რომ ის შეიცავდეს ძალადობის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ მოწოდებას. სიძულვილის ენისათვის დამახასიათებელია ცილისმწამებლური და დისკრიმინაციული შინაარსი, რომელიც უარყოფს ყველა ადამიანის ფუნდამენტურ თანასწორობას, ადამიანის ღირსებასა და დემოკრატიულ პლურალიზმს.[2571] სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე ფორმები, როგორიცაა რასისტული, ანტისემიტური და ნეონაცისტური გამონათქვამები, კონვენციის მე-17 მუხლის საფუძველზე, როგორც წესი, გამოირიცხება გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროდან.[2572] ნაკლებად მკაფიო შემთხვევებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს, რამდენად გამართლებულია ჩარევა, თუმცა სისტემატურად დასაშვებად მიიჩნევს მათ და მიუთითებს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.[2573] განსხვავებული მიდგომაა აშშ-ში, რაც განპირობებულია სიტყვის თავისუფლების პრიორიტეტით. იქედან გამომდინარე, რომ აშშ-ის კონსტიტუცია თითქმის ყოველთვის იცავს სიძულვილის ენას, სიკეთეთა შორის დაპირისპირების შედეგი, როგორც წესი, წინასწარვე ცნობილია და ის აზრის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ წყდება.[2574]

1159 გამოხატვა ზოგიერთ შემთხვევაში იღებს ძალადობისაკენ მოწოდების ფორმას. საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ძალადობის ენის შემცველ განცხადებას, რომელიც „უვნებელია და პოლიტიკური, სოციალური თუ სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მოწოდებას, როდესაც მის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას.“[2575] საქართველოს კანონმდებლობა მოწოდებას იცავს კვალიფიციური პრივილეგიით. მოწოდების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია ორი წინაპირობის კუმულაციური არსებობა: 1) მსგავსი შინაარსის მოწოდების

[2568] მაგ.: Lehideux and Isorni v. France; Garaudy v. France; Witzsch v. Germany (N2).

[2569] მაგ.: Pastörs v. Germany.

[2570] Perinçek v. Switzerland.

[2571] მაგ.: Gündüz v. Turkey (N35071/97; 4.12.2003); Féret v. Belgium (N15615/07; 16.7.2009); Perinçek v. Switzerland.

[2572] მაგ.: Jersild v. Denmark; Norwood v. The United Kingdom; Pavel Ivanov v. Russia.

[2573] მაგ.: Soulas and Others v. France (N15948/03; 10.7.2008).

[2574] Freie Meinungsäußerung, 13.

[2575] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-93.

განხორციელებას უნდა ჰქონდეს განზრახი ქმედების ხასიათი და 2) ის უნდა ქმნიდეს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[2576]

1160 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, ძალადობისაკენ მოწოდება, როგორც აზრთა დაპირისპირების არალეგიტიმური საშუალება, რომელსაც ცალსახა შინაარსი აქვს (მაგალითად, მოწოდება სისხლიანი შურისძიებისაკენ), შეიძლება აიკრძალოს.[2577] თუ მოწოდებას ცალსახა შინაარსი არ აქვს, მაშინ ფაქტებისა და კონტექსტის გათვალისწინებით დგინდება, არის თუ არა სახეზე იმპლიციტური მოწოდება ძალადობისაკენ.[2578] იმ პირის ვინაობა, რომელიც გამოხატვას ახორციელებს და მისი განცხადებების თუნდაც უხეში ტონი a priori ვერ გაამართლებს შეზღუდვას.[2579] ევროპული სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმას, თუ რამდენადაა გამოხატვის საგანი საზოგადოების ინტერესის ობიექტი და შესაბამისად, საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. თუ გამოხატვა (თუნდაც პროვოკაციული, კატეგორიული და შეურაცხმყოფელი) ამგვარ საკითხს შეეხება და თავისი შინაარსით, ტონითა და კონტექსტით არ წარმოადგენს ცალსახა მოწოდებას ძალადობისაკენ ან ძალადობის მხარდაჭერას, ამისათვის პირების მსჯავრდება თუ სხვა სახის შეზღუდვები ითვლება არაპროპორციულ საშუალებად ლეგიტიმური მიზნების (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის) მისაღწევად.[2580]

1161 საინტერესოა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მსგავსი სახის გამოხატვასთან ე.წ. „საბრძოლო სიტყვებთან“ (fighting words) დაკავშირებით.[2581] შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიდგომა ამ შემთხვევაშიც სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ იხრება. მაგალითად, ერთერთი ანტისემიტი fighting words-ისთვის არ დაისაჯა. სასამართლომ ეს გაამართლა იმ არგუმენტით, რომ აზრის თავისუფლების მაღალი მიზანია შექმნას მღელვარების მდგომარეობა, გამოიწვიოს უკმაყოფილება არსებული ვითარებით და თუნდაც, ბრაზი გააღვივოს ადამიანებში.[2582] არაკონსტიტუციურად გამოცხადდა კანონი, რომელიც კრძალავდა დისკრიმინაციული სიმბოლოების ჩვენებას. სასამართლომ ის შეაფასა, როგორც გამოხატვის შერჩევითი აკრძალვა.[2583] თუმცა, ვხვდებით ისეთ საქმეებსაც, როდესაც სიძულვილის ენა თუ ძალადობისაკენ მოწოდება ვეღარ სარგებლობს კონსტიტუციის დაცვით. მაგალითად, კონსტიტუციურად ჩაითვალა ნორმები, რომლებიც ზრდიდა სანქციას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისათვის (hate crimes).[2584] აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, სიძულვილის ენისა და ძალადობისაკენ მოწოდების კონტექსტში, 1919 წელს განავითარა ე.წ. „აშკარა და რეალური საფრთხის ტესტი“ (clear and present danger test), რაც

[2576] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2577] მაგ.: Sürek v. Turkey (N1).

[2578] მაგ.: Savva Terentyev v. Russia.

[2579] Sürek and Özdemir v. Turkey.

[2580] შეადარე: Erdoğdu and Ince v. Turkey; Sürek and Özdemir v. Turkey; Sürek v. Turkey (N4); Okçuoğlu v. Turkey; Özgür Gündem v. Turkey; Erdogdu v. Turkey; Sener v. Turkey; Mudur Duman v. Turkey.

[2581] Chaplinsky v. New Hampshire.

[2582] Terminiello v. Chicago, 337 U.S. 1 (1949).

[2583] R.A.V. v. St. Paul, 112 S. Ct. 2538 (1992).

[2584] Wisconsin v. Mitchell, 113 S. Ct. 2194 (1993).

გულისხმობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ ამგვარი საფრთხის შემთხვევაში.[2585] ეს ტესტი არ უყენებდა განსაკუთრებულ მოთხოვნებს შესაძლო საფრთხის მყისიერებას ან ხარისხს და იძლეოდა მცირე საფრთხის შემთხვევაშიც შეზღუდვის გამართლების შესაძლებლობას.[2586] ამის შემდეგ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის ტენდენცია გაძლიერდა.[2587] 1969 წელს „აშკარა და რეალური საფრთხის ტესტი" ჩაანაცვლა ე.წ. „ბრანდენბურგის ტესტმა", რომელიც შეზღუდვისათვის გაზრდილ მოთხოვნებს ითვალისწინებს. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა კანონი, რომლის საფუძველზეც პირი დაისაჯა ძალადობისაკენ მოწოდებისათვის. მან მოითხოვა, რომ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისაკენ მოწოდება მიმართული იყოს უშუალო და მყისიერი ეფექტისაკენ, როგორც წარმატების პერსპექტივის, ასევე განზრახვის თვალსაზრისით.[2588]

1162 სარედაქციო საიდუმლოებისა და წყაროების დაცვის წინააღმდეგ მიმართულ შეზღუდვებს გამართლებისათვის მკაცრი მოთხოვნები წაეყენება. საქართველოს კანონმდებლობა პროფესიული საიდუმლოების წყაროებს იცავს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის, სასამართლოს ჩათვლით, აქვს უფლება, მოითხოვოს მისი გამხელა. რაც შეეხება კონფიდენციალურ ინფორმაციას, მისი გამხელა შეიძლება მოხდეს თვით მფლობელის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილისა, რომლის გამჟღავნების აუცილებლობაც დამტკიცდა და იმ დათქმით, რომ ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი გამხელა.[2589] კანონმდებლობა ასევე კრძალავს, რომ მოპასუხის უარი პროფესიული საიდუმლოების ან მისი წყაროს გამხელასთან დაკავშირებით გახდეს მისთვის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე.[2590] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრესის წყაროების დაცვაში ჩარევის გამართლებას უშვებს მხოლოდ აღმატებული საჯარო ინტერესით.[2591] ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმატორის ანონიმურობის დაცვის ინტერესი, არამედ იმ შემაკავებელი ეფექტის თავიდან აცილება, რაც მოჰყვება წყაროს იდენტიფიკაციას და საზოგადოების ინტერესი, მედიის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია ამგვარი წყაროებიდან.[2592] წყაროს დაცვის ინტერესს ვერ გადაწონის გამოხატვის შედეგად დაზარალებული პირის სურვილი, მოხდეს მისი იდენტიფიკაცია, რათა მიეცეს მის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ევროპული სასამართლო, როგორც წესი, საკმარისად თვლის, რომ დაზარალებულს უფლება აქვს სამართლებრივად იდავოს

[2585] Schenck v. United States.

[2586] Kreutzberger W., "Hate Speech". Grenzen der Meinungsfreiheit in den U.S.A. - und was wir daraus lernen können, in: Bruckmiller (Hrsg.), Opposition als Triebkraft der Demokratie. Bilanz und Perspektive der zweiten Republik. Jürgen Seifert zum 70. Geburtstag, 1998, 283.

[2587] მაგ.: Abrams v. United States, 52 250 U.S. 616 (1919); Stromberg v. California 283 U.S. 359 (1931); Yates v. United States 355 U.S. 66 (1957).

[2588] Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444, 448 (1969).

[2589] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-11 მუხლი.

[2590] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

[2591] მაგ.: Jecker v. Switzerland (N35449/14; 6.10.2020).

[2592] Goodwin v. the United Kingdom; Financial Times Ltd and Others v. the United Kingdom (N821/03; 15.12.2009).

საკითხის გაშუქებასთან, როგორც ასეთთან, დაკავშირებით.[2593] კონფიდენციალური ინფორმაციის შემდგომი გამჟღავნების პრევენციის ინტერესი წყაროების დაცვის მოთხოვნას გადაწონის მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც არ არსებობს მიზნის მიღწევის უფრო მსუბუქი საშუალება, ან ამგვარი საშუალებები ამოწურულია და არსებობს განსაკუთრებით დიდი ზიანის საფრთხე.[2594]

1163

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობა ანიჭებს იმას, რამდენად შესრულდა ჟურნალისტური წინდახედულების ვალდებულება და თავსდება თუ არა გამოხატვა ჟურნალისტური ნორმების ფარგლებში.[2595] ეს ვალდებულება სასამართლოს გამოჰყავს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებიდან, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლებათა განხორციელება „..განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან“ და მოითხოვს ჟურნალისტური საქმიანობის კეთილსინდისიერად, საიმედოდ და შესატყვისად, ასევე პროფესიული ეთიკის შესაბამისად განხოციელებას.[2596] ჟურნალისტური წინდახედულების სტანდარტი კონკრეტულ საქმეზე განისაზღვრება სხვათა უფლებებისა და ინტერესების ხელყოფის ინტენსივობის, ასევე კონკრეტული საკითხის დროული გაშუქების ე.წ. „აქტუალობის ზეწოლის“ მიხედვით.[2597] პრესასთან შედარებით ელექტრონული მედიის ზეგავლენის მომეტებული ინტენსივობიდან გამომდინარე, მასთან მიმართებით მოქმედებს წინდახედულების გაზრდილი სტანდარტი.[2598] მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ევროპული სასამართლო აკისრებს თვითგადამოწმების ვალდებულებას, რაც გულისხმობს ინფორმაციის სრულყოფილ გადამოწმებას მის გამოქვეყნებამდე.[2599] თუ საკითხის გაშუქება ეფუძნება არასაკმარის გადამოწმებას, გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი იკლებს.[2600] რაც უფრო სერიოზულია მასმედიით პირის მიმართ გავრცელებული ბრალდება, მით უფრო მყარი უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი.[2601] მძიმე ბრალდებების გამოქვეყნებამდე მათ ადრესატს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის საშუალება.[2602] თვითგადამოწმების ვალდებულება, გამონაკლისის სახით შეიძლება შერბილდეს, როდესაც მედიას შეეძლო ex ante შეეფასებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, როგორც სანდო და საიმედო.[2603] განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს ნდობა ოფიციალური დოკუმენტებისა და განცხადებების სისწორისადმი. როდესაც მედია ეყრდნობა ამგვარ ინფორმაციას, მისი გადამოწმების საჭიროება არ არსებობს,[2604] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ეჭვი მის შინაარსობრივ

[2593] Goodwin v. the United Kingdom.

[2594] Financial Times Ltd and Others v. the United Kingdom.

[2595] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 88 ff.

[2596] შეადარე მაგ.: Prager and Oberschlick v. Austria; Fressoz and Roire v. France.
ასევე იხ.: N2/1/241 გადაწყვეტილება, I-2.

[2597] Pedersen and Baadsgaard v. Denmark; Tønsbergs Blad A.S. and Haukom v. Norway.

[2598] მაგ.: Mosley v. the United Kingdom.

[2599] მაგ.: Verlagsgruppe Droemer Knaur GmbH & Co. KG v. Germany.

[2600] Bladet Tromsø and Stensaas v. Norway.

[2601] Erla Hlynsdottir v. Iceland (N2).

[2602] Europapress Holding D.O.O v. Croatia (N25333/06; 22.10.2009); Axel Springer AG v. Germany (N2).

[2603] შეადარე მაგ.: Ringier Axel Springer Slovakia, A.S. v. Slovakia (N2) (N21666/09; 7.1.2014); Fuchsmann v. Gemany (N71233/13; 19.10.2017).

[2604] Colombani and Others v. France; Yordanova and Toshev v. Bulgaria (N5126/05; 2.10.2012).

სისწორესთან დაკავშირებით ან დადასტურებული არ არის შესაბამისი დოკუმენტის ავთენტურობა.

1164 ჟურნალისტური წინდახედულების გამკაცრებული სტანდარტი მოქმედებს რომელიმე პირისადმი ბრალდების შემცველი მასალების გამოქვეყნებისას.[2605] როდესაც საქმე შეეხება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებას, მედიამ უნდა გაითვალისწინოს უდანაშაულობის პრეზუმფცია.[2606] ბრალდების ადრესატს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და ერთგვარი წინასწარი მსჯავრდების თავიდან აცილების საშუალება.[2607] შესაბამისი მასალის გავრცელება დაუშვებლად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მასში წარმოდგენილ ბრალდებას არ აქვს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი.[2608] ამგვარ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს და ნამდვილობის დამტკიცებას ექვემდებარება ასევე ისეთი ბრალდებები, რაც არ უკავშირდება დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ხელყოფს პირის რეპუტაციას.[2609] როდესაც ხდება ბრალდების ადრესატის იდენტიფიცირება, მისი პიროვნების მიმართ უნდა არსებობდეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.[2610]

1165 გამართლებას არ ექვემდებარება ჟურნალისტური საქმიანობის ფარგლებში ჩადენილი დანაშაული. ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირი ვერ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დანაშაული ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისას ჩაიდინა.[2611] მაგალითად, დემონსტრაციის გაშუქებისას პოლიციის ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის გამო ჟურნალისტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მიუხედავად ჩარევის სიმძიმისა, სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია იმის გათვალისწინებით, რომ: (1) სანქციის დაკისრება მოხდა არა ჟურნალისტური საქმიანობის, არამედ პოლიციის კანონიერი და სამართლიანი ბრძანების შეუსრულებლობისათვის; (2) ჟურნალისტს ჰქონდა მოვლენების კანონდარღვევის გარეშე გაშუქების შესაძლებლობა; (3) ამ ვითარებაში განმცხადებელს არ ჰქონდა განსაკუთრებული მოპყრობის უფლება, რადგან ის ჟურნალისტი იყო; (4) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციაში არ აღირიცხა ჟურნალისტის ნასამართლობა. გარდა ამისა, აპლიკანტს არც ჯარიმა დაეკისრა, რადგან მისი ქმედება „საპატიოდ“ ჩაითვალა.[2612]

1166 მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების შეზღუდვის შეფასებისას რელევანტურია მედიის „საკუთარი“ გამოხატვისა და მედიით გავრცელებული მესამე პირთა გამოხატვის (მაგალითად, ინტერვიუ) ერთმანეთისაგან განსხვავების საკითხი.[2613] თუ მედია მესამე პირთა გამოხატვას საკუთრად განიხილავს, მოქმედებს იგივე სტანდარტი, როგორც საკუთარი გამოხატვის მიმართ.[2614] როდესაც მედია უბრალოდ

[2605] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 101.

[2606] Eerikäinen and Others v. Finland (N3514/02; 10.2.2009); Verlagsgruppe Droemer Knaur GmbH & Co. KG v. Germany.

[2607] News Verlags GmbH & Co.KG v. Austria; Bergens Tidende and Others v. Norway; Axel Springer AG v. Germany (N2).

[2608] შეადარე მაგ.: Karpetas v. Greece (N6086/10; 30.10.2012); Frisk and Jensen v. Denmark.

[2609] Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovina.

[2610] Eerikäinen and Others v. Finland.

[2611] Erdtmann v. Germany (N56328/10; 5.1.2016).

[2612] Pentikäinen v. Finland (N11882/10; 20.10.2015).

[2613] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 91 f.

[2614] Rumyana Ivanova v. Bulgaria.

ავრცელებს მესამე პირთა გამოხატვას, ჟურნალისტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება განსაკუთრებით მყარ საფუძვლებს საჭიროებს.[2615] ამ დროს გაითვალისწინება ის მსუსხავი ეფექტიც, რაც შეიძლება მოჰყვეს ამგვარ შემთხვევებში მედიისათვის (მათ შორის ინტერნეტმედიისათვის) პასუხიმსგებლობის დაკისრებას.[2616] მედიისათვის ზოგადი მოთხოვნის წაყენება, რომ გაემიჯნოს მესამე პირთა გამოხატვას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-10 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნევს. მესამე პირთა მოსაზრებებისაგან, რომლებიც სხვებისათვის შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელია, გამიჯვნისა და დისტანცირების ვალდებულების დაკისრება მედიისათვის განსაკუთრებულ გამართლებას მოითხოვს.[2617] არის შემთხვევები, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება ე.წ. „მომხმარებლის გამოხატვა“. ამის მაგალითია ინტერნეტში მედიის მიერ გავრცელებულ მასალაზე ინტერნეტმომხმარებელთა კომენტარები. ევროპულმა სასამართლომ დასაშვებად ჩათვალა კომერციული ახალი ამბების ინტერნეტპორტალის ოპერატორის მცირე თანხით დაჯარიმება და ვალდებულების დაკისრება, რომ პორტალიდან წაეშალა აშკარად მართლსაწინააღმდეგო კომენტარები, რომლებიც შეიცავდნენ სიძულვილის ენასა და პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფის მუქარას.[2618]

1167 როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება საკომუნიკაციო უფლებები და ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების დასაშვებობას წყვეტს აწონ-დაწონვის მეთოდის გამოყენებით. ამ პროცესში გაითვალისწინება შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები: საზოგადოებრივი ინტერესი შესაბამისი დოკუმენტის შინაარსისადმი; დოკუმენტის კონფიდენციალობის დაცვის საჯარო ან კერძო ინტერესი; ჟურნალისტის ქცევა ინფორმაციის მოპოვებისას - მან თავად დაარღვია კონფიდენციალობა, თუ სხვისგან მიიღო დოკუმენტი; კონკრეტული პუბლიკაციის, სტატიის ან რეპორტაჟის ხერხი და ფორმა.[2619]

1168 ზემოაღნიშნულის მსგავსი სტანდარტები გამოიყენება ფარული ჩანაწერების შემთხვევაში.[2620] ევროპული სასამართლო ამ დროსაც ახორციელებს აწონ-დაწონვას, რა დროსაც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: დაზარალებულის პიროვნება (არის ის საჯარო თუ კერძო პირი); საზოგადოებრივი ინტერესი ფარული ჩანაწერით მოპოვებული ინფორმაციისადმი, განსაკუთრებით იმ დარღვევის ან ნაკლოვანების სიმძიმე, რისი მხილებაც ხდება; ჟურნალისტის კეთილსინდისიერი მოქმედება ჩანაწერის მომზადებისას და შესაბამისი რეპორტაჟის შინაარსი; გამოაშკარავებული ფაქტების სინამდვილე და ა.შ.[2621]

[2615] Novaya Gazeta and Milashina v. Russia.

[2616] Magyar Jeti Zrt v. Hungary (N11257/16; 4.12.2018).

[2617] შეადარე მაგ.: Thoma v. Luxembourg; Pedersen and Baadsgaard v. Denmark; Verlagsgruppe News GmbH v. Austria (N76918/01; 14.12.2006); Axel Springer AG v. Germany (N2); Olafsson v. Iceland.

[2618] Delfi AS v. Estonia; Magyar Tartalomszolgaltatok Egyesulete and Index.hu Zrt v. Hungary.

[2619] Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 98; Leempoel & S.A. ED. Ciné Revue v. Belgium (N64772/01; 9.11.2006); Stoll v. Switzerland; Ressiot and Others v. France.

[2620] დეტალურად იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 99.

[2621] შეადარე მაგ.: Tierbefreier e.V. v. Germany (N45192/09; 16.1.2014); Haldimann and Others v. Switzerland.

1169 საკომუნიკაციო უფლებები სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ინტერესს უპირისპირდება, როდესაც იზღუდება გამოხატვა სასამართლოსთან და მოსამართლეებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება შეეხებოდეს გამოხატვის როგორც შინაარსს, ასევე ფორმას. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ჩათვალა მოსამართლის საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრების ჩატარების სახით გამოხატვის ფორმის შეზღუდვა. გამოხატვის (და შეკრების) თავისუფლება ამ შემთხვევაში გადაწონა მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მისი პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესმა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამგვარი გამოხატვა, ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაუბრკოლებლად და გაუმართლებლად იჭრებოდა მოსამართლის კერძო სფეროში. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება მოსამართლეს მის პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან დაცვის შესაძლებლობის გარეშე დატოვებდა.[2622] ევროპული სასამართლოს პოზიციით, გამოხატვამ არ უნდა გადალახოს ზღვარი, რომელიც დადგენილია მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის და ზეგავლენა მოახდინოს სასამართლო განხილვის შედეგზე.[2623] ამავდროულად, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესი სასამართლოს კრიტიკის მიღმა არ აყენებს. დასაშვებია სასამართლო პროცესის კომენტირება და კრიტიკული შეფასება, მათ შორის კონკრეტული მოსამართლეების კრიტიკაც.[2624] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სასამართლო პროცესის გაშუქება ისე არ უნდა წარიმართოს, რომ დავამ სასამართლო დარბაზიდან მედიაში გადაინაცვლოს. აუცილებელია პროცესის მონაწილეთა პიროვნული უფლებებისა და სამართლიან სასამართლოზე უფლების პატივისცემა.[2625] განსაკუთრებით წონადია სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის პიროვნული უფლებები, მაგალითად დაუშვებელია პროცესის გაშუქებისას არასწრულწლოვანი დაზარალებულის იდენტიფიცირება.[2626] ბრალდებულის ფოტოების გამოქვეყნების აკრძალვა, როდესაც მის წინააღმდეგ წარმოებული საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, არ არღვევს მისი პირადი ცხოვრების უფლებას და ამასთან, სხვა მედიასაშუალებებს აქვთ სასამართლო სხდომების მსვლელობისას ფოტოების გამოქვეყნების შესაძლებლობა, ევროპულმა სასამართლომ კანონიერი მიზნის მისაღწევად არაპროპორციულად ჩათვალა.[2627]

3.3. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

1170 პოზიტიური ვალდებულებების შესრულებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე შეეხება ე.წ. „მრავალპოლუსიან“ ურთიერთობებსა და დაპირისპირებულ კერძო

[2622] N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-68.

[2623] მაგ.: Worm v. Austria.

[2624] July and SARL Libération v. France.

[2625] The Sunday Times v. the United Kingdom (N1); Worm v. Austria.

[2626] Kurier Zeitungsverlag und Druckerei GmbH v. Austria (N3401/07; 17.1.2012).

[2627] News Verlags GmbH and CoKG v. Austria.

ინტერესებს, სახელმწიფოს მინიჭებული აქვს დისკრეციის ფართო სფერო.[2628] ეს არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო სრულიად თავისუფალია და თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება იმოქმედოს. მან უნდა გაატაროს ადეკვატური და ეფექტიანი ღონისძიებები პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად, რასაც ამოწმებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ასეთი ღონისძიებებია მაგალითად: სასამართლოს განკარგულების აღსრულება, რომლითაც ჟურნალისტებს ეძლევათ რაიდიომაუწყებელზე ხელმისაწვდომობის უფლება;[2629] პრესაზე ძალადობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება და მისი დაცვა ძალადობისაგან;[2630] გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფა[2631] და ა.შ.

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Bethge, (Bearb.), Kommentar zum Art. 5 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Bethge, Die Grundrechtsberechtigung juristischer Personen nach Art. 19 Abs. 3 Grundgesetz, 1985; Brand, Rundfunk im Sinne des Artikel 5 Abs. 1 Satz 2 GG, 2002; Brand, Rundfunk im Sinne des Artikel 5 Abs. 1 Satz 2 GG, 2002; Brand, Rundfunk im Sinne des Artikel 5 Abs. 1 Satz 2 GG. Eine Analyse der Reichweite des verfassungsrechtlichen Rundfunkbegriffs unter besonderer Berücksichtigung neuerer medialer Angebotsformen, 2002; Coelln Von, Zur Medienöffentlichkeit der Dritten Gewalt. Rechtliche Aspekte des Zugangs der Medien zur Rechtsprechung im Verfassungsstaat des Grundgesetzes, 2005; Degenhart, Kommentar zum Art. 5 I, II GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950; Dunkhase, Das Pressegeheimnis: Wandel und Perspektiven gesetzlicher Sicherungen der Pressefreiheit gegen strafprozessuale Zwangsmassnahmen, 1998; Fenchel, Negative Informationsfreiheit. Zugleich ein Beitrag zur negativen Grundrechtsfreiheit, 1997; Grabenwarter, Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, 7. Auflage, 2021; Grabenwarter, Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, 7. aufl. 2021; Gucht, Das Zensurverbot im Gefüge der grundrechtlichen Eingriffskautelen, 2000; Herzog, (Bearb.), Kommentar zum Art. 5 I, II GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958; Hoffmann-Riem W., Kommunikationsfreiheiten. Kommentierungen zu Art. 5 Abs. 1 und 2 sowie Art. 8 GG, 2002; Hoffmann-Riem, Personalrecht der Rundfunkaufsicht: Zum Status und dienstrechtlichen Spielraum von grundrechtssichernden Anstalten des öffentlichen Rechts, 1991; Ipsen, staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021; Isensee, Axer, Jugendschutz im Fernsehen.

[2628] Women On Waves and Others v. Portugal.

[2629] Frăsilă and Ciocîrlan v. Romania (N25329/03; 10.5.2012).

[2630] Özgür Gündem v. Turkey.

[2631] Karacsony and Others v. Hungary (N42461/13, 44357/13; 17.5.2016); Baka v. Hungary.

Verfassungsrechtliche Vorgaben für staatsvertragliche Beschränkungen der Ausstrahlung indexbetroffener Sendungen, 1998; Jarass. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Klass, Der Schutz der Privatsphäre durch den EGMR im Rahmen von Medienberichterstattungen – Zugleich Besprechung der dritten „Caroline von Hannover/Deutschland"-Entscheidung sowie der „Ruusunen/Finnland"-Entscheidung des EGMR, Zeitschrift für Urheber- und Medienrecht (58), 2014; Kreutzberger, „Hate Speech". Grenzen der Meinungsfreiheit in den U.S.A. - und was wir daraus lernen können, in: Bruckmiller (Hrsg.), Opposition als Triebkraft der Demokratie. Bilanz und Perspektive der zweiten Republik. Jürgen Seifert zum 70. Geburtstag, 1998; Lerche, Verfassungsrechtliche Aspekte der „inneren Pressefreiheit", 1974; Mensching, (Bearb.), Kommentar zum Art. 10 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Meskouris, Der Stolpe-Beschluss des Bundesverfassungsgerichts in rechtsvergleichender Betrachtung: der Schutz vor gerichtlichen Verurteilungen zur Unterlassung von Meinungsäußerungen nach dem Grundgesetz und nach der Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika, Der Staat (48), 2009; Möller, Der grundrechtliche Schutzbereich der Meinungsfreiheit in Deutschland, England und den USA, 2016; Nessel, Das grundgesetzliche Zensurverbot, 2004; Nolte, „Soldaten sind Mörder" - Europäisch betrachtet, in: Archiv für Presserecht 27, 1996; Nußberger, Der freie Meinungsbildungsprozess als gefährdetes Gut in Europa, Vergleich der Entwicklungen in West und Ost im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, AFP 2014; Rohloff A., Grundrechtsschranken in Deutschland und den USA, 2007; Schmidt, Rundfunkvielfalt: Möglichkeiten und Grenzen einer „pluralistischen" Rundfunkorganisation, 1984; Schulze-Fielitz, (Bearb.), Kommentar zum Art. 5 I, II, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Band 1, 2006; Starck., Kommentar zum Art. 5 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Stegmann, Tatsachenbehauptung und Werturteil in der deutschen und französischen Presse. Eine rechtsvergleichende Untersuchung des Schutzes der persönlichen Ehre durch das Deliktsrecht, 2004; Struth, Hassrede und Freiheit der Meinungsäußerung. Der Schutzbereich der Meinungsäußerungsfreiheit in Fällen demokratiefeindlicher Äußerungen nach der Europäischen Menschenrechtskonvention, dem Grundgesetz und der Charta der Grundrechte der Europäischen Union, 2019; Weber,, Innere Pressefreiheit als Verfassungsproblem, 1973; Wendt, (Bearb.), Kommentar zum Art. 5 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Wissenschaftliche Dienste Deutscher Bundestag, Freie Meinungsäußerung in der Bundesrepublik Deutschland und den USA im Vergleich, Bundestag 5.5.2023.

მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

1. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

3. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

4. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

შინაარსი

მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები 455

შინაარსი 455

1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების

მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 457

1.1. ზოგადი მნიშვნელობა 457

1.2. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების დაცული სფერო 457

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 457

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 458

1.2.2.1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება 458

1.2.2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება 461

1.2.2.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება 470

1.2.2.4. საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება..... 474

2. ჩარევა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების დაცულ სფეროებში 479

2.1. ჩარევა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების დაცულ სფეროში 479

2.2. ჩარევა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცულ სფეროში ... 479

2.3. ჩარევა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცულ სფეროში 481

2.4. ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების დაცულ სფეროში 482

3. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებებში ჩარევის შემოწმება 483

3.1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებაში ჩარევის შემოწმება..... 483

3.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის შემოწმება 485

3.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევის შემოწმება 488

3.4. საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებაში ჩარევის შემოწმება 490

ლიტერატურა 491

1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. ზოგადი მნიშვნელობა

1171 საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში თავმოყრილია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები. ისინი ძირითადად უზრუნველყოფს პირის სამართლებრივი მდგომარეობისა და ინტერესების დაცვას ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას სხვადასხვა სფეროებში როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური საკონსტიტუციოსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით თვალსაზრისით. თვალსაჩინოა მათი კავშირი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან, ასევე მნიშვნელობა საჯარო ხელისუფლებასთან მიმართებით ინდივიდის სუბიექტურსამართლებრივი პოზიციების განმტკიცების კუთხით. თითოეული უფლების სუბიექტურ თუ ობიექტურ მნიშვნელობაზე დაწვრილებით ყურადღება ქვემოთ, შესაბამისი უფლებებით დაცულ სფეროებთან დაკავშირებულ ქვეთავებში გამახვილდება.

1.2. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

1172 კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება აქვს „ყველას“, ხოლო საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება გარანტირებულია „ყველასათვის“.[2632] აშკარაა, რომ ამ უფლებების სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, მიუხედავად მოქალაქეობისა, ასევე კერძო სამართლის იურდიული პირი. რაც შეეხება ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, აქ კონსტიტუცია იყენებს ტერმინს „ადამიანი“,[2633] რაც ერთი შეხედვით, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მისი სუბიექტი მხოლოდ ფიზიკური პირია, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,[2634] ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება, მისი შინაარსს გათვალისწინებით,

[2632] კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები.
[2633] კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.
[2634] შეადარე ასევე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 319; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 77.

ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირზეც. გამონაკლისია მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაწილი, რადგანაც ეს სიკეთე იურიდიულ პირს არ გააჩნია.[2635]

1173 აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ვრცელდება ასევე კერძო სამართლის იმ იურდიულ პირებზეც, რომელშიც სახელმწიფოს აქვს წილობრივი მონაწილეობა.[2636] განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს სახელმწიფოს 100%-იანი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურდიული პირები, ასევე კერძო სამართლის იურდიული პირები, რომლებზეც დელეგირებულია საჯარო უფლებამოსილებების განხორციელება (ბუნებრივია, მათი საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებას უკავშირდება), რადგანაც ისინი ძირითადი უფლებების არა სუბიექტები, არამედ ადრესატები არიან.

მიუხედავად მჭიდრო შინაარსობრივი კავშირისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებისა და უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის უფლების პერსონალური დაცული სფერო. ეს უკანასკნელი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე, რადგანაც მხოლოდ ფიზიკური პირების დაკავება ან დაპატიმრებაა შესაძლებელი.[2637]

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება

1174 კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. აღსანიშნავია, რომ ეს უფლება კონსტიტუციურ რანგში აიყვანა 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ, რაც უდავოდ აძლიერებს ინდივიდის სამართლებრივ მდგომარეობასა და პოზიციებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, შესაბამისად, ზრდის საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობის ხარისხს და ამცირებს მისი თვითნებობის რისკს.[2638] სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების საგნობრივი დაცული სფეროს შინაარსისა და ფარგლების დეტალური განსაზღვრა სამომავლო პერსპექტივაა და ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე, თუმცა არსებული მდგომარეობითაც შეიძლება გამოვკვეთოთ ამ უფლების არსი და დაცული სფეროს კონტურები.

1175 სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება, თავისი არსითა და დანიშნულებით, საპროცესო უფლებათა ჯგუფს მიეკუთვნება. ის, სამართლიანი სასამართლოს უფლების მსგავსად, ინსტრუმენტული ხასიათისაა და ემსახურება

[2635] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-18, 20.
[2636] იქვე, II-43.
[2637] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-3.
[2638] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 242.

სამართლიანი და დროული ადმინისტრაციული წარმოების საშუალებით პირის უფლებებისა და ინტერესების რეალიზაციასა და დაცვას.

1176 პირველ რიგში, გასარკვევია, თუ რას გულისხმობს „ადმინისტრაციული წარმოება“. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მას განმარტავს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.“[2639] სამართლიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოების უფლება ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების სამივე სახეზე, როგორც მარტივ, ასევე ფორმალურ და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებებზე. შესაბამისი სამართალწარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება განსხვავდებოდეს კონსტიტუციური სტანდარტების სიმკაცრის ხარისხი.

1177 საკონსტიტუციო სასამართლო 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე ადმინისტრაციული წარმოების პროცესუალურ გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა შესაბამისი ძირითადი უფლების პროცესუალური გარანტიების კონტექსტში. საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოხელის პროცედურული გარანტიები სასამართლომ მიაკუთვნა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებით დაცულ სფეროს.[2640] სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების კონსტიტუციით გათვალისწინების შემდეგ, მსგავს საკითხებს საკონსტიტუციო სასამართლო, დიდი ალბათობით, განიხილავს სწორედ ამ უფლებასთან მიმართებით.

1178 სამომავლოდ აუცილებლად დადგება საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი სამართლიანი სასამართლოს უფლების გარკვეული კომპონენტების ასახვა სამართლიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, ამ სამართალწარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ დროს გასათვალისწინებელი იქნება ის განსხვავება, რაც არსებობს მართლმსაჯულების განხორციელებასა და ადმინისტრაციულ წარმოებას შორის და რომელსაც ხაზი გაუსვა საკონსტიტუციო სასამართლომ. მართლმსაჯულება სასამართლო ორგანოთა კომპეტენციაა, ხოლო ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული ორგანოების. სასამართლო ორგანოები დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტორებს წარმოადგენენ, მათ შორის ამ სიკეთეების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შელახვისას.[2641] ეს გარემოება აღნიშნულ უფლებებს შორის უფრო სუბსიდიურ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს, ვიდრე იერარქიულზე. სასამართლოსათვის მიმართვას სუბსიდიური ხასიათი აქვს. როდესაც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ინდივიდი ვერ ახერხებს თავისი უფლებების დაცვას, მას რჩება ამის სასამართლოს საშუალებით განხორციელების შესაძლებლობა.

[2639] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი.
[2640] დეტალურად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/5/595 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4,5.
[2641] იქვე, II-6.

1179 პრაგმატული თვალსაზრისით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პირის სათანადო პროცესუალური გარანტიებით აღჭურვა არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ საჯარო ინტერესებშიცაა, თუნდაც იმის გამო, რომ შემცირდება სასამართლოსათვის მიმართვის საჭიროება და შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემის გადატვირთულობის ხარისხი. სამართლიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოების უფლების კონსტიტუციაში ასახვამდე საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების პროცესუალურ კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკმარისი იყო მოხელის უზრუნველყოფა მინიმალური პროცედურული გარანტიებით, რაც აუცილებელი და საკმარისი იქნებოდა მისი თანამდებობიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლების თავიდან ასაცილებლად. მან ხაზი გაუსვა, რომ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების პროცედურული კომპონენტი ვერ მოიაზრებდა ყველა იმ გარანტიას, რომელიც დადგენილი იყო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის.[2642] ამგვარი გარანტიების რიცხვს საკონსტიტუციო სასამართლომ მიაკუთვნა კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დაცვის უფლება.[2643]

1180 დღეისათვის არსებული პრაქტიკა წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რას მოიაზრებს საკონსტიტუციო სასამართლო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მინიმალურ პროცედურულ გარანტიებში. მათ რიცხვს განეკუთვნება: საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსა და თანამდებობის პირის მიუკერძოებლობა და აცილების შესაძლებლობა; ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაინტერესებული მხარის ინფორმირება და მისი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ზეპირი მოსმენის ჩატარება ამის ობიექტური საჭიროების არსებობისას; დაინტერესებული მხარის უფლება, წარადგინოს არგუმენტები და მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებების გამოკვლევის თხოვნით; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების გამოკვლევის და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება; საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა და ა.შ.[2644]

1181 რთულია იმის წინასწარ განსაზღვრა, ახალი კონსტიტუციური რეალობის გათვალისწინებით, რამდენად დარჩება საკონსტიტუციო სასამართლო თავის ძველ პოზიციაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში პროცესუალური გარანტიების ფარგლებთან დაკავშირებით. მას მოუწევს მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ლაკონური ფორმულირების განმარტება. ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შინაარსისა და მისი გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებასთან ერთად, ამ პროცესს ხელს შეუწყობს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით არსებული მდიდარი გამოცდილებაც. მაგალითად, საქმის გონივრულ ვადაში განხილვასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტები, ბუნებრივია, შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელდეს ადმინისტრაციულ წარმოებაზეც.

[2642] იქვე.
[2643] იქვე, II-7.
[2644] დეტალურად იხ.: იქვე, II-12-25.

1.2.2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება

1182 კონსტიტუცია ყველასათვის უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ან სხვა ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის კანონით დადგენილი წესით გაცნობის უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.[2645]

1183 ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ხშირად სუბიექტური უფლებების რეალიზაციისა თუ ინტერესების დაკმაყოფილების წინაპირობაა.[2646] თუმცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი არ არის, რომ მისი მიღება აუცილებლად უკავშირდებოდეს რაიმე უფლების ან ინტერესის დაკმაყოფილებას, არამედ საკმარისია ინფორმაციის გაცნობის სურვილი.[2647]

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა მხოლოდ სუბიექტური ასპექტით არ შემოიფარგლება და ამ უფლებას უდიდესი ობიექტური დატვირთვა აქვს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებად ითვლება. ზოგადად, ინფორმაციის თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავისუფალ საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიებისა და აზრის თავისუფლებისათვის. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტიან ჩართულობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში, იძლევა საჯარო ფუნქციების განხორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საშუალებას, რაც აუცილებელია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ამ უფლების გარეშე წარმოუდგენელია ღია მმართველობის დამკვიდრება, რაც თავის მხრივ, განამტკიცებს ნდობას სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის, ხელს უწყობს საჯარო ხელისუფლებაში ჩადენილი სამართალდარღვევების პრევენციასა და დროულ გამოვლენას. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რასაც ლოგიკურად თან სდევს საჯარო ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება, ემსახურება სახელმწიფო ძალაუფლების დაბალანსებას, ამაღლებს სახელმწიფო ორგანოთა ანგარიშვალდებულებას და ზრდის მათი საქმიანობის ეფექტიანობას.[2648]

1184 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების დადგენისათვის აუცილებელია რამდენიმე საკითხის გარკვევა. ეს უფლება

[2645] კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

[2646] შეადარე: N2/3/364 გადაწყვეტილება.

[2647] შეადარე: ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის კომენტარი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 355.

[2648] საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ობიექტურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-10; N1/4/757 გადაწყვეტილება, II-4,5; საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „„ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8,9; საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

იძლევა „საჯარო დაწესებულებაში“ არსებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას.[2649] ამაში გამოიხატება პრინციპული განსხვავება ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლებისაგან, რომელიც კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტითაა განმტკიცებული. საკონსტიტუციო სასამართლო თავის ადრეულ პრაქტიკაში აღნიშნული უფლებებით დაცულ სფეროებს არ მიჯნავდა და მათ ერთდროულად იყენებდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას.[2650] მოგვიანებით ეს პრაქტიკა შეიცვალა და საკონსტიტუციო სასამართლომ გაავლო მკვეთრი გამყოფი ხაზი. კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლება იცავს ინფორმაციის მიღებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. ამ კატეგორიას საჯარო დაწესებულებები არ განეკუთვნება. საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მიღება უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებით, ხოლო ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურსამართლებრივი რეჟიმი კი განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან ინფორმაციის მიღების რეჟიმისაგან.[2651]

1185 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, „საჯარო დაწესებულებად“ ითვლება „ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.“[2652] ამდენად, ამ კოდექსის მიზნებისათვის მთავარია სუბიექტის დაფინანსების წყარო. საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას უფრო სხვა ნიშნებზე ამახვილებს. კონსტიტუციის ძველი რედაქცია იყენებდა ტერმინს „სახელმწიფო დაწესებულებები“. მართალია ის ჩაანაცვლა „საჯარო დაწესებულებამ“, მაგრამ არსობრივად არაფერი შეცვლილა და კვლავ რელევანტურია შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა. ამ პრაქტიკიდან გამომდინარე, „საჯარო დაწესებულებაში“, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების მიზნებისათვის, მოიაზრება საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანიზაციული წარმონაქმნები.[2653] ამდენად, „საჯარო დაწესებულებად“ მიჩნევისათვის მთავარია შესაბამისი სუბიექტის მიზანი, ფუნქცია და უფლებამოსილება. „საჯარო დაწესებულებად“ ითვლება ის სუბიექტიც, რომელიც ახორციელებს დელეგირებულ სახელმწიფო ფუნქციას.[2654] ეს სტანდარტი ვერ დააკმაყოფილა, მაგალითად ფსიქიატრიულმა დაწესებულებამ (იმ შემთხვევების ჩათვლით, როდესაც ამგვარი დაწესებულება სახელმწიფო საკუთრებაშია), რადგანაც მისი მიზანია ფსიქიატრიული დახმარების გაწევა და არა საჯარო ხელისუფლების განხორციელება.[2655] აქედან გამომდინარე, სუბიექტი, რომელიც თუნდაც სრულად ფინანსდება სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტიდან, არ მიიჩნევა „საჯარო დაწესებულებად“ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, თუ ის არ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებებს. სუბიექტის „საჯარო დაწესებულებად“ მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს ტერიტორიას, სადაც ის ახორციელებს თავის საქმიანობას. ხელმისაწვდომია ის საჯარო ინფორმაციაც, რომელიც დაცულია

[2649] N1/4/757 გადაწყვეტილება, II-2.
[2650] N2/2/359 გადაწყვეტილება; N2/3/364 გადაწყვეტილება.
[2651] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-11. შეადარე ასევე: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-159.
[2652] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[2653] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-22.
[2654] N1/4/757 გადაწყვეტილება, II-9.
[2655] N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-163.

საზღვარგარეთ მოქმედ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებში, მაგალითად საკონსულო დაწესებულებებში.[2656]

1186 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება ყველას ანიჭებს შესაძლებლობას „გაეცნოს“ შესაბამის ინფორმაციას. ამაში იგულისხმება ინფორმაციის სათანადო ფორმით, ეფექტიანი გაცნობის შესაძლებლობა. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროს მიაკუთვნა საჯარო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ასლების მიღება, როგორც ინფორმაციის ეფექტიანი გაცნობის ერთ-ერთი ფორმა.[2657]

1187 თვით უფლების სახელწოდებიდან და მისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ „საჯარო ინფორმაციის“ ხელმისაწვდომობა. ლეგალური დეფინიციის მიხედვით, „საჯარო ინფორმაციაა“ „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.“[2658] მნიშვნელობა არ აქვს, საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის მოპოვების ფორმას - განხორციელდა ეს საყოველთაოდ თუ მხოლოდ მისთვის ხელმისაწვდომი წყაროდან.[2659] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი იქვე განმარტავს „საიდუმლო ინფორმაციას“, რომელსაც განეკუთვნება „საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.“[2660] ამდენად, საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერ ინფორმაციას საჯარო ხასიათი არ აქვს. განსხვავებულია სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციების ხელმისაწვდომობის ხარისხი. საკონსტიტუციო სასამართლო ინფორმაციის რამდენიმე ჯგუფს გამოჰყოფს. პირველ რიგში, ეს არის საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულ პირს შეეხება, „მასზე არსებულია“ და რომელზე ხელმისაწვდომობაც პირს დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით შეუძლია.[2661] აქ მოიაზრებენ ინდივიდუალურ, მხოლოდ პიროვნებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.[2662] ამ კატეგორიას საკონსტიტუციო სასამართლომ მიაკუთვნა მონაცემები პირადი ცხოვრების შესახებ, მათ შორის გამოძიების მასალები დაზარალებულთან დაკავშირებით, როდესაც მათი გაცნობის ინტერესი თავად დაზარალებულს აქვს.[2663] რაც შეეხება მესამე პირების ხელმისაწვდომობას ამ კატეგორიის ინფორმაციაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით გავამახვილებთ ყურადღებას. კონსტიტუცია და საკონსტიტუციო

[2656] შეადარე: ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 354.
[2657] დეტალურად იხ.: N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-10-13.
[2658] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი.
[2659] ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 354.
[2660] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი.
[2661] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-12.
[2662] ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 353.
[2663] N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-21.

სასამართლო გამოჰყოფს მეორე ჯგუფს - „სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს“, რომელიც არ შეეხება უშუალოდ ინფორმაციის მიმღებ პირს და რომლის გაცნობაც ასევე კანონით დადგენილი წესითაა შესაძლებელი.[2664]

1188 რაც შეეხება ინფორმაციის მესამე ჯგუფს, მას საჯარო ინფორმაციის კატეგორიიდან უშუალოდ კონსტიტუცია გამორიცხავს. ესაა კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, ასევე ის ინფორმაცია, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად. ამიტომ, თუნდაც კონსტიტუციის ამ დათქმიდან გამომდინარე, გადაჭარბებულია იმის მტკიცება, რომ დაცულია საჯარო დაწესებულებაში ოფიციალურ დოკუმენტებზე დატანილი ნებისმიერ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.[2665] საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას განიხილავს, როგორც ყველაზე „დახურულ ინფორმაციას“, რომლის მიღებაც ნებისმიერი მსურველისათვის შეუძლებელია. ამასთან, კონსტიტუციაში არსებული დათქმა არ უნდა იქნეს გაგებული ნებისმიერი ინფორმაციის, რომელსაც სახელმწიფო კომერციულ, პროფესიულ ან სახელმწიფო საიდუმლოებად ჩათვლის, ავტომატური გასაიდუმლოების საფუძვლად, შესაბამისი ინფორმაციის წინასწარი შეფასების გარეშე.[2666] წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით სურათს, როდესაც სახელმწიფო თავისუფლად შეძლებდა ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვითნებურ დაბრკოლებას, რომელიც რეალურად გასაიდუმლოებას არ ექვემდებარება. ამდენად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცული სფეროს ფარგლების დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე შეიძლება ინფორმაციის მიჩნევა კომერციულ, პროფესიულ ან სახელმწიფო საიდუმლოებად.

1189 კომერციული საიდუმლოების ავტონომიურ კონსტიტუციურსამართლებრივ დეფინიციას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ ვხვდებით. მის ლეგალურ დეფინიციას გვთავაზობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მიხედვითაც კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებ-ლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.“[2667] საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კომერციული საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების მთავარი მიზანი პირის კომერციული ინტერესების დაცვაა. გასაიდუმლოების ინიცირება თავად დაინტერესებული პირიდან მომდინარეობს, რომელიც პირადად განსაზღვრავს შესაბამისი ინფორმაციის ღირებულებას კომერციული კუთხით. აუცილებელი არ არის,

[2664] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-12.
[2665] N1/4/757 გადაწყვეტილება, II-6.
[2666] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-12.
[2667] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის პირველი ნაწილი.

რომ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იყოს პირის იდენტიფიცირება. საკმარისია, მისი გამჟღავნებით ზიანი მიადგეს პირის კონკურენტუნარიანობას.[2668]

1190 რელევანტურია საკითხი, რამდენად შეიძლება ჰქონდეს კომერციული საიდუმლოება სახელმწიფოს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, კომერციულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ.[2669] თავისებურად ესმის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აღნიშნული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს. მისი პოზიციით, „ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია“ გულისხმობს თვით ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მონაცემებს და არა მისი საქმიანობის ყველა სფეროს შესახებ ინფორმაციას.[2670] საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „..კონსტიტუციას დასაშვებად მიაჩნია სახელმწიფო დაწესებულებაში კომერციული საიდუმლოების მქონე ინფორმაციის არსებობა“. ის მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსი უშვებს სახელმწიფოს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში შესვლას სხვა პირებთან. გარდა ამისა, მართალია, სახელმწიფო ორგანოები არ ახორციელებენ საქმიანობას მოგების მიღების მიზნით, მაგრამ მოგების მიღება არ არის კომერციული საქმიანობის აუცილებელი ელემენტი.[2671] კომერციული საიდუმლოების ამგვარი ფართო გაგება იძლევა ისეთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საშუალებას, რომელიც თავისი არსით არ მიეკუთვნება კომერციულ საიდუმლოებას. სახელმწიფოს მიერ დადებული გარიგებები და ზოგადად, საბიუჯეტო სახსრებისა და საჯარო რესურსების ხარჯვისა და გამოყენების გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი ინტერესია და ამ პროცესის მიმდინარეობა არ უნდა ხდებოდეს გასაიდუმლოებულად, „სახელმწიფოს კომერციული საიდუმლოების“ დაცვის მოტივით. ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს სახელმწიფოს მონაწილეობით კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ინფორმაციის იმ ნაწილის კომერციულ საიდუმლოებად კლასიფიკაციას, რომელიც ამ ურთიერთობებში მონაწილე კერძო პირებს შეეხება და რომლის გამჟღავნებამაც მათი კომერციული ინტერესები და კონკურენტუნარიანობა შეიძლება დააზიანოს.[2672] გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკურ სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, შეიძლება მოხდეს არა კომერციული, არამედ სახელმწიფო საიდუმლოების სახით.

1191 სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის კლასიფიცირების ინიციატორი, კომერციული საიდუმლოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოა. გასაიდუმლოების მიზანია სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვა.[2673] ლეგალურ დეფინიციას ითვალისწინებს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საიდუმლოებად შეიძლება ჩაითვალოს „ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროებში არსებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს

[2668] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-16.
[2669] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-2 ნაწილი.
[2670] N2/2/359 გადაწყვეტილება.
[2671] იქვე, 3.
[2672] შეადარე მაგ.: N2/2/359 გადაწყვეტილება.
[2673] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-17.

საქართველოს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და რომელიც ამ კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით წინასწარ გასაიდუმლოებულია ან მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოებად და სახელმწიფოს მიერ დაცვას ექვემდებარება."[2674] როგორც ვხედავთ, აქაც მნიშვნელოვანია ინფორმაციის გამჟღავნებით ზიანის მიყენების საფრთხის არსებობა, ოღონდ არა კერძო, არამედ სახელმწიფო ინტერესებისათვის.

1192 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვერ ვხვდებით პროფესიული საიდუმლოების ავტონომიურ კონსტიტუციურსამართლებრივ გაგებასაც. პროფესიული საიდუმლოების ლეგალურ დეფინიციას გვთავაზობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,[2675] რომლის მიხედვითაც, „პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას."[2676] ამ განმარტების მიხედვით, პროფესიულ საიდუმლოებას ერთგვარად ნაწარმოები, „მეორადი" ხასიათი აქვს და დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კომერციულ საიდუმლოებას კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ცალკე გამოჰყოფს, ფაქტობრივად პროფესიული საიდუმლოების ცნების ქვეშ რჩება მხოლოდ ის პერსონალური მონაცემები, რომლებიც პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. „პირში", საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების მიზნებისათვის, მხოლოდ ის პირები შეიძლება მოიაზრებოდეს, ვინც თავის პროფესიულ საქმიანობას საჯარო დაწესებულებაში ახორციელებს, რადგანაც ეს უფლება სწორედ ამ დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, პროფესიულ საიდუმლოებად, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის ვერ ჩაითვლება მაგალითად მოძღვრისათვის აღსარებაში განდობილი ინფორმაცია,[2677] თუმცა ეს არ ნიშნავს აღსარების საიდუმლოების დატოვებას ზოგადად კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის მიღმა.

1193 როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული პოზიციები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რამდენად უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება მესამე პირთა მიერ საჯარო დაწესებულებებში იმ ინფორმაციის გაცნობას, რომელიც შეეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავდაპირველად

[2674] „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[2675] პროფესიული საიდუმლოების დეფინიცია ასევე მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის პირველი მუხლის „ო" ქვეპუნქტში, თუმცა ის ემსახურება ამ კანონის მიზანს. რაც შეეხება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დეფინიციას, ის გამოიყენება სწორედ საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის თავისუფლების კონტექსტში.

[2676] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^3 მუხლი.

[2677] განსხვავებული პოზიცია იხ.: ქანთარია, 41-ე მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 507.

ჩამოაყალიბა პოზიცია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება არ ვრცელდება იმ პერსონალური მონაცემების მიღებაზე, რომლებიც საჯარო დაწესებულებების განკარგულებაშია.[2678] მან ერთმანეთისაგან განასხვავა საჯარო ინფორმაციისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებით დაცული სიკეთეები მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე შეეხებოდა ოფიციალურ წყაროებში არსებულ ინფორმაციას. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება იცავს ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირის პოზიციას და მის უფლებას, გაეცნოს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციას.[2679] რაც შეეხება ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, ის იცავს საპირისპირო ინტერესს - არ გამჟღავნდეს და დაცული იქნეს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული იმ მონაცემების საიდუმლოება, რომლებიც შეეხება მის კერძო, პრივატულ სფეროს. ეს ინფორმაცია კონსტიტუციით გასაიდუმლოებულია და დადგენილია მისი გასაიდუმლოების წესი და შემთხვევები. ამდენად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების დაცულ სფეროში მოქცეული ინფორმაციათა ჯგუფები და მათი კონსტიტუციურსამართლებრივი რეჟიმები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.[2680] საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გამორიცხა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დასაცავად ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვა, რაც ნებისმიერ პირს მისცემდა შესაძლებლობას, მიეღო ინფორმაცია სხვა პირის კერძო საკითხებზე, თუ ის იმავდროულად არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ეს ლოგიკურად აზრს უკარგავდა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც „ტაბუს ადებდა“ ინფორმაციას მისი კერძო სფეროსადმი კუთვნილების ნიშნით და არა იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენდა. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვა, თუმცა ამ შემთხვევაში ინფორმაციის მიღებას ჰქონდა დამხმარე ხასიათი სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.[2681] სხვა სიტყვებით რომ ჩამოვაყალიბოთ, მესამე პირებს შეუძლიათ მიიღონ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პერსონალური ინფორმაცია, მაგრამ არა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის, არამედ სხვა უფლებათა დაცვის მიზნით ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვის ფორმატში, როდესაც შესაბამისი უფლების განხორციელების ან დაცვის ინტერესი აღემატება პერსონალური ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ინტერესს.

1194 დაახლოებით ათი წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებით დაცულია საჯარო დაწესებულებაში არსებული სხვა პირთა პერსონალური მონაცემების გაცნობა. მან საკითხი განიხილა უფლებათა შორის (ერთდროულად) კონკურენციისა და კონფლიქტის კონტექსტში და ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და

[2678] აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოსაზრება ჩამოყალიბებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც. იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 243.
[2679] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-13.
[2680] დეტალურად იხ.: იქვე, II-12,14,15.
[2681] იქვე, II-21.

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებათა შორის კოლიზიის/კონკურენციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მათი გონივრული დაბალანსების საფუძველზე, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებდა პოზიციას, რომლის მიხედვითაც ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება „ტაბუს ადებდა“ ინფორმაციას მისი კერძო სფეროსადმი კუთვნილების ნიშნით, რადგანაც ეს უფლება არ მოითხოვდა ამ ტიპის ინფორმაციის სრულ დახურვას და ის ექვემდებარებოდა შეზღუდვას.[2682] შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცული სფეროს ამგვარი გაგება დამკვიდრდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.[2683]

1195 საკონსტიტუციო სასამართლოს დღეისათვის არსებული პრაქტიკა მესამე პირთა მხრიდან პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს აჩენს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს „საჯარო ინფორმაციაზე“ ხელმისაწვდომობას. ინფორმაციას „საჯაროდ“ არ აქცევს მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში მისი არსებობის ფაქტი ან ვინმეს სურვილი მის მიღებასთან დაკავშირებით. აქ გადამწყვეტია თვით ამ ინფორმაციის ბუნება, შინაარსი და მისი გამჟღავნების (ნეგატიური) შედეგები. პერსონალური მონაცემები, სადაც არ უნდა იყოს ისინი დაცული, ვერ ჩაითვლება „საჯარო ინფორმაციად“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის და შესაბამისად, მათზე მესამე პირების ხელმისაწვდომობაც არ არის დაცული. ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა პროფესიული საიდუმლოების ფაქტორი, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უპირველეს ყოვლისა სწორედ პერსონალურ მონაცემებს გულისხმობს. პროფესიულ საიდუმლოებაზე კი ვრცელდება კონსტიტუციის დათქმა და ის არ მიკუთვნება „საჯარო ინფორმაციას“. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, ე.წ. „მასზე არსებული“, ანუ თვით ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულ პირთან დაკავშირებული ინფორმაციის კატეგორიასაც, თუმცა ისიც აშკარაა, რომ კონსტიტუცია ამგვარ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას მხოლოდ იმ პირს აძლევს, ვისაც შეეხება ის და არა მესამე პირებს. პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს წესი-გამონაკლისის მკაფიო ფორმატს, სადაც წესი (და შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულება) პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვაა, ხოლო გამონაკლისი - მასზე ხელმისაწვდომობა. ამ დროს პირადი ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულმა სუბიექტმა უნდა ამტკიცოს, რაში მდგომარეობს ის აღმატებული ინტერესი, რომლიც გაამართლებს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, აღნიშნულ ფორმატს ფაქტობრივად თავდაყირა აყენებს. პირად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მას გადაჰყავს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის რეჟიმში, სადაც წესი (და შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულება) ინფორმაციის გაცემაა, ხოლო გამონაკლისი - მისი საიდუმლოების დაცვა. არასწორადაა გაგებული ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვისადმი საკონსტიტუციო სასამართლოს ძველ პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომა. ის სხვათა უფლებების გამო ინფორმაციული

[2682] დეტალურად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8-11.
[2683] N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-10.

თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვას კი არ გამორიცხავს, არამედ იმას, რომ მესამე პირთათვის პირადი ინფორმაციის გაცემა არ უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ინფორმაციის მიღებაზე მათი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, არამედ ინფორმაციის მიღების გზით რომელიმე სხვა უფლების დასაცავად. როგორც ამ პრობლემის კონტექსტში, ასევე ზოგადად აუცილებელია ძირითად უფლებათა კონკურენციისა და კოლიზიის არსის სწორად გაგება და მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. საკონსტიტუციო სასამართლო ამ ტერმინებს ფაქტობრივად სინონიმებად იყენებს. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ უფლებათა კონკურენციაზე საუბრისას მას მოჰყავს ციტატა სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც უფლებათა კოლიზიას შეეხება.[2684] ძირითად უფლებების კონკურენცია სახეზეა, როდესაც რამდენიმე ძირითადი უფლება ვრცელდება (1) ერთ შემთხვევაზე და (2) ერთი და იმავე სუბიექტის სასარგებლოდ.[2685] საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და პირადი, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა „ერთი შემთხვევა“ აშკარად არ არის. ამის დაშვების პირობებშიც კი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება მოქმედებს ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირის, ხოლო ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება - ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვით დაინტერესებული სუბიექტის სასარგებლოდ. ძირითადი უფლებების კოლიზიას მაშინ აქვს კონკრეტული უფლების მზღუდავი ეფექტი, როდესაც სხვადასხვა უფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმები (1) არეგულირებენ ერთსა და იმავე საკითხს და (2) შეუძლებელია ორივეს ერთდროული გამოყენება. ამასთან, კონფლიქტი უნდა იყოს არა თეორიული, არამედ გარდაუვალი და რეალური.[2686] ზემოთ უკვე დაწვრილებით გავამახვილეთ ყურადღება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების დამდგენი ნორმების რეგულირების სფეროსა და ინფორმაციათა იმ ჯგუფების თვისობრივ განსხვავებებზე, რასაც ისინი შეეხება. ეს ნორმები არ აწესრიგებს ერთსა და იმავე საკითხს და შესაბამისად, არც მათი ერთდროულად გამოყენების პრობლემა იქმნება.

1196 საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებს. ნეგატიური ვალდებულება გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს პიროვნებისათვის ინფორმაციის მიღებაში ხელშეშლისაგან. პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია.[2687] საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ეს არა სახელმწიფოს კეთილი ნება, არამედ მისი პირდაპირი კონსტიტუციური ვალდებულებაა.[2688] სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი გარანტიები და სისტემა, რაც შესაძლებელს გახდის საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქის ინფორმირებულობას და ყველა დაინტერესებულ პირს მისცემს საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის გაცნობის საშუალებას.[2689]

[2684] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-8.
[2685] დეტალურად იხილე მაგ.: Kley A., Vogt H., Das Problem der Grundrechtskonkurrenzen. ius.full, 6(3-4), 2008, (http://www.zora.uzh.ch) 2 f.; Sachs, GG, Vorbemerkungen, Rn. 136 f.; BVerfGE 99, 1 (10 f.); 101, 361 (386); 104, 337 (346).
[2686] დეტალურად იხ.: Sachs, იქვე, Rn. 122 ff; BVerfGE 77, 240 (255); 79, 69 (76); 81, 278 (293).
[2687] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 243; ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 353; N2/3/364 გადაწყვეტილება.
[2688] N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-3.
[2689] შეადარე: N1/4/757 გადაწყვეტილება, II-5; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-5.

1197 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას ცალკე ნორმის სახით. ცალკეულ შემთხვევებში კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) საფუძველზე, გამონაკლისის სახით, განსაკუთრებით მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, შეიძლება მიეცეთ საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება, თუ არსებობს ინფორმაციის გაცემის აღსრულებადი დაპირება შესაბამისი ორგანოს მხრიდან ან ეს აუცილებელია მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისათვის. მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მოთხოვნის მიზანს, ინფორმაციის სახესა და ხელმისაწვდომობას, ასევე ინფორმაციის მომთხოვნის როლს საზოგადოებრივი კონტროლისა და დისკუსიების განხორციელების კუთხით.[2690]

1198 მონაცემთა გაცემაზე უარის თქმა ან არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება შეეხებოდეს კონვენციის მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირს ისეთ ინფორმაციაზე ეზღუდება ხელმისაწვდომობა, რაც უკავშირდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს.[2691] მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების სფეროს უკავშირდება იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც, რომელიც შეეხება პირის ბავშვობასა და განვითარებას.[2692] იგივე მიდგომაა იმ პირის ე.წ. IP მისამართთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებასთან მიმართებით, რომლიდანაც მოდის სქესობრივი ძალადობის საფრთხე.[2693]

1.2.2.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება

1199 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, უფრო სწორად ამ უფლების იმ ასპექტს, რომელიც უკავშირდება ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციას ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი არ არის თვით იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ის შეეხება.

1200 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების წინაპირობაა. ეს უფლება, მისი ფართო გაგებით, არ ვრცელდება მხოლოდ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე და გულისხმობს ინდივიდის შესაძლებლობას, საკმარისი სიზუსტით გაარკვიოს, თუ მასთან დაკავშირებული რომელი ინფორმაციაა

[2690] ამ თემასთან დაკავშირებით დაწვრილები იხილე მაგ.: Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 9; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 21; Leander v. Sweden; Gaskin v. The United Kingdom; Guerra and Others v. Italy; Roche v. The United Kingdom; Kenedi v. Hungary (N31475/05; 26.5.2009); Gillberg v. Sweden (N41723/06; 3.4. 2012); Youth Initiative for Human Rights v. Serbia (N48135/06; 25.6.2013); Österreichische Vereinigung zur Erhaltung, Stärkung und Schaffung eines wirtschaftlich gesunden land- und forstwirtschaftlichen Grundbesitzes v. Austria (N39534/07; 28.11.2013); Magyar Helsinki Bizottsag v. Hungary (N18030/11; 8.11.2016); Cangi v. Turkey (N24973/15; 29.1.2019); Georgian Young Lawyers' Association v. Georgia (N2703/12; 19.1.2021).

[2691] Pätzold J. (Bearb.), Kommentar zum Art. 8 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 31.

[2692] Gaskin v. The United Kingdom.

[2693] K.U. v Finland (N2872/02; 2.12.2008).

მიმოქცევაში[2694] და თავად განსაზღვროს თავისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოყენების საკითხი.[2695] ეს უფლება გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყვანა ზოგადი პიროვნული უფლებიდან ადამიანის ღირსების უფლებასთან კავშირში, იმ გამოწვევების განხილვის კონტექსტში, რაც უკავშირდებოდა პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებიდან მომდინარე საფრთხეებს.[2696] ამავდროულად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძველი და საჭიროება არ არის განპირობებული მხოლოდ მათ ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებული საფრთხეებით. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება იცავს პირს მისი პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით მოპოვებისა და დამუშავებისაგან.[2697] როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას ნაწილობრივ მოიცავს და ქვემოთ სწორედ ამ ნაწილზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1201 აშკარაა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების კავშირი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთერთი უმთავრესი ასპექტია.“[2698] „პირის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა ემსახურება და ორგანულად უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტირებას.[2699] ამასთან, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით სპეციალური უფლებაა.

1202 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას დიდი ობიექტური მნიშვნელობაც აქვს. მისი ხელყოფა აზიანებს არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო ინტერესებსაც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოჰყო სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს, რომელიც მის ფინანსებთან და კერძო სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის საგადასახადო ორგანოებს, შორის ურთიერთნდობის ფაქტორის მნიშვნელობა. როდესაც გადასახადის გადამხდელს არ აქვს მოლოდინი და ნდობა, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დაცული იქნება გამჟღავნებისაგან, საფრხე ექმნება მის მიერ მოვალეობების სათანადო შესრულებას და გადასახადების აკრეფის სახელმწიფო ფუნქციის ეფექტიან განხორციელებას.[2700]

1203 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ვრცელდება „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე“. ამ ცნებაში შეიძლება მოვიაზროთ საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია,[2701] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციად“ ჩათვალა საგადასახადო ორგანოებში თავმოყრილი ინფორმაცია, რადგანაც ეს ორგანოები ფინანსდება სახელმწიფო

[2694] BVerfGE 120, 351 (360).
[2695] Murswiek, GG, Art. 2, Rn. 72; BVerfGE 65, 1 (43).
[2696] მაგ.: BVerfGE 61, 1 (41 ff.); 100, 313 (358 f.).
[2697] BVerfGE 78, 77 (84).
[2698] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-15.
[2699] N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-54.
[2700] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-9.
[2701] შეადარე მაგ.: N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-53.

ბიუჯეტიდან და ახორციელებს სახელმწიფო უფლებამოსილებებს.[2702] პირად საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება კერძო სუბიექტებთანაც (მაგალითად: ბანკები, სამედიცინო დაწესებულებები და ა.შ.) ინახებოდეს, მაგრამ მასზე ვრცელდება არა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი,[2703] არამედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

1204 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომელიც „დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან". „ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის" არსსა და მოცულობასთან დაკავშირებით წარმოდგენას გვიქმნის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონში მოცემული „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემის" განმარტება, რომლის მიხედვითაც ესაა პირის „ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა."[2704] ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში არ ექცევა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საჯარო დაწესებულებაშია. რაც შეეხება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ იმ მონაცემებს, რომლებიც კერძო პირთა განკარგულებაშია, მათ გამჟღავნებისაგან იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

1205 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმა-ციაში" არ იგულისხმება მხოლოდ ფულთან ან ფულად ურთიერთობებთან შემხებლობაში მყოფი მონაცემები, რომლებიც სრულ ან ნაწილობრივ წარმოდგენას ქმნის პირის ფინანსურ მდგომარეობაზე, არამედ ის ინფორმაციაც, რომელიც „პირდაპირ ან ირიბად ასახავს პირის კერძო სფეროს მატერიალურ მხარეს, მისი არსებობის თუ საქმიანობის მატერიალურ საფუძვლებს."[2705] ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებით დაცულ სფეროში მოქცევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის კავშირს ფინანსურ სფეროსთან და არა იმას, „თუ რა მასშტაბის წარმოდგენას გვიქმნის კონკრეტული მონაცემი პირის ფინანსურ მდგომარეობაზე, რამდენად არის ის კომერციულად ღირებული და როგორი იქნება ამ ინფორმაციის გახმაურების შემთხვევაში" პირისათვის მიყენებული ზიანის მოცულობა.[2706] საკონსტიტუციო სასამართლომ „ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის" კატეგორიას მიაკუთვნა საგადასახადო საიდუმლოებით დაცული ინფორმაცია, როგორც საგადასახადო და შესაბამისად, ფულად ურთიერთობებთან დაკავშირებული ინფორმაცია.[2707] ფინანსებთან დაკავშირებულად არ ითვლება ინფორმაცია, რომელიც მართალია ფინანსებთან შემხებლობაშია, მაგრამ საყოველთაოდ ხელმისაწვდომია და არ აქვს კონფიდენციალური ხასიათი, მაგალითად სახელმწიფო პენსია ან თანამდებობრივი სარგო, რომლის ოდენობა კანონმდებლობითაა დადგენილი.[2708]

[2702] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-22.
[2703] განსხვავებული პოზიცია იხ.: ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 360.
[2704] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.
[2705] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-19.
[2706] იქვე, II-24.
[2707] დეტალურად იხ.: იქვე, II-4-7,23.
[2708] დეტალურად იხ.: იქვე, II-45.

„სხვა პირად საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაში“ იგულისხმება პირის კერძო, 1206
პრივატულ სფეროსთან დაკავშირებული პირადი მონაცემები.[2709] საკონსტიტუციო სასამართლო ამ კატეგორიას მიაკუთვნებს პირის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და ამავდროულად ხაზს უსვამს, რომ ყველა ეს მონაცემი არ სარგებლობს დაცვის თანაბარი გარანტიით.[2710] ამასთან, ცალკეული მონაცემების დაცულობის ხარისხი რელევანტურია არა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცული სფეროს ფარგლების დადგენის, არამედ ამ უფლებაში ჩარევის შემოწმების კონტექსტში. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დაცვას ექვემდებარება პერსონალური მონაცემები მიუხედავად იმისა, ისინი განსაკუთრებით ღირებულია თუ უმნიშვნელო.[2711] მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დეფინიცია, რომელსაც გვთავაზობს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და რომლის მიხედვითაც პერსონალური მონაცემია „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება“. თავის მხრივ, „ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.“[2712] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცულ სფეროში ექცევა ყველა მონაცემი პირის შესახებ და არა მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც ადამიანის პირადი ცხოვრების ინტიმურ სფეროს უკავშირდება.[2713] უზრუნველყოფილი არ არის ისეთი მონაცემების კონფიდენციალობა, რაც უკავშირდება პირის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო ინფორმაციად ჩათვალა იმ ექსპერტის ვინაობა, რომელიც მონაწილეობდა საჯარო დაწესებულების მიერ გრანტების გაცემის საკითხის გადაწყვეტაში.[2714]

1207 პირად საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია „არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე“. კონსტიტუცია ახდენს მის ავტომატურ გასაიდუმლოებას.[2715] დაცულია პირის ფუნდამენტური უფლება, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან პერსონალური ინფორმაციის გამხელისაგან დაცვა.[2716] მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით „დაცული სიკეთეა პირის უფლება არ გახდეს ხელმისაწვდომი ოფიციალურ წყაროებში მის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია“.[2717] პირის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების სასარგებლოდ ნების გამოხატვამდე მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მას არ სურს ამ ინფორმაციაზე მესამე პირების ხელმისაწვდომობა, რაც სახელმწიფოს აკისრებს პირად საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვის

[2709] იქვე, II-14.
[2710] N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-53.
[2711] BVerfGE 120, 378 (398 f.).
[2712] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[2713] განსხვავებული პოზიცია იხ.: ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 360.
[2714] N1/4/757 გადაწყვეტილება, II-14.
[2715] შეადარე: N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-12.
[2716] იქვე, II-14.
[2717] იქვე, II-24.

ვალდებულებას.[2718] გერმანული გამოცდილებით, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება კონსტიტუციურსამართლებრივად დაცულია არა მხოლოდ დარღვევისაგან, არამედ დარღვევის საფრთხის შექმნისგანაც.[2719] მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი არ იცავს პირს სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების მოპოვებისა და გამოყენებისაგან,[2720] თუმცა ამას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

1208 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოს, პირველ რიგში, ნეგატიურ ვალდებულებას აკისრებს, არ დაუშვას მის ხელთ არსებული პირადი მონაცემების ხელმისაწვდომობა, გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.[2721] ამასთან, მან პოზიტიური თვალსაზრისით, უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობის მიღება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა ინდივიდი არ გახდეს მონაცემთა მოპოვების ობიექტი.[2722]

1209 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას სპეციალურ ნორმას არ უძღვნის, თუმცა სახელმწიფოს ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების გადაცემას მესამე პირთათვის ევროპული სასამართლო განიხილავს მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) კონტექსტში. ამის მაგალითებია: საჯარო სივრცეში განხორციელებული ვიდეომონიტორინგის კადრების გადაცემა მასმედიისათვის;[2723] ბრალდებულის ფოტოების გადაცემა მედიასაშუალებებისათვის;[2724] გამამტყუნებელ განაჩენში მსჯავრდებულის შიდსით დაავადებული მეუღლის ვინაობის დასახელება[2725] და ა.შ.

1.2.2.4. საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება

1210 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს გარანტიას იმ ზიანის სასამართლო წესით სრულ ანაზღაურებაზე, რომელიც პირისათვის მიყენებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან მოსამსახურის უკანონო ქმედებით, შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 141-ე მუხლი მოქალაქეს ანიჭებდა უფლებას, მოეთხოვა სახელმწიფოსათვის მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრებოდა კანონით.

1211 სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფორმალური ელემენტია.[2726] ის უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა

[2718] იქვე, II-15.
[2719] Ipsen, Grundrechte, Rn. 317; BAGE 136, 156 (162).
[2720] განსხვავებული პოზიცია იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 245; ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 360.
[2721] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-14.
[2722] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 321.
[2723] Peck v. The United Kingdom (N44647/98; 28.1.2003).
[2724] Sciacca v. Italy (N50774/99; 11.1.2005).
[2725] Z. v. Finland.
[2726] შეადარე მაგ.: Arnauld A. v., Rechtsstaat, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 703 (707); Grzeszick B. (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 4, 36; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 81;

უმნიშვნელოვანეს ელემენტს - კანონის უზენაესობის პრინციპს.[2727] კანონის უზენაესობა, ძირითად უფლებებთან კავშირში, ადგენს შედეგების გამოსწორების ვალდებულებას. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა აღმოფხვრას თავისი კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგები და აღადგინოს მართლზომიერი მდგომარეობა. ამ ვალდებულების შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში ენიჭება.[2728]

1212 საკონსტიტუციო სასამართლოც მჭიდროდ აკავშირებს საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სამართლებრივ სახელმწიფოში სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს ხელისუფლების უკანონო მოქმედებას და აუცილებელია ამის შედეგად მიყენებული მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის ანაზღაურების ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მექანიზმის არსებობა. „წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს მიიღებს და მოწყვლადი გახდება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედებების ჩადენის მიმართ.“[2729] სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების თვითნებობა. სახელმწიფოზე პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ხელს უწყობს თვითნებობისა და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას.[2730]

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, კონსტიტუციასთან შედარებით ვიწრო ფარგლებში, საერთაშორისო სამართალიც ითვალისწინებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N7 ოქმის მე-3 მუხლი ადგენს კომპენსაციას უსწორო მსჯავრდებისათვის. ანალოგიურ უფლებას ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი.

1213 მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი არ არის საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ერთადერთი ნორმა. სახელმწიფო მოხელეების მხრიდან უკანონო მოქმედების, კერძოდ თავისუფლების უკანონო შეზღუდვის შემთხვევაში პირის მიერ კომპენსაციის მიღების უფლებას ადგენს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადება. საკონსტიტუციო სასამართლო მას განიხილავს, როგორც ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევის მარეგულირებელ ნორმას, რომლის ცალკე გამოყოფა განპირობებულია ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უდიდესი მნიშვნელობით.[2731] უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული

Scheuner U., Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 461 (486); Schmidt-Aßmann E., Der Rechtsstaat, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Aufgabe, Heidelberg 2004, 541 (552); Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984, 771.

[2727] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 396.

[2728] Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 141; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 271.

[2729] საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[2730] საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

[2731] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-3,4.

პირის კომპენსაციის მიღების უფლება მჭიდრო კავშირშია სპეციალური საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებასთან, რომელიც „ერთგვარად ავსებს მასში გადმოცემულ საკითხებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან და ზიანის ანაზღაურების სისრულესთან დაკავშირებული მოთხოვნებით“.[2732] აქედან გამომდინარე, ამ უფლებებს შორის არსებობს ე.წ. „იდეალური კონკურენცია“ და პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლოც ნორმის, რომელიც შეეხება უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირისათვის ზიანის ანაზღაურებას, შეფასებას ორივე მათგანთან ერთდროულად ახდენს.[2733]

1214 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი მატერიალური და პროცესუალური გარანტიების კომბინაციაა. მატერიალური თვალსაზრისით, ის პირს ანიჭებს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და მიღების შესაძლებლობას. პროცესუალური კუთხით, უზრუნველყოფილია სამართლებრივი დაცვის საშუალება - ზიანის ანაზღაურება სასამართლო წესით, სასამართლოსათვის მიმართვის გზით.[2734]

ზიანის ანაზღაურების უფლება დაკავშირებულია რამდენიმე წინაპირობასთან: 1) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან ზიანის მიყენების ფაქტი; 2) აღნიშნული ორგანოების ან მოსამსახურეების ქმედების უკანონობის დადგენა სათანადო წესით; 3) მიზეზშედეგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.[2735]

1215 ჩანაწერი „სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართ-ველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან“ მოიცავს საჯარო ხელისუფლების მხრიდან ზიანის პოტენციურად მიმყენებელ ნებისმიერ ორგანოსა და მასში დასაქმებულ ყველა კატეგორიის მოსამსახურეს, გამონაკლისის გარეშე. გარდა ამისა, ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს იმ კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საჯარო ხელისუფლების მხრიდან დელეგირების ან დავალების საფუძველზე.[2736] ზიანი უნდა იქნეს მიყენებული აღნიშნული სუბიექტების მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების შედეგად. მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედების სფეროში არ შედის საჯარო მოსამსახურის, როგორც კერძო პირის მიერ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში სხვათათვის მიყენებული ზიანი. ზიანს შესაძლოა ჰქონდეს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ფორმა.[2737] მაგალითად, მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით „უკანონოდ განთავისუფ-ლებული პირი, გარდა იმისა, რომ ვერ იღებს იძულებითი გაცდენის პერიოდში ნავარაუდებ ანაზღაურებას, განიცდის მის მიმართ განხორციელებული უკანონობის თანმხლებ უარყოფით შედეგებსაც, რაც ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა გამოხატულ იქნეს, საზოგადოების ან/და პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან, მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაში, რაც ნეგატიურად აისახება გათავისუფლებული

[2732] იქვე, II-5.
[2733] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[2734] იქვე, II-2.
[2735] იქვე, II-7.
[2736] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[2737] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-7.

მოხელის როგორც ქონებრივ მდგომარეობაზე, ასევე მის სამსახურებრივ რეპუტაციაზე. შესაბამისად, უკანონოდ განთავისუფლება შესაძლოა პირს აყენებდეს როგორც ქონებრივ, ასევე მორალურ ზიანს..“[2738]

1216 ზიანი „უკანონოდ მიყენებულია“, როდესაც შესაბამისი სუბიექტი საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებისას თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს. აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფორმალური გაგებით კანონის, ანუ საკანონმდებლო აქტის დარღვევა, არამედ ისეთი ქმედება, რაც ეწინააღმდეგება ზოგადად კანონმდებლობას - კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს. ქმედების უკანონობის სათანადო წესით დადგენა შეიძლება განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასამართლო სამართალწარმოების ფორმატში.

1217 მიზეზშედეგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის სახეზეა, როდესაც დამდგარი შედეგი - ზარალი გამოწვეულია უკანონო ქმედებით (აქტით) და არ დადგებოდა მის გარეშე.[2739] მაგალითად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებასა და მისთვის განაცდური ხელფასის მიუღებლობით დამდგარ ზიანს შორის მიზეზშე-დეგობრივი კავშირი სახეზეა, როდესაც შესაბამისი დაწესებულების მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევით დადგინდება, რომ არ არსებობს გათავისუფლების კანონიერი საფუძველი. ამდენად, მოხელის უკანონოდ გათავისუფლების აქტის არარსებობის შემთხვევაში ის გააგრძელებდა საქმიანობას დაკავებულ თანამდებობაზე და მიიღებდა შესაბამის ანაზღაურებას.[2740]

1218 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების წინაპირობებსა და წესს, არამედ მის მასშტაბსაც. კერძოდ, კონსტიტუცია ცალსახად და იმპერატიულად ადგენს, რომ უნდა განხორციელდეს ზიანის „სრული ანაზღაურება“.[2741] ის, თუ რა იგულისხმება „სრულ ანაზღაურებაში“ უნდა დადგინდეს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ ზოგადად, მაგალითად ანაზღაურების ზღვრული ოდენობის დაწესების ფორმით ერთი ტიპის ზიანისათვის, არამედ ყოველ კონკრეტულ შეთხვევაში პირისათვის მიყენებული რეალური ზიანის შეფასებისა და განსაზღვრის გზით.[2742] ზიანის ანაზღაურების მასშტაბზე გავლენას ვერ მოახდენს პირის მიერ სხვა წყაროებიდან ან იმავე წყაროდან სხვა ურთიერთობის ფარგლებში მიღებული შემოსავალი. მაგალითად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა თუნდაც დამსაქმებლის ინიციატივით, სხვა თანამდებობაზე დანიშვნა ან ამ მოხელის დასაქმება სხვა სამსახურში, მათ შორის კერძო სექტორში, სახელმწიფოს არ ათავისუფლებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების პერიოდის განმავლობაში პირისათვის მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებისაგან.[2743]

1219 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N7 ოქმის მე-3 მუხლი ადგენს ზიანის ანაზღაურების უფლებას არა ზოგადად, საჯარო ხელისუფლების

[2738] N2/3/630 გადაწყვეტილება, II-8.
[2739] N2/4/735 გადაწყვეტილება, II-18.
[2740] იქვე, II-26.
[2741] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-2,7; N2/3/630 გადაწყვეტილება, II-12; N2/4/735 გადაწყვეტილება, II-28.
[2742] N2/3/630 გადაწყვეტილება, II-12.
[2743] იქვე, II-13.

მიერ მიყენებული ზიანისათვის, არამედ მხოლოდ უსწორო მსჯავრდებისათვის.[2744] კონვენციის მე-5 მუხლიც (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) ითვალისწინებს კომპენსაციის ქმედით უფლებას ყველა მსხვერპლისათვის, ვინც ამავე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს.[2745] როგორც ვხედავთ, კომპენსაციის ამ ორი ფორმის გამოყენების წინაპირობები ერთმანეთისაგან განსხვავდება.[2746] გარდა ამისა, უსწორო მსჯავრდებისათვის კომპენსაციის მუხლი თავად არ ქმნის მოთხოვნის საფუძველს, არამედ მიუთითებს კომპენსაციის მიკუთვნებაზე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით.[2747]

1220 N7 ოქმის მე-3 მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც უქმდება პირის მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.[2748] იმას, თუ რა ფორმით განხორციელდა ამგვარი მსჯავრდების გაუქმება, მნიშვნელობა არ აქვს.[2749] მთავარია, რომ ეს მოხდეს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გამო.[2750] უსწორო მსჯავრდებისათვის კომპენსაციისათვის საკმარისი არ არის მსჯავრდების გაუქმება სამართლებრივი ნორმების აშკარად შეცდომით გამოყენების მიზეზით,[2751] ასევე იმ მტკიცებულების გამო, რომელიც ცნობილი იყო მსჯავრდების მომენტში, თუმცა მოგვიანებით განხორციელდა მისი სხვაგვარად შეფასება.[2752] მე-3 მუხლი არ გამოიყენება, თუ განაჩენი გაუქმდა ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ[2753] ან სხვაგვარად დაკარგა ძალა.[2754] უსწორო მსჯავრდებისათვის კომპენსაციის უფლება არ აქვს პირს, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, თუმცა მისი მსჯავრდება არ მომხდარა.[2755] მე-3 მუხლი ასევე არ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის სფეროში.[2756]

1221 მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს კომპენსაციის განსაზღვრული მოცულობის მოთხოვნის უფლებას.[2757] ამავდროულად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუშვებელია კომპენსაციიდან არამატერიალური ზიანის სრულად გამორიცხვა. უსწორო მსჯავრდებისათვის კომპენსაციის უფლების მიზანია როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება.[2758]

[2744] „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.“

[2745] ამ საკითხზე უკვე გამახვილდა ყურადღება ადამიანის თავისუფლების უფლებისადმი მიძღვნილ თავში.

[2746] Breuer M. (Bearb.), Kommentar zum Art.3 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 6.

[2747] იქვე, Rn. 7.

[2748] იქვე, Rn. 2.

[2749] Matveyev v Russia (N26601/02; 3.7.2008).

[2750] Breuer, Art.3 7.EMRKProt, Rn. 4.

[2751] Bachowski v. Poland (N32463/06; 2.11.2010).

[2752] Matveyev v Russia.

[2753] Georgiou v. Greece (N45138/98; 13.1.2000).

[2754] Bajraktarov v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N34112/02; 12.6.2006).

[2755] Nakov v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N68286/01; 24.10.2002).

[2756] Glender v. Sweden (N28070/03; 6.9.2005); Shykyta v. Ukraine (N67092/01; 11.10.2005).

[2757] Jeronovičs v. Latvia (N547/02; 10.2.2009).

[2758] Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia (N22999/06; 12.6.2012).

2. ჩარევა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებების დაცულ სფეროებში

2.1. ჩარევა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების დაცულ სფეროში

1222 კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის მითითებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა. ეს გარემოება არ მეტყველებს ამ უფლების აბსოლუტურ ხასიათზე. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება, როგორც საპროცესო უფლება, ექვემდებარება საკანონმდებლო გაფორმებასა და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას. ამ შემთხვევაში მოქმედებს შიდაკონსტიტუციური ზღვარი, რაც იძლევა მისი შეზღუდვის შესაძლებლობას კონსტიტუციური სიკეთეებისა და სხვათა უფლებების დასაცავად.

1223 ჩარევა შეიძლება გამოიხატოს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების სხვადასხვა ასპექტით სარგებლობის შეზღუდვაში, მაგალითად ადმინისტრაციული ორგანოსათვის უფლებამოსილების მინიჭებაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თავად გადაწყვიტოს წარმოების ზეპირი მოსმენით ჩატარების საკითხი.[2759]

2.2. ჩარევა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცულ სფეროში

1224 ის, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი,[2760] ნათლად ჩანს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტიდანაც, რომელიც თავად ზღუდავს კომერციული, პროფესიული ან სახელმწიფო საიდუმლოების გაცემას, ხოლო პერსონალურ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის მხოლოდ იმ პირისათვის, რომელსაც ეს ინფორმაცია შეეხება. ამდენად, არასაჯარო ინფორმაციის გაცნობის შეზღუდვა დაცულ სფეროში ჩარევად არც უნდა იქნას განხილული. განსხვავებული სურათი იქმნება მაშინ, როდესაც ინფორმაციას არ გასცემენ იმის გამო, რომ ის მიეკუთვნება რომელიმე ზემოაღნიშნულ კატეგორიას, თუმცა დადგინდება, რომ შესაბამისი ინფორმაციის ამგვარი კლასიფიკაცია არ არის მართებული. აქედან გამომდინარე, ჩარევის იდენტიფიცირება უნდა დაიწყოს სწორედ იმის დადგენით, რამდენადაა ინფორმაცია რეალურად საიდუმლო კატეგორიის.[2761]

1225 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირებისას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს, რამდენადაა (1) სუბიექტი, რომლისგანაც მოითხოვენ ინფორმაციის გაცემას, საჯარო დაწესებულება, ხოლო (2) გამოთხოვილი

[2759] შეადარე: N2/5/595 გადაწყვეტილება.
[2760] მაგ.: N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-10; N3/1/752 გადაწყვეტილება, II-17; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-23; N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-22.
[2761] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 244.

ინფორმაცია - ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია და (3) იზღუდება თუ არა ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.[2762] საკონსტიტუციო სასამართლო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევად მიიჩნევს ოფიციალურ დოკუმენ-ტებში არსებულ პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვასაც.[2763] ეს განპირობებულია აღნიშნული უფლების დაცული სფეროს საკამათო ინტერპრეტაციით, რაზეც ზემოთ უკვე ვრცლად გავამახვილეთ ყურადღება.

1226 ჩარევა შესაძლებელია მრავალგვარი შინაარსითა და ფორმით განხორციელდეს. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეზღუდოს ნორმატიულმა აქტმა[2764] ან ეს მოხდეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით კონკრეტულ შემთხვევაში. ჩარევას შეიძლება ჰქონდეს როგორც მოქმედების, მაგალითად ინფორმაციის გაცემაზე უარის,[2765] ასევე უმოქმედობისა და ინფორმაციის მოთხოვნაზე შესაბამისი განცხადების იგნორირების სახე. ჩარევად ითვლება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხდება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არა სრულად გამორიცხვა, არამედ მისი კონკრეტული ფორმის შეზღუდვა. მაგალითად, დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლების მინიჭება, მაგრამ უარი ამ მასალების ასლების გადაცემაზე.[2766] ჩარევად ასევე მიიჩნევა სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის განხორციელება ინფორმაციის გაცნობაზე.[2767]

1227 როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხს განიხილავს კონვენციის მე-8 ან მე-10 მუხლებთან მიმართებით. ბუნებრივია, ჩარევის საკითხიც სწორედ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების ან გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში განიხილება. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად მიჩნევის საკითხის გადაწყვეტისას ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული სუბიექტის როლი, გამოთხოვილი ინფორმაციის არსი, ფორმა, ხელმისაწვდომობა, ასევე მისი გამოთხოვის მიზანი.[2768] პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევად განიხილება მაგალითად ინფორმაციის მიუწოდებლობა: ატომური იარაღისა და ნერვული გაზის გამოცდასთან დაკავშირებით იმ სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ გამოცდებში,[2769] თანამშრომლებისათვის საწარმოში გამოყენებული ჯანმრთელობისათვის სახიფათო ნივთიერებების შესახებ,[2770] პაციენტისათვის სამედიცინო შეცდომის შესახებ.[2771]

[2762] N1/4/757 გადაწყვეტილება, II-8; N3/1/752 გადაწყვეტილება, II-15; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-17, 18.
[2763] მაგ.: N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-11,17,18.
[2764] მაგალითად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის N1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; N2/2/359 გადაწყვეტილება.
[2765] შეადარე მაგ.: N2/3/364 გადაწყვეტილება.
[2766] N1/3/1312 გადაწყვეტილება.
[2767] ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 355.
[2768] მაგ.: Magyar Helsinki Bizottsag v. Hungary.
[2769] McGinley and Egan v The United Kingdom (N21825/93, 23414/94; 9.6.1998); Roche v. The United Kingdom.
[2770] Vilnes and Others v. Norway (N52806/09, 22703/10; 5.12.2013); Brincat and Others v. Malta.
[2771] K.H. and Others v. Slovakia (N32881/04; 28.4.2009).

2.3. ჩარევა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცულ სფეროში

1228 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტიდან მკაფიოდ მიუთითებს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამავე პუნქტში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ამდენად, ინფორმაციის თავისუფლებაც არ განეკუთვნება აბსოლუტურად დაცული უფლებების კატეგორიას.[2772]

1229 კონსტიტუცია ზღუდავს ადამიანის პირად საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას „თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე", ანუ პირს აქვს შესაძლებლობა, უარი განაცხადოს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობაზე.[2773] აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალური ინფორმაციის გაცემა არაპრობლემატურია პირის თანხმობის შემთხვევაში და ის არ უნდა ჩაითვალოს ჩარევად ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში.

1230 საკონსტიტუციო სასამართლომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების არსისა და მიზნების არასწორ გაგებად მიიჩნია და ამ უფლებაში ჩარევა უარყო იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელეები გამოდიოდნენ არა პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის, არამედ პირიქით, ამ ინფორმაციის მიღების ინტერესებიდან. მისი აზრით, მოსარჩელეები აპელირებდნენ კონსტიტუციურ ნორმაზე, რომელიც იცავდა არა მათ, არამედ მოპირისპირე მხარის პოზიციებს.[2774]

1231 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს მხრიდან როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას ან მის ხელთ არსებული პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის არასათანადო დაცვას. ჩარევის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის გამჟღავნების მასშტაბს - ის გახდება ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, თუ კონკრეტული პირისათვის ან პირთა წრისათვის, თუმცა ეს რელევანტურია ჩარევის გამართლების კუთხით. იგივე შეიძლება ითქვას მაგალითად თანამდებობის პირების ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარირების კანონით დადგენილ ვალდებულებაზე. საკონსტიტუციო სასამართლო მას ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევად განიხილავს,[2775] თუმცა მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებისას უდიდესი მნიშვნელობა ექნება პირთა იმ კატეგორიას, რომელზედაც ვრცელდება დეკლარირების, ანუ პერსონალური მონაცემების გარკვეული ნაწილის გასაჯაროების ვალდებულება.

1232 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევა არ ხდება სახელმწიფოს მიერ კერძო სუბიექტებისათვის მათ ხელთ არსებული მესამე პირთა პერსონალური მონაცემების სახელმწიფო ორგანოთათვის გადაცემის ვალდებულების დაკისრებით. ამავდროულად, ეს არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელიც ადგენდა ბანკების, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა და

[2772] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 245; ხუბუა, 41-ე მუხლის კომენტარი, 361.
[2773] შეადარე: N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-30.
[2774] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-30.
[2775] იქვე, II-41.

სხვა საწარმოების ვალდებულებას, მიეწოდებინათ გადასახადის გადამხდელების მიერ ანგარიშების გახსნის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციისათვის. მან არ შეაფასა სადავო ნორმის შესაბამისობა კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით იმის გამო, რომ მისი მოქმედება არ ვრცელდებოდა მოსარჩელეზე.[2776] გაურკვეველია, როგორი იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, თუ მას ის სუბიექტი მიმართავდა, რომელიც ექცეოდა სადავო ნორმის გამოყენების არეალში.

1233 როგორც დაცული სფეროს განხილვისას აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით აფასებს. პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის დადგენისას ის ითვალისწინებს იმას, უკავშირდება მონაცემები კერძო თუ საჯარო მოვლენებს და რამდენადა გამიზნული ისინი გასაჯაროებისათვის. მან სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში პირის ფოტოსურათების გამოქვეყნება არ ჩათვალა ჩარევად, რადგანაც ეს მხოლოდ გამოძიების მიზნებს ემსახურებოდა და ფოტოსურათები ადრე პირმა თავისი ინიციატივით გადასცა სახელმწიფო ორგანოს.[2777] ამისაგან განსხვავებით, მე-8 მუხლში ჩარევად დაკვალიფიცირდა პირის მისამართის გამოქვეყნება საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში.[2778]

2.4. ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების დაცულ სფეროში

1234 კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევის დასაშვებობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონსტიტუციური დებულების იმპერატიული შინაარსიდან გამომდინარე, საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება „უფრო აბსოლუტური ხასიათისაა“,[2779] ანუ დაუშვებელია მისი შეზღუდვა.

1235 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ნაწილში გამოხატულია პოზიცია, რომ ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანი, მაგალითად „როდესაც ზიანის ანაზღაურების ხარჯი იმდენად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ მისი ანაზღაურება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას, ფისკალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას, შესაძლებელია მსჯელობა ზიანის ანაზღაურების უფლების შეზღუდვაზე, გადახდის განაწილვადებისა თუ სხვა ფორმებით“.[2780] სამწუხაროდ, არ არის დაკონკრეტებული, რა იგულისხმება „სხვა ფორმებით“ შეზღუდვაში და უმჯობესი იქნებოდა ამ ნაწილის უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ განმარტება.

[2776] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 30 მაისის N1/4/28 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ირაკლი კორძახია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[2777] Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 78; Friedl v. Austria (N5225/89; 19.5.1994).
[2778] Ismayilova v. Azerbaijan (N65286/13, 57270/14; 10.1.2019).
[2779] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 246.
[2780] №2/3/630 გადაწყვეტილება, II-21; N2/4/735 გადაწყვეტილება, II-28.

ერთგვარი შუალედური მიდგომა აქვს ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სასამართლოს N2/3/423 გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება „...კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს.“[2781] საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს ჩარევას ისეთი საგამონაკლისო შემთხვევების დადგენის სახით, რა დროსაც უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება.[2782] ის ასევე დაუშვებლად თვლის ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურების მასშტაბების შემცირებას, კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი სუბიექტების წრის შეზღუდვას და ზიანის ანაზღაურებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალების ჩამორთმევას. ამგვარი ჩარევები, მათი დადგენის შემთხვევაში, არაკონსტიტუციურია და აღარ საჭიროებს კონსტიტუციურობის დამატებით შემოწმებას.[2783] 1236

ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციითა და საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის მიდგომა უფრო ვიწრო მოქმედების სფეროს უტოვებს სახელმწიფოს, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N7 ოქმის მე-3 მუხლი. მაგალითად, ევროპული სასამართლო კომპენსაციას მისი არასაკმარისი მოცულობის გამო მაშინ განიხილავს ჩარევად, როდესაც ის „თეორიული და ილუზორულია“.[2784] 1237

3. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებებში ჩარევის შემოწმება

3.1. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებაში ჩარევის შემოწმება

კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ ითვალისწინებს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების შეზღუდვას მხოლოდ კანონის საფუძველზე, თუმცა ამ შემთხვევაში მოქმედებს კანონის ზოგადი დათქმა, რაც გულისხმობს, რომ ჩარევა მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზეა შესაძლებელი. უფლების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი და აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს. 1238

როგორც აღინიშნა, ცალკე სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებაში ჩარევის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ განუხორციელებია, თუმცა შევეხებით იმ პრაქტიკას, რომელიც გვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ რა იქნება რელევანტური ადმინისტრაციულ წარმოებაში პროცესუალური გარანტიების დაცვის 1239

[2781] N2/3/423 გადაწყვეტილება, II-2.
[2782] იქვე, II-20.
[2783] იქვე, II-18,19,23.
[2784] Jeronovičs v. Latvia.

თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება პროცესუალური გარანტიების კონკრეტული შეზღუდვის პირობებში. ამგვარი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც, თანაზომიერების ტესტით შეფასებას ექვემდებარება ბალანსი ჩარევის ლეგიტიმურ მიზანსა და შეზღუდულ კერძო ინტერესს შორის.[2785]

1240 სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების მიმართ მოქმედებს შიდა-კონსტიტუციური ზღვარი. ამდენად, მისი შეზღუდვა შეიძლება ემსახურებოდეს სხვათა უფლებების ან კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. მაგალითად, საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების წარმოების ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია საჯარო ფუნქციების განმახორციელებელ ორგანოთა გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება.[2786]

1241 იმავე გადაწყვეტილებაში სადავო ნორმის გამოსადეგობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ზეპირი მოსმენის ჩატარება მოითხოვდა დამატებით დროსა და ადამიანურ რესურსს, რაც საფრთხეს უქმნიდა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი ძირითადი ფუნქციების გამართულ და შეუფერხებელ განხორციელებას. ბუნებრივია, ადმინისტრაციული წარმოებისას ზეპირი მოსმენის ჩატარება არა ყოველთვის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული მიზანშეწონილობის მიხედვით, ამცირებდა აღნიშნულ საფრთხეს და წარმოადგენდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას.[2787]

1242 სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებაში ჩარევის შემოწმების თანაზომიერების ტესტის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს აუცილებლობისა და პროპორციულობის შემოწმება. ამ უფლების შეზღუდვის აუცილებლობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა დიდი ალბათობით სასამართლო გამოიყენებს ტრადიციულ მიდგომას - შეამოწმებს, რამდენად არსებობს ლეგიტიმური მიზნის მსგავსი ეფექტიანობით მიღწევის ალტერნატიული და ნაკლებად დამაზიანებელი საშუალება. პროპორციულობასთან მიმართებით გარკვეულ წარმოდგენას კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება გვიქმნის. ამ დროს გაითვალისწინება რამდენად რჩება პირს მისი ინტერესების დასაცავად საკმარისი პროცესუალური გარანტიები (როგორც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ასევე სასამართლო წესით უფლების დაცვისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების კუთხით) შეზღუდვის შემდეგ და რამდენად თავისუფალია ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტულ შემთხვევაში შეზღუდვის განხორციელებისას და ეკისრება თუ არა მას საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვისა და კანონის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება.[2788] ამით ფაქტობრივად ხდება სადავო ნორმით უფლების შეზღუდვის სიმძიმისა და ინტენსივობის შეფასება. თუ გაირკვევა, რომ მიუხედავად შეზღუდვისა, პირი მაინც

[2785] N2/5/595 გადაწყვეტილება, II-7.
[2786] იქვე, II-10.
[2787] იქვე.
[2788] დეტალურად იხ.: იქვე, II-11-24.

სარგებლობს თავისი ინტერესების დაცვის საკმარისი გარანტიებითა და მექანიზმებით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედების თავისუფლება ლიმიტირებულია, ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობისა და ღირებულების გათვალისწინებით, ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ საშუალებად.[2789]

3.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის შემოწმება

1243 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის გამართლებისათვის აუცილებელია, რომ ის ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.[2790] საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია „კანონით დადგენილი წესით". ამ უფლების შეზღუდვის მთავარი ფორმალური მოთხოვნაა, რომ ეს უნდა განხორციელდეს კანონით, ანუ სახეზეა კანონის დათქმა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც მოითხოვს, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარი უნდა იყოს კანონის შესაბამისი.[2791]

1244 საკონსტიტუციო სასამართლო „კანონში", როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის საფუძველში, პირველ რიგში გულისხმობს კანონს ფორმალური გაგებით - პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს. ამავდროულად ის უშვებს შეზღუდვას არა მხოლოდ უშუალოდ კანონით, არამედ კანონმდებლის მიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოზე უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტითაც. ამასთანავე, დელეგირება, როგორც ასეთი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას და დელეგირებული უფლებამოსილების განმხორციელებელი ორგანოს მიხედულების ფარგლებიც კონსტიტუციური პრინციპებითა და ძირითადი უფლებებითაა შეზღუდული. თუ დადგინდება, რომ კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება საკანონმდებლო აქტით არ არის განსაზღვრული, ჩარევა ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ სტანდარტებს და არაკონსტიტუციურია.[2792]

1245 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შემზღუდველი ნორმები, დელეგირების დამდგენი ნორმების ჩათვლით, უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს, იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი, მკაფიო და გასაგები მათი ადრესატებისათვის. ამ სტანდარტებზე ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლოც. მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, თანამდებობის პირმა არ გასცა ინფორმაცია, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვადას. ამის გამო ის არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის სტანდარტს.[2793]

[2789] იქვე, II-25.
[2790] შეადარე მაგ.: N1/4/757 გადაწყვეტილება, II-18.
[2791] Youth Initiative for Human Rights v. Serbia.
[2792] დეტალურად იხ.: N1/4/757 გადაწყვეტილება, II-18-26.
[2793] Guseva v. Bulgaria (N6987/07; 17.2.2015).

1246 კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის შემოწმება ხორციელდება მატერიალურსამართლებრივი კუთხით. შეზღუდვა უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით და აკმაყოფილებდეს მის სტანდარტებს.[2794]

1247 თანაზომიერების ტესტს საკონსტიტუციო სასამართლო, რა თქმა უნდა, ინფორმაციული ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის დადგენით იწყებს.[2795] კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ჩარევის ლეგიტიმურ მიზნებს ასახელებს მხოლოდ კონსტიტუციით უშუალოდ გათვალისწინებული შეზღუდვის - სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარებული ინფორმაციის კონტექსტში. ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარება შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად. ამდენად, ამ ინსტიტუტის მიზანია საჯარო და არა კერძო ინტერესების დაცვა.[2796] კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზანი, თვით ამ ინფორმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სხვათა უფლებების, განსაკუთრებით - კომერციული ინტერესების,[2797] საკუთრების უფლებისა და მეწარმეობის თავისუფლების, დაცვა. რაც შეეხება პროფესიულ საიდუმლოებას, ასევე მისი არსიდან გამომდინარე, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი სხვათა უფლებების, კერძოდ - პირადი ცხოვრებისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებათა დაცვაა.

1248 იმ შეზღუდვების შემთხვევაში, რომლებიც უშუალოდ კონსტიტუციით არაა გათვალისწინებული, ლეგიტიმური მიზნები შეიძლება იყოს კონსტიტუციური სიკეთეების ან სხვათა უფლებების დაცვა. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა ემსახურება ისეთი სიკეთეების დაცვას, როგორიცაა: სასამართლოსა და მოსამართლის ავტორიტეტი;[2798] წიაღითა და წიაღისეულით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა;[2799] გამოძიების ინტერესები[2800] და ა.შ. სხვათა უფლებებში, რომელთა დაცვაც შეიძლება იყოს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზანი, იგულისხმება მაგალითად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა,[2801] საკუთრების უფლება და მეწარმეობის თავისუფლება,[2802] ასევე ნებისმიერი ძირითადი უფლება, რომელიც შეიძლება დაზიანდეს შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებით.

1249 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის გარკვევის შემდეგ მოწმდება მისი გამოსადეგობა ამ მიზნის მიღწევისათვის. იმისათვის, რომ ჩარევა გამოსადეგად ჩაითვალოს, საჭიროა არსებობდეს ლოგიკური კავშირი მასსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის და ის იძლეოდეს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[2803]

[2794] N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-22; N3/1/752 გადაწყვეტილება, II-17; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-24.
[2795] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-18; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-25; N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-23.
[2796] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-17.
[2797] იქვე, II-16.
[2798] N1/3/209,276 გადაწყვეტილება, II.
[2799] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-20.
[2800] დეტალურად იხ.: N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-26-31.
[2801] N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-25.
[2802] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-20.
[2803] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-23; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-32; N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-26.

საკმარისია, რომ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონკრეტული შეზღუდვით სახელმწიფო უახლოვდებოდეს დასახულ მიზანს და არ არის აუცილებელი, ეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენდეს.[2804] ჩარევის გამოსადეგობის დასადგენად საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს სიტუაციის ერთგვარ მოდელირებას, თუ რა მოხდებოდა სადავო შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. როდესაც ამგვარად გაირკვევა, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გარეშე დაზიანდებოდა ლეგიტიმური მიზნით დაცული სიკეთე, ხოლო შეზღუდვის პირობებში ამის ალბათობა გამოირიცხება ან მცირდება, ჩარევა აკმაყოფილებს გამოსადეგობის კრიტერიუმს.[2805]

1250 ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგობის დადგენის შემდეგ ხდება ჩარევის აუცილებლობის შემოწმება. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ მოითხოვს, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა იყოს „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი.“ აუცილებლობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს იმავე სტანდარტს, რასაც სხვა ძირითად უფლებებში ჩარევის შემთხვევაში. კერძოდ, კონკრეტული ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის ყველაზე ნაკლებად მზღუდველი საშუალება.[2806] „ყველაზე ნაკლებად მზღუდველი“ საშუალება მაშინაა, როდესაც (1) არ არსებობს ნაკლებად მზღუდავი ალტერნატივა, (2) რომელიც მსგავსი ეფექტიანობით მიაღწევს იგივე მიზანს.[2807] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიების მასალების ასლების დაზარალებულისათვის გაცემის ბლანკეტური შეზღუდვა არ შეესაბამებოდა აუცილებლობის კრიტერიუმს და გამოძიების ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მსგავსი ეფექტიანობით მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა ნაკლებად ინტენსიური შეზღუდვით - ისეთი ნორმატიული რეგულირებით, რაც ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს დაუტოვებდა დისკრეციის სფეროს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოძიების ინტერესების დაზიანების რისკის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.[2808] თუ მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალება არ იკვეთება[2809] ან ის არ არის შერჩეული საშუალების მსგავსად ეფექტიანი, აუცილებლობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება.[2810]

1251 თანაზომიერების ტესტის ბოლო ეტაპი (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის შემოწმებაა, რაც ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩარევა აკმაყოფილებს ამ ტესტის სხვა მოთხოვნებს. სახელმწიფომ უნდა დაიცვას სამართლიანი ბალანსი იმგვარად, რომ ჩარევით დაცული სიკეთის დაცვის ინტერესი აღემატებოდეს შეზღუდული უფლების

[2804] N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-37.

[2805] დეტალურად იხ.: N3/1/752 გადაწყვეტილება, II-22-23; N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-34-38; N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-27.

[2806] მაგ.: N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-39.

[2807] მაგ.: N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-28.

[2808] დეტალურად იხ.: N1/3/1312 გადაწყვეტილება, II-45-50.

[2809] N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-35.

[2810] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-24-27.

დაცვის ინტერესს.[2811] თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლო დაპირისპირებული სიკეთეების მნიშვნელობას ცალ-ცალკე აფასებს, ხოლო შემდეგ კი ახორციელებს მათ შედარებასა და აწონ-დაწონვას. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ერთმანეთს უპირისპირდებოდა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობისა და ამ აქტებში ასახულ პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისაგან დაცვის ინტერესები. საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ იმსჯელა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის მომეტებულ საზოგადოებრივ ინტერესსა და მნიშვნელობაზე გამჭვირვალე და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მართლმსაჯულებისათვის, მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებრივი ნდობისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის განხორციელებისათვის, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისათვის და სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის.[2812] ამის შემდეგ მან ცალკე შეაფასა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისაგან დაცვის ინტერესი, ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის განსხვავებულ საჭიროებასა და შესაბამისად, დაცვის განსხვავებულ ხარისხზე.[2813] ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის სადავო ნორმებით დადგენილი ბალანსი. ის მივიდა დასკვნამდე, რომ გარკვეულ შემთხვევებში ბალანსი დარღვეული იყო სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის აღმატებული ინტერესის საზიანოდ, რაც არ შეესაბამებოდა პროპორციულობის მოთხოვნებს.[2814] საკონსტიტუციო სასამართლო პროპორციულობას დარღვეულად არ მიიჩნევს, როდესაც ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უფლების შეზღუდვის ინტერესი აღემატება და გადაწონის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ინტერესს.[2815]

3.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევის შემოწმება

1252 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევას კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი უშვებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ ფორმალური მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას, ჩარევა არაკონსტიტუციურად ჩაითვლება. გარდა ამისა, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შემზღუდავი კანონი უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მისი ელემენტის - განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს.

1253 საკონსტიტუციო სასამართლო ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების კონტექსტში იყენებს მის მიერ განვითარებულ ე.წ. „კეთილსინდისიერი განმარტების ტესტს“,[2816] რომლის მიხედვითაც ნორმა განსაზღვრულად ითვლება, თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში მისი თვითნებური და ძირითადი უფლებებისათვის საზიანო

[2811] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-28; N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-36.

[2812] დეტალურად იხ.: N1/4/693,857 გადაწყვეტილება, II-42-51.

[2813] იქვე, II-52-55.

[2814] დეტალურად იხ.: იქვე, II-56-68.

[2815] N3/1/752 გადაწყვეტილება, II-32.

[2816] N2/2-389 გადაწყვეტილება, II-6.

გამოყენება შეუძლებელია.[2817] რა თქმა უნდა, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შემზღუდველი ნორმა უნდა იძლეოდეს განმარტების შესაძლებლობას. ამისათვის „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები.“[2818] როგორც ვხედავთ საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს „საკმარის“ და არა „აბსოლუტურ“ განსაზღვრულობას. „საკანონმდებლო რეგულირებისას, რა თქმა უნდა, იმთავითვე ვერ იქნება აცილებული ყველა გაურკვევლობა და ეჭვი, მაგრამ აუცილებელია, რომ კანონმდებელმა, სულ ცოტა, ძირითადი იდეა, თავისი საკანონმდებლო ნება და მიზანი, სრულიად გარკვევით ჩამოაყალიბოს.“[2819] ამასთან, განსაზღვრულობის შემოწმების სიმკაცრის ხარისხი მით უფრო უნდა გაიზარდოს, რაც უფრო ღრმად მოიცავს მონაცემები პერსონალურ სფეროს და რაც უფრო ფართოდ შეიძლება მათი გამოყენება.[2820]

1254 ისარგებლა რა ზემოაღნიშნული სტანდარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო კოდექსის სადავო ნორმა, რომელიც საგადასახადო საიდუმლოებას შეეხებოდა, აკმაყოფილებდა განსაზღვრულობის სტანდარტებს. მართალია, ის არ შეიცავდა საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების ჩამონათვალს, მაგრამ ნებისმიერი პირისათვის საკმაოდ მარტივი იყო საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის იდენტიფიცირება მისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების მიხედვით. ნათელი და გასაგები იყო საგადასახადო საიდუმლოებაზე ხელმისაწვდომობის შემთხვევები და სუბიექტები, ასევე კანონმდებლის ნება და მიზანი - გადასახადის გადამხდელთა პირად საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა გახმაურებისაგან.[2821]

1255 გარდა ფორმალური სტანდარტების დაკმაყოფილებისა, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების მზღუდავი კანონები უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს.[2822] კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი მკაფიოდ ჩამოთვლის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს - სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვა. სხვა მიზნებით ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა თვითნებური და არაკონსტიტუციური იქნება. შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ რეალურად არსებული სიკეთეების დასაცავად. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა ვერ მოხდება სხვათა არარსებული უფლების გამო.[2823]

[2817] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-35.

[2818] იქვე, II-36.

[2819] იქვე, II-37.

[2820] Starck, GG, Art. 2, Rn. 80.

[2821] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-38.

[2822] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 323; BVerfGE 65, 1 (44).

[2823] N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-21.

1256 ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევის თანაზომიერების დადგენა, სხვა უფლებების მსგავსად, მოითხოვს თანმიმდევრულ შემოწმებას გამოსადეგობაზე, აუცილებლობასა და პროპორციულობაზე. ევროპული სასამართლო გამორჩეულ ყურადღებას უთმობს აწონ-დაწონვას პერსონალური მონაცემების დაცვისა და მათი მოპოვების, გამოყენებისა და დამუშავების ინტერესებს შორის. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მონაცემთა სახეობა, მათი კონფიდენციალობის დაცვის ხარისხი, სუბიექტები, ვისაც აქვს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.[2824] განსაკუთრებით მკაცრად ხდება პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების,[2825] ასევე იმ მონაცემების გამჟღავნების შემოწმება, რომლებიდანაც ირკვევა პირის პოლიტიკური შეხედულებები.[2826]

3.4. საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებაში ჩარევის შემოწმება

1257 საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებაში ჩარევის დასაშვებობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაზე უკვე გავამახვილეთ ყურადღება. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩარევა მხოლოდ უკიდურესი გამონაკლისის სახითაა შესაძლებელი. ისეთი შეზღუდვების, რაც კონსტიტუციითაა დაუშვებელი, არაკონსტიტუციურობის საკითხი უკვე ჩარევის განხორციელების დადგენის ეტაპზე ირკვევა და დამატებით შემოწმებას არ საჭიროებს. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, მათი უკიდურესად საგამონაკლისო ხასიათის გამო, კონსტიტუციურობის კონტროლი ძალიან მკაცრი სტანდარტების მიხედვით უნდა განხორციელდეს.

1258 როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა შეზღუდვა, როდესაც არსებობს „მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანი“ და ამის მაგალითად მოიყვანა შემთხვევა, „როდესაც ზიანის ანაზღაურების ხარჯი იმდენად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ მისი ანაზღაურება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას, ფისკალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას“.[2827] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებაში ჩარევის შემოწმება ჯერჯერობით არ გასცდენია ლეგიტიმური მიზნის დადგენის ეტაპს. ერთ შემთხვევაში ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მოპასუხემ არ წარმოადგინა და არც საქმის განხილვისას გამოვლინდა „რაიმე ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა პირისათვის სახელმწიფოსაგან მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების უფლების შეზღუდვას, იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო დაწესებულების მიერ საქმის სრულყოფილი შესწავლის შედეგად დადგინდება, რომ არ არსებობდა პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.“[2828] მეორე საქმეზე, მართალია, მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა საბიუჯეტო რესურსის ამოწურვადობასა და მისი ოპტიმალური ხარჯვის მნიშვნელობაზე, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ

[2824] Pätzold, EMRK, Art. 8, Rn. 115.

[2825] მაგ.: Z. v. Finland.

[2826] Catt v. The United Kingdom.

[2827] N2/3/630 გადაწყვეტილება, II-21; N2/4/735 გადაწყვეტილება, II-28.

[2828] N2/4/735 გადაწყვეტილება, II-29.

ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვა თავისთავად ვერ გამოდგებოდა უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად, თუ იმავდროულად ზიანის ანაზღაურებით საფრთხე არ შეექმნებოდა სახელმწიფოს ფისკალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების სიმცირის მოტივით სახელმწიფოს გათავისუფლება ზიანის ანაზღაურებისაგან ქმნიდა თვითნებური ქმედებების საბიუჯეტო სახსრების სიმწირითა და დაზოგვით გამართლების რისკს, რაც აზრს უკარგავდა თვით უფლების არსებობას.[2829]

1259

საინტერესოა სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების უფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემოწმების საკითხი. სახელმწიფო დაარღვევს ამ უფლებას, თუ ის (სათანადოდ) არ შეასრულებს პოზიტიურ ვალდებულებას. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ, კონვენციის N7 ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, დაუშვებლად ჩათვალა სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის არმიღება. ამგვარი უმოქმედობით სახელმწიფო ცდილობდა კომპენსაციის ვალდებულებისათვის თავის არიდებას.[2830]

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Arnauld, Rechtsstaat, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010; Breuer M. (Bearb.), Kommentar zum Art.3 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Grabenwarter/Pabel, EMRK; Grzeszick, (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958; Grzeszick, (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958; Ipsen, J., staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021; Karpen U./Rüther G., (Hg.) Titel: Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, 1985; Kley, Vogt H., Das Problem der Grundrechtskonkurrenzen 2008; Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Dissertation zur Erlangung des akademischen Grades Dr. iur. der Juristischen Fakultät der Universität Potsdam. 2015; Mensching, EMRK, Art. 10; Murswiek, (Bearb.), Kommentar zum Art. 2, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Pätzold, (Bearb.), Kommentar zum Art. 8 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Scheuner, Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968; Schmidt-

[2829] დეტალურად იხ.: N2/3/630 გადაწყვეტილება, II-19-22.

[2830] Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia.

Aßmann, Der Rechtsstaat, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Aufgabe, Heidelberg 2004; Sommermann., (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984.

მუხლი 19. საკუთრების უფლება

1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

2. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

შინაარსი

მუხლი 19. საკუთრების უფლება 493

შინაარსი 523

1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 494

1.1. საკუთრების კონსტიტუციური უფლების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 497

1.2. საკუთრების სოციალური ფუნქცია 498

1.3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი 501

1.4. საკუთრების უფლების კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან 504

2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებით დაცული სფერო 505

2.1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებით პერსონალურად დაცული სფერო 506

2.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების საგნობრივად დაცული სფერო 508

3. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 509

3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 509

3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები 509

4. ჩარევა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში 510
5. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ჩარევის გამართლება 511
5.1. კანონის დათქმა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევისას 511
5.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 513
5.2.1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 514
5.2.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის გამოსადეგობა 515
5.2.3. საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის აუცილებლობა 515
5.2.4. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის პროპორციულობა 515
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 517
6.1. საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება., 21.02.2021 517
6.2. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი no. 7975/06) გადაწყვეტილება 2010 წლის 2 თებერვალი 520
ლიტერატურა

1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ზოგადი მნიშვნელობა

1260 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს და უზრუნველყოფს საკუთრებისა და მემკვიდრეობით უფლებას. საკუთრების უფლება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბუნებითი უფლებაა,[2831] რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.

1261 კერძო საკუთრება თანამედროვე საზოგადოების ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი რაციონალური განმარტება არის მრავალსაუკუნოვანი სოციალური თეორიის და ფილოსოფიური განსჯისა და მსჯელობის საგანი. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას”.[2832]

1262 საკუთრების უფლებას თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გარდა მისი სამართლებრივი კონტექსტისა, მას აქვს პოლიტიკური, სოციალური და, გარკვეულწილად, მორალური განზომილებაც. სწორედ

[2831] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, № 2/1-370,382,390,402,405 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.

[2832] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.

ამიტომ საკუთრების უფლების გააზრებისას შეუძლებელია, შეუმჩნეველი დარჩეს მისი მრავალწახნაგოვნება. საკუთრების სოციალური ფუნქცია კი, განსაკუთრებით კარგად, წარმოსახავს მის როლს თანამედროვე საზოგადოებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის, როგორებიცაა – სოციალური სამართლიანობა, ზოგადი ეკონომიკური თანასწორობა და სამართლიანი სოციალური პოლიტიკა.[2833]

1263 მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლში მემკვიდრეობის უფლებაზეცაა მითითება, დასახელებული ნორმა რეალურად აღიარებულია როგორც საკუთრების უფლების გარანტი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას როგორც ასეთს და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება.“[2834]

1264 თანამედროვე სამართლის ფილოსოფიაში არსებობს საკუთრების უფლების ორგვარი გაგება (თუ არ ჩავთვლით საკუთრების სოციალისტურ/კომუნისტურ თეორიას). სამართლის ლიტერატურაში[2835] ძირითადად ვხვდებით: პირველი – საკუთრების ლიბერალური, ბუნებითი სამართლის პრინციპებზე დაყრდნობილ კონცეფციას, და მეორე - საკუთრების პოზიტიურ და, იმავდროულად, სოციალურ ხედვაზე აგებულ კონცეფციას.

1265 საკუთრების ცნება ლიბერალური კონცეფციის მიხედვით განიმარტება[2836], როგორც ჯერ კიდევ „სახელმწიფოებრიობამდე” არსებული ადამიანის უფლება. ამგვარი უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, რადგან ის სახელმწიფოს არ შეუქმნია (ადამიანის უფლებათა ბუნებითი თეორია). საკუთრება ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია პირადი თავისუფლებისა. ამ თეორიის თანახმად, თუ სახელმწიფო ადამიანს არ ანიჭებს თავისუფლებას, სიცოცხლეს ან საკუთრებას და ეს უფლება-თავისუფლებები თავისუფალია, მაშინ მათი შეძენაც არ უნდა იყოს სახელმწიფოზე დამოკიდებული, მის მიერ რეგულირებული.

1266 ამ კონცეფციისაგან განსხვავებით, საკუთრების უფლებას პოზიტიური, სოციალური სახელმწიფოს თეორიის მომხრეები შემდეგნაირად განმარტავენ: საკუთრების უფლება არის მესაკუთრის უფლება, ისარგებლოს, ფლობდეს და განკარგოს თავისი საკუთრება. საკუთრების უფლების ამ განუყოფელი ფუნქციებიდან გამომდინარე, ამ პროცესის აუცილებელი თანმდევია ის, რომ თითოეული ადამიანის საკუთრების უფლება, თავისთავად, ზეგავლენას ახდენს გარშემო მყოფებზე, საზოგადოების სხვა წევრებზე. სწორედ ამაზეა დაფუძნებული კანონმდებლის კონსტიტუციური ვალდებულება განსაზღვროს საკუთრების უფლება არა მხოლოდ როგორც პირის სუბიექტური საკუთრების უფლება, არამედ საკუთრების უფლება შეაფასოს, როგორც ობიეტური

[2833] იხ. ფირცხალაშვილი, საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განზომილება. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 2 (2022) გვ. 17-29.

[2834] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-74.

[2835] Depenheuer, (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005.

[2836] Eekhoff, „Soziale Sicherheit durch Eigentum, Abwägung zwischen Eigentumsschutz und Sozialpflichtigkeit, Otto Depenheuer (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen (Berlin/Heidelberg. 2005).

ღირებულება. სწორედ ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მრავალი წლის მანძილზე განვითარებული თეორია.[2837] რომელსაც ლიტერატურაში „ლეგალთეორიასაც" (Legaltheorie, გერმ. Die Normgeprägtheit)[2838] უწოდებენ. ამ თეორიის მიხედვით, კერძო საკუთრებას მხოლოდ მისი საკანონმდებლო არსებობა, მისი საკანონმდებლო ინსტიტუტად ჩამოყალიბება ქმნის. ე. ი. კერძო საკუთრება შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც კანონმდებლობით არის დადგენილი. აქედან გამომდინარე, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საკუთრება თეორიულად მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ის კანონმდებელმა გაითვალისწინა და დააკანონა.[2839]

1267 მოცემული საკითხისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა იკვეთება ლიბერალური მიდგომით. აქ კანონმდებელი მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს პირის საკუთრების უფლებაში, თუ ინდივიდი ამ უფლებას მისი ძალისხმევით, სახელმწიფოს ჩარევის და რეგულირების გარეშე ვერ განახორციელებს. სწორედ ამ ათვლის წერტილიდან განისაზღვრება კანონმდებლის ბოჭვა და ის ზღვარი, რომელიც საკუთრების უფლების შეზღუდვას უდევს საფუძვლად.[2840]

1268 სწორედ ამ განსხვავებული მიდგომების მაგალითზე არის შესაძლებელი ორი სხვადასხვა მიდგომის გამიჯვნა საკუთრების შეძენის ინსტიტუტთან დაკავშირებით. საკუთრების როგორც „პოზიტიურად გადმოცემული უფლების" კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგება არ მოიაზრებს საკუთრების შეძენის უფლებას, რადგან საკუთრების შეძენა (ისევე როგორც თვით საკუთრება) ადამიანის ბუნებითი უფლება კი არ არის, არამედ ეს უფლება სახელმწიფოს მიერაა შექმნილი, წარმოქმნილი, და მისი ფარგლებიც სახელმწიფოს მიერაა რეგულირებადი. მისგან განსხვავებულია საკუთრების უფლების ლიბერალური ხედვა. იგი ეყრდნობა ბუნებითი სამართლის თეორიას და საკუთრების უფლებას, ისევე როგორც სიცოცხლესა და თავისუფლებას, წმინდა ბუნებით უფლებად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, საკუთრება ბუნებრივად საკუთრების შეძენასაც გულისხმობს, იგი სახელმწიფოებრიობამდე შექმნილი უფლებაა, და მას მხოლოდ მინიმალური რეგულირება სჭირდება.[2841]

1269 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე რედაქციაში, მითითებული იყო, რომ საკუთრების შეძენა, მისი განკარგვა და მემკვიდრეობით მიღება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართ-ლომ განმარტა, რომ: „თუ საკუთრების შეძენის სამართლებრივ გზებზე ადამიანებს ხელი

[2837] Papier, Der Stand des verfassungsrechtlichen Eigentumsschutzes, In: Depenheuer, Otto (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005. S. 93.

[2838] Grochtmann, Die Normgeprägtheit des Art. 14 GG: Konsequenzen für die Eigentumsdogmatik.

[2839] უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიას (Die Normgeprägtheit des Grundrechts) გერმანიის სამართლებრივ წრეებში ბევრი კრიტიკოსიც ჰყავს. გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მაგ.: BVerfGE 58, 300 ff. – Nassauskiesung; 89, 1 ff. – Eigentumsrecht des Mieters; 100, 226 ff. – Denkmalschutz; 102, 1 ff. – Altlasten, რომლებიც საკუთრების უფლების ზემოთ აღწერილ თეორიას ეყრდნობა, მუდმივად აკრიტიკებენ სამეცნიერო წრეებში. Lege, Art. 14 GG für Fortgeschrittene, S. 44-54 in; Zeitschrift für das Juristische Studium.

[2840] დეტალურად დისკუსია საკუთრების იდეური საფუძვლების შესახებ: Dworkin, Constitutionalism and Democracy, in: Symposium: Law and Morality, 3. European Journal of Philosophy 1 (1995), S. 2ff.

[2841] იხ. დეტალურად: ფირცხალაშვილი, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება გვ. 209. წიგნში: გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. 2013, თბილისი.

არ მიუწვდებათ, ეს საკუთრების უფლების შემდგომ დაცვას გარკვეულწილად აზრს დაუკარგავს. შესაბამისად, საკუთრების შეძენის სამართლებრივი მექანიზმების არარსებობა გამოიწვევდა საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტებისაგან შემდგარი საკუთრების სამოქალაქო კონცეფციის „დაცარიელებას", სუბსტანციის დაკარგვას და ილუზორულს გახდიდა ასევე საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას".[2842] საკუთრების შეძენის კონსტიტუციური გარანტია იცავს საკუთრების მართლზომიერად შეძენის შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, რომელიც საკუთრების უფლების რეგლამენტაციას ახდენს, იცავს კანონიერ საკუთრებას, რომლის კანონიერებასაც საფუძველშივე განსაზღვრავს მისი მართლზომიერად შეძენის ფაქტი. საკუთრების შეძენის კონსტიტუციური გარანტია თავის თავში მოიაზრებს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, საკანონმდებლო რეგულირებას დაუქვემდებაროს საკუთრების შეძენის წესი, რომელიც, თავის მხრივ, მატერიალური შინაარსით, კონსტიტუციის შესაბამისი უნდა იყოს.

1270 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა თავისი საკუთარი, განსაკუთრებული მიდგომა, საკმაოდ მდიდარი და საინტერესო პრაქტიკა საკუთრების უფლებასთან, მის განმარტებასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში საკუთრების უფლება ბუნებით უფლებად აღიარა.[2843] იგი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს მის ფუნდამენტურ მნიშვნელობასა და აღიარებს მას არსებობის ელემენტარულ საფუძვლად.[2844] ამავე დროს სასამართლო საკუთრების ორმაგ ფუნქციაზეც საუბრობს. კერძოდ კი, აღნიშნავს, რომ საკუთრება წარმოადგენს სუბიექტურ უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის ღირებულებათა კონსტიტუციურ წესრიგს.[2845]

1.1. საკუთრების კონსტიტუციური უფლების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1271 კერძო საკუთრება კონსტიტუციურ რანგში პირველად საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში აყვანილი იქნა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით.

1272 ხოლო, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში კი საერთოდ გაუქმდა კერძო საკუთრების უფლება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით[2846] სწორედ საკუთრება იყო საზოგადოებრივი და კლასობრივი დაპირისპირების მიზეზი. იგი იწვევდა ექსპლუატირებულთა

[2842] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26 ივნისის 2012 წლის გადაწყვეტილება № 512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-39-40.
[2843] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, № 2/1-370,382,390,402,405 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.
[2844] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.
[2845] გადაწყვეტილება № 512 II-41.
[2846] მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, 1989, შემდგენელი: კვარაცხელია, 3.

და ექსპლუატატორთა არსებობას. აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრების გაუქმება გამოიწვევდა კლასობრივი ბრძოლის დასრულებას. საბჭოთა სამართალი იცნობდა მხოლოდ საზოგადოებრივი/სახელმწიფო საკუთრებისა და პირადი საკუთრების ინსტიტუტებს. საბჭოთა სახელმწიფო იმდენად ერეოდა საკუთრების უფლებაში, რომ იგი თვითონ იღებდა პასუხისმგებლობას, მოქალაქეებს შორის, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა, თანაბრად გაენაწილებინა საკუთრება. საბჭოთა სახელმწიფომ „ზუსტად იცოდა", თუ რამდენი და როგორი პირადი საკუთრება სჭირდება საბჭოთა მოქალაქეს პირადი მოხმარებისათვის.[2847]

1273 საქართველოს 1995 წლის მოქმედ კონსტიტუციაში „საკუთრების უფლების" ტექსტში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები, შეიცვალა მისი რედაქცია და ასევე ნუმერაცია. 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი კონსტატაციის თანახმად, იგი 21-ე მუხლი იყო და მას მხოლოდ 3 პუნქტი ჰქონდა. თუმცა, მანამდეც ჯერ კიდევ 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით განხორციელდა ცვლილებები.

1274 მოქმედი კონსტიტუციის პირველი პუნქტის მოქმედი რედაქცია იცავს არა „საკუთრებას"(როგორც ეს 2018 წლის 16 დეკემბრამდე იყო), არამედ „საკუთრების უფლებას". შესაბამისად იგი იცავს ამ უფლების ყველა კომპონენტს, როგორიცაა მისი შეძენის და გასხვისების უფლება. პირველ პუნქტშივე, ტერმინი „ხელშეუვალია" შეიცვალა ტერმინით „უზრუნველყოფილია".

1275 ასევე მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. სიტყვები „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის" შეიცვალა სიტყვებით „საჯარო ინტერესებისათვის", რადგან საკუთრების უფლების შეზღუდვის (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი) და საკუთრების ჩამორთმევის (მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის) მიმართ დადგენილი იყო ერთი და იგივე სტანდარტი. მოქმედ რედაქციაში, მესამე პუნქტში დარჩა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების" მოთხოვნა და ამ კრიტერიუმითაც გაიმიჯნა უფლებაში ჩარევის ეს ორი სახე - შეზღუდვა და ჩამორმევა.

1276 გარდა ამისა ახალ რედაქციაში დაემატა მეოთხე პუნქტიც. ეს ნორმა, მიწას ანიჭებს განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის სტატუსს და მოითხოვს მიწაზე საკუთრების უფლების მოწესრიგებას ორგანული კანონით. აღნიშნული ცვლილება ვერ გახდება მიწაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრების უფლების აბსოლუტური შეზღუდვის საფუძველი, თუმცა, იგი შესაძლებელს გახდის საკითხის განსაკუთრებულ რეგლამენტაციას მიწის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე.[2848]

1.2. საკუთრების სოციალური ფუნქცია

1277 კერძო საკუთრებას, ბუნებრივად, თან სდევს მისი სოციალური ფუნქცია. საკუთრების სოციალური ფუნქციის თავდაპირველი, მარტივი გააზრებისთვის საკმარისია მისი დანახვა ყოველდღიურობის ფონზე. მიუხედავად საკუთრების უფლების საკმაოდ დიდი

[2847] Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, S. 73 f.

[2848] იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ", 2017 წ. გვ. 9.

მნიშვნელობისა, შეიძლება, რომ ზოგიერთი სახის საკუთრებას ისეთი სოციალური დატვირთვა ჰქონდეს, რომელიც ეწინააღმდეგება მისი მესაკუთრის ინტერესებს ან/და სურვილებს. საქართველოს კონსტიტუცია უშვებს საჯარო ინტერესებისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვას, თუ ეს შეზღუდვა კანონმდებელმა კანონით გადაწყვიტა.

1278 საკუთრების სოციალური ფუნქცია გამომდინარეობს უპირველესად იმ დაშვებიდან, რომ მესაკუთრეს აქვს სოციუმთან, საზოგადოებასთან კავშირი და მისი საკუთრება გარკვეულ გავლენას ახდენს მასზე. კერძო საკუთრების გარკვეულ კატეგორიებს განსაკუთრებული სოციალური ფუნქცია გააჩნია, მაგალითად ტყეს, მიწას, უძრავ ქონებას და სხვა ისეთი დანიშნულების საკუთრებას, რომელიც შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს სხვა სოციუმის წევრებისათვის. კერძო საკუთრების შეზღუდვა საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ-სამართლებრივად შესაძ-ლოა, გამართლებულად ჩაითვალოს, მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებული სპეციფიკური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი ან მისი იერსახის შეცვლა საჭიროებს შესაბამის ნებართვას, თუ მას განსაკუთრებული კულტურული მნიშვნელობა გააჩნია. საკუთრების სოციალური ფუნქცია, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სოციუმზე დადებითი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, გარკვეული ღონისძიებების ჩატარების დაშვება.

1279 დებულება „საკუთრება ავალდებულებს“ არის საკუთრების სოციალური ფუნქციის ძლიერი გამოხატულება და მას, სოციალური სამართლიანობის იდეასთან ერთად, აქვს მთელ საკანონმდებლო სისტემაზე გამჭოლი ქმედება. მაგალითად, სისხლის-სამართლებრივი სასჯელის - ფულადი ჯარიმის ოდენობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პირის მატერიალური მდგომარეობა. თუ ერთი პირისთვის გარკვეული თანხით დაჯარიმება შესაძლოა, ძალიან მძიმე ტვირთი იყოს, ჯარიმის იგივე ოდენობა სხვა პირისთვის საერთოდ არ წარმოადგენდეს სასჯელს. შესაბამისად, საკუთრება, რომელსაც პირი კანონიერად ფლობს, ავალდებულებს მას, რომ გადაიხადოს, გასცეს მეტი. ისე როგორც საგადასახადო სამართლის მაგალითზე – დიფერენცირებული გადასახადების შემთხვევაში. პროგრესული გადასახადების სისტემა საჯარო სიკეთის – კერძო საკუთრების - სამართლიანად გადანაწილებას უწყობს ხელს. ოლივერ ვენდელ ჰოლმსი-უმცროსი[2849] - „გადასახადები არის საფასური, რომელსაც ჩვენ ვიხდით იმისთვის, რომ გვქონდეს ცივილიზებული საზოგადოება.“ საკუთრების სოციალური ფუნქცია სარკისებრ აისახება პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში.[2850]

1280 ამ მხრივ საინტერსოა რომის სამართალი, რომელმაც განუსაზღვრელი წვლილი შეიტანა კერძო საკუთრების არა მხოლოდ იდეურ განვითარებაში, არამედ მის სამართლებრივ ფორმირებაში. თუმცა რომში კერძო საკუთრების აღიარებას წინ უძღოდა საერთო (სახელწმიფო, თემის, ოჯახის) საკუთრების გარანტიები. ძველ რომში არსებობდა რამდენიმე სახის საკუთრება და იგი ერთმანეთისგან მესაკუთრის სოციალური ნიშნით განსხვავდებოდა. შესაბამისად, სხვადასხვა იყო საკუთრების დაცულობის ხარისხი და შეზღუდვის ლეგიტიმაციის ფარგლებიც. მაგალითად, თითქმის შეუზღუდავნი იყვნენ

[2849] აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

[2850] იხ. დეტალური არგუმენტაცია, ფირცხალაშვილი, საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განზომილება. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 2 (2022) გვ. 19 -დან.

Dominium Quiritium მესაკუთრეები (იგივე შეუზღუდავი/დომინანტი საკუთრება) ხოლო ზოგიერთ სოციალურ ფენას, მაგალითად, res mancipi საერთოდ ეკრძალებოდა კერძო საკუთრების ფლობა.[2851] რომის კერძო სამართალი კარგად გამოხატავს, რაოდენ დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კერძო საკუთრებისადმი სახელმწიფო რეგულაციებს და რაოდენ დიდი უთანასწორობის შექმნას უწყობს ხელს სოციალურ ფენებს შორის საკუთრების არასამართლიანი გადანაწილება.

1281 მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვა საკუთრების უფლების სოციალური ბოჭვის, მისი სოციალური ფუნქციის თავისებურებების შესახებ. სასამართლოს აზრით, „სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს, როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის“.[2852]

1282 გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, საზოგადოებრივი ინტერესებით საკუთრების შეზღუდვის ყველაზე სწორი და ეფექტიანი გზა გამონახოს, რაც მძიმე ტვირთად დააწვება სამეურნეო ბრუნვის მხოლოდ ერთ მონაწილეს. მიუღებელია ერთი ასეთი მონაწილის საკუთრების გარანტიაზე უარის თქმა ბრუნვის მეორე მონაწილის საკუთრების სასარგებლოდ. სასამართლოს „საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროება და შესაბამისად სოციალური ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მესაკუთრე სუბიექტი. საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს – ეს სახელმწიფო იქნება თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ საკუთრებიდან გამომდინარეობს, ამიტომაც, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს სადავო ნორმით განსაზღვრული ობიექტები, სოციალური ტვირთისაგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან“[2853]

1283 საკუთრების სოციალური ფუნქცია განაპირობებს არა მხოლოდ ინდივიდუალური საკუთრების უფლების გარანტიებს და მის შეზღუდვას, არამედ მთლიანად საკუთრების, როგორც ინსტიტუტის სოციალურ ფუნქციას და ასევე მთლიანად სოციალურ წესრიგს სახელმწიფოში. ინდივიდუალურ, უშუალოდ მოქმედი საკუთრების უფლებას სახელმწიფო პოლიტიკად სწორედ კონსტიტუცია აქცევს. იგი არის ერთი მხრივ, ადამიანის საკუთრების უფლების გარანტი, ხოლო მეორე მხრივ, მისი სოციალური ფუნქცია განსაზღვრავს სოციალურ წესრიგს და სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ორიენტირებს. [2854]

1284 სახელმწიფო ერევა შემოსავლების განაწილებაში. აქ სრულიად ნათელია, თუ რომელ ღირებულებებს ენიჭება უპირატესობა. საკუთრების უფლება ბევრს არაფერს ნიშნავს

[2851] Fögen, Römische Rechtsgeschichten. Über Ursprung und Evolution eines sozialen Systems (Taschenbuch, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht 2002) 18.

[2852] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 1/2/384 „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 2 ივლისი.

[2853] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/14/184,228 „სააქციო საზოგადოებები – “საქგაზი” და “ანაჯგუფი” (ყოფილი “თბილგაზოაპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2005 წლის 28 ივლისი.

[2854] იხ. ფირცხალაშვილი, საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განზომილება. გვ. 17-29.

დემოკრატიული სამართლის უზენაესობის გარეშე, რომელიც ამ უფლების სადარაჯოზე დგას, ხოლო დემოკრატიული სამართლის უზენაესობა, თავის მხრივ, მოქალაქეთა ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების პირობაა.

1.3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი

2018 წლის 16 დეკემბრიდან მოქმედი საქართველოს კონსტიტუციას, დაემატა მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი. ამგვარი რეგულაცია მანამდე საქართველოს კონსტიტუციაში არ იყო. აღნიშნული განპირობებულია კონსტიტუციური დავით რომელიც სასამართლოში ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო. სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის თვისი გადაწყვეტილებით[2855] ძალადაკარგულად ცნო ის ნორმა, რომელიც უცხოელებს უკრძალავდა გამხდარიყვნენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთ-რეები. 2013 წლის ივნისში კი ახალმა ხელისუფლებამ (პარლამენტმა) ჩათვალა, რომ 2014 წლის 31 დეკემბრამდე მთავრობას ექვსი თვის ვადაში უნდა უზრუნველეყო მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, რადგან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწათა ფაქტიური მდგომა-რეობა არ იყო აღწერილი. ხოლო ახალ საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავებისათვის საკადასტრო რუქა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. ამიტომ მან მიიღო ე.წ. მორატორიუმი[2856] სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებისადმი გასხვისების შეჩერების მიზნით. 2014 წლის 14 ივნისს კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მისი განჩინებით გადაწყვიტა,[2857] რომ მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ნორმისა და პარლამენტის მიერ კვლავ მიღებული ახალი ნორმის შინაარსი იდენტური იყო, ერთი და იგივე მიზანს ემსახურებოდა და შესაბამისად, არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით, არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა სადავო მორატორიუმი. 1285

თუმცა სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების შეჩერებაზე შემდეგი მორატორიუმი საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 16 ივნისს მიიღო.[2858] მეორე მორატორიუმსაც 1286

[2855] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N3/1/512 „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[2856] ე.წ. მორატორიუმი ამოქმედდა 2013 წლის 28 ივნისს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად. ამავე კანონის 22-ე მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, რომელმაც 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეაჩერა ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის (მათ შორის მემკვიდრეობით მიღებულის) საკუთრების უფლება აქვს უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოში უცხოელის მიერ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

[2857] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება საქმეზე 1/2/563 „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[2858] პარლამენტი მეორე მორატორიუმი ითვალისწინებდა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^3 პუნქტით, უცხოელის მიმართ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების შეჩერება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე.

იგივე ბედი ეწია, რაც პირველს, და საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებით კვლავ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.[2859]

1287 განვითარებული მოვლენების შეფასებისას თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო სამერნეო მიწა არის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი და აქვს განსაკუთრებული სოციალური ფუნქცია. სახელმწიფო პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე კერძო საკუთრების გასხვისებასთან დაკავშირებით სწორედ საკუთრების სახელმწიფოებრივ ან თუნდაც სტრატეგიულ, ან პოლიტიკურ ფუნქციაზე მეტყველებს. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა.

1288 საკუთრების ზოგიერთ ობიექტებს აქვთ განსაკუთრებული სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა. მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. [2860]

1289 სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ).[2861]

1290 გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთე-რთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში.”[2862]

1291 საბოლოოდ კი 2018 წლის 18 დეკემბერს ძალაში შევიდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის 4 პუნქტი, ხოლო 2019 წლის 25 ივნისს მიღებული იქნა ახალი „კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. რომლის პრეამბულაც ადგენს რომ სახელმწიფო „მიწას აღიარებს სახელმწიფოს ეროვნულ სიმდიდრედ, რომელსაც სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული ღირებულება აქვს, ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო

[2859] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის განჩინება 3/10/1267,1268 საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[2860] კოღუაშვილი, ფირცხალაშვილი, მიწის რეგულაციის უქონლობა დაუშვებელია, ინტერნეტ ანალიტიკური გამოცემა [08.07.2022].
[2861] Landesgesetzblatt Nr. 88/1994.
[2862] VerfGEG21, 73.

დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოწურვადი რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპებს და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით ადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრებას, ხელს უწყობს მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას".

1292 აღნიშნული კანონით დადგენილია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს უცხოელის საკუთრებაში, თუ მან ეს მიწა მემკვიდრეობით მიიღო. მიწის შეძენის უფლება უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირს მოქმედი კანონმდებლობით არ აქვს. სამართლიანი იქნებოდა არა მიწის საკუთრების მთლიანი აკრძალვა არამედ, ჩამოყალიბებულიყო ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც დაუშვებდა უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით. მაგალითად, ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) „კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ", უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს თუ იგი ემსახურება ქვეყნის „სახელმწიფოებრივ–პოლიტიკურ" ინტერესებს, ასევე თუ: უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება ქვეყანაში და შენაძენით პირი მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან სხვა საჯარო ინტერესებს ემსახურება. ასევე საინტერესოა გერმანიის მაგალითი, სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ამასთან, აქ საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.[2863]

1293 საქართველოში კანონით შემოღებული, არსებული მოდელი არ ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს და არც ადამიანის (უცხო ქვეყნის მოქალაქის) ძირითად უფლებებს იცავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი აძლევს კანონმდებელს მოქმედების ფართო არეალს, შეიმუშავოს ისეთი რეგულაცია, რომელიც სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, კი არ აკრძალავს, არამედ მხოლოდ საჭირო და გამართლებულ შეზღუდვას დაუდგენს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო სამეურნეო მიწის შეძენასთან დაკავ-შირებით.

1294 კანონმდებელი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საკუთრების უფლების ზედმეტად შეზღუდვა და მისი აკრძალვა ზუსტად ისეთივე მავნებელია, როგორც რეგულაციის არარსებობა. ორივე მათგანს სავალალო შედეგებამდე შეუძლია მიიყვანოს სახელმწიფო. თუკი ზედმეტი შეზღუდვა ავტოკრატიას/დიქტატურას და შედეგად ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვას იწვევს, მეორეს მხრივ საკუთრების უფლების შესახებ

[2863] სასოფლო სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისების გონივრული მოდელები არსებობს დანიაში, ესპანეთში, პოლონეთში, ახალ ზელანდიაში, თურქეთში, საფრანგეთში ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში .

სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა, სახელმწიფოს უმოქმედობა ანარქიამდე და საბოლოოდ, სახელმწიფოს ჩამოშლამდეც კი მიდის.

1.4. საკუთრების უფლების კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან

1295 საკუთრების უფლების გააზრება და მისი დაცვა სახელმწიფოს მიერ თანამედროვე სახელმწიფოს ფუნდამენტს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები ზოგჯერ კონკურენციაში მოდიან ერთმანეთთან, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმავდროულად ძირითადი უფლებების გარანტიები ხშირად ერთმანეთთან არის მჭიდრო კავშირში.

1296 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთრების უფლება ადამიანის ღირსების და თავისუფლების წონად კატეგორიად განიხილება და სასამართლო აღნიშნავს, რომ „...ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს უფრო მეტ სიფრთხილეს და ზომიერებას უფლებაში შესაძლო ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენისას.“[2864]

1297 საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით გაამახვილა ყურადღება საკუთრებისა და ღირსების უფლების კავშირზე: „უმთავრესი კონსტიტუციური ღირებულების, ადამიანის ღირსების პატივისცემა მისი სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის ფარგლებში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკუთრების უფლების სრულფასოვან რეალიზებაზე. საკუთრება წარმოადგენს ადამიანის პირადი დამოუკიდებლობის, პიროვნული განვითარების ერთ-ერთ წყაროს. საკუთარი დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მიზნით ადამიანის მისწრაფება, შექმნას საკუთარი ქონება, უდავოდ იმსახურებს სახელმწიფოს პატივისცემას, რაც საკუთრების შეძენის ისეთ საკანონმდებლო რეგლამენტაციაში უნდა გამოიხატოს, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ ცალკეული ინდივიდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას, ხოლო მერე მხრივ ეფექტურ სამოქალაქო ბრუნვას.“[2865]

1298 ასევე საინტერსოა მეწარმეობის თავისუფლებისა (საქართველოს კონსტიტუციის 26–ე მუხლი) და საკუთრების უფლების ურთიერთმიმართება. სასამართლომ განმარტა რომ მეწარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. ისინი იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის არსებობას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, რადგან საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მეწარმეობის თავისუფლება. სასამართლოს აზრით, „მეწარმეობა საკუთრების თავისუფლების გამოვლენის, მისი შინაარსის დემონსტრირების საუკეთესო ფორმაა“ და ადამიანი საკუთრებაში ვლინდება, როგორც მეწარმე სუბიექტი. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, „როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამეწარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ

[2864] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება, II-5.

[2865] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, II-10.

დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი.“ [2866]

1299 სასამართლომ ასევე დააზუსტა, რომ შესაძლოა ისეთი შემთხვევები არსებობდეს, როდესაც მეწარმეობის თავისუფლების შეზღუდვას ავტომატურად მოჰყვება საკუთრების უფლების დარღვევა. მისი აზრით, მიუხედავად საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლების ორგანული კავშირისა, შესაძლოა მეწარმეობის თავისუფლების დარღვევას ყოველთვის არ მოჰყვეს შედეგად საკუთრების უფლების დარღვევაც. ეს დამოკიდებული იქნება, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე, საკუთრების ობიექტის ფუნქციურობაზე და სამეწარმეო საქმიანობის ხასიათზე. მისი აზრით „სავსებით შესაძლებელია, რომ სუბიექტმა, რომელსაც შეელახა სამეწარმეო თავისუფლება საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შედეგად, წარმატებით გამოიყენოს თავისი ქონება სხვა მიზნით და სრულად განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილება. სხვა საქმეა, როცა ქონება თავისი ბუნებით ფუნქციურად მკაცრად განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. საკმარისია, ასეთი მიზნობრივი საქმიანობა აეკრძალოს სუბიექტს, რომ სახეზე იქნება საკუთრების უფლებაში არათანაზომიერი შეჭრა.“ [2867]

1300 საკუთრების უფლება ასევე მჭიდრო კავშირში განიხილება თანასწორობასთან. „კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილი საკუთრება გულისხმობს ყველასათვის ერთიანი და თანასწორი საკუთრების უფლების დამკვიდრებას.“ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწვეტილებაში განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებული საკუთრების იდეა სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, უფლებრივად ათანაბრებს სხვა მესაკუთრეებთან. რადგან სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი.[2868]

2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებით დაცული სფერო

1301 ძირითადი უფლებების დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი მათი ორმაგი ფუნქცია, ორმაგი დატვირთვაა. კერძოდ, ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ სუბიექტურ უფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნიან ღირებულებათა კონსტიტუციურ წესრიგს. ორივე ფუნქცია ავსებს ერთმანეთს და მთლიანობაში საკუთრების უფლების სრულყოფილ გამოხატულებას ადგენს.

1302 საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების, გარანტია, პირველ რიგში, ნიშნავს თითოეული მესაკუთრის სუბიექტურ უფლებას, თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან მის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში. კერძოდ კი, ეს უფლება გამოიხატება პირის უფლებაში, მიმართოს სასამართლოს. თუმცა, ამ

[2866] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს “რუსენერგოსერვისი”, შპს “პატარა კახი”, სს “გორგოტა”, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო “ფერმერი” და შპს “ენერგია” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II-23.

[2867] იქვე, II-25.

[2868] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-2.

უფლების გარანტირებულობა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვის უფლებით არ ამოიწურება, ის იმავდროულად ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ეს უფლება, რაც, პირველ რიგში, ნიშნავს კანონმდებლობაში საკუთრების შინაარსის კონსტიტუციის შესაბამის რეგლამენტირებას.[2869]

2.1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებით პერსონალურად დაცული სფერო

1303 იმისათვის, რომ პირმა ისარგებლოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დადგენილი გარანტიებით, საჭიროა იგი წარმოადგენდეს ამ უფლების სუბიექტს.

„თითოეული კონსტიტუციური უფლება თავად განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექ-ტებს".[2870] კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები მიმართულია ყველასადმი. თუმცა მეოთხე პუნქტის მიხედვით მას ჰყავს სპეციალური სუბიექტები. უფლების მფლობელია მხოლოდ სახელმწიფო, თვითმმართველი ერთეული, საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანება. აღნიშნული უფლება ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, საკუთრებაში ქონაზე. იგივე ნორმა ადგენს საკმაოდ მაღალ მოთხოვნას, გამონაკლისი შემთხვევებისთვის. რომელიც შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. აღნიშნული პუნქტი საქართველოს კონსტიტუციაში 2018 წლის 16 დეკემბრიდან შევიდა ძალაში.[2871]

1304 საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

1305 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმპლიციტურად მიუთითა, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციიდან გამომდინარე ვრცელდებოდა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.[2872] ერთ-ერთ საქმეში დამატებით დაზუსტდა აღნიშნული და ხაზი გაესვა იურიდიული პირის და მისი დამფუძნებლების ქონების გამიჯვნის საკითხს. სასამართლოს აზრით შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება თვითონ ხდება

[2869] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება № 1/2/384 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[2870] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება № 1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7.

[2871] მანამდე, 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 საკონსტიტუციო სასამართლომ იმპლიციტურად მიუთითა: „საკუთრების უფლების საყოველთაო ხასიათი განმტკიცებულია სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით, მათ შორის გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით", ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით" და სხვ. საერთაშორისო აქტები მიუთითებენ, რომ საკუთრება „ყველას" უფლებაა და არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობასთან. თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს გაგება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების სუბიექტის დასადგენად მოქალაქეობის ვიწრო კრიტერიუმის გამოყენებას. თანამედროვე სახელმწიფო ამ კონტექსტში ტერიტორიულ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება. აქედან გამომდინარე, ინდივიდის განხილვა საკუთრების უფლების სუბიექტად უკავშირდება იმ უბრალო ფაქტს, რომ იგი ადამიანია და არ არის დამოკიდებული მის მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე".

[2872] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, II-67.

შეტანილი ქონების მესაკუთრე და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. „ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების, ან მასში მონაწილეების. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკუთრების გარეშე დარჩება...“[2873]

1306 საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით და სპეციალურად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განსაზღვრული მემკვიდრეობის უფლების სუბიექტები. სასამართლოს აზრით აღნიშნული გულისხმობს ისე როგორც მამკვიდრებელს, ასევე მემკვიდრეს.[2874]

1307 საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ–ერთ საქმეში დაადგინა, რომ საერთო საკუთრების მესაკუთრეები, პროფკავშირების წევრები, წარმოადგენდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის სუბიექტებს: „მოსარჩელეები საქართველოს მოქალაქეები, ფიზიკური პირები საბჭოეთის დროიდან საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები არიან. როგორც ყოფილი საკავშირო პროფ. საბჭოდან მიღებული, ისე საკუთრივ საქართველოს პროფკავშირული ქონების მიმართ მათ პროფკავშირების სხვა წევრებთან ერთად აქვთ საკუთრების უფლება, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებით გამოიხატება. ქონების განკარგვის უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში სათანადო ორგანოებში არჩეული წარმომადგენლობის მეშვეობით ხორციელდება.“[2875]

1308 ერთ–ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტ საგანს წარმოადგენდა ყოფილი „დოსააფის“ თანამშრომელთა სარჩელის საფუძვლიანობა.[2876] ამ საქმეში მოსარჩელეები ითხოვდნენ იმ ნორმატიული აქტის გაუქმებას, რომლითაც „დოსააფის“ ქონება მთლიანად გადაეცა სახელმწიფო გვარდიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რითაც დაირღვა მათი საქართველოს კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება. შესაბამისად, სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა სწორედ საკუთრების შესაძლო უფლება „დოსააფის“ ქონებაზე. ამ საქმეში მოსამართლეთა აზრი ორად გაიყო. მოსამართლეთა ნაწილის მტკიცებით, არც წესდებაში და არც სხვა რომელიმე ნორმატიულ აქტში არ იყო განსაზღვრული, რომ „დოსააფის“ თანამშრომლებს ჰქონდათ საკუთრების უფლება კონკრეტულ ქონებაზე, შესაბამისად, მათი აზრით, არ ირღვეოდა კონსტიტუცია.[2877] მოსამართლეთა მეორე ნაწილი კი დაეყრდნო იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინდივიდუალური და საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრებით, არამედ ასევე მოიაზრებდა „საკუთრებით უფლებამოსილებებს“. აღნიშნული მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს ორმა მოსამართლემ ხაზი

[2873] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის №2/36–7 გადაწყვეტილება.

[2874] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, II-76.

[2875] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის №1/6–58,60,62,67 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები ირაკლი ტუღუში და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[2876] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის №1/3/113 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[2877] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის №1/3/113 გადაწყვეტილება, II-1.

გაუსვა იმ ფაქტს, რომ წევრთა შენატანებით ხდებოდა „დოსააფის“ მთლიანი საკუთრების წარმოშობა. [2878] ამიტომ ამ შემთხვევაში იგივე რეჟიმი უნდა გავრცელებულიყო, რაც პროფკავშირების წევრთა მიმართ.[2879]

2.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების საგნობრივად დაცული სფერო

1309 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია არა მხოლოდ საკუთრების უფლება. მე-19 მუხლით დაცულ სფეროში ექცევა ასევე მემკვიდრეობის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუცია აღიარებს საკუთრების უფლებას, მიუხედავად მისი გამოვლინებისა.

1310 დაცულ სფეროსთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება. საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში[2880] დაადგინა, რომ უკანონოდ შეძენილი საკუთრება ვერ ჩაითვლებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სიკეთედ. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მარეგულირებელი ნორმების განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ უკანონოდ შეძენილი საკუთრება ვერ ჩაითვლებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სიკეთედ, რადგან „საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული დებულებები [2018 წლის 16 დეკემბრამდე რედაქციით 21 მუხლის მე-3 პუნქტი] ანაზღაურების თაობაზე შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას, რომლის საკუთრების უფლებაც დავას არ იწვევს, და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებაა დავის საგანი და მისი არსებობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამორთმევის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება კონსტიტუციის [2018 წლის 16 დეკემბრამდე რედაქციით] 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით”. სასამართლომ მოგვიანებით[2881] კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უკანონო ქონება კონსტიტუციის მე-19 მუხლით ვერ იქნება დაცული. საკუთრება კანონიერად მაშინ ჩაითვლება, თუ ის შეძენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

[2878] იქვე II- 2.

[2879] იგულისხმება, 1998 წლის 15 ივლისის №1/6–58,60,62,67 გადაწყვეტილება.

[2880] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის გადაწვეტილება, № 2/5/309,310,311 საქმეზე მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[2881] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება

3. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

1311 კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. ამავე დროს იგი პოზიტიურადაა ვალდებული, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების წევრებს შორის.

1312 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული კონსტიტუციური სიკეთეა აგრეთვე პირის შესაძლებლობა, დაცული იყოს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან იმგვარი სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებისაგან, რომელიც იწვევს მისთვის სხვადასხვა სახის გაუმართლებელი ვალდებულებების დაწესებას.[2882] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სახელმწიფოს ქმედება, რომელიც ზღუდავს პირის თავისუფლებას, ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს საკუთარ ქონებას ან/და კერძო პირებისაგან ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინოს საქონელი ან/და მომსახურება a priori განიხილება როგორც ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ საკუთრების კონსტიტუციურ უფლებაში“.[2883]

3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

1313 კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე საკუთრების უფლების მოქმედება, მხოლოდ პირსა და სახელმწიფოს ურთიერთობის რეგულირებით არ შემოიფარგლება. კონსტიტუციის მე-19 მუხლის გარანტიები ასევე ვრცელდება კერძო სამართლებრივ „პირთა შორის” ურთიერთობებზე.[2884]

1314 კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო მოიცავს ასევე საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებას. ამაზე მეტყველებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გადასახადების გადახდის ვალდებულების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.[2885] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე,[2886]

[2882] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვალი № 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე პაატა დიასამიძე და სხვები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. II-27.

[2883]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-7.

[2884] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება № 1/1/103,117,137, 147-48,152-53 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალიდა დარბაიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[2885] გადასახადების გადახდის ზოგადი ვალდებულება მოცემულია კონსტიტუციის 67-ე მუხლში, რომელიც გადასახადებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხოლოდ ფორმალურ შეზღუდვებს უწესებს. კერძოდ, მისი სტრუქტურა, შემოღების წესი განსაზღვრული უნდა იყოს მხოლოდ კანონით.

[2886] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება № 2/1/187-188 საქმეზე შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები” საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და

შეიძლება იმგვარ დასკვნამდე მისვლა, რომ სახელმწიფოს მიერ გადასახადების გადახდის მოთხოვნა (კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტი) თავისთავად გულისხმობს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში[2887] ასევე აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით შეფასებას შეიძლება დაექვემდებაროს გადასახადების ოდენობა სამართლიანობის თვალსაზრისით. სასამართლოს აზრით, შეფასების საგანი შეიძლება იყოს, არღვევს თუ არა კონკრეტული საგადასახადო ტვირთი სამართლიან ბალანსს საერთო ინტერესებსა და კონკრეტული გადასახადის გადამხდელს შორის.[2888]

1315 საკუთრების უფლების დასახელებული ფუნქციების გარდა, მე-19 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება,[2889] რომელიც სახელმწიფოს გარკვეული ქმედებების შესრულებას ავალდებულებს. სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება ირღვევა მისი უმოქმედობისას. ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენა დამოკიდებულია შემდეგზე: როდესაც ნათელია, რომ საკუთრების ძირითადი უფლების დასაცავად კანონმდებლის მიერ შერჩეული საშუალება სრულად გამოუსადეგარი და აშკარად არასაკმარისია მიზნის მისაღწევად,[2890] ასეთ შემთხვევებში, განსხვავებით დარღვევის კლასიკური შემოწმებისაგან, საუბარია არა უფლების დაცულ სფეროში ჩარევაზე და ზომაზე მეტად ჩარევის აკრძალვის მოთხოვნაზე (თანაზომიერების პრინციპი), როგორც ეს ნეგატიური ფუნქციის მქონე ძირითად უფლებებთან გვხვდება, არამედ, სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების სხვა პირებისგან დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

4. ჩარევა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში

1316 საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საკუთრების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ფარგლებში. კანონმდებელის ვალდებულებაა თავისი პოლიტიკა კონკრეტულ სფეროში დაუქვემდებაროს მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ აუცილებელი ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

1317 იმავდროულად, ყოველი მესაკუთრის ვალდებულებაა ითმინოს მისი საკუთრების უფლებაში სახელმწიფოს ასეთი ჩარევები, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციის დათქმას.

1318 საკუთრების ისეთი ჩარევის კონსტიტუციურობას, რომელიც არც შეზღუდვა და არც ჩამორთმევაა, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ

კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწვეტილება № 1/3-21 საქმეზე მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[2887] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის გადაწვეტილება № 1/1/107 საქმეზე მოქალაქეები ლელა ინწკირველი და ეკატერინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[2888] Merten, Grundrechtliche Schutzpflichten und Untermassverbot, in: FS fuer Burmeister, 2005, S. 238; Erichsen, Grundrechtliche Schutzpflichten in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, JURA 1997, S. 88.

[2889] ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, მართლმსაჯულება და კანონი 1/12 გვ. 49.

[2890] Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995. Potsdam, 2010, S. 70 ff.

პუნქტთან მიმართებით განიხილავს.[2891] თუმცა, ამ მხრივ სასამართლოს ჯერ არ დაუკონკრეტებია, რა კრიტერიუმებით უნდა შემოწმდეს ნორმის კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლების ხელყოფა მე-2 ან მე-3 პუნქტების დარღვევით ავტომატურად ნიშნავს პირველი პუნქტის დარღვევასაც.[2892]

1319 საკუთრების უფლების შეზღუდვისას ან საკუთრების ჩამორთმევისას საქმე გვაქვს უფლებაში ჩარევასთან, რომლებიც, შემოწმების კონსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით, მათი შეფასების შედეგად, შესაძლოა გამართლდეს ან პირიქით. რაც შეეხება მე-19 მუხლის პირველ პუნქტს, ამ შემთხვევაში სახეზეა მთლიანად კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგის გარკვეული „დაძლევა".[2893] ლოგიკურად ასეთ შემთხვევებში შემოწმების უფრო მკაცრი ტესტი უნდა გამოიყენებოდეს.

5. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების ჩარევის გამართლება

1320 როგორც მუხლის შინაარსიდან ჩანს, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია. კონსტიტუციის მე-19 მუხლის შეზღუდვა კანონმდებლის მიერ მხოლოდ განსაკუთრებული წინაპირობებით არის შესაძლებელი. ეს არის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით მკაცრად გაწერილი ფორმალური და მატერიალური ზღვარი. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით კანონმდებელი უშვებს ამ მუხლის დაცული სფეროს შეზღუდვას. ხოლო კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საკუთრებას უქვემდებარებს ჩამორთმევას. კანონმდებელი მკაცრად და ძალიან ნათლად ადგენს შეზღუდვისა და ჩამორთმევის კრიტერიუმებს.

5.1. კანონის დათქმა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევისას

1321 ზოგადად, ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმება არ შემოიფარგლება მხოლოდ სადავო ნორმის შინაარსის, მისი მატერიალური მხარის შემოწმებით, აუცილებელია, რომ უფლებაში ჩარევა განხორციელდეს კონსტიტუციით დადგენილი წესითა და პროცედურით სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციითა და მისი ძირითადი პრინციპებით სახელმწიფო ხელისუფლების ბოჭვა, მათ

[2891] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება № 2/1-370,382,390,402,405 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[2892] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება № 2/1-370,382,390,402,405.

[2893] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება № 3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-53.

შორის, მოიცავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისობას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით“[2894]

1322 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, გარდა მატერიალური კრიტერიუმებისა, აწესებს კანონის არსებობის აუცილებლობას საკუთრების უფლების შეზღუდვის დროს. რაც ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა აუცილებლად კანონმდებლის მიერ უნდა იყოს დადგენილი, და არა ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ. აღნიშული ნიშნავს, რომ კანონმდებელი საკუთრების უფლების დაცვას მაღალ პრიორიტეტს ანიჭებს, და შესაბამისად მხოლოდ კანონმდებელს, რომელიც სახელმწიფოში ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციით და პროცედურული დემოკრატიის საშუალებით იღებს გადაწვეტილებებს, ანდობს გადაწვეტილების მიღებას.

1323 სასამართლომ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო „პროცედურა არ უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის სრულფასოვან პრევენციას, თუმცა, უდავოდ, მნიშვნელოვნად ამცირებს ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს მიღებული აქტის მიმართ მეტ ლეგიტიმაციას და სანდოობას“.[2895]

1324 ერთ-ერთ საქმეში[2896] მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა პირის კარანტინში/ იზოლაციაში მოთავსების შესახებ ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს, მათ შორის კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული ძირითადი უფლებების შეზღუდვის დასაშვებობას, უფლებამოსილების დელეგირებასთან მიმართებით. კერძოდ, მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ საკუთრების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, საქართველოს პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცა ფუნდამენტური საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილება ისე, რომ თავად არ განსაზღვრა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლები, შინაარსი და ინტენსივობა. [2897] მოსარჩელეთა აზრით სადავო ნორმებით საქართველოს პარლამენტი იმ მასშტაბით ახდენდა საკანონდებლო ფუნქციის დელეგირებას მთავრობაზე, რომ ფაქტობრივად იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას და უარს აცხადებს საკუთარი კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელებაზე.

1325 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კანონშემოქმედებითი კომპეტენციის საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელება ემსახურება სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებას. იგი წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც უფლებაში ჩარევის სტანდარტები დგინდება ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს მითითებით, პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის მიღება ხდება გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცედურული დემოკრატიის რეალიზებას და ამცირებს უფლებაში დაუსაბუთებლად ჩარევის რისკებს და შესაბამისად ნაკლებია გადაწყვეტილების

[2894] mutatis mutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

[2895] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-28.

[2896] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვალი № 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე პაატა დიასამიძე და სხვები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

[2897] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვალი № 1/2/384 გადაწყვეტილება I-7.

თვითნებურად მიღების შესაძლებლობა. ასევე, საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის გადაწყვეტა ხდება საჯარო სხდომაზე, რაც საშუალებას აძლევს ამომრჩეველს, გაზარდოს საკუთარი წარმომადგენლების ანგარიშვალდებულების ხარისხი. სწორედ აქ არის ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული პროცედურა.[2898] სასამართლომ ჩათვალა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთათვის დასახელებულ კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება ექვემდებარებოდა ფორმალურ კონსტიტიუციურსამართლებრივ კონტროლს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. მან შეამოწმა რამდენად აკმაყოფილებს სადავო ნორმები საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას უფლების შეზღუდვის ფორმასთან მიმართებით. მან შეაფასა რამდენად თავსებადია აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირება კონსტიტუციის მოთხოვნებთან და დაადგინა, რომ ამ უფლებს საქართველოს მთავრობისათვის დელეგირება გამართლებულია პანდემიისგან წარმომდგარი საფრთხეების წინააღმდეგ დროული და რაც შეიძლება, ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების საჭიროებით.

5.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება

1326 საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებასთან მიმართებით ასევე მუშაობს თანაზომიერების შემოწმების პრინციპი. თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით განმარტებული აქვს „თანაზომიერების პრინციპი“ კონსტიტუციის მე-19 მუხლის მეორე პუნქტის მიზნებისთვის. სასამართლო დამატებით ხაზს უსვამს მის ხარისხობრივ მაჩვენებლზე: „თანაზომიერების პრინციპი... უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება. რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის.“[2899]

1327 თანაზომიერების პრინციპთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უკვე არსებული საკუთრების უფლების შეზღუდვა უფრო მეტ კონსტიტუციურ–სამართლებრივ დასაბუთებას და გამართლებას მოითხოვს, ვიდრე საკუთრების უფლების შეძენის კომპონენტის ჩარჩოებში მოქცევა: „ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკვე არსებული საკუთრების გასხვისების ვალდებულების დადგენა, საკუთრების შეძენის აკრძალვასთან შედარებით, გარკვეულწილად უფლების შეზღუდვის უფრო მძიმე

[2898] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვალი № 1/2/384 გადაწყვეტილება II-35.
[2899] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება, II-19.

ფორმადაც შეიძლება იქნეს განხილული, ვინაიდან ამ შემთხვევაში უკვე არსებობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი კავშირი პირსა და ქონებას შორის."[2900]

1328 საკონსტიტუციო სასამართლო თანაზომიერების შეფასებისას მხედველობაში მიიღება სამ კრიტერიუმი: 1. შეზღუდვის გამოსადეგობა (მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება); 2. შეზღუდვის აუცილებლობა (უნდა წარმოადგენდეს მიზნის მითწევისათვის ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებაა), 3. პროპორციულობა კერძო და საჯარო ინტერესებსა და დაპირისპირებულ ინტერესებს შორის.

1329 საკუთრების უფლებასთან მიმართებით სასამართლომ ერთ საქმეში განსხვავებული ტესტიც მიუთითა. მაგალითად, 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა „მიზნის მიღწევის საშუალებათა სამართლიანობაზე". [2901] აღნიშნულ საქმეში სახელმწიფო ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები პრივილიგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, რაც სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.

5.2.1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

1330 კონსტიტუციის მე-19 მუხლის შეზღუდვა კანონმდებლის მიერ მხოლოდ განსაკუთრებული წინაპირობებით არის შესაძლებელი. ეს არის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით მკაცრად გაწერილი ფორმალური და მატერიალური კრიტერიუმები. საკუთრებისა და მემკვიდრეობის შეზღუდვა, ისე როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების შეზღუდვა კონსტიტუციის 34-ე მუხლის თანახმად, „უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება."

1331 კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით კანონმდებელი უშვებს ამ მუხლის დაცული სფეროს შეზღუდვას. ხოლო კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საკუთრებას უქვემდებარებს ჩამორთმევას. კანონმდებელი მკაცრად და ძალიან ნათლად ადგენს განსხვავებულ შეზღუდვისა და ჩამორთმევის კრიტერიუმებს. შესაბამისად ლეგიტიმური მიზანი ამ ორივე შემთხვევაში სხვადასხვა უნდა იყოს. თუკი მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით, შეზღუდვისათვის ლეგიტიმურ მიზნად შეიძლება მხოლოდ საჯარო ინტერესები დასახელდეს, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით ჩარევისას საქმე გვაქვს უფლების ჩამორთმევასთან, შესაბამისად კანონმდებელს გაცილებით უფრო დამაჯერებელი და მკაცრად განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი მოეთხოვება. კანონმდებლის მიერ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით მოქმედებისას, ლეგიტიმური მიზანი უნდა ემსახურებოდეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, და იგი უნდა იყოს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას მიღებული. იმავდროულად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, რომ ლეგიტიმური მიზნის გარდა, საკუთრების ჩამორთმევა ანაზღაურდეს წინასწარ, სრულად და სამართლიანად. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით ასეთი ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

[2900] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, II-81.

[2901] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება, II-3.

5.2.2. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის გამოსადეგობა

2012 წლის 26 ივნისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ 1332
თანაზომიერების პირველ კომპონენტად განიხილა „მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება“. ამ შემთხვევაში სასამართლომ შეაფასა თუ რამდენად არსებობდა ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებას და კანონიერ მიზანს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ბმა, კორელაცია ვერ იქნა დანახული სასამართლოს მიერ, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული, როგორც მიზნის მიღწევის უფუნქციო საშუალება.[2902] იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო სამართლებრივი აქტი არ იძლეოდა ლეგიტიმური მიზნის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღწევის შესაძლებლობას. [2903]

5.2.3. საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის აუცილებლობა

„შეზღუდვის აუცილებლობის“ შეფასებისას სასამართლო ამოწმებს იმას, თუ რამდენად 1333
აუცილებელია სადავოდ გამხდარი ღონისძიების შინაარსი შესაბამისი კანონიერი მიზნების მისღწევად.[2904] ზემოაღნიშნული ქონების ჩამორთმევის საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დანაშაულის საგნის და იარაღის ჩამორთმევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ საჯარო მიზნებს მიუხედავად მესაკუთრის პიროვნებისა და ცალკე აღებული ქონების თავისებურება განაპირობებდა შეზღუდვის აუცილებლობას: „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად, ასეთი ქონების ჩამორთმევა, მესაკუთრის ბრალეულობის გაუთვალისწინებლად, დასაშვებია და აუცილებელიც დასახელებული მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პრობლემის დროულად, მყისიერად და ეფექტურად გადაწყვეტას, გამიზნულია კონკრეტული დანაშაულის შემდგომი გართულებების (ახალი დანაშაულის ჩადენის, ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის, ნორმალური სამოქალაქო ბრუნვისთვის ხელის შეშლის და სხვა) თავიდან აცილებისკენ. მოცემულ შემთხვევაში საჯარო მიზნები ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მათი მიღწევა ამართლებს საკუთრებაში ჩარევის აუცილებლობას.“[2905]

5.2.4. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში ჩარევის პროპორციულობა

თანაზომიერების შეფასების მესამე კრიტერიუმს წარმოადგენს (ვიწრო გაგებით) 1334
პროპორციულობა, რომელიც კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული

[2902] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, II-63.
[2903] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება, II-65.
[2904] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება, II-3.
[2905] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება, II-21.

ბალანსის დამცველ ღონისძიებას წარმოადგენს, ასევე ემსახურება ორ დაპირისპირებულ ინტერესთან აწონ-დაწონვას, მისი საშუალებით მიიღწევა ისეთ მდგომარეობა როდესაც არცერთი სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე არ ხდება მეორის არაპროპორციული შეზღუდვა.[2906]

1335 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ საქმეში მხედველობაში იღებს სადავო სამართლებრივი აქტების რეგულირებას და სხვადასხვა კანონმდებლობას, რათა შეაფასოს ის გარანტიები, რომლებიც რჩებათ მესაკუთრეებს და შემდგომ ადარებს მათ საჯარო ინტერესებს. ქონების ჩამორთმევის საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა სამი კუმულაციური პირობის შესახებ, რომლებიც განაპირობებდნენ ქონების ჩამორთმევის საკითხის პროპორციულობას.[2907]

- ქონება, რომელიც ექვემდებარებოდა ჩამორთმევას წარმოადგენდა დანაშაულთან დაკავშირებულს და შესაბამისად გასული იყო ნორმალური სამოქალაქო ბრუნვიდან;
- კონკრეტული საქმის განმხილველი საერთო სასამართლოს მოსამართლე სადავო სამართლებრივი აქტიდან გამომდინარე ვალდებული იყო შეემოწმებინა და უტყუარად დაედგინა, რომ სახეზე იყო ქონების ჩამორთმევის აუცილებლობა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე;
- ქონების მესაკუთრე კარგავდა ქონებას, მაგრამ არა მასზე უფლებას. მას ეძლეოდა უფლება ედავა სამოქალაქო სამართლის წესით და მოეთხოვა შესაბამისი დელიქტური ანაზღაურება.

1336 მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამივე პირობის კუმულაციური ერთობა დადგინდა, დასტურდება, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციის შესაბამისად, თანაზომიერად შეიზღუდა.

1337 საკუთრების უფლების ჭრილში საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ საქმეში აქვს განხილული ქონების ჩამორთმევის კონსტიტუციურობის საკითხი. 1997 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ერთ–ერთმა საერთო სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინებით და მოითხოვა იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ქონების კონფისკაციის საკითხის კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებასთან თავსებადობის განსაზღვრება.[2908] ზემოაღნიშნული საქმისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სასჯელის შინაარსი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დანაშაულის საგნით, იარაღით ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთით, არამედ, გულისხმობდა მსჯავრდებულის მთლიან ქონებას ან მის ნაწილს, რომელსაც შეიძლებოდა არავითარი შემხებლობა არ ჰქონოდა დანაშაულთან. იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა სანქცია, რომელიც არაინდივიდუალური შინაარსის მატარებელი იყო და თავის მხრივ, დანაშაულთან შემხებლობას არ მოითხოვდა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ღონისძიება კონსტიტუციის 21–ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით განიხილა. იქიდან გამომდინარე, რომ კომპენსაციის

[2906] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება, II-21.
[2907] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება, II-22,23.
[2908] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება.

გარეშე ხდებოდა ჩამორთმევა, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო სამართლებრივი აქტი.[2909]

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

6.1. საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება., 21.02.2021

1338 საქმეში საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)[2910] საჩივარი შეტანილი იქნა იმ შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2008 წლის აგვისტოში, ამ ორ ქვეყანას შორის მუდმივად მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. „2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზარდი დაძაბულობისა და ინციდენტების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალში და მის შემოგარენში დაიწყო მძიმე ბრძოლები. ბრძოლები, რომელიც მალე საქართველოს სხვა ნაწილებსაც მოედო, ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მან მთელი ქვეყნის მასშტაბით ბევრ ადგილას დიდი ნგრევა და რამდენიმე ქალაქისა და სოფლის სრული განადგურება გამოიწვია. ადამიანთა დანაკარგები მნიშვნელოვანი იყო. საბოლოო ჯამში, საქართველოს მხარემ განაცხადა 170 სამხედრო მოსამსახურის, 14 პოლიციელის და 228 სამოქალაქო პირის დაღუპვისა და 1 747 ადამიანის დაჭრის თაობაზე. რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ დაიღუპა 67 და დაიჭრა 283 სამხედრო მოსამსახურე. ხოლო სამხრეთ ოსეთმა განაცხადა 365 ადამიანის დაღუპვის შესახებ, რომელთა შორის, სავარაუდოდ, იყვნენ როგორც სამხედრო მოსამსახურეები, ისე სამოქალაქო პირებიც. მთლიანობაში დაიღუპა დაახლოებით 850 ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ დაჭრილებზე, უგზო-უკვლოდ დაკარგულებზე ან იმ 100 000-ზე მეტ სამოქალაქო პირზე, რომლებმაც თავიანთი სახლები დატოვეს. დაახლოებით 35 000 პირმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება. ბრძოლამ ვერც პოლიტიკური კონფლიქტი დაასრულა და ვერც ის საკითხები გადაიჭრა, რომლებიც მის მიზეზს წარმოადგენდა. დაძაბულობა კვლავაც გრძელდება. ბრძოლის დასრულების შემდეგ პოლიტიკური ვითარება არ განმუხტულა და გარკვეული თვალსაზრისით, გართულდა კიდეც.“[2911]

1339 საქმე შეიცავდა შეფასებას დროის ორ ძირითად პერიოდში: რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ინტერვენციის შემდეგ ხუთდღიანი ომის დროს საომარი მოქმედებების აქტიური ფაზა (2008 წლის 8-დან 12 აგვისტომდე) და ოკუპაციის ფაზა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება).

[2909] იქვე.

[2910] საქართველო რუსეთი წინააღმდეგ (II) 38263/08 გადაწვეტილება., 21.02.2021.

[2911] გადაწვეტილებაში მითითებულია, შეიარაღებული კონფლიქტი შემდეგნაირად აღწერა კომისიის ანგარიშში (გვ. 5):. აღნიშნული არის, საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო მისიის (IIFFMCG) ანგარიში. ხსენებული კომისია შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

1340 ამ საქმეში საქართველოს მხარე ასაბუთებდა რომ რუსეთმა დაარღვია კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-8 და მე-13 მუხლები, კონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლები და კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი და არ გამოიძია ის შემთხვევები, რომლებმაც შექმნა ამ დარღვევების საფუძველი.

1341 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ეთნიკურად ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ დაარღვია კონვენციის რამდენიმე მუხლი, მე-2 მუხლი, მე-3 მუხლი, მე-5 მუხლი, მე-8 მუხლი, მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრების უფლება).

1342 ამ საქმეში საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა,[2912] რომ აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, ეთნიკური წმენდის კამპანია დაიწყო და თვეების განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის თითქმის მთელი ეთნიკური ქართველი მოსახლეობის სახლებიდან გაძევების და მათი სოფლების გაძარცვისა და განადგურების შემდეგ. კონვენციის დარღვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა, როგორც ამტკიცებდნენ აღნიშნულ საჩივარში, ჩადენილია რუსული საომარი ხაზების მიღმა, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ და მას შემდეგ რაც, ქართული სამხედრო ძალები უკვე გამოსული იყო. მან წარადგინა მტკიცებულებები, რომ რუსეთის ფედერაცია ახორციელებდა ეთნიკური ქართველების სახლებისა და სოფლების განადგურების, ან აღნიშნულის დაშვების ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რომლის მიზანი იყო, გაეხადათ ეს სახლები საცხოვრებლად უვარგისი, რაც წარმოადგენს კონვენციის არამხოლოდ მე -3 და მე-8 მუხლების, არამედ, კონვენციის N1 ოქმის 1-ლი მუხლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედი წესების დარღვევას. ეუთოს ანგარიშის შესაბამის ნაწილში (გვ. 35-66),[2913] "მაგალითად, სოფელ საცხენეთში ქალი შეესწრო, თუ როგორ ესროლეს ერთ ქართველ მამაკაცს და მოკლეს იგი, როდესაც მან უარი თქვა ძროხების გადაცემაზე, ხოლო კიდევ ერთ მამაკაცს სასიკვდილოდ ესროლეს მანქანის გამო ჩხუბის დროს. სოფელ ავნევში ერთი კაცი მოკლეს, როდესაც მან სახლში არ შეუშვა მოროდიორები".

1343 ხოლო ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის ანგარიშის შესაბამის ნაწილში [2914]ნათქვამია შემდეგი: „კონფლიქტის დროს და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, გაჩაღდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განზრახ ძალადობის კამპანია: გადაწვეს სახლები, გაძარცვეს და დააყაჩაღეს სოფლები. ამ მოქმედებების უმეტესობა განხორციელდა სამხრეთ ოსეთში და საქართველოს არასადაო ტერიტორიაზე, ძირითა-დად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე. ეუთოს ადამიანის უფლებების შეფასებითი მისიის (HRAM) წევრებმა „ბუფერულ ზონაში" მოგზაურობის დროს დათვალეს არა საომარი მოქმედებეის დროს, არამედ, ახლად

[2912] Georgia v. Russia (II) 38263/08 -177.
[2913] „ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე" და „ადამიანის უფლებების საკითხები 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ" (ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის 2008 წლის 8 სექტემბრისა და 2009 წლის 15 მაისის ანგარიშები).
[2914] ტომი II, გვ. 351-53, და გვ. 362-70.

გადამწვარი დაახლოებით 140 სახლი, რომელთაგან არც ერთს არ ჰქონდა საბრძოლო მოქმედების კვალი.[2915]

1344 მნიშვნელოვანია, რომ საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით მსჯელობაში, მოყვანილია არამხოლოდ სამაჩაბლოს, არამედ, ოკუპირებული აფხაზეთის საკითხიც. სასამართლომ აღნიშნა,[2916] როგორც მან დადგინა, „რუსეთის ფედერაციამ განახორციელა „ეფექტური კონტროლი“ სამხრეთ ოსეთისა და ასევე აფხაზეთისა, რომელთა მდგომარეობა არ არის იდენტური, თუმცა მსგავსია ამ თვალსაზრისით.[2917] ამის გარდა, როგორც რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის ადმინისტრაციული საზღვრების კონტროლის შესახებ 2009 წლის 30 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულებებიდან ჩანს, რუსეთის ფედერაციამ ამ მხრივ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერაც აღმოუჩინა. სასამართლომ აღიარა, რომ სადავოც არ იყო, ის, რომ კონფლიქტის შედეგად გაქცეული საქართველოს ბევრი მოქალაქე სამხრეთ ოსეთში აღარ ცხოვრობს, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე.

1345 სასამართლოს შეხედულებით, ის ფაქტი, რომ მათი შესაბამისი სახლები, რომლებში დაბრუნებაშიც მათ ხელი შეუშალეს, მდებარეობდა რუსეთის ფედერაციის მიერ „ეფექტურად კონტროლირებულ“ ტერიტორიებზე და ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია ახორციელებდა „ეფექტურ კონტროლს“ ადმინისტრაციულ საზღვრებზე, კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის საკმარისია იურისდიქციული კავშირის დასადგენად რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შესაბამის მოქალაქეებს შორის.[2918]

1346 როგორც აღინიშნა სასამართლომ საქმეში Georgia v. Russia (II) დაადგინა რამდენიმე მუხლის დარღვევა, რუსეთის ფედერაციის მიერ. მათ შორისაა კონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების საკუთრების უფლების დარღვევა.[2919] ხოლო მოგვიანებით 2023 წლის 28 აპრილს, საქმეში Georgia v. Russia (III) [2920] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით 2021 წლის 21 იანვარს გამოტანილი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საქმეზე Georgia v. Russia (II), რუსეთის ფედერაციის მიერ ასანაზღაურებელი არაქონებრივი ზიანის მოცულობა განსაზღვრა.[2921] ამ გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ეთნიკურად ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეების მიმართ ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევის გამო რუსეთის ფედერაციამ დაზარალებულ ეთნიკურად ქართველებსა და საქართველოს მოქალაქეებს 130 მილიონ ევრომდე უნდა გადაუხადოს.

[2915] იხ. Georgia v. Russia (II) 38263/08 - 182. მტკიცებულებად, მითითებულია, ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის ანგარიშის შესაბამის ნაწილის ტომი II, გვ. 351-53, და გვ. 362-70.

[2916] იხ. Georgia v. Russia (II) 38263/08 pp.292-295.

[2917] Georgia v. Russia (II) 38263/08 pp 174 .

[2918] იგივე პოზიცია ჰქონდა სასამართლოს საქმეზე „ლოიზიდოუ თურქეთის წინააღმდეგ“, სადაც მან მან დაადგინა, რომ „ჩრდილოეთ კვიპროსში, მის საკუთრებაზე მომჩივანისთვის წვდომის უფლების უწყვეტი უარყოფა და ამის შემდეგ საკუთრებაზე მთელი კონტროლის დაკარგვა არის საკითხი, რომელიც განეკუთვნება თურქეთის „იურისდიქციას“, 1- ელი მუხლის მნიშვნელობით და ამრიგად, მიეწერება თურქეთს.

[2919] დაკავშირებით 2021 წლის 21 იანვარს გამოტანილი გადაწყვეტილება Georgia v. Russia (II) 38263/08.

[2920] 2023 წლის 28 აპრილს, საქმეში Georgia v. Russia (III).

[2921] Georgia v. Russia (II) 38263/08.

1347 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ასევე დაადგინა, რომ მართალია რუსეთის ფედერაცია ამ მომენტისთვის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა აღარ არის, თუმცა აღნიშნული გარემოება მას არ ათავისუფლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებისგან.[2922]

6.2. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ" (საჩივარი no. 7975/06) გადაწყვეტილება 2010 წლის 2 თებერვალი

1348 მომჩივნები განსაკუთრებით ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ კომპენსაციის მიღების უფლებით, რომელიც მათი - პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლების - სტატუსიდან გამომდინარეობდა. 1937 წლის 2 ოქტომბერს, საბოტაჟისა და ტერორისთვის გასამართლების შემდეგ, მომჩივნების მამა დახვრიტეს. 1938 წლის 7 ნოემბერს, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მიმართული აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით, მომჩივანთა დედას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და გადაასახლეს საბჭოთა კავშირის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე სპეციალურ საპატიმრო ბანაკში. თავდაპირველად, თვე-ნახევრის მანძილზე, მომჩივნები მოათავსეს ქ. თბილისის ბავშვთა მიმღებში. იქ არსებული ცუდი კვებისა და სიბინძურის გამო, მომჩივნები ტიფით დაავადდნენ. შემდეგ კი გადაიყვანეს საქართველოდან რუსეთში, სტავროპოლის რეგიონში, უდედმამო ბავშვთა თავშესაფარში, სადაც მათ ორი წელიწადი გაატარეს. ექვემდებარებოდნენ რა „სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების კონტროლს", მომჩივნებს მუდმივად სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ. დედის დაპატიმრებისთანავე, მომჩივნებს თბილისში მდებარე 90 m^2 ფართობის საცხოვრებელი სახლი, უძრავ ქონებასთან და სხვა პირად თუ საოჯახო ნივთებთან ერთად, დაუყოვნებლივ ჩამოართვეს.

1349 1956 წლის 4 მაისს სამხრეთ კავკასიის სამხედრო სასამართლომ გააუქმა 1938 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და მომჩივნების დედის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, იგი რეაბილიტირებულად ცნო. 1957 წლის 30 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, იმავე მოტივით, გააუქმა 1937 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მომჩივნების მამაც რეაბილიტირებულად სცნო.

1350 1998 წლის 16 მარტს მომჩივნებმა საბურთალოს რაიონის 1-ელი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით მიმართეს და მოითხოვეს მათი და მათი მშობლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად აღიარება, მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა.

1351 1997 წლის 11 დეკემბრის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე („1997 წლის 11 დეკემბრის კანონი") დაყრდნობით, მომჩივნებმა 2005 წლის 15 მარტს მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მომჩივნები ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე ითხოვდნენ 515 000 ლარის

[2922] Georgia v. Russia (III) 38263/08 S. 4.

(დაახლოებით 208 000 ევრო) ოდენობის კომპენსაციის გადახდას თითოეული მათგანისთვის, საერთო ჯამში განცდილი მორალური და მატერიალური ზიანის გამო.

1352 თბილისის საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მომჩივნების წარსულთან დამაკავშირებელი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, გარდა ქონების კონფისკაციისა. ამ უკანასკნელ ფაქტთან მიმართებით, დაეყრდნო რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე (§3) მუხლს, საოლქო სასამართლომ მომჩივნებს დაუპირისპირა კონფისკაციის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებების არარსებობა, მიიჩნია რა, რომ თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები არასაკმარისი იყო. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. 2005 წელს არც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა საკასაციო სარჩელი, დაეთანხმა რა საოლქო სასამართლოს არგუმენტაციას ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით მტკიცებულებათა არასაკმარისად წარმოდგენის ნაწილში და უარყო მომჩივანთა მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

1353 მომჩივნები მიიჩნევენ, რომ იმ კანონების მიუღებლობა, რომლებზეც მითითებულია 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში, მაშინ როდესაც ისინი აუცილებელია აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლებებისთვის ეფექტის მინიჭების თვალსაზრისით, იწვევს კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გარანტი-რებულ უფლებათა დარღვევას, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ისინი აპროტესტებდნენ არა რეპრესიის, გადასახლებისა და ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა რეჟიმის დროს, არამედ იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით, ქართული სახელმწიფოს არ განუსაზღვრავს კომპენსაციის წესები, რათა შინაარსი მიანიჭოს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულ მათ უფლებას. [2923]

1354 მოცემულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ მან უნდა განსაზღვროს, არის თუ არა ქონებრივი უფლებების აღდგენის უფლება (1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) მუხლი) ერთი მხრივ და მორალური ზიანის კომპენსაციის უფლება (იმავე კანონის მე-9 მუხლი) მეორე მხრივ, საკმარისად ჩამოყალიბებული ეროვნულ სამართალში იმისათვის, რომ განმცხადებლებს მიენიჭოთ „ქონებრივი“ უფლებები, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გაგებით და ამგვარად, მოუწოდოს აღნიშნული დებულების დაცვისკენ. ამ მხრივ საჭიროა იმის შეხსენება, რომ მოცემულ სფეროში ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ქონების“ ცნება შეიძლება მოიცავდეს, როგორც „ამჟამინდელ ქონებას“, ისე ქონებრივ ღირებულებებს, მათ შორის, ვალებს, რომლებზე დაყრდნობითაც მომჩივანს შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს სულ ცოტა „ლეგიტიმური მოლოდინის“ ქონაზე, მიიღოს სარგებელი საკუთრების უფლებიდან.[2924] 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის ცალკე აღებული მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი არ იძლევა იმის გაგების საშუალებას, თუ რა სახის ქონება (ნაციონალიზებული, დროთა განმავლობაში მესამე პირებზე – კეთილსინდისიერ 18 შემძენზე - გაყიდული და ა.შ.) იქნება მიჩნეული შესაბამისი უფლებების „აღდგენის“ საფუძვლად;

[2923] იქვე, P-38.
[2924] იქვე, P-58.

1355 სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე მომჩივანი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს. მართლაც, აღიარებული იქნენ რა სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად, მომჩივნები ასევე არიან რეპრესირებული მშობლების შვილები, რომელთა მსხვერპლის სტატუსი, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მიზნებიდან გამომდინარე ასევე სასამართლოს მიერ იქნა აღიარებული. ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა და მათმა მშობლებმა განიცადეს ზემოთ, მე-7 - მე-9 და მე-11 პარაგრაფებში აღნიშნული რეპრესიის აქტები, ეჭვქვეშ არ დამდგარა არც ეროვნული და არც ევროპული სასამართლოების წინაშე.[2925] სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მომჩივნებს აქვთ აღნიშნული უფლება, დადასტურდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. უზენაესი სასამართლოს თანახმად, მომჩივნებს შეუძლიათ მორალური კომპენსაციის მოთხოვნა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე. უზენაესმა სასამართლომ მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით უარყო, რომ „მოცემულ მომენტში“ არ არსებობდა შესაბამისი გამოსაყენებელი საკანონმდებლო ტექსტები. თუმცა უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა როდესაც აღნიშნული ტექსტები მიღებული იქნება, ეს აუცილებლად შეეხება მომჩივნებს და მათ შეეძლებათ მორალური ზიანისთვის კომპენსაციის მიღება აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე.[2926]

1356 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, ნებისმიერ შემთხვევაში, იმის დაშვებითაც კი, რომ მოცემულ საქმეში, სახელმწიფოს უმოქმედობა, იქნება ეს ჩარევა თუ მოქმედებისგან თავის შეკავება, კანონიერ მიზანს ემსახურება. სასამართლოს არაფერი აძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ დაცული იქნა ზუსტი ბალანსი პირისა და საზოგადოების ინტერესებს შორის. კერძოდ, სასამართლო ვერ ხედავს მიზეზებს, რომელთა გამოც სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულება, მაშინ როდესაც მას 11 წელიწადზე მეტი ჰქონდა, რომ გადაედგა თუნდაც მცირე ნაბიჯი 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით in fine გათვალისწინებული კანონის მიღების პროცესის დაწყებისკენ, კერძოდ, ზუსტად განესაზღვრა მსხვერპლთა რაოდენობა, განეხორციელებინა ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური კვლევა საზოგადოების იმ წევრთა მოგებისა და დანაკარგების შესახებ, რომლებსაც აღნიშნული პროცესი შეეხოთ. ამგვარად, სასამართლოს თვალში, როდესაც ქართულმა სახელმწიფომ გააკეთა მორალური და ფინანსური არჩევანი საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი მისი მოქალაქეების სასარგებლოდ, მას, როგორც მინიმუმ საქართველოსთან მიმართებით 1-ელი დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ მაინც, უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედებები და ჩაეტარებინა შესაბამისი სამუშაო, რათა მომჩივნები განუსაზღვრელი დროით არ ყოფილიყვნენ გაურკვევლობაში, რომლის წინააღმდეგ, სხვათა შორის, ამ უკანასკნელებს მიმართვის არავითარი ეფექტიანი შიდასა-მართლებრივი საშუალება არ გააჩნიათ. ამას ემატება ის ფაქტი, რომ როგორც ჩანს, სახელმწიფო არ არის მზად, ჩაატაროს აღნიშნული სამუშაო და ამგვარად, ის ხანდაზმულ მომჩივნებს ტოვებს ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, სიცოცხლეში ისარგებლონ მათთვის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით მინიჭებული უფლებით.[2927]

[2925] იქვე, P-65.
[2926] იქვე, P-67.
[2927] იქვე, P-75.

სასამართლო ასკვნის, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს სრული 1357
უმოქმედობა, რომელმაც მომჩივნებს ხელი შეუშალა, გონივრულ ვადაში, ეფექტიანად ესარგებლათ მორალური კომპენსაციის მიღების უფლებით, მათ განაცდევინებს არაპროპორციულ და გადაჭარბებულ შედეგებს, რომლებიც არ შეიძლება გამართლებული იქნეს მოცემულ საქმეში. ხელისუფლების მიერ დაცული, ეგრეთ წოდებული კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესით. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევას.

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, თბილისი 2013; ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში – ბესო ზოიძე, თბილისი 2007; ზოიძე, ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, გვ. 138- 149, კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვა, N5 აპრილი 2012; იზორია, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი, ჟურნალი" სამართალი" № 9, 2002; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005; 1989; კვარაცხელია, (შემდგენელი) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, თბილისი 1989; ფირცხალაშვილი, საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განზომილება. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 2, 2022; ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, მართლმსაჯულება და კანონი 1/12; ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, მართლმსაჯულება და კანონი N1 (32) 2012; შვაბე, (შემდგენელი) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი 2011; ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, 1994; ჯგერენაია, საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები საქართველოში, თბილისი 2011; Degenhart, Staatrecht I, Staatsorganizationrecht, 18., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2002; Depenheuer, (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005; Dworkin, Constitutionalism and Democracy, in: Symposium: Law and Morality, 3. European Journal of Philosophy, 1995; Eekhoff, „Soziale Sicherheit durch Eigentum, Abwägung zwischen Eigentumsschutz und Sozialpflichtigkeit, Depenheuer (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin/Heidelberg. 2005; Erichsen, Grundrechtliche Schutzpflichten in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, JURA 1997; Fögen, Römische Rechtsgeschichten. Über Ursprung und Evolution eines sozialen Systems (Taschenbuch, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht 2002; Grochtmann, Die Normgeprägtheit des Art. 14 GG: Konsequenzen für die Eigentumsdogmatik; Lege, Art. 14 GG für Fortgeschrittene, Zeitschrift für das Juristische Studium; Merten, Grundrechtliche Schutzpflichten und Untermassverbot, in: FS fuer Burmeister, 2005; Grochtmann, Die Normgeprägtheit des Art. 14 GG: Konsequenzen für die Eigentumsdogmatik, Berlin, 2010; Jähnichen, Vom Besitzindividualismus zur gemeinwohlorientierten Sozialpflichtigkeit – Der neuzeitliche

Eigentumsbegriff in der Entwicklung des Privat- und Verfassungsrechts. In: Auf dem Weg zum Grundgesetz. Beiträge zum Verfassungsverständnis des neuzeitliuchen Protestantismus. Lit. Verlag, Münster 1999; Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, GG Kommentar, München 2006; Lege, Art. 14 GG für Fortgeschrittene, in: Didaktische Beiträge, Zeitschrift für das Juristische Studium 2005; Leppin, V., Thomas von Aquin. Zugänge zum Denken des Mittelalters, Münster 2009; Merten, Grundrechtliche Schutzpflichten und Untermassverbot, in: FS fuer Burmeister, 2005; Papier, Der Stand des verfassungsrechtlichen Eigentumsschutzes, In: Depenheuer, Otto (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005; Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995; Pieroth/ Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 28. Aufl. Heidelberg, 2011; Stahl, F.J., Die Philosophie des Rechts. 2.Bd., Rechts- und Staatslehre auf der Grundlage christlicher Weltanschauung, München 2004; Zenthöfer, Staatsrecht 2, Grundrechte, Kiel, 7. Auflage, 2010.

მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა

1. შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს.

4. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.

შინაარსი

მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა 525

შინაარსი 525

1. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 526

1.1. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 526

1.2. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების დაცული სფერო 528

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 528

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 529

1.2.2.1. შემოქმედების თავისუფლება 529

1.2.2.2. ინტელექტუალური საკუთრების უფლება 534

1.2.2.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლება 536

2. ჩარევა შემოქმედების თავისუფლებაში, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებებში 538

2.1. ჩარევა შემოქმედების თავისუფლებაში 538

2.2. ჩარევა ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში 539

2.3. ჩარევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში..... 540

3. შემოქმედების თავისუფლებაში, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებებში ჩარევის გამართლება 541

3.1. შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება..... 541

3.2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში ჩარევის გამართლება..... 544

3.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში ჩარევის გამართლება 544

ლიტერატურა..... 546

1. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების ზოგადი მნიშვნელობა

1358 კონსტიტუციის მე-20 მუხლი უზრუნველყოფს დემოკრატიული საზოგადოებისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფასეულობებს, როგორიცაა შემოქმედების თავისუფლება, ინტელექტუალური საკუთრება და კულტურული მემკვიდრეობა. ეს ფასეულობები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან იმით, რომ უზრუნველყოფენ ინდივიდის კრეატიული საქმიანობის, ამ საქმიანობის შედეგებისა და მის საფუძველზე შექმნილი მემკვიდრეობის დაცვას.

1359 შემოქმედებითი საქმიანობა ინდივიდის პიროვნების რეალიზაციისა და განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მას სუბიექტურობის მაღალი ხარისხი ახასიათებს, რაც გამოიხატება ადამიანის შინაგანი სამყაროს დაცვაში სახელმწიფოსაგან. ამავდროულად, შემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ პირის შინაგანი სამყაროთი. მისი ადრესატი საზოგადოებაა, რომელსაც კრეატიული ფორმით აწვდის ავტორი თავის იდეებს, შეხედულებებს, წარმოდგენებსა და განცდებს საგნებსა თუ მოვლენებზე. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ხაზგასმა შემოქმედების თავისუფლების საკომუნიკაციო ასპექტზე.[2928] უდიდესია შემოქმედების თავისუფლების ობიექტური მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოებისათვის. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოხატვის თავისუფლების უკიდურესი შეზღუდვის პირობებში, ხშირად სწორედ ხელოვნება იყო ის მედიუმი, რომელიც ახერხებდა საზოგადოებამდე თავისუფალი აზრის მიტანას.

[2928] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 21.

1360 აღსანიშნავია, რომ ხელოვნების თავისუფლებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. 109-ე მუხლის მიხედვით, თავისუფალი იყო ხელოვნება და მისი სწავლება, ხოლო სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენდა მისი მფარველობა და განვითარების ხელშეწყობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე ნორმას შემოქმედების ან ხელოვნების თავისუფლებასთან დაკავშირებით არ შეიცავს, მაგრამ ევროპული სასამართლოს მიდგომით, აზრის გამოხატვაზე მხატვრული საშუალებებით, შემოქმედებით გამოხატვაზე ვრცელდება კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) მოქმედება.[2929]

1361 კულტურული მემკვიდრეობა ის ფენომენია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანური გენიის მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა და გამორჩეული ფასეულობაა როგორც ცალკე აღებული პიროვნებისათვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის. კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აღიარებს ინდივიდის სუბიექტურ უფლებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, ხოლო მეორე მხრივ, ამ აღიარებით არაორაზროვნად უსვამს ხაზს კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც „განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივ ღირებულებას, რომლის დაცვაც მინდობილი ვერ იქნება სახელმწიფოს კეთილ ნებაზე“[2930] და შესაბამისად, მის კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს.

1362 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლით აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლება, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში, ასევე მიიღოს სარგებელი იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც გამომდინარეობს მისი ავტორობით შექმნილი ლიტერატურული თუ მხატვრული ნაშრომიდან. პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ აღნიშნული უფლებების სრული განხორციელებისათვის მიღებული ზომები უნდა შეიცავდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია კულტურულ მიღწევათა დასაცავად, გასავითარებლად და გასავრცელებლად. ისინი ასევე იღებენ ვალდებულებას, პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც აუცილებელია შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

1363 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლიდან გამომდინარე, ყველას აქვს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ხელოვნებით ტკბობის უფლება. ასევე დაცულია პირის მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც იმ ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომების შედეგი, რომელთა ავტორსაც ის წარმოადგენს.

[2929] მაგ.: Müller and Others v. Switzerland (N10737/81; 24.5.1988); Alinak v. Turkey (N40287/98; 29.3.2005).

[2930] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/6/1216 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

1.2. შემოქმედების თავისუფლების, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

1364 კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ შეიცავს ნორმას, შემოქმედების თავისუფლების სუბიექტთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ამ კუთხით პრაქტიკასა და თეორიაში გაურკვევლობა არ არსებობს. შემოქმედების თავისუფლების, როგორც ადამიანის უფლების, სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა.[2931] ამ უფლებით დაცულია არა მხოლოდ შემოქმედი - ნაწარმოების შემქმნელი, მიუხედავად მისი ცნობადობისა თუ დონისა, არამედ ისინიც, ვინც ახორციელებს ნაწარმოების შესრულებას, გავრცელებას ან გამოფენას, ანუ პუბლიკამდე მის მიტანას და შუამავლის ფუნქციას შემოქმედსა და საზოგადოებას შორის.[2932]

1365 შემოქმედების თავისუფლების სუბიექტთა წრე არ იზღუდება მხოლოდ ფიზიკური პირებით.[2933] თავისი არსით, ის გამოყენებადია იურიდიული პირების მიმართაც.[2934] აქ, პირველ რიგში, იგულისხმება კერძო სამართლის იურდიული პირის სხვადასხვა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული შემოქმედების სფეროში მოღვაწე სუბიექტები - ანსამბლები, ორკესტრები, თეატრები, სახელოვნებო სასწავლებლები, მოყვარულ ხელოვანთა ან ხელოვნების მხარდამჭერთა გაერთიანებები და სხვა.[2935] შემოქმედების თავისუფლების სუბიექტები, გამონაკლისის სახით, არიან საჯარო სამართლის იურდიული პირის სტატუსის მქონე სუბიექტები,[2936] რომელთა საშუალებით ან/და მხარდაჭერით ხდება ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის ან/და გავრცელების უზრუნველყოფა, მაგალითად ე.წ. სახელმწიფო თეატრები. ამასთან, შემოქმედების თავისუფლება იცავს ამ კატეგორიის საჯარო სამართლის იურდიული პირების საქმიანობას და არა არსებობას.[2937]

1366 კონსტიტუცია ასევე არ მიუთითებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების სუბიექტებზე, თუმცა შემოქმედების თავისუფლების მსგავსად, ამ უფლების პერსონალური დაცული სფეროც არ შემოიფარგლება მხოლოდ მოქალაქეებით და ვრცელდება ყველა ფიზიკურ პირზე, ასევე კერძო სამართლის იურდიულ პირებზე, როგორც ნაწარმოების ავტორებზე, ასევე ე.წ. „შუამავლის ფუნქციის“ განმახორციელებელზე მათსა და პუბლიკას შორის.

[2931] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 267.

[2932] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 268; ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 236; Bethge, GG, Art. 5, Rn. 191a.; Ipsen, Grundrechte, Rn. 499; Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 23; Pernice I. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 Abs. 3 (Kunst) GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 27; BVerfGE 30, 173 (191); 81, 278 (292).

[2933] მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 191.

[2934] Starck, GG, Art. 5 III, Rn. 323; BVerfGE 30, 173 (191).

[2935] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 270; Bethge, GG, Art. 5, Rn. 191.

[2936] დაწვრილებით იხილე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 270-271; Bethge, GG, Art. 5, Rn. 192.

[2937] შეადარე: Bethge, GG, Art. 5, Rn. 193.

კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლება აქვს „ყველას“. ეს ტერმინი მოიცავს როგორც ფიზიკურ პირებს, მათ შორის უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასევე იურდიულ პირებსაც. 1367

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. შემოქმედების თავისუფლება

კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება უზრუნველყოფს შემოქმედების თავისუფლებას. ამ უფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის განმარტებას, თუ რას გულისხმობს ტერმინი „შემოქმედება“. ეს გავლენას მოახდენს ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცული სფეროს განსაზღვრაზეც. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით „შემოქმედების“ ფართო გაგებას, რაც მხატვრულ შემოქმედებასთან - ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებთან ერთად, მოიცავს სამეცნიერო და ტექნიკურ შემოქმედებასაც.[2938] სავარაუდოდ, ამ მოსაზრების ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა კონსტიტუციის ძველი რედაქციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველმა წინადადებამ, რომელიც უზრუნველყოფდა „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას“. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ ეს ტერმინი ჩაანაცვლა „შემოქმედების თავისუფლებამ“. „შემოქმედების“ ვიწრო გაგებას გვთავაზობს მოსაზრება, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ტერმინის „ხელოვნების თავისუფლება“ გამოყენებას, ანუ „შემოქმედებაში“ მხოლოდ ისეთ პროცესს გულისხმობს, რაც უკავშირდება ხელოვნების ნაწარმოებების შექმნასა და გავრცელებას.[2939] „შემოქმედების“ ცნებაში, სახელოვნებოს გარდა, სამეცნიერო, ტექნიკური თუ სხვა სახის ინტელექტუალური პროცესის მოქცევა ძალიან აფართოვებს შემოქმედების თავისუფლებით დაცულ სფეროს და არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-20 მუხლის არსსა და მიზანს. მართალია, ხელოვნებაც ინტელექტუალური პროცესია, თუმცა ის ამავდროულად საზოგადოებასთან კომუნიკაციაცაა, რომელიც სოციუმისათვის გაზიარებასა და გარე კონტაქტს საჭიროებს.[2940] შემოქმედების თავისუფლება იცავს კრეატიული, სახელოვნებო ნაწარმოების შექმნისა და გავრცელების, საზოგადოებისათვის მიწოდების პროცესს, რომლის მიზანიცაა საზოგადოებაზე სულიერი და გონებრვი ზეგავლენის მოხდენა. უზრუნველყოფილია ხელოვნების არა მხოლოდ შექმნის, არამედ ზემოქმედების სფეროც.[2941] მსგავსი თავისებურებები არ ახასიათებს სხვა ინტელექტუალურ პროცესს, მაგალითად სამეცნიერო ნაშრომის შექმნას ფიზიკის სფეროში ან სამკურნალო პრეპარატის გამოგონებას. შემოქმედების თავისუფლების საკომუნიკაციო კომპონენტის არსებობასა და მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მას სწორედ 1368

[2938] ჯორბენაძე, 23-ე მუხლის კომენტარი, 244-245.
[2939] დაწვრილებით იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 266-267.
[2940] Bethge, GG, Art. 5, Rn. 188.
[2941] BVerfGE 30, 173 (189); 81, 278 (292).

გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში განიხილავს, როგორც შემადგენელ ნაწილს თავისუფლებისა, მიიღო და გაავრცელო იდეები და ინფორმაცია.[2942]

1369 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „შემოქმედება“ და „შემოქმედების თავისუფლება“, კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზნებისათვის, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ხელოვნებისა“ და „ხელოვნების თავისუფლების“ სინონიმები. ქვემოთ ეს ტერმინები სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციით იქნება გამოყენებული. ეს მიდგომა კონსტიტუციური დაცვის მიღმა არ აყენებს სხვა სახის ინტელექტუალური საქმიანობის თავისუფლებას. მაგალითად, აკადემიურ სფეროში განხორციელებული ინტელექტუალური საქმიანობა დაცულია აკადემიური თავისუფლებით.[2943] იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას, ინტელექტუალური საქმიანობა ექცევა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, კერძოდ საქმიანობის საყოველთაო თავისუფ-ლების მოქმედების სფეროში.

1370 შემოქმედების თავისუფლება, თავისი არსით, ბუნებითი უფლებაა[2944] და წინასახელმ-წიფოებრივი ხასიათი აქვს. ეს გარემოება ართულებს მისი საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების მკაფიოდ განსაზღვრას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ „ხელოვნების“ ზოგადი დეფინიციის ჩამოყალიბება ფაქტობრივად შეუძლებელია.[2945] ეს არ ნიშნავს, რომ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი სტანდარტების დადგენა დაუშვებელია, პირიქით - ეს აუცილებელიცაა[2946] და ეს თვით ამ უფლების ეფექტიანი დაცვის ინტერესებშია. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც სცადა ხელოვნების მიახლოებითი დეფინიციის ჩამოყალიბება. მისი აზრით, სახელოვნებო საქმიანობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ შემოქმედებით პროცესს, რომლის ფარგლებშიც, სხვა-დასხვა ფორმის გამოყენებით, უშუალო გამოხატულებას ჰპოვებს ხელოვანის შთაბეჭდილებები, გამოცდილება და ემოციები. საკონსტიტუციო სასამართლო სახელოვ-ნებო საქმიანობას განიხილავს, როგორც ცნობიერი და ქვეცნობიერი პროცესების შერწყმას, რომელიც რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება. შემოქმედებით პროცესში ერთობლივად მუშაობს ინდივიდის ინტუიცია, ფანტაზია და ხელოვნების შეგრძნება. ეს არის შემოქმედის ინდივიდუალობის უშუალო გამოხატვა.[2947] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება არა იმდენად დეფინიციად, რამდენადაც პერიფრაზად მიიჩნევა.[2948] ის არ იძლევა უნივერსალურ გასაღებს თუნდაც მასში მოცემული მახასიათებლების პროცესის „ხელოვნებად“ დაკვალიფიცირებისათვის, ამიტომ დაცული სფეროს განსაზღვრა უფრო კონკრეტული სამართალგამოყენების პროცესში ხორციელდება.[2949]

[2942] დაწვრილებით იხ.: Mensching, EMRK, Art. 10, Rn. 22 f.
[2943] კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[2944] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 13a; BVerfGE 69, 315 (349); 77, 65 (78); 95, 220 (237).
[2945] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 267; Beisel D., Die Kunstfreiheitsgarantie des Grundgesetzes und ihre strafrechtlichen Grenzen, 1997; Bethge, GG, Art. 5, Rn. 182 ff.; Pernice, GG, Art. 5 III, Rn. 17 ff.; Starck, GG, Art. 5 III, Rn. 298.
[2946] BVerfGE 75, 369 (377).
[2947] BVerfGE 30, 173 (189).
[2948] Ipsen, Grundrechte, Rn. 502.
[2949] BVerfGE 67, 213 (225); 75, 369 (377).

ზოგადად, იმის განსაზღვრა, რამდენად წარმოადგენს საქმიანობა „ხელოვნებას“ და „შემოქმედებით პროცესს“, ინდივიდის პრეროგატივა ვერ იქნება. უფლების სუბიექტის მიერ თავისივე უფლების ფარგლების დამოუკიდებელი და სავალდებულო დადგენა ძირითადი უფლებების დოგმატიკას თავდაყირა დააყენებდა.[2950] ამავდროულად, კონკრეტული პროცესის შეფასებისას გარკვეული ორიენტირის როლს ასრულებს მისი განმახორციელებელი ინდივიდის თვითშეფასება, ანუ რამდენად და რატომ აღიქვამს ის თავს „ხელოვანად“/„შემოქმედად“, მხოლოდ თავის საქმიანობას - „ხელოვ-ნებად“/„შემოქმედებად“. თვითშეფასება უნდა გაამყაროს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა საზოგადოებრივი შეფასება, ხელოვნებაში გარკვეული პუბლიკისა თუ სახელოვნებო წრეების პოზიცია და ა.შ.[2951] ამასთან, როდესაც საქმე ხელოვნებას შეეხება, უმრავლესობის დამოკიდებულება, მართალია გარკვეულწილად მიმართულების მაჩვენებელია, მაგრამ გადამწყვეტი არ არის. ამ კონტექსტში, მართებულად აღნიშნავენ, რომ ხელოვნება ზოგჯერ ექსტრემალურად ელიტური და მინორიტარულია, ხოლო ხელოვნების თავისუფლება, ყველა ნამდვილი თავისუფლების მსგავსად, უმცირესობების თავისუფლებაცაა.[2952] ამას ისტორიული გამოცდილებაც ადასტურებს. ხშირად გენიალურ შემოქმედს არ, ან სათანადოდ არ აღიარებდა მისი თანამედროვე სოციუმი და სახელოვნებო წრეები. 1371

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედების თავისუფლების დაცული სფეროს ზღვარი გადის იქ, სადაც იწყება ძალადობა. ის არ იცავს ძალადობრივ, უხეშ ან/და არამშვიდობიან „ხელოვნებას“. ამდენად, შემოქმედების თავისუფლებაზე, თავისუფ-ლების სხვა უფლებების მსგავსად, ვრცელდება მშვიდობიანობისა და არაძალადობ-რიობის დათქმა.[2953] შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე მკაფიო კრიტერიუმია საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლებისათვის. 1372

შემოქმედების თავისუფლებით დაცული სფეროს მასშტაბებს აფართოვებს ის გარემოება, რომ ის მოიცავს შემოქმედებით საქმიანობას მისი დონის მიუხედავად.[2954] კონკრეტულ შემთხვევაში ხელოვნების დონის შემოწმება გადაიზრდებოდა მისი შინაარ-სის კონტროლში, რაც კონსტიტუციურსამართლებივად დაუშვებელია.[2955] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: „კარგი“ ან „ცუდი“, „ღირებული“ ან „უსარგებლო“, „ლამაზი“ ან „მახინჯი“, „სწორი“ ან „მცდარი“ და ა.შ.[2956] მისი აზრით, ამა თუ იმ ნაწარმოების ხელოვნების ნიმუშად აღიარება არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ მისი სტილის, დონისა და შინაარსის კონტროლზე ან ზემოქმედების შეფასებაზე.[2957] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ნაწარმოების პროვოკაციულობა, თავხედურობა და არატოლერანტულობაც კი, ისევე როგორც მასში პორნოგრაფიული ელემენტების ან 1373

[2950] Isensee J., Wer definiert die Freiheitsrechte? 1980.
[2951] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 508.
[2952] Bethge, GG, Art. 5, Rn. 185.
[2953] იქვე, Rn. 198c.
[2954] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 267; ჯორბენაძე, 23-ე მუხლის კომენტარი, 236.
[2955] მაგ.: Scholz R. (Bearb.), Kommentar zum Art. 5 III GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 39.
[2956] BVerfGE 75, 369 (377).
[2957] BVerfGE 75, 369 (377); 81, 278 (291).

ვულგარული ენის გამოყენება, a priori არ წარმოადგენს მისი ხელოვნების თავისუფლებით დაცული სფეროდან გამორიცხვის საფუძველს.[2958]

1374 ზემოაღნიშნული ღია მიდგომა შესაბამისად აისახება კონკრეტულ შემთხვევებზე. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ხელოვნების სფეროს მიაკუთვნა არა მხოლოდ პაროდია, პერსიფლაჟი, სატირა და კარიკატურა,[2959] არამედ ასევე კოლაჟი, რომელიც ასახავდა სახელმწიფო დროშაზე მოშარდვას,[2960] ხოლო ე.წ. „მუტცენბახერის გადაწყვეტილებაში“ კი არ გამორიცხა, რომ პორნოგრაფიული რომანი წარმოადგენდეს „ხელოვნებას“ კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით.[2961]

1375 მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც. შემოქმედებითი გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ ისეთ შემოქმედებას, რომელიც არაპროვოკაციული და საზოგადოების უმრავლესობისათვის მისაღებია, არამედ ცალკეული პირებისა თუ საზოგადოებისათვის კატეგორიულად მიუღებელ და ზოგჯერ შოკისმომგვრელ ხელოვნებასაც - სატირულ კარიკატურებს,[2962] პოლიტიკოსების კოლაჟს სექსუალურ პოზებში,[2963] ნამდვილ ამბებზე დაფუძნებულ რომანს,[2964] მკრეხელურ ფილმს,[2965] უხამს ნახატებს[2966] და ა.შ.

1376 კონსტიტუციით უზრუნველყოფილია როგორც შემოქმედებითი პროცესის, ანუ შემოქმედებითი ნაწარმოების შექმნის, ასევე მისი გავრცელების თავისუფლება.[2967] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელოვნების თავისუფლებას აქვს „საქმიანობის სფერო“ და „ზემოქმედების სფერო“.[2968] საქმიანობის სფეროში, იგივე შემოქმედებით პროცესში, იგულისხმება ხელოვანის შესაძლებლობა, გარე ჩარევისა და ხელშეშლის გარეშე შექმნას ხელოვნების ნაწარმოები. ამ სფეროს საფრთხე უფრო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ემუქრება, რომელიც ცდილობს ჩანასახშივე მოსპოს თავისუფალი აზროვნების ნებისმიერი ნაყოფი. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მსგავსი პრობლემები არ არსებობს, ხოლო ხელოვნების თავისუფ-ლება, პირველ რიგში, ხელოვნების ნაწარმოების საზოგადოებისათვის წარდგენასა და გავრცელებაში მდგომარეობს.[2969] ზემოქმედების სფეროს მიეკუთვნება ნაწარმოების რეკლამაც.[2970] ნაწარმოების გავრცელებას მრავალი, მათ შორის მატერიალური სარგებლის მიღების მიზანი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მთავარი მაინც მასში ჩადებული აზრის, იდეის საზოგადოებამდე მიტანა და მასზე ამგვარად ზემოქმედების მოხდენაა.

1377 შემოქმედების თავისუფლებას მართებულად მიაკუთვნებენ თავისუფლების, იგივე თავდაცვით უფლებათა ჯგუფს, რადგანაც ის უზრუნველყოფს ადამიანის საქმიანობისა და მოქმედების თავისუფალ სფეროს და სახელმწიფოს ძირითადად აკისრებს ნეგატიურ

[2958] BVerfGE 83, 130 (138).
[2959] BVerfGE 75, 369 (377).
[2960] BVerfGE 81, 278 (292 ff.).
[2961] BVerfGE 83, 130 (139 f.).
[2962] Leroy v. France.
[2963] Vereinigung Bildender Künstler v. Austria.
[2964] Alinak v. Turkey.
[2965] Otto-Preminger-Institut v. Austria.
[2966] Müller and Others v. Switzerland.
[2967] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 268.
[2968] BVerfGE 30, 173 (189); 67, 213 (224).
[2969] Ipsen, Grundrechte, Rn. 509.
[2970] BVerfGE 77, 240 (253 f.).

ვალდებულებებს (status negativus) – არ ჩაერიოს ან მხოლოდ სპეციალური დასაბუთებით ჩაიერიოს ამ სფეროში.[2971] გამართლებული არ არის შემოქმედების თავისუფლების კლასიფიცირება „სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის"[2972] ანუ status positivus უფლებად. მართალია, მისგან შეიძლება გამომდინარეობდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებიც (მაგალითად, შემოქმედებით პროცესში ჩაურევლობის სამართლებრივი გარანტიების შექმნის ვალდებულება[2973]), მაგრამ ეს განპირობებულია შემოქმედების თავისუფლების, როგორც ობიექტური ფასეულობის, დიდი მნიშვნელობით და არა მისი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათით. ის არ არის მფარველობითი უფლება,[2974] რომლის საფუძველზეც ინდივიდს მიეცემოდა სახელმწიფოსათვის ხელშეწყობისა თუ უზრუნველყოფის სუბიექტურსამართლებრივი პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა.[2975]

1378

შემოქმედების თავისუფლებას, განსაკუთრებით შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების, საკომუნიკაციო და ზემოქმედების ასპექტში, მჭიდრო კავშირი და კვეთა აქვს გამოხატვის თავისუფლებასთან. არსებობს ამ უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნის საჭიროება. შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის შესაძლებლობა კონსტიტუციით უფრო ლიმიტირებულია, ვიდრე გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისა,[2976] გარდა ამისა, გამოხატვის თავისუფლებისაგან განსხვავებით, შემოქმედების თავისუფლების შეზღუდვა ან შეჩერება დაუშვებელია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც.[2977] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა საქმე, რომელშიც დადგებოდა გამოხატვისა და შემოქმედების თავისუფლებებს შორის მიჯნის გავლების შესაძლებლობა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხელოვნების თავისუფლებას განიხილავს სპეციალურ ძირითად უფლებად გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით.[2978] სატირული გამონათქვამების შემთხვევაში სახეზეა იდეალური კონკურენცია ამ უფლებებს შორის და ისინი ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება.[2979] სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად იყენებს პრინციპს In dubio pro arte, ანუ საეჭვო სიტუაციების შემთხვევაში ის უპირატესობას ანიჭებს ხელოვნების თავისუფლებას, თუმცა ეს მიდგომა კრიტიკულადაცაა შეფასებული.[2980] კრიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ, რომ აზრის ნებისმიერი გამოხატვა, განსაკურებით პოლიტიკური დაპირისპირების ფარგლებში, რომელიც ხელოვნების მედიუმის გამოყენებით ხორციელდება, ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროს უნდა მიეკუთვნოს. ამის მაგალითად მოჰყავთ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საქმე, რომელიც შეეხებოდა ერთ-ერთ ჟურნალში მაღალი

[2971] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 267; Bethge, GG, Art. 5, Rn. 189; Ipsen, Grundrechte, Rn. 510.
[2972] ჯორბენაძე, 23-ე მუხლის კომენტარი, 234.
[2973] იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის კომენტარი, იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 295.
[2974] Ipsen, Grundrechte, Rn. 510.
[2975] Ipsen, Grundrechte, Rn. 510; Pernice, GG, Art. 5 III, Rn. 45; Scholz, GG, Art. 5 III, Rn. 6, 40.
[2976] იხ.: კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.
[2977] იხ.: კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[2978] მაგ.: BVerfGE 30, 173 (200); 32, 52 (70 f.); 67, 213 (222); 75, 369 (377).
[2979] BVerfGE 68, 226 (233); 75, 369 (377); 86, 1 (9).
[2980] დაწვრილებით იხ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 519 ff.; Scholz, GG, Art. 5 III, Rn. 27.

რანგის პოლიტიკოსის კარიკატურის გამოქვეყნებას. კარიკატურაზე ის გამოსახული იყო ღორად, რომელიც ჯვარდებოდა მეორე, მოსამართლის მანტიასა და ქუდში გამოწყობილ ღორთან.[2981] კრიტიკოსების აზრით, მართალია, ხელოვანს აქვს პოლიტიკურ დებატებში საკუთარი წვლილის შეტანის უფლება, მაგრამ ამ დროს წინა პლანზე გამოდის აზრის გამოხატვა, ხოლო შემოქმედებითი ელემენტი ინსტრუმენტალიზებულია და უკან უნდა დაიხიოს.

1.2.2.2. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

1379 კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი, შემოქმედების თავისუფლებასთან ერთად, იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას. შემოქმედების თავისუფლების მსგავსად, ამ უფლების დაცული სფეროს ფარგლებთან დაკავშირებითაც განსხვავებული პოზიციები არსებობს, რაც განპირობებულია „ინტელექტუალური საკუთრების“ ცნების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით. ინტელექტუალური საკუთრების ვიწრო გაგებით, ეს უფლება შემოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს და ვრცელდება მხოლოდ შემოქმედებითი პროცესის, სახელოვნებო საქმიანობის შედეგზე - შემოქმედებით ნაწარმოებზე.[2982] ფართო გაგების მიხედვით,[2983] ინტელექტუალური საკუთრებით დაცული სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელოვნებო საქმიანობის შედეგებით და მოიცავს სრულად არა მხოლოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, არამედ სამრეწველო საკუთრებასაც. ეს გაგება ეფუძნება შესაბამის კანონმდებლობას და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო კონვენციას (1967), ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლო აცხადებს, რომ „ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობა ვრცელ-დება შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფე-როებში“.[2984]

1380 აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციისათვის სამოქალაქოსამართლებრივი ტერმინების გამოყენება უცხო არაა. ამავდროულად, კონსტიტუციაში ასახული ნებისმიერი ცნება უნდა იქნეს გაგებული მისი ავტონომიური, კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობით, რომელიც ყოველთვის არ ემთხვევა იმ მნიშვნელობას, რაც კანონმდებლობაშია გავრცელებული. ამის მკაფიო მაგალითია „ღირსების“ კონსტიტუციურსამართლებრივი გაგება, რომელიც არსებითად განსხვავდება იდენტური ტერმინის სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან. კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ერთგვარად „აწყვილებს“ შემოქმედების თავისუფლებასთან, რაც შემთხვევითი არ არის. ამით ხდება ამ უფლებებს შორის კავშირის ხაზგასმა და რაც მთავარია, შემოქმედების თავისუფლებასთან ერთად,

---

[2981] BVerfGE 75, 369.

[2982] დაწვრილებით იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 269.

[2983] დაწვრილებით იხ.: ჯორბენაძე, 23-ე მუხლის კომენტარი, 239-240.

[2984] საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისის N2/77/11 გადაწყვეტილება საქმეზე „მალხაზ მუმლაძე, ეთერ ჟიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შუღლიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ქოქელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ“, 9.

ინტელექტუალური საკუთრების დაცულობის გაზრდილი ხარისხის უზრუნველყოფა. ინტელექტუალური საკუთრების გარანტირების გაზრდილი ხარისხი კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილ საკუთრების უფლებასთან შედარებით, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფოს მიერ ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა უფრო ლიმიტირებულია. გარდა ამისა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს მე-19 მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ასევე შესაძლებელია შეჩერდეს ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, რომელიც საკუთრების ჩამორთმევას შეეხება.[2985] ეს კონსტიტუციური დანაწესი არ ვრცელდება კონსტიტუციის მე-20 მუხლზე და მაშასადამე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზეც. ინტელექტუალური საკუთრების დაცულობის გაზრდილ ხარისხს შემოქმედების თავისუფლებასთან კავშირი განაპირობებს და ლოგიკურია ამგვარი დაცვის მხოლოდ შემოქმედებითი პროცესის შედეგზე - შემოქმედებით ნაწარმოებზე გავრცელება. კონსტიტუციის ავტორებს სხვაგვარი ჩანაფიქრი რომ ჰქონოდათ, მათთვის პრობლემა არ იქნებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ნორმის შემოქმედების თავისუფლებისაგან განცალკევებით განთავსება კონსტიტუციის ტექსტში. საეჭვოა ისიც, რომ კონსტიტუციის მიზანი იყოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობისას შეზღუდვის ან შეჩერების რეჟიმიდან მაგალითად სამრეწველო საკუთრების გამორიცხვა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროს შეიძლება გაჩნდეს მისი ამგვარ რეჟიმში მოქცევის წონადი და გადაუდებელი საჯარო ინტერესი.

1381 რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 1999 წლის 27 ივლისის N2/77/11 გადაწყვეტილებაში კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განხორციელებულ განმარტებას, აქაც მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ეს პუნქტი შედარებით ფართო ტერმინს „ინტელექ-ტუალური შემოქმედების თავისუფლებას“ ითვალისწინებდა, რომელიც 2017 წლის რეფორმით ტერმინმა „შემოქმედების თავისუფლება“ ჩაანაცვლა. საკონსტიტუციო სასამართლოს ინტელექტუალური საკუთრების ფარგლებთან დაკავშირებით ჯერჯე-რობით არ უმსჯელია კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციის კონტექსტში, თუმცა სამომავლოდ გაუმართლებელი იქნებოდა იმ გარემოებების იგნორირება, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება.

1382 „ინტელექტუალური საკუთრების“ ცნების ვიწრო გაგება კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზნებისათვის არ ნიშნავს იმ სიკეთეების კონსტიტუციური დაცვის მიღმა დატოვებას, რასაც ეს ცნება არ მოიცავს. ისინი ექცევიან კონსტიტუციის მე-19 მუხლის (საკუთრების უფლება) უზრუნველყოფის სფეროში. ამას საზღვარგარეთული გამოცდილებაც ადასტურებს. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საკუთრების უფლება ინტელექტუალურ საკუთრებასაც იცავს.[2986] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ინტელექტუალურ საკუთრებას ცალკე ნორმას არ უძღვნის, მაგრამ კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრების დაცვა) ინტელექტუალურ საკუთრებაზეც ვრცელდება.[2987] ევროპული

[2985] კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[2986] BVerfGE 31, 229 (239); 77, 263 (270 f.); 79, 29 (40 f.).
[2987] დაწვრილებით იხ.: Kaiser K. (Bearb.), Kommentar zum Art.1 EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 14.

სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, დაცვის სფეროში ექცევა გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასელექციო მიღწევები, სასაქონლო ნიშნები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები და ა.შ.[2988]

1383 ინტელექტუალური საკუთრების უფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს კონსტიტუციის მოთხოვნების დარღვევით მისი შეზღუდვისაგან. გარდა ამისა, ამ უფლების ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რაც პირველ რიგში, მდგომარეობს შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის შექმნაში მის დასაცავად.[2989]

1.2.2.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლება

1384 კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით, რომელიც ასევე ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას კანონით. „კულტურული მემკვიდრეობის“ განმარტებას გვთავაზობს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც ამ ცნებაში მოიაზრებს როგორც მატერიალურ,[2990] ასევე არამატერიალურ[2991] ობიექტებს. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ტერმინი „კულტურული მემკვიდრეობა“ უნდა განიმარტოს ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით. ამგვარად, მისი შინაარსი და ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს საკანონმდებლო დეფინიციისაგან და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონით „კულტურულ მემკვიდრეობას“ მიკუთვნებულ ნებისმიერ ობიექტზე ვერ გავრცელდება კონსტიტუციური გარანტიები.[2992]

1385 საკონსტიტუციო სასამართლო „კულტურული მემკვიდრეობის“ შინაარსისა და ფარგლების ცხადად განსაზღვრას „წარმოუდგენლად რთულ ამოცანად“ თვლის. ამდენად, ავტონომიურ კონსტიტუციურ მნიშვნელობაზე ხაზგასმა უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ სასამართლო იტოვებს გარკვეულ სივრცეს კონკრეტულ შემთხვევებში ამა თუ იმ ობიექტის ან ობიექტთა ჯგუფის „კულტურული მემკვიდრეობისათვის“ მიკუთვნებისათვის და შესაბამისად, მათზე კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედების გავრცელებისათვის. ამავდროულად, „კულტურული მემკვიდრეობის

[2988] დაწვრილებით იხილე მაგ.: Smith Kline and French Laboratories Ltd. v. the Netherlands (N12633/87; 4.10.1990); Anheuser-Busch Inc. v. Portugal (N73049/01; 11.1.2007); Balan v. Moldova (N19247/03; 29.1.2008).

[2989] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 270.

[2990] „ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან.“ („კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ლ.ა“ ქვეპუნქტი).

[2991] „ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათწესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.“ („კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ლ.ბ“ ქვეპუნქტი).

[2992] N2/6/1216 გადაწყვეტილება, II-9.

შესახებ“ კანონის შესაბამის ნორმებზე,[2993] ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს სამ ძირითად კრიტერიუმს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ამა თუ იმ ობიექტის „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად“,[2994] ანუ „კულტურული მემკვიდრეობის“ ნაწილად აღიარება - სიძველე, უნიკალურობა და ავთენტიკურობა.[2995] ის, ამავდროულად, მიუთითებს ამ კრიტერიუმების ზოგად ხასიათზე და კონკრეტულ შემთხვევებში შემფასებლის სუბიექტური შეხედულების გავლენაზე და საბოლოოდ ასკვნის, რომ „კულტურულ მემკვიდრეობას“ და შესაბამისად კონსტიტუციური დაცვის სფეროს შეიძლება მიეკუთვნოს „..ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ძეგლი, რომელიც მისი სიძველის, უნიკალურობის ან ავთენტიკურობის გათვალისწინებით, სფეროს პროფესიონალების შეფასებით, აკმაყოფილებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად მიჩნევის კრიტერიუმებს..“[2996] ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სახელმწიფოს საკუთრებაშია, თუ სხვა რომელიმე სუბიექტის საკუთრებაში.[2997]

1386 კულტურული მემკვიდრეობის „დაცვაზე ზრუნვის“ უფლება ამ უფლების სუბიექტს ანიჭებს შესაძლებლობას, საკუთარი ნებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, განახორციელოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები. გასათვალისწინებელია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვა, როგორც წესი, მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსთანაა დაკავშირებული. ამ სფეროში საქმიანობა ხშირად მოითხოვს სათანადო საექსპერტო ცოდნასა და გამოცდილებას. გარდა ამისა, აუცილებელია ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირება, რასაც კერძო პირი ვერ განახორციელებს. ამდენად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის ღონისძიებების განხორციელება ხშირად აღემატება კერძო პირის ობიექტურ შესაძლებლობებს. თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლების დაცული სფერო მხოლოდ ამით არ ამოიწურება. შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო status positivus უფლებაა, რომელსაც შეიძლება დაეფუძნოს ინდივიდის პრეტენზია სახელმწიფოსადმი, რომ ამ უკანასკნელმა იმოქმედოს და მიიღოს სათანადო ზომები კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

1387 კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების მიხედვით, „კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით“. ამ ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გამართული

[2993] მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი და მე-15 მუხლი.

[2994] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უძრავი ან მოძრავი ნივთი), რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი“ („ი.ა“ ქვეპუნქტი), ასევე „კომპლექსური ძეგლი – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი“ („ი.ბ“ ქვეპუნქტი).

[2995] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ავთენტიკურობა“ არის „ობიექტის, მისი სტრუქტურული ელემენტის, გარემოს, კონტექსტის, ფუნქციის ან/და თვისებების პირველქმნილობა, მათი შექმნის ან ჩამოყალიბების თანადროულობა.“

[2996] დაწვრილებით იხ.: N2/6/1216 გადაწყვეტილება, II-11-14.

[2997] იქვე, II-24.

სამართლებრივი ბაზა. ბუნებრივია, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი რეგულირებით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარდა სამართლებრივისა, ასევე მოიცავს სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.[2998]

1388 საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს გარკვეულ სტანდარტებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება. სახელმწიფოს მოქმედება უნდა იყოს დროული და ეფექტიანი. მას „ევალება, გონივრულ ფარგლებში მიმართოს საკუთარი რესურსები, რათა თავიდან იქნეს აცილებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაზიანება და მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული მისი თავდაპირველი მდგომარეობა, რაც მის მნიშვნელობასა და ღირებულებას განაპირობებს.“[2999] სახელმწიფოს ვალდებულებაა კულტურული მემკვიდრეობისათვის ზიანის მიყენების შეძლებისდაგვარი პრევენცია (მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის კონსერვაციით), ხოლო თუ ის უკვე სახეზეა - მისი გამოსწორება (მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის რესტავრაციით). სახელმწიფომ უნდა აიცილოს როგორც მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ასევე კერძო პირების მოქმედების შედეგად კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება. კერძო პირებს არ უნდა მიეცეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე შეუზღუდავი ზემოქმედების შესაძლებლობა. ამისათვის სახელმწიფომ უნდა აკრძალოს დამაზიანებელი ქმედებები და დააწესოს ადეკვატური სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ რეპრესიულ ღონისძიებებს მართებულად არ მიიჩნევს საკმარისად კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიანი დაცვისათვის. „თუკი პირი მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას ვერ უვლის სათანადოდ არასაკმარისი რესურსის გამო, სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს ყველა გონივრული ღონისძიება, რომლებიც აუცილებელია ძეგლის შესანარჩუნებლად.“[3000]

2. ჩარევა შემოქმედების თავისუფლებაში, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებებში

2.1. ჩარევა შემოქმედების თავისუფლებაში

1389 სახელმწიფოს მხრიდან შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის შესაძლებლობა უკიდურესად შეზღუდულია. კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს შემოქმედებით პროცესში ჩარევას და ცენზურას შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში. ამგვარი ჩარევების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, საჭირო აღარაა მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმება, რადგანაც ისინი a priori არაკონსტიტუციურია, არღვევს შემოქმედების თავისუფლებას და გამართლებას არ ექვემდებარება. ამდენად, ამ ნაწილში შემოქმედების თავისუფლება აბსოლუტურად დაცული ძირითადი უფლებაა.[3001]

[2998] იხ.: „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი.
[2999] N2/6/1216 გადაწყვეტილება, II-2.
[3000] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-4-7.
[3001] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 269, 271.

1390 შემოქმედებითი პროცესი მოიცავს შემოქმედებითი ნაწარმოების (მაგალითად, რომანი, ფილმი, ნახატი, სიმფონია და ა.შ.) შექმნის ყველა ეტაპს და შექმნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის შემოქმედების თავისუფლების შინაგანი განზომილება, რომელიც აბსოლუტურად დაცულია ყოველგვარი ჩარევებისაგან. რაც შეეხება ცენზურას, რომელიც ასევე აკრძალულია, მასზე უკვე გამახვილდა ყურადღება გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში. იგივე მიდგომა შეიძლება გავრცელდეს ცენზურაზეც შემოქმედებით სფეროში. შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც გამოხატვის კრეატიული ფორმა, ცენზურისაგან თავისუფალი იქნებოდა სპეციალური კონსტიტუციური ჩანაწერის არსებობის გარეშეც. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი ცენზურის აკრძალვას ხელოვნების თავისუფლების კონტექსტში პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ მაინც ითვლება, რომ ცენზურის აკრძალვის პრინციპი უნდა გავრცელდეს ხელოვნების სფეროზეც.[3002]

1391 კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ყურადღებას ამახვილებს შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვაზე, როგორც შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის დასაშვებ ფორმაზე და მკაცრ პირობებს უწესებს მას. აკრძალვა შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმაა, რაც ფაქტობრივად სრულად გამორიცხავს მის გავრცელებას. თუ კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ყველაზე მძიმე ფორმას, ალოგიკური იქნებოდა, რომ ის კრძალავდეს შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების სხვა, შედარებით მსუბუქ შეზღუდვებს (მაგალითად, მხატვრული ფილმის ჩვენების დაშვება მხოლოდ გარკვეულ ასაკს მიღწეული მაყურებლისათვის).

2.2. ჩარევა ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში

1392 ინტელექტუალური საკუთრების უფლება აბსოლუტურად დაცული უფლებების რიცხვს არ განეკუთვნება. ამ უფლებაში ჩარევის დასაშვებობის ფარგლებზე გავლენას ახდენს მისი მჭიდრო კავშირი შემოქმედების თავისუფლებასთან. ამიტომაც ჩარევას ვერ დაექვემდებარება შემოქმედებითი ნაწარმოების, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის, შექმნა. შეზღუდვა შეიძლება შეეხოს მხოლოდ შემოქმედებითი ნაწარმოების, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის, გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ მატერიალური სარგებლის მიღების ინტერესს. მსგავს შეზღუდვებს, რომლებიც იძლევა ნაწარმოების სხვადასხვა ფორმით გავრცელებისა და გამოყენების შესაძლებლობას საავტორო უფლების მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, ითვალისწინებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი (მაგალითად: ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ,[3003] მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს,[3004]

[3002] Bethge, GG, Art. 5, Rn. 129.
[3003] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი.
[3004] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი.

ნაწარმოების რეპროდუცირება სასამართლო წარმოებისათვის[3005] და ა.შ.), რაც არ გამორიცხავს სხვა ტიპის შეზღუდვების სხვა კანონებით გათვალისწინებას.

1393 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მხოლოდ ერთხელ მოუწია მსჯელობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირების თემაზე. დავის საგანს წარმოადგენდა ნორმატიული აქტები, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაჩქარების ორგანიზაციულ ღონისძიებებს და განსაზღვრული სააქციო საზოგადოებების აქციების გაყიდვას სპეციალიზებულ აუქციონზე ნულოვანი საწყისი ფასით. აშკარა იყო, რომ სადავო აქტების შინაარსს არავითარი კავშირი ჰქონდა არც ინტელექტუალური შემოქმედებისა და არც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა სადავო უფლებებში ჩარევა და შესაბამისად, მათი დარღვევა.[3006]

2.3. ჩარევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში

1394 კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლება აბსოლუტური ხასიათის არ არის.[3007] როგორც აღვნიშნეთ, ეს უფლება უფრო status activus უფლებების ჯგუფს განეკუთვნება, ამიტომ მასში ჩარევა ძირითადად გამოიხატება სახელმწიფოს მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში. ჩარევა ასევე შეიძლება მდგომარეობდეს კერძო პირის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განხორციელებისათვის გარკვეული პირობებისა და შეზღუდვების დადგენასა და მათი შესრულების უზრუნველყოფისაკენ მიმართულ ღონისძიებებში.

1395 პრაქტიკაში მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ კონკრეტულმა ნორმამ ან ღონისძიებამ გამოიწვია მისი უფლების შეზღუდვა. ერთ-ერთ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ქ. ქუთაისისათვის არასაკმარისი ოდენობის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფა, რაც მოსარჩელის აზრით, სხვა უფლებებთან ერთად, არღვევდა კონსტიტუციის 34-ე მუხლსაც, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასაც შეეხებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა, რომ ტრანსფერის არასაკმარისი რაოდენობით გამოყოფამ გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა.[3008]

1396 საკონსტიტუციო სასამართლომ დაცულ სფეროში ჩარევა დაადგინა გადაწყვეტილებაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. სადავო ნორმა გამორიცხავდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული

[3005] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი.
[3006] N2/77/11 გადაწყვეტილება, 9.
[3007] შეადარე: N2/6/1216 გადაწყვეტილება, II-26.
[3008] საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის N2/4/294 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, 2 (საქმის დასახელება პირობითია, რადგანაც ის არაა მითითებული შესაბამის გადაწყვეტილებაში).

მემკვიდრეობის ობიექტების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისათვის მესაკუთრი-სათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, ასევე სახელმწიფოს შესაძლებლობას, გადაუდებელი აუცილებლობისას თავად, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ჩაეტარებინა გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამგვარად, სახელმწიფო უშვებდა მესაკუთრის გულგრილობის შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურების ალბათობას და გამორიცხავდა გადაუდებელი აუცილებლობისას მოქმედების შესაძლებლობას. ამით იგი უარს აცხადებდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების განხორციელებაზე.[3009]ამავე საქმეზე სადავო ნორმა „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლ-მადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ და სხვა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე არ ავრცელებდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლსაც, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გასხვისებას ან სარგებლობაში გადაცემას ფლობისა და სარგებლობის უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნაწილში ჩარევა არ დაადგინა. 32-ე მუხლით გათვალისწინებული წესი ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე და საგამონაკლისოდ ვერ იქნებოდა გამოყენებული იმ ძეგლებთან მიმართებით, რომლებიც უკვე იმყოფებოდა მართლმადიდებელი ეკლესიისა თუ სხვა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში. შესაბამისად, სადავო ნორმა მიემართებოდა მხოლოდ რელიგიური კონფესიების სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო ქონებას და მასზე 32-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვების არგავრცელებას. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე არ დავობდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის მასზე სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების აუცილებლობაზე, არამედ მიუთითებდა იმაზე, რომ ის ვალდებული იყო დაეცვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მიუხედავად მისი მესაკუთრისა.[3010]

3. შემოქმედების თავისუფლებაში, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებებში ჩარევის გამართლება

3.1. შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება

1397 როგორც უკვე აღვნიშნეთ შემოქმედებით პროცესში ჩარევა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია და კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას არ ექვემდებარება. მაგალითად, a priori არაკონსტიტუციური იქნება კინორეჟისორებისათვის გარკვეული ჟანრის ან შინაარსის ფილმების გადაღების აკრძალვა. რაც შეეხება შემოქმედების თავისუფლებაში სხვა სახის ჩარევებს, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

[3009] დაწვრილებით იხ.: N2/6/1216 გადაწყვეტილება, II-16-20.
[3010] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-21-25.

1398 კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ცალკე გამოჰყოფს შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვას და მისი გამართლებისათვის გამკაცრებულ სტანდარტებს აწესებს. პირველ რიგში, მასზე ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა და აკრძალვის შემთხვევები ხელმისაწვდომი და საკმარისად განსაზღვრული კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული.[3011] აკრძალვა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს - მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. გარდა ამ ფორმალური მოთხოვნებისა, როგორც გავრცელების აკრძალვის ნორმატიული საფუძველი, ასევე მისი კონკრეტული შემთხვევა უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის გამკაცრებულ მატერიალურ მოთხოვნებს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს, ანუ მისი ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს მარტო სხვათა უფლებების დაცვა.

1399 რაც შეეხება, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების სხვა, აკრძალვასთან შედარებით ნაკლებად მძიმე და ინტენსიურ შეზღუდვებს, ისინიც მოითხოვენ საკანონმდებლო საფუძველს, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის მათზე სასამართლო კონტროლის განხორციელება. ამ ტიპის შეზღუდვები ასევე ექვემდებარება თანაზომიერების შემოწმებას, თუმცა შედარებით ნაკლები სიმკაცრით, ვიდრე გავრცელების აკრძალვის დროს. გარდა ამისა, მათ მიმართ მოქმედებს შიდაკონსტიტუციური ზღვარი და შეზღუდვა დასაშვებია არა მხოლოდ სხვათა უფლებების, არამედ სხვა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის ლეგიტიმური მიზნით.

1400 საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ ჰქონია პრაქტიკაში შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობა, ამიტომ მოკლედ გავამახვილებთ ყურადღებას საზღვარგარეთულ პრაქტიკაზე, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ სხვაობა საქართველოს კონსტიტუციასა და აღნიშნული პრაქტიკის კონსტიტუციურ და საერთაშორისოსამართლებრივ საფუძვლებს შორის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხელოვნების თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებზე ავრცელებს კანონის ზოგად დათქმას, ანუ შეზღუდვა შესაძლებელია კანონის საფუძველზე (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით სანქციის დაწესება ნაწარმოების გავრცელებისათვის).[3012] ხელოვნების თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ სხვათა ძირითადი უფლებების ან კონსტიტუციური რანგის სამართლებრივი სიკეთეების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.[3013] სხვა ძირითად უფლებათაგან ხელოვნების თავისუფლებას ყველაზე ხშირად ზოგადი პიროვნული უფლება უპირისპირდება.[3014] მაგალითად, კონსტიტუციურად ჩაითვალა საერთო სასამართლოს მიერ იმ რომანის გავრცელების აკრძალვა, რომელიც ხელყოფდა გარდაცვლილი პიროვნების რეპუტაციას და არღვევდა მის ზოგად პიროვნულ უფლებას.[3015] ხელოვნების თავისუფლების შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი მიზანია ასევე

[3011] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 271.
[3012] მაგ.: BVerfGE 81, 278 (292 ff.).
[3013] მაგ.: BVerfGE 28, 243 (261); 30, 173 (193); 67, 213 (228); 81, 278 (292 f.); 83, 130 (139).
[3014] BVerfGE 30, 173 (173 ff.).
[3015] იქვე (193 ff.).

არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვა.[3016] მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია პორნოგრაფიული შინაარსის რომანი აღიარა „ხელოვნებად“, მაგრამ დაუშვა მისი გავრცელების ipso iure შეზღუდვა არასრულწლოვნებზე აშკარად მავნე ზეგავლენის გამო.[3017]

1401 ხელოვნების თავისუფლებისა და სხვა ძირითადი უფლებების კონფლიქტისას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს სიკეთეთა შედარების წესს. ამ დროს a priori უპირატესობით არ სარგებლობს არც ხელოვნების თავისუფლება და არც მასთან დაპირისპირებული უფლება. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს კოლიდირებულ უფლებათა შორის დაბალანსებისა და „თანხმობის“ მნიშვნელობას.[3018] გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ხელოვნების თავისუფლებასთან დაპირისპირებული ზოგადი პიროვნული უფლება ადამიანის ღირსების ძირითადი უფლების უშუალო გავლენის ქვეშაა. ამ დროს ღირსებას, ბუნებრივია მისი კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებით, ენიჭება აბსოლუტური უპირატესობა და არ არსებობს სიკეთეთა დაბალანსების შესაძლებლობა.[3019]

1402 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შემოქმედების თავისუფლებაში ჩარევის შეფასებას კონვენციის მე-10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) მიმართებით ახდენს. აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი გამოხატვის შეზღუდვის შემოწმებაზე ვრცელდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის დადგენილი სტანდარტები. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის შესაბამისად ჩათვალა სახელმწიფო ორგანოთა მიერ სქესობრივი აქტის ამსახველი ნახატების კონფისკაცია და მხატვრების დაჯარიმება მორალისა და სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. მან სახელმწიფოს მიანიჭა დისკრეციის ფართო სივრცე იმის განსაზღვრისას, თუ რა იყო აუცილებელი მორალის დასაცავად.[3020] რელიგიური მშვიდობის შენარჩუნების გადაუდებელი სოციალური აუცილებლობა დაინახა ევროპულმა სასამართლომ იმ ფილმის ჩვენების აკრძალვაში, რომლის შინაარსიც შეურაცხყოფდა ქრისტიანობას.[3021] სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების ზღვარი დამოკიდებულია ასევე იმ სუბიექტებზე, რომელთა უფლებებიც უპირისპირდება შემოქმედებით გამოხატვას. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის საწინააღმდეგოდ არ მიიჩნია პასუხისმგებლობის დაკისრება რომანის ავტორისათვის ცილისწამების გამო. ეს ჩაითვალა სხვათა უფლებების დაცვის პროპორციულ საშუალებად. სასამართლოს აზრით, ხელისუფლებისთვის მინიჭებულ შეფასების სივრცეს აფართოებდა ის გარემოება, რომ პიროვნებები, რომელთა მიმართ ცილისწამების გამოც დაეკისრა პასუხისმგებლობა ავტორს, არ იყვნენ ე.წ. „საჯარო პირები“.[3022]

[3016] Ipsen, Grundrechte, Rn. 513.
[3017] BVerfGE 83, 130 (139 f.).
[3018] მაგ.: BVerfGE 67, 213 (228); 83, 130 (143).
[3019] მაგ.: BVerfGE 67, 213 (228); 75, 369 (380).
[3020] Müller and Others v. Switzerland.
[3021] Otto-Preminger-Institut v. Austria.
[3022] Almeida Leitao Bento Fernandes v. Portugal (N25790/11; 12.3.2015).

3.2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებაში ჩარევის გამართლება

1403 ის გარემოება, რომ კონსტიტუცია შემოქმედების თავისუფლებასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს და შეზღუდვის იმავე რეჟიმში აქცევს, აისახება ჩარევის გამართლებაზეც. როდესაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების შეზღუდვა შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვის შედეგია, ის უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რასაც შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა. რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების უფლება იზღუდება შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების უფრო მსუბუქი შეზღუდვის გამო, ამ შემთხვევაშიც ის მოთხოვნები იქნება რელევანტური, რომელთა დაკმაყოფილებაც ამგვარი ჩარევების გამართლებისთვისაა საჭირო. ამდენად, ამ შეზღუდვების განხორციელება შეიძლება მოხდეს სასამართლო კონტროლის გარეშე, არა მხოლოდ სხვათა უფლებების (როგორც შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვისას), არამედ სხვა კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის მიზნითაც.[3023]

1404 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების გავრცელების აკრძალვას აფასებს კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით. ამავდროულად, გაითვალისწინება ინტელექტუალური საკუთრების საკითხი, რომელსაც კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი იცავს. შეზღუდვისას სახელმწიფოებს დისკრეციის ფართო სფერო აქვთ.[3024]

3.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში ჩარევის გამართლება

1405 კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში ჩარევის შემოწმების სპეციფიკა განპირობებულია იმით, რომ ჩარევა უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს უმოქმედობაში ან არასათანადო მოქმედებაში გამოიხატება. საკონსტიტუციო სასამართლოს, კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს მნიშვნელოვანი სტანდარტები, თუმცა ესეც ერთი გადაწყვეტილების ფარგლებში ხდება.

1406 პირველ რიგში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის უფლებაში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს, ხოლო კონსტიტუციასთან მატერიალური შესაბამისობის შემოწმება ხორციელდება თანაზომიერების ტესტის გამოყენებით.[3025] იქედან გამომდინარე, რომ ეს უფლება შიდაკონსტიტუციურ ზღვარს ექვემდებარება, მისი შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვათა უფლებების ან კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის მიზნით. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის (ძეგლის მესაკუთრის/კანონიერი მოსარგებლის პასუხისმგებლობა) რელიგიური კონფესიების

[3023] განსხვავებული პოზიცია იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 269.
[3024] Ashby Donald and Others v. France (N36769/08; 10.1.2013).
[3025] N2/6/1216 გადაწყვეტილება, II-27.

საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე გაუვრცელებლობის მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნად ჩათვალა რელიგიის თავისუფალი რეალიზების ხელშეწყობა, რადგანაც „რელიგიური ჯგუფებისათვის მათი მრწამსის შესაბამისად ცხოვრების შესაძლებლობის შექმნა, დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.“[3026]

1407 შეზღუდვის გამოსადეგობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სადავო ნორმის არარსებობის შემთხვევაში, რელიგიურ კონფესიებზე გავრცელდებოდა მნიშვნელოვანი შეზღუდვები საკუთრებით, მათ შორის რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, სარგებლობასთან დაკავშირებით. ამ ძეგლებზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ კონტროლს შესაძლოა ხელი შეეშალა რელიგიური რიტუალების სრულფასოვნად აღსრულებისათვის. სადავო ნორმა რელიგიურ კონფესიებს აძლევდა მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ობიექტებით სარგებლობისა და მათი რელიგიური დანიშნულებით დაუბრკოლებლად გამოყენების საშუალებას. აქედან გამომდინარე, ის გამოსადეგი იყო ლეგიტიმური მიზნის - რელიგიის თავისუფალი რეალიზების ხელშეწყობის მიღწევისათვის.[3027]

1408 აუცილებლობის კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა, თუ რამდენად წარმოადგენდა სადავო ნორმა მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას. ამ ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფო უარს ამბობდა ზოგადად რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოზიტიური კონსტიტუციური ვალდებულების შესრულებაზე. ეს უარი ყველა შემთხვევაში არ იყო განპირობებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებლობით. რელიგიის თავისუფლების რეალიზებასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს შორის კონფლიქტი უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის დაცვა უმეტესწილად თვით რელიგიური კონფესიის ინტერესშიც შედიოდა. სადავო ნორმა ბლანკეტურად გამორიცხავდა სახელმწიფოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულების განხორციელებას იმ შემთხვევებშიც, როდესაც ეს რელიგიური რიტუალების აღსრულებას არ ზღუდავდა. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო აუცილებლობის მოთხოვნა და გასაჩივრებული ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას.[3028]

1409 იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უფლების შეზღუდვის (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის საკითხზეც: „ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე უნდა აღემატებოდეს უფლებისთვის შეზღუდვის შედეგად დამდგარ ზიანს.“ თუმცა, იქვე დასძინა, რომ პროპორციულობის საკითხის შეფასება აქტუალური იყო მხოლოდ აუცილებელ ღონისძიებებთან მიმართებით, ხოლო განსახილველ შემთხვევაში ჩარევა არ წარმოადგენდა აუცილებელ საშუალებას.[3029]

[3026] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-29.
[3027] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-30-31.
[3028] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-32-41.
[3029] იქვე, II-40.

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა,/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013. იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Beisel., Die Kunstfreiheitsgarantie des Grundgesetzes und ihre strafrechtlichen Grenzen, 1997; Bethge, Herbert in Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, Art. 5, 2021; Ipsen, staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021; Isensee, Wer definiert die Freiheitsrechte? 1980; Kaiser, (Bearb.), Kommentar zum Art.1 EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Mensching, EMRK Art. 10 Freiheit der Meinungsäußerung, Karpenstein/Mayer, Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten: EMRK 3. Auflage 2022; Pernice, (Bearb.), Kommentar zum Art. 5 Abs. 3 (Kunst) GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013; Scholz, (Bearb.), Kommentar zum Art. 5 III GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958; Starck, Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz Artikel 5. Starck/Paulus in v. Mangoldt/Klein/Starck | GG Art. 5, 7. Auflage 2018.

მუხლი 21. შეკრების თავისუფლება

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

შინაარსი

მუხლი 21. შეკრების თავისუფლება 547

შინაარსი 571

1. შეკრების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 548

1.1. 21-ე მუხლის მოკლე ისტორია 549

1.2. სხვა ძირითადი უფლებებისაგან გამიჯვნა 551

2. შეკრებით თავისუფლებით დაცული სფერო 552

2.1. პერსონალურად დაცული სფერო 552

2.2. საგნობრივად დაცული სფერო 554

2.3. შეკრების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 558

2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 558

2.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება 558

3. ჩარევა შეკრების თავისუფლებაში 559

4. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 560

4.1. კანონის დათქმა და შეკრების უნებართვობის კონსტიტუციური პრინციპი 560

4.2. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება 563

4.2.1. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი 563

4.2.2. ჩარევის გამოსადეგობა 564

4.2.3. ჩარევის აუცილებლობა 565

4.2.4. ჩარევის პროპორციულობა 565

5. სახელმწიფოს მიერ შეკრების თავისუფლების დარღვევის შემოწმება 566

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 567

6.1. ნავალნი და იაშინი რუსეთის წინააღმდეგ 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება- 76204/11 568

6.2. ბუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ, 2007 წლის 17 ივლისის გადწავეტილება 25691/04 569

6.3. პლატფორმა "ექიმები სიცოცხლისათვის" ავსტრიის წინააღმდეგ (Plattform "Ärtzte für das Leben" v. Austria) 570

ლიტერატურა

1. შეკრების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა

1410 შეკრების კონსტიტუციური უფლების განხორციელებას თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის მაიდენტიფიცირებელი მნიშვნელობა გააჩნია. ამასთან, ისტორიულად და დღესაც, დეფიციტური დემოკრატიის პირობებში, სწორედ ამგვარი პოლიტიკური დატვირთვა ხდებოდა შეკრების უფლების შეზღუდვის მთავარი მოტივი. [3030]ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო, რომ შეკრების უფლებას რევოლუციური იდეების ხორცშესხმისთვის შესაბამისი პოტენციალი გააჩნია.[3031] ამასთან, შეკრების უფლება დემოკრატიულ რეალობაში საპირისპირო მოქმედების რესურსს ფლობს და ასრულებს ერთგვარი მომწესრიგებლის ფუნქციას:[3032] შეკრების მეშვეობით პრობლემათა დროული გამოაშკარავება ადრესატ სახელმწიფო უწყებებს მათი პრევენციული მოგვარების შესაძლებლობას აძლევს. ამ გზით მცირდება ან/და ქრება ცალკეული პრობლემის რთულ კონფლიქტად თუ სოციალურ უკმაყოფილებად ქცევის პერსპექტივაც.[3033]

1411 გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური და ფუნქციური ელემენტია. ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის ქმნის აუცილებელ საფუძველს. როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, შეკრების თავისუფლება, თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული უფლება არის გამოხატვის თავისუფლების lex specialis. ამ მიმართებით, ის მჭიდრო კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან.

1412 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, შეკრების შესაძლებლობა დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ამ უფლებით

[3030] შეადარე. Koll, Liberales Versammlungsrecht, Baden-Baden 2015, გვ. 27 და გვ. 397.
[3031] Inazu, The Forgotten Freedom of Assembly, Tulan Law Review 2010, გვ. 565.
[3032] Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, München 2008, გვ. 29.
[3033]გიორგიშვილი, „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით" სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე" სპეციალური გამოცემა, თბილისი 2017, გვ. 31.

თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს.

1413 დემოკრატიული და პლურალური საზოგადოების საზრდოა აზრთა ვერბალური დაპირისპირება. საჯარო დისკუსიისა და აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია აზრის ერთობლივი გამოხატვა. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ დემოკრატიის პრინციპის ძირითად ელემენტს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს. ამასთან, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.

1414 თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს წარმომადგენლობით დემოკრატიაში, სადაც პლებისციტის ელემენტები უმეტეს შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს, შეკრების უფლებით სარგებლობა უშუალო დემოკრატიის განხორციელების ფორმებს განავრცობს.[3034] შედეგად, შეკრების უფლება უშუალო დემოკრატიის მიკროგამოხატულებადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ააქტიურებს მოქალაქეებს საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაში წვლილის შესატანად (როდესაც კომუნიკაციის სხვა შესაძლებლობა, მათი აზრით, არ იქნება ეფექტიანი). შეკრების უფლების აღნიშნული დატვირთვა, როგორც ინდივიდუალური უფლება და იმავდროულად ობიექტური ღირებულებითი მასშტაბი, ე.წ. ინსტიტუციური გარანტია, გამოკვეთილია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ფუძემდებლურ გადაწყვეტილებაში.[3035]

1.1. 21-ე მუხლის მოკლე ისტორია

1415 შეკრების უფლება კონსტიტუციურ რანგში თავდაპირველად ჯერ კიდევ საქართველოს პირველ კონსტიტუციაში გვხვდება. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით აღიარებული იყო საჯაროდ და უიარაღოდ „როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ" შეკრების უფლება. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 33-ე და 34-ე მუხლები).

1416 საბჭოთა საქართველოში კი პირველად, 1937 წლის 13 თებერვლის კონსტიტუციით დაფიქსირდა კრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება (138-ე მუხლი).[3036] თუმცა, საბჭოთა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს უფლება საბჭოთა საქართველოში მხოლოდ დეკლარაციული, ილუზორული ხასიათის იყო და პრაქტიკაში იგი თითქმის არ იყო გამოყენებული.

[3034] BVerfGE 69, 315-„Brokdorf-Beschluss". შდრ. ასევე, Sachs, M., Verfassungsrecht II-Grundrechte, 2017, გვ. 60, p. 57.

[3035] გიორგიშვილი, „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით" სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე" სპეციალური გამოცემა, 2017, თბილისი, გვ. 34.

[3036] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1937, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციური აქტების კრებული 1921-1978.

1417 1995 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირვანდელმა რედაქციამ 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით სახეცვლილება განიცადა. შედეგად კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში ამოღებულ იქნა სიტყვები „უშიშროების სამსახურის" და იგი შეიცვალა სიტყვებით „შინაგან საქმეთა სამინისტროს". ეს იყო მუხლის მხოლოდ ფორმალური სახეცვლილება, რაც გამოიწვია თვით სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურულმა ტრანსფორმაციამ სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით.[3037]

1418 2017 წლის ცვლილებით შეკრების თავისუფლების დამცავი მუხლი კიდევ ერთხელ, ძირითადად ტექნიკური თვალსაზრისით შეიცვალა. იგი გადაინომრა, ისე როგორც სხვა მუხლები, და ნაცვლად 25 მუხლისა მოქმედი კონსტიტუციით შეკრების თავისუფლება დაცულია 21-ე მუხლით. ასევე მე-2 და მე-3 პუნქტებიდან ამოღებული იქნა სიტყვა მანიფესტაცია, რადგან შეკრება, თავის თავში მოიაზრებს მანიფესტაციასაც. შესაბამისად ასევე მე-2 და მე-3 პუნქტებში შინაარსობრივი კუთხით არაფერი შეცვლილა. ასევე ამოღებულია სიტყვები „როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ". შეკრების თავისუფლების ორივე ასპექტი ლოგიკურად გარანტირებულია შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლებით, ამ ასპექტების ხაზგასმის აუცილებლობის გარეშე.

1419 შინაარსობრივი ცვლილებები შევიდა პირველ პუნქტში. სიტყვები „სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს" შეიცვალა სიტყვებით „თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში"[3038]. ამასთან, კომისიამ თავდაპირველ პროექტში ამკრძალავი დათქმის განსხვავებული ფორმულირება შეიმუშავა, კერძოდ, შეკრების უფლებით სარგებლობის აკრძალვა ეხებოდათ „შეიარაღებული ძალების" წარმომადგენლებს. კომისიის მიერ შემუშავებული ცვლილებების ვერსიის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, შეკრების თავისუფლების უფლებით დაცულ პირთა წრიდან დამატებით გამოირიცხებოდნენ სხვა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, დაზვერვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამისი წარმომადგენლები და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია გარკვეულწილად მოიაზრებდა ფუნქციონალურ მიდგომას: უფლებით მოსარგებლეთა წრიდან გამოირიცხებოდნენ სახელმწიფო სამსახურების მხოლოდ ის მოსამსახურეები, რომელთა საქმიანობაც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში უკავშირდება იარაღის ტარებას და გამოყენებას. თუმცა, მეორე მოსმენით მიღებული ცვლილებების პროექტის 21- მუხლის აკრძალვის ამოსავალს აღარ წარმოადგენს დათქმა – „შეიარაღებული ძალების" წარმომადგენლები. მოქმედი რედაქცია კონკრეტულად ჩამოთვლის ორგანოებს (თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები), რომელთა შემადგენლობაში მყოფი პირებიც ვერ ისარგებლებენ შეკრების უფლებით. აღნიშნული პირების საქმიანობა კი შესაძლებელია უკავშირდებოდეს როგორც შეიარაღებულ საქმიანობას, ასევე სხვაგვარ, სამოქალაქო წესით სამსახურს, რაც

[3037] საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი № 2494-სსმI, № 1, 04.01.2006 წ., პირველი მუხლი.

[3038] იხ. დეტალურად განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ", 2017 წ. გვ. 10.

ამკრძალავი ნორმის პირთა წრეს აფართოებს.[3039] ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, მსგავსი ბლანკეტური აკრძალვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე გამყარებულ სტანდარტებს.[3040] მართალია კანონმდებელს თანაბარზომიერად მიაჩნია აკრძალვა, რომელიც შეირაღებული სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონალურ თავისებურებას და მათ პოლიტიკური ნეიტრალობის ვალდებულებას უკავშირდება. თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ ამგვარი ორგანოების თანამშრომლებმა არაშეიარაღებულ მდგომარეობაში გააპროტესტონ საკუთარი სამსახურის სოციალური პირობები, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათზე დაკისრებულ ნეიტრალობის პრინციპს.

1.2. სხვა ძირითადი უფლებებისაგან გამიჯვნა

1420 საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლი გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტს შეიცავს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით დაცულია აზრისა და ინფორმაციის გავრცელების უფლება, ასევე ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უფლება და შეიცავს გამოხატვის თავისუფლების, აზრის გავრცელების შესაძლებლობის გარანტიებს.

1421 ამ მუხლით დაცულია ადამიანის შეხედულებები, ინფორმაცია, ასევე ის საშუალებები, რომლებიც მათი გამოთქმისა და გავრცელებისათვის არის შერჩეული, მათ შორის არის პრესა, ინტერნეტი, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები. ხოლო, შეკრების თავისუფლება კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროს იმდენად უკავშირდება, რამდენადაც ის აზრის გავრცელების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. ადამიანთა თავყრილობას, რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას, არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციით დაცულ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან.

1422 შეკრებას კონსტიტუციურ უფლებად მისი მიზანი და შინაარსი აქცევს. ეს განაპირობებს ბუნებრივ და არსებით კავშირს კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლებს შორის. ამ მხრივ, კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მიერ აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას იცავს, კონსტიტუციის მე-17 მუხლის ერთგვარი გაგრძელებაა. [3041]სწორედ აქედან გამომდინარე ასკვნის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომ საკანონმდებლო ნორმას, რომელიც შეკრების ან/და მანიფესტაციის ჩატარების ფორმით აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, შეკრების ადგილს, მის შინაარსს ან ფორმას უკავშირდება, კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლებთან თანაბარი მიმართება შეიძლება ჰქონდეს.[3042]

[3039] გიორგიშვილი, „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით, გვ. 36.

[3040] იხ. Final opinion on the amendments to the law on assembly and manifestations of Georgia, Venice Commission, CDL-AD(2011) 029, p. 40.

[3041] იხ. დეტალურად: ფირცხალაშვილი., შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება გვ. 282. წიგნში: გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, თბილისი, 2013.

[3042] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა

1423 კონსტიტუციის 21-ე მუხლის მსგავსად, 22-ე მუხლიც, გაერთიანების თავისუფლება, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. თუმცა, 22-ე მუხლში 21-ესაგან განსხვავებით, გარანტირებულია არა დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში შეკრება, არამედ, პირიქით. კონსტიტუციის 22-ე მუხლი უზრუნველყოფს ერთიანი აზრის, სიტყვის და მსოფლმხედველობის გამოხატვის გამო ადამიანთა მდგრად და ხანგრძლივ ერთობლიობას.

2. შეკრებით თავისუფლებით დაცული სფერო

1424 შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების განმარტებით, „შეკრება" არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით. მეცნიერებაში გაბატონებული აზრით,[3043] კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული შეკრებისათვის საკმარისია მინიმუმ ორი შეკრებაში მონაწილე პირი.

2.1. პერსონალურად დაცული სფერო

1425 კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე საყოველთაოა და იგი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებით არ შემოიფარგლება. თუმცა კონსტიტუციის აღნიშნული დებულება იქვე განსაზღვრავს პირთა წრეს, რომელთაც არ შეუძლიათ შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღება. ასეთს წარმოადგენს თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფი პირები. ამ უფლების მატარებელი ნებისმიერი პირი, მისი პროფესიული საქმიანობის არჩევის შემთხვევაში, ნებაყოფლობით ამბობს უარს კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაზე, ვინაიდან კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლება არ ვრცელდება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანოებში დასაქმებულ პირებზე.

1426 მსგავსი აკრძალვა, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის აზრით, „განპირობებულია ისეთი საგანგებო და ფრთხილი დამოკიდებულებით ამ უწყებისათვის დამახასიათებელი ფუნქციებისა და კომპეტენციებისადმი, როგორიცაა სამართალდამცავი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სპეციალური დანიშნულების შეიარაღებული ან/და გასამხედროებული დანაყოფების არსებობა, ლეგიტიმური, პროპორციული ძალის და ფიზიკური იძულების გამოყენების უფლება. „საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ამ უწყებების კომპეტენციისა და ფუნქციების განხორციელება, მათი სპეციფიკურობის გამო,

---

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II- 4.

[3043] Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland VI, S. 747, Jarass, in Jarass/Pieroth, GG, Art. 8 Rn 3; კუბლაშვილი, კომენტარები გვ. 302.

შეუთავსებელია ამავე პირების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან".[3044]

1427 ამ არგუმენტიდან გამომდინარე, არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იმ რეგულაციის[3045] არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება შეკრებაში მონაწილეობა, მისი ორგანიზება ან/და ჩატარება.

1428 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია კონსტიტუციის 21-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით. მან რამდენჯერმე იმსჯელა კონსტიტუციის 21-ე მუხლის სუბიექტთა წრესთან დაკავშირებით. თავისი ადრინდელი გადაწყვეტილებით[3046] განსაზღვრა შეკრების კონსტიტუციური თავისუფლების მქონე პირთა წრე. სასამართლოს განმარტებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში მოცემული ტერმინი „მოქალაქე" ფართოდ უნდა განიმარტოს, რადგან იგი, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, იმავე შინაარსობრივი დატვირთვისაა, რაც ტერმინი „პირები".

1429 მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არაკონსტიტუციურად ჩათვალა რეგულაცია,[3047] რომელიც გამორიცხავდა შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორთაგან ფიზიკურ პირებს, ინიციატორი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ „პოლიტიკური პარტია, გაერთიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი".[3048] სასამართლომ ჩათვალა, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ეფექტური განხორციელება გულისხმობს როგორც შეკრებაში მონაწილეობის, ასევე მისი ინიცირებისა და ორგანიზების უფლებას. შესაბამისად, ფიზიკური პირისთვის „მარწმუნებლად" ყოფნის აკრძალვა, კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას წარმოადგენდა.

1430 იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლოს პლენუმმა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატა-

[3044] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II -138 და 141.

[3045] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[3046] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის № 2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3047] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[3048] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II -126 და 128.

რებაზე პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. თუმცა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან იკითხება, რომ სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს, სხვა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან. აღიარებს რა მათ განსაკუთრებულ ინტერესს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ და მჭიდრო კავშირს სახელმწიფოსთან, სამართლიანად მიიჩნევს მათ საზოგადოებაში განვითარებული მოვლენების უშუალო მონაწილეებად. ამიტომაც განიხილავს მათ შეკრების ან/და მანიფესტაციის ინიცირების უფლების მქონე პირებად.

1431 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ უფლებასთან მიმართებით განხილულ ორ საქმეში მოსარჩელე იურიდიული პირი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეკრება-მანიფესტაციით სარგებლობის უფლება იურიდიულ პირებსაც აქვთ.

2.2. საგნობრივად დაცული სფერო

1432 კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სფერო ვრცელდება არა მხოლოდ წინასწარგანზრახულ და დაგეგმილ შეკრებაზე, არამედ სპონტანურ შეკრებებზეც.[3049] სპონტანურ, უცაბედ დემონსტრაციებზე არ ვრცელდება წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება. ამიტომ მისი გაუთვალისწინებლობა არ წარმოშობს დაშლის საფუძველს. უცაბედი შეკრების უფლების წინასწარი გაფრთხილების გარეშე არსებობა გამომდინარეობს თვით საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომელიც ზოგადად უზრუნველყოფს წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრების უფლებას. ის გარემოება, რომ ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეკრება ექვემდებარება კანონით შეზღუდვას, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი შეზღუდვის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებიდან შეკრების გარკვეული სახეობების გამორიცხვა.[3050] ასეთი, უცაბედად წარმოქმნილი, წინაპირობების არსებობა აუქმებს პირველ პუნქტში გარანტირებული თავისუფლების წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას.

1433 შეკრებისა და მანიფესტაციათა ჩატარების ადგილის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე 2-ჯერ იმსჯელა. პირველ საქმეში[3051] გასაჩივრებული იყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.[3052] სასამართლო კოლეგიამ ამ გადაწყვეტილებაში არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს ხელისუფლებას იმის უფლებამოსილებას, რომ მან წინასწარ დაადგინოს აღნიშნული უფლებით სარგებლობის გეოგრაფია. სადავო ნორმით კანონი პირებს

[3049] BVerfGE 69, 315.

[3050] მსგავს მიდგომას ავითარებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში BvefGE 69, 315. იხ. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გვ. 158.

[3051] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.11.2002 წლის გადაწყვეტილება № 2/2/180-183 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3052] მოგვიანებით კანონის ეს მუხლი საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონით (№ 4980 14.07.2011წ) თვით კანონმდებლის მიერ იქნა გაუქმებული.

სთავაზობდა ორ ალტერნატივას იმ შემთხვევისათვის, როცა, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, სავალდებულოა შეკრების სასწრაფოდ ჩატარება: ან უზრუნველყონ გაფრთხილება, ან მისი ვერ მოსწრების შემთხვევაში ჩაატარონ შეკრება ან მანიფესტაცია ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ადგილას, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. სასამართლოს აზრით, ხელისუფლების მიერ შეკრების ადგილის განსაზღვრა გულისხმობს ასევე იმას, რომ სათანადო ორგანოებს მიღებული აქვთ ყველა ის ზომა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ ადგილზე შეკრების შეუფერხებელ ჩატარებას ისე, რომ დაცული იყოს როგორც შეკრებაში მონაწილეთა, ასევე გარეშე პირთა ინტერესები.

1434 მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ იმსჯელა შეკრებისა და მანიფესტაციის ადგილის შესახებ.[3053] ამ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელეთა პრეტენზიები. მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ იმ ნორმებს,[3054] რომლებიც აწესებდნენ შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებაზე შეზღუდვას განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმის მსგავსი შინაარსის ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი უკვე იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. ადმინისტრაციული ორგანოების სიახლოვეს შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი გადაწყვეტილია[3055] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვეულ დაწესებულებათა კუთვნილი შენობებიდან (რომლებიც ძირითადად ანალოგიურია საქმის განხილვის მომენტისათვის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შენობებისა) 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრების აკრძალვა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულად ცნო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმაში ჩამოთვლილი იყო ზუსტად ის ადგილები, სადაც შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ხელს შეუშლიდა აღნიშნული „ობიექტების დანიშნულებისამებრ სრულფასოვნად ფუნქციონირებას", რაც, თავის მხრივ, საზიანო იქნებოდა საჯარო უსაფრთხოების და წესრიგის დაცვისთვის.

1435 სასამართლოს შეფასების საგანს ამ შემთხვევაში აკრძალვის ბლანკეტური ხასიათი წარმოადგენდა.[3056] მსგავსი შეზღუდვის არსებობა, ზოგიერთ დაწესებულებასთან, მისი კომპეტენციისა და საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეიძლება

[3053] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482, 483, 487, 502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II- 51-61.

[3054] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1741 მუხლის მე-3 ნაწილი.

[3055] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის № 2/2/180-183 გადაწყვეტილებაში საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3056] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482, 483, 487, 502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II- 51-61.

გამართლებული იყოს, ზოგიერთთან კი არა. დაწესებულებების განსხვავებულობის მიუხედავად, კანონმდებელმა ერთგვაროვანი მიდგომით ყველა დაწესებულებასთან მიმართებით იდენტური შეზღუდვა დაადგინა. პლენუმმა, აღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, სადავო რეგულირება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია.

1436 ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლოს პლენუმმა განმარტა, რომ მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იკრძალება, როდესაც შეკრების ადრესატი მოსამართლეა. სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში დასახელებული რეგულაციით დაშვებული ჩარევა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით დაშვებული შეზღუდვით – „სასამართ-ლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა" – გაამართლა.[3057] მიუხედავად კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლების მჭიდრო კავშირისა, მსგავსი მიდგომა სრულიად ეწინააღმდეგება ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმების ზოგად პრინციპს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისიამ კრიტიკულად შეაფასა კანონმდებლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მეორე მუხლში შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძვლად კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე- 4 პუნქტის წინაპირობებია მითითებული. ვენეციის კომისიის შეფასებით, 17-ე მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) შეზღუდვის საფუძვლები ბევრად ფართოა, ვიდრე ამას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი და მოუწოდა ქართველ კანონმდებელს, კონვენციის შესაბამისობაში მოეყვანა ქართული სამართლებრივი დებულებები.[3058]

1437 კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია უფლება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პირს, მისი შეხედულებისამებრ აირჩიოს გამოხატვის ფორმა, საშუალება და ადგილი. კერძოდ, მას კანონით გარანტირებული უნდა ჰქონდეს უფლება, საჯაროდ და მშვიდო-ბიანად გამოხატოს საკუთარი აზრი ქუჩის იმ ნაწილში და იმ ფორმით, რომელსაც თავად ჩათვლის მიზანშეწონილად. აზრის გამოხატვა არა მხოლოდ საუბრით, განცხადებებით, არამედ მდუმარე ფორმით ან დროებითი კონსტრუქციების აგებით (რომელიც არ იწვევს სავალი ნაწილის გადაკეტვას) არის შესაძლებელი. შეკრებაზე აზრის გამოხატვის განსაკუთრებით მწვავე ფორმაა ქუჩის გადაკეტვა. როცა ქუჩის სავალი ნაწილის დაკავებას შეკრებაში მონაწილეთა მიერ შერჩეული გამოხატვის ფორმა და საშუალება განაპირობებს, ესე იგი ის ყურადღების მიპყრობის, საკუთარი აზრის, პროტესტის ან სოლიდარობის გამოხატვის ეფექტურ საშუალებად არის მიჩნეული. კონსტრუქციების აგება აზრის გამოსახატად ასევე წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებას.

1438 „სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის (ძვ. რედაქციით) 25-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა, შეზღუდვების სიმკაცრე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფორმით და რა მიზნით ხორციელდება ქმედება". თუ შეკრების მონაწილეები ისეთ

[3057] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II- 66.

[3058] იხ. Final opinion on the amendments to the law on assembly and manifestations of Georgia, Venice Commission, CDL-AD(2011) 029, p. 14.

ფორმას ირჩევენ, რომელიც სავალი გზის თვითნებურად გადაკეტვას ითვალისწინებს, გამოხატვის ასეთ ფორმას არ იცავს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. რადგან შეკრება და მანიფესტაცია, რომელიც სავალ ნაწილზე იმართება, არღვევს ტრანსპორტის მოძრაობის ჩვეულ რიტმს. შეკრების ასეთი ფორმის აკრძალვის მიზანი სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამიტომაც ასეთი ფორმის აკრძალვა კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისია.[3059] ამავე დროს, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის ნორმებზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლების შეზღუდვა გაუმართლებელი იქნებოდა მაშინ, თუ გზის დაკავება მონაწილეთა სიმრავლის გამო ხდება, როდესაც შეკრება სხვაგვარად ვერ გაიმართება. მრავალრიცხოვანი შეკრება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისა და სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე შეიძლება ვერ განხორციელდეს.

1439 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა შეკრების ცნების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ელემენტს: შეკრება და მანიფესტაცია, რომლის მონაწილეებს არ აერთიანებთ საერთო იდეა და რომელიც აზრის გამოხატვას არ ემსახურება, არ ექცევა კონსტიტუციის 21– ე მუხლით დაცულ სფეროში.[i] სწორედ ამით განსხვავდება შეკრება უბრალო თავყრილობისგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ დასტურდება სპეციფიკური ელემენტი, კერძოდ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის საჯაროდ განხილვა. ამგვარად, შეკრებად არ ჩაითვლება გასართობი ან კომერციული მიზნებით მოწყობილი ღონისძიებები, კონცერტები და სპორტული ღონისძიებები.[3060]

1440 შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შეკრების თავისუფლება თავის თავში მოიცავს რამდენიმე შინაარსობრივ კომპონენტს:

- შეკრების გამართვის ადგილის არჩევის უფლებას;[3061]
- შეკრების გამართვის დროის არჩევის უფლებას;
- შეკრების ფორმის არჩევის უფლებას;
- შეკრების შინაარსის არჩევის უფლებას.[3062]

[3059] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-37 და 45.

[3060] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში გაიზიარა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, იხ. II- 34 და 38; შეადარე. BVerfGE 104, 92, 104.

[3061] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-34,55.

[3062] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-34.

2.3. შეკრების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

2.3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

1441 შეკრების კონსტიტუციური უფლების შინაარსიდან გამომდინარე, იგი არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი არ შეუშალოს მშვიდობიანი შეკრების პროცესს, არამედ კონსტიტუცია ქმნის თავად ამ პროცესის მშვიდობიანად წარმართვის დაცვის ვალდებულებას. შეკრების მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო ზომები, მათ შორის, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნისა და მისი ეფექტური იმპლემენტაციის გზით.[3063]

2.3.2. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება

1442 შეკრების კონსტიტუციურ უფლებაში განსაკუთრებით გამოხატულია ადამიანის ძირითადი უფლებების ამბივალენტური ხასიათი: იგი ქმნის როგორც ცალკეული ინდივიდების თავისუფალი გამოხატვისა და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას, ასევე ხელს უწყობს დემოკრატიული პროცესების განვითარებას.[3064] იგი ეფუძნება არამხოლოდ სამოქალაქო აქტივობას ინდივიდების მხრიდან, არამედ ასევე მოითხოვს საზოგადოების ტოლერანტულობას ამგვარი აქტივიზმის მიმართ.

1443 მიუხედავად შეკრების უფლების წმინდა თავდაცვითი (ნეგატიური) ფუნქციისა, იგი წარმოშობს სახელმწიფოს დაცვის ვალდებულებას. კონსტიტუციით დაცული ეს სიკეთე შეიძლება შელახული იქნეს არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან, არამედ ასევე მესამე პირების მხრიდანაც. სწორედ ამიტომ არის სახელმწიფო ვალდებული, უზრუნველყოს შეკრების ან მანიფესტაციის მშვიდობიანი ჩატარება. მაგალითად, დაიცვას შეკრებაში მონაწილე პირები სხვა, მოწინააღმდეგე დემონსტრაციაში მონაწილეთაგან.[3065]

1444 სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას შეკრების მონაწილეთა მიერ საკუთარი უფლების ოპტიმალურად განხორციელება. ამასთან, მესამე პირებს, რომლებიც მხოლოდ უნებურად მოხვდნენ შეკრების ტერიტორიაზე, დაუსაბუთებლად არ უნდა შეეზღუდოთ მიმოსვლის და სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების უფლება. კონსტიტუციური უფლების დამაკონკრეტებელ კანონში არსებული შეზღუდვებიც სწორედ ამ რისკების შემცირებას უნდა უკავშირდებოდეს და არა შეკრების მკაცრ რეგულირებას, მითუმეტეს სახელმწიფოს, მისი რომელიმე ორგანოს ან/და პოლიტიკური ძალის კომფორტის უზრუნველყოფას. ამასთან, ცალკეული პირების (რომლებიც, ასევე, შესაძლოა პროვოკაციას ეწეოდნენ) ძალადობრივმა ქმედებებმა არ უნდა განაპირობოს მთლიანად შეკრების მიმართ შემზღუდველი ღონისძიების გატარება, შეკრების შეწყვეტა. სახელმწიფო ორგანოების მცდელობა მიმართული უნდა იყოს

[3063] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/538 საქმეზე პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-8.
[3064] Hoffmann-Riem, Kommentaren, Merten/Papier, HGR IV, § 106, 15.
[3065] გიორგიშვილი, „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით“, გვ. 32.

იქითკენ, რომ ცალკეული დამრღვევი პირები, მათ შორის პროვოკატორები, კანონის საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების არსებობისას გამოცალკევდ-ნენ შეკრებების უფლებით მშვიდობიანად მოსარგებლე ადამიანებისგან.[3066]

3. ჩარევა შეკრების თავისუფლებაში

ინდივიდების მიერ კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლებით სარგებლობა ხშირად ერთგვარად არაკომფორტულია სახელმწიფოსთვის,[3067] ვინაიდან უფლების განხორციელებისთვის იმანენტურია გარემო ფაქტორებზე, მათ შორის მესამე პირთა ინტერესებზე ინტენსიური ზემოქმედება. ამგვარი კოლიზიური შემთხვევების მოსაწესრიგებლად სახელმწიფო ორგანოებმა უნდა დააკმაყოფილონ კონსტიტუციური მოთხოვნები: უფლების შემზღუდველი ნორმის შეფარდება კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ გარემოებებთან და დაპირისპირებული ინტერესების დაბალანსება უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით. ვენეციის კომისიამ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისას, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, ხაზგასმით მიუთითა, რომ შეკრების უფლების ყოველი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას; სხვა შემთხვევაში, უფლების შეზღუდვა არ შეიძლება იყოს დასაბუთებული და შესაბამისად, კონსტიტუციურად გამართლებული.[3068] 1445

ამგვარად, კანონმდებლის მიერ მიმდინარე კანონში განსაზღვრული უფლებაში ჩარევის ფარგლები უშუალოდ კონსტიტუციის 21- ე მუხლის საფუძველზე სამი მიმართულებით შეიძლება შეფასდეს: 1. ხომ არ უთანაბრდება კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა სანებართვო რეჟიმს, ვინაიდან, შეკრების უფლება არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას;[3069] 2. ემსახურება თუ არა შეზღუდვის მიზანი მესამე პირთა [სამართლებრივად დაცვის ღირს] ინტერესებს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება უპირატესი აღმოჩნდეს შეკრების უფლების განხორციელების ინტერესთან შედარებით; 3. ემყარება თუ არა შეკრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა (შეკრების უფლების განხორციელების არდაშვება, როგორც სახელმწიფოს ultima ratio შესაძლებლობა) თავად შეკრების [და არა მხოლოდ მის ცალკეულ მონაწილეთა] მიერ მშვიდობიანობის, როგორც უშუალო კონსტიტუციური შეზღუდვის (ზღვრის) დარღვევას. შეკრების უფლების განხორციელებისას თავად შეკრების მიმდინარეობის შეფასება _ ატარებს თუ არა შეკრება მშვიდობიან ხასიათს, არ უნდა 1446

[3066] იქვე, გვ. 35.

[3067] შდრ. Buchheister, Entwicklungslinien im Versammlungsrecht, LKV 2016, გვ. 161.

[3068] იხ. Interim Opinion on the Draft Amendmentsts to the Law on Assembly and Manifestations of Georgia, Venice Commission, CDL-AD(2010) 009, p. 9. „blanket legislative provisions that ban assemblies at specific times or in particular locations require much greater justification than restrictions on individual assemblies. Given the impossibility of having regard to the specific circumstances of each particular case, the incorporation of such blanket provisions in legislation (and their application) may be found to be disproportionate unless a pressing social need can be demonstrated.“(The OSCE/ODIHR – Venice Commission Guidelines, CDL(2008) 062, p. 83).

[3069] ამ მოთხოვნის დარღვევის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წელს გააუქმა "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა შეკრების ორგანიზატორთა გაფთხილების არმიღებას და შესაბამისად, გაფრთხილების ინსტიტუტს სანებართვო რეჟიმს უთანაბრებდა. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 5 ნოემბრის გადაწყვეტილება Nr. 2/2/180-183.

შეფასდეს იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა მისი ცალკეული მონაწილე. საჭიროა არამშვიდობიანი იყოს მთლიანად შეკრება. გარდა არამშვიდობიანი, ძალადობრივი ქმედებების მასობრივი ხასიათისა, მხედველობაშია მისაღები შეკრების მიზნობრიობა და შეკრების ორგანიზატორთა მოტივაცია. [3070]

4. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება

4.1. კანონის დათქმა და შეკრების უნებართვობის კონსტიტუციური პრინციპი

1447 საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომელიც შეკრების თავისუფლებას იცავს, უშუალო სამართლებრივი მოქმედების ძალა გააჩნია.[3071] კონსტიტუციის ეს ნორმა, როგორც სპეციალური და იერარქიულად უპირატესი დანაწესი, თავად განსაზღვრავს როგორც უფლების ძირითად ელემენტებს, ისე მისი შეზღუდვის უშუალო კონსტიტუციურ ფარგლებს. თუმცა, იგი უთითებს კანონზე, რომელმაც უნდა დააკონკრეტოს უფლების განხორციელების პროცესი და უზრუნველყოს მოსალოდნელი კოლიზიის შემთხვევების გადაჭრა თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. კონსტიტუცია ადგენს მოთხოვნებს, რომელიც უნდა გაითვალისწინოს კანონმა, რომელიც უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას უნდა ემსახურებოდეს და დეტალურად გაწერდეს მის ყოველ შეზღუდვას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მათ შორის, მესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზნებისთვის. რადგან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცნება თავის თავში მოიცავს, ასევე, მესამე პირთა უფლებების დაცვასაც, ცნების განმარტებისთვის მნიშვნელოვანია პოლიციის შესახებ 2013 წლის კანონის მეორე მუხლი: საზოგადოებრივი უსაფრთხოება – პირთა უფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების, საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების ურღვევობა.

1448 მნიშვნელოვანია შეკრების უნებართვობის კონსტიტუციური პრინციპი; კონსტიტუციის თანახმად, კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება; სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბალანსი შეკრების მონაწილეთა უფლებასა და სხვათა უფლებებს (მაგ., პირთა გადაადგილების თავისუფლება) შორის; კონფლიქტი უნდა გადაწყდეს კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით (ე.წ. reasoning from case to case); ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო

[3070] იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: BVerfGE 69, 315; BVerfG, 07.03.2011 – 1 BvR 388/05, BeckRS 2011, 49212; შდრ. ასევე, ბერაია, გელაშვილი, გიორგიშვილი, იზორია, კილაძე, მუზაშვილი, ტურავა, საპოლიციო სამართალი, პოლიციის აკადემია, თბილისი 2015, გვ. 300 და გვ. 302. მშვიდობიანობის დაცვის შეფასების მასშტაბები დადგენილია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, მაგალითისათვის იხ. შემდეგი გადაწყვეტილებები: Selmouni v. France, judgment of 28 July 1999, paras.101; M.C. against the Federal Republic of Germany, decision of 6 March 1989; Cisse v. France, judgment of 9 April 2002, paras. 35-36; Christian Democratic People's Party v. Moldova (no. 2), judgment of 2 February 2010; Primov and Others v. Russia, Judgment of 12 June 2014; Kudrevičius and Others v. Lithuania, Judgment of 26 November 2013.

[3071] იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, თბილისი 2013, მუხლი 7, გვ. 12.

ხასიათი მიიღო: აუცილებელია შეკრების ორგანიზატორები და მონაწილეები ასრულებდნენ მშვიდობიანობის ვალდებულებას; ამ უშუალო კონსტიტუციური ფარგლების დარღვევის შემთხვევაში შეკრება გადის 21-ე მუხლის დაცული სფეროდან, რაც უფლებაში უკიდურესი ჩარევის (შეკრების არდაშვება ან შეკრების შეწყვეტა) წინაპირობა შეიძლება გახდეს.

1449

გარდა იმისა, რომ შეკრების შეზღუდვისათვის კანონის დათქმა ფორმალურად უნდა არსებობდეს, აუცილებელია, ეს კანონის დათქმა იყოს განსაზღვრული და განჭვრეტადი. საქმეში პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[3072] შეაფასა, სადავო ნორმის კეთილსინდისიერი განმარტების შემთხვევაში, რამდენად ქმნის იგი შეკრებასთან დაკავშირებული ნივთების მიტანის აკრძალვის საშუალებას, რამდენად ტოვებს იგი პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას და რამდენად იწვევს შეკრების უფლების რეალიზების შეფერხებას ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზიანების საფრთხის არარსებობის პირობებში, და რამდენად შეიძლება სადავო ნორმები, კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, მოსარჩელის მიერ მითითებული შინაარსით იქნეს გამოყენებული. ამ საქმეში, მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ორი ნორმას. პირველი: „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი შეკრების მონაწილეებს შეკრების დროს ისეთი საგნებისა და ნივთიერებების ქონას უკრძალავდა, რომლებიც გამოიყენება ან/და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შეკრების მონაწილეთა ან/და სხვა პირთა ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების მიზნით. მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სადავო ნორმა მკაფიოდ და ნათლად არ აყალიბებს აკრძალვის მოცულობას, შესაბამისად, შესაძლებელია, შეკრების დროს ისეთი ნივთის (ნივთების) მიტანა შეიზღუდოს, რომელიც ან უშუალო კავშირშია გამოხატვის თავისუფლების რეალიზებასთან (მაგალითად, დროშა, რომელსაც აქვს ტარი და ა.შ.) ან პირადი მოხმარების ნივთს წარმოადგენს (მაგალითად, ყავარჯენი, ხელჩანთაში არსებული მცირე ზომის მაკრატელი, ქლიბი და ა.შ.).და მეორე: მოსარჩელე მხარე ასევე სადავოდ ხდიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის კონსტიტუციურობას. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ შეკრების ორგანიზატორმა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი „ვალდებულება არ შეასრულა ან შეასრულა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა დარღვევა გონივრულ ვადაში, სამართალდამცავი ორგანოები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გასახსნელად ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს“. მოსარჩელე მხარე აღნიშნულ ნორმას პრობლემატურად მიიჩნევდა იმდენად, რამდენადაც თვლიდა, რომ მის საფუძველზე შეიძლება სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მოითხოვონ შეკრების შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ

[3072] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/538 საქმეზე პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ორგანიზატორმა ვერ შეძლო აქციაზე მყოფი რამდენიმე პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღმოფხვრა. ამავე დროს მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კანონმდებელი ლეგიტიმური მიზნის ფარგლებში იმოქმედებდა იმ შემთხვევაში, თუ კანონდამრღვევთა განეიტრალებას და აქციიდან გარიდებას დაავალებდა სამართალდამრღვევებს, რის შემდეგაც აქცია მშვიდობიან რეჟიმში გაგრძელდებოდა.

1450 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თავად ის ფაქტი, რომ სადავო ნორმის ყველაზე გონივრული განმარტება მის შინაარსს კონსტიტუციის შესაბამისად აქცევს, არ არის ყოველთვის საკმარისი ნორმის კონსტიტუციურობის დასამტკიცებლად. აუცილებელია, რომ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, ნორმა არ იძლეოდეს არაკონსტიტუციური გამოყენების შესაძლებლობას. კონსტიტუციური დავის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ „...უნდა შეაფასოს, ნორმის განსაზღვრულობა არის კი იმ ხარისხის, რომ მისი გამოყენების საფუძველზე, ცალსახად გამოირიცხოს კონსტიტუციური უფლების დარღვევის თუნდაც ერთეული შემთხვევა. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება კანონის დარღვევის შედეგად უფლებაში გადამეტებული ჩარევის შემთხვევები. ამ საკითხებზე მსჯელობა სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას: ნორმა, მისი შინაარსის, მისივე ტექსტის ადეკვატურად, სწორად წაკითხვისას და შესაბამისად გამოყენებისას, იწვევს თუ არა კონსტიტუციური უფლების დარღვევის საფრთხეს. [3073] შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ პასუხი გასცა კითხვას, რამდენად იძლევა ნორმა იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება, თვითნებურად, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ზიანის მიყენების საფრთხის არარსებობის პირობებში სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შეზღუდონ შეკრებასთან დაკავშირებული ნივთების თან ქონა. სასამართლოს აზრით კანონს, ხშირ შემთხვევებში, მოეთხოვება, იყოს ზოგადი ხასიათის, თუმცა ამავე დროს იგი არ უნდა ტოვებდეს ადამიანის უფლებების დამრღვევი განმარტების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, არ შეიძლება ნორმა პრობლემატურად იქნეს მიჩნეული მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ზოგადი ხასიათისაა. წარმოუდგენელია, კანონმდებელს მოვთხოვოთ აკრძალული ნივთების კონკრეტული სიის შედგენა და გარემოებების შეცვლის პირობებში, ხსენებული სიის განახლება.[3074]

1451 სასამართლომ სადავო ნორმის განმარტების შემდეგ, მიუთითა რომ ნორმა კეთილსინდისიერი წაკითვის პირობებში შეკრების ან/და მანიფესტაციის პროცესში ცალკეული პირების მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში ადგენს პოლიციის უფლებამოსილებასა და ვალდებულებას, მოახდინოს ასეთი დარღვევების აღმოფხვრა და შეკრებისა და მანიფესტაციის მშვიდობიანი ხასიათის უზრუნველყოფა და იგი კონსტიტუციით დაცული შეკრების თავისუფლებასთან შესაბამისად მიიჩნია. [3075]

[3073] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[3074] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/538 საქმეზე პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-9.

[3075] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/538, II-23.

4.2. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმება

4.2.1. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი

1452 კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული შეკრების უფლება შეზღუდვას ექვემდებარება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ,,მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, შეკრების თავისუფლება არ არის გარანტირებული შეზღუდვების გარეშე.''[3076] ეს განპირობებულია უფლების პოტენციით შევიდეს კონფლიქტში გარემომცველ ინსტიტუტებთან. შეკრების თავისუფლების განხორციელება, გარე სამყაროსთან შეხების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ მას განსაკუთრებული, ორგანიზაციული და პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულირების საჭიროება აქვს, რათა ერთი მხრივ ამ თავისუფლების განხორციელების რეალური წინა პირობები შეიქმნას, ხოლო მეორე მხრივ, სხვათა ინტერესები იქნეს დაცული.

1453 თუმცა კანონმდებელს უფლება აქვს შეზღუდოს შეკრების თავისუფლების განხორციელება მხოლოდ სხვა თანაბარი ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით.

ამრიგად, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება იზღუდება საპირწონე სიკეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

1454 უფლების შეზღუდვაზე საუბრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ლეგიტიმური მიზნების არსებობას. ამავდროულად, მან განაცხადა, რომ ,,მიზნის ლეგიტიმურად მიჩნევისათვის იგი მიმართული უნდა იყოს კონსტიტუციური სიკეთის, მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვისაკენ.''[3077]

1455 სასამართლოს მტკიცებით 21-ე მუხლი მე-17 მუხლთან შინაარსობრივ ბმაშია, რადგან გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას შეკრება და მანიფესტაცია წარმოადგენს. სწორედ ამ შინაარსით არის კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული უფლება ინსტრუმენტული და ასეთ შემთხვევაში შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები შეიძლება იყოს იდენტური იმ უფლების შეზღუდვის საფუძვლებისა, რომლის რეალიზებასაც, ანუ მე-17 მუხლს, ის ემსახურება.[3078]

1456 აქაც კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს რომ სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს არა შეკრების თავისუფლებისათვის არსებული ლეგიტიმური მიზნების გამოყენებას, მისი შეზღუდვისათვის, არამედ, მე-17 მუხლით (გამოხატვის თავისუფლებით) მკაცრად არის გაკრიტიკებული.[3079]

[3076] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის №2/2/180-183 გადაწყვეტილება, II-6.
[3077] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-132.
[3078] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-4,28.
[3079] Final opinion on the amendments to the law on assembly and manifestations of Georgia, Venice Commission, CDL-AD(2011) 029, p. 14.

4.2.2. ჩარევის გამოსადეგობა

1457 ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის ყველა საშუალება ვერ იქნება იყოს გამოსადეგი. სახელმწიფოს მიერ მიზნის მისაღწევად, შეიძლება მხოლოდ ისეთი შეზღუდვის მიღება რომელიც ლეგიტიმური მიზნის გამოსადეგი საშუალებაა.

1458 საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწვეტილებაში იმსჯელა ამ აღნიშნულ საკითხზე.[3080] მოსარჩელეების აზრით, შეკრების ან/და მანიფესტაციის ინიცირების უფლების მქონე პირთა წრეს ავიწროვებდა, ისე რომ, შეკრების ორგანიზებისას, „მარწმუნებელი“, (იგივე შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორი) შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ პოლიტიკური პარტია, გაერთიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი. სადავო ნორმის მიხედვით, „მარწმუნებელი“ ვერ იქნება ფიზიკური პირი. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ინდივიდის უფლებაა, სადავო ნორმა კი ლეგიტიმური მიზნის არსებობის გარეშე ზღუდავს უფლებას, და გაურკვეველი იყო, თუ რას ემსახურებოდა ან რომელ ლეგიტიმურ მიზანს აღწევდა კანონმდებელი ამ აკრძალვით.

კანონმდებლის განმარტებით, სადავო ნორმის მიზანია, უზრუნველყოს შეკრების (მანიფესტაციის) მსვლელობისას კანონით დადგენილი მოთხოვნების ჯეროვანი შესრულება. მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის არსებობა „უფრო დამაჯერებელს“ ხდის შეკრებას და მიანიშნებს იმაზე, რომ არსებობს თანამოაზრეთა ჯგუფი, რომლის გარეშე შეკრება პრაქტიკულად ვერ განხორციელდება.

1459 ამ საქმეში სასამართლომ განაცხადა[3081] რომ მოპასუხის მიერ დასახელებული მიზანი, რომ საორგანიზაციო საკითხების უკეთ მოგვარება, შეკრებების (მანიფესტაციის) კანონის შესაბამისად ჩატარება, უდავოდ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვერ დაინახა, თუ რამდენად გამოსადეგია სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა ამ მიზნის მისაღწევად. მან არ მიიჩნია სარწმუნოდ, რატომ ვერ მიიღწევა აღნიშნული მიზანი, თუ ფიზიკური პირი იქნება დარწმუნებული, ნაცვლად მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფისა. მან ამ გადაწვეტილებაში მიუთითა თავის პრაქტიკაზე[3082] კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისას ,,...კანონმდებელი უნდა იცავდეს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს. მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ყველაზე უმტკივნეულო, აუცილებელი და სამართლებრივად ვარგისი საშუალებით. ვარგისიანობა და აუცილებლობა განაპირობებს არჩეული საშუალების ნამდვილობას. ვარგისიანობა ობიექტური გარემოებებითაა განსაზღვრული და იგი გულისხმობს გამოყენებული საშუალების უნარიანობას ლეგიტიმური მიზნის მიღწევაში. როცა საშუალება უვარგისი ხდება არა მისი გამოყენების პროცესში, არამედ თავიდანვეა ასეთი, მაშინ ადგილი აქვს საშუალების აშკარა უვარგისობას“. ამ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ვერ შეფასდებოდა, როგორც ლეგიტიმური მიზნის უზრუნველყოფისაკენ მიმართული შეზღუდვა.

[3080] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-129-133.

[3081] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-133.

[3082] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე «შპს „რუსენერგოსერვისი”, შპს „პატარა კახი”, სს „გორგოტა”, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი” და შპს „ენერგია” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ».

4.2.3. ჩარევის აუცილებლობა

1460 სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შეკრების თავისუფლებაში კონკრეტული ჩარევა, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გამართლებული როცა, ამ შეკრების თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ნაკლებად მსუბუქი საშუალება არ არსებობს.

1461 სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს შორის ხელისუფლება უფლებამოსილია, აირჩიოს ის ტიპი, რომელიც ლეგიტიმური ამოცანის მისაღწევად საუკეთესო, და იმავდროულად ყველაზე ნაკლებ მზღუდავ საშუალებად მიაჩნია, თუმცა კონკრეტული შეზღუდვა ან აკრძალვა, როგორც ხელისუფლების მოქმედება მკაცრ შეფასებას დაექვემდებარება.

1462 ერთ-ერთ საქმეში[3083] მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ შეკრების და მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლებს. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყვეტილიყო დაუყოვნებლივ, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების ან მოწოდების გარეშე, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე, თუ ის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს მიიღებდა.

1463 სასამართლომ სადავო ნორმა განიხილა იმ კონტექსტში, თუ რამდენად იყო იგი ყველაზე მსუბუქი საშუალება მიზნის მისაღწევად. კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია გონივრულია, როდესაც მისი ქმედება კოლიზიური უფლებების თანაარსებობის, თანარეალიზაციის უზრუნველყოფას, უფლებებს შორის გონივრული ბალანსის დადგენას ისახავს მიზნად. ამავე დროს, როდესაც უფლებებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია და კოლიზიის გადაჭრის მიზნით ხელისუფლების მიერ კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა გარდაუვალი ხდება, უფლების შეზღუდვის ყველაზე ნაკლებად მკაცრი ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული.

1464 სასამართლოს აზრით, „ხელისუფლების დისკრეცია შემოიფარგლება სხვათა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების აღდგენის აუცილებლობით. ხელისუფლება უფლებამოსილია, ჩაერიოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციაში, როდესაც უფლებებს შორის არსებული კონფლიქტის გადაჭრის სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალება არ არსებობს ან, როდესაც ის უშედეგო აღმოჩნდება, ან აშკარაა, რომ ის არ იქნება ეფექტური. სადავო ნორმა კანონის დარღვევით მიმდინარე შეკრების (მანიფესტაციის) შეწყვეტას გაფრთხილების და კანონის მოთხოვნათა დაცვით გაგრძელების შესაძლებლობის მიცემის გარეშე ითვალისწინებს. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა შერჩეული.“[3084]

4.2.4. ჩარევის პროპორციულობა

1465 როგორც უკვე აღინიშნა, შეკრების თავისუფლება ხშირად მოდის კონფლიქტში ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან ან ასევე კონსტიტუციით დაცულ სიკეთეებთან.

[3083] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-46-70.
[3084] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება.

ამიტომ ყველა კონკრეტულ საქმეში მნიშვნელოვანია მიღებული იქნეს გადაწვეტილება იმის მიხედვით რომელი კონსტიტუციური სიკეთე არის უფრო წონადი.

1466 სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეში[3085] იმსჯელა უფლების რეალიზაციაში პროპორციულ ჩარევაზე, მან ასევე გაამახვილა ყურადღება იმ შემთხვევებზეც, რომელთა დროსაც ჩარევა არ არის გამართლებული და უფლება დარღვეულია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ,,იმ შემთხვევაში, როდესაც შეკრებების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა სხვათა გადაადგილებას შეუძლებელს ხდის, სადავო ნორმების თანახმად, უპირატესობა კონსტიტუციის (ძვ. რედაქციით) 25-ე მუხლით დაცულ უფლებას ენიჭება, ვინაიდან სხვაგვარად შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება ხელმიუწვდომელი იქნებოდა მრავალრიცხოვანი შეკრების მონაწილეთათვის, რომლებიც სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, იძულებული იქნებიან საერთოდ უარი თქვან შეკრების უფლების რეალიზებაზე. შესაბამისად, შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს, თუ მისი რეალიზება სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე შეუძლებელია, როდესაც გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

1467 ასევე საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა როცა პროპორციულობის ტესტის დროს, ერთ მხარეს დგას შეკრების თავისუფლება ხოლო მეორე მხარეს ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა. მისი აზრით, ეს უკანასკნელი (ხელისფლების გადადგომის მოთხოვნა) ვერ გახდება შეკრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვის საფუძველი. ,,დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს. ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის, ზოგადად ხელისუფლების, მისი კონკრეტული წევრის ან მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა ვერ გახდება გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძველი. საპროტესტო აქციას, რომელზეც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ხალხი იყრის თავს, ახასიათებს ხელისუფლების შეცვლის ან მის გადადგომასთან დაკავშირებული მოწოდებები.[3086]

5. სახელმწიფოს მიერ შეკრების თავისუფლების დარღვევის შემოწმება

1468 შეკრების უფლების განხორციელების ეფექტიანობისთვის მნიშნელოვანია ფაქტორი, რომელიც უკავშირდება ცალკეულ სახელმწიფოში დემოკრატიული თამაშის წესების არსებობას და მათი სიმტკიცის ხარისხს. სახელმწიფო ორგანოები ნეიტრალობის პრინციპის[3087] მკაცრი დაცვით უნდა მოქმედებდნენ როგორც არბიტრი, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის ფარგლებში უფლებით სარგებლობას. ნეიტრალობის დაცვის აუცილებლობა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დოგმატიკის ჭრილში

[3085] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-38.

[3086] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-49.

[3087] ნეიტრალობისა და პარტიების შანსების თანასწორობის პრინციპების კუმულაციურ მნიშვნელობას პოლიტიკური ხასიათის შეკრების გამართვისას ხაზი გაესვა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე სენატის 2015 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (II-14).

განსაკუთრებულად ვლინდება საპირისპირო შეკრების, ე.წ. კონტრდემონსტრაციის დროს. თუმცა, ბუნებრივია, ნეიტრალობა არ გულისხმობს შეკრების უფლებით მოსარგებლეთა პროტესტის მიმართ სახელმწიფოს გულგრილობას. პირიქით, სახელმწიფო, რომელიც ხშირად თავად არის მონაწილეთა კოლექტიური გამოხატვის ადრესატი, უნდა იმყოფებოდეს საზოგადოებრივ დიალოგში. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, ითანამშრომლონ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორებთან. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანომ (ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ან ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღმასრულებელი პოლიცია, როგორც ადმინისტრაციული ორგანო) უნდა აწარმოოს მათთან მოლაპარაკება იქამდე, ვიდრე უფლების რეალიზაციის პროცესში გარკვეულ ჩარევას განახორციელებს.[3088]

1469 იმისათვის, რომ მოქალაქეებს მიეცეთ რეალური შესაძლებლობა ისარგებლონ საკუთარი უფლებებით, აუცილებელია დახვეწილი და თანამედროვე, კონსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისი კანონის არსებობა. მიმდინარე კანონმდებლობის არსი და მიზნობრიობა შეკრებების უფლებით ოპტიმალური სარგებლობისთვის საფუძვლის შექმნას უნდა უკავშირდებოდეს და არა მის შეზღუდვას.[3089] ოპტიმალური სარგებლობის კონცეფციური მიდგომა გამორიცხავს იმგვარ კანონშემოქმედებას ან ნორმათა გამოყენების პრაქტიკას, სადაც მომეტებულია შეკრების უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის ან/და სახელმწიფოს ორგანოთა მხრიდან უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობის რისკი. რეალურად, სახელმწიფოს მხოლოდ ამგვარი მარეგლამენტირებელ ფუნქციის პირობებშია შესაძლებელი კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვა.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულია შეკრებისა 1470
და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

1471 2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის, მორალის, ან სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი არ დააბრკოლებს სახელმწიფოს, რათა ამ უფლების განხორციელებაზე დააწესოს კანონიერი შეზღუდვები, შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ.

[3088] იხ დეტალურად, გიორგიშვილი, „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით“ გვ. 31-42.
[3089] იხ. Hong, კრებულში: Peters/Janz, Handbuch Versammlungsrecht, 2016, გვ. 63.

1472 მე-11 მუხლის მიზანია, ადამიანებს მისცეს შესაძლებლობა, გაერთიანდნენ, გამოხატონ, განიხილონ და დაიცვან თავიანთი საერთო ინტერესები.[3090] შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ქმნის სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების განვითარების სივრცეს, განსხვავებული მოსაზრებების, ფასეულობების ან ინტერესების გამოთქმის არენას და პლატფორმას ადამიანებისთვის აზრის, ფასეულობათა ან ინტერესების სხვებისთვის გასაზიარებლად.

6.1. ნავალნი და იაშინი რუსეთის წინააღმდეგ 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება- 76204/11

1473 ნავალნი და იაშინი, რუსეთის წინააღმდეგ მომჩივნებს წარმოადგენდნენ ორი პოლიტიკური აქტივისტი და ოპოზიციის ლიდერები. 2011 წელს ისინი დააპატიმრეს, რადგან არ დაემორჩილნენ პოლიციის ბრძანებას, შეეწყვიტათ სპონტანური მარში, რომლის ჩატარებასაც აპირებდნენ, სანქცირებულ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების შემდეგ. ისინი დაკავებულნი იყვნენ პოლიციაში მანამდე, ვიდრე მომდევნო დღეს გადაიყვანდნენ სასამართლოში, სადაც 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ. მათი საჩივრები უარყოფილ იქნა. მოპასუხის (რუსეთის ფედერაციის) პოზიციის თანახმად, მომჩივნების დაპატიმრება, დაკავება და სასჯელი წარმოადგენდა ჩარევას მე-11 მუხლით დაცულ მათ უფლებაში. ჩარევა ემსახურებოდა საჯარო წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

1474 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მითითებით პროპორციულობასთან მიმართებით, სასამართლომ მიუთითა, რომ თუნდაც მომჩივნებს არ ჰქონოდათ დემონსტრაციის ჩატარების განზრახვა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა დიდი ჯგუფის გამოჩენა გონივრულად აღიქმებოდა ამგვარად. მიუხედავად ამისა, დემონსტრაცია გაგრძელდა მხოლოდ 15 წუთს, იყო მშვიდობიანი და მონაწილეთა წარმოდგენილი რაოდენობის შეჩერება არ იქნებოდა რთული. ამრიგად, პოლიციამ დაიჭირა მომჩივნები მხოლოდ იმიტომ, რომ აქცია არ იყო სანქცირებული. ადგილობრივმა სასამართლოებმა არც კი სცადეს, გადაემოწმებინათ აქციის მონაწილეებისაგან მომდინარე რისკების მოცულობა ან აუცილებელი იყო თუ არა მათი შეჩერება. მომჩივნები მოგვიანებით დააპატიმრეს პოლიციის ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობისათვის, მაგრამ სასამართლო იყო უუნარო, გაერკვია, გამოსცა თუ არა პოლიციამ ამგვარი ბრძანება, ვიდრე განახორციელებდა დაპატიმრებებს. თუნდაც, მომჩივნები არ დაემორჩილნენ ბრძანებას აქციის დასასრულს, მათი დაპატიმრების არავითარი საფუძველი არ არსებობდა. უფრო მეტიც, შეფარდებული სასჯელი არ ასახავდა სავარაუდო დანაშაულის შედარებით უმნიშვნელო ბუნებასაც კი. საბოლოოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირდაპირ აღიარეს, რომ მომჩივნები დაისაჯნენ სპონტანური მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარებისა და ანტი-სამთავრობო მოწოდებების სკანდირებისათვის. მიღებულ იძულების ზომებს ჰქონდათ სერიოზული პოტენციალი, შეეკავებინათ ოპოზიციის სხვა მხარდამჭერები და საზოგადოება დემონსტრაციებზე დასწრებისგან, უფრო ზოგადად კი, პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობისგან. ამ სანქციების

[3090] იხ. „Rasemblement Jurassien and Unite Jurasseienne v. Switzerland“ განაცხადი №8191/78, 1979 წლის 10 ოქტომბერი, D.R. 17, გვ. 93.

შემაკავებელი ეფექტი უფრო მეტად გაძლიერებულ იქნა იმ ფაქტით, რომ ის მიმართული იყო ცნობადი საზოგადო ფიგურების მიმართ, რომელთა თავისუფლების აღკვეთამ მიიპყრო მედიის ფართო ყურადღება. ამრიგად ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

1475 სასამართლომ, ერთხმად დაადგინა მე-6 (1) მუხლის დარღვევა მომჩივნების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, მე-5 მუხლის დარღვევა პოლიციის პუნქტში მათ გაუმართლებელ გადაყვანასთან დაკავშირებით, დაუფიქსირებელი და დაუსაბუთებელი ექვს საათიანი დაკავების და წინასწარ დაკავებაში ყოფნის მიზეზების არარსებობასთან დაკავშირებით, მე-13 მუხლის დარღვევა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის არაეფექტიანობასთან დაკავშირებით და მე-3 მუხლის დარღვევა იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლებშიც მომჩივნები იმყოფებოდნენ პოლიციის პუნქტში.

6.2. ბუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ, 2007 წლის 17 ივლისის გადწავეტილება 25691/04

1476 საქმეში Bukta and Others v. Hungary, საქმე ეხებოდა კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევას. უნგრეთის 1989 წლის შეკრების უფლების შესახებ კანონის თანახმად, სავალდებულო იყო შეკრების ჩატარებამდე მინიმუმ სამი დღით ადრე პოლიციის ინფორმირება, ხოლო პოლიცია უფლებამოსილი იყო დაეშალა შეკრება, რომელიც წინასწარი შეტყობინების გარეშე ტარდებოდა.

1477 მომჩივნები, დაახლოებით 150-კაციანი ჯგუფთან ერთად შეიკრიბნენ იმ სასტუმროს წინ, სადაც მიღება მიმდინარეობდა, რადგან რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ბუდაპეშტს. ამ ჯგუფს პოლიციისთვის არანაირი შეტყობინება არ მიუწოდებია დემონსტრაციის გამართვის განზრახვასთან დაკავშირებით. მცირე აფეთქების მსგავსი ხმაურის გაგებისთანავე მიღებაზე დამსწრე პოლიციელებმა აიძულეს დემონსტრანტები, დაშლილიყვნენ. განმცხადებლებმა წამოიწყეს სამართალწარმოება და მოითხოვეს პოლიციის ჩარევის უკანონოდ აღიარება. დემონსტრანტების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, იმ არგუმენტზე დაყრდნობით რომ დემონსტრაციის დაშლის საფუძველს წარმოადგენდა დემონსტრანტების მიერ პოლიციისთვის წინასწარი შეუტყობინებლობა.

1478 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა მათი გადაწყვეტილებები დააფუძნეს მხოლოდ წინასწარი შეტყობინების არარსებობის ფაქტზე, საქმის სხვა გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ასევე არ გამოიკვლიეს, იყო თუ არა დემონსტრაცია მშვიდობიანი. წინასწარ ნებართვის მოპოვების პროცედურა როგორც წესი არ ბღალავს მშვიდობიანი შეკრების უფლების არსს. თუმცა, უნგრეთის პრემიერ მინისტრის მიღებაზე დასწრების განზრახვის წინასწარ არ ცოდნამ განმცხადებლები არჩევანის წინაშე დააყენა: არ განეხორციელებინათ მშვიდობიანი შეკრების უფლება, თუ უგულებელყოთ წინასწარი შეტყობინების ვალდებულება. ისეთ განსაკუთრებულ გარემოებებში, როგორშიც განმცხადებლები აღმოჩნდნენ, მყისიერი რეაგირება პოლიტიკურ მოვლენაზე დემონსტრაციის ფორმით შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს,

მითუმეტეს მაშინ, როდესაც ვერ მტკიცდება საზოგადოებრივი წესრიგისათვის რაიმე საფრთხის შექმნა.

1479 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა, რადგან მან მშვიდობიანი შეკრების დაშლა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ იყო დაცული წინასწარი შეტყობინების მოთხოვნა, მონაწილეების მხრიდან რაიმე უკანონო ქმედების არ არსებობის პირობებში, არაპროპორციულად მიიჩნია.

6.3. პლატფორმა "ექიმები სიცოცხლისათვის" ავსტრიის წინააღმდეგ (Plattform "Ärtzte für das Leben" v. Austria)

1480 1988 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ავსტრიის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი. რომელიც ეხებოდა შეკრების თავისუფლებას.

1481 ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა ავსტრიელ ექიმთა ასოციაციამ, რომელიც აბორტის საწინააღმდეგო კამპანიას ეწეოდა. განაცხადი ეხებოდა ასოციაციის ორ დემონსტრაციას, რომელთა ჩატარებას ხელი შეუშალა ამ კამპანიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა. ასოციაციის წევრთა პირველი დემონსტრაციის დროს აბორტის მომხრეებმა ხელი შეუშალეს დემონსტრაციას, რისთვისაც გამოიყენეს ხმის გამაძლიერებლები და დემონსტრანტებს კვერცხები დაუშინეს. პოლიციელები, რომლებიც ესწრებოდნენ დემონსტრაციას, დაპირისპირებაში ჩაერივნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებს შორის ურთიერთობა გამწვავდა და შეიქმნა ფიზიკურ ძალადობაში მისი გადაზრდის რეალური საფრთხე. აბორტის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა ასევე შეუშალა ხელი ასოციაციის მეორე დემონსტრაციას. ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადში ასოციაცია ამტკიცებდა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დემონსტრანტები შეკრების თავისუფლების უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით.

1482 ამის საწინააღმდეგოდ ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს დემონსტრანტთა დაცვა. მთავრობის პოზიციით, საკმარისია, რომ დემონსტრანტებს თავად სახელმწიფომ არ შეუშალოს ხელი დემონსტრაციის ჩატარებაში.

1483 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა: "მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი, ეფექტიანი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ჩაურევლობის მოვალეობით: სახელმწიფოს როლის წმინდა ნეგატიური კონცეფცია შეუთავსებელი იქნება მე-11 მუხლის ობიექტსა და მიზანთან. მე-8 მუხლის მსგავსად, მე-11 მუხლი ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვს პოზიტიური ღონისძიების გატარებას, ინდივიდებს შორის ურთიერთობების სფეროშიც კი, თუ არსებობს ამის საჭიროება.

1484 ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების ფარგლებს. ამ გადაწყვეტილებით ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას – სახელმწიფომ უშუალოდ არ აკრძალოს დემონსტრაცია,

არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც – სახელმწიფომ უზრუნველყოს დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, მათ შორის, დაიცვას დემონსტრანტები მათი იდეური მოწინააღმდეგეებისაგან. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ იგი უშუალოდ არ არღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებებს, არამედ მათი უფლებები ირღვევა მესამე მხარის (პირის ან პირთა ჯგუფის) მიერ.

ლიტერატურა

გიორგიშვილი, „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით“ სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე“ სპეციალური გამოცემა, თბილისი 2017; ბერაია/ გელაშვილი/ გიორგიშვილი/ იზორია/ კილაძე/ მუზაშვილი/ ტურავა, საპოლიციო სამართალი, პოლიციის აკადემია, თბილისი 2015; ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013; Buchheister, J., Entwicklungslinien im Versammlungsrecht, LKV 2016; Hoffmann-Riem, Merten/Papier, HGR IV; Inazu, The Forgotten Freedom of Assembly, Tulan Law Review 2010; Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland: GG, 17. Auflage, 2022; Klöpfer, Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland VI, Josef Isensee und Paul Kirchhof (Herausg.) 1989; Koll, Liberales Versammlungsrecht, Baden-Baden 2015; Sachs, Verfassungsrecht II-Grundrechte, 2017; Venice Commission, Interim Opinion on the Draft Amendmentsts to the Law on Assembly and Manifestations of Georgia, CDL-AD(2010) 009, 9. Venice Commission, The OSCE/ODIHR – Venice Commission Guidelines, CDL(2008) 062, 83, Final opinion on the amendments to the law on assembly and manifestations of Georgia, CDL-AD(2011) 029, 40; Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, München 2008.

მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება

1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.

2. გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

შინაარსი

მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება 572

შინაარსი 572

1. გაერთიანების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 573

1.1. გაერთიანების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 573

1.2. გაერთიანების თავისუფლების დაცული სფერო 574

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 574

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 575

1.3. გაერთიანების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 580

2. ჩარევა გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში 581

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 581

2.2. ჩარევის სახეები 582

3. გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება 584

3.1. კანონისა და სასამართლოს დათქმები 584

3.2. თანაზომიერების შემოწმება 585

3.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება 588

ლიტერატურა 588

1. გაერთიანების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. გაერთიანების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა

1485 გაერთიანების თავისუფლების მნიშვნელობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ადამიანი, თავისუფალთან ერთად, სოციალური არსებაცაა, ხოლო ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში და არა საზოგადოებისაგან, თავისუფლებას ნიშნავს. გაერთიანების თავისუფლება მას აძლევს თვითრეალიზაციის შესაძლებლობას საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად.[3091] რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს ინდივიდის მიერ საკუთარი პიროვნების დამოუკიდებლად, სხვებისაგან განცალკევებით, განვითარებას და მის თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული, თუ რა გზას აირჩევს ამა თუ იმ შემთხვევაში.

1486 გაერთიანების თავისუფლება ისტორიულად მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა თანამედროვე საზოგადოების განვითარებასთან ერთად.[3092] აღსანიშნავია, რომ ის აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 35-ე მუხლში, რომელიც განამტკიცებდა რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებას, მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე დაეარსებინათ „საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი“, თუ მისი მიზანი კანონით არ იყო აკრძალული. მე-20 საუკუნეში გაერთიანების თავისუფლების მნიშვნელობა აღიარებულ იქნა საერთაშორისო დონეზე. ამ უფლებას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლი, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი და ძირითად უფლებათა ევროკავშირის ქარტიის მე-12 მუხლი.

1487 გაერთიანების თავისუფლება ეფუძნება სოციალური ჯგუფების თავისუფალი ჩამოყალიბების პრინციპს[3093] და საზოგადოების ორგანიზების თავისუფალ მოდელს ასახავს.[3094] საკონსტიტუციო სასამართლო ამ პრინციპს მკვეთრად მიჯნავს ტოტალიტარული სახელმწიფოთათვის დამახასიათებელი, იძულებაზე დაფუძნებული გაერთიანებებისაგან. ის ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, გაერთიანების თავისუფლების დიდ დატვირთვაზე ადამიანის (სუბიექტური) ძირითადი უფლების გარანტირების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, მის ობიექტურ მნიშვნელობაზე დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, დემოკრატიულ საზოგადოებაში ინდივიდის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ფორმირებისათვის.[3095]

[3091] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის N2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.
[3092] დაწვრილებით იხ.: Bauer H., (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 1 ff.; Höfling W. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 1.
[3093] BVerfGE 38, 281 (303); 80, 244 (252).
[3094] Höfling, GG, Art. 9 GG, Rn. 2.
[3095] N2/2/439 გადაწყვეტილება, II-2.

1488 თანამედროვე სამყაროში, მით უმეტეს განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, განსაკუთრებული ფუნქცია აქვს სამოქალაქო საზოგადოების აქტივობას. არასამთავრობო ორგანიზაციებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს „საზოგადოებრივ მოდარაჯე ძაღლად“ (social watchdog).[3096] სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივად უნდა ესმოდეს ხალხის ხმა და იმყოფებოდეს საზოგადოების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. ამაში წამყვანი როლი სწორედ საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა უნდა შეასრულოს.

1.2. გაერთიანების თავისუფლების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

1489 გაერთიანების თავისუფლება, განსხვავებით პოლიტიკური პარტიის თავისუფლებისაგან, ადამიანის უფლებაა. მისი სუბიექტი ფიზიკური პირების წრე არ არის შეზღუდული მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებით და მოიცავს უცხოელებსაც.[3097] გაერთიანების თავისუფლების სუბიექტებად ასევე ითვლებიან არასრულწლოვნებიც.[3098]

1490 კერძო სამართლის იურდიული პირები შეიძლება იყვნენ გაერთიანების თავისუფლების სუბიექტები.[3099] ამ კონტექსტში, საყურადღებოა გაერთიანების თავისუფლების, როგორც ე.წ. „ორმაგი ძირითადი უფლების კონცეფცია“, რომელიც განვითარდა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და რომელსაც იზიარებს თეორეტიკოსთა უმრავლესობა. აღსანიშნავია, რომ ამ კონცეფციას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ქართული სამეცნიერო ლიტერატურაც უჭერს მხარს. მის მიხედვით, გაერთიანების თავისუფლება არა მხოლოდ გაერთიანების დაფუძნების მსურველთა ან წევრთა ინდივიდუალური უფლებაა, არამედ ჯგუფური, კოლექტიური უფლებაც, რომლის სუბიექტი თვით გაერთიანებაა. ამდენად, კონსტიტუციურსა-მართლებრივი დაცვით სარგებლობს გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციის შედეგად შექმნილი კოლექტივიც.[3100]

[3096] Társaság a Szabadságjogokért v. Hungary; Animal Defenders International v. the United Kingdom.

[3097] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 297; ქანთარია, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის კომენტარი, ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2015, 317; Arndt F., Engels A., von Oettingen A. (Bearb.), Kommentar zum Art. 11 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 4.

[3098] დაწვრილებით იხილე მაგ.: Bauer, GG, Art. 9, Rn. 32; Ipsen, Grundrechte, Rn. 581; Löwer W. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 17; Scholz R. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958, Rn. 51 f.

[3099] Höfling, GG, Art. 9, Rn. 33; Ipsen, Grundrechte, Rn. 582; Löwer, GG, Art. 9, Rn. 11 ff.; BVerfGE 13, 174 (175).

[3100] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 295-296; N2/2/439 გადაწყვეტილება, II-7; Bauer, GG, Art. 9, Rn. 34 f.; Löwer, GG, Art. 9, Rn. 15; Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 8; BVerfGE 13, 174 (175); 30, 227 (241, 243); 50, 290 (353 f.); 84, 372 (378). განსხვავებული პოზიცია იხ.: Höfling, GG, Art. 9, Rn. 25 f., 33; Ipsen, Grundrechte, Rn. 582, 588; Scholz, GG, Art. 9, Rn. 23 ff.

1491 გაბატონებული პოზიციის მიხედვით, საჯარო სამართლის იურდიული პირები არ არიან გაერთიანების თავისუფლების სუბიექტები.[3101] თუმცა, გვხვდება მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გაერთიანებების დაფუძნების უფლებით საჯარო სამართლის იურდიული პირებიც (სახელმწიფოს გარდა), მათ შორის მუნიციპალიტეტები, სარგებლობენ.[3102] მუნიციპალიტეტებს კანონმდებლობა მართლაც ანიჭებს უფლებას, დააფუძნონ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირები ან/და გახდნენ მისი წევრები,[3103] მაგრამ ეს არ არის გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციის ფორმა. პირველ რიგში, მუნიციპალიტეტი, როგორც საჯარო სამართლის იურდიული პირი, ძირითადი უფლების ადრესატია და არა სუბიექტი. გარდა ამისა, აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირები იქმნება საჯარო ფუნქციების შესასრულებლად - მუნიციპალიტეტების საქმიანობის კოორდინაციის და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1492 კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირება ლაკონურია: „გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია“. ამ უფლების საგნობრივი დაცული სფეროს დასადგენად ცენტრალური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა უნდა მოვიაზროთ ცნებაში „გაერთიანება“. ამაზე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმ ნიშნებზე, რაც უნდა ახასიათებდეს გაერთიანებას, რათა ის მოექცეს გაერთიანების თავისუფლების მოქმედების სფეროში:[3104] 1) პირთა ერთობა - ეს ფორმალური ნიშანი სახეზეა, როდესაც გაერთიანებას ჰყავს წევრები - ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები.[3105] მართალია, წევრთა მრავალრიცხოვნებას არ აქვს მნიშვნელობა,[3106] მაგრამ გაერთიანებას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი წევრი მაინც;[3107] 2) პირთა ერთობა შექმნილია ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად - გაერთიანების თავისუფლება იცავს მხოლოდ ნებაყოფლობით და არა სავალდებულო გაერთიანებებს.[3108] თავისუფალ ნებაზე დაფუძნება გაერთიანების მთავარი ნიშანია, რაც გულისხმობს მისი შექმნისა და საქმიანობის თავისუფლებას ნებისმიერი იძულებისაგან. გაერთიანება არის თავისუფალი საზოგადოებრივი ჯგუფი - პირთა სუბიექტური მისწრაფებებითა და თავისუფალი ნებით განპირობებული ერთობა საერთო იდეების განსახორციელებლად და მიზნების მისაღწევად; 3) პირთა ერთობა ჩამოყალიბებულია ხანგრძლივი ვადით - დროში სტაბილურობის კრიტერიუმიდან გამომდინარე, ერთობას არ უნდა ჰქონდეს მომენტალური, მოკლევადიანი ხასიათი. თუმცა, ეს სტანდარტი სიმკაცრით არ

[3101] Bauer, GG, Art. 9, Rn. 37; Ipsen, Grundrechte, Rn. 583; Jarass, GG, Art. 9, Rn. 4; Löwer, GG, Art. 9, Rn. 20.
[3102] დაწვრილებით იხ.: ქანთარია, 26-ე მუხლის კომენტარი, 317-318.
[3103] ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.
[3104] დაწვრილებით იხ.: N2/2/439 გადაწყვეტილება, II-12-21.
[3105] შეადარე: Jarass, GG, Art. 9, Rn. 4; Löwer, GG, Art. 9, Rn. 28; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 725.
[3106] შეადარე: Höfling, GG, Art. 9 GG, Rn. 7; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 721; BVerfGE 38, 281 (303).
[3107] შეადარე: Bauer, GG, Art. 9, Rn. 39; Höfling, GG, Art. 9, Rn. 10; Jarass, GG, Art. 9, Rn. 3; Kemper M. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 13; Löwer, GG, Art. 9, Rn. 28; Scholz, GG, Art. 9, Rn. 59 ff.
[3108] შეადარე: Bauer, GG, Art. 9, Rn. 38 ff.; Höfling, GG, Art. 9, Rn. 8; Ipsen, Grundrechte, Rn. 585; Jarass, GG, Art. 9, Rn. 3; Löwer, GG, Art. 9, Rn. 30, 35; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 722; Scholz, GG, Art. 9, Rn. 57.

გამოირჩევა. გაერთიანების შექმნა დროებითი მიზნის გარშემოც შეიძლება. გაერთიანების არსებობის ვადა უნდა იძლეოდეს მისი გამიჯვნის შესაძლებლობას შეკრებისაგან, რომელიც ასევე პირთა ერთობაა საერთო მიზნის მისაღწევად, მაგრამ ხანმოკლე ვადით;[3109] 4) პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი[3110] - ამ კრიტერიუმის შესასრულებლად საკმარისი არაა საერთო მიზნის ფორმალურად დაფიქსირება. ის უნდა იყოს გაერთიანების დამფუძნებელთა თავისუფალი ნების ნაყოფი. ამასთან, გაერთიანების მიზნები თემატურად შეზღუდული არ არის - ის შეიძლება შეიქმნას საქველმოქმედო, გარემოსდაცვითი, ცხოველების დაცვის, კულტურული, გასართობი და სხვა ნებისმიერი მიზნებისათვის,[3111] თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას;[3112] 5) პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზებული სახე - ორგანიზაციული სტაბილურობისა და ნების ორგანიზებული ფორმირების კრიტერიუმი მაღალი სიმკაცრით არ გამოირჩევა. ის დაკმაყოფილებულია, თუ გაერთიანებას აქვს ორგანიზებულობის მინიმალური დონე მაინც,[3113] მაგალითად არარეგისტრირებულ გაერთიანებებს.[3114] ამ კონტექსტშიც აქცენტი კეთდება სტაბილურობის უფრო მაღალ დონეზე, რაც გაერთიანებას გამოარჩევს შეკრებისაგან.[3115]

1493 საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა გაერთიანების ნიშნებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა საზღვარგარეთული და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ის შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც „გაერთიანების“ ცნებას კონვენციის მე-11 მუხლის მიზნებისათვის ავტონომიურად, ამავე ტერმინის წევრი სახელმწიფოების სამართალში არსებული განმარტებებისაგან დამოუკიდებლად, აყალიბებს.[3116] ევროპული სასამართლოს პოზიციით, „გაერთიანება“ ძირითადად მოიცავს ყველა ნებაყოფლობით, გრძელვადიან, ორგანიზაციულად გამყარებულ ორი ან მეტი (იურდიული ან ფიზიკური) პირის გაერთიანებას საერთო მიზნის მიღწევისათვის.[3117] გაერთიანებები, რომელთა საქმიანობაც აშკარად ეწინააღმდეგება კონვენციის ფასეულობებს, მაგალითად საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის პრინციპს ან ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობას, კონვენციის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, არ ექვემდებარება დაცვას.[3118]

[3109] შეადარე მაგ.: Höfling, GG, Art. 9, Rn. 15; Ipsen, Grundrechte, Rn. 585; Münch I. v., Erläuterungen zum Art. 9 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950, Rn. 30.

[3110] შედარე მაგ.: Bauer, GG, Art. 9, Rn. 38 ff.; Höfling, GG, Art. 9, Rn. 8; Ipsen, Grundrechte, Rn. 585; Jarass, GG, Art. 9, Rn. 3; Löwer, GG, Art. 9, Rn. 35; Scholz, GG, Art. 9, Rn. 57.

[3111] შეადარე მაგ.: Höfling, GG, Art. 9, Rn. 14; Jarass, GG, Art. 9, Rn. 3; Löwer, GG, Art. 9, Rn. 31; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 723; BVerfGE 38, 281 (303).

[3112] Ipsen, Grundrechte, Rn. 585.

[3113] Bauer, GG, Art. 9, Rn. 38 ff.; Höfling, GG, Art. 9, Rn. 8; Ipsen, Grundrechte, Rn. 585; Jarass, GG, Art. 9, Rn. 3; Löwer, GG, Art. 9, Rn. 35; Scholz, GG, Art. 9, Rn. 57.

[3114] შეადარე: ქანთარია, 26-ე მუხლის კომენტარი, 304.

[3115] შეადარე მაგ.: Höfling, GG, Art. 9, Rn. 15; Münch, GG, Art. 9, Rn. 30.

[3116] Chassagnou and Others v. France (N25088/94, 28331/95, 28443/95; 29.4.1999).

[3117] Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 84; Association X. v. Sweden (N6094/73; 6.7.1977); Young, James and Webster v. the United Kingdom (N7601/76, 7806/77; 14.12.1979).

[3118] Hizb ut-Tahrir and Others v. Germany.

„გაერთიანების“ ცნება არ მოიცავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს[3119] მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის კორპორაცია წევრობაზეა დაფუძნებული.[3120] საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ამ საკითხზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ჰქონდა საჯარო სამართლის იურდიული პირის სტატუსი. მან არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ადვოკატთა ასოციაცია, მიუხედავად სტატუსისა, წარმოადგენდა „საზოგადოებრივ გაერთიანებას“[3121] კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით და ყურადღება გაამახვილა განმასხვავებელ ნიშნებზე. ერთმანეთისაგან განსხვავდება გაერთიანებებისა და საჯარო სამართლის კორპორაციების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სამართლებრივი საფუძვლები. თუ გაერთიანებაში წინა პლანზეა კერძო კოლექტიური ინტერესი და მას აქვს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების უფლება, რაც კანონით არაა აკრძალული, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდულია იმ საქმიანობით, რასაც კანონი ან მისი დამფუძნებელი დოკუმენტი ითვალისწინებს. რაც მთავარია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე არ ვრცელდება გაერთიანებისათვის დამახასიათებელი ნებაყოფლობითობის პრინციპი.[3122] მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია. განაცხადა, რომ კონსტიტუციით „დაცულია გაერთიანებისა და არა საჯარო კორპორაციების თავისუფლება“[3123] და გამორიცხულია საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოქცევა გაერთიანების თავისუფლების მოქმედების სფეროში.[3124] 1494

საჯარო სამართლის კორპორაციებს „გაერთიანებად“ არ მიიჩნევს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც. მისი პოზიციით, გაერთიანების თავისუფლება ინდივიდებს არ აძლევს საჯაროსამართლებრივი გაერთიანების შექმნის უფლებას. აქედან გამომდინარე, არც საჯარო სამართლის კორპორაციებში სავალდებულო გაწევრებაზე უარი არის კონსტიტუციით დაცული. ამავდროულად, სასამართლო არ გამორიცხავს ამგვარი შემთხვევების შეფასებისას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გამოყენებას.[3125] 1495

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც არ თვლის „გაერთიანებად“ საჯაროსამართლებრივ გაერთიანებებს.[3126] იმის შესაფასებლად, თუ რამდენადაა სახეზე საჯაროსამართლებრივი გაერთიანება, ის მხედველობაში იღებს გარემოებათა ერთობლიობას.[3127] გაერთიანება საჯაროსამართლებრივად ითვლება, როდესაც ის (1) დაფუძნებულია კანონით და არა კერძო პირების მიერ, (2) ინტეგრირებულია სახელმწიფო სტრუქტურებში, (3) აღჭურვილია სახელისუფლებო უფლებამოსილებებით

[3119] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 297; Höfling, GG, Art. 9, Rn. 13; Ipsen, Grundrechte, Rn. 586; Jarass, GG, Art. 9, Rn. 4; Löwer, GG, Art. 9, Rn. 28.
[3120] „საჯარო სამართლის იურდიული პირის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი.
[3121] კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქცია სწორედ ამ ტერმინს იყენებდა, რაც არ განსხვავდება დღეისათვის მოქმედ რედაქციაში ასახული „გაერთიანებისაგან“.
[3122] დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის N1/5/323 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1-2.
[3123] N2/2/439 გადაწყვეტილება, II-11.
[3124] იქვე, II-17.
[3125] BVerfGE 10, 89 (102); 38, 281 (297 f.); 107, 169 (172 f.).
[3126] მაგ.: Sigurður A. Sigurjónsson v. Iceland (N16130/90; 30.6.1993).
[3127] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 29.

და (4) ემსახურება საჯარო მიზნებს.[3128] ამ კრიტერიუმების გამოყენებით ევროპულმა სასამართლომ საჯაროსამართლებრივ გაერთიანებებად მიიჩნია და მე-11 მუხლის მოქმედება არ გაავრცელა, მაგალითად თავისუფალი პროფესიების პალატებზე (ექიმთა პალატა, ნოტარიუსთა პალატა, ადვოკატთა პალატა, არქიტექტორთა პალატა, ვეტერინართა პალატა და ა.შ.),[3129] სავაჭრო პალატებსა[3130] და (გერმანულ) სამონადირეო ამხანაგობებზე.[3131] საჯაროსამართლებრივ გაერთიანებებად არ იქნა ჩათვლილი და შესაბამისად, მე-11 მუხლით დაცულ სფეროში მოექცა მონადირეთა გაერთიანებები საფრანგეთსა და ლუქსემბურგში.[3132] თუ გაერთიანებას აქვს როგორც კერძო, ასევე საჯაროსამართლებრივი ნიშნები, ევროპული სასამართლო საკითხს წყვეტს იმის მიხედვით, თუ რომელი ნიშნები გადაწონის.[3133]

1496 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის მიხედვით, ის გარემოება, რომ პირთა გაერთიანებას არ აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და კერძო ინტერესებს ემსახურება, თავისთავად არ ნიშნავს, რომ ის „გაერთიანებად“ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის თვალსაზრისით.[3134] ის უნდა აკმაყოფილებდეს „გაერთიანების“ იმ ნიშნებს, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ „გაერთიანებად“ არ ჩათვალა მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები. პირველ რიგში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში პირის შესვლა ხდებოდა არა მისი სუბიექტური გადაწყვეტილების, არამედ იმ ობიექტური გარემოების საფუძველზე, რომ მის საკუთრებაში იყო ბინა მრავალბინიან სახლში. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა წარმოადგენდა საკუთრების ობიექტის ბუნებიდან გამომდინარე და ელემენტარული საყოფაცხოვრებო და საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტური გარემოებით განპირობებულ რეალობას და არა პირის თვითრეალიზაციისა და თავისუფალი განვითარების უფლების ჯგუფური განხორციელების ფორმას.[3135] გარდა ამისა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს ჰქონდათ მათი ბუნებიდან გამომდინარე, საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის აუცილებლობით განპირობებული ამოცანები და არა მათი წევრების მიერ თავისუფალი ნების საფუძველზე, დამოუკიდებლად განსაზღვრული საერთო მიზნები.[3136]

1497 გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში ვერ მოექცევიან კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე პირთა ერთობები, რომლებიც მართალია, აკმაყოფილებენ „გაერთიანების“ ყველა კრიტერიუმს, მაგრამ წარმოადგენენ სხვა ძირითადი უფლების კოლექტიური რეალიზაციის ფორმას. აქედან გამომდინარე, ისინი შედიან შესაბამისი სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. მაგალითად, სამეწარმეო საზოგადოებების შექმნა და საქმიანობა უზრუნველყოფილია მეწარმეობის და არა გაერთიანების თავისუფლებით.

[3128] Le Compte and Others v. Belgium (N6878/75, 7238/75; 23.6.1981); Sigurður A. Sigurjónsson v. Iceland; Chassagnou and Others v. France; Herrmann v. Germany (N9300/07; 20.1.2011).
[3129] Barthold v. Germany (N8734/79; 12.3.1981); Le Compte and Others v. Belgium; Revert and Legallais v. France (N14331/88, 14332/88; 8.9.1989); A. and Others v. Spain (N13750/88; 2.7.1990); O.V.R. v. Russia (N44319/98; 3.4.2001).
[3130] Weiss v. Austria (N14596/89; 10.7.1991).
[3131] Herrmann v. Germany.
[3132] Chassagnou and Others v. France; Schneider v. Luxembourg (N2113/04; 10.7.2007).
[3133] Sigurður A. Sigurjónsson v. Iceland.
[3134] N2/2/439 გადაწყვეტილება, II-17.
[3135] იქვე, II-18.
[3136] იქვე, II-21.

1498 კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ გაერთიანებებზე, რომლებსაც კონსტიტუცია გამოარჩევს მათი მიზნების მიხედვით და იცავს სპეციალური ნორმებით. პირველ რიგში, ესაა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები - პოლიტიკური პარტიები, რომელთა თავისუფლებასაც კონსტიტუციის 23-ე მუხლი ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებშიც კი, როდესაც კონსტიტუციის ძველი რედაქცია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებებს ერთი მუხლის მოქმედების სფეროში აქცევდა, საკონსტიტუციო სასამართლომ გაავლო მიჯნა მათ შორის.[3137] გარდა ამისა, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად სპეციალური ნორმა - 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიეძღვნა პროფესიული კავშირების თავისუფლებას. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტში ტერმინი „გაერთიანება“ პროფესიულ კავშირებს არ მოიაზრებს.[3138]

1499 გაერთიანების თავისუფლებით უზრუნველყოფილია გაერთიანების თავისუფალი დაფუძნებისა და მასში გაწევრიანების შესაძლებლობა (რამდენადაც ახალი წევრების მიღებას თვით გაერთიანება უშვებს). დაფუძნების თავისუფლება მოიცავს თავისუფალ გადაწყვეტილებას გაერთიანების დაფუძნების დროსთან, მიზანთან, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან, სახელწოდებასთან და იურიდიულ მისამართთან დაკავშირებით. გაწევრიანებასთან ერთად, უზრუნველყოფილია გაერთიანების წევრად დარჩენის თავისუფლებაც. დაცულია გაერთიანებების ორგანიზაციული და შიდა საქმიანობის თავისუფლება, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების ჩათვლით.[3139] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და თეორეტიკოსების პოზიციით, გაერთიანების თავისუფლება გარე საქმიანობის მხოლოდ იმ ნაწილზე ვრცელდება, რაც გულისხმობს გაერთიანების ახალი წევრების მოზიდვას და მის წარმოჩენას საზოგადოებისათვის.[3140] ევროპული სასამართლო უზრუნველყოფილად თვლის გაერთიანების მიზნების მიღწევის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას.[3141] მიდგომათა ეს სხვაობა, სავარაუდოდ, განპირობებულია კონვენციითა და კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებათა კატალოგებს შორის განსხვავებით, განსაკუთრებით - საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების გარანტირებით ეროვნულ დონეზე მაშინ, როდესაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და მისი ეს ელემენტი კონვენციით გათვალისწინებული არ არის. ევროპული სასამართლო კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროს მიაკუთვნებს უფლებას, არ დაზიანდეს რომელიმე გაერთიანების წევრობის გამო.[3142] უზრუნველყოფილია გაერთიანების მიზნის თავისუფალი შერჩევა, მაგრამ დაცული არ არის ამ მიზნის მიღწევა.[3143]

[3137] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-4.
[3138] განსხვავებული პოზიცია იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 299.
[3139] შეადარე მაგ.: N2/2/439 გადაწყვეტილება, II-8; Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 31; Höfling, GG, Art. 9, Rn. 16, 31; Jarass, GG, Art. 9, Rn. 6; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 726 f.; Scholz, GG, Art. 9, Rn. 78 ff.; Gustafsson v. Sweden (N15573/89; 25.4.1996); Gorzelik and Others v. Poland (N44158/98; 17.2.2004); BVerfGE 30, 227 (241); 50, 290 (354); 80, 244 (253).
[3140] Bauer, GG, Art. 9, Rn. 45; Höfling, GG, Art. 9, Rn. 18 ff.; BVerfGE 84, 372 (378).
[3141] Frowein J. A., Peukert W., Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., Art. 11, Rn. 9; Young, James and Webster v. the United Kingdom.
[3142] Vogt v. Germany.
[3143] Association X. v. Sweden; Grande Oriente d`Italia di Palazzo Giustiniani v. Italy (N35972/97; 2.8.2001).

1500 გაერთიანების თავისუფლებას, პოზიტიურთან ერთად, ნეგატიური კომპონენტიც აქვს. ნეგატიური თვალსაზრისით, დაცულია პირის უფლება, არ დააფუძნოს გაერთიანება ან არ გაწევრიანდეს უკვე დაფუძნებულ გაერთიანებაში, ასევე თავისუფლად მიიღოს გაერთიანების დატოვების გადაწყვეტილება.[3144] ევროპული სასამართლო გაერთიანების ნეგატიურ თავისუფლებას ასევე მიაკუთვნებს უფლებას, არ გადაიხადო იმ გაერთიანების საწევრო, რომლის წევრიც ფორმალურად არ ხარ.[3145] ნეგატიური თავისუფლება არ იცავს და გაერთიანებაში სავალდებულო გაწევრებად არ ითვლება საწარმოს მიერ სოციალური დაზღვევის შენატანების განხორციელება სოციალურ ფონდში.[3146]

1.3. გაერთიანების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1501 გაერთიანების თავისუფლება მიეკუთვნება თავისუფლების, იმავე თავდაცვითი უფლებების (status negativus) კატეგორიას. აქედან გამომდინარე, ის სახელმწიფოს ძირითადად ნეგატიურ ვალდებულებებს აკისრებს. მან თავი უნდა შეიკავოს გაერთიანებების თავისუფალი დაფუძნების, მათში გაწევრებისა და მათ საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენის, ჩარევისა და ხელშეშლისაგან, ასევე მათი უსაფუძვლო აკრძალვისაგან.[3147]

1502 თანამედროვე სამყაროში გაერთიანებები ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი განწყობების ჩამოყალიბებასა და სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიღებაზეც კი. თუმცა, მათი ამგვარი ქვაზიპოლიტიკური გავლენა არ განაპირობებს გაერთიანების თავისუფლების ტრანსფორმაციას პოლიტიკურ, თანამონაწილეობით (status activus) უფლებად.[3148]

1503 თეორიაში საუბრობენ გაერთიანების თავისუფლების მფარველობით განზომილებაზეც, თუმცა ეს არ იწვევს იმას, რომ ეს უფლება იღებს მფარველობითი უფლების (status positivus) ხასიათს. მფარველობითი განზომილება დამხმარე ფუნქციას ასრულებს და გამოიხატება გაერთიანების თავისუფლების სახელმწიფო დაცვისა და მისი რეალიზაციისათვის შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმის შექმნის ვალდებულებაში, ასევე მის ირიბ მოქმედებაში მესამე პირთა მიმართ.[3149]

[3144] შეადარე მაგ.: N2/2/439 გადაწყვეტილება, II-9; Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 32; Jarass, GG, Art. 9, Rn. 7; Chassagnou and Others v. France; BVerfGE 10, 89 (104); 38, 281 (297 f.); 50, 290 (354).
[3145] Vörður Ólafsson v. Iceland (N20161/06; 27.4.2010).
[3146] Geotech Kancev Gmbh v. Germany (N23646/09; 2.6.2016).
[3147] შეადარე მაგ.: N2/2/439 გადაწყვეტილება, II-7; Bauer, GG, Art. 9, Rn. 51; Höfling, GG, Art. 9, Rn. 27; Ipsen, Grundrechte, Rn. 592, 594.
[3148] შეადარე: Höfling, GG, Art. 9, Rn. 28.
[3149] დაწვრილებით იხ: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 299; Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 50; Bauer, GG, Art. 9, Rn. 50; Höfling, GG, Art. 9, Rn. 29 f.; BVerfGE 50, 290 (354 f.); 84, 372 (378).

2. ჩარევა გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება

1504 გაერთიანების თავისუფლება არ არის აბსოლუტური ძირითადი უფლება.[3150] ამ უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირებისას, მთავარია იმის დადგენა, თუ რამდენადაა კონკრეტული შეზღუდვა მიმართული ამ უფლებით დაცული სიკეთის წინააღმდეგ. როგორც უკვე აღინიშნა, საჯარო სამართლის იურდიული პირი არ ითვლება „გაერთიანებად“, კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევად არ დაკვალიფიცირდება საჯარო სამართლის კორპორაციების დაფუძნებასთან თუ მათში გაწევრიანებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. საკონსტიტუციო სასამართლომ გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის იდენტიფიცირება არ მოახდინა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის იმ ნორმებზე მსჯელობისას, რომლებიც ითვალისწინებდნენ, ადვოკატის სტატუსის მოსაპოვებლად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულო გაწევრიანებას და ამ ასოციაციის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სტატუსს. სასამართლომ მიუთითა, რომ ადვოკატთა ასოციაციაში, როგორც საჯაროსამართ-ლებრივ გაერთიანებაში, სავალდებულო წევრობა ვერ შეფასდებოდა გაერთიანების თავისუფლებასთან მიმართებით. ასოციაციის სტატუსი და მასში სავალდებულო გაწევრიანება განპირობებული იყო იმით, რომ ადვოკატი ჩართული იყო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და გარკვეულწილად საჯარო ფუნქციებს ახორციელებდა. ასოციაციაში ერთიანდებოდა კერძო და საჯარო ინტერესები, რომლებსაც დამოუკიდებლად ვერ განახორციელებდა ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება.[3151] გარდა ამისა, საჯარო სამართლის კორპორაციის სავალდებულო წევრობა ადვოკატებს არ ართმევდა, საერთო ინტერესების საფუძველზე, ადვოკატთა გაერთიანებების შექმნისა და მათში გაწევრიანების შესაძლებლობას.[3152]

1505 საკონსტიტუციო სასამართლომ გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა არ დაადგინა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის იმ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც ახდენდა ამ კანონის ამოქმედებისთანავე მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ავტომატურ დაფუძნებას და მის წევრებად აცხადებდა ამ სახლებში ბინების მესაკუთრეებს, მათი ნების მიუხედავად. როგორც დაცულ სფეროზე მსჯელობისას აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ იყო „გაერთიანება“, კონსტიტუციური თვალსაზრისით. მასში შესვლით პირი არ ახდენდა გაერთიანების პოზიტიური თავისუფლების რეალიზაციას, შესაბამისად, მას არ ჰქონდა ამხანაგობაში გაწევრიანებაზე უარის თქმის ნეგატიური თავისუფლებაც.[3153]

1506 გაერთიანების თავისუფლებასთან მიმართებით ასევე არ იქნა შეფასებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 თებერვლის

[3150] მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 299.
[3151] N1/5/323 გადაწყვეტილება, 2.
[3152] იქვე, 4.
[3153] დაწვრილებით იხ.: N2/2/439 გადაწყვეტილება, II-19, 24.

დადგენილება, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა პერიოდის ორგანიზაციის „დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტას. ამ ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლომ არ ჩათვალა გაერთიანების აკრძალვის ტოლფას მოვლენად. სადავო აქტი ასევე არ შეეხებოდა გაერთიანების შექმნის ან მასში გაწევრიანების საკითხებს. გარდა ამისა, „დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტა განხორციელდა კონსტიტუციის ამოქმედებამდე რამდენიმე წლით ადრე, ხოლო გაერთიანების თავისუფლების კონსტიტუციური ნორმა ვრცელდებოდა კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებზე.[3154]

1507 გერმანული სასამართლო პრაქტიკა და თეორია გაერთიანების თავისუფლებას მიიჩნევს უფლებად, რომელიც ნორმატიულ მოწესრიგებას საჭიროებს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევისაგან განასხვავებენ მის სამართლებრივ გაფორმებას. ჩარევად განიხილება გაერთიანების თავისუფლებით დაცული სიკეთეების ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც ხელყოფს ამ უფლების თავდაცვით განზომილებას, ანუ როდესაც სახელმწიფო არ ასრულებს თავის ნეგატიურ ვალდებულებებს. სამართლებრივი გაფორმება ჩარევად არ ითვლება. ის გამომდინარეობს გაერთიანების თავისუფლების მფარველობითი განზომილებიდან და ემსახურება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებას - განახორციელოს ამ უფლების მინიმალური ორგანიზაციული და პროცედურული უზრუნველყოფა მაინც. ამის მაგალითია გაერთიანების სახეებისა და დაფუძნების წინაპირობების განსაზღვრა კანონმდებლობით, თუმცა კანონმდებელმა უფლების სუბიექტებს უნდა შესთავაზოს გაერთიანების ფორმათა მრავალფეროვნება და დაიცვას თავისუფალი ასოცირებისა და თვითგამორკვევის პრინციპი.[3155]

2.2. ჩარევის სახეები

1508 კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ჩარევის კონკრეტულ ფორმას - ლიკვიდაციას და ადგენს მისი განხორციელების წინაპირობებს. ამავე პუნქტში არის მითითება ლიკვიდაციაზეც, თვით გაერთიანების გადაწყვეტილებით, რაც გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციის ფორმაა და არა მასში ჩარევა. ლიკვიდაცია არის ჩარევის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ფორმა, რომლის გამორჩევა კონსტიტუციის მიერ განპირობებულია მისი სიმძიმითა და შესაბამისად, გამართლებისათვის გამკაცრებული პირობების დადგენით. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომ ლიკვიდაცია გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის ერთადერთი სახეა და ნებისმიერი სხვა საფუძვლით ჩარევა გაუმართლებელი იქნებოდა.[3156] საერთოდ, ამა თუ იმ უფლებაში ჩარევის მძიმე ფორმის ცალკე გამოყოფა და მისთვის განსხვავებული კონსტიტუციურსამართლებრივი რეჟიმის დადგენა კონსტიტუციას ახასიათებს (მაგალითად: საკუთრების ჩამორთმევა, შემოქმედებითი ნაწარმოების

[3154] საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის N1/3/113 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, III-2.

[3155] დაწვრილებით იხ.: Höfling, GG, Art. 9, Rn. 33a ff.; Ipsen, Grundrechte, Rn. 591; Löwer, GG, Art. 9, Rn. 23 ff., 32; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 740; Scholz, GG, Art. 9, Rn. 69, 93; BVerfGE 50, 290 (354 f.).

[3156] დაწვრილებით იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 299-300.

გავრცელების აკრძალვა და ა.შ.). ეს არ ნიშნავს, რომ კონსტიტუცია სხვა ჩარევებს გამორიცხავს. აქ მოქმედებს ე.წ. „მით უფრო“ არგუმენტი (argumentum a fortiori) - თუ კონსტიტუცია უშვებს უფლების მძიმე შეზღუდვას, ის მით უფრო დაუშვებს შედარებით მსუბუქ შეზღუდვებს. გარდა ამისა, ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ დაფუძნებულ და არსებულ გაერთიანებას შეეხოს, რაც გამორიცხავს, მაგალითად, გაერთიანების პრევენციულ კონტროლს (გაერთიანების წესდების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ და ა.შ.), რაც ასევე გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის ერთ-ერთ სახედ ითვლება.[3157]

1509 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების გარეშე a priori არაკონსტიტუციურად ვერ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი ჩარევები გაერთიანების თავისუფლებაში, როგორიცაა: საქმიანობის შეჩერება,[3158] აკრძალვა,[3159] საქმიანობის უფლების ჩამორთმევა,[3160] სახელწოდების შერჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვები,[3161] სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება[3162] და სხვა.

1510 აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის სხვადასხვა ფორმებს იცნობს,[3163] მაგალითად: სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გაერთიანებაში გაწევრების, არგაწევ-რების ან განხორციელებული საქმიანობის გამო;[3164] გაერთიანების მიერ გარკვეული საქმიანობის განხორციელების შეზღუდვა ან აკრძალვა;[3165] გაერთიანებაში სავალდებულო გაწევრება;[3166] გაერთიანების ან მისი ორგანოების რეგისტრაციაზე უარის თქმა[3167] და ა.შ. ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმებია გაერთიანების ლიკვიდაცია ან აკრძალვა.[3168]

1511 გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევად მიიჩნევენ ასევე ე.წ. „ფაქტობრივ ჩარევას“. ამის მაგალითად მოჰყავთ სპეცსამსახურების მხრიდან გაერთიანების აქტივობების მონიტორინგი, ასევე პირის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლება ექსტრემისტული გაერთიანების წევრობის გამო, რომელიც ჯერ არ არის აკრძალული.[3169]

[3157] მაგ.: Jarass, GG, Art. 9, Rn. 12; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 740 f.
[3158] „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლი.
[3159] „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლი.
[3160] „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონის 4^1 მუხლი; სისხლის სამართლის კოდექსის 107^3 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[3161] სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.
[3162] სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[3163] დაწვრილებით იხ.: Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 33 f.
[3164] Vogt v. Germany; Piroğlu and Karakaya v. Turkey (N36370/02, 37581/02; 18.3.2008).
[3165] Yeşilgöz v. Turkey (N45454/99; 20.9.2005).
[3166] Chassagnou and Others v. France.
[3167] Gorzelik and Others v. Poland; Zhechev v. Bulgaria (N57045/00; 21.6.2007); Özbek and Others v. Turkey (N35570/02; 6.10.2009); Zhdanov and Others v. Russia (N12200/08, 35949/11, 58282/12; 16.7.2019).
[3168] Association of Citizens Radko and Paunkovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N74651/01; 15.1.2009); Tebieti Mühafize Cemiyyeti and Israfilov v. Azerbaijan (N37083/03; 8.10.2009).
[3169] Höfling, GG, Art. 9, Rn. 34.

3. გაერთიანების თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება

3.1. კანონისა და სასამართლოს დათქმები

1512 კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს „კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით". იქედან გამომდინარე, რომ ლიკვიდაცია იურიდიული პირის, მათ შორის გაერთიანებების, სასჯელის ერთ-ერთი სახეა,[3170] „კანონით განსაზღვრულ შემთხვევად" შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალის-წინებული კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობები (მაგალითად, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება[3171]), რომლებიც ითვალისწინებს სანქციის სახით იურიდიული პირის ლიკვიდაციას. ამასთან, ლიკვიდაცია სასჯელის სახით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა იურიდიული პირის შექმნის ძირითადი მიზანი ან მისი საქმიანობის ძირითადი ნაწილია.[3172] რაც შეეხება ლიკვიდაციის პროცედურას, ამ სასჯელის დანიშვნისას სასამართლო იმავდროულად ნიშნავს ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს), რომელიც ახორციელებს ლიკვიდაციას იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.[3173] თავის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის წესს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი.[3174]

1513 კანონის ზოგადი დათქმა ვრცელდება გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის სხვა შემთხვევებზე. აღსანიშნავია, რომ გაერთიანების თავისუფლების განხორციელების შეზღუდვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კანონითაა გათვალისწინებული.[3175] ანალოგიურ რეგულირებას ითვალისწინებს ასევე საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ".[3176]

1514 კანონის დათქმის კონტექსტში საყურადღებოა ერთი გარემოება - კონსტიტუციის ძველი რედაქციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენდა, რომ საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია ორგანულ კანონზე აღარ მიუთითებს, ხოლო მისი მიღება მხოლოდ კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ხდება. აქედან გამომდინარე, აღარ არსებობს „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ" ორგანული კანონის საკონსტიტუციო საფუძველი. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაერთიანების თავისუფლებაში

[3170] სისხლის სამართლის კოდექსის 107^3 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.
[3171] სისხლის სამართლის კოდექსის 239^1 მუხლი.
[3172] სისხლის სამართლის კოდექსის 107^4 მუხლის მე-3 ნაწილი.
[3173] სისხლის სამართლის კოდექსის 107^4 მუხლის პირველი ნაწილი.
[3174] სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლი.
[3175] მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.
[3176] 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ჩარევის ეს და სხვა შემთხვევები არ საჭიროებს მოწესრიგებას ორგანულ კანონზე იერარქიულად დაბლა მდგომი საკანონმდებლო აქტით.

1515 კონსტიტუციის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება მხოლოდ ფორმალურად, საკანონმ-დებლო აქტის მიღებით, გაერთიანების ლიკვიდაციისა თუ სხვა სახის ჩარევასთან დაკავშირებით. გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება შეუძლებელია შესაბამისი კანონის ხელმისაწვდომობისა და განსაზღვრულობის პრინციპთან მისი შესაბამისობის დადგენის გარეშე.

1516 გაერთიანების ლიკვიდაციაზე ასევე ვრცელდება სასამართლო დათქმა - ის შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის ძველი რედაქციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარე, „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონი დღესაც ითვალისწინებს გაერთიანების საქმიანობის შეჩერებას ან მის აკრძალვას სასამართლოს გადაწყვეტილებით.[3177] ჩარევის ეს ფორმებიც იწვევს გაერთიანების საქმიანობის საბოლოო (აკრძალვისას) ან დროებით (საქმიანობის შეჩერებისას) შეწყვეტას. საქმიანობის შეჩერებას შეიძლება მოჰყვეს გაერთიანების აკრძალვა.[3178] თავის მხრივ, აკრძალვა ფაქტობრივად ლიკვიდაციის ტოლფასია და მისი განხორციელების შემდეგაც ხდება გაერთიანების დარჩენილი ქონების განაწილება.[3179] აქედან გამომდინარე, სასამართლო დათქმის გავრცელება საქმიანობის შეჩერებასა და აკრძალვაზე, ლოგიკურია, მიუხედავად იმისა, რომ ამას კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ლიკვიდაციის მსგავსად, სასჯელია და ისიც მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე შეიძლება შეეფარდოს გაერთიანებას.[3180]

3.2. თანაზომიერების შემოწმება

1517 გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა, ფორმალურთან ერთად, კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. თანაზომიერების პრინციპით შეზღუდულია როგორც კანონმდებელი, ასევე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ამდენად, როგორც ჩარევის საკანონმდებლო რეგულირება, ასევე კონკრეტული ჩარევა, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და წარმოადგენდეს ამისათვის გამოსადეგ, აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას. იქედან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული დავები ჩარევის იდენტიფიცირების ეტაპს ვერ გასცდა, არ არსებობს თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის შემოწმების კონკრეტული გამოცდილება. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის შემოწმების დროსაც, დიდი ალბათობით,

[3177] იხ. მე-2-მე-4 მუხლები.
[3178] „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლი.
[3179] „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონის მე-6 მუხლი.
[3180] „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ ორგანული კანონის 4^1 მუხლი; სისხლის სამართლის კოდექსის 107^3 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

გამოიყენებს სხვა უფლებების შეზღუდვის თანაზომიერების კონტროლისას მყარად დამკვიდრებულ სტანდარტებს.

1518 კონსტიტუციის 22-ე მუხლი არ ითვალისწინებს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ გაერთიანების თავისუფლება ექვემდებარება შიდაკონსტიტუციურ ზღვარს, მისი შეზღუდვა შესაძლებელია სხვათა უფლებებისა და კონსტიტუციური სიკეთეების დასაცავად. გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება ემსახურებოდეს ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, როგორიცაა: კონსტიტუციური წყობილების, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ადამიანების სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის, სამართლის წინაშე თანასწორობის დაცვას და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, კონსტიტუციისაგან განსხვავებით, მკაფიოდ ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რომელთა დასაცავად შეიძლება გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უწესრიგობის ან დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ფაქტობრივად, ანალოგიურია „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალიც.

1519 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი ადგენს მხოლოდ გაერთიანების აკრძალვის საფუძვლებსა და შესაბამისად, ლეგიტიმურ მიზნებს. კერძოდ, თუ მისი მიზნები ან საქმიანობა: ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონს, მიმართულია კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ ან ეწინააღმდეგება ხალხთა შორის ურთიერთგაგების იდეას.[3181] სისხლის სამართლის კანონთან წინააღმდეგობის შემთხვევაში აკრძალვა მიმართულია იმ სიკეთეების დასაცავად, რომლებიც სისხლისსამართლებრივი მექანიზმებითაა დაცული, მაგალითად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება. „კონსტიტუციურ წესრიგში“ იგულისხმება კონსტიტუციის ელემენტარული პრინციპები,[3182] „თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი“[3183] - სამართლებრივსახელმწიფოებრივი მმართველობა, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ ძალადობასა და თვითნებობას.[3184] „ხალხთა შორის ურთიერთგაგების იდეა“ მოიაზრებს საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ რეგულირებებს, რაც აუცილებელია ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.[3185] ხალხთა შორის ურთიერთგაგებას არ ეწინააღმდეგება სხვა სახელმწიფოთა უბრალო კრიტიკა ან მათთან ურთიერთობაზე უარის თქმა.[3186] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი კანონის აღნიშნულ რეგულირებებს განიხილავს, როგორც „კონსტიტუციის პრევენციული დაცვის ინსტრუმენტს“ და „ბრძოლისუნარიანი დემოკრატიის“ აღიარების გამოხატულებას. ისინი მოითხოვენ იმ საფრთხეებთან დროულ და ქმედით გამკლავებას, რომლებიც ემუქრება სახელმწიფოს,

[3181] მე-9 მუხლის მე-2 აბზაცი.
[3182] მაგ.: BVerfGE 6, 32 (38).
[3183] Kemper, GG, Art. 9, Rn. 78 ff.; Scholz, GG, Art. 9, Rn. 127; Münch, GG, Art. 9, Rn. 67.
[3184] BVerfGE 2, 1 (13).
[3185] Bauer, GG, Art. 9, Rn. 58; Ipsen, Grundrechte, Rn. 600; Löwer, GG, Art. 9, Rn. 44 ff., 53; Scholz, GG, Art. 9, Rn. 131.
[3186] Bauer, იქვე; Höfling, GG, Art. 9, Rn. 45; Jarass, GG, Art. 9, Rn. 20; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 751.

მის არსებობას, კონსტიტუციურ წესრიგს და მომდინარეობს დანაშაულებრივი ან არაკონსტიტუციური კოლექტიური მისწრაფებებიდან.[3187] გაერთიანების თავისუფლებაში სხვა სახის ჩარევების მიზანია დაპირისპირებული კონსტიტუციური სიკეთეების დაცვა.[3188] ამავდროულად, ჩარევის გამართლება შეუძლებელია კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ ზოგად სიკეთეებზე ან საყოველთაო კეთილდღეობაზე აპელირებით.[3189]

1520 როგორც აღვნიშნეთ, გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს. ჩარევა გამოსადეგი იქნება, თუ იგი ლოგიკურად უკავშირდება ლეგიტიმურ მიზანს და იძლევა მისი მიღწევის შესაძლებლობას. ევროპული სასამართლო გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის შემოწმებას ახორციელებს შეკრების თავისუფლების ანალოგიური სტანდარტებით.[3190] ჩარევა ამ შემთხვევაშიც მკაცრი წინაპირობების დაცვითაა დასაშვები და გამართლებული უნდა იყოს დამაჯერებელი და აუცილებელი საფუძვლებით.[3191] მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს.[3192] ჩარევის აუცილებლობის განსაზღვრისას მას ენიჭება ფართო დისკრეცია, როდესაც საქმე შეეხება გაერთიანების მიერ ძალადობის წაქეზებას ცალკეული ინდივიდების, სახელმწიფოს წარმომადგენლების ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგ.[3193]

1521 შეზღუდვის პროპორციულობის შემოწმების ფარგლებში, სიკეთეთა შედარებისას ევროპული სასამართლო ითვალისწინებს შესაბამისი გაერთიანების მნიშვნელობას დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის. როგორც წესი, ამ თვალსაზრისით გამორჩეული როლი პოლიტიკურ პარტიებს აქვთ,[3194] მაგრამ ასევე დიდია სხვა გაერთიანებების მნიშვნელობაც, რომლებიც ემსახურებიან ისეთ მიზნებს, როგორიცაა კულტურული ან სულიერი მემკვიდრეობის, ეთნიკური იდენტობის დაცვა, უმცირესობების ცნობიერების ამაღლება და სხვა.[3195] ჩარევის შემოწმების სიმკაცრე იზრდება მისი ინტენსივობისა და სიმძიმის ზრდის კვალობაზე. ამ კუთხით გამოსარჩევია გაერთიანების რეგისტრაციაზე უარისა და მისი ლიკვიდაციის შემთხვევები. ევროპული სასამართლო ამოწმებს, ხომ არ უპირისპირდება გაერთიანების მიზნები ან აქტივობები კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სიკეთეებს და იყენებს თანაზომიერების შემოწმების მკაცრ სტანდარტს.[3196] სახელმწიფო უფლებამოსილია, განახორციელოს ისეთი გაერთიანების შექმნისა და საქმიანობის პრევენცია, რომელსაც აქვს ძალადობრივი მიზნები ან უარყოფს დემოკრატიულ პრინციპებს.[3197] ამავდროულად, გაერთიანების დაფუძნების არდაშვება ვერ დაეყრდნობა უბრალო ეჭვს ან მის მიერ ისეთი იდეების მხარდაჭერას, რომლებიც

[3187] BVerfGE 80, 244 (253).
[3188] Bauer, GG, Art. 9, Rn. 59.
[3189] Höfling, GG, Art. 9, Rn. 40.
[3190] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 35; Sidiropoulos and Others v. Greece (N26695/95; 10.7.1998); Moscow Branch of The Salvation Army v. Russia (N72881/01; 5.10.2006); Gorzelik and Others v. Poland; Zhechev v. Bulgaria.
[3191] Gorzelik and Others v. Poland.
[3192] Magyar Keresztény Mennonita Egyház and Others v. Hungary (N70945/11, 23611/12, 26998/12, 41150/12, 41155/12, 41463/12, 41553/12, 54977/12, 56581/12; 8.4.2014).
[3193] Ayoub and Others v. France (N77400/14, 34532/15, 34550/15; 8.10.2020).
[3194] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 35.
[3195] Gorzelik and Others v. Poland.
[3196] Tourkiki Enosis Xanthis and Others v. Greece (N26698/05; 27.3.2008).
[3197] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 39.

საზოგადოების თუნდაც დიდი ნაწილისათვის მიუღებელია.[3198] ევროპული სასამართლო მოითხოვს კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენას, რომლებიც ადასტურებს კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში ასახული სიკეთეებისათვის საფრთხის არსებობას.[3199] მხედველობაში მიიღება თვით გაერთიანების ქცევაც. მაგალითად, არაპროპორციულად ჩაითვალა გაერთიანების ლიკვიდაცია იმისდა მიუხედავად, რომ ის ცდილობდა არსებული დარღვევების აღმოფხვრას.[3200]

3.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შემოწმება

1522 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოზიტიური ვალდებულებების შესრულებისას სახელმწიფოებს დისკრეციის ფართო სფეროს ანიჭებს, რამდენადაც მათ ამ დროს რთული სოციალური და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა უწევთ.[3201] მაგალითად, გაერთიანებების დაფუძნების სამართლებრივი რეგულირებისას, ისინი ძირითადად თავისუფალი არიან, იმ თვალსაზრისით, თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები იქნება გათვალისწინებული გაერთიანებებისათვის და რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მათი დაფუძნება.[3202]

1523 როდესაც კონკრეტული გაერთიანების მიზნებისადმი მესამე პირებს აქვთ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, ევროპული სასამართლო სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შესრულებას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყო მან დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ურთიერთშემწყნარებლური დამოკიდებულება. ამავდროულად, ის არ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ დაპირისპირების მიზეზის აღმოფხვრას.[3203] მესამე პირთა მხრიდან გაერთიანების თავისუფლების ხელყოფის შემთხვევაში, ევროპული სასამართლო ასევე ამოწმებს, რამდენად ჩაატარეს სახელმწიფო ორგანოებმა ეფექტიანი გამოძიება და იზრუნეს ადეკვატური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისათვის.[3204] სახელმწიფო არ არღვევს პოზიტიურ ვალდებულებას, როდესაც ის არ გადასცემს გაერთიანებას განსაზღვრულ საშუალებებს მისი ინტერესების განხორციელებისათვის.[3205]

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/

[3198] Emin and Others v. Greece (N34144/05; 27.3.2008); Association of Citizens Radko and Paunkovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia.
[3199] Sidiropoulos and Others v. Greece; Zhechev v. Bulgaria.
[3200] Tebieti Mühafize Cemiyyeti and Israfilov v. Azerbaijan.
[3201] Redfearn v. The United Kingdom (N47335/06; 6.11.2012).
[3202] Frowein/Peukert, EMRK, Art. 11, Rn. 8.
[3203] Zhdanov and Others v. Russia.
[3204] შეადარე: Ouranio Toxo and Others v. Greece (N74989/01; 20.10.2005); Redfearn v. The United Kingdom.
[3205] X. Association v. Germany (N9234/81; 14.7.1981).

ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; Arndt, Engels A., von Oettingen A. (Bearb.), Kommentar zum Art. 11 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11 Versammlungs- und Vereinigungsfreiheit Arndt/Engels in Karpenstein/Mayer, EMRK | EMRK Art. 11, 2. Auflage 2015; Bauer, (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 1 ff.; Höfling W. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Bauer, in: Dreier, GG. Kommentar, Bd. I, 1996, Art. 9; Frowein/Peukert, Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., Art. 11, 4. neu bearbeite Auflage. Verlag. N.P. Engel Verlag. Kehl am Rhein. 2023; Grabenwarter/ Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, C.H. Beck, München, Auflage: 7, Auflage 2021; Höfling, GG, Art. 9, in: Friauf / Höfling (Hrsg.), Berliner Kommentar zum Grundgesetz, Loseblattwerk mit Aktualisierungen, 2023; Höfling, GG, in: Sachs/Höfling, 7. Aufl. 2014, GG Art. 9; Ipsen, Staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Jarass, Hans/Pieroth: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Kemper, (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Kemper, in: v. Mangoldt/Klein/Starck, Das Bonner Grundgesetz, Bd. 1, 4. Aufl. 1999, **Art. 9;** Löwer, (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Münch I. v., Erläuterungen zum Art. 9 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950; Pieroth/Schlink, Grundrechte, Staatsrecht II, 35. Aufl. 2019; Scholz, (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958.

მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.

3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

4. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

შინაარსი

მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება 590

შინაარსი 590

1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 591

1.1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 591

1.2. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცული სფერო 593

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 593

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 595

1.3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 598

2. ჩარევა პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცულ სფეროში 599

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 599

2.2. ჩარევის სახეები 599

3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება 600

3.1. კანონისა და სასამართლოს დათქმები 600
3.2. თანაზომიერების შემოწმება 601
3.3. პოლიტიკური პარტიის აკრძალვის სპეციფიკა 604
ლიტერატურა 607

1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა

1524 პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას კონსტიტუცია სპეციალურ ნორმას - 23-ე მუხლს უძღვნის, თუმცა პოლიტიკური პარტიების თემა უზენაეს კანონში მხოლოდ სუბიექტური ძირითადი უფლების გარანტირებით არ ამოიწურება. კონსტიტუციის მე-3 მუხლის (დემოკრატია) მე-4 პუნქტი პოლიტიკურ პარტიებს ეძღვნება. პირველ რიგში, მითითებულია, რომ პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ამით ხაზგასმულია მათი მნიშვნელობა სახალხო სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპის რეალიზაციისათვის.[3206] გარდა ამისა, კონსტიტუციის დონეზეა დადგენილი პოლიტიკური პარტიების საქმიანობის პრინციპები - თავისუფლება, თანასწორობა, გამჭვირვალობა და შიდაპარტიული დემოკრატია. ეს ის აუცილებელი სტანდარტებია, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მართვაზე ან ამ პროცესში მონაწილეობის მიღებაზე პრეტენზიის მქონე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად ხედავს გამჭვირვალობისა და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპების კავშირს პარტიათა საზოგადო დატვირთვასთან. ისინი ემსახურება საჯარო მიზნებს, უზრუნველყოფს საზოგადოების ზეგავლენას შიდაპარტიულ პროცესებსა და ამომრჩევლის წინაშე პარტიათა ანგარიშვალდებულებაზე.[3207] თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე ხაზგასმით კი კონსტიტუცია აქცენტს აკეთებს პარტიების მხრიდან ადამიანის, როგორც უმაღლესი ფასეულობის, პატივისცემის აუცილებლობაზე.

1525 საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის დამკვიდრებით პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. მხოლოდ მათ აქვთ მონაწილეობის მიღების უფლება საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 2024 წლიდან სრულად პროპორციული სისტემით გაიმართება.[3208] პოლიტიკური პარტიები შეასრულებენ წამყვან როლს პრეზიდენტის არჩევისას, რასაც საარჩევნო კოლეგიის დაკომპლექტების წესი განაპირობებს.[3209] აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ

[3206] შეადარე მაგ.: ლოლაძე, ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 2021, აბზ. 597.
[3207] საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/2/1277 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.
[3208] კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
[3209] კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

პრემიერმინისტრობის კანდიდატის პარლამენტისათვის წარდგენის უფლებამოსილება, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკურ პარტიას მიანიჭა.[3210] გასათვალისწინებელია ხელისუფლების დანაწილების სპეციფიკა საპარლამენტო რესპუბლიკაში. იმ პირობებში, როდესაც გამყოფი ხაზი არა იმდენად ხელისუფლების ცალკეულ შტოებს, არამედ პოლიტიკურ პოზიციასა და ოპოზიციას შორის გადის, იზრდება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების როლი სახელისუფლებო ბალანსის შენარჩუნების კუთხით.[3211]

1526 საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობაზე N3/2/1277 გადაწყვეტილებაში. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიული მმართველობის სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის და პლურალისტული დემოკრატიის განმტკიცებისათვის. ეკისრებათ რა განსაკუთრებულ საჯარო ფუნქცია, პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული პროცესის განუყოფელ და აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი გვევლინებიან ხალხის დემოკრატიულ მმართველობაში მონაწილეობის ერთგვარ ინსტრუმენტად. ამ როლისა და ფუნქციის კონსტიტუციურ დონეზე განსაკუთრებული აღიარება ემსახურება როგორც თვით პოლიტიკური პარტიებისა და მათი ამომრჩევლების ინტერესებს, ასევე დემოკრატიული მმართველობის საჯარო ინტერესს. საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკური პარტიების არსებობას კონსტიტუციური წესრიგის შემადგენელ ნაწილად განიხილავს და მიუთითებს მათ კონსტიტუციურ ფუნქციაზე. ისინი ახორციელებენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ფუნქციას ამომრჩევლისათვის საჯარო პოლიტიკის განმსაზღვრელი იდეების შეთავაზებისა და მათი მოტივირების გზით. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტია საზოგადოებას აცნობს და ახდენს მომავალში შესაძლო თანამდებობის პირების პოპულარიზაციას, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო ასევე პარტიების ფუნქციად მიიჩნევს. პოლიტიკური პარტიების ასეთი მნიშვნელობა განაპირობებს მათ გაზრდილ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მათი შექმნისა და საქმიანობის მოქცევას მკაცრ კონსტიტუციურ ფარგლებში.[3212]

1527 საინტერესოა გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოხატული ძირითადი პოზიციები თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციის კონცეფცია, პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობასა და მათი ორგანიზებისა თუ საქმიანობის პრინციპებთან დაკავშირებით, ძალიან ჰგავს ამ ქვეყნის ძირითად კანონში ჩამოყალიბებულ მიდგომას.[3213] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის პოლიტიკური პარტიები კონსტიტუციის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილი[3214] და საკონსტიტუციოსამართლებრივი რანგის ინსტიტუტებია.[3215] პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის ნების ჩამოყალიბების პროცესში. მათთვის კონსტიტუციით განსაზღვრულ ამ ამოცანას უკავშირდება შიდაპარტიული დემოკრატიის მოთხოვნა. თუ შიდაპარტიული ნების ფორმირების პროცესი ხალხის ნების ჩამოყალიბების დემოკრატიული პროცესისასაგან განსხვავებული პრინციპებით

[3210] კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[3211] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 21 აპრილის N3/2/1277 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 8.
[3212] დაწვრილებით იხ.: N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-2-7.
[3213] იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 21-ე მუხლი.
[3214] BVerfGE 1, 208 (225); 5, 85 (133); 9, 162 (165); 11, 239 (241); 13, 54 (81 f.).
[3215] BVerfGE 2, 1 (73); 5, 85 (133); 11, 239 (241); 44, 125 (145); 73, 40 (85).

წარიმართა, სახეზე იქნება წინააღმდეგობა, რაც მისდამი ნდობას დაუკარგავს საზოგადოებას.[3216] რაც შეეხება გამჭვირვალობის პრინციპს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მის მიზნად მიიჩნევს საზოგადოების ინფორმირებას პარტიების დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით, რაც იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, თუ ვინ დგას ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის უკან.[3217]

1528 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, არ ითვალისწინებს ცალკე ნორმას პოლიტიკური პარტიების თავისუფლების შესახებ. ეს არ გულისხმობს, რომ საერთაშორისო დონეზე ამ ტიპის გაერთიანებების მნიშვნელობა აღიარებული არ არის. მათზე ვრცელდება შესაბამისი საერთაშორისო აქტების ის ნორმები, რომლებიც იცავს გაერთიანების თავისუფლებას. მაგალითად, „გაერთიანება“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის თვალსაზრისით, პოლიტიკურ პარტიასაც გულისხმობს.[3218]

1529 აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ნორმას პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით არც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა. თუმცა, პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას, სავარაუდოდ, მოიცავდა 35-ე მუხლი, რომელიც მოქალაქეებს, საპროფესიოსთან ერთად, აძლევდა „სხვა ყოველგვარი კავშირის“ დაარსების უფლებას, რომლის მიზანი კანონით არ იყო აკრძალული. გაერთიანებების პოლიტიკური მიზნით შექმნა პირველ რესპუბლიკაში არათუ აკრძალული იყო, არამედ ისინი თავისუფლად საქმიანობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ არჩევნებსა და პოლიტიკურ პროცესებში.

1.2. პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

1530 პოლიტიკური პარტიების თავისუფლება მოქალაქის უფლებაა. პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ. ეს გამომდინარეობს პოლიტიკური პარტიების ფუნქციებიდან და ამოცანებიდან, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ „სახელმწიფო ხალხის“ წარმომადგენელთა - მოქალაქეთა და არა ნებისმიერი ფიზიკური პირის მონაწილეობით. ამაზე მეტყველებს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტიც, რომელიც სახელმწიფოს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის დაწესების უფლებამოსილებას. მსგავს შესაძლებლობას ანიჭებს ხელშემკვრელ მხარეებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 მუხლიც.

[3216] შეადარე მაგ.: Ipsen J. (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 53.
[3217] BVerfGE 20, 56 (105 f.); 24, 300 (332 f., 356); 52, 63 (87); 85, 264 (319).
[3218] მაგ.: United Communist Party of Turkey and Others v. Turkey (N19392/92; 30.1.1998).

1531 გარკვეული ნიშნებითაა შეზღუდული იმ მოქალაქეთა წრეც, რომელიც შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიების თავისუფლების სუბიექტი. პირველ რიგში, ესაა პროფესიული კუთვნილების ნიშანი. კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა. ამ კატეგორიის პირთა ჩამონათვალს აკონკრეტებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.[3219] ისინი წარმოადგენენ ისეთ პროფესიებს, რომლებიც მოითხოვს მკაცრი პარტიულ-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას. კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ მასში მითითებული პირები ასევე ვერ შექმნიან პოლიტიკურ პარტიას და ვერ გაწევრიანდებიან მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებაში, თუ იქამდე არ შეწყვიტეს პარტიის წევრობასთან შეუთავსებელი პროფესიული საქმიანობის განხორციელება. საჯარო მოხელეების გარკვეული ჯგუფებისათვის პოლიტიკურ პარტიებში თანამდებობის დაკავების ან სხვაგვარი აქტივობის აკრძალვა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს.[3220] იგივე მიდგომაა სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების პოლიტიკური პარტიების წევრობის აკრძალვასთან დაკავშირებითაც.[3221]

1532 პოლიტიკური პარტიების თავისუფლების სუბიექტ მოქალაქეთა წრე შეზღუდულია ასაკობრივი ნიშნითაც. პარტიის შექმნა და მის საქმიანობაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებს.[3222] თავის მხრივ, საარჩევნო უფლება მოქალაქეს აქვს 18 წლის ასაკიდან, ანუ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.[3223] ამგვარი შეზღუდვა ლოგიკურია, რადგანაც არასრულწლოვან პირებს ობიექტურად არ აქვთ იმ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შესაძლებლობა, რაც უკავშირდება პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას, საქმიანობასა და მიზნების განხორციელებას.

1533 პოლიტიკური პარტია მოქალაქეთა გაერთიანებაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ იურიდიული პირები მას ვერც შექმნიან[3224] და ვერც მისი წევრები იქნებიან.[3225] ამასთან, გაერთიანების თავისუფლებაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ ის ორმაგი უფლებაა და

[3219] „თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფ პირად ითვლება: ა) საქართველოს პროკურატურის თანამშრომელი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა); ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე; გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი; დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურე; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის მოსამსახურე; ე) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელი; ვ) საქართველოს თავდაცვის ძალების მოსამსახურე; ზ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურე; თ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურე; ი) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი; კ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების − გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოსამსახურე; ლ) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის მოსამსახურე.“

[3220] Ahmed and Others v. the United Kingdom (N22954/93; 2.9.1998); Strzelecki v. Poland (N26648/03; 10.4.2012).

[3221] Rekvényi v. Hungary.

[3222] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლი.

[3223] კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[3224] მაგ.: N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-1.

[3225] მაგ.: ქანთარია, 26-ე მუხლის კომენტარი, 307.

ინდივიდუალურთან ერთად, კოლექტიური ხასიათიც აქვს, რომლის სუბიექტიც თვით გაერთიანებაა. ალოგიკური იქნებოდა მსგავსი მიდგომის არგავრცელება პოლიტიკურ გაერთიანებებზე. პოლიტიკურ პარტიას აქვს უფლება, დამოუკიდებლად დაორგანიზოს და განახორციელოს თავისი საქმიანობა და ამ შესაძლებლობის შეზღუდვისას დაიცვას თავისი ინტერესები, როგორც იურიდიულმა პირმა.[3226] მას ასევე ეძლევა შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლება არსებობაზე - პოლიტიკური პარტიის აკრძალვის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოში მოპასუხედ სწორედ პარტია გვევლინება და არა მისი ცალკეული წევრები.[3227]

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1534 პოლიტიკური პარტიების თავისუფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების დადგენა, პირველ რიგში, მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმება ტერმინში „პოლიტიკური პარტია". „პოლიტიკური პარტიის" განმარტებას გვთავაზობს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტია „არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში."[3228]

1535 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ პოლიტიკურ პარტიას ძირითადად იგივე ნიშნები ახასიათებს, რაც ზოგადად გაერთიანებებს. ამავდროულად, იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც განპირობებულია იმ ფუნქციით, რასაც კონსტიტუცია ანიჭებს პოლიტიკურ პარტიებს და იმ პრინციპებით, რომელთაც კონსტიტუციის მიხედვით, უნდა ეფუძნებოდეს მათი საქმიანობა. პოლიტიკური პარტიაც პირთა ერთობაა, მაგრამ მხოლოდ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებისა. გარდა ამისა, წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები მის მიმართ, გაცილებით მკაცრია, ვიდრე სხვა გაერთიანებებისათვის.[3229] პოლიტიკური პარტიის ძირითადი მიზანი ხალხის ნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მოხდენა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის გზით ხალხისვე ნების განხორციელება ან განხორციელებაში მონაწილეობაა. საკონსტიტუციო სასამართლო ამას პარტიებსა და სხვა გაერთიანებებს შორის მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს.[3230] გაცილებით მკაცრია პარტიების სტატუსთან, ასევე შიდაორგანიზაციულ მოწყობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მაგალითად, პოლიტიკური პარტია ვერ იფუნქციონირებს არარეგისტრირებული გაერთიანების სახით.[3231] სხვა გაერთიანებების მიმართ არ

[3226] შეადარე მაგ.: Klein H. H. (Bearb.), Kommentar zum Art. 21, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958, Rn. 280; Streinz R., Kommentar zum Art. 21 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 107.

[3227] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[3228] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[3229] შეადარე: N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პარტიის შექმნა შეუძლია არანაკლებ 300-კაციან ჯგუფს.

[3230] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-2.

[3231] ქანთარია, 26-ე მუხლის კომენტარი, 308.

მოქმედებს ე.წ. „სერიოზულობის კრიტერიუმი“, რომელიც ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზე. საკონსტიტუციო სასამართლომ, ზოგადად, შესაძლებლად მიიჩნია სახელმწიფოს მიერ გონივრული, ფორმალური მოთხოვნების დაწესება საარჩევნო და პოლიტიკური პროცესის სერიოზულობის უზრუნველსაყოფად, „..რათა პოლიტიკური და საარჩევნო გარემო არ გადაიტვირთოს ისეთი პოლიტიკური სუბიექტებით, რომელთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, რეალურად, არ/ვერ ემსახურება პოლიტიკური პლურალიზმისა და დემოკრატიული მმართველობის განხორციელებას“.[3232] აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს აყენებს სერიოზულობის კრიტერიუმთან დაკავშირებით. მისი შესრულებისათვის პარტიამ არა მხოლოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს არჩევნებში, არამედ ასევე ჰქონდეს წარმატების პერსპექტივის მინიმალური დონე მაინც, მისი პოლიტიკური მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.[3233]

1536 კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რეგულირებას პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით, ხოლო დღეისათვის არსებული საკანონმდებლო რეგულირებები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, სამოქალაქო კოდექსი პოლიტიკურ პარტიებს თვლის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად,[3234] ხოლო მეორე მხრივ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი - არასამეწარმეო იურიდიულ პირებად.[3235] ურთიერთსაწინააღმდეგოა ლიტერატურაში გამოთქმული პოზიციებიც. პარტიების, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირების, მხარდამჭერი მოსაზრება ძირითადად ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ მათი შექმნა ხდება მოქალაქეთა ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე და არა სახელმწიფოს მიერ. პარტია თავისი ბუნებით და ფუნქციებით, არსებითად განსხვავდება სხვა, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან.[3236] განსხვავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც პარტიებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი უნდა ჰქონდეთ, უფრო პარტიების მიერ განხორციელებული საქმიანობის საჯარო ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას და თვლის, რომ მათ მიზნებსა და ამოცანებს სწორედ ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეესაბამება. პოლიტიკური პარტიების კერძო სამართლის იურიდიულ პირებად აღიარებით, ამ სტატუსის მქონე სუბიექტებს ეძლევა ხელისუფლებაში მოსვლის საშუალება, რაც არ შეესაბამება სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის არსს.[3237]

1537 პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით ნორმათა კოლიზია უნდა გადაწყდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის სასარგებლოდ, რადგანაც ის ნორმატიული აქტების იერარქიაში სამოქალაქო კოდექსზე მაღლა დგას. იერარქიის იმავე საფეხურის საკანონმდებლო აქტებს შორის კოლიზიის შემთხვევაშიც იგივე შედეგი დადგებოდა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონს უპირატესობა მიენიჭებოდა, როგორც უფრო გვიან მიღებულ კანონს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ არასამეწარმეო იურიდიული პირების სტატუსი. ამასთან, ამ საკითხის

[3232] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-24.
[3233] BVerfGE 91, 262 (271 f.); 91, 276 (289).
[3234] სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.
[3235] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლი.
[3236] დაწვრილებით იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 302-303.
[3237] დაწვრილებით იხ.: ქანთარია, 26-ე მუხლის კომენტარი, 308-309.

ღიად დატოვებით, კონსტიტუცია კანონმდებელს დისკრეციის ფართო სფეროს ანიჭებს და არ არის გამორიცხული, რომ მიდგომა შეიცვალოს, თუმცა საეჭვოა, რომ ამის საჭიროება არსებობდეს. პოლიტიკური პარტიები უდავოდ მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ პარტიის სტატუსის ქონა a priori არ გულისხმობს მის თანამონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. ეს ხდება მხოლოდ არჩევნების საშუალებით მისი დემოკრატიული ლეგიტიმაციის შემთხვევაში.[3238] გარდა ამისა, ხალხის ნების ჩამოყალიბება და განხორციელება, რომელშიც მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიები, არ გულისხმობს მათთვის სახელისუფლებო უფლებამოსილებების გადაცემას. ამ უფლებამოსილებებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები ახორციელებენ და არა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები.[3239] პარტიები გავლენას ახდენენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაზე, მაგრამ ისინი არ არიან სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილი.[3240] სახელისუფლებო გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალურად ან არაფორმალურად გადასვლა რომელიმე პარტიის ან პარტიების ხელში, იწვევს პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ზღვარის წაშლას, რაც ანგრევს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებს. სწორედ ესაა მთავარი თავიდან ასარიდებელი საფრთხე და ამ კუთხით მნიშვნელობა არ აქვს, რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით იქნება ჩამოყალიბებული პარტიები.

1538 23-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვასიტყვითი შინაარსიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების თავისუფლება მოიცავს მათი შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლებებს.[3241] პარტიების შექმნის თავისუფლება გულისხმობს, რომ მათი დაფუძნება გამომდინარეობს მოქალაქეთა თავისუფალი ნებიდან და არ არის დამოკიდებული ნებართვაზე სახელმწიფოს მხრიდან.[3242] პარტიების საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება მოქალაქეს აძლევს პარტიულ შიდაორგანიზაციულ თუ გარე აქტივობებში, მათი ფუნქციების განხორციელებაში ჩართვის შესაძლებლობას. ბუნებრივია, ეს კავშირშია პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების თავისუფლებასთან, რაც გულისხმობს ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და გარეშე ჩარევის გარეშე მიღებას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ პარტიაში გაწევრიანება მხოლოდ გაწევრიანების მსურველის ცალმხრივ ნებაზე არაა დამოკიდებული და არ არის დაცული პარტიაში გაწევრიანების პრეტენზია.[3243] სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს პარტიას კონკრეტული პირის წევრად მიღებას. შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ პარტია ზოგადად ღია უნდა იყოს ახალი წევრების მიღებისათვის.[3244]

1539 გაერთიანების თავისუფლებით დაცულ სფეროზე მსჯელობისას უკვე აღინიშნა, რომ ის მოიცავს ორგანიზაციული და შიდა საქმიანობის თავისუფლებასა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. ეს ვრცელდება

[3238] Ipsen, GG, Art. 21, Rn. 10.
[3239] შეადარე: Ipsen, იქვე, Rn. 11.
[3240] შეადარე: Ipsen, იქვე, Rn. 96.
[3241] შეადარე მაგ.: ლოლაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, აბზ. 598.
[3242] შეადარე: Ipsen, GG, Art. 21, Rn. 28; Klein, GG, Art. 21, Rn. 273; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 2, 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 45.
[3243] დაწვრილებით იხ.: Ipsen, GG, Art. 21, Rn. ff.
[3244] მაგ.: Klein, GG, Art. 21, Rn. 373 ff.

პოლიტიკურ პარტიებზეც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი „..ქმნის როგორც პოლიტიკური პარტიების შექმნის, ასევე მათი თავისუფლად საქმიანობის კონსტიტუციურ გარანტიას.“[3245] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს პარტიების „სახელმწიფოსაგან თავისუფლების“ პრინციპს, რაც პირველ რიგში, იმას გულისხმობს, რომ ისინი არ უნდა მოექცნენ სახელმწიფო გავლენის ქვეშ, პარტიული პოზიციებისა და ნების ჩამოყალიბების პროცესი სახელმწიფოსაგან თავისუფალი უნდა იყოს.[3246] პოლიტიკური პარტიების საქმიანობის თავისუფლებას ყოფენ პროგრამულ, კონკურენციისა და დაფინანსების თავისუფლებებად. თუმცა, ის ასევე მოიცავს პარტიული პოლიტიკისათვის სპეციფიკურ ყველა საქმიანობას, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სხვა ძირითადი უფლებებით.[3247]

1540 უზრუნველყოფილია პოლიტიკური პარტიების არა მარტო პოზიტიური, არამედ ნეგატიური თავისუფლებაც. მოქალაქეს აქვს უფლება, თავი შეიკავოს პარტიის შექმნასა თუ მის საქმიანობაში მონაწილეობისაგან, ხოლო თუ უკვე პარტიის წევრია, მას შეუძლია თავისუფლად დატოვოს წევრთა რიგები.[3248]

1.3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1541 პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, როგორც თავდაცვითი (status negativus) უფლება, სახელმწიფოს პირველ რიგში ნეგატიურ ვალდებულებებს აკისრებს. მან თავი უნდა შეიკავოს მოქალაქეთათვის თუ პოლიტიკური პარტიებისათვის პარტიების თავისუფლებით მინიჭებული შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეშლისაგან.[3249] სახელმწიფომ ასევე არ უნდა მიმართოს იძულებას ან სხვაგვარ დაუშვებელ ზემოქმედებას იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ პოლიტიკური პარტიების ნეგატიური თავისუფლებით.

1542 გაერთიანების თავისუფლების მსგავსად, პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას აქვს მფარველობითი განზომილება, მაგრამ ის არ არის მფარველობითი (status positivus) უფლება. ეს განზომილება აკისრებს სახელმწიფო ხელისუფლებას პარტიების თავისუფლების დაცვის ვალდებულებას მესამე პირთა ხელყოფისაგან, ასევე მისი რეალიზაციისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

1543 პოლიტიკური პარტიების არსიდან, ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პარტიების თავისუფლებას თანამონაწილეობითი (status activus) განზომილებაც აქვს. სახელმწიფომ არაკონსტიტუციური დაბრკოლებები არ უნდა შეუქმნას მათ მონაწილეობას ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში.

[3245] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-1.
[3246] BVerfGE 20, 56 (99).
[3247] Ipsen, GG, Art. 21, Rn. 32; Seifert K.-H., Die politischen Parteien im Recht der Bundesrepublik Deutschland, 1975, 118 f.
[3248] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 301-302.
[3249] შეადარე: იქვე, 302.

2. ჩარევა პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცულ სფეროში

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება

1544 პოლიტიკური პარტიების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება,[3250] ანუ მასში ჩარევა დასაშვებია კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნების დაცვით. ჩარევის იდენტიფიცირებას საკონსტიტუციო სასამართლო ისეთივე მეთოდით ახდენს, როგორც სხვა უფლებების შემთხვევაში - ის აანალიზებს, თუ რამდენად იწვევს სადავო ნორმა პოლიტიკური პარტიის თავისუფლებით დაცული სიკეთეების შეზღუდვას. სასამართლომ პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევად მიიჩნია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონით დადგენილი პარტიის რეგისტრაციის ერთ-ერთი სავალდებულო პირობა - პარტიის მიერ არანაკლებ 1000 წევრის სიის წარდგენა. პარტიების რეგისტრაციას სავალდებულო ხასიათი აქვს და ამის გარეშე ისინი ვერ განახორციელებენ თავიანთ საქმიანობასა და ფუნქციებს, მათ შორის მონაწილეობას ვერ მიიღებენ არჩევნებში. ამდენად, სადავო ნორმა ზღუდავდა პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას.[3251]

1545 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-11 მუხლთან მიმართებით განიხილავს იმ შემთხვევებსაც, როდესაც პოლიტიკური პარტიის წევრობის გამო პირს სხვა უფლება ეზღუდება. ასეთი იყო მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საქმე. გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა მისი აქტიური წევრობა ერთ-ერთი ექსტრემისტულად შეფასებულ პარტიაში.[3252] აღსანიშნავია, რომ სასამართლო თავის ადრეულ პრაქტიკაში მსგავს შემთხვევებს არ განიხილავდა, როგორც კონვენციის მე-11 მუხლში ჩარევას.[3253]

2.2. ჩარევის სახეები

1546 კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი უშუალოდ ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას - აკრძალვას და ადგენს მისი განხორციელების წინაპირობებს.[3254] საკონსტიტუციო სასამართლო აკრძალვას მიიჩნევს ჩარევად პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის შინაარსობრივი რეგულირების კუთხით და გამორიცხავს რაიმე სხვა ფორმით, გარდა აკრძალვისა, ამ ხასიათის ჩარევის განხორციელების შესაძლებლობას.[3255] ის საფუძვლები, რომლებსაც შეიძლება დაეყრდნოს პოლიტიკური პარტიის აკრძალვა, შეიძლება, უკვე მისი რეგისტრაციის ეტაპზევე გამოვლინდეს. ამ შემთხვევაში პარტიას უარი ეთქმება რეგისტრაციაზე, სწორედ შინაარსობრივი სტანდარტების დარღვევის გამო, რადგანაც კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამგვარი პარტიების არა მხოლოდ საქმიანობას, არამედ შექმნასაც

[3250] მაგ.: იქვე, 303.
[3251] დაწვრილებით იხ.: N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-8-10.
[3252] Vogt v. Germany.
[3253] Kosiek v. Germany (N9704/82; 28.8.1986); Glasenapp v. Germany (N9228/80; 28.8.1986).
[3254] შეადარე: ლოლაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, აბზ. 598.
[3255] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-16.

დაუშვებლად აცხადებს.[3256] ამდენად, აკრძალვა არ არის შინაარსობრივი რეგულირების კუთხით ჩარევის ერთადერთი ფორმა.

1547 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის წევრობასთან დაკავშირებულ აკრძალვას გარკვეული პროფესიის პირებთან დაკავშირებით. შეიძლება ესეც ჩავთვალოთ კონსტიტუციით უშუალოდ გათვალისწინებულ ჩარევად.[3257]

1548 პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევა, სხვადასხვა ფორმით, ჯერ კიდევ პარტიის შექმნის ეტაპზეა შესაძლებელი. ამის მაგალითებია პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციისათვის წევრთა მინიმალური რაოდენობის წინაპირობის დადგენა[3258] და უარი რეგისტრაციაზე, ანუ პოლიტიკურ პარტიად აღიარებაზე.[3259] საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას სხვადასხვა ფორმალური კრიტერიუმების განსაზღვრით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოქალაქეთა გაერთიანება, რათა დადგინდეს, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ის პოლიტიკურ პარტიად კონსტიტუციის მიზნებისათვის და აქვს თუ არა მას პოლიტიკური პარტიისათვის აუცილებელი და დამახასიათებელი ნიშნები.[3260] ამასთან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეფუძნებოდეს კონსტიტუციის შინაარსობრივ მოთხოვნებთან სარეგისტრაციოდ წარდგენილი პარტიის წესდების ან სხვა დოკუმენტების შეუსაბამობასაც.[3261]

1549 ჩარევა შეიძლება უკავშირდებოდეს პოლიტიკური პარტიის წევრობასა და მის საქმიანობაში მონაწილეობას. ეს შეიძლება გამოიხატოს პარტიაში გაწევრიანების აკრძალვით ან შეზღუდვით, ასევე პირიქით, გაწევრიანების იძულებით. ჩარევად ითვლება ასევე პირისათვის უარყოფითი შედეგების დადგომა, მისი პარტიაში წევრობის გამო.[3262]

1550 პოლიტიკური პარტიის საქმიანობა ასევე შეიძლება სხვადასხვა სახის ჩარევებს დაექვემდებაროს. თუ მან არაკონსტიტუციური შინაარსი მიიღო, შესაძლებელია პარტიის აკრძალვა, რაზეც ზემოთ უკვე გამახვილდა ყურადღება. საქმიანობაში, უფრო ზუსტად, მის მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფაში ჩარევაა, მაგალითად, განსაზღვრული წყაროებიდან შემოწირულობების მიღების აკრძალვა.[3263]

3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება

3.1. კანონისა და სასამართლოს დათქმები

1551 კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოქალაქეების მიერ პოლიტიკური პარტიების შექმნა და მათ საქმიანობაში მონაწილეობა შეიძლება

[3256] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 304.
[3257] იქვე.
[3258] მაგ.: N3/2/1277 გადაწყვეტილება; Republican Party of Russia v. Russia (N12976/07; 12.4.2011).
[3259] მაგ.: Republican Party of Russia v. Russia.
[3260] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-17.
[3261] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[3262] Erdel v. Germany (N30067/04; 13.2.2007).
[3263] Parti nationaliste basque – Organisation régionale d'Iparralde v. France (N71251/01; 7.6.2007).

განხორციელდეს „ორგანული კანონის შესაბამისად“. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება გაითვალისწინოს ორგანულმა კანონმა, მაგალითად პარტიის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნების განსაზღვრით.[3264] ამდენად, სახეზეა კანონის დათქმა. ამასთან, ჩარევა შესაძლებელია განხორციელდეს არა „ჩვეულებრივი“ კანონით, არამედ იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი ორგანული კანონით, რაც კიდევ ერთი ხაზგასმაა პოლიტიკური პარტიების თავისუფლების მნიშვნელობაზე.

„ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“ შეიძლება 1552
პოლიტიკური პარტიის აკრძალვა კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. თუმცა ამ პუნქტს ვერ განვიხილავთ იზოლირებულად ამავე მუხლის მე-3 პუნქტისაგან, რომელიც ფაქტობრივად ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რაც შეიძლება გახდეს აკრძალვის საფუძველი. აქედან გამომდინარე, სახეზეა კანონის დათქმისა და უშუალო კონსტიტუციური ზღვარის ერთგვარი კომბინაცია.[3265]

პოლიტიკური პარტიების აკრძალვისას კანონის დათქმას ემატება სასამართლო დათქმა, რომელიც სხვა იმავე სახის დათქმებისაგან გამოირჩევა იმით, რომ აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ანდობს არა საერთო სასამართლოებს, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კიდევ ერთხელ მეტყველებს პოლიტიკურ პარტიათა გამორჩეულ როლზე და მათი საქმიანობის რეგულირებისას, სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით ცხადი და არაორაზროვანი სტანდარტების შესაბამისად, მოქმედების აუცილებლობაზე“.[3266] გერმანიაში, სადაც პოლიტიკური პარტიის აკრძალვის მსგავსი მოდელი მოქმედებს, ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილების მინიჭებას მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „პარტიების პრივილეგიად“ მოიხსენიებენ.[3267] ამით პოლიტიკური პარტიები უფრო მაღალი ხარისხით არიან დაცული სახელმწიფო ორგანოთა შესაძლო თვითნებობისაგან.[3268]

3.2. თანაზომიერების შემოწმება

პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს 1553
კონსტიტუციის მოთხოვნებს ფორმალურად და მატერიალური შინაარსითაც.[3269] საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამ შემთხვევაშიც შეზღუდვის მატერიალური კონსტიტუციურობის შეფასების მასშტაბი თანაზომიერების პრინციპია.[3270] ამასთან, ჩარევის ყველა შემთხვევის შემოწმება ანალოგიური სიმკაცრით ვერ მოხდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეფასების სტანდარტებს ამკაცრებს ჩარევის

[3264] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-11.
[3265] დაწვრილებით იხ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 304-305.
[3266] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-15.
[3267] Seifert, Die politischen Parteien, 483; BVerfGE 12, 296 (304 f.); 17, 155 (166); 47, 130 (139).
[3268] შეადარე: ლოლაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, აბზ. 600; ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, 2020, 225.
[3269] შეადარე: N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-12.
[3270] იქვე, II-17.

სიმძიმის ხარისხის მიხედვით. ამ კონტექსტში, ის ასევე ითვალისწინებს შეზღუდვას დაქვემდებარებული პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ გავლენასა და მნიშვნელობას შესაბამისი სახელწიფოს პოლიტიკურ სისტემაში.[3271]

1554 კონსტიტუციის 23-ე მუხლი არ შეიცავს პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს ან სხვაგვარ მითითებას მათზე. გამონაკლისია პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა, რომელზეც ქვემოთ ცალკე გამახვილდება ყურადღება. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო სრულიად თავისუფალია შეზღუდვის მიზნების განსაზღვრისას. ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ემსახურებოდეს სხვათა უფლებების ან კონსტიტუციური სიკეთეების დაცვას. სხვაგვარ ინტერესებს არ აქვთ ის პოტენციალი, რომ აღემატებოდნენ პოლიტიკური პარტიების თავისუფლების ამა თუ იმ კომპონენტის დაცვის ინტერესს.

1555 საკონსტიტუციო სასამართლო, პოლიტიკური პარტიების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით, იმეორებს მის პრაქტიკაში არაერთხელ გამოყენებულ ფორმულირებას, რომ ამგვარი მიზნის არარსებობის შემთხვევაში, ჩარევა თვითნებური და შესაბამისად, საფუძველშივე გაუმართლებელი და არაკონსტიტუციური იქნება.[3272] საქმეზე, რომელიც შეეხებოდა პარტიის რეგისტრაციისათვის არანაკლებ 1000 წევრიანი სიის წარდგენას, საკონსტიტუციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა, რამდენად წარმოადგენდა ამ ჩარევის ლეგიტიმურ მიზნებს პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული სტრუქტურის არსებობა და საარჩევნო და პოლიტიკური პროცესის სერიოზულობის უზრუნველყოფა.

1556 პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული სტრუქტურის არსებობაზე, როგორც ლეგიტიმურ საჯარო მიზანზე, მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პარტიების საქმიანობის ძირითადი პრინციპების (თავისუფლება, თანასწორობა, გამჭვირვალობა და შიდაპარტიული დემოკრატია) განხორციელება შეიძლება მოითხოვდეს პარტიების მხრიდან აუცილებელი ფორმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მათი შიდა ორგანიზაციის თვალსაზრისით. თავის მხრივ, შიდაპარტიული სტრუქტურების ფუნქციონირება ობიექტურად საჭიროებს ადამიანურ რესურსს, რის გარეშეც პარტია ვერ უზრუნველყოფს მისი მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს შეუძლია განსაზღვროს წევრთა მინიმალური ოდენობა, რაც ობიექტურად აუცილებელია პარტიის დაფუძნებისა და მისი სტრუქტურების გამართული ფუნქციონირებისათვის. საბოლოოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ „პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული სტრუქტურის და მისი საქმიანობისთვის ობიექტურად აუცილებელი და საჭირო ადამიანური რესურსების გარკვეული, მინიმალური რაოდენობის არსებობა წარმოადგენს საჯარო ლეგიტიმურ მიზანს“, რომლის მისაღწევადაც შესაძლებელია პარტიების თავისუფლების შეზღუდვა.[3273] სასამართლოს ამ პოზიციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ შიდაპარტიული სტრუქტურებისა და მათი გამართული ფუნქციონირებისათვის საკმარისი ადამიანური რესურსის არსებობა, მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ცალკე აღებული, ეს არის არა კონსტიტუციურსამართლებრივი რანგის სიკეთე, რომლის დაცვის

[3271] Vona v. Hungary (N35943/10; 9.7.2013).
[3272] N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-18.
[3273] იქვე, II-21-22.

ინტერესიც ლეგიტიმურ მიზნად შეიძლება ჩაითვალოს, არამედ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის - პარტიების კონსტიტუციური ფუნქციისა (ხალხის ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მონაწილეობა) და შიდაპარტიული დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპის სათანადო რეალიზაციის საშუალება. რაც შეეხება თავისუფლების, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, მათი განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკური პარტიის წევრთა რაოდენობაზე. ისინი, შეიძლება, იმ პარტიამაც დაარღვიოს, რომელსაც არ აქვს ადამიანური რესურსის დეფიციტი და პირიქით - განუხრელად დაიცვას მცირერიცხოვანმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

1557 მეორე მიზანთან - საარჩევნო და პოლიტიკური პროცესის სერიოზულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ეს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რის დაკმაყოფილებასაც შეიძლება ემსახურებოდეს პოლიტიკურ პარტიათა მიმართ დადგენილი ფორმალური მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს პოლიტიკური სივრცის არაგონივრული ფრაგმენტაცია და მასში მრავალი პარტიის გაჩენა, რომელთა რეალური მიზანი პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება არ არის, ასევე საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი გადატვირთვა და შედეგად, არასტაბილური, არაჯანსაღი საარჩევნო და პოლიტიკური გარემოს შექმნა და ამომრჩევლისათვის არჩევანის გაკეთების გართულება. აქედან გამომდინარე, საარჩევნო და პოლიტიკური პროცესის სერიოზულობის უზრუნველყოფა ჩაითვალა ლეგიტიმურ მიზნად.[3274]

1558 პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევის გამოსადეგობის შესამოწმებლად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტი გამოიყენება. კერძოდ, შეზღუდვას უნდა ჰქონდეს ლოგიკური კავშირი ლეგიტიმურ მიზანთან და ქმნიდეს მისი მიღწევის შესაძლებლობას.[3275] ზემოაღნიშნულ საქმეში ცალ-ცალკე გადამოწმდა სადავო ნორმის გამოსადეგობა თითოეული მიზნის მისაღწევად.

1559 პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული სტრუქტურის არსებობის მიზნის მიღწევისათვის ჩარევის გამოსადეგობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სადავო ნორმა არ შეეხებოდა შიდაპარტიულ სტრუქტურასა და საქმიანობას. ამ მიმართებით მოთხოვნებს კანონის სხვა ნორმები ადგენდნენ და მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაურკვეველი იყო, წევრთა მინიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით, დამატებითი მოთხოვნის როლი. პარტიის დამფუძნებელ ყრილობაში საკმარისი იყო 300 წევრის მონაწილეობა. წევრთა ამ რაოდენობას, საწყის ეტაპზე მაინც, შეეძლო უზრუნველეყო პარტიის საქმიანობა და მისი სტრუქტურების ფუნქციონირება. პარტიის შიდაორგანიზაციულ წესრიგს განაპირობებდა შიდაპარტიული სტრუქტურების, მათი უფლებამოსილების ფარგლების, პარტიის წევრთა უფლება-მოვალეობებისა და სამართლებრივი გარანტიების არსებობა და არა წევრთა დიდი რაოდენობა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა ლოგიკური კავშირი სადავო ნორმასა და შიდაპარტიული სტრუქტურის არსებობის მიზანს შორის.[3276]

1560 საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად იმსჯელა პარტიის რეგისტრაციისათვის არანაკლებ 1000 წევრიანი სიის წარდგენის ვალდებულების გამოსადეგობაზე საარჩევნო

[3274] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-23-24.
[3275] იქვე, II-25.
[3276] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-26-30.

და პოლიტიკური პროცესის სერიოზულობის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მან ყურადღება გაამახვილა სხვა მექანიზმებზე, რომლებსაც ითვალისწინებდა კონსტიტუცია და კანონმდებლობა და ემსახურებოდა ანალოგიურ მიზანს - არჩევნებში მონაწილეობისათვის მხარდამჭერთა სიების წარდგენა ან პარტიის წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრის ყოლა არჩევნების დანიშვნის დროისათვის. გარდა ამისა, არსებითად არასწორი იყო რეგისტრაციის მომენტისათვის პოლიტიკური პარტიის წევრთა, კონკრეტული რაოდენობის მიხედვით, არჩევნებში მისი სამომავლო მხარდაჭერის მასშტაბის პროგნოზირება. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გაუგებარი იყო, რა მოცემულობის შეფასებას ისახავდა მიზნად სადავო ნორმა და არ იკვეთებოდა მისი მიმართება ლეგიტიმურ მიზანთან.[3277]

1561 N3/2/1277 გადაწყვეტილებაში სადავო ნორმის თანაზომიერების შეფასება გამოსადეგობის ეტაპზე დასრულდა, რადგანაც მან ვერ დააკმაყოფილა გამოსადეგობის მოთხოვნები და შედეგად, ის არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი აუცილებლობისა და პროპორციულობის შემოწმების გარეშე. იქედან გამომდინარე, რომ როგორც ლეგიტიმურ მიზანზე, ასევე გამოსადეგობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა პრაქტიკაში მყარად დამკვიდრებული სტანდარტები, ფაქტობრივად, გამორიცხულია, რომ მოხდეს მათგან გადახვევა იმ შემთხვევაში, როდესაც სამომავლოდ სასამართლოს მსჯელობა მოუწევს პოლიტიკური პარტიების თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობასა და პროპორციულობაზე.

1562 ორგანიზაციის პარტიად აღიარებისათვის წევრთა მინიმალური ოდენობის წინაპირობა ძირითადად არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს. ამავდროულად, ის არ უნდა იყოს გადამეტებულად მაღალი. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პარტიების დაფუძნებისას, რომელთა მიზანია უმცირესობების ინტერესების გამოხატვა. წევრთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათთან დაკავშირებით, არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ ფაქტობრივად, ვერ მოხერხდეს ამგვარი პარტიების შექმნა.[3278] ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ კონტროლს უქვემდებარებს უკვე დადგენილი ოდენობის გაზრდას, რადგანაც ამას ახლავს არსებული ოპოზიციური პარტიების დისკრიმინაციის საფრთხე.[3279]

3.3. პოლიტიკური პარტიის აკრძალვის სპეციფიკა

1563 საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკური პარტიის აკრძალვისას სხვა სახელმწიფო ორგანოს ჩარევის კონსტიტუციურობას კი არ ამოწმებს, არამედ თავად ახორციელებს ჩარევას. მისი გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ საბოლოოა და შესაბამისად, არ ექვემდებარება გადასინჯვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფალია კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნების დაცვისაგან.

[3277] იქვე, II-31-37.
[3278] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 40.
[3279] Republican Party of Russia v. Russia.

ფორმალური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური პარტიის 1564
აკრძალვა შეუძლია მხოლოდ „ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“. ამდენად, ის ვერ აკრძალავს პარტიას „ჩვეულებრივი“ კანონით დადგენილი საფუძვლებით. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს პროცედურა უნდა განახორციელოს „ორგანული კანონით.. დადგენილი წესით“. მაგალითად, ის ვერ განიხილავს პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საკითხს იმ სუბიექტის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, რომელსაც არ აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამ კომპეტენციის ფარგლებში მიმართვის უფლებამოსილება.

1565 რაც შეეხება, კონსტიტუციის მატერიალურ სტანდარტებს, ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ კონსტიტუციით პარტიის აკრძალვის საფუძვლების განსაზღვრა დამატებით არ საჭიროებს გაძლიერებას გადამეტებული ზომების აკრძალვის, ანუ თანაზომიერების პრინციპით. ამ შემთხვევაში თვით კონსტიტუციას აქვს მიღებული გადაწყვეტილება, რომ იმ პარტიების აკრძალვა, რომლებიც კონსტიტუციის მოთხოვნებს არღვევენ, თანაზომიერია.[3280] ამგვარი მიდგომა პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საკითხის გადაწყვეტას დაიყვანს იმის გარკვევამდე, თუ ფორმალურად რამდენადაა სახეზე აკრძალვის ესა თუ ის საფუძველი. ამასთან, ეს ყოველთვის არაა საკმარისი აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის. მაგალითად, შეიძლება დადგინდეს, რომ რომელიმე პარტიის წევრები ეწევიან ომის ან ძალადობის პროპაგანდას, მაგრამ ეს არ აღწევს ისეთ მასშტაბებს, რომ პარტიის აკრძალვა თანაზომიერ ღონისძიებად ჩაითვალოს. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაიცვას თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად შეფასებით მსჯელობას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო, პარტიის აკრძალვის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვისას, ამოწმებს მის აუცილებლობასა და პროპორციულობას.[3281]

1566 პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საფუძვლებს ითვალისწინებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.“ ეს ნორმა თითქმის სრულად იმეორებს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტს. ამავდროულად, კანონმდებელი სარგებლობს ამავე მუხლის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და დამატებით ითვალისწინებს პარტიის აკრძალვას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება. ამასთან, ყურადღების მიღმაა დარჩენილი კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პოლიტიკური პარტიების საქმიანობის პრინციპების (თავისუფლება, თანასწორობა, გამჭვირვალობა და შიდაპარტიული დემოკრატია) დარღვევის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში ამან შეიძლება ისეთი ფორმა, შინაარსი და მასშტაბები მიიღოს, რაც

[3280] მაგ.: Ipsen, GG, Art. 21, Rn. 172. შეადარე ასევე: Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 45.
[3281] United Communist Party of Turkey and Others v. Turkey;
Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey (N41340/98, 41342/98, 41343/98, 41344/98; 13.2.2003).

გაამართლებდა პარტიის აკრძალვას.[3282] გარდა ამისა, ორგანულ კანონში არ არის ასახული პარტიის აკრძალვის შესაძლებლობა, როდესაც ის თავის საქმიანობას შემოფარგლავს ქვეყნის ტერიტორიის რომელიმე ნაწილით. მართალია, კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი დაუშვებლად აცხადებს პარტიის შექმნას ტერიტორიული ნიშნით და მსგავსი პარტია ვერც დარეგისტრირდება, მაგრამ ამ კონსტიტუციური დანაწესიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ასევე მიუღებელია, შექმნის შემდეგ, პარტიის ფაქტობრივი ტრანსფორმირება რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებად.[3283]

1567 პოლიტიკური პარტიის აკრძალვისას საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს, როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი საკითხების გადაწყვეტა. პარტიის კონსტიტუციურობის შემოწმების ძირითადი კონსტიტუციურსამართლებრივი მასშტაბია უზენაესი კანონის ის ნორმები, რომლებიც ადგენენ კონსტიტუციურ სტანდარტებს პოლიტიკურ გაერთიანებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ის ნორმებიც, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შეფასებისათვის.[3284] რაც შეეხება ფაქტობრივ მხარეს, საკონსტიტუციო სასამართლოს მართებს მტკიცებულებათა საფუძვლიანი გამოკვლევა, რათა დაადგინოს პოლიტიკური პარტიის (რეალურ) მიზნებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც შეიძლება აკრძალვის საფუძველი გახდეს.[3285]

1568 ევროპული სასამართლოსათვის პარტიის მიერ უკანონო მოქმედების განხორციელება a priori იმას არ ნიშნავს, რომ ამ მოქმედების გამო მისი აკრძალვა გამართლებულია.[3286] ის პარტიების აკრძალვის შეფასებისას განსაკუთრებით მკაცრ სტანდარტებს იყენებს.[3287] მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პარტიის აკრძალვა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალია მის მიერ არაკონსტიტუციური მიზნების მიღწევის პერსპექტივა.[3288] ამისგან განსხვავებით, ევროპული სასამართლო აკრძალვას დასაშვებად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, როდესაც დემოკრატიულ სისტემას უშუალო საფრთხე ემუქრება.[3289] პარტიის აკრძალვის თანაზომიერების შემოწმებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ პარტიის მიზნებსა და იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც სურს მას მიზნების მიღწევა.[3290] აკრძალვის წონად საფუძვლად ითვლება პარტიის მოწოდება ძალადობის, როგორც პოლიტიკური დაპირისპირების გადაწყვეტის საშუალების, გამოყენებასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოს აზრით, ეს დემოკრატიის პრინციპს ეწინააღმდეგება, რადგანაც დემოკრატია ამგვარი კონფლიქტებისა და პრობლემების დიალოგის საშუალებით მოგვარებას მოითხოვს.[86]

[3282] დაწვრილებით იხ.: ლოლაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, აბზ. 617.
[3283] იქვე, აბზ. 618.
[3284] დაწვრილებით იხ.: იქვე, აბზ. 620-621.
[3285] იქვე, აბზ. 622-626.
[3286] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 43.
[3287] მაგ.: Vona v. Hungary.
[3288] BVerfGE 5, 85 (141 f.).
[3289] Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey.
[3290] Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 43.
[86] Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey; Herri Batasuna and Batasuna v. Spain (N25803/04, 25817/04; 30.6.2009).

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები; ლოლაძე/ მაჭარაძე/ ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი 2021; ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი 2020; Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11 Versammlungs- und Vereinigungsfreiheit Arndt/Engels in Karpenstein/Mayer, EMRK | EMRK Art. 11 | 2. Auflage 2015; Ipsen, (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Klein, (Bearb.), Kommentar zum Art. 21, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958; Kunig, (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 2, 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Seifert, Die politischen Parteien im Recht der Bundesrepublik Deutschland, 1975; Streinz R., Kommentar zum Art. 21 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010.

მუხლი 24. საარჩევნო უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

შინაარსი

მუხლი 24. საარჩევნო უფლება 608

შინაარსი 608

1. საარჩევნო უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 609

1.1. საარჩევნო უფლების ზოგადი მნიშვნელობა 609

1.2. საარჩევნო უფლების დაცული სფერო 610

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 610

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 613

1.3. საარჩევნო უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 622

2. ჩარევა საარჩევნო უფლებაში 624

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 624

2.2. ჩარევის სახეები 625

3. საარჩევნო უფლებაში ჩარევის გამართლება 627

3.1. კანონის დათქმა 627

3.2. თანაზომიერების შემოწმება 629

3.3. საარჩევნო პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმება 633

ლიტერატურა 642

1. საარჩევნო უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. საარჩევნო უფლების ზოგადი მნიშვნელობა

1569 დემოკრატიის ძირითადი ელემენტი სახალხო სუვერენიტეტის პრინციპია. დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს უშუალოდ რეფერენდუმის ან უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების ან არაპირდაპირ - თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.[3291] ხალხის წარმომადგენლებისათვის პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაციის მინიჭების საშუალება არჩევნებია, რომელიც „არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია“.[3292] „საქართველოს თითოეული მოქალაქე ირჩევს რა წარმომადგენელს, საკუთარ ძალაუფლებას გადასცემს მას და ამით აძლევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების, სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას“.[3293] კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი, სამართლიანი არჩევნები განიხილება დემოკრატიული სისტემის საყრდენად,[3294] დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტურ ელემენტად და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელოვან წინაპირობად.[3295] თავის მხრივ, მხოლოდ დემოკრატიული სისტემის პირობებშია შესაძლებელი სხვა ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების რეალიზება. ხალხისა და მისი ნებისაგან მოწყვეტილი ხელისუფლება თავს არ შეიზღუდავს კონსტიტუციის მოთხოვნებით და არც ადამიანის უფლებების პატივისცემაა მისგან მოსალოდნელი.

1570 ფორმალურად არჩევნები ავტორიტარულ და ტოტალიტარულ ქვეყნებშიც კი იმართება. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ჩატარებულ არჩევნებს ამგვარი ქვაზიარჩევნებისაგან გამოარჩევს საარჩევნო უფლებისა და არჩევნების ძირითადი პრინციპების დაცვა. აქ ხალხის ნება თავისუფლად, პლურალისტული პოლიტიკური გარემოს პირობებში ყალიბდება და ადეკვატურად აისახება არჩევნების შედეგებში. ამდენად, თვალნათელია ის მჭიდრო კავშირი, რაც საარჩევნო უფლებას აქვს სახალხო სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებთან.[3296]

[3291] იხ. კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

[3292] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7. შეადარე ასევე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 324; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტი წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[3293] საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[3294] იქვე, II-2.

[3295] იქვე, II-4. შეადარე ასევე: N3/3/600 გადაწყვეტილება, II-24.

[3296] შეადარე: იზორია, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის კომენტარი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, 2015, 334; საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის N1/1/257, 268 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III; საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

1571 შეიძლება ვისაუბროთ ურთიერთდამოკიდებულებაზეც - საარჩევნო უფლების რეალიზაცია უზრუნველყოფს ხალხის რეალურ მმართველობას, ხოლო თავის მხრივ ამ უფლების თავისუფალი და სრულყოფილი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ გარემოში.

1572 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში საარჩევნო უფლებას ცალკე მუხლი არ ითვალისწინებდა, მაგრამ ის და ძირითადი საარჩევნო პრინციპები გარანტირებული იყო სხვადასხვა ნორმებით. კონსტიტუცია აღიარებდა სახალხო სუვერენიტეტისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.“[3297] 46-ე მუხლი ადგენდა საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებას „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ“, ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა „სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.“ იმ პერიოდისათვის საარჩევნო უფლების მინიჭება ქალთათვის განსაკუთრებით პროგრესული მოვლენა იყო. გარდა პარლამენტისა, 101-ე მუხლი საყოველთაობის, პირდაპირობის, თანასწორობისა და ფარულობის პრინციპებს განამტკიცებდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვისაც. საარჩევნო უფლების რეალიზება მოხდებოდა რეფერენდუმის ფარგლებშიც, რომლის ჩატარებასაც კონსტიტუცია ითვალისწინებდა ახლად მიღებული კანონის რეფერენდუმზე გატანის შემთხვევაში[3298] და კონსტიტუციის გადასინჯვისას.[3299]

1573 საარჩევნო უფლების უდიდეს მნიშვნელობას ადასტურებს მისი აღიარება საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით, უნდა გამოვარჩიოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

1.2. საარჩევნო უფლების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

1574 კონსტიტუცია მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის იმ ფიზიკურ პირთა წრესთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება ისარგებლონ საარჩევნო უფლებით. კონსტიტუციის 24-ე მუხლი უშუალოდ ადგენს საარჩევნო ცენზებს, რომელთა საფუძველზეც საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებენ პირები, რომლებიც შესაბამის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. პირველ რიგში, საარჩევნო უფლების სუბიექტები არიან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები (მოქალაქეობის ცენზი), ანუ ის მოქალაქის უფლებაა და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი. ამასთან, საარჩევნო უფლება არ აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს. კონსტიტუციის მიხედვით, მოქალაქეს არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ 18 წლის ასაკიდან (ასაკობრივი ცენზი).

[3297] 52-ე მუხლი.

[3298] 64-ე მუხლი.

[3299] 147-ე მუხლი.

კონსტიტუცია არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობისაგან ასევე გამორიცხავს მოქალაქეთა ორ კატეგორიას: 1) რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში (მორალური ცენზი) და 2) რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი არიან მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებული არიან შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში (ქმედუნარიანობის ცენზი).

1575 კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი ავიწროვებს პარლამენტის არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლების მქონე ფიზიკურ პირთა წრეს. მოქალაქეობის ცენზთან ერთად, პარლამენტის წევრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ასაკობრივ ცენზს, რომელიც გაზრდილია 25 წლის ასაკამდე. ამას ემატება ბინადრობის ცენზი - კანდიდატს მოეთხოვება საქართველოში მინიმუმ 10 წლის განმავლობაში ცხოვრება. გარდა ამისა, გამკაცრებულია მორალური ცენზიც - პარლამენტის წევრად არ შეიძლება იმ პირის არჩევა, რომელსაც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა სპეციალურია ზოგად ნორმასთან - კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით.

1576 ფიზიკურ პირთა საარჩევნო უფლების პერსონალური დაცული სფეროს ზემოთ ჩამოყალიბებული ფარგლები უშუალოდ კონსტიტუციით ნათლად და იმპერატიულადაა დადგენილი, რაც გამორიცხავს კანონმდებლის მიერ მისი გაფართოვებისა და თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.[3300] საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქეს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციით განსაზღვრულ რომელიმე მოთხოვნას, არ მიიჩნევს საარჩევნო უფლების სუბიექტად.[3301]

1577 საარჩევნო უფლების სუბიექტთა წრის შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები გონივრული და ლოგიკური ხასიათისაა და არ ეწინააღმდეგება ეროვნულ თუ უცხოურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებულ მიდგომებს. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია, რომელშიც იგულისხმება „სახელმწიფო ხალხი“, ანუ მოქალაქეთა და არა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის, მათ შორის უცხოელთა, ერთობა.[3302] აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით განხორციელებისა და არჩევნებსა თუ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების სუბიექტთა წრის შეზღუდვა მხოლოდ მოქალაქეებით გამართლებულია. საარჩევნო უფლების სუბიექტებს მხოლოდ მოქალა-ქეებით შემოფარგლავს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც,[3303] თუმცა გერმანიის ძირითადი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებსაც ანიჭებს მონაწილეობის უფლებას.[3304] უცხოელებისათვის, გარდა აღნიშნული გამონაკლისისა, საარჩევნო

[3300] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/431 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[3301] შეადარე: იქვე, II-2.

[3302] შეადარე: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 337; ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის კომენტარი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 248.

[3303] BVerfGE 83, 37 (50 ff.).

[3304] 28-ე მუხლის პირველი აბზაცი.

უფლების მინიჭება არაკონსტიტუციური იქნებოდა.[3305] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლიც არ ავალდებულებს სახელმწიფოებს უცხოელთათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას, ხოლო ევროპული სასამართლო მოქალაქეობას თავისუფალი არჩევნების უფლების რეალიზაციის წინაპირობად აღიარებს.[3306] ამავდროულად, თუ საარჩევნო უფლების სუბიექტების წრე ეროვნული კანონმდებლობით სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებითაა გაფართოებული, ამ პირებს შეუძლიათ მე-3 მუხლის გამოყენება. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა ევროკავშირის საზღვრებში, იმ სახელმწიფოში, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობენ, ისარგებლონ თავისუფალი არჩევნების უფლებით.[3307]

1578 ასაკობრივი და ქმედუნარიანობის ცენზები უკავშირდება პირის უნარს, გააკეთოს გააზრებული არჩევანი.[3308] ამ თვალსაზრისით, ლოგიკურია საარჩევნო უფლების დაკავშირება მოქალაქის მიერ 18 წლის ასაკის, ანუ სრულწლოვანების მიღწევასთან. არჩევანის გაკეთება, ამავდროულად დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაცაა, რასაც, რთულად წარმოსადგენია, თავი გაართვას პირმა, რომელსაც ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა ასაკი და ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, ობიექტურად არ აქვს სახელმწიფოებრივად ასე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დამოუკიდებელი განსჯის საფუძველზე მიღების შესაძლებლობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაწესებული ცენზები არ გამოირჩევა სიმკაცრით. ასაკობრივი ცენზი არ არის მაღალი, ხოლო მხარდაჭერის მიმღები პირების გამოსარიცხად არჩევნებიდან აუცილებელია, რომ ისინი სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში იყვნენ მოთავსებული, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებას. იგივე ითქმის მორალურ ცენზზეც - ის ვრცელდება არა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ მსჯავრდებულზე, არამედ მხოლოდ ისეთებზე, რომლებსაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული აქვთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

1579 საარჩევნო უფლება ვრცელდება არა მხოლოდ ხმის მიცემაზე, არამედ მთელ საარჩევნო პროცესზე - კანდიდატების წარდგენა, წინასაარჩევნო კამპანია და ა.შ.[3309] აქედან გამომდინარე, (პასიური) საარჩევნო უფლების სუბიექტებად ითვლებიან ის იურიდიული პირებიც, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში - პოლიტიკური პარტიები.[3310] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიტიკურ პარტიებს, როგორც იურიდიულ პირებს, მიიჩნევს პასიური საარჩევნო უფლების უშუალო სუბიექტებად, როდესაც საარჩევნო სისტემა ითვალისწინებს ხმის მიცემას პარტიული სიებისათვის.[3311]

[3305] Nierhaus M. (Bearb.), Kommentar zum Art. 28 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 26.

[3306] Liberal Party, Mrs R. and Mr P. v. the United Kingdom (N8765/79; 18.12.1980).

[3307] Arndt F. (Bearb.), Kommentar zum Art. 3 EMRKZusProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 7.

[3308] შეადარე: Ipsen J., Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 25., überarbeitete Auflage, 2013, Rn. 75.

[3309] Maunz T. (Bearb.), Kommentar zum Art. 38, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band IV, seit 1958, Rn. 29; BVerfGE 11, 266 (272); 11, 351 (364); 12, 10 (27); 60, 162 (167); 69, 92 (106 f.).

[3310] შეადარე მაგ.: ხუბუა, 28-ე მუხლის კომენტარი, 248; BVerfGE 4, 27 (30); 51, 222 (233).

[3311] Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 104; Russian Conservative Party of Entrepreneurs (N55066/00; 11.1.2007); Georgian Labour Party (N9103/04; 8.7.2008).

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი პასიური საარჩევნო უფლების სუბიექტ პარტიათა წრეს ავიწროვებს. კერძოდ, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობენ მხოლოდ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც რეგისტრირებული არიან, ასევე ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისათვის ან მათი მხარდაჭერა დადასტურებულია არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1580 საარჩევნო უფლების დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისათვის აუცილებელია კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის სრულყოფილი განმარტება კონსტიტუციის პრინციპებთან და ნორმებთან კავშირში. უზენაესი კანონით უზრუნველყოფილია „რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება“. თავდაპირველად გასარკვევია, რას გულისხმობს კონსტიტუცია „სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში“. არჩევნების განმარტებას შეიცავს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, არჩევნები არის „საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა.“ ეს განმარტება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევნებით, რომლებიც უშუალოდ კონსტიტუციითაა გათვალისწინებული. ხშირად ამა თუ იმ ტერმინის საკანონმდებლო დეფინიცია და კონსტიტუციურსამართლებრივი გაგება არ არის ანალოგიური, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ დამთხვევაც იყოს.

1581 სამეცნიერო ლიტერატურაში „არჩევნები“ და შესაბამისად, საარჩევნო უფლების საგნობრივი დაცული სფერო უფრო ვიწროდაა გაგებული, ვიდრე ეს „არჩევნების“ საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარეობს. ამ პოზიციის მიხედვით, საარჩევნო უფლების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ორგანოთა არჩევნებზე, რომლებიც კონსტიტუციის კონკრეტული ნორმებით პირდაპირაა გათვალისწინებული.[3312] გვხვდება მოსაზრებაც, რომელიც საარჩევნო უფლების დაცულ სფეროს კიდევ უფრო ავიწროებს და მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებზე ავრცელებს, რაც გამორიცხავს თანამდებობის პირების (თუნდაც კონსტიტუციით გათვალისწინებულ) არჩევნებს.[3313]

1582 საკონსტიტუციო სასამართლომ N3/2/588 გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა მიდგომა, რომლის მიხედვითაც საარჩევნო უფლება არ იცავს ისეთ არჩევნებში მონაწილეობას, რომელიც „კონსტიტუციით არ არის მოაზრებული“. არჩევნები „კონსტიტუციით მოაზრებულად“ ითვლებოდა და საარჩევნო უფლებით დაცულ სფეროში ექცეოდა, (1) თუ ის პირდაპირ იყო გათვალისწინებული კონსტიტუციით ან (2) გამომდინარეობდა კონსტიტუციური პრინციპებიდან და წარმოადგენდა კონსტიტუციით მოაზრებული საარჩევნო სისტემის ნაწილს. აღნიშნულ საქმეზე სადავო ნორმები შეეხებოდა

[3312] იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 334.

[3313] დაწვრილებით იხ.: ხუბუა, 28-ე მუხლის კომენტარი, 243.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებს, რომელთა ჩატარებასაც კონსტიტუცია პირდაპირ არ ადგენდა, თუმცა კანონმდებლის მიერ მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევნების შემოღება უკავშირდებოდა ამ ორგანოთა მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტატუსს და ემსახურებოდა ხალხის წარმომადგენლობის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, ჩაითვალა, რომ საარჩევნო უფლება მოიცავდა მოქალაქეთა უფლებას, კენჭი ეყარათ და წარედგინათ კანდიდატები ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებში.[3314]

1583 ზემოაღნიშნული პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლომ მალევე შეცვალა N3/3/600 გადაწყვეტილებით. მან საარჩევნო უფლებით დაცულ სფეროში მოიაზრა მხოლოდ ის არჩევნები, რომლებიც პირდაპირ იყო კონსტიტუციით გათვალისწინებული. მერებისა და გამგებლების არჩევა არ შედიოდა კონსტიტუციის ნებაში და არ იყო მისი მოთხოვნა. სასამართლოს აზრით, ამგვარი არჩევნების მოქცევა საარჩევნო უფლების დაცულ სფეროში გამოიწვევდა ამ სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილისა და უფლების შინაარსის დამოკიდებულებას კანონმდებლის დისკრეციაზე, გაართულებდა არჩევნების კონსტიტუციურსამართლებრივი ბუნების შენარჩუნებას და პრინციპულ წინააღმდეგობაში მოვიდოდა უფლების ეფექტიანი დაცვის კონსტიტუციურ მოთხოვნასთან. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ თანამდებობის დაკავება, მიუხედავად მისი პირდაპირი არჩევისა, უნდა შეფასებულიყო არა საარჩევნო, არამედ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით. საარჩევნო უფლება ვერ დაიცავდა იმ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რომლის ჩატარების საფუძველსაც თვით კონსტიტუცია არ წარმოადგენდა.[3315]

1584 კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელი არჩევნების გატანა საარჩევნო უფლებით დაცული სფეროდან, არ არის მართებული. პირველ რიგში, საარჩევნო უფლების დამდგენი ნორმა მიუთითებს „სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე“, რითაც მოიცავს საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების სრულ სპექტრს, რომელთა არჩევაც ხალხის მიერ ხდება ან შეიძლება, სამომავლოდ იქნას გათვალისწინებული. კონსტიტუცია უძღვნის სპეციალურ ნორმებს სხვადასხვა ორგანოთა არჩევნებს, მაგრამ მათი ძირითადი მიზანია არა სხვა სახის არჩევნებისა და მათზე საარჩევნო უფლების გავრცელების გამორიცხვა, არამედ ამ ორგანოთა არჩევნების წესით ფორმირების აუცილებლობის ხაზგასმა, ასევე შესაბამის არჩევნებთან დაკავშირებით სპეციფიური მოთხოვნების დადგენა. მერის არჩევნები იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ არც კრძალავს. დემოკრატია ქვემოდან ზემოთ მოწყობილი სისტემაა და მისი საძირკვლის - ადგილობრივი თვითმმართველობის - მთავარი თანამდებობის პირის პირდაპირი არჩევნების დატოვება

[3314] დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16-29.

[3315] დაწვრილებით იხ.: N3/3/600 გადაწყვეტილება, II-4-18. საწინააღმდეგო პოზიცია დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილებაზე საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლების შინაარსის გამიჯვნასთან დაკავშირებით“.

საარჩევნო უფლების მოქმედების საზღვრებს მიღმა დემოკრატიის პრინციპსაც არ შეესაბამება. საარჩევნო უფლების „კომპენსირებას“ ვერ მოახდენს საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება შეეხება ზოგადად თანამდებობის დაკავებას, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება კი იცავს თანამდებობის დაკავებას კონკრეტული ფორმით - არჩევნების გზით. ამდენად, საარჩევნო უფლება ამ შემთხვევაში სპეციალური უფლებაა, რომელსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს ზოგად უფლებასთან მიმართებით. ამასთან, საარჩევნო უფლება სპეციფიკური სტანდარტებისა და პრინციპების დაცვას მოითხოვს, რისი სრულყოფილი უზრუნველყოფაც ვერ მოხდება საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ფარგლებში. ზოგადად, ტერმინების ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობის დოქტრინის მიზანია ცნებათა მართებული მატერიალური განმარტება ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის ინტერესებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი მიდგომით, სრულფასოვანი კონსტიტუციური კონტროლის მიღმა დატოვა მერის არჩევნების პროცესი. მის მიერ განვითარებული ლოგიკა, ფაქტობრივად, გამორიცხავს შესაბამისი არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებასაც. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს იმ პროცესის კონსტიტუციურობაზე, რომელსაც თავად არ მიიჩნევს „არჩევნებად“. რა თქმა უნდა, ნებისმიერი თანამდებობის პირისა თუ ორგანოს არჩევა ვერ განიხილება „არჩევნებად“, კონსტიტუციურამართლებრივი თვალსაზრისით, მაგრამ საარჩევნო უფლება უნდა გავრცელდეს ყველა პროცესზე, რომლის საშუალებითაც ხალხი პირდაპირ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას ანიჭებს მის წარმომადგენლებს. ეს პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს არჩევნებისათვის დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტებს. დემოკრატიულ სახელმწიფოში ამ კუთხით გამონაკლისის დაშვება ნონსენსია. ამგვარი ნება ვერ ექნება კონსტიტუციას, რომელიც დემოკრატიის პრინციპს აღიარებს. საკონსტიტუციო სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, თუ რამდენად წარმოადგენს შესაბამისი პროცესი „არჩევნებს“ მატერიალური თვალსაზრისით და არა იმ ფორმალური კრიტერიუმის მიხედვით, არის თუ არა ის პირდაპირ გათვალისწინებული კონსტიტუციაში. ამგვარი მიდგომით საარჩევნო უფლების ფარგლების კანონმდებლის დისკრეციაზე დამოკიდებულების შესაძლო, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელი და ჰიპოთეტური, საფრთხეც მოიხსნება.

ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი იყენებს ტერმინს „საკანონმდებლო ორგანო“, თუმცა თავისუფალი არჩევნების უფლების მოქმედება არ არის შეზღუდული მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებით.[3316] ევროპული სასამართლო მის მოქმედებას ავრცელებს რეგიონალურ წარმომადგენლობით ორგანოებზეც.[3317] ის „საკანონმდებლო ორგანოდ“ მე-3 მუხლის მიზნებისათვის თვლის ევროპის პარლამენტსაც.[3318] ეს გამოცდილებაც იმაზე მეტყველებს, რომ არასწორია „არჩევნების“ ცნებიდან ფორმალური მიზეზებით იმ პროცესების გამორიცხვა, რომლებიც მატერიალური თვალსაზრისით „არჩევნებად“ შეიძლება ჩაითვალოს. 1585

[3316] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 5.

[3317] Vito Sante Santoro v. Italy (N36681/97; 1.7.2004).

[3318] Denise Matthews v. The United Kingdom (N24833/94; 18.2.1999).

1586 კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს „არჩევნებში მონაწილეობის უფლებას“. იქედან გამომდინარე, რომ არჩევნები პროცესია, „არჩევნებში მონაწილეობა“ ვრცელდება მთელ პროცესზე და არა მის მხოლოდ რომელიმე ნაწილზე, მაგალითად ხმის მიცემაზე.[3319] „არჩევნებში მონაწილეობა“ შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლების განხორცელებაში. აქტიური საარჩევნო უფლებით უზრუნველყოფილია პირის შესაძლებლობა, აირჩიოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები ან თანამდებობის პირები და ამით მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების დემოკრატიულ ლეგიტიმაციაში. პასიური საარჩევნო უფლება გულისხმობს იმას, რომ თავად იყო არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრად ან სხვა საჯარო არჩევით თანამდებობაზე, ანუ მიიღო დემოკრატიული ლეგიტიმაცია ხალხისაგან, როგორც მისმა წარმომადგენელმა.[3320] აღსანიშნავია, რომ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლიც.[3321]

1587 გარდა არჩევნებისა, კონსტიტუციით დაცულია ასევე „რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება“. რეფერენდუმი ხალხის მიერ ძალაუფლების უშუალოდ განხორციელების, პირდაპირი დემოკრატიის ფორმაა. არჩევნების მსგავსად, რეფერენდუმის დროსაც კენჭისყრა იმართება, მაგრამ არა კანდიდატების ან პარტიების ასარჩევად, არამედ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად“.[3322] რეფერენდუმში მონაწილეობით მოქალაქეები ახდენენ საარჩევნო უფლების რეალიზებას და ეს პროცესიც იმავე ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, რასაც არჩევნები.[3323] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ უზრუნველყოფს რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებას[3324] და ამ კუთხით, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცული სფერო უფრო ფართოა.

1588 გარდა რეფერენდუმისა, ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს „უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით“.[3325] ამ ფორმებს შეიძლება მივაკუთვნოთ პლებისციტი.[3326] პლებისციტი, რეფერენდუმის მსგავსად, ფარული კენჭისყრაა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე და მასზე ვრცელდება რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები. მთავარი განსხვავება ისაა, რომ პლებისციტი ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად იმართება, ხოლო მისი შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო

[3319] შეადარე მაგ.: Maunz, GG, Art. 38, Rn. 29; BVerfGE 11, 266 (272); 11, 351 (364); 12, 10 (27); 60, 162 (167); 69, 92 (106 f.).

[3320] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 324; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-24; N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-1; Magiera S. (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 101; BVerfGE 1, 208 (242); 4, 27 (30); 89, 155 (171 f.).

[3321] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 3.

[3322] „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[3323] შეადარე: „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები; ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 მუხლი.

[3324] X. v. the United Kingdom (N7096/75; 3.10.1975); Hilbe v. Liechtenstein (N31981/96; 7.9.1999).

[3325] კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

[3326] შეადარე: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 334; Ipsen, Staatsrecht I, Rn. 125.

ხასიათისაა.[3327] მიუხედავად ამისა, პლებისციტზე ხალხის ნების გამოხატვა ხდება და ეს პროცესი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს. დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის, ხალხის, თუნდაც სარეკომენდაციო, აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამის სფეროში პოლიტიკის განსაზღვრისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

1589 საარჩევნო უფლების შინაარსზე უდიდეს გავლენას ახდენს საარჩევნო პრინციპები. კონსტიტუციის 24-ე მუხლი ყველა მათგანს არ ახსენებს. პირდაპირ მხოლოდ „ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის“ უზრუნველყოფაზეა ყურადღება გამახვილებული. ამ მუხლის შინაარსიდან ასევე შეიძლება ამოვიკითხოთ საყოველთაობის პრინციპიც. მიუხედავად ამისა, საარჩევნო უფლება მოიცავს ყველა მნიშვნელოვან საარჩევნო პრინციპს და შესაბამისად, მისი დაცვა ამ პრინციპების დაცვასაც გულისხმობს.[3328] საარჩევნო უფლების დაცული სფეროს განმარტება უნდა განხორციელდეს დემოკრატიის პრინციპთან და კონსტიტუციის სხვა ნორმებთან კავშირში.[3329] დემოკრატიასთან შეუთავსებელია არჩევნები, რომელთა ჩატარება ხდება უმნიშვნელოვანესი საარჩევნო პრინციპების დარღვევით. კონსტიტუციის ნორმები, რომლებიც შეეხება კონკრეტული ორგანოების არჩევნებს, პირდაპირ ჩამოთვლის მათ. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრები აირჩევიან „საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“, ხოლო 74-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევას „საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“. გარდა ამისა, აღსანიშნავია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნტი, რომლის შესაბამისადაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა „საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“. აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლიც პირდაპირ ითვალისწინებს თავისუფალი, ფარული და პერიოდული არჩევნების პრინციპებს. გარდა ამისა, პრაქტიკაში აღიარებულია საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპებიც.[3330]

1590 არჩევნების საყოველთაობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ ხელმისაწვდომობას არჩევნებში მონაწილეობაზე.[3331] მისი დამკვიდრება ისტორიულად ქალთათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას უკავშირდება.[3332] არჩევნების საყოველთაობის პრინციპი თანასწორობის ზოგადი პრინციპის სპეციალურ გამოხატულებად ითვლება.[3333] დაუშვებელია ცალკეული მოქალაქეებისა თუ მოქალაქეთა ჯგუფების არჩევნებში მონაწილეობიდან თვითნებური და გაუმართლებელი გამორიცხვა მათი პოლიტიკური შეხედულებების, ქონებრივი თუ სოციალური მდგომარეობის, სქესის, რასის, რელიგიისა

[3327] ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლი „ბ“ ქვეპუნქტი და მე-3 მუხლი; „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის 8^1 მუხლი.

[3328] შეადარე მაგ.: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 333-334; BVerfGE 89, 155 (171). განსხვავებული მოსაზრება იხ.: ხუბუა, 28-ე მუხლის კომენტარი, 2005, 243.

[3329] შეადარე: N3/2/588 გადაწყვეტილება, II-32.

[3330] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 9.

[3331] მაგ.: Magiera, GG, Art. 38, Rn. 79.

[3332] Ipsen, Staatsrecht I, Rn. 78.

[3333] მაგ.: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 336; BVerfGE 99, 1 (8 ff.).

თუ სხვა დისკრიმინაციული ნიშნით.[3334] საყოველთაობის პრინციპი ვრცელდება როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციაზე.[3335] მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ მოქალაქეებით და ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზეც. მათ არ უნდა დაუდგინდეთ არჩევნებში მონაწილეობისა და შესაბამისად, პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის თვითნებური და გადამეტებული წინაპირობები.[3336] საყოველთაობის პრინციპი არ გამორიცხავს საარჩევნო ცენზებისა თუ სხვა მოთხოვნების დაწესებას არჩევნებში მონაწილეობისათვის, მაგრამ არავის უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება, თუ ის აკმაყოფილებს იმ მინიმალურ პირობებს, რაც ამ უფლების განხორციელებისთვისაა აუცილებელი.[3337] საკონსტიტუციო სასამართლო საყოველთაობის პრინციპის უზრუნველყოფის საშუალებად მიიჩნევს ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და მათ საარჩევნო სიებში ჩართვას.[3338]

1591 არჩევნების თანასწორობის პრინციპს საკონსტიტუციო სასამართლო საარჩევნო უფლების არსის შემადგენელ ნაწილად თვლის.[3339] ის გულისხმობს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების შეძლებისდაგვარად თანასწორად გამოყენების უზრუნველ-ყოფას.[3340] აქტიური საარჩევნო უფლების კონტექსტში, თანასწორი არჩევნების პრინციპი მოითხოვს, რომ ყველა ამომრჩეველს ჰქონდეს ხმათა თანაბარი რაოდენობა, ხოლო ხმების შეფასება განხორციელდეს თანასწორად და მათ გააჩნდეთ საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და არჩევნების შედეგზე გავლენის მოხდენის ერთნაირი გარანტიები.[3341] პასიური საარჩევნო უფლების კუთხით, ის უზრუნველყოფს ყველა კანდიდატის შანსების თანაბრობას, ამომრჩევლისათვის რეალური არჩევანის შეთავაზების თანაბარ შესაძლებლობას. ეს გარანტია ვრცელდება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებზეც.[3342] ამომრჩევლები, კანდიდატები ან პოლიტიკური პარტიები დაცული არიან კონსტიტუციურსამართლებრივად გაუმართლებელი, დისკრიმინაციული დიფერენცირე-ბისაგან. ამასთან, არჩევნების თანასწორობის პრინციპი მოითხოვს ფორმალურ და არა ფაქტობრივ გათანაბრებას.[3343] თანასწორობის უზრუნველყოფა საყოველთაობის პრინციპის მოთხოვნაცაა, მაგრამ როგორც ვხედავთ, თანასწორობის პრინციპი მისგან განსხვავებით მიემართება არა თანაბარ შესაძლებლობას, იყო საარჩევნო უფლების სუბიექტი და მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, არამედ საარჩევნო უფლების თანასწორ რეალიზებას ამ უფლების სუბიექტთა მიერ.[3344]

1592

[3334] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 325; BVerfGE 15, 165 (166 f.); 36, 139 (141); 58, 202 (205).

[3335] მაგ.: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 336; ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; Magiera, GG, Art. 38, Rn. 80.

[3336] შეადარე მაგ.: BVerfGE 3, 19 (31); 111, 382 (398).

[3337] Ipsen, Staatsrecht I, Rn. 75.

[3338] N1/1/257, 268 გადაწყვეტილება, III.

[3339] N1/1/493 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-7.

[3340] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 327; BVerfGE 11, 266 (272); 85, 148 (157); 99, 69 (77 f.).

[3341] შეადარე მაგ.: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 339; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 327-328; N1/1/493 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-7; Magiera, GG, Art. 38, Rn. 90; BVerfGE 1, 208 (244 ff.); 16, 130 (138 f.); 82, 322 (337); 95, 335 (353).

[3342] შეადარე მაგ.: N1/1/493 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-7, 11; BVerfGE 41, 399 (413); 95, 408 (417); 104, 14 (19 f.); 111, 382 (398).

[3343] შეადარე: ხუბუა, 28-ე მუხლის კომენტარი, 246; BVerfGE 41, 399 (413); 82, 322 (337); 95, 408 (417).

[3344] იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 339.

თანასწორი საარჩევნო უფლება ვრცელდება მთელ საარჩევნო პროცესზე და არა მხოლოდ საკუთრივ კენჭისყრის პროცედურაზე.[3345] მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მასთან მიმართებით აფასებს კანდიდატების დასახელების უფლებას,[3346] წინასაარჩევნო აგიტაციას,[3347] ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების შეჯამებას,[3348] ასევე საარჩევნო კამპანიისა და პარტიების დაფინანსებას.[3349] თანასწორი საარჩევნო უფლების კონტექსტში შესაძლებელია ასევე იმ საკითხების განხილვაც, რომლებიც უშუალოდ საარჩევნო პროცესის შემადგენელი ნაწილი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის მიმდინარეობასა და საარჩევნო უფლების თანასწორ რეალიზაციაზე. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო გეოგრაფია მართებულად მიაკუთვნა ამგვარი საკითხების რიცხვს: „ხმათა თანასწორობა და ამომრჩევლებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება უნდა წარმოადგენდეს საარჩევნო ოლქების, საარჩევნო გეოგრაფიის განსაზღვრის უმთავრეს პრინციპს. საარჩევნო კანონმდებლობა უნდა იყოს მოწოდებული, რომ საარჩევნო ოლქების საზღვრები განისაზღვროს იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს ხმათა თანასწორობა და ადეკვატური წარმომადგენლობა. ეს გულისხმობს, რომ საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლების რაოდენობა შეძლებისდაგვარად თანასწორი იყოს, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს ხმათა თანაბარი „წონა“.[3350] აღსანიშნავია, რომ თანასწორი საარჩევნო უფლებისათვის შექმნილ სირთულეებზე და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მოწყვლადობაზე ე.წ. „საარჩევნო ოლქების გეომეტრიის“ მიმართ ყურადღებაა გამახვილებული სამეცნიერო ლიტერატურაშიც.[3351]

1593 არჩევნების თანასწორობის პრინციპი, ბუნებრივია, კავშირშია კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის ზოგად პრინციპთან და სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ნორმები, რომლებიც თანასწორ საარჩევნო უფლებას ზღუდავდნენ, შეფასებულია კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-14 მუხლთან, რომელიც კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას ადგენდა ან ამ მუხლთან და პარალელურად, საარჩევნო უფლებასთან მიმართებით.[3352] განსხვავებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომელიც თანასწორ საარჩევნო უფლებას განიხილავს არა როგორც თანასწორობის ზოგადი პრინციპის სპეციალურ შემთხვევას,[3353] არამედ დამოუკიდებელ, სპეციალურ რეგულირებას, რომლის მოქმედების სფეროშიც შეუძლებელია თანასწორობის ზოგადი

[3345] შეადარე მაგ.: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 339; ხუბუა, 28-ე მუხლის კომენტარი, 245-246; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-11; Magiera, GG, Art. 38, Rn. 91; Stern, Staatsrecht I, 304 f.

[3346] BVerfGE 11, 266 (272); 41, 399 (417); 89, 243 (251).

[3347] BVerfGE 44, 125 (144); 47, 198 (225).

[3348] BVerfGE 85, 148 (158).

[3349] BVerfGE 20, 56 (116); 24, 300 (339); 41, 399 (413); 69, 92 (106 f.); 85, 264 (285 ff.).

[3350] N1/3/547 გადაწყვეტილება, II-22.

[3351] Ipsen, Staatsrecht I, Rn. 98.

[3352] N1/1/493 გადაწყვეტილება; N1/1/539 გადაწყვეტილება; N1/3/547 გადაწყვეტილება; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის N2/3/591 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; N3/3/763 გადაწყვეტილება.

[3353] მაგ.: BVerfGE 1, 208 (241 ff.); 78, 350 (357); 85, 148 (157).

პრინციპის გამოყენება.[3354] აღსანიშნავია, რომ თანასწორი საარჩევნო უფლება თანასწორობის ზოგად პრინციპთან მიმართებით სპეციალურ ნორმად მიიჩნევა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც.[3355] კანონის წინაშე თანასწორობისა და თანასწორი საარჩევნო უფლებები შეიძლება გავრცელდეს ერთსა და იმავე შემთხვევაზე, ერთი და იგივე სუბიექტის სასარგებლოდ. ამრიგად, სახეზეა კონკურენცია ძირითად უფლებებს შორის, რომელიც უნდა გადაწყდეს სპეციალური ძირითადი უფლების - თანასწორი საარჩევნო უფლების - სასარგებლოდ. ამ უფლების დარღვევის შემოწმებაც შეიძლება განხორციელდეს თანასწორობის ძირითადი უფლებისათვის დადგენილი სქემითა და სტანდარტებით და არ არსებობს ე.წ. „იდეალური კონკურენციის“ საჭიროება.

1594 პირდაპირი არჩევნების პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ ამომრჩეველი უშუალოდ ირჩევს და წყვეტს, თუ ვინ იქნება არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენ-ლობით ორგანოში ან თანამდებობაზე. პირდაპირობის პრინციპი გამორიცხავს საარჩევნო კოლეგიების თუ სხვა ორგანოების შუალედურ ჩართულობას და მათ მიერ ნების გამოვლენის დამატებით აქტებს.[3356] მართალია, არაპირდაპირი წესით არჩევნების ჩატარება და ამ გზით დემოკრატიული ლეგიტიმაციის მიღება კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ დაუშვებელია იმ არჩევნების არაპირდაპირი წესით ჩატარება, რომელთა პირდაპირობა უშუალოდ კონსტიტუციითაა განსაზღვრული.

1595 არჩევნების ფარულობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ ამომრჩეველი-სათვის უნდა იყოს ცნობილი მის მიერ გაკეთებული არჩევანის შინაარსი. არჩევნები უნდა ასახავდეს ამომრჩევლის რეალურ და არა იმის შიშის ქვეშ გამოხატულ პოზიციას, რომ შენი არჩევანი სხვებისათვის ცნობილი გახდება, რასაც შეიძლება ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, ფარულობის პრინციპის დარღვევა ეჭვქვეშ აყენებს შესაბამისი არჩევნების, როგორც დემოკრატიული ლეგიტიმაციის ინსტრუმენტის, ხასიათს.[3357] ფარულობა, ერთი მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება არჩევნების თავისუფლებას, მისი დაცვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და საშუალებას აძლევს ინდივიდს თავისუფლად, სხვათა ზეწოლის გარეშე, გააკეთოს არჩევანი,[3358] ხოლო მეორე მხრივ, დაცული არიან თვით არჩევნებში გამარჯვებული პირებიც ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის სანაცვლოდ ე.წ. „საპასუხო შესრულების“,[3359] ანუ გარკვეული ბენეფიტების მოთხოვნისაგან.

1596 კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს თავისუფალი არჩევნების პრინციპს - „უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა“. დემოკრატიული გაგებით, „არჩევნებად“ არ ითვლება საარჩევნო პროცესი, რომელიც თავისუფალი არ არის.[3360] საკონსტიტუციო სასამართლო არჩევანის თავისუფლების

[3354] Magiera, GG, Art. 38, Rn. 92; Trute H.-H. (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 2, 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 55; BVerfGE 99, 1 (8 ff.).

[3355] იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 339.

[3356] შეადარე მაგ.: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 326; BVerfGE 3, 45 (49 f.); 7, 63 (68); 7, 77 (84 f.); 47, 253 (279 f.).

[3357] Ipsen, Staatsrecht I, Rn. 86.

[3358] შეადარე მაგ.: ხუბუა, 28-ე მუხლის კომენტარი, 249; Frowein J. A., Peukert W., Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., ZP I, Art. 3, Rn. 4; Ipsen, Staatsrecht I, Rn. 91, 93; Magiera, GG, Art. 38, Rn. 97; BVerfGE 5, 85 (232); 99, 1 (13).

[3359] BVerfGE 5, 85 (232).

[3360] Ipsen, Staatsrecht I, Rn. 91.

უზრუნველყოფას საარჩევნო უფლების მთავარ მოთხოვნად მიიჩნევს, რომელიც სახელმწიფოს უკრძალავს ჩარევას ამომრჩეველთა ნების ფორმირების პროცესში. გარდა აქტიური საარჩევნო უფლებისა, თავისუფალი არჩევნების პრინციპს სასამართლო ავრცელებს პასიურ საარჩევნო უფლებაზეც და ხაზს უსვამს მოქალაქის შესაძლებლობას „სახელმწიფოსაგან ჩარევის გარეშე გახდეს ამა თუ იმ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი და ამ უფლების რეალიზებისას არ შეექმნას გაუმართლებელი დაბრკოლებები. არჩევანის თავისუფლება აზრს დაკარგავს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო თავად განსაზღვრავს ან/და სხვა არადემოკრატიული ფორმით მოახდენს გავლენას ასარჩევი კანდიდატების ფორმირების პროცესზე."[3361] მსგავსი პოზიცია აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც არჩევნების თავისუფლებად მიიჩნევს ამ უფლების რეალიზაციას იძულებისა და დაუშვებელი ზეგავლენის გარეშე, აზრის ჩამოყალიბების თავისუფალი და ღია პროცესის ფარგლებში.[3362] გარდა ამისა, ის არჩევნების თავისუფლებას ასევე მიაკუთვნებს კანდიდატების არსებითად თავისუფლად წარდგენის უფლებასაც.[3363] ამასთან დაუშვებელ ზეგავლენას არ მიეკუთვნება საარჩევნო კამპანიისათვის დამახასიათებელი, ზოგადად ამომრჩევლების და არა კონკრეტული ამომრჩევლის მისამართით გაკეთებული განცხადებები და დაპირებები.[3364]

1597

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ითვალისწინებს არჩევნების ჩატარებას „გონივრული ხანგამოშვებით", რაც არჩევნების პერიოდულობის პრინციპის გამოხატულებაა. დემოკრატიის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ხალხი მის წარმომადგენლებს არჩევნების გზით დემოკრატიულ ლეგიტიმაციას მხოლოდ შეზღუდული, გონივრული ვადით აძლევს.[3365] არჩევითი ორგანოების ან თანამდებობის პირების ზედმეტად ხანგრძლივი უფლებამოსილების ვადა ასუსტებს ან სრულად აქრობს კავშირს მათ გადაწყვეტილებებსა და ხალხის უმრავლესობის ნებას შორის, ხოლო ძალიან მოკლე უფლებამოსილების ვადა კი აზიანებს ხალხის წარმომადგენელთა ფუნქციაუნარიანობას და პოლიტიკური პროექტების განხორციელებას.[3366] კონსტიტუციით აკრძალულია საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა,[3367] რადგანაც ეს არღვევს დემოკრატიის პრინციპს[3368] და არჩევნების პერიოდულობის მოთხოვნას. შეიძლება ითქვას, რომ ეს საარჩევნო უფლებასაც ეწინააღმდეგება, რადგანაც ხდება ხალხის ნების, რომელიც ამ უფლების რეალიზაციის საშუალებით გამოიხატება, ფაქტობრივი ჩანაცვლება ხელისუფლების ნებით.

[3361] N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-3.

[3362] BVerfGE 7, 63 (69); 44, 125 (139); 47, 253 (282); 66, 369 (380); 79, 161 (165 f.); 95, 335 (350); 103, 111 (130 f.).

[3363] BVerfGE 41, 399 (417); 47, 253 (282); 71, 81 (100); 89, 243 (251).

[3364] Ipsen, Staatsrecht I, Rn. 91.

[3365] შეადარე: ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, გეგენავა (რედ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021, 31 (34-35); Sachs M. (Bearb.), Kommentar zum Art. 20, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 13.

[3366] შეადარე: Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 15.

[3367] კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

[3368] ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (35); Sachs, GG, Art. 20, Rn. 34; BVerfGE 1, 14 (33); 18, 151 (154); 62, 1 (32).

1598 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საარჩევნო უფლება არ მოითხოვს კონკრეტული საარჩევნო მოდელის ჩამოყალიბებას და კანონმდებელი, ამ კუთხით, ფართო დისკრეციით სარგებლობს, თუმცა არსებულმა მოდელმა უნდა დააკმაყოფილოს კონსტიტუციური სტანდარტები, უზრუნველყოფდეს საარჩევნო უფლების რეალიზებისათვის საჭირო გარანტიებს და ხალხის ნების მაქსიმალურად ადეკვატურ ასახვას ხელისუფლების ფორმირებისას.[3369] ამის მსგავსად, კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ადგენს საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის მინიმალურ სტანდარტებს, ხოლო მრავალფეროვანი დემოკრატიული საარჩევნო სისტემებიდან რომელიმეს ამორჩევას სახელმწიფოთა დისკრეციის სფეროს მიაკუთვნებს.[3370] ამ კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სახელწიფოში, განსაკუთრებით პოლიტიკურ და პარტიულ სისტემაში, არსებულ მდგომარეობას. შეიძლება, ერთმა და იმავე საარჩევნო სისტემამ რომელიმე სახელმწიფოში უზრუნველყოს არჩევნების ჩატარება საარჩევნო უფლებისა და პრინციპების შესაბამისად და ხალხის ნების ადეკვატური ასახვა არჩევნების შედეგებში, ხოლო სხვა სახელწიფოში - არა. მაგალითად, სრულად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების ჩატარება ისეთ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობებისა და რესურსების მქონე ორი პარტია მაინც, დიდი ალბათობით, გამოიწვევს დიდი რაოდენობით ამომრჩეველთა ხმების დაკარგვასა და მკვეთრ განსხვავებას, ამომრჩევლის რეალურ ნებასა და წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობას შორის.

1.3. საარჩევნო უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1599 საარჩევნო უფლება უზრუნველყოფს მოქალაქის მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, ამიტომ ის თავისი არსით სამოქალაქო, იგივე პოლიტიკური (status activus) უფლებაა.[3371] ეს უფლება, თანამონაწილეობითი ფუნქციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უფრო პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს.[3372] თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საარჩევნო უფლება თავდაცვითი კომპონენტისაგან სრულადაა დაცლილი. სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი აქტების მიღებისა და ღონისძიებების განხორციელებისაგან, რომლებიც კონსტიტუციის ფორმალური თუ მატერიალური მოთხოვნების დარღვევით ზღუდავს საარჩევნო უფლებას ან სულაც, ფიტავს მის არსს.

1600 საარჩევნო უფლების საგნობრივი დაცული სფერო ფართო და კომპლექსურია. აქედან გამომდინარე, ის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა ფართო სპექტრს აკისრებს, რომელთა სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია, თუმცა შეიძლება, მაგალითის სახით გამოვყოთ რამდენიმე მათგანი. არჩევნების საყოველთაობის პრინციპი ავალდებულებს კანონმდებელს, შექმნას მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობაზე წვდომის თანაბარი

[3369] N1/3/547 გადაწყვეტილება, II-4; N3/2/588 გადაწყვეტილება, II-33, 50.

[3370] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 1.

[3371] შეადარე მაგ.: იზორია, 28-ე მუხლის კომენტარი, 334; BVerfGE 1, 14 (33); 1, 208 (242); 8, 104 (115); 20, 56 (98); 83, 60 (71).

[3372] შეადარე: იზორია, იქვე, 335; Frowein/Peukert, ZP I, Art. 3, Rn. 2; Grabenwarter/Pabel, EMRK, §23, Rn. 105.

გარანტიები.[3373] მან ეს გარანტიები უნდა მოარგოს დროთა განმავლობაში საარჩევნო უფლების განხორციელების ცვალებად პირობებს.[3374] მაგალითად, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საქართველოდან გასულია ძალიან დიდი რაოდენობის ამომრჩეველი და ობიექტური მიზეზების გამო, ხშირად, მათ არ შეუძლიათ გამოცხადება საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე, უნდა შეიქმნას ამ კატეგორიის ამომრჩევლისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების ისეთი ალტერნატიული შესაძლებლობები, როგორიცაა დისტანციურად, ინტერნეტის ან ფოსტის გამოყენებით, ხმის მიცემა, რა თქმა უნდა, გაყალბებისაგან დაცვის შესაბამისი სტანდარტების გამოყენებით.

1601 თანასწორი არჩევნების პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, შექმნას თანასწორობის უზრუნველმყოფი პირობები, რათა ამომრჩეველს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ხოლო პოლიტიკურ ძალთა და მათ მხარდამჭერთა კონკურენცია თანაბარ პირობებში წარიმართოს.[3375] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონმდებელმა უნდა დაადგინოს საკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, რათა საარჩევნო გეოგრაფიით მანიპულაციის გზით, განსაზღვრული საარჩევნო ოლქების საზღვრები პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აყენებდეს რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს კონკურენტებთან მიმართებით.[3376] ამასთან, სახელმწიფო არ არის ვალდებული, განახორციელოს ხელოვნური გათანაბრება. მაგალითად, ევროპული სასამართლოს მიდგომით, კონვენცია არ აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაადგინოს საარჩევნო ბარიერიდან გამონაკლისები ეროვნული უმცირესობების სასარგებლოდ.[3377]

1602 ფარული არჩევნების პრინციპი აკისრებს სახელწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, უზრუნველყოს მოქალაქის არჩევანის მკაცრი დაცვა გამჟღავნებისაგან.[3378] თუ არსებული მონაცემები მიუთითებს პრობლემაზე, სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს საარჩევნო კანონმ-დებლობა.[3379] არჩევნების ფარულობის პრაქტიკული დაცვა, შეიძლება, სხვადასხვა ღონისძიებით გამოიხატოს, მაგალითად დახურული საარჩევნო კაბინების მოწყობა, კაბინაში ფოტო ან ვიდეოგადაღების არდაშვება და ა.შ.

1603 თავისუფალი არჩევნების პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ამომრჩეველი, მათ შორის სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, მისი გადაწყვეტილების თავისუფლების ისეთი ხელყოფისაგან, როგორიცაა მაგალითად, მოსყიდვა და დაუშვებელი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმების გამოყენება.[3380]

1604 ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავისუფალი არჩევნების უფლებიდან ასევე გამოჰყავს პროცედურული და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მაგალითად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა,

[3373] N1/3/547 გადაწყვეტილება, II-6.
[3374] Magiera, GG, Art. 38, Rn. 82.
[3375] შეადარე: N1/1/493 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-7; N1/3/547 გადაწყვეტილება, II-6.
[3376] N1/3/547 გადაწყვეტილება, II-28.
[3377] Partei die Friesen v. Germany (N65480/10; 28.1.2016).
[3378] შეადარე მაგ.: Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 43.
[3379] BVerfGE 59, 119 (127).
[3380] შეადარე მაგ.: Trute, GG, Art. 38, Rn. 43; BVerfGE 21, 196 (198); 66, 369 (380).

როგორც კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვების გადაწყვეტილების მიღებისას,[3381] ასევე არჩევნების შედეგების შეჯამებისას.[3382] გარდა ამისა, აუცილებელია, არჩევნების შედეგების გადამოწმების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით.[3383]

2. ჩარევა საარჩევნო უფლებაში

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება

1605 საარჩევნო უფლება აბსოლუტური ხასიათის არ არის და მასში ჩარევა შესაძლებელია კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვით.[3384] შეზღუდვას შეიძლება დაექვემდებაროს ამ უფლების სხვადასხვა კომპონენტები, მაგალითად საყოველთაობა[3385] და თანასწორობა.[3386] კონსტიტუცია არათუ უშვებს საარჩევნო უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას, არამედ პირდაპირ ითვალისწინებს კიდეც შეზღუდვებს. ამგვარ შემთხვევებში ჩარევა სახეზეა, თუმცა ის კონსტიტუციურსამართლებრივ შეფასებას არ ექვემდებარება. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ იმ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის არსებითად განხილვაზე, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებდა კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციით გათვალისწინებულ შეზღუდვას სასამართლოს განაჩენით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მოქალაქეებთან მიმართებით. შეუძლებელი იყო გასაჩივრებული ნორმის შეფასება, რადგანაც კონსტიტუცია არ აძლევდა მას თავისუფალი მოქმედების სფეროს და ეს იქნებოდა კონსტიტუციის ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის ტოლფასი, რაც სცდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.[3387]

1606 ჩარევის იდენტიფიცირებისას, სხვა შემთხვევების მსგავსად, დიდი მნიშვნელობა აქვს სადავო ნორმის შინაარსობრივ კავშირს საარჩევნო უფლებასთან ან მის რომელიმე კომპონენტთან, რომლის დარღვევის თაობაზეც მიმდინარეობს დავა. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის არჩევის წესსა და პირობებთან დაკავშირებულ ნორმებთან მიმართებით აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ შეხება ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებასთან[3388] და შესაბამისად, არც საარჩევნო უფლებაში ჩარევა ხდებოდა.

[3381] Podkolzina v. Latvia (N46726/99; 9.4.2002).

[3382] Kovach v. Ukraine (N39424/02; 7.2.2008).

[3383] Grosaru v. Romania (N78039/01; 2.3.2010); Mugemangango v. Belgium (N310/15; 10.7.2020); BVerfGE 103, 111 (136 ff.).

[3384] N3/3/600 გადაწყვეტილება, II-27; N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-6.

[3385] N1/1/257, 268 გადაწყვეტილება, III; BVerfGE 28, 220 (225); 36, 139 (141); 99, 69 (78).

[3386] N1/1/493 გადაწყვეტილება, II-8; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-7; N3/3/763 გადაწყვეტილება, II-27.

[3387] N2/1/431 განჩინება, II-3, 6.

[3388] საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის N2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე „მოსარჩელე – საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 3.

ჩარევა სახეზეა, როდესაც საარჩევნო უფლების (შესაძლო) შეზღუდვა აშკარაა. 1607
მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა ცხადი იყო იმ ნორმით, რომელიც ადგენდა ბინადრობის ცენზს საკრებულოს არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციისათვის, რადგანაც ამ ცენზის დაუკმაყოფილებლობა გამორიცხავდა რეგისტრაციის შესაძლებლობას.[3389] პოლიტიკური პარტიებისა და ფიზიკური პირების პასიურ საარჩევნო უფლებაში ჩარევა დადგინდა იმ ნორმის შემთხვევაშიც, რომელიც ითვალისწინებდა პარტიული სიის დაკომპლექტებისას ყოველ ოთხეულში განსხვავებული სქესის წარმომადგენელის სავალდებულო შეყვანას. სადავო ნორმა ზღუდავდა საარჩევნო სუბიექტის შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაეკომპლექტებინა პარტიული სია. ფიზიკური პირების უფლებაში ჩარევა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ სავალდებულო კვოტირება გავლენას ახდენდა სიაში კანდიდატთა რიგითობასა და პარლამენტში მათი მოხვედრის შანსებზე.[3390]

ჩარევად განიხილება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მართალია, აშკარა შეზღუდვა სახეზე არ არის, თუმცა სადავო ნორმას აქვს ამის პოტენციალი. მაგალითად, საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა, როგორც ასეთი, საარჩევნო უფლებაში ჩარევას არ წარმოადგენს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა ამ საკითხის კონსტიტუციური კონტროლის მიღმა დატოვება, რადგანაც ამ დროს არსებობდა საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების ე.წ. „ჯერიმანდრინგის“ ალბათობა.[3391]

1608
საგნობრივ დაცულ სფეროზე მსჯელობისას უკვე აღვნიშნეთ, რომ თანასწორ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული საკითხები საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლის წინაშე თანასწორობის ზოგად უფლებასთან მიმართებით აქვს შეფასებული. მიუხედავად ამისა, თუნდაც პრაქტიკის შეცვლის და თანასწორი საარჩევნო (სპეციალური) უფლების გამოყენების შემთხვევაში, ჩარევის დადგენა თანასწორობის უფლების დარღვევის შემოწმების წესით განხორციელდება, კერძოდ, მოხდება შესადარებელი ჯგუფების იდენტიფიცირება, იმის გარკვევა, რამდენად არიან ისინი არსებითად თანასწორი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით და ადგილი აქვს თუ არა მათ მიმართ უთანასწორო მოპყრობას. მაგალითად, ამ სქემით ჩათვალა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩარევად ნორმა, რომელიც უფასო პოლიტიკური რეკლამით სარგებლობის უფლებას ანიჭებდა მხოლოდ ე.წ. კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს.[3392]

2.2. ჩარევის სახეები

საქართველოს კონსტიტუცია ახორციელებს რამდენიმე უშუალო ჩარევას საარჩევნო 1609
უფლებაში. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მოქალაქეობისა და ასაკობრივ ცენზებს - არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვთ პირებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება მორალური და ქმედუნარიანობის ცენზები - არჩევნებსა და რეფერენდუმში

[3389] N3/3/600 გადაწყვეტილება, II-26.
[3390] N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-5.
[3391] დაწვრილებით იხ.: N3/3/763 გადაწყვეტილება, II-15-16.
[3392] დაწვრილებით იხ.: N2/3/591 გადაწყვეტილება, II-4-10.

მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში. პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვას ფიზიკური პირებისათვის ითვალისწინებს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ადგენს პარლამენტის წევრად არჩევისათვის მოქალაქეობის („საქართველოს მოქალაქე“), ასაკობრივ („25 წლის ასაკიდან“), ბინადრობის („რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც“) და მორალურ ცენზებს („პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა“). 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვები პოლიტიკური პარტიებისათვის. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს პოლიტიკური პარტია, რომელიც არ არის რეგისტრირებული, არ ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისათვის ან მისი მხარდაჭერა არ არის დადასტურებული არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით იზღუდება პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილებაში პოლიტიკური პარტიების მონაწილეობა საარჩევნო ბარიერის დაწესებით. მანდატს ვერ მიიღებს ის პარტია, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5%-ზე ნაკლები მიიღო, ანუ ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი. ზემოაღნიშნული ჩარევები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და კანონმდებელი ვერ შეცვლის მათ შემსუბუქების ან მით უმეტეს, დამძიმების თვალსაზრისით.

1610 საარჩევნო უფლებაში ჩარევები, შეიძლება, მის სხვადასხვა ასპექტს შეეხებოდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება საყოველთაო საარჩევნო უფლებაში ისეთი ჩარევები, როგორიცაა: იძულებით გადაადგილებული პირებისათვის აქტიური საარჩევნო უფლების არგათვალისწინება მათ დროებით საცხოვრებელ ადგილზე გამართულ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში;[3393] ბინადრობის ცენზი პარლამენტის წევრობისა და პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის,[3394] ასევე საკრებულოს წევრობისა და მერობის/გამგებლობის კანდიდატებისათვის;[3395] ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის გართულება და აკრძალვა არჩევნების დღემდე განსაზღვრული პერიოდების განმავლობაში;[3396] ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისათვის მერის/გამგებლის კანდიდატების წარდგენის უფლების არმიცემა;[3397] ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატისათვის საარჩევნო დეპოზიტის შეტანის ვალდებულების დაკისრება;[3398] სავალდებულო გენდერული კვოტირება პარტიული სიის შედგენისას.[3399] ადამიანის უფლებათა

[3393] საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის N2/97/3 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეები: ბესარიონ ფანცულაია, ელგუჯა გულედანი, ჯემალ მიქელაძე, მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[3394] N2/3/250-269 გადაწყვეტილება.

[3395] N3/3/600 გადაწყვეტილება.

[3396] N1/1/257, 268 გადაწყვეტილება.

[3397] N3/2/588 გადაწყვეტილება.

[3398] N1/1/539 გადაწყვეტილება.

[3399] N3/3/1526 გადაწყვეტილება.

ევროპული სასამართლო საყოველთაო საარჩევნო უფლების კონტექსტში განიხილავს მაგალითად ასაკობრივ ცენზსა[3400] და საარჩევნო დეპოზიტის შეტანის ვალდებულებას.[3401]

1611 საკონსტიტუციო სასამართლოს განხილული აქვს ისეთი საქმეებიც, სადაც სახეზე იყო ჩარევა თანასწორ საარჩევნო უფლებაში: არსებითი დისპროპორცია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, რაც ამცირებდა დიდ საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა ხმების „წონას";[3402] უსასყიდლო წინასაარჩევნო რეკლამის საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლების ეთერში განთავსების შესაძლებლობის მინიჭება მხოლოდ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის;[3403] საარჩევნო კოდექსით დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრები და გარკვეული კატეგორიის საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის დელეგირება ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, რაც შეიცავს ე.წ. „ჯერიმანდერინგის" შესაძლო საფრთხეს;[3404] ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსის", სავარაუდოდ, არათანასწორი გამოყენების შესაძლებლობა.[3405] ევროპული სასამართლო ჩარევად თვლის, მაგალითად, საარჩევნო ბარიერს პროპორციულ არჩევნებში,[3406] თუმცა დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ ითხოვს მკაცრი თანასწორობის დაცვას.[3407]

3. საარჩევნო უფლებაში ჩარევის გამართლება

3.1. კანონის დათქმა

1612 კონსტიტუციის 24-ე მუხლი, მართალია, პირდაპირ არ მიუთითებს საარჩევნო უფლების კანონით ან კანონის საფუძველზე შეზღუდვის შესაძლებლობაზე, მაგრამ ამ უფლებაზეც ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა. გარდა ამისა, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ორგანული კანონით განისაზღვრება პარლამენტის არჩევის წესი,[3408] ასევე რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.[3409] კონსტიტუციის ძველი რედაქციის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებული, მსგავსი შინაარსის, დებულება გამოიყენა საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციასთან ფორმალური შესაბამისობის შემოწმებისას.[3410] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „...კონსტიტუცია საარჩევნო სამართლის მხოლოდ ძირითად პრინციპებს ადგენს, მათი რეგულირება კი ხდება სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე", ხოლო კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს

[3400] მაგ.: Hirst v. The United Kingdom (N2) (N74025/01; 6.10.2005).
[3401] Melnychenko v. Ukraine (N17707/02; 19.10.2004).
[3402] N1/3/547 გადაწყვეტილება.
[3403] N2/3/591 გადაწყვეტილება.
[3404] N3/3/763 გადაწყვეტილება.
[3405] N1/1/493 გადაწყვეტილება.
[3406] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 32.
[3407] Yumak and Sadak v. Turkey (N10226/03; 8.7.2008).
[3408] 37-ე მუხლის მე-7 პუნქტი.
[3409] 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[3410] N2/97/3 გადაწყვეტილება, 1.

საარჩევნო უფლების შეზღუდვა.[3411] თავისუფალი არჩევნების უფლებაში ჩარევის გამართლება, ევროპული სტანდარტითაც, საჭიროებს, რომ ის უნდა ეფუძნებოდეს კანონს.[3412]

1613 საარჩევნო უფლების შემზღუდველი კანონი უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულობის პრინციპს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება გადაწყვეტილება, სადაც მან ფაქტობრივად თავი აარიდა ამ საკითხზე მსჯელობას: „სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ნორმით მანიპულირების და მისი ორაზროვანი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს მისი დაკონკრეტება და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა.“[3413] თუმცა, მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, ზოგადი გამოცდილების გათვალისწინებით, დაადგინა განსაზღვრულობის სტანდარტები საარჩევნო უფლების შემზღუდველ ნორმებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ნორმა განსაზღვრულობის მოთხოვნებს შეესაბამება, თუ ის არ იძლევა გონივრულ საფუძველს ორაზროვანი წაკითხვისათვის, „არის გასაგები, საკმარისად ცხადი, განჭვრეტადი კონკრეტული ქცევის წესის არსისა და მისი ადრესატების გარკვევის თვალსაზრისით, ამასთან, იძლევა მკაფიო გზავნილს მისი მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით“. ნორმის არაერთგვაროვნად წაკითხვა და გაგება მხარეთა მიერ თავისთავად არ ნიშნავს მის ბუნდოვანებასა და არაკონსტიტუციურობას. საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს ნორმის განუსაზღვრელობას და მის არასწორ განმარტებასა და გამოყენებას, რაც არ არის გამოწვეული ნორმის განუსაზღვრელობით.[3414]

1614 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისუფალი არჩევნების უფლების თვითნებური შეზღუდვისაგან დაცვის ერთ-ერთ გარანტიად მიიჩნევს საკმარისად განსაზღვრული და განჭვრეტადი საარჩევნო კანონმდებლობის ჩამოყალიბებას.[3415] მან ასევე განავითარა განსაკუთრებული მოთხოვნები საარჩევნო სისტემისა და მისი სამართლებრივი საფუძვლების სტაბილურობასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ვენეციის კომისიის მიდგომა, რომ საარჩევნო სისტემის ფუნდამენტური ელემენტები, როგორც წესი, არ უნდა შეიცვალოს არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაკეთილსინდისიერი კონკურენცია პარტიებს შორის. ამგვარ ელემენტებს განეკუთვნება, მაგალითად პარტიების არჩევნებში მონაწილეობის წინაპირობები.[3416]

1615 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დაისვა საკითხი, რამდენად შეესაბამებოდა კონსტიტუციას პარლამენტის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გარკვეული კატეგორიის საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის დელეგირება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არ მოიაზრებდა მხოლოდ ორგანულ კანონს და ასევე მოიცავდა, პარლამენტის მიერ კანონის საფუძველზე დელეგირების შედეგად, სხვა ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებსაც. ცესკოსათვის საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრის უფლებამოსილების გადაცემა, ფორმალური

[3411] N2/3/250-269 გადაწყვეტილება, 1.

[3412] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 10.

[3413] N2/3/250-269 გადაწყვეტილება, 6.

[3414] N1/1/493 გადაწყვეტილება, II-17.

[3415] Kovach v. Ukraine; Grosaru v. Romania.

[3416] Ekoglasnost v. Bulgaria (N30386/05; 6.11.2012).

თვალსაზრისით, არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. დელეგირება არაკონსტიტუციური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუცია მას პირდაპირ კრძალავდა ან/და მისი განხორციელებით პარლამენტი უარს აცხადებდა თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე. თავის მხრივ, უარი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე სახეზე იქნებოდა, თუ პარლამენტი უფლებამოსილებას გადასცემდა მიუხედავად კონსტიტუციის კონკრეტული მითითებისა, რომ შესაბამისი საკითხი უშუალოდ მას უნდა მოეწესრიგებინა ან/და თუ საკანონმდებლო ორგანო განახორციელებდა მისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში ამგვარი გარემოებების არსებობა არ დაადგინა, რადგანაც ეს იყო არა უფლებამოსილებაზე უარის თქმა, არამედ საკითხის ეფექტიანი რეგულირების მიზნით განხორციელებული ქმედება. გარდა ამისა, საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას ცესკოს უნდა დაეცვა საარჩევნო კოდექსით დადგენილი კრიტერიუმები და მის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი საკონსტიტუციო კონტროლს დაქვემდებარებოდა.[3417]

3.2. თანაზომიერების შემოწმება

1616 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საარჩევნო უფლებაში ჩარევის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მატერიალური მასშტაბია თანაზომიერების პრინციპი.[3418] თანაზომიერების მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს ასევე ჩარევა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით დაცულ თავისუფალი არჩევნების უფლებაში. ამასთან, დემოკრატიული საარჩევნო სისტემების შესაძლო მრავალფეროვნების გათვალისწინებით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, როგორც წესი, შეფასების ფართო ზღვარი აქვთ უფლების შეზღუდვისას, მაგრამ ეს არ გულისხმობს მათთვის თვითნებობის შესაძლებლობის მინიჭებას.[3419] სახელმწიფოს დისკრეციის სფეროს ფარგლების განსაზღვრისას, მაგალითად, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად არსებობს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით საერთოევროპული კონსენსუსი ევროპის საბჭოს წევრთა შორის,[3420] ასევე აქტიურ საარჩევნო უფლებაში ხდება ჩარევა თუ პასიურში. ევროპული სასამართლო აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვას უფრო მკაცრ შემოწმებას უქვემდებარებს.[3421]

1617 კონსტიტუციის 24-ე მუხლი არ შეიცავს საარჩევნო უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს. ანალოგიურ შემთხვევებში მოქმედებს ე.წ. შიდაკონსტიტუციური ზღვარი და უფლებაში ჩარევა დასაშვებია სხვათა უფლებების ან კონსტიტუციური სიკეთეების დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოც აღიარებს თავისუფალი არჩევნების უფლების შიდა ზღვარს.[3422] პრაქტიკაში საკონსტიტუციო სასამართლომ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ

[3417] დაწვრილებით იხ.: N3/3/763 გადაწყვეტილება, II-75-86.

[3418] შეადარე: N1/1/257, 268 გადაწყვეტილება, III; N1/1/539 გადაწყვეტილება, II-27; N3/2/588 გადაწყვეტილება, II-41; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-27; N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-6, 16.

[3419] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 10 f.

[3420] Yumak and Sadak v. Turkey; Sitaropoulos and Giakoumopoulos v. Greece (N42202/07; 15.3.2012).

[3421] Ždanoka v. Latvia (N58278/00; 16.3.2006); Sitaropoulos and Giakoumopoulos v. Greece.

[3422] მაგ.: Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium (N9267/81; 2.3.1987).

წარდგენილი კანდიდატისათვის დადგენილი საარჩევნო დეპოზიტის შეტანის ვალდებულების ლეგიტიმურ მიზნად ჩათვალა საარჩევნო უფლებით ეფექტიანი სარგებლობა და არჩევნების შედეგებზე ხალხის ნამდვილი ნების ასახვის უზრუნველყოფა,[3423] კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის, უსასყიდლოდ, წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების შესაძლებლობის მინიჭებისა - პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობა,[3424] ხოლო პარტიული სიის ფორმირებისას სავალდებულო გენდერული კვოტირებისა - პარლამენტში სქესთა შორის არსებული ბალანსის გაუმჯობესება და ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა.[3425]

1618 ლეგიტიმური მიზნის შეფასებას საკონსტიტუციო სასამართლო კრიტიკულად უდგება და ხშირად არ იზიარებს ხოლმე მოპასუხეთა დასახელებულ ვერსიებს. მან საარჩევნო ოლქებს შორის ამომრჩეველთა რაოდენობებში მკვეთრი დისპროპორციისა და ხმათა თანაბრობის მოთხოვნიდან გადახვევის ლეგიტიმურ მიზნად არ ჩათვალა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რადგან მუნიციპალიტეტების კონსტიტუციურსამართლებრივი სტატუსი არ მოითხოვდა მათ სავალდებულო წარმომადგენლობას პარლამენტში.[3426]

1619 ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისათვის მერის/გამგებლის კანდიდატების წარდგენის უფლების არმიცემის ლეგიტიმურ მიზნად არ იქნა მიჩნეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტური ფუნქციონირება, რასაც მოპასუხის აზრით, საფრთხეს შეუქმნიდა პოლიტიკური პარტიებით დაკომპლექტებულ საკრებულოებსა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილ მერებს/გამგებლებს შორის შესაძლო მსოფლმხედველობრივი განსხვავება. საკონსტიტუციო სასამართლომ პლურალისტური, დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებისა და კონსტიტუციის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ გამოაცხადა, განსხვავებული პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულებების გამო, საჯარო მმართველობაში მონაწილეობის შეზღუდვა.[3427] იმავე შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად არ მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე პოლიტიკური პარტიების გაძლიერება[3428] და სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.[3429] ეს მიზნები, როგორც ასეთი, არც უმნიშვნელო იყო და არც არალეგიტიმური. საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო ლოგიკური კავშირი ვერ დაინახა საშუალებასა და მიზანს შორის, რაც გამოსადეგობის კონტექსტში შესამოწმებელი მოცემულობაა, თუმცა შედეგი საბოლოოდ მაინც იგივე დადგებოდა - სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა.

1620 საკონსტიტუციო სასამართლომ საკრებულოს წევრობის, ასევე მერობის/გამგებლობის კანდიდატებისათვის ბინადრობის ცენზის დაწესების ლეგიტიმურ მიზნად არ ჩათვალა საუკეთესო ან/და თანამდებობასთან ობიექტურად ყველაზე მეტად შესაფერისი

[3423] დაწვრილებით იხ.: N1/1/539 გადაწყვეტილება, II-22-26.

[3424] დაწვრილებით იხ.: N2/3/591 გადაწყვეტილება, II-18-22.

[3425] დაწვრილებით იხ.: N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-17-38. განსხვავებული პოზიცია დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინე იმერლიშვილის და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტთან მიმართებით, 6-16.

[3426] N1/3/547 გადაწყვეტილება, II-31.

[3427] დაწვრილებით იხ.: N3/2/588 გადაწყვეტილება, II-43-47.

[3428] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-48-51.

[3429] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-52-66.

კანდიდატის შერჩევის უზრუნველყოფა. მისი აზრით, ასარჩევ თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობას წყვეტდა ამომრჩევლის ნება და არა კანონმდებლის მიერ დადგენილი კრიტერიუმები. პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევით მომდინარე საფრთხეების პრევენცია, ხოლო მოპასუხეს არ მიუთითებია რაიმე საფრთხეზე, რომლის თავიდან აცილებასაც სადავო ნორმები ემსახურებოდა.[3430] ამგვარი მიდგომით საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად გამორიცხა კანონმდებლის მიერ ბინადრობის ცენზის შემოღება, რადგანაც თავისი არსით, ეს ცენზი, რომელსაც პირდაპირ კონსტიტუციაც ითვალისწინებს, გარკვეულ შემთხვევებში, დემოკრატიისათვის საფრთხეების პრევენციას კი არ ემსახურება, არამედ იმ პირის არჩევას, რომელიც მინიმალურ დონეზე მაინც იცნობს იმ სოციუმის სპეციფიკასა და პრობლემებს, რომლის წარმომადგენლობაც მას სურს, რადგანაც გარკვეული ვადის განმავლობაში ცხოვრობს ამ საზოგადოებაში და მისი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებაზე მიუთითებდა კიდეც მოპასუხე.[3431] დემოკრატიის პრინციპი ქმედითი მმართველობის ჩამოყალიბებასაც მოითხოვს და საარჩევნო უფლების შეზღუდვა (მაგალითად, საარჩევნო ბარიერი) შეიძლება ამ მიზანს ემსახურებოდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკაც, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების მოწესრიგებაში მდგომარეობს და მოითხოვს ადგილობრივი პრობლემატიკის მინიმალურ ცოდნას მაინც. საზღვარგარეთულ გამოცდილებაში არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ბინადრობის ცენზი თვითმმართველობის არჩევნებში არა ზოგადად ქვეყანაში, არამედ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში გარკვეული ვადით მუდმივ ცხოვრებასაც კი მოითხოვს.[3432] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნდა გამოერიცხა ბინადრობის ცენზის ლეგიტიმური მიზნის არსებობა და თუ მოპასუხემ სათანადოდ ვერ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, თავად უნდა გაერკვია ეს საკითხი, რაც არაერთხელ გაუკეთებია პრაქტიკაში.[3433]

1621 საარჩევნო უფლებაში ჩარევის გამოსადეგობის შემოწმებისას, სხვა უფლებების შეზღუდვის მსგავსად, ირკვევა რამდენადაა ლოგიკური კავშირი ჩარევასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის და იძლევა თუ არა ჩარევა მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[3434] ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატისათვის საარჩევნო დეპოზიტის შეტანის ვალდებულება საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა გამოსადეგ საშუალებად, რადგანაც ის იძლეოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, რაზეც არც მოსარჩელე მხარე დავობდა.[3435] პარტიული სიების შედგენისას სავალდებულო გენდერული კვოტირების გამოსადეგობის საკითხი სასამართლომ ორ ნაწილად გაჰყო და ცალ-ცალკე იმსჯელა მამაკაცთა და ქალთა კვოტირებაზე. პარტიული სიის ყოველ ოთხეულში, მინიმუმ, ერთი მამაკაცი კანდიდატის

[3430] დაწვრილებით იხ.: N3/3/600 გადაწყვეტილება, II-32-40.

[3431] იქვე, II-32.

[3432] მაგალითად იხ.: „ბრანდენბურგის ლანდში მუნიციპალური არჩევნების შესახებ“ კანონის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცი.

[3433] იხილე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55.

[3434] N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-39.

[3435] N1/1/539 გადაწყვეტილება, II-30.

გათვალისწინების ვალდებულება მან გამოსადეგ საშუალებად არ ჩათვალა. სახელმწიფოს მიერ ამ მიმართებით გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების რეალური საჭიროება არ არსებობდა, ხოლო სრულად ან უმეტესად ქალებით დაკომპლექტებული საარჩევნო სიის ფორმირების შეზღუდვა პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას არ ემსახურებოდა და ხელსაც კი უშლიდა.[3436] საკონსტიტუციო სასამართლომ გამოსადეგ საშუალებად მიიჩნია პარტიული სიის ყოველ ოთხეულში, მინიმუმ, ერთი ქალი კანდიდატის გათვალისწინების ვალდებულება, რადგანაც ის უზრუნველყოფდა გარკვეული რაოდენობის ქალების მოხვედრას პარლამენტში. იგივე შედეგი ვერ დადგებოდა და ამ კუთხით პოზიტიური დინამიკა სტაბილურად ვერ შენარჩუნდებოდა სავალდებულო კვოტირების გარეშე.[3437]

1622 საარჩევნო უფლებაში ჩარევა მაშინ აკმაყოფილებს აუცილებლობის კრიტერიუმს, თუ ის წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას.[3438] საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარ საშუალებად არ ჩათვალა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატისათვის საარჩევნო დეპოზიტის შეტანის ვალდებულების დაკისრება, რადგანაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საკმარის გარანტიას ქმნიდა უფრო მსუბუქი ალტერნატიული საშუალება - ამომრჩეველთა ხელმოწერების წარდგენა.[3439] ნაკლებად მზღუდავი ალტერნატიული საშუალების არსებობის გამო, არაკონსტიტუციურად ჩაითვალა ასევე ნორმა, რომელიც უსასყიდლო წინასაარჩევნო სარეკლამო დროით სარგებლობის უფლების მქონე სუბიექტებიდან სრულად გამორიცხავდა საარჩევნო ბლოკის, რომელმაც წინა არჩევნებზე შესაბამისი მხარდაჭერა მოიპოვა, წევრ პარტიებს, გარდა ბლოკის პირველი ნომრისა. სახელმწიფოს შეეძლო შეემუშავებინა ბლოკში შემავალ პარტიებს შორის სარეკლამო დროის განაწილების წესი ან მათთვის მიეცა ამ საკითხზე ურთიერთშეთანხმების შესაძლებლობა.[3440] აუცილებლობის მოთხოვნა არ ირღვევა, თუ საარჩევნო უფლების ნაკლებად მზღუდველი საშუალება არსებობს, მაგრამ მას არ აქვს იგივე ეფექტი მიზნის მიღწევისათვის. პარტიული სიის ყოველ ოთხეულში, მინიმუმ, ერთი ქალი კანდიდატის გათვალისწინების ვალდებულების ალტერნატივა იყო გენდერულად დაბალანსებული პარტიული სიების მქონე საარჩევნო სუბიექტების წახალისება, ხოლო ამ ბალანსის არმქონეთათვის - ფინანსური სანქციების დაწესება. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მათ არ ექნებოდათ სავალდებულო კვოტირების მსგავსი ეფექტი,

[3436] დაწვრილებით იხ.: N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-40-47. განსხვავებული პოზიცია დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3437] დაწვრილებით იხ.: N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-48-54. განსხვავებული პოზიცია დაწვრილებით იხ.: იმერლიშვილის და ტუღუშის განსხვავებული აზრი №3/3/1526 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტთან მიმართებით, 17-21.

[3438] N1/1/539 გადაწყვეტილება, II-33; N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-55.

[3439] N1/1/539 გადაწყვეტილება, II-35.

[3440] დაწვრილებით იხ.: N2/3/591 გადაწყვეტილება, II-30-31.

რადგანაც არ გამორიცხავდნენ სქესობრივად დაუბალანსებელი პარტიული სიით არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას.[3441]

1623 საარჩევნო უფლებაში ჩარევის (ვიწრო გაგებით) პროპორციულობაც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული ზოგადი სტანდარტის მიხედვით მოწმდება - დადგენილი უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის. კერძოდ, ჩარევის საშუალებით დაცული ინტერესი თავისი მნიშვნელობით უნდა აღემატებოდეს შეზღუდულ ინტერესს.[3442] მაგალითად, პარტიული სიების შედგენისას ქალთა სავალდებულო კვოტირება, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, აკმაყოფილებდა პროპორციულობის მოთხოვნებს. მან შეაფასა, რა ხარისხით აზიანებდა სადავო ნორმა საჯარო და კერძო ინტერესებს. ქალთა რაოდენობის გაზრდა პარლამენტში და მოსახლეობის ამ ნაწილის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება არათუ დააზიანებდა, არამედ შესაძლოა გაეზარდა კიდეც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ხარისხი. კერძო ინტერესების დაზიანების ჭრილში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სავალდებულო კვოტირების გავლენის მასშტაბურობა პოლიტიკური პარტიის და მათი წევრების შესაძლებლობაზე, სურვილისამებრ შეედგინათ საარჩევნო სია. კვოტირება ვრცელდებოდა პარტიული სიის ერთ მეოთხედზე, ხოლო დანარჩენი ნაწილის შედგენისას პოლიტიკური გაერთიანებები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. სადავო რეგულირება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მინიმალურად მზღუდავი იყო, რადგანაც მხოლოდ ერთი ნიშნის - სქესის მიხედვით აწესებდა მოთხოვნას, რაც ერთ-ერთ ყველაზე მარტივად შესასრულებელ პირობას წარმოადგენდა. იმ მამაკაც კანდიდატთა, რომლებსაც შესაძლოა კვოტირების ვერ დაეკავებინათ პარტიულ სიაში ხელსაყრელი პოზიცია, პარლამენტში მოხვედრის ინტერესი ვერ გადაწონიდა სადავო ნორმით დაცულ ლეგიტიმურ ინტერესს, რადგანაც ეფუძნებოდა ხელოვნურ და უნარებთან დაუკავშირებელ ფაქტობრივ უპირატესობას. გარდა ამისა, ქალთა გენდერული კვოტირება ატარებდა დროებით ხასიათს, რაც ამცირებდა შეზღუდვის ინტენსივობის ხარისხს. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ჩარევით შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი იყო დადგენილი.[3443]

3.3. საარჩევნო პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმება

1624 როგორც საარჩევნო უფლების საგნობრივი დაცული სფეროს განხილვისას აღინიშნა, ის ორგანულ კავშირშია საარჩევნო პრინციპებთან. ამიტომ მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება ამ უფლებაში ჩარევის შემოწმების სპეციფიკაზე, საარჩევნო პრინციპებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

იძულებით გადაადგილებული პირებისათვის აქტიური საარჩევნო უფლების არგათვალისწინება მათ დროებით საცხოვრებელ ადგილზე გამართულ ადგილობრივი

[3441] დაწვრილებით იხ.: N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-56-58. განსხვავებული პოზიცია დაწვრილებით იხ.: იმერლიშვილის და ტუღუშის განსხვავებული აზრი №3/3/1526 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტთან მიმართებით, 22-27.

[3442] N3/3/1526 გადაწყვეტილება, II-59.

[3443] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-60-71. განსხვავებული პოზიცია დაწვრილებით იხ.: იმერლიშვილის და ტუღუშის განსხვავებული აზრი №3/3/1526 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტთან მიმართებით, 28-35.

წარმომადგენლობითი ორგანოებისა და პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში, რაც ზღუდავდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, საკონსტიტუციო სასამართლომ არ ჩათვალა არაკონსტიტუციურად. მისი აზრით, შექმნილი არაორდინალური ვითარება - ამ პირთა მოწყვეტა საცხოვრებელი ადგილიდან კანონმდებელს აძლევდა განსხვავებული წესის დადგენის უფლებამოსილებას. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰყავდათ საქართველოს იურისდიქციის დარღვევამდე არჩეული წარმომად-გენლები პარლამენტში, ამიტომ მათ მიერ, დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კიდევ ერთი მაჟორიტარის არჩევა დაარღვევდა ამომრჩეველთა ხმათა თანაბრობისა და თანასწორობის პრინციპს. ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები იქმნებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით, რაც გულისხმობდა ამ არჩევნებში მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა მონაწილეობას, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ადგილად კი აფხაზეთის ტერიტორია მიიჩნეოდა. მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა სხვა ამომრჩეველსაც, რომელიც არ იყო შესაბამისი საარჩევნო ოლქის მცხოვრები. დევნილებს შეეძლოთ რეგისტრაციის გავლა ჩვეულებრივი წესით და ამ შემთხვევაში მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც მიიღებდნენ. ის გარემოება, რომ ამას დევნილის სტატუსის შეჩერება მოჰყვებოდა, სასამართლომ არ ჩათვალა რელევანტურად საარჩევნო უფლებასთან მიმართებით.[3444] აღნიშნული გადაწყვეტილება გარკვეულ კითხვებს აჩენს. იძულებით გადაადგილებული პირების არაორდინალური ვითარება a priori ვერ გაამართლებს საყოველთაო საარჩევნო უფლების მაღალი ინტენსივობის შეზღუდვას, მით უმეტეს, როდესაც ამგვარი ვითარება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება. დემოკრატიის პრინციპი გულისხმობს ამომრჩევლისათვის მისი წარმომადგენლების პერიოდულად არჩევის საშუალების მიცემას, რომელთა დემოკრატიული ლეგიტიმაცია შეზღუდულია გარკვეული ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას აფხაზეთის ტერიტორიაზე მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ვადა დიდი ხნის გასული იყო და ისინი ვეღარ ჩაითვლებოდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა წარმომადგენლებად. მართებული არ იყო ასევე ამ საკითხის განხილვა მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილების კონტექსტში, სხვა დევნილების გაუთვალისწინებლად. იძულებით გადაადგილებული პირები, მართალია, ფორმალურად დროებით, მაგრამ რეალურად, მუდმივად, წლების განმავლობაში, ცხოვრობდნენ შესაბამისი საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე. სასამართლოს ეს გარემოებაც უნდა გაეთვალისწინებინა და არ გაეთანაბრებინა ისინი პირებთან, რომლებსაც მართლაც, დროებითი მიზეზებით, უწევდათ ხმის მიცემა სხვა საარჩევნო ოლქში. ჩვეულებრივი წესით რეგისტრაციისას დევნილის სტატუსის შეჩერება, მართალია, საარჩევნო უფლებასთან პირდაპირ მიმართებაში არ იყო, მაგრამ ამ გარემოების გათვალისწინება შესაძლებელი იყო მისი შეზღუდვის სიმძიმის შეფასებისას, რადგანაც შეზღუდვის თავიდან არიდება დევნილისათვის უკავშირდებოდა სტატუსისა და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ბენეფიტების დაკარგვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ყურადღების მიღმა დარჩა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვის საკითხი.

[3444] დაწვრილებით იხ.: N2/97/3 გადაწყვეტილება, 1-5.

1625 საკონსტიტუციო სასამართლომ, პარლამენტის წევრობისა და პრეზიდენტობის კანდიდატების ბინადრობის ცენზზე მსჯელობისას, ზოგადად საარჩევნო ცენზის ინსტიტუტი და შესაბამისად, საყოველთაო საარჩევნო უფლების ამ გზით შეზღუდვა, არ მიიჩნია არადემოკრატიულობის მაჩვენებლად და აღნიშნა, რომ ამის გარეშე შეუძლებელი იყო ნორმალური და არაქაოტური საარჩევნო პროცესის ჩატარება. სასამართლომ ხაზი გაუსვა აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებაზე სახელმწიფოს მიერ შეზღუდვების დადგენის ფართო ზღვარს, თუმცა ამავდროულად იმასაც, რომ ჩარევა არ უნდა ყოფილიყო თვითნებური.[3445]

1626 არაკონსტიტუციურად ჩაითვალა საყოველთაო საარჩევნო უფლების შეზღუდვა ნორმით, რომელიც ართულებდა და კრძალავდა ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების განხორციელებას არჩევნების დღემდე განსაზღვრული პერიოდების განმავლობაში. მართალია, ის არჩევნების გაყალბების პრევენციას ემსახურებოდა, მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო საარჩევნო უფლების დარღვევის ხარჯზე. ამასთან, ამომრჩეველთა სიების სრულყოფილი ფორმირება სახელმწიფო უწყებათა მოვალეობას წარმოადგენდა და მათ მიერ დაშვებული შეცდომა არ უნდა გამხდარიყო უფლების შეზღუდვის საფუძველი.[3446]

1627 არჩევნების საყოველთაობის პრინციპთან დაკავშირებით მდიდარი პრაქტიკა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ჩარევის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, გამკაცრებულ კონტროლს ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ პირს ან პირთა ჯგუფს სრულად ერთმევა არჩევნებში მონაწილეობისა და განსაკუთრებით - აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. დაუშვებელია ისეთი ბლანკეტური შინაარსის შეზღუდვები,[3447] როგორიცაა უფლების ავტომატური ჩამორთმევა ყველა პატიმრისათვის[3448] ან ყველასთვის, ვინც განზრახი დანაშაული ჩაიდინა.[3449] პირის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს მიმართული არჩევნების და დემოკრატიული ინსტიტუტების წინააღმდეგ[3450] ან განეკუთვნებოდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.[3451] კონვენციას ასევე არღვევს მხარდაჭერის მიმღები პირების სრული გამორიცხვა საარჩევნო პროცესიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის მიხედვით, მათი დიფერენცირების გარეშე. ამ სფეროში სახელმწიფოს დისკრეციის სფერო განსაკუთრებით მკაცრადაა შეზღუდული.[3452] მხარდაჭერის მიმღები პირისათვის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობის გამორიცხვა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც მისი გონებრივი შესაძლებლობები იმდენად მკვეთრადაა შეზღუდული, რომ არ ესმის არჩევნებში ხმის მიცემის მნიშვნელობა.[3453] ევროპული სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირის მძიმე საფინანსო-ეკონომიური მდგომარეობის გამო საარჩევნო უფლების

[3445] დაწვრილებით იხ.: N2/3/250-269 გადაწყვეტილება, 1-2.

[3446] დაწვრილებით იხ.: N1/1/257, 268 გადაწყვეტილება, III.

[3447] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 23.

[3448] Hirst v. The United Kingdom (N2); Greens and M.T. v. the United Kingdom (N60041/08, 60054/08; 23.11.2010); Anchugov and Gladkov v. Russia (N11157/04, 15162/05; 4.7.2013).

[3449] Söyler v. Turkey (N29411/07; 17.9.2013).

[3450] Frodl v. Austria (N20201/04; 8.4.2010).

[3451] Scoppola v. Italy (N3) (N126/05; 22.5.2012).

[3452] Alajos Kiss v. Hungary (N38832/06; 20.5.2010).

[3453] Caamaño Valle v. Spain (N43564/17; 11.5.2021).

ჩამორთმევას, მაგალითად, მან ჩათვალა, რომ გაკოტრებისას საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ლეგიტიმურ მიზანსაც კი არ ემსახურებოდა.[3454]

1628 შედარებით ნაკლებად მკაცრია ევროპული სასამართლოს მიდგომა, როდესაც საქმე შეეხება საარჩევნო უფლების რეალიზაციის წინაპირობებსა და სხვადასხვა ცენზებს. მოქალაქეობის ცენზი ზოგადად დასაშვებია, მაგრამ თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უშვებს ორმხრივ ან მრავალმხრივ მოქალაქეობას, მაშინ ამ კატეგორიის პირთა გამორიცხვა საარჩევნო უფლებიდან, როგორც წესი, არღვევს საარჩევნო უფლებას.[3455] ასაკობრივი ცენზი აქტიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში დასაშვებია, როდესაც ის ემთხვევა სრულწლოვანების მიღწევის ასაკს.[3456] ამასთან, პასიური საარჩევნო უფლებისათვის ასაკობრივი ცენზი, შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ პრობლემა ვერ დაინახა პარლამენტის ზედა პალატის წევრებისათვის გაზრდილი ასაკობრივი ცენზის შემთხვევაშიც.[3457] ევროპულმა სასამართლომ ასევე დასაშვებად მიიჩნია საარჩევნო უფლების შეზღუდვა ბინადრობის ცენზის საფუძველზე,[3458] თუმცა ამ ცენზს არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი.[3459]

1629 აქტიურ საარჩევნო უფლებასთან შედარებით, პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის წინაპირობები ნაკლებად მკაცრ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა განსაკუთრებით მაშინაა გამართლებული, როდესაც ის ემსახურება პარლამენტის წევრების დამოუკიდებლობის დაცვისა და ამომრჩეველთა მიერ თავისუფალი არჩევანის გაკეთების მიზნებს.[3460] ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის უფრო მკაცრი პირობების დაწესებას, მაგალითად კანდიდატებისათვის საარჩევნო დეპოზიტის შეტანის ვალდებულების დაკისრებას.[3461]

1630 თანასწორი არჩევნების პრინციპის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე საქმეზე მოუწია მსჯელობა. მაგალითად, სასამართლომ თანასწორობის კუთხით შეაფასა საარჩევნო კოდექსის ნორმა, რომელიც სამსახურებრივი ავტომანქანებით მოსარგებლე საჯარო მოსამსახურეებს აძლევდა, წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის, მათი გამოყენების უფლებას მხოლოდ საწვავის ანაზღაურების პირობით. სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში და არ განეკუთვნებოდნენ აღნიშნულ კატეგორიას, ბუნებრივია, მსგავსი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა დიფერენციაციის ინტენსივობის მაღალი ხარისხი, რადგანაც ავტომანქანას არ გამოარჩევდა ექსკლუზიური თავისებურებები, რაც შესადარებელ სუბიექტებს შანსების თანაბრობისაგან არსებითად დააცილებდა. დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხს ამცირებდა საწვავის ანაზღაურების პირობაც. აქედან გამომდინარე, განსხვავებული

[3454] Albanese v. Italy (N77924/01; 23.3.2006).

[3455] Tănase v. Moldova (N7/08; 27.4.2010).

[3456] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 18.

[3457] W., X., Y. and Z. v. Belgium (N6745/74, 6746/74; 30.5.1975).

[3458] Melnychenko v. Ukraine.

[3459] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 19.

[3460] Gitonas and Others v. Greece (N18747/91, 19376/92, 19379/92; 1.7.1997).

[3461] Melnychenko v. Ukraine.

მოპყრობა შეფასდა რაციონალური დიფერენციაციის ტესტით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საჯარო მოსამსახურეთა ნაწილი სახელმწიფო დაცვის განსაკუთრებული რეჟიმით სარგებლობდა. სადავო ნორმით გათვალისწინებული წესი ამ შემთხვევაში განპირობებული იყო ობიექტური გარემოებებით. სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამუშაო საათებით და სამსახურებრივ ავტომობილებზე დროული წვდომის არარსებობას, შეიძლება, კონკრეტული ფუნქციების შესრულება დაეზიანებინა. სადავო ნორმა არ იყო თვითნებური ბუნების და ემსახურებოდა პრაქტიკული პრობლემების თავიდან აცილებას. დიფერენცირებას აბალანსებდა საწვავის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, ხოლო სამსახურებრივი ავტომანქანით სარგებლობასთან დაკავშირებული დანარჩენი ბენეფიტები არ ქმნიდა ხელშესახებ განსხვავებას საარჩევნო სუბიექტებს შორის და არ იყო დისკრიმინაციული ხასიათის.[3462]

1631

საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო საქმე, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის კონტექსტში განიხილა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით დისპროპორციისა და მასთან დაკავშირებული ამომრჩეველთა ხმების თანაბარწონადობის საკითხი. სასამართლომ არ მოითხოვა საარჩევნო ოლქებს შორის აბსოლუტური თანასწორობისა და ამომრჩეველთა ხმების იდენტური „წონის“ უზრუნველყოფა, თუმცა უთანასწორობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დასაშვები, თუ არსებობდა მისი დასაბუთების მნიშვნელოვანი ლეგიტიმური საფუძველი. ამასთან, ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობას შორის დასაშვები გადახრა არ იყო ულიმიტო. საკონსტიტუციო სასამართლომ მოიშველია ვენეციის კომისიის „საარჩევნო ნორმათა კოდექსის“ მაგალითი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა მაქსიმუმ 10%-იან, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში - არა უმეტეს 15%-იან გადახრას. საქართველოში საარჩევნო ოლქები მექანიკურად უკავშირდებოდა მუნიციპალიტეტების საზღვრებს. მუნიციპალიტეტებში მოსახლეობისა და შესაბამისად, საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც იწვევდა მაღალი ხარისხის გადახრას.[3463] აღნიშნული ამცირებდა დიდი ოლქების ამომრჩეველთა ხმების „წონას“ და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას და პირიქით - ზრდიდა მცირე ოლქების ამომრჩეველთა ხმების „წონასა“ და გავლენას, რაც ვერ უზრუნველყოფდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე ამომრჩევლების ნების ადეკვატურ ასახვას და ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპს. ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილის გავლენის ამ ხარისხით შემცირება განაპირობებდა საარჩევნო უფლების გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ შეზღუდვას.[3464] სხვადასხვა ოლქებში მცხოვრები ამომრჩევლები წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს საარჩევნო პროცესთან მიმართებით, სადავო ნორმა ახორციელებდა მათ მიმართ უთანასწორო მოპყრობას - მცირერიცხოვან ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველს არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის ათჯერ და მეტჯერ მეტი შესაძლებლობაც კი ჰქონდათ. იმ პირობებში, როდესაც სადავო ნორმა ხელყოფდა საარჩევნო უფლებას ამომრჩეველთა

[3462] დაწვრილებით იხ.: N1/1/493 გადაწყვეტილება, II-23-24.

[3463] დაწვრილებით იხ.: N1/3/547 გადაწყვეტილება, II-23-26.

[3464] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-29-30.

ნაწილის ხმების „წონის“ გაზრდით და ამით ახდენდა მათ დიფერენცირებას სხვა ამომრჩევლისაგან, დარღვეული იყო თანასწორობის მოთხოვნებიც.[3465]

1632 საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების ე.წ. „ჯერიმანდერინგის“ საკითხზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსარჩელის მიერ დამაჯერებელი და სამართლებრივად შეფასებადი მტკიცებულებების წარმოდგენის აუცილებლობას. „ჯერიმანდერინგის“ დადგენა/შეფასების კრიტერიუმებიდან მან გამოჰყო „საარჩევნო გეოგრაფიის შეცვლის დისკრიმინაციული მიზანი და ამგვარი შედეგის გამოწვევის პოტენციალი“. თავის მხრივ, აღნიშნული მიზნის გარკვევისას შესაძლებელი იყო ისეთი გარემოებების გათვალისწინება „...როგორიცაა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების გადასინჯვის საჭიროება, თავსებადობა საარჩევნო გეოგრაფიის განსაზღვრის ძირითად პრინციპებთან (ხმათა თანაბარწონადობის, მოსაზღვრეობის, ადმინისტრაციული საზღვრების ხელშეუხებლობის, გეოგრაფიული იდენტობის, ინფრასტრუქტურული კავშირის არსებობის თუ სხვა პრინციპები), არჩევნების შედეგების მყარად ჩამოყალიბებული სტატისტიკა და სხვა“.[3466] განსახილველ საქმეზე მოსაზღვრეობის პრინციპი მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო დარღვეული, თუმცა ეს არ ნიშნავდა საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენებას, რადგანაც ჰქონდა საგამონაკლისო ხასიათი და ემსახურებოდა ადმინისტრაციული საზღვრების შენარჩუნების ლეგიტიმურ მიზანს. „ჯერიმანდერინგის“ არსებობა არ მტკიცდებოდა არჩევნების შედეგების ანალიზითაც, რადგანაც ეს არ იძლეოდა მკაფიო სურათს კონკრეტული გეოგრაფიული ერთეულების პოლიტიკური განწყობების შესახებ. ამასთან, სასამართლომ არ გამორიცხა საარჩევნო ოლქების საზღვრების უკეთ ჩამოყალიბების შესაძლებლობა, მაგრამ ეს არ ადასტურებდა საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების ფაქტს. მოსარჩელის არგუმენტაცია, სასამართლოს აზრით, სუბიექტურ ეჭვებსა და პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ეყრდნობოდა. მან ვერ შეძლო დამაჯერებელი მტკიცებულებების წარმოდგენა და არ გამოიკვეთა სადავო წესის დისკრიმინაციული მიზანი.[3467]

1633 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თანასწორ საარჩევნო უფლებაში ჩარევისას, კანონმდებელს დიფერენციაციისათვის დისკრეციის მხოლოდ ვიწრო სფერო აქვს დატოვებული და შეზღუდვის გამართლება ყოველთვის დაუძლეველი საფუძვლის არსებობას საჭიროებს.[3468] დიფერენცირების საფუძველი უნდა იყოს ლეგიტიმირებული კონსტიტუციით და წონადი, ხოლო დიფერენცირება კი - მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგი და აუცილებელი.[3469] განსაკუთრებით საინტერესოა ფედერალური სასამართლოს მიდგომა პარლამენტის პროპორციულ არჩევნებში 5%-იან საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით. ის ერთმანეთისაგან განასხვავებს ხმების „რაოდენობრივ“ და „წარმატების (შედეგობრივ)“ ღირებულებას, წონას.[3470] პროპორციულ არჩევნებში მიცემული ხმების „რაოდენობრივი

[3465] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-38-40.

[3466] N3/3/763 გადაწყვეტილება, II-18.

[3467] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-35-38.

[3468] BVerfGE 1, 208 (247 ff.); 69, 92 (106); 82, 322 (338); 93, 373 (377); 95, 408 (418); 120, 82 (107); 121, 266 (297); 124, 1 (19).

[3469] BVerfGE 95, 408 (418 f.).

[3470] BVerfGE 51, 222 (236); 85, 148 (157 f.); 95, 408 (417).

ღირებულება“ თანაბარია, თუმცა იმ პარტიების ხმები, რომლებმაც ვერ გადალახეს 5%-იანი ბარიერი, კარგავს „წარმატების ღირებულებას“ და გავლენას ვერ ახდენს არჩევნების შედეგებზე. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამას ამართლებს პარლამენტის ქმედუნარიანობისა და სტაბილური სამთავრობო უმრავლესობების შექმნის ინტერესით და არც ბარიერის სიდიდეს თვლის გადამეტებულად.[3471] აღნიშნულ პოზიციას იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურის დიდი ნაწილიც. ითვლება, რომ საარჩევნო სისტემებს არ შეუძლია ხმათა თანასწორი „წარმატების ღირებულების“ გარანტირება. მაჟორიტარულ არჩევნებში დამარცხებული კანდიდატებისათვის მიცემული ხმები მხედველობაში არ მიიღება და შესაბამისად, არც „წარმატების ღირებულება“ აქვს. ხმათა თანაბარ „წარმატების ღირებულებას“ არც პროპორციული არჩევნები უზრუნველყოფს, რადგანაც იკარგება ბარიერგადაულახავი პარტიებისათვის მიცემული ხმები. ამდენად, თანასწორი არჩევნების პრინციპი მოითხოვს არა ხმათა იდენტურ „წარმატების ღირებულებას“, არამედ თანაბარ „რაოდენობრივ ღირებულებას“ და წარმატების თანაბარ შანსებს.[3472] მიუხედავად ამისა, შეფასებადია საარჩევნო ბარიერის სიდიდე. მაგალითად, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, პირველი საერთო გერმანული ბუნდესტაგის არჩევნების განსაკუთრებული პოლიტიკური და ისტორიული გარემოებების გათვალისწინებით, დაუშვებლად იქნა მიჩნეული მთელი ქვეყნის მასშტაბით 5%-იანი ბარიერის გამოყენება, რაც არათანაბარ ტვირთად აწვებოდა ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიებს.[3473] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასევე დასაშვებად,[3474] მაგრამ არა სავალდებულოდ[3475] მიიჩნევს საარჩევნო ბარიერიდან გამონაკლისების დაშვებას ეროვნული უმცირესობების პარტიების სასარგებლოდ.

1634 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ მოითხოვს მკაცრი თანასწორობის დაცვას, ხმათა „წარმატების ღირებულების“ ან „წარმატების შანსების“ თვალსაზრისით.[3476] ევროპული სასამართლო საარჩევნო ბარიერის ლეგიტიმურ მიზნად პარლამენტის გადამეტებული ფრაგმენტირების პრევენციას განიხილავს და მისი შემოღებისას სახელმწიფოებს დისკრეციის ფართო სფეროს ანიჭებს.[3477] კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შესაბამის სახელმწიფოში არსებული ისტორიული და პოლიტიკური გარემოებები.[3478] შეფასებას ექვემდებარება ბარიერის სიდიდეც. მაგალითად, ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, მე-3 მუხლთან შეუსაბამოდ ჩაითვალა 10%-იანი საარჩევნო ბარიერი,[3479] ხოლო 5%-იანი ბარიერი კი ევროპულმა სასამართლომ კონვენციის შესაბამისად მიიჩნია.[3480] ზოგადად, ევროპული სასამართლო კონვენციის

[3471] შეადარე: BVerfGE 1, 208 (247 f., 256); 6, 84 (92 f.); 82, 322 (338); 95, 408 (419, 421 f.).

[3472] შეადარე მაგ.: Hesse K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Aufl., 1999, Rn. 147; Ipsen, Staatsrecht I, Rn. 96; Magiera, GG, Art. 38, Rn. 109.

[3473] BVerfGE 82, 322 (339 ff.).

[3474] BVerfGE 5, 77 (83); 6, 84 (97).

[3475] BVerfGE 4, 31 (42 f.).

[3476] Yumak and Sadak v. Turkey.

[3477] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 33.

[3478] Yumak and Sadak v. Turkey.

[3479] იქვე.

[3480] Partija “Musu Zeme” and Partija “Jaunie Demokrati” v. Latvia (N10547/07, 34049/07; 29.11.2007).

საწინააღმდეგოდ არ თვლის რომელიმე საარჩევნო სისტემას, როგორც ასეთს.[3481] ამავდროულად, სისტემის ცვლილება განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ამ გზით რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ცალმხრივი უპირატესობა ენიჭება ან პირიქით - გამიზნულად ზიანდება.[3482]

1635 არჩევნების ფარულობის თემაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ აქვს მიღებული, ამიტომ ყურადღებას საზღვარგარეთულ გამოცდილებას მივაპყრობთ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ფარულობის შეზღუდვას, თანასწორი საარჩევნო უფლების მსგავსად, მხოლოდ დაუძლეველი საფუძვლების შემთხვევაში უშვებს. ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი არჩევნების სათანადოდ ჩატარებისათვის.[3483] მან აღნიშნული სტანდარტები გაავრცელა მაგალითად კანდიდატის წარდგენისას ინიციატორთა ხელმოწერების ნამდვილობისა და მათი საარჩევნო უფლებაუნარიანობის გადამოწმებაზე,[3484] ასევე ფოსტითა და ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით ხმის მიცემაზე.[3485] ზოგადად, არჩევნებში მონაწილეობისათვის მხარდამჭერთა სიების წარდგენის ინსტიტუტი არ არღვევს არჩევნების ფარულობის პრინციპს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს რომელიმე სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობისათვის მხარდაჭერას და მისთვის ხმის მიცემას. გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენა იმითაა გამართლებული, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ისეთმა სუბიექტებმა, რომლებსაც, სავარაუდოდ, შეუძლიათ მოიპოვონ ხმათა მინიმალური ოდენობა მაინც.[3486] ფარულობის პრინციპი არ ირღვევა, როდესაც ამომრჩეველი ნებაყოფლობით ამჟღავნებს თავის არჩევანს.[3487] მაგალითად, პრობლემას არ წარმოადგენს ე.წ. ეგზიტპოლების ფარგლებში იმ პარტიის ან კანდიდატის დასახელება, რომელსაც ამომრჩეველმა ხმა მისცა. თუმცა დასაშვებად არ ითვლება ხმის მიცემის პროცესში არჩევანის ფარულობაზე ნებაყოფლობითი უარი, რადგანაც ამგვარმა მოქმედებამ, შეიძლება, სხვა ამომრჩეველსაც უბიძგოს ხმის ღიად მიცემისაკენ.[3488] დაუშვებელია სახელმწიფოს[3489] ან კერძო პირების მხრიდან ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რაც ამომრჩეველს არჩევანის გამჟღავნებას აიძულებს.[3490]

1636 თავისუფალი არჩევნების პრინციპის დარღვევად გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენას რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ.[3491] მაგალითად, მთავრობის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ამ პრინციპს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ დაუშვებელია, რომ მათ მიიღონ

[3481] Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium; Yumak and Sadak v. Turkey.

[3482] Yumak and Sadak v. Turkey.

[3483] BVerfGE 5, 77 (82).

[3484] BVerfGE 5, 77 (82); 12, 33 (36); 12, 132 (134).

[3485] BVerfGE 21, 200 (204 ff.).

[3486] შეადარე: BVerfGE 3, 383 (396); 4, 375 (386 f.); 24, 300 (341); 82, 353 (364 f.).

[3487] Magiera, GG, Art. 38, Rn. 99.

[3488] მაგ.: Ipsen, Staatsrecht I, Rn. 88.

[3489] მაგ.: BVerwGE 49, 75 (76).

[3490] Magiera, GG, Art. 38, Rn. 99; Trute, GG, Art. 38, Rn. 68.

[3491] მაგ.: BVerfGE 44, 125 (138 ff.).

წინასაარჩევნო რეკლამის სახე.[3492] თავისუფალი არჩევნების პრინციპს ასევე არ არღვევს კერძო პირთა თუ გაერთიანებათა ზემოქმედება არჩევნებში პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესზე,[3493] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება იძულება, ზეწოლა ან სხვა დაუშვებელი ზეგავლენის საშუალებები.[3494] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნების თავისუფლების პრინციპის დარღვევად თვლის კანდიდატების დასახელების მონოპოლიზებას პარტიების ხელში.[3495] გარდა ამისა ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დროულად გაეცნოს ინფორმაციას დასახელებული კანდიდატების შესახებ.[3496]

1637 ევროპული სასამართლო ძირითადად იზიარებს საარჩევნო პროცესში სახელმწიფო ორგანოთა ნეიტრალობის ვალდებულებას. სახელმწიფო მედიასაშუალებების არჩევნებზე ზეგავლენასთან დაკავშირებით ის ტოვებს მოქმედების შედარებით ფართო სფეროს, თუმცა ოპოზიციურ პარტიებს უნდა დაეთმოს მინიმალური საეთერო დრო მაინც და სახეზე არ უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან პირდაპირი მანიპულაცია.[3497]

1638 პირდაპირი არჩევნების პრინციპთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე არ აქვს პრაქტიკა, ამიტომ აქაც უცხოურ გამოცდილებაზე გამახვილდება ყურადღება. როდესაც კონსტიტუცია ადგენს პირდაპირი წესით არჩევას, ეს გამორიცხავს ნებისმიერ საარჩევნო პროცესს, რომელშიც არა უშუალოდ ამომრჩეველი აკეთებს არჩევანს, არამედ შუალედური ინსტანცია იღებს გადაწყვეტილებას.[3498] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირი არჩევნების პრინციპის დარღვევად არ განიხილავს პროპორციულ არჩევნებს, სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიულ სიას და არა კონკრეტულ კანდიდატს, რამდენადაც საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა მაინც ამომრჩეველს რჩება.[3499] აღნიშნულ პრინციპს არ შეესაბამება არჩევნების შემდგომ პარტიულ სიაში ცვლილებების განხორციელება,[3500] თუმცა ესეც დასაშვებია, როდესაც თვით პარტიული სიით არჩეული პირი განაცხადებს უარს მანდატზე, მოგვიანებით გადადგება ან სხვა მსგავს შემთხვევებში.[3501]

1639 არჩევნების პერიოდულობის კონტექსტში, არჩევნებს შორის შუალედების გონივრულობის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესაბამისი არჩევნების მიზანს.[3502] ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროპულმა კომისიამ გონივრულად ჩათვალა 5 წლიანი პერიოდი.[3503] უფრო ხანგრძლივი შუალედის გამართლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია შესაძლებელი, მაგალითად,

[3492] დაწვრილებით იხ.: BVerfGE 44, 125 (147 ff.); 63, 230 (242 ff.).

[3493] შეადარე მაგ.: Achterberg N., Schulte M., (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 128 f.; Ipsen, Staatsrecht I, Rn. 93; Trute, GG, Art. 38, Rn. 47; BVerwGE 18, 14.

[3494] BVerfGE 103, 111 (132 f.).

[3495] BVerfGE 41, 399 (417).

[3496] BVerfGE 79, 161 (166).

[3497] Communist Party of Russia and Others v. Russia (N29400/05; 19.6.2012).

[3498] Magiera, GG, Art. 38, Rn. 83; BVerfGE 3, 45 (49 f.); 7, 63 (68); 7, 77 (84 f.); 47, 253 (279 f.).

[3499] BVerfGE 3, 45 (49 f.); 7, 63 (68 f.); 7, 77 (85); 21, 355 (355 f.); 47, 253 (283 f.); 97, 317 (323 ff.).

[3500] BVerfGE 3, 45 (51); 7, 63 (72); 7, 77 (85); 47, 253 (280 f.).

[3501] BVerfGE 3, 45 (50); 7, 63 (69); 47, 253 (281).

[3502] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 15.

[3503] Timke v. Germany (N27311/95; 11.9.1995).

როდესაც ეს დაბალანსებულია პირდაპირი დემოკრატიის ძლიერი ელემენტებით.[3504] არჩევნების პერიოდულობის პრინციპს ასევე უკავშირებენ იმ მოთხოვნასაც, რომ კანონი საარჩევნო პერიოდის შეცვლასთან დაკავშირებით ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მორიგი არჩევნების ჩატარების შემდეგ.[3505] საარჩევნო პერიოდის შემცირებას ნდობის დაცვის პრინციპიც გამორიცხავს.[3506]

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები მე-5 გამოცემა, თბილისი 2019; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, გეგენავა (რედ.) შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021; Achterberg, Schulte, (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Arndt F. (Bearb.), Kommentar zum Art. 3 EMRKZusProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Arndt/Engels in Karpenstein/Mayer, EMRK | EMRK Art. 11 | 2. Auflage 2015; Frowein, Peukert, Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., ZP I, Art. 3; Grabenwarter, Pabel, 7. Auflage. Verlag. Helbing Lichtenhahn Verlag. Basel. 2021; Hesse, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Aufl., 1999; Ipsen, Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 25., überarbeitete Auflage, 2013; Magiera, (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Maunz T. (Bearb.), Kommentar zum Art. 38, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band IV, seit 1958; Maunz, (Bearb.), Kommentar zum Art. 38, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band IV, seit 1958; Nierhaus, (Bearb.), Kommentar zum Art. 28 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Trute, (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 2, 6., neu bearbeitete Auflage, 2012.

[3504] Arndt, Art.3 EMRKZusProt, Rn. 15.

[3505] იქვე, Rn. 16.

[3506] შეადარე: Lykourezos v. Greece (N33554/03; 15.6.2006).

მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

2. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.

შინაარსი

მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება 643

შინაარსი 643

1. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 644

1.1. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ზოგადი მნიშვნელობა 644

1.2. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების დაცული სფერო 645

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 645

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო 646

1.3. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 653

2. ჩარევა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში 656

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება 656

2.2. ჩარევის სახეები 658

3. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევის შემოწმება 659

3.1. ჩარევის შემოწმების ზოგადი სტანდარტები 659

3.2. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 660

3.3. თანაზომიერების შემოწმება 662

3.3.1. ლეგიტიმური მიზანი 662

3.3.2. გამოსადეგობა 664

3.3.3. აუცილებლობა 665

3.3.4. პროპორციულობა 666

3.4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემოწმება 667

ლიტერატურა 669

1. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ზოგადი მნიშვნელობა

1640 მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნებისა და რეფერენდუმის საშუალებით მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი ნების ჩამოყალიბებაში, არამედ კონსტიტუცია მათ აძლევს უფლებასა და შესაძლებლობას, საჯარო თანამდებობის პოზიციიდან მონაწილეობა მიიღონ საჯარო ამოცანების განხორციელებასა და წარმართვაში. საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებას ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპს უწოდებს და მას სახალხო სუვერენიტეტის გამოვლინებად, პრაქტიკულ განხორციელებად მიიჩნევს,[3507] რომელსაც „...დემოკრატიულ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და სახელმწიფო მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის უშუალო ჩართულობას უზრუნველყოფს.“[3508] ეს განსაკუთრებით მკაფიოა იმ საჯარო თანამდებობებთან მიმართებით, რომლებიც არჩევნების გზით უშუალო დემოკრატიულ ლეგიტიმაციას იღებენ ამომრჩეველისაგან.

1641 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, თუნდაც მისი ზემოაღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაგებული მხოლოდ სუბიექტური სამართლებრივი პოზიციების დაცვაზე ორიენტირებულ უფლებად. ძალიან მაღალია მისი ობიექტური ღირებულება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, „..კონსტიტუციის ამ დანაწესის მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის შრომითი უფლების დადგენა. ის ქმნის მნიშვნელოვან საფუძველსა და გარანტიას დემოკრატიული მმართველობის განმტკიცებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურად ჩამოყალიბების პროცესში.“[3509] გარდა ამისა, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, უზრუნველყოფს რა შესაბამისი თანამდებობის დაკავებას შესატყვისობის, კვალიფიციურობისა და პროფესიონალიზმის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ემსახურება ხელისუფლების ქმედითობისა და ეფექტიანობის საჯარო ინტერესს.[3510]

[3507] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9-10.

[3508] საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[3509] N3/5/626 გადაწყვეტილება, II-14; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[3510] შეადარე მაგ.: Battis U. (Bearb.), Kommentar zum Art. 33 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 19.

1642 სახელმწიფო მოხელეებს ცალკე თავს[3511] უძღვნიდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. ამ თავის ფარგლებში მოქცეული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოს მოქალაქის მიერ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება,[3512] მოხელეთა და თანამდებობის პირთა გადაყენება ან დისციპლინური წესით დასჯა,[3513] პენსიის მიღების უფლება, რომელიც ასევე შეეხებოდა მოხელის ოჯახის წევრებსაც,[3514] მოხელეთა პასუხისმგებლობა და მათი უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[3515] შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოწესრიგება, მოცულობითაც და შინაარსობრივადაც, უფრო ფართო იყო, ვიდრე კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი ნორმა.

1643 მსგავსი შინაარსის უფლებები უზრუნველყოფილია საერთაშორისო დონეზეც. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობაში, უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით, მონაწილეობის უფლება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში თანაბარ საფუძველზე შესვლის უფლება. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის „a“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის უფლებასა და შესაძლებლობას, დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე, მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. ამავე მუხლის „c“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოქალაქის უფლებას, შეეძლოს თავის ქვეყანაში, თანასწორ პირობებში, სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

1.2. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

1644 კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი მკაფიოდ ასახელებს საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების სუბიექტს, კერძოდ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება აქვს „საქართველოს ყოველ მოქალაქეს“. აქედან გამომდინარე, ეს უფლება მოქალაქის უფლებათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომლის სუბიექტი ვერ იქნება სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი. გარდა ამისა, ლოგიკურია, რომ იურიდიული პირიც ვერ დაიკავებს საჯარო თანამდებობას და შესაბამისად, ისიც ვერ ისარგებლებს ამ ძირითადი უფლებით.

1645 საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით სუბიექტების წრეს ავიწროებს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სახელდობრ, ამ თანამდებობებს ვერ დაიკავებს

[3511] თავი 15. სახელმწიფო მოხელენი.
[3512] მუხლი 138.
[3513] მუხლი 139.
[3514] მუხლი 140.
[3515] მუხლი 141.

საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა. ამ ნორმიდან, პირველ პუნქტთან კავშირში, გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებსაც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც აქვთ, წარმოადგენენ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების სუბიექტებს, გარდა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამ-დებობისა.[3516]

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1646 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისათვის, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, რას გულისხმობს კონსტიტუცია ტერმინში „საჯარო თანამდებობა“. საკონსტიტუციო სასამართლომ ცნება „სახელმწიფო თანამდებობა“, რომელიც კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედ რედაქციაში „საჯარო თანამდებობის“ ექვივალენტურ ტერმინად შეიძლება ჩავთვალოთ, განმარტა მისი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით. კერძოდ, მთავარია, რამდენად გულისხმობს შესაბამისი თანამდებობა საჯარო ფუნქციების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, „საჯარო თანამდებობაში“ მოიაზრება არა მხოლოდ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები, არამედ საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი სხვა პირებიც. საკონსტიტუციო სასამართლო „საჯარო თანამდებობის“ ამგვარ ფართო გაგებას ხსნის იმით, რომ ამ ტერმინის „..ვიწრო განმარტება კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიების მიღმა დატოვებდა საჯარო ფუნქციის განმახორციელებელ სხვა პირებს, ადეკვატური კონსტიტუციური რეგულირების გარეშე დატოვებდა საჯარო ხასიათის საქმიანობის მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ მიეკუთვნება საჯარო სამსახურს. ამით გაუმართლებლად გაფართოვდებოდა ხელისუფლების დისკრეცია საჯარო ხასიათის ამოცანების შემსრულებელ პირთა დანიშვნის (არჩევის) და საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების მიღების პროცესში..“[3517]

1647 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება ვრცელდება როგორც დანიშვნით, ისე არჩევით თანამდებობებზე.[3518] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, „საჯარო თანამდებობას“ განეკუთვნებ**ა** მაგალითად: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის,[3519] საერთო

[3516] შეადარე: კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 330.

[3517] საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[3518] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-1; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

[3519] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა

სასამართლოს მოსამართლის,[3520] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის,[3521] მერის,[3522] მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა[3523] და სასამართლოს მანდატურის[3524] თანამდებობები. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით ასევე განხილული იქნა „სამოსამართლო უფლებამოსილების განმხორციელებელი პირის“ საკითხიც, რადგანაც შინაარსობრივად და ფუნქციონალურად ეს თანამდებობა მოსამართლის თანამდებობის იდენტური იყო.[3525]

1648 საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს საჯარო თანამდებობების კლასიფიკაციას. N3/2/717 გადაწყვეტილებაში სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა თანამდებობათა ორი კატეგორია: 1) პოლიტიკური თანამდებობები - „თანამდებობები, რომელთა დაკავება სრულად პოლიტიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენს“ და 2) პროფესიული თანამდებობები - „თანამდებობები, რომლებზეც შერჩევა მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება“. პირველ შემთხვევაში საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების არსს დაუპირისპირდება პოლიტიკური მიზანშეწონილობის გარეშე პირის განწესება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი პირიქით - დანიშვნის განხორციელება პოლიტიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე.[3526] N3/5/626 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გამოჰყო თანამდებობის პოლიტიკურად ან პროფესიულად მიჩნევის კრიტერიუმები: შესაბამისი თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსი (თუ ეს კონსტიტუციით გათვალისწინებულია), თანამდებობის დაკავების წინაპირობები, ლეგიტიმაციის წყარო, პასუხისმგებლობის ფორმა და ხასიათი, ფუნქცია საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში, თავისუფალი მოქმედების არეალის ფარგლები, მიღებული გადაწყვეტილებების ფორმა და ბუნება.[3527] რამოდენიმე წლის შემდეგ მიღებულ N3/1/1298,1313 გადაწყვეტილებაში ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციას დაემატა ერთი კატეგორია - შერეული თანამდებობები, რომლებსაც ახასიათებთ როგორც პროფესიული, ასევე პოლიტიკური თანამდებობის ტიპიური ნიშნები.[3528]

1649 საჯარო თანამდებობების კლასიფიკაციას, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ყველა საჯარო თანამდებობის მიმართ ერთი და იგივე დაცვის სტანდარტი ვერ იქნება გამოყენებული და ამგვარი კლასიფიკაცია „..რეალურ გავლენას ახდენს კონსტიტუციური უფლების შინაარსსა და თანამდებობის პირის დაცვის

ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

[3520] საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის N2/80-9 გადაწყვეტილება საქმეზე „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 3; N2/5/658 გადაწყვეტილება, II-7; N3/1/659 გადაწყვეტილება, II-15; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კევლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

[3521] დაწვრილებით იხ.: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-15-20.

[3522] N3/2/588 გადაწყვეტილება, II-35; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-16; საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება საქმეზე „თამაზ მეჭიაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

[3523] N3/5/626 გადაწყვეტილება, II-13.

[3524] N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-7.

[3525] საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის N1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ლეკვეიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, I.

[3526] N3/2/717 გადაწყვეტილება, II-17.

[3527] დაწვრილებით იხ.: N3/5/626 გადაწყვეტილება, II-17-25.

[3528] N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება, II-7.

გარანტიებზე."[3529] ამ კუთხით, განსაკუთრებით ყურადსაღებია შესაბამისი თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსი (მისი არსებობის შემთხვევაში) და კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები.[3530] თანამდებობის კატეგორიაზეა დამოკიდებული, თუ რა არის პრიორიტეტული კონკრეტული საჯარო თანამდებობის კონტექსტში - თანამდებობის პირის შრომითი უფლებების დაცვა თუ მის მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა. შრომითი უფლებების დაცვა, „რაც მოიაზრებს შრომის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, თანამდებობრივი სარგოს მიღების შესაძლებლობას, უფლებამოსილების დაუსაბუთებლად შეწყვეტისაგან დაცვას და სხვა შრომით გარანტიებს", წინა პლანზეა წამოწეული, ძირითადად, პროფესიული თანამდებობის პირების შემთხვევაში. უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფას და შესაბამის სპეციალურ გარანტიებს საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს ისეთ თანამდებობებთან დაკავშირებით, რომლებსაც აქვთ გამორჩეული ფუნქციური დატვირთვა და მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და რომელთა ფუნქციების დაუბრკოლებლად და დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველყოფა დემოკრატიის უპირობო მოთხოვნაა (მაგალითად, პარლამენტის წევრი). გარკვეულ თანამდებობებთან მიმართებით არსებობს ორივე ინტერესი - „ზოგიერთი თანამდებობის პირების მიერ საქმიანობის განხორციელება, ერთი მხრივ, უკავშირდება მნიშვნელოვან პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას, მეორე მხრივ კი, მათი საქმიანობის განხორციელება გულისხმობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლის ეფექტურად განხორციელებისათვის მათ ესაჭიროებათ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები." საკონსტიტუციო სასამართლომ ამის მაგალითად მოიყვანა მოსამართლის თანამდებობა. ზემოაღნული კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასა საკონსტიტუციო სასამართლომ (პირდაპირი წესით არჩეული) მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობა, მიიჩნია, რომ ის ვერ გათანაბრდებოდა წმინდად პროფესიულ თანამდებობასთან, რადგანაც დიდ როლს ასრულებდა ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს (საკრებულოს) საქმიანობის ეფექტიანობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში. ამდენად, ამ შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაითვალა უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა.[3531]

1650 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებდა საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო მეორე პუნქტი კი - სახელმწიფო სამსახურის პირობების განსაზღვრას კანონით. თავდაპირველად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო საჯარო თანამდებობის დაკავების, მისი განხორციელების ან თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებს განიხილავდა აღნიშნული მუხლის ორივე პუნქტთან მიმართებით, ერთიან კონტექსტში.[3532] N3/2/717 გადაწყვეტილებამ ეს

[3529] N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება, II-7. შეადარე ასევე: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-9.

[3530] N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება, II-12. შეადარე ასევე: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-9; N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, II-7.

[3531] დაწვრილებით იხ.: N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება, II-8-22.

[3532] N1/2/569 გადაწყვეტილება; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/1/572 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; N3/2/588 გადაწყვეტილება; N2/5/595 გადაწყვეტილება; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს

პრაქტიკა შეცვალა და ფაქტობრივად საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების საგნობრივი დაცული სფერო ორ ნაწილად გაჰყო. კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავდა თანამდებობის დაკავების, მასზე წვდომის უფლებას, ხოლო მე-2 პუნქტი კი უზრუნველყოფდა თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას, ასევე დაცვას თანამდებობიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან.[3533] ეს ორი კომპონენტი თავმოყრილია კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის პირველ ქვეპუნქტში, თუმცა მათ ცალ-ცალკე წინადადებები ეძღვნება. პირველი წინადადება იცავს საჯარო თანამდებობის დაკავების, ხოლო მეორე წინადადება - საჯარო თანამდებობაზე საქმიანობისა და დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან დაცვის უფლებებს. ამ ფონზე გარკვეულ კითხვებს აჩენს N3/1/1459,1491 გადაწყვეტილებაში ფრაზა, რომ „25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულია საქართველოს მოქალაქის მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების უფლება“.[3534] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამავე გადაწყვეტილებაში არ საუბრობს არსებული პრაქტიკის კიდევ ერთხელ შეცვლაზე, უფრო ტექნიკური ხასიათის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე.

1651 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება უზრუნველყოფს, რომ ყოველ მოქალაქეს, კანონმდებლობით დადგენილი გონივრული და კონსტიტუციის შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ჰქონდეს ხელმისაწვდომობა საჯარო თანამდებობაზე.[3535] ეს უფლება არ გულისხმობს, რომ მოქალაქე გარანტირებულად უნდა დაინიშნოს მისთვის სასურველ თანამდებობაზე,[3536] თუმცა იგი დაცულია თვითნებური არდანიშვნისაგან.[3537] უზრუნველყოფილია ასევე უფლების ნეგატიური ასპექტი - უარი განაცხადო საჯარო თანამდებობის დაკავებაზე ან საკუთარი ნების შესაბამისად დატოვო თანამდებობა.[3538]

1652 საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს საჯარო თანამდებობაზე საქმიანობის სპეციფიკურობას იმ თვალსაზრისით, რომ დამსაქმებელი ამ შემთხვევაში სახელმწიფოა და ანაზღაურებაც სახელმწიფო სახსრებიდან ხდება. ამდენად, საჯარო თანამდებობა განიხილება ერთგვარ საჯარო რესურსად, რომელზეც ყველა მოქალაქეს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი.[3539] ამ თვალსაზრისით, იკვეთება კავშირი თანასწორობის უფლებასთან. ლიტერატურაში საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება

მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება.

[3533] დაწვრილებით იხ.: N3/2/717 გადაწყვეტილება, II-9-14.

[3534] N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, II-3. ასევე იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 5.

[3535] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-7.

[3536] შეადარე მაგ.: BVerfGE 39, 334 (354); BVerwGE 68, 109 (110); 75, 133 (135).

[3537] N3/2/717 გადაწყვეტილება, II-20.

[3538] შეადარე: ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის კომენტარი, იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 258.

[3539] შეადარე: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-5.

საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის კონკრეტულ გამოხატულებადაც კი არის მიჩნეული.[3540] იქედან გამომდინარე, რომ დამსაქმებლად სახელმწიფო, უფრო სწორად საჯარო ხელისუფლება, გვევლინება, ხოლო საჯარო თანამდებობა საჯარო რესურსადაა გაგებული, სახელმწიფოსათვის წაყენებული მოთხოვნები ამ სფეროში თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით უფრო მკაცრია. ამავდროულად, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება მხოლოდ თანამდებობაზე თანაბარი ხელმისაწვდომობით არ შემოიფარგლება, რაზეც სასამართლო პრაქტიკაც ნათლად მეტყველებს. ზოგადად, თავისუფლებაში ჩადებულია თანასწორად თავისუფლების იდეა და სხვა ძირითადი უფლებების რეალიზაციაზეც მათ სუბიექტებს თანასწორად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი. რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გადააქცევს ამ უფლებებს თანასწორობის უფლების სპეციალურ შემთხვევებად. ამიტომ, როდესაც საქმე შეეხება შესაძლო დისკრიმინაციას საჯარო თანამდებობის დაკავებისას, შეფასება უნდა განხორციელდეს თანასწორობის ძირითად უფლებასთან მიმართებით.

1653 საკონსტიტუციო სასამართლო საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების კონტექსტში განიხილავს პირდაპირი არჩევნებით თანამდებობაზე არჩევის საკითხსაც, როდესაც ამგვარი გზით თანამდებობის დაკავება კონსტიტუციით პირდაპირ არ არის განსაზღვრული (მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერი).[3541] ამგვარი მიდგომის მცდარობასთან დაკავშირებით უკვე ვიმსჯელეთ საარჩევნო უფლების თავში და განმეორებით აღარ გავამახვილებთ ყურადღებას.

კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ საჯარო სამსახურში შესვლის, არამედ უკვე საჯარო თანამდებობაზე მყოფი პირის მიერ სხვა, მისთვის სასურველი თანამდებობის დაკავებისა და კარიერული წინსვლის უფლებაც.[3542] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მის წევრებს ჰქონდათ უფლება, თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, არჩეულიყვნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე.[3543]

1654 საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომელიც საჯარო თანამდებობის დაკავების მოთხოვნების დადგენას კანონმდებლობას მიანდობს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი[3544] გამოჰყოფს თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის უმთავრეს კრიტერიუმებს, რომლებიც დამსახურების პრინციპის გამოხატულებაა.[3545] გამოსადეგობის კრიტერიუმი გულისხმობს, რომ პირის ფიზიკური, ინტელექტუალური თუ სხვა პიროვნული მახასიათებლები უნდა ქმნიდეს საფუძვლიან მოლოდინს, რომ ის თავს გაართმევს სამსახურებრივ მოვალეობებს.[3546] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამოსადეგობას ფართო გაგებით ასევე მიაკუთვნებს კონსტიტუციის ერთგულებას, მისი პრინციპებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას.[3547] კვალიფიკაციის კრიტერიუმი მოიაზრებს იმას, თუ რამდენად აქვს პირს

[3540] კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 329, 331.

[3541] მაგ.: N3/3/600 გადაწყვეტილება, II-16.

[3542] შეადარე მაგ.: Battis, GG, Art. 33, Rn. 26.

[3543] N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-30.

[3544] 33-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

[3545] Battis, GG, Art. 33, Rn. 27.

[3546] შეადარე მაგ.: Battis, GG, Art. 33, Rn. 28; BVerfGE 4, 297; 53, 346; 92, 140 (151); BVerwGE 11, 141; 81, 369.

[3547] შეადარე: BVerfGE 39, 334 (348); 92, 140 (151).

შესაბამის თანამდებობაზე საქმიანობისათვის აუცილებელი განათლება, უნარები და სხვა თვისებები.[3548] რაც შეეხება პროფესიონალიზმის კრიტერიუმს, ის ეფუძნება პირის პრაქტიკული საქმიანობის შედეგების შეფასებას.[3549]

1655 გარკვეული თანამდებობების დაკავების კონსტიტუციური სტანდარტები დადგენილია უშუალოდ კონსტიტუციის მიერ, სხვადასხვა ნორმებში. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის განმეორებით დაკავების აკრძალვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ნორმების შეფასება უნდა განხორციელებულიყო არა მხოლოდ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან, არამედ ამ თანამდებობების დაკავების კონსტიტუციური სტანდარტების განმსაზღვრელ ნორმებთან მიმართებითაც.[3550] მსგავსი მიდგომა განმეორდა საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის საკითხს.[3551] ეს არ აქცევს აღნიშნული ტიპის ნორმებს ძირითადი უფლების დამდგენ ნორმებად, მაგრამ მათი გათვალისწინება აუცილებელია საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების განმარტებისას.

1656 როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება უზრუნველყოფს საჯარო თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებასა და დაცვას დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან.[3552] საჯარო თანამდებობაზე მყოფმა პირმა უნდა შეძლოს მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად და არაგონივრული დაბრკოლებების გარეშე განხორციელება, ამიტომ ის დაცულია საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევებისაგან.[3553] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გამოჰყო სტაბილურობის, როგორც საჯარო თანამდებობის პირების დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობის, მნიშვნელობა. სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთ არსებით კომპონენტად ჩაითვალა უფლებამოსილების განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით განხორციელება.[3554] ამავე კონტექსტში ხაზი გაესვა ნდობის დაცვის კონსტიტუციური პრინციპის გათვალისწინების აუცილებლობას: „განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით სახელმწიფო თანამდებობაზე განწესება მოქალაქეს უჩენს ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ იგი ამ თანამდებობაზე საქმიანობას განახორციელებს უფლებამოსილების ვადით – განსაზღვრული ვადით ან – უვადოდ. შესაბამისად, კანონით განსაზღვრული ვადის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, იმგვარად, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს სახელმწიფო თანამდებობის პირთა ლეგიტიმური მოლოდინები და არ შეირყეს მათი ნდობა არსებული კანონმდებლობის მიმართ.“[3555] ამასთან, უფლებამოსილების განხორციელების

[3548] Battis, GG, Art. 33, Rn. 30.

[3549] იქვე, Rn. 31.

[3550] N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-31.

[3551] N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, II-12.

[3552] შეადარე მაგ.: N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-4.

[3553] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-7.

[3554] იქვე, II-31.

[3555] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-32-33.

ვადასთან დაკავშირებული სტანდარტები შესაძლებელია ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს შესაბამისი თანამდებობის სტატუსის, ფუნქციებისა და მიზნების გათვალისწინებით.[3556] გარკვეული თანამდებობის პირების (მაგალითად, მოსამართლეების) უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით უშუალოდ კონსტიტუცია შეიცავს რეგულირებებს. ამ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ძირითადი უფლების სისტემური განმარტება კონსტიტუციის აღნიშნულ ნორმებთან კავშირში.[3557]

1657 საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისა და თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებისაგან დაცვის უფლებრივი კომპონენტი მოიცავს უფლებას შესაბამის ანაზღაურებაზე. საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს კონკრეტული თანამდებობის ფუნქციური უწყვეტობის საკითხს, რაც პირდაპირ უკავშირდება სამსახურებრივი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას. ფუნქციური უწყვეტობის მოთხოვნა იცავს საჯარო თანამდებობის პირს მის მიერ დაკავებული თანამდებობის არსისა და დანიშნულების იმგვარი შეცვლისაგან, რითაც საფრთხე ექმნება შესაბამისი თანამდებობის ფუნქციურ დატვირთვას და ხდება სამსახურებრივი საქმიანობის შეფერხება.[3558] რაც შეეხება თანამდებობიდან გათავისუფლებას, ბუნებრივია, აქ იგულისხმება დაცვა თვითნებური, უკანონო და დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან.[3559] საკონსტიტუციო სასამართლო, თანამდებობაზე საქმიანობისა და თანამდებობიდან გათავისუფლების კონტექსტშიც, ხაზს უსვამს კონსტიტუციის სხვა რელევანტური, მათ შორის ფორმალური გარანტიების დამდგენი, დებულებების გათვალისწინების მნიშვნელობას.[3560]

1658 საკონსტიტუციო სასამართლო საჯარო თანამდებობაზე საქმიანობას შრომითი ურთიერთობების სპეციფიკურ გამოხატულებად,[3561] მათ სპეციფიკურ სეგმენტად[3562] მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი სასამართლომ შრომის თავისუფლებასთან მიმართებაშიც შეაფასა.[3563] დაახლოებით 16 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ გაავლო მიჯნა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასა და შრომის თავისუფლებას შორის. იმის გასარკვევად, თუ რომელი უფლების დაცულ სფეროში მოექცევა კონკრეტული ურთიერთობა, ძირითადი კრიტერიუმია პირის საქმიანობის სფერო და სამუშაოს სპეციფიკა. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების მოქმედების არეალია საჯარო სფერო, ხოლო შრომის თავისუფლება „ადგენს კერძო სექტორში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტებს.“[3564] ამასთან, საჯარო დაწესებულებებში შეიძლება დასაქმებული იყვნენ პირები, რომლებიც ახორციელებენ არა საჯარო, არამედ დამხმარე ფუნქციებს (მაგალითად: მძღოლები, დამლაგებლები და ა.შ.). ამ კატეგორიის პირთა საქმიანობა ექცევა შრომის თავისუფლებით და არა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებით დაცულ სფეროში.

[3556] N3/5/626 გადაწყვეტილება, II-38.

[3557] N3/1/659 გადაწყვეტილება, II-21.

[3558] დაწვრილებით იხ.: N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-4-5.

[3559] შეადარე: N3/5/626 გადაწყვეტილება, II-37.

[3560] N2/5/658 გადაწყვეტილება, II-13, 17.

[3561] N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-2.

[3562] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-5.

[3563] N2/80-9 გადაწყვეტილება, 3.

[3564] დაწვრილებით იხ.: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-12-14.

მიუხედავად იმისა, რომ მათი დამსაქმებელი საჯარო დაწესებულებაა და მათი შრომის ანაზღაურებაც საჯარო სახსრებიდან ხდება, აქ გადამწყვეტია მათი ფუნქციის არასაჯარო ხასიათი.

1.3. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1659 კონსტიტუციის 25-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულებები. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, „გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში, განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია“.[3565] სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, თავი შეიკავოს საჯარო თანამდებობაზე საქმიანობის განხორციელების არაკონსტიტუციური შეზღუდვებისაგან, ასევე დაკავებული თანამდებობიდან პირის თვითნებური და უკანონო გათავისუფლებისაგან.[3566]

1660 როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება პირს იცავს თვითნებური არდანიშვნისაგან. ამის თავიდან აცილების ინსტრუმენტად განიხილება დასაბუთების (პოზიტიური) ვალდებულება, რომელიც შეეხება როგორც თანამდებობაზე განწესების, ასევე განწესებაზე უარის გადაწყვეტილებას.[3567] ამდენად, დასაბუთების ვალდებულება თვითნებური არდანიშვნის გარდა, თვითნებური დანიშვნის პრევენციასაც ემსახურება. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეს ასევე ზრდის გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის ანგარიშვალდებულებას და პროცესის გამჭვირვალობას, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და შემოწმების შესაძლებლობას.[3568] პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლომ დასაბუთების ვალდებულება გაავრცელა, ნებისმიერი ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღებაზე, თუმცა იქვე არ გამორიცხა დასაბუთებულობის მოთხოვნის სიმკაცრის განსხვავებული ხარისხი კრიტერიუმის ბუნების მიხედვით.[3569] დასაბუთების ვალდებულების მოქმედება არ იზღუდება მხოლოდ თანამდებობაზე განწესების/განწესებაზე უარის აქტით, არამედ ვრცელდება თანამდებობაზე განწესების მთელ პროცესზე. შეფასების კრიტერიუმები და მთელი სისტემა მაქსიმალურად უნდა იყოს აგებული ობიექტურ, წინასწარგანსაზღვრულ და გადამოწმებად კრიტერიუმებზე, ხოლო სუბიექტური კრიტერიუმები კი მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ამით შესაძლებელი ხდება თვითნებური და მიკერძოებული გადაწყვეტილებების პრევენცია.[3570] საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა კანდიდატების შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოსამართლეთა განწესებისას. ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია

[3565] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-2; N3/1/574 გადაწყვეტილება, II-18.

[3566] შეადარე: N2/5/595 გადაწყვეტილება, II-5.

[3567] N3/2/717 გადაწყვეტილება, II-27.

[3568] იქვე, II-20.

[3569] იქვე, II-26.

[3570] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-31-32.

შეფასების კრიტერიუმების ბუნდოვანების პირობებში, რაც ქმნის თვითნებობის შესაძლებლობას.[3571]

1661 დასაბუთების ვალდებულებასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა განავითარა საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის წესის კონსტიტუციურობის განხილვისას. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესება არ იყო სრულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა, ახასიათებდა არჩევითობის ელემენტი და საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებდა. ეს ამცირებდა გადაწყვეტილების დასაბუთების საჭიროებას და საერთო სასამართლოების სხვა მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებული სტანდარტები, ამ შემთხვევისათვის, სრულად რელევანტური ვერ იქნებოდა. პარლამენტის წევრები გადაწყვეტილებას იღებდნენ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებისა და მიზანშეწონილობის საფუძველზე, რაც არ ექვემდებარებოდა დასაბუთებას.[3572] საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოსამართლეებით უზრუნველყოფდა შერჩევისა და განწესების პროცესში ორი კონსტიტუციური ორგანოს მონაწილეობა, ამ ორგანოთა ფუნქციები, დანიშნულება და სტატუსი. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატთა შერჩევა შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან, რომელიც კენჭისყრით სრულდებოდა. ამ ეტაპებზე არსებობდა კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის გამოკვლევისა და ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობა, რაც განაპირობებდა სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. საბჭოს გადაწყვეტილება, მისი დაკომპლექტების წესისა და საქმიანობის გარანტიებიდან გამომდინარე, თავისთავად ლეგიტიმური იყო. ის გარემოება, რომ ის არ საჭიროებდა დამატებით წერილობით დასაბუთებას, არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას.[3573] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დასაბუთების ვალდებულება არ გაავრცელა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

1662 ზემოაღნიშნული პოზიცია საკამათოა, რაზეც თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით იქნა მიღებული, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხმა წევრმა ვრცელი და არგუმენტირებული განსხვავებული აზრი წარმოადგინა. ისინი პრინციპულად არ დაეთანხმნენ იმას, რომ მოსამართლეთა შერჩევისათვის დადგენილი კონსტიტუციური კრიტერიუმების (კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა) არსებობის მიუხედავად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გათავისუფლდა დასაბუთების ვალდებულებისაგან. ამ ორგანოს კონსტიტუციური სტატუსი და მისი წევრების დამოუკიდებლობის გარანტიები არ იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მისი გადაწყვეტილება, დასაბუთების გარეშეც, მართებული იქნებოდა. ზოგადად, არ არსებობდა პირდაპირი კორელაცია, ერთი მხრივ, კონსტიტუციური ორგანოს ან მისი წევრების დამოუკიდებლობის მაღალ გარანტიებსა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესსა და მეორე მხრივ, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნას შორის. უზენაესი სასამართლოს

[3571] იქვე, II-33.

[3572] დაწვრილებით იხ.: N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, II-20-22.

[3573] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-37-49.

წევრების არჩევასთან დაკავშირებით პარლამენტის გადაწყვეტილების გათავისუფლებას დასაბუთების ვალდებულებისაგან განაპირობებდა მისი, როგორც პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს, ბუნება. პარლამენტს ჰქონდა პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ლეგიტიმაცია იმ დაშვებით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორის შეფასება ხალხის მიერ, არჩევნებზე ხდებოდა. რაც შეეხება იმ სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელთა მიმართაც ხალხს მსგავსი ბერკეტები არ ჰქონდა, მათ მიერ მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ეჭვქვეშ აყენებდა ხალხის მმართველობას. ამგვარ შემთხვევებში დემოკრატიის პრინციპი მოითხოვდა გადაწყვეტილებების მიღებას არა მიზანშეწონილობის, არამედ სამართლის საფუძველზე. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესწევდა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი საკონსტიტუციო სასამართ-ლოს პრაქტიკით განსაზღვრული სახელმძღვანელო მასშტაბების საფუძველზე. დასაბუთების ვალდებულების არგავრცელებით საბჭოს გადაწყვეტილებაზე აზრს კარგავდა 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმით პრეზიდენტის, ანუ პოლიტიკური მიზანშეწონილობით გადაწყვეტილების მიმღები პირის, ჩანაცვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოთი, რაც იმ იდეას ეფუძნებოდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესება სრულად პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული პროცესი არ ყოფილიყო. დასაბუთების ვალდებულებისაგან გათავისუფლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ფაქტობრივად, უკონტროლო ძალაუფლებას ანიჭებდა, რაც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის არსს, დემოკრატიის პრინციპსა და სახალხო სუვერენიტეტის იდეას. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება მოითხოვდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ისეთი სისტემის შექმნას, რომლითაც „ერთი მხრივ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ექნება საკმარისი ბერკეტები კანდიდატთა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის შესაფასებლად, მეორე მხრივ კი, გამოირიცხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად, თვითმიზნურად მიღების შესაძლებლობა.“[3574]

1663 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოსამართლის თანამდებობის კონტექსტში არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებებს. საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლის პოზიტიურ ვალდებულებად მიიჩნევს ისეთი სამართლებრივი წესრიგის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ამ უფლების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას.[3575] კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს საჯარო თანამდებობის დაკავებისათვის „გონივრული, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობები“.[3576] ამასთან, ორგანიზაციულ, საბიუჯეტო თუ ადამიანური რესურსების მართვის სფეროში სახელმწიფოს აქვს თავისუფალი მოქმედების არეალი. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება მოქალაქეს არ აძლევს სახელმწიფოსათვის პრეტენზიის წაყენების შესაძლებლობას, რომ მან შექმნას ან შეინარჩუნოს თანამდებობები საჯარო სამსახურში და მით უმეტეს, გარანტირებულად დაასაქმოს მოქალაქენი ამ თანამდებობებზე.[3577]

[3574] დაწვრილებით იხ.: განსხვავებული აზრი N3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 10-35.

[3575] N2/5/560 გადაწყვეტილება, II-38.

[3576] იქვე, II-39.

[3577] შეადარე მაგ.: ხუბუა, 29-ე მუხლის კომენტარი, 258; Battis, GG, Art. 33, Rn. 21.

1664 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები ეკისრება საჯარო თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლებიდან გამომდინარეც. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფო ვალდებულია, „დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები".[3578] საჯარო თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლებისაგან დაცვის კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მიერ პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფის ვალდებულებას.[3579] ეს მიდგომა ჩამოყალიბდა იმ პირობებში, როდესაც კონსტიტუციით ჯერ კიდევ არ იყო გათვალისწინებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება. სავარაუდოდ, პროცედურულ კომპონენტს სამომავლოდ სწორედ ამ უფლების დაცული სფერო გადაფარავს. რაც შეეხება თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებისაგან დაცვის უფლებას, მისგან შეიძლება გამოვიყვანოთ სახელმწიფოს ვალდებულება, კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვით განსაზღვროს თანამდებობიდან გათავისუფლების მატერიალური საფუძვლები. სახელმწიფოს ეკისრება საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთების ვალდებულებაც, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური გათავისუფლება და ის დაექვემდებაროს შემოწმებას.

2. ჩარევა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში

2.1. ჩარევის იდენტიფიცირება

1665 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და მისი შეზღუდვა კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვით შესაძლებელია.[3580] ჩარევისაგან სრულად დაცული არ არის ისეთი საჯარო თანამდებობებიც, რომლებზეც არჩევა უშუალოდ ხალხის მიერ ხდება. „თანამდებობის ლეგიტიმაციის წყაროს, კონსტიტუციური სტატუსის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, თანამდებობის პირთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გარანტიები განსხვავებულია, რაც ნიშნავს, რომ ამაზე დამოკიდებულებით განსხვავებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წინაპირობები და პროცედურა. მაგრამ ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის თანამდებობის პირის უფლებამოსილებაც შეიძლება ჩარევას დაექვემდებაროს, თუ რეალური და ობიექტურად ხელშესახებია საფრთხეები, რომლებიც გარდაუვლად დადგება პირის თანამდებობაზე დარჩენის შემთხვევაში."[3581]

1666 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევა სახეზეა, როდესაც იზღუდება ამ უფლების როგორც პერსონალური, ასევე საგნობრივი დაცული სფერო. თუ საკონსტიტუციო სასამართლოში დავობს სუბიექტი, რომელსაც თავად საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება არ შელახვია, ჩარევა და შესაბამისად, მოსარჩელის

[3578] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-2; N3/1/574 გადაწყვეტილება, II-18.

[3579] დაწვრილებით იხ.: N2/5/595 გადაწყვეტილება, II-5-6.

[3580] შეადარე მაგ.: N2/5/560 გადაწყვეტილება, II-37; N3/2/588 გადაწყვეტილება, II-41; N3/5/626 გადაწყვეტილება, II-54.

[3581] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-23.

კონსტიტუციური უფლების დარღვევა სახეზე არ არის.[3582] რაც შეეხება საგნობრივ დაცულ სფეროს, ჩარევის იდენტიფიცირებისათვის გადამწყვეტია, თუ რამდენადაა შეზღუდული რომელიმე სიკეთე ან სიკეთეები, რომელიც საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებითაა დაცული.

1667 საჯარო თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევა სახეზეა, როდესაც პირს ეკრძალება[3583] ან ეზღუდება[3584] გარკვეული თანამდებობის ან თანამდებობების დაკავება. თუ სახელმწიფოს სამართლებრივი აქტი ან ღონისძიება აბრკოლებს ან ზღუდავს საჯარო თანამდებობაზე მყოფ პირს მისი უფლებამოსილებების რეალიზაციაში, შეიძლება, საქმე გვქონდეს ჩარევასთან თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლებაში. ამასთან, ჩარევის იდენტიფიკაცია არ ხდება, როდესაც არ იზღუდება ან სულაც, უმჯობესდება პირის სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, დისციპლინური გადაცდომისას, როდესაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა თანამდებობიდან ჩამოქვეითებაა, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება გადაყვანილი იყო კადრების განკარგულებაში იმ მიზნით, რომ მისთვის მოძიებულ იქნეს შესაბამისი რანგის თანამდებობა. ანალოგიური მიზანი აქვს, ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე დაქვეითებისას, კადრების განკარგულებაში გადაყვანას. საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარ შემთხვევებში არა შეზღუდვა, არამედ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება დაინახა, რადგანაც მოსამსახურეს კადრების განკარგულებაში ყოფნისას ეძლეოდა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე კვალიფიკაციის შესატყვისი თანამდებობის შეთავაზების შანსი. გარდა ამისა, მას, ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე, არა უმეტეს 2 თვის მანძილზე უნარჩუნდებოდა ანაზღაურება.[3585]

1668 პრაქტიკაში ყველაზე ხშირია თანამდებობიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან დაცვის კომპონენტში ჩარევის შემთხვევები. ჩარევა სახეზეა, როდესაც სადავო აქტი უშუალოდ ითვალისწინებს საჯარო თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს[3586] ან ადგენს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების პირობებსა და წესს.[3587] მაგალითად, სასამართლო მანდატურების ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ჩარევა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში. ამასთან ერთად, იქედან გამომდინარე, რომ ზღვრული ასაკის მიღწევა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა ასევე სახეზე იყო ჩარევა ამ უფლებრივ კომპონენტშიც.[3588]

[3582] N2/3/250-269 გადაწყვეტილება, 3.
[3583] N2/5/560 გადაწყვეტილება, II-42; N2/1/572 გადაწყვეტილება, II-2; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-28.
[3584] N3/1/659 გადაწყვეტილება, II-28.
[3585] დაწვრილებით იხ.: N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-12-13.
[3586] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-24.
[3587] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-22; N2/5/658 გადაწყვეტილება, II-9; N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-16.
[3588] დაწვრილებით იხ.: N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-5-8.

2.2. ჩარევის სახეები

1669 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევების ნაწილს უშუალოდ კონსტიტუცია ითვალისწინებს. ამას შეიძლება ჰქონდეს აკრძალვის ფორმა. მაგალითად, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი დაუშვებლად აცხადებს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებას საქართველოს იმ მოქალაქის მიერ, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა. კონსტიტუციაში ვხვდებით ასევე საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვებს. მაგალითად, საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისათვის კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტი უშუალოდ აწესებს მოთხოვნებს ასაკთან, განათლებასა და გამოცდილებასთან დაკავშირებით. კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტში ვხვდებით შეზღუდვისა და აკრძალვის კომბინაციას. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად განწესებისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნული პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ასაკთან, განათლებასთან, გამოცდილებასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ამავდროულად, აკრძალულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად იმ პირის განწესება, რომელსაც ადრე ეს თანამდებობა ეკავა. კონსტიტუციით უშუალოდ გათვალისწინებული ჩარევები კონსტიტუციურ სამართლებრივ გამართლებას არ საჭიროებს და შესაბამისად, შემოწმებასაც არ ექვემდებარება.

1670 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება ჩარევები საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების სხვადასხვა კომპონენტებში. საჯარო თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევის მაგალითებია: დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლებული პირის მოსამართლედ განწესების აკრძალვა,[3589] იმ პირთა განსაზღვრულ თანამდებობებზე არჩევის/დანიშვნის აკრძალვა, რომელთაც საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ეკავათ გარკვეული თანამდებობები კომუნისტურ პარტიასა და კომკავშირში,[3590] გამოძიების ქვეშ მყოფი პირის საჯარო სამსახურში მიღების აკრძალვა[3591] და ა.შ. თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისა და თანამდებობიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან დაცვის კომპონენტში ჩარევის მაგალითებია: საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, რომლებიც დანიშნული (არჩეული) არ იყვნენ ახალი კანონის შესაბამისად, უფლებამოსილების შეწყვეტა,[3592] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა ახალი წესით საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე,[3593] საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული ბრალდებული თანამდებობის პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება,[3594] მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის,[3595] მოსამსახურის გადაყვანა კადრების განკარგულებაში,[3596] მერიის (გამგეობის) სტრუქტურული ერთეულის

[3589] N1/3/209,276 გადაწყვეტილება.
[3590] N2/5/560 გადაწყვეტილება.
[3591] N2/1/572 გადაწყვეტილება.
[3592] N2/80-9 გადაწყვეტილება.
[3593] N1/2/569 გადაწყვეტილება.
[3594] N3/1/574 გადაწყვეტილება.
[3595] N2/5/595 გადაწყვეტილება.
[3596] N1/4/614,616 გადაწყვეტილება.

ხელმძღვანელის უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტა ახალი მერის (გამგებლის) არჩევისას და დასაბუთების გარეშე მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა,[3597] მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მისთვის უნდობლობის გამოცხადების გზით[3598] და ა.შ.

3. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევის შემოწმება

3.1. ჩარევის შემოწმების ზოგადი სტანდარტები

1671 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის როგორც ფორმალურ, ასევე მატერიალურ მოთხოვნებს.[3599] პირველ რიგში, მოწმდება შეზღუდვის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან და მხოლოდ მისი დადგენის შემდეგ ხდება მატერიალურსამართლებრივი შემოწმების ეტაპზე გადასვლა. თუ ჩარევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს, მაშინ ის არაკონსტიტუციურია და აღარ დგას მატერიალური შემოწმების საჭიროება. როდესაც პირი არ დავობს მატერიალურ მხარეზე, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობას მხოლოდ ფორმალური კუთხით.[3600]

1672 უფლების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტი და შესაბამისად, ჩარევის შემოწმების სიმკაცრე, დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე. ამ ფაქტორებიდან საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს შესაბამისი თანამდებობის დანიშნულებას, ბუნებას, (კონსტიტუციურ) სტატუსს, განსახორციელებელი საქმიანობის თავისებურებებსა და დაკისრებულ ფუნქციებს.[3601]

1673 არსებითია ის გარემოება, თუ რამდენად უკავშირდება და ემსახურება შესაბამისი თანამდებობის პირის სტატუსი და დაცვის გარანტიები მნიშვნელოვანი, ობიექტური ხასიათის სიკეთეების დაცვას. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარ სიკეთედ წარმოაჩინა საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა.[3602] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თვისობრივად განსხვავებულ დაცვას მოითხოვს ხალხის მიერ არჩეული თანამდებობის პირების შეუფერხებელი საქმიანობის განხორციელება, დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა. ეს განპირობებულია არა მხოლოდ მათი სუბიექტური ინტერესებით, არამედ ასევე დემოკრატიის, სახალხო სუვერენიტეტისა და

[3597] N3/5/626 გადაწყვეტილება.

[3598] N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება.

[3599] შეადარე: N2/5/560 გადაწყვეტილება, II-38; N1/2/569 გადაწყვეტილება, II-26; N2/1/572 გადაწყვეტილება, II-11; N3/1/574 გადაწყვეტილება, II-20; N3/2/588 გადაწყვეტილება, II-36; N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-17; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-44; N2/5/658 გადაწყვეტილება, II-10, 16; N3/1/659 გადაწყვეტილება, II-27; N3/2/717 გადაწყვეტილება, II-29; N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-12.

[3600] N2/5/658 გადაწყვეტილება, II-10.

[3601] შეადარე: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-27; N3/2/588 გადაწყვეტილება, II-37; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-45; N3/5/626 გადაწყვეტილება, II-26; N2/5/658 გადაწყვეტილება, II-14.

[3602] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-30.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპების, ამომრჩეველთა მიერ დელეგირებული ხელისუფლების უსაფუძვლო და თვითნებური შეზღუდვისაგან დაცვის ინტერესებითაც.[3603]

1674 ჩარევის შემოწმების სიმკაცრის ხარისხზე გავლენას ახდენს თვით შეზღუდვის სიმძიმე. რაც უფრო მძიმეა ჩარევა, მით უფრო მკაცრი სტანდარტებით ფასდება ის. თავის მხრივ, ჩარევის სიმძიმე დამოკიდებულია მის კრიტერიუმებზე, ადრესატების კატეგორიასა და შეზღუდვის ინტენსივობაზე.[3604]

3.2. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება

1675 კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, მოქალაქეს საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება აქვს იმ პირობით, თუ ის აკმაყოფილებს „კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“. ტერმინი „კანონმდებლობა“ მოიცავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საჯარო თანამდებობის დაკავების პირობები პირდაპირ კანონქვემდებარე აქტით, საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე, შეიძლება განისაზღვროს. სხვა ძირითადი უფლებების მსგავსად, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვის არსებითი, ნორმატიულად მოწესრიგებადი საკითხები საკანონმდებლო აქტებით უნდა დარეგულირდეს, ხოლო მათ საფუძველზე და შესასრულებლად გამოცემულმა კანონქვემდებარე აქტებმა შეიძლება დაარეგულიროს შედარებით მეორეხარისხოვანი დეტალები. ამდენად, შესაძლებელია, რომ პარლამენტმა მოახდინოს გარკვეული საკითხების მოწესრიგების დელეგირება სხვა ორგანოზე ან თანამდებობის პირზე.[3605] ამასთან, როდესაც კონსტიტუციის სპეციალური ნორმა ითვალისწინებს საკითხის ორგანული კანონით მოწესრიგებას, საკონსტიტუციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს „საკუთარ თავზე დელეგირებას“ - ორგანული კანონით იმის განსაზღვრას, რომ ეს საკითხი „ჩვეულებრივი“ კანონით რეგულირდება.[3606]

1676 კანონის დათქმას შეიცავს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაც, რომლის თანახმად „საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“. აქედან გამომდინარე, თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისა და თანამდებობიდან გათავისუფლებისაგან დაცვის უფლებრივ კომპონენტებში ჩარევაც საკანონმდებლო აქტით უნდა მოწესრიგდეს. თუ უფლებას ამ კატეგორიის ნორმატიული აქტი ზღუდავს, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნას დაკმაყოფილებულად თვლის.[3607] გარკვეული არაარსებითი და პრინციპული მნიშვნელობის არმქონე საკითხების დელეგირების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მოწესრიგება, ზემოაღნიშნული სტანდარტების დაცვით, აქაც არაა გამორიცხული. ამასთან, თუ კანონქვემდებარე აქტს

[3603] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-17.

[3604] N2/1/572 გადაწყვეტილება, II-3.

[3605] N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-18-19; N2/5/658 გადაწყვეტილება, II-27.

[3606] N2/5/658 გადაწყვეტილება, II-28.

[3607] N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-11.

საკანონმდებლო საფუძველი არ აქვს ან გამოცემულია კონსტიტუციური სტანდარტების დარღვევით განხორციელებული დელეგირების ფარგლებში, ის უკვე ფორმალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციურია.

1677 გარკვეულ საჯარო თანამდებობებთან დაკავშირებით კონსტიტუცია სპეციალურ საკანონმდებლო დათქმებს შეიცავს, რომელიც შეიძლება ორგანული კანონის მიღებასაც მოითხოვდეს. მაგალითად, 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ამგვარ შემთხვევებში, შესაბამისი საკითხის მოწესრიგება უფრო დაბალი რანგის საკანონმდებლო აქტით ეწინააღმდეგება ფორმალურ სტანდარტებს და არაკონსტიტუციურია.[3608] ეს არ გამორიცხავს სხვა საკითხების „ჩვეულებრივი“ კანონით მოწესრიგების კონსტიტუციასთან შესაბამისობას.[3609]

1678 კონსტიტუცია ასევე შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს ზოგიერთი საჯარო თანამდებობის დაკავებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების მნიშვნელოვან ფორმალურ პირობებს. საჯარო თანამდებობის უფლებაში ჩარევის შემოწმებისას ეს ნორმებიც მიიღება მხედველობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „შეუძლებელია, სადავო საკითხის კონსტიტუციურობის სრულფასოვანი გადაწყვეტა, თუ სასამართლო კონსტიტუციის ნორმებს ერთმანეთთან კავშირში არ წაიკითხავს/განმარტავს.“[3610] მაგალითად, არაკონსტიტუციურად ჩაითვალა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაკისრება 18 თვის ვადით, რადგანაც კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას არანაკლებ 10 წლის ვადით და არ უშვებდა გამონაკლისს.[3611]

1679 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შემზღუდავი კანონი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის ხარისხობრივ სტანდარტს, რათა დაცული იყოს სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების მოთხოვნები და თავიდან იქნეს აცილებული სახელისუფლებო თვითნებობა. კანონი, სიცხადის საკმარისი ხარისხით, უნდა განსაზღვრავდეს საჯარო ხელისუფლების მოქმედების ფარგლებსა და უფლებამოსილებებს. მისი შინაარსი არ უნდა აძლევდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას საკუთარი ქმედებების დიაპაზონის დამოუკიდებლად დადგენის საშუალებას. უფლების სუბიექტისათვის საკმარისად ცხადი უნდა იყოს მის უფლებაში ჩარევის მიზანი, წესი და განმახორციელებელი პირი ან ორგანო. კანონის განსაზღვრულობას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალშემფარდებლებისთვისაც. მათთვის ნათელი უნდა იყოს, რა შემთხვევაში და როგორი ინტენსივობითაა დასაშვები უფლების შეზღუდვა, რათა განხორციელდეს შესაძლო თვითნებობის პრევენცია.[3612]

1680 სადავო ნორმის, რომელიც ითვალისწინებდა ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებას, განსაზღვრულობაზე მსჯელობისას გამოიკვეთა პრობლემა,

[3608] N2/5/658 გადაწყვეტილება, II-32.

[3609] იქვე, II-33.

[3610] N3/1/659 გადაწყვეტილება, II-20.

[3611] N1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება, III.

[3612] შეადარე: N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-22-23.

რომ კანონმდებლობა არ შეიცავდა საკმარისად ცხად და მკაფიო მითითებებს თანამდებობიდან გადაყენების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხებოდა მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს - მერს. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „..საყოველთაო და პირდაპირი წესით არჩეული პირების თანამდებობიდან გადაყენების ინსტიტუციური მოწესრიგება მთლიანობაში უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და ეფუძნებოდეს მკაცრად და დეტალურად რეგლამენტირებულ პროცედურებს.“ მიუხედავად ამისა, კანონმდებლობის ასეთი ხარვეზები, ცალკე აღებული, არ იწვევდა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლების დარღვევას და მისთვის, სიცხადის საკმარისი ხარისხით, იყო მიწოდებული ინფორმაცია თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით.[3613]

1681 ზემოაღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავებით, განუსაზღვრელობის გამო სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა დადგინდა გადაწყვეტილებით, რომელიც შეეხებოდა მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანის საკითხს. არ იყო განსაზღვრული სამსახურებრივი გადაადგილების კონკრეტული საფუძვლები, რაც ქმნიდა უფლებამოსილი პირის დისკრეციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობასა და თვითნებობის საფრთხეს. საფრთხის ხარისხს ზრდიდა ის გარემოება, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანა შესაძლოა გამხდარიყო მოსამსახურის თანამდებობიდან დათხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. სადავო ნორმას არ ჰქონდა განსაზღვრულობის ის ხარისხი, რაც ცალსახად გამორიცხავდა, მისი გამოყენების საფუძველზე, უფლების დარღვევას. მოსამსახურეს ურთულდებოდა თავისი უფლების შეზღუდვის მიზნის ცხადი იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, ირღვეოდა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება იმ პირობებში, როდესაც სამსახურიდან გათავისუფლება ხდებოდა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის მომენტიდან და ამავდროულად, არ არსებობდა სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძველი.[3614]

3.3. თანაზომიერების შემოწმება

3.3.1. ლეგიტიმური მიზანი

1682 თუ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევა არ არღვევს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს, გადამოწმებას ექვემდებარება მისი კონსტიტუციურობა მატერიალური თვალსაზრისით. ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს.[3615] ამ პრინციპთან შესაბამისობის შემოწმება იწყება საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის დადგენით. იმის დასაბუთების ტვირთი, რომ შეზღუდვა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, ღირებული ლეგიტიმური

[3613] დაწვრილებით იხ.: N3/1/574 გადაწყვეტილება, II-45-53.

[3614] დაწვრილებით იხ.: N1/4/614,616 გადაწყვეტილება, II-24-29.

[3615] N3/2/588 გადაწყვეტილება, II-41; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-35; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-44; N3/1/659 გადაწყვეტილება, II-25, 32; N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-35.

მიზნის მიღწევას ემსახურება, სახელმწიფოს ეკისრება,[3616] თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ლეგიტიმური მიზანი თვით სადავო ნორმიდან იკითხება.[3617] თუ სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ასახელებს საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევის მიზანს და მას ვერც საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კანონმდებლობის ანალიზისა და საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე, შეზღუდვა ითვლება თვითმიზნურად და არაკონსტიტუციურად.[3618]

1683 პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ვერსია. მაგალითად, ახალი მერის (გამგებლის) არჩევისას მერიის (გამგეობის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად მოპასუხე მხარემ დაასახელა თანამდებობის პირების ჩანაცვლებადობის უზრუნველყოფა, რაც, მისი აზრით, დემოკრატიული ხელისუფლების არსებითი მახასიათებელი იყო.[3619] საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ არჩევნების შემდეგ მოხელეთა ჩანაცვლება ახლადარჩეული თანამდებობის პოლიტიკური გუნდის წევრებით დემოკრატიის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა და არ წარმოადგენდა კონსტიტუციის მოთხოვნას, რადგანაც დემოკრატიულ სახელმწიფოში პროფესიული კადრების ცვლილება პოლიტიკურ პროცესებზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამდენად, პროფესიული კადრების თვითნებური ჩანაცვლებადობა ვერ გამოდგებოდა უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად.[3620]

1684 საკონსტიტუციო სასამართლო, შესაბამისი ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, უმეტესწილად იზიარებს ხოლმე ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებულ პოზიციას, მაგალითად: საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის ლეგიტიმურ მიზნად ჩაითვალა საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის უფრო წარმომადგენლობითი, ეფექტიანი და გამჭვირვალე მოდელის დანერგვა;[3621] კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ყოფილი თანამდებობის პირების მიერ გარკვეული თანამდებობების დაკავების აკრძალვისა - ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის დაძლევა;[3622] მოსამართლის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით განწესებისა - დამოუკიდებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა;[3623] სასამართლოს მანდატურის ზღვრული ასაკისა - მანდატურის სამსახურის ფუნქციების სრულფასოვნად და ეფექტიანად განხორციელება, საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა[3624] და ა.შ.

[3616] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-29; N2/1/572 გადაწყვეტილება, II-12.
[3617] დაწვრილებით იხ.: N3/1/574 გადაწყვეტილება, II-24-27.
[3618] N3/5/626 გადაწყვეტილება, II-54-55.
[3619] იქვე, II-40.
[3620] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-46-50.
[3621] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-41.
[3622] N2/5/560 გადაწყვეტილება, II-43-52.
[3623] დაწვრილებით იხ.: N3/1/659 გადაწყვეტილება, II-34-36.
[3624] დაწვრილებით იხ.: N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-14-16.

3.3.2. გამოსადეგობა

1685 როდესაც საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვას აქვს ლეგიტიმური მიზანი, შემდეგ უნდა გაირკვეს, რამდენადაა ის ლოგიკურ კავშირში ამ მიზანთან და ემსახურება თუ არა მის მიღწევას.[3625] გამოსადეგობის შეფასებისას გაითვალისწინება განსახილველი ურთიერთობის სპეციფიკა და შესაბამისი თანამდებობის ფუნქციები.[3626] მაგალითად, მოსამართლის გამოსაცდელი ვადით განწესების გამოსადეგობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიმოიხილა მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა და დაასკვნა, რომ განსაზღვრული ვადით დანიშვნა უკავშირდებოდა იმ მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების გამოკვლევას, რომელთა შესწავლა რთული იქნებოდა მოსამართლის პრაქტიკული საქმიანობის გაანალიზების გარეშე. გამოსაცდელი ვადით განწესება გამოსადეგ საშუალებად ჩაითვალა.[3627]

1686 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა გამოუსადეგარ საშუალებად მიიჩნევა, თუ მას არ აქვს ლოგიკური კავშირი ლეგიტიმურ მიზანთან. მაგალითად, ამგვარი კავშირი ვერ დაადგინა საკონსტიტუციო სასამართლომ მანდატურის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლებასა და ლეგიტიმურ მიზანს - მანდატურის სამსახურის ფუნქციების სრულფასოვნად და ეფექტიანად განხორციელებას შორის. ზოგადად, მანდატურის ფუნქციების განხორციელება კავშირში იყო ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, თუმცა ზღვრული ასაკის მიღწევა არ წარმოადგენდა ამ მონაცემების დადგენის რაციონალურ კრიტერიუმს. ის თავისთავად არ მიუთითებდა იმაზე, რომ პირს აღარ ჰქონდა მანდატურისათვის აუცილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური მონაცემები.[3628]

1687 გამოსადეგობის კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს ჩარევა, რომელიც არათუ ემსახურება, არამედ ართულებს ან შეუძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნის მიღწევისათვის გამოუსადეგარ საშუალებად ჩაითვალა მერიის (გამგეობის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტა ახალი მერის (გამგებლის) უფლებამოსილების დაწყების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა პროფესიონალი კადრების მნიშვნელობას დაწესებულების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. სადავო ნორმები არ ტოვებდა შესაბამისი თანამდებობის პირების კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და სხვა უნარების შემოწმებისა და შეფასების შესაძლებლობას. ამის გარეშე, თანამდებობიდან პროფესიული კადრების ავტომატური გათავისუფლებით, შეუძლებელი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნის მიღწევა.[3629]

[3625] მაგ.: N3/3/600 გადაწყვეტილება, II-48.

[3626] დაწვრილებით იხ.: N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-17-30.

[3627] დაწვრილებით იხ.: N3/1/659 გადაწყვეტილება, II-37-41.

[3628] დაწვრილებით იხ.: N3/2/767,1272 გადაწყვეტილება, II-17-30.

[3629] დაწვრილებით იხ.: N3/5/626 გადაწყვეტილება, II-42-45.

3.3.3. აუცილებლობა

1688 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევა არათანაზომიერი და შესაბამისად, არაკონსტიტუციური იქნება, თუ ის ვერ დააკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნას. ჩარევა უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას, ხოლო „...სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ არ არსებობს სხვა უფრო ნაკლებად მზღუდველი ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა..“[3630]

1689 საჯარო თანადებობის დაკავების უფლებაში ჩარევა არ შეესაბამება აუცილებლობის კრიტერიუმს, როდესაც იკვეთება ალტერნატიული საშუალება, რომელიც მსგავსი ეფექტიანობით, თუმცა უფლების ნაკლებად ინტენსიური შეზღუდვით ან სულაც, უფლებაში ჩარევის გარეშე, უზრუნველყოფს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა არ ჩაითვალა აუცილებელ საშუალებად. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა - საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირება, სამეურვეო საბჭოს პლურალიზმისა და საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა - შეიძლებოდა ალტერნატიული რეგულირებით, რომელიც შექმნიდა სამეურვეო საბჭოში ძველი და ახალი წესით არჩეული წევრების ერთობლივი საქმიანობის შესაძლებლობას, ძველი წესით არჩეული წევრების უფლებათა შეზღუდვის გარეშე.[3631]

1690 აუცილებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილება განსაკუთრებით უჭირს ისეთ შეზღუდვას, რომელსაც ბლანკეტური ხასიათი აქვს.[3632] ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უფრო ადვილია ნაკლებად მზღუდავი ალტერნატივის გამოკვეთა. მაგალითად, აუცილებელ ჩარევად არ ჩაითვალა გამოძიების ქვეშ მყოფი პირის საჯარო თანამდებობაზე დანიშვნის აკრძალვა. მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შეიძლებოდა დანიშვნის არა ბლანკეტური აკრძალვით, არამედ კონკრეტული საქმის გარემოებების შეფასების საფუძველზე, როდესაც პირის დანიშვნა მართლაც შექმნიდა საფრთხეს და დააზიანებდა მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს.[3633] იგივე შეზღუდვა არ იყო აუცილებელი საჯარო სამსახურის სტაბილურობის მიზნის მისაღწევადაც, რის ძირითად მიზეზსაც ასევე მისი ბლანკეტური ხასიათი წარმოადგენდა. გამოძიების ქვეშ მყოფი პირის დანიშვნა იკრძალებოდა ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინ როდესაც ამ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო ინდივიდუალური შემთხვევის გარემოებებისა და კონკრეტული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ რეალურად იარსებებდა არდანიშვნის ობიექტური საჭიროება.[3634]

1691 შესაძლებელია ჩარევა წარმოადგენდეს უფრო მსუბუქ საშუალებას, ვიდრე შეზღუდვის სხვა ფორმა, თუმცა ეს a priori არ მეტყველებს იმაზე, რომ ის აუცილებლობის მოთხოვნას აკმაყოფილებს, რადგანაც შესაძლებელია არსებობდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის

[3630] დაწვრილებით იხ.: N1/2/569 გადაწყვეტილება, II-44-50.
[3631] იქვე, II-45.
[3632] შეადარე მაგ.: N3/1/659 გადაწყვეტილება, II-42-45.
[3633] დაწვრილებით იხ.: N2/1/572 გადაწყვეტილება, II-16-17.
[3634] დაწვრილებით იხ.: იქვე, II-18-27.

კიდევ უფრო ნაკლებად დამაზიანებელი საშუალება. მაგალითად, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ ბრალდებული თანამდებობის პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება წარმოადგენდა აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ნაკლებად მზღუდველ ალტერნატივას. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მხოლოდ ეს გარემოება ვერ აქცევდა მას უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებად.[3635]

3.3.4. პროპორციულობა

1692 (ვიწრო გაგებით) პროპორციულობა მოითხოვს, რომ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვისას დაცული იყოს გონივრული ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.[3636] თუ რამდენადაა ბალანსი დაცული, ირკვევა დაპირისპირებული ინტერესების გაანალიზების, სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის საფუძველზე. აქ იგულისხმება, ერთი მხრივ, ჩარევის ლეგიტიმური მიზანი, ხოლო მეორე მხრივ - მისი საპირწონე ინტერესები, რომელთა შეზღუდვაც ხდება.[3637] სიკეთეთა შედარებისას მნიშვნელობა არა მხოლოდ უშუალოდ ურთიერთდაპირისპირებულ, არამედ მათთან კავშირში მყოფ ინტერესებსაც ენიჭება. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ სამეურვეო საბჭოს წევრების საქმიანობაში ჩაურევლობის ინტერესთან დააკავშირა ასევე სამეურვეო საბჭოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი.[3638]

1693 პროპორციულობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუ სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის საფუძველზე გაირკვევა, რომ სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება ჩარევა, უფრო წონადია, ვიდრე საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებიდან გამომდინარე სუბიექტური ინტერესი. მაგალითად, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ყოფილი თანამდებობის პირების მიერ, გარკვეული თანამდებობების დაკავების აკრძალვის საქმეში საჯარო თანამდებობის დაკავებზე უფლება დაუპირისპირდა სახელმწიფო უშიშროების დაცვისა და საბჭოთა ტოტალიტარული იდეოლოგიის დაძლევის საჯარო ინტერესს. ჩარევის ინტენსივობას ამცირებდა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მხოლოდ იმ თანამდებობების დაკავება ეზღუდებოდა, რომელსაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო გავლენა მოეხდინა სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის მდგრადობასა და განვითარებაზე. მიუხედავად დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური პლურალიზმისა და საჯარო მმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტირებისა, დემოკრატიული სახელმწიფოს იდეის დაძლევა არ უნდა მომხდარიყო დემოკრატიული მეთოდების მეშვეობით, ხოლო კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა ამგვარი რისკებისაგან დაცვის მექანიზმები, მათ შორის საჯარო სამსახურში ისეთი პირების არდაშვება, რომლებიც შექმნიდნენ შეუქცევად საფრთხეებს. აქედან გამომდინარე, შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების დაცვის საჯარო ინტერესმა გადაწონა საჯარო თანამდებობის დაკავების ინდივიდუალური ინტერესი. მოსარჩელის

[3635] დაწვრილებით იხ.: N3/1/574 გადაწყვეტილება, II-41-44.

[3636] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-51.

[3637] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-21.

[3638] N1/2/569 გადაწყვეტილება, II-51.

მსგავს სიტუაციაში მყოფი პირებისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და შეფასების პირობით, სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგებოდა თანაზომიერების მოთხოვნებს.[3639]

1694 როდესაც საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ჩარევის სიმძიმე აჭარბებს იმ სიკეთეს, რაც უფლების შეზღუდვამ მოიტანა, პროპორციულობის სტანდარტი დარღვეულია. მაგალითად, ბრალდებული არჩევითი თანამდებობის პირის (მერის) სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე თანამდებობიდან გადაყენებაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა შეზღუდვის მაღალ ინტენსივობას. თანამდებობიდან გადაყენების, როგორც ჩარევის, სიმძიმე იზრდებოდა მისი ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე. მას ჰქონდა შეუქცევადი ხასიათი, რადგანაც მერი არჩეული იყო განსაზღვრული ვადით და გადაყენებით გაცდენილი პერიოდი აღდგენას არ ექვემდებარებოდა. კიდევ უფრო აშკარა იყო თანამდებობიდან გადაყენების არაპროპორციულობა იმ შემთხვევაში, თუ ის მერის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არ დასრულდებოდა, რადგანაც ამ დროს თანამდებობაზე აღდგენის ობიექტური შესაძლებლობაც არ იარსებებდა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო. გარდა ამისა, თანამდებობიდან გადაყენება გრძელდებოდა სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. თავის მხრივ, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება არ იყო შეზღუდული დროით. გადაყენების საფუძვლების გაბათილების შემთხვევაში არ არსებობდა ამ ღონისძიების გაუქმების ბერკეტები. აქედან გამომდინარე, სადავო ჩარევა ჩაითვალა გაუმართლებლად ინტენსიურად და არაპროპორციულად.[3640]

3.4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემოწმება

1695 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების შესრულების კონტროლის ფარგლებში, შემოწმებას ექვემდებარება, რამდენად შეასრულა სახელმწიფომ შესაბამისი ვალდებულება და ხომ არ ჰქონდა ადგილი მის უმოქმედობას, რამაც უფლების დარღვევა გამოიწვია. თუ სახელმწიფომ განახორციელა გარკვეული მოქმედებები, მაშინ უნდა შეფასდეს, ხომ არ დარღვეულა არასაკმარისი ზომების აკრძალვის პრინციპი, ანუ ხომ არ გააკეთა სახელმწიფომ იმაზე არათანაზომიერად ნაკლები, ვიდრე მოეთხოვებოდა.

1696 კონსტიტუციის მოთხოვნები დაცულია, როდესაც სახელმწიფო თავის ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო და საკმარის ზომებს ახორციელებს. მაგალითად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ანალიზის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ ის არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. კანონი დეტალურად არეგულირებდა კანდიდატების შეფასების კრიტერიუმებსა და წესს. ის ითვალისწინებდა საკმარის გარანტიებს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დისკრეციული

[3639] დაწვრილებით იხ.: N2/5/560 გადაწყვეტილება, II-55-61.
[3640] დაწვრილებით იხ.: N3/1/574 გადაწყვეტილება, II-38-43.

უფლებამოსილებით მანიპულირებისაგან დასაცავად - მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების ფურცლები, რაც საბჭოს წევრთა პოზიციის დასაბუთებას ასახავდა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას იძლეოდა.[3641]

1697 თუ სახელმწიფო არ მოქმედებს ან არასაკმარის ზომებს იღებს პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად, ამით ირღვევა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია საკრებულოს მიერ მერისათვის უნდობლობის გამოცხადებისა და ამ გზით თანამდებობიდან გადაყენების ინსტიტუტი. მერის არჩევითობა არ ჩაითვალა მისთვის დამატებითი კონსტიტუციური გარანტიების შექმნის საფუძვლად, რადგანაც კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებდა მერის არჩევას. მერს არ ჰქონდა იმგვარი კომპეტენციები ან ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვდა ხელშეუხებლობის გარანტიების არსებობას და დაცვას საკრებულოს მიერ პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო, დასაბუთებისა და კონკრეტული საფუძვლების მითითების გარეშე თანამდებობიდან გათავი-სუფლებისაგან. გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ამკვიდრებდა უნდობლობის გამოცხადების სახით ისეთ მექანიზმს, რომელიც არსებითად ართულებდა ან შეუძლებელს ხდიდა მერის თანამდებობის დაკავებას ან საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას. ის შეიცავდა საკმარის გარანტიებს მერის ინტერესების დასაცავად და მისი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, დაუშვებელი იყო უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება და უნდობლობის გამოცხადება მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო 1 წლის განმავლობაში. თუ საკრებულო ვერ მოახერხებდა უნდობლობის გამოცხადებას, ამ საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში გამოირიცხებოდა. გარდა ამისა, უნდობლობის გამოცხადება მოითხოვდა საკრებულოს კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერას.[3642] საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული პოზიცია საკამათოა. მერის პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაციის მნიშვნელობის იგნორირება იმის გამო, რომ მის პირდაპირ არჩევას უშუალოდ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს, არ არის მართებული.[3643] თვით საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს მერის თანამდებობიდან გადაყენების კონტექსტში აღნიშნული, რომ დემოკრატიის მოთხოვნაა, არ მოხდეს ხალხის ნების იგნორირება და არ იქნეს დაძლეული მის მიერ მინიჭებული მანდატი.[3644] პირდაპირ არჩეული მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის[3645] თანამდებობიდან თვითნებური გათავისუფლებისაგან დაცვის გაცილებით მყარი გარანტიებია საჭირო, ვიდრე ის ფორმალურ-პროცედურული რეგულირებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ საკმარისად ჩათვალა. კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს უნდობლობის

[3641] დაწვრილებით იხ.: N3/2/717 გადაწყვეტილება, II-52-54.

[3642] დაწვრილებით იხ.: N3/1/1298,1313 გადაწყვეტილება, II-23-37.

[3643] არჩევნების ვიწრო გაგებასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია უკვე ჩამოვაყალიბეთ საარჩევნო უფლების თავში.

[3644] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-13.

[3645] საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გამოცხადების მატერიალურ საფუძვლებს, რომლებიც თავის მხრივ, ასევე ექვემდებარება კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას.[3646]

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013; იზორია/ კორკელია/ კუბლაშვილი/ ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005; კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მე-5 გამოცემა, 2019; ლოლაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, გეგენავა დიმიტრი (რედ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021; Battis U. (Bearb.), Kommentar zum Art. 33 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011.

[3646] შეადარე: ლოლაძე ბ., ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, გეგენავა დიმიტრი (რედ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021, 340 (355).

მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება

1. შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

2. ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.

3. გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების პირობები და წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

4. მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

შინაარსი

მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება 670

შინაარსი 670

1. ზოგადი მნიშვნელობა 671

1.1. შრომის თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა 675

1.2. პროფესიული კავშირების თავისუფლება 676

1.3. გაფიცვის უფლება 676

1.4. მეწარმეობის თავისუფლება და მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა 677

1.5. მომხმარებელთა უფლებები 678

1.6. მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა 679

2. შრომის თავისუფლებიდან, პროფესიული კავშირების თავისუფლებიდან, გაფიცვის უფლებისა და მეწარმეობის თავისუფლებიდან გამომდინარე სახელწმიფოს ვალდებულებები 681

3. შრომის თავისუფლებით, პროფესიული კავშირების თავისუფლებით, გაფიცვის უფლებით და მეწარმეობის თავისუფლებით დაცული სფერო 684

3.1 პერსონალურად დაცული სფერო 684

3.2. საგნობრივად დაცული სფერო 685

3.2.1. შრომის თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო 685

3.2.2 პროფესიული კავშირების თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო 687

3.2.3. გაფიცვის უფლებით საგნობრივად დაცული სფერო 688

3.2.4. მეწარმეობის თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო 689

3.2.5. მომხმარებელთა უფლებებით საგნობრივად დაცული სფერო 690

4. შრომის თავისუფლებით, პროფესიული კავშირების თავისუფლებით, გაფიცვის უფლებით და მეწარმეობის თავისუფლებითა და მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა 690

4.1. ჩარევა შრომის თავისუფლებაში 690

4.2. ჩარევა პროფესიული კავშირების თავისუფლებაში 692

4.3. მეწარმეობის თავისუფლებაში ჩარევა 692

4.4. ჩარევა მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში 693

5. ჩარევის შემოწმება/კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება 694

5.1. შრომის უფლებაში ჩარევის გამართლება..... 694

5.2. თავისუფალი მეწარმეების უფლებაში ჩარევის გამართლება 696

5.3. პროფესიულ კავშირების ჩარევა გამართლება..... 697

5.4. მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის შემოწმება..... 697

6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკა..... 699

6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა შრომით უფლებებთან დაკავშირებით 699

6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება პროფკავშირებთან დაკავშირებით..... 701

6.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით 703

6.4. გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლოს მეორე სენატის 1965 წლის 30 ნოემბრის პრაქტიკა 705

ლიტერატურა..... 707

1. ზოგადი მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებულ უფლებათა ჯგუფი 1698
სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპით არის გამყარებული. ეს
უკანასკნელი თავის მხრივ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულითა და
კონსტიტუციის მე-5 მუხლით არის გარანტირებული. გარდა ამისა სოციალური

უფლებები, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით და ასევე ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რაც შესაბამის მოთხოვნებს უწესებს ქართულ სამართლებრივ სისტემასაც.

სოციალური სახელმწიფო იმ სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება, რომელთა მინიმალურ დონეზე გარანტირებაც კი (თუკი ეს მინიმალური, სახელმწიფოს მაქსიმალურ ძალისხმევას წარმოადგენს) სოციალური სახელმწიფოს ფუნდამენტს ქმნის.

ეს სამი ელემენტია:

- სოციალური უსაფრთხოება,
- ეკონომიკური თანასწორობა
- სოციალური სამართლიანობა.

1699 მართალია, ერთი მხრივ, საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სიდიდესთან, თუმცა მხოლოდ მდიდარი ბიუჯეტის სახელმწიფოები ვერ ჩაითვლებიან სოციალურ სახელმწიფოებად, თუ ეს სიმდიდრე სამართლიანად არ არის საზოგადოებაში გადანაწილებული და პირის ღირსეული ყოფა არ არის გარანტირებული. სახელმწიფოს მცდელობაც კი, რომ თავისი ბიუჯეტი, სოციალური პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვროს და ის მატერიალური სიმდიდრე, რომელსაც ფლობს, სამართლიანად გადაანაწილოს, უკვე აქცევს მას სოციალურ სახელმწიფოდ. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ძალისხმევა და ნაკლებად – შედეგი. მთავარი, მოქმედების სოციალურად გათვლილი პრიორიტეტულობა და მათი მიზანმიმართულობაა – შექმნას ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრების პირობები.[3647]

1700 ძირითადი უფლებების სახით ფუნდამენტური ღირებულებების უზრუნველყოფა პოლიტიკური კურსის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი და ორიენტირია, ამიტომ სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების მიმართულების ანალიზი სწორედ ამ საკითხით იწყება. სწორედ ამ ფუნდამენტური ღირებულებებით დგინდება პოლიტიკის ძირითადი კურსი. ძირითადი უფლებების რეალური გარანტირება განიხილება, როგორც სოციალური სახელმწიფოს შეფასების პოლიტიკური კომპასი.[3648]

1701 როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული კეთილდღეობის გადანაწილების გარეშე, შეუძლებელია თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა წევრისათვის. თუმცა, გადანაწილება[3649] რომელიც სოციალური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპია, უნდა იყოს სამართლიანი. სწორედ ეს გარდაუვალი კავშირი სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის ქმნის ნამდვილი კეთილდღეობას. „სოციალური უფლებების“ შემოღება, ესპინგ-ანდერსენის აზრით[3650], იმისკენ არის მიმართული, რომ ინდივიდის კეთილდღეობა აღარ იყოს დამოკიდებული მხოლოდ

[3647] იხ. ფირცხალაშვილი, ქარდავა, ტურავა, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო. ფირცხალაშვილი თავი 4.1. სოციალური სახელმწიფო კონსტიტუციური პრინციპი.

[3648] გომბერტი და სხვები, სოციალური დემოკრატიის საფუძვლები, სოციალური დემოკრატიის კურს, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2002. გვ. 9-10.

[3649] Scheuner, Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 461(489 f.)

[3650] Esping-Andersen, The Three Worlds of Welfare Capitalism, Polity Press, 1990.

ბაზარზე, ანუ მოხდეს ინდივიდის დეკომოდიფიკაცია[3651]. დეკომოდიფიკაცია ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდს სერვისი მიეწოდება, როგორც მისი უფლების განხორციელება და არა როგორც ქველმოქმედება.[3652]

1702 შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება და გაფიცვის უფლება ადამიანის სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და სხვა ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა. ამ კატეგორიის უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. ასეთი უფლებების გარეშე წარმოუდგენელია სოციალური სახელმწიფოს არსებობა.[3653]

1703 საქართველოს პირველ კონსტიტუცია სრულყოფილად აწესრიგებდა შრომით ურთიერთობებს, მასში აღნიშნული იყო: „შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა"; „სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს", „ამასთანავე, კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს"; „წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია", „16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში", ხოლო „მოზარდთა და საზოგადოდ, ქალთათვის, ღამით მუშაობა აკრძალულია"; „აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში"; „მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად" და „დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები"; „რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედების და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა"; „შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით". კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო მინიმალური ხელფასისა და შრომის ნორმალური პირობების განსაზღვრა, შრომის ინსპექციისა და სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურების შექმნა.

1704 აღნიშვნის ღირსია, რომ სოციალური დემოკრატია, როგორც იდეა და მასზე დაშენებული სოციალური უფლებები, აბსოლუტურად არ ყოფილა გაუაზრებლად და შემთხვევით მოტანილი ქართულ კონსტიტუციონალიზმში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პირველ კონსტიტუციას რამდენიმე სისტემური პრობლემა ჰქონდა: მათ შორის იყო ისიც, რომ, „კონსტიტუცია ძალიან დიდი დოზით შეიცავდა სოციალურ უფლებებს, რომელთა უმრავლესობის რეალიზაციაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა არა მხოლოდ ძირითადი კანონის მდგრადობასა და ავტორიტეტს, არამედ თავად სახელმწიფოს არსებობა-არარსებობასაც კი".[3654] მაგალითად, ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ სოციალ-

[3651] დეკომოდიფიკაცია გულისხმობს, თუ რამდენად არის პიროვნების უზრუნველყოფა დამოკიდებული ბაზარზე, განსაკუთრებით პენსიის, უმუშევრობის სარგებლისა და სამედიცინო დაზღვევასთან მიმართებით. დეკომოდიზაცია ხელს უწყობს სოციალური დახმარებების მიმღებებსა და დასაქმებულებზე საბაზრო დამოკიდებულების შემცირებას. ე.ი. რაც ნაკლებია დამოკიდებულება ბაზარზე, მით მაღალია დეკომოდიფიკაციის ხარისხი.

[3652] დიაკონიძე, სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, GIPA. თბილისი 2014. გვ. 7.

[3653] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი. თბ., 2013. გვ. 361.

[3654] გეგენავა, საქართველოს პირველი კონსტიტუცია: მითებსა და სინამდვილეს შორის. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია დეკემბერი 2021 გამოცემა № 1-2 / 202. გვ. 107.

დემოკრატები „სახელმწიფოს უყენებთ გარკვეულ ნათელ მიზანს: საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე გარდაქმნას. მაგრამ, როცა ამ მიზნისკენ მივისწრაფვით, მაშინ აუცილებლად უნდა გავიაროთ საჭირო პოლიტიკურ-ეკონომიკური საფეხურები.“ „ბოლშევიკებმა მოინდომეს დაბალ საფეხურიდან მაღლისაზე გადახტომა, ერთი შეხტომით ძველი რეჟიმის სამეფოდან სოციალიზმის სამეფოში შესვლა“[3655] ასეთ სისტემურ მიდგომას, არა მხოლოდ კონსტიტუციის დამფუძნებლები, არამედ უცხოელი მოღვაწეებიც აღნიშნავდნენ. ცნობილი ინგლისელი მოღვაწე მაკდონალდი საქართველოს შესახებ გაზეთ „ნეიშენ“–ში წერდა, რომ „მე გავეცანი მის [საქართველოს] კონსტიტუციას, მის სოციალური და ეკონომიკურ აღმშენებლობას და რაც იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში.[3656]

1705 კარლ კაუცკის აზრით,– რუსეთისაგან განსხვავებით, ქართულმა მთავრობამ გადაწყვიტა სოციალიზმისაკენ სვლა დემოკრატიული მეთოდებით, რაც იყო ბოლშევიზმის ანტითეზა, ანუ სოციალიზმისაკენ კაპიტალიზმის გავლით.[3657]

1706 გასული საუკუნის დასაწყისში შემუშავებული სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციაში აისახა, იყო ძალიან კარგად გააზრებული და ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული და მისი ღირებულებებით გაჯერებული. მასში შემთხვევით არ იყო გაწერილი, მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევა, ღარიბი მოსახლეობის განათლების უფლებაზე წვდომის გარანტიები, დასაქმების ხელშეწყობა და ა.შ. ევროპის მრავალ ქვეყანაში თითოეული მათგანი, სისტემურად იყო გააზრებული და რიგ შემთხვევებში, დანერგილი. ამას ადასტურებს სოციალური სამართლის განვითარების ისტორია ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში.[3658] კომუნისტურმა რეჟიმმა, პოსტ. საბჭოთა საზოგადოებას ყველაფერი „სოციალურის“ მიმართ შიში და პროტესტი მოუტანა. ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, დღემდე ვერ გაითავისეს სოციალური სახელმწოფოს პრინციპის არსი, რომელიც, როგორც კონსტიტუციური პრინციპი, ბოჭავს ხელისუფლებას და არ აძლევს მას სხვა არჩევანის უფლებას.

1707 სახელმწიფოებრიობის ისტორიაში განსაკუთრებით მძიმე როლი ითამაშა საქართველოს გასაბჭოებამ. საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგია სწორედ სოციალურ საკითხებზე აქცენტირებით ახდენდა ინდივიდუალური თავისუფლების იგნორირებას.[3659] მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც, გაბატონებული იყო სისტემა, რომელიც გულისხმობდა მკაცრ ცენტრალურ დაგეგმვას, მართვასა და განაწილებას.[3660] ინდივიდუალური ინიციატივის ნებისმიერი გამოვლინება

[3655]ნოე ჟორდანიას მოხსენება წაკითხული თბილისში პარტიულ კრებაზე 1918 წლის 4 აგვისტოს, წიგნიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რედაქტორი, პაპუაშვილი, 6.

[3656] მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბილისი, 2008, 171.

[3657]კაუცკი, საქართველო, გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა, შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 2018.

[3658] ფირცხალაშვილი, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო (ფიცხალაშვილი/ქარდვა/ტურავა), აბზ. 151-157.

[3659]ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო– საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, გვ 113.სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კორკელია, თბილისი, 2012.

[3660] ფირცხალაშვილი, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო (ფიცხალაშვილი, ქარადვა, ტურავა), აბზ. 89

იყო არასასურველი და ხშირად დასჯადიც კი. საუბარიც კი ზედმეტია სამართლებრივი სახელმწიფოსა და თავისუფლების ნებისმიერი ფორმით გამოვლინებაზე.[3661]

1.1. შრომის თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა

1708 საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით უზრუნველყოფილია შრომის თავისუფლება. ნორმა იქვე აზუსტებს შრომის თავისუფლების ცნებას შემდეგი წინადადებით, რომ „ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება“. თუმცა ამავე პუნქტის მესამე წინადადება, უკვე შრომის უფლებას და არა შრომის თავისუფლებას, იცავს და კანონმდებელს ავალდებულებს, შეიმუშავოს ორგანული კანონი, რომელიც დაიცავს უფლებას შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომით უფლებებს. კითხვა, „შრომის თავისუფლება“, თუ „შრომის უფლება“ იყო დისკუსიის საგანი კონსტიტუციის 2017 წლის რევიზიის დროს. როგორც ცნობილია, საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში აღიარებული და დაცულია _ ადამიანის უფლება-თავისუფლებები. მიუხედავად იმისა, რომ უფლებისა და თავისუფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთი შეხედვით მარტივი ჩანს, იგი ზოგჯერ გარკვეულ ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას ქმნის. კლასიკური განმარტებით, „თავისუფლება“ მხოლოდ ჩარევის გარეშე არსებობას ნიშნავს. „უფლება“ კი სახელმწიფოსგან რაიმეს მოთხოვნის და ამ სიკეთის დასაცავად მისი პოზიტიური ქმედების საფუძველს ქმნის. ტერმინი „თავისუფლება“ უფრო მეტად ლიბერალური კომპონენტებისაგან შედგება. უფლება კი მეტად სოციალურ ელემენტებს აყენებს წინა პლანზე. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი გამიჯვნა მრავალ გამონაკლისს ქმნის.

1709 შრომის უფლება, ისე როგორც საკუთრების უფლება, დატვირთულია სოციალური ასპექტებით. ამიტომაც იგი ვერ იქნება თავისუფალი სახელმწიფო რეგულაციებისაგან. ისე, როგორც ყოველი გარიგება, კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, შრომითი ურთიერთობებიც უნდა გამორიცხავდეს დასაქმებულის ექსპლუატაციას.

1710 ადამიანის შრომა ეს ის სიკეთეა, რომელზეც დგას საზოგადოება, რომელიც ქმნის ყველა იმ მეტერიალურ, თუ არამეტერიალურ პროდუქტს, რომლითაც საზოგადოების ნებისმიერი წევრი სარგებლობს. შესაბამისად სამართლიანი შრომითი რეგულაციები საჯარო ინტერესს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ზედამხედველობა შრომით ურთიერთობებზე. შრომის უფლება ნიშნავს სახელმწიფოს მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებისას შექმნას სამართლიანი გარემო. სამართლიან შრომით პირობებში შექმნილ მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეს, სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ დამსაქმებელისათვის, არამედ დასაქმებულისათვის და სამართლიანად ნაწილდება სოციუმის ყველა ფენაზე.

1711 სახელმწიფოს აქტიური როლი, ღირსეული შრომითი პირობების დასაცავად, ამცირებს სოციალურ უთანასწორობას. უკეთეს შრომით პირობებში დასაქმებული უფრო ნაყოფიერად შრომობს, რომ უკეთესი შემოსავალი ჰქონდეს და ამიტომ უფრო შემსყიდველუნარიანი ხდება. შესაბამისად, ღირსეულ შრომითი პირობებში ეკონომიკის განვითარება შესაძლოა არ იყოს სწრაფი, თუმცა იგი არის მდგრადი.

[3661] Karpen, Die geschichtliche Entwicklung, S. 20; Badura, P., Der Zustand des Rechtsstaates, 13 (19).

1.2. პროფესიული კავშირების თავისუფლება

1712 საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებულია პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება. პროფესიული კავშირი მეტ დაცულობას სძენს შრომის უფლებას, რადგან პირს აქვს უფლება მისი სუბიექტური შრომითი უფლება, იგივე პროფესიის პირებთან ერთად, აქციოს კოლექტიურ უფლებად. აღნიშული არის მექანიზმი, რომელიც შრომით უფლებებს მეტ სოლიდარობას და აქედან გამომდინარე, მეტ დაცულობას სძენს. მაგალითად, გაფიცვის უფლების კონტექსტში.

1713 პროფესიული კავშირების ჩამოყალიბება და საქმიანობა ხელს უწყობს კონსტიტუციურად დეკლარირებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განხორციელებას. თანამედროვე დემოკრატიებში პროფესიული კავშირები დიდ ძალას წარმოადგენენ. ისინი იცავენ როგორც თავიანთ პროფესიულ, ისე შრომით უფლებებს და გარკვეულ გავლენას ახდენენ ხელისუფლების მიერ სოციალურ სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ პროფკავშირების საქმიანობა ემსახურება სამუშაო პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას.[3662] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მონაწილეებს (პროფესიული კავშირის წევრებს) უნდა ჰქონდეთ წევრობის სრულყოფილი შესაძლებლობა.[3663]

1714 საქართველოს პირველი კონსტიტუცია ადგენდა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად, დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება“.[3664]

პროფკავშირებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ თვით შრომის პირობების დადგენის მომენტშიც. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართ-ლომ obiter dictum მიუთითა,[3665] რომ შრომითი უფლებების დაცვა უნდა ეფუძნებოდეს, არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დამსაქმებლისათვის გარკვეული აკრძალვების დაწესებას, არამედ ასევე დასაქმებულთა კერძო ინიციატივას. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დასაქმებულთა კერძო ინიციატივას პროფესიული კავშირების, კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმების თუ სხვა თვალსაზრისით.

1.3. გაფიცვის უფლება

1715 გაფიცვის უფლება უკვე დიდი ხანია შრომის სამართალში დამკვიდრდა, როგორც ინსტიტუტი. საქართველოში საკანონმდებლო დონეზე მუშათა გაფიცვის თავისუფლება გარანტირებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის 38-ე მუხლით.

[3662] შვაბე, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, გვ. 166.
[3663] შვაბე, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, გვ. 176.
[3664] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 35-ე მუხლი.
[3665] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-49.

ისევე, როგორც ბევრი ძირითადი კონსტიტუციური უფლება, გაფიცვა არ წარმოადგენს 1716
აბსოლუტური ხასიათის უფლებას. გაფიცვა, შეკრებებისა და მანიფესტაციებისაგან, ფორმითა და მოთხოვნის შინაარსით განსხვავდება. სახელმწიფო აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მის მიმართ. მაგალითად, გაფიცვის უფლებაში ჩარევას ითვალისწინებს შრომის კოდექსის, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული დებულებები. ასევე დაცულ სფეროში ჩარევის ერთ-ერთი გამოხატულებაა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც სამინისტროს მოსამსახურეს ეკრძალება გაფიცვა ან მასში მონაწილეობა.

1717 გაფიცვის უფლება შრომითი უფლებების დაცვის შესაძლებლობაა. მისი მეშვეობით შესაძლებელია დასაქმებულების მიერ პროტესტის კოლექტიურად გამოთქმა. გაფიცვის უფლება რეგულირებადი უფლებაა, მისი რეალიზაცია ექვემდებარება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვას. გაფიცვა ხშირად დავის მოგვარების უკანასკნელ საშუალებად რჩება და მას წინ უსწრებს შემათანხმებელი პროცედურები, გარკვეული მედიაცია.

1718 გაფიცვის უფლებას აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსი. თუმცა საჯარო სექტორში გაფიცვის უფლება არაა მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით. მისი დატოვება მოწესრიგების გარეშე, სავარაუდოდ, არის სახელმწიფოს ნება. როცა კონკრეტული ქმედება შეგნებულად არ რეგულირდება, შეგვიძლია ვისაუბროთ კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილზე.

1.4. მეწარმეობის თავისუფლება და მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადებით 1719
მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. ეს ჩანაწერი მჭიდრო კავშირშია კონსტიტუციის მე-6 მუხლით გარანტირებულ ეკონომიკურ თავისუფლებასთან, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს იზრუნოს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

1720 საქართველოს 26-ე მუხლის კონსტიტუციის ჩანაწერი, ერთობლიობაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კონსტიტუცია ცდილობს გამონახოს ბალანსი, სოციალურ უფლებებსა და თავისუფალ ეკონომიკას შორის.

1721 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, მეწარმისათვის, როგორც ბაზრის „მთავარი მოთამაშისთვის“ შეთავაზებული გარანტიები და ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენტული გარემოს განვითარება, ხელს უწყობს თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებას და არაპირდაპირ ემსახურება მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქმნის მათთვის უკეთესი ხარისხის

საქონლის/მომსახურების კონკურენტულ ფასად წარმოების/მიწოდების პირობებს. [3666] სასამართლომ ამასთანავე ჩათვალა, რომ ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, მომხმარებელი ბუნებრივად წარმოადგენს ურთიერთობის სუსტ მხარეს. რადგან ბაზრის ეკონომიკური აგენტებისათვის კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლების მაღალი ხარისხი და კონკურენტული გარემო, ხშირად წინააღმდეგობაში მოდის უფრო დაუცველი მხარის - მომხმარებლის - ინტერესებთან. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ჩარევის გზით.[3667]

1722 გარდა ამისა, მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს "სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს".[3668]

1723 განსაკუთრებული კავშირი აქვთ ერთმანეთთან ხელშეკრულების, საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლებას. ,,ისევე, როგორც საკუთრების უფლება წარმოადგენს საკუთრებითი წესრიგის გამოვლინებას, თავისუფალი მეწარმეობაც შესაძლებელია მხოლოდ სამეწარმეო წესრიგის ფარგლებში. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფალ მეწარმეობასაც ხელს შეუწყობს და ეკონომიკური უსაფრთხოებაც იქნება გარანტირებული. ფასეულობებისადმი ასეთი დამოკიდებულებით, სახელმწიფო ახდენს კერძო და საჯარო ინტერესების ერთმანეთისაგან არა გაუცხოებას, არამედ უზრუნველყოფს მათ შორის სამართლიანი ბალანსისა და მშვიდობის დამყარებას. ამით სახელმწიფო ქმნის ისეთ ეკონომიკურ მართლწესრიგს, რომელშიც მეწარმის ინტერესები არა თუ წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების სამართლებრივად ანგარიშგასაწევ ინტერესებთან, არამედ, მათ ემსახურება.''[3669]

1724 მოგვიანებით, თავის შემდგომ გადაწყვეტილებებში, სასამარლომ გამიჯნა ერთმანეთისგან საკუთრების უფლება და მეწარმეობის თავისუფლება. და აღნიშნა, რომ ამასთან, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ მეწარმეობის თავისუფლების უფლებასთან შეფასებადია ისეთი შეზღუდვები, რომლებიც უპირატესად წარმოების პროცესს უკავშირდება.[3670]

1.5. მომხმარებელთა უფლებები

1725 საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 წინადადების თანახმად, „მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით". აღნიშნული დანაწესი ადგენს სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის დონეზე მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვის კონსტიტუციურ ვალდებულებას.

[3666] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი" და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ", II-2, 3.

[3667] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება, II-36.

[3668] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის № 1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს "რუსენერგოსერვისი", შპს "პატარა კახი", სს "გორგოტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი" და შპს "ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II-2.

[3669] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის №1/2/411 გადაწყვეტილება, II-4.

[3670] (იხ. საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", „შპს კასტელ ჯორჯია" და „სს წყალი მარგებელი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ", II-80).

1726 საკონსტიტუციო სასამართლომ, მომხმარებელთან დაკავშირებით, განმარტება გააკეთა საქმეში „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ.“[3671] ისევე, როგორც მეწარმე, მომხმარებელიც საბაზრო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია. სწორედ მომხმარებელი წარმოადგენს ბაზარზე არსებული პროდუქტის/მომსახურების საბოლოო მიმღებს, რომელიც მეწარმის მიერ შექმნილ თუ მიწოდებულ პროდუქტს/მომსახურებას არაკომერციული მიზნებისათვის შეიძენს. თუმცა ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, მოქმედ საბაზრო ურთიერთობებში, აღნიშნულ სუბიექტთა სავაჭრო ძალაუფლება არ არის თანაბარი. მეწარმე, როგორც წესი, მიიჩნევა იმგვარ სუბიექტად, რომელიც საკუთარი მატერიალური, ადამიანური თუ ინფორმაციული რესურსების გათვალისწინებით, გაცილებით მნიშვნელოვან სავაჭრო ძალაუფლებას ფლობს. მომხმარებელი კი, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ურთიერთობის შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს.

1727 საქართველოს კონსტიტუცია ეკონომიკურ თავისუფლებას კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპის დონეზე განამტკიცებს. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 წინადადება ექსპლიციტურად მიუთითებს მომხმარებელთა უფლებების სახელმწიფოს მიერ დაცვასა და ამ მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირებების შემუშავების ვალდებულებაზე. სასამართლოს აზრით, აღნიშნული ვალდებულების აღიარების გზით, საქართველოს კონსტიტუციამ არაორაზროვნად მიუთითა, რომ მომხმარებლის ინტერესების ჯეროვანი დაცვა ამ უკანასკნელის ძირითად უფლებას წარმოადგენს და დამოკიდებული ვერ იქნება მარტოოდენ საბაზრო ურთიერთობების თვითრეგულირებასა და ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ბაზრის სხვა მონაწილე სუბიექტებისათვის შეთავაზებულ გარანტიებზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით, ზოგადად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევა სამართლიანი და დაბალანსებული სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველსაყოფად გამართლებულ და საჭირო ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.[3672]

1.6. მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა

1728 საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მონოპოლია, ეკონომიკური გაგებით, ნიშნავს განსაკუთრებულ (მონოპოლიურ) უფლებას წარმოებაში, ვაჭრობასა თუ სხვა სფეროში. მონოპოლიური მდგომარეობა არის „ბაზრის ისეთი მდგომარეობა, სადაც არსებობს საქონლის ერთი გამყიდველი და საქონელს არ გააჩნია სხვა ურთიერთშენაცვლებადი საქონელი”.[3673] ამ დეფინიციის „ერთი გამყიდველი” „მონოპოლიის” ეტიმოლოგიური შინაარსის იდენტურია (ბერძნული monos – ერთი და poleo – ვყიდი). „მონოპოლიური მდგომარეობის” სინონიმია „დომინირებული

[3671] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, II- 35.
[3672] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება, II- 37.
[3673] საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გვ. 374.

მდგომარეობა". [3674]ევროპული სამართლით იკრძალება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.[3675]

1729 მონოპოლიის გაჩენა იწყება იქ, სადაც ჩნდება კონკურენციის იდეა. იდეა არის, რომ ერთს სურს იყოს მეორეზე უკეთესი. შესაბამისად, მცდელობა ხდება საკუთარი პოზიციის გაუმჯობესება დიფერენცირებული პარამეტრების (ფასი, რაოდენობა, რეკლამა) დაწესებით, რათა განხორციელდეს გადამწყვეტი კონკურენტული უპირატესობა საბაზრო ძალაუფლების იდეალამდე. პირველი მცდელობები გვხვდება ჯერ კიდევ გვიანდელ შუა საუკუნეებში (მე-12-მე-15 საუკუნეებში), როდესაც ბაზარზე საქონლით ვაჭრობისას ცდილობდნენ პროდუქციის (თევზი, ხილი, ბოსტნეული) გაყიდვას უფრო სწრაფად, ვიდრე კონკურენტები. თუმცა მე-17 საუკუნის ბოლოს, პირველი მანუფაქტურებით, საბაზრო ურთიერთობების ზრდისათვის და შემდგომ ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, გადამწყვეტი როლი ითამაშა კონკურენციამ. რომელიც ეყრდნობოდა ეფექტურობის, კეთილდღეობისა და პროდუქტიულობის იდეას.[3676]

1730 კონსტიტუციური აკრძალვა არ არის ყოვლისმომცველი. კონსტიტუციაშივე გაკეთებული დათქმის თანახმად, კანონით, შეიძლება, დაშვებული იქნეს, მონოპოლიური საქმიანობის ცალკეული გამონაკლისი შემთხვევები. კონსტიტუციის ამ ნორმის შესაბამისად.

1731 ზოგადად, დემონოპოლიზაციის პოლიტიკით, სახელმწიფო ხელს უწყობს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებასა და მომხმარებელთა მხრიდან არჩევანის თავისუფლებას. კონკურენტული ბაზრის პირობებში თავად ბაზრის კანონებია სამეწარმეო წესრიგის საფუძველი და ზედმეტი ხდება სახელმწიფოს მხრიდან მეურვეობა, რეგულირების გზით. თუმცა აღსანიშნავია, რომ მონოპოლიების სახელმწიფოებრივი კონტროლი განხორციელებასა და მოსახლეობის სოციალურად სუსტი ნაწილის დაცვას ემსახურება.

1732 კონსტიტუცია უშვებს გამონაკლისს. დასაშვებად მიჩნეული მონოპოლიური საქმიანობის სახეობაა ბუნებრივი მონოპოლია. იგი მონოპოლიის სპეციფიკური შემთხვევაა. ბუნებრივი მონოპოლისტის საქმიანობა არ იქნება კანონის დარღვევა, თუ მან ბოროტად არ გამოიყენა თავისი მდგომარეობა და დისკრიმინაციულ პირობებში არ ჩააყენა სამეწარმეო საქმიანობის სხვა მონაწილეები.

1733 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ჩათვალა ელექტროენერგიაზე მომეტებულად მაღალი სამომხმარებლო ტარიფის დაწესება.[3677]

[3674] ლაფაჩი, მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხისათვის, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2001, მეორე კვარტალი, გვ. 59-60.

[3675] TFEU treaty on the functioning of the European Union. Art. 101 – 118.

[3676] Münchenhagen, Zeitleiste: Orientierungsdaten vom Altertum zur Neu zeit. 2003.

[3677] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის № 1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ.

2. შრომის თავისუფლებიდან, პროფესიული კავშირების თავისუფლებიდან, გაფიცვის უფლებისა და მეწარმეობის თავისუფლებიდან გამომდინარე სახელწმიფოს ვალდებულებები

1734 როგორც აღინიშნა, 26-ე მუხლით გარანტირებულ უფლებებს პოზიტიური ფუნქცია აქვთ. აღნიშნული ნიშნავს, ისეთ მდგომარეობას, როდესაც ინდივიდს უფლება/თავისუფლების რეალიზება ან ასევე მისი შენარჩუნება სახელმწიფოს გარეშე არ შეუძლია. შეიძლება ასევე ითქვას, რომ ამ კონტექსტში სახელწიფოს პატერნალისტური, მფარველობითი ფუნქცია, ეკისრება და მისგან მოქმედებას მოითხოვს. უფლებათა ეს კატეგორია, პირდაპირ აღსრულებადი არ არის (ისე როგორც თავდაცვითი უფლებები), ამიტომ მათი აღსრულება სავალდებულოდ საჭიროებს კანონმდებლის მიერ მათ რეალისტურ კონკრეტიზაციას. სოციალურსახელმწიფოებრივი თეორია ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს ძირითადი უფლებების მფარველობით ფუნქციას. [3678]

1735 წლების მანძილზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შრომის თავისუფლებას, მხოლოდ ნეგატიურ ფუნქციას სძენდა. მისი აზრით, საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი, რომ „შრომა თავისუფალია“ აღიარებდა არა შრომის უფლებას, არამედ - შრომის თავისუფლებას ანუ „თავისუფალი შრომის უფლებას“, რაც მისი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში,[3679] თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო. სასამართლოს აზრით, დაცული სფერო მხოლოდ იძულებითი შრომისგან დაცვას ნიშნავდა. მისი მრავალწლიანი პრაქტიკით ის მიუთითებდა, რომ “სახელმწიფო უკვე აღარ იღებს ვალდებულებას მოქალაქეთა შრომით დასაქმებაში“. [3680]

1736 თუმცა მოგვიანებით, 2007 წლიდან, პრაქტიკის განვითარებასთან ერთად შეიცვალა სასამართლოს დამოკიდებულება,[3681] პირდაპირ განაცხადა, რომ შრომის უფლება, მისი სოციალური სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირის გამო, არ უნდა გავიგოთ, როგორც

[3678] დეტალურად, იხ. Katz, Staatsrecht, Rn. 562.

[3679] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის № 2/2/277 განჩინება საქმეზე მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I-3.

[3680] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბერის № 2/33/1 განჩინება საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, I-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 აპრილის № 2/26/1 განჩინება საქმეზე ლამარა კერესელიძე ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისი № 2/77/11 გადაწყვეტილება საქმეზე მალხაზ მუმლაძე, ეთერ ჟიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შუღლიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ, I-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 თებერვალი № 2/4-24 გადაწყვეტილება საქმეზე ლეონარდო დევდარიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-3.

[3681] მან ასევე განმარტა პრაქტიკის ცვლილების საფუძველი. რომ შრომის თავისუფლების „წმინდა ფორმალური განმარტება აკნინებს შრომის უფლების სოციალურ ხასიათს, ახდენს მის გამოფიტვას და ამავდროულად, არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ კანონმდებელმა ფორმალური თვალსაზრისით დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნა და შრომითი უფლებების დაცვა კანონით მოაწესრიგოს, არამედ ისიც, რომ ეს კანონი, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ ამის გათვალისწინებით მოახდენს გასაჩივრებული ნორმების შემოწმებას-სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის № 2/2-389 გადაწყვეტილება, II-18.

მხოლოდ იძულებითი შრომის აკრძალვა. მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი, შრომის უფლების დაცვის სფეროში, სოციალური სახელმწიფოს მიერ, გაცილებით მეტის უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ვიდრე ეს იძულებითი შრომის არდაშვებაა.[3682] შესაბამისად, შრომის თავისუფლებით დაცული სფერო არის იგივე შრომის უფლებასთან გაიგივებული და იგი პოზიტიურ ვალდებულებას ანიჭებს სახელმწიფოს.

1737 მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი აღიარებულად და უზრუნველყოფილად აცხადებს ეკონომიკურ თავისუფლებას და ადგენს სახელმწიფოს მიერ თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე მუდმივად ზრუნვის პრინციპს. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, მან ასევე შეაფასა მეწარმისათვის, როგორც ბაზრის „მთავარი მოთამაშისთვის“. და აღნიშნა, რომ შეთავაზებული გარანტიები, ერთის მხრივ, ხელს უწყობს თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებას, თუმცა, მეორეს მხრივ, ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ჩამოყალიბებულ საბაზრო ურთიერთობებში, მომხმარებელი ბუნებრივად წარმოადგენს ურთიერთობის სუსტ მხარეს. და ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროებს ინტერესთა დაბალანსებას სახელმწიფოს მხრიდან, აქტიური ჩარევის გზით.[3683]

1738 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოკვეთილი პოზიციის მიხედვით, „სახელმწიფოს პოზიტიური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულებაა, დაიცვას მომხმარებელი მესამე პირთა უსამართლო ძალაუფლებისაგან. სახელმწიფო, რომელიც ვერ ახერხებს ამას, თავად გამოდის აღნიშნული უფლების დამრღვევის როლში, სახელმწიფო, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიმართულებით, პოზიტიური ეფექტის მისაღწევად უნდა იყენებდეს მის ხელთ არსებულ ყველაზე გონივრულ და ყველაზე გამართლებულ საშუალებებს''.[3684]

1739 შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციური მოთხოვნა სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც მიმართული იქნება ბაზრის მონაწილე მთავარ სუბიექტთა ინტერესების დაბალანსებისაკენ და უზრუნველყოფს, მომხმარებელთა მიერ, სამართლიანი პირობებით წვდომასა და სარგებლობას ბაზარზე არსებულ მისთვის საინტერესო/საჭირო პროდუქტსა თუ მომსახურებაზე. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესის შესრულების მიზნებისათვის, სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია, კონკრეტული ტიპის საბაზრო ურთიერთობის რეგულირების შემთხვევაში, თავი შეიკავოს იმგვარი პირობების დადგენისაგან, რომელიც დაარღვევს მეწარმესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში არსებულ ბალანსს ამ უკანასკნელის საზიანოდ, მეორე მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც მომხმარებელს დაიცავს ბაზრის ეკონომიკური აგენტების მიერ საკუთარი

[3682] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის № 2/2-389 გადაწყვეტილება, II-19.
[3683] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება II- 36.
[3684] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის №1/1/374,379 გადაწყვეტილება II.

საქმიანობის არაკეთილსინდისიერად წარმართვისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რისკებისაგან.[3685]

1740 კონსტიტუციის 26-ე მუხლიდან მართალია, ძირითადად გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, თუმცა შეიძლება, ამ დებულებებიდან, სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებების ამოკითხვაც. მაგალითად პროფესიული კავშირების ფორმირების პროცესში, მის მართვასა და შიდა რეგულირებებში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. შესაბამისად, მას აქვს თავის შეკავების ნეგატიური ვალდებულება. ასევე მეწარმეობის თავისუფლებიდან გამომდინარეობს სახელწმიფოს ნეგატიური ვალდებულებები. მეწარმეობის თავისუფლება შეიძლება შეფასდეს სოციალური სახელწმიფოს მოპირდაპირე მხარედ და იგი, ერთგვარი, ბალანსის ფუნქციის მცდელობასაც წარმოადგენდეს კანონმდებლების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ისე უნდა უზრუნველყოს, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, მისი პოზიტიური მოქმედების ვალდებულება, რომ არ დააზიანოს მეწარმეების თავისუფლება. ხშირად კანონმდებელს ეკისრება ადამიანთა მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და მათი მხარდაჭერა არა მხოლოდ სახელწმიფოს, არამედ მესამე პირების ჩარევისაგან. გამომდინარე ამ ვალდებულებებიდან, შრომით ურთიერთობებში სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი შრომითი სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორშიც, დაიცავს სამართლიან ბალანსს, შრომის ღირსეულ და უსაფრთხო პირობებს. ასეთ ურთიერთობებში დაცვის ღირსი ინტერესი, მართალია, აქვთ დასაქმებულებს, თუმცა იმისთვის, რომ ჩარევა შრომით სამართლებრივ ურთიერთებში აუცილებელზე მეტად არ ზღუდავდეს დამსაქმებელს, რათა ამით დაიცვას მეწარმეობის თავისუფლება.

1741 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან კარგად ჩამოაყალიბა, სახელწმიფოს ორმაგი - პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება მეწარმეობასთან დაკავშირებით. ,,აღნიშნული ვალდებულებებით, სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ, თავად მეწარმეობაა თავისუფალი.'' ამ ჩანაწერის მიხედვით, ნორმა, ერთი მხრივ, იცავს პირის უფლებას, თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე განახორციელოს მეწარმეობა და, მეორე მხრივ, პირის უფლებას, მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში დაკავდეს მეწარმეობით.[3686]

1742 მეწარმეობის თავისუფლებისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს არა მხოლოდ თავისუფალი ბაზრის მოქმედებაში სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევის შეზღუდვას, არამედ მოიცავს სახელმწიფოს მიერ აქტიური საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ღონისძიებების გატარებასაც.[3687]

[3685] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება II-39.
[3686] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის № 1/2/411 გადაწყვეტილება, II-2.
[3687] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 022 წლის 20 მაისის N1/2/876 გადაწყვეტილება საქმეზე „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-19.

3. შრომის თავისუფლებით, პროფესიული კავშირების თავისუფლებით, გაფიცვის უფლებით და მეწარმეობის თავისუფლებით დაცული სფერო

1743 როგორც აღინიშნა, კონსტიტუციის 26-ე მუხლი საკმაოდ მრავალფეროვან ურთიერთობებს არეგულირებს და იცავს. შესაბამისად, ყველა უფლებას, მიუხედავად მათი მჭიდრო კავშირისა, აქვს საკუთარი პერსონალურად და საგნობრივად დაცული სფერო.

3.1 პერსონალურად დაცული სფერო

1744 ა) შრომის თავისუფლება არის ყველას უფლება. სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება აქვს ყველას, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა.

ბ) პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ კოლექტიურად განხორციელებადი უფლებაა, პროფკავშირში გაწევრიანება შეუძლია ყველას. შესაბამისად, მისი სუბიექტი, არის ფიზიკური პირი. თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროფესიულ კავშირში გაერთიანება შეუძლია იურიდიულ პირსაც. მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ გაერთიანდნენ ერთიან, უფრო მსხვილ, პროფესიულ კავშირში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ისინიც შეიძენენ ამ უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ," რომელიც კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით დაობდა, გაფიცვის უფლების შეზღუდვას.[3688]

1745 გ). გაფიცვის უფლების სუბიექტია ყველა. იგულისხმება ფიზიკური და იურიდიული პირები. რადგან შესაძლოა გაფიცვის ორგანიზატორი იყოს სწორედ პროფკავშირი, ან სხვა იურიდიული პირი. ასეთ შემთხვევაში მისი სუბიექტი ხდება იურიდიული პირი. გაფიცვა, შეიძლება, კოლექტიურ უფლებათა კატეგორიას მივაკუთვნოთ. რადგან მისი, მხოლოდ ერთი ინდივიდის მიერ განხორციელება, შეიძლება. მიუხედავად ამისა, ის სუბიექტური უფლებაა და ყველა ადამიანს გააჩნია. შეზღუდვას ექვემდებარება იმის მიხედვით, თუ დასაქმების რომელ სფეროში იგეგმება გაფიცვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით გაფიცვაში მონაწილეობის უფლება ეზღუდებათ პირებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამსახურებში მუშაობენ. ასეთებია: სასწრაფო სამედიცინო დახმარება, წყალმომარაგება ან ელექტროენერგიის წარმოება, დასუფთავების მუნიციპალური სამსახურები.

1746 დ) მეწარმეობის თავისუფლების სუბიექტი არის პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. მნიშვნელოვანია, რომ იგი იყოს მეწარმე სუბიექტი. მიუხედავად იმისა, ფიზიკური პირია იგი, თუ იურიდიული.

[3688] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბერი განჩინება N3/4/1331 ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება" და ირაკლი პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.

ე) მომხმარებელთა უფლებების უფლების სუბიექტია მომხმარებელი. იგი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. 1747

3.2. საგნობრივად დაცული სფერო

3.2.1. შრომის თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო

შრომის უფლება სოციალური უფლებების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. 1748
კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს ა) შრომის თავისუფლებას ბ) სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლებას. გ) უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე.

1749
შრომის თავისუფლება, შრომის უფლების კომპონენტია.[3689] მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციით, დაცულ სიკეთედ ვერ ჩაითვლება ყოველგვარი საქმიანობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში[3690] მიუთითა, რომ „ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ვერ ჩაითვლება „შრომად" და არ ექვემდებარება დაცვას, კონსტიტუციის [ძვ. რედ.] 30-ე მუხლის საფუძველზე". შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის ამ მუხლის გაგებით, შრომად არ ჩაითვლება ადამიანის მუშაობა თავისთვის, მისსავე საკარმიდამო ნაკვეთზე. ასეთ შრომას არ აწესრიგებს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

1750
წლების მანძილზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შრომის თავისუფლებით დაცულ სფეროს, მხოლოდ ნეგატიურ ფუნქციას სძენდა. მისი აზრით, საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი, რომ „შრომა თავისუფალია," აღიარებდა არა შრომის უფლებას, არამედ - შრომის თავისუფლებას ანუ *„თავისუფალი შრომის უფლებას",* რაც მისი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში,[3691] თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო. სასამართლოს აზრით, დაცული სფერო, მხოლოდ იძულებითი შრომისგან დაცვას ნიშნავდა. მისი მრავალწლიანი პრაქტიკით ის მიუთითებდა, რომ "სახელმწიფო უკვე აღარ იღებს ვალდებულებას მოქალაქეთა შრომით დასაქმებაში". [3692]

[3689] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი. თბილისი, 2013. გვ. 362.

[3690] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის № 2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I-5.

[3691] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის № 2/2/277 განჩინება საქმეზე მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I-3.

[3692] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბერის № 2/33/1 განჩინება საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, I-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 აპრილის № 2/26/1 განჩინება საქმეზე ლამარა კერესელიძე ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისი № 2/77/11 გადაწყვეტილება საქმეზე მალხაზ მუმლაძე, ეთერ ჟიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შუღლიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ, I-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 თებერვალი № 2/4-24 გადაწყვეტილება საქმეზე ლეონარდო დევდარიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I-3.

1751 თუმცა მოგვიანებით, 2007 წლიდან პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, შეიცვალა სასამართლოს დამოკიდებულება,[3693] პირდაპირ განაცხადა, რომ შრომის უფლება, მისი სოციალური სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირის გამო, არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ იძულებითი შრომის აკრძალვა. მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი, შრომის უფლების დაცვის სფეროში, სოციალური სახელმწიფოს მიერ გაცილებით მეტის უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ვიდრე ეს იძულებითი შრომის არდაშვებაა.[3694] შესაბამისად, შრომის თავისუფლებით დაცული სფერო არის იგივე შრომის უფლებასთან გაიგივებული, და იგი პოზიტიურ ვალდებულებას ანიჭებს სახელწმიფოს.

1752 აღნიშნული მიდგომა ნიშნავს, რომ კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის, არამედ ასევე, უფლება, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.[3695]

1753 შრომის უფლება მჭიდრო კავშირშია სხვა ისეთ ძირითად უფლებებთან, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე და მის ღირსეული ყოფა. თავის ერთ-ერთ გადაწვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნა, რომ როგორც წესი, შრომის უფლება ასოცირდება და უზრუნველყოფს მატერიალურ კეთილდღეობას, თუმცა დაუშვებელია, ამ უფლების რეალიზაცია მხოლოდ შემოსავლის მიღების წყაროდ იქნეს აღქმული. „შრომის პროცესში ადამიანი ახდენს საკუთარი უნარ-ჩვევების გამოყენებას, მათი, საკუთარი, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, წარმართვას. ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მისი განმახორციელებელი ახდენს სოციალიზაციას, საკუთარი თავის, იდეების, შესაძლებლობების ერთგვარ რეალიზაციას. პიროვნების განვითარებისთვის არსებითია, თავი იგრძნოს საზოგადოების სრულფასოვან, საჭირო წევრად, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პიროვნებას“.[3696] შესაბამისად, ეს უფლება სასამართლომ დააკავშირა პიროვნული განვითარების უფლებასთან. რადგან იგი არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პირის დამოუკიდებლობისათვის.

1754 შესაბამისად, კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულია: იძულებითი შრომის აკრძალვა; უფლება, აირჩიო სამუშაო; უფლება, განახორციელო სამუშაო; უფლება, შეინარჩუნო სამუშაო; უფლება, დათმო სამუშაო;

[3693] მან ასევე განმარტა პრაქტიკის ცვლილების საფუძველი. რომ შრომის თავისუფლების „წმინდა ფორმალური განმარტება აკნინებს შრომის უფლების სოციალურ ხასიათს, ახდენს მის გამოფიტვას და ამავდროულად, არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ კანონმდებელმა ფორმალური თვალსაზრისით დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნა და შრომითი უფლებების დაცვა კანონით მოაწესრიგოს, არამედ ისიც, რომ ეს კანონი, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ ამის გათვალისწინებით მოახდენს გასაჩივრებული ნორმების შემოწმებას - სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის №2/2-389 გადაწყვეტილება, II-18.

[3694] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის № 2/2-389 გადაწყვეტილება, II-19.

[3695] იქვე.

[3696] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-35.

დაცული იყო უმუშევრობისაგან; უფლება, დაცული იყო სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლებისგან;[3697] უფლება, შრომის უსაფრთხო პირობებზე.

3.2.2 პროფესიული კავშირების თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო

1755 პროფესიული კავშირი არის დადგენილი წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია, პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა. პროფესიული კავშირი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სხვა სამუშაო ადგილზე.

1756 ერთ-ერთ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, პროფკავშირების დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე. ,,სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სოციალურ-ეკონომიკური წესწყობილების შეცვლის პირობებში მიმდინარეობს, საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის დაწყებული, ახალი პროფესიული კავშირების ფორმირების პროცესი, რომლის წარმართვა და რეგულირება არსებითად შიდაპროფკავშირული (თვით პროფკავშირების) საქმეა.''[3698]

1757 საკონსტიტუციო სასამართლოში რამდენჯერმე იყო გასაჩივრებული ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულოდ გაწევრიანების წესი. [3699] მოსარჩელეები აღნიშნავენ, რომ ისინი ეწევიან საადვოკატო საქმიანობას. ისინი - თავისუფალი პროფესიის პირები, მათი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებული გახდნენ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის სადავო ნორმების საფუძველზე გაწევრიანებულიყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მატარებელ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული იყო გაერთიანებებში გაწევრიანების ნებაყოფლობითობა, 26-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით. ამდენად, გასაჩივრებული ნორმები, მოსარჩელეთა აზრით, ზღუდავენ გაერთიანების თავისუფლებას - თუკი ასოციაციაში არ გაწევრიანდებიან, მათ ერთმევათ საადვოკატო საქმიანობის უფლება, ანუ იმის შესაძლებლობა, რომ მოიპოვონ საარსებო სახსრები.

[3697] ტუღუში, ბურჯანაძე, მშვენიერაძე, მენაბდე, ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, 2013 გვ. 412.

[3698] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის №1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები ირაკლი ტუღუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[3699] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის №1/5/323 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 29 დეკემბრის განჩინება 1/13/1424 საქმეზე ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

1758 სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში, ერთი მხრივ ჩათვალა, რომ გაერთიანების თავისუფლებით, მათ შორის პროფესიული გაერთიანებით დაცული სიკეთეა, კერძო სამართლებრივ საფუძველზე, პირთა მიერ შექმნილ ორგანიზაციები. ხოლო ადვოკატთა ასოციაცია, არის სსიპ-ი. აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, განპირობებულია ადვოკატის პროფესიის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადამიანის უფლებების დაცვა ადვოკატის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს. ეს განაპირობებს ადვოკატის საქმიანობის სახელისუფლებო ფუნქციებთან სიახლოვეს და ადვოკატურის საჯარო ორგანიზაციის ფორმის მიზანშეწონილობას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა. ამასთან, ადვოკატურა სახელმწიფო მმართველობისაგან განცალკევებული ორგანიზაციაა და ამ სახით ახორციელებს თავის ფუნქციებს. მისი აზრით, ადვოკატი ჩართულია საჯარო ამოცანის განხორციელებაში და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასამართლო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ადვოკატი ერთდროულად ემსახურება, როგორც კლიენტის კერძო ინტერესს, ისე სახელმწიფო ინტერესს. სწორედ იმის გამო, რომ ადვოკატი გარკვეულწილად ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, კანონმდებელი მას, თავისუფალი პროფესიის სხვა პირებთან შედარებით, უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს და მოითხოვს მის სავალდებულო გაწევრიანებას სპეციალურ პროფესიულ გაერთიანებაში. ანალოგიურია სახელმწიფოს დამოკიდებულება ნოტარიუსისადმი. „ნოტარიატის შესახებ“ 1996 წლის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ნოტარიუსების სავალდებულო წევრობას ნოტარიუსთა პალატაში.[3700]

3.2.3. გაფიცვის უფლებით საგნობრივად დაცული სფერო

1759 გაფიცვის უფლებით დაცულია ორგანიზაციაში დასაქმებულთა დიდი ნაწილის კოლექტიური, დაგეგმილი სამუშაოს შეწყვეტა იმ კონკრეტული მიზნით, რომ გაუმჯობესდეს შრომის პირობები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაფიცვის მიზანი, რომელიც ყველა შემთხვევაში, შრომით- სამართლებრივი უნდა იყოს.

1760 გაფიცვის შესახებ კანონმდებლობა 2006 წლიდან განიცდის ცვლილებებს. თუმცა 2021 წელს შეტანილი ცვლილებები შედარებით აუმჯობესებს მის პირობებს. კანონმდებლობის მიხედვით, დასაქმებულებს მრავალსაფეხურიანი პროცედურის გავლა უწევთ, რომ შემდგომში მათი გაფიცვა კანონიერად ჩაითვალოს.

გაფიცვა არის, დავის შემთხვევაში, დასაქმებულის დროებითი, ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. თუმცა კანონმდებლობით დასაქმებულებს გაფიცვის უფლება მხოლოდ მაშინ აქვთ, თუ: დასაქმებულებსა და დამსაქმებელს შორის არსებობს დავა. მისი გადაწყვეტა შრომითი ხელშეკრულების მხარეთა ინტერესია. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დავა არ გულისხმობს ნებისმიერ უთანხმოებას, არამედ უნდა უკავშირდებოდეს: ხელშეკრულების დარღვევას (მაგ. შრომის ანაზღაურების

[3700] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის №1/5/323 გადაწყვეტილება.

გადაუხდელობა) ან ხელშეკრულების სხვა არსებით პირობას (მაგალითად, სამუშაოსა და დასვენების დრო), ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დარღვევას შრომით სამართლებრივი ურთიერთობებისას, (მაგ. მაგალითად, დასაქმებულთა პირადი სივრცის/კომუნიკაციის ხელყოფას). გარდა ამისა გაფიცვის წინაპირობაა პირდაპირი მოლაპარაკების, მედიაციის სტადიის გავლა ან არბიტრაჟის/სასამართლოსთვის მიმართვა. სახელმწიფოს როლი მოლაპარაკების პროცედურაში არის ის, რომ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მიზნით, მედიატორებს სახელმწიფო ნიშნავს.

3.2.4. მეწარმეობის თავისუფლებით საგნობრივად დაცული სფერო

1761 საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული თავისუფალი მეწარმეობა მოქალაქეთა და მათ გაერთიანებათა ინიციატივით შექმნილი დამოუკიდებელი საქმიანობაა მოგების მისაღებად, რომელიც ხორციელდება მათი რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით.[3701]

1762 ამ მუხლით დაცულია უფლება, რომ პირმა თავისუფლად შეარჩიოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის სახე და თავისუფლად და დაუბრკოლებლად განახორციელოს იგი. ხოლო მეორე მხრივ ,,...მნიშვნელოვანია მისი მთავარი მოთამაშის, კერძოდ, მეწარმისადმი შეთავაზებული გარანტიები. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათი გაჯანსაღებისათვის. სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ნორმატიული სანდოობა სუბიექტს სამოქალაქო (კომერციული) ბრუნვის მიღმა კი არ ტოვებს, არამედ უძლიერებს მას ამ ბრუნვაში ჩართვის ინტერესს...''[3702]

1763 საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან საინტერესო მსჯელობა განავითარა მეწარმეობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს მეწარმე სუბიექტის არსებობას (არსებობის უფლებას). კონსტიტუცია იცავს არა მარტო ადამიანის არსებობას, არამედ ორგანიზებული წარმონაქმნების არსებობასაც. თავისუფალი მეწარმეობა შეუძლებელია, თუ არ არის დაცული მისი სუბიექტის "სიცოცხლე". ყველა შემთხვევაში, სუბიექტის საქმიანობის დასასრული, ეს ნორმატიული ჩარევით მოხდება თუ მის გარეშე, ბუნებრივი, პრაქტიკული გონიერებიდან გამომდინარე, აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული და არა მის მიმართ ხელოვნური ანგარიშსწორებით. მეწარმეს შეუძლია დაიცვას საკუთარი უფლება არსებობაზე მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ის მზადაა განახორციელოს თავისუფალი მეწარმის ყველა ფუნქცია, ყველა შესაძლებლობის სრულად გამოყენებით და აქედან გამომდინარე, იტვირთოს თანაბარი რისკი. ის შეუცვლელი და ხელშეუხებელია (დაცულია) მანამ, სანამ თავისუფალ ბაზარზე, თავისუფალი შეჯიბრებით (კონკურენციით), მზადაა გამოავლინოს თავისი სარგებლიანობა ამ ფუნქციებისათვის."[3703]

[3701] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის №2/6/221 განჩინება საქმეზე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია'' საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[3702] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის №1/2/411 გადაწყვეტილება. II-3.
[3703] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის №1/2/411 გადაწყვეტილება, II-3.

3.2.5. მომხმარებელთა უფლებებით საგნობრივად დაცული სფერო

1764 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მომხმარებელთა უფლებები საკმაოდ ფართოდ განმარტა და ისაუბრა ამ უფლების დაცვის მასშტაბზეც: ,,საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი აღიარებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციურ აუცილებლობას. მასში მოცემული დებულება, რომ ეს უფლებები დაცულია კანონით, გულისხმობს მათ დაცვას სათანადო კონსტიტუციური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საერთაშორისო სამართალში მიღებული პრაქტიკის თანახმად, მომხმარებლის უფლებები მოიცავს მომხმარებლის უფლებას უსაფრთხოებაზე, არჩევანზე, განხილვაზე, სამომხმარებლო განათლებასა და სამართლებრივ დაცვაზე“ [3704]

1765 თავის ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ საკმაოდ მკაფიოდ განმარტა სახელმწიფოს ბოჭვის ფარგლები და მის მიერ თავისი ვალდებულების დარღვევის შესაძლო შემთხვევები. მისი აზრით, სახელმწიფო ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს მისი შესაძლებლობების ფარგლებში არსებული ყველაზე ხელმისაწვდომი გზა, თავისი უფლებების დაკმაყოფილებისა. სახელწიფოს „არა აქვს უფლება, მომხმარებელს შესთავაზოს ამა თუ იმ სიკეთით სარგებლობის ისეთი გზები, რომლებიც მას ამ სიკეთეს კი არ აზიარებს, არამედ მისგან მოწყვეტს. ისეთი ნორმატიული აქტის მიღებისას, რომლითაც სიკეთით სარგებლობის შეზღუდვები (თუნდაც დროებითი) და სპეციალური პირობები წესდება, კანონმდებელი ვალდებულია, ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის საფუძველზე, ნათლად ჩამოაყალიბოს შემზღუდველი ნორმების შინაარსი და განსაზღვროს მათი მოქმედების გონივრული ვადა. სპეციალური ნორმების დაწესება, რომლითაც მომხმარებლის თავისუფალი არჩევანის შეზღუდვა ან მისთვის არასახარბიელო პირობების შემოღება ხდება, შეიძლება გამართლებული იყოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც სიკეთით სარგებლობის სხვა გზები არ არსებობს.’’[3705]

4. შრომის თავისუფლებით, პროფესიული კავშირების თავისუფლებით, გაფიცვის უფლებით და მეწარმეობის თავისუფლებითა და მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა

4.1. ჩარევა შრომის თავისუფლებაში

1766 შრომის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენს სახელმწიფოს ისეთი მოქმედება, ან უმოქმედობა (ან არასაკმარისი მოქმედება) რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტით გარანტირებული სიკეთეების შეზღუდვას. ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ყოველგვარი ჩარევა არ შეიძლება ჩაითვალოს უფლებების დარღვევად. მაგალითად, საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

[3704] (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის № 1/1/374,379 გადაწყვეტილება, II.
[3705] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის №1/1/374,379 გადაწყვეტილება, II.

მოსარჩელეები არაკონსტიტუციურად მიიჩნევდნენ საქართველოს „საქართველოს შრომის კოდექსის" იმ ნორმას, რომელიც ადგენდა დასაქმებულის სამუშაო დროის დასაშვებ ხანგრძლივობას. ამ ჩანაწერის მიხედვით, ზოგადად დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათს. ნორმის მიხედვით, სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის განსაზღვრა, დავალებული ჰქონდა საქართველოს მთავრობას. ერთი მოსარჩელე დასაქმებული იყო ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში,ხოლო მეორე, თბილისის ელმავლის მახარისხებელ სალოკომოტივო დეპოში. ორივე მოსარჩელის სამუშაო განეკუთვნება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის ისეთ კატეგორიას, რომლის შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს. მოსარჩელეთა აზრით, შრომის კოდექსით დადგენილი ნორმა იყო დისკრიმინაციული და იგი ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ შრომის უფლებას. მათი აზრით, თუ სხვა დასაქმებულებს დამატებითი 8 საათი ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაეთვლებოდათ, მათთვის ეს 8 საათი ითვლებოდა ნორმალურ სამუშაო დროდ, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სპეციფიკურ სამუშაოს ასრულებდნენ. გარდა ამისა, მათთვის მხოლოდ 48 საათის მუშაობის შემდგომ შესრულებული სამუშაო მიიჩნეოდა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ. რადგან ისინი კვირის განმავლობაში 8 საათით მეტს მუშაობდნენ, სამართლიანი შრომის ანაზღაურებით მათი ანაზღაურება მეტი უნდა ყოფილიყო. მოსარჩელეთა აზრით, თანაბრად გაწეული შრომის თანაბარი ანაზღაურება იქნებოდა სამართლიანი. საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხი განიხილა თანასწორობის უფლებისა და შრომის თავისუფლებასთან მიმართებით. სადავო ნორმის დისკრიმინაციულობის შეფასებისას, სასამართლომ იხელმძღვანელა „რაციონალური დიფერენცირების ტესტით" და დაადგინა, რომ „მხოლოდ საათობრივი განსხვავება და კვირაში 8 საათით მეტი სამუშაო დროის ხანგრძლივობა, თანასწორობის უფლებაში მაღალი ინტენსივობის ჩარევად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად არ აშორებს არსებითად თანასწორ პირებს შრომით უფლებებში".[3706] შესაბამისად სასამართლომ დაინახა ჩარევა, თუმცა ეს ჩარევა გაამართლა შემდგომ „რაციონალური დიფერენცირების ტესტით".

1767 სასამართლომ განიხილა ასევე ჩარევა შრომის უფლებით დაცულ სფეროში. მან პირველ რიგში, დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული შრომის უფლებით დაცულია ასევე სამუშაო დროც. რადგან „სამუშაო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის შრომის თავისუფლების ეფექტური რეალიზებისათვის. გადაჭარბებულად დიდმა სამუშაო დროის ხანგრძლივობამ, რომელიც არ აძლევს დასაქმებულს ნორმალურად დასვენებისა და ენერგიის აღდგენის შესაძლებლობას, შეიძლება, შეუქმნას საფრთხე მის ჯანმრთელობას ან ნორმალურ სოციალურ ყოფა-ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ დაიცავს ადამიანებს ასეთ პირობებში

[3706] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II-22.

მუშაობისაგან, ის ფაქტობრივად აიძულებს მათ, იმუშაონ საკუთარი ჯანმრთელობის ან სოციალური ცხოვრების ხარჯზე, ან დარჩნენ შემოსავლის გარეშე".[3707] შესაბამისად, მისი აზრით, სწორედ ეს ქმნიდა დასაქმებულისათვის მნიშვნელოვან გარანტიას, არ იყოს მსხვერპლი, შეუზღუდავი დროის განმავლობაში, სამუშაოს განხორციელების იძულებისა. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილი რეგულაცია, 48 საათიან კვირასთან დაკავშირებით, იყო ჩარევა შრომის უფლებაში. და იქვე განმარტა, რომ უნდა არსებობდეს მატერიალურ შესაბამისობაზე მსჯელობისათვის აუცილებლობა ჩამოყალიბდეს კონსტიტუციური სტანდარტები და კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვები სამუშაო დროის ხანგრძლივობა.

4.2. ჩარევა პროფესიული კავშირების თავისუფლებაში

1768 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულო წევრობა სასამართლომ კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაამართლა იმით, რომ ეს გაერთიანება სახელმწიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დააარსა.[3708] მასში შერწყმულია კერძო და საჯარო ინტერესები, რომელთაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ინიციატივით.

1769 სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ მოიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ვინაიდან იგი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებას და შესაბამისად ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში კი მოიაზრება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია გაერთიანების ნებაყოფლობითობა.

4.3. მეწარმეობის თავისუფლებაში ჩარევა

1770 როცა თავისუფალ მეწარმეობაზეა საუბარი, საჭიროა გაირკვეს, როდის და რა ფარგლებში შეუძლია სახელმწიფოს, ჩაერიოს მისი განხორციელების პროცესში. როგორც წესი, სამეწარმეო საქმიანობა მეწარმეთა ავტონომიური ნების საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს ამ ნების ჩამოყალიბების პროცესში ჩარევა, როცა არის იმის რეალური საშიშროება, რომ სუბიექტი მინიჭებულ უფლებამოსილებას ბოროტად გამოიყენებს და იმოქმედებს სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ტრადიციების საწინააღმდეგოდ. არ შეიძლება, რომ თავისუფალი ნება გახდეს არაეკვივალენტური, არათანაზომიერი და უსამართლო ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი, რაც გამოიწვევს ბრუნვის ტრადიციებისაგან მისი მონაწილეების გაუცხოებას და, იმავდროულად, ამით წინააღმდეგობაში მოვა აღიარებულ ზნეობრივ იმპერატივებთან. მოგებაზე ორიენტირებული სუბიექტისაგან, როცა ჯერ კიდევ მყარად არ არის

[3707] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II- 38.

[3708] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის №1/5/323 გადაწყვეტილება.

დამკვიდრებული სავაჭრო ტრადიციები, ადვილი შესაძლებელია, მომეტებულად მომდინარეობდეს ასეთი საშიშროება. მოსალოდნელია, რომ ბაზრის გაბატონებული მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტმა, მომხმარებელს შესთავაზოს აშკარად უსამართლო სახელშეკრულებო პირობები და არჩევანის უქონლობის გამო, აიძულოს იგი, გახდეს მისი პარტნიორი. ამგვარი საფრთხის დროს, სახელმწიფო იძენს უფლებას, ჩაერიოს მეწარმის შიდა საქმიანობაში და დაუდგინოს ნების გამოვლენის ფარგლები.[3709]

1771 სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფალი მეწარმეობა შეიზღუდება, თუ იგი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ტიპის ურთიერთობას დაედება საფუძვლად:

- არაეკვივალენტური ურთერთობები;
- არათანაზომიერი ურთიერთობები;
- უსამართლო ურთიერთობები

1772 ერთ-ერთ საქმეში[3710] მოსარჩელე, უცხო ქვეყნის საწარმო „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედი“ ითხოვდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ჩანაწერის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც აკრძალული იყო თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია, უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვა. მოპასუხის პოზიციით, სადავო ნორმის რეგულირების სფეროსა და ლეგიტიმურ მიზანს განეკუთვნებოდა საქართველოში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების დაცვა, თამბაქოს ნაწარმის მოხმარებით გამოწვეული დაავადებიანობისა და სიკვდილის შემცირება.

1773 სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო ხელისუფლების სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს შესაბამისი ნაწარმის მინიმალურ სარეალიზაციო ფასს, გარდაუვლად ზღუდავს ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობას, თავისუფლად განსაზღვროს ნაწარმის სარეალიზაციო ფასი.[3711] ამიტომ სასამართლოს აზრით, ნორმა ზღუდავდა თამბაქოს ნაწარმზე თავისუფალ ფასწარმოქმნას, განაპირობებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მეოთხე პუნქტის პირველი წინადადებით გარანტირებული მეწარმეობის თავისუფლებაში ჩარევას.

4.4. ჩარევა მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში

1774 საქმეში „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ.“[3712] მოსარჩელეს სემეკის №24/3 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის საფუძველზე, 2017 წლის 20 იანვარს დასუფთავების, ხოლო 2017 წლის 16 თებერვალს და 19 მაისს, წყალმომარაგების საფასურის გადაუხდელობის გამო, შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, მაშინ, როდესაც აბონენტს, ელექტროენერგიის სააბონენტო ანგარიშზე, გადახდილი ჰქონდა ელექტროენერგიის მომსახურების საფასური. აღნიშნული კი, განპირობებული იყო იმით, რომ „ელექტროენერგეტიკისა და

[3709] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის № 1/2/411 გადაწყვეტილება, II-6.
[3710] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 022 წლის 20 მაისის N1/2/876 გადაწყვეტილება საქმეზე „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-19.
[3711] იქვე.
[3712] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება II- 35.

ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 496 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების და დასუფთავების მომსახურება და მათი საფასურის/მოსაკრებლის გადახდევინება ხორციელდება ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის მეშვეობით.

1775 სასამართლომ აღნიშნული ქმედება სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ, მომხმარებლისათვის კონსტიტუციური გარანტიების შეზღუდვად, ე.ი. მომხმარებლის უფლებებში ჩარევად ჩათვალა.

5. ჩარევის შემოწმება/კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება

5.1. შრომის უფლებაში ჩარევის გამართლება

1776 შრომის თავისუფლებაში ჩარევა დადგინდება მაშინ, როცა კანონმდებლის მიერ მიღებული რეგულაცია არასაკმარისია ამ უფლების დასაცავად. იმის შემდეგ რაც დადინდება ჩარევა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა წესით უნდა შეფასდეს ამგვარი ჩარევა.

1777 დასაშვები სამუშაო დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა სტანდარტი. მან მიუთითა: „იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებასთან მატერიალურ შესაბამისობაზე მსჯელობა, აუცილებელია, ჩამოყალიბ-დეს კონსტიტუციური სტანდარტები და კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებ-დეს დასაშვები სამუშაო დროის ხანგრძლივობა“.[3713] ამ საქმეში სასამართლომ პირველ სტანდარტად დაადგინა უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში მუშაობა. მან ამასთანავე განმარტა, რომ უსაფრთხო, ჯანსაღი გარემო არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მხოლოდ სამუშაოს შესრულების ადგილის უსაფრთხოება, რადგან არაგონივრულად, ხანგრძლივი სამუშაო დრო, გავლენას ახდენს პირის შრომით უნარებზე, იწვევს გადაღლას. ეს თავის მხრივ უარყოფითად აისახება დასაქმებულის ჯანმრთელობაზე. მეორე სტანდარტი არის, დასაქმებულის შესაძლებლობა, მოახდინოს კარიერული თუ პროფესიული და პირადი ცხოვრების დაბალანსება. ეს გულისხმობს, რომ უნდა რჩებოდეს იმდენი დრო, რომ იქონიოს კავშირი გარე სამყაროსთან, იზრუნოს საკუთარი ცხოვრების სხვა ასპექტების განვითარებაზე და უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობით, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებში. ხოლო მესამე სტანდარტი არის, თავად დასაქმებულის მონაწილეობა სამუშაოს ხანგრძლივობის განსაზღვრაში. ეს სტანდარტი უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულს არ შეექმნას გამოუვალი მდგომარეობა, რა დროსაც ის იქნებოდა ვალდებული, დათანხმებოდა მისთვის შეთავაზებულ პირობებს ან უარი ეთქვა შესაბამისი პოზიციის დაკავებაზე.[3714]

[3713] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II- 39.

[3714] იქვე, II- 40-45.

1778 საყურადღებოა, რომ ეს სტანდარტი დაადგინა სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სადაც უნდა შეემოწმებინა, თუ რამდენად იყო შრომის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა, 48 საათიანი სამუშაო დროის შემოღება, სპეციფიკური სამუშაოს განმახორციელებელ პირთათვის. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი სტანდარტი მართლაც შეესაბამება შრომის უფლებათა მაღალი ხარისხით დაცვას, მან, იმავე საქმეში, კონკრეტულად არ განიხილა საკითხი და უფრო მეტად აბსტრაქტული, ილუზორული ხასიათი შესძინა მის მიერ დაწესებულ სტანდარტს. სასამართლოს აზრით, „წარმოუდგენელია კონკრეტული დროის განსაზღვრა, რომლის შემდგომაც, თუნდაც ერთი საათის გადამატებით მუშაობა, საზიანო იქნება ჯანმრთელობისთვის ან ხელს შეუშლის პირადი ცხოვრების განვითარებას. ანალოგიურია მიდგომა ადამიანის პროდუქ-ტიულობასთან მიმართებით. შეუძლებელია, ზუსტად განისაზღვროს, კონკრეტული პირისათვის, რა ოდენობის სამუშაოს განხორციელების შემდეგ იწყებს მისი შრომითი უნარები შენელებას ან მისი ორგანიზმი დაღლას, გამოფიტვას. თითოეული აღნიშნული ასპექტი მკაცრად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული უშუალოდ სამუშაოს განმახორციელებელ პიროვნებასთან, მის აგებულებასა თუ ჯანმრთელობასთან. შესაბამისად, კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ ზოგადი, პირთა განუსაზღვრელი წრისადმი დადგენილი რეგულაცია, არ იყოს არაგონივ-რული, რომელიც იქნება დასახელებულ მოთხოვნებთან აშკარად შეუსაბამო.“[3715]

1779 აღნიშნული შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა სადავო რეგულაციას დასაქმებულ პირთა ძალიან დიდი ჯგუფი თვლის აშკარად და უკიდურესად არაგონივრულად, მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს დასახელებული 3 საფეხურიანი სტანდარტის ტესტი და არა ყველა შემთხვევაში.

1780 ამ სამი სტანდარტის გარდა, შრომის უფლების დაცვის სახელმწიფო ვალდებულების საპირწონედ, ხშირად განიხილება სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. როგორც წესი, დასაქმებულის უფლებას, რომელიც კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით არის გარანტირებული, უპირისპირდება დამსაქმებლის უფლება, რომელიც ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, როგორც მეწარმეობის თავისუფლებაში ჩაურევლობა, არის დაცული. სწორედ ამიტომ, რელევანტურია, „პრაქტიკული კონკორდანსის“ პრინციპის გამოყენება, რომელიც ყოველი კონკრეტული დავის შემთხვევაში, შესაძლოა, სხვადასხვა შედეგით დასრულდეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოსთვის, დასაქმებულის ინტერესების გათვალისწინებასა და მათი უფლებების დაცვასთან ერთად, ვალდებულებას წარმოადგენს, იზრუნოს და ხელი შეუწყოს მეწარმეობას, არ დაადგინოს იმგვარი რეგულაციები, რომლებიც ხელს შეუშლის ამ ბაზარზე მოქმედ პირთა ფუნქციონირებას. შესაბამისად, სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს, გონივრული და სამართლიანი ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, დასაქმებულთა, ხოლო, მეორე მხრივ, მეწარმეთა და, ზოგადად, დამსაქმებელთა ინტერესებისა. ამასთან ერთად, კონსტიტუცია სახელმწიფოს ავალდებულებს, აკონტროლოს და საჭიროების არსებობისას, თავიდან აიცილოს, ამ სუბიექტთა მხრიდან,

[3715] იქვე, II-54.

მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და თავისუფლების ბოროტად გამოყენება“[3716]

5.2. თავისუფალი მეწარმეების უფლებაში ჩარევის გამართლება

1781 საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ საქმეში[3717] განიხილა ენერგეტიკის მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა, რომლებიც ადგენდნენ ზღვრულ ლიმიტს მცირე ჰიდროელექტრო სადგურების საქმიანობასთან დაკავშირებით. მოსარჩელეები ფლობდნენ ამგვარ ობიექტებს, მაგრამ მათ მიერ წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგია არ თავსდებოდა სადავო აქტით დადგენილ მინიმალურ სტანდარტში. ამ საქმეში მოსარჩელეები ითხოვდნენ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, საკუთრების უფლებასა და მეწარმეობის თავისუფლებასთან მიმართებით. სასამართლომ ეს ორი სიკეთე განიხილა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და განაცხადა, რომ „ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მეწარმეობის თავისუფლება“.[3718]

1782 მან ტესტის პირველი საფეხურად დაადგინა ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას, ამ მიზნის დადგენაში საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მათი იდენტიფიცირების გზებსა და ფორმებს. ,,ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნის ქვეშ მოაზრებული სიკეთე ნორმატიულად მოწესრიგებადი და ფასეული უნდა იყოს. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი და არა ისეთი, რომელიც გაუცხოებულია ნორმატიული ნებისაგან და არ შეესაბამება მას. თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით, შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა. ხშირად კანონმდებლის მიერ განზრახულ მიზნებზე უშუალოდ ნორმატიულ აქტებშია აღნიშნული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ნორმები არ შეიცავენ მსგავს მინიშნებებს. ერთადერთი, საიდანაც შეიძლება საკანონმდებლო მიზნების იდენტიფიკაცია, ეს არის სადავო აქტების პროექტებზე თანდართული განმარტებითი ბარათები და საქმის არსებითი განხილვის პროცესში გამორკვეული გარემოებანი.’’[3719]

1783 რა თქმა უნდა, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ კმარა დარღვევის დასადგენად. აუცილებელია, მიზნის მისაღწევად არჩეული გზა იყოს გამოსადეგი და ნაკლებ ინტენსიურად შემზღუდველი და „კანონმდებელი უნდა იცავდეს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს. მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ყველაზე უმტკივნეულო, აუცილებელი და სამართლებრივად ვარგისი საშუალებით. ვარგისიანობა და აუცილებლობა განაპირობებს არჩეული საშუალების ნამდვილობას. ვარგისიანობა ობიექტური გარემოებებითაა განსაზღვრული და იგი გულისხმობს გამოყენებული საშუალების უნარიანობას ლეგიტიმური მიზნის

[3716] იქვე II-51.
[3717] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის № 1/2/411 გადაწყვეტილება.
[3718] იქვე 23.
[3719] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის № 1/2/411 გადაწყვეტილება, II-9/.

მიღწევაში. როცა საშუალება უვარგისი ხდება არა მისი გამოყენების პროცესში, არამედ თავიდანვეა ასეთი, მაშინ ადგილი აქვს საშუალების აშკარა უვარგისობას.

1784 ამ საქმეში მოსარჩელის, მიერ დასახელებული იყო ორი ლეგიტიმური მიზანი. მის მიზანს შეადგენდა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

1785 სასამართლოს აზრით, მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით, შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მიერ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა. და მან მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული მიზნები „სავსებით გამართლებულად ჩათვალოს ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკიდან გამომდინარე.“ მან განმარტა რომ „მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ყველაზე უმტკივნეულო, აუცილებელი და სამართლებრივად ვარგისი საშუალებით. ვარგისიანობა და აუცილებლობა განაპირობებს არჩეული საშუალების ნამდვილობას. ვარგისიანობა ობიექტური გარემოებებითაა განსაზღვრული და იგი გულისხმობს გამოყენებული საშუალების უნარიანობას, ლეგიტიმური მიზნის მიღწევაში. როცა საშუალება უვარგისი ხდება არა მისი გამოყენების პროცესში, არამედ თავიდანვეა ასეთი, მაშინ ადგილი აქვს საშუალების აშკარა უვარგისობას. სადავო აქტების გამოყენების პროცესი მიანიშნებს იმაზე, რომ მიზნის მიღწევის არსებული საშუალება თავიდანვე იყო უვარგისი“. [3720] შესაბამისად, სადავო ნორმა, მეწარმეების თავისუფლებასთან (და ასევე საკუთრების უფლებასთან) მიმართებით, არაკონსტიტუციურად აღიარა.

5.3. პროფესიულ კავშირების ჩარევა გამართლება

1786 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულო წევრობა სასამართლომ კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაამართლა იმით, რომ ეს გაერთიანება სახელმ-წიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დააარსა.[3721] მასში შერწყ-მულია კერძო და საჯარო ინტერესები, რომელთაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ინიციატივით. სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არ მოიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ვინაიდან იგი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებას და შესაბამისად, ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს. კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტში კი მოიაზრება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია გაერთიანების ნებაყოფლობითობა.

5.4. მომხმარებელთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის შემოწმება

1787 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 წინადადებით გარანტირებული მომხმარებელთა უფლებები, არ მიეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ აბსოლუტურ

[3720] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის №1/2/411 გადაწყვეტილება, II-10.
[3721] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის №1/5/323 გადაწყვეტილება.

უფლებათა კატეგორიას და შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, ინტერესთა დაბალანსების საჭიროება, შესაძლოა, ობიექტურად, მოითხოვდეს მომხმარებელთა უფლებრივი გარანტიების შეზღუდვას მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების არსებობის პირობებით და თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.

1788 გადახდის ერთიანი ადმინისტრირების სისტემის არაკონსტიტუციურობაზე დავის საქმეში ლეგიტიმურ მიზნად მიჩნეული იქნა კომუნალურ მომსახურებათა სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და შესაბამისი მომსახურების საფასურის ეფექტურად ამოღების მიზანი, რომელიც, საბოლოო ჯამში, მიმართულია საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის.[3722] რადგან ცალკე წყალმომარაგებისა და გაზის მრიცხველის გამორთვა, საცხოვრებელ კორპუსებში, ვერ ხერხდებოდა, ხოლო ელექტრო ენერგიის გამორთვა, ცალკე მრიცხველით, შესაძლებელი იყო.

1789 შემდეგ ეტაპზე, სასამართლომ, თანაზომიერების ტესტის მიხედვით, შეამოწმა მისი გამოსადეგობა, აუცილებლობა და ვიწრო გაგებით პროპორციულობა. და აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით დადგენილი რეგულირება, აკმაყოფილებს გამოსადეგობის კრიტერიუმს, რადგან ადმინისტრირების ერთიანი სისტემა დადებითად აისახა, როგორც ინფრასტრუქტურასა და მომსახურების ხარისხზე, ასევე თავად წყალმომარაგების პერიოდულობაზე.[3723]

1790 საფასურის ამოღების ადმინისტრირების ერთიანი სისტემით გათვალისწინებულმა წესმა ვერ დააკმაყოფილა აუცილებლობის კრიტერიუმი, ბუნებრივი გაზისა და წყლის მომსახურებასთან დაკავშირებით, რადგან კერძო სახლებს, ცალკე მრიცხველი ჰქონდათ, გადაუხდელობის შემთხვევაში, შეიძლებოდა, მათ ცალკე გამოერთოს მომსახურება. თუმცა არსებული წესით, ყველაზე იგივე რეგულაცია მოქმედებდა. და ბოლოს, სასამართლომ იმსჯელა თანაზომიერების პრინციპის ბოლო ელემენტის მოთხოვნაზე, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ და მივიდა დასვკნამდე, რომ სადავო ნორმა ასევე აკმაყოფილებდა და სადავო რეგულირებით სამართლიანად იყო დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. შესაბამისად, მან დააკმაყოფილა სარჩელის მხოლოდ ნაწილი. კერძოდ, სემეკის 2010 წლის 13 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იწვევს სხვა მომსახურების მიწოდების შეწყვეტას, ისეთი მომსახურების ღირებულების გადაუხ-დელობის გამო, რომლის შეწყვეტა დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.[3724]

[3722] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248, II- 56.
[3723] იქვე II- 63.
[3724] იქვე სარეზოლუციო ნაწილის III-1.

6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკა

6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა შრომით უფლებებთან დაკავშირებით [3725]

1791 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შრომის უფლებას აქცევს კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მოქმედების სფეროში. საქმეში[3726] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ „პირადი ცხოვრების" ცნება ფართო კონცეფციაა და არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას; ის მოიცავს ადამიანის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას და ასევე ხშირად მოიცავს ადამიანის ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს"; იგივე პოზიცია ჰქონდა სასამართლოს მოსამართლის – სამსახურიდან დათხოვნას (საქმე ეხებოდა საჯარო სამსახურს). მან ნათლად განმარტა, რომ „პირადი ცხოვრება გულისხმობს პირის უფლებას, განავითაროს მათ შორის პროფესიული და ბიზნეს ურთიერთობები სხვა ინდივიდებთან".[3727] ოლექსანდრ ვოლკოვის საქმეში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის საჩივრის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა და რომ ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ საქმის შემდგომ განხილვას ამ ხარვეზების გამოსწორება არ შეეძლო, რამაც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა გამოიწვია.

1792 საქმეში – პალომო სანჩესი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ[3728] – სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ ესპანეთის ეროვნული სასამართლოს უარი, აღადგინოს დათხოვნილი პირი დაკავებულ თანამდებობაზე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევა შეიძლება გახდეს.

1793 საქმეში კოპლენდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ[3729] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობა, რადგანაც სახელმწიფომ, გაუმართლებელი მიზეზით, მიიღო გადაწყვეტილება პირის სამსახურიდან დათხოვნაზე.

ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე ბარბულესკო რუმინეთის წინააღმდეგ,[3730] სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფომ ეროვნული სასამართლოების უარით, სამსახურში აღდგენაზე, ვერ დაიცვა დასაქმებულის შრომითი უფლებები (და, მაშასადამე, დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი), მაშინ, როდესაც ყოფილმა დამსაქმებელმა არასწორად დაითხოვა ის სამსახურიდან.

[3725] სასამართლო პრაქტიკის დეტალური მიმოხილვა იხ. შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული). GIZ, თბილისი, 2020, გვ. 138, 139.
[3726] I.B. v. Greece - 552/10, 3.10.2013.
[3727] Oleksandr Volkov v. Ukraine - 21722/11, 9.1.2013.
[3728] Palomo Sanchez and others v. Spain, Applications nos. 28955/06, 28957/06, 28959/06 and 28964/06, 12.09.2011.
[3729] Copland v United KingdomApplication no. 62617/00, 03.04.2007.
[3730] Bărbulescu v Romania, application no. 61496/08, 05.09.2017.

1794 საქმეში ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ,[3731] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებელი (ქალბატონი ივანოვა), გარკვეული იურიდიული ტექნიკის გამოყენებით, სხვადასხვა შეხედულების გამო, გაათავისუფლეს სამსახურიდან; გარკვეული ტექნიკის გამოყენება უკავშირდებოდა იმ გარემოებას, რომ დამსაქმებელმა შეგნებულად და სავსებით თვალთმაქცურად შეცვალა სამსახურებრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთაც ფორმალურად დასაქმებული ივანოვა ვეღარ აკმაყოფილებდა; თუმცა რეალური დათხოვნის მიზეზი სავსებით სხვა საკითხი გახლდათ.

1795 ასევე, საქმეში ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ, [3732] სასამართლომ არ გაამართლა მოსამართლის სამსახურიდან დათხოვნა, რამეთუ ფორმალური ხასიათის მქონე რეორგანიზაციით, შეიფუთა რეალური მიზეზი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა.“ სასამართლოს შეხედულებით, შრომითი დავის განხილვისას, „თუ სასამართლო მიიღებდა გადაწყვეტილებას მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ის ჩაერეოდა (სწორედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გზით) პირის იმ უფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლით; ასეთი ჩარევა რომ გამართლებული უნდა იყოს, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნითა და ასევე, უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

1796 საქმეში ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ[3733] და ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,[3734] სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ უსამართლოდ მიიჩნია ქართველ მოსამართლეთა სამსახურიდან გათავისუფლება. აღნიშნულ საქმეში მოსამართლეები დავობდნენ კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლის დარღვევაზე. მომჩივნები იყვნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეები. ისინი ათ წლიანი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ სხვადასხვა დროს, 1999 წლის ივლისსა და 2000 წლის დეკემბრის პერიოდში. 2005 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება ოთხივე მომჩივნის წინააღმდეგ, მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელების გამო, რაც სავარაუდოდ ჩადენილი იყო მათ მიერ სხვადასხვა, მრავალი სისხლის სამართლის საქმისწარმოების განხილვისას. ჯერ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიიის და შემდგომ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ დადასტურდა მათი თანამდებობიდან გათავისუფლება. ეროვნული სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის შემდეგ, მოსარჩელეებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

1797 თუმცა 2016 წელს, 2 მოსარჩელის მიმართ, შეწყდა სამართალწარმოება. რადგან განსახილველი საკითხი სრულად გადაწყდა ეროვნულ დონეზე და ისინი დაინიშნენ მოსამართლეებად.[3735] მესამე და მეოთხე მომჩივანის შემთხვევაში, სახელმწიფომ აღიარა განმცხადებელთა სარჩელები და შესთავაზა ფულადი კომპენსაცია. გარდა ამისა,

[3731] Ivanova v. Bulgaria 46577/15. 12.04.2007.
[3732] Baka v. Hungary, Application no. 20261/12, 23.06.2016.
[3733] Turava and Others against Georgia Apl. N 7607/07, 27.11. 2018.
[3734] Laliashvili against Georgia Apl. N. 8710/07, 27.11. 2018.
[3735] 2017 წელს მესამე მოსარჩელეც დაინიშნა მოსამართლედ.

სახელწმიფომ შეცვალა ნორმები, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეთა მიმართ უსამართლო დისციპლინური წარმოება ჩატარდა. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამრთლომ მართალია საქმე განსახილველად კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით მიიღო, თუმცა მას საკითხის არსებითი განხილვა აღარ მოუხდენია, რადგან სახელმწიფომ მოსამართლეთა სარჩელი აღიარა.

6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება პროფკავშირებთან დაკავშირებით

1798 საქმეში დემირი და ბაიკარა თურქეთის წინააღმდეგ,[3736] მომჩივნები, ქემალ დემირი და ვიკდან ბაიკარა ცხოვრობენ გაზიანტეპსა და სტამბულში. პირველი მომჩივანი გახლავთ პროფკავშირ „თუმ ბელ სენ“-ის წევრი, მეორე კი მისი პრეზიდენტი. პროფკავშირი „თუმ ბელ სენ“-ი დაფუძნდა 1990 წელს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მომუშავე სახელმწიფო მოსამსახურის მიერ, რომელთა შრომითი ურთიერთობაც რეგულირდებოდა სახელმწიფო მოსამსახურის აქტის საფუძველზე. პროფკავშირის წესდების მე-2 მუხლის მიხედვით, მისი მიზანი გახლდათ დემოკრატიული პროფესიული კავშირის პრინციპის ხელშეწყობა და შედეგად მათი წევრების მისწრაფებებისა და მოთხოვნების განხორციელებისადმი დახმარება. მისი სათაო ოფისი მდებარეობდა სტამბულში.

1799 1993 წლის 27 თებერვალს „თუმ ბელ სენ“-მა გააფორმა კოლექტიური შეთანხმება, ერთ-ერთ მუნიციპალურ საბჭოსთან, ორი წლის ვადით. შეთანხმება ძალაში შევიდა 1993 წლის 1 იანვარს. შეთანხმება ეხებოდა მუნიციპალიტეტის საბჭოს თანამშრომელთა სამუშაო პირობების ყველა ასპექტს, მათ შორის ხელფასებს, დანამატებსა და სხვა სოციალურ სერვისებს. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის საბჭომ ვერ შეასრულა, შეთანხმებიდან გამომდინარე, რიგი მისი ვალდებულებებისა, კერძოდ კი, ფინანსური ვალდებულებანი, მეორე მომჩივანმა, როგორც პროფკავშირის პრეზიდენტმა, საოლქო სასამართლოში შეიტანა სამოქალაქო სარჩელი 1993 წლის 18 ივნისს.

1800 მოსარჩელემ თურქეთში ამოწურა ყველა სამართლებრივი გზა. საბოლოო, საკასაციო სასმართლოს გადაწვეტილებით, დადგინდა, რომ ასოციაციების, კავშირებისა და პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების თავისუფლება, კონსტიტუციაში მითითების შემთხვევაშიც კი, ვერ განხორციელდება ინდივიდების მიერ, მხოლოდ თავისუფალი ნების გამოხატვით. იმის გამო, რომ მოცემულ თემაზე არ არსებობს კონკრეტული კანონი, ვერ მოხდება მოცემული იურიდიული პირის არსებობის ცნობა. შესაბამისად, პროფკავშირი "თუმ ბელ სენ"-ი საერთოდ არ სცნო სასამართლომ უფლებაუნარიანად, აქედან გამომდინარე, იგი ვერ ახერხებდა დავას დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის.

1801 მოსარჩელეები დავობდნენ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევაზე, რომელიც აღნიშნავს შემდეგს:

> „1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული

[3736] Demir and Baykara v. Turkey apl, N. 34503/97, 12.11.2008.

კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა, საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც დადგენილია კანონით და აუცილებელია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე, შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.“

1802 სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მის წინაშე არ დადასტურებულა, სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ, პროფკავშირების შექმნის სრული აკრძალვა, თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით, როგორც ეს გამოყენებულ იქნა კიდეც, „მწველი სოციალური საჭიროებით“. მან დაადგინა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ „კანონმდებლობა არ აყალიბებდა ამგვარ შესაძლებლობას,“ არ იყო საკმარისი ისეთი რადიკალური ზომის განსახორციელებლად, როგორიც გახლავთ პროფკავშირის დაშლა.

1803 პალატამ მიიჩნია, რომ „თუმ ბელ სენ“-ის პროფკავშირის საქმიანობის საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსათვის საფრთხის არსებობის კონკრეტული მტკიცებულების გარეშე, მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანთა კავშირის იურიდიული სუბიექტობის აღიარებაზე უარის თქმით, დაარღვია კონვენციის მე-11 მუხლში განმტკიცებული, უფლებით სარგებლობის გარანტირების ვალდებულება. შესაბამისად, დაასკვნა, რომ ამ მხრივ, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას.

1804 თურქეთის მთავრობის არგუმენტი იყო, რომ საჩივარი არის შეუსაბამო კონვენციასთან, რადგანაც კონვენციის მე-11 მუხლი არ ვრცელდება „სახელმწიფო ადმინისტრაციის ... წევრებზე“. სასამართლოს აზრით, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, დაადასტუროს, ამგვარ პირთა წინააღმდეგ, ორგანიზების უფლებაზე დაკისრებულ შეზღუდვათა ლეგიტიმურობა. სასამართლო, ამასთანავე მიიჩნევს, რომ მუნიციპალური სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებიც, როგორც ასეთი, არ არიან ჩართულნი სახელმწიფოს ადმინისტრირებაში, არ უნდა იქნან განხილულნი „სახელმწიფოს ადმინისტრაციის წევრებად“, შედეგად, არ უნდა დაექვემდებარონ მათ მიმართ ორგანიზებისა და პროფესიული კავშირების შექმნის შეზღუდვას.

1805 სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეთა უფლება, გაწევრიანდნენ პროფკავშირებში, დადასტურებულია მრავალგზის კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების ექსპერტთა კომიტეტის მიერ. დადგენილი უფლებიდან ერთადერთი გამონაკლისი ვრცელდებოდა მხოლოდ შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაზე.

1806 კომიტეტის აზრით, ადგილობრივი საჯარო სამსახურის თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ, ეფექტურად დააფუძნონ მათთვის სასურველი ორგანიზაციები და აღნიშნულებმა, უნდა ისარგებლონ სრული უფლებით, განავითარონ და დაიცვან იმ მომსახურეთა ინტერესები, რომლებსაც წარმოადგენენ.

1807 თუმცა სასამართლომ ეს მიდგომა განავრცო ცენტრალურ ხელისუფლებაში დასაქმებულებზე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, „მიუხედავად იმისა თუ სად მუშაობენ, ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში, ზოგადად უფლებამოსილნი არიან, გაწევრიანდნენ საკუთარი სურვილით შერჩეულ პროფკავშირში. პროფკავშირს, როგორც წესი, უფრო მეტი წევრი ჰყავს საჯარო სექტორში, ვიდრე კერძოში, რაც წარმოადგენს აშკარა ნიშანს, წევრ სახელმწიფოთა მიერ შექმნილი, ხელსაყრელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარემოს შესახებ“

1808 აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ „სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრები“ არ შეიძლება გამოირიცხოს კონვენციის მე-11 მუხლის მოქმედების სფეროდან. მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია დააწესოს „კანონიერი შეზღუდვები“ აღნიშნულ წევრებზე. თუმცა, წინამდებარე საქმეში მთავრობამ ვერ დაადასტურა, თუ რატომ საჭიროებდა მომჩივანთა, როგორც მუნიციპალურ სახელმწიფო მოსამსახურეთა, საქმიანობის მიჩნევა „სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრად“ განხილვას და მოცემულ შეზღუდვათა დაწესებას.

6.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით

1809 ევროკავშირის სამართლის პრაქტიკიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი სამართალი უნდა ითვალისწინებდეს, დისკრიმინაციის საქმეებზე, მოსარჩელისთვის, მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას. [3737] ევროკავშირში სამართალი და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვას.[3738]

1810 დისკრიმინაციული აქტები და ნორმები, რომლებიც იკრძალება ამ მუხლით, არის ის აქტები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ, ზოგადად, დასაქმებასა და შრომით პირობებს (კერძოდ, შრომის ანაზღაურებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, დაწინაურებას, სხვა სამუშაოზე გადაყვანას, სამუშაოდან დათხოვნასა თუ სხვა უარყოფით ღონისძიებებს).

1811 საქმეში სიდაბრასი და ჯაუტასი ლიეტუვას[3739] წინააღმდეგ, განმცხადებლები საბჭოთა პერიოდში მუშაობდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (КГБ). 1990 წელს, ლიეტუვას მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველმა განმცხადებელმა მუშაობა დაიწყო საგადასახადო ინსპექტორად, ხოლო მეორე განმცხადებელმა – პროკურორად.

[3737] იხ. მჭედლიძე, საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, თბილისი, 2015, გვ. 9.

[3738] იხ. დეტალირად. შრომითი უფლებები (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა) დამხმარე სახელმძღვანელო იურისტებისთვის, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2019. ავტორი: მჭედლიძე.

[3739] Sidabras and Džiautas v. Lithuania, Apl N. 55480/00, 59330/00, 27. 07.2004,
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, იხ. საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

1812 1999 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ისინი დაითხოვეს სამსახურიდან, როგორც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი თანამშრომლები. კანონის თანახმად, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილ თანამშრომლებს, კანონის ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში, ეკრძალებათ საჯარო სექტორში მუშაობა და კერძო სექტორში გარკვეული სამუშაოს შესრულება. განმცხადებლების მტკიცებით, დასაქმებაზე დაწესებული აღნიშნული აკრძალვა დისკრიმინაციული იყო.

1813 განმცხადებლები დაექვემდებარნენ ლიეტუვაში მყოფი იმ სხვა პირებისგან განსხვავებულ მოპყრობას, რომლებსაც კომიტეტში არ ჰქონდათ ნამუშევარი. მათი შესაძლებლობა, წარემართათ პროფესიული საქმიანობა და ურთიერთობა გარე სამყაროსთან, შეიზღუდა. შესაბამისად, ჩარევა მოხდა განმცხადებელთა პირად ცხოვრებაში; მოცემულ შემთხვევაზე, კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად ვრცელდებოდა კონვენციის მე-14 მუხლიც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ევროპული სოციალური ქარტიის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, დისკრიმინაციის აკრძალვის გარანტია, მოცემული ქარტიის „ე“ მუხლში და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებები. ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, გაითვალისწინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1958 წლის no. 111 კონვენცია დისკრიმინაციის შესახებ (დასაქმება და პროფესია) და კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების შესახებ, ექსპერტთა კომიტეტის (CEACR) განმარტებები no. 111 კონვენციის თაობაზე.

1814 კანონის მიღებით, ლიეტუვას ხელისუფლების მიზანი იყო, თავიდან აეცილებინა წარსულის გამეორება და ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ დასაქმებაზე დაწესებული შეზღუდვა, ეროვნული უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურებოდა. რაც შეეხება სადავო ღონისძიების თანაბარზომიერებას, თუნდაც მიჩნეულიყო, რომ განმცხადებლები არ იყვნენ სახელმწიფოს ერთგულნი (როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებდა), ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლების ერთგულება, სახელმწიფოს მიმართ, კერძო სექტორში დასაქმების აუცილებელი პირობა იყო. შესაბამისად, კერძო სექტორში დასაქმებაზე ხელისუფლების მიერ დაწესებული აკრძალვა, კონვენციის თვალსაზრისით, არ იყო გამართლებული. მით უმეტეს, კანონი არ აკონკრეტებდა თანამდებობას, ფუნქცია-ამოცანებს, რომელთა დაკავება-შესრულებაც ეკრძალებოდათ განმცხადებლებს. საკანონმდებლო ჩარჩოს, შესაბამისად, აკლდა აუცილებელი გარანტიები, დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და შეზღუდვებზე სათანადო სასამართლო კონტროლის განსახორციელებლად. შეზღუდვის თანაბარზომიერების შეფასებისას, აგრეთვე, მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ კანონის გვიან ამოქმედების გამო, განმცხადებლები პროფესიულ შეზღუდვებს დაექვემდებარნენ კომიტეტში მუშაობის შეწყვეტიდან 13 და 9 წლის შემდეგ. შესაბამისად, განმცხადებლებზე დაკისრებული აკრძალვა, შეესრულებინათ გარკვეული სამუშაო კერძო სექტორში, არათანაბარზომიერი შეზღუდვა იყო.

6.4. გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლოს მეორე სენატის 1965 წლის 30 ნოემბრის პრაქტიკა

1815 გერმანის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა[3740] პროფესიულ კავშირში საჯარო მოხელის აქტიურობაზე. საქმეში მოსარჩელე იყო საჯარო მოხელე. იგი ზედამხედველად მუშაობს გერმანიის რკინიგზაში, კერძოდ, ქ. დორტმუნდის მთავარ სადგურში და იყო გერმანიის რკინიგზელთა კავშირის წევრი. თანამშრომლების წარმომადგენლობის არჩევნების წინ, 1960 წლის 15 და 16 თებერვალს, თავისუფალ დროს, ქ. დორტმუნდის მთავარი სადგურის ტერიტორიაზე, მოსარჩელე არიგებდა სააგიტაციო ბროშურებს, სადაც გაკრიტიკებული იყო გერმანელ საჯარო მოხელეთა კავშირის საჯარო მოხელეთა ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც მწვავე საკითხებთან დაკავშირებით, ითვალისწინებდა კომპრომისებსა და დათმობებს. ბროშურის შინაარსის მიხედვით, გერმანიის რკინიგზის თანამშრომლებს უნდა აერჩიათ გერმანელ რკინიგზელთა კავშირის წევრი და უნდობლობა გამოეცხადებინათ გერმანელ საჯარო მოხელეთა კავშირის კანდიდატისათვის. მოსარჩელემ ერთი ბროშურა თავის თანამშრომელ „E“-ს გადასცა და, ვინაიდან იგი გერმანელ საჯარო მოხელეთა კავშირის წევრი იყო, დასძინა: „ნახე, როგორ მუშაობს თქვენი კავშირი“. „E“-მ სააგიტაციო ბროშურა გადასცა გერმანიის რკინიგზის ინსპექტორ „W“-ს, რომელიც იმავდროულად იყო მისი პროფკავშირის ადგილობრივი დანაყოფის თავმჯდომარე. „W“ ამ დროს საკონტროლო ჩამოვლაზე იყო. მან უსაყვედურა მოსარჩელეს მისი საქციელის გამო და განაცხადა, რომ პროკლამაციების გავრცელება დაუშვებელია სამსახურებრივი განაწესის მიხედვით.

1816 ქ. დორტმუნდის მთავარი სადგურის კადრების განყოფილების უფროსის დისციპლინური განკარგულების საფუძველზე, მოსარჩელე დაჯარიმდა 5 გერმანული მარკის ოდენობით.

1817 გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი[3741] პროფესიული კავშირის წევრებისათვის უზრუნველყოფს უფლებას, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული კავშირის კონსტიტუციურად დაცულ საქმიანობაში. აქ ასევე მოიაზრება, თანამშრომელთა საბჭოს არჩევნების წინ, სამუშაო ადგილას, სააგიტაციო საქმიანობის განხორციელებაც.

1818 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციოს სასამართლომ განმარტა, რომ პროფესიული კავშირის თავისუფლების ძირითადი უფლება იცავს, პროფესიული კავშირის იმ საქმიანობას, რომელიც ემსახურება გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მიზნებს. თუ თანამშრომელთა საბჭოს საქმიანობის უმთავრესი მიზანია სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ხოლო

[3740] გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლოს მეორე სენატის 1965 წლის 30 ნოემბრის განჩინება - 2 BvR 54/62.

[3741]გერმანიის ძირითადი კანოის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „ყოველი ადამიანისათვის და ყველა პროფესიის წარმომადგენლისათვის გარანტირებულია უფლება, შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით შექმნას გაერთიანებები. შეთანხმებები, რომლებიც ზღუდავენ აღნიშნულ უფლებას ან ართულებენ მის განხორციელებას, ბათილია, ხოლო აღნიშნულის განსახორციელებლად მიმართული ზომები - კანონსაწინააღმდეგო. მე-12 ა მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცების, 87 ა მუხლის მე-4 აბზაცისა და 91-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები არ შეიძლება იყოს მიმართული იმ შრომითი აქციების წინააღმდეგ, რომლებიც პირველ წინადადებაში აღნიშნული გაერთიანებების მიერ ტარდება შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვის ან ხელშეწყობის მიზნით“.

თანამშრომელთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული პროფკავშირის საქმიანობა, შესაბამისი კომპეტენციებისა და უფლებამოსილების მინიჭებით, ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია კანონით ან წარმოადგენს თანამშრომელთა ინტერესების ეფექტური დაცვისა და გატარების აუცილებელ წინაპირობას, მაშინ პროფკავშირების საქმიანობაც, თანამშრომელთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, ემსახურება სამუშაო პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას.

1819 აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ პროფკავშირები სამუშაო პირობებზე გავლენის მოხდენას ცდილობენ არა უშუალოდ, არამედ _ თანამშრომელთა საბჭოებისა და მათი არჩევის მეშვეობით. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი არ ითვალისწინებს ასეთ გამიჯვნას; იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს, თუ როგორ ახერხებენ პროფესიული კავშირები სამუშაო და ეკონომიკური პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას - უშუალოდ თუ არაპირდაპირ. გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი პროფესიულ კავშირებს ანიჭებს უფლებას, სატარიფო ხელშეკრულებებით განსაზღვრონ სამუშაო და ეკონომიკური პირობები (იხ: BVerfGE 4, 96, [106]; 18, 18, [26]). სადავოა, იცავს თუ არა გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტია პროფესიულ კავშირთა ისეთ საქმიანობას, რომელიც სატარიფო ხელშეკრულებებისაგან განსხვავებული სახით, ემსახურება სამუშაო და ეკონომიკური პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას.

1820 პროფესიული კავშირის თავისუფლება დაკარგავდა თავის ისტორიულ დანიშნულებას, თუკი პროფესიული კავშირის საქმიანობა, თანამშრომელთა წარმომადგენლობის კუთხით, არ იქნებოდა დაცული გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით.

1821 ამგვარი საარჩევნო კამპანიის დანიშნულება დაიკარგება იმ შემთხვევაშიც, თუ პროფესიული კავშირის ან მისი წევრებისათვის აიკრძალებოდა კონკურენტი პროფესიული კავშირის გაკრიტიკება. საარჩევნო კამპანია წარმოუდგენელია აზრთა სხვადასხვაობის გარეშე. თუმცა, თავიდან ვერ იქნება აცილებული პროფკავშირთა სხვა წევრების უარყოფითი რეაქცია საწინააღმდეგო ან კრიტიკული აზრის გამოხატვაზე.

1822 ყველა ადამიანისა და ყველა პროფესიისათვის გარანტირებული პროფესიული კავშირის თავისუფლების ძირითადი უფლება ასევე ვრცელდება საჯარო მოხელეებზე. თუმცა, სასამართლომ შეამოწმა, ხომ არ იყო შესაძლებელი და განხორციელებული მომჩივნისათვის აღნიშნული ძირითადი უფლების შეზღუდვა. ძირითადი უფლების ამგვარი შეზღუდვები, შესაძლოა, გამართლებული იყოს გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით. ამ ნორმის მიხედვით, დასაშვებია ძირითად უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომელთა საჭიროება და აუცილებლობა გამომდინარეობს საჯარო მოხელის კონკრეტული სამსახურებრივი ურთიერთობიდან. მოცემულ შემთხვევაში არ არის ნათელი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საჭირო და აუცილებელი მოსარჩელის – ფედერალური რკინიგზის ზედამხედველის, როგორც პროფკავშირის წევრის, სააგიტაციო საქმიანობის შეზღუდვა, მისი, როგორც საჯარო მოხელის, კონკრეტული სამართლებრივი სტატუსიდან და ურთიერთობიდან გამომდინარე.

1823 ზემოთ აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ არ არის აუცილებლობა, საჯარო მოხელეებისათვის, ზოგადად, აიკრძალოს სამუშაო ადგილას თანამშრომელთა

საბჭოს არჩევნების წინ, სხვა პროფესიული კავშირის წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო საქმიანობა, ვინაიდან ასეთი აკრძალვა ეწინააღმდეგება და არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს.

1824

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის კონსტიტუციური სარჩელი და გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მასშტაბისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, არაკონსტიტუციურად სცნო და გაუქმა სასამართლოს განჩინება და დისციპლინური განკარგულება.

ლიტერატურა

ბურდული/ გოცირიძე/ ერქვანია/ ზოიძე/ იზორია/ კობახიძე/ ლორია/ მაჭარაძე/ ტურავა/ ფირცხალაშვილი/ ფუტკარაძე/ ქანთარია/ წერეთელი/ ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013; გეგენავა, საქართველოს პირველი კონსტიტუცია: მითებსა და სინამდვილეს შორის. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, გამოცემა № 1-2, დეკემბერი 2021; გომბერტი და სხვები, სოციალური დემოკრატიის საფუძვლები, სოციალური დემოკრატიის კურს, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2002; დიაკონიძე, სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, GIPA, თბილისი 2014; კაუცკი, საქართველო, გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა, შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 2018; ლაფაჩი, მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხისათვის, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2001; ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები?, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012; მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბილისი, 2008; მჭედლიძე, საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, თბილისი, 2015; ფირცხალაშვილი, ქარდავა, ტურავა, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2023; შვაბე, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, GIZ 2011; შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული). GIZ, თბილისი, 2020; შრომითი უფლებები (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა) დამხმარე სახელმძღვანელო იურისტებისთვის, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2019. ავტ. მჭედლიძე; Badura, P., Der Zustand des Rechtsstaates, ein cappenberger gespräch. Referate von Peter Badura und Gerd Roellecke, Speyer 1986; Esping-Andersen, The Three Worlds of Welfare Capitalism, Polity Press 1990; Karpen, Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985; Katz, Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht. C.F. Müller; 16., neu bearb. Edition. 2005; Münchenhagen, Zeitleiste: Orientierungsdaten vom Altertum zur Neu zeit 2003;

Randelzhofer, Kahl, Bonner Kommentar zum Grundgesetz, Loseblattsammlung seit 1950, Art. 11. Heidelberg; Sachs, Verfassungsrecht II, Grundrechte, 2. Auflage, Berlin, Heidelberg, 2003; Scheuner, Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968; Schmidt, Grundrechte, (sowie Grundzuege der Verfassungsbeschwerde).10.Aufl., Bremen, 2016; Umbach, (Herausgeber, Autor) Bundesverfassungsgerichtsgesetz: Mitarbeiter kommentar und Handbuch (Heidelberger Kommentar) Auflage: 2., Auflage 2005; Zenthöfer, Staatsrecht 2, Grundrechte, Kiel, 7. Auflage, 2009/2010.

მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით, მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.

შინაარსი

მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება 709

შინაარსი 726

1. განათლების უფლებისა და აკადემიური თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა..... 710

2. განათლების უფლებითა და აკადემიური თავისუფლების დაცული სფერო..... 712

2.1. პერსონალურად დაცული სფერო 712

2.2. საგნობრივი დაცული სფერო..... 714

2.2.1. განათლების უფლება 715

2.2.3. აკადემიური თავისუფლება..... 716

3. განათლების უფლებისა და აკადემიური თავისუფლებაში ჩარევა/ვალდებულების შეუსრულებლობა 717

4. კონსტიტუციურ სამართლებრივი შემოწმება 718

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა..... 719

5.1. გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოსა და აშშ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა..... 719

5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა განათლების უფლებასთან მიმართებით..... 722

5.2.1. Konrad and Others v. Germany 722

5.2.2. Campbell and Cosans v. the United Kingdom..... 724

5.2.3. Timishev v. Russia 725

ლიტერატურა

1. განათლების უფლებისა და აკადემიური თავისუფლების ზოგადი მნიშვნელობა

1825 განათლების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების, კონსტიტუციურ რანგში აყვანა ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დემოკრატიულ სახელმწიფოში. განათლება წარმოადგენს სოციალური ცხოვრების განუყოფელ პროცესს, რომლის საშუალებითაც ინდივიდები თავიანთი შესაძლებლობებითა და უნარებით სწავლობენ თვითგანვითარებას და ასევე სარგებლის მოტანას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის.[3742] განათლების მიღების უფლება, ისე როგორც აკადემიურო თავისუფლება, არის პირის სუბიექტური უფლება, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა აქვს, არამხოლოდ ადამიანის პიროვნულ თავისუფალ განვითარებაზე, არამედ მთელი საზოგადოების, როგორც ერთიანი ინსტიტუციის, წარმატებაზე. რადგან მისი როლი განუსაზღვრელია პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარებისათვის, იგი განსაკუთრებულ საჯარო ინტერესის სფეროს წარმოადგენს. განათლება აძლიერებს საზოგადოებას და უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ არსებობას ყველა ასპექტში.[3743] სახელმწიფოს მხრიდან ამიტომაც არ არის საკმარისი, მხოლოდ რაიმე ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავება, რომელიც ერევა განათლების უფლებაში, არამედ მისი ვალდებულებაა, პოზიტიურად იმოქმედოს ადამიანის განათლების უფლების ხელშეწყობისთვის.

1826 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განათლება ხელს უწყობს ინდივიდს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, ჰქონდეს სასურველი სამუშაო ადგილი, შექმნას მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახი, თუკი ამის სურვილი ექნება და ა.შ.”[3744] სასამართლოს აზრით, მისი ეს კონსტიტუციური უფლება სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოშობს, და ამიტომ “განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამავე დროს – განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი არსებობის საშუალებას.”[3745] სასამართლო ხაზს უსვამს ამ უფლების არა მხოლოდ სუბიექტურ მნიშვნელობას თითოეული პირისთვის, არამედ მის ობიექტურ ღირებულებას. „შესაძლებელია, ცალსახად ითქვას, რომ განათლების უფლების რეალიზაცია და საზოგადოებისთვის უფასო ზოგადი განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას. განათლებას პრინციპული

[3742] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540 რუსეთის მოქალაქეები: ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები: მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II- 15.
[3743][3743] Sharma/Monteiro, Creating Social Change: The Ultimate Goal of Education for Sustainability, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 6, No. 1, January 2016, გვ. 1.
[3744] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540, II- 15.
[3745] იქვე II-18.

მნიშვნელობა აქვს კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში, მომდევნო პროფესიული ზრდისთვის და გარემოსთან ნორმალურად შეგუების საკითხში.“[3746]

1827 განათლების უფლება სოციალ-ეკონომიკურ უფლებათა კატეგორიაში განიხილება. მართალია, მათი სამართლებრივი წარმოშობა, მე-19 საუკუნეში მსოფლიოში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის მძიმე სოციალური შედეგების ფონზე მოხდა, თუმცა მათი კონსტიტუციონალიზაცია მე-20 საუკუნიდან დაიწყო. საქართველოშიც ფიქრობდნენ განათლების საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მნიშვნელობაზე. ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ,,ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა“ [3747] და ,,რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონეთ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად.“ [3748]

1828 საქართველოს პირველი კონსტიტუციის მე-12 თავი ეძღვნებოდა „სწავლა-განათლებასა და სკოლას“.[3749] კონსტიტუცია აცხადებდა რომ ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალი იყო და იმავდროულად სახელმწიფოს მოვალეობად აცხადებდა, მფარველობა გაეწია და ხელი შეეწყო მათი განვითარებისათვის. დაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულო იყო და იგი წარმოადგენდა საშუალო და უმაღლესი სკოლის საფუძველს. სახელმწიფოს განსაკუთრებული პოზიტიური ვალდებულება გამოიხატებოდა დაწყებით სკოლაში „უღარიბესი ბავშვებისათვის საზრდოს, ჩასაცმელ-დასახურისა და სასწავლო ნივთების, უფასოდ მიცემაში.“[3750] მეცნიერებისა და სწავლება თავისუფლებაში მოიაზრება აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს სწავლებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას. ამ პერიოდში, აკადემიური თავისუფლების კონტექსტში, მეტად პროგრესული გარანტიები შეიქმნა, მათ შორის, განათლების სფეროსთვის. სწავლების თავისუფლება კონსტიტუციით იქნა აღიარებული. თუმცა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხანმოკლე არსებობის პერიოდისა და იძულებითი გასაბჭოების გამო, აკადემიური თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური ნორმა პრაქტიკაში არ ამოქმედებულა. [3751]

1829 საბჭოთა კავშირში განათლება მკაცრად იდეოლოგიზირებული იყო. იგი მხოლოდ საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი და მთავრობის დაკვეთას ასრულებდა. საბჭოთა კავშირში და მათ შორის საბჭოთა საქართველოში მოქმედებდა ცენზურა და აბსოლუტურად აკრძალული იყო აკადემიური თავისუფლება. პოლიტიკური მოტივებით საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე კონტროლი ჩვეული პრაქტიკა იყო საბჭოთა კავშირში. შედეგად, არსებული სინამდვილე ჩანაცვლდებოდა ხოლმე პოლიტიკური პროპაგანდით. ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა დამკვიდრებულ რეჟიმს, იკრძალებოდა, ისჯებოდა და განიკვეთებოდა სასწავლო

[3746] იქვე II-20.
[3747] იხ. თეთრუაშვილი ,,ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული)“, გვ. 93.
[3748] იქვე გვ. 75.
[3749] საქართველოს კონსტიტუციის მე-12 თავი, მუხლები 109-112.
[3750] კონსტიტუციის მე-111 მუხლის ასევე უზრუნველყოფდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტიდან.
[3751] იხ. ხოფერია აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე). საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №1-2 / 202 გვ. 218.

დაწესებულებიდან.[3752] კომუნისტურმა რეჟიმმა კარგად იცოდა, რომ განათლება და აკადემიური თავისუფლება ეყრდნობა კრიტიკულ აზროვნებას და იგი იწვევს სოციალურ ცვლილებებს.

1830 თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება**.** საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში, 2017 წლის კონსტიტუციის გადასინჯვისას, შეიცვალა მუხლის ფორმულირება. კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში დაემატა სპეციალური, მესამე პუნქტი. ახალი რედაქციით უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია.

1831 განათლების უფლება მიეკუთვნება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებათა კატეგორიას. გარდა ამისა, იგი განიხილება პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებად გამომდინარე იქიდან, რომ ეს უფლება წარმოადგენს ადამიანის სხვა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიანი რეალიზაციის საშუალებას.

1832 ადამიანის განათლების უფლება წარმოშობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ერთი მხრივ, შექმნას განათლებისათვის საჭირო პირობები (ინფრასტრუქტურა, პროგრამების ჰარმონიზაცია, განათლების ხარისხის კონტროლი და სხვა) და, მეორე მხრივ, მისცეს ფინანსური შესაძლებლობა ყველა სოციალურ ფენას, მიიღოს შესაბამისი განათლება.[3753] განათლების სისტემა სოციალური სისტემის განუყოფელი ნაწილია, ხაზგასმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც, განათლების სისტემა დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს განუყოფელი ელემენტია, მისი შექმნა კი – უმაღლესი დონის ლეგიტიმური მიზანი. [3754] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ უფლებასა და ცივილიზებული კაცობრიობის აღიარებულ ღირებულებას.[3755]

2. განათლების უფლებითა და აკადემიური თავისუფლების დაცული სფერო

2.1. პერსონალურად დაცული სფერო

1833 განათლების უფლებითა და აკადემიური თავისუფლების უფლებით დაცულია ყველა ადამიანი (საქართველოს მოქალაქე, აპატრიდები და უცხოელები) და იურიდიული პირი.

[3752] იქვე.

[3753]განათლების უფლების სოციალური განზომილება იხ. საქართველოს სოციალური სამართალი, ფირცხალაშვილი, ქარდავა, ტურავა. თავი 5.9.

[3754] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის № 2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათენაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[3755] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის № 2/35 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ამ უფლების სუბიექტებად დაადგინა უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მისი აზრით, 27-ე მუხლით გარანტირებული განათლების ხელმისაწვდომობისა და მისი ფორმების არჩევის უფლება ეკუთვნის ყველას. რადგან იგი მიუთითებს, რომ „ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით, მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. „აშკარაა, რომ განსხვავებით უმაღლესი და პროფესიული განათლებისაგან, კონსტიტუცია ზოგადი განათლების უსასყიდლოდ მიღების უფლებას არ ავიწროებს მოქალაქეობის ნიშნით. საქართველოს კონსტიტუციაში არც სხვა რაიმე გამონაკლისი გვხვდება საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა მიმართ, ზოგადი განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობის დადგენასთან დაკავშირებით.“[3756]

1834 ზოგადად ძირითადი უფლებები, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვრცელდება ასევე იურიდიულ პირებზე, თუმცა ძირითადი პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. რადგან ითვლება რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენენ სახელმწიფოს და მათზე, როგორც ადრესატზე, ძირითადი უფლებები არ უნდა გავრცელდეს. ამ თეორიას აქვს გამონაკლისიც. ამის კარგი მაგალითია, განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით (ხელოვნება და მეცნიერება, კვლევა და სწავლება თავისუფალია), გათვალისწინებული ძირითადი უფლების განვრცობა უნდა მოხდეს უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებზე მათი სამართლებრივი ფორმისგან დამოუკიდებლად.[3757] აღნიშნული ძირითადი უფლების ფორმულირებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი გავრცელება იმ დაწესებულებებზე, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მეცნიერებასთან, კვლევასა და სწავლებასთან. იგივე პრაქტიკას უჭერს მხარს საქართველოს საკონსტიტუციო სასმართლოც. “სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და აქედან გამომდინარე, იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებელ მოსარჩელედ მოგვევლინოს კონსტიტუციურ სამართალწარმოებაში.”[3758]

1835 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში ერთმანეთისგან გამიჯნა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება და კვლევითი საქმიანობის განხორციელება, განათლების უფლებით დაცულ სფეროსთან მიმართებით. მისი აზრით, “ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი. ეს არ არის მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობა და სხვა მიმართულებებს, მათ შორის, მმართველობითი ხასიათის საქმიანობასაც მოიცავს”. “უნივერსიტეტის ან ფაკულტეტის ორგანოს წევრობა, ასევე, დეკანის თანამდებობა, დაკავშირებულია მმართველობითი ფუნქციების განხორციელებასთან. ეს არ არის სამეცნიერო საქმიანობა იმ გაგებით, რაც

[3756] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540.
[3757] იხ. BVerfGE 15, 256 [262].
[3758] საქართველოს საკონსტიტუციო სასმართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-8.

ზემოთ აღინიშნა და არც ამ საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მოსარჩელეებს შეუძლიათ გააგრძელონ კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა, იმ პირობებშიც, როდესაც მათ არ უკავიათ რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობა, ან არ არიან რომელიმე ორგანოს წევრები და გასაჩივრებულ ნორმათაგან არც ერთი არ უქმნის მათ დაბრკოლებას ამ მიმართებით".[3759]

1836 აკადემიური თავისუფლების უფლების სუბიექტია ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა აკადემიურ ან სამეცნიერო საქმიანობას ან აქვს ასეთი საქმიანობის სურვილი. ამ უფლებით დაცულ სფეროში ექცევა არა მხოლოდ აკადემიურო პერსონალი, არამედ მეცნიერების თავისუფლება იცავს ასევე იურიდიულ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას. ეს ეხება კერძო და საჯარო უმაღლეს სასწავლებლებს და მათ სტრუქტურულ ერთეულებს. დაწესებულებებთან მიმართებით გადამწყვეტია არა ამ დაწესებულების სამართლებრივი ფორმა, არამედ მისი საქმიანობა, რომ დაწესებულება თავისი სტრუქტურითა და რესურსებით ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევის წარმართვაზე. ამიტომ ეს ლოგიკა ვრცელდება ასევე არასაუნივერსიტეტო, კერძო და საჯარო დაწესებულებებზე. მაგალითად სახელმწიფო ფონდები, რომლებიც თავად არ არიან ჩართული სამეცნიერო კვლევაში, მხოლოდ მაშინ ხდებიან უფლების სუბიექტები, როცა ავტონომიურად საქმიანობენ და განიხილებიან მეცნიერების ხელშემწყობ დაწესებულებად.[3760] შესაბამისად, აკადემიური თავისუფლებისა და განათლების უფლების სუბიექტებად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო და აკადემიურ საქმიანობას. აქედან გამომდინარე ამ უფლების სუბიექტები, გამონაკლისი სახით, შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც.

1837 მეცნიერების თავისუფლებით გარანტირებულია, სამეცნიერო ცოდნის შექმნისა და გავრცელების პროცესში, სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფს უფლების სუბიექტების საქმიანობაში სახელმწიფო ორგანოების და, ასევე, საუნივერსიტეტო მმართველობითი ორგანოების ჩარევისაგან დაცვას. ჩარევა, შესაძლოა, მიმართული იყოს და ეხებოდეს ცალკეულ მეცნიერს ან, აგრეთვე, მიმართული იყოს სამეცნიერო ერთეულის და ინსტიტუციების წინააღმდეგ. გარანტირებულია დაცვა მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიაში ნებისმიერი სახის ჩარევისაგან.[3761]

2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1838 საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი იცავს ორ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ სიკეთეს განათლების უფლებასა და აკადემიურ თავისუფლებას.

[3759] იქვე II-28.
[3760] Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, 221.
[3761] იხ. ხოფერია, აკადემიური თავისუფლება, გვ. 224.

2.2.1. განათლების უფლება

1839 საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებას.

1840 კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, სრულად დააფინანსოს ზოგადი განათლება. ამასთანავე, სრულად დაფინანსების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი, რომელიც განსაზღვრავს დაფინანსების ოდენობას, უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი „სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს.[3762]

1841 განათლების ძირითად უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540 რუსეთის მოქალაქეები: ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები: მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

1842 საქმე ეხებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფასო ზოგადი განათლების უფლებასა და თანასწორობას. მოსარჩელეები იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო სრულად უნდა აფინანსებდეს როგორც საქართველოს მოქალაქის, ისე უცხოელისა და აპატრიდის ზოგად განათლებას.

1843 საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“. მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ სადავოდ გამხდარი ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ განათლების უფლებას, ვინაიდან, მათ, როგორც საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, უნდა ჰქონდეთ უფლება, ზოგადი განათლება უსასყიდლოდ მიიღონ.

1844 საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ: „სახელმწიფოს პირდაპირი და უშუალო ინტერესია დემოკრატიული საზოგადოების, ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც, რა თქმა უნდა, ადეკვატური განათლების სისტემის გარეშე, წარმოუდგენელია. განათლების უფლების ეფექტური რეალიზება არა მხოლოდ პირის ინდივიდუალური ინტერესია, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღირებულება. ხოლო ამ უფლების შეზღუდვა მნიშვნელოვან ზიანს

[3762] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-18.

აყენებს როგორც ინდივიდს, ასევე მთლიანად საზოგადოებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ ზოგადი განათლების დაფინანსების ჭრილში სახელმწიფო თანაბრად უნდა ზრუნავდეს როგორც საქართველოს მოქალაქეზე, ისე საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე“. [3763]

2.2.3. აკადემიური თავისუფლება

1845 განათლების უფლებისგან განსხვავებით აკადემიური თავისუფლება სახელმწიფოს ამ თავისუფლებაში თავის შეკავებას, ჩაურევლობას ავალდებულებს, ვიდრე მოქმედებას. თუმცა შესაძლოა 27-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან სახელმწიფოს ისეთი მოქმედების ვალდებულების ამოკითხვაც, რომელიც იცავს უფლების მატარებელი პირის აკადემიურ თავისუფლებას სხვათა ჩარევისაგან. ასეთი მოქმედება, როგორც ზემოთ უკვე განიმარტა, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულებას წარმოადგენს (staatliche Schutzpflicht).

1846 როგორც ყველა კონსტიტუციური უფლება თუ თავისუფლება, მეცნიერების, კვლევისა და სწავლების თავისუფლება, პირველ რიგში, სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვის უფლებაა. კონსტიტუციური ჩანაწერის შინაარსი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას მეცნიერების თავისუფლება სამეცნიერო კვლევისა და სასწავლო დაწესებულებებში, ასევე ხელი შეუწყოს მათ ორგანიზაციული, პროცედურული თუ ფინანსური დახმარებებით. [3764]

1847 აკადემიური თავისუფლება სპეციფიკური უფლებაა და დაკავშირებულია სწავლების, სწავლის და კვლევის პროცესში სინამდვილის მეცნიერულ ძიებასთან. აკადემიური თავისუფლება არ არის ახლად აღმოჩენილი სიკეთე და, სულ მცირე, პლატონის აკადემიის ტრადიციებიდან მომდინარეობს.[3765] აკადემიური თავისუფლების გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებას არ შეუძლია საზოგადოებისთვის სასარგებლო რესურსის შექმნა. აკადემიური პერსონალი დაცული უნდა იყოს იდეოლოგიური ზეგავლენისაგან. სასარგებლო რესურსი იქმნება მხოლოდ ისეთ გარემოში, რომელიც თავისუფალია ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან რელიგიური მოტივებით აკადემიური პერსონალის მოსაზრებებსა და გამოხატვის ფორმებში ჩარევისა და შეზღუდვისაგან. [3766]

1848 აკადემიური თავისუფლება შედგება სამი კომპონენტისაგან: 1. კვლევის თავისუფლება; 2. სწავლების თავისუფლება; 3. აზრის გამოხატვის და ქმედების თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ. აკადემიური თავისუფლება ნიშნავს აზრის, კვლევის, ანალიზის, დისკუსიის, პრობლემების პრეზენტაციის, კონკრეტულ ან მომიჯნავე, მონათესავე სფეროებში არსებული თეორიების გამოკვლევის თავისუფლებას.[3767]

[3763] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540. II-21.
[3764]Magers, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 9.
[3765] Dayton, Education Law – Principles, Policies, and Practice, 2012, 185.
[3766] Developments in the Law - Academic Freedom', Harvard Law Review 81 (5), 1968, p. 1048.
[3767] იხ. ხოფერია, აკადემიური თავისუფლება, გვ. 220.

1849 მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების თავისუფლება იცავს მეცნიერთა მიერ „მეცნიერების განმარტების“ უფლებასაც. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ მეცნიერს შეუძლია, განსაზღვროს, თუ რა არის მეცნიერება. ამიტომ, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, აკრძალოს კონკრეტული ღონისძიება იმ დასაბუთებით, რომ ის „არამეცნიერულია“. ცხადია, არ იგულისხმება, რომ ნებისმიერი სახის მოსაზრება მეცნიერებად უპირობოდ უნდა იქნეს აღქმული. თუმცა ასეთი ფარგლების დადგენის უფლებამოსილება თავად მეცნიერებას აქვს.[3768]

3. განათლების უფლებისა და აკადემიური თავისუფლებაში ჩარევა/ვალდებულების შეუსრულებლობა

1850 კონსტიტუციის 27-ე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო ხელისუფლება სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახდენს ისეთ ინტერვენციას, რომელიც ხელს უშლის, ზღუდავს ან საერთოდ კრძალავს ამ მუხლით გარანტირებულ სიკეთეთა განხორციელებას. ჩარევის იდენტიფიცირება ხდება სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების ან მისი ისეთი უმოქმედობის დადგენისას, როცა მას ევალებოდა უფლების გარანტირებისას მისი დაცვა.

1851 სახელმწიფოს მიერ განათლებისა და მეცნიერების დაცვის, ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლოა, განხილულ იქნეს კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად. კონსტიტუციური ნორმის ობიექტური შინაარსი მოითხოვს სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებებს თავისუფალი მეცნიერების განვითარებისთვის და მის თანამონაწილეობას ამ იდეის განხორციელებაში. [3769]

1852 როგორც უკვე აღინიშნა, ეს უფლება სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს, ერთი მხრივ, პოზიტიურ მოქმედებას (პოზიტიური ვალდებულება), ხოლო მეორე მხრივ, ისეთი მოქმედებისგან თავის შეკავებას, როგორიცაა გაუმართლებელი ჩარევა აკადემიურ თავისუფლებაში (ნეგატიური ვალდებულება).

1853 პირველის, პოზიტიური ვალდებულების შემთხვევაში, ძირითადი უფლება ირღვევა მაშინ, როცა მისი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო არ მოქმედებს პოზიტიურად, ან მისი მოქმედება არ არის საკმარისი. ხოლო მეორე, ნეგატიური ვალდებულების შემთხვევაში მოწმდება სახელმწიფოს მოქმედებას რამდენად აქვს ლეგიტიმური მიზანი და რამდენად არის იგი კონსტიტუციურ სამართლებრივად გამართლებული (გამოსადეგი, აუცილებელი, შესაბამისი). ორივე შემთხვევაში ჩარევა ძირითად უფლებაში კონსტიტუციურ-სამართლებრივად ვერ გამართლებულია, თუ არ ემსახურება კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად არაა ყველაზე გონივრული საშუალება.

1854 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში რუსეთის მოქალაქეები: ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები:

[3768] Richter, Recht im Bildungssystem, 2006, S. 158.
[3769] Iarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, S. 222.

მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ იმსჯელა განათლების უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. [3770]

1855 საკონსტიტუციო სასამართლომ არსებული დავის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, დაადგინა, ვრცელდებოდა თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით დაცული ზოგადი განათლების უფასოდ მიღების უფლება საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე. შემდეგ კი, სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმებიდან გამომდინარე შეზღუდვის პროპორციულობის საკითხი. პირველ ეტაპზე მან დაადგინა, რომ კონსტიტუციის სულისკვეთებას წარმოადგენს ზოგადი განათლების სრულად დაფინანსების უზრუნველყოფა, რომლის რეალიზების წესიც კანონით უნდა განისაზღვროს. იგი არ აკონკრეტებს იმ პირთა წრეს, რომელმაც უნდა მიიღოს უფასო ზოგადი განათლება, მაშინ როდესაც სხვა კონსტიტუციურ ნორმებში ხშირად გვხდება რიგი უფლებები, რომლებიც ექსკლუზიურად მოქალაქეებს ეკუთვნით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის ზოგადი განათლების დაფინანსების სუბიექტებად უცხოელებიც მოიაზრებიან.

1856 სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულება, კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად, სრულად დააფინანსოს ზოგადი განათლება, რასაც შესაბამისი კანონმდებლობით არ ასრულებდა კანონმდებელი. ამით სასამართლომ დაადგინა, რომ სახელწმიფოს პოზიტიური ვალდებულება არ სრულდებოდა და გადავიდა პროპორციულობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ შემოწმებაზე.

4. კონსტიტუციურ სამართლებრივი შემოწმება

1857 საქმეში რუსეთის მოქალაქეები: ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები: მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია შეეფასებინა კანონმდებლის მიერ მისი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი. სასამართლომ განმარტა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეზღუდვა გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. მან მოცემულ შემთხვევაში ჩათვალა, რომ სადავო ნორმა გამორიცხავდა მოსარჩელეთა მიერ საშუალო განათლების დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. ამიტომ სახეზეა საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფასო ზოგადი განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, რაც წარმოშობდა მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულობის შემოწმების საჭიროებას.[3771] მან ამასთანავე მიუთითა, რომ უფლება აბსოლუტური არ არის და ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. თუმცა, განათლების უფლების შეზღუდვისას, კანონმდებელმა უნდა

[3770] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540.
[3771] იქვე II-13.

დაიცვას გონივრული ბალანსი შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის.

1858 კანონმდებლის პოზიციით, უცხოელებისთვის განათლების ძირითადი უფლების შეზღუდვას სახელმწიფო ბიუჯეტის ამოწურვადობა ედო საფუძვლად. შესაბამისად, ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა შეზღუდული ფინანსური რესურსი. სასამართლომ შეაფასა ლეგიტიმური მიზანი და აღნიშნა, რომ ზოგადად, ამოწურვადი რესურსების დაზოგვა, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს და როდესაც საქმე უკავშირდება შეზღუდვად რესურსებსა და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებას, მან აღიარა, რომ კანონმდებლის საკმაოდ ფართო მიხედულების ზღვარი აქვს. თუმცა მან ხაზი გაუსვა, რომ რომ ამოწურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორიც სახელმწიფო ბიუჯეტია, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს.

1859 გამომდინარე იქიდან, რომ განათლების უსასყიდლოდ მიღება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად მიიჩნია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, შეაფასა ფინანსური მხარეც, თუ რა დაუჯდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული თანხა მძიმე ტვირთად არ შეიძლება დააწვეს სახელმწიფო ბიუჯეტს, განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც საკითხი საზოგადოების განათლების განვითარებას ეხება.[3772] სასამართლომ აზრით საქართველოს პარლამენტმა არაპროპორციულად შეზღუდა საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ზოგადი განათლების ძირითადი უფლება. შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ განათლების უფლებას, იგი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა

5.1. გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოსა და აშშ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა

1860 მნიშვნელოვანია გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოსა და აშშ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის, როგორც განსხვავებული კონცეპტუალური მიდგომის, შედარება სწავლებისა და მეცნიერების თავისუფლებასთან დაკავშირებით.[3773]

1861 აკადემიური თავისუფლების თანამედროვე კონცეფცია მე-19 საუკუნის გერმანიაში ჩამოყალიბდა, ორი კონცეფციის გაერთიანების საფუძველზე: სწავლის თავისუფლება (Lernfreiheit) და სწავლების თავისუფლება (Lehrfreiheit). გერმანიაში აკადემიური თავისუფლება პროფესორს ანიჭებდა უფლებას, გამოეთქვა თავისი მოსაზრებები შიშის გარეშე და, ამავდროულად, ქმნიდა ჰარმონიისა და ურთიერთთანხმობის ატმოსფეროს

[3772] იქვე, 33-ეპუნქტი.
[3773] სასამართლო გადაწვეტილებათა აღწერა და ანალიზი ეყრდნობა სტატიაში განხილულ პრაქტიკას. ავტორი ხოფერია, აკადემიური თავისუფლება გვ. 217-234.

კვლევისა და სწავლების პროცესში.[3774] გერმანული უნივერსიტეტების გავლენა აშშ-ის განათლების სფეროზე თვალსაჩინო იყო მე-19 საუკუნის ბოლოს. 1880 წლისთვის 2000 ამერიკელზე მეტი სწავლობდა გიოტინგენში, ბერლინსა და სხვა გერმანულ სასწავლებლებში. თუმცა აკადემიური თავისუფლების ამერიკული ვერსია სულაც არ იყო გერმანულის ზუსტი ასლი. აღსანიშნავია სამი ძირითადი განსხვავება: 1. ამერიკაში დამკვიდრებული და მხარდაჭერილი in loco parentis [„ისე, როგორც მშობელი“] თეორია გამორიცხავდა გერმანელი სტუდენტისთვის კარგად ნაცნობი სწავლის თავისუფლების [Lernfreiheit] დანერგვას. 2. პროფესორის მიერ, სტუდენტის დარწმუნებისა და საკუთარ ფილოსოფიურ შეხედულებებსა თუ სისტემაზე სტუდენტის გადმობირების გერმანული იდეა, არ იქნა გაზიარებული აშშ-ში. ამერიკელ პროფესორს, ურთიერთსაწინააღმდეგო იდეების შესახებ, დისკუსიაში ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეკავებინა. 3. მნიშვნელოვანი განსხვავება იყო საკუთრივ კონსტიტუციური სისტემა, რომელიც არსებითად განსხვავებულია გერმანული სისტემისაგან. გერმანიაში პროფესორის აკადემიური თავისუფლება მხოლოდ აკადემიით იყო შემოფარგლული. აშშ-ში კი პირიქით – აკადემიური თავისუფლება მოიაზრებოდა გამოხატვის თავისუფლებაში და ვრცელდებოდა ყველა ადამიანზე.[3775] შედეგად, ასეთი კონსტიტუციური ინკორპორაციის და სისტემის გამო, მოსაზრებამ, რომ აკადემიური თავისუფლება აშშ-შიც უნდა აღიარებულიყო, როგორც დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება, ვერ დაიმკვიდრა ადგილი.[3776]

1862 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, მეცნიერებისა და სწავლების თავისუფლებაზე, რამდენიმე საკვანძო გადაწყვეტილებაში იმსჯელა. იგი გერმანიაში კონსტიტუციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტით დაცული უფლებაა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ფიზიკური პირებისათვის, არამედ სასწავლო დაწესებულებათა ინსტიტუციური ავტონომიისათვის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე საკვანძო გადაწყვეტილებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი 2014 წლის გადაწვეტილება.

1863 კონსტიტუციური სარჩელში გასაჩივრებული იყო 2001 წლის 18 ივლისის ჰამბურგის უმაღლესი განათლების კანონის (HmbHG) 90-ე და 91-ე მუხლები და ჰამბურგის უმაღლესი განათლების აქტის რეგულაცია „უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და უნივერსიტეტის საბჭოს პოზიციის ინსტიტუციური დიზაინის შესახებ“. საკონსტიტუციო სარჩელში გასაჩივრებული ნორმები ეხებოდა, ფაკულტეტის დონეზე, უნივერსიტეტის ორგანოებს შორის შიდა ურთიერთობას. კონკრეტულად, დეკანატის სამართლებრივ სტატუსსა და ამოცანებს, ფაკულტეტის საბჭოს სამართლებრივ სტატუსსა და ამოცანებს. ორივე დებულება ზღუდავდა ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებებს. მათ შორის ახალი პროფესორების არჩევის წესს.[3777]

[3774] Tisdel, Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4), 1968, 600-601.

[3775] ხოფერია, აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე). საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა N1-2 / 202 გვ. 227.

[3776] Tisdel, Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4), 1968, 601-603.

[3777] BVerfGE 127, 87 in: Magers, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 10.

1864 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელშიც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პირების მონაწილეობა საჯარო რესურსების განკარგვისა და სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების პროცესში. კონსტიტუციური უფლების სუბიექტების მონაწილეობა აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფისა და დაცვისთვის. ეს გარანტია ეხება ისეთი შინაარსის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებითა და აღსრულებით, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას სამეცნიერო საქმიანობისა და სწავლების თავისუფლებას. სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა, ორგანიზაციული წესებით, მოითხოვს, რომ კონსტიტუციური უფლების სუბიექტებმა თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით შეძლონ, უმაღლესი სასწავლებლების მართვის ორგანოებში მონაწილეობის მიღება და მეცნიერების თავისუფლების სავარაუდო შეზღუდვისაგან დაცვა და, თავიანთი დარგობრივი კომპეტენციის გამოყენებით, უნივერსიტეტში მეცნიერების თავისუფლების რეალიზება. შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კონსტიტუციური უფლების სუბიექტების სათანადო დონეზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული უნდა შემოწმდეს ე.წ. „je-desto“ [„რაც უფრო-მით უფრო“] ფორმულით: რაც უფრო მეტი და ძლიერი ფუნქციებით აღჭურვავს კანონმდებელი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, მით უფრო უნდა გაძლიერდეს კოლეგიური ორგანოების პირდაპირი და არაპირდაპირი თანამონაწილეობის, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები. შესაბამისად, სასამართლომ გასაჩივრებული ნორმები კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ სცნო.[3778]

1865 როგორც უკვე აღინიშნა, აშშ-ში აკადემიური თავისუფლება აღიარებული არ არის, როგორც დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკით იგი მიჩნეულია კონსტიტუციით დაცული ინტერესის სფეროდ.[3779]

1866 ამ მხრივ მნიშვნელოვანია აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს ორი გადაწყვეტილება: Sweezy v. New Hampshire და Keyshian v. Board of Regents of the University of the State of New York.[3780] ორივე საქმე ეხება რეგულაციას, რომლის მიზანი იყო საჯარო თანამდებობაზე კომუნისტების გამოვლენა და ჩამოცილება. უზენაესმა სასამართლომ, მსჯელობის დროს, ხაზგასმით მიუთითა იმ საფრთხეზე, რაც ემუქრებოდა აკადემიურ თავისუფლებას. აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობისას, ამაღლებული რიტორიკის მიუხედავად, სასამართლომ ექსპლიციტურად არ აღიარა, რომ აკადემიური თავისუფლება არის დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება. საქმეში Sweezy v. New Hampshire სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აკადემიური თავისუფლება, თუმცა აკადემიური თავისუფლება არ მოიხსენია, როგორც კონსტიტუციური უფლება. სასამართლოს განმარტებით, ამერიკული უნივერსიტეტების საზოგადოებაში თავისუფლების საჭიროება და მნიშვნელობა

[3778] Tisdel, Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4), 1968, 601-603.
[3779] Briggs, "Open-Records Requests for Professors" Email Exchanges: A Threat to Constitutional Academic. Freedom, Journal of College and University Law 39 (3), 2013, 630.
[3780] უფრო დეტალურად აღნიშული და სხვა აშშ უმაღლესი სასამართლოს გადაწვეტილეებეი და შემოწმების ტესტები იხ. ხოფერია, 228 გვ.

თავისთავად ნათელია. არავის აქვს უფლება, დააკნინოს იმ ადამიანების წვლილი დემოკრატიაში, რომლებიც წვრთნიან ახალგაზრდებს. სასწავლო პროცესი ვერ განვითარდება ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფეროში. ამ საქმის მსგავსად, საქმეში Keyshian v. Board of Regents of the University of the State of New York სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობას, თუმცა არ მიუთითა, რომ აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციური უფლებაა. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, აკადემიური თავისუფლება ტრანსცენდენტული ღირებულებისაა ყველა ჩვენგანისთვის და არა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ასწავლიან. აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციის პირველი შესწორების სპეციალური ინტერესით დაცული სფეროა. როგორც საქმეში Sweezy v. New Hampshire, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა არა აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის არგუმენტს, არამედ იმ გარემოებას, რომ რეგულაციები იყო ბუნდოვანი. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შემდგომი პრაქტიკაც ზემოაღნიშნული საქმეების მსგავსია და არ შეიცავს რაიმე სახის მითითებას, რომ ფაკულტეტის წევრს აქვს ინდივიდუალური აკადემიური თავისუფლება. [3781]

5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა განათლების უფლებასთან მიმართებით

5.2.1. Konrad and Others v. Germany

1867 საქმეში Konrad and Others v. Germany [3782] მოსარჩელეები იყვნენ გერმანიაში მცხოვრები გერმანულ- შვეიცარული ოჯახი.

მომჩივნები მიეკუთვნებოდნენ ერთ-ერთი ქრისტიანული რწმენის საზოგადოებას, რომელიც მტკიცედ იყო ორიენტირებული ბიბლიაზე და რელიგიური მიზეზების გამო, უარს ამბობდა კერძო ან სახელმწიფო სკოლებში სწავლაზე. მომჩივანი მშობლები თვლიდნენ, რომ სასკოლო განათლება შეუთავსებელია მათ რწმენასთან, სექსუალური განათლების გამო და იმის გამო, რომ სკოლის გაკვეთილებზე ჩნდებიან ისეთი მითიური არსებები, როგორებიცაა, მაგალითად, ჯადოქრები და ჯუჯები. სკოლაში მოსწავლეებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა იზრდება.

1868 ისინი არჩევდნენ შვილების სახლის პირობებში სწავლებას „ფილადელფიის სკოლის“ სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალის მიხედვით. ეს დაწესებულება, მდებარეობდა ქალაქ ზიგენში და სახელმწიფოს მიერ არ იყო აღიარებული კერძო სკოლად. იგი მხარს უჭერდა ერთგულ ქრისტიან მშობლებს შვილების სახლში განათლებაში. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავდა წიგნებს და მასალებს, რომლებიც გამოიყენება საჯარო და კერძო სკოლებში, ასევე მასალებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია რელიგიური განათლების მხარდასაჭერად. მშობლების ხელმძღვანელობით, სწავლებას ზედამხედველობდა ფილადელფიის სკოლის მიერ მომზადებული პერსონალი.

[3781] Briggs, “Open-Records Requests for Professors” Email Exchanges: A Threat to Constitutional Academic. Freedom, Journal of College and University Law 39 (3), 2013, 606-607.
[3782] Konrad and Others v. Germany (dec.), no. 35504/03, 11 September 2006.

გაკვეთილებს ემატებოდა პერიოდული შეხვედრები მშობლებს, ბავშვებსა და თანამშრომლებს შორის.

1869 მომჩივანმა ოჯახმა შეიტანა განცხადება იმ მოთხოვნით, რომ მათი შვილები გათავისუფლებულიყვნენ სავალდებულო დაწყებითი სასკოლო განათლების მიღების ვალდებულებისაგან და მიეღოთ დაწყებითი განათლება მშობლებისგან სახლის პირობებში. თუმცა სახელწმიფოსგან მიიღეს უარი. ასევე უარი მიიღეს მათ, გერმანიის ყველა ინსტანციის სასამართლოსგან, იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ განათლების შინ მიღების ნებართვაზე უარის თქმა არღვევს, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით, მათ უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების განათლება, საკუთარი რელიგიური შეხედულებების შესაბამისად. რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „არავინ უნდა უარყოს განათლების უფლება. სახელმწიფომ, განათლებისა და სწავლების სფეროში დაკისრებული ამოცანების შესრულებისას, პატივი უნდა სცეს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ განათლება და სწავლება საკუთარი რელიგიური და იდეოლოგიური მრწამსის შესაბამისად“.

1870 სკოლები ასახავს საზოგადოებას და ბავშვების ინტერესებშია ამ საზოგადოებაში გაზრდა. მშობლების უფლება, შვილების აღზრდისას, არ მიდის იქამდე, რომ მათ შეეძლოთ, ეს შესაძლებლობა შვილებს ჩამოართვან. მშობლებს შეუძლიათ, მოითხოვონ სახელმწიფოსგან პოზიტიური ზომების მიღება, მათი შვილების, სხვა ბავშვების მხრიდან, ძალადობისგან დასაცავად. თუმცა მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, სრულიად აარიდონ თავიანთი ბავშვები საზოგადოებას, სკოლასა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობებს.

1871 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში, აღნიშნა, რომ მოსარჩელეები აპროტესტებენ- ეხება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადებას, რომელიც აღიარებს, როგორც სახელმწიფოს როლს განათლებაში, ასევე მშობლების უფლებას, რომლებსაც უფლება აქვთ, პატივი სცენ მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს, შვილების აღზრდისას. ის მიზნად ისახავს, განათლებაში პლურალიზმის უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია, „დემოკრატიული საზოგადოების“ შესანარჩუნებლად.

1872 სასამართლოს აზრით, განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ მითითებულ უფლებაში დომინირებს იდეა, რომ სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობლის მხოლოდ ისეთ რწმენას, რომელიც არ ეწინააღმდეგება ბავშვის განათლების უფლებას. სასამართლოს შეფასებით, ასაკიდან გამომდინარე, მომჩივან ბავშვებს ჯერ არ შეეძლოთ, შეეფასებინათ ის შედეგები, რაც მოჰყვება მშობლების გადაწყვეტილებას, სახლში სწავლასთან დაკავშირებით. ბავშვებისთვის ძალიან რთული იქნებოდა, ამ ასაკში, საკუთარი გადაწყვეტილების მიღება.

1873 სასამართლო დაეთანხმა გერმანიის ხელისუფლების პოზიციას იმაში, რომ პირველი რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, დაწყებითი სკოლის განათლების მნიშვნელოვანი მიზანია, არა მხოლოდ ცოდნის შეძენა, არამედ საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური ურთიერთობები. ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია საშინაო სწავლების გზით, მაშინაც კი, თუ მას შეუძლია, ბავშვებს მიაწოდოს ცოდნის იგივე დონე, როგორც დაწყებითი სკოლას.

1874 სასამართლომ ხაზი გაუსვა განათლების მიღების მნიშვნელობას, ცალკეულ იდეოლოგიურ შეხედულებებზე დაფუძნებული, პარალელური საზოგადოებების წარმოქმნის პრევენციის მიზნით. სასამართლომ უპირატესად მიიჩნია ინტერესი, რომელიც უნდა მიენიჭოს უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

1875 ამ მსჯელობიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანიის ფედერაციას, სახლში დაწყებითი განათლების მიცემაზე უარის თქმით, არ დაურღვევია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული განათლების უფლება.

5.2.2. Campbell and Cosans v. the United Kingdom

1876 საქმე - კემპბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ[3783] - ეხება სკოლაში ბავშვთა მიმართ სხეულებრივი სასჯელის, როგორც დისციპლინური ღონისძიების, გამოყენების აკრძალვას.

1877 საქმეში მოსარჩელე იყო ორი დედა, რომელთა შვილები სწავლობდნენ სკოლაში, სადაც მათ ფიზიკური დასჯის საფრთხე ემუქრებოდათ. იმ დროს, ფიზიკური დასჯა, არ იყო უკანონო შოტლანდიის სკოლებში. ქალბატონი კემპბელი და ქალბატონი კოზანსი აცხადებდნენ, რომ სკოლაში ფიზიკური დასჯის, როგორც დისციპლინური ღონისძიების გამოყენების გამო, მათი ვაჟები გორდონი და ჯეფრი, შეიძლება გამხდარიყვნენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლნი, სადაც ნათქვამია: „არავის არ უნდა დაექვემდებაროს წამება, ან არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან სასჯელი“. გარდა ამისა, მათი აზრით, ირღვეოდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის, მეორე მუხლით დაცული, განათლების უფლება.

1878 სასამართლომ ფაქტობრივი გარემოების დადგენისას აღნიშნა, რომ არც გორდონ კემპბელი და არც ჯეფრი კოსანსი, ფაქტობრივად, არ იყვნენ დასჯილნი. შესაბამისად, სასამართლომ საქმეში არ განიხილა, მე-3 მუხლის მიხედვით, ფიზიკური დასჯის ფაქტობრივი გამოყენება.

1879 თუმცა მან გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება, განათლების უფლებასთან დაკავშირებით. სასამართლოს აზრით, თუ მშობლებს პრინციპულად სჯეროდათ, რომ მათი შვილები სკოლაში, ფიზიკურად არ უნდა დაესაჯათ. სკოლებმა პატივი უნდა სცენ, აღზრდის მიმართულებით, მშობელთა ამ რწმენას და სავალდებულოდ გაითვალისწინონ მათი შეხედულებები.

1880 ამ საქმეში სასამართლომ განსაზღვრა განათლებისა და სწავლების ცნებები. სასამართლომ განაცხადა რომ „ბავშვების განათლება არის მთელი პროცესი, რომლის დროსაც, ნებისმიერ საზოგადოებაში, მოზარდები (მშობლები, ოჯახი) ცდილობენ, გადასცენ ბავშვებს თავიანთი რწმენა, კულტურა და სხვა ღირებულებები, ხოლო სწავლა/სწავლება ეხება ცოდნისა გადაცემას”.

1881 ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლით დაცული, განათლების უფლება. თუმცა აღნიშნული

[3783] Campbell and Cosans v. the United Kingdom (25 February 1982, p. 33, Series A no. 48.

მსჯელობა შეეხებოდა მშობელთა უფლებებს განათლების ფორმებთან მიმართებით და მას არ უმსჯელია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით.

5.2.3. Timishev v. Russia

1882 საქმეში Timishev v. Russia[3784] მოსარჩელე ეროვნებით ჩეჩენი ცხოვრობდა ქალაქ ნალჩიკში, რუსეთის ფედერაციის ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში.

მისი განაცხადი ქალაქ ნალჩიკში, რეზიდენტობის მოპოვებასთან დაკავშირებით, უარყოფილ იქნა ყაბარდო-ბალყარეთის ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც უკრძალავს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ყოფილ მოსახლეობას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიღებას, ყაბარდო-ბალყარეთში.

1883 2000 წლის 1 სექტემბერს, განმცხადებლის ვაჟი და ქალიშვილი წავიდნენ სკოლაში, მაგრამ მათ უარი უთხრეს მიღებაზე, რადგან განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა თავისი რეზიდენტობის ბარათი. განმცხადებელმა მიმართა ნალჩიკის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს. დეპარტამენტმა უპასუხა, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა ნალჩიკში დარჩენის კანონიერი საფუძველი და რომ მისი მოთხოვნები იყო სხვა ბავშვების კანონიერი უფლებების ხელყოფა, რადგან სკოლა სასტიკად იყო გადატვირთული მისი შვილების გარეშეც . მოსარჩელე მიუთითებდა, რომ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 43-ე მუხლი ითვალისწინებდა, რომ „ყველას აქვს განათლების უფლება. სახელმწიფო და მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი და უფასოა. მშობლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათმა შვილებმა მიიღონ განათლება“.

1884 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, ევროპული კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელი სახელმწიფოების კონვენციის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, მისცეს შესაძლებლობა ნებისმიერს, ვინც მათ იურისდიქციაში იმყოფება, ჰქონდეს წვდომა განათლების უფლებაზე და მიიღოს განათლება სწავლის ოფიციალური აღიარებით. კონვენცია და მისი ოქმები არავითარ შემთხვევაში არ უშვებს განათლების უფლების უარყოფას.[3785]

1885 მისი აზრით, განმცხადებლის შვილების განათლების უფლების შეზღუდვა, კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმებისათვის, შეუთავსებელია და აღნიშნა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, განათლების უფლება შეუცვლელია, ადამიანის უფლებების გასაძლიერებლად. მას ენიჭება ფუნდამენტური მნიშვნელობა.

1886 შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევა, იმ საფუძვლით, რომ მომჩივნის შვილებს სკოლაში მიღებაზე უარი განუცხადეს.

[3784] Timishev v. Russia Applications nos. 55762/00 and 55974/00), 13/03/2006.
[3785] Timishev v. Russia Applications nos. 55762/00 and 55974/00), 13/03/2006, P. 66.

ლიტერატურა

თეთრუაშვილი, ილია ქავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული), წიგნი 2. გორი 2012-2014; ფირცხალაშვილი/ ქარდავა/ ტურავა, საქართველოს სოციალური სამართალი, თბილისი 2023; ხოფერია, აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე). საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №1-2 / 2022; Briggs, "Open-Records Requests for Professors", A Threat to Constitutional Academic freedom, Journal of College and University Law 39 (3), 2013; Dayton, Education Law – Principles, Policies, and Practice, 2012; Developments in the Law - Academic Freedom', Harvard Law Review 81 (5), 1968; Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009; Magers, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019; Magers, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019; Sharma/Monteiro, Creating Social Change: The Ultimate Goal of Education for Sustainability, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 6, No. 1, 2016; Richter, Recht im Bildungssystem. Eine Einführung. Stuttgart: Kohlhammer 2006; Tisdel, Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4), 1968.

მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე, უზრუნველყოფილია კანონით.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებასა და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას

შინაარსი

მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება 727

შინაარსი 741

1. ჯანმრთელობის დაცვის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 728

2. ჯანმრთელობის დაცვის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 730

3. ჯანმრთელობის დაცვის უფლებით დაცული სფერო 732

3.1 პერსონალურად დაცული სფერო 732

3.2. საგნობრივად დაცული სფერო 733

4. ჩარევა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში 734

5. ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში ჩარევის შემოწმება 735

6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით 736

6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში 736

6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში 737

6.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში 738

6.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-5 მუხლის ფარგლებში 739

6.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში 740

ლიტერატურა

1. ჯანმრთელობის დაცვის უფლების ზოგადი მნიშვნელობა

1887 ჰანა არენდტის (1906-1975) ნაშრომის „ადამიანური მდგომარეობა“ (1958), მიხედვით, ადამიანებმა ერთმანეთთან მიაღწიეს შეთანხმებას საერთო კეთილდღეობაზე და გადასცეს თავისი ბუნებრივი უფლებები სახელმწიფოს მათი კოლექტიური უსაფრთხოებისათვის. ადამიანები, გარდა იმისა, რომ თანასწორნი არიან, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიტყვითა (თუ რას ამბობენ) და ქმედებებით (რა ინიციატივით გამოდიან). ზოგი ადამიანი საკუთარი სიტყვით უკეთესად ცნობადი ხდება, ზოგი კი თავისი ქმედებით უფრო მდიდარი ხდება. ადამიანებს შორის ასეთი მრავალფეროვნება წარმოშობს „განსხვავებულობას“, მაგრამ იგი არ ცვლის თანასწორობას. მისი აზრით მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს სამედიცინო მომსახურების განსხვავებული საჭიროება აქვთ. ღარიბებს და ხანდაზმულებს, როგორც წესი, უფრო მეტად სჭირდებათ სამედიცინო მომსახურება. ამ განსხვავებულობის შედეგად წარმოქმნილი სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ადამიანთა გაერთიანებული ძალისხმევა, სოლიდარობა. „ადამიანისათვის სამყაროს რეალობა გარანტირებულია სხვათა არსებობით“.[3786]

1888 ჯონ როულზმა (1921-2002) თავის წიგნში "სამართლიანობის თეორია“[3787] (1971), განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჯანმრთელობის ყველასათვის ხელმისაწვ-დომობას. როულზის მიერ შემუშავებული სოციალური სამართლიანობის არგუმენტის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვა არის უფლება, რადგან (1) ის ხელს უწყობს შესაძლებლობების თანასწორობას და დიდი სარგებლობა მოაქვს საზოგადოების ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი წევრებისათვის; და (2) უტილიტარული თვალსაზრისით, გარანტირებული სამედიცინო მომსახურება ზრდის ადამიანთა მეტი რაოდენობის კეთილდღეობას. ნორმან დენიელსმა, ჯონ როულზის პრინციპებზე დაყრდნობით განავითარა უნივერსალური ჯანდაცვის დასაბუთება.[3788] ჯონ როულზი მიიჩნევს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს ხელშეუხებლობის უფლება (ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის დაცვა, სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების უფლება...), რაც ეფუძნება სამართლიანობას. ამიტომ, სამართლიან საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიერ უზრუნველყოფილი უფლებები არ ექვემდებარება პოლიტიკურ გარიგებებს.[3789]

1889 ამერიკული ე.წ. „დიდი დეპრესიის“ დასრულების შემდგომ, აშშ-ის 26-ე პრეზიდენტმა, ფრანკლინ რუზველტმა, ჯანმრთელობის უფლება დაასახელა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისუფლება, ოთხ თავისუფლებას შორის. მისი აზრით, ჯანმრთელობა არის საჭირო ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, რომლის გარეშე ნამდვილი ინდივიდუალური თავისუფლება არ არსებობს.[3790] მის მიერ წარმოთქმულმა „ოთხი

[3786] Arendt, The Human Condition Chicago: University of Chicago Press; 1958.
[3787] Rawls, “A THEORY OF JUSTICE” Revised edition (the Belknap press of Harvard university press Cambridge, Massachusetts, 1971.
[3788] Daniels, Just Health Care, Cambridge University Press 1985.
[3789] ვერულავა, ჯორბენაძე ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია? ეკონომიკა და ბიზნესი. 2020, 12 (4). გვ. 7.
[3790] Jamar, The International Human Right to Health, Southern University Law Review, 1994, S. 49-50.

თავისუფლების სიტყვამ“, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად, სოციალური უფლების აღიარებას დიდი სტიმული მისცა. მისმა მოწოდებამ, „სიღარიბისაგან თავისუფლებისაკენ,“ უბიძგა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღიარებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებში. ჯანმრთელობის უფლება, საერთაშორისო დონეზე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განისაზღვრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

1890 თუმცა დღესაც ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს ერთ -ერთ ყველაზე კრიტიკულ სამართლებრივ, პოლიტიკურ და მორალურ პრობლემას მთელს მსოფლიოში. ეს უფლება არ არის სრულად რეალიზებული და ხელმისაწვდომი ყველასთვის დისკრიმინაციის გარეშე, რადგან მრავალი დაუცველი ჯგუფისათვის, ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტი, კვლავ მიუწვდომელია. ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებით ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომა მოითხოვს, რომ სპეციალური ყურადღება მიენიჭოს იმ ადამიანებსა და თემს, რომლებიც განსაკუთრებულ მოწყვლად მდგომარეობაში არიან, ისევე, როგორც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ დეტერმინანტებს, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის წარმოქმნისთვის ქმნის ნიადაგს.[3791]

1891 საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ორი განზომილებით უნდა იქნეს განხილული. პირველი, როგორც ადამიანის სუბიექტური უფლება, ჯანმრთელობის დაცვაზე. რაც იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს კანონით ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება. ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლება, როგორც ობიექტური ღირებულება და დავალება სახელმწიფოსთვის, რომ ინსტიტუციონალურად შექმნას იმგვარი სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა.

1892 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის განმარტებებით ჯანდაცვით საყოველთაო მოცვა ნიშნავს, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, ხელმისაწვდომია მისთვის აუცილებელი ხარისხიანი სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი მნიშვნელოვანი ფინანსური ბარიერების გარეშე. აღნიშნული უნდა მოიცავდეს როგორც პრევენციულ, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო, ისე სარეაბილიტაციო და ხანგრძლივი მოვლის პალიატიურ ინტერვენციებს.[3792]

1893 ჯანმრთელობის უფლების კონსტიტუციურ რანგში აყვანა, ნიშნავს სახელწიფოს ვალდებულებას, შექმნას დაცვის მექანიზმები ჯანმრთელობის დაცვის უფლების პრაქტიკული და ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად.

1894 გარდა საქართველოს კონსტიტუციისა, ქვეყანას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის მიზნით, ნაკისრი აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებანი, კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება; ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და გადამდებ

[3791] Hunt, ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, 2006. იხ დეტალურად. ჯანმრთელობა და წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევა. 2021.

[3792] მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) განმარტებით „Universal health coverage (UHC) means that all people have access to the full range of quality health services they need, when and where they need them, without financial hardship. It covers the full continuum of essential health services, from health promotion to prevention, treatment, rehabilitation, and palliative care across the life course“.

დაავადებათა კონტროლი; არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი; ადამიანის ბიოლოგიური მასალის ხარისხი და უსაფრთხოება; ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და ცოდნა; ჯანმრთელობის სფეროში იმ საერთაშორისო შეთანხმებების ეფექტური იმპლემენტაცია, რომლებიც აღიარებულია მხარეებს შორის.[3793] შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს აქვს ნაკისრი რიგი ვალდებულებები და ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროგრამებს, ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის.

1895 ზოგადად, ევროკავშირი აღიარებს და იცავს სოციალური მოწყობას რომელიც წევრ სახელწიფოებში ჯანდაცვის თანაბარ ხელმისაწვდომობაზე არის ორიენტირებული[3794] და ავალდებულებს მათ მოახდინოთ ეროვნული ჯანდაცვის სისტემის ჰარმონიზება ჯანდაცვის ევროპულ სტანდარტებზე.[3795] გარდა ამისა ჯანმრთელობის ხელმისაწვდომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს რგოლია ჯანმრთელობის დაზღვევა.[3796] ეს უკანასკნელი კი საქართველოში, მსგავსად აღმოსავლეთ ევროპული, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სახელწმიფოებისა ჯერ კიდევ განვითრების ეტაპზეა. [3797] მიუხედავად ხარვეზებისა, საქართველოში არსებულმა ჯანდაცვის სისტემამ უდავოდ გაზარდა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე.[3798]

1896 კონსტიტუციის 28-ე მუხლი, ამასთანავე, აწესებს სახელმწიფო კონტროლს ჯანდაცვის სფეროში. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვა ცალსახად საჯარო ინტერესის სფეროა. ამ მუხლის მეორე პუნქტი სახელმწიფოს აღჭურვავს უფლებამოსილებით, გააკონტროლოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი. ამიტომაც, ყველა სამედიცინო დაწესებულება ექვემდებარება სახელმწიფოს ლიცენზირების წესს, რომლისთვისაც მან უნდა დააკმაყოფილოს სანებართვო პირობები. ამასთანავე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ დაარეგულიროს ფარმაცევტული წარმოება და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევა.

1897 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნებს ფარმაცევტული საშუალებების კანონმდებლობაზე მუშაობას.

2. ჯანმრთელობის დაცვის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1898 საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან გამომდინარეობს სახელწმიფოს მთელი რიგი პოზიტიური ვალდებულებები.

[3793] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 27/06/2014/ მე-15 თავი ეძღვნება საზოგადოებრივი ჯანდაცვას.

[3794] Kaufmann, Einfluss des Europarechts auf das Gesundheitsrecht und die deutsche gesetzliche Krankenversicherung, S.4.

[3795] იქვე გვ. 4-6.

[3796] Sibylle, Entwicklung der Krankenversicherung in Mittel- und Osteuropa, in KrV. 2000.

[3797] იხ. დეატლურად Sibylle, Kooperation mit Reformstaaten Mittel- und Osteuropa in Bereich von Renten-, kranten- und Unfallversicherung- ein Erfahrungsbericht. In: Pitschas/Sülzer, Neuer Institutionalismus in der Entwicklungspolitik, 1993.

[3798] ფირცხალაშვილი, ქარდავა, ტურავა, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო აბზ. 396-398 და 529-538.

სახელმწიფოს სოციალური, მფარველობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, არსებობს ხუთი მთავარი სფერო, რომლებითაც ხდება თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს იდენტიფიცირება. მათგან ერთ-ერთი არის ყველასათვის ხელმისაწვდომი, საიმედო და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი, კონსტიტუციის მე-5 მუხლის (სოციალური სახელმწიფოს) დებულებასთან ერთად, ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ შეიმუშაოს ისეთი ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, რომლიც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა სოციალურ ფენას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, წვდომა ჯანმრთელობის დაცვაზე.

1899 ასეთი სისტემის შემუშავებას ავალებს სახელწმიფოს არა მხოლოდ კონსტიტუცია, არამედ ის საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი აქტები, რომლებიც რატიფიცირებული აქვს ქვეყანას, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR), ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR), კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CERD), კონვენციიაწამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (CAT), ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC), საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშა-მოსამსახურისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ (CMW), კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ (DRC) და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები.

1900 ჯანმრთელობის უფლება არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება, მისი ბიუჯეტის მიუხედავად, ვალდებულია შექმნას მაღალტექნოლოგიური ძვირადღირებული სამედიცინო სერვისები, თუმცა, ჯანმრთელობის დაცვის უფლება სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რითაც მიიღწევა ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვა. ჯანმრთელობის დაცვის უფლება ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა მოსახლეობა უზრუნველყოს აუცილებელი სამედიცინო სერვისებით, მიუხედავად მათი გადახდისუნარიანობისა.[3799]

1901 სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პირი სხვა, მესამე პირებისაგან მისი ჯანმრთელობის უფლებაში ჩარევისაგან. სწორედ ეს უფლება ავალდებულებს სახელწმიფოს, რომ შექმნას ჯან. დაცვის მომსახურების სავალდებულო ლიცენზირება. ასევე მოაქციოს მისი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ფარმაცევტული ბაზარი, გასცეს შესაბამისი პირობებით ნებართვები. ჯანდაცვის სფეროს უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელწმიფო ვალდებულია შექმნას სფეროს ეფექტური მაკონტროლე-ბელი მექანიზმი. ასეთი ინსტიტუტების არ არსებობა ან მათი უფუნქციობა, დიდი ალბათობით გამოიწვევს ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დარღვევას. თუმცა, 28-ე მუხლი სახელმწიფოსთვის მხოლოდ ინსტიტუციურ ვალდებულებებს არ წარმოშობს. ის

[3799] ვერულავა, ჯორბენაძე, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია? ეკონომიკა და ბიზნესი. 2020; 12 (4). გვ. 8.

უშულოდ ადამიანს სძენს უფლებას, რომ იდავოს ამ მუხლზე. ამაზე მეტყველებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

3. ჯანმრთელობის დაცვის უფლებით დაცული სფერო

3.1 პერსონალურად დაცული სფერო

1902 სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას.

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელე, იურიდიული პირი, ითხოვდა საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა დებულების არაკონსტიტუციურობას, რომელიც შეეხებოდა თამბაქოს ნაწარმის კონტროლს. მისი განცხადებით, საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვნება განაპირობებდა მათ წინააღმდეგობას საქართველოს კონსტიტუციის (ძველი რედაქციის) 37–ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით. რომელიც ადგენდა, რომ „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად, რადგან დაადგინა, რომ ამ უფლებით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ ფიზიკურ პირებს. სასამართლომ განაცხადა: „იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობაც და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.“[3800] მან ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელე, როგორც იურიდიული პირი წარმოადგენდა „სამართლებრივ კონსტრუქციას, ფიქციას, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების სუბიექტი. ამდენად, ეს უფლებები არ განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომლებიც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზე.“[3801]

1903 საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, მხოლოდ ფიზიკური პირის სუბიექტობასთან დაკავშირებით, ვრცელდება 28-ე მუხლის პირველ პუნქტზე. თუმცა ამ მუხლის მეორე პუნქტი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირებზე. მართალია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ ჰქონია შესაძლებლობა, ემსჯელა მეორე პუნქტზე. თუმცა თეორიულად თუ მივუდგებით საკითხს, ისე, როგორც ეს განათლების უფლებასთან დაკავშირებით განისაზღვრა, სრულიად შესაძლებელია, რომ ამ მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტი იყოს, არა მხოლოდ

[3800] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის №2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[3801] იქვე, II-8.

კერძო სამართლის, არამედ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც საქმიანობენ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

3.2. საგნობრივად დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის ჩანაწერიდან, მართალია, იკითხება პირის 1904
სუბიექტური უფლება ჯანმრთელობაზე, თუმცა მისი ტექსტობრივი წყობა უფრო მეტად მიმართულია, რომ მას ჰქონდეს წვდომა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სისტემაზე. ჯანმრთელობის დაცვის უფლება არის სოციალური უფლება და იგი სახელმწიფოს მოქმედებას ავალდებულებს. იგი, ვიწრო გაგებით, (მხოლოდ 28-ე მუხლიდან გამომდინარე), სახელმწიფოსგან მოითხოვს პოზიტიურ ქმედებას. არ ნიშნავს, რომ ამ უფლებას არ აქვს ნეგატიური ვალდებულება, თუმცა მისი დაცვა ექცევა არა 28-ე მუხლის, არამედ კონსტიტუციის სხვა უფლებით დაცულ სფეროში. მაგალითად, ასეთი უფლება, პირველ რიგში, შეიძლება იყოს სიცოცხლის უფლება, ღირსების უფლება ან ასევე თავისუფალი განვითარების უფლება. შესაბამისად, 28-ე მუხლით დაცულ სფეროში ექცევა წვდომა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სისტემაზე და მისგან გამომდინარე, მოთხოვნა სახელმწიფოს მიმართ, ე.ი. „ჯანმრთელობის დაცვაზე მომსახურების უფლება“. ხოლო ჯანმრთელობის უფლების ნეგატიური ფუნქცია (სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის უფლებაში თავის შეკავება) მოთხოვნილი უნდა იყოს სხვა უფლებებით, მაგალითად, სიცოცხლის უფლებით, ღირსების უფლებით, ან თავისუფალი განვითრების უფლებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით, ან ინფორმაციის მიღების უფლებით. იმის მიხედვით, კონკრეტულად როგორ იზღუდება ადამიანის ჯანმრთელობა. ასეთ გაგებას შესაძლოა უფრო ზუსტად „ჯანმრთელობის უფლება“ ეწოდოს.

1905
თვით „ჯანმრთელობა“ განმარტებულია სხვადასხვაგვარად. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა გამოსცა მე-14 ზოგადი კომენტარი კონვენციის მე-12 მუხლზე, რომელმაც უფლება ჯანმრთელობაზე განმარტა, როგორც „ადამიანის უფლება, აკონტროლებდეს საკუთარ ჯანმრთელობასა და სხეულს“. [3802] ასევე არსებობს ჯანმრთელობის განმარტება, რომელიც 3 კრიტერიუმისგან შედგება : (1) ორგანიზმის მდგომარეობა, როდესაც ის ფუნქციონირებს ოპტიმალურად, ავადმყოფობისა და რაიმე ანომალიის გარეშე; (2) დინამიური ბალანსის მდგომარეობა, რომლის დროსაც ინდივიდს ან გარკვეულ ჯგუფს შეუძლია გაუმკლავდეს ცხოვრების ყოველგვარ მდგომარეობას, არის ოპტიმალურ საფეხურზე ან (3) მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ანატომიური და ფსიქოლოგიური მთლიანობა, შესაძლებლობა შეასრულოს სამუშაო, ჰქონდეს ადგილი საზოგადოებაში და ასევე შეძლოს ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური სტრესის დაძლევა, შეგრძნება კარგად ყოფნისა. [3803]

[3802] იქვე, გვ. 20.
[3803] Ruger, J.P., Toward a Theory of a Right to Health: Capability and Incompletely Theorized Agreements, Yale Journal of Law&Humanities, 2006, gv. 223.

4. ჩარევა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში

1906 კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო ხელისუფლება, სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ახდენს ისეთ ინტერვენციას, რომელიც ხელს უშლის, ზღუდავს ან საერთოდ კრძალავს ამ მუხლით გარანტირებულ სიკეთეთა განხორციელებას. ჩარევის იდენტიფიცირება ხდება სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების ან მისი ისეთი უმოქმედობის დადგენისას, როცა მას ევალებოდა უფლების დაცვა. აღნიშული ნიშნავს რომ მოქალაქეს ჰქონდეს ხელმისაწვ-დომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე.

1907 თუ სახელმწიფომ არ უზრუნველყო ხარისხიანი ჯანმრთელობის მომსახურება, ეს განხილულ უნდა იქნეს კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად. კონსტიტუციური ნორმის ობიექტური შინაარსი მოითხოვს სახელმწიფოს მოქმედებას, მის აქტიურობას.

1908 როგორც უკვე აღინიშნა, ეს უფლება სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს, ერთის მხრივ, პოზიტიურ მოქმედებას (პოზიტიური ვალდებულება), ხოლო მეორეს მხრივ ისეთი მოქმედებისგან თავის შეკავებას, როგორიცაა გაუმართლებელი ჩარევა აკადემიურ თავისუფლებაში (ნეგატიური ვალდებულება).

1909 პირველის, პოზიტიური ვალდებულების შემთხვევაში, ძირითადი უფლება ირღვევა მაშინ, როცა მისი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო არ მოქმედებს პოზიტიურად, ან მისი მოქმედება არ არის საკმარისი. ხოლო მეორე ნეგატიური ვალდებულების შემთხვევაში, მოწმდება, სახელმწიფოს მოქმედებას რამდენად აქვს ლეგიტიმური მიზანი, და რამდენად არის იგი კონსტიტუციურ სამართლებრივად გამართლებული (გამოსადეგი, აუცილებელი, შესაბამისი). ორივე შემთხვევაში ჩარევა ძირითად უფლებაში კონსტიტუციურ-სამართლებრივად ვერ იქნება გამართლებული, თუ იგი არ ემსახურება კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად არაა ყველაზე გონივრული საშუალება.

1910 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკა. თუმცა, საინტერესოა მისი განჩინება საქმეზე- „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“[3804], რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული სერვისები ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებისათვის. სახელმწიფო პროგრამა არ ვრცელდება საქართველოში სტატუსის არმქონე, მუდმივი ცხოვრების უფლებისა და შრომითი ბინადრობის უფლების მქონე პირებზე. ასევე, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ

[3804] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის №2/6/1684 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

პირებზე, მოსარჩელე დისკრიმინაციულად მიიჩნევს ზემოაღნიშნული კატეგორიის პირების გამორიცხვას C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამიდან. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა, ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის რეალურ და გარდაუვალ საფრთხეს. თუმცა იგი სარჩელში არ მიუთითებდა და არ მსჯელობდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლზე და მხოლოდ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე აპელირებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე განსახილველად არ მიიღო დაუსაბუთებლობის გამო.

1911 მნიშვნელოვანი იქნებოდა სარჩელში, გარდა მე-11 მუხლის დარღვევისა, მოსარჩელეს 28-ე მუხლზეც მოეხდინა აპელირება. ასეთ შემთხვევაში სარჩელი გამყარდებოდა და მეტი შანსი ექნებოდა წარმატებისთვის.

5. ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში ჩარევის შემოწმება

1912 კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებულ ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში ჩარევის დადასტურების შემთხვევაში, ხდება ჩარევის ლეგიტიმური მიზნის დაზუსტება და შემდგომ მისი კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება. თუ დადგინდა, რომ სახელმწიფოს მოქმედება ან მისი უმოქმედობა, არაა საკმარისი მუხლით დაცული უფლების გარანტიებისთვის, სახელმწიფო არ ასრულებს მასზე 28-ე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებას.

1913 მაგალითად, საქმეში, რომელიც არ ითვალისწინებდა საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის არმქონე პირების C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვას, მოპასუხე (საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი) ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტავდა, რომ „სახელმწიფოს პრიორიტეტულად აქვს აღებული ვალდებულება, კანონით უზრუნველყოს მოქალაქის უფლება, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე. იგი ასევე, მიუთითებდა საორგანიზაციო საკითხის სირთულეზე, „რადგან უნდა განისაზღვროს ზუსტი რაოდენობა იმ პირებისა, რომლებიც შესაძლოა, ჩაერთონ აღნიშნული პროგრამით სარგებლობაში, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებისა და კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა, პროგრამის ეფექტიან განხორციელებას შეუქმნას საფრთხე“.[3805] თუმცა სასამართლო არ შესულა საქმის არსებით განხილვაში და მოპასუხის მიერ დასახელებული შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არ ყოფილა განხილული თანაზომიერების ტესტით. თუმცა მოსარჩელე, როგორც მიუთითებდა, დასახელებულ პირთა კატეგორიების C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა, არ წარმოადგენდა ისეთ ფინანსურ ტვირთს, რომელიც გადაწონიდა აღნიშნულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესს იმ პირობებში, თუ გავითვალისწინებთ C ჰეპატიტით გამოწვეული ღვიძლის მძიმე დაავადებების (ციროზი, ღვიძლის კიბო) განვითარების შეუქცევად საფრთხეს, ხოლო, მეორე მხრივ, საჭირო მედიკამენტებით ქვეყნის უფასო მომარაგების საკითხს.[3806]

[3805] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის №2/6/1684 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ II-13.
[3806] იქვე II-10.

1914 როგორც აღინიშნა ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს განმარტება არ გაუკეთებია და რადგან მან საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო, თუმცა ამ საქმეში 28-ე მუხლთან მიმართებით სადავო რეგულაციის კონსტიტუციურობის დადგენის აუცილებლობის წინაშე რომ დამდგარიყო, იგი პროპორციულობის ტესტს გამოიყენებდა. ასეთ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მოქალაქეობის სტატუსის არმქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პროპორციულობა დასახულ მიზანთან. თუმცა შეფასების ერთ მხარეს მყოფ ადამიანის ჯანმრთელობას, რთულად თუ გადასძლევს, სხვა დაცული ინტერესები.

6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით

1915 მიუხედავად იმისა რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში არ არის პირდაპირი ჩანაწერი ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის ჯანმრთელობის უფლება ევროპული კონვენციით დაცულია. ამ უფლებას იცავს კონვენციის რამდენიმე მუხლი. სასამართლო ჯანმრთელობის დაცვის უფლებას აკავშირებს სხვა უფლებებთან. მაგალითად, საქმეებში „ფელდბრუგი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ და „დეუმელანდი გერმანიის წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ პირველად გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი სოციალური დახმარების საკითხებში მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დაცვითი მექანიზმის გამოსაყენებლად. ზოგადად როგორც წესი, სტრასბურგის სასამართლო არ განიხილავს სოციალურ უფლებებს, თუმცა ამ საქმეებში ძირითადი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების მიღება მოსარჩელემ ვერ შეძლო, მისდამი არასამართლიანი სასამართლო პროცესის გამო.

6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-6 მუხლის[3807] ფარგლებში

1916 საქმეში ფელდბრუგი ნიდერლანდის წინააღმდეგ[3808], მოსარჩელე, გეზინა ფელდბრუგე, იყო ჰოლანდიის მოქალაქე. გარკვეული პერიოდის მუშობის შემდეგ მან 1978 წელს, რადგან ავად იყო, შეწყვიტა სამუშაოს ძიება და შესაბამისად დაკარგა სამუშაოს მაძიებ-ლების სტატუსი. მიუხედავად ავადმყოფობის შესახებ ექიმის ცნობების წარდგენისა, მან ვერ მიიღო „ავადმყოფობის პერიოდისთვის“ კუთვნილი თანხა. ასევე ჰოლანდიური სასამართლოს მიერ მას უარი ეთქვა გარკვეული სახის შემწეობის მიღებაზე.

1917 ამ საქმეში ასევე ხაზი უნდა გაესვას საქმის პრეცედენტულ მნიშვნელობას - ვინაიდან ეს არის პირველი საქმე, რომელშიც სასამართლომ განიხილა სოციალური უზრუნველყოფის საკითხი, კონკრეტულად კი, ჯანმრთელობის დაზღვევის სქემის ხარვეზები

[3807] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.
[3808] Feldbrugge v. The Netherlands, 07/27/1987, Series A, no.124 A.

ნიდერლანდებში, სასამართლოს უნდა მოეხდინა ისეთი შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეეძლოთ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გავრცობა, სამოქალაქო უფლებების ცნებასთან მიმართებით. სასამართლომ განიხილა ჯანმრთელობის დაზღვევის შემწეობის საჯარო და კერძო-სამართლებრივი ხასიათი. ნიდერლანდების სამართლის მიხედვით, დავა საჯარო სამართლებრივი იყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, (10 ხმა 7-ის წინააღმდეგ), დავა ეხებოდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ხმათა იმავე უმრავლესობით მან დაადგინა, რომ ნიდერლანდის მიერ დარღვეული იყო კონვენციის მე-6 მუხლი, და ამის გამო მოქალაქეს სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა ჯანმრთელობის დაცვის დაზღვევით.

იგივე მსჯელობა განავითარა ევროპულმა სასამართლომ საქმეში დოიმელანდ გერმანიის წინააააღმდეგ. [3809]

6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-8[3810] მუხლის ფარგლებში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ხშირად კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილავს. ამ მხრივ პრეცედენტულია რამდენიმე საქმე, მაგალითად, საქმეში -„ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“.[3811] 1918

1919 განმცხადებელი ცხოვრობდა ზონაში, რომელიც წარმოადგენდა ბუფერს მეტალურგიულ ქარხანასა და ქალაქს შორის; ამ ზონაში, მათ გარდა, ცხოვრობდა ათასობით ადამიანი; ამ ნაწილში, კონკრეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია დასაშვებ ზღვრულ კოეფიციენტზე 20-50-ჯერ მეტი იყო. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ზონაში ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა ადამიანებისათვის მავნე იყო და იქ ცხოვრება პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

1920 ამ საქმეში სასამართლომ გამოარკვია, რომ `სახელმწიფომ გასცა ნებართვა, გარემოს დამაბინძურებელ საწარმოს საქმიანობა ეწარმოებინა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანში, და მისგან გამოყოფილი ტოქსიკური ემისიები საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანების ჯანმრთელობას. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ფართო დისკრეციის მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ დაიცვა სამართლიანი წონასწორობა საზოგადოების ინტერესებსა და განმცხადებლის მიერ მისი საცხოვრებლის და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებას შორის. აქედან გამომდინარე, დაირღვა მე-8 მუხლი.

1921 იგივე პრაქტიკა დაამკვიდრა სასამართლომ ამავე ტიპის საქმეებში. საქმეში „ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ“,[3812] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

[3809] Deumeland v. Germany, 12/10/1984, Series A, no.100, P 62-74.
[3810] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით დაცულია პირადი და ოჯახური ცხოვრება.
[3811] Fadeyeva v. Russia, 06/09/2005, ganacxadi №55723/0.
[3812] lopez Ostra v. Spain, 12/09/1994, Series A, no.303C.

დაადგინა, რომ გარემოს სერიოზული დაბინძურება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის გაუარესება, წარმოადგენს მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე, სარჩელი დასაშვებად იქნა მიჩნეული მე-3 მუხლთან განსახილველადაც, თუმცა, არ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა. ამ საქმიდან გამომდინარე დამკვიდრდა პრეცედენტი, რომ მე-3 მუხლი შესაძლებელია გამოიყენებოდეს მაშინაც, თუ საქმე, ტრადიციულად, წამებასთან არ არის დაკავშირებული.

1922 სასამართლომ საქმეში „გუერა იტალიის წინააღმდეგ“, იგივე პრაქტიკა გამოიყენა და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა.[3813] სასამართლოს აზრით, როცა ხელისუფლების ორგანოები აჭიანურებდნენ სასუქების ქარხნის დახურვას, რომელიც ტოქსიკურ გამონაბოლქვს გამოყოფდა, სახელმწიფო არ ასრულებს მე-8 მუხლით გათვალისწინებულ თავის პოზიტიურ ვალდებულებას.

6.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-3[3814] მუხლის ფარგლებში

1923 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას უკავშირდება ჯანმრთელობის უფლების დარღვევა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ჯანმრთელობაზე ზრუნვის არაადეკვატურმა დონემ შესაძლოა შექმნას სიტუაცია, რომელიც კვალიფიცირდება „არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად“. საქმეში „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“[3815] მომჩივანი ასაჩივრებდა ციხეში სამედიცინო მკურნალობის უკმარისობასა და არარსებობასაც კი. მომჩივანი ამტკიცებს რომ დაპატიმრებამდე ჯანმრთელი იყო და №5 საპყრობილეში მოთავსების შემდეგ, იგი მძიმედ დაავადდა. გამოკვლევის შედეგები, ადასტურებს მის სისხლში B და C ჰეპატიტის ანტისხეულების არსებობას, ასევე მას ჰქონდა ექსუდაციური ტუბერკულოზური პლევრიტი, საერთო გადაღლილობა და სუნთქვის უკმარისობა და რამდენჯერმე აღმოაჩნდა მუნი.

1924 იგი ორჯერ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა მკურნალობა, თუმცა მომჩივანი ორივეჯერ მალე გაწერეს ციხის საავადმყოფოდან, დააბრუნეს №5 საპყრობილეში. №5 საპყრობილეში არსებული პატიმრობის პირობები და დაავადებათა გადადების უკიდურესად გაზრდილი ეპიდემიური ფონი, უფრო ასუსტებდა მის ჯანმრთელობას. ადვოკატის მტკიცებით, მომჩივნის ჰოსპიტალიზაციის ორგზის შეწყვეტამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დაამძიმა. განმცხადებლის ოჯახმა აანაზღაურა დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ხარჯები, რომელმაც დაადგინა, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელი იყო. ადვოკატი აპროტესტებდა მომჩივნის საავადმყოფოდან გაწერის ფაქტს, მაშინ, როდესაც ის არ იყო განკურნებული და მაღალი სიცხიანობის გამომწვევი მიზეზებიც არ იყო დადგენილი.

[3813] Guerra and others v. Italy, 02/19/1998, 1998-I, no.64.
[3814] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით აკრძალულია წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.
[3815] „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი № 23204/07) 03.06.2009.

ადვოკატის მტკიცებით, ჰოსპიტალიზაციის ორგზის შეწყვეტამ მისი კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაამძიმა.

1925 სასამართლომ განიხილა მხარეების პოზიციები და განმარტა, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პირობებში ადეკვატურად იქნეს უზრუნველყოფილი პატიმრის ჯანმრთელობა, კერძოდ შესაბამისი მედიკამენტების მიწოდებით“ . მან მიიჩნია, რომ მომჩივნის, ორჯერ, მოკლე დროით ყოფნა ციხის საავადმყოფოში არ იყო საკმარისი მისი ჯანმრთელობის პრობლემების გადასაწყვეტად და რომ ჰოსპიტალიზაციისა და მაშასადამე, მკურნალობის ორჯერ შეწყვეტა, არ ყოფილა დასაბუთებული. და დაადგინა, რომ „არასაკმარისი მედიკამენტოზური მკურნალობა და ზოგადად, ავადმყოფის ყოფნა არაადეკვატურ საპატიმრო პირობებში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას“. საბოლოოდ კი, აღნიშნა, რომ საქართველოს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა არ შეასრულეს მომჩივნის ჯანმრთელობის დაცვის, ასევე მისთვის საკმარისი და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების პოზიტიური ვალდებულება, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მკურნალობის კუთხით, შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

იგივე შეფასება გააკეთა მან საქმეზე პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ასევე ასაჩივრებდა პატიმრობის პერიოდში მკურნალობის არარსებობას.[3816] ასევე საქმეებში Kudla v. Poland ,[3817] Mouisel v. France,[3818] Ilhan v. Turkey,[3819] Naumenko v. Ukraine[3820].

6.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-5[3821] მუხლის ფარგლებში

1926 საქმის – „ენჰორნი შვედეთის წინააღმდეგ“,[3822] ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელი დაავადებული იყო აივ ინფექცია/შიდსით. იმის გამო, რომ მან დაავადა სხვა ადამიანი, 1995 წელს, შვედეთის ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიუსაჯა იძულებითი იზოლაცია 3 თვით, რათა ხელი შეეშალა ინფექციის შემდგომი გავრცელებისათვის. იზოლაცია ყოველ 6 თვეში ერთხელ განახლებას ექვემდებარებოდა და ბოლოს, 2002 წელს, შვედეთის შესაბამისი კომპეტენტური სამსახურის შეფასების საფუძველზე, საჭიროდ აღარ მიიჩნიეს პირის შემდგომი იზოლაცია.

[3816] პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ, 02/24/2009, განაცხადი №9870/07.
[3817] Kudla v. Poland, 10/26/2000, განაცხადი №30210/96.
[3818] Mouisel v. France, 11/14/2002, განაცხადი №67263/01.
[3819] Ilhan v. Turkey, 11/09/2004, განაცხადი №22494/93.
[3820] Naumenko v. Ukraine, 11/09/2004, განაცხადი №41984/98.
[3821] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით დაცულია ადამიანის თავისუფლება და უსაფრთხოების უფლება.
[3822] Enhorn v. Sweden, 25/01/2005, განაცხადი №56529/00.

1927 ევროპული სასამართლოსადმი აპლიკანტის სარჩელში აღნიშნული იყო, რომ პაციენტის იძულებითი იზოლაცია არღვევს კონვენციის მე-5 მუხლს. ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციის გამო, პირის კანონიერი დაკავება გამართლებულია მაშინ, თუ დაავადების გავრცელება საშიშია საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, თანაც იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა უფრო დამზოგავი ზომა. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად ხელისუფლებას შეეძლო გამოეყენებინა სხვა ზომა და არა პირის იძულებითი იზოლაცია; საჭირო იყო სამართლიანი ბალანსის დაცვა აივ ინფექციის გავრცელების ხელის შეშლასა და განმცხადებლის თავისუფლების უფლებას შორის. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

6.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილებები ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონვენციის მე-2 მუხლის[3823] ფარგლებში

1928 საქმეში „კალველი და ჩილიო იტალიის წინააღმდეგ“,[3824] განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ კერძო კლინიკამ არსებული ინფორმაციის, კერძოდ, დედის ჯანმრთელობისა და სამედიცინო ისტორიის საფუძველზე, არ მიიღო შესაბამისი ზომები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბავშვის გადარჩენის შანსი. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის გამო, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება უკვე შეუძლებელი იყო ხანდაზმულობის გამო, მაგრამ ექიმის წინააღმდეგ დაიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება და მორიგებით დასრულდა, რამაც სასამართლოს საშუალება მისცა, დაედგინა, რომ მე-2 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

1929 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ ამ საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, არა მარტო თავი შეიკავოს სიცოცხლის “განზრახ” ხელყოფისაგან, არამედ ასევე მიიღოს შესაბამისი ზომები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დასაცავად. „სახელმწიფო ჯანდაცვის სფეროში ეს პოზიტიური ვალდებულებები სახელმწიფოსგან მოითხოვს შესაბამისი რეგულაციების მიღებას, რომლებიც დაავალდებულებს სახელმწიფო თუ კერძო კლინიკებს, მიიღონ სათანადო ზომები, პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად. ეს ვალდებულება ასევე მოითხოვს ეფექტური, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას, რომელიც გამოიკვლევს პაციენტის სიკვდილის მიზეზს და დამნაშავე პირს შესაბამის სანქციას დააკისრებს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 მუხლი არ ითვალისწინებს მესამე პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების უფლებას, თუ სიკვდილი გაუფრთხილებლობით დადგა. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც გაითვალისწინებს პასუხისმგებლობისა და კომპენსაციის საკითხს, დააკმაყოფილებს მე-2 მუხლის მოთხოვნებს, თუკი ეს მექანიზმი ნამდვილად ეფექტური იქნება.

[3823] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით დაცულია სიცოცხლის უფლება.
[3824] Calvelli and Ciglio v Italy, 17/05/2002, განაცხადი № 32967.

საქმეში „ასოციაცია X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“[3825] განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახურების მიერ ვაქცინაციის სქემის ადმინისტრირება, რამაც რამდენიმე ბავშვის სიკვდილი გამოიწვია, მე-2 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. კომისიამ, წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე, არ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, მაგრამ აღიარა, რომ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით, მე-2 მუხლიდან გამომდინარე და განაცხადა, რომ მე-2 მუხლი „სახელმწიფოს ავალდებულებს არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ ხელყოფისაგან, არამედ მიიღოს შესაბამისი ზომები სიცოცხლის დასაცავად.” 1930

ლიტერატურა

ვერულავა/ ჯორბენაძე, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია? ეკონომიკა და ბიზნესი. 2020; 12 (4). ფირცხალაშვილი/ ქარდავა/ ტურავა, სოციალური სამართლის სახელმძღვანელო თბილისი 2023; ჯანმრთელობა და წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევა. 2021; Arendt, The Human Condition Chicago: University of Chicago Press; 1958; Daniels, Just Health Care, Cambridge University Press 1985; Jamar, The International Human Right to Health, Southern University Law Review, 1994; Kaufmann, Einfluss des Europarechts auf das Gesundheitsrecht und die deutsche gesetzliche Krankenversicherung, Münster 2003; Rawls, A THEORY OF JUSTICE, Revised edition (the Belknap press of Harvard university press Cambridge, Massachusetts, 1971; Ruger, Toward a Theory of a Right to Health: Capability and Incompletely Theorized Agreements, Yale Journal of Law&Humanities, 2006; Sibylle, Entwicklung der Krankenversicherung in Mittel- und Osteuropa, in KrV. 2000; Sibylle, Kooperation mit Reformstaaten Mittel- und Osteuropa in Bereich von Renten-, kranten- und Unfallversicherung - ein Erfahrungsbericht. In: Pitschas/Sülzer, Neuer Institutionalismus in der Entwicklungspolitik, 1993.

[3825]Association X v. UK, 12.7.1978, Appl. 7154/75.

მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველ-ყოფილია კანონით.

შინაარსი

მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება 742

შინაარსი 758

1. გარემოს დაცვის უფლების ზოგადი მნიშვნელობა 743

2. გარემოს დაცვის უფლებით დაცული სფერო 746

2.1. პერსონალურად დაცული სფერო 746

2.2. საგნობრივი დაცული სფერო 747

3. გარემოს დაცვის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები 748

3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები 749

3.2. სახელმწიფოს (პოზიტიური) ვალდებულება 749

4. ჩარევა გარემოს დაცვის უფლებაში და მისი კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართება 751

5. დარღვევის შემოწმება 752

5.1. ლეგიტიმური მიზანი 753

5.2. პროპორციულობა 754

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა 755

6.1.Băcilă V Romania 756

6.2. ჰაერის ხარისხის კონტროლი 756

6.3. Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another . 757

ლიტერატურა

1. გარემოს დაცვის უფლების ზოგადი მნიშვნელობა

1931 დღეს მსოფლიო უდიდესი გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგას. კლიმატის ცვლილება და მის შედეგად გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, ბიომრავალფეროვნების განადგურება, დაბინძურებული ჰაერი, მიწა და წყალი, სხვადასხვა დაავადების გავრცელება და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემები, უშუალოდ უქმნის საფრთხეს ადამიანს, ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსეულ არსებობას.[3826] ამიტომ გარემოს დაცვა, როგორც ადამიანის უფლება, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

1932 გაეროს სპეციალური მომხსენებელი, ადამიანის უფლებათა საკითხებზე, გარემოს დაცვის ჭრილში გამოყოფს რამდენიმე ძირითად ასპექტს, პირობას, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაკმაყოფილებული, რათა ადამიანმა შეძლოს ღირსეული არსებობა და უზრუნველყოფილი იყოს მისი კეთილდღეობა. ეს ასპექტებია:

- სუფთა ჰაერი
- უსაფრთხო კლიმატი
- სუფთა წყალსა და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებზე წვდომა
- ჯანსაღი და მდგრადად ნაწარმოები საკვები
- ჯანსაღი სამუშაო, სასწავლო და სათამაშო გარემო
- ჯანსაღი ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემა[3827].

1933 ეს ასპექტები, ერთი მხრივ, უშუალოდ უნდა მოიაზრებოდეს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ქვეშ და, ამასთანავე, შესაძლოა, სხვა ძირითადი უფლებებით დაცული სფეროს ქვეშაც იყოს გათვალისწინებული.[3828]

1934 1995 წლის კონსტიტუციამ, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, გარემოს დაცვის უფლება, ადამიანის ძირითად უფლებად აღიარა. საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი 1995 წლის რედაქციით, იგი 37-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით იყო აღიარებული.

1935 საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში, 2017 წლის კონსტიტუციის გადასინჯვისას, შეიცვალა მუხლის ფორმულირება. კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში სპეციალური მუხლი ეთმობა გარემოს დაცვის უფლებას. ახალი რედაქცია დამატებით განამტკიცებს ინდივიდის უფლებას საჯარო სივრცით სარგებლობაზე. გარდა ამისა, კონსტიტუციას დაემატება ნორმა, რომლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას უზრუნველყოფს კანონი.

[3826] Joint Statement by UN human rights experts for World Environment Day, 05.06.2021; Fisher, Environmental Law: a Very Short Introduction (Oxford University Press 2017) ch. 1.

[3827] Right to a healthy environment: good practices, Report of the Special Rapporteur on the issue of human rights obligations relating to the enjoyment of a safe, clean, healthy and sustainable environment.

[3828] იხ. თითოეული ასპექტის შესახებ: გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები. მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ. ავტორი ანა ბერიძე, თბილისი 2021.

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით,[3829] კონსტიტუციიდან ამოღებული იქნა ჩანაწერი, რომელიც ადგენდა ინდივიდის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. აღნიშნული ცვლილება ეფუძნება ზოგად მიდგომას, რომლის თანახმად, მეორე თავი უნდა ადგენდეს მხოლოდ უფლებებს და არა ვალდებულებებს. ხოლო 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა სახეცვლილი რედაქციით, არსებითი შინაარსობრივი ცვლილების გარეშე. 29-ე მუხლი 2 პუნქტისგან შედგება, პირველი პუნქტით დაცულია ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოთი და საჯარო სივრცით სარგებლობა. ასევე გარემოს მდგომარეობის შესახებ დროული და სრული ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, კონსტიტუცია ადგენს ყველას უფლებას, რომ ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე და მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.[3830]

1936 კონსტიტუციის 29-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს და სახელმწიფოს ვალდებულების დამდგენი ძირითადი ნორმაა, რომ მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინება, უზრუნველყოს კანონით. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა[3831] მოწმობს, რომ ამ შინაარსის ჩანაწერთან მიმართებით (ძვ. რედ 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი), სასამართლომ ფიზიკური პირის სარჩელი მიიღო, იმსჯელა, როგორც პირის სუბიექტურ უფლებაზე და სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

1937 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გარემო პირობების მზარდმა დეგრადაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, გარდაუვალი გახადა ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება.[3832]

1938 საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით, შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით, უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს. ეკოლოგიური უფლებების, კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს, კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში, მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.[3833]

1939 გარდა, უშუალოდ 29-ე მუხლისა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და გარემოს დაცვის უფლებები, ხშირად მოიაზრება სხვა უფლებებით დაცული სფეროშიც. მაგალითად,

---

[3829] განმარტებითი ბარათი, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, გვ. 13.
[3830] იქვე.
[3831] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[3832] გადაწყვეტილება №2/1/524 II-2.
[3833] იქვე.

სიცოცხლის, ღირსეულად ცხოვრების, ჯანმრთელობის, განვითარების, საკუთრების, კულტურული ან თუნდაც რელიგიური უფლებებიდან.[3834] სწორედ ამ უფლებებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრებს გარემოს დაცვის უფლებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაც. რომლითაც პირდაპირ არ არის აღიარებული ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.[3835]

1940 გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით. მაგალითისთვის, „გარემოსა და განვითარების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო დეჟანეიროს დეკლარაცია და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ 1998 წლის ორჰუსის კონვენცია. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები ხელისუფლების ორგანოებს აკისრებენ ვალდებულებას, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

1941 ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის მწვანე შეთანხმება საქართველოსთვის. რადგან ქვეყანა ოფიციალური სტატუსის მიხედვით, არის „ევროკავშირის მსურველი“ სახელმწიფო. მწვანე შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკის სამ მიმართულებას: გარემოსდაცვითს, ფისკალურსა და მრეწველობის.[3836] ევროკავშირმა აღნიშნული შეთანხმება 2019 წელს სამოქმედო გეგმით განამტკიცა. ევროკავშირი მიზნად ისახავს, რომ 2050 წლისთვის გახდეს კლიმატ-ნეიტრალური.[3837] საქართველომ 2020 წელს მიიღო კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ.[3838] 2023 წლის 24 აპრილს, საქართველოს მთავრობამ მიიღო თავისი პირველი გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია 2050.[3839] ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ხელს უწყობს კლიმატის ეროვნული სამოქმედო გეგმის განახლებას 2023-2025 წლებისთვის და საქართველოს კლიმატის გონივრულ განვითარებას.[3840] რაც თავის მხრივ, დადებითად უნდა აისახოს ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებზე.

[3834] UNEP, ‘Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment’ (Nairobi, June 2015).

[3835] Stuart Bell and others, Environmental Law (9th edn, Oxford University Press 2017) 79-83.

[3836] European Commission, “The European Green Deal.”

[3837] ამ გამოწვევების დასაძლევად, ევროპამ უნდა შეიმუშაოს ზრდის ახალი სტრატეგია, რომელიც გადააქცევს ევროკავშირს თანამედროვე, რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე დაფუძნებულ და კონკურენტუნარიან ეკონომიკად, სადაც 2050 წლისთვის აღარ იქნება სათბურის აირების გაფრქვევა, ეკონომიკური ზრდა აღარ იქნება დამოკიდებული რესურსების გამოყენებაზე და არცერთი ადამიანი და არცერთი ადგილი არ დარჩება მწვანე შეთანხმების მიღმა. ევროპული მწვანე შეთანხმება ის გეგმაა, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკას მდგრადს გახდის. ამის განხორციელება შესაძლებელია კლიმატისა და გარემოსდაცვითი გამოწვევების შესაძლებლობად გადაქცევისა და ამ გარდამავალი ეტაპის სამართლიანობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით ჩატარების გზით.

[3838] ასევე მნიშვნელოვანია რომ 2021 წლის აპრილში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ნახშირბადის გამონაბოლქვის შეზღუდვის ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) განახლებული მიზნები UNFCCC.

[3839] იხ. საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია.

[3840] იხ. დეტალურად, საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ 18.10.2022.

2. გარემოს დაცვის უფლებით დაცული სფერო

2.1. პერსონალურად დაცული სფერო

1942 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 29–ე მუხლის პერსონალურად დაცული სფერო და მისი სუბიექტების საკითხი განმარტა მის ერთ–ერთ საქმეში.[3841] მოსარჩელე იურიდიული პირი ითხოვდა საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა დებულების არაკონსტიტუციურობას, რომელიც შეეხებოდა თამბაქოს ნაწარმის კონტროლს. მისი განცხადებით, საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვნება განაპირობებდა მათ წინააღმდეგობას საქართველოს კონსტიტუციის 29–ე მუხლთან.

1943 საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად, რადგან დაადგინა, რომ ამ უფლებით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ ფიზიკურ პირებს. სასამართლომ განაცხადა: „იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობა და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ემუხლის მე-3 პუნქტით (ახალი რედაქციით 23 მუხლით) დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას.

1944 აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.“ [3842] შესაბამისად, იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობა და აქედან გამომდინარე, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში; ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები არ განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომლებიც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზე. მოგვიანებით, მან, როგორც გარემოს დაცვის უფლების სუბიექტად აღიარა ყველა ადამიანი.[3843]

1945 თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, 29-ე მუხლის შემდეგ ჩანაწერთან მიმართებით : „ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“. მან ამ უფლების სუბიექტად განიხილა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა”.[3844]

[3841] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3842] იქვე II-5.

[3843] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3844] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

2.2. საგნობრივი დაცული სფერო

29-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ადამიანის რამდენიმე უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში (1), სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი (2), სარგებლობდეს საჯარო სივრცით (3), დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ (4), ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე (5) და მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებაში (6). 1946

ჩამოთვლილთაგან, რამდენიმე უფლებასთან მიმართებით, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. 1947

ერთ-ერთ საქმეში[3845] მოსარჩელე დავობდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57[10] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობას. სადავო ნორმების მიხედვით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და დაინტერესებულ პირს შორის, შესაძლებელი იყო, დადებულიყო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში, დაინტერესებული პირი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ/განხორციელებულ ქმედებაზე, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, თავისუფლდებოდა სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში, პირი თავისუფლდება ჯარიმის გადახდის, ზიანის ანაზღაურების, რაიმე სახის ვალდებულების შესრულების ან მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან, შეთანხმების პირობების (გარკვეული თანხის გადახდა ან/და სხვა ვალდებულების შესრულება) შესრულების სანაცვლოდ. მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგება მის კონსტიტუციურ უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. რადგან, პირს ეძლეოდა საშუალება, განუსაზღვრელი ოდენობის ზიანი მიაყენოს გარემოს, რაც კანონიერ ქმედებად ჩაითვლებოდა, ეს კი შესაძლებელია, გარემოსთვის კატასტროფული შედეგების მომტანი აღმოჩენილიყო. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარემ-საქართველოს პარლამენტმა, ცნო სარჩელი და დაეთანხმა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნას.

სასამართლომ საქმე განიხილა კონსტიტუციის 29 მუხლით (ძველი რედაქციით 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი) დაცულ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებასთან მიმართებით. მან დაცული სფეროდან გამორიცხა „პირის უფლება, იცხოვროს მისთვის კომფორტულ ან/და ესთეტიკურად მისაღებ გარემოში და სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულის უზრუნველყოფა.“[3846] ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფოს განვითარება, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, ხშირ შემთხვევაში, თავისთავად იწვევს გარემოზე მავნე ზემოქმედების ზრდას. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, შესაბამისად, სახელმწიფოს ხშირად უწევს ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება და დაბალანსება. თუმცა სასამართლოს აზრით, 1948

[3845] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[3846] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-2.

აღნიშნულ საქმეში ეკონომიკური ფაქტორების გამოც კი, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ დაცულია გონივრული ბალანსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების შეზღუდვასა და ბიზნესის ხელშეწყობის პოზიტიურ ეფექტებს შორის. რადგან ჯანსაღი გარემოსათვის მიყენებული ზიანი, შესაძლებელია, განუზომლად დიდი იყოს.[3847] სასამართლოს ამ საქმეში ჩათვალა, რომ დარღვეული იყო გონივრული ბალანსი სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვასა და მისი მიღებით მიღწეულ პოზიტიურ შედეგებს შორის. სადავო ნორმების მიღებით, სახელმწიფო არღვევდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის კონსტიტუციით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

1949 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთეა, უფლება, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღებაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება არის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ზოგადი ინფორმაციის მიღების უფლების (მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის) სპეციალური ნორმა. დასახელებული კონსტიტუციური გარანტია „წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს, გარემოს მდგომარეობის შესახებ, მის ხელთ არსებული ინფორმაცია.[3848]

1950 საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება გარემოს შესახებ ინფორმაციით. სწორედ ინფორმირებულ საზოგადოებას შესწევს უნარი, მიიღოს გარემოს შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიოს ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე.[3849] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში, საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის შესახებ შესაგროვებელი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს იმ შინაარსობრივ მინიმუმს, რაც აუცილებელია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის რეალიზაციისთვის.“[3850]

3. გარემოს დაცვის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1951 როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი სახელმწიფოს მიმართ ადგენს ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებას. ამ უკანასკნელს კი იგი ამგვარად განმარტავს: „სახელმწიფომ გარემო უნდა დაიცვას კერძო პირების მიერ დაზიანებისაგან“[3851]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო

[3847] იქვე II- 15.
[3848] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-33.
[3849] იქვე II-34.
[3850] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-6.
[3851] იქვე.

სასამართლო, განსხვავებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსაგან, იგი თავის პრაქტიკაში არ იყენებს ტერმინს უფლების „სახელმწიფო დაცვის ვალდებულება“ (Staatliche Schutzpflicht),[3852] მართალია, შინაარსობრივად ის სახელმწიფოს ამ ფუნქციას ხშირად ახსენებს, თუმცა ტერმინოლოგიურად იგი სახელწიფოს ვალდებულებას, დაიცვას პირის უფლება, სხვა პირთაგან მომავალი საფრთხეებიდან, იგი ტერმინით „პოზიტიური ვალდებულება“ მოიხსენიებს.

3.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები

1952 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი სახელმწიფოს მიმართ „ადგენს ორი სახის ვალდებულებას: 1) სახელმწიფო ვალდებულია, მისი აქტიური ქმედების ფარგლებში, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტებისა თუ სხვა ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას, გაითვალისწინოს და მაქსიმალურად შეამციროს საქმიანობის შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება (ნეგატიური ვალდებულება); 2) სახელმწიფომ გარემო უნდა დაიცვას კერძო პირების მიერ დაზიანებისაგან (პოზიტიური ვალდებულება).“[3853] მის პრაქტიკაში სასამართლოს მხოლოდ პოზიტიური ვალდებულების შემოწმება მოუწია.

1953 ზოგადად, ნეგატიური ვალდებულება, სხვა უფლებების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც გულისხმობს, რომ სახელწმიფომ თავი უნდა შეიკავოს ამ უფლებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული და დანერგილი იქნეს ისეთი რეგულაციები, რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებენ, სახელმწიფოს მიერ, ადამიანის გარემოს დაცვის უფლებაში ჩარევის რისკებს.

3.2. სახელმწიფოს (პოზიტიური) ვალდებულება

1954 კონსტიტუციის 29-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის გონივრული მოლოდინის არსებობას, რომ გარემოს დაზიანების შემთხვევაში, ნებისმიერი პირის მიმართ, გამოყენებული იქნება სამართლებრივი ზემოქმედების ადეკვატური საშუალებები. სახელმწიფო ვალდებულია, შექნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გარემოს დაზიანებისკენ მიმართულ ქმედებებთან დაკავშირებით, პრევენციულ ფუნქციას შეასრულებენ. იგი ვალდებულია, არ მისცეს მესამე პირებს გარემოზე განუზომელი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა. ეს უნდა გამოიხატოს გარემოს დაცვის სფეროში ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვასა და ამ ქმედებების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებაში.[3854] ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში.

[3852] Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, S. 110-160.

[3853] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3854] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-7.

მათ შორის ეს არის სახელმწიფოს მიერ უფლების დაცვა, არამხოლოდ მისი ჩარევისაგან, არამედ ასევე სხვა პირებისაგან (იგივე დაცვის ვალდებულება). თუმცა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ამით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება. მისი ვალდებულებაა, თავისი პოზიტიური ქმედებით, იზრუნოს გარემოს დაცვაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ აკისრებს სახელმწიფოს შესაბამისი დადებითი მოქმედების ვალდებულებას. მისი აზრით,[3855] კონსტიტუციის 29-ე მუხლი „განამტკიცებს ადამიანის უფლებას ბუნებრივ გარემოზე, კერძოდ, იმ გარემოზე, რომელიც, თავისთავად, ადამიანის ზემოქმედების გარეშე არსებობს და ადგენენ ყველას ვალდებულებას, გაუფრთხილდეს მას“. თუმცა, მისი აზრით, კონსტიტუციის 29-ე მუხლის დაცვის „საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად ან სხვა ფორმით განსაზღვროს, რა არის ადამიანის ცხოვრებისათვის საუკეთესო გარემო და შემდგომში შეეცადოს, შექმნას იგი აქტიური ჩარევის გზით“.[3856] ამით სასამართლო სახელმწიფოს არ თვლის ვალდებულად მაგალითად, აქ გაამწვანოს საჯარო სივრცე, ან მოუაროს ტყეს, რომელიც შესაძლოა ადამიანის მავნე ზეგავლენას არ განიცდის, თუმცა კლიმატის ცვლილების გამო, სახელმწიფო ზრუნვას საჭიროებს. აღნიშნული მიდგომა, არ არის საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება, რადგან ადამიანის უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, არ შეიძლება მხოლოდ მესამე პირების მიერ იქნეს დარღვეული, მის შენარჩუნებას აუცილებლად ჭირდება მზრუნველი და ეს მზრუნველი ცალსახად არის სახელწმიფო, რადგან ძირითადი უფლებების ადრესატს წარმოადგენს სახელმწიფო.

1955 იგივეა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, სახელმწიფოს მიერ, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. საქმეში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[3857] მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ნორმა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი იყო არაკონსტიტუციური, რადგან იგი დაუშვებლად მიიჩნევდა სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემას სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა არღვევდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის უფლებას, რადგან შეზღუდულია გასაჩივრებულ ნორმაში მითითებული ინფორმაციის მიღება მესაკუთრის თანხმობის გარეშე. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ წიაღი არის გარემოს ნაწილი, ამდენად, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული ინტერესი აღემატება საკუთრების უფლებას და აღნიშნული ინფორმაცია, თუნდაც საკუთრების უფლებით იყოს დაცული, უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამდენად, საზოგადოებრივ სიკეთეს მიკუთვნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ხოლო საქართველოს პარლამენტის პოზიციით, გასაჩივრებული ჩანაწერი მიმართული იყო წიაღის დამუშავების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღების ინტერესის დაცვისკენ, ხოლო დაცვის სუბიექტს წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც წიაღის დამუშავებას პირადი მოხმარების მიზნით ახორციელებენ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული ინფორმაციის

[3855] გადაწყვეტილება №2/1/524 II-7.
[3856] გადაწყვეტილება №2/1/524 II-7.
[3857] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გასაჯაროება კომერციულ ღირებულებას დაუკარგავდა ამ ინფორმაციას, რაც გაუმართ-ლებელი ჩარევა იქნებოდა საკუთრების უფლებასა და სამეწარმეო საქმიანობაში.

1956 სასმართლომ განმარტა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დამდგენი (მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი), კონსტიტუციური უფლებებისაგან განსხვავებით, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება (29-ე მუხლის პირველი პუნქტი) „ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მუდმივად აწარმოოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. ნათელია, რომ ეს ორი ვალდებულება ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული, რადგან ამ ტიპის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების გარეშე, შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლების ეფექტური რეალიზება“.[3858] აღნიშნულით სასამართლო პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, თუმცა ისე, როგორც წინა გადაწვეტილებაში, აქაც იგი არ აკისრებს სახელმწიფოს ისეთი გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელების ვალდებულებას, რომელიც კერძო ორგანიზაციების მიერაა მოპოვებული, თუმცა სახელმწიფოს აქვს წვდომა მასზე. მისი აზრით, საქმეში არის კერძო და საჯარო ინტერესების კონკურენცია და გარკვეული კონფლიქტი მათ შორის. შესაბამისად, სასამართლომ ინტერესთა კონფლიქტი კერძო ინტერესის სასარგებლოდ გადაწყვიტა, სახელმწიფო არ ჩათვალა ვალდებულად, რომ გაეცა გარემოსდაცვითი ინფორმაცია, კონკრეტულად, წიაღის მოპოვების შესახებ, რომელიც იყო მის ხელთ, თუმცა კერძო კომპანიების მიერ და არ დააკმაყოფილა სარჩელი. გადაწვეტილებას თან ერთვის განსხვავებული აზრი, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ „გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებრივი გარემოთი სარგებლობისა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება გააჩნია ყველას, „ნებისმიერი საკითხი თუ ინფორმაცია, რომელიც რაიმე სახის გავლენას ახდენს გარემოზე, წარმოადგენს საზოგადოების მომეტებული ინტერესის ობიექტს. ამდენად, გარდა იმისა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისი საკითხები კონსტიტუციისთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული, თავისთავად და ბუნებრივად არსებობს საზოგადოების ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მომეტებული ინტერესი.“[3859]

4. ჩარევა გარემოს დაცვის უფლებაში და მისი კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართება

1957 კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო ხელისუფლება სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახდენს ისეთ ინტერვენციას, რომელიც ხელს უშლის, ზღუდავს ან საერთოდ კრძალავს ამ მუხლით გარანტირებულ სიკეთეთა განხორციელებას. ჩარევის იდენტიფიცირება ხდება სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების ან მისი ისეთი უმოქმედობის დადგენისას, როცა მას

[3858] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-33.

[3859] მოსამართლე მ. კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14.

ევალებოდა უფლების გარანტირებისას მისი დაცვა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს უფლება სახელწმიფო ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს პოზიტიურ მოქმედებას.

1958 საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პირდაპირი მოთხოვნაა კანონის დათქმის კრიტერიუმი: ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.

1959 ნებისმიერი კანონი, რომელიც შესაძლებელია გარემოზე გარკვეული ზემოქმედების შესაძლებლობას უშვებდეს, მაშინვე არ უნდა იქნეს მიჩნეული არაკონსტიტუციურად, რადგან "უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცდენელია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოშობს ღირებულებათა კონფლიქტს... მაშინ, როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა"[3860]

1960 29-ე მუხლში გარანტირებული უფლებები სახელმწიფოს ავალდებულებს არა მხოლოდ თავი შეიკავოს ამ უფლება ჩარევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ მას აქვს მოქმედების (პოზიტიური) ვალდებულება. შესაბამისად, დარღვევა მოწმდება, თუ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ იგი ამ ვალდებულებას არ ასრულებს.

1961 პირველის, ნეგატიური ვალდებულების შემთხვევაში, მოწმდება სახელმწიფოს მოქმედებას რამდენად აქვს ლეგიტიმური მიზანი და რამდენად არის იგი კონსტიტუციურ სამართლებრივად გამართლებული (გამოსადეგი, აუცილებელი, შესაბამისი). ხოლო მეორე პოზიტიური ვალდებულების შემთხვევაში, ძირითადი უფლება ირღვევა მაშინ, როცა მისი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო არ მოქმედებს პოზიტიურად, ან მისი მოქმედება არ არის საკმარისი. ორივე შემთხვევაში, ჩარევა ძირითად უფლებაში კონსტიტუციურ-სამართლებრივად ვერ გამართლებულია, თუ არ ემსახურება კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად არაა ყველაზე გონივრული საშუალება.

5. დარღვევის შემოწმება

1962 როგორც აღინიშნა, 29-ე მუხლის შემთხვევაში, სახელმწიფოს ორმხრივი ვალდებულება იკვეთება. პირველი, საჯარო ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას პირი არამხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ მესამე პირებისაგან მომდინარე საფრთხეებისაგან, ასეთ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს კონკრეტული ზომები, განახორციელოს კონკრეტული მოქმედებები, რათა დაიცვას პირის ძირითადი უფლებები სხვათა ჩარევისაგან. მეორე მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, პოზიტიურად იმოქმედოს პირის სასარგებლოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ყველა დავა შეეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულის დარღვევას. აღნიშნული პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ე.წ. მფარველობითი და სოციალური უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფისას ეკისრება.

[3860] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №№1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

1963 აღნიშნული სახის ძირითადი უფლებების სამართლებრივი კონტროლის უზრუნველ-ყოფა, ძირითად შემთხვევებში, ორ ეტაპად ხორციელდება: I. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრა, რომელიც კონსტიტუციის ტექსტიდან (ან ასევე სასამართლო პრაქტიკიდან ამოიკითხება) და II. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენა. როდესაც რომელიმე ძირითადი უფლების დასაცავად კანონმდებლის მიერ არანაირი ღონისძიება არ არის მიღებული, ან შერჩეული საშუალება არ არის გამოსადეგი და აშკარად არასაკმარისია მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო არღვევს მის პოზიტიურ ვალდებულებას.[3861]

5.1. ლეგიტიმური მიზანი

1964 კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი თავად ადგენს გარემოს თავისივე მიზანს, ეს არის, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, რომელიც შესაძლოა ერეოდეს 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სიკეთეში, უნდა აღემატებოდეს, უნდა გადაწონიდეს ამ კონსტიტუციით განსაზღვრულ დაცულ მიზანს.

1965 ისე, როგორც სხვა უფლებების შემთხვევაში, ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების უფლებასაც მოჰყვება სხვადასხვა კონსტიტუციური უფლებებისა თუ სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესებთან კვეთა და მათი ერთგვარი კონკურენცია. სწორედ ამ დროს დგება სახელმწიფოს მიერ გონივრული ბალანსის დადგენის საჭიროება. ამიტომ კანონმდებელმა უნდა შეარჩიოს იმგვარი რეგულაცია, რომელიც გონივრულია, როცა კოლიზიური უფლებების თანაარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ თანაარსებობას და ამ უფლებებს შორის გონივრული ბალანსის დადგენას ისახავს მიზნად. ხოლო, "როდესაც უფლებებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია და კოლიზიის გადაჭრის მიზნით ხელისუფლების მიერ კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა გარდაუვალი ხდება, უფლების შეზღუდვის ყველაზე ნაკლებად მკაცრი ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული". [3862]

1966 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში[3863] განმარტა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსა-ყოფად, ეკოლოგიის დაცვა, შესაძლებელია, ხშირად მოვიდეს კოლიზიაში სამეწარმეო თავისუფლების რეგულირების სფეროსთან. მისი აზრით, იმის გარკვევა, სახელმწიფოს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, რა მოცულობით შეუძლია დაუშვას გარემოზე ზემოქმედება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების ძირითადი უფლების პრაქტიკული რეალიზების ერთ-ერთ ურთულეს სამართლებრივ

[3861] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი, 2017, იხ. კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელი.

[3862] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-32.

[3863] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-13.

პრობლემას წარმოადგენს, რომელზეც ზოგადი და უნივერსალური მიდგომის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების გზით უნდა გაირკვეს, ამა თუ იმ ფორმით, გარემოზე ზემოქმედება წარმოადგენს თუ არა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დარღვევას.

1967 საქმეში, სადაც მოსარჩელე მოითხოვდა იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ენერგეტიკის სამინისტროსა და პირს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ ქმედებაზე, ჯარიმისგან გათავისუფლების თაობაზე, ხელშეკრულების დადებას გულისხმობდა, სასამართლომ საერთოდ ვერ დაადგინა ლეგიტიმური მიზანი. ამასთანავე, მოპასუხემ (საქართველოს პარლამენტმა) ცნო კონსტიტუციური სარჩელი და მიუთითა, რომ არ არსებობდა სადავო ნორმების შემოღების ლეგიტიმური მიზანი.[3864] შესაბამისად, სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია. მან იქვე განაცხადა, რომ ამ 29-ე მუხლს ისეთი ლეგიტიმური მიზანი შეიძლება ჰქონდეს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების შეზღუდვასა და ამ უფლების შეზღუდვით გამოწვეულ სხვა პოზიტიურ ეფექტებს შორის.[3865]

1968 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ძირითად უფლებებში ჩარევა მისი გადამეტებული მოქმედებით კი არ იდენტიფიცირდება, არამედ ჯერ სახელმწიფოს კონკრეტული კონსტიტუციური ვალდებულება განისაზღვრება და შემდგომ დგინდება, რამდენად შეასრულა ეს ვალდებულება სახელმწიფომ.

5.2. პროპორციულობა

1969 გადაწყვეტილებაში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[3866] შეპირისპირებული იყო ორი ლეგიტიმური ინტერესი - კომერციული საიდუმლოების დაცვის და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლების ლეგიტიმური ინტერესი. მოსარჩელე აპელირებდა იმაზე, რომ მიუხედავად კომერციული საიდუმლოებისა, საზოგადოებრივ სიკეთეს მიკუთვნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასთვის, მესაკუთრის თანხმობის გარეშე. ხოლო მეორე შეპირისპირებულ ინტერესს წარმოადგენდა იმ პირთა საკუთრების და სამეწარმეო საქმიანობის უფლება და ეკონომიკური სარგებლის მიღების ინტერესი, რომლებიც წიაღის დამუშავებას, პირადი მოხმარების მიზნით, ახორციელებენ. სასამართლომ ზედაპირულად შეაფასა კერძო და საჯარო ინტერესების კონკურენცია და გარკვეული კონფლიქტი მათ შორის. შესაბამისად, ამ საქმეში სასამართლომ ინტერესთა კონფლიქტი კერძო ინტერესის სასარგებლოდ გადაწყვიტა, სახელმწიფო არ ჩათვალა

[3864] იქვე II-15.
[3865] იქვე.
[3866] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ვალდებულად, რომ გაეცა გარემოსდაცვითი ინფორმაცია, წიაღის მოპოვების შესახებ, რომელიც იყო მის ხელთ, თუმცა შეგროვებული იყო კერძო კომპანიების მიერ.

1970 საგულისხმოა, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, განსხვავებით ყველა სხვა ტიპის ინფორმაციისაგან, განსაკუთრებული, სპეციალური ნორმით არის გარანტირებული. შესაბამისად, იგი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კერძო პირის მიერ არის მოპოვებული და მისთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანას ემსახურება, ვერ იქნება საკუთრების უფლებით უპირობოდ დაცული. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ საკუთრებას აქვს სოციალური ბოჭვა, თუ იგი საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. სადავო არ უნდა იყოს, რომ წიაღისეული არის საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფასეულობა. მიუხედავად ამისა, ამ ინფორმაციის მნიშვნელობა შეფასებულ იქნა ცალმხრივად, მხოლოდ საკუთრების უფლების მქონე სუბიექტისა და მისი კომერციული ინტერესის პერსპექტივიდან.

1971 როგორც გადაწყვეტილებიდან აშკარად ჩანს, სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომის მნიშვნელობა, რომელიც მათ შორის მოიცავს ისეთ ინფორმაციასაც, როგორიცაა, თუ რა ტექნიკური ან სხვა საშუალებებით მოხდა გარემოზე ზემოქმედება, რამაც მომავალში, შესაძლოა, ჯანსაღ გარემომცველ გარემოზე მოახდინოს გავლენა. ამ ინფორმაციის მიღება ზოგჯერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.[3867] ამიტომ ასეთი ინფორმაციის მიღების შესახებ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი დიდია და გაუმართლებელია ამ მნიშვნელობის ინფორმაციის, კომერციული საიდუმლოების ფარგლებში, დახურულ ინფორმაციად მიჩნევა.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა

1972 მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების სამართალი შედარებით ახალია და ამ კუთხით, ჯერჯერობით მწირია სასამართლო პრაქტიკაც, უკვე არსებობს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლოებმა დაადგინეს სახელმწიფოების მხრიდან კლიმატის ცვლილების სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, და მათ, სწორედ ადამიანის უფლებების სამართალზე დაყრდნობით, დააკისრეს პასუხისმგებლობა.[3868] ასეთ შემთხვევაში სასამართლო ძირითადად აპელირებს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებასა[3869] და ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებაზე.[3870] საგულისხმოა ასევე, რომ ევროპულ სასამართლოებში სულ უფრო და უფრო იმატებს გარემოს დაცვის,

[3867] მოსამართლე მ. კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებამ საქმეზე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-14.

[3868] იხ. დეტალურად იხ. სხვა გადაწვეტილებები: გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები. მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის" (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით" - ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ. ავტორი ანა ბერიძე, თბილისი 2021.

[3869] Băcilă v. Romania, 30 March 2010, no. 19234/04.

[3870] UNEP, „Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment".

როგორც ადამიანის სუბიექტური უფლების შესახებ, მიმართვიანობა. მაგალითად, [3871] ექვსი პორტუგალიელი მოზარდი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, უჩივის 32 ქვეყანას, მათ შორის ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს, ასევე ნორვეგიას, დიდ ბრიტანეთს, თურქეთს, შვეიცარიასა და რუსეთს. მათი ინდივიდუალური საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მათ სურთ უზრუნველყონ, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი კლიმატის მიზნები უფრო ეფექტიანი გახადონ და შეამცირონ ემისიები, რომლებსაც ისინი იწვევენ მთელ მსოფლიოში.

1973 იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი განიხილება დიდი პალატის მიერ. ეს ხდება, კერძოდ, მაშინ როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციას ან მისი გამოყენების ფუნდამენტურ კითხვებს.

6.1.Băcilă V Romania

1974 საქმეში, Băcilă V Romania, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების დარღვევა დაადგინა.[3872] ამ საქმეში მოსარჩელე დავობდა, რომ ფერადი ლითონების მწარმოებელი ქარხანა აბინძურებდა მის საცხოვრებელ გარემოს, რაც აზიანებდა მის ჯანმრთელობას; ადგილობრივი ხელისუფლება კი არ იღებდა სათანადო ზომებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ ჩატარებული ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მძიმე მეტალები იყო ქალაქის წყლის სისტემებში, ჰაერში, მიწასა და მცენარეულ საფარში. მათი შემცველობა 20-ჯერ მეტი იყო ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე, ხოლო ამ ქალაქში დაავადების რიცხვი, კონკრეტულად კი, რესპირატორული დაავადებების რიცხვი, შვიდჯერ მეტი იყო, ვიდრე დანარჩენ ქვეყანაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან მან ვერ შეძლო, ეპოვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, ეკონომიკური განვითარების ინტერესებსა და მეორე მხრივ, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესებს შორის, რომლის ქვეშაც განიხილავს და მოიაზრებს ხშირად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე.

6.2. ჰაერის ხარისხის კონტროლი

1975 2016 წელს, ბრიუსელში მცხოვრები გერმანიის 5 მოქალაქე, ClietnEarth-ის მხარდაჭერით დავობდნენ რეგიონული მთავრობის წინააღმდეგ.[3873] მოსარჩელეები ასაჩივრებდნენ, რომ ბრიუსელის რამდენიმე ძირითად გზაზე, მთავრობა არ აკონტროლებდა ჰაერის

[3871] Duarte Agostinho and Others v. Portugal and 32 Others, Application no. 39371/20.
[3872] Băcilă v. Romania, 30 March 2010, no. 19234/04.
[3873] ClientEarth, 'ClientEarth and Brussels residents win five-year legal battle for clean air.

ხარისხს: ორ მთავარ გზაზე 2008-2014 წლებში გამორთული იყო და არ ფუნქციონირებდა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურები. შესაბამისად, ამ პერიოდში არ ფასდებოდა, თუ რამდენად საშიში იყო ადამიანის ჯანმრთელობისთვის ჰაერის დაბინძურების ხარისხი კონკრეტულად ამ გზების მიმდებარე ტერიტორიაზე და ხელმისაწვდომი ინფორმაცია ასახავდა ზოგადად ქალაქში ჰაერის დაბინძურების ხარისხის საშუალო მაჩვენებელს. მოსამართლემ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ამ საქმეზე რამდენიმე საკითხის განმარტების თხოვნით მიმართა.

1976 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ ბრუსელის სასამართლოსადმი წარდგენილი მოსაზრების მიხედვით, მოსახლეობას აქვს უფლება, აკონტროლოს ქალაქში ჰაერის მონიტორინგის მიმდინარეობა და შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ არსებული სისტემა არ არის ეფექტიანი და საფრთხე ექმნება მათ ჯანმრთელობას. ბრიუსელის სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ ბრიუსელის რეგიონული მთავრობა არღვევდა ევროკავშირის კანონმდებლობას, ჰაერის არასათანადო მონიტორინგის გამო, რითაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას და, შესაბამისად, მას დაავალა ჰაერის მონიტორინგის სისტემის გამართვა გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

6.3. Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another

1977 2021 წლის იანვარში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ჰაგის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე, Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another.[3874] ამ საქმეში ნიგერიელი ფერმერები დავობდნენ, რომ ნავთობკომპანია Shell-ის საქმიანობის, კონკრეტულად კი, დიდი ოდენობით ნავთობის დაღვრის შედეგად, დაბინძურდა მდინარე ნიგერის დელტა და მის მიმდებარედ არსებული ნიადაგი, რამაც ფერმერებს შეუზღუდა უფლება წყალზე, გამოუსადეგარი გახადა ის და, შესაბამისად, ზიანი მიადგათ ეკონომიკურადაც.

1978 სარჩელი შეტანილი იყო მშობელი კომპანიის, Royal Dutch Shell-ისა და მისი ნიგერიული შვილობილი კომპანია Shell Petroleum Development Company-ის წინააღმდეგ. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებად მიიჩნევა, პასუხისმგებლობა დაეკისრა როგორც შვილობილ კომპანიას, რომლის საქმიანობის შედეგადაც უშუალოდ დაირღვა ნიგერიელი ფერმერების უფლებები, ასევე, მშობელ კომპანიას, რომელმაც არ შეასრულა ე.წ. ზრუნვის ვალდებულება თავისი შვილობილი კომპანიის მიერ დაზარალებული ადამიანების მიმართ. კონკრეტულად კი, შვილობილ კომპანიას დააკისრა ფერმერებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მშობელ კომპანიას კი დაავალა, რომ ორუმას მილსადენზე, ნავთობის დაღვრის ადგილზე, დაეყენებინა აღმომჩენი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შემდგომი დაღვრის თავიდან არიდება.

[3874] Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another [2021] ECLI:NL:GHDHA:2021:132 (Oruma), ECLI:NL:GHDHA:2021:133 (Goi) and ECLI:NL:GHDHA:2021:134.

ლიტერატურა

ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი, თბილისი 2017; გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები. მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ. ავტორი ანა ბერიძე, თბილისი 2021; UNEP, Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment, Nairobi, June 2015; Bell and others, Environmental Law, 9th edn, Oxford University Press 2017; Fisher, Environmental Law: a Very Short Introduction, Oxford University Press 2017; Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010; UNEP, „Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment“

მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები

1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

შინაარსი

მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები.....759
შინაარსი 780

1. ქორწინების უფლების და დედათა და ბავშვთა უფლებების ზოგადი მნიშვნელობა. 760

1.1. ქორწინების ინსტიტუტი 760

1.2. დედათა და ბავშვთა უფლებები 762

1.3. ქორწინების უფლების კავშირი სხვა უფლებებთან 763

2. ქორწინების უფლების და დედათა და ბავშვთა უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები..... 765

2.1. ქორწინების უფლება 765

2.2. დედათა და ბავშვთა უფლებები 767

3. ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცული სფერო 768

3.1 პერსონალურად დაცული სფერო 768

3.1.1. ქორწინების უფლებით დაცული პირები 768

3.1.2. დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცული სფერო პირები 769

3.2. საგნობრივად დაცული სფერო..... 769

3.2.1. ქორწინების უფლებით საგნობრივად დაცული სფერო 769

3.2.2. დედათა და ბავშვთა უფლებებით საგნობრივად დაცული სფერო 770

4. ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა 773

5. ჩარევის შემოწმება/კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება 774

6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ევროკავშიროს მართლმსაჯულების სასამართლოსა და გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკა ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით..... 775

6.1. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ზოგადი მიდგომა 775

6.2. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 2002 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება 776

6.3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა 778
ლიტერატურა

1. ქორწინების უფლების და დედათა და ბავშვთა უფლებების ზოგადი მნიშვნელობა

1979 ქორწინება და ოჯახი არამხოლოდ სოციალური, არამედ ამასთანავე სამართლებრივი მნიშვნელობის ინსტიტუტებია. სამართლებრივი თვალსაზრისით ქორწინება უნდა ემყარებოდეს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საფუძვლებს. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, ,,უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის [ძვ. რედ.] 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე არ არის პირთა ქორწინების მსგავსი ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. აქ საუბარია ქორწინების სამართლებრივად დადგენილ და აღიარებულ ფორმაზე".[3875] საყურადღებოა, რომ მოქმედი რედაქციით, განსხვავებით წინა რედაქციისგან, აღარ გვაქვს კონსტიტუციაში ჩანაწერი ოჯახთან დაკავშირებით. 2018 წლამდე ეს მუხლი სახელმწიფოს მეტ პოზიტიურ ვალდებულებას ანიჭებდა ჩანაწერით: „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას".

1980 საინტერესოა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი[3876] მისი აზრით, დანიშნულება არ ამოიწურება მხოლოდ ქორწინების არსებითი სტრუქტურის უზრუნველყოფით,[3877] არამედ იგი არის სავალდებულო ხასიათის კონსტიტუციური ღირებულების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმა, რომელიც მოითხოვს და ითვალისწინებს ოჯახისა და ქორწინების მთლიან სფეროსთან დაკავშირებულ კერძო და საჯარო სამართლის დაცვას სახელმწიფოს ჩარევებისაგან.[3878] აღნიშნული დაცვის უზრუნველსაყოფად, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ამოცანაა, არ მოიმოქმედოს არაფერი ისეთი, რაც ზიანს მიაყენებს ან სხვაგვარად შეზღუდავს ქორწინებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ამ ინსტიტუტს შესაბამისი და ადეკვატური ზომების გატარებით.[3879]

1.1. ქორწინების ინსტიტუტი

1981 საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ჩანაწერი რომ ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას, ამ სახით ძალაში შევიდა 2018 წელს. მანამდე საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქორწინება

[3875] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6.
[3876] ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ქორწინება და ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ".
[3877] Badura,: Ehe und Familie stehen unter dem besonderen Schutz der staatlichen Ordnung (Art. 6 Abs. 1 GG), in: Bitburger Gespräche, Jb. 2001; Kingreen, Thorsten: Die Verfassungsrechtliche Stellung der nichtehelichen Lebensgemeinschaft im Spannungsfeld zwischen Freiheits- und Gleichheitsrechten, 1995.
[3878] იხ.: BVerfGE 6, 55, [72]; 55, 114, [126].
[3879] იხ: BVerfGE 6, 55, [76]; 28, 104, [113]; 53, 224, [248]; 76, 1, [41]; 80, 81, [92]; 99, 216, [231].

ემყარებოდა მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. ამ ჩანაწერმა გააჩინა ქორწინების ახალი განმარტება საქართველოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციური კანონის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ „30-ე მუხლს ემატება ჩანაწერი, რომელიც კონსტიტუციის დონეზე აკონკრეტებს ქორწინების სამოქალაქო-სამართლებრივ დეფინიციას. აღნიშნული დეფინიციის თანახმად, ქორწინება განისაზღვრება, როგორც ქალისა და მამაკაცის მონოგამიური კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. ამ ცვლილების მიზეზი გახდა საზოგადოებაში არსებული ვნებათაღელვა, რომელიც ქორწინების ინსტიტუტს უკავშირდება. ქორწინების დეფინიციის გაფართოება ხშირად ხდება სპეკულაციისა და მანიპულაციის საგანი, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების გაღვივებას. ამგვარი სპეკულაციისა და მანიპულაციის პრევენციისათვის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქორწინების ცნების კონსტიტუციის დონეზე განსაზღვრა.“ [3880] ამავე განმარტებით, ბარათში აღნიშნულია რომ ცვლილებას, კონსტიტუციის ახლებური განმარტებიდან გამომდინარე, ხმა არ მისცა საკონსტიტუციო კომისიის 6-მა წევრმა.[3881] მსგავსი დასაბუთება რომ „საზოგადოების მანიპულაცია და სპეკულაციის პრევენციის“ აღმოფხვრა შეიძლება იყოს კონსტიტუციური ნორმის ახალი ჩანაწერის მიზანი, სრულიად გაურკვეველი და მიუღებელია. კონსტიტუციის ჩანაწერი ცვლილებებამდე, იყო საქართველოს პირველი კონსტიტუციის მე-40 მუხლის იდენტური. რომელიც ასევე არ ასახელებდა სქესს და ხაზს უსვამდა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

1982 მსჯელობა ერთნაირსქესიანი ქორწინების შესახებ ხშირია არამხოლოდ ადამიანის უფლება დამცველთა, არამედ პოლიტიკურ წრეებში. კონსერვატორული პარტიები ხშირად ამ არგუმენტით ცდილობენ ელექტორატის გულის მოგებას, რადგან საქართველოში ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მხოლოდ ტრადიციულ ურთიერობებს თვლის ქორწინების ღირსად. სწორედ ამ მიზნით იყო ასევე მცდელობა, რომ საკითხი გადასაწყვეტად რეფერენდუმზე გამოსულიყო. აღნიშნული თავის მხრივ შეიძლება აღქმული იყოს მხოლოდ მემარჯვენე პოპულისტურ პროპაგანდად. რადგან ქართული კანონმდებლობა ისედაც ქორწინების მხოლოდ ტრადიციულ და კლასიკურ გაგებას აღიარებს.

1983 საინტერესოა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება ერთნაირსქესიანთა ქორწინების თაობაზე.[3882] სასამართლომ საფრანგეთის მოქალაქეების სარჩელთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქორწინება, რომელსაც ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი იცავს, არ გულისხმობს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. კონვენცია, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებას ცნობს ქორწინებად. მან აღნიშნა, რომ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები არ არიან ვალდებულნი ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრება ტრადიციულ ქორწინებას გაუთანაბრონ. ამასთან, მანამდეც ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს, რომ საკითხი სახელმწიფოს ფართო მიხედულების სფეროში ექცევა (ე.წ. Margin of appreciation). თუმცა სახელმწიფოში ერთი სქესის ადამიანების

[3880] განმარტებითი ბარათი, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ გვ. 13.
[3881] ექვსი წევრი იყო კომისიაში ექსპერტი და არ წარმოადგენდნენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. გვ. 8.
[3882] AFFAIRE CHAPIN ET CHARPENTIER c. FRANCE (AZ 40183/07) 16.07.2016.

ურთიერთობების სამართლებრივად აღმჭურველი მექანიზმის არარსებობის გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა. ეს ნიშნავს, რომ ერთნაირსქესიანი ადამიანების თანაცხოვრებას, შეიძლება ქორწინება არ ერქვას, მაგრამ მათი თანაცხოვრება სამართლებრივად დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ.[3883]

1984 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2008 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაში წინასწარ opita dictum განმარტა კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცული ქორწინებისა და ოჯახის ცნება, როგორც „კონსტიტუციურ დონეზე დაცული და განმტკიცებული ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო ეთიკური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები“.

1.2. დედათა და ბავშვთა უფლებები

1985 კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი აკისრებს კანონმდებელს პოზიტიურად, მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. ეს შინაარსი მსგავსია საქართველოს პირველი კონსტიტუციის 128-ე მუხლის დებულების, რომლის მიხედვით, „რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედებისა და ბავშვების დაცვისთვის მზრუნველობა”.

1986 დედათა ბავშვთა ერთად განხილვა და მათი ერთიან კონტექსტში დაცვა, მოიაზრებს დედისა და შვილის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კავშირს. მაგალითად, დაბადებიდან პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში დედასთან ბავშვის მჭიდრო კავშირის შენარჩუნების აუცილებლობა, ეჭვს არ იწვევს. ამგვარი კავშირი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, როგორც ბავშვის ფსიქიკის ნორმალური განვითარებისათვის, ისე მის მიმართ დედის სათანადო ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ქალის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა მშობიარობისშემდგომი კვირების განმავლობაში, რაც აღნიშნულ პერიოდში შრომითი საქმიანობისგან მისი დასვენების უზრუნველყოფის აუცილებლობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ ორსულობის შემდგომ პერიოდში დედისა და ბავშვის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა, ობიექტურად, ორივე მათგანის მინიმალურ სოციალურ მოთხოვნილებად უნდა იქნეს განხილული. აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, დედის უზრუნველყოფა, ადეკვატური დეკრეტული შვებულებით, სახელმწიფოს უპირობო კონსტიტუციურსამართლებრივ ვალდებულებად მიიჩნევა.[3884] მართალია, ორივე მშობელს გააჩნია ბავშვზე ზრუნვისა და მისი განვითარების ხელშეწყობის თანაბარი ფუნქცია. თუმცა, ძუძუთი კვების გამო, ბავშვს დედასთან გააჩნია განსაკუთრებული კავშირი, რის გამოც პირველ პერიოდში მნიშვნელოვანია დედისა და ბავშვის ეს კავშირი არ დაირღვეს.

[3883] Oliari and Others v. Italy - 18766/11 and 36030/11Judgment 21.7.2015, Vallianatos & Mylonas v. Greece, (Applications nos. 29381/09 and 32684/09); Schalk and Kopf v. Austria 30141/04 Judgment 24.6.2010 .

[3884] კობახიძე, დედათა ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოს შრომის სამართალში. კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული. თბილისი, 2011. გვ. 139.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1921 წლის 21 თებერვალის კონსტიტუციის 126-ე მუხლი, 1987
რომელიც პირდაპირ მიუთითებს მინიმუმ 2 თვის განმავლობაში ქალისთვის მშობლის შვებულების ანაზღაურების ვალდებულებაზე: „განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს, არა ნაკლებ ორი თვისა, თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები."

1988 როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ ძაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, ადამიანის შრომითი უფლებების მოწესრიგების დარგში, უნდა პასუხობდეს სახელმწიფოს კონსტიტუციურ პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ამ მიმართებით, განსაკუთრებით კი ოჯახის კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობისა და დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, მაქსიმალურ ძალისხმევას უნდა მიმართავდეს, რათა საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება".[3885]

1989 კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დედა-შვილის მჭიდრო კავშირის დასაცავად ბავშვის მცირეწლოვნების დროს. მაგალითად, მშობიარობის შემდგომი შვებულების უფლება, სწორედ კონსტიტუციური ჩანაწერიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულების შესრულების აუცილებელი წინაპირობაა. იგი არ არის დაკავშირებული მხოლოდ ბავშვის დედის კეთილდღეობასთან და ჯანმრთელობასთან, არამედ აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაცია უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ დასაქმებულის დედის ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, არამედ ბავშვის ინტერესებსაც. ამიტომ მნიშვნელოვანია, კონსტიტუციური ჩანაწერის ფარგლებში, სახელმწიფოს ვალდებულება ბავშვის უფლებათა პერსპექტივიდანაც შეფასდეს. უფრო მეტიც, ბავშვთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში პრიორიტეტულია მისი ინტერესები და უფლებები. შეძლებისდაგვარად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ რეგულირება იყოს ბავშვების საუკეთესო ინტერესებში. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოიცავს უპირველეს ყოვლისა ბავშვის მოვლის, დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებს, რომლებიც უნდა ეყრდნობოდნენ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყველა სხვა ინტერესზე მნიშვნელოვანია.

1.3. ქორწინების უფლების კავშირი სხვა უფლებებთან

ქორწინება, როგორც პირადი, სოციალური და იმავდროულად სამართლებრივი 1990
ინსტიტუტი, მჭიდრო კავშირშია სხვა კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებთან,

[3885] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის N1/3/361 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ ძაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით კი პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის თავისუფლებასთან (მუხლი 15) და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან (მუხლი 12).

1991 ამ უფლებებს საკმაოდ კარგად მიჯნავს ერთმანეთისგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის პრაქტიკაში.[3886] სასამართლოს აზრით, პირადი ცხოვრების თავისუფლების ფარგლებში იგულისხმება ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობა, ასევე ადამიანის შესაძლებლობა, უფლება დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან.[3887] მისი სხვადასხვა ასპექტი დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით, მათ შორის კონსტიტუციის მე-12 მუხლში (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და 30-ე მუხლით (ქორწინების უფლება). სასამართლომ დაცული სიკეთეების ერთმანეთისგან გამიჯვნის მიზნით განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს, და მათ შორის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის საკითხს. ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე–12 მუხლი საგანგებოდ ითვალისწინებს თავისუფალი განვითარების უფლებას, ხოლო 33–ე მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას.

1992 სასამართლომ ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლება შეაფასა, როგორც გენერალური (Lex Generalis) მუხლი, ხოლო ქორწინებისა და საოჯახო ცხოვრების უფლება დაინახა, როგორც მისი სპეციალური მუხლი, სპეციალური შემთხვევა (Lex Stecialis). როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებიდან ჩანს: ,,საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებაზე, მის თავისუფალ განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადად, ასევე, კონკრეტულად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში.“ მისი აზრით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი.[3888] ქორწინება პიროვნების განვითარების თავისუფლების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს.[3889]

1993 ამგვარად, ქორწინების უფლება, ფართო გაგებით, წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას. ადამიანის პირად ცხოვრებასა და ქორწინების უფლებას შორის არსებობს მთელისა და მისი შემადგენელი ნაწილის ურთიერთმიმართება. ამის მიუხედავად, კონსტიტუციურმა კანონმდებელმა აირჩია ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ქორწინების უფლების ცალ-ცალკე კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება, რაც განპირობებულია უფლებაში ჩარევის განსხვავებული საფუძვლებითა და პირობებით.[3890]

[3886] იხ. დეტალური ანალიზი იხ. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა. ტუღუში, ბურჯანაძე, მშვენიერაძე, გოცირიძე, მენაბდე. თბილისი 2013., გვ. 494 დან.

[3887] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის N1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II-5.

[3888] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-1.

[3889] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-5.

[3890] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-12.

მაშინ, როდესაც პირადი ცხოვრების უფლება (კონსტიტუციის მე-12 მუხლი)[3891] იცავს არარეგისტრირებულ ქორწინებასაც,[3892] ასევე, ზოგადად, ადამიანის ნებისმიერ სექსუალურ ქცევას (იქნება ეს ჰეტეროსექსუალური, თუ ჰომოსექსუალური),[3893] კონსტიტუციის 30-ე მუხლი შეზღუდულია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ქორწინების უფლების აღიარებით.[3894]

2. ქორწინების უფლების და დედათა და ბავშვთა უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები

1994 კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი ქმნის სოციალური ურთიერთობიდან სამართლებრივ ურთიერთობას და ანიჭებს მას კონსტიტუციური დაცვის რანგს. ხოლო მეორე პუნქტში იგი იცავს დედათა და ბავშვთა უფლებებს.

2.1. ქორწინების უფლება

1995 როგორც ზემოთ აღინიშნა, ცალსახაა, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტი სავალდებულოდ არ ადგენს, რომ ერთნაირსქესიანი წყვილების თანაცხოვრებას ეწოდოს ქორწინება და ოჯახი. მაგრამ ერთნაირსქესიანი წყვილები, თანაცხოვრების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყვნენ გარანტირებული კონკრეტული უფლებებით. ამასთანავე, ვერავინ უარყოფს, რომ ერთნაირი სქესის მქონე წყვილები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და ისინი ერთად ცხოვრობენ. შეუძლებელია სამართალმა უარყოს მსგავსი რეალობა, პირიქით, მან უნდა შეძლოს ასეთი ურთიერთობები სამართლებრივი რეგულაციების სფეროში მოაქციოს. თუმცა როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ქორწინება სამართლებრივთან ერთად სოციალური მოვლენაა. კავშირი წყვილს შორის უნდა იყოს არა მხოლოდ სამართლებრივად კანონის მიერ, არამედ სოციალურად, საზოგადოების მიერ აღიარებული. თუმცა, ის მოცემულობა რომ ქართულ საზოგადოებაში ერთი სქესის ადამიანებს შორის ქორწინება არ არსებობს, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი წყვილების თანაცხოვრება სამართლის გარეთ უნდა რჩებოდეს. მართალია, ასეთ თანაცხოვრებას არ აქვს ქორწინების სახე და იგი არ არის დაცული 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, თუმცა კანონმდებლის მიმართ მნიშვნელოვან მოთხოვნად რჩება, რომ მათ თანაცხოვრებისას ჰქონდეთ ისეთი უფლებები, როგორიცაა მაგალითად, მემკვიდრეობის უფლება, უფლება არ მისცეს ჩვენება დარეგისტრირებული პარტნიორის წინააღმდეგ, უფლება მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუკი იგი კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების უნარიანი არ არის, უფლება საგადასახადო შეღავათებზე და სხვა. ასეთი ფორმა შესაძლოა იყოს მათი "პარტნიორობის სამოქალაქო რეგისტრაცია". ასეთი პრაქტიკა საკმაოდ ფართოდაა დამკვიდრებული ევროპაში. "პარტნიორობის სამოქალაქო რეგისტრაციის" შემდეგ ისინი იძენენ სხვადასხვა უფლებას, მსგავსი ფორმა მისაღები და

[3891] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის N1/2/458 განჩინება, II-21.
[3892] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის N1/2/458 განჩინება, II-6.
[3893] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის N1/2/458 განჩინება, II-19-20.
[3894] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-6.

აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებისათვის. საზოგადოებაში არცერთი უმცირესობა არ უნდა იყოს სამართლებრივად დაუცველი. თუმცა იმისათვის, რომ ჰომოურთიერთობები რეალურად და სამართლებრივად იყოს დაცული, ამის წინაპირობას ქორწინება და ოჯახის სახელის დარქმევა არ წარმოადგენს. შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით, თუკი „სამოქალაქო, დარეგისტრირებულ პარტნიორობას“ კანონმდებლობა უზრუნველყოფს, მისი სახელწოდება ქორწინება იქნება თუ რეგისტრირებული პარტნიორობა, სამართლებრივად უმნიშვნელოა. სახელმწიფოს აქვს ასეთი რეგულაციის შექმნის ვალდებულება, თუმცა დღეს საქართველოში ასეთი რამ არ არსებობს.

1996 საქართველოს კონსტიტუცია, ქორწინებას სცნობს როგორც ნებაყოფლობით ინსტიტუტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც დაიცავს ადამიანს იძულებითი ქორწინებისგან. ქორწინების იძულების მსხვერპლები საქართველოში ქალები არიან. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ქვემო ქართლის რეგიონში.[3895] ყველაზე ხშირად სწორედ აქ იწყება გამოძიება იძულებითი ქორწინების საკითხთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსში ქორწინების იძულების სპეციალური ნორმის შემოტანით და კრიმინალიზებით შესრულდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნა. თუმცა, პრობლემად რჩება ამ საკითხთან დაკავშირებით პრევენციული საქმიანობა, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საზოგადოებაში ეფექტიანი სამუშაოების ჩატარება და უკვე მომხდარ ფაქტებზე შედეგიანი რეაგირება.

1997 საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. აღნიშნული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, თითქოს ეს ნორმა იცავს ქორწინების მხოლოდ ნეგატიურ ასპექტს: თითქოს ადამიანი დაცულია მხოლოდ ისეთი ქორწინებისაგან, რომელშიც არ არის გამოხატული მისი ნება, ან ჩაყენებულია უთანასწორო მდგომარეობაში.

1998 საქმეში „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,[3896] მოპასუხის განცხადებით კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი ამოიწურებოდა იმით, რომ იცავდა მხარეებს ზეწოლის შედეგად ქორწინებისაგან.[3897] ამ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაცვა არ უნდა ვრცელდებოდეს ისეთ ურთიერთობაზე, რომლის დროსაც მხარეები თანაბარ პირობებში გამოხატავენ თავისუფალ ნებას, უზრუნველყოფილია მათი თანასწორობა, მაგრამ დაქორწინებას ხელს უშლის სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვა, მაგალითად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სავალდებულო თანხმობა (რისი მიღებისთვისაც დაქორწინების მსურველი პირები იხდიან 120 ლარს), თუკი ერთ-ერთი დაქორწინების მსურველი პირი სხვა ქვეყნის

[3895] იხ. დეტალურად „იძულებითი ქორწინება - კანონმდებლობა და პრაქტიკა“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კვლევის ხელმძღვანელი: მერაბ ქართველიშვილი, ავტორები: საკანელაშვილი, ჩიხლაძე თბილისი, 2020. გვ 4.

[3896] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3897] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II -6.

მოქალაქეა (თუ ქორწინების მსურველი ორივე პირი საქართველოს მოქალაქე იყო, მათ არ ევალებოდათ ამგვარი თანხმობის მოპოვება).[3898] საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა ქორწინებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულების ასეთი ვიწრო განმარტება. სასამართლოს თქმით, ქორწინების უფლებას გააჩნია როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ასპექტი. ნეგატიური ასპექტი მოიცავს დაქორწინების და ოჯახის შექმნის იძულების დაუშვებლობას, ხოლო პოზიტიური ასპექტი ავალდებულებს სახელმწიფოს, არ დაუწესოს დაქორწინების მსურველ პირებს არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ბარიერები. სასამართლომ განაცხადა: „პირის თავისუფალი განვითარების უფლება, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებასაც ქორწინების თავისუფლება წარმოადგენს, მოიცავს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ქცევის თავისუფლებას. ამდენად, დაცულია ქორწინების როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური თავისუფლება. [ძვ. რედ.] 36-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყველასთვის, მათ შორის უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის, თავისუფლებას, დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე. დაუშვებელია პირის იძულება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ასევე, დაუშვებელია დაბრკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ჩარევის გზით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ კონსტიტუციურ დონეზე ქორწინების მხოლოდ ნეგატიური თავისუფლებაა უზრუნველყოფილი."[3899]

2.2. დედათა და ბავშვთა უფლებები

დედათა და ბავშვთა უფლებების კონსტიტუციის რანგში აყვანა ნიშნავს, რომ 1999
სახელმწიფო იღებს პოზიტიურ ვალდებულებას და ამასთანავე მათი დაცვის ვალდებულებას. ეს უნდა გამოიხატოს, კანონმდებლობაში.[3900] აქ სახელმწიფომ უნდა შექმნას მყარი საკანონდებლო კონსტრუქცია, რითაც დაიცავს დედათა და ბავშვთა უფლებებს. შრომის კანონმდებლობა, ბოლო პერიოდის წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ჯერ კიდევ ჩამორჩება ბევრ ევროპულ სახელმწიფოს დედათა და ბავშვთა დაცვის კუთხით. ამ კუთხით საკანონმდებლო ორგანომ უკეთ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება და შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელშიც კიდევ უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული დედათა და ბავშვთა უფლებები.

[3898] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I.-4.
[3899] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I.-5.
[3900] საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში გაცილებით უკეთ არის დარეგულირებული დედათა სამუშაო პირობებს, ვიდრე შრომის კოდექსით.

3. ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცული სფერო

3.1 პერსონალურად დაცული სფერო

2000 საქართველოს კონსტიტუციით პერსონალურად დაცულია ორი კატეგორიის პირთა ჯგუფი. ერთნი, ფიზიკური პირები რომელთაც ქორწინება სურთ, ხოლო მეორე, დედები და ბავშვები.

3.1.1. ქორწინების უფლებით დაცული პირები

2001 ქორწინების უფლებით დაცული არიან ფიზიკური პირები, რომლებიც დაქორწინებული არიან ან აპირებენ დაქორწინებას განსხვავებული სქესის პირებთან. ქორწინების უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ფიზიკური პირებს, რადგან ქორწინება არ არის უნარი, რომელიც შინაარსობრივად შეთავსებადია იურიდიულ პირებთან.

2002 საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი: ,,...ქორწინების თავისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად, თანაბრად ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე...”[3901]

2003 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებაში თანასწორობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისათვის ქორწინების უფლების რეალიზაციისათვის დაწესებული პირობები ერთნაირი უნდა იყოს: ,,...რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ქორწინების თავისუფლების კანონით შეზღუდვას, ის ექვემდებარება ისეთივე გადამოწმებას, როგორსაც, ზოგადად, ქორწინების თავისუფლების შეზღუდვა...”[3902] გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ შერეული ტიპის ქორწინებისას (როდესაც ქორწინების ერთ-ერთი მსურველი მხარე მაინც საქართველოს მოქალაქეა) საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლით უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები დადგენილ უცხოელთა თანასწორობის საგამონაკლისო შემთხვევაზე აპელირება ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტი-ტუციო სასამართლოს პრაქტიკას.[3903]

2004 ქორწინების უფლებით სარგებლობა შეუძლიათ პატიმრებს. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „პატიმრობაში მყოფი პირი განაგრძობს ყველა კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აბსოლუტურ შეზღუდვას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს (მაგალითად, საარჩევნო უფლება), თუმცა განსხვავებულია ამ უფლებებით სარგებლობის ხარისხი. ასე

[3901] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-10.
[3902] იქვე.
[3903] იქვე.

მაგალითად, პატიმარი უზრუნველყოფილია უფლებით შექმნას ოჯახი, თუმცა შეზღუდულია შესაძლებლობაში შეხვდეს ოჯახის წევრებს“[3904]

3.1.2. დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცული სფერო პირები

კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის უფლებით დაცული არიან ქალები და ბავშვები. 2005

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ ძაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში მისაღები დახმარების მომწესრიგებელი ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებისას მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს თავისი უფლებისადმი რაიმე უარყოფითი შედეგის დადგომის გარემოება. [3905]

3.2. საგნობრივად დაცული სფერო

3.2.1. ქორწინების უფლებით საგნობრივად დაცული სფერო

კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო საკმაოდ ფართოა. 2006
აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა ქორწინებასთან ერთად მოიცავს ქორწინების შედეგად წარმოშობილ საოჯახო თანაცხოვრებას და განქორწინებასაც.[3906] თუმცა კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების სფეროდან გამოირიცხება ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის დაცვით რეგისტრირებულ ქორწინებას აღიარებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით „დაცული სიკეთე არ არის პირთა ქორწინების მსგავსი ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. აქ საუბარია ქორწინების სამართლებრივად დადგენილ და აღიარებულ ფორმაზე.”[3907] აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ქორწინება მოექცეს 30-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფეროში, იგი უნდა აღიაროს სახელმწიფომ. ეს კი განსაზღვრულ პროცედურებთან და მასთან დაკავშირებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული პირობების დადგენის შესაძლებლობას. სასამართლომ განაცხადა: „...ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება. ეს, თავისთავად, ნიშნავს კანონმდებ-ლობის მიერ გარკვეული პირობების დაწესებას დაქორწინების მსურველთათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის

[3904] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება, II-10
[3905] საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის N1/3/361 განჩინება, II- 2.
[3906] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-4.
[3907] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II.-6.

არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს".[3908]

კონსტიტუციური ნორმის დაცული სფერო ქორწინებასთან ერთად მოიცავს ქორწინების შედეგად წარმოშობილ საოჯახო თანაცხოვრებას და განქორწინების უფლებასაც.

3.2.2. დედათა და ბავშვთა უფლებებით საგნობრივად დაცული სფერო

2007 კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია დედა-შვილის სამართლებრივი კავშირი, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დედა-შვილის მჭიდრო კავშირის დასაცავად ბავშვის მცირეწლოვნების დროს. მშობიარობის შემდგომი შვებულების უფლება, სწორედ კონსტიტუციური ჩანაწერიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულების შესრულების აუცილებელი წინაპირობაა. იგი არ არის დაკავშირებული მხოლოდ ბავშვის დედის კეთილდღეობასთან და ჯანმრთელობასთან, არამედ აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაცია უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ დასაქმებულის დედის ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, არამედ ბავშვის ინტერესებსაც. ამიტომ მნიშვნელოვანია კონსტიტუციური ჩანაწერის ფარგლებში სახელმწიფოს ვალდებულება ბავშვის უფლებათა პერსპექტივიდანაც შეფასდეს. უფრო მეტიც, ბავშვთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში პრიორიტეტულია მისი ინტერესები და უფლებები. შეძლებისდაგვარად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ რეგულირება იყოს ბავშვების საუკეთესო ინტერესებში. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოიცავს უპირველეს ყოვლისა ბავშვის მოვლის, დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებს, რომლებიც უნდა ეყრდნობოდნენ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყველა სხვა ინტერესზე მნიშვნელოვანია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებიდან ირკვევა, რომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში ექცევა ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში მყოფი ქალისათვის ფულადი დახმარება.[3909]

2008 ამ ეტაპზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს კონსტიტუციური დავა დედის მშობიარობის შემდგომი შვებულების უფლებასთან დაკავშირებით. საქმეში „სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"[3910] სადავოა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 39-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ორსულობისა და მშობიარობის გამო, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო, ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ჯამურ ოდენობას განსაზღვრავს არაუმეტეს 1000 ლარით, ხოლო დამატებითი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა დამსაქმებელის ნებაზეა დამოკიდებული. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება რამდენიმე კონსტიტუციურ დებულებას. მათ შორის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ დედათა და ბავშვთა უფლებებს.

[3908] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, II-6.
[3909] საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის N1/3/361 განჩინება, II-2,3.
[3910] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის კონსტიტუციური სარჩელი ნომერი N1698.

2009 არსებული კანონმდებლობით დასაქმებული ქალი ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულებასა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულების ანაზღაურებად ნაწილს იყენებს 183 ან 200 (ტყუპების შემთხვევაში) კალენდარული დღის განმავლობაში. შრომის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, ასეთი შვებულება სავალდებულო წესით ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ფულადი დახმარების სახით - ჯამურად არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. გარდა ამ დახმარებისა, დამატებითი ანაზღაურება დამსაქმებელისა და დასაქმებულის შეთანხმებაზეა დამოკიდებული. კერძოდ, თუ დამსაქმებელი უარს იტყვის, როგორც ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ისე ბავშვის მოვლის გამო შვეულების ანაზღაურებაზე, დასაქმებულ მშობლებს 183 (126+57) ან 200 (143+57) კალენდარული დღის განმავლობაში, მხოლოდ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება რჩებათ, ჯამურად, არაუმეტეს 1000 ლარისა.

2010 ქალს, მართალია, აქვს უფლება ისარგებლოს მშობლის შვებულებით, თუმცა არსებული რეგულირების პირობებში, როცა მან შეიძლება მიიღოს მხოლოდ ერთჯერადი დახმარება, მაქსიმუმ 1000 ლარის ოდენობით და დამსაქმებელმა უარი უთხრას დამატებით ანაზღაურებაზე, იგი იძულებულია დაუბრუნდეს სამსახურს. კერძო სექტორში დასაქმებული ქალი იძულებული არის, ორსულობისას და მშობიარობის შემდგომ, ოჯახში ახალშობილსა და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებების გამო, არ ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით და გააგრძელოს მუშაობა. ცხადია, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ანაზღაურებას გააჩნია სიმბოლური ხასიათი.

2011 გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის დაბადების პირველ ეტაპზე, ძუძუთი კვების ინტენსივობის სიხშირე, შეუძლებელს ხდის ქალის მიერ მის სამუშაო გრაფიკთან შეთავსებას. ცხადია, დედისა და ბავშვის კავშირის აუცილებლობა მხოლოდ სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფას არ გულისხმობს და იგი ბავშვის დაბადების პირველ თვეებში, მრავალმხრივ ფსიქო-სოციალურ საკითხთან არის დაკავშირებული.

2012 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხზე, მართალია, ჯერ არ უმსჯელია, თუმცა საკითხის მაღალი ხარისხის დასაბუთებიდან და სახელმწიფოს ცალსახა კონსტიტუციური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ პოზიტიურად უნდა იმოქმედოს, თუნდაც კერძო დამსაქმებლის მიმართ. რადგან 30-ე მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტი არის ყველა ქალი, მიუხედავად იმისა, სად არის ის დასაქმებული კერძო თუ საჯარო სექტორში.

2013 ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.[3911] გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში, ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში (ნებისმიერ დედას გააჩნია საზოგადოების მიერ დაცვისა და ზრუნვის უფლება) სასამართლომ ამოიკითხა პოზიტიური ვალდებულება[3912] და განმარტა: ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტიდან არ გამომდინარეობს, რომ მშობიარობასთან

[3911] იხ. მიმართება 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან და ასევე სხვა კონსტიტუციურ ნორმებთან სარჩელში იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის კონსტიტუციური სარჩელი ნომერი N1698.
[3912] Aubel, Der verfassungsrechtliche Mutterschutz, 2003, S. 7; Mohr/Wallrabenstein, Elterliche Sorge als ein Sorgenkind des Bundesverfassungsgerichts, JuRA 2004, 194.

დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ სახელმწიფოს ეკისრება, „საზოგადოება“ თანაბრადაა პასუხისმგებელი, რომელსაც ასევე მიეკუთვნებიან დამსაქმებლები. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელი, დედისა და ბავშვის დაცვის ამოცანის განხორციელებისას, უფლებამოსილია, ვალდებულება მესამე პირებსაც დააკისროს. ამიტომ, მშობიარეთა დაცვის ხარჯების განაწილება ფედერაციას, სახელმწიფო დაზღვევასა და დამსაქმებელს შორის, ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თვალსაზრისით, არ წარმოადგენს სადავოს.[3913] ამასთან ერთად, სასამართლოს აზრით, დედათა დაცვის საზოგადოებრივი ვალდებულება, სცილდება მათი დაცვის მხოლოდ შრომით-სამართლებრივ ფარგლებს.[3914]

2014 სასამართლოს განმარტებით, ანაზღაურების ვალდებულება არ შეიძლება იქნეს მიჩნეული უსაფუძვლოდ მხოლოდ იმის გამო, რომ დედათა დაცვის მოვალეობა ზოგადად არ წარმოადგენს დამსაქმებლის უშუალო პასუხისმგებლობას. მისი აზრით, დედათა დაცვის წესები ნაწილობრივ განეკუთვნება დასაქმებულთა დაცვის სამართლებრივ სფეროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე შეეხება დასაქმებულთა, კერძოდ კი, ქალების დაცვას იმ საფრთხეებისგან, რომლებიც ემუქრება მათ ჯანმრთელობას და რომლებიც სწორედ შესაბამისი სამუშაოს შესრულებასთან არის დაკავშირებული. დასაქმებულთა დაცვის უფლება წარმოადგენს „თანამედროვე შრომის სამართლის საფუძველს“, რომელიც საწარმოთა სოციალური ვალდებულებიდან და დამსაქმებლის მიერ დასაქმებულზე ზრუნვის ვალდებულებიდან გამომდინარეობს. ბავშვის დაბადებამდე და დაბადების შემდეგ დედა ვერ მუშაობს მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საფრთხეების გამო. ეს საფრთხეები, რომელთაგან დედა და ბავშვი დაცული უნდა იქნენ, უშუალოდ სამსახურეობრივ ურთიერთობებს უკავშირდება. მეორე მხრივ, იმისთვის, რომ დასაქმებულმა იარსებოს, იგი იძულებულია, სრულად გამოიყენოს თავისი შრომისუნარიანობა. ასეთ პირობებში კი, ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი კომპენსაციაა კანონით უზრუნველყოფილი. შესაბამისად, დედათა დაცვის ხარჯები მოქმედი წესებით ნაწილობრივ ეკისრება დამსაქმებელს.[3915]

2015 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი.[3916] საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, გასაჩივრებული დედის უფლებათა დაცვის კანონით დადგენილი დაცვის ზოგადი მიზანია, დააბალანსოს კონფლიქტი ქალების, როგორც დედების ამოცანებსა და მათ პროფესიულ საქმიანობას შორის, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ მხრივ, დედობის დაცვის შესახებ კანონი ნაწილობრივ ახორციელებს ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურ მოთხოვნას[3917]

[3913] BVerfGE 18.11.2003, 1 BvR 302/96, p. 107.
[3914] იქვე, p. 108.
[3915] იქვე, p. 109.
[3916] მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „ყოველ დედას აქვს უფლება, საზოგადოებისაგან მოითხოვოს დაცვა და მზრუნველობა“.
[3917] BVerfGE 32, 273 - Mutterschutz I, 25.01. 1972 - 1 BvL 3/70.

4. ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა

2016

როგორც უკვე აღინიშნა კონსტიტუციის 30-ე მუხლს აქვს სახელმწიფოს მიერ ორგვარი ფუნქცია. ნეგატიური და პოზიტიური. ჩარევა ამ მუხლით დაცულ სფეროში, შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს ორგვარად, სახელმწიფოს ისეთი მოქმედებით, რომელიც ზღუდავს დაცული სიკეთით სარგებლობას, ან უმოქმედობით, მაშინ როცა მას ევალებოდა ამ უფლების გარანტირებისათვის მოქმედება.

2017

ქორწინების უფლებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს ქორწინების მსურველ პირზე იძულებით,[3918] ასევე სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული საკანონმდებლო ბარიერის დაწესების გზით. მაგალითად, საქმეში „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასეთ ბარიერს წარმოადგენდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა. მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ იმისათვის, რომ დაერეგისტრირებინათ ქორწინება, რითაც მოახდენდნენ საკუთარი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციას, სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად, მოიპოვეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა.[3919]“ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფორმულირებით[3920] მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული და ცალკე საბუთად გამოჰყოფდა სააგენტოს თანხმობას. სამოქალაქო რეესტრის ამგვარი თანხმობის წარმოდგენა არ იყო აუცილებელი, როდესაც ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდებოდა საქართველოს მოქალაქეებს შორის.[3921] აღნიშნული დოკუმენტის წარუდგენლობა გახდებოდა ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი მხოლოდ შერეული ქორწინებისას.[3922] დაქორწინების მსურველ მხარეებს, რომლებიც თანაბარ პირობებში და ნებაყოფლობით გამოთქვამდნენ ქორწინების შესახებ თანხმობას, ერთმეოდათ დაქორწინების შესაძლებლობა, თუკი არ წარადგენდნენ სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარის მიერ გაცემულ თანხმობას.[3923]

2018

სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ ხდებოდა სახელმწიფოს ჩარევა ქორწინების უფლებაში. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირობის დაწესება ქორწინების უფლების შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ქორწინების უფლება გულისხმობს საოჯახო ურთიერთობის სახელმწიფოს მიერ აღიარებას. თუმცა, ქორწინების რეგულირების შესაძლებლობისას, დაწესებული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელო-ვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვის, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს. მაშასადამე, სასამართლომ განაცხადა: „...ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება. ეს, თავისთავად, ნიშნავს კანონმდებლობის მიერ გარკვეული პირობების დაწესებას დაქორწინების მსურველთათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები უნდა

[3918] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-2,5.
[3919] სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა სხვა საბუთებისაგან დამოუკიდებელი დოკუმენტია.
[3920] 2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია.
[3921] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-4.
[3922] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-9.
[3923] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-12.

ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს“.[3924]

ჩარევის ფორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა იყო სამოქალაქო რეესტრის თანხმობის მოთხოვნა.

5. ჩარევის შემოწმება/კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება

2019 სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირობის დაწესება ქორწინების უფლების შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ქორწინების უფლება გულისხმობს საოჯახო ურთიერთობის სახელმწიფოს მიერ აღიარებას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინების რეგულირების შესაძლებლობისას, დაწესებული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვის, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს. საქმეში „საქართველოს მოქალაქე - სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ განაცხადა: „...ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება. ეს, თავისთავად, ნიშნავს კანონმდებლობის მიერ გარკვეული პირობების დაწესებას დაქორწინების მსურველთათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს“.[3925]

2020 საქმეში „საქართველოს მოქალაქე - სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დადგა აღნიშნული შეზღუდვით მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრის წინაშე. ამისათვის მას უნდა შეეფასებინა სამოქალაქო რეესტრის თანხმობის დანიშნულება და ის, თუ ქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისათვის, რა მნიშვნელოვან ინფორმაციულ დატვირთვას ატარებდა აღნიშნული თანხმობა.

2021 საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ თანხმობა იყო საქორწინოდ აუცილებელი სხვა დოკუმენტებისაგან დამოუკიდებელი საბუთი. მის მისაღებად არ ხდებოდა რაიმე განსხვავებული ინფორმაციის წარდგენა და მას, სამოქალაქო რეესტრის თანხმობას, არ ჰქონდა რაიმე დამოუკიდებელი დანიშნულება და მიზანი. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მისი გაცემისას არ იკვლევდა და არ ადგენდა რაიმე ახალ გარემოებას.[3926] ასეთ პირობებში ეს დოკუმენტი იყო დამატებითი ბარიერი, ვინაიდან დაქორწინების მსურველ პირებს უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები

[3924] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-8.
[3925] იქვე.
[3926] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-12.

და ის საბუთები, რომლებიც კანონმდებლობითაა აუცილებელი ქორწინების რეგისტრაციისათვის.

2022 თუმცა არსებულ დოკუმენტებთან ერთად, ქორწინების რეგისტრაციისათვის წყვილებისგან ითხოვდნენ დამატებით თანხმობას, მხოლოდ იმის გამო, რომ დაქორწინების თუნდაც ერთ-ერთი მსურველი უცხოელი იყო.[3927]

2023 სამოქალაქო რეესტრი უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნად აცხადებდა სამომავალოდ ქორწინების მსურველი უცხოელის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოთხოვნის შესაძლებლობას. თუმცა, ვინაიდან ქორწინების რეგისტრაცია და საქართველოს მოქალაქეობის მიღება, ორი სრულიად განსხვავებული, ერთმანეთთან დამოუკიდებელი პროცედურა იყო, სასამართლომ იგი ლეგიტიმურ მიზნად არ მიიჩნია.

2024 საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მიუხედავად ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებული მსჯელობისა, მოპასუხემ სასამართლოს ვერ დაანახა დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებული ის სიკეთე, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურებოდა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა“.[3928] შესაბამისად, სასამართლომ სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ სცნო. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 30 -ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას ექნება ადგილი, თუ შეზღუდვა არ ისახავს მიზნად დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებულ იმ სიკეთეს, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურება გათვალისწინებული შეზღუდვა.

6. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკა ქორწინების უფლებით და დედათა და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით

6.1. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ზოგადი მიდგომა

2025 მნიშვნელოვანია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება ერთნაირსქესიანთა ქორწინების თაობაზე.[3929] სასამართლომ საფრანგეთის მოქალაქეების სარჩელთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქორწინება, რომელსაც ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი იცავს, არ გულისხმობს ერთნაირ-სქესიანთა ქორწინებას. კონვენცია, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებას ცნობს ქორწინებად. მან აღნიშნა, რომ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები არ არიან ვალდე-ბულნი ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრება ტრადიციულ ქორწინებას გაუთანაბრონ. 2010 წელს საქმეში Schalk & Kopf v. Austria[3930] განავითარა თავისი პრაქტიკა და აღნიშნა, რომ „ერთი და იგივე სქესის წყვილებს ისევე შეუძლიათ სტაბილურ ურთიერთობაში შევიდნენ, როგორც საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს. შესაბამისად, ისინი არიან

[3927] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-13.
[3928] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება, I-14.
[3929] AFFAIRE CHAPIN ET CHARPENTIER c. FRANCE (AZ 40183/07) 16.07.2016.
[3930] Schalk and Kopf v Austria , Application no. 30141/04, 24.06.2010.

არსებითად მსგავს სიტუაციაში საწინააღმდეგო სქესის მქონე წყვილებთან მიმართებით, რაც გულისხმობს მათ საჭიროებას მათი ურთიერთობები სამართლებრივად იქნეს აღიარებული და დაცული". აღნიშნული შეფასების კიდევ ერთ დემონსტრაციას წარმოადგენს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Vallianatos and Others v. Greece საქმეზე, სადაც სასამართლო ერთმნიშვნელოვნად კრიტიკულია სახელმწიფოებში ლგბტ პირებისათვის „რეგისტრირებული პარტნიორობის" არარსებობის ხარვეზის მიმართ. არსებითად საინტერესოა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილება საქმეზე Oliari and others v. Italy, სადაც სახელმწიფოში ერთი სქესის ადამიანების ურთიერთობების სამართლებრივად აღმჭურველი მექანიზმის არარსებობის გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა.

6.2. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 2002 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება[3931]

2026 გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული ნორმათკონტროლის საფუძვლით, წარდგინებით მიმართა საქსონიისა და თურინგენის მიწის მთავრობებმა. მათი აზრით, 2001 წლის 16 თებერვლის კანონი გერმანიის ფედერაციის კანონი „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ" არ შეესაბამებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს (ოჯახის დაცვა) და მე-3 მუხლს (თანასწორობა) და ამიტომ ის არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადებულიყო. მათი აზრით, რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ახალი ინსტიტუტის შემოღება და მისთვის შესაბამისი იურიდიული ფორმის მინიჭება ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ ქორწინების უფლებას და აკნინებდა ნორმირებული ქორწინების ინსტიტუტის გარანტიას.

2027 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასმართლოს გადაწვეტილებით[3932]":

1. ერთი სქესის წარმომადგენელთათვის რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღება არ ეწინააღმდეგება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით ქორწინების ინსტიტუტის განსაკუთრებული დაცვა ხელს არ უშლის კანონმდებელს, გაითვალისწინოს ერთი სქესის წარმომადგენელ წყვილთათვის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მსგავსია ან მიახლოებულია ქორწინებასთან. ქორწინების ინსტიტუტს არ ემუქრება შეზღუდვისა და შევიწროების საფრთხე ისეთი ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც მორგებულია იმ ადამიანებზე, ვისაც არ შეუძლიათ დაქორწინება.

2. გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს (ზოგადი თანასწორობის უფლება) არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სხვადასხვა სქესის წარმომადგენელი

[3931] BvF 1/01, 1 BvF 2/01, 17.07.2002.

[3932] იხ. გადაწვეტილება ქართულ ენაზე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურგენ შვაბე, თბილისი 2011. გვ. 144 დან.

წყვილებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში, არ არის ხელმისაწვდომი რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის სამართლებრივი ინსტიტუტი.

2028 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან შემდეგნაირად დაასაბუთა:

2029 ა) გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, როგორც ძირითადი უფლება, იცავს ადამიანის თავისუფლებას, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია იქორწინოს თავისივე ამორჩეულ პარტნიორზე. გასაჩივრებული კანონი კი არ ეხება ტრადიციულ ქორწინებას

2030 ბ) კანონმდებელს, რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის შემოღებით, არ დაურღვევია კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნა ქორწინების ინსტიტუტის გათვალისწინებასა და დაცვასთან დაკავშირებით, რადგან კანონის მოწესრიგების საგანი არ არის ქორწინება, არამედ "რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის სამართლებრივი ინსტიტუტი".

2031 ქორწინების არსი, რომელიც ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ძირითადი კანონის მეშვეობით, ყველანაირი ცვლილებების მიუხედავად, მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა ხანგრძლივი თანაცხოვრების მიზნით, რომელიც ეფუძნება თავისუფალ ნებას, რომელშიც ასევე მონაწილეობს სახელმწიფო[3933] და სადაც მამაკაცი და ქალი ერთიანდებიან, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები.[3934] მათ თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება თავიანთი თანაცხოვრების ორგანიზებასთან დაკავშირებით.[3935]

2032 ზემოთ აღნიშნული დაცვა არ ვრცელდება რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ინსტიტუტზე. იგი ქორწინებისაგან განსხვავდება პარტნიორთა სქესით. რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობა არ არის ქორწინება გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შეცნობით. კანონმდებელი ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა[3936] და მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების[3937] მოთხოვნებს, როდესაც იგი ზემოთ აღნიშნულ პირებს აძლევს მათი პიროვნების უკეთესი განვითარების შესაძლებლობას და ამცირებს მათ დისკრიმინაციას.

2033 კანონმდებლის მიერ გამოცემული „კანონი მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ" არ ეხება ქორწინებას, როგორც ინსტიტუტს, მისი კონსტიტუციურ-სამართ-ლებრივი სტრუქტურული პრინციპების კუთხით. არ იცვლება მისი სამართლებრივი ფუნდამენტი, შენარჩუნებულია და ძალაშია ყველა ნორმა, რომელიც ქორწინებას

[3933] იხ: BVerfGE 10, 59, [66]; 29, 166, [176]; 62, 323, [330]).
[3934] იხ.: BVerfGE 37, 217, [249]; 103, 89, [101]).
[3935] იხ.: BVerfGE 39, 169, [183]; 48, 327, [338]; 66, 84, [94].
[3936] ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას ან ზნეობრივ ნორმებს".
[3937] მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით: (1) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. (3) არავის შეიძლება მიადგეს ზიანი ან მიენიჭოს უპირატესობა მისი სქესის, წარმომავლობის, რასის, ენის, დაბადების ადგილის ან წარმოშობის, რწმენის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების გამო. არავის შეიძლება მიადგეს ზიანი მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

ანიჭებს სამართლებრივ ჩარჩოს და ითვალისწინებს მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს. ინსტიტუტის გარანტიიდან არ გამომდინარეობს ერთი სქესის წყვილებისათვის სამართლებრივად მსგავსი პარტნიორობის შემოღების აკრძალვა, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ ქორწინებას.

2034 მსგავსი „სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ კანონი არც ზიანს აყენებს ქორწინებას და არც სხვაგვარად ზღუდავს მას. ის განსაკუთრებული დაცვა, რომელსაც ქორწინების მიმართ ითვალისწინებს გერმანიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, კრძალავს ქორწინების დისკრიმინაციას თანაცხოვრების სხვა ფორმებთან შედარებით.

2035 (1) ასეთი დისკრიმინაცია კი არ ხორციელდება იმით, რომ „მსგავსი სქესის წარმომადგენელთა თანაცხოვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის: ცხოვრებისეული პარტნიორობის შესახებ“ კანონი ერთი სქესის წყვილებს აძლევს შესაძლებლობას, იცხოვრონ რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ფარგლებში, სადაც მათი უფლება-მოვალეობები მსგავსია ქორწინების ფარგლებში განსაზღვრული უფლება-მოვალეობებისა. თუმცა, კანონმდებელმა რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის ახალი ინსტიტუტის სამართლებრივი შედეგები ფაქტობრივად გადმოიწერა ქორწინებისთვის გათვალისწინებული დებულებებიდან, მაგრამ ამით არ ხორციელდება ქორწინებაში მყოფი მეუღლეების დისკრიმინაცია. ქორწინების ინსტიტუტს არ ემუქრება შეზღუდვისა და შევიწროების საფრთხე ისეთი ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც მორგებულია იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ ქორწინება...

2036 კანონმდებელს, რეგისტრირებული ცხოვრებისეული პარტნიორობის შემოღებით, არც ქორწინების ხელშეწყობის მოვალეობა დაურღვევია. კანონი ქორწინებას არ უზღუდავს აქამდე არსებულ ხელშეწყობას, არამედ იგი მხოლოდ სამართლებრივ დაცვას უქვემდებარებს თანაცხოვრების სხვა ფორმას და მასთან მიმართებით ითვალისწინებს უფლება-მოვალეობებს.

6.3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა[3938]

2037 გადაწყვეტილების მიღებისათვის, წინასწარი რეკომენდაციების მიზნით, დანიის უზენაესმა სასამართლომ Hertz-ის საქმეზე (C-179/88) მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU-ს).

2038 საქმის ფაქტობრივი გარემოებები ასეთია: ქალბატონი ჰერცი მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე Aldi Marked K/S-თვის მოლარედ და გამყიდველად. ის დაინიშნა 1982 წლის 15 ივლისს, მან შვილი გააჩინა 1983 წლის ივნისში. გართულებული მშობიარობის შემდეგ, ავადმყოფობის გამო, დამსაქმებელთან შეთანხმებით, დასაქმებული იმყოფებოდა შრომისუუნარობის შვებულებაში. დეკრეტული შვებულების მთლიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ (რომელიც დანიის კანონმდებლობით გრძელდება ბავშვის

[3938] იხ. დეტალური ანალიზი გასტაშვილი, ქალის შრომითი უფლებები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკაში და ქართული გამოცდილება (ორსულ, ახალნამშობიარებ და მეძუძურ მუშაკთა უფლებების შესახებ) გვ. 105 დან. გამოცემაში: ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი. თბილისი 2019.

დაბადებიდან 24 კვირის განმავლობაში) დამსაქმებელმა გააგრძელა შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან 1983 წლის მიწურულს. 1984 წლის ივნისამდე დასაქმებულს არ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, მაგრამ 1984 წლის ივნისსა და 1985 წლის ივნისს შორის პერიოდში, ის ავად გახდა და იმყოფებოდა შრომისუუნარობის შვებულებაში (ავადმყოფობის გამო) 100 სამუშაო დღის მანძილზე.

2039 ქ-ნი ჰერცის ავადმყოფობა უკავშირდებოდა ორსულობისა და მშობიარობის შედეგებს. დამსაქმებელმა 1985 წლის 27 ივნისს წერილობითი ფორმით გააფრთხილა დასაქმებული გათავისუფლების თაობაზე ოთხთვიანი გაფრთხილების ვადის დაცვით. დამსაქმებელმა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად დაასახელა დასაქმებულის განგრძობადად სამსახურში არყოფნა. ეროვნულ დონეზე სასამართლო დავისას დანიის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, მიემართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსათვის შემდეგი შეკითხვებით: ა) 76/207 დირექტივის მე-5 (1) მუხლი და მე-2 (1) მუხლი გულისხმობს თუ არა გათავისუფლებას სამუშაოზე არყოფნის საფუძვლით დასაქმებულის ორსულობის ან აქედან გამომდინარე ავადმყოფობის გამო? ბ) თუკი ზემოხსენებულ შეკითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ ამგვარი საფუძვლით სამუშაოდან გათავისუფლების საწინააღმდეგოდ არსებობს რაიმე დაცვა, რომელიც დროში შეუზღუდავია?

2040 CJEU-ს შეფასებით, ქალი-დასაქმებულის გათავისუფლება მისი ორსულობის საფუძვლით წარმოქმნის პირდაპირ დისკრიმინაციას სქესის ნიშნით. მეორე მხრივ, დასაქმებულის გათავისუფლება შრომისუუნარობის საფუძვლით, განმეორებადი შვებულებების გამო, არ წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას სქესის ნიშნით, რამეთუ ასეთი შვებულებები, ავადმყოფობის გამო, შეიძლება წარმოადგენდეს კაცის გათავისუფლების მიზეზსაც იმავე ვითარებაში. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა ვლინდება დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ, არ არსებობს მიზეზი, განასხვავო ორსულობის ან მშობიარობის გამო ავადმყოფობა სხვა ტიპის ავადმყოფობებისაგან.

2041 სასამართლომ აღნიშნა, რომ მამაკაცი და ქალი დასაქმებულები თანასწორად არიან ავადმყოფობის რისკის წინაშე. თუმცა ზოგიერთი ავადმყოფობა სპეციფიკურია ერთი თუ მეორე სქესისათვის. აქ მნიშვნელოვანი საკითხია - ქალის ავადმყოფობის გამო სამსახურში არყოფნის საფუძვლით გათავისუფლება იგივენაირად შეფასდება, როგორც კაცის შემთხვევაში? თუ კი, მაშინ პირდაპირ დისკრიმინაციას სქესის ნიშნით ადგილი არ აქვს. ამდენად, 76/207 დირექტივის მე-5 (1) მუხლი, მე-2 (1) მუხლთან ერთად, არ გამორიცხავს სამუშაოდან გათავისუფლებას ქალი-მუშაკის გამოუცხადებლობის გამო ავადმყოფობის მიზეზით, რომელიც დამახასიათებელია ორსულობისა და მშობიარობისთვის.

2042 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შრომითი ურთიერთობა ქალ და მამაკაც დასაქმებულებთან თანასწორი მოპყრობის პრინციპს ეფუძნება, რაც დასაქმებულთა შრომითი პირობების, სამუშაო გარემოსა და სამსახურთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების თანასწორ საწყისებზე დაფუძნებას გულისხმობს. CJEU-ის არაერთ საქმეში ასახულია დასკვნა, რომელიც ეხება ქალი დასაქმებულის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, როდესაც მას ორსულობის გამო ან მეძუძურობის პერიოდში გარკვეული დაბრკოლებები ხვდება დამსაქმებლის მხრიდან, რაც ცალსახად

ადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას სქესის ნიშნით, რადგან ორსულობა და მეძუძურობა ქალისათვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური მდგომარეობაა და ამ საფუძვლით მისდამი განსხვავებული დამოკიდებულების გამოვლენა, სწორედ დისკრიმინაციულ მოპყრობას გამოხატავს.[3939]

2043 შესაბამისად, სასამართლოს უნდა დაედგინა, რამდენად იყო მისი ავადმყოფობა დაკავ-შირებული დედობის ბიოლოგიურ ფუნქციასთან. ასეთის დადასტურების შემთხვევაში, დამსაქმებელს აქვს გარკვეული თმენის ვალდებულება, თუმცა იმ შემთხვევაში, როცა მისი ავადმყოფობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეები არ არის კავშირში ბავშვის გაჩენასთან, იგი შრომით სამართლებრივ ურთიერობებში უთანაბრდება მამაკაცს.

ლიტერატურა

გასიტაშვილი, ქალის შრომითი უფლებები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკაში და ქართული გამოცდილება (ორსულ, ახალნამშობიარებ და მეძუძურ მუშაკთა უფლებების შესახებ). გამოცემაში: ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი, თბილისი 2019; კობახიძე, დედათა ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოს შრომის სამართალში. კორკელია. კ. (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული. თბილისი, 2011; საკანელაშვილი/ ჩიხლაძე, დეტალურად „იძულებითი ქორწინება - კანონმდებლობა და პრაქტიკა“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კვლევის ხელმძღვანელი: ქართველიშვილი, თბილისი 2020; ტუღუში/ ბურჯანაძე/ მშვენიერაძე/ გოცირიძე/ მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2013; შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი 2011; Aubel, Der verfassungsrechtliche Mutterschutz, 2003; Badura,: Ehe und Familie stehen unter dem besonderen Schutz der staatlichen Ordnung (Art. 6 Abs. 1 GG), in: Bitburger Gespräche, Jb. 2001; Badura, in: Maunz/Dürig, Grundgesetz Kommentar, 53. Auflage 2009, Rn 1-193; Kingreen, Thorsten: Die Verfassungsrechtliche Stellung der nichtehelichen Lebensgemeinschaft im Spannungsfeld zwischen Freiheits- und Gleichheitsrechten, 1995; Mohr/Wallrabenstein, Elterliche Sorge als ein Sorgenkind des Bundesverfassungsgerichts, JuRA 2004.

[3939] იხ. გასტაშვილი, ქალის შრომითი უფლებები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკაში და ქართული გამოცდილება (ორსულ, ახალნამშობიარებ და მეძუძურ მუშაკთა უფლებების შესახებ) გვ. 105 დან.

მუხლი 31. საპროცესო უფლებები

1. *ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.*

2. *ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.*

3. *დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.*

4. *ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.*

5. *ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.*

6. *არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.*

7. *დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.*

8. *არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.*

9. *არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.*

10. *კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.*

11. *არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.*

შინაარსი

მუხლი 31. საპროცესო უფლებები 781

შინაარსი 782

1. საპროცესო უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 783

1.1. საპროცესო უფლებების ზოგადი მნიშვნელობა 783

1.2. საპროცესო უფლებების დაცული სფერო 785

1.2.1. საპროცესო უფლებების პერსონალური დაცული სფერო 785

1.2.2. საპროცესო უფლებების საგნობრივი დაცული სფერო 786

1.2.2.1. უფლება სამართლიან სასამართლოზე 786

1.2.2.2. უფლება კანონისმიერ სასამართლოზე 802

1.2.2.3. დაცვის უფლება 803

1.2.2.4. ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა 808

1.2.2.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდისა და უტყუარობის სტანდარტები, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა 809

1.2.2.6. განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა 813

1.2.2.7. კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვა 817

1.2.2.8. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები 824

1.2.2.9. თვითინკრიმინაციისაგან დაცვა 826

2. ჩარევა საპროცესო უფლებებში 828

2.1. საპროცესო უფლებებში ჩარევის დასაშვებობა 828

2.2. საპროცესო უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება და მაგალითები 832

3. საპროცესო უფლებებში ჩარევის შემოწმება 836

3.1. უფლება სამართლიან სასამართლოზე - ჩარევის შემოწმება 836

3.2. უფლება კანონისმიერ სასამართლოზე - ჩარევის შემოწმება 857

3.3. დაცვის უფლება - ჩარევის შემოწმება 860

3.4. ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა - ჩარევის შემოწმება 867

3.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდისა და უტყუარობის სტანდარტები, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა - ჩარევის შემოწმება 870

3.6. განმეორებით მსჯავრდების აკრძალვა - ჩარევის შემოწმება 874

3.7. კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვა - ჩარევის შემოწმება 876
3.8. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები - ჩარევის შემოწმება 883
3.9. თვითინკრიმინაციისაგან დაცვა - ჩარევის შემოწმება..... 886
ლიტერატურა..... 888

1. საპროცესო უფლებების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. საპროცესო უფლებების ზოგადი მნიშვნელობა

ზოგადად საპროცესო უფლებებს და განსაკუთრებით - სამართლიანი სასამართლოს 2044
უფლებას უდიდესი დატვირთვა აქვთ ადამიანის მატერიალური უფლებებისა და სუბიექტური სამართლებრივი პოზიციების დაცვისათვის. ინდივიდს, როგორც ავტონომიურ სუბიექტს, უნდა შეეძლოს თავისი ინტერესების ქმედითი სამართლებრივი დაცვა.[3940] ეს მომეტებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ინდივიდი სახელმწიფო ორგანოთა თვითნებობის წინაშე აღმოჩნდება და სამართლიანობის უკანასკნელი თავშესაფრის როლის შესრულება სასამართლს ეკისრება.[3941] სწორედ მართლმსაჯულებამ უნდა მოახდინოს სამართლის სინამდვილედ ტრანსფორმაცია კონკრეტულ შემთხვევებში და შექმნას სამართლიანობის აღდგენის არაორაზროვანი საფუძველი, როდესაც ის დარღვეულია.[3942]

2045
თეორიასა და პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, სასამართლო დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტია,[3943] რომელიც უზრუნველყოფს „კანონების სახელმწიფოს“ სამართლებრივ სახელმწიფოდ

[3940] შეადარე მაგ.: Mayer, (Bearb.), Kommentar zum Art. 6 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 1.

[3941] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 407.

[3942] შეადარე: Bähr, Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze, Kassel, 1864, 192.

[3943] Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (249 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 133; Hofmann, (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, 2011, Rn. 60; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 407 f.; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, 467 (469); Papier, Justizgewähranspruch, in: Isensee, Josef/Kirchof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VIII, Grundrechte: Wirtschaft, Verfahren, Gleichheit, Dritte, völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, 2010, § 170, 491 (495); Schenke, Justizgewähr und Grundrechtsschutz, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg 2009, § 78, 923 (924); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (579 ff.); Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz als Kernstück des Rechtsstaatsprinzips nach dem Grundgesetz, in: Neue Juristische Wochenschrift, 40 (1994), 2569 (2571); Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Rechtsstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, 2006, Rn. 211; Sobota K., Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, 1997, 188 ff.; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 322; Stern, Staatsrecht I, 838 ff.; BVerfGE 93, 99 (107); 101, 275 (294 f.); 107, 395 (401); 108, 341 (347).

გარდაქმნას.[3944] სახელმწიფო ხელისუფლების ქმედითი სასამართლო კონტროლი აუცილებელია სახელმწიფოს მოქმედების განჭვრეტადობისა და ინდივიდის უფლებების დაცვისათვის.[3945] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში სტაბილურად უსვამს ხაზს სასამართლო დაცვაზე უფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას სამართლებრივი სახელმწიფოსათვის და ამავდროულად, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.[3946] უფლებათა პროცესუალური დაცვის გარანტიების გარეშე აზრი ეკარგება სამართლის მეშვეობით სახელმწიფოს ნებისმიერ შეზღუდვას.[3947]

2046 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მართალია, არ ითვალისწინებდა საპროცესო უფლებათა ისეთ ფართო სპექტრს, როგორიც დღეისათვის მოქმედ კონსტიტუციაშია, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე ნორმა. მაგალითად, მე-20 მუხლი კრძალავდა ადამიანის დასჯას, გარდა დისციპლინურისა, თუ ეს არ განხორციელდებოდა სასამართლო წესით. 21-ე მუხლი განამტკიცებდა უფლებას კანონისმიერ სასამართლოზე - „ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით“. 78-ე მუხლი ითვალისწინებდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებას, ხოლო მე-80 მუხლი - სასამართლოს სხდომების საჯაროობას.

2047 საპროცესო უფლებები აღიარებულია საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ითვალისწინებს უფლებებს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე,[3948] სისხლის სამართლის საქმის გონივრულ ვადაში სამართლიან და საქვეყნო განხილვაზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ,[3949] უდანაშაულობის პრეზუმციასა და დაცვის უფლებას,[3950] ასევე, კანონის გარეშე პასუხიმგებლობისა და უკუძალის აკრძალვის პრინციპებს.[3951]

2048 ფართოა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით უზრუნველყოფილი საპროცესო უფლებების კატალოგი. პაქტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს: თანასწორობას სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე; უფლებას კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიან და საჯარო განხილვაზე;[3952] უდანაშაულობის პრეზუმფციას;[3953] გარანტიებს სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას (დაცვის უფლება, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გასამართლება, თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება, თვითინკრიმინაციისაგან დაცვა,

---

[3944] Gärditz, Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl Heinrich/Höfling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin seit 2000, Rn. 10.

[3945] Sommermann, GG, Art. 20, Rn. 322; BVerfGE 107, 395 (401).

[3946] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის N2/5/879 გადაწყვეტილება საქმეზე „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის N1/3/1377 გადაწყვეტილება საქმეზე „დიმიტრი ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3; N1/4/1464 გადაწყვეტილება, II-1; საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის N1/5/1472 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

[3947] შეადარე: N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-1.

[3948] იქვე, მუხლი 8.

[3949] იქვე, მუხლი 10.

[3950] იქვე, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

[3951] იქვე, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

[3952] იქვე, პირველი პუნქტი.

[3953] იქვე, მე-2 პუნქტი.

განაჩენის ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების უფლება, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვა და ა.შ.).[3954] პაქტის მე-15 მუხლით გარანტირებულია კანონის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვის პრინციპები.[3955] აქვეა დათქმა ამ პრინციპების არგავრცელებისათვის იმ ქმედებებზე, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩადენის მომენტში წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს.[3956]

2049 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული საპროცესო უფლებების განმარტებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ამ საკითხებზე ყურადღებას ქვემოთ, ცალკეული საპროცესო უფლებების კონტექსტში, გავამახვილებთ.

1.2. საპროცესო უფლებების დაცული სფერო

1.2.1. საპროცესო უფლებების პერსონალური დაცული სფერო

2050 საპროცესო უფლებებით დაცული ფიზიკური პირების წრე არ არის შეზღუდული მხოლოდ მოქალაქეებით და ისინი ნებისმიერ ფიზიკურ პირზე ვრცელდება.[3957] ამ თვალსაზრისით, საპროცესო უფლებები ადამიანის უფლებათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ.[3958]

2051 პერსონალური დაცული სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური პირებით. საპროცესო უფლებებით, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება ისარგებლონ კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმაც.[3959] ცხადია, სისხლის სამართალწარ-მოებასთან დაკავშირებული გარანტიები მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება, როდესაც მათ წინააღმდეგ ამგვარი წარმოება მიმდინარეობს. ამასთან, იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას, რადგანაც ახლობელთა წრე მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება ჰყავდეს.

2052 ის არგუმენტები, რაც მიმართულია საჯარო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი უფლებების სუბიექტებად აღიარების წინააღმდეგ, არ ვრცელდება საპროცესო

[3954] დეტალურად იხ.: მე-3 - მე-7 პუნქტები.

[3955] იქვე, პირველი პუნქტი.

[3956] მე-2 პუნქტი.

[3957] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21; Degenhart, (Bearb.), Kommentar zum Art.103 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 9; Esser R., Kommentar zum Art. 6, EMRK, in: Löwe-Rosenberg. Die Strafprozessordnung und das Gerichtsverfassungsgesetz: StPO, Band 12: EMRK; IPBPR, Rn. 23; Ipsen, Grundrechte, Rn. 875, 921; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 411; Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 48; Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 6; Sachs, (Bearb.), Kommentar zum Art. 19, in: Sachs, (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 114; Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 19 Abs. 4 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, 2006, Rn. 82.

[3958] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 897, 919, 932; BVerfGE 18, 441 (447); 71, 108 (114).

[3959] შეადარე მაგ.: Esser, EMRK, Art. 6, Rn. 23; Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 6; Degenhart, GG, Art. 103, Rn. 9; Ipsen, Grundrechte, Rn. 876, 919, 921; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 411; Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 48; Sachs, GG, Art. 19, Rn. 113; BVerfGE 71, 108 (114).

უფლებებზე. სასამართლო პროცესის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები, რათა მოხერხდეს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნაა. ითვლება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც სასამართლო პროცესის მხარე, იმყოფება ე.წ. „ძირითადი უფლებებისათვის ტიპურ საფრთხის მდგომარეობაში“ და ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის უნდა სარგებლობდეს შესაბამისი საპროცესო გარანტიებით.[3960] მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება აქვს ნებისმიერს, რომელიც მონაწილეობს საქმეში მხარის ან სხვა მსგავსი სტატუსით, ან მასზე სამართლებრივ ზეგავლენას ახდენს პროცესი.[3961]

1.2.2. საპროცესო უფლებების საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. უფლება სამართლიან სასამართლოზე

2053 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“ ამ ნორმით, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გარანტირებულია უფლება სამართლიან სასამართლოზე. ამ უფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებების ეფექტიანი რეალიზაციისა და დაცვისათვის გაუმართლებელი ჩარევებისაგან,[3962] ასევე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.[3963] საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთებით გამოჰყოფს სამართლიან სასამართლოზე უფლების კავშირს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. ის არსებითად განსაზღვრავს ამ კონსტიტუციური პრინციპის არსს.[3964]

2054 უფლება სამართლიან სასამართლოზე ემსახურება ხელყოფილი მატერიალური უფლებების დაცვას ან მათი დარღვევის პრევენციას.[3965] აქ იგულისხმება არა მხოლოდ ძირითადი უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვა, არამედ სხვა უფლებებისაც, რომლებიც კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის.[3966] სამართლიანი

[3960] შეადარე მაგ.: Degenhart C. (Bearb.), Kommentar zum Art.101 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 4; Degenhart, GG, Art. 103, Rn. 9; Ipsen, Grundrechte, Rn. 898, 912.

[3961] მაგ.: BVerfGE 65, 227 (233); 75, 201 (215).

[3962] N1/1/403,427 გადაწყვეტილება, II-1.

[3963] საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-2; N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, II-64.

[3964] N3/1/466 გადაწყვეტილება, II-14.

[3965] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (474); Schmidt-Aßmann, Art. 19 VI GG als Teil des Rechtsstaatsprinzips, in: Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht, 1 (1983), 1 (3).

[3966] მაგ.: Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (484); Sachs, GG, Art. 19, Rn. 127; Schenke, Justizgewähr, 923 (947); Schmidt-Aßmann, (Bearb.), Kommentar zum Art. 19 III GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958, Rn. 8.

Schulze-Fielitz, GG, Art. 19 IV, Rn. 61; BVerfGE 78, 214 (226); 83, 182 (195).

სასამართლოს უფლების ამ თავისებურებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ამ უფლების ინსტრუმენტულ ხასიათზე.[3967]

2055 კონსტიტუციის ლაკონური ფორმულირება დეტალურად არ ასახავს სამართლიან სასამართლოზე უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნებსა თუ აკრძალვებს, თუმცა მათი დაკონკრეტება საკანონმდებლო და სასამართლო საქმიანობის საგანია.[3968] ამ პროცესში, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პარალელურად, მხედველობაში მიიღება კონსტიტუციის სხვა ნორმებიც. უფლება სამართლიან სასამართლოზე მოიცავს მრავალ ელემენტს, რომელიც უკავშირდება სასამართლოში სამართალწარმოების პროცესის ინიცირებასა და წარმართვას, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას.[3969] ის „მოიაზრებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას".[3970] უფლება სამართლიან სასამართლოზე კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებულ სხვა უფლებებთან მიმართებით ზოგადი ხასიათისაა და „თავის თავში მოიაზრებს ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს, რომლებიც დაცული არაა ამავე მუხლის სხვა პუნქტებით, თუმცა სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია."[3971]

2056 სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა შეუძლებელია სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. სასამართლო დაცვის ფორმალური მხარე სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობაში გამოიხატება.[3972] სასამართლოზე ეფექტიანი და ქმედითი ხელმისაწვდომობა სამართლიან სასამართლოზე უფლების

[3967] N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-1; N3/1/466 გადაწყვეტილება, II-14; N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-142; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-61; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის N1/3/638 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6; საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3; N2/5/879 გადაწყვეტილება, II-5; საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6; საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის N2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-3; N1/4/1464 გადაწყვეტილება, II-3; N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-27.

[3968] Hofmann, GG, Art. 20, Rn. 65; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 420; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; BVerfGE 57, 250 (276); 70, 297 (308 f.); 86, 288 (317 f.).

[3969] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-2. შეადარე ასევე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-66.

[3970] N3/3/601 გადაწყვეტილება, II-9.

[3971] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-9. შეადარე ასევე: N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-69.

[3972] N3/2/577 გადაწყვეტილება, II-4.

კომპონენტია.[3973] სასამართლოსათვის მიმართვის უფლება პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებელი გარანტიაა,[3974] რომლის გარეშეც ნებისმიერი უფლება თეორიული და ფიქციური იქნებოდა,[3975] დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ[3976] და იარსებებდა მისი უგულებელყოფის საშიშროება.[3977] სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით სასამართლო ხელისუფლებას ეკისრება თვითნებობისაგან დაცვის ინსტიტუტის ფუნქცია.[3978] კონსტიტუცია არა მხოლოდ უფლების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს სასამართლოსათვის მიმართვას, არამედ დარღვევის საფრთხის არსებობისას,[3979] ასევე ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვს უფლების შინაარსზე, ფარგლებზე ან შეზღუდვაზე.[3980] სასამართლოზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.[3981] სასამართლოსათვის მიმართვის უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულებების შესრულებასა და სასამართლოზე ხელმისავწდომობის დაუშვებელი შეზღუდვებისაგან თავის შეკავებას, არამედ პოზიტიურ მოქმედებასაც, მაგალითად, სასამართლოს შესატყვისი ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა[3982] ან ისეთი საპროცესოსა-მართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც სწრაფი და ეფექტიანი სასამართლო დაცვის შესაძლებლობას იძლევა.[3983]

2057 სასამართლოსათვის მიმართვა პირს შეუძლია მხოლოდ „თავის უფლებათა დასაცავად". ამის წინაპირობაა კონკრეტული სუბიექტური უფლების დაცვის ინტერესი.[3984] გარანტირებული არაა ე.წ. actio popularis, ანუ სხვათა უფლებების დასაცავად სასამართლოში დავის წარმოება, რა დროსაც პირი ერთგვარ „საზოგადოებრივი ინტერესების დამცველად" გვევლინება.[3985] actio popularis-ის გამორიცხვის „იდეა და

[3973] N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-4; N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-6-7; N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-7.

[3974] საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309, 310, 311 გადაწყვეტილება საქმეზე „1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 4; N1/2/384 გადაწყვეტილება, II-24.

[3975] N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-1.

[3976] N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-47.

[3977] N3/1/466 გადაწყვეტილება, II-14.

[3978] N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-144.

[3979] N1/4/1464 გადაწყვეტილება, II-25.

[3980] N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-2.

[3981] მაგ.: Golder v. The United Kingdom (N4451/70; 21.2.1975).

[3982] შეადარე მაგ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 2; Frydlender v. France (N30979/96; 27.6.2000); Kitov v. Bulgaria (N37104/97; 3.4.2003).

[3983] შეადარე მაგ.: N3/2/574 გადაწყვეტილება, II-59; N3/2/577 გადაწყვეტილება, II-3-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანეზი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11;

N2/7/779 გადაწყვეტილება, II-13; N2/5/879 გადაწყვეტილება, II-6; N1/4/1464 გადაწყვეტილება, II-5; N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-6.

[3984] საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის N1/2/440 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

[3985] Ipsen, Grundrechte, Rn. 883.

მიზანი არის, ერთი მხრივ, ადამიანის უფლების პატივისცემა, თავად გადაწყვიტოს, დგას თუ არა საკუთარი უფლებების/ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვის საჭიროების წინაშე, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების ეფექტურობა, რომელიც მიიღწევა მხოლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღების გზით და ფუჭი მართლმსაჯულების თავიდან აცილება."[3986] საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია პირის ნების გამოვლენის შეუძლებლობის პირობებში (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი), უკიდურეს შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, მისი ნების ჩანაცვლება, იმ პერსპექტივით, რომ ამ კატეგორიის პირთა ნება მათი არსებობისა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა ნამდვილი გახდეს. ამგვარი პერსპექტივა სასამართლომ ვერ დაინახა პირის გარდაცვალების შემდეგ.[3987] ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცოცხალი პირის მძიმე მდგომარეობაც შეიძლება სრულად გამორიცხავდეს მისი ნების ნამდვილობის პერსპექტივას. გარდა ამისა, გარკვეული ძირითადი უფლებები გარდაცვლილ პირებზეც ვრცელდება და მათ დასაცავად ამ პირთა ახლობლებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა არ უნდა გამოირიცხოს.

2058 სამართლებრივ სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების იმგვარი ინტერპრეტაცია, რაც გამორიცხავდა უფლებათა დაცვას ხელისუფლების ჩარევებისაგან, შეეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ ამ უფლების შინაარსსა და მიზანს,[3988] არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსაც. საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილების ან მოქმედების სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას ხედავს.[3989]

2059 სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი შტო სასამართლოა, ამიტომ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რამდენად მოიცავს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობასაც.[3990] საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დაცულ სფეროს სასამართლო გადაწყვეტილებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებასაც მიაკუთვნებს.[3991] ის სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრებაში ხედავს როგორც შესაძლო თვითნებობისა და შეცდომების პრევენციის, ასევე დაშვებული შეცდომების გამოწორების შესაძლებლობას. გარდა ამისა, გასაჩივრება ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ზრდის ნდობას

[3986] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-24.

[3987] დეტალურად იხ.: იქვე, II-25, 28, 35, 37.

[3988] შეადარე მაგ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 409.

[3989] N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II-1.

[3990] ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 409 f.

[3991] საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის N2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 3; N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II-4; N3/3/601 გადაწყვეტილება, II-7-9; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-9; N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-6; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-8.

სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი.[3992] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მიდგომა არ გაავრცელა უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი ინსტანცია, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გადამოწმებას აღარ ექვემდებარება. საწინააღმდეგოს დაშვება მის კონსტიტუციურ ფუნქციასთან შეუთავსებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში არ არსებობს გასაჩივრების მიზნებიც სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების სახით.[3993]

2060 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაგან განსხვავებით, გერმანული თეორია და სასამართლო პრაქტიკა ძირითადად თვლის, რომ არ არის უზრუნველყოფილი დაცვა სასამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.[3994] სხვაგვარად მართლმსაჯულება ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას, რაც სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მშვიდობის ინტერესებში დავების საბოლოო გადაწყვეტაში გამოიხატება.[3995] ამასთან, გავრცელებულია მოსაზრებაც, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს სამართლებრივ დაცვას სასამართლოს გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, თუ ისინი არღვევენ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს, განსაკუთრებით - სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პროცესუალურ დანაწესებსა და საპროცესო ძირითად უფლებებს.[3996] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ საპროცესო ძირითადი უფლებების პირველადი დარღვევის წინააღმდეგ სასამართლო დაცვა შესაძლებელია.[3997]

2061 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სასამართლო გადაწყვეტილების ზემდომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებას არ იცავს,[3998] თუმცა თუ ეროვნული კანონმდებლობა ამას უზრუნველყოფს, მაშინ ის უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის სტანდარტებს.[3999] სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებს კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი. მისი გამოყენების წინაპირობაა პირის მსჯავრდება სისხლის

[3992] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45, 49-57; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-22, 49; N3/3/601 გადაწყვეტილება, II-8.

[3993] N2/1/598 გადაწყვეტილება, II-51-52.

[3994] მაგ.: Heyde, Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995, 1579 (1602); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 60; Jarass, GG, Art. 20, Rn. 104; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (493); Papier, Justizgewähranspruch, 491 (495); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 213; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 210; BVerfGE 4, 74 (94 f.); 11, 232 (233); 54, 277 (291 f.); 65, 76 (90); 83, 24 (31); 89, 381 (390).

[3995] დეტალურად იხ.: Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (482); Schenke, Justizgewähr, 923 (942 f.).

[3996] დეტალურად იხ.: Breuer, Staatshaftung für judikatives Unrecht: eine Untersuchung zum deutschen Recht, zum Europa- und Völkerrecht, 2011; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 141; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (481 f.); Schenke, Justizgewähr, 923 (974 f.); Schenke W.-R., Verfassungsrechtliche Garantie eines Rechtsschutzes gegen Rechtsprechungsakte? in: Juristen Zeitung, 3 (2005), 116 (122 f.); Voßkuhle A., Rechtsschutz gegen den Richter. Zur Integration der Dritten Gewalt in das verfassungsrechtliche Kontrollsystem vor dem Hintergrund des Art. 19 Abs. 4 GG, 1993, 146 ff., 255 ff.

[3997] BVerfGE 107, 395 (407).

[3998] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 93.

[3999] Delcourt v. Belgium (N2689/65; 17.1.1970); Papon v. France (N54210/00; 25.7.2002).

სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, თუნდაც განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებ-ლად იყოს გამოტანილი.[4000] „სისხლის სამართლის დანაშაული“ შესაძლებელია ფართოდ განიმარტოს და მოიცავდეს ადმინისტრაციულ თუ დისციპლინურ სამართალდარღვევებსაც.[4001] ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სანქციის სიმძიმეს.[4002] თუ სამართალწარმოება, კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, ვერ დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის საქმედ, ის ვერც მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში მოექცევა.[4003] გარდა ამისა, ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემთხვევებზე. „სასამართლოს“ ცნების განმარტებისას ევროპული სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო ორგანოებით. მაგალითად, მან სასამართლოდ ჩათვალა საფინანსო ბაზრის მაკონტროლებელი სპეციალური ორგანო, რომელმაც პირს სისხლისსამართლებრივი ხასიათის სანქციები დააკისრა.[4004] თუ მსგავს სანქციებს არასასამართლო ორგანო იყენებს, ევროპული სასამართლო მიუთითებს შესაბამისი საქმის დამატებით ორ სასამართლო ინსტანციაში განხილვის საჭიროებაზე.[4005]

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ვრცელდება არა მარტო კერძო პირსა და სახელმწიფოს შორის, არამედ კერძო პირებს შორის დავებზეც.[4006] ინდივიდუალურ თავისუფლებას სასამართლო დაცვა სჭირდება კერძო პირთა მხრიდან მომდინარე საფრთხეებისგანაც. ამას განიხილავენ მშვიდობიანი წესრიგის შენარჩუნების პირობად, რადგანაც სხვაგვარად კერძო ურთიერთობების ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა ძლიერთა მიერ თავიანთი ინტერესების გატანა.[4007] შინაარსობრივი თვალსაზრისით, სასამართლო დაცვის უფლებებს საჯარო და კერძო სამართლის სფეროებში არსებითად არ განასხვავებენ.[4008] სასამართლოს მეშვეობით უფლებების დაცვის მნიშვნელობას კერძო პირებს შორის ურთიერთობებში საკონსტიტუციო სასამართლოც აღნიშნავს.[4009]

2062

კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს უფლებათა დასაცავად ხელმისაწვდომობას საქართველოში სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ ნებისმიერ ორგანოზე. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება საერთო სასამართლოების სისტემის, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, თითოეული რგოლი.[4010] უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაც,[4011]

[4000] Krombach v. France (N29731/96; 13.2.2001); Neziraj v. Germany (N30804/07; 8.11.2012).

[4001] Sinner S. (Bearb.), Kommentar zum Art.2 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 3.

[4002] Hübner v. Austria (N34311/96; 31.8.1999); Kammerer v. Austria (N32435/06; 12.5.2010).

[4003] Borelli v. Switzerland (N17571/90; 2.9.1993).

[4004] Didier v. France (N58188/00; 27.8.2002).

[4005] Grecu v. Romania (N75101/01; 30.11.2006).

[4006] შეადარე მაგ.: Heyde, Rechtsprechung, 1579 (1582); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 60; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 410; Papier, Justizgewähranspruch, 491 (492, 494); Sachs, GG, Art. 20, Rn. 162; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 211; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 206.

[4007] Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2571).

[4008] Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (493); Schenke, Justizgewähr, 923 (925, 973).

[4009] N1/1/403,427 გადაწყვეტილება, II-1.

[4010] N2/7/779 გადაწყვეტილება, II-7.

[4011] N1/2/434 გადაწყვეტილება, II-9; N3/1/466 გადაწყვეტილება, II-20, 22; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-62.

თუმცა საერთო და საკონსტიტუციო მართლმსაჯულებები პირს სასამართლო დაცვის განსხვავებულ შესაძლებლობებს სთავაზობს, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. აქედან გამომდინარე, ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის სრულფასოვან ალტერნატივას.[4012] სასამართლოსათვის მიმართვის უფლება იძლევა ეროვნული და არა საერთაშორისო სასამართლო ორგანოებისათვის მიმართვის შესაძლებლობას. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის საკითხი წესრიგდება ევროპული კონვენციით და არა საქართველოს კონსტიტუციით.[4013]

2063 სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაციით პირი მხოლოდ იწყებს თავისი დარღვეული ან საფრთხის ქვეშ მყოფი უფლების დაცვას. ბუნებრივია, უფლება სამართლიან სასამართლოზე ამით არ ამოიწურება. სასამართლოში საქმის განხილვა უნდა წარიმართოს უფლების დაცვის ეფექტიანობის პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს სასამართლო დაცვის ქმედითობას და საქმის განხილვას გონივრულ ვადაში.[4014] წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლება სამართლიან სასამართლოზე ილუზორული გახდება და ფორმალობად გადაიქცევა.[4015] აღნიშნულ პრინციპს მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ სუბიექტური უფლებების, არამედ ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების დაცვისათვის.[4016] ამ კონსტიტუციური მოთხოვნების ადრესატია როგორც კანონმდებელი საპროცესო ნორმების დადგენისას, ასევე სასამართლო ამ ნორმების გამოყენებისას.[4017] სასამართლოების კომპეტენცია უნდა განისაზღვროს იმგვარად, რაც უზრუნველყოფს უფლებათა ადეკვატურ დაცვას.[4018]

2064 ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია ყველა სახის სამართალწარმოებაში.[4019]

2065 ის სამართლიან სასამართლოზე უფლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია[4020] და ამავდროულად, თავად აერთიანებს მრავალ კომპონენტს, რომლებზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

[4012] N1/2/434 გადაწყვეტილება, II-13.

[4013] საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის N1/5/224 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[4014] მაგ.: BVerfGE 35, 382 (401); 55, 349 (369).

[4015] შეადარე: N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-1; N3/1/466 გადაწყვეტილება, II-14; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-133; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-6; Heyde, Rechtsprechung, 1579 (1603); Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (493 f.); Papier, Justizgewähranspruch, 491 (497, 499); Robbers, Ausländer im Verfassungsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995, 391 (407); Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2569); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 200.

[4016] Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2572); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 212.

[4017] Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (488); BVerfGE 77, 275 (284); 97, 298 (315).

[4018] N3/1/466 გადაწყვეტილება, II-22.

[4019] შეადარე: Kunig P., Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland,1986, 383.

[4020] მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-63; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-14.

2066 საკონსტიტუციო სასამართლო საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას მიიჩნევს მართლმსაჯულების განხორციელებისას შეცდომების პრევენციის უმნიშვნელოვანეს მექანიზმად და სამართლიანი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად.[4021] საზღვარგარეთულ თეორიასა და პრაქტიკაში ამ უფლებას ადამიანის ღირსებას უკავშირებენ - ინდივიდი სასამართლო პროცესის დამოუკიდებელი მონაწილეა, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მის მიმდინარეობასა და შედეგებზე და არაა პროცესის უბრალო ობიექტი.[4022] მსგავს პოზიციაზეა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.[4023] საქმის სამართლიანი განხილვის უფლება უზრუნველყოფს სასამართლოში სამართალწარმოების წარმართვას გარკვეული სტანდარტების შესაბამისად.[4024] სასამართლო პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და ღია. მხარეებს უნდა მიეცეს გადაწყვეტილების მიღებისათვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე სამართლებრივი პოზიციების გამოხატვისა და დაცვის შესაძლებლობა,[4025] ხოლო სასამართლო ვალდებულია, რომ შეაფასოს ეს პოზიციები,[4026] განახორციელოს დავის საგნის სრული და საფუძვლიანი ფაქტობრივი და სამართლებრივი შემოწმება.[4027] სასამართლო არ უნდა დაეყრდნოს იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც მხარეს არ მიეცა პოზიციის გამოხატვის საშუალება.[4028] ის ვალდებულია, აცნობოს მხარეებს ახალი გარემოებების შესახებ და მისცეს მათ ამ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი დამოკიდებულების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.[4029]

2067 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოჰყოფს სასამართლო განხილვაზე უფლების შემდეგ ასპექტებს:[4030] (1) სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, რისი უზრუნველყოფაც მართლმსაჯულების ორგანოების ვალდებულებაა;[4031] (2) საქმის ქმედითი განხილვა, რაც გულისხმობს კუმულაციურად შესასრულებელ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესში მხარეთა შესატყვის მონაწილეობას. მხარეს უნდა შეეძლოს, სასამართლოს წინაშე გამოხატოს თავისი პოზიცია ყველა არსებით სამართლებრივ თუ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.[4032] მას უნდა მიეცეს საშუალება, უარყოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები ან სულ ცოტა, დასვას კითხვები მათთან დაკავშირებით;[4033] (3) სასამართლოს ვალდებულება მოისმინოს, შეამოწმოს და შეაფასოს მხარეთა პოზიცია და მტკიცებულებები;[4034] (4) საკმარისად დასაბუთებული

[4021] N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-28.

[4022] Heyde, Rechtsprechung, 1579 (1607); Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (497); BVerfGE 84, 188 (190).

[4023] N3/3/601 გადაწყვეტილება, II-11.

[4024] Papier, Justizgewähranspruch, 491 (493).

[4025] შეადარე: N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-1; N2/2/558 გადაწყვეტილება, II-40; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 194.

[4026] მაგ.: BVerfGE 96, 205 (216); 98, 218 (263).

[4027] BVerfGE 85, 337 (345).

[4028] Heyde, Rechtsprechung, 1579 (1607); Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (498).

[4029] Schenke, Justizgewähr, 923 (961).

[4030] დეტალურად იხ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 111.

[4031] Somogyi v. Italy (N67972/01; 18.5.2004).

[4032] Dombo Beheer B.V. v. The Netherlands (N14448/88; 27.10.1993); Mantovanelli v. France (N21497/93; 18.3.1997).

[4033] Garcia Alva v. Germany (N23541/94; 13.2.2001); Lanz v. Austria (N24430/94; 31.1.2002).

[4034] Van de Hurk v. The Netherlands (N16034/90; 19.4.1994); Goktepe v. Belgium (N50372/99; 2.6.2005).

გადაწყვეტილების მიღება,[4035] რაც პირდაპირ არ არის ნახსენები კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში, მაგრამ გამომდინარეობს უფლებიდან სასამართლო განხილვაზე.[4036] უფლება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე ექსკლუზიურად არ ემსახურება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის დასაბუთებას, არამედ ასევე იცავს თვითნებობისა და მიკერძოებულობისაგან და აძლიერებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი.[4037]

2068 კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტში უშუალოდ არ არის ასახული მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, თუმცა მათ ითვალისწინებს 62-ე მუხლის მე-5 პუნქტი. ეს პრინციპები სამართლიანი სასამართლოსა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების მნიშვნელოვანი ელემენტებია.[4038] მხარეთა თანასწორობის პრინციპი ითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის კონკრეტულ შემთხვევად,[4039] ასევე სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოხატულებად.[4040] მხარეთა თანასწორობაში იგულისხმება მათი თანაბარი შესაძლებლობები პოზიციის გამოხატვის, მტკიცებულებებისა და არგუმენტების მოპოვება-წარდგენის, სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით აღჭურვისა და საპროცესო მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით.[4041] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ ხარისხობრივად და არა მექანიკურად, რაოდენობრივად თანაბარი შანსები.[4042]

2069 მხარეთა თანასწორობის პრინციპი ნებისმიერი სამართალწარმოების ფარგლებში მოქმედებს, თუმცა მას განსაკუთრებული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში ენიჭება.[4043] ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც ამ შემთხვევაში ინდივიდი დგას მასზე გაცილებით დიდი შესაძლებლობების მქონე სახელმწიფო აპარატის წინაშე და მისი უფლებებისა და ინტერესების დაზიანების რისკი გაცილებით აღემატება სხვ

[4035] Jafarli and Others v. Azerbaijan (N36079/06; 29.7.2010).

[4036] Van de Hurk v. The Netherlands.

[4037] Cerovsek and Bozicnik v. Slovenia (N68939/12, 68949/12; 7.3.2017).

[4038] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის N2/6/205,232 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-14, 16-18; N1/4/809 გადაწყვეტილება, II-9; N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-74-75; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-33; Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (740); Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 147; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; Neumeister v. Austria (N1) (N1936/63; 27.6.1968); BVerfGE 38, 105 (111); 63, 45 (67); 106, 28 (48); 117, 202 (240).

[4039] მაგ.: Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (499); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (582); Tettinger P. J., Fairneß und Waffengleichheit: rechtsstaatliche Direktiven für Prozeß und Verwaltungsverfahren, 1984, 18 ff.; BVerfGE 52, 131 (143 ff., 156 f.).

[4040] Hofmann, GG, Art. 20, Rn. 61; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; BVerfGE 52, 131 (144, 156 f.); 108, 150 (162); 110, 226 (252 f.).

[4041] შეადარე: N1/8/594 გადაწყვეტილება, II-27; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; N2/6/746 გადაწყვეტილება, II-23; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-15; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (499).

[4042] N1/8/594 გადაწყვეტილება, II-28.

[4043] Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 144; Jarass, GG, Art. 20, Rn. 98; BVerfGE 38, 105 (111); 110, 226 (253).

სამართალწარმოებიდან მიმდინარე შესაძლო საფრთხეებს.[4044] ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლებები, გავლენა მოახდინოს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე,[4045] მონაწილეობდეს საქმის განხილვაში,[4046] თუ მისი მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა მისივე მიზეზით არაა გამოწვეული.[4047] საკონსტიტუციო სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობა ესმის არა როგორც მხარეთა ტოტალური გათანაბრება, არამედ მათთვის გონივრულობის ფარგლებში პროცესის მიმდინარეობასა და შედეგზე გავლენის მოხდენის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება, ბრალდების მხარისათვის დაუბალანსებელი უპირატესობის მიცემისა და დაცვის მხარის არსებითად უარეს მდგომარეობაში ჩაყენების დაუშვებლობა.[4048]

2070 მხარეთა თანასწორობის პრინციპს უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტიც. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ეს პრინციპი სხვადასხვა ასპექტებში გამოიხატება:[4049] მოწინააღმდეგე მხარის პოზიციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;[4050] თანაბარი და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა საქმის ყველა მნიშვნელოვან მასალასა და მტკიცებულებებზე;[4051] მხარეთა ხელთ არსებული ყველა მტკიცებულების გამჟღავნების მოთხოვნა;[4052] ბრალდების მხარის ვალდებულება, მისცეს ბრალდებულს ხელმისაწვდომობა ბრალის დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ მატერიალურად რელევანტურ ინფორმაციაზე[4053] და ა.შ. სასამართლო განხილვაში პერსონალური მონაწილეობის უფლებას კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ ევროპული სასამართლო მას სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებით ელემენტად მიიჩნევს.[4054] პერსონალურ მონაწილეობას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სამართალწარმოებაში, ასევე კონკრეტული საქმის სპეციფიკის მიხედვით. მაგალითად, სამოქალაქო პროცესში უშუალო მონაწილეობა ყოველთვის სავალდებულო არ არის,[4055] თუმცა აუცილებელია, როდესაც პროცესის შესაძლო შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის უფლებებისათვის და მონაწილეობა არის გადამწყვეტი რელევანტური სადავო საკითხების შესაფასებლად, რაც უკავშირდება პირის ხასიათს, შესაძლებლობებს ან ჯანმრთელობის მდგომარეობას.[4056] სისხლის სამართლის საქმის განხილვაში პერსონალური მონაწილეობა საჭიროა, მაგრამ არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. როგორც წესი, ყველა პროცესი უნდა ჩატარდეს ბრალდებულის

[4044] შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 421.

[4045] Hofmann, GG, Art. 20, Rn. 65; Jarass, GG, Art. 20, Rn. 98; BVerfGE 110, 226 (253).

[4046] BVerfGE 41, 246 (249).

[4047] Jarass, GG, Art. 20, Rn. 100; BVerfGE 89, 120 (129 f.).

[4048] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-19; N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-74.

[4049] დეტალურად იხ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 127.

[4050] Brandstetter v. Austria (N11170/84, 12876/87, 13468/87; 28.8.1991); Ruiz-Mateos v. Spain (N12952/87; 23.6.1993).

[4051] Edwards v. The United Kingdom (N13071/87; 16.12.1992); Rowe and Davis v. the United Kingdom (N28901/95; 16.2.2000); Edwards and Lewis v. the United Kingdom (N39647/98, 40461/98; 22.7.2003); Klimentyev v. Russia (N46503/99; 16.11.2006).

[4052] Dowsett v. the United Kingdom (N39482/98; 24.6.2003).

[4053] Van Wesenbeeck v. Belgium (N67496/10; 23.5.2017).

[4054] Hermi v. Italy (N18114/02; 18.10.2006).

[4055] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 117.

[4056] Salomonsson v. Sweden (N38978/97; 12.11.2002).

მონაწილეობით.[4057] ამ უფლებას ვერ ჩაანაცვლებს პროცესზე ბრალდებულის წარმომადგენლის ყოფნა ისევე, როგორც ბრალდებულის პროცესზე ყოფნა ვერ მოახდენს ეფექტიანი დაცვის უფლების კომპენსირებას.[4058]

2071 მხარეთა თანასწორობის პრინციპს უკავშირდება თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება. თუ პირი ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებს პროცესის მიმდინარეობისას თავისი უფლებების რეალიზაციას, მაშინ ის მოწინააღმდეგე მხარესთან აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ბრალდებულს ანიჭებს უფლებას ბრალდების არსსა და საფუძველს გაეცნოს მისთვის გასაგებ ენაზე,[4059] ასევე ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.[4060] სახელმწიფოს ბრალდებულისათვის თარჯიმნის დახმარების საჭიროების გარკვევის პოზიტიური ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი ეკისრება, თუ ის არ აყენებს შესაბამის შუამდგომლობას.[4061] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა 62-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს თარჯიმნის მიჩენას პირისათვის, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის. თარჯიმნის დახმარება მოიცავს ყველა საპროცესო მოქმედების, გაკეთებული განცხადებებისა და მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტების თარგმნას როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე.[4062] სიტყვა „თარჯიმნის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო არ აღიარებს ბრალდებულის მკაფიო პრეტენზიას საქმის მასალების შინაარსის სრულ წერილობით თარგმანზე.[4063]

2072 საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეჯიბრებითობის პრინციპი მოითხოვს, რომ პროცესის მონაწილე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას, გამოიკვლიოს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოთქვას საკუთარი პოზიცია მათ შესახებ და ეჭვქვეშ დააყენოს მათი სანდოობა თუ ავთენტურობა. შეჯიბრებითობის პრინციპი თავის თავში მოიაზრებს კონფრონტაციის უფლებას, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში გულისხმობს, რომ დაცვის მხარეს პროცესის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიკვლიოს მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაკითხოს ბრალდების მხარის მოწმეები.“[4064] სისხლის სამართლის პროცესში კონფრონტაციის უფლებაზე ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლოც. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ბრალდებულს უნდა მიეცეს ბრალდების მოწმეთა შესატყვისი და საკმარისი ფორმით დაკითხვის შესაძლებლობა.[4065]

[4057] Kremzow v. Austria (N12350/86; 21.9.1993).

[4058] Mariani v. France (N43640/98; 31.3.2005); Sejdovic v. Italy (N56581/00; 1.3.2006).

[4059] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[4060] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[4061] Vizgirda v. Slovenia (N59868/08; 28.8.2018).

[4062] შეადარე მაგ.: Güngör v. Germany (N31540/96; 17.5.2001); Hermi v. Italy; Şaman v. Turkey (N35292/05; 5.4.2011).

[4063] Kamasinski v. Austria (N9783/82; 19.12.1989); Vizgirda v. Slovenia.

[4064] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-75. შეადარე ასევე: N3/1/574 გადაწყვეტილება, II-75; N3/1/608, 609 გადაწყვეტილება, II-18; N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-7, 9; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-35.

[4065] Lüdi v. Switzerland (N12433/86; 15.6.1992); Van Mechelen and Others v. The Netherlands (N21363/93, 21364/93, 21427/93, 22056/99; 23.4.1997); Solakov v. Former Yugoslav Republic of Macedonia (N47023/99; 31.10.2001); Breukhoven v. the Czech Republic (N44438/06; 21.7.2011).

კონფრონტაციის უფლება მოიცავს ასევე ექსპერტების დაკითხვასაც, როცა მათი დასკვნა ამძიმებს ბრალდებულის მდგომარეობას.[4066] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებით მოდელს მიიჩნევს არა კონსტიტუციით დაცულ სიკეთედ, არამედ დანაშაულთან ბრძოლისა და პირების საპროცესო უფლებების დაცვის საშუალებად.[4067] „შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებით მოდელში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასამართლო, აღნიშნული პრინციპების დაცვის მოტივით, არ თავისუფლდება თავისი უმთავრესი პასუხისმგებლობისაგან – პირის ბრალეულობის შესახებ გამორიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი და აღასრულოს მართლმსაჯულება.“[4068]

2073 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლებას. ეს უფლება პირდაპირ არაა ასახული კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში, თუმცა 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს სასამართლოში საქმის განხილვას ღია სხდომაზე და სასამართლოს გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებას. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ეს კონსტიტუციური ჩანაწერი არ იყო განთავსებული ადამიანის უფლებების თავში, ამიტომ იგი შეეხებოდა არა საქმის საჯარო განხილვის უფლებას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, რომ საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში, სამართალწარმოება განხორციელებულიყო ღია სასამართლო სხდომაზე.[4069] კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი მართლაც არ შედის ადამიანის ძირითად უფლებათა თავში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლების მოაზრებას სამართლიან სასამართლოზე უფლებით დაცულ სფეროში. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავის შემდეგომ გადაწყვეტილებებში საქმის საჯარო და ზეპირ მოსმენას სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტებად განიხილავს.[4070] ღია და ზეპირ პროცესზე საქმის განხილვა ხელს უწყობს სასამართლოს მიერ ობიექტური, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო მხარეებს აძლევს მათი პოზიციებისა და ინტერესების უკეთ დასაბუთებისა და დაცვის, სამართლიან სასამართლოზე უფლების ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას.[4071] ამ დროს, თანმხლები ეფექტის სახით, იზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი და შესაბამისად, მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიანობა.[4072] საქმის საჯარო და ზეპირი მოსმენის შემთხვევაში გამოირიცხება „საიდუმლო მართლმსაჯულება“,

[4066] Bönisch v. Austria (N8658/79; 6.5.1985).

[4067] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-40.

[4068] N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-38.

[4069] N2/6/205,232 გადაწყვეტილება, 1.

[4070] შეადარე: N2/2/558 გადაწყვეტილება, II-5; N1/6/561,568 გადაწყვეტილება, II-64; N3/1/574 გადაწყვეტილება, II-60; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-81; N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-10; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-10.

[4071] შეადარე: N2/2/558 გადაწყვეტილება, II-34-35; N2/1/631 გადაწყვეტილება, II-81; N3/2/574 გადაწყვეტილება, II-61; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-14; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-10.

[4072] დეტალურად იხ.: N1/6/561,568 გადაწყვეტილება, II-64-66.

რითაც მცირდება როგორც სახელმწიფოს ცდუნება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და თვითნებობაზე, ასევე საზოგადოების მხრიდან ამასთან დაკავშირებით არსებული ეჭვები. „შესაბამისად, საქმის ზეპირი მოსმენა აძლიერებს როგორც მხარეთა, ისე საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი..“.[4073] მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ზეპირი მოსმენის ჩატარება არ განიხილება თვითმიზნად და საკონსტიტუციო სასამართლო მის საჭიროებას ხედავს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს „..ობიექტურად აუცილებელია საქმის სრულყოფილი გამოკვლევისათვის და საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.“[4074] ევროპულ სასამართლოს მე-6 მუხლიდან არ გამოჰყავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უფლება, განახორციელონ ტრანსლაცია სასამართლო დარბაზიდან.[4075] ტრანსლაციის საკითხის გადაწყვეტა ამგვარ შემთხვევებში შედის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების დისკრეციაში.[4076]

2074 როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს საქმის დროული განხილვის უფლებას. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას განამტკიცებს ასევე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. საკონსტიტუციო სასამართლო საქმის დროულ განხილვას მიაკუთვნებს იმ შესაძლებლობათა მინიმუმს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ უფლებამ სამართლიან სასამართლოზე უზრუნველყოს ადამიანის სრულყოფილი და ეფექტიანი დაცვა.[4077] საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება ხელყოფს და ზოგჯერ არარეალიზებადსაც კი ხდის არა მხოლოდ სამართლიან სასამართლოზე უფლებასა და მისი მეშვეობით სუბიექტური ინტერესების დაცვას,[4078] არამედ აზიანებს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობასაც.[4079]

2075 სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება საქმის სამართლიანი განხილვის უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია.[4080] საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევა საბოლოოდ უმეტესწილად სწორედ დაუსაბუთებელ სასამართლო გადაწყვეტილებაში აისახება. საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ დასაბუთების ვალდებულება საშუალებას აძლევს პირს, სრულყოფილად გამოიყენოს გასაჩივრების უფლება, ხოლო ზემდგომ სასამართლოს კი - განახორციელოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. ის სასამართლოს მხრიდან თვითნებობისაგან დაცვის ქმედითი მექანიზმიცაა.[4081] გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს საზოგადოების მხრიდან მისდამი ნდობას უკავშირებს. იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება

[4073] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-63.

[4074] N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-12.

[4075] Lebedev v. Russia (N2) (N13772/05; 27.5.2010).

[4076] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 72.

[4077] N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-1. შეადარე ასევე: N3/2/577 გადაწყვეტილება, II-7,9; N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-64.

[4078] N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-7.

[4079] N3/2/577 გადაწყვეტილება, II-7,9. შეადარე ასევე: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 83; Peters A., Altwicker T., Europäische Menschenrechtskonvention. Mit rechtsvergleichenden Bezügen zum deutschen Grundgesetz, 2. Auflage, 2012, §19, Rn. 53.

[4080] შეადარე მაგ.: Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 221.

[4081] N2/2/558 გადაწყვეტილება, II-37.

არ აჩენდეს თვითნებობის ეჭვს, მისი დასაბუთება უნდა იყოს საკმარისად ცხადი, ეფუძნებოდეს ობიექტურ არგუმენტებს და პასუხობდეს ყველა არსებით კითხვას.[4082]

2076 სამართლიან სასამართლოზე უფლების რეალიზაცია დიდი საფრთხის ქვეშ დადგება და ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება, თუ საქმე არ განიხილა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ამ უფლებას პირდაპირ არ ადგენს, თუმცა ის აღიარებულია სამართლიან სასამართლოზე უფლების ელემენტად.[4083] მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის იმპერატიული მოთხოვნაა.[4084] ამ კრიტერიუმს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი ნდობისათვის.[4085]

2077 მოსამართლის პერსონალური და საგნობრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იცავს არა მხოლოდ პროცესის მხარეების უფლებებსა და ინტერესებს, არამედ თვით მოსამართლეს და სასამართლოს, როგორც ინსტიტუტს.[4086] საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლის დამოუკიდებლობაში, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპში, მოიაზრებს ჩაურევლობას მის პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში მასზე გავლენის მოხდენის მიზნით. მოსამართლე უნდა დისტანცირდებოდეს როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, სახვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფებისაგან, ასევე კერძო ინტერესებისაგან.[4087] ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოსამართლის დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი გარანტიებით - (ძირითადად) შეუძლებელი უნდა იყოს მათი თანამდებობიდან გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, იყვნენ თავისუფალნი მითითებებისაგან და დაცულნი გარე ზეგავლენისაგან, განსაკუთრებით - აღმასრულებელი ხელისუფლების ან პროცესის მხარეებისაგან.[4088]

2078 უფლებას მიუკერძოებელ სასამართლოზე საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების არსებით ნაწილად მიიჩნევს, „რომლის არსებობის გარეშეც ეჭვქვეშ დადგებოდა თავად სასამართლოს ფუნქციონირების ძირითადი არსი და დანიშნულება. მხოლოდ სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობით არის შესაძლებელი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სამართლის წინაშე თანასწორობის მიღწევა, სამართლის უზენაესობის გარანტირება და

[4082] N3/2/577 გადაწყვეტილება II–10,11. შეადარე ასევე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-101.

[4083] შეადარე: N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-1; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 192 f.; Stern, Staatsrecht I, 847; BVerfGE 3, 377 (381); 14, 56 (69); 37, 57 (65); 60, 175 (203).

[4084] Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 509.

[4085] შეადარე: N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II-3; N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, II-101.

[4086] Kunig, Der Rechtsstaat, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, 2001, 421 (438).

[4087] N2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება, II-66

[4088] მაგ.: Piersack v. Belgium (N8692/79; 1.10.1982); Kadubec v. Slovakia (N27061/95; 2.9.1998).

მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება.“[4089] მიუკერძოებლობის მოთხოვნა ვრცელდება მთელ სასამართლო პროცესზე და არა მხოლოდ მის შედეგზე - სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, სასამართლოს მიუკერძოებლობა „...არსებითად გულისხმობს, რომ სასამართლომ საკუთარი ფუნქციები უნდა განახორციელოს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის რომელიმე მონაწილისადმი წინასწარი მიმხრობის ან წინასწარი განწყობის გარეშე. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, თავი შეიკავოს სამართალწარმოების რომელიმე მხარის მიმართ კეთილგანწყობილი ან მტრული დამოკიდებულების გამოხატვისაგან ან/და იმგვარი ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც სასამართლოს საქმის განხილვის პროცესში მხარედ წარმოაჩენს.“[4090] ევროპული სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის მიუკერძოებლობა ნიშნავს, რომ ის არ უნდა იყოს მიკერძოებული არც ობიექტური და არც სუბიექტური თვალსაზრისით.[4091]

2079 სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს. ეს პროცესი უნდა იყოს სამართლებრივად მკაფიოდ მოწესრიგებული, ორიენტირებული იურიდიულ კვალიფიკაციაზე და დაცული ხელისუფლების სხვა შტოების დაუშვებელი ზეგავლენისაგან.[4092] საკონსტიტუციო სასამართლო, სასამართლო ხელისუფლების იმ კანდიდატებით დაკომპლექტებას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს, მიიჩნევს სამართლიან სასამართლოზე უფლების რეალიზების ერთადერთ უპირობო საშუალებად და საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის წინაპირობად.[4093]

2080 სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულება სამართლიანი სასამართლოს არსებით უფლებრივ კომპონენტად და პირის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად განიხილება, რომლის გარეშეც უფლება სამართლიან სასამართლოზე, ისევე როგორც სასამართლოს მეშვეობით (დარღვეული) უფლების აღიარება, ილუზორული იქნებოდა და ფაქტობრივად აზრს დაკარგავდა.[4094] პირს უნდა ჰქონდეს მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების დროული და ჯეროვანი აღსრულების სათანადო საკანონმდებლო გარანტიები.[4095] სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება „..შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს

[4089] N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-36.

[4090] იქვე.

[4091] Fey v. Austria (N14396/88; 24.2.1993); Morel v. France (N34130/96; 6.6.2000); Kyprianou v. Cyprus; Denisov v. Ukraine (N76639/11; 25.9.2018).

[4092] Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland (N26374/18; 1.12.2020).

[4093] N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, II-66.

[4094] შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის N1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4;

N2/5/879 გადაწყვეტილება, II-8-9; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-17; Burdov v. Russia (N59498/00; 7.5.2002); Assanidze v. Georgia (N71503/01; 8.4.2004); Scordino v. Italy (N1) (N36813/97; 29.3.2006); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 413; Papier, Justizgewähranspruch, 491 (502); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (582).

[4095] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს."[4096] საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროს მიაკუთვნებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასაც, რადგანაც ის ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენციას.[4097]

2081 ეფექტიანი სასამართლო დაცვის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებების მდგრადობა.[4098] საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს განსხვავებულ, მაგრამ შინაარსობრივად იდენტურ ტერმინს „სასამართლო გადაწყვეტილების შეუქცევადობის პრეზუმფცია", რომელსაც უტყუარობისა და აღსრულების პრეზუმფციებთან ერთად, სამართლიან სასამართლოზე უფლების უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტად განიხილავს.[4099] კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შეუქცევადობა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ელემენტიცაა.[4100] სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა დადგეს მუდმივად ეჭვქვეშ. ეს დააზიანებს სასამართლოსადმი ნდობას.[4101] გარდა ამისა, „..უფლების მუდმივი საეჭვოობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად".[4102] სამართლებრვი უსაფრთხოების კონტექსტში, ყურადღებას ამახვილებენ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მდგრადობის საკითხზეც. ამგვარ შემთხვევებში, პირს აქვს ნდობა და კონკრეტული სასამართლო დავის შესაბამისი პრაქტიკის მიხედვით გადაწყვეტის მოლოდინი. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ, თუმცა ის გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელია და შეუძლია ეჭვი შეიტანოს არსებული პრაქტიკის მართებულობაში.[4103] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ცვლილება საკმარისად უნდა იყოს დასაბუთებული და თავსდებოდეს განჭვრეტადი განვითარების ფარგლებში,[4104] ანუ იყოს პროგნოზირებადი.

2082 სასამართლო გადაწყვეტილებების მდგრადობას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საბოლოობისა და შეუქცევადობის პრეზუმფცია იმთავითვე პირობადებულია ახლად აღმოჩენილი გარემოებებით საქმის

[4096] N1/2/596 გადაწყვეტილება, II-8.

[4097] N2/6/746 გადაწყვეტილება, II-6.

[4098] სასამართლო გადაწყვეტილებების მდგრადობასთან დაკავშირებით დეტალურად იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 354 ff.

[4099] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-37. შეადარე ასევე: Papier, Justizgewähranspruch, 491 (500 f.).

[4100] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-25.

შეადარე ასევე: Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 506, 509.

[4101] საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[4102] N3/1/531 გადაწყვეტილება, II-27.

[4103] Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz (§ 79), in: Isensee, Iosef/Kirchhof, Paul: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band IV – Aufgaben des Staates, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, 2006, 395 (465 f.).

[4104] BVerfGE 84, 212 (227 f.); 122, 248 (277).

განახლების შესაძლებლობით.“[4105] კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილია სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო.[4106] ამ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებების სტაბილურობა და შეუქცევადობა იზღუდება სამართლიანობის ინტერესებში.[4107] საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამისი საფუძვლების არსებობისას საქმის წარმოების განახლებას სამართლიან სასამართლოზე უფლების მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „ეს ინსტიტუტი უდავოდ ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ლეგიტიმურ მიზანს, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას და ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს.“[4108]

1.2.2.2. უფლება კანონისმიერ სასამართლოზე

2083 უფლება კანონისმიერ სასამართლოზე განმტკიცებულია კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით,[4109] რომლის მიხედვითაც, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება,[4110] რომელიც იცავს პირს თვითნებური სასამართლო პროცესისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.[4111] იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ კანონისმიერ მოსამართლეზე უფლების ამოქმედების წინაპირობა სასამართლოსათვის მიმართვაა,[4112] ამ უფლებას უფრო სამართლიან სასამართლოზე უფლების გამამყარებელი და განმავრცობელი ფუნქცია მიეწერება.[4113]

2084 კანონისმიერ სასამართლოზე უფლებიდან გამომდინარე, საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის მისი განხილვა შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე.[4114] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სასამართლო განხილვა განსჯადობის წესების დაცვით, კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლოს მიერ, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია,[4115] რომელიც ამ უფლებით გათვალისწინებული გარანტიებით ეფექტიანი სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა.[4116]

[4105] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-40.
[4106] იქვე, II-39.
[4107] Hofmann, GG, Art. 20, Rn. 90.
[4108] N3/1/531 გადაწყვეტილება, II-26.
[4109] შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 414.
[4110] მაგ.: Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 509.
[4111] შეადარე მაგ.: N2/1/598 გადაწყვეტილება, II-5; Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 50.
[4112] Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, S. 467 (491).
[4113] Papier, Justizgewähranspruch, 491 (493); Schenke, Justizgewähr, 923 (925).
[4114] შეადარე მაგ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 414.
[4115] N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, II-106.
[4116] N2/1/598 გადაწყვეტილება, II-7.

საქმის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ განხილვის უზრუნველსაყოფად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, აუცილებელია სასამართლოების განსჯადობის წინასწარი გენერალურ-აბსტრაქტული განსაზღვრა, რათა არ მოხდეს მოსამართლის შერჩევა სპეციალურად კონკრეტული შემთხვევის განსახილველად.[4117] აქედან გამომდინარე, კანონისმიერი მოსამართლე არის მოსამართლე, რომლის განსჯადობაც დადგენილია კანონის ზოგადი ნორმების საფუძველზე.[4118] კანონისმიერად არ ითვლება მოსამართლე, რომელიც მიუხედავად მისი საქმის განხილვაში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებებისა, მაინც განაგრძობს მონაწილეობას ამ პროცესში.[4119] 2085

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საქმის განხილვის უფლებას კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ. ევროპულ სასამართლოს ამ ნორმიდან გამოჰყავს სახელმწიფოთა ვალდებულება, სასამართლო სისტემის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე მოწყობასთან დაკავშირებით.[4120] ამაში, პირველ რიგში, სასამართლოების კომპეტენციის ზოგადი ნორმების საფუძველზე და საკმარისად მკაფიოდ განსაზღვრა იგულისხმება.[4121] კანონი უნდა აწესრიგებდეს ასევე სასამართლოში სამართალწარმოებას,[4122] რათა საპროცესო წესების დადგენა არ გადავიდეს მართლმსაჯულების ორგანოების დისკრეციაში.[4123] 2086

კანონისმიერი მოსამართლის პრინციპს უკავშირდება საგანგებო სასამართლოების შექმნის აკრძალვა,[4124] რომელიც ამ პრინციპის დარღვევის პრევენციის საშუალებად ითვლება.[4125] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო „საგანგებო სასამართლოდ“ მიიჩნევს ორგანოს, რომელიც შექმნილია აბსტრაქტულ-გენერალური კომპეტენციური ნორმების დარღვევით, კონკრეტული შემთხვევის განხილვისათვის.[4126] 2087

1.2.2.3. დაცვის უფლება

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება შეიცავს დაცვის უფლების გარანტიას, ხოლო მომდევნო წინადადება კი - დაცვის უფლების რეალიზაციის შესაძლო ფორმებს: „ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით.“ რაც შეეხება ბოლო წინადადებას, ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელებისა და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლების კანონით გარანტირებასთან დაკავშირებით, ის არ არის ძირითადი უფლების 2088

[4117] BVerfGE 4, 412 (416); 82, 159 (194); 95, 322 (329).
[4118] მაგ.: BVerfGE 48, 246 (254).
[4119] Ipsen, Grundrechte, Rn. 905; BVerfGE 30, 165 (167).
[4120] მაგ.: Jorgić v. Germany (N74613/01; 12.7.2007).
[4121] მაგ.: Coëme and others v Belgium (N32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96, 33210/96; 22.6.2000).
[4122] იქვე.
[4123] Oleksandr Volkov v. Ukraine.
[4124] კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[4125] შეადარე: Heyde, Rechtsprechung, 1579 (1606).
[4126] მაგ.: BVerfGE 10, 200 (212 f.).

დამდგენი ნორმა და უმჯობესი იქნებოდა მისი განთავსება კონსტიტუციის მე-6 თავში (სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა).

2089 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტიც ითვალისწინებს დაცვის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა მისი მოქმედების არეალი შედარებით ვიწროა და მოიცავს ბრალდებულის უფლებებს: ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად[4127] და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.[4128]

2090 დაცვის უფლება ემსახურება მართლმსაჯულებას, მხარეთათვის შანსებისა და საშუალებების თანაბრობას.[4129] ის სამართლიანი სასამართლოს არსებით შემადგენელ ელემენტადაა აღიარებული.[4130] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა“.[4131]

2091 დაცვის უფლება ვრცელდება ყველა სახის სამართალწარმოებაზე, რომელიც სასამართლოში მიმდინარეობს.[4132] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის უფლება არ გაავრცელა ადმინისტრაციულ ორგანოში ჩატარებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით იმ არგუმენტაციით, რომ კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის 42-ე მუხლი ზოგადად და კონკრეტულად - მე-3 პუნქტი, რომელიც დაცვის უფლებას შეეხებოდა, არ ადგენდა გარანტიებს ამ ტიპის სამართალწარმოებისათვის.[4133] ნაკლებად სავარაუდოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ეს პოზიცია შეცვალოს, რადგანაც კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი გარკვევით მიუთითებს უფლებების „სასამართლოში“ დაცვაზე. ამავდროულად, გასათვალისწინებელია 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად კონსტიტუციაში სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების ასახვა. რამდენად მოიაზრება ამ უფლების ფარგლებში დაცვის უფლებაც, საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ ჰქონია ამ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა.

2092 კონსტიტუციით უზრუნველყოფილია პირის შესაძლებლობა, თავისუფლად და დამოუკიდებლად შეარჩიოს დაცვის უფლების რეალიზაციის ფორმა - თავი დაიცვას

[4127] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[4128] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი.

[4129] შეადარე მაგ.: Robbers G., Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), seit 1950, Rn. 1855.

[4130] შეადარე: N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-2; N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-25.

[4131] N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-55.

[4132] საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; N1/2/503,513 გადაწყვეტილება, II-56; N2/5/595 გადაწყვეტილება, II-1.

[4133] დეტალურად იხ.: N2/5/595 გადაწყვეტილება, II-4-6.

პირადად, წარმომადგენლის მეშვეობით ან ადვოკატის დახმარებით.[4134] ამ კონტექსტში გადამწყვეტია თავად პირის სურვილი - „კონსტიტუცია უზრუნველყოფს დაცვის უფლების ისეთ პირობებს, როდესაც უპირატესობა ენიჭება დასაცავი პირის სურვილსა და უნარს, ჰყავდეს დამცველი, ან პირის სურვილს, მაგრამ უუნარობას, იყოლიოს დამცველი."[4135] დაცვის უფლებასთან შეუთავსებელია პირის არაკონსტიტუციური შეზღუდვა დაცვის უფლების რეალიზაციის ფორმის, მაგალითად ადვოკატის შერჩევისას.[4136]

2093 ადვოკატის დახმარებით დაცვის უფლების რეალიზაციის წინაპირობაა დამცველზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც ემსახურება დაცვის ეფექტიანად განხორციელების მიზანს.[4137] კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა ეს კომპონენტი მასში მოიაზრება. ევროპული სასამართლო მოითხოვს ბრალდებულის დამცველზე ხელმისაწვდომობას ყველა იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, რომელიც რელევანტურია მოგვიანებით სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის პირის დაკავებისას ან დაკითხვისას.[4138] ბრალდებული ინფორმირებული უნდა იყოს დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ.[4139] როგორც აღვნიშნეთ, ევროპული კონვენცია ადგენს ბრალდებულის უფლებას, ისარგებლოს ხაზინის ხარჯზე დამცველის მომსახურებით, ოღონდ იმ პირობით, თუ (1) მას იურდიული მომსახურების ასანაზღაურებლად საკმარისი საშუალება არ აქვს და (2) ამგვარ მომსახურებას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. საკმარისი საშუალებების არქონა მაშინ მიიღება მხედველობაში, თუ ამას აქვს განგრძობითი ფორმა.[4140] ამავდროულად, დამცველის მომსახურების ხარჯებისაგან გათავისუფლებას, თარჯიმნის მომსახურებისაგან განსხვავებით, არ აქვს უპირობო და საბოლოო ხასიათი.[4141] იმ საკითხის გარკვევისას, რამდენად არსებობს მართლმსაჯულების ინტერესები, ევოპული სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ან სანქციის სიმძიმეს,[4142] სამართლებრივი საკითხების სირთულეს, საქმის კომპლექსურობას[4143] და მის მნიშვნელობას ბრალდებულისათვის.[4144] თუ ბრალდებულს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, მისთვის სავალდებულო დაცვის დანიშვნა, როგორც წესი, აუცილებელია.[4145]

2094 დაცვის უფლების შინაარსი დაცვის ფორმის შერჩევითა და დამცველზე ხელმისაწვდომობით არ ამოიწურება. ადვოკატის ჩართულობა საქმეში არ არის იმის

[4134] შეადარე: N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II-2.

[4135] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 2.

[4136] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 417.

[4137] შეადარე მაგ.: Blokhin v. Russia (N47152/06; 23.3.2016).

[4138] Öcalan v. Turkey; Salduz v. Turkey (N36391/02; 27.11.2008); Shabelnik v. Ukraine (N16404/03; 19.2.2009); Brusco v. France (N1466/07; 14.10.2010).

[4139] Panovits v. Cyprus (N4268/04; 11.12.2008).

[4140] Pakelli v. Germany (N8398/78; 25.4.1983); Croissant v. Germany (N13611/88; 25.9.1992).

[4141] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 205.

[4142] Benham v. the United Kingdom (N19380/92; 19.6.1996).

[4143] Quaranta v. Switzerland (N12744/87; 24.5.1991).

[4144] Granger v. the United Kingdom (N11932/86; 28.3.1990); R.D. v. Poland (N29692/96, 34612/97; 18.12.2001); S.C. v. the United Kingdom (N60958/00; 15.6.2004).

[4145] Quaranta v. Switzerland; Talat Tunç v. Turkey (N32432/96; 27.3.2007); Raykov v. Bulgaria (N35185/03; 22.10.2009).

გარანტია, რომ პროცესი სამართლიანი იქნება,[4146] თუ არ არის უზრუნველყოფილი დაცვის ეფექტიანობა და ქმედითობა.[4147] ამისათვის აუცილებელია რიგი სტანდარტების დაკმაყოფილება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ნებისმიერი სამართალ-წარმოებისათვის და განსაკუთრებით - სისხლის სამართლის პროცესში, სადაც დაცვის უფლება სახელმწიფოსა და ბრალდებულის ობიექტურად არათანაბარი შესაძლებლობების დამაბალანსებელ ინსტრუმენტად განიხილება.[4148] დაცვის უფლება „დაცვის მხარეს აღჭურავს შესაბამისი საპროცესო ინსტრუმენტით, რათა მან ბრალდების პოზიციას დაუპირისპიროს კონტრარგუმენტები, გამამართლებელი მტკიცებულებები და სასამართლო პროცესი წარიმართოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისად.“[4149] დაცვის ეფექტიანობისათვის აუცილებელია არსებობდეს ადეკვატური მომზადების შესაძლებლობა პროცესსა და მის შედეგებზე ეფექტიანი ზეგავლენის მოხდენის მიზნით.[4150] ეს საჭიროებს გონივრული და საკმარისი დროის გამოყოფასა და სრულფასოვანი დაცვის განხორციელებისათვის სხვა შესაბამისი პირობების შექმნას.[4151] უზრუნველყოფილია დამცველთან შეუფერხებელი და კონფიდენციალური ურთიერთობა.[4152] დაცვის ქმედითობის ეჭვქვეშ დაყენებისათვის ევროპული სასამართლო საკმარისად მიიჩნევს შიშის არსებობას ბრალდებულისა და ადვოკატის საუბრების მოსმენასთან დაკავშირებით. არ არის აუცილებელი, რომ მოსმენას ნამდვილად ჰქონდეს ადგილი.[4153] შეუფერხებელი ურთიერთობის უზრუნველყოფა მოიცავს ბრალდებულისა და ადვოკატის დოკუმენტაციის ამოღებისა[4154] და მათი კონტაქტისათვის მაკონტროლებელი ბარიერების შექმნის დაუშვებლობას, ასევე დამცველისათვის შესაბამისი ტექნიკური პირობების შექმნას დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შესახვედრად.[4155] ევროპული სასამართლო დამატებით მოთხოვნებს ადგენს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების შემთხვევაში, რაც გულისხმობს დაცვის მოსამზადებლად ისეთი პირობებით უზრუნველყოფას, როგორიცაა: შესაბამისი სივრცის გამოყოფა, სამუშაო მასალის მიწოდება, დასვენების დროის მიცემა, ადვოკატისათვის ბრალდებულის მონახულების საშუალების მიცემა და ა.შ.[4156] დაცვის მხარეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საქმის მასალებზე,[4157] შეეძლოს შესაბამისი ჩანაწერების, ასლების ან ამონაწერების გაკეთება.[4158] ხელმისაწვდომობის უფლება ვრცელდება ყველა დოკუმენტსა თუ მტკიცებულებაზე, რომელიც არის სისხლისსამართლებრივი დევნის

[4146] მაგ.: Imbrioscia v. Switzerland (N13972/88; 24.11.1993).

[4147] მაგ.: Artico v. Italy (N6694/74; 13.5.1980).

[4148] დეტალურად იხ.: N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-27.

[4149] იქვე, II-25.

[4150] შეადარე: N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-55; A.T. v. Luxembourg (N30460/13; 9.4.2015).

[4151] შეადარე: N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 2; N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-2.

[4152] S. v. Switzerland (N12629/87, 13965/88; 28.11.1991); Campbell v. the United Kingdom; Brennan v. the United Kingdom (N39846/98; 16.10.2001).

[4153] Castravet v. Moldova (N23393/05; 13.3.2007); Khodorkovskiy v. Russia.

[4154] Khodorkovskiy v. Russia.

[4155] Öcalan v. Turkey.

[4156] Barberà, Messegué and Jabardo v. Spain (N10590/83; 6.12.1988); Makhfi v. France (N59335/00; 19.10.2004); Mayzit v. Russia (N63378/00; 20.1.2005).

[4157] Lietzow v. Germany (N24479/94; 13.2.2001); Öcalan v. Turkey; Huseyn and Others v. Azerbaijan (N35485/05, 45553/05, 35680/05, 36085/05; 26.7.2011).

[4158] Matyjek. v. Poland (N38184/03; 24.4.2007); Moiseyev v. Russia (N62936/00; 9.10.2008).

მწარმოებელი ორგანოების ხელში. აქ იგულისხმება ბრალის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი მასალა თუ ნივთი, რომელსაც აქვს მიმართება დანაშაულთან, მის მოტივთან და გარემოებებთან და აუცილებელია დაცვის მომზადებისათვის.[4159] აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო დაცვისათვის სათანადო მომზადების მოთხოვნის შესრულებას მოითხოვს დაჩქარებული სამართალწარმოებისა[4160] და ზემდგომ ინსტანციაში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაშიც.[4161]

2095 კონვენციით გარანტირებული პირადად ან დამცველის მეშვეობით თავის დაცვის უფლება იმპლიციტურად მოიცავს დაუწერელ უფლებებს.[4162] მაგალითად, ბრალდებულს აქვს სასამართლო პროცესში აქტიური მონაწილეობის უფლება.[4163] ევროპული სასამართლო ხშირად უსვამს ხაზს დამცველის მოსმენის აუცილებლობას საქმის ზეპირი განხილვისას იმისდა მიუხედავად, ესწრება თუ არა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი სასამართლო სხდომას.[4164] ბრალდებულის მიმალვა არ ართმევს მას უფლებას დაცვაზე.[4165]

2096 საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ეფექტიანი დაცვის კავშირზე საქმის ზეპირი მოსმენით განხილვასთან. ზეპირი განხილვის გარეშე დაცვის ეფექტიანი განხორციელება რთულდება[4166] ზეპირი განხილვა მნიშვნელოვანი გარანტიაა „..პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.“[4167] „ამასთან, დაცვის მხარესთან უშუალო ურთიერთობა უფრო მოსახერხებელია თავად სასამართლოსთვისაც, რადგან მას აქვს შესაძლებლობა, პასუხი მიიღოს ყველა კითხვაზე და ამით ნათელი მოჰფინოს საქმის ბუნდოვან გარემოებებს.“[4168] აქედან გამომდინარე, უფლება საქმის ზეპირი მოსმენით განხილვაზე, მიიჩნევა 31-ე მუხლის არა მხოლოდ პირველი, არამედ მე-3 პუნქტით დაცულ უფლებრივ კომპონენტად.[4169] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დაცვის უფლება „..ადგენს ზეპირი მოსმენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს განხილვა საჭიროებს ფაქტების დადგენას.“[4170]

2097 ქმედითი და ეფექტიანი დაცვის უფლების კონტექსტში საინტერესოა დამცველთა რაოდენობის საკითხი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმასთან დაკავშირებით, რომელიც ზღუდავდა ეჭვმიტანილის დამცველთა რაოდენობას არა

[4159] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 290; Jespers v. Belgium (N8403/78; 14.12.1981); Natunen v. Finland (N21022/04; 31.3.2009).

[4160] Ashughyan v. Armenia (N33268/03; 17.7.2008).

[4161] Czekalla v. Portugal (N38830/97; 10.10.2002); Sannino v. Italy (N30961/03; 27.4.2006).

[4162] დეტალურად იხ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 217 ff.

[4163] Kremzow v. Austria.

[4164] Campbell and Fell v. the United Kingdom (N7819/77; 7878/77; 28.6.1984); Poitrimol v. France (N14032/88; 23.11.1993); Van Geyseghem v. Belgium (N26103/95; 21.1.1999).

[4165] Van Geyseghem v. Belgium.

[4166] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-15.

[4167] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-61.

[4168] იქვე, II-62.

[4169] N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-10.

[4170] N1/3/638 გადაწყვეტილება, II-8.

უმეტეს სამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ დამცველთა რაოდენობის საკითხი არ იყო მოწესრიგებული კონსტიტუციით, ანუ არ შედიოდა დაცვის უფლების დაცულ სფეროში.[4171] დამცველთა რაოდენობის შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებაზე უარი არ არის მართებული, რადგანაც მან შეიძლება მიიღოს ისეთი ფორმა და მასშტაბი, რაც არსებითად შეაფერხებს დაცვის უფლების ეფექტიან რეალიზაციას.

1.2.2.4. ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა

2098 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ყოველ ბრალდებულს აქვს უფლება თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში.[4172]

2099 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოხატულებაა, რომელიც გამორიცხავს ბრალდების მხარისათვის უპირატესობის მინიჭებას.[4173] ევროპული სასამართლოს პოზიციით, კონვენცია უზრუნველყოფს ბრალდებულისათვის არა მხოლოდ რეაქტიური კონფრონტაციის, არამედ პროცესში აქტიური თანამონაწილეობის შესაძლებლობას, რათა მან ეფექტიანი გავლენა მოადხინოს მტკიცებულებათა მოპოვების მიმდინარეობაზე.[4174] საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ბრალდებულის უფლება, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს, ემსახურება მისი პოზიციის ეფექტიან დაცვასა და პროცესის შედეგზე გავლენის მოხდენას, ბრალდების მხარისათვის კონკურენციის გაწევას და მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევას. ბრალდებულის ბრალდების მხარესთან თანასწორობის ამ ასპექტის ცალკე გამოყოფა განპირობებულია მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების, მნიშვნელობით.[4175]

2100 კონსტიტუციის აღნიშნული ნორმით დაცულ სფეროში შედის მხოლოდ დაცვის მხარის მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის შესაძლებლობა.[4176] აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მისი მოქმედება არ გაავრცელა ბრალდების მოწმეთა ჯვარედინ დაკითხვაზე და მიუთითა, რომ ეს საკითხი შეფასებადი იყო სამართლიან სასამართლოზე უფლებასთან მიმართებით.[4177]

2101 ტერმინს „მოწმე“, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლო ფართოდ განმარტავს. ის „გულისხმობს, მათ შორის,

[4171] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 2.
[4172] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[4173] მაგ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 422.
[4174] Solakov v. Former Yugoslav Republic of Macedonia; Perna v. Italy.
[4175] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-72.
[4176] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-73; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-7.
[4177] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-73, 76.

ბრალდებულს, რომელიც საკუთარი დაცვის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას გადაწყვეტს. ბრალდებულის უფლება, განახორციელოს თავის დაცვა მოწმეების გამოძახებით, სრულყოფილად რეალიზებული ვერ იქნება საკუთარი თავის მოწმედ გამოძახებისა და დაკითხვის გარეშე."[4178] ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არც საკუთარი დაცვის სასარგებლოდ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის და არც თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ გულისხმობს ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შესაძლებლობას."[4179] „მოწმის" მნიშვნელობა ფართოდ ესმის ევროპულ სასამართლოსაც, რომელიც ამაში მოიაზრებს არა მხოლოდ საკუთრივ მოწმეებს, არამედ ექსპერტებსაც, როდესაც აუცილებელია დაცვის მხარემ თავისი საექსპერტო დასკვნა დაუპირისპიროს ბრალდების მხარის ექსპერტის დასკვნას.[4180]

1.2.2.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდისა და უტყუარობის სტანდარტები, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა

2102 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 - მე-7 პუნქტები შეიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრინციპებსა და გარანტიებს. მე-5 პუნქტი განამტკიცებს უდანაშაულობის პრეზუმფციას - „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით." ამ პრინციპს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც აღიარებს - „ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად".[4181]

2103 უდანაშაულობის პრეზუმფციას უკავშირებენ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.[4182] ის გამორიცხავს ჯეროვანი პროცედურის გარეშე პირის დამნაშავედ აღიარებას.[4183] უდანაშაულობის პრეზუფცია უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო განხილვას, რადგანაც იცავს პირს წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გავლენის ქვეშ მყოფი სასამართლო პროცესისაგან.[4184] ამ პრინციპის საშუალებით ხდება სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს გონივრული შეკავება და ინდივიდის დაცვა

[4178] N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-8.

[4179] იქვე, II-24.

[4180] Matytsina v. Russia (N58428/10; 27.3.2014).

[4181] მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

[4182] Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 148; Jarass, GG, Art. 20, Rn. 108; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 424; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 219; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 198; BVerfGE 19, 342 (347); 38, 105 (114 f.); 74, 358 (370); 110, 1 (22 f.).

[4183] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-62.

[4184] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-31; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-31-32.

სახელმწიფო ორგანოების შესაძლო თვითნებობისაგან.[4185] გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფცია ემსახურება პირის რეპუტაციის დაცვას საზოგადოების მხრიდან დამნაშავედ აღქმისა და სტიგმატიზაციისაგან, როდესაც მისი დამნაშავეობა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არაა დადასტურებული.[4186]

2104 უდანაშაულობის პრეზუმფიცია კანონმდებელს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, „შექმნას მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც შეძლებს სისხლისსამართ-ლებრივ პროცესს დაქვემდებარებული პირის ინტერესების ჯეროვან დაცვას, არ ჩააყენებს მას არათანაბარ (არასამართლიან) პირობებში და გამორიცხავს სახელწიფო ორგანოთა მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.“[4187] უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს ასევე სასამართლოს ვალდებულება, „..სამართალწარმოების მთელი პროცესის მანძილზე იმოქმედოს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა საკუთარი ქმედებით ობიექტურ დამკვირვებელს არ გაუჩინოს პროცესს დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის ვარაუდის საფუძველი.“[4188]

2105 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უდანაშაულობის პრეზუმფციას სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ სტრუქტურულ ელემენტად მიიჩნევს.[4189] პირის ბრალეულობის დადგენა კანონით განსაზღვრული წესით უნდა მოხდეს საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.[4190] ევროპული სასამართლო უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედების არეალს, გარდა სისხლის სამართლის პროცესისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალზეც ავრცელებს.[4191] ის არ გამოიყენება სხვა სახის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუ ამ წარმოების ფარგლებში ადგილი არ აქვს მითითებას სავარაუდო დანაშაულზე.[4192] რაც შეეხება უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედების პერიოდს, ევროპული სასამართლოსათვის გადამწყვეტია, რამდენად აქვს სასამართლოს კიდევ რომელიმე ინსტანციას უფლებამოსილება, კონკრეტული საქმის ფარგლებში განიხილოს პირის ბრალეულობის საკითხი.[4193] ამდენად, უდანაშაულობის პრეზუმფცია აგრძელებს მოქმედებას გამოტანილი განაჩენის ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებისას.[4194] უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებას წყვეტს სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლით.[4195]

2106 უდანაშაულობის პრეზუმფციის ადრესატი, პირველ რიგში, სასამართლოა, რომელმაც საქმე არ უნდა განიხილოს და მტკიცებულებები შეაფასოს ბრალდებულის

[4185] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-33.

[4186] N3/1/633, 634 გადაწყვეტილება, II-31; N2/7/636 გადაწყვეტილება, II-31.

[4187] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-33.

[4188] იქვე, II-35.

[4189] Philips v. the United Kingdom (N41087/98; 5.7.2001).

[4190] Minelli v. Switzerland (N8660/79; 25.3.1983).

[4191] Lutz v. Germany (N9912/82; 25.8.1987).

[4192] Allen v. the United Kingdom (N25424/09; 12.7.2013).

[4193] Minelli v Switzerland.

[4194] Konstas v. Greece (N53466/07; 24.5.2011).

[4195] მაგალითად იხ.: Nölkenbockhoff v. Germany (N10300/83; 9.10.1985); Konstas v. Greece; BVerfGE 35, 202 (232); 71, 206 (216).

დამნაშავეობასთან დაკავშირებით წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით.[4196] ეს პრინციპი ბოჭავს სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელ ორგანოებსაც.[4197] მათ ეკრძალება ისეთი პოზიციების დაფიქსირება, რაც ბრალდებულის წინასწარ საჯარო მსჯავრდებად შეიძლება ჩაითვალოს.[4198] ამაში გამოიხატება უდანაშაულობის პრეზუმფციის გარე ფუნქცია, რომელიც საზოგადოებისკენაა მიმართული და აკისრებს სისხლისსამართ-ლებრივი დევნის მწარმოებელ ორგანოებს წინდახედულებისა და თავდაჭერის გამოჩენის ვალდებულებას არა მხოლოდ სასამართლო დარბაზში, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობისას.[4199] აქ იგულისხმება არა საზოგადოებ-რივი ინტერესის იგნორირება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებაზე, არამედ მისი დაკმაყოფილება უდანაშაულობის პრეზუმფციისა და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების ხელყოფის გარეშე.[4200] უდანაშაულობის პრეზუმფციის ადრესატების წრეს მიეკუთვნებიან ასევე სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებიც. მათ თავი უნდა შეიკავონ ისეთი გამონათქვამებისაგან, რომლებიც მიმართულია სასამართლოზე ზემოქმედებისაკენ ან საზოგადოებაზე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შესაბამისი პირის ბრალეულობის საკითხი უკვე გარკვეულია.[4201]

2107 უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ზოგადად, პროცესის სამართლიანობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების „მოსამართლის“ ან „პროკურორის“ როლში გამოსვლამ. მართალია, ისინი არ არიან პირდაპირ შეზღუდული ძირითადი უფლებებით, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმფცია ირიბად ზემოქმედებს მესამე პირებზე, რაც მასმედიისგანაც მოითხოვს მის პატივისცემას.[4202] სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური (დაცვის) ვალდებულება, განახორციელოს გონივრული საინფორმაციო პოლიტიკა მასმედიის მხრიდან პირის წინასწარი მსჯავრდებისა და შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევაში.[4203] უდანაშაუ-ლობის პრეზუმფციის ეს განზომილება განსაკუთრებით შეეხება სასამართლო პროცესის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას განვითარებული მოვლენების გაშუქებას.[4204]

2108 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს“. ეს კონსტიტუციური დანაწესი შეეხება სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის განაწილებას და მას ცალსახად აკისრებს ბრალდების მხარეს, რითაც ძლიერდება ბრალდებულის პოზიციები მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის ინტერესში.[4205] დაუშვებელია მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანა.[4206] ბრალდების მტკიცების მოვალეობის ბრალმდებელისათვის დაკისრება

[4196] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 180; Murray v. the United Kingdom (N18731/91; 8.2.1996).
[4197] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 181.
[4198] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 182; Daktaras v. Lithuania (N42095/98; 10.10.2000).
[4199] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 182.
[4200] Garycki v. Poland (N14348/02; 6.2.2007).
[4201] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 183.
[4202] Craxi v. Italy (N1) (N34896/97; 5.12.2002).
[4203] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 130; Y.B. and Others v. Turkey (N48173/99, 48319/99; 28.10.2004).
[4204] Bédat v. Switzerland.
[4205] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 424.
[4206] შეადარე მაგ.: Telfner v. Austria (N33501/96; 20.3.2001).

დაკავშირებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან და მისი დამხმარე საპროცესო გარანტიის როლს ასრულებს.[4207]

2109 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი აცხადებს, რომ „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ამ დანაწესს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძვლად განიხილავს, რადგანაც „სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები - ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად“.[4208] მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნების დამდგენი ეს ნორმა მჭიდროდ უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.[4209]

2110 ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების მიმართ კონსტიტუცია ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებით სტანდარტს. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ ტერმინთან „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ განმარტავს, რომ მას აქვს ავტონომიური მნიშვნელობა „..და გულისხმობს აქტს ან გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც იწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წაყენება.“[4210] რაც შეეხება „დასაბუთებულ ვარაუდს“, საკანონმდებლო დეფინიციის მიხედვით, ეს არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.“[4211] საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „მოცემული კონსტიტუციური დანაწესი მოითხოვს, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წარდგენა არ განხორციელდეს არსებითად მცდარი, გაყალბებული, არასაკმარისად სანდო ან მეტწილად საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე.“[4212]

2111 უტყუარობის სტანდარტის არსი გამოხატება კონსტიტუციის მოთხოვნაში, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს (და არა ვარაუდებს).[4213] ამ მტკიცებულებითი სტანდარტის მიზანია სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა[4214] და უდანაშაულო პირის მსჯავრდების პრევენცია.[4215] მას

[4207] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-32; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის N1/13/711 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8. შეადარე ასევე: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 177.

[4208] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

[4209] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-32.

[4210] N1/1/548 გადაწყვეტილება, II-22.

[4211] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

[4212] N1/1/548 გადაწყვეტილება, II-22.

[4213] იქვე, II-23.

[4214] N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-37.

[4215] N1/1/548 გადაწყვეტილება, II-2.

დიდი წვლილი შეაქვს მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება-გამყარებაში.[4216] საკონსტიტუციო სასამართლო უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის მოთხოვნებს მიაკუთვნებს: საეჭვო მტკიცებულებების დაუშვებლობას; ეჭვის გამორიცხვას მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ; საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების დადასტურებას მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც უტყუარად მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაცაა წარმოდგენილი.[4217] მტკიცებულებათა უტყუარობასა და სანდოობას განაპირობებს მათი შემოწმების შესაძლებლობა.[4218] მტკიცებულებათა შეფასება უნდა განხორციელდეს ფორმალური და შინაარსობრივი კუთხით, სხვადახვა საპროცესო კრიტერიუმების მიხედვით, რომელთა კუმულატიური არსებობა იძლევა ისეთი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, რომელიც ეფუძნება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ, დამაჯერებელ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას. „დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.“[4219]

2112 გონივრული ეჭვის ვერგამორიცხვის შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი in dubio pro reo - თუ ეჭვი ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, ის უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნაა,[4220] რომელიც უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს[4221] და იცავს პირს საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე მსჯავრდებისაგან.[4222] სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, „მაქსიმალურად უზრუნველყოს სისხლისსამართლებრივ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა იმგვარად, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობით, საბოლოო ჯამში, გაქარწყლდეს ყოველგვარი საფუძვლიანი, გონივრული ეჭვი განაჩენის უსამართლობისა და პირის ბრალეულობის შესახებ.“[4223]

1.2.2.6. განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა

2113 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი განამტკიცებს განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს (ne bis in idem) – „არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“. განმეორებით გასამართლებასა და მსჯავრდებას კრძალავს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14

[4216] შეადარე: იქვე, II-43-44.
[4217] N1/1/548 გადაწყვეტილება, II-7.
[4218] იქვე, II-11.
[4219] დეტალურად იხ.: N1/1/548 გადაწყვეტილება, II-41-43; N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-40-41.
[4220] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-77.
[4221] N1/1/548 გადაწყვეტილება, II-3.
[4222] N1/1/548 გადაწყვეტილება, II-2; N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-80.
[4223] N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-36.

მუხლის მე-7 პუნქტი. განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნაა. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაჭრით უარყო პოზიცია, რომელიც მას მსჯავრდებულის ნებაყოფილობითი ხასიათის პრივილეგიად განიხილავდა, რომლით სარგებლობაც მის სურვილზე იყო დამოკიდებული. მსჯავრდებულის სუბიექტური დამოკიდებულება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, რომ არ დაუშვას პირის ხელმეორედ მსჯავრდება ერთი და იმავე დანაშაულის გამო.[4224]

2114 განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა და მის ელემენტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კავშირი სამართლებრივ უსაფრთხოებასა და განსაზღვრულობასთან.[4225] „თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით, იმპერატიული მოთხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად აზრს მოკლებული ხდება“.[4226]

2115 სამართლებრივი სახელმწიფო კრძალავს სახელისუფლებო თვითნებობას ინდივიდის მიმართ. Ne bis in idem პრინიციპი თვითნებობისაგან დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა. შეიძლება გამოიყოს მისი რამდენიმე ასპექტი. სუბიექტური ასპექტი იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისაგან. ობიექტური ასპექტი ბოჭავს სახელმწიფო ორგანოებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით, ხოლო პროცესუალური ასპექტი გამოიხატება სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ განხორციელებაზე.[4227]

2116 განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.[4228] ზოგადად, საპროცესო უფლებებთან მას აერთიანებს ინდივიდუალური სამართლიანობის, როგორც სიკეთის, დაცვის მიზანი. ერთი და იგივე ქმედებისათვის პირის რამოდენიმე მსჯავრდება არღვევს მატერიალური სამართლიანობის პრინციპს. Ne bis in idem პრინციპი ასევე ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი სიკეთის - სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველყოფას, რადგანაც კრძალავს იმ უშედეგო ბრალდების განმეორებას, რამაც პირის მსჯავრდება არ გამოიწვია.[4229]

2117 საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს სამ ძირითად ელემენტს, რომელთა კუმულატიური არსებობის შემთხვევაში სახეზეა განმეორებითი მსჯავრდება: 1) პირის მიმართ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა; 2) პირის მსჯავრდება „განმეორებით“ (bis) და 3) პირის მსჯავრდება „ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ (idem).[4230]

[4224] შეადარე: N2/7/636 გადაწყვეტილება, II-23.

[4225] იქვე, II-5.

[4226] N3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-36.

[4227] იქვე, II-35.

[4228] მაგ.: Nikitin v. Russia (N50178/99; 20.7.2004).

[4229] მაგ.: BVerfGE 12, 62 (66).

[4230] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-9.

2118 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცედურა დასრულებულია, როდესაც არსებობს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.[4231] რელევანტურია, თუ რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილება საბოლოოდ. საკონსტიტუციო სასამართლო, განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის მიზნებისათვის, მსჯავრდებას დასრულებულად მიიჩნევს საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღებიდან. გარდა ამისა, პროცედურა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული პროცედურული საკითხების გადაწყვეტიდან. ამაში იგულისხმება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, ასევე დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის, შეწყალების ან ამინისტიის მიზეზით.[4232] ამასთან, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის მოქმედების სფეროში არ ექცევა სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება, თუ ადრე მიღებული იყო გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეჩერების შესახებ.[4233] საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოო ეფექტს (res judicata) იძენს, როდესაც მის მოქმედებას აქვს შეუქცევადი ხასიათი და აღარ არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობა.[4234] მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც სისხლის სამართალწარმოების დასრულებულად მიჩნევასთან დაკავშირებით.[4235]

2119 მსჯავრდება რომ „განმეორებითად“ ჩაითვალოს, საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმის გარკვევას, რამდენად ხდება პროცესის დუბლირება.[4236] ევროპული სასამართლოს პოზიციით, განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირის ერთხელ დასჯას მოჰყვება მის წინააღმდეგ მეორე სანქციის გამოყენება ან ანალოგიური ხარისხის მეორე პროცესის წარმართვა.[4237] აქედან გამომდინარე, კონვენცია არა მხოლოდ განმეორებით მსჯავრდებას, არამედ განმეორებით დევნასაც კრძალავს.[4238] ეს აკრძალვა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირველი სამართალწარმოება არა პირის მსჯავრდებით, არამედ გამამართლებელი განაჩენით დასრულდა.[4239] ევროპული კონვენცია ne bis in idem პრინციპს არ ავრცელებს და შესაბამისად, „განმეორებით“ მსჯავრდებად არ ითვლება საქმის წარმოების განახლება ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც საქმის წინარე განხილვა განხორციელდა არსებითი საპროცესო დარღვევებით, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე.[4240]

[4231] იქვე, II-13.

[4232] იქვე, II-15.

[4233] Müller v. Austria (N2) (N28034/04; 18.9.2008).

[4234] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-16.

[4235] Sinner S. (Bearb.), Kommentar zum Art.4 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 2, 7; Gradinger v. Austria (N15963/90; 23.10.1995); Franz Fischer v. Austria (N37950/97; 29.5.2001); Nikitin v. Russia; Sergey Zolotukhin v. Russia (N14939/03; 10.2.2009); Lucky Dev v. Sweden (N7356/10; 27.11.2014).

[4236] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-14.

[4237] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 164; Asadbeyli and Others v. Azerbaijan (N3653/05, 14729/05, 20908/05, 26242/05, 36083/05, 16519/06; 11.12.2012).

[4238] Sinner, Art.4 7.EMRKProt, Rn. 5.

[4239] Franz Fischer v. Austria.

[4240] მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

ამ მიდგომას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.[4241] ევროპული სასამართლო განმეორებით მსჯავრდებად ან გასამართლებად არ თვლის რამოდენიმე ეტაპიან სისხლის სამართალწარმოებას, რომელიც ერთ ინტეგრირებულ მთლიანობად შეიძლება იქნეს განხილული.[4242] კონვენცია წევრ სახელმწიფოებს არ უკრძალავს სამართალწარმოების მსგავსი გზით განხორციელებას.[4243] ამავდროულად, უნდა არსებობდეს საკმარისი საგნობრივი კავშირი სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებსა თუ პარალელურ სამართალწარმოებებს შორის.[4244] ევროპული კონვენცია კრძალავს განმეორებით მსჯავრდებასა და გასამართლებას ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში. მაშასადამე, ეს აკრძალვა სახელმწიფოთაშორისო სფეროში არ მოქმედებს.[4245] კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის შინაარსი და მიზანმიმართულება არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ის დაუშვებს პირის განმეორებით მსჯავრდებას საქართველოში იმ დანაშაულის გამო, რომელშიც მას უკვე დაედო მსჯავრი საზღვარგარეთ.

2120 „ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ მსჯავრდება მაშინ, როდესაც განმეორებითი ბრალდება ეფუძნება „იგივე ან არსებითად იგივე ფაქტობრივ გარემოებებს“, რომლებიც „განუყოფელი უნდა იყოს სივრცესა და დროში მოქმედების თვალსაზრისით და მიემართებოდეს ერთსა და იმავე ინდივიდს (ბრალდებულს).“[4246] საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის დაცულ სფეროში აქცევს შემთხვევებს, როდესაც „..პირი ერთსა და იმავე ადგილას დროის კონკრეტულ მონაკვეთში განხორციელებული ქმედების (ქმედებების) გამო დაექვემდებარება განმეორებით დევნას განსხვავებული სისხლისსამართლებრივი საფუძვლით, რომლის ქმედების შემადგენლობის ელემენტები (სუბიექტური (mens rea) და ობიექტური (actus reus) ელემენტები, დანაშაულის მიზნები, საჯარო და კერძო ინტერესების შეფასება) არსებითად მსგავსია პირვანდელი მსჯავრდებისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმისა და განმეორებით დევნას საფუძვლად არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები დაედო..“.[4247]

2121 განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ შემთხვევებით, რომლებიც ფორმალურად წარმოადგენს სისხლისსამართ-ლებრივი წესით მსჯავრდებას და პირისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების დაკისრებას. საკონსტიტუციო სასამართლო ტერმინებს „მსჯავრის დადება“ და „დანაშაული“ განმარტავს ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით. მართალია, ის მხედველობაში იღებს „კონკრეტული ქმედებისა თუ ღონისძიების სამართლებრივ კლასიფიკაციას, მის ადგილს კანონმდებლობაში“, მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს „იძულებითი ღონისძიების ბუნებას, მის რეალურ

[4241] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-17.

[4242] A and B v. Norway (N24130/11, 29758/11; 15.11.2016).

[4243] A and B v. Norway; Nodet v. France (N47342/14; 6.6.2019).

[4244] დეტალურად იხ.: Sinner, Art.4 7.EMRKProt, Rn. 4a; Kapetanios and Others v. Greece (N3453/12, 42941/12, 9028/13; 30.4.2015); A and B v. Norway; Bjarni Armannsson v. Iceland (N72098/14; 16.4.2019).

[4245] Baragiola v. Switzerland (N17265/90; 21.10.1993); Ipsilanti v. Greece (N56599/00; 6.3.2003); Trabelsi v. Belgium (N140/10; 4.9.2014).

[4246] N2/7/636 გადაწყვეტილება, II-13.

[4247] იქვე.

არსს და ასევე მისი სიმკაცრის ხარისხს“.[4248] აღსანიშნავია, რომ „სისხლის სამართლის წესით“ განმეორებით გასამართლებას ან დასჯას ასევე ფართოდ განმარტავს ევროპული სასამართლოც.[4249] მიუხედავად ამისა, ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით დაცულ სფეროში არ ხვდება შემთხვევები, როდესაც საქმე შეეხება:[4250] დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს,[4251] პროფესიული საქმიანობის აკრძალვას,[4252] ნებართვის გაუქმებას,[4253] მსჯავრდების შემდეგ დეპორტაციას ან ექსტრადიციას[4254] და ა.შ.

1.2.2.7. კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვა

2122 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვისა და პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპებს - „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ ეს პრინციპები ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე).

2123 კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპი კანონიერების პრინციპის ელემენტია[4255] და აერთიანებს ორ მოთხოვნას - „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ (nullum crimen sine lege) და „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“ (nulla poena sine lege). [4256] ის უზრუნველყოფს სამართლის საგარანტიო ფუნქციას და ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს პრაქტიკული რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველად,[4257] მის კონკრეტიზაციად.[4258] სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან შეუთავსებელია პირის დასჯა შესატყვისი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე.[4259] ეს არღვევს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპსაც (nulla poena sine culpa), რომლის წინაპირობაა, რომ პირმა უნდა იცოდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ.[4260]

[4248] დეტალურად იხ.: იქვე, II-10-11.

[4249] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 164; Asadbeyli and Others v. Azerbaijan.

[4250] დეტალურად იხ.: Sinner, Art.4 7.EMRKProt, Rn. 11.

[4251] Kurdov and Ivanov v. Bulgaria (N16137/04; 31.5.2011); Müller-Hartburg v. Austria (N47195/06; 19.2.2013). შეადარე ასევე: BVerfGE 21, 391 (401).

[4252] Mjelde v. Norway (N11143/04; 1.2.2007); Storbråten v. Norway (N12277/04; 1.2.2007); Haarvig v. Norway (N11187/05; 11.12.2007).

[4253] Palmén v. Sweden (N38292/15; 22.3.2016); Rola v. Slovenia (N12096/14; 4.6.2019).

[4254] Zehar v. France (N25408/94; 18.10.1995); Üner v. the Netherlands (N46410/99; 18.10.2006).

[4255] N3/2/416 გადაწყვეტილება, II-38.

[4256] იქვე.

[4257] N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, II-47.

[4258] Degenhart, GG, Art. 103, Rn. 53; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 103 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 3, 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 17; Schmidt-Aßmann E. (Bearb.), Kommentar zum Art. 103 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, seit 1958, Rn. 166.

[4259] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 425.

[4260] შეადარე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 920.

კანონიერების პრინციპი, ერთი მხრივ, ობიექტური საკონსტიტუციო სამართლის პრინციპია, ხოლო მეორე მხრივ, პირს ანიჭებს თავდაცვით უფლებას, რომლის გამოყენებითაც მას შეუძლია მსჯავრდების თავიდან აცილება.[4261]

2124 ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა და მისი ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომელიც მისი ჩადენის დროს მოქმედებს. ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად,[4262] „კანონი" ესმის მისი ფორმალური გაგებით, ანუ პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი - „მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებაა უფლებამოსილი, განსაზღვროს დასჯადი ქმედების შინაარსი და დააწესოს მისთვის პასუხისმგებლობა."[4263] ისეთი ქმედება შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას, რომლის დასჯადად განსაზღვრაში თანამონაწილეობა შეუძლიათ მოქალაქეებს მათ მიერ პარლამენტში არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.[4264] ევროპული სასამართლო, კონვენციის წევრი ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივი სისტემების სპეციფიკის გათვალისწინებით, „კანონს" უფრო ფართოდ განმარტავს და მას პრეცედენტულ სამართალსაც მიაკუთვნებს.[4265] გარდა ამისა, კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს პირის დასჯას საერთაშორისო სამართლის საფუძველზეც - ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად. „კანონი", მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქნება გაგებული, უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მოთხოვნებს. სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტი - სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი მოითხოვს, რომ ინდივიდს უნდა შეეძლოს ხელმისაწვდომი და მკაფიოდ განსაზღვრული კანონის საფუძველზე ქმედების მართლწინააღმდეგობის განჭვრეტა და თავისი ქმედების მისადაგება კანონის მოთხოვნებთან. ეს იცავს პირს თვითნებური სისხლისსამართლებრივი დევნის, ბრალდებისა და მსჯავრდებისაგან.[4266] დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება ანალოგიით ან ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე, ასევე სისხლისსამართლებრივი ნორმების ექსტენსიური განმარტება.[4267]

[4261] Ipsen, Grundrechte, Rn. 929; BVerfGE 71, 108; 87, 209; 92, 1.

[4262] BVerfGE 71, 108 (114); 75, 329 (341); 78, 374 (382).

[4263] მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N1/1/1558 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ლაშხი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-9.

[4264] Sinner S. (Bearb.), Kommentar zum Art. 7 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 11.

[4265] S.W. v. the United Kingdom (N20166/92; 22.11.1995); Kafkaris v. Cyprus (N21906/04; 12.2.2008); Plechkov v. Romania (N1660/03; 16.9.2014); Dallas v. the United Kingdom (N38395/12; 11.2.2016).

[4266] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1; N3/2/416 გადაწყვეტილება, II-38-39; N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II-47-52; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1-4; N3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-24; N3/1/633, 634 გადაწყვეტილება, II-11-12; N1/1/1558 გადაწყვეტილება, II-6; Streletz, Kessler and Krenz v. Germany (N34044/96, 35532/97, 44801/98; 22.3.2001); M. v. Germany.

[4267] შეადარე მაგ.: Sinner, EMRK, Art. 7, Rn. 4 ff., 11; Kokkinakis v. Greece; S.W. v. the United Kingdom; Coëme and others v Belgium; Streletz, Kessler and Krenz v. Germany; K.-H.W. v. Germany (N37201/97; 22.3.2001); E.K. v. Turkey (N28496/95; 7.2.2002); Custers and Others v. Denmark (N11843/03, 11847/03, 11849/03; 3.5.2007).

2125 კონსტიტუცია კრძალავს პასუხისმგებლობის დაკისრებას ზოგადად „ქმედებისათვის“, რომელიც მისი ჩადენისას სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპს მართებულად ავრცელებს არა მხოლოდ დანაშაულზე, არამედ ნებისმიერ სამართალდარღვევაზე, რომელიც სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სახელმწიფოს მიერ სანქციის გამოყენებას იწვევს.[4268]

2126 კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპის მოქმედების სფეროს ფარგლების გარკვევისათვის ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა იგულისხმება „პასუხისმგებლობაში“. ამავდროულად, ამ პრინციპის კონტექსტში არარელევანტურია ამა თუ იმ ქმედების დასჯადად გამოცხადების მიზანშეწონილობის საკითხი.[4269] თუ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი „ქმედებაში“ ნებისმიერ სამართალდარღვევას გულისხმობს, ბუნებრივია, რომ „პასუხისმგებლობის“ ცნებაც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო კონვენციის მე-7 მუხლში გამოყენებულ ტერმინს „სასჯელი“ ავტონომიური მნიშვნელობით განმარტავს. ამ მუხლის მოქმედების კონკრეტულ შემთხვევაზე გავრცელების საკითხის გადაწყვეტისას, ის ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომის მიზანს, მის ბუნებასა და ხასიათს ეროვნული სამართლის მიხედვით, დაკისრების პროცედურას, აღსრულებასა და სიმძიმეს.[4270] ამგვარი მიდგომის შედეგად, „სასჯელი“ არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ ადმინისტრაციულ და დისციპლინურ სანქციასაც მოიცავს, თუ შესაბამისი სამართალწარმოება შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ წარმოებად კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის.[4271] ევროპულმა სასამართლომ, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „სასჯელად“ არ ჩათვალა:[4272] სამოქალაქო სამართალწარმოების შედეგად დაკისრებული ზიანის ანაზღაურება;[4273] თავისუფლების აღკვეთა სამართალდარღვევის პრევენციისათვის;[4274] სასჯელაღსრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები;[4275] ბრძანება, რომელიც პირს ავალდებულებდა გენეტიკური მასალის ჩაბარებას დნმ-ის პროფილის შესაქმნელად და შესანახად;[4276] გაკოტრების მმართველის ლიცენზიის ჩამორთმევა;[4277] პირის შეტანა სქესობრივ დამნაშავეთა რეესტრში[4278] და ა.შ.

2127 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, როგორც აღვნიშნეთ, ადგენს პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპს. ამავდროულად, ის უშვებს გამონაკლისს იმ კანონისათვის, რომელიც ამსუბუქებს ან

[4268] N1/2/552 გადაწყვეტილება, II-6; N1/1/1558 გადაწყვეტილება, II-8.

[4269] შეადარე: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-33.

[4270] Welch v. the United Kingdom (N17440/90; 9.2.1995).

[4271] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 147; Brown v. the United Kingdom (N38644/97; 24.11.1998); Kurdov and Ivanov v. Bulgaria.

[4272] დეტალურად იხ.: Sinner, EMRK, Art. 7, Rn. 8, 308.

[4273] Fleischner v. Germany (N61985/12; 3.10.2019).

[4274] Lawless v. Ireland.

[4275] Grava v. Italy (N43522/98; 10.7.2003).

[4276] Van der Velden v. the Netherlands (N29514/05; 7.12.2006).

[4277] Rola v. Slovenia.

[4278] Gardel v. France (N16428/05; 17.12.2009).

აუქმებს პასუხისმგებლობას. უკუძალის აკრძალვა განიხილება, როგორც კანონიერების პრინციპის დროის კომპონენტი, რადგანაც ის სწორედ კანონის დროში მოქმედების სტანდარტებს ადგენს.[4279] ნდობის დაცვის სამართალსახელმწიფოებრივი პრინციპი მოითხოვს, რომ ინდივიდს უნდა ჰქონდეს ნდობა სამართლის მდგრადობისადმი დროში.[4280] ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ კანონებთან დაკავშირებით, რომლებიც ადგენენ ან ამძიმებენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას.[4281]

2128 უკუძალის აკრძალვის პრინციპით დაცული საგნობრივი სფეროს ფარგლების დადგენისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობს კონსტიტუცია ტერმინში „უკუძალა“, ანუ რა არის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით აკრძალული. ზოგადად, „უკუძალა“ კანონის მოქმედების გავრცელებაა მის ძალაში შესვლამდე დაწყებულ ურთიერთობებზე, თუმცა მისი დასაშვებობის კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ტიპის უკუძალაა სახეზე. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ნამდვილ (რეტროაქტიურ) და არანამდვილ (რესტროსპექტიურ) უკუძალას.[4282] ნამდვილი უკუძალის შემთხვევაში კანონი ვრცელდება მის ამოქმედებამდე დაწყებულ და დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე და ცვლის ამ ურთიერთობის სამართლებრივ შედეგებს. არანამდვილი უკუძალა სახეზეა, როდესაც კანონი, მართალია, შეეხება მის ძალაში შესვლამდე დაწყებულ ურთიერთობას, მაგრამ ეს ურთიერთობა არ არის კანონის ამოქმედების მომენტისათვის დასრულებული და არც მისი უკვე დამდგარი სამართ-ლებრივი შედეგები იცვლება.[4283] არანამდვილი უკუძალა, ძირითადად, კონსტიტუციურ-სამართლებრივად დასაშვებია, რადგანაც კონსტიტუცია და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ მოითხოვს კანონების, მათ შორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების, უცვლელობას.[4284] ნამდვილი უკუძალა, როგორც წესი, აკრძალულია, რადმდენადაც ის ეწინააღმდეგება სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის დაცვის სამართლებრივსახელმწიფოებრივ პრინციპებს.[4285]

2129 შემდეგი კითხვა, რასაც უნდა გაეცეს პასუხი კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაცულ სფეროზე მსჯელობისას, შეეხება იმას, თუ რა სახის კანონებზე ვრცელდება უკუძალის აკრძალვის პრინციპი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, უკუძალა არ აქვს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ სხვა სახის სამართლებრივი

[4279] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის N2/4/1365 გადაწყვეტილება საქმეზე „ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; Sinner, EMRK, Art. 7, Rn. 18.

[4280] Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (403); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 120.

[4281] Altmeyer, Vertrauensschutz im Recht der Europäischen Union und im deutschen Recht. Analyse und Vergleich anhand der Rechtsprechung des EuGH und der deutschen Fachgerichte, 2003, 109.

Robbers, GG, Art. 20, Rn. 2332.

[4282] მაგალითად იხ.: BVerfGE 11, 139 (145 f.); 101, 239 (263 f.); 103, 271 (287); 103, 392 (403); 105, 17 (36 f.); 109, 133 (180 ff.).

[4283] შეადარე: N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-6; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 76; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 78; Jarass, GG, Art. 20, Rn. 69; Mager, Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, 2009, 356 f.; Schnapp F. E. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012, Rn. 41.

[4284] შეადარე მაგ.: Fischer K., Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, Juristische Schulung, 9 (2001), 861 (863); Jarass, GG, Art. 20, Rn. 73; Mager, Staatsrecht I, 357; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2423; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 121; BVerfGE 103, 271 (287).

[4285] Mager, Staatsrecht I, 357; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2382.

პასუხისმგებლობის დამდგენ ან დამამძიმებელ კანონს.[4286] გერმანული თეორია და სასამართლო პრაქტიკაც მსგავს პოზიციაზეა და უკუძალის აკრძალვის ქვეშ აქცევს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობის, ასევე პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების მარეგულირებელ ნორმებს.[4287]

2130 უკუძალა არ აქვს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ კანონს. აქ ის შემთხვევები იგულისხმება, როდესაც ქმედება მისი ჩადენისას სამართალდარღვევად არ ითვლებოდა და ცხადია, მისთვის არც პასუხისმგებლობა იყო გათვალისწინებული. თუმცა, ქმედების ჩადენის შემდეგ ძალაში შევიდა კანონი, რომელმაც ის სამართალდარღვევად გამოაცხადა, მისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დაადგინა და ამ კანონის მოქმედება გავრცელდა მის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე. აქ აშკარაა მჭიდრო კავშირი უკუძალის აკრძალვისა და კანონის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპებს შორის. უკუძალა ასევე არ შეიძლება მიენიჭოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ კანონს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად, კანონი, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, მათ შორის მის ამოქმედებამდე ჩადენილი ქმედებებისათვის.[4288]

2131 როდესაც კანონი ითვალისწინებს ახალ სანქციას ან ამკაცრებს უკვე არსებულს, მისი კლასიფიცირება პასუხისმგებლობის დამდგენ ან დამამძიმებელ კანონად შედარებით ადვილია, მაგრამ ამოცანა რთულდება სხვა შემთხვევებში, როდესაც ამ საკითხის გადაწყვეტა შესაბამისი კანონის სიღრმისეულ ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. ამის მაგალითია კანონი, რომელიც ადგენს ცვლილებებს პირობით მსჯავრთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ პირობითი მსჯავრი მოაქცია უკუძალის აკრძალვის პრინციპის მოქმედების სფეროში მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი მოწესრიგებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით. მან უარყო მოსაზრება, რომ უკუძალის აკრძალვის პრინციპი არ ვრცელდებოდა ზოგად ნაწილზე და ყურადღებით გაანალიზა პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი. პირობითი მსჯავრი აქცესორული ხასიათის იყო სასჯელთან მიმართებით და ორგანულად უკავშირდებოდა მას. სასჯელი არა მხოლოდ კონკრეტულ სანქციაში, არამედ მისი რეალიზაციის ფორმაშიც გამოიხატებოდა. პირობითი მსჯავრი, როგორც სასჯელის რეალიზაციის ფორმა, დანაშაულის ჩამდენ პირს აძლევდა სასჯელის ან მისი ნაწილის თავიდან აცილების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ დანაშაულისათვის პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობის გაუქმება სპობდა სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს არსებობდა და შესაბამისად, წარმოადგენდა პასუხისმგებლობის არაპირდაპირ დამძიმებას.[4289] „სასჯელი“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ არის სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლებაც. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ „სასჯელად“ ჩათვალა ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის რეტროაქტიური შეცვლა, რამაც პირის თავისუფლების აღკვეთის ვადა გაახანგრძლივა. მან ჩათვალა, რომ საქმე შეეხებდა არა

[4286] N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-4; N1/2/552 გადაწყვეტილება, II-6; N3/1/633, 634 გადაწყვეტილება, II-15.
[4287] Kunig, Rechtsstaatsprinzip, 417; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 164; BVerfGE 26, 186 (203 f.).
[4288] Ecer and Zeyrek v. Turkey (N29295/95, 29363/95; 27.2.2001); Gabarri Moreno v. Spain (N68066/01; 22.7.2003).
[4289] დეტალურად იხ.: N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-31-33.

მარტო განაჩენის აღსრულებას, არამედ სასჯელის ზომასაც.[4290] ევროპულმა სასამართლომ მსგავსი მიდგომა ასევე ჩამოაყალიბა საქმეზე, რომელიც შეეხებოდა სასჯელთა შეკრების წესის რეტროაქტიურ გამოყენებას.[4291]

2132 განსხვავებული მიდგომები არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადაზე უკუძალის აკრძალვის პრინციპის გავრცელებასთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა. მისი აზრით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, პირის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ფართო გაგებით ნიშნავდა, რომ მისი ქმედება აღარ იყო დანაშაულებრივი. აქედან გამომდინარე, ახალი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება იმ ქმედებაზე, რომლის მიმართაც ძველი ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას წარმოადგენდა.[4292] განსხვავებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია. მან განაცხადა, რომ ქმედების დასჯადობა იყო მისი სისხლისსამართლებრივი დევნის წინაპირობა. მართალია, ქმედების დასჯადობის გაუქმებით მისი სისხლისსამართლებრივი დევნა წყდებოდა, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დევნის შეწვეტით დასჯადი ქმედება არ კარგავდა მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ხანდაზმულობის ვადების დამდგენი ნორმები აწესრიგებდა, თუ რა ვადის განმავლობაში შეიძლება განხორციელებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ამდენად, ისინი შეეხებოდა ქმედების დევნადობის და არა დასჯადობის, ანუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.[4293] ეს მიდგომა ხანდაზმულობის ვადების თემას კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასების მიღმა არ ტოვებს, რადგანაც ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს სამართლებრივი მდგომარეობის დამამძიმებელი კანონის უკუძალასთან დაკავშირებული ზოგადი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი წესების გამოყენება.[4294] ევროპული სასამართლო კონვენციის მე-7 მუხლის მოქმედებას არ ავრცელებს საპროცესო ნორმებზე[4295] და ზოგადად, არ კრძალავს ხანდაზმულობის ვადების გახანგრძლივებას.[4296] თუმცა, კონვენციის დარღვევად ითვლება შემთხვევა, როდესაც კანონი იძლევა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობას, ანუ რეტროაქტიურად აღადგენს ხანდაზმულობის ვადას.[4297]

2133 მართალია, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 მუხლი პირდაპირ არ ადგენს, მაგრამ მისი განმარტებისას გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-

---

[4290] Del Rio Prada v. Spain (N42750/09; 21.10.2013).

[4291] Koprivnikar v. Slovenia (N67503/13; 24.1.2017).

[4292] N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-23-24. განსხვავებული პოზიცია იხ.: ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, 2017, 115 (120-121).

[4293] BVerfGE 25, 269 (286 f.).

[4294] ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (120); Heyde, Rechtsprechung, 1579 (1613); Kunig, Rechtsstaatsprinzip, 417; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2518; Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, 2007, 120 f.

[4295] Bosti v. Italy (N43952/09; 13.11.2014).

[4296] Schertenleib v. Switzerland (N14938/89; 1.7.1992); Coëme and others v Belgium.

[4297] Coëme and others v Belgium.

7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი უკუძალის აკრძალვის პრინციპიდან. კერძოდ, ეს პრინციპი არ ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომელიც მათი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად. აქ იგულისხმება დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული, გენოციდი, აგრესიის დანაშაული, მეკობრეობა, ტრეფიკინგი და ტერორიზმის განსაზღვრული გამოვლინებები.[4298] ევროპულ კონვენციაში ამ გამონაკლისის ასახვა განაპირობა ნიურნბერგისა და მომდევნო სასამართლო პროცესებმა, სადაც მოხდა მეორე მსოფლიო ომის მთავარ დამნაშავეთა გასამართლება 1945-1949 წლებში.[4299]

2134

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან გამომდინარე, უკუძალა შეიძლება ჰქონდეს კანონს, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. უკუძალის აკრძალვის მსგავსად, ეს ნორმაც მხოლოდ იმ კანონებზე ვრცელდება, რომლებიც სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს არეგულირებენ.[4300] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუცია არ მოითხოვს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონისათვის უკუძალის სავალდებულო მინიჭებას. სახელმწიფოს ამ კუთხით თავისუფალი მიხედულების სფერო ენიჭება, ხოლო პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების ვალდებულება მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ამ კანონის მიღება საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებებამდე არსებული პასუხისმგებლობის ზომის საჭიროების, აუცილებლობის არარსებობითაა ნაკარნახევი.[4301] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გარკვეულ კითხვებს აჩენს. პასუხისმგებლობის შემსუბუქება ან გაუქმება, თავისი არსითა და შედეგებით, ყოველთვის ჰუმანური აქტია, მიუხედავად იმ მოტივაციისა, რაც მას საფუძვლად დაედო. ამ ნაბიჯით სახელმწიფო გამოხატავს, რომ აღარ არსებობს სანქციის მუქარის საშუალებით დასაცავი სიკეთე ან შედარებით მკაცრი სანქციით მისი დაცვის აუცილებლობა. დისკრიმინაციული და თვითმიზნური იქნება იმის დაშვება, რომ სანქციის გამოყენებით დასაცავი სიკეთე განაგრძობს არსებობას ან მკაცრი სანქციის გამოყენება უნდა გაგრძელდეს პირთა ნაწილის მიმართ მხოლოდ იმის გამო, რომ მათ სამართალდარღვევა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი/შემამსუბუქებელი კანონის მიღებამდე ჩაიდინეს.[4302] აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპული სასამართლოს ბოლო პერიოდის პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის მე-7 მუხლიდან გამომდინარეობს უკუძალით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების ვალდებულება.[4303] ეს ვალდებულება არ მოქმედებს, თუ პასუხისმგებლობის გაუქმება არ არის კანონმდებლის ნების შედეგი, მაგალითად, როდესაც სასჯელის გაუქმება ან შემსუბუქება გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნორმის გაუქმებამ და საკანონმდებლო ვაკუუმის გაჩენამ.[4304]

[4298] Sinner, EMRK, Art. 7, Rn. 27.

[4299] იქვე, Rn. 28.

[4300] დეტალურად იხ.: N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II, 76-82.

[4301] დეტალურად იხ.: N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II-58, 65-66, 71; N3/1/608, 609 გადაწყვეტილება, II-25, 30-31; N3/1/633, 634 გადაწყვეტილება, II-18, 20, 34, 36-37; N2/4/1365 გადაწყვეტილება, II-3, 7.

[4302] შეადარე: ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (128-129).

[4303] Sinner, EMRK, Art. 7, Rn. 18; Scopolla v. Italy (N2) (N10249/03; 17.9.2009); Gouarré Patte v. Andorra (N33427/10; 12.1.2016).

[4304] Ruban v. Ukraine (N8927/11; 12.7.2016).

2135 უკუძალა შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ, არამედ პირის სამართლებრივი მდგომარეობის სხვაგვარად გამაუარესებელ ან გამაუმჯობესებელ კანონს. მნიშვნელოვანია ამგვარი კანონების კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოქმედების სფეროში მოქცევს საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეული მიდგომა ამას უარყოფდა,[4305] თუმცა შემდგომ მან შეცვალა თავისი პოზიცია. ახალი მიდგომის მიხედვით, 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდება კანონზე, რომელიც „..წარსულში წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგებას ისახავს მიზნად (ან ასეთი თანმდევი ეფექტი გააჩნია)".[4306] საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა და კონსტიტუციის ამ ნორმის მოქმედების ფარგლებში უფლების (შეღავათის) დამდგენი კანონების უკუძალის საკითხიც მოაქცია.[4307] აღნიშნული პოზიცია საკამათოა, რადგანაც კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, მისი ლოკაციიდან, შინაარსიდან და მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი (დამამძიმებელი) ან გამაუქმებელი (შემამსუბუქებელი) ნორმების უკუძალის საკითხის შეეხება და არ იძლევა საგნობრივი დაცული სფეროს სხვა მიმართულებით გაფართოვების შესაძლებლობას.[4308] ეს არ ნიშნავს, რომ უკუძალით მოქმედი სხვა კანონები საკონსტიტუციო კონტროლის მიღმაა დარჩენილი.[4309] თუ ისინი (სავარაუდოდ) ხელყოფენ რომელიმე ძირითად უფლებას, კონსტიტუციურობის შემოწმება სწორედ ამ უფლებასთან მიმართებით უნდა განხორციელდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში, რომელიც მოითხოვს ნდობის დაცვის პრინციპის პატივისცემას, განჭვრეტად და პროგნოზირებად მოქმედებას კანონმდებლისაგან.[4310]

1.2.2.8. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები

2136 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურდიული ძალა არ აქვს. სხვა საპროცესო უფლებების მსგავსად, ეს ნორმაც მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რომელიც სახელმწიფოს ისეთი მტკიცების წესის შემუშავებას ავალდებულებს, რაც საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას და პირის სამართლიან მსჯავრდებას უზრუნველყოფს.[4311] იცავს რა პირს სახელმწიფოს მიერ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების მის წინააღმდეგ გამოყენებისაგან, 31-ე მუხლის მე-10 პუნქტი ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი

[4305] საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 29 ოქტობრის N2/16/201 განჩინება საქმეზე „მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 1-2.

[4306] N1/2/552 გადაწყვეტილება, II-4.

[4307] იქვე, II-8-9.

[4308] შეადარე: ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (116-117).

[4309] იქვე, 115 (118-119).

[4310] შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 345; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 76; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2337; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 294.

[4311] დეტალურად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლი 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1-2.

ელემენტის - მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფას სისხლის სამართლის პროცესში.[4312]

2137 საკონსტიტუციო სასამართლო კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების აკრძალვის მიზანს ხედავს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში, პროცესის მონაწილეთა ძირითადი უფლებების დაცვაში, მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებისა და პროცესის მონაწილეების ნდობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებაში, „რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მთლიანად პროცესის სამართლიანობას და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების რეალიზაციას.“[4313]

2138 მტკიცებულების მოპოვების სამართლებრივი საფუძველი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული ხერხი კი - როგორც კონსტიტუციას, ასევე კანონს. თუ არ არსებობს მტკიცებულებების მოპოვების კონსტიტუციურ სტანდარტებზე დაფუძნებული და ძირითად უფლებებთან შესაბამისი, მკაცრი საკანონმდებლო რეგულირება, იქმნება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თვითნებობის საფრთხე.[4314] საკონსტიტუციო სასამართლო ტერმინს „მოპოვება“ განმარტავს მისი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით. 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული გარანტიის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მან მოიცვას ყველა ურთიერთობა, „რომელიც უკავშირდება მტკიცებულების მოპოვების მიზნით უფლებამოსილი ორგანოების მიერ ინფორმაციის შემცველი ობიექტების მიღების პროცესს. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური დაცვა გავრცელდება მხოლოდ კონკრეტულ ეტაპზე ან მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებზე და არა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელიც მოიპოვებს მტკიცებულებას, წარმოიშობა თვითნებობისა და კონსტიტუციური გარანტიის არაეფექტიანობის საფრთხე.“[4315]

2139 დაუშვებელია კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება არა მხოლოდ პირის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების, არამედ დევნის საფუძვლადაც.[4316] ამასთან, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის მოქმედება ვერ გავრცელდება იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც, მართალია, ფორმალურად, კანონის დარღვევითაა მოპოვებული, მაგრამ გამორიცხავს პირის დევნას/მსჯავრდებას ან სხვაგვარად აუმჯობესებს მის მდგომარეობას. თუ მტკიცებულება კანონდარღვევით თვით ბრალდებულმა ან სხვა კერძო პირმა მოიპოვა, მის გამოყენებას ვერ შეზღუდავს მე-10 პუნქტი, თუნდაც მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ მისი ადრესატი სახელმწიფოა და არა კერძო პირები. რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოთა მიერ კანონის დარღვევით მოპოვებულ, ბრალდებულისათვის სასარგებლო მტკიცებულებებს, მათი დაუშვებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა მე-10 პუნქტის არსთან და მიზნებთან, რაზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება.

[4312] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 425.
[4313] N2/2/579 გადაწყვეტილება, II-4.
[4314] იქვე, II-3.
[4315] იქვე, II-19.
[4316] იქვე, II-1.

1.2.2.9. თვითინკრიმინაციისაგან დაცვა

2140 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი პირს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით. ამით გარანტირებულია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია (nemo tenetur) და თავისუფლება კანონით განსაზღვრულ ახლობელთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან.[4317]

2141 საკონსტიტუციო სასამართლო თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას სამართლიან სასამართლოზე უფლების ფუნდამენტურ კომპონენტად მიიჩნევს, რომელიც იცავს პირს ვალდებულებისა და იძულებისაგან, მისცეს მაინკრიმინირებელი ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ის ასევე უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციას, დაცვის უფლებას, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპსა და ღირსების უფლებას - „დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ იგი თავად უნდა იყოს ის მიზანი, ორიენტირი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით.“[4318]

2142 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მართალია, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ ევროპული სასამართლო მას სამართლიან სასამართლოზე უფლების ორგანულ ნაწილად თვლის.[4319] დაუშვებელია ბრალდებულის ინსტრუმენტალიზაცია საკუთარი თავის წინააღმდეგ და მისი ე.წ. „სასტიკი ტრილემის“ წინაშე დაყენება, რაც გულისხმობს იძულებით არჩევანს თვითინკრიმინაციას, ცრუ ჩვენებასა და სასამართლოსადმი უპატივცემულობას შორის.[4320] Nemo tenetur-ი, სუბიექტურ უფლებასთან ერთად, სამართლებრივსახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის პროცესის ელემენტარულ სტრუქტურულ პრინციპადაა აღიარებული. ევროპული სასამართლო მას აკავშირებს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.[4321]

2143 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი სიტყვასიტყვით მხოლოდ „ჩვენების“ მიცემას შეეხება. მნიშვნელოვანია, რამდენად ვრცელდება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ბრალდების მხარისათვის საკუთარი თავის წინააღმდეგ სხვა მტკიცებულებების მიწოდების დავალდებულებაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ნორმას. ის ავალდებულებდა პროცესის მონაწილეს, რომ გამომძიებელისა და პროკურორისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია თავისი ინიციატივითა და ხარჯებით ჩატარებული ექსპერტიზის ფარგლებში დასმული კითხვებისა და ექსპერტიზის შედეგების შესახებ. სასამართლოს პოზიციით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია შეეხებოდა

[4317] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-40.

[4318] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-41. შეადარე ასევე: N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-9.

[4319] შეადარე მაგ.: Esser, EMRK, Art. 6, Rn. 880; Saunders v. the United Kingdom (N19187/91; 17.12.1996); O'Halloran and Francis v. the United Kingdom (N15809/02, 25624/02; 29.6.2007).

[4320] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 140.

[4321] Funke v. France (N10828/84; 25.2.1993); Murray v. the United Kingdom; Saunders v. the United Kingdom.

მტკიცებულების მხოლოდ ერთ სახეს - ჩვენებას და არა ექსპერტის დასკვნას.[4322] მას მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ექსპერტის დასკვნაც შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის გამოყენება ბრალდებულის საწინააღმდეგოდაა შესაძლებელი. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის არსი, მიზანი და ფაქტობრივად მხოლოდ გრამატიკული განმარტებით შემოიფარგლა.[4323] ეს გადაწყვეტილება ერთხმად არ მიღებულა და მოსამართლის განსხვავებულმა აზრმა მართებულად მიუთითა, რომ სიტყვასიტყვითი განმარტება არასწორი იყო და ფორმალური მიდგომა ვერ გამოდგებოდა ძირითადი უფლებების ეფექტიანად დასაცავად.[4324] აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო თვითინკრიმინაციისაგან დაცვაში, გარდა ჩვენების საშუალებით პირდაპირი თვითინკრიმინაციისა, ასევე იმ მონაცემების მიწოდებისაგან თავის შეკავების უფლებასაც მოიაზრებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ბრალდებულის წინააღმდეგ.[4325]

2144 თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ახდენს რა დუმილისა და ჩვენების მიცემის უფლებებს შორის თავისუფალი არჩევანის გარანტირებას,[4326] ვრცელდება მხოლოდ პირის ნებაზე ზემოქმედების შედეგად ჩვენების მიცემაზე და არა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბრალდებული ნებაყოფლობით, იძულების ან ზეწოლის გარეშე აძლევს ჩვენებას.[4327] აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად არ ავრცელებს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემაზე და უარყოფს 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის ისეთ განმარტებას, „რომლის შედეგადაც, ბრალდებული აღიჭურვებოდა ცრუმოწმეობის უფლებით“.[4328]

2145 ევრპული სასამართლოს პოზიციით, დუმილის უფლება აისახება სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების ვალდებულებაში, არ გამოყენონ იძულების ან ზეწოლის საშუალებები ბრალდებულის თავისუფალ ნებაზე ზემოქმედებისათვის.[4329] Nemo tenetur-ის პრინციპი გამორიცხავს ისეთი მტკიცებულებების გამოყენებას, რაც მიღებული იქნა ბრალდებულის (ფიზიკური) იძულების ან სხვაგვარი ზეწოლის შედეგად.[4330] ბრალდებულის უფლება სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელ ორგანოებთან თანამშრომლობაზე წარმოადგენს Nemo tenetur-ის პრინციპის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას. ის არ არის ვალდებული, რომ აქტიურად ითანამშრომლოს ამ ორგანოებთან,[4331] მაგალითად სავალდებულო წესით მიაწოდოს მათ დოკუმენტაცია.[4332]

[4322] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 5.

[4323] Loladze, Rechtsstaatsprinzip, 289.

[4324] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლამარა ჩორგოლაშვილის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილებაზე საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2.

[4325] Saunders v. the United Kingdom; Zaichenko v. Russia (N39660/02; 18.2.2010).

[4326] შეადარე ასევე: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 142.

[4327] დეტალურად იხ.: N1/4/809 გადაწყვეტილება, II-42; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-10.

[4328] N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-24.

[4329] Saunders v. the United Kingdom; Heaney and McGuinness v. Ireland (N34720/97; 21.12.2000).

[4330] Funke v. France; Murray v. the United Kingdom; Saunders v. the United Kingdom; J.B. v. Switzerland (N31827/96; 3.5.2001); Allan v. the United Kingdom (N48539/99; 5.11.2002); Jalloh v. Germany (N54810/00; 11.7.2006).

[4331] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 142.

[4332] Funke v. France; J.B. v. Switzerland.

2. ჩარევა საპროცესო უფლებებში

2.1. საპროცესო უფლებებში ჩარევის დასაშვებობა

2146 კონსტიტუციის 31-ე მუხლი უფლებათა ფართო სპექტრს მოიცავს. მათი ნაწილი არ არის აბსოლუტური ხასიათის, ანუ ჩარევა შესაძლებელია, ხოლო ნაწილში კი ჩარევა დაუშვებელია. ჩარევის დაუშვებლობა არ გამორიცხავს, რომ პრაქტიკაში, შეიძლება, შესაბამისი უფლების შეზღუდვა განხორციელდეს, მაგრამ ის a priori არაკონსტიტუციური იქნება და ვერ დაექვემდებარება გამართლებას. ჩარევის დასაშვებობა არ ნიშნავს, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში კონსტიტუციასთან იქნება შესაბამისობაში. ეს საკითხი კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების გზით უნდა გაირკვეს.

2147 მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი შეზღუდვის შესაძლებლობას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, უფლებას სამართლიან სასამართლოზე არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. ის ვერ იარსებებს პროცესუალურსამართლებრივი წესრიგისა და შესაბამისი საკანონმდებლო გაფორმების გარეშე, რაც კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესატყვისი ჩარევების განხორციელებასაც გულისხმობს და შეიძლება შეეხებოდეს უფლების რეალიზაციის წინაპირობებს, ვადებსა თუ სხვა მოთხოვნებს.[4333] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეზღუდვას შეიძლება დაექვემდებაროს სამართლიან სასამართლოზე უფლების ისეთი კომპონენტები, როგორიცაა სასამართლოზე ხელმისაწვდომობა,[4334] საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა,[4335] სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრება,[4336] მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა[4337] და საქმის დროული განხილვა.[4338]

2148 სამართლიან სასამართლოზე უფლება არც ევროპული კონვენციითაა აბსოლუტურად გარანტირებული. ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ცნობილია ამ უფლების სხვადასხვა შეზღუდვები, მაგალითად: მოთხოვნები სარჩელის/საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, სარჩელის/საჩივრის შეტანა დადგენილი ფორმით, გასაჩივრებისა და სხვა საპროცესო ვადები, ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა,

---

[4333] შეადარე მაგ.: N1/3/161 გადაწყვეტილება; N2/6/205,232 გადაწყვეტილება, 2; N2/6/264 გადაწყვეტილება, 2; N1/1/403,427 გადაწყვეტილება, II-10; N1/2/434 გადაწყვეტილება, II-1; N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-2; N1/466 გადაწყვეტილება, II-15; N3/1/531 გადაწყვეტილება, II-3; N2/2/558 გადაწყვეტილება, II-6; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-145; N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-11; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-17, 46; N2/5/879 გადაწყვეტილება, II-23; N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-12; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-19; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-19; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-52; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-15; Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 45 ff., 64 ff.; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 134; Heyde, Rechtsprechung, 1579 (1602); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 411; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (489); Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 63; Papier, Justizgewähranspruch, 491 (498 f.); Schenke, Justizgewähr, 953, 957 ff.; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (582); Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2573); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 212; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 129; BVerfGE 33, 367 (383); 47, 239 (247 f.); 51, 324 (343); 93, 99 (107).

[4334] N1/3/638 გადაწყვეტილება, II-20.

[4335] N3/2/574 გადაწყვეტილება, II-65; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-17; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-20; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-16.

[4336] N2/7/779 გადაწყვეტილება, II-10.

[4337] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-28; N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-103.

[4338] N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-15.

წინასასამართლო პროცედურები, სარჩელის ბოროტად გამოყენებისა და actio popularis-ის წინააღმდეგ მიმართულ მექანიზმები და ა.შ.[4339] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს დასაშვებ გამონაკლისს ზემდგომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლებიდან, კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც: (1) სახეზეა მცირე მნიშვნელობის დანაშაული, (2) თუ პირი პირველი ინსტანციის წესით გასამართლებულია უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ანდა (3) მას ხელახლა დაედო მსჯავრი მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად. დანაშაულის „მცირე მნიშვნელობის" მქონედ შეფასება დაკავშირებულია იმ სასჯელთან, რაც მისი ჩადენისთვისაა განსაზღვრული. ამ კატეგორიაში ვერ შევა ის დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.[4340] სხვა სახის სანქციების, მაგალითად, ჯარიმის გამოყენება, შეიძლება ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის მქონედ.[4341] უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ, პირველი ინსტანციის წესით, ძირითადად მაღალი რანგის თანამდებობის პირთა საქმეები განიხილება, თუ ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასევე არ გამოირიცხება ამავე წესით სხვა საქმეების განხილვაც, მათი ბუნებიდან გამომდინარე.[4342] რაც შეეხება მესამე გამონაკლისს, აქ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც გამამართლებელ განაჩენს ბრალდების მხარე ზედა ინსტანციაში ასაჩივრებს, ხდება მისი გადასინჯვა და პირის მსჯავრდება. მისი არსი იმაშია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები უკვე შემოწმებულია ორ სასამართლო ინსტანციაში და აღარ საჭიროებს დამატებით გადამოწმებას.[4343]

2149 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი კანონისმიერ სასამართლოზე უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას პირდაპირ არ ითვალისწინებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეს უფლება შეზღუდვას არ ექვემდებარება, რადგანაც მასზე არ ვრცელდება კანონის დათქმა.[4344] იქედან გამომდინარე, რომ კონსტიტუცია კრძალავს საგანგებო სასამართლოების შექმნას,[4345] ცალსახად დაუშვებელია კანონისმიერ სასამართლოზე უფლებაში ჩარევა მათი შექმნის გზით. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც საგანგებო სასამართლო, მართალია, ფორმალურად არ იქმნება, მაგრამ სახელმწიფოს აქტი ან მოქმედება, თავისი არსით, შეიძლება გაუთანაბრდეს ამგვარი სასამართლოს შექმნას.

2150 დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა. საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს მის შეზღუდვას

[4339] დეტალურად იხილე მაგ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 64; Ashingdane v. the United Kingdom; Janosevic v. Sweden (N34619/97; 10.5.2001); Stankov v. Bulgaria (N68490/01; 12.7.2007); Mendel v. Sweden (N28426/06; 7.4.2009); Davran v. Turkey (N18342/03; 3.11.2009); Zavodnik v. Slovenia (N53723/13; 21.5.2015); Tsezar and Others v. Ukraine (N73590/14, 73593/14, 73820/14, 4635/15, 5200/15, 5206/15, 7289/15; 13.2.2018).

[4340] Grecu v. Romania.

[4341] Putz v. Austria (N18892/91; 22.2.1996).

[4342] Sinner, Art.2 7.EMRKProt, Rn. 12.

[4343] შეადარე: იქვე, Rn. 10.

[4344] შეადარე: Ipsen, Grundrechte, Rn. 907.

[4345] კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

„დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად“.[4346] ცხადია, დაცვის უფლებაში ჩარევა ექვემდებარება მკაცრ კონტროლს, კონსტიტუციასთან ფორმალური და მატერიალური შესაბამისობის კუთხით.

2151 როგორც საგნობრივ დაცულ სფეროზე მსჯელობისას მივუთითეთ, ბრალდებულის უფლება, მოითხოვოს თავისი მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა, მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოხატულებაა. მხარეთა თანასწორობა შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. აქედან გამომდინარე, ბრალდებულის ზემოაღნიშნული უფლებაც არ არის აბსოლუტური ხასიათის.[4347] მას შეუზღუდავ უფლებად არ თვლის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.[4348]

2152 უდანაშაულობის პრეზუმფცია არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მასში კონსტიტუციის შესაბამისი ჩარევა განხორციელდეს. დაუშვებელია მტკიცების ტვირთის გადატანა ბრალდებულზე და მისთვის ვალდებულების დაკისრება, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. კონსტიტუცია ასევე არ ითვალისწინებს შეზღუდვის შესაძლებლობას დასაბუთებული ვარაუდის, უტყუარობის სტანდარტებისა და ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპის შემთხვევაში. მაგალითად, თუ სადავო ნორმა უშვებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას არაუტყუარი მტკიცებულებების გამოყენებას, საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად ჩარევის იდენტიფიცირებით შემოიფარგლება და კონსტიტუციურობის შემდგომი შემოწმების გარეშე აცხადებს მას არაკონსტიტუციურად.[4349] მსგავსი მიდგომაა იმ შემთხვევებშიც, როდესაც გასაჩივრებული ნორმა და კანონმდებლობა ვერ აზღვევს არასანდო მტკიცებულების გამოყენებით პირის მსჯავრდების რისკებს.[4350]

2153 იმპერატიული ხასიათისაა განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი, სამართალწარმოების განახლების შესაძლებლობას უშვებს ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი გარემოებების გამო ან თუ გამოვლინდა სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე.[4351] მსგავს გამონაკლისს ითვალისწინებს კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც განიხილება ne bis in idem პრინციპის იმანენტურ ზღვრად, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სამართლიანობას სამართლებრივ უსაფრთხოებასთან მიმართებით.[4352]

2154 კანონიერების პრინციპში ჩარევის დადგენის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მას არაკონსტიტუციურად აცხადებს კონსტიტუციურსამართლებრივი

[4346] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-17. შეადარე ასევე: N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-11; N1/3/638 გადაწყვეტილება, II-20.

[4347] შეადარე: N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-103.

[4348] მაგ.: Dorokhov v. Russia (N66802/01; 14.2.2008).

[4349] N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-92.

[4350] იქვე, II-110.

[4351] N3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-36.

[4352] Sinner, Art.4 7.EMRKProt, Rn. 13.

შემოწმების გაგრძელების გარეშე.[4353] აქედან გამომდინარე, ის ამ პრინციპის შეზღუდვას დაუშვებლად მიიჩნევს.[4354] მართალია, პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონების უკუძალის აკრძალვა იმპერატიული ხასიათისაა,[4355] მაგრამ აქაც გასათვალისწინებელია ევროპული კონვენციით დადგენილი გამონაკლისი, რაზეც უკვე გამახვილდა ყურადღება დაცულ სფეროზე მსჯელობისას. საკონსტიტუციო სასამართლო აბსოლუტურად არ მიიჩნევს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების უფლებას.[4356] გარდა ამისა, ის მოცემულობაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოქმედების სფეროში ისეთი ნორმების უკუძალასაც აქცევს, რომლებიც პასუხისმგებლობას არ შეეხებიან. ამ შემთხვევაში უკუძალის აკრძალვა ნაკლებად კატეგორიულია და გამონაკლისებსაც უშვებს.

კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობიდან გამონაკლისებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია წინააღმდეგობრივია. ის, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს, რომ შეუძლებელია მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვების გამართლება, თუნდაც ეს განპირობებული იყოს განსაკუთრებით მძიმე ან ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებით. „წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელება გასცდება კანონის ჩარჩოებს და გადაიქცევა შეუზღუდავი ძალაუფლების იარაღად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღიარების კონსტიტუციურ სტანდარტს.“[4357] მეორე მხრივ, „საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ რიგ შემთხვევებში დადგინდეს გამონაკლისები და კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს მიენიჭოს იურიდიული ძალა. მაგრამ აღნიშნული არ უნდა ახდენდეს პროცესის მონაწილეების ან/და მესამე პირების კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას. საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრისას, უნდა გამოირიცხოს სახელმწიფო ორგანოების თვითნებობის წახალისებისა და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისას, კანონის გამიზნული და გაცნობიერებული დარღვევის საფრთხე, და ასეთი მტკიცებულების საფუძველზე ბრალდებულის მსჯავრდების შესაძლებლობა.“[4358] როგორც კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით დაცულ სფეროზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, მისი მოქმედება ვერ გავრცელდება კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე, რომლებიც გამორიცხავს პირის დევნას/მსჯავრდებას ან სხვაგვარად აუმჯობესებს მის მდგომარეობას. ამგვარი მტკიცებულებებისათვის იურდიული ძალის მინიჭება ვერ იქნება განხილული ჩარევად დაცულ სფეროში. ბრალდებულის საწინააღმდეგო უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებებისათვის იურდიული ძალის მინიჭების საგამონაკლისო წესით დაშვებამ, რთულად წარმოსადგენია, რომ დააკმაყოფილოს ის სტანდარტები, რაზეც

[4353] საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28; N1/1/1558 გადაწყვეტილება, II-20.

[4354] შეადარე მაგ.: N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-1.

[4355] მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 930.

[4356] N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, II-71; N3/1/633,634 გადაწყვეტილება, II-34; N2/4/1365 გადაწყვეტილება, II-17.

[4357] N2/2/579 გადაწყვეტილება, II-7.

[4358] იქვე, II-33.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაამახვილა ყურადღება, განსაკუთრებით სახელმწიფო ორგანოთა თვითნებობის გამორიცხვის კუთხით.

2155 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი კრძალავს პირისათვის ვალდებულების დაკისრებას, მისცეს თავისი ან ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება. რთულია ამ პუნქტის ფორმულირებიდან თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიაში რაიმე ფორმით ჩარევის დასაშვებობის შესაძლებლობის ამოკითხვა, თუმცა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, გარკვეული გამონაკლისები ამ კუთხითაც არსებობს. რაც შეეხება თავისუფლებას ახლობელთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან, აქ თვით კონსტიტუცია მიუთითებს, რომ ახლობელთა წრე კანონით უნდა განისაზღვროს. ამდენად, ამ კუთხით, კანონმდებელს თავისუფალი მოქმედების, მათ შორის შეზღუდვების დაწესების, გარკვეული სფერო აქვს მინიჭებული.

2.2. საპროცესო უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება და მაგალითები

2156 საპროცესო უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირებისას, სხვა ძირითადი უფლებების მსგავსად, გადამწყვეტ როლს შესაბამისი უფლებით დაცული სიკეთეების შეზღუდვის დადგენა თამაშობს. ამისათვის აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში გაირკვეს, თუ (1) რამდენად იზღუდება სადავო ნორმით რომელიმე სიკეთე და (2) მოიცავს თუ არა ამ სიკეთეს შესაბამისი საპროცესო ძირითადი უფლებით დაცული სფერო.[4359] გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული რიგი უფლებრივი კომპონენტების მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე, რომელიმე მათგანის შეზღუდვა, იმავდროულად, სხვებში ჩარევასაც შეიძლება იწვევდეს. მაგალითად, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ზღუდავს როგორც უფლებას სამართლიან სასამართლოზე, ასევე დაცვის უფლებასაც.[4360]

2157 თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნორმით იზღუდება რომელიმე საპროცესო უფლებით დაცული სიკეთე, ის მიდის დასკვნამდე, რომ განხორციელდა ჩარევა შესაბამის უფლებაში. საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით მრავალი საქმეა განხილული. ცხადია, ყველა მათგანზე ვერ გავამახვილებთ ყურადღებას და დავასახელებთ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს: (1) სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად ჩაითვალა სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა შუამდგომლობის დაყენებას წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულების არსებითი განხილვის სხდომაზე დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ;[4361] (2) სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებას ზღუდავდა ნორმა, რომლითაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული სასამართლო დადგენილების სააპელაციო ინსტანციაში გასაჩივრების 10 დღიანი ვადა აითვლებოდა მისი გამოცხადების და არა პირისათვის ჩაბარების მომენტიდან. სასამართლოს მიერ დასაბუთებული

[4359] შეადარე მაგ.: N2/7/779 გადაწყვეტილება, II-9.

[4360] დეტალურად იხ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-16.

[4361] N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-15.

დადგენილების ჩაბარების დაგვიანების შემთხვევაში, პირს ეზღუდებოდა მისი გაცნობის, გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და არგუმენტირებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა;[4362] (3) ნორმები, რომლებიც გამორიცხავდა ახლადგამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვას, ჩაითვალა სამართლიან სასამართლოზე უფლებაში ჩარევად;[4363] (4) ამავე უფლებაში ერეოდა სპეციალური საპროცესო ღონისძიების სახით პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე ამ შუამდგომლობით მიღებული სასამართლო განჩინების გასაჩივრების შეზღუდვა;[4364] (5) საქმის დროული განხილვის უფლებას ზღუდავდა საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საქმის განხილვის განახლების შესაძლებლობის სრული გამორიცხვა მაშინაც კი, როდესაც აღარ არსებობდა სადავო ნორმის გამოყენების საჭიროება;[4365] (6) ნორმა, რომელიც, მოვალის საკუთრებაში ქონების არსებობის მიუხედავად, აუქციონის უშედეგოდ დასრულების გამო, ამ ქონების კრედიტორის სასარგებლოდ იძულებით აუქციონზე გატანას ან/და მისი რეალიზაციის შემთხვევაში ამონაგები თანხიდან კრედიტორის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა და ამ ქონებას ყადაღისაგან ათავისუფლებდა, ზღუდავდა უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რადგანაც ხელს უშლიდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას;[4366] (7) როგორც სამართლიანი სასამართლოს, ასევე დაცვის უფლებაში ჩარევად ჩაითვალა ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას, რითაც დასაყადაღებელი ქონების მესაკუთრეს ეზღუდებოდა სასამართლო განხილვაში მონაწილეობისა და თავისი სამართლებრივი ინტერესების პირადად ან დამცველის საშუალებით დაცვის შესაძლებლობა;[4367] (8) სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლებას ერთდროულად ზღუდავდა ასევე ნორმები, რომლებიც პირს არ აძლევდა შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე კომერციული ბანკიდან მის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვაში და არც ამ ღონისძიების გასაჩივრების უფლება ჰქონდა;[4368] (9) განსაზღვრულ დანაშაულებში ბრალდებული პირისათვის გამოძიების ეტაპზე მოწმის იძულებით დაკითხვის შესაძლებლობის არარსებობა მაშინ, როდესაც ბრალდების მხარეს ამის საშუალება ჰქონდა, ბრალდებულს აყენებდა არათანასწორ სამართლებრივ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან და წარმოადგენდა ჩარევას მის უფლებაში, გამოეძახებინა და დაეკითხა თავისი მოწმეები ბრალდების მოწმეთა მსგავს პირობებში;[4369] (10) პირობითი მსჯავრის გაუქმება, როგორც

[4362] დეტალურად იხ.: N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-8-21.
[4363] დეტალურად იხ.: N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-11-17.
[4364] დეტალურად იხ.: N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-11-13.
[4365] დეტალურად იხ.: N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-14.
[4366] დეტალურად იხ.: N2/5/879 გადაწყვეტილება, II-16-22.
[4367] N2/1/631 გადაწყვეტილება, II-81.
[4368] დეტალურად იხ.: N1/3/638 გადაწყვეტილება, II-4-19.
[4369] დეტალურად იხ.: N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-95-102.

სასჯელის ირიბი გამკაცრება, განხილული იქნა ჩარევად პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპში.[4370]

2158 სამართლიან სასამართლოზე უფლების ინსტრუმენტული ხასიათიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩარევის იდენტიფიცირებისათვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ის სიკეთე, რომლის დასაცავადაც პირს სურს სასამართლოსათვის მიმართვა.[4371] მაგალითად, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობის შემთხვევაში სახეზე იყო ამგვარი სიკეთე იმ უფლებების სახით, რომელიც აქვს დაზარალებულს. სწორედ ამ ინტერესის დასაცავად სურდა პირს სასამართლოსათვის მიმართვა, რის შესაძლებლობასაც სადავო ნორმა არ აძლევდა.[4372] ამდენად, აშკარა იყო სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა.[4373]

2159 როდესაც გაირკვევა, რომ სადავო ნორმა არ ზღუდავს შესაბამისი საპროცესო უფლებით დაცულ სიკეთეს, საკონსტიტუციო სასამართლო ჩარევას არ ადგენს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: (1) სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობა თავისთავად არ ჩაითვალა საქმის დროული განხილვის უფლების შეზღუდვად, რადგანაც ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა აშკარა თუ გაჭიანურება შეაფერხებდა სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვას;[4374] (2) ბრალდებულის მოწმედ დაკითხვა ფიცისა და ცრუ ჩვენებისათვის შესაძლო პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ არ ჩაითვალა ჩარევად თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიასა და ბრალდებულის უფლებაში, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს. ეს კონსტიტუციური გარანტიები ბრალდებულს არ აძლევდა ცრუ ჩვენების მიცემის უფლებას;[4375] (3) უდანაშაულობის პრეზუმფციაში ჩარევად არ შეფასდა წესი, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს ენიჭებოდა უფლებამოსილება, განეხილათ ქვედა ინსტანციის მიერ გადაწყვეტილი საქმე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე. ეს რეგულირება იყო უფლებამოსილების დამდგენი ნორმა, რომელიც არ ქმნიდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევის საფრთხეს;[4376] (4) განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპში ჩარევას არ წარმოადგენდა ნორმები, რომლებიც ბრალდების მხარეს აძლევდა სააპელაციო ან/და საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლებას, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს კი ანიჭებდა აღნიშნული საჩივრის საფუძველზე გამამართლებელის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ან უფრო მკაცრი მუხლის გამოყენების უფლებამოსილებას იმ პირობებში, როდესაც აპელაციის ან/და კასაციის პროცედურის დასრულების მომენტისათვის, პირის მიმართ სრულად იყო აღსრულებული ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, პირველი ინსტანციის ან/და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები არ იყო საბოლოო ეფექტის

[4370] დეტალურად იხ.: N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-31-33.

[4371] N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-6.

[4372] იქვე, II-9.

[4373] იქვე, II-11.

[4374] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-63.

[4375] დეტალურად იხ.: N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-14-26.

[4376] დეტალურად იხ.: N2/7/636 გადაწყვეტილება, II-34-37.

მქონე (res judicata) აქტები, რადგან კანონმდებლობა ცალსახად ითვალისწინებდა მათი გასაჩივრების შესაძლებლობას და ადგენდა გონივრულ ვადებს სააპელაციო და საკასაციო განხილვებისათვის.[4377]

2160 გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო, მართალია, ვერ ხედავს ჩარევას საპროცესო უფლებაში/მის რომელიმე კომპონენტში, რომელზეც მოსარჩელე მიუთითებს, თუმცა აღნიშნავს, რომ აშკარაა ჩარევა სხვა უფლებაში/უფლებრივ კომპონენტში. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო მუხლი მოპასუხე მხარესა და სასამართლოს არ აძლევდა შესაძლებლობას, საპროცესო უზრუნველყოფის საშუალების ობიექტად გამოეყენებინათ ამ მუხლით გათვალისწინებული საშუალებების მიღმა არსებული მოსარჩელის სხვა ქონება, რომელიც შეიძლება დატვირთულიყო იპოთეკის ან/და გირავნობის ვალდებულებით. სადავო ნორმის შინაარსის ანალიზის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აშკარა იყო ჩარევა უფლებაში სამართლიან სასამართლოზე. თუმცა, იზღუდებოდა არა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის, არამედ გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფისა და მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უფლებრივი კომპონენტებით.[4378]

2161 საპროცესო უფლებაში ჩარევად არ განიხილება ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებობს უფლების რეალიზაციის სხვა, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალება.[4379] მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა ითვალისწინებდა ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრების შესაძლებლობას ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ ამაში ვერ დაინახა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა. პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვა, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გარეშე, შესაძლებელი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე.[4380]

2162 ის გარემოება, თუ რამდენად არსებობს შეზღუდვის შემთხვევაში უფლების ეფექტიანი და ადეკვატური რეალიზაციის სხვა საშუალება, შეიძლება, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობის მიზეზიც კი გახდეს. ამგვარი ვითარება შეიქმნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობის განხილვისას, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე არ საჩივრდებოდა ზემდგომ ინსტანციაში. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის წევრთა უმრავლესობამ ვერ დაინახა ჩარევა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაში. მათი აზრით, სასამართლოზე ხელმისაწვდომობა და დარღვეული უფლებების აღდგენა უზრუნველყოფილი იყო სხვა ეფექტიანი პროცესუალური საშუალებებით, რომლებიც აბალანსებდნენ განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობას. პირველი წარდგენის სხდომაზე პირის დაკავების კანონიერება, ფაქტობრივად, ხელახლა განიხილებოდა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას

[4377] დეტალურად იხ.: იქვე, II-21-29.

[4378] დეტალურად იხ.: N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-11-13.

[4379] შეადარე მაგ.: N3/3/601 გადაწყვეტილება, II-18.

[4380] N2/1/263 გადაწყვეტილება.

სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა დაკავების საფუძვლების არსებობასთან დაკავშირებით, ხოლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გასაჩივრება შესაძლებელი იყო ზემდგომ ინსტანციაში. ამდენად, აღარ არსებობდა დაკავების შესახებ განჩინების ცალკე გასაჩივრების საჭიროება. გარდა ამისა, უკანონოდ დაკავებულ პირს შეეძლო მოეთხოვა მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.[4381] განსხვავებულ აზრში ჩამოყალიბებული პოზიციის მიხედვით, კანონმდებლობა არ იძლეოდა ალტერნატიული მექანიზმებით პირის დაკავების შესახებ განჩინების შემოწმების შესაძლებლობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავდა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვის ფარგლებში, პირის დაკავების კანონიერების გადამოწმებას და შესაბამისად, არც აღკვეთის ღონისძიების სააპელაციო წესით გასაჩივრება უკავშირდებოდა დაკავების განჩინების კანონიერების საკითხს. რაც შეეხება სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურებას, ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც დაკავების შესახებ განჩინება ზემოდგომ ინსტანციაში გადამოწმებას არ ექვემდებარებოდა, რაც გამორიცხავდა დაკავების უკანონობის დადგენისა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების საფუძვლის შექმნის შესაძლებლობას.[4382]

3. საპროცესო უფლებებში ჩარევის შემოწმება

3.1. უფლება სამართლიან სასამართლოზე - ჩარევის შემოწმება

2163 კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი უფლების შეზღუდვის ფორმალურ სტანდარტებს პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ მსგავს შემთხვევებში მოქმედებს კანონის ზოგადი დათქმა, რაც გულისხმობს, რომ სამართლიან სასამართლოზე უფლების შეზღუდვა მხოლოდ საკანონმდებლო აქტითაა დასაშვები. არ არის გამორიცხული მეორეხარისხოვანი საკითხების კანონქვემდებარე აქტებით მოწესრიგება იმ პირობით, რომ უფლების შეზღუდვის ყველა არსებითი და პრინციპული საკითხი დარეგულირდება კანონით, რომელიც აკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს, ხელმისაწვდომობის, განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის თვალსაზრისით.

2164 თუ ჩარევა შეესაბამება კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს, ის, როგორც წესი, ექვემდებარება შემოწმებას მატერიალური თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართ-ლომ არაერთხელ მიუთითა, რომ სამართლიან სასამართლოზე უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების მოთხოვნებს, ანუ ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და (ვიწრო გაგებით) პროპორციული ამ მიზნის მისაღწევად.[4383] ევროპული სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიან

[4381] დეტალურად იხ.: N1/4/1464 გადაწყვეტილება, II-14-37.

[4382] დეტალურად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის N1/4/1464 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 3-12.

[4383] შეადარე მაგ.: N1/466 გადაწყვეტილება, II-15; N3/2/574 გადაწყვეტილება, II-65; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-18, 46; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-10; N1/4/809 გადაწყვეტილება, II-28; N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-22; N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-13; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-21; N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-17-18; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-53; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-17; N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-15.

სასამართლოზე უფლების შეზღუდვისას სახელმწიფოებს თავისუფალი მოქმედების მნიშვნელოვან სივრცეს ანიჭებს,[4384] მოითხოვს თანაზომიერების დაცვას გამოყენებულ საშუალებასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის, ასევე უფლების არსის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.[4385] მაგალითად, სასამართლო პროცესის საქვეყნოობის შეზღუდვა და მასზე საზოგადოების არდაშვება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, გამოსადეგი და აუცილებელი იყოს მის მისაღწევად და გადაწონოს პროცესის საჯაროობის ინტერესი.[4386]

2165 სამართლიან სასამართლოზე უფლების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტების შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას - დემოკრატიულ საზოგადოებაში ღირებული საჯარო ინტერესის დაცვას.[4387] თუ ჩარევას არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ის თვითნებური ხასიათის, გაუმართლებელი და არაკონსტიტუციურია.[4388] კონკრეტული შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, ლეგიტიმურ მიზანზე, როგორც წესი, მოპასუხე მხარე - სახელმწიფო მიუთითებს. მოპასუხის მიერ ლეგიტიმური მიზნის დასახელებისაგან თავის შეკავება a priori არ ნიშნავს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის დამოკიდებული მოპასუხეზე და შეუძლია თავისი ინიციატივით გაარკვიოს ეს საკითხი.[4389] ამასთან, თუ მოპასუხე არ ასახელებს ლეგიტიმურ მიზანს და მას ვერც საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, ჩარევა არაკონსტიტუციურია. მაგალითად, თვითმიზნურად და საქმის სამართლიანი უფლების დარღვევად იქნა მიჩნეული სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლისათვის კითხვის დასმის უფლების შეზღუდვა, როდესაც კითხვა თავისი ფორმითა და შინაარსით საფრთხეს არ უქმნიდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ან/და მოსამართლის მიუკერძოებლობას. „ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა მსჯელობა, რომ სამართალწარმოება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქმის სათანადოდ გამოკვლევას, სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მხარის რაიმე ლეგიტიმური ინტერესისაგან მომდინარეობს ან მათ ემსახურება და რამენაირად თავსებადია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კონსტიტუციურ მოთხოვნებთან“.[4390]

2166 31-ე მუხლის პირველ პუნქტში პირდაპირ არ არის განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნები, თუმცა ამგვარ შემთხვევებში მოქმედებს ე.წ. შიდაკონსტიტუციური ზღვარი, რაც გულისხმობს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას სხვათა უფლებების ან მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სიკეთეების დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მოვიყვანთ სამართლიან სასამართლოზე უფლების სხვადასხვა კომპონენტების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების რამდენიმე მაგალითს:

[4384] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 63.

[4385] Ashingdane v. the United Kingdom; Lithgow and Others v. the United Kingdom (N9006/80, 9262/81, 9263/81, 9265/81, 9266/81, 9313/81, 9405/81; 8.7.1986); Naït-Liman v. Switzerland (N51357/07; 15.3.2018).

[4386] Yam v. the United Kingdom (N31295/11; 16.1.2020).

[4387] შეადარე მაგ.: N1/466 გადაწყვეტილება, II-15; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-48; N2/5/879 გადაწყვეტილება, II-23; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-22; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-54; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-18; N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-16.

[4388] N3/1/531 გადაწყვეტილება, II-15; N2/5/879 გადაწყვეტილება, II-24.

[4389] N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-24; N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-56.

[4390] დეტალურად იხ.: N3/2/1478 გადაწყვეტილება, II-58-59.

(1) სასამართლოს (ხელოვნური) გადატვირთვისაგან დაცვა. ამ მიზანს ემსახურებოდა: პირის დაზარალებულად ცნობის განცხადებაზე პროკურორის უარის სასამართლო წესით გასაჩივრების დაუშვებლობა (გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებისა),[4391] პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი რიგი ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების დაუშვებლობა,[4392] ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა,[4393] სააპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის, ასევე ამავე საკითხზე საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა,[4394] ექსპერტიზის მიზნით ბრალდებულის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში განთავსების შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა[4395] და ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების დაუშვებლობა;[4396] (2) ქმედითი, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება დასახელდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ლეგიტიმურ მიზნად;[4397] (3) ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვას ემსახურებოდა: უშედეგო აუქციონის შემთხვევაში ქონების გათავისუფლება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და ამ ქონებაზე, იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით, იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოების განხორციელების აკრძალვა,[4398] ასევე ექსპერტიზის მიზნით ბრალდებულის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში განთავსების შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა;[4399] (4) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია, მათზე დროული და სწრაფი რეაგირება, სამართალდამრღვევთათვის პასუხისმგებლობის სწრაფად და დროულად დაკისრება ჩაითვალა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10 დღიანი ვადის მიზნად, რომელიც აითვლებოდა დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან;[4400] (5) მხარეთა პროცესუალურ თანასწორუფლებიანობას ემსახურებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა საპროცესო უზრუნველყოფის გარანტიის სახით, ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის დაკისრებას მხარისათვის იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება განეცადა მოწინააღმდეგე მხარეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით;[4401] (6) სისხლის სამართლის

[4391] N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-16.

[4392] N2/7/779 გადაწყვეტილება, II-16.

[4393] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-69.

[4394] დეტალურად იხ.: N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-27-30.

[4395] N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-21.

[4396] იქვე, II-42.

[4397] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-19-20.

[4398] დეტალურად იხ.: N2/5/879 გადაწყვეტილება, II-42-45.

[4399] N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-21.

[4400] N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-28.

[4401] დეტალურად იხ.: N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-20-23.

საქმეზე მიმდინარე სამართალწარმოების ეკონომიურობისა და სისწრაფის უზრუნველყოფა ჩაითვალა წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულების არსებითი განხილვის სხდომაზე დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების შეუძლებლობის ლეგიტიმურ მიზნად.[4402]

2167 მოპასუხის მიერ შეზღუდვის მიზნის უბრალო დასახელება არ არის საკმარისი. საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ის შეიძლება არ მიიჩნიოს ლეგიტიმურ მიზნად. მაგალითად: (1) სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა არ ჩაითვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი რიგი ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების დაუშვებლობის მიზნად. ალოგიკური იყო გასაჩივრების მსურველი პირისათვის ამ შესაძლებლობის შეზღუდვა მისთვისვე სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად;[4403] (2) სხვა კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება არ წარმოადგენდა იმგვარი საჯარო მნიშვნელობის კონსტიტუციურ სიკეთეს, რომლის დაცვაც გაამართლებდა, უშედეგო აუქციონის შემთხვევაში, ქონების გათავისუფლებას იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან. არ არსებობდა ერთი და იმავე ქონებრივი ინტერესის მქონე პირებს შორის რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭების საჯარო ინტერესი;[4404] (3) საქმის არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე გადაწყვეტის პრევენცია, მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, არ იქნა მიჩნეული სასამართლოს წარდგინებისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის განხილვის განახლების შესაძლებლობის სრული გამორიცხვის ლეგიტიმურ მიზნად, როდესაც კონსტიტუციური წარდგინებით არაკონსტიტუციურად მიჩნეული ნორმა აღარ წარმოადგენდა შეჩერებულ საქმეზე გამოსაყენებელ კანონს. ამგვარ შემთხვევებში ქრებოდა საერთო სასამართლოში სამართალწარმოების შეჩერების ინტერესი, ხოლო წარმოების განახლების შეუძლებლობა თვითმიზნურ ხასიათს იძენდა.[4405]

2168 საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შეზღუდვის მიზნებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ განსაზღვრავს, თუმცა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი აკონკრეტებს იმ სიკეთეებს, რომელთათვისაც დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში პროცესის საქვეყნოობის შეზღუდვა - მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესები, არასრულწლოვანის ინტერესები, მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა ანდა მართლმსაჯულების ინტერესები (თუ განსაკუთრებული გარემოებების გამო საქვეყნოობა დააზარალდებდა მათ). მაგალითად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი, მისი ინტიმური სფერო და თავიდან აიცილოს განმეორებითი ვიქტიმიზაცია, რაც შეიძლება მოითხოვდეს, რომ სასამართლო პროცესზე ან მის

[4402] N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-21. ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის N1/5/1472 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 4-11.

[4403] N2/7/779 გადაწყვეტილება, II-14. ასევე იხ.: N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-26.

[4404] დეტალურად იხ.: N2/5/879 გადაწყვეტილება, II-26-34.

[4405] დეტალურად იხ.: N3/4/1648 გადაწყვეტილება, II-17-21.

ნაწილზე არ იქნას დაშვებული საზოგადოება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.[4406] ცხადია, ლეგიტიმური მიზანი უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს სხვა ელემენტების შეზღუდვასაც. მაგალითად: ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წარმოადგენს პირველ და ერთადერთ ინსტანციას, შეიძლება გამართლდეს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით;[4407] საქმის მასალებზე წვდომის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ეროვნული უსაფრთხოების, ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის, საგამოძიებო ტექნიკის საიდუმლოების ან მესამე პირთა დაცვის მიზნით;[4408] კონფრონტაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლად შეიძლება განიხილებოდეს მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვა,[4409] ბავშვებისათვის სასამართლოზე დაკითხვით გამოწვეული დამაზიანებელი შედეგების არიდება,[4410] სპეცსამსახურების თანამშრომლებისა თუ მოქმედი ინფორმანტების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა[4411] და ა.შ.

2169 როდესაც დადგენილია სამართლიან სასამართლოზე უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი, შემდეგი საფეხურზე ირკვევა, თუ რამდენად წარმოადგენს ჩარევა ამ მიზნის მიღწევისათვის ვარგის, გამოსადეგ საშუალებას.[4412] უფლების შეზღუდვა აკმაყოფილებს გამოსადეგობის კრიტერიუმს, თუ ის ლოგიკურად უკავშირდება ლეგიტიმურ მიზანს და იძლევა მისი მიღწევის, რეალიზაციის შესაძლებლობას.[4413] გამოსადეგობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სადავო ნორმის მოქმედების არსი, სფერო და ფარგლები.[4414]

2170 გამოსადეგობის შემოწმება, როგორც წესი, განსაკუთრებული სიმკაცრით არ გამოირჩევა და ეს მოთხოვნა ძირითადად დაკმაყოფილებულია, მაგალითად: (1) საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ჩაითვალა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგ საშუალებად. ეს პროცედურა ზეპირ მოსმენაზე მარტივი იყო, საჭიროებდა ნაკლებ დროსა და რესურსს;[4415] (2) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების აკრძალვა გამოსადეგად შეფასდა სასამართლოს განტვირთვის მიზნის მისაღწევად, რადგანაც ამით მცირდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობა და შესაბამისად, ხდებოდა დროის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსის ეკონომია;[4416] (3) ამავე ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგ საშუალებას

[4406] Mraović v Croatia (N30373/13; 14.5.2020).

[4407] Fredin v. Sweden (N18928/91; 23.2.1994); Allan Jacobsson v. Sweden (N2) (N16970/90; 19.2.1998).

[4408] შეადარე მაგ.: Rowe and Davis v. the United Kingdom; Edwards and Lewis v. the United Kingdom; Mirilashvili v. Russia (N6293/04; 11.12.2008); Welke and Bialek v. Poland (N15924/05; 1.3.2011); Regner v. the Czech Republic (N35289/11; 19.9.2017).

[4409] Doorson v. the Netherlands (N20524/92; 26.3.1996); P.S. v. Germany (N33900/96; 20.12.2001); Visser v. the Netherlands (N26668/95; 14.2.2002); S.N. v. Sweden (N34209/96; 2.7.2002).

[4410] P.S. v. Germany; A.S. v. Finland (N40156/07; 28.9.2010).

[4411] Sapunarescu v. Germany (N22007/03; 11.9.2006); M. v. Netherlands (N2156/10; 25.7.2017).

[4412] შეადარე მაგ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-21, 50; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-17; N1/4/809 გადაწყვეტილება, II-32; N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-18; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-24; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-31; N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-22; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-22.

[4413] შეადარე მაგ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-22; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-17; N2/5/879 გადაწყვეტილება, II-25; N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-29; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-32.

[4414] N1/3/1377 გადაწყვეტილება, II- 9-12, 25.

[4415] შეადარე მაგ.: N2/2/558 გადაწყვეტილება, II-30; N2/8/734 გადაწყვეტილება, II-19; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-22; N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-35-38; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-25-26.

[4416] N2/7/779 გადაწყვეტილება, II-18; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-44.

წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის და დაზარალებულის სტატუსის გაუქმების შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების აკრძალვა, რადგანაც ამით მცირდებოდა სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეთა რაოდენობა;[4417] (4) დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული ობიექტის ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება საკონსტიტუციო სასამართლომ გამოსადეგად მიიჩნია სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად. ამით ბრალდების მხარეს ეძლეოდა მეტი შესაძლებლობა მტკიცებულებებისა და ინფორმაციის მოპოვებისათვის, რაც მის საქმიანობას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს ხდიდა;[4418] (5) მხარეთა პროცესუალური თანასწორუფლებიანობის მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგ საშუალებად ჩაითვალა მოსარჩელისათვის საპროცესო უზრუნველყოფის გარანტიის დაკისრება, რადგანაც ამით ხდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოპასუხისათვის ზიანის დადგომის თავიდან აცილება. ეს დამატებით შესაძლებლობას აძლევდა მოპასუხეს თავისი უფლებების დასაცავად.[4419]

2171 გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამართლიან სასამართლოზე უფლებაში ჩარევამ ვერ დააკმაყოფილა გამოსადეგობის კრიტერიუმი. დაცვის მხარის შუამდგომ-ლობით მოპოვებული ობიექტის ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მესამე პირთა უფლებების არაპროპორციულად შეზღუდვის რისკის თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად. სადავო ნორმა ისეთ ურთიერთობას აწესრიგებდა, როდესაც ჩხრეკა-ამოღების შედეგად შესაბამისი ობიექტი უკვე მოპოვებული იყო და ამდენად, მესამე პირთა უფლებებში ჩარევის საფრთხე არ არსებობდა.[4420] პირისათვის სააპელაციო საჩივრის 10-დღიან ვადაში წარდგენის ვალდებულების დაკისრება, თუ მას არ ჩაბარებია სასამართლოს დასაბუთებული დადგენილება არ შეფასდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციის, მათზე დროული და სწრაფი რეაგირების, სამართალდამრღვევთათვის პასუხისმგებლობის სწრაფად და დროულად დაკისრების მიზნების მიღწევის გამოსადეგ საშუალებად. მსგავს შემთხვევებში სააპელაციო სასამართლო იძულებული ხდებოდა, დალოდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დასაბუთებული დადგენილების ჩაბარებას საჩივრის ავტორისათვის. ამ პირობებში, სადავო ნორმა ვერ დააჩქარებდა სააპელაციო საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის პროცესს.[4421]

2172 ჩარევა სამართლიან სასამართლოზე უფლებაში აკმაყოფილებს აუცილებლობის კრიტერიუმს, თუ ის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად მზღუდველი საშუალებაა, ანუ იმაზე მეტად არ ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს მიზნის მიღწევისთვისაა აუცილებელი.[4422] თანაზომიერების ტესტის ამ ეტაპზე ხდება იმის გარკვევა, ხომ არ

[4417] N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-17.

[4418] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-32.

[4419] დეტალურად იხ.: N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-25-27.

[4420] N1/4/809 გადაწყვეტილება, II-34.

[4421] დეტალურად იხ.: N1/3/1263 გადაწყვეტილება, II-31-33.

[4422] შეადარე მაგ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-21, 52; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-17; N2/5/879 გადაწყვეტი-ლება, II-46; N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-18.

არსებობს უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალება,[4423] რომელიც იძლევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გონივრულ შესაძლებლობას.[4424] თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებულ შეზღუდვას ამგვარი ალტერ-ნატივა არ აქვს, აუცილებლობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება. მაგალი-თად: (1) ბრალდებულის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისთვის განთავსების შესახებ შუამდგომლობაზე მიღებული სასამართლო განჩინების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების დაუშვებლობას არ ჰქონდა ალტერნატივა, რომელიც უზრუნველყოფდა სასამართლო სისტემის განტვირთვას;[4425] (2) საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა საკონსტიტუციო სასამართლომ აუცილებელ საშუალებად ჩათვალა, რადგანაც არ იკვეთებოდა ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტიანობით უზრუნველყოფდა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის სისწრაფეს;[4426] (3) საპროცესო უზრუნველყოფის გარანტიის სახით მოსარჩელისათვის ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის დაკისრება შეესაბამებოდა აუცილებლობის კრიტერიუმს. მხარეთა პროცესუალური თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა ანალოგიური ეფექტიანობით ვერ მოხდებოდა ნაკლებად მზღუდავი ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით. საპროცესო უზრუნველყოფის აღნიშნული გარანტია მოპასუხეს აძლევდა დავის დასრულების შემდეგ ზარალის მყისიერად ანაზღაურების შესაძლებლობას, ხოლო ალტერნატიული საშუალებები - გირავნობა და იპოთეკა დაკავშირებული იყო დამატებით ხარჯებთან, დროსთან და რისკებთან.[4427]

2173 როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ აუცილებლობის კრიტერიუმი დარღვეულია, ის მიუთითებს იმ უფრო ნაკლებად მზღუდავ ალტერნატიულ საშუალებაზე, რომლის გამოყენებითაც მსგავსი ეფექტიანობით მოხერხდებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. მაგალითად: (1) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გაუქმების შემთხვევაში საქმის თავიდან განხილვას, არ ჩაითვალა აუცილებლად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის მიზანთან მიმართებით. ეფექტიანი ალტერნატიული ღონისძიება, რომელიც მიზანსაც მიაღწევდა და გადაწყვეტილების გაუქმების მომთხოვნ და მის მოწინააღმდეგე მხარეს ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსსაც დაიცავდა, იყო გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის გაუქმება, რომელზეც გავლენას ახდენდა ახლად აღმოჩენილი გარემოება;[4428] (2) დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული ობიექტის ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია აუცილებლად სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად. შესაძლებელი იყო ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება, რომელიც დაცვის მხარეს მისცემდა წინასასამართლო სხდომამდე, გონივრულ ვადაში, მისი შუამდგომლობით ამოღებული ობიექტის მიღების,

[4423] მაგ.: N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-19; N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-28.

[4424] N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-33.

[4425] N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-44.

[4426] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-23.

[4427] დეტალურად იხ.: N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-28-30.

[4428] დეტალურად იხ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-50-61.

გამოკვლევისა და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლოს აზრით, ამგვარი მექანიზმი შეიძლება ყოფილიყო დაცვის მხარისათვის უფლების მინიჭება, რათა მას მიემართა სასამართლოსათვის ამოღებული ობიექტის გადაცემის შუამდგომლობით. თავის მხრივ, სასამართლოს მიეცემოდა იმის შემოწმების შესაძლებლობა, თუ რამდენად გონივრულად იყენებდა ბრალდების მხარე პირველადი გამოკვლევის უფლებას;[4429] (3) უშედეგო აუქციონის შემთხვევაში, ქონების გათავისუფლება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოების განხორციელების აკრძალვა არ შეფასდა ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვის აუცილებელ საშუალებად. საკონსტიტუციო სასამართლომ რამოდენიმე ალტერნატიულ მექანიზმზე მიუთითა. შესაძლებელი იყო ისეთი სააღსრულებლო პროცედურის შემოღება, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა იძულებითი აუქციონის უშედეგოდ დასრულებისას სარეალიზაციო ქონების კრედიტორისათვის ნატურით გადაცემის შეთავაზება (ქონების ღირებულებისა და კრედიტორის მოთხოვნის თანაფარდობის, ასევე, კრედიტორთა სიმრავლისას, მათი ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით), თუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნებოდა მისი მოთხოვნის ამ გზით დაკმაყოფილებაზე. ნაკლებად მზღუდავი იქნებოდა მიღებული ქონების გარკვეული ვადის შემდგომ რეალიზაციის შესაძლებლობის კანონმდებლობით დადგენა, რითაც უვადოდ არ გამოირიცხებოდა, კრედიტორის მიერ საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამ ქონების გამოყენება. სახელმწიფო რესურსს, მოსარჩელის უფლების ნაკლებად შეზღუდვით, ასევე დაზოგავდა კრედიტორის სახსრებით, მისთვის საფასურის გადახდევინების გზით და გარკვეული პირობებით იძულებითი აუქციონის ჩატარება.[4430]

2174 სამართლიან სასამართლოზე უფლების შეზღუდვის თანაზომიერების შეფასების ბოლო ეტაპია (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის შემოწმება. ეს კრიტერიუმი მოითხოვს გონივრული თანაზომიერების დაცვას, სამართლიანი ბალანსის დადგენას, ერთი მხრივ, უფლებაში ჩარევით შეზღუდულ ინტერესსა და მეორე მხრივ, ჩარევით დაცულ ინტერესს შორის.[4431] სხვა უფლებებში ჩარევის პროპორციულობის შემოწმების მსგავსად, სამართლიან სასამართლოზე უფლების შეზღუდვის პროპორციულობის დადგენაც უნდა განხორციელდეს დაპირისპირებულ სიკეთეთა შედარებისა და აწონ-დაწონვის საფუძველზე.

2175 სამართლიან სასამართლოზე უფლების ინსტრუმენტული ხასიათიდან გამომდინარე, მხედველობაში მიიღება ასევე იმ უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობა, რომლის დაცვის შესაძლებლობაც იზღუდება.[4432] მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი რიგი ადმინისტრაციული სახდელების

[4429] დეტალურად იხ.: N1/4/809 გადაწყვეტილება, II-35-39.

[4430] დეტალურად იხ.: N2/5/879 გადაწყვეტილება, II-47-54.

[4431] შეადარე მაგ.: N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-1; N2/8/765 გადაწყვეტილება, II-24; N2/7/779 გადაწყვეტილება, II-19.

[4432] N2/2/558 გადაწყვეტილება, II-10; N2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება, II-21.

დადების შესახებ გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების დაუშვებლობის პროპორციულობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „..პირის ინტერესი, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, პირდაპირ არის დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდული უფლების ინტენსივობაზე. რაც უფრო ინტენსიურია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მომდინარე უფლების შეზღუდვა, მით უფრო მაღალია ხსენებული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ინტერესი.“[4433]

2176 პროპორციულობის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება ჩარევა, აღემატება შეზღუდული უფლების დაცვის ინტერესს.[4434] მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან: (1) პროპორციულად ჩაითვალა ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების სააპელაციო წესით გასაჩივრების დაუშვებლობა. სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვის ინტერესმა გადაწონა გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების ინტერესი. ამგვარი დადგენილებით გამორიცხული იყო ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება. სახდელის შეცვლის წარმოებას თან არ სდევდა მაღალი ხარისხის გასაკიცხაობა და მოსალოდნელი სანქციის სიმძიმეც არ მეტყველებდა, თავისთავად, უფლების ინტენსიურ შეზღუდვაზე;[4435] (2) წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულების არსებითი განხილვის სხდომაზე დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, მხარის ინტერესი, პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დაეყენებინა სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ გაუთვალისწინებელი შუამდგომლობები და მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე სამართალწარმოების სამართლიანობის, ეფექტიანობის, ეკონომიურობისა და სისწრაფის უზრუნველყოფის ინტერესი. სადავო ნორმა არ იწვევდა დისბალანსს, რადგანაც თანაბრად ვრცელდებოდა ორივე მხარეზე და მიმართული იყო უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთეების დაცვისაკენ. ის გონივრული ბალანსის დადგენით უზრუნველყოფდა როგორც მხარეთა უფლებას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობაზე, ასევე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას;[4436] (3) საპროცესო უზრუნველყოფის გარანტიის სახით მოსარჩელისათვის ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის დაკისრების პროპორციულობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის ინტერესს - მოითხოვოს სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის ეფექტიანი ღონისძიების გამოყენება, დაუპირისპირა მოპასუხის ინტერესი - დააზღვიოს უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული (მოსალოდნელი) ქონებრივი ზიანი. სასამართლოს აზრით, სადავო ნორმა უზრუნველყოფდა მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობას და იცავდა ბალანსს მათ ინტერესებს შორის. მოსარჩელის ინტერესი, საპროცესო უზრუნველყოფის ალტერნატიული გარანტიის სახით, გამოეყენებინა იპოთეკა ან

[4433] N2/7/779 გადაწყვეტილება, II-25.

[4434] მაგ.: N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-31; N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-27.

[4435] დეტალურად იხ.: N2/7/779 გადაწყვეტილება, II-38-43.

[4436] დეტალურად იხ.: N1/5/1472 გადაწყვეტილება, II-32-44.

გირავნობა, არ იყო აღმატებული ხასიათის. თავისი არსით, იპოთეკა წარმოადგენდა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებას. სადავო ნორმა ისედაც ითვალისწინებდა მისი გამოყენების შესაძლებლობას, თუ ამაზე მხარეები შეთანხმდებოდნენ. ამ საკითხის გადაწყვეტა ავტონომიის პრინციპის საფუძველზე, მხარეთა მიერ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, მათი ინტერესების გონივრული დაბალანსების საუკეთესო გზა იყო. გირავნობაც, იპოთეკის მსგავსად, სახელშეკრულებო ურთიერთობების სფეროს მიეკუთვნებოდა და სასამართლოს მიერ მისი გამოყენების დავალდებულება რომელიმე მხარისათვის უგულებელყოფდა კერძო ავტონომიის პრინციპს.[4437] საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მიდგომა არ იქნა გაზიარებული განსხვავებულ აზრში. კერძოდ, კრიტიკულად შეფასდა, რომ სასამართლომ არასწორად გაიგო მოსარჩელე მხარის პოზიცია, ყურადღების მიღმა დატოვა მისი ინტერესი და უფლების შეზღუდვის ინტენსივობა. სადავო ნორმა ბარიერს ქმნიდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის და რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდიდა ამას, რაც გამოიწვევდა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ან მინიმუმ, აღსრულების არსებით გართულებას. ამავდროულად, მოსარჩელეს შეიძლება ჰქონოდა სათანადო ღირებულების ქონება, რომელიც სრულებით დააზღვევდა მოპასუხე მხარისათვის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებულ ზიანს.[4438]

2177

პროპორციულობის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის, თუ გაირკვევა, რომ სამართლიან სასამართლოზე უფლების დაცვის ინტერესი უფრო წონადია, ვიდრე ის სიკეთე, რომლის დასაცავადაც ჩარევა განხორციელდა. პროპორციულობის კრიტერიუმის დარღვევა დადგინდა, მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში: (1) არაპროპორციულად ჩაითვალა ზემდგომ ინსტანციაში ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების დაუშვებლობა, რომელთათვისაც სახდელის სახით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. ქმედებები, რომელთა სანქციაც პატიმრობა იყო, მძიმე სამართალ-დარღვევებს წარმოადგენდა. არსებობდა ამგვარ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი, რომელმაც გადაწონა სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვის ინტერესი.[4439] (2) ზემოაღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია ასევე ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების დაუშვებლობა, როდესაც არსებობდა გამოსაყენებელი ნორმების არსებითად განსხვავებული განმარტებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების რეალური ალბათობა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრების ინტერესმა გადაწონა სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვის ინტერესი, რადგანაც ამგვარ შემთხვევებში საქმე არა მხოლოდ პირის სუბიექტური უფლებების, არამედ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დაცვასაც შეეხებოდა. აპელაცია კანონის განმარტებისა და გამოყენებისას კრიზისული სიტუაციის

[4437] დეტალურად იხ.: N1/3/1377 გადაწყვეტილება, II-31-43.

[4438] დეტალურად იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის N1/3/1377 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 2-8, 16-18.

[4439] დეტალურად იხ.: N2/7/779 გადაწყვეტილება, II-35-37.

გამოსწორების ყველაზე ეფექტიანი გზა იყო;[4440] (3) პროპორციულობის კრიტერიუმი ასევე ვერ დააკმაყოფილა ბრალდებულის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისთვის განთავსების შესახებ შუამდგომლობაზე მიღებული სასამართლო განჩინების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების დაუშვებლობამ. გადაწყვეტილების გასაჩივრების ინტერესმა გადაწონა მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელებისა და პროცესის ეკონომიურობის ინტერესი. სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება ინტენსიურად ზღუდავდა ან მაღალი რისკის ქვეშ აყენებდა ბრალდებულის უფლებებს, მით უმეტეს, რომ საქმე შეეხებოდა ჯანმრთელობის დაცვის უფლებისა და ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვას. ამ პირობებში, ბრალდებულს ჰქონდა შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი, ხოლო სადავო ნორმა გამორიცხავდა გასაჩივრების გზით პირველი ინსტანციის მოსამართლის შესაძლო შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას.[4441]

2178 განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პროპორციულობის შეფასებისას ჩამოყალიბებული სტანდარტები, რომლებიც შეეხება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას. მაგალითად, N2/2/1428 გადაწყვეტილებაში დავის საგანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე შემოწმებას. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი ასევე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილებოდა საკასაციო ინსტანციის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად და დეტალურად იმსჯელა პროპორციულობის საკითხზე და ზოგიერთ შემთხვევაში დაადგინა მისი დარღვევა.[4442] ზეპირი მოსმენის ჩატარების ინტერესი დაუპირისპირდა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს. ზეპირი მოსმენის ჩატარების ინტერესის წონადობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ეს ინტერესი განსაკუთრებით მაღალი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გადაწყვეტა საჭიროებდა ფაქტების გამოკვლევასა და სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, ხოლო დაბალი - როდესაც საქმის განხილვა უკავშირდებოდა ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების გარკვევას. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედებდა პრინციპი „სასამართლომ იცის კანონი“ (jura novit curia) და მხარეების მიერ ზეპირი მოსმენის ფარგლებში მოსაზრებების წარდგენას დამხმარე ფუნქცია ჰქონდა.[4443] რელევანტური იყო ასევე იმ უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობა, რომლის ზეპირი განხილვის ფარგლებში დაცვის საშუალებაც არ ეძლეოდა დაინტერესებულ პირს.[4444] მართალია, განაჩენის გადასინჯვის შემთხვევათა უმრავლესობაში სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობით შემოიფარგლებოდა, მაგრამ სადავო ნორმის მოქმედება იმ საქმეებზეც ვრცელდებოდა, სადაც სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და დადგენა უნდა მოეხდინა. ამგვარ

[4440] დეტალურად იხ.: იქვე, II-49-52.

[4441] დეტალურად იხ.: N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-45-51.

[4442] დეტალურად იხ.: N2/2/1428 გადაწყვეტილება, II-39-72.

[4443] N2/2/558 გადაწყვეტილება, II-42; N3/2/574 გადაწყვეტილება, II-74.

[4444] N2/2/558 გადაწყვეტილება, II-10.

შემთხვევათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო. სადავო ნორმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება პირის უფლებრივ მდგომარეობაზეც მკვეთრად აისახებოდა - შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობა, ფაქტობრივად, ნიშნავდა მსჯავრდებულისათვის უარის თქმას უფლებრივი მდგომარეობის შესაძლო გაუმჯობესებაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ, მსჯავრდებულის სუბიექტურ ინტერესებთან ერთად, გაითვალისწინა საქმის განხილვისას დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისა და სამართლიანი მართლმსაჯულების ობიექტური ინტერესიც. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მან დაასკვნა, რომ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის ინტერესი აღემატებოდა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს და პროპორციულობის კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდა ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მსჯავრდებულის/მისი ადვოკატის ნების საწინააღმდეგოდ უშვებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმება საჭიროებდა სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას და დადგენას. ამისგან განსხვავებით, როდესაც შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების ეტაპზე, სააპელაციო სასამართლოს კომპეტენცია ამოიწურებოდა ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების გარკვევით, უპირატესობა ენიჭებოდა პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს გადატვირთვის პრევენციის ინტერესებს. თუმცა, ამგვარ შემთხვევებშიც სასამართლოს უნდა ჰქონოდა, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ზეპირი სხდომის გამართვის უფლებამოსილება, როდესაც ის ამას აუცილებლად მიიჩნევდა. ასეთ შესაძლებლობას სადავო ნორმები ბლანკეტურად გამორიცხავდა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსიც, რომელიც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, შეემოწმებინა შუამდგომლობის დასაბუთებულობა ზეპირი მოსმენით. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ გაარკვია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერების დადგენა გულისხმობდა იმის გამოკვლევასაც, თუ რამდენად სწორად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები. მიუხედავად ამისა, გათვალისწინებული იქნა ის, რომ სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა გარკვეულ შემთხვევებში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და სამომავლოდ, საკასაციო საჩივრის შეტანამდე, პირს უკვე ექნებოდა სააპელაციო ინსტანციაში ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის საშუალება. ამდენად, საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის ინტერესი მცირდებოდა და მას გადაწონიდა პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებისა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვისაგან დაცვის საჯარო ინტერესი. ამავდროულად, საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა არაპროპორციულად ჩაითვალა იმ ნორმატიული შინაარსის ნაწილში, რომელიც გამორიცხავდა საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განეხილა საკასაციო საჩივარი ზეპირი მოსმენით.

ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენებით შეაფასა საკონსტიტუციო სასამართლომ ბრალდებულის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისთვის განთავსების შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაც და მივიდა დასკვნამდე, რომ ის არ შეესაბამებოდა პროპორციულობის კრიტერიუმს, რადგანაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საჭიროებდა ფაქტების დადგენას და ამავდროულად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე - განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური თავისუფლების უფლებების შეზღუდვის კუთხით.[4445]

2179 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამათლოს პოზიციით, საქმის საქვეყნოდ, ზეპირი განხილვის უფლება გულისხმობს, რომ ამგვარი პროცესი უნდა გაიმართოს ფაქტების განმხილველ, მინიმუმ, ერთ ინსტანციაში მაინც.[4446] აქედან გამომდინარე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში ზეპირი მოსმენა გაიმართა, სააპელაციო სასამართლოში, როგორც წესი, დასაშვებია უარის თქმა ზეპირ განხილვაზე.[4447] ამავდროულად, არ არის გამორიცხული, რომ ზეპირობას სააპელაციო სასამართლოში მოითხოვდეს საქმის მნიშვნელობა პირისათვის, ასევე განხილვაში მისი მონაწილეობის აუცილებლობა.[4448] ზეპირი მოსმენა შეიძლება არ გაიმართოს, როდესაც სასამართლო განიხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გარეშე.[4449] ის შეიძლება არც იმ შემთხვევაში ჩაითვალოს საჭიროდ, როდესაც, მართალია, სასამართლო უფლებამოსილია ფაქტობრივი გარემოებებიც შეაფასოს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა შესაძლებელია საქმის მასალებისა და წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე, თუ ამით არ დაზიანდება ზეპირ მოსმენაზე უფლების მიზნები.[4450] მაგალითად, სოციალური დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას, როდესაც მხოლოდ სამართლებრივი ან უმეტესწილად, ტექნიკური საკითხებია გადასაწყვეტი, საკმარისია მხარეებს მიეცეთ პოზიციის წერილობით წარდგენის შესაძლებლობა.[4451] თუ პირველ ინტანციაში ზეპირი განხილვა არ ჩატარდა, ეს შეიძლება გამოსწორდეს სააპელაციო ინსტანციაში,[4452] ოღონდ სააპელაციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტის უფლება-მოსილება.[4453] კონვენციის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ზეპირი მოსმენის სამართლებრივი შესაძლებლობის არარსებობამ.[4454] ამგვარი შესაძლებლობის არარსებობის განმაპირობებელია კანონის მიერ ზეპირი მოსმენის ჩატარების პირდა-პირი გამორიცხვა[4455] ან ამ საკითხის ღიად დატოვება იმ პირობებში, როდესაც

[4445] N2/2/1506 გადაწყვეტილება, II-27-41.

[4446] Fredin v. Sweden; Allan Jacobsson v. Sweden (N2).

[4447] Fischer v. Austria (N16922/90; 26.4.1995).

[4448] Helmers v. Sweden (N11826/85; 29.10.1991); Kremzow v. Austria (N12350/86; 21.9.1993).

[4449] Axen v. Germany (N8273/78; 8.12.1983); Bulut v. Austria (N17358/90; 22.2.1996).

[4450] Fejde v. Sweden (N12631/87; 29.10.1991); Hoppe v. Germany (N28422/95; 5.12.2002).

[4451] Schuler-Zgraggen v. Switzerland (N14518/89; 24.6.1993); Döry v. Sweden (N28394/95; 12.11.2002); Jussila v. Finland (N73053/01; 23.11.2006).

[4452] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 194.

[4453] Weber v. Switzerland; Riepan v. Austria (N35115/97; 14.11.2000).

[4454] Weber v. Switzerland.

[4455] H v. Belgium (N8950/80; 30.11.1987); Diennet v. France (N18160/91; 26.9.1995).

სასამართლო პრაქტიკა ვითარდება ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის მიმართულებით.[4456] კონვენციის დარღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს ფაქტობრივი დაბრკოლებებიც, მაგალითად, უსაფრთხოების დაცვის გამო საქმის განხილვის სხვა ადგილზე გადატანა, თუ არ განხორციელდა ახალი ლოკაციის შესახებ შეტყობინება.[4457]

2180 ევროპული კონვენციით გარანტირებულ საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლების რეალიზაციაზე, შესაძლებელია, პირმა ნებაყოფლობით და არაორაზროვნად განაცხადოს უარი. ეს უარი გამკაცრებული სტანდარტებით შემოწმებას ექვემდებარება სისხლის სამართლის სფეროში.[4458] ევროპული სასამართლო ამ დროს ღია სხდომის არგამართვას დასაშვებად მიიჩნევს.[4459] გამონაკლისია საქმეები, როდესაც პროცესის საქვეყნოობას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს.[4460] კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებას, თუმცა ღია სხდომაზე გადაწყვეტილების გამოცხადებისაგან თავის შეკავება ყოველთვის დარღვევას არ წარმოადგენს.[4461] გადაწყვეტილების სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს იმ ფორმით, რითაც მიიღწევა საქვეყნოობის მიზანი.[4462] კონვენციას არ შეესაბამება გადაწყვეტილების სრული გასაიდუმლოება უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუმცა დასაშვებია ცალკეული, განსაკუთრებულად სენსიტიური ნაწილების დაფარვა.[4463]

2181 ევროპული სასამართლო ხელშემკვრელ სახელმწიფოთა დისკრეციის სფეროს მიაკუთვნებს იმის განსაზღვრას, თუ რა საშუალებებით იქნება უზრუნველყოფილი სასამართლოზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობა,[4464] თუმცა ეს საშუალებები ისე უნდა შეირჩეს, რომ არ მოხდეს პროცესის რომელიმე მხარის არსებითად დაზიანება.[4465] ევროპული კონვენცია არ მოითხოვს უფასო მართლმსაჯულებას, ამიტომ ზოგადად არ გამოირიცხება სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრა ან საპროცესო ხარჯების დაკისრება.[4466] ამასთან, ისინი არ უნდა იყვნენ არაპროპორციულად მაღალი, რაც წარმოშობს მსუსხავ ეფექტს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაციისათვის.[4467] სახელმ-წიფოს საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაში დახმარების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია სასამართლოზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.[4468] პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს

[4456] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 190; Moser v. Austria (N12643/02; 21.9.2006).

[4457] Campbell and Fell v. the United Kingdom; Riepan v. Austria.

[4458] Baischer v. Austria (N32381/96; 20.12.2001).

[4459] Le Compte and Others v. Belgium; Schuler-Zgraggen v. Switzerland; Zumtobel v. Austria (N12235/86; 21.9.1993).

[4460] Håkansson and Sturesson v. Sweden (N11855/85; 21.2.1990); Schuler-Zgraggen v. Switzerland; Pauger v. Austria (N16717/90; 28.5.1997); Sejdovic v. Italy.

[4461] Sutter v. Switzerland (N8209/78; 22.2.1984).

[4462] Pretto and Others v. Italy (N7984/77; 8.12.1983); Ryakib Biryukov v. Russia (N14810/02; 17.1.2008).

[4463] Raza v Bulgaria (N31465/08; 11.2.2010); Fazliyski v. Bulgaria (N40908/05; 16.4.2013).

[4464] Airey v. Ireland (N6289/73; 9.10.1979); Gnahoré v. France (N40031/98; 19.9.2000); Steel and Morris v. the United Kingdom.

[4465] Steel and Morris v. the United Kingdom.

[4466] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 64.

[4467] Kreuz v. Poland (N28249/95; 19.6.2001).

[4468] Airey v. Ireland.

სასამართლოსათვის მიმართვაზე, თუ ეს მისი შეგნებული და თავისუფალი ნების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებაა. კონვენციის დარღვევად ჩაითვალა შემთხვევა, როდესაც პირმა არ გამოიყენა გასაჩივრების შესაძლებლობა, რადგანაც ის შეცდომაში შეიყვანეს სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელმა ორგანოებმა.[4469]

2182 კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით განმტკიცებული სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას ევროპული სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს, რამდენად ემსახურება ის ლეგიტიმურ მიზანს.[4470] პირს გასაჩივრება უნდა შეეძლოს დაყოვნების გარეშე და არა მას შემდეგ, რაც სასჯელი მოიხადა.[4471] კონვენციას არ ეწინააღმდეგება ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება. ეს პროცედურა განიხილება პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენის გადამოწმების ნაწილად.[4472] სამართალწარმოება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში არსებითად უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის სტანდარტებს, თუმცა აუცილებლად არ ითვლება სრული შესატყვისობა.[4473] შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ შეიძლება დაადგინოს, რომ ზემდგომი ინსტანცია შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შემოწმებით.[4474] სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება ირღვევა, თუ სამართალწარმოება ზემდგომ ინსტანციაში საერთოდ არ არის სამართლებრივად მოწესრიგებული, ასევე გაურკვეველია განაჩენის გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი, გასაჩივრების პროცედურა და ვადები.[4475]

2183 საქმის სამართლიანი განხილვის კომპონენტიდან - სასამართლო განხილვაში პერსონალურად მონაწილეობის უფლებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები ამ უფლების რეალიზაციისათვის. პირის გამოძახება სასამართლოში უნდა იყოს დროული, ხოლო სასამართლო უწყება - ენობრივად გასაგები მისი ადრესატისათვის.[4476] თუ ობიექტური გარემოებების გამო, ვერ ხერხდება უშუალოდ დასწრება სასამართლო პროცესზე, შესაძლებელია მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის ფორმატში.[4477] ბრალდებულისათვის განჭვრეტადი უნდა იყოს სასამართლოში გამოცხადებაზე უარის შედეგები.[4478] სასამართლო განხილვაში პერსონალურად მონაწილეობის ქმედითობის

[4469] Marpa Zeeland B.V. and Metal Welding B.V. v. the Netherlands (N46300/99; 9.11.2004).

[4470] Poulsen v. Denmark (N32092/96; 29.6.2000); Krombach v. France; Gurepka v. Ukraine (N61406/00; 6.9.2005); Shvydka v. Ukraine (N17888/12; 30.10.2014); Ruslan Yakovenko v. Ukraine (N5425/11; 4.6.2015).

[4471] Gurepka v. Ukraine; Zaicevs v. Latvia (N65022/01; 31.7.2007); Shvydka v. Ukraine; Firat v. Greece (N46005/11; 9.11.2017); Tsvetkova and Others v. Russia (N54381/08; 10.4.2018); Martynyuk v. Russia (N13764/15; 8.10.2019).

[4472] Müller v. Austria (N1) (N12555/03; 5.10.2006); Karg v. Austria (N29749/04; 6.5.2008).

[4473] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 171.

[4474] Pesti and Frodl v. Austria (N27618/95, 27619/95; 18.1.2000); Müller v. Austria (N2); Dorado Baulde v. Spain (N23486/12; 1.9.2015).

[4475] Gurepka v. Ukraine; Galstyan v. Armenia (N26986/03; 15.11.2007); Shvydka v. Ukraine.

[4476] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 121.

[4477] Asciutto v. Italy (N35795/02; 27.11.2007).

[4478] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 125.

ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ გასარკვევია პირის საპროცესო ქმედუნა-რიანობის საკითხი.[4479] სასამართლოს, ზოგადად და განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანი და შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის პირთა შემთხვევაში, ეკისრება იმაზე ზრუნვის ვალდებულება, რომ მხარეებისათვის გასაგები იყოს შესაბამისი პროცესის მნიშვნელობა და არსებითი სადავო საკითხები.[4480] როდესაც პირი ვერ ცხადდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საქმის განხილვის გაგრძელება დასაშვებია, თუ მის მონაწილეობას პროცესის შესაბამის ეტაპზე არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.[4481] კონვენციას არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბრალდებულის პერსონალური მონაწილეობის გარეშე, თუ ეს გამოწვეულია მისივე ბრალით, მაგრამ ევროპული სასამართლო მოითხოვს ბრალდებულის ინფორმირებას ბრალდებასთან, საქმის განხილვის თარიღსა და ეფექტიანი დაცვის უფლებასთან დაკავშირებით.[4482] მსგავსი მიდგომაა იმ შემთხვევებშიც, როდესაც პირი პირდაპირ ან კონკლუდენტურად აცხადებს უარს განხილვაში პერსონალურ მონაწილეობაზე.[4483] სასამართლოში გამოძახების შემდეგ ბრალდებულის მიმალვის ფაქტი აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ის უარს ამბობს თავის უფლებებზე.[4484] სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვაში პერსონალურად მონაწილეობის შეზღუდვა, ზეპირი განხილვის შეზღუდვის მსგავსად, ნაკლებად მკაცრი სტანდარტით ფასდება.[4485] პირის პერსონალური მონაწილეობა, როგორც წესი, არ არის აუცილებელი, თუ სასამართლო მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს განიხილავს და წყვეტს.[4486] განსხვავებული მიდგომაა და პერსონალური მონაწილეობის საჭიროება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებებიც უნდა შეაფასოს.[4487]

2184 მხარეთა თანასწორობაში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკიდურესად აუცილებელია მესამე პირთა უფლებების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოფილია ადეკვატური ბალანსი დაპირის-პირებულ სიკეთეებს შორის.[4488] ევროპული სასამართლო მხარეთა თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამოდ მიიჩნევს საპროცესო კანონმდებლობით რომელიმე მხარისათვის ცალმხრივი უპირატესობის მინიჭებას. აუცილებელი არ არის, რომ ეს მეორე მხარის პროცესუალურ პოზიციას აზიანებდეს.[4489] დაუშვებელია მხარეთა თანასწორობის ხელყოფა კონკრეტულ მიმდინარე სასამართლო პროცესში მიზანმიმართული საკანონმდებლო ჩარევის გზით, რომელიც საქმის განხილვის შედეგზე ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.[4490] აღსანიშნავია, რომ ამგვარი ე.წ. „ერთი შემთხვევის კანონი“

[4479] Liebreich v. Germany (N30443/03; 8.1.2008).

[4480] S.C. v. the United Kingdom.

[4481] Romanov v. Russia (N63993/00; 20.10.2005).

[4482] Medenica v. Switzerland (N20491/92; 14.6.2001).

[4483] Pititto v. Italy (N19321/03; 12.6.2007).

[4484] Sejdovic v. Italy.

[4485] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 120.

[4486] Drassich v. Italy (N2) (N65173/09; 22.2.2018).

[4487] Marcello Viola v. Italy (N45106/04; 5.10.2006); Hokkeling v. the Netherlands (N30749/12; 14.2.2017).

[4488] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 62.

[4489] Kress v. France (N39594/98; 7.6.2001); Corcuff v. France (N16290/04; 4.10.2007); Zhuk v. Ukraine (N45783/05; 21.10.2010).

[4490] Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece (N13427/87; 9.12.1994); Papageorgiou v. Greece (N24628/94; 22.10.1997).

შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთანაც.[4491] დარღვევას წარმოადგენს რომელიმე მხარისათვის უპირატესობის მინიჭება, საპროცესო ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, რაც მას პოზიციის ჩამოყალიბების უკეთეს შესაძლებლობას აძლევს,[4492] ასევე განსხვავებული პირობების (მაგალითად, ვადის) დაწესება მხარეებისათვის პოზიციების წარმოსადგენად.[4493] მხარეთა თანასწორობის ხელყოფა შესაძლებელია არა მხოლოდ სამართლებრივი რეგულირებებით, არამედ პრაქტიკული დაბრკოლებების შექმნითაც.[4494]

2185 საგნობრივ დაცულ სფეროზე მსჯელობისას უკვე აღვნიშნეთ, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპს ორგანულად უკავშირდება თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება. თარჯიმანი იმ შემთხვევაში ინიშნება, როდესაც არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ბრალდებულს არ აქვს სამართალწარმოების ენის აუცილებელი ცოდნა.[4495] ევროპული სასამართლოს პოზიციით, ენის ცოდნის აუცილებელი დონე დამოკიდებულია დანაშაულის სახეზე, პროცესის კომპლექსურობაზე, ბრალდებულის სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის ფორმასა და შინაარსზე.[4496] კონვენციას არ ეწინააღმდეგება, თუ ბრალდებულს თარჯიმანი დაენიშნა არა მის მშობლიურ ენაზე (მით უმეტეს, თუ ეს ენა იშვიათი ენების ჯგუფს განეკუთვნება), არამედ მისთვის საკმარისად გასაგებ ენაზე.[4497] გარკვეულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს თარჯიმნის საქმიანობაც. მისმა მოქმედებამ არ უნდა დააზიანოს პროცესის სამართლიანობა, მაგალითად, ბრალდებულის საპროცესო ქცევაზე ზეგავლენის მოხდენით.[4498] კონვენციას არ ეწინააღმდეგება ბრალდებულისათვის საქმის მასალების თარჯიმნის დახმარებით ზეპირი განმარტება ან მათი ძირითადი შინაარსის გაცნობა, თუ ეს არ ხელყოფს პროცესის სამართლიანობას ნათარგმნის ნაკლოვანი გაგების გამო.[4499] თარჯიმნის ანაზღაურების ხარჯების მოთხოვნა ბრალდებულისათვის დაუშვებელია.[4500] ევროპული სასამართლოს პოზიციით, ბრალდებულმა შეიძლება უარი განაცხადოს თარჯიმნის დახმარებაზე, თუ ეს არაორაზროვანი და ნებაყოფლობითია და მას წინასწარ განემარტა უარის შედეგების შესახებ.[4501] აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ვხვდებით ამ პოზიციის არც თუ უსაფუძვლო კრიტიკას, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების დაცვით პროცესის წარმართვა შეუძლებელია იმ პირობებში, როდესაც ბრალდებულმა სამართალწარმოების ენა არ იცის.[4502]

[4491] შეადარე მაგ.: Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958, Rn. 83; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 111.

[4492] Ruiz-Mateos v. Spain.

[4493] შეადარე მაგ.: Wynen v. Belgium (N32576/96; 5.11.2002).

[4494] Makhfi v. France.

[4495] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 258.

[4496] Hermi v. Italy.

[4497] Sandel v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N21790/03; 27.5.2010).

[4498] Knox v. Italy (N76577/13; 24.1.2019).

[4499] Kamasinski v. Austria; Hermi v. Italy.

[4500] მაგ.: Luedicke, Belkacem and Koç v. Germany (N6210/73, 6877/75, 7132/75; 28.11.1978).

[4501] Poitrimol v. France; Hermi v. Italy; Scopolla v. Italy (N2).

[4502] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 264.

ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს კონფრონტაციის უფლებას, 2186
რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპის ნაწილია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას აქვს ზედმიწევნით ჩამოყალიბებული, განსაკუთრებული საგნობრივი საფუძველი, ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და არის უკიდურესად აუცილებელი.[4503] გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განმარტონ, თუ რა გააკეთეს, პოზიტიური თვალსაზრისით, ბრალდებულისათვის კონფრონტაციის უფლების განხორციელების შესაძლებლობის მისაცემად.[4504] მაგალითად, შემოწმებას ექვემდებარება, რამდენად შეასრულეს სახელმწიფო ორგანოებმა პოზიტიური ვალდებულება, მიემართათ გონივრული და აუცილებელი ძალისხმევისათვის მოწმის კონფრონტაციული დაკითხვის უზრუნველსაყოფად.[4505] ეს ძალისხმევა მოიაზრებს პრაქტიკული დაბრკოლებების დაძლევასაც (მაგალითად, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას მოწმის მოსაძებნად).[4506] ამასთან, ევროპული სასამართლო არ მოითხოვს სახელმწიფოსაგან შეუძლებლის გაკეთებას,[4507] როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მისი ძალისხმევა წარმატებით დასრულდება.[4508] არაკონფრონტირებული ჩვენებების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს მტკიცებულებათა განსაკუთრებით ფრთხილი შეფასება.[4509] ევროპული სასამართლოს პოზიციით, ბრალდების მოწმის ჩვენებას არ უნდა მიენიჭოს წამყვანი მნიშვნელობა, თუ დაცვის მხარეს არ მიეცა მისთვის კითხვების დასმის თანაზომიერი და რეალური შესაძლებლობა.[4510] მსჯავრდება არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ან გადამწყვეტი ხარისხით ანონიმური მოწმის ან იმ მოწმის ჩვენებას, რომლის დაკითხვაზეც დაცვის მხარეს ხელი არ მიუწვდებოდა.[4511] ამ დროს სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ მას არ ჰქონდა შესაბამისი ალტერნატიული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა.[4512] ევროპული სასამართლო ამოწმებს, რამდენად განახორციელა სახელმწიფომ დამაბალანსებელი ღონისძიებები, როდესაც დაცვის მხარეს არ მიეცა ბრალდების მოწმეთა, სხვა ბრალდებულების ან ექსპერტების დაკითხვის საშუალება,[4513] ასევე ბრალდების მოწმეების ანონიმურობის შემთხვევაში.[4514] ამ ღონისძიებათა მიზანია ჩვენების სანდოობის უზრუნველყოფა, ხოლო მათი სახე და მასშტაბი დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე.[4515] დამაბალანსებელ ღონისძიებად ითვლება, მაგალითად, გამოძიების პროცესში დაცვის

[4503] დეტალურად იხილე მაგ.: Doorson v. the Netherlands; Van Mechelen and Others v. the Netherlands; Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom (N26766/05, 22228/06; 15.12.2011); Balta and Demir v. Turkey (N48628/12; 23.6.2015); Schatschaschwili v. Germany (N9154/10; 15.12.2015).

[4504] Lobarev and others v. Russia (N10355/09, 14358/11, 12934/12, 76458/12, 25684/13, 49429/14; 28.1.2020).

[4505] Breukhoven v. the Czech Republic.

[4506] Artner v. Austria (N13161/87; 28.8.1992); Lobarev and others v. Russia.

[4507] Haas v. Germany (N73047/01; 17.11.2005).

[4508] Schatschaschwili v. Germany.

[4509] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 310; S.N. v. Sweden.

[4510] Saidi v. France (N14647/89; 20.9.1993); Lucà v. Italy (N33354/96; 27.2.2001).

[4511] Kostovski v. the Netherlands (N11454/85; 20.11.1989); Saidi v. France; Doorson v. the Netherlands; Van Mechelen and Others v. the Netherlands; Lucà v. Italy.

[4512] Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom.

[4513] Doorson v. the Netherlands; Van Mechelen and Others v. the Netherlands; P.S. v. Germany; Sapunarescu v. Germany; Schatschaschwili v. Germany; Constantinides v. Greece (N76438/12; 6.10.2016); Kuchta v. Poland (N58683/08; 23.1.2018).

[4514] Kostovski v. the Netherlands; Van Mechelen and Others v. the Netherlands.

[4515] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 241 f.

მხარის მიერ ბრალდების მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა.[4516] ევროპულმა სასამართლომ ადეკვატურ დამაბალანსებელ ღონისძიებად არ ჩათვალა კონფრონტაციის შესაძლებლობის მიცემა საგამოძიებო ორგანოების წინაშე, რადგანაც ისინი არც დამოუკიდებლები არიან და არც მიუკერძოებლები,[4517] ასევე ბრალდების მოწმის დაკითხვა პოლიციის ან სხვა სასამართლოს მიერ, ბრალდებულის ან მისი დამცველის მონაწილეობის გარეშე.[4518] შესაძლებელია მოწმის დაკითხვისას ტექნიკური საშუალებების გამოყენება, თუ ამგვარი დაკითხვის ფორმა არსებითად არ განსხვავდება ჩვეულებრივი დაკითხვისაგან.[4519] კონვენციის სტანდარტებს არ შეესაბამება მოწმეების დაკითხვა მათთვის კითხვების წერილობითი კატალოგის გადაცემით[4520] ან მოწმის დაკითხვის მხოლოდ აკუსტიკური ტრანსლაცია.[4521] ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს მოწმის დაკითხვას შეცვლილი ხმითა და ვიზუალიზაციის გარეშე, როდესაც საქმის განმხილველ სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, შეიქმნას უშუალო პერსონალური წარმოდგენა მასზე, შეამოწმოს მისი იდენტობა, რეპუტაცია, წარსული და მთლიანობაში, სანდოობა.[4522] სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული და ძალადობრივი დანაშაულების მსხვერპლების, განსაკუთრებით ბავშვების, შემთხვევაში მთავარია მათი დაცვა დამატებითი ტრავმატიზაციისაგან ან მუქარისაგან. ამ დროს ბრალდებულის მიერ უშუალო დაკითხვა შეიძლება ჩაანაცვლოს ჩვენების ვიდეოჩაწერამ და მისმა მოგვიანებით გაცნობამ დაცვის მხარისათვის, თუ იქნება უზრუნველყოფილი მისი შეკითხვების დაზარალებულისათვის გადაცემა.[4523] მნიშვნელოვანია, რომ ვიდეოჩანაწერი იძლეოდეს ჩვენების მიცემისას მიმიკისა და ზოგადად, ქცევის ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას.[4524]

2187 სამართლიანი განხილვა მოითხოვს საქმის მასალებზე წვდომის უფლების უზრუნველყოფას. ევროპული სასამართლოს პოზიციით, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისი და საკმარისად შეჯიბრებითი პროცედურის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, თუ ეს უკიდურესად აუცილებელია ლეგიტიმური საჯარო ინტერესის დასაცავად.[4525] ამასთან, საქმის მასალებზე წვდომის შეზღუდვა არადიფერენცირებულად ან უსაზღვროდ შესაძლებელი არ არის. ამით არ უნდა მოხდეს დაცვის მხარის უფლებების არსებითი შეზღუდვა.[4526] დასაშვებია საქმის მასალების გასაიდუმლოება მხოლოდ იმ ნაწილში, რომლის კონფიდენციალობის დაცვაც აუცილებელია. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს ამგვარი შეზღუდვის კომპენსირების ეფექტიანი მექანიზმები.[4527] ალტერნატივად განიხილება ისეთი ნაკლებად მზღუდავი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა პროცესის დახურვა, განაჩენის გარკვეული

[4516] Chmura v. Poland (N18475/05; 3.4.2012); Aigner v. Austria (N28328/03; 10.5.2012); Schatschaschwili v. Germany.

[4517] Melnikov v. Russia (N23610/03; 14.1.2010); Karpenko v. Russia (N5605/04; 13.3.2012).

[4518] Balta and Demir v. Turkey; Kuchta v. Poland.

[4519] Vronchenko v. Estonia (N59632/09; 18.7.2013).

[4520] Kostovski v. the Netherlands.

[4521] Van Mechelen and Others v. the Netherlands.

[4522] Pesukic v. Switzerland (N25088/07; 6.12.2012).

[4523] S.N. v. Sweden; A.S. v. Finland.

[4524] P.S. v. Germany.

[4525] Rowe and Davis v. the United Kingdom; Matanović v. Croatia (N2742/12; 4.4.2017).

[4526] Garcia Alva v. Germany.

[4527] M. v. Netherlands.

ნაწილების არგამოქვეყნება, საქმის მასალების ე.წ. „დაშტრიხვა“, საქმის მასალების გაცნობა მართლმსაჯულების ორგანოებში (in camera), სასამართლოს მიერ შესაბამისი მასალების მოკლე შინაარსის მიწოდება და ა.შ.[4528] დაუშვებელია საქმის მასალებზე წვდომის შეზღუდვა იმის გამო, რომ პირის ქცევა პროცესის მიმდინარეობისას არ იყო ორიენტირებული მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობაზე.[4529] კონვენცია ირღვევა, როდესაც მხარეს აქვს ფორმალურად საქმის მასალების გაცნობის უფლება, თუმცა ვერ სარგებლობს ამის ფაქტობრივი შესაძლებლობით.[4530]

2188 სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების შესრულების შემოწმებისას, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად არის ნათლად და კონკრეტულად შეფასებული ის საკითხები და მტკიცებულებები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.[4531] ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა მოსაზრების განხილვა აუცილებელი არ არის.[4532] დასაბუთების ვალდებულება დარღვეულად ითვლება, როდესაც გადაწყვეტილება არგუმენტაციას საერთოდ არ შეიცავს, ან დასაბუთება არსებობს, მაგრამ ის თვითნებური ხასიათისაა, უშვებს აშკარა ფაქტობრივ თუ სამართლებრივ შეცდომებს.[4533]

2189 საინტერესოა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მიუკერძოებლობის შემოწმება ხორციელდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის საფუძველზე.[4534] ზოგადად, მოქმედებს მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, სანამ არ დამტკიცდება მისი მიკერძოებულობა.[4535] სუბიექტური მიკერძოებულობის კონტექსტში, მთავარია მოსამართლის სუბიექტური დამოკიდებულება. მაგალითად, სუბიექტურად მიკერძოებულია მოსამართლე, რომელსაც მხარის მიმართ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობა ან გამოხატული აქვს მისდამი მტრული ან სტერეოტიპული მოსაზრება.[4536] ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან, მოსამართლის სუბიექტურ მიკერძოებულობაზე შეიძლება მეტყველებდეს პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლის ქცევაც.[4537] ობიექტური მიკერძოებულობის დადგენისას ყურადღება მახვილდება სტრუქტურულ ან ფუნქციონალურ გარემოებებზე და საკმარისი არ არის სუბიექტური ეჭვი მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.[4538] ობიექტურ მიკერძოებულობას, პირველ რიგში, განაპირობებს მოსამართლის ჩართულობა წარსულში იმავე საქმეში სხვა პროცესუალური ფუნქციის თუ

[4528] შეადარე მაგ.: Botmeh and Alami v. the United Kingdom (N15187/03; 7.6.2007); Gorny v. Poland (N50399/07; 8.6.2010); M. v. Netherlands.

[4529] Chambaz v. Switzerland (N11663/04; 5.4.2012).

[4530] Matyjek. v. Poland; Luboch v. Poland (N37469/05; 15.1.2008).

[4531] Ruiz Torija v. Spain (N18390/91; 9.12.1994); Gheorghe v. Romania (N19215/04; 15.3.2007); Ilyadi v. Russia (N6642/05; 5.5.2011); Huseyn and Others v. Azerbaijan; Ajdarić v. Croatia (N20883/09; 13.12.2011); Erkapić v. Croatia (N51198/08; 25.4.2013); Horvatić v. Croatia (N36044/09; 17.10.2013); Ayetullah Ay v. Turkey (N29084/07, 1191/08; 27.10.2020).

[4532] Buzescu v. Romania (N61302/00; 24.5.2005).

[4533] Moreira Ferreira v. Potrugal (N2) (N19867/12; 11.7.2017).

[4534] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 56.

[4535] Kyprianou v. Cyprus; Schwarzenberger v. Germany (N75737/01; 10.8.2006).

[4536] Sander v. the United Kingdom (N34129/96; 9.5.2000; Lavents v. Latvia (N58442/00; 28.11.2002).

[4537] Kyprianou v. Cyprus.

[4538] შეადარე მაგ.: Morel v. France; Wettstein v. Switzerland (N33958/96; 21.12.2000).

როლის განხორციელებისას, ან მისი სხვაგვარი კავშირი პროცესთან.[4539] ობიექტური მიკერძოებულობა განსაკუთრებით აშკარაა, როდესაც მოსამართლე მონაწილეობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში[4540] ან განახორციელა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები იმავე პირის მიმართ.[4541] ამასთან, საკმარისი არ არის მოსამართლის მიერ წარსულში ერთეული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება.[4542] მოსამართლე ობიექტურად მიკერძოებულად არ ითვლება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ის იღებს გადაწყვეტილებას ერთი და იმავე პირის მიმართ, მაგრამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პროცესის ფარგლებში.[4543]

2190 იმის დასადგენად, ხომ არ არის დარღვეული საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება, ევროპული სასამართლო აფასებს ცალკეული შემთხვევის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას.[4544] კონკრეტული ვადები არც კონვენციითა და არც სასამართლოს პრაქტიკითაა განსაზღვრული. როგორც წესი, ვადის გონივრულობის შეფასება ხდება პროცესის ცალკეული ეტაპების მიხედვით. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც პროცესის ხანგრძლივობა prima facie შეუძლებელია, რომ გონივრულად ჩაითვალოს.[4545] საქმის განხილვის ვადის გონივრულობის მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.[4546] ევროპული სასამართლო გონივრულობის შეფასებისას ეყრდნობა ოთხ ძირითად კრიტერიუმს: (1) საქმის მნიშვნელობა მომჩივანისათვის; (2) საქმის მოცულობა და კომპლექსურობა; (3) მომჩივნის ქცევა და (4) სახელმწიფო ორგანოების ქცევა.[4547] მომჩივანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქმეს აქვს მაგალითად მაშინ, როდესაც ის ბრალდებულია და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული. ამავე კატეგორიას მიაკუთვნებენ საოჯახოსამართლებრივ, საპენსიო და შრომითი დავებს (თუ საქმე პირის მატერიალურ საარსებო წყაროს შეეხება),[4548] ასევე დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებს.[4549] საქმის მოცულობასა და კომპლექსურობას შეიძლება განაპირობებდეს როგორც ფაქტობრივი გარემოებები, ასევე სამართლებრივი საკითხების სირთულე. მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პროცესის მონაწილეთა მრავალრიცხოვნება, საზღვარგარეთ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობა და ა.შ.[4550] როგორც წესი, კომპლექსურობით გამოირჩევა ეკონომიკური ან გარემოსდაცვითი დავები,[4551] ასევე რთულ სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებული საქმეები.[4552] მომჩივნის ქცევის შეფასება განსაკუთრებულ წინდახედულობასა და დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში,

[4539] De Cubber v. Belgium (N9186/80; 26.10.1984); Morel v. France; Micallef v. Malta (N17056/06; 15.10.2009).

[4540] Piersack v. Belgium; Sturua v. Georgia (N45729/05; 28.3.2017).

[4541] Adamkiewicz v. Poland (N54729/00; 2.3.2010); Fatullayev v. Azerbaijan (N40984/07; 22.4.2010).

[4542] Bulut v. Austria.

[4543] Alexandru Marian Iancu v. Romania (N60858/15; 4.2.2020).

[4544] მაგ.: König v. Germany (N6232/73; 28.6.1978).

[4545] Obermeier v. Austria (N11761/85; 28.6.1990); Willekens v. Belgium (N50859/99; 24.4.2003).

[4546] Eckle v. Germany (N8130/78; 15.7.1982).

[4547] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 88.

[4548] იქვე, Rn. 93.

[4549] Oršuš and Others v. Croatia (N15766/03; 17.7.2008).

[4550] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 89.

[4551] Metzger v. Germany (N37591/97; 31.5.2001); Smirnova v. Russia (N48183/99; 24.7.2003); Lislawska v. Poland (N37761/97; 13.7.2004).

[4552] Ilnseher v. Germany (N10211/12, 27505/14; 4.12.2018).

გაჭიანურების თავიდან აცილებისათვის, მხარეებს უფრო მეტი მზრუნველობის გამოვლენა ევალებათ, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესში.[4553] ბრალდებული არ არის ვალდებული, აქტიურად ითანამშრომლოს სახელმწიფო ორგანოებთან პროცესის სწრაფი წარმართვისათვის.[4554] მას არ უნდა დაეკისროს გაჭიანურების ტვირთი იმის გამო, რომ გამოიყენა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება თავისი პოზიციების დასაცავად.[4555] დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო სახელმწიფო ორგანოების ქცევის შეფასების დროსაც. სისხლის სამართლის პროცესში დაუშვებელია საქმის განხილვის გაჭიანურება როგორც სახელმწიფო ორგანოთა პასიურობით, ასევე მიზანმიმართული მოქმედებით (მაგალითად, მსჯავრდებულისათვის განაჩენის გადაცემის დაგვიანება).[4556] როგორც წესი, შესაძლებელია გაჭიანურებასთან დაკავშირებული პრობლემების დაბალანსება სხვა ღონისძიებების (მაგალითად, საქმეების გაყოფა) გამოყენებით.[4557] სამოქალაქო პროცესში სახელმწიფო ორგანოთა ქცევას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ამ კატეგორიის საქმეთა სწრაფი წარმართვა, პირველ რიგში, მხარეთა ამოცანად მიიჩნევა.[4558] მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ორგანოები გაჭიანურების გამო პასუხისმგებლობისაგან სრულად არც ამ შემთხვევაში თავისუფლდებიან.[4559] სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელია საქმის განხილვის გაჭიანურებისათვის, რაც გამოწვეულია სასამართლო სისტემის ორგანიზაციული და სტრუქტურული ნაკლოვანებებითა და შეცდომებით, რადგანაც სწორედ ის არის ვალდებული, შექმნას ისეთი სასამართლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქმეთა გონივრულ ვადებში განხილვას.[4560]

3.2. უფლება კანონისმიერ სასამართლოზე - ჩარევის შემოწმება

2191 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ არ მოითხოვს სასამართლო განსჯადობის კანონით განსაზღვრას, თუმცა ეს საკითხი არსებითი, პრინციპული მნიშვნელობისაა, უკავშირდება უფლებას კანონისმიერ სასამართლოზე და ნორმატიული რეგლამენტაცია სწორედ კანონმდებლის კომპეტენციაა. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს დაარღვევს პირის განსჯა იმ სასამართლოს მიერ, რომლის იურისდიქციასაც არ ექვემდებარება მისი საქმე საკანონმდებლო აქტით.

2192 კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას ექვემდებარება, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ის ორგანო, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება პირის საქმე, „სასამართლოდ“. N1/1/10 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მოსარჩელის პოზიცია, რომ კონსტიტუცია არ იცნობდა საარბიტრაჟო სასამართლოს სახით მართლმსაჯულების განმახორციელებელ სასამართლო ხელისუფლების ორგანოს. მან არ დაადგინა კანონისმიერ სასამართლოზე უფლების დარღვევა.

[4553] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 90.
[4554] Eckle v. Germany.
[4555] Pretto and Others v. Italy; Girardi v. Austria (N50064/99; 11.12.2003).
[4556] Svinarenko and Slyadnev v. Russia (N32541/08, 43441/08; 17.7.2014).
[4557] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 91; Baggetta v. Italy (N10256/83; 25.6.1987).
[4558] მაგ.: Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 91.
[4559] Neves e Silva v. Portugal (N11213/84; 27.4.1989); Volkwein v. Germany (N45181/99; 4.4.2002).
[4560] Philis v. Greece (N19773/92; 27.6.1997); Gast and Popp v. Germany (N29357/95; 25.2.2000); Metzger v. Germany.

საარბიტრაჟო სასამართლო იმჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ახორციელებდა სასამართლო ფუნქციებს და წარმოადგენდა სასამართლოების სისტემაში შემავალ სპეციალიზებულ სასამართლო ორგანოს. ის სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებდა არა მართლმსაჯულების, არამედ კანონით დადგენილი სხვა ფორმის - საარბიტრაჟო სასამართლო წარმოების მეშვეობით, რასაც უშვებდა კონსტიტუციის იმ დროისათვის მოქმედი რედაქცია.[4561]

2193 სასამართლოების იურისდიქციისა და განსჯადობის განსაზღვრისას კანონმდებელს აქვს თავისუფალი მოქმედების სფერო. N2/5/309,310,311 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო მოსარჩელეთა მოთხოვნას, რომლებიც დავობდნენ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საქმეების ადმინისტრაციული და არა სისხლის სამართლის წარმოების წესით განხილვაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მათი პოზიცია, რადგანაც სამართლიანი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზეც ვრცელდებოდა და სამართალწარმოების ფორმის შერჩევა, საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დაცვის პირობებში, კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენდა.[4562] შეუძლებლად ჩაითვალა სადავო ნორმების შეფასება კანონისმიერ სასამართლოზე უფლებასთან მიმართებით, რადგანაც კონსტიტუციაში არ იყო დეტალური ინფორმაცია სასამართლო ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხებზე. ის ადგენდა ზოგად პრინციპებს, რომელთა დაკონკრეტება კანონმდებლის საქმე იყო.[4563] ამგვარი მიდგომით, კანონმდებელს, ფაქტობრივად, შეუზღუდავი თავისუფლება მიენიჭა, რაც არ არის მართებული. სულ ცოტა, შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს, განსჯადობის განსაზღვრას ხომ არ აქვს თვითნებური ხასიათი, ანუ საქმე, რომელიც თავისი არსით აშკარად ერთი სახის სამართალწარმოების ფარგლებში უნდა იქნეს განხილული, ხომ არ განიხილება სხვა სამართალწარმოების წესით. გარკვეულ შემთხვევებში, ამან შეიძლება გამოიწვიოს პირის როგორც საპროცესო, ასევე იმ უფლებების დაზიანება, რომელთა დაცვასაც ის სასამართლოს საშუალებით ცდილობს.

2194 კანონიესმიერ სასამართლოზე უფლებასთან მიმართებით შეფასდა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა ადვკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას პირდაპირ უზენაეს სასამართლოში. მოსარჩელე თვლიდა, ეს არაკონსტიტუციური იყო, რადგანაც უზენაეს სასამართლოს არ ჰქონდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვის უფლებამოსილება. კონსტიტუციის მიზნებისათვის უზენაესი სასამართლო წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელების საბოლოო ინსტანციას, რომელიც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას ამოწმებდა კასაციის წესით, კანონიერების თვალსაზრისით. სადავო ნორმა მას ანიჭებდა ფუნქციას, რომელიც არ უკავშირდებოდა საკასაციო საქმიანობას. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს გარემოება არ ჩათვალა საკმარისად არაკონსტიტუციურობის დასადგენად. მან ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის იმჟამინდელი

[4561] საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის N1/1/10 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[4562] N2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 4.

[4563] იქვე, 7.

რედაქციის 90-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც კანონმდებელს ანიჭებდა უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების დამატებით განსაზღვრის დისკრეციას. სწორედ ამ დისკრეციით ისარგებლა კანონმდებელმა, როდესაც დაადგინა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების პირდაპირ უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, ანუ ფორმალურად სადავო ნორმა კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდა. სადავო ნორმის კანონისმიერ სასამართლოზე უფლებასთან მიმართების საკითხის შესაფასებლად საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა ტესტი, რაც გულისხმობდა იმის გარკვევას, დამატებითი (არასაკასაციო) კომპეტენციის მინიჭებით კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ დგებოდა სხვა საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელება. მან ხაზი გაუსვა, რომ მოსარჩელე არ დავობდა იმაზე, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს სხვა საქმეებზე კასაციის ეფექტურად განხორციელებაში შეუშლიდა ხელს და არც შესაბამისი არგუმენტაცია წარმოუდგენია. გარდა ამისა, ადვოკატთა დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დავები ხშირი არ იყო პრაქტიკაში და უზენაეს სასამართლოს გაუმართლებლად არ გადატვირთავდა. საბოლოოდ, კონსტიტუციის დარღვევა არ დადგინდა.[4564] საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მიდგომასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელემ კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა კანონიერ სასამართლოზე მისი (სუბიექტური) უფლების და არა უზენაესი სასამართლოს საკასაციო საქმიანობის ეფექტიანობის დასაცავად. დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილების კანონიერების პირდაპირ უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვა მას უსპობდა ზემდგომ ინსტანციაში სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და თავისი დარღვეულად ნაგულვები უფლების სასამართლო წესით სულ ცოტა ორ ინსტანციაში დაცვის საშუალებას. გაუგებარია, რატომ ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოლოდინი, რომ მოსარჩელე იდავებდა და არგუმენტებს წარმოადგენდა იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმა ხელს უშლიდა უზენაეს სასამართლოს სხვა საქმეებზე საკასაციო უფლებამოსილებების განხორციელებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზე, თუ რამდენად უშლიდა ხელს შესაბამისი დავის განხილვის უზენაესი სასამართლოს განსჯადობისათვის მიკუთვნება მოსარჩელისა და მის მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთა სუბიექტური უფლებების სასამართლოს მეშვეობით ეფექტიან დაცვას და რამდენად იყო გამართლებული ეს კონსტიტუციურსამართლებრივად მატერიალური თვალსაზრისით.

2195 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმის კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ განხილვის უფლების დარღვევის შემთხვევებისას,[4565] ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს არ უდგენს წინაპირობებს სასამართლოების შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებით, რადგანაც ამ კუთხით, ეროვნული თავისებურებები არსებობს. აუცილებელი არ არის სასამართლოს დაკომპლექტება მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეებით. ევროპული სასამართლო ასევე თავდაჭერილად აფასებს მოსამართლეთა განწესების სხვადასხვა ვარიანტებს, თუმცა მოითხოვს ამ პროცესის კანონით

[4564] N2/1/598 გადაწყვეტილება, II-6, 8, 14-21.

[4565] დეტალურად იხ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 52.

რეგლამენტაციას, კონკრეტულ შემთხვევებში კანონის მოთხოვნათა დაცვასა[4566] და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.[4567] კონვენციას ეწინააღმდეგება სასამართლოს შემადგენლობის დადგენა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ან ამ საკითხის გადაცემა მართლმსაჯულების ორგანოთა დისკრეციაში.[4568] დაუშვებელია საქმის განხილვაში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომლის შერჩევისა და განწესების დარღვევები აშკარაა, აზიანებს უფლების არსს და არ ექვემდებარება ეფექტიან სასამართლო კონტროლს.[4569] კონვენციას არ შეესაბამება ასევე მოსამართლის შეცვლა დასაბუთების ან საკანონმდებლო საფუძვლების გარეშე.[4570]

3.3. დაცვის უფლება - ჩარევის შემოწმება

2196 დაცვის უფლებაში ჩარევა, პირველ რიგში, უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს. კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი კანონის დათქმას პირდაპირ მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით დაცვის განხორციელებისათვის ითვალისწინებს, თუმცა პირადად ან ადვოკატის საშუალებით დაცვაზე ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა. დაცვის უფლების შემზღუდველი კანონი უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის მოთხოვნებს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა სასამართლოს ანიჭებდა იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის უფლებამოსილებას, რომელიც არ იყო ადვოკატი, თუ ჩათვლიდა, რომ მას არ გააჩნდა „საკმარისი მონაცემები“ იმისათვის, რომ წარმოედგინა მხარე და დაეცვა მისი უფლებები. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა, იყო ტერმინის „საკმარისი მონაცემები“ განუსაზღვრელობა. სასამართლოს აზრით, კანონმდებელი არ განმარტავდა ამ ტერმინს და მისი შინაარსის გაგება მთლიანად სასამართლოს მიხედულებაზე იყო დამოკიდებული, რაც წარმოშობდა წარმომადგენლად დაშვებაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი უარის საფრთხეს.[4571]

2197 დაცვის უფლების შეზღუდვა, ფორმალურთან ერთად, კონსტიტუციის მატერიალურ სტანდარტებს, კერძოდ, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.[4572] ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[4573] იქედან გამომდინარე, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ ასახელებს დაცვის უფლების შეზღუდვის კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზნებს, შეზღუდვა დასაშვებია სხვათა უფლებების ან მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სიკეთეების დასაცავად. მაგალითად: (1) ბრალდებულის ქონების დაყადაღების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვით დაცვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად და ღირებულ

[4566] მაგ.: Xero Flor v. Poland (N4907/18; 7.5.2021).

[4567] Lavents c. Latvia; Panjikidze and Others v. Georgia (N30323/02; 27.10.2009); Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland.

[4568] Richert v. Poland (N54809/07; 25.10.2011); Oleksandr Volkov v. Ukraine; Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland.

[4569] Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland.

[4570] Sutyagin v. Russia (N30024/02; 3.5.2011); Kontalexis v. Greece (N59000/08; 31.5.2011).

[4571] საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის N1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[4572] მაგ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-18.

[4573] მაგ.: იქვე, II-48.

კონსტიტუციურ სიკეთედ საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა ქონებაზე ყადაღის დადების განხორციელებისათვის საფრთხეების პრევენცია. მისი აზრით, ზეპირი განხილვის შემთხვევაში, შესაბამის სუბიექტს გაუჩნდებოდა შესაძლო ყადაღის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და ქონების გადამალვის, განადგურების, გასხვისების ან ღირებულების შემცირების შანსი, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ან აზრს დაუკარგავდა ამ ღონისძიების განხორციელებას;[4574] (2) საგადასახადო ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე კომერციული ბანკიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის იმ პირის მონაწილეობის გარეშე განხილვის, რომელსაც შეეხებოდა ეს ინფორმაცია, ლეგიტიმურ მიზნად ჩაითვალა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. სამართალწარმოებაში დაინტერესებული პირის მონაწილეობას შეიძლება ეჭქვეშ დაეყენებინა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ეფექტიანობა გადასახადებისაგან თავის არიდების პრევენციისა და აღკვეთის სფეროში. გარდა ამისა, სადავო ნორმა ასევე ემსახურებოდა საქართველოს საგადასახადო ორგანოების ეფექტიან მუშაობას, ვინაიდან საჭიროების შემთხვევაში, ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით, მათ ეძლეოდა სათანადო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უცხო ქვეყნების საგადასახადო ორგანოებიდან.[4575]

2198

დაცვის უფლების სხვადასხვა ასპექტების შეზღუდვისათვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მაგალითად: (1) დამცველზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის მიზანი შეიძლება იყოს მესამე პირთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და თავისუფლების დაცვა უშუალო და სერიოზული საფრთხისაგან,[4576] გამოძიებისათვის ხელის შემშლელი გარემოებების (მაგალითად: ბრალდებულის მიმალვა, მტკიცებულებების განადგურება ან შეცვლა, მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენა და სხვა) პრევენცია[4577] და ა.შ.; (2) დაცვის მომზადების პროცესში საქმის მასალების გაცნობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვის მიზნებისათვის;[4578] (3) ხელშეშლისა და ზედამხედველობის გარეშე დამცველთან ურთიერთობასა და მასთან დოკუმენტების მიმოცვლაში ჩარევა შეიძლება ემსახურებოდეს დამცველთან შეხვედრის ბოროტად გამოყენებისა და უსაფრთხოების განსაკუთრებული რისკების პრევენციას;[4579] (4) დაცვის დოკუმენტაციის კონფიდენციალობაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს კონფიდენციალობის ბოროტად გამოყენების პრევენციისათვის, როდესაც ის გამოიყენება დანაშაულებრივი მიზნებისათვის ანდა საფრთხეს უქმნის სასჯელაღსრულების დაწესებულების ან მესამე პირთა უსაფრთხოებას. ამასთან, ამგვარი მიზნები სახეზე ვერ იქნება მხოლოდ ბრალდებულის მახასიათებლებიდან (მაგალითად, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განწყობა) გამომდინარე.[4580]

[4574] N2/1/631 გადაწყვეტილება, II-85.

[4575] დეტალურად იხ.: N1/3/638 გადაწყვეტილება, II-23-25.

[4576] Ibrahim and Others v. the United Kingdom (N50541/08, 50571/08, 50573/08, 40351/09; 13.9.2016); Simeonovi v. Bulgaria (N21980/04; 12.5.2017); Beuze v. Belgium (N71409/10; 9.11.2018).

[4577] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 210.

[4578] Lamy v. Belgium; M. v. Netherlands.

[4579] M. v. Netherlands.

[4580] Khodorkovskiy and Lebedev v. Russia.

2199 დაცვის უფლების შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის კრიტერიუმს.[4581] ამ უფლებაში ჩარევასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის აუცილებელია ლოგიკური კავშირის არსებობა. გარდა ამისა, შეზღუდვა უნდა იძლეოდეს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[4582] მაგალითად, კომერციული ბანკიდან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვა იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომელსაც შეეხებოდა ეს ინფორმაცია, საკონსტიტუციო სასამართლომ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად ჩათვალა. სამართალწარმოებიდან ინფორმაციის სუბიექტის დისტანცირება უზრუნველყოფდა სხვა სახელმწიფოში მიმდინარე პროცესის ეფექტიანობას. გარდა ამისა, ხდებოდა საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გაჭიანურების პრევენცია.[4583]

2200 თუ დაცვის უფლებაში ჩარევა გამოსადეგია, ამის შემდეგ ხდება შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება ის აუცილებლობის კრიტერიუმს. ის უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას.[4584] მაგალითად მოვიყვანთ კვლავ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხებოდა კომერციული ბანკიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის განხილვას. ამ შემთხვევაში შეზღუდვას ჰქონდა ბლანკეტური ხასიათი - პირის სამართალწარმოებიდან დისტანცირება ხდებოდა ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რამდენად არსებობდა ამის ლეგიტიმური ინტერესი. საქმის განმხილველ სასამართლოს არ ჰქონდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ინტერესის არსებობის დადგენისა და იმის შეფასების უფლებამოსილება, გადაწონიდა თუ არა ის ინფორმაციის სუბიექტის ინტერესს სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებასა და სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. სადავო ნორმებით დადგენილი ბლანკეტური შეზღუდვის ალტერნატიული, ნაკლებად მზღუდავი საშუალება იქნებოდა სასამართლოსათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება და ინფორმაციის სუბიექტის მონაწილეობის გარეშე შუამდგომლობის განხილვა, თუ ამის საჭიროება იარსებებდა. აქედან გამომდინარე, აუცილებლობის კრიტერიუმი არ იყო დაკმაყოფილებული და ირღვეოდა როგორც სამართლიან სასამართლოზე უფლება, ასევე დაცვის უფლებაც - „სამართლიანი სასამართლოს უფლების ადეკვატური დაცვა მოითხოვს, რომ პირი სასამართლოში დაცვის გარანტიით იქნეს აღჭურვილი ყველა იმ ეტაპზე, რომელიც უფლების სრულყოფილად დაცვას უზრუნველყოფს“.[4585]

2201 დაცვის უფლების შეზღუდვის აუცილებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპული სასამართლო. მაგალითად, დაცვის მოსამზადებლად საქმის მასალების გაცნობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მასალების იმ ნაწილით, რომლის კონფიდენციალობის დაცვა აუცილებელია. ეს შეიძლება განხორციელდეს დოკუმენტების საიდუმლო ნაწილების დაფარვის საშუალებით.[4586] გარდა ამისა,

[4581] მაგ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-21.

[4582] შეადარე მაგ.: იქვე, II-22, 50.

[4583] N1/3/638 გადაწყვეტილება, II-27.

[4584] მაგ.: N2/8/765 გადაწყვეტილება, II-21-22.

[4585] დეტალურად იხ.: N1/3/638 გადაწყვეტილება, II-30-38.

[4586] Lamy v. Belgium; M. v. Netherlands.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს უფლების შეზღუდვის ეფექტიანი საკომპენსაციო ღონისძიებები, როგორიცაა მაგალითისათვის, საქმის სხვა მასალების გამოყენებით კონფიდენციალური ნაწილის შინაარსზე პირისათვის წარმოდგენის შექმნა.[4587]

2202 დაცვის უფლებაში ჩარევის შემოწმების ბოლო ეტაპია (ვიწრო გაგებით) პროპორციულობის შემოწმება. საკონსტიტუციო სასამართლო, სხვა ძირითადი უფლებების შეზღუდვის პროპორციულობის შემოწმების მსგავსად, აქაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ჩარევით შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვაზე.[4588] მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეფასდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების პროპორციულობა, რომლებიც ახდენდნენ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შუამდგომლობის მონოპოლიზებას პროკურორთან. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ბრალდების მხარეს უნდა ჰქონოდა ბრალდების დასაბუთებულობაში ეჭვის შეტანის შესაძლებლობა, რისთვისაც აუცილებელი იყო ინფორმაციაზე წვდომა. ეს შეუძლებელი იყო, თუ დაცვის მხარეს დასჭირდებოდა ისეთი კომპიუტერული ინფორმაციის გამოთხოვა, რომლის მოპოვებაც ბრალდების მხარის ინტერესებში არ შედიოდა. ამით ირღვეოდა შესაძლებლობათა ბალანსი მხარეებს შორის, რის სრულყოფილ კომპენსირებასაც ვერ ახდენა მტკიცებულებათა გამჟღავნების ვალდებულება. კერძოდ, ამ ვალდებულების მოქმედების სფეროს მიღმა რჩებოდა მესამე პირთა ხელში არსებული მტკიცებულებები. ამგვარად, დაცვის მხარე ჩაყენებული იყო ბრალდების მხარის მიმართ უთანასწორო მდგომარეობაში - ოპონენტის ნების გარეშე, მას ხელი არ მიუწვდებოდა ინფორმაციის ფართო სპექტრზე, საიდანაც არათუ მნიშვნელოვანი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ერთადერთი გამამართლებელი მტკიცებულებაც კი შეიძლება მოეპოვებინა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, არაპროპორციულად ზღუდავდა და არღვევდა ერთდროულად მხარეთა თანასწორობის პრინციპსა და დაცვის უფლებას.[4589]

2203 როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, ნორმა, რომელიც არღვევს დაცვის უფლებას, უმეტესწილად სამართლიან სასამართლოზე უფლებასაც ხელყოფს. სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც შეეხებოდა პირის დაპატიმრებას სასამართლოსადმი აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამო, ეწინააღდეგებოდა ორივე კონსტიტუციურ უფლებას. დაცვის უფლების სტანდარტებს არ შეესაბამებოდა პირის უზრუნველყოფა დამცველით დაპატიმრების და არა იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს მისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისრებინა. სასამართლოს მიერ პირისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ადგილზე თათბირით, პრაქტიკულად, გამორიცხავდა პირის მხრიდან

[4587] M. v. Netherlands.

[4588] N2/8/765 გადაწყვეტილება, II-24.

[4589] დეტალურად იხ.: N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-28-34.

საკუთარი თავის დასაცავად პოზიციის გამოხატვას ან/და დამცველის დახმარებით სარგებლობას.[4590] ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობდა დაცვის უფლების დარღვევას. ამავდროულად, თუ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა აუცილებელი იყო უფლების სრულყოფილი დაცვისათვის, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა არღვევდა არა მხოლოდ უფლებას სამართლიან სასამართლოზე, არამედ მის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - დაცვის უფლებასაც, რადგანაც პირს საერთოდ ერთმეოდა მტკიცებულებების წარდგენისა და საკუთარი პოზიციის პირადად ან დამცველის მეშვეობით დაფიქსირებისა და დაცვის შესაძლებლობა.[4591] ანალოგიური მიდგომა გამოიყენა საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც დაადგინა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ერთდროულად ხელყოფდა სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლებებს.[4592] როდესაც მოსარჩელე მხარე დავობს სადავო ნორმის როგორც სამართლიან სასამართლოზე, ასევე დაცვის უფლებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურობაზე და საკონსტიტუციო სასამართლო არ ადგენს სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევას, ასევე, როგორც წესი, არ ირღვევა დაცვის უფლებაც. მაგალითად, საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე დავობდა, რომ დაზარალებულის დაცვის უფლება ირღვეოდა, რადგანაც მას არ ჰქონდა პროცესში მხარის სტატუსი და საკუთარი ინტერესების პირადად ან დამცველის საშუალებით დაცვის, ასევე სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანისა და განაჩენის გადასინჯვის მოხოვნის უფლება, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევა. აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ ვერც დაცვის უფლება დაირღვეოდა, ვინაიდან მოსარჩელე დაცვის უფლებით სარგებლობას უკავშირებდა მისი პროცესში მხარედ სრულფასოვნად მონაწილეობის შესაძლებლობას.[4593] ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოსათვის დამცველზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა, თუნდაც დამაჯერებელი მიზეზების გარეშე, საბოლოოდ, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პროცესი მთლიანობაში უსამართლო იყო.[4594] ის, კონკრეტული შემთხვევის ყველა რელევანტური გარემოების სრული გამოკვლევის საფუძველზე, ამოწმებს, ხომ არ დაარღვია დაცვის უფლების შეზღუდვამ პროცესის სამართლიანობის პრინციპი.[4595]

2204 მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დაცვის უფლების სხვადასხვა კომპონენტებში ჩარევებთან დაკავშირებით, ამიტომ მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება ძირითად საკითხებზე. დამცველზე ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევას უნდა ჰქონდეს საგამონაკლისო ხასიათი,

[4590] დეტალურად იხ.: N1/3/393,397 გადაწყვეტილება, II-2.

[4591] N3/1/574 გადაწყვეტილება, II-95.

[4592] დეტალურად იხ.: N1/5/675,681 გადაწყვეტილება, II-18-20.

[4593] N1/8/594 გადაწყვეტილება, II-40.

[4594] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 211.

[4595] Beuze v. Belgium; Mehmet Zeki Çelebi v. Turkey (N27582/07; 28.1.2020).

ეყრდნობოდეს სამართლებრივ საფუძველს და შეზღუდული იყოს დროში.[4596] შეზღუდვის კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:[4597] ბრალდებულის განსაკუთრებული მოწყვლადობა (მაგალითად, ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო); დაცვის გარეშე ყოფნის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა; ამ მტკიცებულებებთან დაკავშირებით დავისა და მათი ავთენტურობის ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობა; მტკიცებულებების ხარისხი და მათი მოპოვების გარემოებები (მაგალითად, ხომ არ იყო ისინი მოპოვებული იძულების გამოყენებით); სხვა კონვენციური უფლებების შესაძლო დარღვევა მტკიცებულებების მოპოვებისას; ბრალდებულის მიერ დამცველის გარეშე მიცემული ჩვენება და ხომ არ განხორციელდა მისი სწრაფი შეცვლა ან უარყოფა; მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება პირის მსჯავრდებისას საქმეზე არსებული სხვა მტკიცებულებების კონტექსტში; პროცესის მწარმოებელი სუბიექტი; დანაშაულებრივი ქმედების გამოძიებისა და დამნაშავის დასჯის საზოგადოებრივი ინტერესი; სამართლიანობის დაცვის სხვა საპროცესო საშუალებების არსებობა.[4598] ევროპული სასამართლოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პირის მსჯავრდება არ ემყარებოდეს მის მიერ დაცვის გარეშე მიცემულ აღიარებით ჩვენებას, რომელიც მოგვიანებით მან უარყო ან სხვა მსგავს საფუძვლებს.[4599] კონვენცია შეიძლება დაარღვიოს დამცველის მონაწილეობის გარეშე ჩატარებულმა დაპირისპირებამ, უარმა საქმის მასალების ხელმისაწვდომობაზე, ასევე ადვოკატის გარეშე მიცემული ჩვენების განაჩენის საფუძვლად გამოყენებამ.[4600] ნაკლებად მკაცრად ფასდება შეზღუდვა, რომელიც, მართალია, აბრკოლებს დაცვაზე დროულ ხელმისაწვდომობას, მაგრამ არ წარმოადგენს მის სრულ აკრძალვას.[4601] ევროპული სასამართლო ამგვარი ჩარევების შემოწმებას ახორციელებს ორსაფეხურიანი ტესტის საშუალებით. პირველ საფეხურზე ხდება იმის შემოწმება, რამდენად აქვს კონკრეტულ შეზღუდვას მნიშვნელოვანი და საკმარისი საფუძველი, ხოლო მეორე საფეხურზე - არის თუ არა სახეზე დაცვის უფლების ისეთი მძიმე და მასშტაბური ხელყოფა, რამაც მთლიანობაში დაარღვია პროცესის სამართლიანობა.[4602]

2205

პირს შეუძლია უარი განაცხადოს დამცველის დახმარებითა და დაცვის უფლებით სარგებლობაზე. ამ შემთხვევაში შემოწმებას ექვემდებარება, თუ რამდენად შეასრულა სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულებები. ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, თუ განხორციელდა ბრალდებულის სწორი და სრული ინფორმირება წარდგენილი ბრალდების შინაარსისა და სიმძიმის შესახებ.[4603] უარი ნამდვილად არ ჩაითვლება, თუ ბრალდებულს დაუმალეს წარდგენილი ბრალდების სიმძიმე. სახელმწიფო ორგანოებმა ის ასევე უნდა გააფრთხილონ ბრალდების (შესაძლო) დამძიმებისა და მისი შედეგების შესახებ.[4604] საქმის ახალი გარემოებების გამოვლენის

[4596] Ibrahim and Others v. the United Kingdom; Olivieri v. France (N62313/12; 11.7.2019).

[4597] დეტალურად იხ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 212.

[4598] Beuze v. Belgium; Mehmet Zeki Çelebi v. Turkey.

[4599] Simeonovi v. Bulgaria.

[4600] შეადარე მაგ.: Çimen v. Turkey (N19582/02; 3.2.2009); Zaichenko v. Russia; Beuze v. Belgium.

[4601] დეტალურად იხ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 215.

[4602] Dvorski v. Croatia (N25703/11; 20.10.2015).

[4603] Zakshevskiy v. Ukraine (N7193/04; 17.3.2016).

[4604] Zachar and Čierny v. Slovakia (N29376/12, 29384/12; 21.7.2015).

შემთხვევაში, ბრალდებულს კიდევ ერთხელ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია დაცვის უფლებასთან დაკავშირებით და შემოწმდეს სავალდებულო დამცველის დანიშვნის შესაძლებლობა.[4605] სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო საპროცესო გარანტიების შექმნა ბრალდებულის მიერ დამცველის დახმარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ავტონომიურობის დასაცავად.[4606] განსაკუთრებული სიფრთხილით შემოწმებას ექვემდებარება ადვოკატის დანიშვნის ან მასზე უარის თქმის შესაბამისობა კონვენციასთან არასრულწლოვნების შემთხვევაში.[4607]

2206 სავალდებულო დაცვის შემთხვევები წარმოადგენენ იმ გამონაკლისს, როდესაც პირს ეზღუდება დამცველის დახმარებაზე უარის თქმის უფლება.[4608] ამ დროს ერთმანეთს უპირისპირდება ბრალდებულისა და მართლმსაჯულების ინტერესები. ამგვარი შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც ის აუცილებელია საპროცესო რისკების პრევენციისა და ადვოკატის პროფესიული კონსულტაციის საჭიროებიდან გამომდინარე, პროცესის სამართლიანი მიმდინარეობის უზრუნველყოფისათვის.[4609] ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ სავალდებულო დამცველის შერჩევისას მოხდეს ბრალდებულის პრეფერენციებისათვის ანგარიშის გაწევა,[4610] თუმცა კონკრეტული ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით მისი სურვილი შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, თუ ეს გამომდინარეობს მართლმსაჯულების ინტერესებიდან.[4611] მსგავსი მიდგომაა დამცველთა რაოდენობის განსაზღვრასთან და დამცველის დაშვების სხვადასხვა წინაპირობებთან (მაგალითად, სპეციალური კვალიფიკაციის მოთხოვნა) დაკავშირებით.[4612] დამცველის დანიშვნა ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოითხოვს მნიშვნელოვანი და საკმარისი საფუძვლების არსებობას.[4613]

2207 ეფექტიანი და ქმედითი დაცვის განხორციელებისათვის აუცილებელია დაცვის სათანადო მომზადება. დაცვის მომზადებისათვის მინიმალური ვადებისა და შესაბამისი ღონისძიებების ზოგადი განსაზღვრა შეუძლებლად ითვლება.[4614] კონკრეტული შემთხვევების შეფასებისას ევროპული სასამართლო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: საქმის მოცულობა, სირთულე და კომპლექსურობა; საპროცესო ვადები; საქმის ზეპირი განხილვის დაწყებამდე დარჩენილი დრო; ბრალდებულსა და დამცველს შორის სივრცობრივი დისტანცია; ბრალდებულის ინტელექტუალური შესაძლებლობები და ფიზიკური მდგომარეობა; დამცველის დანიშვნის დრო, მასსა და ბრალდებულს შორის კომუნიკაციის რეგულირება; ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა და პატიმრობის პირობები; დამცველის დატვირთულობა და ა.შ.[4615] ქმედითი დაცვის ინტერესს ხშირად უპირისპირდება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი.

[4605] Zakshevskiy v. Ukraine.

[4606] V.C.L. and A.N. v. the United Kingdom (N77587/12, 74603/12; 16.2.2021).

[4607] Martin v. Estonia (N35985/09; 30.5.2013).

[4608] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 216.

[4609] Correia de Matos v. Portugal (N56402/12; 4.4.2018).

[4610] Lagerblom v. Sweden (N26891/95; 14.1.2003).

[4611] Croissant v. Germany; Mayzit v. Russia.

[4612] Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 300; Meftah and Others v. France (N32911/96, 35237/97, 34595/97; 26.7.2002).

[4613] Croissant v. Germany.

[4614] მაგ.: Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 196.

[4615] დეტალურად იხ.: Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 286 f.; Mayzit v. Russia; Mattick v. Germany (N62116/00; 31.3.2005); Sakhnovskiy v. Russia (N21272/03; 2.11.2010).

სახელმწიფომ უნდა დაიცვას სამართლიანი ბალანსი, რათა სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა არ მოხდეს დაცვის უფლების ხელყოფის ხარჯზე.[4616] მას ეკისრება ქმედითი დაცვის განხორციელებისათვის ადეკვატური ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება.[4617] კონვენციის დარღვევას ამ ვალდებულების შეუსრულებლობაც იწვევს, მაგალითად, თუ არ მოხდება ბრალის შემამსუბუქებელი მასალების დაცვის მხარისათვის გაცნობა.[4618] ამასთან, დაცვის ეფექტიანი განხორციელება, პირველ რიგში, ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა და სახელმწიფოს არ ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, მოახდინოს მისი შეცდომების პრევენცია ან გამოსწორება.[4619] მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება მაინც გახდეს აუცილებელი, თუმცა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადვოკატი უშვებს უხეშ შეცდომებს ბრალდებულის საზიანოდ (მაგალითად, არ ასაჩივრებს პირველი ინსტანციის განაჩენს სააპელაციო ინსტანციაში, მიუხედავად ბრალდებულის სურვილისა).[4620]

3.4. ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახება და დაკითხვა - ჩარევის შემოწმება

2208 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცულ უფლებაზე ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა. ამდენად, კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმებისას უნდა გაირკვეს, რამდენადაა ჩარევა განხორციელებული კანონის საფუძველზე და აკმაყოფილებს თუ არა ეს კანონი ხარისხობრივ სტანდარტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩარევა დაარღვევს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს.

2209 რაც შეეხება, ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახებისა და დაკითხვის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციასთან მატერიალურ შესაბამისობას, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მთავარი საზომი ამ შემთხვევაშიც თანაზომიერების პრინციპია.[4621] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილებაში მან შეაფასა გამოძიების სტადიაზე დაცვის მხარის მიერ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობა და იმსჯელა თანაზომიერების ტესტის ყველა კომპონენტთან დაკავშირებით, ამიტომ ქვემოთ სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან მოვიყვანთ მაგალითებს.

2210 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი პირდაპირ არ ითვალისწინებს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა მიღწევის ინტერესშიც შეიძლება განხორციელდეს უფლების შეზღუდვა. ამიტომ ამ შემთხვევაშიც ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს იმ სიკეთეთა დაცვა, რომელიც მიეკუთვნება სხვათა უფლებების ან ღირებული კონსტიტუციური სიკეთეების კატეგორიას. საკონსტიტუციო სასამართლომ მოპასუხის მიერ დასახელებული მიზანი - გამოძიების ეფექტიანად განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება, როგორც

[4616] OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia (N14902/04; 20.9.2011).

[4617] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 222.

[4618] Rowe and Davis v. the United Kingdom.

[4619] Kamasinski v. Austria; Cuscani v. the United Kingdom (N32771/96; 24.9.2002); Sejdovic v. Italy; Sannino v. Italy.

[4620] Rutkowski v. Poland (N45995/99; 19.10.2000); Sejdovic v. Italy; Staroszczyk v. Poland (N59519/00; 22.3.2007); Smyk v. Poland (N8958/04; 28.7.2009).

[4621] N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-103.

ასეთი, მნიშვნელოვან სიკეთედ კი ჩათვალა, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში ის არარელევანტური იყო. დაცვის მხარისათვის გამოძიების დროს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მინიჭება არ აბრკოლებდა გამოძიების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და შესაბამისად, არც ლოგიკური კავშირი არსებობდა შეზღუდვასა და დასახელებულ მიზანს შორის.[4622] შეზღუდვის ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია სასამართლოს დაცვა გადატვირთვისაგან. გამოძიების სტადიაზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შუამდგომლობები უნდა განეხილა სასამართლოს. გარდა ამისა, მასვე მოუწევდა მოწმის დაკითხვის პროცესზე ზედამხედველობის განხორციელება. ამ ფუნქციების შესრულება სასამართლოსაგან მოითხოვდა დამატებით ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს და ზრდიდა მის დატვირთვას.[4623]

2211 ბრალდებულის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში გამოძახებისა და დაკითხვის უფლების შეზღუდვის გამოსადეგობის შესამოწმებლად გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული ზოგადი სტანდარტი - უნდა დადგინდეს ლოგიკური კავშირი ჩარევასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის, ამასთან შეზღუდვა უნდა იძლეოდეს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[4624] გამოძიების სტადიაზე დაცვის მხარის მიერ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების შეზღუდვა გამოსადეგობის კრიტერიუმს შეესაბამებოდა, რადგანაც ლოგიკურად უკავშირდებოდა ლეგიტიმურ მიზანს და ამცირებდა სასამართლოს დატვირთვას.[4625]

2212 საკონსტიტუციო სასამართლომ ჩარევის აუცილებლობის შემოწმებაც მის პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტის მიხედვით განახორციელა. გამოძიების სტადიაზე დაცვის მხარის მიერ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების შეზღუდვა ჩაითვალა აუცილებელ საშუალებად, რადგანაც არ გამოიკვეთა ნაკლებად მზღუდავი ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მსგავსი ეფექტიანობით უზრუნველყოფდა სასამართლოს დაცვას გადატვირთვისაგან.[4626]

2213 (ვიწო გაგებით) პროპორციულობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთს დაუპირისპირა და შეადარა, ერთი მხრივ, დაცვის მხარის ინტერესი, საქმის არსებითად განხილვამდე ჰქონოდა ბრალდების მხარის თანაბრად მოწმის დაკითხვის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ინტერესი. იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო დაცული სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის, სასამართლომ ჯერ ცალ-ცალკე იმსჯელა მათ მნიშვნელობასა და შეზღუდვის სიმძიმეზე, ხოლო შემდეგ განახორციელა მათი შეპირისპირება, შედარება. დაცვის მხარისათვის გამოძიების სტადიაზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შესაძლებლობის შეზღუდვა იწვევდა მნიშვნელოვან დისბალანსს ბრალდების მხარესთან მიმართებით. ამ ეტაპზე მოწმის დაკითხვა დიდ გავლენას ახდენდა არსებითი განხილვისათვის მომზადებასა და დაცვის სათანადოდ განხორციელებაზე. ჩარევის სიმძიმის ხარისხს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ უფლება ეზღუდებოდათ სისხლის

[4622] იქვე, II-104.
[4623] იქვე, II-107-108.
[4624] იქვე, II-109.
[4625] იქვე, II-110.
[4626] იქვე, II-109-110.

სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ (ძირითადად მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულებში ბრალდებულებს, რომლებსაც სათანადო საპროცესო გარანტიებით სარგებლობის აღმატებული კონსტიტუციური ინტერესი ჰქონდათ. თავის მხრივ, სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ინტერესის მნიშვნელობაც მაღალი იყო. ის უკავშირდებოდა მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას და სამართლიან სასამართლოზე უფლებით სათანადო სარგებლობის უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სასამართლოს გადატვირთვის აშკარად ხელშესახები საფრთხე, რადგანაც ის დანაშაულები, რომელთა ჩადენაში ბრალდებულებს ეზღუდებოდა მოწმის დაკითხვა, არ ხდებოდა დიდი ოდენობით. აქედან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ინტერესი ვერ გადაწონიდა შეზღუდულ ინტერესს, ჩარევა ვერ აკმაყოფილებდა პროპორციულობის მოთხოვნას და არაკონსტიტუციური იყო.[4627]

2214 ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ბრალდებულის უფლებასთან დაკავშირებით, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში, მდიდარია საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილებასთან შედარებით. მართალია, ის დაცვის მოწმეთა გამოძახების შესახებ შუამდგომლობის გადაწყვეტას ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას მიაკუთვნებს,[4628] მაგრამ ამ გადაწყვეტილებას უქვემდებარებს დასაბუთების ვალდებულებას, რომლის ფარგლებშიც გასათვალისწინებელია მოწმის ჩვენების პოტენციური მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისათვის, მისი სარგებლიანობა დაცვის მხარის პოზიციის გასაძლიერებლად და ასევე, ხომ არ ხდება მოწმის გამოძახების უფლების ბოროტად გამოყენება.[4629] ევროპული სასამართლო, იყენებს რა სამსაფეხურიან ტესტს, კონვენციის დარღვევას ადგენს, თუ: (1) დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომელიც არ დაკმაყოფილდა, იყო საკმარისად დასაბუთებული და რელევანტური საბოლოო გადაწყვეტილებისათვის; (2) ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეამოწმეს ან/და არასაკმარისი დასაბუთებით არ დააკმაყოფილეს შუამდგომლობა და (3) მათმა გადაწყვეტილებამ ხელყო პროცესის სამართლიანობა მთლიანობაში.[4630] დაცვის მხარის შუამდგომლობა დასაბუთებულია და აქვს საკმარისი საფუძველი არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის აუცილებელია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის[4631] ან შეუძლია სხვაგვარი გავლენა მოახდინოს საქმის საბოლოო შედეგზე,[4632] არამედ ასევე, როდესაც მიმართულია დაცვის პოზიციების გაძლიერებისაკენ (მაგალითად, ზრდის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შანსებს).[4633] კონვენციას არღვევს დაცვის მხარის მოწმეთა არგამოძახება, როდესაც ეს მატერიალურად აუცილებელი იყო ჭეშმარიტების დადგენისათვის და მისი მნიშვნელობა

[4627] დეტალურად იხ.: N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება, II-111-119.

[4628] S.N. v. Sweden.

[4629] Polyakov v. Russia (N77018/01; 29.1.2009); Topić v. Croatia (N51355/10; 10.10.2013).

[4630] Murtazaliyeva v. Russia (N36658/05; 18.12.2018).

[4631] Perna (N48898/99; 6.5.2003).

[4632] Tarasov v. Ukraine (N17416/03; 31.10.2013).

[4633] Topić v. Croatia.

ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა სასამართლოს.[4634] ამასთან, დაცვის მოწმეთა გამოძახებაზე შუამდგომლობის საკმარისი საფუძველი ვერ იქნება უბრალო იმედოვნება, რომ მათი დაკითხვა შეამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.[4635] კონვენციას შეესაბამება დაცვის მოწმეთა დაკითხვაზე შუამდგომლობის არდაკმაყოფილება, თუ მოსალოდნელია, რომ მათ ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება.[4636]

3.5. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდისა და უტყუარობის სტანდარტები, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა - ჩარევის შემოწმება

2215 საპროცესო უფლებებში ჩარევის დასაშვებობაზე მსჯელობისას უკვე აღინიშნა, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 - მე-7 პუნქტებით დაცული სიკეთეების შეზღუდვა კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას არ ექვემდებარება, ამიტომ კონსტიტუციურობის შემოწმება ფაქტობრივად ჩარევის იდენტიფიკაციით შემოიფარგლება და თუ ჩარევა დადასტურდება, უფლების დარღვევაც აშკარა იქნება. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლების შეზღუდვას ვერ ხედავს, ის არც კონსტიტუციის დარღვევას ადგენს.

2216 საკონსტიტუციო სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფიციის პრინციპში ჩარევის იდენტიფიცირება ვერ მოახდინა და შესაბამისად, კონსტიტუციის ამ მოთხოვნის დარღვევაც არ დაადგინა შემდეგ შემთხვევებში: (1) უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საქმეების ადმინისტრაციული წესით განხილვა არ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. სადავო ნორმების რეგულირების საგანი არ იყო კავშირში პირის დამნაშავედ ცნობასთან. სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაწყებულიყო ადმინისტრაციული საქმის განხილვის შემდეგ, მისი შედეგების მიხედვით. უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის საკითხის სისხლის სამართლის საქმიდან გამოყოფისა და ადმინისტაციული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, საქმე შეეხებოდა ქონებრივი შინაარსის ადმინისტრაციულსამართლებრივ დავას. ეს დავა იყო თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების საშუალება და მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმი. ამ დროს თანამდებობის პირი თავის უდანაშაულობას კი არ ამტკიცებდა, არამედ ასაბუთებდა მის მფლობელობაში არსებული ქონების კანონიერი გზით მოპოვებას, რისი ვალდებულებაც მას ისედაც ეკისრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სარჩელის შეტანის უფლებამოსილება პროკურორს ენიჭებოდა, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ის იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი მისი ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით და არა სახელმწიფო ბრალმდებელი;[4637] (2) უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არ დადასტურდა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმით, რომელიც ითვალისწინებდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის

[4634] Esser, EMRK, Art. 6, Rn. 806; Perna v. Italy; Morel v. France (N43284/98; 12.2.2004); Popov v. Russia (N26853/04; 13.7.2006).

[4635] M. v. Netherlands.

[4636] Bricmont v. Belgium (N10857/84; 7.7.1989).

[4637] N2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 5-6.

გადახდისუუნარობის შემთხვევაში მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დაკისრებას სასამართლოს მიერ მისი მშობლის, მეურვის ან მზრუნველისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ სადავო ნორმით არ ხდებოდა მშობლის (მეურვის, მზრუნველის) ბრალეულ პირად, დამნაშავედ აღიარება და მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.[4638]

2217

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემოწმებისას ევროპული სასამართლო მკაცრ სატნადტებს უწესებს სახელმწიფო ორგანოებს. კონვენციას არ შეესაბამება პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლის მოქმედება ან გამონათქვამი, რომლიდანაც ჩანს, რომ ის ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევს.[4639] ზედმიწევნით შემოწმებას ექვემდებარება მოსამართლეთა ორაზროვანი გამონათქვამებიც.[4640] სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაარღვიოს გამამართლებელი განაჩენითაც კი, თუ მისი სამოტივაციო ნაწილიდან ირკვევა, რომ ის რეალურად დარწმუნებულია ბრალდებულის ბრალეულობაში.[4641] შემოწმებას ექვემდებარება სისხლს სამართლის დევნის მწარმოებელი ორგანოების მოქმედებაც. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება არ უნდა შეიცავდეს შეფასებებს პირის ბრალეულობის შესახებ.[4642] კონვენციას არღვევს ასევე ნებისმიერი საჯარო მოხელის საჯარო განცხადება ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.[4643] ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ თავშეკავებას მოითხოვს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისაგან.[4644] ეს მოთხოვნა მკაცრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გამონათქვამები დაქვემდებარებულმა ორგანოებმა შეიძლება მითითებებად აღიქვან.[4645] ამასთან, განსხვავებული მიდგომაა იმისდა მიხედვით, თანამდებობის პირმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა სამსახურებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობის ფარგლებში.[4646] ეს შეეხება შემთხვევებს, როდესაც პოლიტიკოსს იმავდროულად საჯარო თანამდებობა უკავია. პოლიტიკოსებს, რომლებიც არ იკავებენ თანამდებობას, აქვთ მეტი თავისუფლება აზრის გამოხატვისას. ისინი განიხილებიან კერძო პირებად, რომელთა მოსაზრებებზეც არ ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება.[4647] როდესაც საქმე შეეხება მასმედიის მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაძლო დარღვევას, აუცილებელია ფრთხილი აწონ-დაწონვა ამ უფლებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას შორის იმის გათვალისწინებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ მედიას დემოკრატიისათვის და რამდენად არსებობს კონკრეტული საქმის მიმართ საზოგადოების ინტერესი.[4648] მასმედიამ ბრალდებისა და ბრალდებულის

[4638] N3/2/416 გადაწყვეტილება, II-63-64.

[4639] Lavents c. Latvia; Nestak v. Slovakia (N65559/01; 27.2.2007).

[4640] Müller v. Germany (N54963/08; 27.3.2014).

[4641] Cleve v. Germany (N48144/09; 15.1.2015).

[4642] Pelterau-Villeneuve v. Switzerland (N60101/09; 28.10.2014).

[4643] დეტალურად იხ.: Schenk v. Switzerland (N10862/84; 12.7.1988); Allenet de Ribemont v. France (N15175/89; 10.2.1995); Butkevičius v. Lithuania (N48297/99; 26.3.2002); Kuzmin v. Russia (N58939/00; 18.3.2010).

[4644] Butkevičius v. Lithuania; Konstas v. Greece.

[4645] Garlicki v. Poland (N36921/07; 14.6.2011).

[4646] Huseyn and Others v. Azerbaijan; G.C.P. v. Romania (N20899/03; 20.12.2011).

[4647] Mulosmani v. Albania (N29864/03; 8.10.2013).

[4648] Axel Springer SE and RTL Television GmbH v. Germany (N51405/12; 21.9.2017).

პიროვნების აღწერისას უნდა გაითვალისწინოს, რომ საფრთხე არ შეექმნას ბრალდებულის უფლებას სამართლიან პროცესზე. მან თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ წინასწარ მსჯავრდებას, სტიგმატიზაციას ან პიროვნების დამცირებას.[4649]

2218 უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ევროპული სასამართლო არ ხედავს მხოლოდ ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით მოსაზრებებისა თუ პოზიციების გამოხატვაში. კონვენციის ამ მოთხოვნას ასევე არ შეესაბამება მაგალითად: პირის მსჯავრდება მისი გარდაცვალების შემდეგ;[4650] მემკვიდრეებისათვის ჯარიმის დაკისრება მამკვიდრებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო[4651] და ზოგადად, პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;[4652] პირისათვის უარის თქმა პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე იმ საფუძვლით, რომ მას წარდგენილი აქვს სხვა ბრალდება, თუმცა ამ ბრალდებასთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში არ არის შესული განაჩენი;[4653] პირობითი მსჯავრის გაუქმება იმ დანაშაულის გამო, რომლის ჩადენაც არ არის დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით;[4654] დანაშაულის არაერთგზის ჩადენის, როგორც დამამძიმებელი გარემოების, განხილვა იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე ბრალდებულმა ჩაიდინა იგივე დანაშაული, თუმცა ჯერ განაჩენი არ შესულა კანონიერ ძალაში[4655] და ა.შ.

2219 ევროპული სასამართლო დასაშვებად თვლის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ეროვნულ სამართალში რეგულირებების არსებობას, თუმცა მათ არ უნდა ჰქონდეთ აბსოლუტური ხასიათი, უნდა ემსახურებოდნენ დასაშვებ მიზანს, ექცეოდნენ საგნობრივად გონივრულ ფარგლებში და იძლეოდნენ ამოღებული მტკიცებულებების სასამართლოს მიერ შეფასების შესაძლებლობას.[4656] მხედველობაში მიიღება განსახილველი საქმის მნიშვნელობა და ის, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი დაცვის მხარის უფლებები.[4657] ნებისმიერ შემთხვევაში, ბრალდებულს უნდა მიეცეს ბრალდების საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა.[4658] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი უფრო მკაფიო და კატეგორიულია. თუ დადგინდა, რომ სადავო ნორმას მტკიცების ტვირთი ბრალდებულზე გადააქვს, ის დამატებითი კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების გარეშე ჩაითვლება არაკონსტიტუციურად.

2220 უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის დარღვევის შემოწმების პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითად აქცენტს აკეთებს იმის შეფასებაზე, თუ რამდენად ასრულებს სახელმწიფო თავის ვალდებულებას, შექმნას სათანადო საკანონმდებლო რეგულირება და გარანტიები, რათა პირის

[4649] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 142; Axel Springer SE and RTL Television GmbH v. Germany.

[4650] Magnitskiy and Others v. Russia (N32631/09, 53799/12; 27.8.2019).

[4651] A.P., M.P. and T.P. v. Switzerland (N19958/92; 29.8.1997).

[4652] Varvara v. Italy (N17475/09; 29.10.2013); G.I.E.M. S.r.l. and Others v. Italy (N1828/06, 34163/07, 19029/11; 28.6.2018).

[4653] Krebs v. Germany (N68556/13; 20.2.2020).

[4654] El Kaada v. Germany (N2130/10; 12.11.2015).

[4655] Kangers v. Latvia (N35726/10; 14.3.2019).

[4656] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 126; Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 135; Krumpholz v. Austria (N13201/05; 18.3.2010).

[4657] Salabiaku v. France (N10519/83; 7.10.1988); Pham Hoang v. France (N13191/87; 25.9.1992).

[4658] Janosevic v. Sweden.

ბრალდება და მსჯავრდება ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და გამოირიცხოს ამის არასანდო მტკიცებულებების საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობა.

2221 N1/1/548 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იძლეოდა ირიბი ჩვენების[4659] საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის, ასევე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. გასაჩივრებული ნორმები ქმნიდა საფრთხეს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულებისათვის და საკმარისად ვერ უზრუნველყოფდა შეცდომების პრევენციას. კოდექსი ღიად ტოვებდა ბრალის წაყენებისათვის ან განაჩენის გამოტანისათვის ირიბი ჩვენების გამოყენებისა და მისი წონის საკითხს. მართალია, ირიბი ჩვენების მიმცემ პირს უნდა დაესახელებინა ინფორმაციის წყარო, მაგრამ არ იყო დადგენილი ამ წყაროს სათანადოდ შემოწმების ვალდებულება და წესი. ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი გაუგებარი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტის თვითმხილველ მოწმეს ჩვენება უკვე ჰქონდა მიცემული ან შეიძლებოდა სასამართლოში ჩვენების მისაცემად მისი გამოძახება. კანონმდებლობა არ გამორიცხავდა ბრალის წარდგენისას ან განაჩენის გამოტანისას ერთზე მეტი ირიბი ჩვენების გამოყენებას, ასევე ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვებას, როდესაც ირიბი ჩვენება ეფუძნებოდა იმ პირისაგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც თავადაც არ იყო ფაქტის თვითმხილველი. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა გამონაკლის შემთხვევებში ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერება, ოღონდ შემდეგი პირობებით: ა) ობიექტური მიზეზის არსებობა, რის გამოც ვერ ხერხდება იმ პირის დაკითხვა, რომლის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ემყარება; ბ) აუცილებლობა მართლმსაჯულების ინტერესებისათვის; გ) ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისა და გამოყენების საკითხის მკაფიო ნორმატიული მოწესრიგება; დ) სათანადო პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფა და ე) სასამართლოს მიერ, კონკრეტულ შემთხვევაში, ირიბი ჩვენების წარდგენის გასამართლებლად დასახელებული გარემოებების შეფასება.[4660]

2222 N1/1/650,699 გადაწყვეტილებამ არაკონსტიტუციურად აღიარა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გასაჩივრებული ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. სადავო ნორმები ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ ბრალდებულის მსჯავრდება განხორციელებულიყო მისი პოზიციის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე. დაცვის მხარეს ეზღუდებოდა კონკრეტული სახის მტკიცებულებებისა მოპოვებისა და სასამართლო პროცესზე მათზე დაყრდნობით პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა. სასამართლოს შეიძლება განაჩენი დაეფუძნებინა მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებების იმ დოზით გამოკვლევაზე, რის საშუალებასაც მას პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი აძლევდა. ამგვარ პირობებში, ყოველთვის ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი განაჩენის დამყარება უტყუარ

[4659] იმ პირის მიერ მიცემულ ჩვენება, რომელიც ფაქტის თვითმხილველი არ ყოფილა.

[4660] დეტალურად იხ.: N1/1/548 გადაწყვეტილება, II-21-53.

მტკიცებულებებზე, თუ კანონმდებლობა ბრალდებულს არ მისცემდა სასამართლოს საშუალებით, კომპიუტერული წესით დაცული მტკიცებულებების მოპოვებისა და მათ საფუძველზე ბრალდების პოზიციის გაბათილების ან მისი მტკიცებულებების უტყუარობის ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობას.[4661]

2223 N2/2/1276 გადაწყვეტილებით დადგინდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის შეუსაბამობა, რომელიც უშვებდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, რომელიც ეფუძნებოდა ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. საკონსტიტუციო სასამართლომ, მსჯელობისას, მიუთითა საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე, რომელიც ადასტურებდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა პოლიციელის ჩვენება, რომელშიც ის გადმოსცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს. ამის შესაძლებლობას იძლეოდა სადავო ნორმა. პოლიციელის ამგვარი ჩვენება, თავისი ბუნებით, არსებითად არ განსხვავდებოდა მოწმის ირიბი ჩვენებისაგან, რადგანაც ისიც მესამე პირიდან მიღებულ ინფორმაციას ემყარებოდა. მისი სანდოობის ხარისხი იყო დაბალი. ვერ ხერხდებოდა სასამართლოში ინფორმაციის წყაროს გადამოწმება და რეალური წარმოდგენის შექმნა მისი უტყუარობის შესახებ. დაცვის მხარეს არ ჰქონდა ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირის უშუალოდ დაკითხვის შესაძლებლობა, რაც მას აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა. აქედან გამომდინარე, პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარებოდა კონფიდენტის/ინფორმანტის ინფორმაციას, ანალოგიურ რისკებს უქმნიდა უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას, რასაც ირიბი ჩვენება.[4662]

3.6. განმეორებით მსჯავრდების აკრძალვა - ჩარევის შემოწმება

2224 განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის დარღვევის შემოწმებაც, ფაქტობრივად, ჩარევის იდენტიფიცირებით შემოიფარგლება. თუ დადგინდა, რომ განმეორებით მსჯავრდება აშკარაა, ეს უკვე კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევაა და აღარ საჭიროებს შემოწმების სხვა საფეხურების გავლას. იმის შესახებ, თუ რა ელემენტების კუმულატიური არსებობის შემთხვევაში დგინდება განმეორებითი მსჯავრდება, უკვე მივუთითეთ საგნობრივ დაცულ სფეროზე მსჯელობისას. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ, თუ როგორ ამოწმებს საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტულ შემთხვევებში სადავო ნორმის შესაბამისობას განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპთან.

2225 N3/1/608,609 გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულია უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების საფუძველზე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდენოდა

[4661] დეტალურად იხ.: N1/1/650,699 გადაწყვეტილება, II-39-44.

[4662] დეტალურად იხ.: N2/2/1276 გადაწყვეტილება, II-84-92.

სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის განმეორებით მსჯავრდება. სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო საკუთარი ინიციატივით, აპელანტის მოთხოვნის გარეშე, შეემოწმებინა, ხომ არ არღვევდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს. ამგვარად, სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა ამ ფუნდამენტური და უპირობო პრინციპის დაცვის უფლებამოსილება და იძულებული ხდებოდა, რომ ძალაში დაეტოვებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ერთი და იმავე ქმედებისათვის განმეორებით მსჯავრდება.[4663]

2226 N2/7/636 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების განმეორებით მსჯავრდების პრინციპთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით, რომლებიც ბრალდების მხარეს უფლებას აძლევდა, წარედგინა სააპელაციო ან/და საკასაციო საჩივარი, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს კი ანიჭებდა უფლებამოსილებას, აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაედგინა გამამტყუნებელი განაჩენი, ან გამოეყენებინა უფრო მკაცრი მუხლი ქვედა ინსტანციის სასამართლოსთან შედარებით. ამასთან, მოსარჩელე ამ წესს არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა იმ პირობებში, როდესაც აპელაციის ან/და კასაციის პროცედურის დასრულების მომენტისათვის, პირის მიმართ სრულად იყო აღსრულებული ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული წესი არ ექცეოდა განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპის მოქმედების სფეროში. პოტენციურად არასწორი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება მიმართული იყო არა პირის განმეორებითი მსჯავრდებისაკენ, არამედ ემსახურებოდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და დაზარალებულის მიერ სწორი გადაწყვეტილების საფუძველზე, ზიანის ადეკვატური ანაზღაურების ინტერესებს. გარდა ამისა, პირველი ან/და სააპელაციო ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ ჰქონდათ საბოლოო ხასიათი განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინიციპის მიზნებისათვის. ისინი საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტს (res judicata) იძენდნენ არა იმ მომენტიდან, როდესაც მსჯავრდებული დაასრულებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის მოხდას, არამედ მაშინ, როდესაც კანონი აღარ დაუშვებდა მათი გასაჩივრების შესაძლებლობას ან მხარეები ნებაყოფლობით არ გამოიყენებდნენ გასაჩივრების უფლებას ამისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა სააპელაციო და საკასაციო წესით საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ იყო იმდენად ხანგრძლივი და არაგონივრული, რომ მოსარჩელეს ან მის მდგომარეობაში მყოფ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობის განცდა შექმნოდა.[4664]

2227 ევროპული სასამართლოს მიერ განმეორებით გასამართლების ან დასჯის აკრძალვის დარღვევის შემოწმებამ, დროთა განმავლობაში, გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ის თავიდან იყენებდა სტანდარტს, რომლის მიხედვითაც მთავარი მნიშვნელობა

[4663] დეტალურად იხ.: N3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-34-39.

[4664] დეტალურად იხ.: N2/7/636 გადაწყვეტილება, II-2-29.

ენიჭებოდა იმას, თუ რამდენად იყო იდენტური იმ დანაშაულთა შემადგენლობების არსებითი ელემენტები, რომელთათვისაც პირი დაისაჯა.[4665] ამგვარი მიდგომა ეფუძნებოდა არა მხოლოდ ქმედების ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების მატერიალურ სამართალსაც - დანაშაულების შემადგენლობების განმსაზღვრელ ნორმებს.[4666] თუ დანაშაულების შემადგენლობების არსებითი ელემენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, განმეორებით გასამართლებისას ევროპული სასამართლო არ ადგენდა კონვენციის დარღვევას.[4667] მოგვიანებით მან შეცვალა აღნიშნული მიდგომა და ახალი პრაქტიკა ორიენტირებულია პირის ქმედების ფაქტობრივ ელემენტებზე. განმეორებით მსჯავრდების ან გასამართლების აკრძალვის პრინციპი დარღვეულად ითვლება, როდესაც პირის გასამართლება ან მსჯავრდება ხდება იმ ქმედებათა გამო, რომელთა ფაქტობრივი ელემენტები იდენტური ან არსებითად მსგავსია.[4668]

2228 ევროპული სასამართლო, მართალია, საქმის წარმოების განახლებას განიხილავს ბრალდებულის საზიანო ჩარევად, მაგრამ არ მიიჩნევს მას კონვენციის დარღვევად, თუ საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ეროვნული სამართლით.[4669] კონვენციას ასევე არ ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელ ორგანოთა მიერ ბრალდებულის გამართლების შემდეგ, იმავე ბრალდებასთან დაკავშირებით, საგამოძიებო მოქმედებების გაგრძელება, რომელთა მიზანია საქმის წარმოების განახლებისათვის საფუძვლის შექმნა.[4670]

3.7. კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და უკუძალის აკრძალვა - ჩარევის შემოწმება

2229 კანონიერების პრინციპის არსიდან გამომდინარე, მისი დარღვევის შემოწმებისას, მთავარი მნიშვნელობა აქვს ფორმალურ მხარეს. უნდა გაირკვეს, რამდენად არსებობს ფორმალურად კანონი, რომელიც შესაბამის ქმედებას სამართალდარღვევად აცხადებს და მისთვის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რადგანაც ამგვარი მნიშვნელოვანი რეგულირებების დადგენა მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზეა დასაშვები.[4671]

2230 მხოლოდ ფორმალური არსებობა არაა საკმარისი და შემოწმებას ასევე ექვემდებარება, თუ რამდენად აკმაყოფილებს პასუხისმგებლობის დამდგენი კანონი განჭვრეტადობისა

[4665] Fischer v. Austria; Sailer v. Austria (N38237/97; 6.6.2002); Hauser-Sporn v. Austria (N37301/03; 7.12.2006).

[4666] შეადარე: Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 166 f.

[4667] Oliveira v. Switzerland (N25711/97; 30.7.1998); Göktan v. France (N33402/96; 2.7.2002).

[4668] Sergey Zolotukhin v. Russia; Asadbeyli and Others v. Azerbaijan; Grande Stevens and Others v. Italy (N18640/10, 18647/10, 18663/10, 18668/10, 18698/10; 4.3.2014); Marguš v. Croatia (N4455/10; 27.5.2014); Ramda v. France (N78477/11; 19.12.2017); Nodet v. France; Mihalache v. Romania (N54012/10; 8.7.2019); Korneyeva v. Russia (N72051/17; 8.10.2019).

[4669] Nikitin v. Russia; Kadusic v. Switzerland (N43977/13; 9.1.2018).

[4670] Eero, Jorma and Pertti Korppoo v. Finland (N19341/92; 17.5.1995).

[4671] შეადარე: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-37; N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება, II-35; N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-6-7; N1/1/1558 გადაწყვეტილება, II-12-16; BVerfGE 75, 329 (342); 87, 399 (411).

და განსაზღვრულობის ხარისხობრივ სტანდარტებს.[4672] მისი შინაარსი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ადრესატები დაცული იყვნენ სახელისუფლებო თვითნებობისაგან, შეძლონ კანონით აკრძალული ქმედების არსის სწორად გაგება, თავიანთი ქცევის შესაძლო სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა და ქცევის წარმართვა კანონის შესაბამისად.[4673] მხოლოდ ამგვარი კანონი შეძლებს საგარანტიო ფუნქციის შესრულებას და სამართალშემფარდებელთა თვითნებობის პრევენციას.[4674] ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ პირმა დამოუკიდებლად შეძლოს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განმარტება და მისი სამართლებრივი შედეგების პროგნოზირება. განჭვრეტადობის მოთხოვნას კანონი აკმაყოფილებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი განმარტება შესაძლებელია იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარებით.[4675] განსაზღვრულობის კუთხით, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებზე ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ისინი უნდა იყვნენ შინაარსობრივად ზუსტი და არაორაზროვანი, ასევე საკმარისად განსაზღვრული რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით.[4676] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს საკმარის და არა აბსოლუტურ განსაზღვრულობას. მხედველობაში მიიღება, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები ხანგრძლივი ვადით მოქმედებს და მოიცავს შემთხვევათა ფართო და დინამიურად ცვალებად სპექტრს. კანონმდებლისაგან ნორმათა გადამეტებული დეტალიზაციისა და კონკრეტიზაციის მოთხოვნა აჩენს გარკვეული საზოგადოებრივად საშიში ქმედებების დაუსჯელად დატოვების რისკს. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმას შეიძლება ჰქონდეს ზოგადი შინაარსი, თუ ის ექვემდებარება გონივრულ განმარტებას და ამ გზით უზრუნველყოფს აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილებას.[4677] განსაზღვრულობა უნდა იყოს იმ ხარისხის, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს კანონის განსხვავებულ განმარტებებს და განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგომას მსგავს შემთხვევებში.[4678]

2231 ზემოთ, მოკლედ აღწერილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები, ხარისხობრივ სტანდარტებთან დაკავშირებით, ეფუძნება და შეესაბამება ევროპულ გამოცდილებას. მსგავს მოთხოვნებს უყენებს კანონის განსაზღვრულობას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც. ეს სტანდარტები მით უფრო მკაცრდება, რაც უფრო მკაცრია შესაბამისი კანონით განსაზღვრული სასჯელი.[4679] ევროპული სასამართლო პასუხისმგებლობის დამდგენ კანონს კონვენციის მე-7 მუხლთან მიმართებით პრობლემურად თვლის, როდესაც მისი განუსაზღვრელი ფორმულირებები იძლევა თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას.[4680] ამასთან, ისიც არ მოითხოვს აბსოლუტურ განსაზღვრულობას და დასაშვებად მიიჩნევს, რომ კანონის შინაარსს

[4672] შეადარე მაგ.: N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II-1; N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-29-30; N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-3, 7.

[4673] შეადარე მაგ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-31; N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-4, 8, 10.

[4674] N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-9.

[4675] იქვე, II-13.

[4676] მაგ.: N2/3/406,408 გადაწყვეტილება, II-36; N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-4.

[4677] N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-12.

[4678] იქვე, II-14.

[4679] მაგ.: BVerfGE 75, 329 (342).

[4680] მაგ.: Custers and Others v. Denmark.

ჰქონდეს გარკვეული მოქნილობა, რათა მოერგოს ცვალებად გარემოებებს.[4681] გაითვალისწინება ის გარემოებაც, რომ პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებში გამოყენებული ტერმინოლოგია შეიძლება უცხო იყოს მათი ადრესატების უმრავლესობისათვის, თუმცა გასაგები - განსაზღვრული პროფესიების წარმომადგენლებისათვის.[4682]

2232 პასუხისმგებლობის დამდგენი კანონების ხარისხზე მსჯელობისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო სასამართლოების პრაქტიკას. ნორმასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული სწორი და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ხელს უწყობს ინდივიდს აღიქვას, თუ რომელ ქმედებას მოჰყვება მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება.[4683] ამავდროულად, უხარისხო ნორმის მიხედვით ჩამოყალიბებულმა არაერთგვაროვანმა და წინააღმდეგობრივმა სასამართლო პრაქტიკამ შეიძლება ხელყოს კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპი და წარმოადგენდეს შესაბამისი ნორმის განუჭვრეტლად მიჩნევის საფუძველს.[4684] როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუცია არ მოითხოვს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების აბსოლუტურ განსაზღვრულობას, რაც ინტერპრეტაციის გარკვეულ სივრცეს აძლევს საერთო სასამართლოებს,[4685] თუმცა ნორმის განსაზღვრულობა არ უნდა იყოს ისეთი დაბალი ხარისხის, რაც მათ მისცემდა სამოსამართლეო პრაქტიკის საფუძველზე დასჯადი ქმედების შემადგენლობის შექმნის, ანუ ფაქტობრივად კანონმდებლის ჩანაცვლებისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევის შესაძლებლობას.[4686] გარდა ამისა, „საერთო სასამართლოს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების განმარტებისას არ აქვს თავისუფლების ისეთივე ხარისხი, როგორიც სხვა ტიპის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით. ასეთ დროს, სასამართლოს მიერ ნორმის ინტერპრეტაციის ფარგლები შეზღუდულია პირის უფლებით, არ დაეკისროს პასუხისმგებლობა იმგვარი ქმედებისათვის, რომლის დასჯადობა მისი ჩადენის დროს არ იყო განჭვრეტადი. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლოს ევალება ზოგადი ტერმინების ვიწროდ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასარგებლოდ განმარტება.“[4687]

2233 სასამართლო პრაქტიკამ დროთა განმავლობაში შეიძლება ტრანსფორმაცია განიცადოს. ეს პროცესი არ არის უჩვეულო მოვლენა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელიცაა დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა თუ სამართლის განვითარების ინტერესებისათვის. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ინტერპრეტაციისა და თუნდაც ერთგვაროვანი პრაქტიკის შეცვლა a priori არაკონსტიტუციურად არ ითვლება. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო ერთგვაროვანი პრაქტიკის შეცვლას უშვებს „..მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როდესაც სამართლის ნორმიდან ესა თუ ის აკრძალვა იმდენად ნათლად გამომდინარეობდა, რომ პირისათვის იგი განჭვრეტადი

[4681] K.A. and A.D. v. Belgium (N42758/98, 45558/99; 17.2.2005).

[4682] Delande v. Belgium (N14192/88; 14.12.1988); Groppera Radio AG v. Switzerland; Klein Poelhuis v. the Netherlands (N34970/97; 21.4.1997); Soros v. France (N50425/06; 6.10.2011); Vasiliauskas v. Lithuania (N35343/05; 20.10.2015).

[4683] შეადარე მაგ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-36; N2/1/598 გადაწყვეტილება, II-31; N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-17; Streletz, Kessler and Krenz v. Germany; Pessino v. France (N40403/02; 10.10.2006).

[4684] შეადარე: N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-17.

[4685] შეადარე მაგ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-36.

[4686] შეადარე მაგ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-37; N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-7.

[4687] N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-21.

უნდა ყოფილიყო სასამართლოს განსხვავებული პრაქტიკის პირობებშიც კი.“[4688] გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკის ცვლილების შემთხვევაში, „პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ახალი პრაქტიკით იდენტიფიცირებული შინაარსი არ უნდა გავრცელდეს მის განმარტებამდე ჩადენილ ქმედებებზე.“[4689]

2234 ზემოაღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჯამა, საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, განჭვრეტადობის პრინციპთან ნორმის შეუსაბამობის დადგენის კრიტერიუმები: 1) სადავო ნორმის/მის რომელიმე ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების არსებობა; 2) საერთო სასამართლოების დადგენილი პრაქტიკის შეცვლა და სადავო ნორმის ახლად იდენტიფიცირებული ნორმატიული შინაარსის გავრცელება პრაქტიკის შეცვლამდე ჩადენილ ქმედებებზე; 3) პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის სადავო ნორმატიული შინაარსის ჩამოყალიბება საერთო სასამართლოს მიერ მისი ზედმეტად ფართო, წინასწარ განუჭვრეტადი განმარტების შედეგად.[4690]

2235 N2/2/516,542 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ სიტყვების შესაბამისობაზე კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპთან, რომელიც ჯაშუშობის ქვეშ მოიაზრებდა საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვებას ან გადაცემას. კონსტიტუციურად ჩაითვალა სადავო ნორმის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვებას ან გადაცემას, ხოლო არაკონსტიტუციურად - სიტყვები „ან უცხოეთის ორგანიზაციის“. საკონსტიტუციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა სადავო ნორმაში გამოყენებული ტერმინების განჭვრეტადობა. ტერმინი „სხვა ინფორმაცია“ საკმარისი სიცხადით განსაზღრავდა, თუ რა ტიპის ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის აღკვეთა წარმოადგენდა კანონმდებლის ნებას. მასში მოიაზრებოდა ინფორმაცია, რომელიც არ განეკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარის არგუმენტებიც უკავშირდებოდა არა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ხარისხობრივ კრიტერიუმებს, არამედ პასუხისმგებლობის დაწესების მიზანშეწონილობას, რაც არ შედიოდა კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპით დაცულ სფეროში. განჭვრეტადობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა ასევე სიტყვები „საქართველოს ინტერესების საზიანოდ“ იმ კონტექსტში, რომელიც უცხოეთის დაზვერვასთან თანამშრომლობას შეეხებოდა, რადგანაც უცხოეთის დაზვერვის ორგანოებისათვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება ნებისმიერ შემთხვევაში აზიანებდა სახელმწიფოს ინტერესებს. ამისგან განსხვავებით, სადავო ნორმის შინაარსი არ იყო ცალსახად და ნათლად განსაზღვრული იმ კონტექსტში, რომელიც შეეხებოდა უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით, ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის დასჯადობას. ნორმის ეს ნაწილი იძლეოდა ძალიან ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. კონკრეტულ შემთხვევაში ქმედების დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის ინდივიდუალურ შეფასებაზე ხდებოდა

[4688] იქვე, II-19.
[4689] იქვე.
[4690] იქვე, II-23.

დამოკიდებული. არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ ნორმის კეთლსინდისიერი განმარტების პირობებში, სხვადასხვა სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მისულიყო.[4691]

2236 N2/1/1289 გადაწყვეტილებაში დავის საგანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ სიტყვების შესაბამისობა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 მუხლის პირველ წინადადებასთან, რომელიც დანაშაულად აცხადებდა არასრულწლოვანის დაყოლიებას „ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე". არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვნის დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიების გამო. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვნის ისეთ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიებისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს. საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმის განჭვრეტადობის შეფასებისას, დაეყრდნო საერთო სასამართლოების პრაქტიკას. აღმოჩნდა, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რამდენად იყო სადავო ნორმა პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი არასრულწლოვანის დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიების გამო. ეს გარემოება აშკარად იმაზე მეტყველებდა, რომ სადავო ნორმის ამ ნორმატიული შინაარსის ცალსახა განმარტება და მისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, კვალიფიციური იურისტების დახმარებითაც კი, შეუძლებელი იყო. ამისგან განსხვავებით, უზენაეს სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ჰქონდა ჩამოყალიბებული სადავო ნორმის საფუძველზე არასწრულწლოვნის ჩაბმის დასჯადობაზე ისეთ ქმედებებში, რომლებიც ანტისაზოგადოებრივი ხასიათი იყო, თუმცა არ წარმოადგენდა დანაშაულს. არ მომხდარა ამ საკითხზე დადგენილი პრაქტიკის შეცვლა და ნორმის ახლადიდენტიფიცირებული შინაარსის გავრცელება პრაქტიკის შეცვლამდე ჩადენილ ქმედებებზე. გადა ამისა, მოსარჩელე არ მიუთითებდა სადავო ნორმის ამ ნორმატიული შინაარსის მეტისმეტად ფართო განმარტებისა და გამოყენების შემთხვევებზე.[4692]

2237 უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის შემოწმებაზე გავლენას ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს ის მიდგომები, რაც ჩამოყალიბდა ამ პრინციპის დაცულ სფეროსთან დაკავშირებით. ამ საკითხებზე უკვე გამახვილდა ყურადღება საგნობრივ დაცულ სფეროზე მსჯელობისას და ისიც გამოიკვეთა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი პოზიცია კითხვებს აჩენს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხებზე განმეორებით აღარ მივუთითებთ და ქვემოთ მოკლედ აღვწერთ საკონსტიტუციო სასამართლოსა თუ უცხოურ გამოცდილებას უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის შემოწმებასთან დაკავშირებით.

2238 საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი ნორმის უკუძალა a priori მის არაკონსტიტუციურობას არ ნიშნავს. უკუძალის აკრძალვის პრინციპი ირღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ ნორმას

[4691] დეტალურად იხ.: N2/2/516,542 გადაწყვეტილება, II-33-37.

[4692] დეტალურად იხ.: N2/1/1289 გადაწყვეტილება, II-24-29.

აქვს ნამდვილი უკუძალა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გაზრდა ნამდვილი უკუძალით, ანუ ამ ვადის გასვლის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურსამართლებრივად გაუმართლებლად მიიჩნია. რაც შეეხება არანამდვილ უკუძალას, სასამართლოს აზრით, ის კანონის დროში მოქმედების „ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა" და არ არღვევს უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს. მან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გაზრდა არანამდვილი უკუძალით, ამ ვადის გასვლამდე, არაპრობლემურად მიიჩნია. ამ შემთხვევაში პირს შეეძლო თავისი ქმედების სამართლებრივი შედეგის განჭვრეტა და ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება, ამ თვალსაზრისით, არაფერს ცვლიდა.[4693]

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის მიმდინარე ვადის გაზრდას პრობლემურად არც ევროპული სასამართლო მიიჩნევს.[4694] ამისგან განსხვავებით, კონვენციას ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის დადგენა ან დამძიმება ნამდვილი უკუძალით, მაგალითად, როდესაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მოქმედი ნორმა ითვალისწინებდა შედარებით მსუბუქ სანქციას, მაგრამ პირს დაეკისრა უფრო მძიმე სანქცია, რომელიც განსაზღვრა ახალმა კანონმა.[4695] კონვენციას არღვევს ისეთი ღონისძიებების რეტროაქტიური გამოყენებაც, რომლებიც წარმოადგენენ „სასჯელს" კონვენციის მე-7 მუხლის მიზნებისათვის, ამ ტერმინის ფართო, ავტონომიური მნიშვნელობით. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ „სასჯელად" ჩათვალა პრევენციული პატიმრობა ამ ღონისძიების სახის, მიზნის, პრევენციული მოქმედების, შეფარდების წესისა და სიმძიმის გამო. პრევენციული პატიმრობის მაქსიმალური ვადის გაუქმება კონვენციას არ შეესაბამებოდა, რადგანაც ამან გამოიწვია წარსულში განსაზღვრული ვადით შეფარდებული პატიმრობების რეტროაქტიურად გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით. კონვენციის დარღვევად განიხილავს ევროპული სასამართლო პატიმრობის რეტროაქტიურ შეფარდებასაც.[4696]

2239 განგრძობად დანაშაულზე, რომლის შემადგენელი ქმედებების ნაწილი ჩადენილია სასჯელის დამამძიმებელი ნორმის ძალაში შესვლამდე, ხოლო უკანასკნელი ქმედება - ძალაში შესვლის შემდეგ, ამ ნორმის მოქმედების გავრცელება არ არღვევს კონვენციის მე-7 მუხლს.[4697] კონვენციას ასევე არ ეწინააღმდეგება პირთა მოგვიანებით დასჯა იმ ქმედებებისათვის, რომლებიც მათი ჩადენის მომენტში, მართალია, ეროვნული კანონმდებლობით დასჯადი იყო, მაგრამ პასუხისმგებლობის დაკისრება არ მომხდარა კანონმდებლობასა და მისი გამოყენების პრაქტიკას შორის შეუსაბამობის გამო, თუ ამ პირთათვის საკმარისად აღქმადი და განჭვრეტადი იყო მათი ქმედების დასჯადობა. ეს მიდგომა ჩამოყალიბდა გერმანიის გაერთიანების შემდეგ იმ პირთა დასჯასთან

[4693] დეტალურად იხ.: N1/1/428, 447, 459, II-7, 23-25. კრიტიკული შეფასება იხ.: ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (121-126); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 346 ff.

[4694] Coëme and others v Belgium.

[4695] Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina (N2312/08, 34179/08; 18.7.2013).

[4696] შეადარე.: M. v. Germany; Grosskopf v. Germany (N24478/03; 21.10.2010); Kallweit v. Germany (N17792/07; 13.1.2011); Mautes v. Germany (N20008/07; 13.1.2011); Schummer v. Germany (N27360/04, 42225/07; 13.1.2011); Jendrowiak v. Germany; G. v. Germany (N65210/09; 7.6.2012); K. v. Germany (N61827/09; 7.6.2012); Glien v. Germany (N7345/12; 28.11.2013).

[4697] Rohlena v. the Czech Republic (N59552/08; 27.1.2015).

დაკავშირებულ საქმეებზე, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს ან გამოყენების ბრძანება გასცეს იმ ადამიანების წინააღდეგ, ვინც გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებს შორის არსებული საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა, რასაც ბევრ შემთხვევაში მსხვერპლი მოჰყვა.[4698]

2240 იქედან გამომდინარე, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონებისათვის უკუძალის არმინიჭებას საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს, ის ამოწმებს ამგვარი შემთხვევების შესაბამისობას თანაზომიერების პრინციპთან.[4699] N2/4/1365 გადაწყვეტილებაში დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის კანონის მე-2 მუხლი. ამ კანონმა, სხვა სიახლეებთან ერთად, გაითვალისწინა არაერთგზისი დანაშაულის დეფინიციის ცვლილება. ძველი დეფინიციის მიხედვით, დანაშაულის არაერთგზისობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა პირის ნასამართლობის ფაქტს, ხოლო ცვლილების შემდეგ დანაშაულის არაერთგზისად მიჩნევისათვის აუცილებელი გახდა სახეზე ყოფილიყო წინათ ნასამართლევი პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. სადავო ნორმა კანონის, მათ შორის არაერთგზისი დანაშაულის ახალი განმარტების, მოქმედებას არ ავრცელებდა ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა კანონის ამოქმედების შემდგომ. ახალი კანონის მოქმედება არ გავრცელდა მოსარჩელეზეც. მას, მართალია, ერთი და იმავე დანაშაული ორჯერ ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ არც ერთისათვის იყო წინათ ნასამართლევი. მიუხედავად ამისა, მისი ქმედება, ძველი დეფინიციის საფუძველზე, მაინც დაკვალიფიცირდა არაერთგზის ჩადენილ დანაშაულად, რამაც სანქცია დაამძიმა. აღნიშნული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მოპასუხემ დაასახელა (1) პირისათვის მის მიერ ჩადენილი ქმედებიდან მომდინარე საფრთხის ადეკვატური სასჯელის დაკისრება და (2) პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების პრევენცია. პირისათვის ადეკვატური სასჯელის დაკისრება და მისი უფრო მკაცრად დასჯა არ ჩაითვალა ლეგიტიმურ მიზნად, ვინაიდან უფლების შეზღუდვა ამავე უფლებითვე დაცული სიკეთის ხელყოფის მიზნით, ეწინააღმდეგებოდა უფლების არსს და უცხო იყო კონსტიტუციური წესრიგისათვის. რაც შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების თავიდან აცილებას, ის, როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სიკეთე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია ლეგიტიმურ მიზნად.[4700] მიუხედავად ამისა, სადავო ნორმამ ვერ დააკმაყოფილა გამოსადეგობის კრიტერიუმი. არ არსებობდა ლოგიკური კავშირი შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის და სადავო ნორმა არ ემსახურებოდა დასახელებული მიზნის მიღწევას, რადგანაც არ ჰქონდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით მოქმედების გამორიცხვის ეფექტი.[4701]

2241 კანონიერებისა და უკუძალის აკრძალვის პრინციპების კონტექსტში, რელევანტურია საერთაშორისო სამართლის საფუძველზე პირის დასჯის საკითხი. კონვენციის მე-7

[4698] Streletz, Kessler and Krenz v. Germany; K.-H.W. v. Germany.

[4699] N2/4/1365 გადაწყვეტილება, II-17.

[4700] დეტალურად იხ.: იქვე, II-18-24.

[4701] დეტალურად იხ.: იქვე, II-25-27.

მუხლის მე-2 პუნქტი შეეხება ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში ჩადენილ დანაშაულებს. ამ რეჟიმების არსებობის შეწყვეტის შემდეგ აღნიშნული დანაშაულების ჩამდენებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა. კონვენციის ეს ნორმა გამოიყენება ასევე ომის დამნაშავეებისა და კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონებთან დაკავშირებით, რომლებიც მიიღეს მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.[4702] ევროპული სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია, თუ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, რამდენად უნდა გაეწია პირს ანგარიში იმისათვის, რომ მოგვიანებით მას დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ეროვნული მართლმსაჯულების ან საერთაშორისო სასამართლოს მიერ.[4703] კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, უკუძალით დასჯად არ იქნა შეფასებული მსჯავრდებები „ლონდონის სტატუტის“[4704] საფუძველზე.[4705]

3.8. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები - ჩარევის შემოწმება

2242 კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის დარღვევის დასადგენად უნდა შემოწმდეს, ხომ არ ითვალისწინებს სადავო ნორმა ისეთ რეგულირებას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უშვებს კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობისა და მათთვის იურდიული ძალის მინიჭების შესაძლებლობას. იმაზე, თუ როგორ ადგენს საკონსტიტუციო სასამართლო კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობის პრინციპის ხელყოფას, წარმოდგენას გვიქმნის N2/2/579 გადაწყვეტილება. მოსარჩელე დავობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში სიტყვების „ამ კოდექსის“ კონსტიტუციურობაზე.[4706] სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა აღნიშნული სიტყვების კონსტიტუციურობა 72-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილში.

2243 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი მიხედვით, ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ სხვა მტკიცებულებას, თუ ის აუარესებდა ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელი იყო და იურიდიული ძალა არ გააჩნდა. მოსარჩელე თვლიდა, რომ სიტყვები „ამ კოდექსის“ ავიწროვებდა ამ ნორმის მოქმედების არეალს და ქმნიდა იმ მტკიცებულებების დასაშვებობის შესაძლებლობას, რომლებიც მოპოვებული იყო სხვა საკანონდებლო აქტების არსებითი დარღვევით.[4707] საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა

[4702] Frowein/Peukert, EMRK, Art. 7, Rn. 11.

[4703] Jorgić v. Germany; Korbely v. Hungary (N9174/02; 19.9.2008); Kononov v. Latvia (N36376/04; 17.5.2010); Vasiliauskas v. Lithuania.

[4704] ლონდონის სტატუტი არის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირეთა (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, სსრკ) შორის 1945 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც წარიმართა ნიურნბერგის პროცესი. მას ასევე მოისხენებენ „ლონდონის ქარტიის“ ან „ნიურნბერგის ქარტიის“ სახელწოდებით.

[4705] Kononov v. Latvia.

[4706] N2/2/579 გადაწყვეტილება.

[4707] იქვე, II-8.

მოსარჩელის პოზიცია და ამ ნაწილში დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი. მისი აზრით, სადავო სიტყვები მართლაც ქმნიდნენ სამართალშემფარდებლის მიერ 72-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციური შინაარსით გამოყენების რეალურ საფრთხეს. დასაშვებ მტკიცებულებად შეიძლება ჩათვლილიყო ის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებული იყო სხვა საკანონმდებლო აქტების დარღვევით, თუმცა მხარისათვის გადაცემული იყო საპროცესო წესების დაცვით. დასაშვებ მტკიცებულებად შეფასდებოდა ის ინფორმაციაც, რომელიც სამართალდამცავმა ორგანომ მოიპოვა სხვა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მაგრამ მისი საპროცესო დამაგრება/ფიქსაცია განხორციელდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.[4708]

2244 საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვებს „ამ კოდექსით". მე-2 ნაწილის მიხედვით, მტკიცებულება ასევე დაუშვებელი იყო, თუ იგი მოპოვებული იყო ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ იყო გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. მოსარჩელე თვლიდა, რომ სადავო სიტყვებით დაშვებული იყო ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული იქნა არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და უარყოფილი არ იყო გონივრული ეჭვი მათი შესაძლო გამოცვლის, ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მათზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა ამ პოზიციას, რადგანაც ის მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული არ იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დაცვით, წარმოადგენდა ამ კოდექსის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. აქედან გამომდინარე, 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება ვრცელდებოდა სხვა კანონის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებებზეც.[4709]

2245 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მტკიცებულებების დაუშვებლობას, მართალია, ცალკე ნორმას არ უძღვნის, მაგრამ ევროპული სასამართლო ამ საკითხს განიხილავს კონვენციის მე-6 მუხლის - საქმის სამართლიანი განხილვის უფლების კონტექსტში. ის დაუშვებლად მიიჩნევს მხოლოდ ისეთი ფუნდამენტური გარანტიების დარღვევით მოპოვებული მკიცებულებების გამოყენებას, როგორიცაა:[4710] წამების აკრძალვა,[4711] თვითინკრიმინაციისაგან დაცვა[4712] და დამცველზე ხელმისაწვდომობა.[4713] წამებით მოპოვებულ მტკიცებულებას, მიუხედავად მისი ფასეულობისა, ძალა არ აქვს,[4714] რადგანაც ამგვარი მტკიცებულების დასაშვებად ცნობა მთლიანად პროცესს აქცევს უსამართლოდ.[4715] დაუშვებელია არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა, არამედ მესამე პირთა მიერ წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებები.[4716] მნიშვნელობა არ აქვს

[4708] დეტალურად იხ.: იქვე, II-16-35.

[4709] დეტალურად იხ.: იქვე, II-36-40.

[4710] იხ.: Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 63.

[4711] Gäfgen v. Germany (N22978/05; 1.6.2010).

[4712] Allan v. the United Kingdom.

[4713] Salduz v. Turkey; Panovits v. Cyprus.

[4714] Jalloh v. Germany; Harutyunyan v. Armenia (N36549/03; 28.6.2007); Gäfgen v. Germany.

[4715] Ćwik v. Poland (N31454/10; 5.11.2020).

[4716] შეადარე მაგ.: El Haski v. Belgium (N649/08; 25.9.2012).

წამების შედეგად ჩვენება იქნა მოპოვებული თუ სხვა სახის მტკიცებულება.[4717] იქედან გამომდინარე, რომ წამების ფაქტის დამტკიცება რთულია, ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს მტკიცების ტვირთი შეუმსუბუქა.[4718] მან უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობდა წამების გამოყენებით მტკიცებულებების მოპოვების რეალური რისკი. გარდა ამისა, მოპასუხე სახელმწიფო კომპრომეტირებული უნდა იყოს წამების განხორციელების კუთხით და არ ჰქონდეს ისეთი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შექმნიდა წამების ფაქტების სამართლიანი და დამოუკიდებელი შემოწმების შესაძლებლობას.[4719] თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლების დარღვევით მოპოვებული დაუშვებელი მტკიცებულების მაგალითია ბრალდებულისაგან ინფორმაციის მოპოვება მის საკანში შეგზავნილი აგენტის საშუალებით.[4720] ევროპულმა სასამართლომ კონვენციასთან შეუსაბამოდ ჩათვალა ასევე დაცვის უფლების დარღვევით, დამცველის გარეშე დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენება.[4721] კონვენციით გარანტირებული სხვა უფლებების ხელყოფით მტკიცებულებების მოპოვება ავტომატურად არ იწვევს მათ დაუშვებლობას.[4722] ამ დროს ევროპული სასამართლო მთლიანობაში ამოწმებს მტკიცებულებათა გამოყენების უსამართლობას, რა დროსაც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:[4723] დაცვის მხარის სხვა უფლებების უზრუნველყოფა; მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვების შემოწმების განხორციელება ეროვნულ დონეზე; მტკიცებულების მნიშვნელობა და სანდოობა; მტკიცებულების ავთენტურობისა და სანდოობის გასაჩივრების შესაძლებლობა; საქმის გამოძიებისა და დადასტურებული დანაშაულის დასჯის საჯარო ინტერესი და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების კეთილსინდისიერება.[4724] წამებასთან შედარებით ნაკლებად მკაცრი სტანდარტი გამოიყენება არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საშუალებით მიღებული მტკიცებულებების მიმართ.[4725] ევროპული სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ამგვარი მოპყრობით მოპოვებულ ჩვენებასა და ნივთიერ მტკიცებულებას.[4726] არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობით მიღებული ჩვენების გამოყენება დაუშვებელია,[4727] ხოლო ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენება ხშირად დასაშვებად მიიჩნევა. ამ დროს ევროპული სასამართლო, ახორციელებს რა კონკრეტული შემთხვევის გარემოებების ერთიან შეფასებას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მოპყრობის ფორმასა და ინტენსივობას, ბრალდებულის საკმარის ხელმისაწვ-დომობას დაცვაზე და მოპოვებული მტკიცებულების (სავარაუდო) მნიშვნელობას.[4728]

[4717] Jalloh v. Germany; Gäfgen v. Germany.

[4718] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 270.

[4719] El Haski v. Belgium.

[4720] Allan v. the United Kingdom.

[4721] Salduz v. Turkey; Panovits v. Cyprus.

[4722] შეადარე მაგ.: Khan v. the United Kingdom (N35394/97; 12.5.2000); Bykov v. Russland (N4378/02; 21.1.2009); Gäfgen v. Germany; Prade v. Germany (N7215/10; 3.3.2016); K.S. and M.S. v. Germany (N33696/11; 6.10.2016).

[4723] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 271.

[4724] დეტალურად იხ.: Khan v. the United Kingdom; Heglas v. the Czech Republic (N5935/02; 1.3.2007); Bykov v. Russland; Prade v. Germany.

[4725] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 145.

[4726] Gäfgen v. Germany.

[4727] El Haski v. Belgium.

[4728] Gäfgen v. Germany; Ćwik v. Poland.

3.9. თვითინკრიმინაციისაგან დაცვა - ჩარევის შემოწმება

2246 თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიაში ჩარევის შემოწმების კუთხით საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მდიდარი გამოცდილება. საგნობრივ დაცულ სფეროზე მსჯელობის ფარგლებში უკვე შევეხეთ N2/3/182,185,191 გადაწყვეტილებას. აქ საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, არც შეამოწმა სადავო ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც ავალდებულებდა პროცესის მონაწილეს, რომ გამომძიებელისა და პროკურორისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია თავისი ინიციატივითა და ხარჯებით ჩატარებული ექსპერტიზის ფარგლებში დასმული კითხვებისა და ექსპერტიზის შედეგების შესახებ. მისი პოზიციით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია მხოლოდ ჩვენების მიცემაზე ვრცელდებოდა და არა სხვა მტკიცებულებებზე, მათ შორის, ექსპერტის დასკვნაზე. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გამორიცხა სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა.[4729] ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებები ჩამოყალიბებულია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის საგნობრივი დაცული სფეროს განხილვისას და აღარ საჭიროებს განმეორებას.

2247 N1/4/809 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიასთან მიმართებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობაზე, რომლის მიხედვითაც, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება ჰქონდა ბრალდების მხარეს. ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სადავო ნორმით არ ხორციელდებოდა ზემოქმედება დაცვის მხარის ნებელობაზე. ის ადგენდა შედეგს, რომელიც მოჰყვებოდა დაცვის მხარის მიერ, ნების თავისუფლების პირობებში, შუამდგომლობის წარდგენას. ამ შედეგის შესაძლო არასასურველი ხასიათი ვერ იქნებოდა თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის შემზღუდველი ფაქტორი.[4730]

2248 ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლების თანაზომიერ შეზღუდვას, როდესაც დარღვეული არ არის მისი არსი.[4731] ბრალდებულის მიმართ იძულების გამოყენების კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობის შემოწმებისას გაითვალისწინება მისი სახე და სიმძიმე, ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი, მოსალოდნელი სასჯელი, შესატყვისი საპროცესო გარანტიების არსებობა და იძულების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება.[4732] კატეგორიულადაა გამორიცხული ჩვენების მიღება წამების საფუძველზე, რაც მე-6 მუხლთან ერთად, კონვენციის მე-3 მუხლსაც არღვევს.[4733] სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებებით მტკიცებულებების მოპოვება, მათ შორის ფიზიკური იძულების გამოყენებით, a priori არ ხელყოფს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას. მართალია, ბრალდებული

[4729] N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 4-5.

[4730] დეტალურად იხ.: N1/4/809 გადაწყვეტილება, II-43-45.

[4731] Grabenwarter/Pabel, EMRK, § 24, Rn. 123; Zaichenko v. Russia.

[4732] Allan v. the United Kingdom; Jalloh v. Germany; O'Halloran and Francis v. the United Kingdom; Zaichenko v. Russia.

[4733] Ćwik v. Poland.

ვალდებული არ არის აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან, მაგრამ მას ეკისრება პასიური თმენის ვალდებულება მართლზომიერი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას.[4734] აქედან გამომდინარე, კონვენციას შეესაბამება სისხლის, შარდის, ქსოვილების თუ სხვა ნიმუშების აღება ან დოკუმენტების იძულებითი ამოღება.[4735] კონვენცია ირღვევა, თუ საგამოძიებო მოქმედებებისას ბრალდებულის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ჩარევა იღებს არაადამიანური მოპყრობის სახეს.[4736]

2249 ფარული საგამოძიებო მოქმედებები, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს.[4737] ამავდროულად, მათი განხორციელებისას უნდა დაკმაყოფილდეს მინიმალური ფორმალურ-პროცედურული მოთხოვნები - (1) ფარული მოქმედების გამოყენების მკაფიო და განჭვრეტადი სამართლებრივი პროცედურის არსებობა და (2) ბრალდებულის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, გადაამოწმოს ამ გზით მიღებული მტკიცებულებების ავთენტურობა და სანდოობა სამართლიანი პროცედურის მეშვეობით.[4738] Nemo tenetur-ის პრინციპი ფარულ ღონისძიებებს უდგენს მატერიალურ ფარგლებსაც. ის ბრალდებულს იცავს როგორც იძულებისაგან, ასევე მისი ნების იგნორირებისგანაც. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ახდენს ფარული მოქმედება ბრალდებულის ნებაზე იძულების მსგავს გავლენას. ამგვარი გავლენა აშკარაა, როდესაც ბრალდებულის მიმართ, მისი ნების უგულვებელყოფის პირობებში, მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, გამოიყენება იძულების ან ზემოქმედების დახვეწილი მეთოდები. ამის მაგალითია წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისათვის საპატიმრო დაწესებულებაში ინფორმატორის შეგზავნა მასთან ნდობაში შესვლისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.[4739] დაუშვებელია ასევე სახელმწიფო ორგანოთა მიერ კერძო პირების გამოყენება მტკიცებულებების მოპოვებისათვის, რათა თავად აირიდონ მათთვის ამ პროცესში კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.[4740]

2250 კონვენციის მე-6 მუხლი სრულად არ გამორიცხავს ბრალდებულისათვის ინფორმაციისა და მტკიცებულებითი მასალის გადაცემის ვალდებულების დაკისრებას.[4741] ეს დაუშვებელია, თუ შედეგად მოჰყვება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლების ხელყოფა.[4742] ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ის შემთხვევებია გამოსაყოფი, როდესაც ბრალდებულს ემუქრება სისხლისსამართლებრივი ან ამის მსგავსი სანქციების გამოყენება ინფორმაციის ან დოკუმენტების მიუწოდებლობის გამო.[4743] მსგავსი მიდგომა ვრცელდება ისეთ ადმინისტრაციულ ან საზედამხედველო წარმოებაზეც, რომლის ფარგლებში სავალდებულო წესით გადაცემული ინფორმაცია/დოკუმენტები შეიძლება პირის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული პარალელურად მიმდინარე ან სამომავლო

[4734] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 149.
[4735] Saunders v. the United Kingdom.
[4736] Jalloh v. Germany.
[4737] Lüdi v. Switzerland; Gorgievski v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N18002/02; 16.7.2009).
[4738] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 152.
[4739] Allan v. the United Kingdom.
[4740] M.M. v. the Netherlands (N39339/98; 8.4.2003).
[4741] J.B. v. Switzerland.
[4742] Funke v. France; J.B. v. Switzerland; Marttinen v. Finland (N19235/03; 21.4.2009).
[4743] Funke v. France.

სისხლისსამართლებრივი დევნისას.[4744] კონვენცია არ ირღვევა, როდესაც ადმინისტ-რაციული წარმოებისას მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართალწარმოებაში გამოყენების საფრთხე არ არსებობს.[4745]

2251 როგორც წესი, ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენებას არ უნდა მოჰყვებოდეს მისთვის დამაზიანებელი შედეგები, თუმცა ეს უფლება არ განიხილება აბსოლუტურ უფლებად.[4746] ევროპული სასამართლო უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელმა ორგანოებმა, სათანადო წინდახედუ-ლების გამოჩენით, გამოიტანონ ნეგატიური დასკვნები ბრალდებულის დუმილიდან, თუ ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე არსებული მტკიცებულებები ამის ცალსახა საფუძველს იძლევა.[4747] მსგავსი მიდგომაა იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, შეიძლება ერთადერთი გონივრული დასკვნის გამოტანა, რომ ბრალდებულის დუმილი განპირობებულია წაყენებული ბრალდების წინააღმდეგ კონტარგუმენტების არარსებობით. ამავდროულად, მხოლოდ ბრალდებულის დუმილზე დაყრდნობა დაუშვებელია, თუ პროკურატურას არ აქვს სხვა უტყუარი prima facie მტკიცებულება.[4748] პირის მსჯავრდება სრულად ან არსებითად არ უნდა ეფუძნებოდეს მის დუმილს.[4749]

ლიტერატურა

ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, 2017; Altmeyer, Vertrauensschutz im Recht der Europäischen Union und im deutschen Recht. Analyse und Vergleich anhand der Rechtsprechung des EuGH und der deutschen Fachgerichte, 2003; Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates in: Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Die auswärtige Gewalt der Bundesrepublik Berichte und Aussprache zu den Berichten in den Verhandlungen der Tagung der deutschen Staatsrechtslehrer zu Bonn am 15. und 16. Oktober 1953; Bähr , Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze, Kassel, 1864; Breuer, Staatshaftung für judikatives Unrecht: eine Untersuchung zum deutschen Recht, zum Europa- und Völkerrecht, 2011; Degenhart (Bearb.), Kommentar zum Art.101 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Degenhart, GG, Art. 103, Rn. 53; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 103 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 3, 6., neu bearbeitete Auflage, 2012; Esser, Kommentar zum Art. 6, EMRK, in: Löwe-Rosenberg. Die Strafprozessordnung und das Gerichtsverfassungsgesetz: StPO, Band 12: EMRK 2022; Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, Juristische Schulung, 9, 2001; Frowein / Peukert, EMRK-Kommentar, 2. Aufl. 1996; Gärditz, Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl

[4744] Chambaz v. Switzerland.

[4745] Weh v. Austria (N38544/97; 8.4.2004).

[4746] Averill v. the United Kingdom (N36408/97; 6.6.2000).

[4747] Murray v. the United Kingdom; Krumpholz v. Austria; O`Donnell v. the United Kingdom (N16667/10; 7.4.2015).

[4748] Telfner v. Austria.

[4749] Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 160.

Heinrich/Höfling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin seit 2000; Grabenwarter/Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, Basel 2021; Grzeszick, (Bearb.): Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958; Herzog, (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958; Heyde, Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995; Hofmann H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, 2011; Hofmann, (Bearb.): Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011; Kunig, Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland,1986; Kunig, Der Rechtsstaat, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, 2001; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz (§ 79), in: Isensee, Iosef/Kirchhof, Paul: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band IV – Aufgaben des Staates, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, 2006; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001; Mayer (Bearb.), Kommentar zum Art. 6 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Mayer, EMRK, Art. 6, Rn. 83; Peters A., Altwicker T., Europäische Menschenrechtskonvention. Mit rechtsvergleichenden Bezügen zum deutschen Grundgesetz, 2. Auflage, 2012; Papier, Justizgewähranspruch, in: Isensee, Josef/Kirchof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VIII, Grundrechte: Wirtschaft, Verfahren, Gleichheit, Dritte, völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, 2010; Robbers, Ausländer im Verfassungsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995; Robbers, Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), seit 1950, Rn. 1855; Sachs, (Bearb.), Kommentar zum Art. 19, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;Schenke W.-R., Justizgewähr und Grundrechtsschutz, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg 2009; Schenke, Verfassungsrechtliche Garantie eines Rechtsschutzes gegen Rechtsprechungsakte? in: Juristen Zeitung, 3 2005; Schmidt-Aßmann (Bearb.), Kommentar zum Art. 103 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, seit 1958; Schmidt-Aßmann, (Bearb.), Kommentar zum Art. 19 III GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958; Schmidt-Aßmann E., Art. 19 VI GG als Teil des Rechtsstaatsprinzips, in: Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht, 1983; Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz als Kernstück des Rechtsstaatsprinzips nach dem Grundgesetz, in: Neue Juristische Wochenschrift, 40, 1994;

Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 19 Abs. 4 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, 2006; Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Rechtsstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, 2006; Sinner, (Bearb.), Kommentar zum Art. 7 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Sinner S. (Bearb.), Kommentar zum Art.2 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, 1997; Sommermann, (Bearb.): Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010; Stern, Der Rechtsstaat. Rektoratsrede, Krefeld 1971; Tettinger, Fairneß und Waffengleichheit: rechtsstaatliche Direktiven für Prozeß und Verwaltungsverfahren, 1984; Voßkuhle, Rechtsschutz gegen den Richter. Zur Integration der Dritten Gewalt in das verfassungsrechtliche Kontrollsystem vor dem Hintergrund des Art. 19 Abs. 4 GG, 1993; Zippelius, Reinhold/Würtenberger, Thomas: Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008;

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა.

2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

შინაარსი

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა 891

შინაარსი 911

1. მოქალაქეობის ზოგადი მნიშვნელობა და მისი კონსტიტუციურ- სამართლებრივი ჩარჩო 892

1.1. მოქალაქეობის ინსტიტუტი სახელმწიფოებრივ კონტექსტში 893

2. მოქალაქეობის მიღების ისტორიული საფუძვლები 895

2.1 მოქალაქეობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტექსტი და 32-ე მუხლით დაცული სფერო 896

2.2. მოქალაქეობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები 898

2.3. საგნობრივად დაცული სფერო 900

2.4. პერსონალურად დაცული სფერო 901

2.5. მოქალაქეობის საერთაშორისო სამართლებრივი კონტექსტი 904

2.6. მოქალაქეობის საკანონმდებლო საფუძვლები საქართველოში 906

3. ჩარევა/პოზიტიური ვალდებულების განსაზღვრა 907

4. უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება..... 908

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 908

5.1. Ramadan v. Malta 909

5.2. K2 v.The United Kingdom..... 910

ლიტერატურა

1. მოქალაქეობის ზოგადი მნიშვნელობა და მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩო

2252 მოქალაქეობა არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი კავშირი ადამიანისა სახელმწიფოსთან. ამ ინსტიტუტის როლი ძალიან მნიშვნელოვანია ადმიანის ყველა სხვა უფლების გარანტიებისათვის. ჰანა არენდტი თავის წიგნში ტოტალიტარიზმის საწყისები წერდა: „მოქალაქეობის წართმევა სამყაროს წართმევის ტოლფასია; ეს ნიშნავს ჯუნგლებში დაბრუნებას გამოქვაბულის ბინადრის ან ველურის მსგავსად... ადამიანს, რომელსაც არაფერი გააჩნია საკუთარი ვინაობის გარდა, დაკარგული აქვს ყველა ის თვისება, რაც სხვა ადამიანებს მისცემს საშუალებას, მოეპყრან მას როგორც პიროვნებას...მათ შეიძლება ისე იცხოვრონ და დაიხოცონ, რომ არანაირი კვალი არ დატოვონ, წვლილი არ შეიტანონ საზოგადოებაში.“ შესაბამისად, მოქალაქეობა განიმარტება, როგორც „უფლება, გქონდეს უფლებები“.[4750] სახელმწიფოს მოქალაქეთათვის ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, რომ მათ შეუძლიათ საკუთარი შვილები, სახელმწიფო დაფინანსებით, სათანადოდ უზრუნველყონ განათლების უფლებით, სახელმწიფოსგან მიიღონ სრულყოფილი სამედიცინო და სოციალური დახმარება, ჰქონდეთ პროფესიული, თუ სხვა ფორმით დასაქმების უფრო მრავალმხრივი შესაძლებლობები, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და აირჩიონ სასურველი ხელისუფლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობის მქონე პირები უფრო მეტად არიან დაინტერესებული საკუთარი სახელმწიფოს კეთილდღეობით, ვინაიდან, მათ გააჩნიათ ღრმა განცდა იმისა, რომ არიან უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი ერთობის სრულფასოვანი წევრები.[4751]

2253 მოქალაქეობის უფლებით სარგებლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა არაერთი რეგიონული თუ საერთაშორისო დოკუმენტი ცალკე გამოყოფს უფლებას მოქალაქეობაზე. როგორც უკვე ითქვა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება“, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-20 მუხლი.[4752] ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია,

[4750] მენლი, გოვილი, მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, კვლევა და ანალიზი, გვ. 3.
[4751] იქვე გვ. 6.
[4752] American Convention on Human Rights .

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული 1997 წლის კონვენცია „მოქალაქეობის შესახებ“[4753], რომლის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს, ნებისმიერი ადამიანის უფლებას მოქალაქეობაზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონული ინსტიტუტების განვითარებამ, გარკვეულწილად, განაპირობა მოქალაქეობის მინიჭების საკითხებთან დაკავშირებული, სახელმწიფოს აბსოლუტური დისკრეციის ადამიანის უფლებების შესაბამისი საერთაშორისო რეგლამენტაცია. [4754]

1.1. მოქალაქეობის ინსტიტუტი სახელმწიფოებრივ კონტექსტში

2254 მოქალაქეობა მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოსთან, როგორც ინსტიტუტთან და, შესაბამისად, მის გარეშე მოქალაქეობა წარმოუდგენელია. მეორე მხრივ, მოქალაქეები არიან ადამიანთა ის ჯგუფი, რომელზეც დამოკიდებულია სახელმწიფოს არსებობა. სახელმწიფო არის ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული ფენომენი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე – მენტალური, ნაციონალური და საერთაშორისო ფაქტორებით არის განპირობებული. სახელმწიფო, ფართო გაგებით, არის ნაციონალური გაერთიანება, რომელსაც განსაზღვრავს საკუთარი წარსული და გარკვეული ერთიანობა, რაც, მეტწილად, ადამიანების ნებითა და ძალისხმევით არის განპირობებული, ვიდრე ბუნებრივი მონაცემებით.[4755]

2255 მეცნიერთა ნაწილისთვის სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებულია მართლწესრიგის დამყარებასთან, რომლის გარანტიც არის კონსტიტუცია, და რომელიც ენაცვლება სახელმწიფომდე არსებულ უწესრიგობას. სახელმწიფო ასევე განიმარტება როგორც სოციალურ ინსტიტუტთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი. ყველა ეს მოსაზრება უკავშირდება ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა „სოციალური სოლიდარობა“, სადაც აქცენტი კეთდება სოციალური ჯგუფის შეკრულობაზე, სოლიდარობის გრძნობაზე, რომელიც ამ ჯგუფს უნდა ამოძრავებდეს.[4756] ამ უკანასკნელის სოლიდარობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, აღიქმება როგორც პოლიტიკური ნება, ხოლო სამართლებრივი კუთხით ხელისუფლების ძალაუფლების აღიარებას ნიშნავს.

2256 თანამედროვე, დასავლური სამყაროს ისტორიაში ერთ-ერთ დომინანტური, მორალურ-პოლიტიკური თეორიის – „საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის“ – მიხედვით, მას შემდეგ, რაც ადამიანებმა თავი დააღწიეს „ბუნებრივ“ მდგომარეობას, გაერთიანდნენ სახელმწიფოში ნებაყოფლობითა და ურთიერთთანხმობით დადებული „ხელშეკრულების“ საფუძველზე. სწორედ, ამგვარი ხელშეკრულება გახდა სახელმწიფოს

[4753] მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველო არ წარმოადგენს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა, კონვენციით ამ უფლების გათვალისწინება ცალსახად მეტყველებს მისი, როგორც ადამიანის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

[4754] Mirna Adjami, Julia Harrington, The Scope and Content of Article 15 of the Universal Declaration of Human Rights, Refugee Survey Quarterly, Volume 27, Issue 3, 2008, Pages 93–109, https://doi.org/10.1093/rsq/hdn047.

[4755] იხ. დეტალურად: ტურავა, ფირცხალაშვილი, ქარდავა, ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, 74-76.

[4756] იხ. პაკტე, მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 53.

შექმნის საფუძველი.[4757] საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიას თუ დავეყრდნობით, სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, სოციალური თანხვედრის ცენტრია.[4758]

2257 თანამედროვე გაგებით, მოქალაქეობის ინსტიტუტმა საფრანგეთის რევოლუციის შედეგად დაიწყო ჩამოყალიბება. 1789 წლის 26 აგვისტოს დეკლარაციით, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ“ საფრანგეთის რესპუბლიკამ დასაბამი დაუდო მოქალაქეობის გაგებას, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეების თავისუფ-ლებასა და მათ სამართლებრივ უსაფრთხოებას, თანასწორობას უზრუნველყოფდა.

2258 მართალია, ძველი რომი იცნობდა მოქალაქეობის ინსტიტუტს, თუმცა არა იმ გაგებით, როგორიც იგი დღეს არის. ისტორიულად მხოლოდ „თავისუფლად“ დაბადებული კაცები იყვნენ მოქალაქეები. მათ, მოქალაქეობის წყალობით, შეეძლოთ, ყოფილიყვნენ თავისუფალი, თავისუფლებაში კი მოიაზრებოდა არჩევნებში, პოლიტიკურ პროცესებში თავისუფლად მონაწილეობის მიღება. მათგან მკვეთრად გამორჩეულ სოციალურ ფენას – ქალებსა და მონებს, რომელთაც „idiotes“ უწოდებდნენ, ჰქონდათ მხოლოდ პირადი ცხოვრების თავისუფლება და მკაცრად ეკრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა. ლათინურად მოქალაქეს ეწოდება „ცივის”, ხოლო მოქალაქეობას „ცივიტას” უწოდებდნენ. [4759]

2259 სახელმწიფოს სამი შემადგენელი ელემენტიდან (ტერიტორია, ხელისუფლება და ხალხი) განსაკუთრებული აქცენტი სწორედ ხალხზე კეთდება. შესაბამისად, მოქალაქეები არიან თვით სახელმწიფოს არსი. 21-ე საუკუნეში ორი კონცეფცია ცდილობდა სხვადასხვა-გვარად დაემტკიცებინა სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ურთიერთკავშირი. პირველი აქცენტს აკეთებდა ერის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, განუყოფელ ერთობლიობაზე მოქალაქეებისა, რომლებიც ერთად მონაწილეობენ პოლიტიკურ გაერთიანებაში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით. ეს კონცეფცია უარყოფდა გაერთიანების ყოველგვარ ეთნიკურ, რელიგიურ თუ იდეოლოგიურ მიდგომას, უპირატესობას ანიჭებდა ვოლუნტარისტულ მიდგომას. სწორედ ეს მიდგომა ხდება სავალდებულო საფრანგეთში, რევოლუციიდან მოყოლებული; მეორე მიდგომა, ჩამოყალიბებული ნაციონალისტური ფილოსოფოსების მიერ 21-ე საუკუნეში, პირიქით, უპირატესობას ანიჭებს ეთნიკურ მნიშვნელობასა და მის შემადგენელ ელემენტებს (ენა, რელიგია, რასა).

2260 თანამედროვე მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიმართ ცალკეული უფლების გარანტიების გაცემა დამოკიდებულია მასპინძელი სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე, რომელზეც შეიძლება ამ ქვეყნის ვალდებულებებსაც ჰქონდეს

[4757] ამ თეორიას საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავდა, რომელთაც იგი ეტაპობრივად განვითარების ახალ ეტაპზე აჰყავდათ. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის“ ფუძემდებლებად და ძირითად განმავითარებლად გვევლინებიან: ათენელი ფილოსოფოსი ეპიკურე (ძვ. წ. აღ. 341-270 წწ.), ჰოლანდიელი მოაზროვნე ჰუგო გროციუსი (1583-1645 წწ.), ინგლისელი განმანათლებლები: თომას ჰობსი (1588-1679 წწ.) და ჯონ ლოკი (1632-1704 წწ.), ფრანგი განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო (1712-1778 წწ.). დეტალურად იხ.: მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ფილოსოფიის ისტორია, ტ.1, თბ., 1972; ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, ქართული გამოცემის რედაქტორები: ბერაია, სარაძე, თბილისი, 2004.

[4758] იხ. დეტალურად ფირცხალაშვილი, საკუთარი მოქალაქისა და უცხოელის უფლებათა თანასწორობის დილემა, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია. სტატიათა კრებული რედ. კორკელია, თბილისი, 2020, გვ 257-294.

[4759] Karasz, Perchinig, Studie Staatsbürgerschaft, Konzepte, aktuelle Situation, Reformoptionen, Wien 2013, 6.

ზეგავლენა. ზოგადად, მოქალაქეობის ფენომენი ითვალისწინებს უფლება-ვალდებულებათა იმ ჯგუფს, რომელიც სახელმწიფოსა და მოქალაქეს ერთმანეთის წინაშე აქვთ, განსხვავებით სახელმწიფოს ვალდებულებებისაგან, რომელიც მან სხვა ქვეყნის მოქალაქეების წინაშე უნდა იკისროს.

2. მოქალაქეობის მიღების ისტორიული საფუძვლები

2261 მოქალაქეობის მიღებას ისტორიულად ორი პარადიგმა განსაზღვრავს, ორივე დაფუძნებულია ადამიანის დაბადებაზე – წარმოშობასა, ius sangunis, და დაბადების ადგილზე, ius soli, ანუ მოქალაქეობის მინიჭება ხდება სისხლის პრინციპისა და ნიადაგის პრინციპის მიხედვით. სისხლის პრინციპი, ius sangunis, განსაზღვრავს პირის მოქალაქეობას, როგორც წარმოშობის, გენეტიკური მემკვიდრეობის ერთგვარ სახეობას. მიუხედავად დაბადების ადგილისა, ბავშვი იძენს მშობლების მოქალაქეობას. ამ პრინციპით მოქალაქეობა, როგორც ეროვნება, ბიოლოგიური, ანუ წარმოშობის ფუნქციის მატარებელია; ხოლო ნიადაგის პრინციპისათვის (ius soli) განმსაზღვრელია დაბადების ადგილი, ანუ ტერიტორიულობა.

2262 თანამედროვე გაგებით მოქალაქეობა საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარია, რადგან მან გარდამტეხი როლი ითამაშა ფეოდალების ტერიტორიისადმი იქ მცხოვრები პირთა მიკუთვნების პრინციპის წინააღმდეგ. მე-18 საუკუნის ინგლისისა და საფრანგეთში მემამულეს ჰქონდა უფლება განეკარგა საკუთარ ტერიტორიაზე დაბადებული ხალხის ბედი. მოსახლეობა მიეკუთვნებოდა მას, ვინც ფლობდა იმ მიწას, რომელზეც ისინი ცხოვრობდნენ. შესაბამისად, დაბადების ადგილი, და არა ოჯახური, წარმომავლობის ფონი იყო სახელმწიფოსადმი კუთვნილების კრიტერიუმი. საფრანგეთის რევოლუციამ დაარღვია ეს ტრადიცია. ვინაიდან ius soli ფეოდალური მმართველობის სიმბოლო იყო, 1804 წლის სამოქალაქო კოდექსით, მოქალაქეობის მიღებისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილების პრინციპად ჩამოყალიბდა ius sangunis, რომლის თანახმადაც, ფრანგი მამის შვილს, მიუხედავად მისი დაბადების ადგილისა, უნდა მიენიჭოს საფრანგეთის მოქალაქეობა.

2263 მალე ius sangunis-ის პრინციპი ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ – ავსტრიამ 1811 წელს, ბელგიამ 1821 წელს, ესპანეთმა 1837 წელს, პრუსიამ 1842 წელს, რუსეთმა 1864 წელს, იტალიამ 1865 წელს, ნიდერლანდმა 1888 წელს, ნორვეგიამ 1892 წელს, შვედეთმა 1894 წელს – საფრანგეთისაგან გადაიღო.

2264 რევოლუციური საფრანგეთი ღია იყო ემიგრანტებისთვის და მათ საკუთარი მოქალაქეების თანაბრად განიხილავდა, თუმცა არა ჯარში სამსახურის კონტექსტში. შესაბამისად, დადგა პრობლემა, რომ ius sangunis-ის წყალობით ვერ ხერხდებოდა მიგრანტთა შვილების ჯარში გაწვევა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩართვა. აღნიშნილი იყო იმდროინდელი საფრანგეთის სამხედრო ძალის პრობლემა. საფრანგეთის სამხედრო ძალა ემყარებოდა მასობრივ არმიას. ამის გამო, 1889 წლის კანონით, მოქალაქეობის შესახებ დაბრუნდა ius soli-ის პრინციპი, რამაც საფრანგეთში დაბადებული ბავშვი ავტომატურად გახადა ფრანგად.

2265 Ius soli-ის პრინციპის მეორე, ისტორიული საფუძველი ბრიტანული ტრადიციაა, რაც ინდივიდის მონარქის მმართველობისადმი მორჩილებას გულისხმობს. იგი უპირობოდ გავრცელდა ბრიტანულ კოლონიებზე ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ და კანადა), ევროპაში (ირლანდია), აფრიკასა (სამხრეთ აფრიკა) და ავსტრალიაში. ასევე გავლენა მოახდინა პორტუგალიასა და დანიაზე. კოლონიური მმართველობის ლეგიტიმაციის მიზნით, ბრიტანეთის კოლონიური ლოგიკით გათვალისწინებული იყო სწორედ ტერიტორიული კუთვნილების კონცეფცია, რომელიც უკავშირდებოდა ტერიტორიას, რომელიც მონარქს ემორჩილებოდა, და არა პირის გენეტიკურ წარმოშობას.

2266 თუ დღევანდელი გადმოსახედიდან შევხედავთ ამ ორ პრინციპს, ius sanguinis მიხედვით, ბავშვი ორიენტირებულია წარმომავლობაზე, ხოლო ius soli გულისხმობს, ქვეყანაში დაბადებული ყველა ბავშვის უფლებას თანაბარ მომავალზე. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მიუხედავად მშობლების გადაწყვეტილებისა, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, იზრუნოს მის ტერიტორიაზე დაბადებულ ყველა ბავშვზე თანაბრად, მისი წარმოშობის მიუხედავად.

2267 ქვეყანაში, სადაც ნაკლებად, ან არ დგას მიგრაციის საკითხი, ius sanguinis-ისა და ius soli-ის პრინციპებით მოქალაქეობის მინიჭება არ ახდენს ზეგავლენას მიგრაციის პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, თუ ამ პრინციპებს ადამიანის უფლებათა კონტექსტში განვიხილავთ, დგება რამდენიმე პრობლემური საკითხი. Ius sanguinis გამორიცხავს ქვეყანაში დაბადებული უცხოელი მშობლების შვილების სახელმწიფოში არსებულ სიკეთეებში თანაბარი მონაწილეობისაგან და, შესაბამისად, იგი უარყოფს ისეთი საზოგადოების წევრებს, რომელთაც არა აქვთ ბიოლოგიური კუთვნილება მასთან; მეორე მხრივ, ius soli-ის პრინციპი გამოიწვევდა სახელმწიფოს ვალდებულებების გაზრდას, არა მხოლოდ იქ დაბადებული ბავშვების, არამედ მისი ოჯახის, მშობლებისა და დედმამიშვილების მიმართ, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეთა ძალიან სწრაფ ზრდას და, შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებათა ზრდასაც გამოიწვევდა. ამიტომაც ერიდებიან ევროპის მაღალი მიგრაციის მაჩვენებლის მქონე სახელმწიფოები ius soli-ის პრინციპის შემოღებას. საინტერესოა, რომ, ius sanguinis-ის პრინციპით, ბავშვი, თუნდაც სხვა სახელმწიფოში იყოს დაბადებული და ცხოვრობდეს, სრულწლოვანების მიღწევისას, იღებს უფლებას, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ მას, შეიძლება, იმ ქვეყნის ბედი და პოლიტიკა უფრო აინტერესებდეს, სადაც დაიბადა და სადაც სწორედ ius sanguinis-ის პრინციპის არსებობის გამო არ აქვს უფლება, მისცეს ხმა არჩევნებში. შესაბამისად, მოქალაქეობის მიღების ეს წესი, შეიძლება, წინააღმდეგობაში მოდიოდეს დემოკრატიის პრინციპთან.

2.1 მოქალაქეობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტექსტი და 32-ე მუხლით დაცული სფერო

2268 პირველი ქართული კონსტიტუცია მოქალაქეობის საკითხებს მე-12 - მე-15 მუხლებით განსაზღვრავდა.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვებოდა წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზ აციით.

საქართველოს მოქალაქეს არ შეეძლო იმავე დროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ

ყოფნა. „მოქალაქეობის კანონი“ კი მიღებულ იქნა 1919 წლის 27 მაისს.[4760] ეს იყო იმდროინდელი ევროპის ქვეყნების მსგავსი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეობის დემოკრატიულ საფუძვლებს.

2269 საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში 2018 წლის შემოდგომაზე ძალაში შევიდა ცვლილებები მისი 32-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის შეძენას აღარ აცხადებს საქართველოს მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტის საფუძვლად.[4761] ახალი რედაქციის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის შეთავსების პირობები და წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ამავე მუხლით, დაუშვებელია, საქართველოს მოქალაქის ქვეყნიდან გაძევება და მოქალაქეობის ჩამორთმევა. ხოლო საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი გადაწყვეტილება, მოქალაქის გადაცემის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

2270 გარდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გამომხატველი ნორმებისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში კონსტიტუციის 32-ე მუხლის სახით დადგენილია პიროვნებისა და სახელმწიფოს სამართლებრივი კავშირის - საქართველოს მოქალაქეობის ძირითადი დებულებები. სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კანონმდებლის მიერ ზემოაღნიშნულ დებულებათა მე-2 თავში ერთად მოაზრება ადასტურებს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მოქალაქეობა ადამიანის კონსტიტუციური, ძირითადი უფლებაა.[4762] მოქალაქეობის იდეა გულისხმობს ფორმალურ სამართლებრივ სტატუსს, რომელიც გარკვეულ პრივილეგიებსა და პასუხისმგებლობას უკავშირდება. ყველა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო თავისი მოქალაქეების მიმართ ისეთ უნიკალურ სტატუსს აწესებს, რომელიც მათ სპეციალურ უფლებებსა და პრივილეგიებს ანიჭებს. მოქალაქეობის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს: თანაბარი სამართლებრივი სტატუსი, უფლებები და მოვალეობები, საარჩევნო ხმა და პოლიტიკური მონაწილეობა, სამშობლოში თავისუფალი შესვლისა და გასვლის უფლება, ასევე, სამშობლოსთან კავშირის განცდა.[4763] მოქალაქეობა შეიძლება განიმარტოს როგორც პირისა და სახელმწიფოს ორმხრივ, ურთიერთსანაცვლო სამართლებრივი კავშირი, რომელიც არ იზღუდება, ადმიანის ადგილსამყოფელით.

[4760] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918– 1921), 1990, გვ. 270.

[4761] 2018 წლამდე რედაქციის თანახმად: საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება, ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

[4762] კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ა. დემეტრაშვილი. თბილისი, 2005 წელი, გვ. 117.

[4763] Shachar A., Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by Rosenfeld M., Sajo A., Oxford, 2013, 1003-1004.

2.2. მოქალაქეობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები

2271 მოქალაქეობა ძირითად უფლებათა განსაკუთრებული ფენომენია, რადგან იგი სხვა ძირითადი უფლებებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს მიმართ უფლებების სანაცვლოდ, გარკვეულ ვალდებულებებს გულისმოხბს. როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მოქალაქეები არიან პირთა გარკვეული სოციალური ჯგუფი, რომელთაც სახელმწიფო აერთიანებთ ასეთ ჯგუფად. სწორედ სახელმწიფო აღჭურვავს მათ განსაკუთრებული (ძირითადად პოლიტიკური და სოციალური უფლებებით) და ამის სანაცვლოდ ითხოვს მათგან ერთგვარ ლოიალობას და მისდამი ერთგულებას. მაგალითად, სავალდებულო (სამხედრო) სამსახურს, გადასახადების გადახდას, საქართველოში, ისე როგორც სხვა უმრავლეს ქვეყანაში, საჯარო სამსახურში დასაქმება, ან სახელმწიფო თანამდებობების დაკავება მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეთა უფლებაა.

2272 სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ აქვს ძირითადად პოზიტიური ვალდებულებები, იმოქმედოს მის დასაცავად, თუმცა ასევე ნეგატიური ვალდებულებები, თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისგან. 33-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა.

2273 კონსტიტუციით ტექსტიდან ვკითხულობთ, რომ ქვეყნის ვალდებულებაა, მფარველობდეს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა. საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა არ არის სიახლე საერთაშორისო სამართალში. მას არსებობის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ჩამოყალიბებამდე ის ძალის გამოყენების ერთ-ერთი ლეგიტიმური საფუძველი იყო თავდაცვის უფლების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.[4764] თუმცა ძალის გამოყენება, საკუთარი მოქალაქეების დასაცავად, რომლებიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით სადავოა.[4765] პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ეს საფუძველი ხშირად გამოიყენება დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ ბოროტად. ვითომდა, საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით, ახდენს შეიარაღებულ ინტერვენციებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.[4766] მაგალითად, საქართველოში 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ, სწორედ ამ საფუძვლით ჰქონდა ადგილი. [4767] მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინას არ აქვს მხარდაჭერა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემაში და არის წმინდა

[4764] იხ. Eichensehr, Defending Nationals Abroad: Assessing the Lawfulness of Forcible Hostage Rescues, Student Prize Papers, Paper 27, 2007, 459; Erickson, Legitimate Use of Military Force Against State-Sponsored International Terrorism, Washington D.C., 2001 [scanned copy version], 139, იხ.: [www.au.af.mil/au/awc/awcgate/]; Randelzhofer, Article 51, Simma (ed.), The Charter of the United Nations: A Commentary, Vol.I, 2nd Edition, Oxford, 2002, 792-793, p. 11-12.

[4765] იხილე დეტალურად საკითხის ანალიზი. საგინაშვილი, ნ., საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა, კონსტანტინე კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული, თბილის 2011, გვ. 169-193.

[4766] თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემაში შეინიშნება ძალის გამოყენების jus cogens-ის აკრძალვისადმი გამონაკლისების დაშვების საშიში პრეცედენტები და სამართლებრივი შეფასებების პოლიტიკური და მორალური არგუმენტებით კარგად „შეფუთვის“ მცდელობა.

[4767] Roy, The Russian case for military intervention in Georgia: international law, norms and political calculation, European Security, Vol.18, No.2, 2009, 179.

პოლიტიკური ხასიათის მოვლენა. [4768] შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი არ უნდა გავიგოთ ამ კონტექსტში. კონსტიტუციის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერი არ გულისხმობს საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა ძალისმიერ, ან სამხედრო ინტერვენციებით დაცვას საზღვარგარეთ, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ. მასში იგულისხმება საქართველოს მოქალაქეთა დაცვა საზღვარგარეთ არსებული საელჩოებისა და საკონსულოების მიერ და მათი მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში. საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოდგენილი საკონსულოები იცავენ საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, საკონსულო მომსახურებისა და საკონსულო დახმარების ფორმებით. ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. საკონსულო ვალდებულია, საკონსულო ოლქში მყოფი ყველა საქართველოს ფიზიკური პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები დაიცვას მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობის, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.[4769]

2274 სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება 32-ე მუხლის მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტებიდან გამომდინარეობს. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერსოა მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც "საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში"

2275 მოქმედი კონსტიტუციის შემოღებამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა ცალსახად იყო აკრძალული. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ საქართველოს მოქალაქის სხვა ქვეყნისათვის გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ერთ-ერთ ასეთ ხელშეკრულებას კი წარმოადგენს პარიზის 1957 წლის 13 დეკემბრის ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, რომლის მონაწილეც 2001 წლიდან საქართველოც არის.[4770]

2276 ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე გაკეთებული დათქმების[4771] ანალიზის საფუძველზე, მოქალაქეების გადაცემასთან დაკავშირებით, სახელმწიფოთა სხვადასხვა მიდგომა გამოიკვეთა. სახელმწიფოთა უმრავლესობა აბსოლუტურად კრძალავს მოქალაქის გადაცემას, მათ შორის აღსანიშნავია: ლატვია, ლუქსემბურგი ლიხტენშტეინი, ჩრდილოეთ მაკედონია, საფრანგეთი, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვა, რუსეთი, სან მარინო, უკრაინა, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, გერმანია, საბერძნეთი. გაერთიანებული სამეფო დასაშვებად მიიჩნევს საკუთარი მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას. უნგრეთსა და ნიდერლანდების სამეფოში გათვალისწინებულია მოქალაქის გადაცემის

[4768] საგინაშვილი., საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა, გვ. 169-193.
[4769] საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის საკონსულო საქმიანობის შესახებ კანონის მე-5 მუხლი.
[4770] საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის № 729-IIს, დადგენილება ექსტრადიციის შესახებ, ევროპული კონვენციის აღიარებასთან დაკავშირებით, სსმ II, № 28, 2001წ.
[4771] ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე გაკეთებული დეკლარაციების სრული სია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en.

შესაძლებლობა, თუმცა იმ პირობით, რომ თუ პირს სასჯელი დაეკისრება, მის აღსასრულებლად იგი უკან იქნება გადაცემული. ესტონეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემს საკუთარ მოქალაქეს უცხო სახელმწიფოს, თუ თავად მოქალაქე განაცხადებს ექსტრადიციაზე თანხმობას. შვეიცარიაში მოქალაქის გადაცემა ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას.

2277 ალბანეთისა და საქართველოს კონსტიტუციებით მოქალაქის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმის მიხედვით, ექსტრადიციის შესახებ ევროპული „კონვენციის მიზნებისთვის, საქართველოს ხელისუფლება ინარჩუნებს უფლებას თავისი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხი გადაწყვიტოს ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე და უარი განაცხადოს მათ ექსტრადიციაზე საზოგადოებრივი მორალის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლით“. ეს დათქმა შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელიც საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაუშვებლად აცხადებს, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2278 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის გარდა, მოქალაქის გადაცემის საკითხს უკავშირდება საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თურქეთის[4772], აზერბაიჯანის[4773], საბერძნეთის[4774] რესპუბლიკებთან და უკრაინასთან[4775] , რომლებიც აგრეთვე არიან კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები.

ისე როგორც ეროვნული, საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან, ექსტრადიციის შესახებ, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში, საქართველოსა და აზერბაიჯანს, თურქეთს, უკრაინას, საბერძნეთს შორის დადებულ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ ნორმებს შორის, რომლებიც საქართველოს მოქალაქის ექსტრადიციას კრძალავენ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს.[4776]

2.3. საგნობრივად დაცული სფერო

2279 კონსტიტუციის 32-ე მუხლი იცავს საქართველოს მოქალაქეობის საკითხებს და სწორედ მისგან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებს. 32-ე მუხლი:

[4772] „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულება.

[4773] „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ხელშეკრულება,.

[4774] „საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეში სამართლებრივი დახმარების შესახებ“.

[4775] „საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“.

[4776] ექსტრადიციის კოლიზიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური დისკუსია იხ. მიარიანაშვილი, გ., ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში. გვ. 66 -დან. თბილისი 2020. დისერტაცია.

- პირველი პუნქტის მიხედვით ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას საკუთარ მოქალაქეთა უფლებები, მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. დაცულ სიკეთეს წარმოადგენს მოქალაქის ყველა ის უფლება, რომელიც მას კონსტიტუციით აქვს გარანტირებული, როგორც მოქალაქეს. ძირითადი აქცენტი ამ პუნქტში ადგილსამყოფელზე არის გამახვილებული. სხვა შემთხვევაში ადგილი ექნებოდა უფლებათა გარანტიების დუბლირებას კონსტიტუციაში. ეს პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოს იზრუნოს მოქალაქეებზე, როცა მათ საფრთხე ემუქრებათ ქვეყნის გარეთ.
- მეორე პუნქტის მიხედვით კონსტიტუცია ფორმალურად ადგენს, რომ მოქალაქეობის მოპოვების, მინიჭებისა და დაკარგვის წესები მიღებული უნდა იყოს ორგანული კანონით.
- მე-3 და მე-4 პუნქტებით დაცულია საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის ჩამორთმევისა და საქართველოდან გაძევებისაგან. საერთაშორისო აქტებში გაძევების თაობაზე პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა არსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაძევება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტითაც დაუშვებელია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადგენს, რომ დაუშვებელია ვინმესთვის მოქალაქეობის იძულებით ჩამორთმევა. 1961 წლის კონვენცია და ევროპული 1997 წლის კონვენცია მოქალაქეობის შესახებ მკაცრად ზღუდავს სახელმწიფოთა ინიციატივას მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე. ზოგადად, მოქალაქეობის დაკარგვას თან უნდა ახლდეს სრული პროცედურული გარანტიები და არ უნდა გადაიზარდოს მოქალაქეობის უქონლობაში.[4777] ამ მხრივ საქართველოს კონსტიტუცია საერთაშორისო სტანდარტს იზიარებს, რომლის მიხედვითაც, არცერთ პირს არ ჩამოერთმევა მოქალაქეობა, თუ ეს მოქალაქეობის უქონლობას გამოიწვევს.
- ხოლო მე-5 პუნქტით დაცულია მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა. თუმცა ამ მიმართულებით კონსტიტუცია ადგენს გამონაკლისს. ეს არის შემთხვევა თუ პირის ექსტრადიცია საერთაშორისო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე, საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება იტოვებს უფლებას მისი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხზე საზოგადოებრივი მორალის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლით განაცხადოს უარი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქალაქეობით დაცულ სფეროსთან დაკავშირებით პრაქტიკა არ ჰქონია.

2.4. პერსონალურად დაცული სფერო

ზოგადად, მოქალაქეობა განიხილება, როგორც სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი, 2280
რომელიც ერთდროულად რეგულირდება საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმებით. თუმცა, პირველ რიგში მოქალაქეობა წარმოადგენს ცალკეული პირის

[4777] მენლი, გოვილი, მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, კვლევა და ანალიზი, გვ. 43.

სუბიექტურ უფლებას. ამ თვალსაზრისით, მოქალაქეობა უნდა განვიხილოთ, როგორც პირის სუბიექტური უფლება მოქალაქეობაზე. გარდა კონსტიტუციისა და ნაციონალური კანონმდებლისა, მოქალაქეობა, როგორც უფლება აღიარებულია საერთაშორისო აქტებით, კერძოდ, 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციითა და 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მიხედვით, „თითოეულ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება".

2281 მოქალაქეობის უფლების განსაკუთრებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტზე ასევე მეტყველებს ის, რომ იგი ასახულია ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენციაში. მასში ხაზგასმულია იდეა და განსაზღვრულია დებულება, რომლის თანახმად, ბავშვი არ უნდა გახდეს პირი, რომელსაც არ ექნება მოქალაქეობა (აპატრიდი).[4778] რადგან მოქალაქეობა პირს, არა მარტო თვითიდენტიფიცირების საშუალებას აძლევს, არამედ ანიჭებს სახელმწიფო დაცვას და სხვა მრავალ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებასა და სოციალურ დაცვას. [4779]

2282 საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლით დაცულია საქართველოს მოქალაქე, ან ყოფილი მოქალაქე. ასევე თეორიულად შესაძლებელია, რომ 32-ე მუხლით დაცული იყო მოქალაქეობის მსურველი პირი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მიმდინარედ განიხილავს საქმეს,[4780] დავის საგანია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობა, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებისა, არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებას. მართალია, ამ საქმეში სახალხო დამცველი, 32-ე მუხლთან მიმართებით, ნორმას არ ასაჩივრებს, თუმცა საგულისხმოა, რომ სადავოა მოქალაქეობაზე უარის თქმის გასაჩივრების წესი. მოსარჩელის მოსაზრებით, გასაჩივრების აკრძალვა, შესაძლოა ემსახურებოდეს ისეთ მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, როგორებიცაა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა. თუმცა, მოსარჩელის აზრით, შეზღუდვა ვერ აკმაყოფილებს ვიწრო პროპორციულობის კრიტერიუმს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ,

---

[4778] მე-2 მუხლი მიუთითებს, რომ „წევრი სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას, დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან როგორც თავად, ისე მისი მშობლები ან კანონიერი მეურვეები რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად." ხოლო მე-7 მუხლი მოითხოვს, რომ ბავშვი რეგისტრაციაში გატარდეს დაბადებისთანავე, დაერქვას სახელი და მიენიჭოს მოქალაქეობის მიღების უფლება; აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მას უფლება აქვს იცოდეს მშობლების ვინაობა და იყოს მათი მზრუნველის ქვეშ." მუხლი ასევე ადგენს, რომ „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას ეროვნული კანონმდებლობის და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სხვაგვარად მოქალაქეობის არმქონე იქნება."

[4779] მენლი, გოვილი, მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, კვლევა და ანალიზი, გვ. 3.

[4780] საოქმო ჩანაწერი, №3/10/1601, 2022 წლის 4 ნოემბერი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

აშკარაა პირის მომეტებული ინტერესი მოქალაქეობის მოპოვებასა და შედეგად, მთელი რიგი უფლებებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სტატისტიკურად, მოქალაქეობის ჩვეულებრივი, გამარტივებული, აღდგენის ან სპეციალური წესით მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევები, ვერ აღწევს იმ ზღვარს, რომელმაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას სასამართლოს გადატვირთვას.[4781] სასამართლო პლენუმმა განმაწესრიგებელ სხდომაზე განიხილა საკითხი, დასაშვებად სცნო სარჩელი და საქმე განსახილველად მიიღო.

2283 მანამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ერთი სასარჩელო მოთხოვნა იყო, რომელიც მოქალაქეობის საკითხებთან მიმართებით, ასაჩივრებდა ნორმებს, თუმცა სასამართლომ დაუსაბუთებულობის გამო არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად.[4782] საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“[4783] იმსჯელა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. დავის საგანს წარმოადგენდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის დებულება, რომლის თანახმად, პირი კარგავდა დევნილის სტატუსს საქართველოს რომელიმე რეგიონში მუდმივად დასახლებისა და რეგისტრაციაში გატარებისას. მოსარჩელეების აზრით, საქართველოს კონსტიტუციის სხვა მუხლებთან ერთად, აღნიშნული რეგულირებით ირღვეოდა კონსტიტუციის მე–13 მუხლის პირველი პუნქტი, (ძველი რედაქციით) რომლის თანახმად, „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“. მოსარჩელეებს მიაჩნდათ, რომ „პირის ნების საწინააღმდეგოდ, ადგილსამყოფელის გამოცვლის გამო, დევნილის სტატუსის ჩამორთმევა არაკონსტიტუციურია და ლახავს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას, ისარგებლოს სახელმწიფოს მფარველობითა და გარკვეული შეღავათებით, როგორც დევნილმა.“[4784]

2284 სასამართლომ, ამ გადაწყვეტილებაში, დავის საგნის კონსტიტუციურობის გარკვევისას, შედარებით გამოკვეთა თავისი მსჯელობა. იგი არ დაეთანხმა მოსარჩელეთა არგუმენტაციას სადავო დებულებით კონსტიტუციის იმ დარღვევის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფდა „საქართველო მიერ თავის მოქალაქეების მფარველობას, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.“ სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და სასამართლო არ დაეთანხმება მოსარჩელეთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე–13 მუხლის პირველ პუნქტს, (ძვ. რედაქციით) რომლის თანახმად, „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა“. მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციის

[4781] იქვე I-10.

[4782] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის №2/1/130 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ.

[4783] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის №2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[4784] იქვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის №2/7/219 გადაწყვეტილება, აღწერილობითი ნაწილი.

აღნიშნული მუხლი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე და ადგენს მათი მფარველობის წესს, შესაბამისად, ეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც შესაბამისი გარემოებების დადგომისას, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნენ დევნილებად. მან განმარტა: „ამავე დროს სასამართლო იზიარებს და ეთანხმება მოპასუხე მხარის მოსაზრებას, რომ დევნილის სტატუსის ჩამორთმევა არ იწვევს საქართველოს მიერ მათ მფარველობაზე უარის თქმას. პირი რჩება საქართველოს მოქალაქედ, მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა მას დევნილის სტატუსი. საქართველოს მოქალაქეობა კი წარმოადგენს საფუძველს, პირი იმყოფებოდეს საქართველოს მფარველობის ქვეშ.“[4785]

2.5. მოქალაქეობის საერთაშორისო სამართლებრივი კონტექსტი

2285 საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან მოქალაქეობის უფლების მიღება, პირს შეუძლია დაბადებით (ფილიაცია), ნატურალიზაციის გზით, საერთაშორისო შეთანხმების მეშვეობით, რეინტეგრაციის (აღდგენა) გზითა და მინიჭებით.

საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე მოქალაქეობა მიიღება ტერიტორიის ნაწილის გადაცემისას ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში (ცესია), ასევე, ტერიტორიების ნაწილის გაცვლისას ორ სახელმწიფოს შორის. სახელმწიფოს ტერიტორიული ცვლილებების დროს, შესაძლებელია მოქალაქეობის ნებაყოფლობით არჩევა (ოპტაცია) ან მისი ავტომატურად შეცვლა (ტრანსფერტი).[4786]

2286 მოქალაქეობის დაკარგვის საშუალებას მიეკუთვნება: ექსპატრიაცია და დენატურალიზაცია. ექსპატრიაცია ნიშნავს მოქალაქეობის ნებაყოფლობით დათმობას. მოქმედებს თავისუფალი და ნების დართვით ექსპატრიაციაა. პირის უფლება, მოქალაქეობის თავისუფლად დათმობასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია ზოგიერთ საერთაშორისო შეთანხმებაში. მათ შორის: 1930 წლის ჰააგის კონვენცია, რომელიც არეგულირებს მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიებთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს. მე-6 და მე-7 მუხლებში გათვალისწინებულია, რომ: „სახელმწიფოს თავისუფლების შელახვის გარეშე, მიენიჭოს უფრო ფართო უფლებები, საკუთარი მოქალაქეობის დათმობის შესახებ, პირს, რომელსაც გააჩნია ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა, მისი მხრიდან რაიმე ნებაყოფლობითი ქმედების გარეშე, შეუძლია დათმოს რომელიმე მათგანი, იმ სახელმწიფოს ნებართვით, რომლის მოქალაქეობის დათმობაც სურს მას“; აგრეთვე, ევროპის 1963 წლის კონვენცია, მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევების შემცირების შესახებ.

2287 ერთდროულად ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეს, უწოდებენ ორმაგი მოქალაქეობის (ბიპატრიდი) მქონე პირს. მრავლობითი მოქალაქეობის წარმოშობის შემთხვევებს წარმოადგენს: სახელმწიფოს ტერიტორიული ცვლილება, მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია, მოქალაქეობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის კოლიზიები, უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ქორწინება, უცხოელი მოქალაქის შვილად

[4785] იქვე.

[4786] მენლი, გოვილი, მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, კვლევა და ანალიზი, გვ. 3.

აყვანა, ნატურალიზაცია, მანამდე არსებული მოქალაქეობის შენარჩუნებით და სხვ. ბიპატრიზმი ნიშნავს იმას, რომ პირს ერთდროულად გააჩნია უფლებები და ვალდებულებები ყველა იმ ქვეყნის მიმართ, რომელთა მოქალაქეობაც მას აქვს. ამ ინსტიტუტის არსებობის ისტორია ადასტურებს, რომ ორმაგი მოქალაქეობა იწვევს გარკვეულ ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს, რაც ართულებს საერთაშორისო ურთიერთობებს ბიპატრიდის მოქალაქეობის სახელმწიფოებს შორის. მაგალითად, ბიპატრიდის დიპლომატიური და საკონსულო დაცვის უზრუნველყოფის საკითხები, მესამე ქვეყნების ტერიტორიების ან მოქალაქეობის კუთვნილების, ერთ-ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ხშირად დგება საკითხი იმის შესახებ, მოქალაქეობის კუთვნილების რომელი სახელმწიფოს სამხედრო ვალდებულია მრავლობითი მოქალაქეობის მქონე პირი. ნებისმიერი მოქალაქე არის გადასახადების გადამხდელი და ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები.

2288 სწორედ ზემოთ აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად იქნა მიმართული სახელმ-წიფოების საერთაშორისო თანამშრომლობა. მე-20 საუკუნეში მათ მიერ დაიდო რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება, რომლებიც არეგულირებს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ზოგიერთ ნეგატიურ შედეგს. მათ შორის: 1930 წლის ჰაგის კონვენცია, რომელიც არეგულირებს მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიებთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს, ევროპის 1963 წლის კონვენცია, მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევების შემცირების შესახებ. ამ შეთანხმებების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ მრავლობითი მოქალაქეობის მქონე პირი განიხილება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ და მას აქვს ვალდებულებები იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

2289 მოქალაქეობის არქონა (აპატრიზმი), საერთაშორისო სამართალში ნიშნავს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, როდესაც ის არ განიხილება რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქედ, მისი ეროვნული უფლების ძალით. აპატრიდების სტატუსის სამართლებრივი დარეგულირებისთვის, 1954 წლის 28 სექტემბერს, ნიუ-იორკში, მიღებული იქნა კონვენცია აპატრიდების სტატუსის შესახებ. სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ: „ისინი გამოიყენებენ კონვენციის დებულებებს აპატრიდებთან მიმართებაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მათი რასობრივი, რელიგიური ნიშნით ან მათი წარმოშობის ქვეყნის მიხედვით“. კონვენცია არეგულირებს აპატრიდების სამართლებრივი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს და უზრუნველყოფს, ძირითადად, ეროვნულ სამართლებრივ რეჟიმს, კონვენციით დადგენილი უფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში.

2290 1961 წელს, გაერო-ს ეგიდით შემუშავდა და მიღებული იქნა მოქალაქეობის არქონის შემცირების კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1975 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმების ძირითად მიზანს წარმოადგენს ხელსაყრელი პირობების შექმნა მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის მისაღებად, რომლის ტერიტორიაზეც ისინი დაიბადნენ და სხვაგვარად მათ არ ექნებოდათ მოქალაქეობა და აგრეთვე, იმ პირობების ჩამოყალიბება იმისთვის, რომ ექსპატრიაციის დროს, მოქალაქეებს არ მიენიჭოთ აპატრიდის სტატუსი. კონვენციის თანახმად, აპატრიდების შვილებს ენიჭებათ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, სადაც

ისინი დაიბადნენ, „უფლება დაბადების ადგილის მიხედვით“ პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები დადებენ საერთაშორისო შეთანხმებას ტერიტორიების გადაცემის შესახებ, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს გარანტიები, შესაძლო მოქალაქეობის არქონის შესახებ.

2.6. მოქალაქეობის საკანონმდებლო საფუძვლები საქართველოში

2291 საქართველოს ორგანული კანონი (მე-9 მუხლი), საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ფორმად ასახელებს: ა) დაბადებით და ბ) „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ხუთ სახეს. კერძოდ, პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის: ა) ჩვეულებრივი წესით მინიჭებას; ბ) გამარტივებული წესით მინიჭებას; გ) საგამონაკლისო წესით მინიჭებას; დ) აღდგენის წესით მინიჭებას და ე) სპეციალური წესით მინიჭებას.

2292 ა) საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება სრულწლოვანს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობდა საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში. ეს უკანასკენელი დადგენილ ფარგლებში უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას, იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები, ჰქონდეს საქართველოში სამუშაო ადგილი, ან/და უძრავი ქონება.

2293 ბ) საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში, კანონიერ საფუძველზე, უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში. თუ: ა) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა; ბ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;

2294 გ) საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს, ან რომლისათვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

2295 დ) საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა არამართლზომიერად, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით ან მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად. მან დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს საქართველოს სახელმწიფო ენა.

2296 ე) სპეციალური წესით მიენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, რომელსაც არ უდგინდება საქართველოს მოქალაქეობა, უფლება აქვს, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა მან, დადგენილ ფარგლებში, იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები; და არ არსებობს საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებაზე განსაზღვრული უარის თქმის ისეთი საფუძვლები, როგორიცაა მაგალითად, ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ და სხვა.

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია: მოქალაქეობიდან გასვლა და მოქალაქეობის დაკარგვა. 2297

მოქალაქეობიდან გასვლა: მოქალაქეობიდან გასვლა საქართველოს მოქალაქის უფლებაა. თუმცა, კანონი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. მას, შეიძლება, უარი ეთქვას ამ უფლებაზე, თუკი: ა) შეუსრულებელი აქვს საქართველოს წინაშე სამხედრო ან სხვა ვალდებულება; ბ) იგი ბრალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც უნდა აღსრულდეს. 2298

მოქალაქეობის დაკარგვა: საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველია, თუ პირი: ა) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში, პოლიციისა და უშიშროების სამსახურებში; ბ) საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით; გ) მოიპოვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეობას. ამასთან, იმ პირებისთვის, რომლებმაც საგამონაკლისო წესით მოიპოვეს საქართველოს მოქალაქეობა (ანუ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები), საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველს არ წარმოადგენს თავისი მოქალაქეობის ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის სამსახურში შესვლა, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვება. 2299

3. ჩარევა/პოზიტიური ვალდებულების განსაზღვრა

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლით დაცულ სიკეთეებში ჩარევის იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ სახელმწიფოს მოქმედებით ან მისი უმოქმედობით (ან არასაკმარისი მოქმედებით) მოხდება დაცული სიკეთეების შეზღუდვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არ არსის მისი შეზღუდვის ფარგლები განმარტებული საქართვლოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და არც დაცული უფლების შინაარსია დადგენილი მის მიერ. მან ერთ-ერთი საქმე, რომელიც დაუსაბუთებლობის გამო, არ მიიღო განსახილველად, აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეობა წარმოადგენს საფუძველს, პირი იმყოფებოდეს საქართველოს მფარველობის ქვეშ და საქართველოს მოქალაქეთათვის დევნილის სტატუსის ჩამორთმევა, არ იწვევს საქართველოს მიერ მათ მფარველობაზე უარის თქმას“.[4787] ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს მოქალაქეობის ჩანაწერთან გასაჩივრებული ნორმების მიმართება საერთოდ ვერ დაადგინა. 2300

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში, სახელწმიფოს მიერ ძირითად უფლებებში ჩარევა მისი გადამეტებული მოქმედებით კი არ იდენტიფიცირდება, არამედ ჯერ სახელმწიფოს კონკრეტული კონსტიტუციური ვალდებულება განისაზღვრება, და შემდგომ დგინდება რამდენად შეასრულა ეს ვალდებულება სახელმწიფომ. 2301

[4787] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის №2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

4. უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება

2302 32-ე მუხლით გარანტირებულ სიკეთეში ჩარევად, თეორიულად შეიძლება იდენტიფირებული იყოს, იმგვარი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს, მაგალითად, საქართველოს მოქალაქის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გადაცემას უცხო ქვეყნის სახელმწიფოსთვის. ამგვარი ქმედება იქნებოდა სახელმწიფოს მიერ მისი ნეგატიური ვალდებულებისგან შეუსრულებლობა. და მისი მოქმედება განხილული უნდა იქნეს კონსტიტუციურ სამართლებრივი ტესტის - თანაზომიერების კონტექსტში. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რამდენად აქვს კანონს, რომელიც თეორიულად შეიძლება მოქალაქის უცხო სახელწმიფოსადმი საერთაშორისო ხელშეკრულების გარეშე გადაცემას ითვალისწინებდეს, ლეგიტიმური მიზანი და რამდენად არის შესაბამისი ღონისძიება ლეგიტიმური, მიზნის მისაღწევად გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისი (ვიწრო გაგებით პროპორციული).

2303 როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული დებულება აღჭურვავს მოქალაქეს, მოითხოვოს განსაკუთრებული მზრუნველობა სახელწმიფოსგან, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა. ამის საპასუხოდ. სახელწმიფოს პოზიტიური ვალდებულება ეკისრება, რომ მაგალითად, უცხოეთში მფარველობა გაუწიოს საკუთარ მოქალაქეს. თუკი თეორიულად კანონში საკონსულო საქმიანობის შესახებ იქნებოდა ჩანაწერი, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოდგენილი საკონსულოები არ იცავენ საქართველოს მოქალაქეს, ისეთ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არაკანონიერად იმყოფებიან უცხოეთში, შესაძლოა, თეორიულად ასეთმა ჩანაწერმა დაარღვიოს საქართველოს მოქალაქის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერი. დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფოს უმოქმედობაში. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევა უნდა შემოწმდეს ორ ეტაპად. აღნიშნული სახის ძირითადი უფლებების სამართლებრივი კონტროლის უზრუნველყოფა ორ ეტაპად ხორციელდება: I. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრა და II. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენა.[4788] როდესაც რომელიმე ძირითადი უფლების დასაცავად კანონმდებლის მიერ არანაირი ღონისძიება არ არის მიღებული, ან შერჩეული საშუალება სრულად გამოუსადეგი და აშკარად არასაკმარისია მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო არღვევს მის პოზიტიურ ვალდებულებას.

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

2304 მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საქმეებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს კონვენციის მე-8 მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით. პირადი ცხოვრების დაცულობა. [4789] მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის უფლება, როგორც ასეთი, არ არის გარანტირებული კონვენციით ან მისი ოქმებით, არ არის გამორიცხული, რომ მოქალაქეობის საკითხზე სახელწმიფომ მიერ თვითნებურმა უარყოფამ, გარკვეულ გარემოებებში წარმოშვას, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8

[4788] ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი. გვ. 63-დან.

[4789] Ramadan v. Malta საჩივარი- N76136/12 გადაწყვეტილება, 21 ივნისი, 2016, Karassev v. Finland (dec.), No. 31414/96, ECHR 1999-II; Slivenko and Others v. Latvia (dec.) [GC], No. 48321/99, p. 77, ECHR 2002-II; Savoia and Bounegru v. Italy (dec.), No 8407/05, 11 ივლისი 2006; და Genovese v. Malta, No. 53124/09, p. 30, 11 ოქტომბერი. 2011).

მუხლის შესაბამისად. ამგვარი უარყოფის გავლენა აისახება ინდივიდის პირად ცხოვრებაზე. გარდა ამისა, ინდივიდის პირადი ცხოვრება არის კონცეფცია, რომელიც საკმარისად ფართოა იმისათვის, რომ მოიცვას პიროვნების სოციალური იდენტობის ასპექტები. [4790] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პასპორტის ქონის უფლება და მოქალაქეობის უფლება, არ ითვლება სამოქალაქო უფლებებად კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის.[4791]

5.1. Ramadan v. Malta

2305 საქმეში რამადანი მალტის წინააღმდეგ,[4792] მოსარჩელემ მალტის მოქალაქეობა დაკარგა ქორწინების გაუქმების შედეგად. სწორედ მოჩვენებითი ქორწინების საფუძველზე მიიღო მან მალტის მოქალაქეობა.

2306 საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანმა, რომელიც თავდაპირველად ეგვიპტის მოქალაქე იყო, მოიპოვა მალტის მოქალაქეობა მას შემდეგ, რაც ცოლად მოიყვანა მალტის მოქალაქე.

2307 მოქალაქეობა გააუქმა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის მიხედვით ქორწინება ბათილი იყო იმ საფუძვლით, რომ მომჩივნის დაქორწინების ერთადერთი მიზეზი მალტაში დარჩენა და მალტის მოქალაქეობის მოპოვება იყო. მომჩივანი ასაჩივრებდა მისთვის მალტის მოქალაქეობის ჩამორთმევას, აცხადებდა რა, რომ ამის შემდეგ ის მოქალაქეობის არმქონე პირი გახდა, ვინაიდან მან უარი თქვა ეგვიპტის მოქალაქეობაზე, რათა მალტის მოქალაქე გამხდარიყო.

2308 კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით - სტრასბურგის სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ მოქალაქეობის დაკარგვას იმავე (და შესაძლოა უფრო დიდი) გავლენა აქვს პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, როგორც პირისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარს. ამდენად, მოქალაქეობის თვითნებურმა ჩამორთმევამ, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა წარმოშვას კონვენციის მე-8 მუხლით განსახილველი საკითხი, პირის პირად ცხოვრებაზე მისი გავლენის გამო.

2309 მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლომ წინამდებარე საქმეზე კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, მიიჩნია რა, რომ მოცემულ გარემოებებში მომჩივნისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა არ იყო თვითნებური. სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით და მას თან ახლა პროცედურულ სამართლიანობასთან შესაბამისი განხილვები. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ მომჩივნისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა მისი თაღლითობის შედეგი იყო. და მის მიერ გასაჩივრებული ქმედებები მეტწილად გამოწვეული იყო მისი არჩევანითა და საქციელით. [4793]

[4790] Ramadan v. Malta საჩივარი- N76136/12 გადაწყვეტილება, 21 ივნისი, 2016.
[4791] Sergey SMIRNOV against Russia Application no. 14085/04. 6 July 2006, განჩინება.
[4792] Ramadan v. Malta საჩივარი- N76136/12 გადაწყვეტილება, 21 ივნისი 2016.
[4793] იქვე P. 89.

2310 ამას გარდა, მომჩივანს არ ემუქრებოდა მალტიდან გაძევება - ყველაფრის მიუხედავად, მას შესაძლებლობა ჰქონდა, გაეგრძელებინა მალტაში ბიზნეს საქმიანობა და ცხოვრება. მას ასევე შეეძლო, განცხადება შეეტანა ბინადრობის ნებართვაზე, რაც საბოლოოდ მას მოქალაქეობის მიღების უფლების მქონედ აქცევდა. დამატებით, მომჩივანმა სტრასბურგის სასამართლო ვერ დაარწმუნა იმაში, რომ მან უარი თქვა ეგვიპტის მოქალაქეობაზე, აგრეთვე ვერ აჩვენა, რომ ამ ფაქტის ჭეშმარიტების შემთხვევაში მას არ შეეძლო ეგვიპტის მოქალაქეობის კვლავ მოპოვება. ამიტომ, სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა.

5.2. K2 v.The United Kingdom

2311 საქმეში K2 დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ,[4794] მოსარჩელე დაიბადა სუდანში. ის ბავშვობაში ჩავიდა გაერთიანებულ სამეფოში. 2000 წელს მან მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით.

2312 2009 წელს განმცხადებელი დააკავეს და ბრალი წაუყენეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში, რომელიც გამოწვეული იყო, ღაზაში ისრაელის სამხედრო მოქმედებების წინააღმდეგ, საპროტესტო აქციებში მისი მონაწილეობით. ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, მაგრამ 2009 წლის ოქტომბერში, სანამ გირაოს გადაიხდიდა, მან დატოვა გაერთიანებული სამეფო. ის 2010 წლის აპრილში ან მაისში სუდანში გამგზავრებამდე, ორ ექსტრემისტთან ერთად გაემგზავრა სომალიში, სადაც იგი ეწეოდა ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმიანობას. დაკავშირებულია ალ-შაბააბთან, ჯიჰადისტურ ტერორისტულ დაჯგუფებასთან, რომელიც დაფუძნებულია აღმოსავლეთ აფრიკაში.

2313 2010 წლის 14 ივნისს სახელმწიფო მდივნის ბრძანებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით, მას ჩამოერთვა ბრიტანეთის მოქალაქეობა. მან მოქალაქეობის ჩამორთმევის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. არც ერთ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა.

2314 რომელშიც განმცხადებელის მიმართ, როდესაც ის საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოპასუხე სახელმწიფოს მოქალაქეობის ჩამორთმევის და ქვეყნიდან გაძევების შესახებ იმ საფუძვლით, რომ ის წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უშიშროებისთვის.

2315 სასამართლოს აზრით, ჩარევის შეზღუდული ხასიათისა და SIAC-ის მკაფიო დასკვნების გათვალისწინებით, მისი ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის მასშტაბებთან დაკავშირებით, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება განმცხადებლის გაერთიანებული სამეფოდან გარიცხვის შესახებ, იყო არაპროპორციული ლეგიტიმური მიზნის მიმართ: კერძოდ, საზოგადოების დაცვა ტერორიზმის საფრთხისგან. სასამართლომ არ მიიჩნია დიდი ბრიტანეთის ქმედება დარღვევად.

[4794] Application no. 42387/13, K2 against the United Kingdom 7 February 2017.

ლიტერატურა

ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი დემეტრაშვილი. თბილისი, 2005 წელი; გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ფილოსოფიის ისტორია, ტ.1, თბილისი, 1972; მენლი/გოვილი, მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, კვლევა და ანალიზი, მეორე გამოცემა UNHCR 2014; მიარიანაშვილი, ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში, დისერტაცია, თბილისი 2020; პაკტე, ფ.მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012; საგინაშვილი, საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა, კონსტანტინე კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული, თბილის 2011; ტურავა/ფირცხალაშვილი/ქარდავა, ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, GIZ 2020; ფირცხალაშვილი, კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი. თბილისი 2023; ფირცხალაშვილი, საკუთარი მოქალაქისა და უცხოელის უფლებათა თანასწორობის დილემა, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია. სტატიათა კრებული რედ. კორკელია, თბილისი 2020; ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, ქართული გამოცემის რედ. ბერაია/სარაძე, თბილისი, 2004; Adjami/Harrington, The Scope and Content of Article 15 of the Universal Declaration of Human Rights, Refugee Survey Quarterly, Volume 27, Issue 3, 2008, Pages 93–109;

Eichensehr, Defending Nationals Abroad: Assessing the Lawfulness of Forcible Hostage Rescues, Student Prize Papers, Paper 27, 2007; Erickson, Legitimate Use of Military Force Against State-Sponsored International Terrorism, Washington D.C., 2001; Karasz/Perchinig, Studie Staatsbürgerschaft, Konzepte, aktuelle Situation, Reformoptionen, Wien 2013; Randelzhofer, Article 51, B. Simma (ed.), The Charter of the United Nations: A Commentary, Vol. I, 2nd Edition, Oxford, 2002; Roy, The Russian case for military intervention in Georgia: international law, norms and political calculation, European Security, Vol.18, No.2, 2009. Shachar, Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by Rosenfeld M., Sajo A., Oxford, 2013.

მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები[4795]

1. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

3. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

4. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია.

შინაარსი

მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები 912

შინაარსი 912

1. თავშესაფრის უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო 913

1.1. თავშესაფრის უფლების ზოგადი მნიშვნელობა..... 913

1.2. თავშესაფრის უფლების დაცული სფერო..... 914

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო 914

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო..... 914

1.2.2.1. თავშესაფრის უფლება 914

1.2.2.2. გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვა 922

1.3. სახელმწიფოს ვალდებულებები..... 924

2. ჩარევა თავშესაფრის უფლებაში 925

3. თავშესაფრის უფლებაში ჩარევის შემოწმება..... 926

3.1. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება 926

[4795] წინამდებარე თავში ამ მუხლიდან განხილულია მე-3 და მე-4 პუნქტები, რომლებიც შეეხება თავშესაფრის უფლებას და გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვას.

3.2. თანაზომიერების შემოწმება 927
3.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების შემოწმება 928
ლიტერატურა..... 930

1. თავშესაფრის უფლების ზოგადი მნიშვნელობა და დაცული სფერო

1.1. თავშესაფრის უფლების ზოგადი მნიშვნელობა

2316 თავშესაფრის უფლებას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, რომლებიც ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. ის, თავისი არსით, ემსახურება იმ გამოუვალი მდგომარეობის თავიდან აცილების ჰუმანურ იდეას, რომელშიც პირი თავის სამშობლოში იმყოფება ან რომელიც მას ემუქრება.[4796] ამ იდეამ ასახვა ჰპოვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 41-ე მუხლშიც, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული პოლიტიკური დევნილი სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემოდა.

2317 თავშესაფრის უფლება ისევე, როგორც გაძევებისა და ექსტრადიციის აკრძალვა, არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეა აღიარებული. აღსანიშნავია, რომ სწორედ საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების დაცვას მოითხოვს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები. ისინი განსაზღვრულია, პირველ რიგში, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციით (1951) და ამავე კონვენციის დამატებითი ოქმით (1967). თავშესაფრის უფლებას უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლი, ხოლო „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი კი, იცავს უცხოელებს უკანონო გაძევებისაგან. უცხოელთა კოლექტიურ გაძევებას კრძალავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი, ხოლო მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კი ადგენს უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებს. აღნიშნულ საერთაშორისოსამართლებრივ აქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების განმარტებისათვის.

[4796] დეტალურად იხ.: Lübbe-Wolff G. (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 1ff.; Pagenkopf M. (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 1; Randelzhofer A. (Bearb.), Kommentar zum Art. 16 II 2, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 1 ff.

1.2. თავშესაფრის უფლების დაცული სფერო

1.2.1. პერსონალური დაცული სფერო

2318 თავშესაფრის უფლებისა და გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვის პერსონალური დაცული სფერო სხვა უფლებებისაგან განსხვავებული და სპეციფიკურია. ამ უფლებათა სუბიექტები არიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. აქედან გამომდინარე, პერსონალური დაცული სფერო არ მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს.

2319 აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვის პერსონალურ დაცულ სფეროში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს მოიაზრებს.[4797] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავშესაფრის უფლებით დაცულ სუბიექტად არ თვლის მოქალაქეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის საზღვარგარეთ იდევნება, რადგანაც მას დაუბრკოლებლად შეუძლია შესვლა თავის სახელმწიფოში.[4798]

1.2.2. საგნობრივი დაცული სფერო

1.2.2.1. თავშესაფრის უფლება

2320 თავშესაფრის უფლების საგნობრივი დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ამ უფლებით სარგებლობა და რაში მდგომარეობს მისი არსი. თავშესაფრის უფლება პირს აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს სახელმწიფოს მფარველობითა და დაცვით. საქართველოში აღიარებულია საერთაშორისო დაცვის სამი ფორმა: 1) ლტოლვილის სტატუსი; 2) ჰუმანიტარული სტატუსი და 3) დროებით დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.[4799] ამ სამი სტატუსის მქონე პირებს ტერმინი „საერთაშორისო დაცვის მქონე პირი“ აერთიანებს.[4800]

2321 იმისათვის, რომ უცხოელმა მიიღოს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსი და შესაბამისად, ისარგებლოს თავშესაფრის უფლებით, აუცილებელია გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილება. ამ წინაპირობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციაში მოცემული „ლტოლვილის“ დეფინიცია.[4801] „ლტოლვილად“ ითვლება სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც (1) იმყოფება თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოს გარეთ, (2) აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო და

[4797] მაგ.: Georgia v. Russia.
[4798] BVerfGE 76, 143 (157).
[4799] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი.
[4800] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.
[4801] „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის A.2 ქვეპუნქტი.

(3) ამ შიშის გამო არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს ამ სახელმწიფოს მფარველობით. „ლტოლვილში“ ასევე მოიაზრება მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც (1) იმყოფება თავისი ადრინდელი საცხოვრებელი სახელმწიფოს გარეთ და (2) არ შეუძლია ან ზემოაღნიშნული შიშის გამო, არ სურს ამ სახელმწიფოში დაბრუნება. ანალოგიურ პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.[4802] როდესაც პირი ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის დადგენილ პირობებს, თუმცა არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას ის სერიოზული ზიანის[4803] საფრთხის წინაშე დადგება, მას შეიძლება მიენიჭოს ჰუმანიტარული სტატუსი.[4804] რაც შეეხება დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს, ის შეიძლება მიიღონ (1) სახელმწიფოში მასობრივად შემოსულმა პირებმა, (2) რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ და (3) არ შეუძლიათ საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.[4805]

2322 „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება და თავშესაფრის უფლებით ვერ/ვეღარ ისარგებლებს უცხოელი, როდესაც მის მიმართ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ: (1) მან ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ; (2) მან ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი სახელმწიფოს გარეთ, სანამ ამ სახელმწიფოში ლტოლვილად იქნებოდა მიღებული; (3) მას ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.[4806] ამ თვალსაზრისით, ასევე საყურადღებოა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თავშესაფრის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს (1) არაპოლიტიკური დანაშაულის ან (2) ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს. საერთაშორისოსამართლებრივი აქტების ეს მოთხოვნები ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც.[4807]

2323 თავშესაფრის უფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ აქვს. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის უფლებას არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფს.[4808] აქედან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ გერმანულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, თუმცა საქართველოს კანონმდებლობის რელევანტურ რეგულირებებსაც მივიღებთ მხედველობაში. თავშესაფრის მინიჭების აუცილებელი წინაპირობაა, რომ პირი დაექვემდებარა ან

[4802] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.
[4803] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სერიოზული ზიანია: ა) პირის მიმართ სასიკვდილო განაჩენი ან მისი სიკვდილით დასჯის საფრთხე; ბ) წარმოშობის ქვეყანაში პირის წამება, მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი; გ) პირის სიცოცხლისთვის სერიოზული ინდივიდუალური საფრთხე განურჩეველი ძალადობის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.
[4804] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.
[4805] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[4806] „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის F პუნქტი.
[4807] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-18, მე-20 და 22-ე მუხლები.
[4808] M. N. and Others v Belgium (N3599/18; 5.5.2020).

დაექვემდებარება დევნას მისი წარმოშობის ქვეყანაში, რისგან დაუცველობაც აიძულებს მას სხვა სახელმწიფოში თავშესაფრის ძიებას.[4809] დევნის საფრთხე განაპირობებს პირის გამოუვალ მდგომარეობას, რომლის თავიდან აცილება ხდება თავშესაფრის მინიჭების გზით.[4810]

2324 თავშესაფრის უფლებით სარგებლობის საფუძველს არ წარმოადგენს ნებისმიერი სახის დევნა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მიზნებისათვის, დევნად ითვლება ქმედება, თუ 1) იგი თავისი ბუნებით ან განმეორებადობით იმდენად სერიოზულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევაა; 2) იგი არის სხვადასხვა ქმედების ერთობლიობა, რომელიც იმდენად მწვავეა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევაა.[4811] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს დევნის შესაძლო ფორმების ჩამონათვალსაც: 1) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, აქტი; 2) სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან/და სასამართლო აქტები და ღონისძიებები, რომლებიც თავად არის დისკრიმინაციული ან დისკრიმინაციული ფორმით ხორციელდება; 3) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციულია ან დისკრიმინაციულია; 4) დარღვეული უფლების აღდგენაზე სასამართლოს მიერ უარის თქმა, რასაც შედეგად არაპროპორციული ან დისკრიმინაციული სასჯელი მოჰყვება; 5) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი კონფლიქტის დროს გარკვეული ქმედების (დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, გაეროს მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება) განხორციელებაზე უარის თქმის გამო; 5) ქმედება, რომელიც თავისი ბუნებით გენდერულ იდენტობას, სქესს ან არასრულწლოვანს უკავშირდება.[4812]

2325 მნიშვნელოვანი გამოცდილება არსებობს გერმანიაში ტერმინის „პოლიტიკური დევნა“ განმარტებასთან დაკავშირებით. ტერმინი „დევნა“ გულისხმობს სამართლებრივი სიკეთეების უშუალო და მიზანმიმართულ ხელყოფას, რის შედეგადაც, პირი ხვდება გამოუვალ მდგომარეობაში.[4813] სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „დევნად“ კვალიფიცირდება ღონისძიება, რომელიც ფორმით, სიმძიმითა და ინტენსივობით ხელყოფს ადამიანის ღირსებას და აჭარბებს იმ ზომას, რომელსაც ჩვეულებრივ ექვემდებარებიან თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეები.[4814] „დევნის“ კონტექსტში, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ჩარევებს არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებში.[4815] „დევნად“ ითვლება არაქონებრივ უფლებაში ისეთი ჩარევა, რომელიც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და ფიზკურ ხელშეუხებლობას, რაც იმით აიხსნება, რომ ამ სიკეთეებში ჩარევა, როგორც წესი, ადამიანის ღირსების დარღვევას იწვევს.[4816] არაქონებრივ უფლებებში სხვა ჩარევის „დევნად“ შეფასებისათვის ის უნდა ხელყოფდეს პიროვნების ელემენტარულ სფეროს,

[4809] BVerfGE 74, 51 (60); 80, 315 (344); 94, 49 (95 ff.); BVerwGE 79, 347; 81, 164; 88, 226; 101, 328 (335).
[4810] შეადარე: BVerfGE 80, 315 (342); 81, 58 (65); BVerwGE 85, 139 (140 f.); 87, 141 (148); 89, 162 (169).
[4811] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[4812] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[4813] Ipsen, Grundrechte, Rn. 983; BVerfGE 80, 315 (335).
[4814] BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (158); BVerwGE 87, 141.
[4815] Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 15.
[4816] BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (158); 81, 142 (151).

რომელიც აუცილებელია ადამიანის ღირსეული არსებობისათვის.[4817] ამის მაგალითია ე.წ. „რელიგიური საარსებო მინიმუმის“ დარღვევა, როდესაც ხელყოფენ პირის რწმენის შიდა განზომილებას, უსპობენ პირად სივრცეში რელიგიის განხორციელებისა და ამ საკითხზე კომუნიკაციის შესაძლებლობას.[4818] ჩარევა ქონებრივ უფლებაში მაშინ წარმოადგენს „დევნას“, როდესაც ეკონომიკური თუ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ხელშეშლა ხელყოფს ადამიანის ღირსებას, რითაც უსპობს პირს ეკონომიკურ საარსებო მინიმუმს. ამასთან, არ უნდა არსებობდეს სხვა ალტერნატიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.[4819]

2326 რაც შეეხება დევნის „პოლიტიკურ“ ხასიათს, ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად პოლიტიკურ სფეროს უნდა უკავშირდებოდეს.[4820] ეს ნიშანი წარმოაჩენს თავშესაფრის მაძიებლის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების სპეციფიკასა და ხარისხს, მათ განხორციელებას იმ სახელმწიფო ან ქვაზისახელმწიფო სუბიექტის მიერ, რომელიც, როგორც წესი, სახელისუფლებო ძალაუფლების მატარებელია.[4821] „პოლიტიკურად“ ითვლება დევნა, რომელსაც პირი განიცდის ან რომელიც მას ემუქრება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციით გათვალისწინებული ე.წ. „თავშესაფრის მინიჭებისათვის მნიშვნელოვანი ნიშნების“ - რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო.[4822] გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „პოლიტიკური“ დევნაა ადამიანის შევიწროვება სხვა შეუქცევადი და იმანენტური ნიშნების გამო, რომელიც ხელყოფს მის ელემენტარულ სფეროს და ანადგურებს ან აზიანებს მისი პიროვნულობის საფუძვლებს (მაგალითად, პირის დევნა განსხვავებული სქესობრივი ორიენტაციის ან სხვა რელიგიის პიროვნებაზე დაქორწინების გამო).[4823]

2327 ძირითადი უფლებების ნებისმიერი დარღვევა არ ქმნის საფუძველს დევნის „პოლიტიკურად“ შეფასებისათვის, თუ ის არ ხორციელდება თავშესაფრის მინიჭებისათვის რომელიმე მნიშვნელოვანი ნიშნის ან ნიშნების გამო.[4824] ამას გერმანული სასამართლო სისტემა არკვევს კონკრეტული საქმის შინაარსობრივი მხარის ობიექტური შეფასებით და არა თავშესაფრის მაძიებლის სუბიექტური შეხედულებებისა თუ მოტივების საფუძველზე.[4825] სისხლისსამართლებრივი წესით პირის დევნა, როგორც ასეთი, არ განეკუთვნება „პოლიტიკურის“ კატეგორიას, თუ სამართლებრივი რეგულირებებისა და სამართალშეფარდებითი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე არ გაირკვა, რომ მისი მიზანი, თავშესაფრის მინიჭებისათვის მნიშვნელოვანი ნიშნის გამო, პირის დასჯაცაა.[4826] თავშესაფარი არ მიეცემა პირს, რომელიც მართალია პოლიტიკური მიზნით, მაგრამ ტერორისტულ საქმიანობას ახორციელებს ან დახმარებას უწევს ტერორისტებს და ამის გამო იდევნება, რადგანაც ეს არის ანტიტერორისტული

[4817] BVerfGE 54, 341 (357); 74, 31 (40).
[4818] Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 16; BVerfGE 76, 143 (158 ff.); BVerwGE 74, 31 (38 f.); 80, 321; 87, 52.
[4819] BVerfGE 54, 341 (357); 80, 315 (342); 81, 58 (65); BVerwGE 85, 139 (140); 87, 141 (148).
[4820] მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 981.
[4821] BVerfGE 80, 315 (333 f.); BVerwGE 101, 328 (331).
[4822] BVerfGE 54, 341 (358); 80, 315 (336); BVerwGE 67, 184 (187); 95, 42 (46).
[4823] შეადარე მაგ.: BVerfGE 74, 143 (158); BVerwGE 74, 31 (40); 79, 143 (146 f.); 90, 127.
[4824] Pagenkopf, GG, Art. 16a GG, Rn. 24.
[4825] BVerfGE 76, 143 (137, 166 f.); 80, 315 (335); BVerwGE 85, 139 (141); 90, 127 (133).
[4826] შეადარე: BVerfGE 80, 315 (337 f.); 81, 142 (149); 94, 115 (136); BVerwGE 77, 258; 78, 152; 80, 136 (140).

ღონისძიებები და არა „პოლიტიკური“ დევნა.[4827] სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „პოლიტიკურ“ დევნად ასევე არ ითვლება თავშესაფრის მაძიებელი პირის მძიმე მატერიალური მდგომარეობაში ყოფნა, რაც განპირობებულია მისი წარმოშობის ქვეყანაში არსებული ზოგადი ხასიათის გარემოებებით - სიღარიბით, შიმშილით, ბუნებრივი კატასტროფებით, რევოლუციებით, არეულობებით ან ომებით.[4828]

2328 თავშესაფრის უფლება ემსახურება თავშესაფრის მაძიებლის გამოუვალი მდგომარეობისა და დაუცველობის აღკვეთას, მისთვის თავშესაფრის მიცემის გზით.[4829] თავშესაფრის მინიჭების აუცილებელი წინაპირობაა, რომ პირს მისი წარმოშობის ქვეყანაში უშუალოდ ჰქონდეს განცდილი დევნა ან ემუქრებოდეს დევნის უშუალო საფრთხე.[4830] ორივე შემთხვევაში სახეზეა ე.წ. „წინასწარი დევნა“ და „ლტოლვილობის წინასწარი საფუძვლები“.[4831] უშუალოდ განცდილ დევნად ითვლება მიზანმიმართული ღონისძიება, რომელიც შეეხება პირადად თავშესაფრის მაძიებელს, აყენებს მას ადამიანის ღირსებასთან შეუთავსებელ ზიანს და აგდებს გამოუვალ მდგომარეობაში. დევნას უნდა ჰქონდეს აქტუალური ხასიათი - გრძელდებოდეს თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების მომენტში, დაბრუნების შემთხვევაში კი უნდა არსებობდეს მისი განმეორების საფრთხე.[4832] არ არის გამორიცხული, რომ პირმა უშუალოდ არ განიცადოს დევნა და მოასწროს წარმოშობის ქვეყნის დატოვება მის განხორციელებამდე, დევნის უშუალო საფრთხის გამო, როდესაც ქვეყნის დატოვებისას არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ დევნას დაექვემდებარება.[4833] ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, აუცილებელია, არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დევნას/დევნის საფრთხესა და წარმოშობის ქვეყნის დატოვებას/მასში დაბრუნების შეუძლებლობას შორის.[4834]

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, პოლიტიკური დევნის აღიარება შეიძლება მოხდეს, როდესაც დევნის საფრთხე მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც პირმა დატოვა მისი წარმოშობის ქვეყანა და სახეზეა ე.წ. „ლტოლვილობის შემდგომი საფუძვლები“.[4835] საქართველოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში მიუთითებს ადგილზე წარმოშობილ („sur place“) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებაზე.[4836] აღნიშნულ საფუძვლებს შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ხასიათი. ორივე შემთხვევისათვის საერთოა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობა დევნას/დევნის საფრთხესა და წარმოშობის ქვეყნის დატოვებას შორის.[4837] ობიექტურ საფუძვლებს ახასიათებს ის, რომ დევნის საფრთხე წარმოიქმნება პირის ნებისა და მოქმედებისაგან დამოუკიდებლად, გარემოებათა მნიშვნელოვანი შეცვლის შედეგად (მაგალითად

[4827] BVerfGE 80, 315 (339); 81, 142 (152); BVerwGE 87, 152 (153); 109, 12 (18 f.).
[4828] BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (157 ff.); 80, 315 (335); BVerwGE 80, 321 (324).
[4829] BVerwGE 79, 347; 81, 164; 88, 226; 101, 335.
[4830] Ipsen, Grundrechte, Rn. 985.
[4831] Ipsen, Grundrechte, Rn. 985; Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 29.
[4832] BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (158 f., 163 f.); 80, 315 (335); BVerwGE 71, 175 (179); 87, 52 (53 f.); 89, 171 (175 f.).
[4833] შეადარე: BVerfGE 54, 341 (360, 361); 80, 315 (344 f.); BVerwGE 67, 314; 71, 175; 85, 139; 87, 52.
[4834] შეადარე: Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 1, 29.
[4835] Ipsen, Grundrechte, Rn. 985; Pieroth B. (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012, Rn. 20 f.; Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 30 ff.
[4836] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი.
[4837] Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 32.

წარმოშობის ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები).[4838] ობიექტური საფუძვლების შემთხვევაში, როგორც წესი, პირს მიეცემა თავშესაფარი.[4839] სუბიექტურია ისეთი საფუძვლები, რომლებიც წარმოიქმნა პირის ნებითა და მოქმედებით,[4840] მის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ განხორციელებული ქმედების შედეგად.[4841] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სუბიექტური საფუძვლით თავშესაფრის მინიჭება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც პირის მოქმედება წარმოადგენს იმ საქმიანობის გაგრძელებას, რომელსაც ის ახორციელებდა თავის სამშობლოში საკუთარი იდენტობის განმსაზღვრელი შეხედულებების საფუძველზე.[4842] საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თავშესაფრის მინიჭებაზე უარი შეიძლება ეთქვას პირს, თუ მისი დევნის რისკი იმ გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომლებიც მან წინასწარი განზრახვით, ხელოვნურად შექმნა წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ.[4843]

2329 დევნას აქვს სხვადასხვა სახე იმის მიხედვით, თუ რომელი სუბიექტი ახორციელებს მას. შემთხვევების უმეტესობაში სახეზეა „(პირდაპირი) სახელმწიფო დევნა“, როდესაც ღონისძიებებს, რომლებისგანაც პირი თავშესაფრის უფლებამ უნდა დაიცვას, უშუალოდ სახელმწიფო ახორციელებს.[4844] „ქვაზისახელმწიფო დევნა“ მომდინარეობს ისეთი ორგანიზაციის მხრიდან, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მსგავსი ძალაუფლება და რომელმაც ძალის გამოყენებით ან დათმობის გზით, ჩაანაცვლა სახელმწიფო.[4845] საქართველოს კანონმდებლობა საუბრობს ისეთ დაჯგუფებაზე ან ორგანიზაციაზე, „რომელიც აკონტროლებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს“.[4846] „კერძო პირთა მიერ დევნა“ („არაპირდაპირი სახელმწიფო დევნა“) ხორციელდება კერძო პირთა მხრიდან, მაგრამ ეს ხდება სახელმწიფოს დავალებით, დახმარებით, თანხმობით, შემგუებლური დამოკიდებულებით ან უმოქმედობით.[4847] საქართველოს კანონმდებლობა ამ კონტექსტში ითვალისწინებს „არასახელმწიფო სუბიექტების“ მიერ განხორციელებულ დევნას, როდესაც სახელმწიფოს, კონტროლის განმახორციელებელ დაჯგუფებას ან ორგანიზაციას, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ ან არ სურთ პირის დაცვა დევნისაგან ან სერიოზული ზიანისაგან.[4848]

2330 დევნას შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური ხასიათი. ინდივიდუალური დევნა ხორციელდება ცალკეული პირების მიმართ. ჯგუფური დევნა მიმართულია იმ პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელთაც აერთიანებთ საერთო ნიშანი ან ნიშნები (რელიგია, პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ.).[4849] თავის მხრივ, ჯგუფური დევნის ორ

[4838] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი; Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 33.
[4839] BVerfGE 74, 51 (65); 76, 143 (163).
[4840] BVerfGE 74, 51 (65); 94, 115 (145); BVerwGE 90, 127 (129).
[4841] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.
[4842] BVerfGE 74, 51 (65 ff.); 94, 115 (145).
[4843] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.
[4844] შეადარე: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; BVerfGE 9, 174 (180); 54, 341 (356 f.); 76, 143 (157 f.); 80, 315 (333); BVerwGE 95, 42 (45).
[4845] BVerfGE 80, 315 (334).
[4846] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.
[4847] დეტალურად იხ.: Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 38; BVerfGE 54, 341 (358); 76, 143 (169); 80, 315 (358 ff.); BVerwGE 67, 317; 87, 152; 95, 42 (43 f.); 99, 331 (334 f).
[4848] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.
[4849] BVerfGE 54, 341 (358); BVerwGE 85, 92; 85, 139; 88, 367; 96, 200.

სახეს განასხვავებენ - პირდაპირს და არაპირდაპირს. პირდაპირი ჯგუფური დევნა მომდინარეობს უშუალოდ სახელმწიფოსაგან ან ქვაზისახელმწიფო ხელისუფ-ლებისაგან. არაპირდაპირი ჯგუფური დევნა ხორციელდება კერძო პირთა მიერ, მაგრამ შეიძლება მიეწეროს სახელმწიფოს ან ქვაზისახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, როდესაც მას შეუძლია დევნილი ჯგუფის დაცვა, მაგრამ არ აქვს ამის ნება.[4850]

2331 თავშესაფრის უფლებას აქვს სუბსიდიურობის ელემენტი.[4851] ეს იმაში გამოიხატება, რომ შიდასახელმწიფოებრივ დაცვას ენიჭება პრიორიტეტი საერთაშორისო დაცვასთან მიმართებით.[4852] თავშესაფრის მოთხოვნის დაუწერელი წინაპირობაა პირის დაუცველობა. ამდენად, ამ მოთხოვნის დაყენება საფუძველსაა მოკლებული, როდესაც სახელმწიფოს ან ქვაზისახელმწიფო წარმონაქმნს აქვს მზაობა და შესაძლებლობა, დაიცვას პირი დევნისაგან.[4853] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ თავშესაფრის მაძიებელს აქვს დაცვის შიდასახელმწიფოებრივი ალტერნატივა მისი წარმოშობის ქვეყანაში და არ იმყოფება გამოუვალ სიტუაციაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, მას, როგორც წესი, არ სჭირდება დაცვა სხვა სახელმწიფოს მხრიდან.[4854] პირი დაცვას და თავშესაფრის ხელახალ მინიჭებას ასევე არ საჭიროებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას უკვე მისცა თავშესაფარი მესამე სახელმწიფომ და ამის გამო ობიექტურად აღარ იმყოფება გამოუვალ მდგომარეობაში.[4855] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაც მსგავს მიდგომებს ეყრდნობა და შიდა გადაადგილების ალტერნატივის,[4856] ასევე წარმოშობის ან მესამე სახელმწიფოს მიერ პირის დაცვის უზრუნველყოფისა და შესაბამისად, საერთაშორისო დაცვის საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს უარს თავშესაფრისა და სტატუსის მინიჭებაზე, ან სტატუსის შეწყვეტას/გაუქმებას.[4857]

2332 ლტოლვილს ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს აქვს ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.[4858] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი ეძღვნება ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვას, რაც გულისხმობს, რომ პირისათვის ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებით დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების, ჰუმანიტარული სტატუსის გახანგრძლივების ან დროებითი დაცვის

[4850] Becker U. (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010, Rn. 78; Pieroth, GG, Art. 16a, Rn. 14; BVerfGE 83, 216; BVerwGE 85, 139; 88, 367; 89, 162; 96, 200.

[4851] BVerfGE 79, 347; 81, 164; 88, 226; BVerwGE 101, 328.

[4852] მაგ.: Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 1; BVerfGE 74, 51 (56 ff.); 80, 315 (344); BVerwGE 85, 139 (140); 87, 141 (148).

[4853] მაგ.: BVerwGE 101, 328.

[4854] BVerfGE 54, 341 (357); 80, 315 (342 ff.); 81, 58 (65 f.); 94, 111 (134); BVerwGE 85, 139 (140); 87, 141 (148).

[4855] Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 46.

[4856] „შიდა გადაადგილების ალტერნატივა – წარმოშობის ქვეყანაში გარკვეულ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებლის გადაადგილების შესაძლებლობა, სადაც მას არ აქვს დევნის საფუძვლიანი შიში, ან იგი არ დგას სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე, ან მას ხელი მიუწვდება დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან აღნიშნული ქვეყნის სახელმწიფო უწყებათა მიერ ეფექტიან და ხანგრძლივ დაცვაზე და სადაც შესაძლებელია უსაფრთხოდ ჩავიდეს, კანონიერად იქნეს დაშვებული და დასახლდეს, ამასთანავე, ხელი მიუწვდებოდეს ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და ეკონომიკური გადარჩენის შესაძლებლობაზე“ („საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი).

[4857] შეადარე.: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი; 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტები; 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტები; 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

[4858] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

ვადის გაგრძელების შემთხვევაში, იმავე სტატუსს იღებს (უხანგრძლივდება/უგრძელ-დება) მისი ოჯახის წევრი, ასევე ის არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი წარმომადგენელი, მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერიც არის ეს პირი. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თავშესაფრის უფლება ინდივიდუალური უფლებაა და მხოლოდ იმ პირზე ვრცელდება, რომელიც პირადად დაექვემდებარა დევნას ან ემუქრება დევნის საფრთხე.[4859] რაც შეეხება ოჯახის წევრებისათვის თავშესაფრის მიცემას, ეს გამომდინარეობს არა თავშესაფრის უფლებიდან, არამედ ქორწინებისა და ოჯახის დაცვის კონსტიტუციური ვალდებულებიდან, ემსახურება ოჯახის ერთიანობის შენარჩუნებას და სწრაფ ინტეგრაციას.[4860] ამდენად, საქმე გვაქვს თავშესაფრის ნაწარმოებ უფლებასთან.[4861] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაც, ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრისათვის მინიჭებულ სტატუსს „წარმოებულ სტატუსს“ უწოდებს.[4862]

2333 საერთაშორისო დაცვა გულისხმობს თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვას.[4863] თავშესაფრის მაძიებელი სარგებლობს პროცესუალური გარანტიებით, როგორიცაა: თავშესაფრის პროცედურისა და თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; თარჯიმნის უფასო მომსახურებით სარგებლობის უფლება; საერთაშორისო დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო დავის წარმოებისას უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება და ა.შ.[4864] უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე განცხადება უნდა შეისწავლონ ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.[4865] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თავშესაფრის მაძიებელს აქვს უფლება, მოითხოვოს მისი განაცხადის სრულყოფილი შემოწმება როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასამართლო წარმოების ფარგლებში.[4866] თავშესაფრის უფლების დამდგენი პროცესი უნდა იყოს საგნობრივი, შესატყვისი და გონივრული.[4867] გარდა ამისა, აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რომ თავშესაფრის მიცემის პროცედურული ნორმები გამოიყენოს ძირითადი უფლებების შესაბამისად.[4868]

2334 კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ითვალისწინებს ლტოლვილთა რიგი უფლებების უზრუნველყოფას - რწმენის თავისუფლება, საკუთრების უფლება, გაერთიანების თავისუფლება, შრომისა და პროფესიული საქმიანობის თავისუფლებები, განათლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და ა.შ.[4869] მსგავსი უფლებები აქვს მინიჭებული ლტოლვილის ან ჰუმანიტარული

[4859] BVerfGE 83, 216 (230); BVerwGE 75, 310.
[4860] BVerwGE 75, 304 (311).
[4861] Pagenkopf, GG, Art. 16a, Rn. 39.
[4862] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი.
[4863] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.
[4864] დეტალურად იხ.: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის „ბ“-„ე“, „მ“ და „ო“ ქვეპუნქტები.
[4865] „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[4866] BVerfGE 56, 216 (235 ff.); 65, 76 (94); 67, 43 (59); 70, 180 (189 f.).
[4867] დეტალურად იხ.: BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (157 ff.); 80, 315 (333); 94, 166 (200).
[4868] BVerfGE 56, 216 (240); 94, 166 (200).
[4869] დეტალურად იხ.: „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-4, მე-12-მე-19, 21-ე-29-ე მუხლები.

სტატუსის მქონე პირებს საქართველოს კანონმდებლობით.[4870] გარდა ამისა, შედარებით ვიწრო უფლებათა კატალოგია გათვალისწინებული თავშესაფრის მაძიებლებისა[4871] და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისათვის.[4872]

1.2.2.2. გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვა

2335 კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია. კონსტიტუცია კრძალავს არა ზოგადად უცხოელის გაძევებას ან ექსტრადიციას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კონსტიტუციური ნორმით დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრისას, ცენტრალური მნიშვნელობა აქვს საერთაშორისოსამართლებრივი მოთხოვნების გაანალიზებას.

2336 „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენცია ითვალისწინებს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები ლტოლვილის გაძევების საფუძველს - სახელმწიფო უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს. უზრუნველყოფილია პროცედურული გარანტიებიც. კერძოდ, გაძევება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებები სხვაგვარად მოითხოვს. ლტოლვილს აქვს თავისი პოზიციის დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაცვის, მტკიცებულებების წარდგენისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. გარდა ამისა, მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო სხვა ქვეყანაში შესვლის კანონიერი უფლების მისაღებად.[4873] აღნიშნული კონვენციის 33-ე მუხლი ადგენს „non-refoulement“ პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკრძალება ლტოლვილის გასახლება ან დაბრუნება იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო. ეს პრინციპი არ ვრცელდება იმ ლტოლვილზე, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზებიდან გამომდინარე, საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავრდებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.[4874]

2337 უცხოელთა გაძევებისას პროცედურულ გარანტიებს ადგენს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი. უცხოელი, რომელიც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეიძლება გააძევონ მხოლოდ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე. მას

[4870] დეტალურად იხ.: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[4871] დეტალურად იხ.: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლი.
[4872] დეტალურად იხ.: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 61-ე მუხლი.
[4873] „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლი.
[4874] „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 33-ე მუხლი.

უფლება აქვს წარმოადგინოს არგუმენტები გაძევების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მისი საქმე გადასინჯოს კომპეტენტურმა ორგანომ და ამ მიზნით, კომპეტენტური ხელისუფლების მიერ სპეციალურად დანიშნულმა პირმა ან პირებმა.

2338 უცხოელთა კოლექტიური გაძევება აკრძალულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით. ამ აკრძალვით პირი დაცულია ისეთი ღონისძიებებისაგან, რომელთა შედეგადაც ის, როგორც უცხოელთა ჯგუფის წევრი, იძულებულია დატოვოს ქვეყანა მისი გაძევების საკითხის სათანადო ინდივიდუალური შემოწმების გარეშე.[4875] კოლექტიური გაძევების აკრძალვის დაცული სფეროს გახსნისათვის რელევანტური არ არის ის, თუ რამდენად კანონიერად იმყოფებოდა პირი შესაბამის სახელმწიფოში.[4876] ევროპული სასამართლო კოლექტიური გაძევების აკრძალვას არ ავრცელებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირმა, როგორც გარკვეული ჯგუფის წევრმა, არ გამოიყენა სახელმწიფოში ოფიციალური სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გავლით ლეგალური შესვლის შესაძლებლობა და საზღვარი არალეგალურად გადაკვეთა. ამავე დროს, სარგებლობდა რა მრავალრიცხოვნებით და იყენებდა ძალას, სხვებთან ერთად შექმნა რთულად კონტროლირებადი სიტუაცია, რომელმაც საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.[4877] ეს მიდგომა არ გამოიყენება იმ შემთხვევებისადმი, რომლებზეც ვრცელდება non-refoulement პრინციპი.[4878]

2339 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ეძღვნება უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებს. სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელის გაძევება დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთანავე მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა: 1) წარადგინოს მისი გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტები; 2) გადაასინჯვინოს მისი საქმე და 3) ამ უფლებათა განსახორციელებლად, წარმოდგენილ იქნეს ხელისუფლების სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს ან ამ ორგანოს მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე. ტერმინი „გაძევება“ კონვენციის მიზნებისათვის განიმარტება ავტონომიური მნიშვნელობით, ფართოდ და მოიცავს ექსტრადიციის გამოკლებით, სახელმწიფოს ყველა ღონისძიებას, რომელიც უცხოელს ქვეყნის დატოვებას აიძულებს.[4879] მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ქვეყანაში განმეორებით შესვლის აკრძალვაც.[4880] პროცედურული გარანტიები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი კანონიერად ცხოვრობს სახელმწიფოში. „კანონიერ ცხოვრებად“ არ მიიჩნევა უცხოელის უბრალო ფიზიკური ყოფნა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (მაგალითად, ტურისტული მიზნით). აუცილებელია მიმღებ სახელმწიფოსთან საკმარისი და სტაბილური კავშირების არსებობა, ქვეყანაში ბინადრობა.[4881] თუ ეს პირობები დაკმაყოფილებულია, უცხოელი „კანონიერად მცხოვრებად“ ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მან დროებით დატოვა მიმღები

[4875] Conka and Others v. Belgium (N51564/99; 5.2.2002); Sultani v. France (N45223/05; 20.9.2007).
[4876] Georgia v. Russia.
[4877] N. D. and N. T. v. Spain (N8675/15; 13.2.2020).
[4878] Oettingen A. v. (Bearb.), Kommentar zum Art. 4 4. EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 3.
[4879] Oettingen A. v. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 7. EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022.
[4880] Nolan and K. v. Russia (N2512/04; 12.2.2009).
[4881] Oettingen, Art. 1 7. EMRKProt, Rn. 3.

სახელმწიფოს ტერიტორია, მაგრამ არ დაბინავებულა სხვა ადგილზე ხანგრძლივი ვადით.[4882] ცხოვრების „კანონიერების“ შეფასება ხდება შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნული სამართლის მიხედვით.[4883] როდესაც ბინადრობის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერებულია, მისი გასაჩივრების გამო, ამ პერიოდის განმავლობაში ბინადრობა, კონვენციის თვალსაზრისით, კანონიერად ითვლება.[4884]

2340 უცხოელის გაძევების ან ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვა მოთხოვნებიც. მაგალითად, გაძევება ან ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მიმღებ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.[4885] მნიშვნელობა არ აქვს, ვისგან ემუქრება მის სიცოცხლესა და ფიზიკურ ხელშეუხებლობას საფრთხე. ის შეიძლება მოდიოდეს როგორც სახელმწიფოსაგან, ასევე არასახელმწიფო სუბიექტებისაგან.[4886]

1.3. სახელმწიფოს ვალდებულებები

2341 აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თავშესაფრის უფლება თავდაცვითი (status negativus) უფლებაა თუ მფარველობითი (status positivus).[4887] თავშესაფრის უფლების, როგორც თავდაცვითი უფლების მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ ის აკისრებს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს თავშესაფარზე ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ან თავშესაფრის უფლების მქონე პირის ქვეყანაში ყოფნის დამასრულებელ ღონისძიებების განხორციელებისაგან.[4888] პოზიციის მიხედვით, რომელიც თავშესაფრის უფლების მფარველობით ხასიათზე ახდენს აქცენტირებას, თავშესაფრის უფლება პირს აძლევს შესაძლებლობას (და შესაბამისად, სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას), მოითხოვოს თავშესაფრის ადგილზე ადამიანის ღირსების შესატყვისი პირობების უზრუნველყოფა.[4889] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თავშესაფრის უფლების მფარველობითი ბუნება შეიძლება გამოიხატოს თავშესაფრის მაძიებლისათვის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების პრეტენზიაშიც სახელმწიფოს მიმართ.[4890]

2342 შეიძლება ითქვას, რომ თავშესაფრის უფლება სახელმწიფოსაგან ძირითადად მოქმედებას უფრო მოითხოვს, ვიდრე რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენცია, რომელიც

[4882] Nolan and K. v. Russia.
[4883] Georgia v. Russia.
[4884] Bolat v. Russia (N14139/03; 5.10.2006).
[4885] შეადარე მაგ.: Soering v. The United Kingdom (N14038/88; 7.7.1989); Poltoratskiy v. Ukraine (N38812/97; 29.4.2003); Hirsi Jamaa and Others v. Italy (N27765/09; 23.2.2012); G. S. v. Bulgaria (N36538/17; 4.4.2019); M. K. and Others v. Poland (N40503/17, 42902/17, 43643/17; 23.7.2020).
[4886] Sufi and Elmi v. The United Kingdom (N8319/07, 11449/07; 28.6.2011); J. K. v. and Others v. Sweden (N59166/12; 23.8.2016); B and C v. Switzerland (N43987/16, 889/19; 17.11.2020).
[4887] დეტალურად იხილე მაგ.: Ipsen, Grundrechte, Rn. 1004 f.
[4888] მაგ.: Pieroth, GG, Art. 16a, Rn. 28 ff.
[4889] Randelzhofer, GG, Art. 16 II 2, Rn. 111 f.; BVerwGE 65, 244 (247); 78, 332 (345).
[4890] BVerfGE 60, 253 (295).

მართალია, წევრ სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ ნეგატიურ ვალდებულებებს,[4891] თუმცა ვალდებულებათა უმრავლესობა პოზიტიური ხასიათისაა, თავშესაფრის უფლების რეალიზაციის, როგორც მატერიალურსამართლებრივი, ასევე პროცესუალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს არ შემოიფარგლება პირისათვის მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მიცემით, თუ ის აკმაყოფილებს წინაპირობებს, არამედ ამ სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უჩნდება პოზიტიური ვალდებულებები პირის უფლებების რეალიზაციის, ღირსეული ცხოვრების პირობების, არადისკრიმინაციული გარემოს, ინტეგრაციისა და ადმინისტრაციული დახმარების უზრუნველყოფის კუთხით.[4892]

2343 ექსტრადიციის ან გაძევების აკრძალვა სახელმწიფოს ძირითადად ნეგატიურ ვალდებულებას აკისრებს, თავი შეიკავოს პირის გაძევების ან ექსტრადიციისაგან, თუ ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.[4893] ამავდროულად, სახელმწიფოს გარკვეული პოზიტიური ვალდებულებებიც აქვს. მაგალითად, როდესაც არსებობს გადაცემის ან ექსტრადიციის შემთხვევაში ინფორმაცია ზოგად სარისკო ვითარებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრება ამ რისკის შეფასების ვალდებულება. სახელმწიფო არ არის ვალდებული, თავად აღმოაჩინოს ის ინდივიდუალური საფრთხეები, რომლებიც პირს ემუქრება გაძევების ან ექსტრადიციის შემთხვევაში, თუ თავად ეს პირი არ ამჟღავნებს მათ. ამავდროულად, თუ სახელმწიფო ორგანოების ყურადღება მიაპყრეს ფაქტებზე, რომლებიც შეეხება კონკრეტულ პიროვნებას და მიუთითებს იმაზე, რომ გაძევების შემთხვევაში, მას დაემუქრება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხე, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ ვალდებულება, შეაფასონ აღნიშნული საფრთხე.[4894] კოლექტიური გაძევების აკრძალვის მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ განახორციელოს გაძევების ცალკეული შემთხვევის სათანადო და ობიექტური შემოწმება.[4895]

2. ჩარევა თავშესაფრის უფლებაში

2344 თავშესაფრის უფლებას და გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ მიღებული/გამოცემული აქტით ან მოქმედებით, რაც უზღუდავს პირს თავშესაფრის მიღების უფლებას ან რომლის საფუძველზეც ხორციელდება მისი გაძევება ან ექსტრადიცია. გარდა ამისა, უფლების შეზღუდვა შეიძლება განპირობებული იყოს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მაგალითად, თავშესაფრის მინიჭების საკითხის განუხილველობით ან

[4891] მაგ.: „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლი.
[4892] დეტალურად იხ.: „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-4, მე-12-მე-19, 21-ე-29-ე და 34-ე მუხლები.
[4893] შეადარე: Frowein J. A., Peukert W., Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., Art. 3, Rn. 20; Grabenwarter/Pabel, EMRK, §20, Rn. 78.
[4894] შეადარე მაგ.: F. G. v. Sweden.
[4895] N. D. and N. T. v. Spain.

არასათანადო განხილვით, მიუხედავად თავშესაფრის მიცემის წინაპირობების არსებობისა.

2345 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვაში ჩარევად განიხილავს არა მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირების გაძევებას, არამედ სახელმწიფოს მიერ მის საზღვრებს გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებსაც, მაგალითად, ლტოლვილებისათვის ხელის შეშლა, რათა მათ ვერ მიაღწიონ სახელმწიფოს საზღვრებს და მოხდეს მათი გადამისამართება სხვა სახელმწიფოში (ე.წ. pushback).[4896] კოლექტიური გაძევების აკრძალვა რელევანტურია ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც შესაბამისმა პირებმა უკვე მიაღწიეს სახელმწიფოს საზღვარს, მაგრამ განხორციელდა მათი (იძულებით) გაბრუნება მეზობელ ქვეყანაში.[4897] კოლექტიურ გაძევებად არ იქნა განხილული შემთხვევა, როდესაც ერთი გადაწყვეტილებით გააძევეს მეუღლეები, რომლებმაც თავშესაფრის მოთხოვნა ერთობლივად დააყენეს და შემდგომი პროცედურებიც ერთად გაიარეს.[4898]

2346 გაძევებამ ან ექსტრადიციამ შეიძლება გამოიწვიოს ჩარევა სხვა უფლებებშიც. როდესაც პირის გაძევება ან ექსტრადიცია ხდება იმ სახელმწიფოში, სადაც მაღალი ალბათობით, მას სიკვდილი ემუქრება, ეს განიხილება ჩარევად სიცოცხლის უფლებაში.[4899] ამგვარ შემთხვევებში, იმ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული (პოტენციური) მოქმედების გამო, სადაც უნდა მოხდეს გაძევება ან ექსტრადიცია, პასუხისმგებლობა გადაინაცვლებს სახელმწიფოზე, რომელმაც ეს პროცედურები განახორციელა.[4900] გაძევება ან ექსტრადიცია შეიძლება წარმოადგენდეს ჩარევას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლშიც (წამების აკრძალვა).[4901] მაგალითად, ამ მუხლთან მიმართებით იქნა შეფასებული თავშესაფრის მაძიებლის გადაცემა სახელმწიფოსათვის, სადაც არსებობდა მისთვის მძიმე საცხოვრებელი პირობები, რასაც ემატებოდა თავშესაფრის მინიჭების პროცედურის არსებითი ნაკლოვანებები.[4902]

3. თავშესაფრის უფლებაში ჩარევის შემოწმება

3.1. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევის შემოწმება

2347 კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაა, რომ თავშესაფრის უფლების მინიჭება უნდა განხორციელდეს „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით“. „კანონით

[4896] Hirsi Jamaa and Others v. Italy.
[4897] N. D. and N. T. v. Spain; M. K. and Others v. Poland.
[4898] Berisha and Haljiti v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N18670/03; 16.6.2005).
[4899] Schübel-Pfister I. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 21; Bahaddar v. The Netherlands (N25894/94; 19.2.1998).
[4900] S.C.C. v. Sweden (N46553/99; 15.2.2000); Bader and Others v. Sweden (N13284/04; 8.11.2005); K.A.B. v. Sweden (N886/11; 5.9.2013); L.M. and Others v. Russia (N40081/14, 40088/14, 40127/14; 15.10.2015).
[4901] Sufi and Elmi v. The United Kingdom; N.I. v. Belgium (N51599/08; 6.9.2011); Paposhvili v. Belgium.
[4902] M.S.S. v. Belgium and Greece (N30696/09; 21.1.2011).

დადგენილი წესი“, ბუნებრივია, გარკვეული შეზღუდვების დაწესებასაც გულისხმობს იმ პირობით, რომ შეზღუდვა ამავდროულად საერთაშორისოსამართლებრივ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. თუ კანონის დათქმა არ არის შესრულებული და თავშესაფრის უფლებაში უფრო დაბალი რანგის ნორმატიული აქტით ხდება ჩარევა, ირღვევა კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნა.

2348 გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვასთან დაკავშირებით, კონსტიტუცია კანონს პირდაპირ არ ახსენებს, მაგრამ ამ უფლებაში ჩარევაზე ვრცელდება კანონის ზოგადი დათქმა. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, რომელთა დარღვევითაც დაუშვებელია გაძევების ან ექსტრადიციის განხორციელება, მოითხოვს ამ პროცედურების კანონის საფუძველზე განხორციელებას. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის მიხედვით, გაძევება დასაშვებია მხოლოდ „კანონის შესაბამისად“ გამოტანილი გადაწყვეტილებით. ანალოგიურ მოთხოვნას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტი. ევროპული სასამართლოს განმარტებით, უცხოელთა გაძევების კანონიერება განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი მატერიალურსამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი ნორმების მიხედვით. შიდასახელმწიფოებრივ სამართალში უნდა არსებობდეს გაძევების სამართლებრივი საფუძველი.[4903]

2349 უფლების შემზღუდველი კანონი უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულობის პრინციპს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენცია გაძევების სამართლებრივ საფუძველს უყენებს ხარისხობრივ მოთხოვნებსაც. ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი, უზრუნველყოფდეს სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისაგან დაცვის გარკვეულ დონეს.[4904]

3.2. თანაზომიერების შემოწმება

2350 თავშესაფრის უფლებაში და გაძევების ან ექსტრადიციის აკრძალვაში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებს და თანაზომიერების პრინციპს. მას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი და იყოს ამ მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგი, აუცილებელი და (ვიწრო გაგებით) პროპორციული საშუალება. როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს, ჯერჯერობით, არ აქვს პრაქტიკა ამ უფლებებთან დაკავშირებით, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან გადაუხვიოს ჩარევის თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის დადგენის უკვე დამკვიდრებულ და არაერთგზის გამოყენებულ სტანდარტებს.

[4903] Sheveli and Shengelaya v. Azerbaijan (N42730/11; 5.11.2020).

[4904] Lupsa v. Romania (N10337/04; 8.6.2006); Kaushal and Others v. Bulgaria (N1537/08; 2.9.2010); Ljatifi v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N19017/16; 17.5.2018); Muhammad and Muhammad v. Romania (N80982/12; 15.10.2020).

3.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების შემოწმება

2351 სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის არარსებობის გამო, ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე. კოლექტიური გაძევების აკრძალვა დარღვეულია, როდესაც ხდება უცხოელების, როგორც მთლიანი ჯგუფის წევრების, გაძევება და მას წინ არ უსწრებდა თითოეული ინდივიდუალური შემთხვევის შემოწმება.[4905] რამდენად ჩატარდა ამგვარი შემოწმება, ევროპული სასამართლო იკვლევს ასევე გაძევების საერთო გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, იმ ზოგადი ვითარების მხედველობაში მიღებით, რაც წინ უსწრებდა გაძევებას.[4906] კონვენციის დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისეთი ფაქტები, როგორიცაა: სახელმწიფო ორგანოების წინასწარი განცხადებები უცხოელთა განსაზღვრული ჯგუფის ქვეყანაში ყოფნის დასრულების სურვილის შესახებ; ერთდროული მოქმედება შესაბამისი ჯგუფის მრავალი წარმომადგენლის წინააღმდეგ; გაძევების გადაწყვეტილებების იდენტური შინაარსი; სამართლებრივი დაცვის განხორციელებაში შეგნებულად ხელის შეშლა და ა.შ.[4907] კონვენციას არ შეესაბამება ლტოლვილების მყისიერი გაძევება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი იდენტიფიცირებისა და მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდების გარეშე.[4908] კოლექტიური გაძევების აკრძალვის დარღვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფორმალურად არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებები გაძევების თაობაზე, თითოეული პირის მიმართ, თუმცა გაძევების განხორციელების ფორმა და შინაარსი აშკარად წარმოაჩენს ერთგვაროვან ადმინისტრაციულ პრაქტიკას განსაზღვრული ჯგუფის წინააღმდეგ.[4909] მრავალი პირის მიმართ ფორმალური და იდენტური გადაწყვეტილების გამოცემა a priori არ გულისხმობს უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვის დარღვევას, თუ საქმის გარემოებათა ერთობლიობიდან გაირკვა, რომ ჩატარდა ცალკეული შემთხვევების შემოწმება.[4910] მაგალითად, მსგავსი მიდგომა დაფიქსირდა საქმეზე, როდესაც უცხოელთა გაძევება განხორციელდა ეროვნების მიხედვით დაკომპლექტებული ჯგუფური ავიარეისებით, მსგავსი შინაარსის განკარგულებების საფუძველზე, თუმცა თითოეულ მათგანს მიეცა ადმინისტრაციულ წარმოებაში ინდივიდუალური არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.[4911] კონვენციას შეესაბამება გაძევება ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, თუ ეს განპირობებულია თვით გაძევებული პირის ქცევით. მაგალითად, როდესაც ის უარს აცხადებს სახელმწიფოსთან თანამშრომლობასა და საკუთარი არგუმენტების წარდგენაზე, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი დრო და შესაძლებლობა მიეცა[4912] ან არ აწვდის სახელმწიფო ორგანოებს აუცილებელ პირად მონაცემებს.[4913]

[4905] Oettingen, Art.4 4.EMRKProt, Rn. 4.
[4906] Georgia v. Russia.
[4907] Conka and Others v. Belgium.
[4908] Hirsi Jamaa and Others v. Italy; Sharifi and Others v. Italy and Greece (N16643/09; 21.10.2014).
[4909] Georgia v. Russia; Shioshvili and Others v. Russia (N19356/07; 20.12.2016).
[4910] M.A. v. Cyprus (N41872/10; 23.7.2013); Asady and Others v. Slovakia (N24917/15; 24.3.2020).
[4911] Sultani v. France.
[4912] Khlaifia and Others v. Italy (N16483/12; 15.12.2016).
[4913] Dritsas and Others v. Italy (N2344/02; 1.2.2011).

2352 უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები არ იქნება ურზუნველყოფილი, თუ პირს არ მიეცემა გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. ამავდროულად, შესაბამისი პროცედურის ჩამოყალიბება ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა დისკრეციაში შედის. პროცედურული გარანტიები არ მოიცავს უფლებას ზეპირ მოსმენაზე და ამდენად, არ ირღვევა, თუ საკითხის განხილვა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე.[4914] უცხოელის უფლება, გადაასინჯვინოს მისი საქმე, არ ირღვევა, თუ მას არ მიეცა ამასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ზედა ინსტანციაში გადასინჯვის უფლება, რადგანაც კონვენციის მოთხოვნებს აკმაყოფილებს გაძევების სულ ცოტა ერთხელ შემოწმებისა და უცხოელისათვის ამ ფორმატში კონტრარგუმენტების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა.[4915] ევროპული სასამართლოს პოზიციით, გადასინჯვის უფლებას ეფექტი ეკარგება სახელმწიფო ორგანოების მიერ უცხოელისათვის შესაბამისი ინფორმაციის დროული მიწოდების გარეშე.[4916] მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს დოკუმენტების შინაარსზე და ეცნობოს, თუ რას დააფუძნა სახელმწიფო ორგანომ თავისი გადაწყვეტილება.[4917] მაშინაც კი, თუ გაძევება ხდება ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით, პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გადაამოწმოს ეს გადაწყვეტილება შეჯიბრებით პროცესში, დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს საშუალებით. საიდუმლო ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად, ამ დროს, შესაძლებელია, გონივრული საპროცესო შეზღუდვების დაწესება.[4918] ამავდროულად, პროცესუალური უფლებების არსის დასაცავად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს დამაბალანსებელი ღონისძიებები.[4919] რაც შეეხება, უცხოელის გაძევებას პროცედურული გარანტიების გარეშე, მას უშვებს მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან განპირობებულია ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებით, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით.[4920] საკმარისი სიზუსტით უნდა იქნეს გამოკვლეული პროცედურული გარანტიების გარეშე გაძევების წინაპირობების არსებობა, ხოლო დასაბუთება არ უნდა იყოს შაბლონური.[4921]

2353 უცხოელის გაძევების ან ექსტრადიციისას უნდა შემოწმდეს მიმღებ სახელმწიფოში მისი უფლებების დარღვევის რისკის რეალურობა. ამ პროცესში მხედველობაში მიიღება თავშესაფრის შიდასახელმწიფოებრივი ალტერნატივა, მაგრამ იმ პირობით, რომ პირს შეეძლოს თავისი ქვეყნის შესაბამის ნაწილში გადასვლა და იქ დამკვიდრება.[4922] სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულებისაგან მაშინაც არ თავისუფლდება, თუ მიმღები სახელმწიფოსაგან არსებობს დიპლომატიური გარანტიები და მას ასევე აქვს ძირითადი

[4914] შეადარე: Frowein J. A., Peukert W., Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., 7. EMRKProt., Art. 1, Rn. 5.
[4915] Oettingen, Art.1 7.EMRKProt, Rn. 6.
[4916] Lupsa v. Romania.
[4917] Oettingen, Art.1 7. EMRKP rot, Rn. 6.
[4918] Ljatifi v. the former Yugoslav Republic of Macedonia; Muhammad and Muhammad v. Romania.
[4919] Muhammad and Muhammad v. Romania.
[4920] Grabenwarter/Pabel, EMRK, §24, Rn. 182.
[4921] Takush v. Greece (N2853/09; 17.1.2012).
[4922] J. K. v. and Others v. Sweden.

უფლებების დამცავი ეროვნული კანონმდებლობა.[4923] კონვენცია შეიძლება დაარღვიოს პირის გაძევებამ კონვენციის წევრ სახელმწიფოშიც.[4924] მას ასევე შეიძლება არ შეესაბამებოდეს ე.წ. „ჯაჭვური დეპორტაცია“ ან ე.წ. „არაპირდაპირი რეპატრიაცია“, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა გავლით, რომლებიც კონვენციის მონაწილეები არ არიან.[4925] ევროპულ სასამართლოში მტკიცების ტვირთი ეკისრება ინდივიდს, რომელმაც საფუძვლიანად უნდა დაასაბუთოს აქტუალური, სერიოზული და წონადი საფრთხის მაღალი ალბათობა. უნდა არსებობდეს საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ პირი მისი გაძევების ან ექსტრადიციის შემთხვევაში, დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობის რეალურ რისკს.[4926] თუ პირმა ამგვარი არგუმენტაცია წარმოადგინა, სახელმწიფომ უნდა გააქარწყლოს კონვენციის დარღვევის საფუძვლიანი ეჭვი.[4927]

ლიტერატურა

Becker, (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010; Frowein J. A., Peukert W., Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., 2009; Grabenwarter, Ch. Pabel, K. 7. Auflage. Verlag. Helbing Lichtenhahn Verlag. Basel. 2021; Ipsen J., Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 25., überarbeitete Auflage, 2013; Lübbe-Wolff , (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013; Lübbe-Wolff, (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013; Oettingen A. v. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 7. EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022; Pagenkopf , (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Pagenkopf, (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011; Pieroth, GG, Art. 16a, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012; Randelzhofer, (Bearb.), Kommentar zum Art. 16 II 2, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958; Schübel-Pfister, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022.

[4923] Saadi v. Italy (N37201/06; 28.2.2008); Toumi v. Italy (N25716/09; 5.4.2011); Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom (N8139/09; 17.1.2012); G. S. v. Bulgaria.
[4924] M.S.S. v. Belgium and Greece; Tarakhel v. Switzerland (N29217/12; 4.11.2014).
[4925] Hirsi Jamaa and Others v. Italy; M.A. and Others v. Lithuania (N59793/17; 11.12.2018); Ilias and Ahmed v. Hungary.
[4926] მაგ.: Soering v. The United Kingdom.
[4927] Saadi v. Italy; A.A. v. Switzerland (N32218/17; 5.11.2019).

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

- **აბაშიძე ა., არგანაშვილი ა., შველიძე თ., სალდაძე ა.,** ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, თბილისი 2017;
- **არნოლდი რ.,** თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2/2021;
- **ბერაია ი., გელაშვილი ნ., გიორგიშვილი ქ., იზორია ლ., კილაძე ს., მუზაშვილი დ., ტურავა პ.**, საპოლიციო სამართალი, გამომცემლობა ,,შსს აკადემია", თბილისი, 2015;
- **ბერიძე ა.,** გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები. მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის" (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით" - ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, თბილისი 2021;
- **ბოხაშვილი ბ,** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004;
- **ბოხაშვილი ბ., კორკელია კ.,** „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები" 2017;
- **ბურდული, გოცირიძე, ერქვანია, ზოიძე, იზორია, კობახიძე, ლორია, მაჭარაძე, ტურავა, ფირცხალაშვილი, ფუტკარაძე, ქანთარია, წერეთელი, ჯორბენაძე,** საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013;
- **გასიტაშვილი ე.,** ქალის შრომითი უფლებები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკაში და ქართული გამოცდილება (ორსულ, ახალნამშობიარებ და მეძუძურ მუშაკთა უფლებების შესახებ). გამოცემაში: ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი, თბილისი 2019;
- **გეგენავა დ**., საქართველოს პირველი კონსტიტუცია: მითებსა და სინამდვილეს შორის. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, გამოცემა № 1-2, დეკემბერი 2021;
- **გიორგიშვილი ქ.,** „შეკრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინებით" სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე" სპეციალური გამოცემა, თბილისი 2017;
- **გოგიბერიძე მ.,** რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ფილოსოფიის ისტორია, ტ.1, თბილისი, 1972;

- **გომბერტი ტ.,** და სხვები სოციალური დემოკრატიის საფუძვლები, სოციალური დემოკრატიის კურს, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2002;
- **დემეტრაშვილი ა.,** (რედ.) ავტორთა კოლექტივი, კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2005 წელი;
- **დემეტრაშვილი ა.,** საქართველოს კონსტიტუციის ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, თბილისი, 2010;
- **დიაკონიძე ა.,** სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, GIPA, თბილისი 2014;
- **ევროპის საბჭო,** დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ ნაშრომი, 2013;
- **ევროპის საბჭო,** საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2015;
- **ერემაძე ქ**., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, მერიდიანი, 2018;
- **ერემაძე ქ.,** თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, მერიდიანი, 2018; გელიტაშვილი, ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თსუ 2011;
- **ვერულავა თ., ჯორბენაძე ვ.,** ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია? ეკონომიკა და ბიზნესი, 2020;
- **ზედელაშვილი დ**., სამართლის უზენაესობა „ქამელეონი სასამართლოს“ იურისპრუდენციაში - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტის შესახებ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 2021;
- **ზოიძე ბ.,** საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში – თბილისი 2007;
- **ზოიძე ბ.,** ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, გვ. 138- 149, კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვა, N5 აპრილი 2012;
- **თეთრუაშვილი ზ**., ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი განწმენდისა და ქონებრივი გაღონიერების შესახებ (აზრების კრებული), წიგნი 2. გორი 2012-2014;
- **იერინგი ფ. რ..,** ბრძოლა უფლებისათვის, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, თბილისი, 2000;
- **იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.,** საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2005;
- **იზორილ ლ.,** საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი, ჟურნალი” სამართალი” № 9, 2002;
- **კაუცკი კ.,** საქართველო, გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა, შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 2018;
- **კერესელიძე დ**., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009;
- **კვარაცხელია ვ.,** (შემდგენელი) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, თბილისი 1989;
- **კლდიაშვილი ი**., ამერიკის კონსტიტუციონალიზმისა და ძირითადი უფლებების გაგება, ისტორიული რეტროსპექტივა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებები; საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, დეკემბერი 2021 გამოცემა №1-2 / 2021;

- **კობახიძე, ი.,** დედათა ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოს შრომის სამართალში. კორკელია. კ. (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული. თბილისი, 2011;
- **კობახიძე ი.,** ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები თბილისი, 2007;
- **კორკელია კ.,** ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2003;
- **კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა.,** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან. ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2003;
- **კორკელია კ., ქურდაძე ი.,** ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით., 2004;
- **კუბლაშვილი კ.,** ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მე-5 გამოცემა, 2019;
- **ლაფაჩი ე.,** მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხისათვის, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2001;
- **ლოლაძე ბ.,** ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, გეგენავა დიმიტრი (რედ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021;
- **ლოლაძე ბ.,** აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, 2018;
- **ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა.,** საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი 2021;
- **ლოლაძე ბ.,** სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019;
- **ლოლაძე ბ.,** სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012;
- **ლოლაძე ბ.,** უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, 2017;
- **მაცაბერიძე მ.,** საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია – საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო; საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა, დეკემბერი 2021 გამოცემა #1-2 /2021;
- **მაცაბერიძე, მ.,** საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბილისი, 2008;
- **მაჭარაშვილი ო.,** ადამიანის უფლებების განვითარება სამართლის ფილოსოფიაში, სისხლის სამართალი (III) „ალმანახი“, №18, 2003;
- **მენლი მ., გოვილი რ.,** მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, კვლევა და ანალიზი, მეორე გამოცემა UNHCR 2014;

- **მიარიანაშვილი გ.,** ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში, დისერტაცია, თბილისი 2020;
- **მჭედლიძე ნ.,** საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, თბილისი, 2015;
- **მჭედლიძე ნ.,** შრომითი უფლებები (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა) დამხმარე სახელმძღვანელო იურისტებისთვის, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2019;
- **პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ,** კონსტიტუციური სამართალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012;
- **პაპუაშვილი, ს.,** ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 2007;
- **რაინერ ა.,** თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, დეკემბერი 2021 №1-2 / 2021;
- **საგინაშვილი ნ.,** საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა, კონსტანტინე კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული, თბილის 2011;
- **საკანელაშვილი გ., ჩიხლაძე ნ.,** დეტალურად „იძულებითი ქორწინება - კანონმდებლობა და პრაქტიკა“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კვლევის ხელმძღვანელი: ქართველიშვილი, თბილისი 2020;
- **სმიტი რ. კ.,** ადამიანის საერთაშორისო უფლებები: [მეორე გამოცემა]–რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმანი: მ. კობიაშვილი,–ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, – „სეზანი“ 2006;
- **სოციალური სამართლიანობის ცენტრი,** კვლევა, ჯანმრთელობა და წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე, 2021;
- **სტივენსონი მ.,** სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას თავის იურისდუქციაში შემავალი ყველა ადამიანის სიცოცხლე: მინდელის მაღაროში დასაქმებულთა მაგალითზე.
- **ტოკვილი დ. ა.,** დემოკრატია ამერიკაში. ფრანგულიდან თარგმნა: პროფ. დოდო ლაბუჩიძემ. თბილისი, 2011;
- **ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., მენაბდე ვ.,** ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, 2013;
- **ფირანიშვილი თ.,** ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, კვლევის ავტორი: კვლევის ხელმძღვანელი: მიქელაძე, (EMC) 2019;

- **ფირცხალაშვილი ა.,** ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, ჟურნ. "მართმსაჯულება და კანონი", №2'14, 2014;
- **ფირცხალაშვილი ა.,** კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი 2016;
- **ფირცხალაშვილი ა., მირიანაშვილი გ.,** ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018;
- **ფირცხალაშვილი ა.,** სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულება და კანონი, (32), 2012;
- **ფირცხალაშვილი ა.,** კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი. თბილისი 2017;
- **ფირცხალაშვილი ა.,** საკუთარი მოქალაქისა და უცხოელის უფლებათა თანასწორობის დილემა, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია. სტატიათა კრებული რედ. კორკელია, თბილისი 2020;
- **ფირცხალაშვილი ა.,** საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განზომილება. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 2, 2022;
- **ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ტურავა პ.,** სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2023;
- **შვაბე ი.,** (შემდგენელი), გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები 2011;
- **შველიძე ზ.,** შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული). GIZ, თბილისი, 2020;
- **წაქაძე ი.,** ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, ალმანახი 2003 № 18;
- **ჭანტურია ლ.,** უძრავი ნივთების საკუთრება, 1994;
- **ხეცურიანი ჯ.,** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი №1., თბილისი, 2018;
- **ხოფერია რ.,** აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე). საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №1-2 / 2022;
- **ხუბუა გ.,** სამართლის თეორია, თბილისი, 2004.
- **ხურციძე ი.,** ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ფარგლები ქონებრივ ურთიერთობებში, დისერტაცია, 2021;
- **ჯგერენაია ე.,** საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები საქართველოში, თბილისი 2011;
- **ჰეივუდი ე.,** პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, ქართული გამოცემის რედ. ბერაია/სარაძე, თბილისი, 2004.

უცხოენოვანი ლიტერატურა

- **Achterberg N., Schulte M.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010;
- **Adjami M., Harrington, J.,** The Scope and Content of Article 15 of the Universal Declaration of Human Rights, , Refugee Survey Quarterly, Volume 27, Issue 3, 2008;
- **Alexy R.,** Grundrechte als subjektive Rechte und als objektive Normen, Der Staat 29, 1990;
- Altmeyer S., Vertrauensschutz im Recht der Europäischen Union und im deutschen Recht. Analyse und Vergleich anhand der Rechtsprechung des EuGH und der deutschen Fachgerichte, 2003;
- **Arendt H.,** The Human Condition Chicago: University of Chicago Press; 1958; Daniels, Just Health Care, Cambridge University Press 1985;
- **Arnauld, A. v.,** Rechtsstaat, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010;
- **Arndt F.,** Engels A., von Oettingen A. (Bearb.), Kommentar zum Art. 11 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Arndt F., Engels A.,** Art. 11 Versammlungs- und Vereinigungsfreiheit in Karpenstein/Mayer, EMRK | EMRK Art. 11 | 2. Auflage 2015.
- **Aubel T.,** Der verfassungsrechtliche Mutterschutz, 2003; Badura,: Ehe und Familie stehen unter dem besonderen Schutz der staatlichen Ordnung (Art. 6 Abs. 1 GG), in: Bitburger Gespräche, Jb. 2001;
- **Bachof O**., Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates in: Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Die auswärtige Gewalt der Bundesrepublik Berichte und Aussprache zu den Berichten in den Verhandlungen der Tagung der deutschen Staatsrechtslehrer zu Bonn am 15. und 16. Oktober 1953;
- **Bachof O.,** Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, 1968;
- **Badura P.,** Der Zustand des Rechtsstaates, ein cappenberger gespräch. Referate von Peter Badura und Gerd Roellecke, Speyer 1986;
- **Badura P**., der zustand des rechtsstaates. ein cappenberger gespräch, Speyer 1986;
- **Badura P.,** in: Maunz/Dürig, Grundgesetz Kommentar, 53. Auflage 2009, Rn 1-193; Kingreen, Thorsten: Die Verfassungsrechtliche Stellung der nichtehelichen Lebensgemeinschaft im Spannungsfeld zwischen Freiheits- und Gleichheitsrechten, 1995;
- **Badura, P.,** Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, 2010;
- **Bähr O.,** Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze, Kassel, 1864;
- **Battis U.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 33 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;

- **Bauer H.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013, Rn. 1 ff.; Höfling W. (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011,
- **Becker U.** (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010;
- **Beisel D.,** Die Kunstfreiheitsgarantie des Grundgesetzes und ihre strafrechtlichen Grenzen, 1997.
- **Bell S.,** and others, Environmental Law, 9th edn, Oxford University Press 2017;
- **Benda E.,** Der soziale Rechtsstaat, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995;
- **Bethge, H,** in Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, Art. 5, 2021;
- Blankenagel, A., Gentechnologie und Menschenwürde Über die Scrapazierung von juristischem Sachverstand und gesundem Menschenverstand anläßlich eines ernsten Themas, In Journal: Gentechnologie und Menschenwürde, Kritische Justiz, Vol. 20, No. 4, 1987;
- **Bloch E.,** Naturrecht und menschliche Würde. In: Gesamtausgabe der Werke. Band 6. Suhrkamp, Frankfurt am Main 1961;
- **Böckenförde E.W**., Schutzbereich, Eingriff, verfassungsimmanente Schranken, Der Staat 42, 2003;
- **Böckenförde, E. W.,** Böckle F., Naturrecht in der Kritik. Matthias-Grünewald-Verlag, Mainz 1973;
- **Bogs W.,** Das Problem der Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: Festschrift für Friedrich Lenz, Berlin 1961;
- **Breuer M.,** (Bearb.), Kommentar zum Art.3 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Breuer M.,** Staatshaftung für judikatives Unrecht: eine Untersuchung zum deutschen Recht, zum Europa- und Völkerrecht, 2011;
- **Briggs W. K.,** Open-Records Requests for Professors", A Threat to Constitutional Academic freedom, Journal of College and University Law 39 (3), 2013;
- **Brown L. Neville, McBride J.,** Observations on the Proposed Accession by the European Community to the European Convention on Human Rights, American Journal of Comparative Law. 1981;
- **Buchheister, J.,** Entwicklungslinien im Versammlungsrecht, LKV 2016;
- **Burlacu F.,** European Union and Human Rights, Cogito: Multidisciplinary Research Journal. 2012;
- **Capotorti F.,** The Protection of Minorities under Multilateral Agreements on Human Rights in The Italian Yearbook of International Law, 1976;
- **Dangl O.,** Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems 2012;
- **Dayton J.,** Education Law – Principles, Policies, and Practice, 2012;
- **Degenhart Ch.** (Bearb.), Kommentar zum Art.101 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;

- **Degenhart Ch.,** GG, Art. 103, Rn. 53; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 103 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 3, 6., neu bearbeitete Auflage, 2012;
- **Degenhart Ch.,** Staatrecht I, Staatsorganizationrecht, 18., neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2002;
- **Denninger E.,** „Rechtsstaat" oder „Rule of law", in: Festschrift für Klaus Lüderssen, 2002;
- **Depenheuer O., (**Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005;
- **Di Fabio** (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 2, in: Maunz/Dürig (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, 1958;
- **Di Fabio U.** (Bearb.), Kommentar zum Art.2, Abs. 1, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958;
- **Dreier H.** (Bearb.), Grundgesetz-Kommentar, Kommentar zum Art. 2 Abs. 1 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013;
- **Drzemczewski A.,** Domestic Application of the European Human Rights Convention as European Community Law, The International and Comparative Law Quarterly. 1981;
- **Dürig G**., (Bearb.), Kommentar zum Art. 2, Abs. 1 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958;
- **Dürig G**.,, in: Maunz/Dürig, Grundgesetz, Art. 1, Verlag C. H. Beck München 2009;
- **Dworkin R.,** Constitutionalism and Democracy, in: Symposium: Law and Morality, 3. European Journal of Philosophy, 1995;
- **Eekhoff J.,** „Soziale Sicherheit durch Eigentum, Abwägung zwischen Eigentumsschutz und Sozialpflichtigkeit, Depenheuer (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin/Heidelberg. 2005;
- **Eichensehr K. v**., Defending Nationals Abroad: Assessing the Lawfulness of Forcible Hostage Rescues, Paper 27, 2007;
- **Engeling H.-W.,** Peter Szczekalla P., Grundrechte in der Europäischen Union: Charta der Grundrechte und allgemeine Rechtsgrundsätze, 2004;
- **Engle E.,** Lex Naturalis, Ius Naturalis: Law as Positive Reasoning & Natural Rationality, The Elias Clark Group, Melbourne 2010;
- **Erichsen H-U.,** Grundrechtliche Schutzpflichten in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, JURA 1997;
- **Erickson H-U.,** Legitimate Use of Military Force Against State-Sponsored International Terrorism, Washington D.C., 2001;
- **Esping-Andersen, G.,** The Three Worlds of Welfare Capitalism. Polity Press, 1990.
- **Esser R.,** Kommentar zum Art. 6, EMRK, in: Löwe-Rosenberg. Die Strafprozessordnung und das Gerichtsverfassungsgesetz: StPO, Band 12: EMRK 2022;
- **Fink, W.,** Selbstbestimmung und Selbstötung: verfassungsrechtliche Fragestellungen im Zusammenhang mit Selbsttötungen, 1992.
- **Fischer K.,** Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, Juristische Schulung, 9, 2001;
- **Fisher, P.,** Environmental Law: A Very Short Introduction. Oxford University Press, 2017.

- **Fögen, R.,** Römische Rechtsgeschichten. Über Ursprung und Evolution eines sozialen Systems. Taschenbuch, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht, 2002.
- **Forsthoff E.,** Zur Problematik der Verfassungsauslegung, 1961;
- **Frowein J. A.,** Federal Republic of Germany, in: The Effect of Treaties in Domestic Law, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987;
- **Frowein J. A., Peukert W**., Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 3. Aufl., Art. 11, 4. neu bearbeite Auflage. Verlag. N.P. Engel Verlag. Kehl am Rhein. 2023
- **Gärditz K. F.,** Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl Heinrich/Höfling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin seit 2000;
- **Garve Ch.v.,** übersetztung und erläuterterung, Die Ethik des Aristoteles. 2 Bände; Dworkin, Sovereign Virtue, The Theory and Practice of Equality. Harvard University Press, 2000;
- **Garve, Ch**., Band 1: Die zwey ersten Bücher der Ethik nebst einer zur Einleitung dienenden Abhandlung über die verschiednen Principe der Sittenlehre, von Aristoteles an bis auf unsre Zeiten., Breslau 1798, Band 2: Die acht übrigen Bücher der Ethik. Hrsg. von Kaspar/Manso, Korn, Breslau 1801;
- **Gauchet M.,** Menschenrechte, in: Kritisches Wörterbuch der Französischen Revolution'. Bd. 2, hrsg. von François Furet und Mona Ozouf, Frankfurt am Main, 1996;
- **Geddert-Steinacher T.,** Menschenwürde als Verfassungsbegriff. Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990;
- **Geddert-Steinacher T.,** Menschenwürde als Verfassungsbegriff, Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990;
- **Grabenwarter Ch., Pabel K**., 7. Auflage. Verlag. Helbing Lichtenhahn Verlag. Basel. 2021
- **Grochtmann A.,** Die Normgeprägtheit des Art. 14 GG: Konsequenzen für die Eigentumsdogmatik; Lege, Art. 14 GG für Fortgeschrittene, Zeitschrift für das Juristische Studium;
- **Grochtmann A.,** Die Normgeprägtheit des Art. 14 GG: Konsequenzen für die Eigentumsdogmatik, Berlin, 2010;
- **Grzeszick B.,** (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958;
- **Gyll, G. W.,** History of the Parish of Wraysbury, Ankerwycke Priory, and Magna Charta Island, London 1862;
- **Hartung F.,** Die Entwicklung der Menschen- und Bürgerrechte von 1776 bis zur Gegenwart. 1985;
- **Heller A.,** Freiheit, Gleichheit und Brüderlichkeit in Kants Kritik der Urteilskraft. In: Kant und die Berliner Aufklärung. De Gruyter, 2014;
- **Herdegen M.,** Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958;
- **Hermes G.,** Das Grundrecht auf Schutz von Leben und Gesundheit: Schutzpflicht und Schutzanspruch aus Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG, 1987;
- **Herzog R.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München, seit 1958;
- **Hesse K.,** Bedeutung der Grundrechte, Bedeutung der Grundrechte, § 5. Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland. 1995;

- **Hesse K.,** Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995;
- **Hesse K.,** Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Aufl., 1999;
- **Hesse, K.,** Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland. 20. Aufl., Müller, Heidelberg, 1999;
- **Heyde W.,** Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995;
- **Hillgruber Ch.,** in: Epping, Art. 1 GG Epping / Hillgruber, Grundgesetz, Kommentar 3. Auflage. 2020;
- **Höfling W.,** Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, in: Juristische Arbeitsblätter, 1995;
- **Höfling W.,** Kommentar zum Art.1 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;
- **Höfling W.,,** GG, Art. 9, in: Friauf / Höfling (Hrsg.), Berliner Kommentar zum Grundgesetz, Loseblattwerk mit Aktualisierungen, 2023
- Höfling, GG, Art. 9, Rn. 33; Ipsen, Grundrechte, Rn. 582; Löwer, GG, Art. 9, Rn. 11 ff.; BVerfGE 13, 174 (175).
- **Hofmann H.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011.
- **Illhardt F-J.,** Locke, John. In: Werner E. Gerabek, Bernhard D. Haage, Gundolf Keil, Wolfgang Wegner (Hrsg.): Enzyklopädie Medizingeschichte. De Gruyter, Berlin/New York 2005;
- **Inazu J. D.,** The Forgotten Freedom of Assembly, Tulan Law Review 2010;
- **Ipsen J.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 21 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;
- **Ipsen J.,** Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 25., überarbeitete Auflage, 2013;
- **Ipsen, J.,** staatrecht II 24., überarbeitete Auflage, 2021;
- **Ipsen, J.,** Staatsrecht II, Grundrechte, 21. Aufl. 2018;
- **Isensee J.,** Wer definiert die Freiheitsrechte? Mueller, Juristischer Verl. 1980;
- **Isensee J.**, Verfassung ohne grenze, Der Staat 19, 1980; Jarass, (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Jarass./Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012;
- **Jähnichen T.,** Vom Besitzindividualismus zur gemeinwohlorientierten Sozialpflichtigkeit – Der neuzeitliche Eigentumsbegriff in der Entwicklung des Privat- und Verfassungsrechts. In: Auf dem Weg zum Grundgesetz. Beiträge zum Verfassungsverständnis des neuzeitliuchen Protestantismus. Lit. Verlag, Münster 1999;
- **Jamar S.D.,** The International Human Right to Health, Southern University Law Review, 1994;
- **Jarass H. D.,** Kommentar zum Art. 1 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, 2012;
- **Jarass H. D.**, (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage,

- **Jellinek G.** Die Erklärung der Menschen- und Bürgerrechte: Ein Beitrag zur modernen Verfassungsgeschichte. 1919;
- **Jung E.,** Das Recht auf Gesundheit: Versuch einer Grundlegung des Gesundheitsrechts der Bundesrepublik Deutschland, 1982;
- **Kaczorowska A.,** European Union Law, Second edition, Routledge, 2011;
- **Kahl W**., Grundrechte, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, 2010;
- **Kaiser K**. (Bearb.), Kommentar zum Art.1 EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Kant, I.,** Kritik der praktischen Vernunft, 1788;
- **Kant, I.,** Metaphysik der Sitten, Tugendlehre Königsberg, 1797, 94, In: Weischedel W. (Hrsg.): Immanuel Kant. Werke in 10 Bänden Bd. Darmstadt [Wissenschaftliche Buchgesellschaft] 1983;
- **Karasz L.,/Perchinig B.,** Studie Staatsbürgerschaft, Konzepte, aktuelle Situation, Reformoptionen, Wien 2013;
- **Karpen U./Rüther G., (Hg.)**, Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, 1985;
- **Karpen U.,** Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985;
- **Katz, A.,** Staatsrecht Grundkurs im öffentlichen Recht, 14., neubearbeitete Auflage, C.F. Müller; 16. Aufl 2005;
- **Kaufmann M.,** Einfluss des Europarechts auf das Gesundheitsrecht und die deutsche gesetzliche Krankenversicherung, Münster 2003;
- **Kelsen H.,** Allgemeine Theorie der Normen, hrsg. von Kurt Ringhofer, Robert Walter, Wien 1979;
- **Kelsen H.,** Naturrechtslehre und Rechtspositivismus. In: Die Wiener rechtstheoretische Schule, Schriften von Hans Kelsen, Adolf Merkl, Alfred Verdross, hrsg. von H. Klecatsky, R. Marcic u. H. Schambeck, Wien/Salzburg 1968;
- **Kelsen H.,** Reine Rechtslehre. Mit einem Anhang: Das Problem der Gerechtigkeit. 2. Auflage 1960;
- **Kemper M.** (Bearb.), Kommentar zum Art. 9 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010;
- **Kemper**, **M.,** in: v. Mangoldt/Klein/Starck, Das Bonner **Grundgesetz**, Bd. 1, 4. Aufl. 1999, **Art**. **9**
- **Klein H. H.** (Bearb.), Kommentar zum Art. 21, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, seit 1958;
- **Kley A., Vogt H.,** Das Problem der Grundrechtskonkurrenzen. ius.full, 6(3-4), 2008, (http://www.zora.uzh.ch) 2 f..
- **Kloepfer M.,** Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, in: Schmidt-Aßmann/Sellner /Kemper, /Lehmann-Grube (Hrsg.): Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln u. a. 2003;
- **Kloepfer M.,** Verfassungsrecht I, Grundlagen, Staatsorganisationsrecht, Bezüge zum Völker- und Europarecht, 2011;

- Klöpfer **M.,** Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland VI, Josef Isensee und Paul Kirchhof (Herausg.) 1989;
- **Koenig M.,** Menschenrechte, Campus Verlag, 2005.
- **Kokott J.,** Das interamerikanische System zum Schutz der Menschenrechte / The Inter-American System for the Protection of Human Rights, Springer, Berlin 2011.
- **Koll B.,** Liberales Versammlungsrecht, Baden-Baden 2015;
- **Krebs P.,** Gleichheit oder Gerechtigkeit. Die Kritik am Egalitarismus, Gleichheit oder Gerechtigkeit.Texte der neuen Egalitarismuskritik (suhrkamp taschenbuch wissenschaft), 2000;
- **Kunig P.,** (Bearb.): Kommentar zum Art. 2 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, 2012;
- **Kunig P.,** Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen 1986;
- **Kunig P.,** Der Rechtsstaat, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, 2001;
- **Ladwig B.,** Gerechtigkeit und Gleichheit, PROKLA. Zeitschrift für kritische Sozialwissenschaft, Heft 121, 30. Jg., Nr. 4, 2000;
- **Lege J.,** Art. 14 GG für Fortgeschrittene, in: Didaktische Beiträge, Zeitschrift für das Juristische Studium 2005;
- **Leibholz G.,** Rinck H.J., Hesselberger D., Kommentar zum Art. 1 GG, in: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band I, 6. Auflage, 1975/1989;
- **Leppin V.,** Thomas von Aquin. Zugänge zum Denken des Mittelalters, Münster 2009;
- **Lerche P.,**Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009;
- **Locke, J.,** zwei Abhandlungen über die Regierung, Suhrkamp, Taschenbuch, Hrsg. Walter Euchner, Frankfurt am Main 1977;
- **Loladze B.,** Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Dissertation zur Erlangung des akademischen Grades Dr. iur. der Juristischen Fakultät der Universität Potsdam. 2015;
- **Lübbe-Wolff G. (**Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, 2013;
- **Lübbe-Wolff G**. (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz
- **Magers U.,** Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019;
- **Magiera S.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 101.
- **Manssen G.,** Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage 2016;
- **Mastronardi P.,** Verfassungslehre. Allgemeines Staatsrecht als Lehre vom guten und gerechten Staat, 2007;
- **Maunz T.**, (Bearb.), Kommentar zum Art. 38, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band IV, seit 1958;

- **Maunz Th.,** Zippelius R., Deutsches Staatsrecht, 30. Auflage, Muenchen, 1998;
- **Maurer H.,** Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz (§ 79), in: Isensee, Iosef/Kirchhof, Paul: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band IV – Aufgaben des Staates, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, 2006;
- **Maurer H.,** Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001;
- **Maurer H.,** Staatsrecht, München, 1999;
- **Mayer F. C.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 6 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Mayer, F. C.,** EMRK, Art. 6, Rn. 83; Peters A., Altwicker T., Europäische Menschenrechtskonvention. Mit rechtsvergleichenden Bezügen zum deutschen Grundgesetz, 2. Auflage, 2012;
- **Mensching, Ch.,** EMRK Art. 10 Freiheit der Meinungsäußerung, Karpenstein/Mayer, Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten: EMRK 3. Auflage 2022
- **Merten D.,** Grundrechtliche Schutzpflichten und Untermassverbot, in: FS fuer Burmeister, 2005;
- **Michael L.,** Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnismäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheitssätze, Juristische Schulung, 2. 2001;
- **Mohr J., /Wallrabenstein A.,** Elterliche Sorge als ein Sorgenkind des Bundesverfassungsgerichts, JuRA 2004.
- **Muckel S., Ogorek M., Rixen S.,** Sozialrecht, 5., neu bearbeitete Auflage, 2019;
- **Müller G.,** Zur Problematik der Drittwirkung von Kantonalen Grundrechtsgarantien, ZBJV 1993;
- **Münch I. v,** Mager U., Staatsrecht II, Grundrechte, 6. aufl. Kohlhammer, 2014;
- **Münch I. v.,** Erläuterungen zum Art. 9 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), seit 1950;
- **Münchenhagen W.,** Zeitleiste: Orientierungsdaten vom Altertum zur Neu zeit 2003;
- **Murswiek D.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 2, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;
- **Murswiek D.,** Die staatliche Verantwortung für die Risiken der Technik. Verfassungsrechtliche Grundlagen und immissionsschutzrechtliche Ausformung, 1985;
- **Müßig U.,** Die europäische Verfassungsdiskussion des 18. Jahrhunderts, Tübingen, 2008;
- **Nacimiento G.,** Die Arbeit untersucht die Entwicklung der Amerikanischen Deklaration der Rechte und Pflichten des Menschen. 1996;
- **Nierhaus M.** (Bearb.), Kommentar zum Art. 28 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011, Rn. 26.
- **Nipperdey H.C.,** Die Grundrechte, Bettermann/Nipperdey, (Hrsg.): Bd. IV/ 2, 1976;
- **Oettingen A. v.** (Bearb.), Kommentar zum Art. 1 7. EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;

- **Ossenbühl F.,** Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee/Kirchhof (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin 2007;
- **Boyle K.,** Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication, 2019;
- **Pagenkopf M.** (Bearb.), Kommentar zum Art. 16a GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage;
- **Papier H.-J.**, Der Stand des verfassungsrechtlichen Eigentumsschutzes, In: Depenheuer, Otto (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005;
- **Papier H.-J.,** Justizgewähranspruch, in: Isensee, Josef/Kirchof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VIII, Grundrechte: Wirtschaft, Verfahren, Gleichheit, Dritte, völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, 2010;
- **Pätzold J.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 8 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022, Rn. 31.
- **Phirtskhalashvili A.,** Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010.
- **Pieroth B., Schlink B.,** Grundrechte, Staatsrecht II, 35. neubearbeitete Auflage Aufl. 2019
- **Radbruch G.,** Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, SJZ 1946;
- **Randelzhofer A.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 16 II 2, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958;

- **Randelzhofer A.,** Article 51, B. Simma (ed.), The Charter of the United Nations: A Commentary, Vol. I, 2nd Edition, Oxford, 2002;
- **Randelzhofer A., Kahl W.,** Bonner Kommentar zum Grundgesetz, Loseblattsammlung seit 1950, Art. 11. Heidelberg; Sachs, Verfassungsrecht II, Grundrechte, 2. Auflage, Berlin, Heidelberg, 2003;
- **Rawls J.,** A Theory of justice, Revised edition (the Belknap press of Harvard university press Cambridge, Massachusetts, 1971;
- **Rengeling H-W., Szczekalla P.,** Grundrechte in der Europäischen Union: Charta der Grundrechte und allgemeine Rechtsgrundsätze, 2004;
- **Reuter Th.,** Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne - das unbekannte Wesen, Juristische Ausbildung, 7 2009;
- **Richter I.,** Recht im Bildungssystem. Eine Einführung. Stuttgart: Kohlhammer 2006; Tisdel, Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4), 1968.
- **Robbers G.,** Ausländer im Verfassungsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, 1995; .
- **Robbers G.,,** Sicherheit als Menschenrecht: Aspekte der Geschichte, Begründung und Wirkung einer Grundrechtsfunktion, 1987;
- **Robertson A. H., Merrills J. G**., Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, 1993;

- **Roellecke G**., Der Zustand des Rechtsstaates, in: Badura, Peter/Roellecke, Gerd (Mitarb.): Der Zustand des Rechtsstaates. Ein Cappenberger Gespräch, veranstaltet am 21. März 1986 in Speyer, 1986;
- **Roy A.,** The Russian case for military intervention in Georgia: international law, norms and political calculation, European Security, Vol.18, No.2, 2009;
- **Ruger J.,** Toward a Theory of a Right to Health: Capability and Incompletely Theorized Agreements, Yale Journal of Law&Humanities, 2006;
- **Sachs M.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 19, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011;
- **Schenke W.-R.,** Justizgewähr und Grundrechtsschutz, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg 2009;
- **Schenke W.-R.,** Verfassungsrechtliche Garantie eines Rechtsschutzes gegen Rechtsprechungsakte? in: Juristen Zeitung, 3 2005;
- **Scheuner U.,** Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968;
- **Schlink B.,** Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001;
- **Schmidt R.,** Grundrechte sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde, 2015;
- **Schmidt-Aßmann E.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 103 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, seit 1958;
- **Schmidt-Aßmann E.,** Der Rechtsstaat, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Aufgabe, Heidelberg 2004;
- **Schnapp F. E.,** Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, in: Osteuropa, 47 2001;
- **Schnapp F. E.,** Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, Juristische Schulung, 1, 1989;
- **Schnapp, F. E.,** Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11, 1983;
- **Scholz R.** (Bearb.), Kommentar zum Art. 5 III GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, seit 1958;
- **Schröder M.,** Gesetzesbindung des Richters und Rechtsweggarantie im Mehrebenensystem, Tübingen, 2010;
- **Schübel-Pfister I.** (Bearb.), Kommentar zum Art. 2 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Schulze-Fielitz H.** (Bearb.), Kommentar zum Art. 19 Abs. 4 GG, in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, 2006;
- **Seifert, K., H.,** Die politischen Parteien im Recht der Bundesrepublik Deutschland, Heymann vlg. 1975;
- **Shachar A.,** Citizenship, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by Rosenfeld M., Sajo A., Oxford, 2013.
- **Sharma R., Monteiro S.,** Creating Social Change: The Ultimate Goal of Education for Sustainability, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 6, No. 1, 2016;

- **Sibylle A.,** Entwicklung der Krankenversicherung in Mittel- und Osteuropa, in KrV. 2000;
- **Sibylle A.,** Kooperation mit Reformstaaten Mittel- und Osteuropa in Bereich von Renten-, kranten- und Unfallversicherung - ein Erfahrungsbericht. In: Pitschas/Sülzer, Neuer Institutionalismus in der Entwicklungspolitik, 1993;
- **Simma B., Khan D. E., Zöckler M., Geiger R**., The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997;
- **Simon H.,** Verfassungsgerichtsbarkeit, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995;
- **Sinner S.**, (Bearb.), Kommentar zum Art. 7 EMRK, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Sinner S**., (Bearb.), Kommentar zum Art.2 7.EMRKProt, in: Karpenstein U., Mayer F. C., Konvention zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten. Kommentar, 3. Auflage, 2022;
- **Sobota K.,** Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen 1997;
- **Sommermann, K.P.,** (Bearb.): Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;
- **Stahl F.J.,** Die Philosophie des Rechts. 2.Bd., Rechts- und Staatslehre auf der Grundlage christlicher Weltanschauung, München 2004; Zenthöfer, Staatsrecht 2, Grundrechte, Kiel, 7. Auflage, 2010;
- **Starck Ch.,** Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann, Klein, Starck., (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;
- **Starck, Ch.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt, Hermann, Klein, Starck., (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010;
- **Stern K.,** das Staatsrecht der BRD, Bd. III/ 1. 1994;
- **Stern K.,** Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, 1992;
- **Stern K**., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland Bd. IV/1. Halbband: Die einzelnen Grundrechte: Der Schutz und die freiheitliche Entfaltung des Individuums, 2006, 267.
- **Stern K.,** Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland Bd. IV/1. Halbband: Die einzelnen Grundrechte: Der Schutz und die freiheitliche Entfaltung des Individuums, 2006;
- **Stern K.,** Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984;
- **Stern K.,** Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band III – Allgemeine Lehren der Grundrechte, Halbband 1 – Grundlagen und Geschichte, nationaler und internationaler Grundrechtskonstitutionalismus, juristische Bedeutung der Grundrechte, Grundrechtsberechtigte, Grundrechtsverpflichtete, 1988;
- **Stern K.,** Der Rechtsstaat. Rektoratsrede, 1971;

- **Stern K.,** Grundgesetz in Gefahr? – Verfassungsproblemme nach 25 Jahren Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, 1992;
- **Stern K.,** Verfassungsrechtliche wider „ideologische" Deutung der Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, 1992;
- **Stern, K.,** Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band IV/1: Die einzelnen Grundrechte, 2006;
- **Streinz R**., Kommentar zum Art. 21 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, 2010;
- **Streuer W.,** Die positiven Verpflichtungen des Staates, Nomos Verlag, 2003;
- **Stubberfield C.,** Lifting the Organisational Veil: Positive Obligations of the European Union Following Accession to the European Convention on Human Rights, Australian International Law Journal, 2012;
- **Sunjid D.,** Der Gleichheitsgrundsatz in Bezug auf das allgemeine Gleichbehandlungsgesetz im deutschen und mongolischen Recht. Herbert Utz Verlag, München, 2009;
- **Tettinger P. J.,** Fairneß und Waffengleichheit: rechtsstaatliche Direktiven für Prozeß und Verwaltungsverfahren, 1984;
- **Tiefke N.,** Das Prinzip Menschenwürde, Zur Abwägungsfähigkeit des Föchstrangigen, Tübingen, 2010;
- **Trute H.-H.,** (Bearb.), Kommentar zum Art. 38 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 2, 6., neu bearbeitete Auflage, 2012;
- **Umbach D. c,** , (Herausgeber, Autor) Bundesverfassungsgerichtsgesetz: Mitarbeiter kommentar und Handbuch (Heidelberger Kommentar) Auflage: 2., Auflage 2005;
- **UNEP,** Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment, Nairobi, June 2015;
- **Venice Commission**, Interim Opinion on the Draft Amendmentsts to the Law on Assembly and Manifestations of Georgia, CDL-AD(2010) 009, 9.
- **Venice Commission,** The OSCE/ODIHR – Venice Commission Guidelines, CDL(2008) 062, 83, Final opinion on the amendments to the law on assembly and manifestations of Georgia, CDL-AD(2011) 029, 40;
- **Voßkuhle A.,** Rechtsschutz gegen den Richter. Zur Integration der Dritten Gewalt in das verfassungsrechtliche Kontrollsystem vor dem Hintergrund des Art. 19 Abs. 4 GG, 1993;
- **Waldron J.,** God, Locke, and Equality: Christian Foundations in Locke's Political Thought. Cambridge University Press, Cambridge 2002;
- **Walter K**., Künzli J., Universeller Menschenrechtsschutz, 2019;
- **Willoweit D.,** Seif U., Europäische Verfassungsgeschichte, 2003;
- **Wissenschaftliche Dienste Deutsche Bundestag**, Der Schutz des ungeborenen Lebens in Deutschland, Sachstand WD 7 - 3000 - 256/18.
- **Zenthöfer J.,** Staatsrecht 2, Grundrechte, Kiel, 7. Auflage, 2009/2010;
- **Ziegler U.,** John Locke - Naturzustand und Zweck des Staates, 1999;

- **Zippelius R.** Das Wesen des Rechts, 6. Aufl., Kap. 8 1997;
- **Zippelius R.,** Juristische Methodenlehre,6. Auflage, 1994;
- **Zippelius R., Würtenberger Th.,** Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი აქტები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/1/10, საქმეზე მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწვეტილება № 1/3-21, საქმეზე - მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 თებერვალი გადაწყვეტილება №2/4-24, საქმეზე - ლეონარდო დევდარიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 აპრილის განჩინება №2/26/1, საქმეზე ლამარა კერესელიძე ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება №1/4/28, საქმეზე - მოქალაქე ირაკლი კორძახია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს განჩინება №1/15/38, საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/5/32, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბერის განჩინება № 2/33/1, საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება № 2/35, საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/36–7, საქმეზე იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდეხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოღოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება №1/6-58,60,62,67, საქმეზე მოქალაქეები ირაკლი ტუღუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/80-9, საქმეზე ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება №2/77/11, საქმეზე მალხაზ მუმლაძე, ეთერ ჟიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შუღლიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის გადაწვეტილება № 1/1/107, საქმეზე მოქალაქეები ლელა ინწკირველი და ეკატერინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/97/3, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ბესარიონ ფანცულაია, ელგუჯა გულედანი, ჯემალ მიქელაძე, მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება № 1/1/103,117,137,47-48,152-53, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალიდა დარბაიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/113, საქმეზე მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის საოქმო ჩანაწერი №2/1/130, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება №8/177/2, საქმეზე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/174,199, საქმეზე საქართველოს მოქალაქეების – (1) ტრისტან ხანიშვილის, თედორე ნინიძის, ნოდარ ჭითანავას, ლევან ალექსიძის და სხვების (სულ 11 მოსარჩელე) 174–ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 29 ოქტომბრის განჩინება №2/16/201, მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/2/180-183, საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის განჩინება №2/18/206, საქმეზე მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის გადაწყვეტილება №1/3/136, საქმეზე საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი

საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება № 2/1/187-188, საქმეზე შპს აირზენა საქართველოს ავიახაზები" საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლამარა ჩორგოლაშვილის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაზე N2/3/182,185,191, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის №1/1/138,171,179,209, გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ლეკვეიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის განჩინება №2/6/221, საქმეზე საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია'' საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/161, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება N2/6/205,232, საქმეზე მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/7/219, საქმეზე „მოძრაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/5/193, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის განჩინება №1/12/261, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება N1/1/186, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება № 1/4/212, საქმეზე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე სერგო მუშლიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება №2/1/241, საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის განჩინება №2/2/277, საქმეზე მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/209,276, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/250-269, საქმეზე საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/5/224, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/264, საქმეზე შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/257, 268, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/263, საქმეზე მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება N2/3/286, საქმეზე მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება №2/4/294, საქმეზე მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის გადაწვეტილება № 2/5/309,310,311, საქმეზე მოქალაქეები ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/14/184,228 საქმეზე, სააქციო საზოგადოებები – “საქგაზი” და “ანაჯგუფი” (ყოფილი “თბილგაზოაპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, 2005 წლის 28 ივლისი;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის №1/5/323, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის განჩინება №2/8/366, საქმეზე "იურიდიული პირების - ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი ''მიზანი - 2005'' - ის თავმჯდომარე ნოდარ ცოტნიაშვილი; საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს კავშირის თავმჯდომარე - ელვარ კუპატაძე; საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის კავშირი ''აბჯარის'' თავმჯდომარე - იოსებ მესტიაშვილი; საქართველოს ძალოვანი ვეტერანების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი ''იმედის'' მოვალეობის შემსრულებელი - არსენ რაზმაძე; საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე - კარლო გარდაფხაძე; ''საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის'' თავმჯდომარე - ვაჟა ჩადუნელი; საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვისა და სოციალური დახმარების კავშირი ''იმედის'' თავმჯდომარე ნინო კვესაძე; სრულიად საქართველოს მეომარ ვეტერან-ინვალიდთა კავშირი ''ფარი და მახვილის'' თავმჯდომარე გენადი კვერნაძე, მთიანი რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა (ეკომიგრანტთა) უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია ''ხიხანი-უშბას''თავმჯდომარე - სიმონ შარაძე; საქართველოს პენსიონერ, ინვალიდთა, მოქმედ პოლიციელთა და მათი ოჯახის წევრთა ინტერესებისა და სოციალური დაცვის კავშირი ''ღირსებას''თავმჯდომარე - თემურ კოზოლაშვილი; საქველმოქმედო კავშირი ''ვაკე-საბურთალოს 2002 - ის'' თავმჯდომარე - კარლო წულაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის განჩინება №1/6/368, საქართველოს მოქალაქეები ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/359, საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/364, საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქარველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის გადაწყვეტილება №1/1/374,379, საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის განჩინება №2/3/412, საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება № 2/1-370,382,390,402,405, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/384, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება № 1/2/384, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება № 2/2-389, საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათენაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407, საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392, საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის განჩინება №2/1/431, საქმეზე საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის N1/2/440 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება №2/3/441, საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425, საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/3/406,408, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის გადაწყვეტილება №1/2/411, საქმეზე შპს "რუსენერგოსერვისი", შპს "პატარა კახი", სს "გორგოტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი" და შპს "ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427, საქმეზე კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება №1/7/454, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/415, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება N1/1/428, 447, 459, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოსსაკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/2/439, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/423, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება № 1/466, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება №2/1/473, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №2/482,483,487,502, საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება N3/2/416, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტისსაოქმო ჩანაწერი №1/1/503,513, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/468, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/512, საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის განჩინება №2/3/514, საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519, საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის საოქმო ჩანაწერი №2/2/536, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/1/531, ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება N2/2/558, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/569, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/538, საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება 1/2/563, საქმეზე ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/3/540, რუსეთის მოქალაქეები: ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები: მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბერის გადაწყვეტილება №2/4/532,533, საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან

გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/3/601, საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/2/577, საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/548, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება N1/2/552, საქმეზე სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის საოქმო ჩანაწერი №2/6/623, საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება №1/3/547, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/1/572, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/630, საქმეზე საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება N2/2/579, საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/1/608, 609, საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/5/560, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწვეტილება № 2/5/560, საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება N3/1/633, 634, საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №3/2/588, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/1/631, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება №2/2/565, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №2/3/591, საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო" და „ახალი მემარჯვენეები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება №3/3/763, საქმეზე საქართველოს პარლამენტი წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/5/595, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1/6/561,568, საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/4/614,616, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/8/594, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/2/596, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინება N1/13/711, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/7/636, საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/5/768,769,790,792, საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/650,699, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება №1/2/622, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება N1/3/638, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №3/1/659, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის გადაწვეტილება №1/4/757, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება №3/2/717, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კევლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება №3/3/600, საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის საოქმო ჩანაწერი №2/11/663, საქმეზე საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/735, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება N2/1/598 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება №3/5/626, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწვეტილება №1/11/629,652, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5/658, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/13/732, საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/746, საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/8/734, საქმეზე ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/7/679, საქმეზე შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწვეტილება №2/3/663, საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/1/811, საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/671, საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია”, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია”, სსიპ „ქრისტეს ეკლესია”, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია”, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი”, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია”, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი”, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/5/700, საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის საოქმო ჩანაწერი №2/11/1279, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება №2/6/1216, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწვეტილება № 1/3/1282 საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/7/779, საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილება №2/10/1212, საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/8/765, საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის განჩინება 3/10/1267,1268, საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/11/747, საქმეზე შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/1/752, საქმეზე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/767,1272, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/4/809, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/12/1229,1242,1247,1299, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/13/1234,1235, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/1263, საქმეზე ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება №2/1/704, საქმეზე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857, საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/1279 საქმეზე, ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და

ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/7/1275, საქმეზე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/4/1365, საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/5/879, საქმეზე „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება №2/21/1425, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/1311, საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალევი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 29 დეკემბრის განჩინება 1/13/1424, საქმეზე ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის განჩინება №1/12/1456, საქმეზე ვახტანგ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება №1/1/1404, საქმეზე ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის საოქმო ჩანაწერი №1/7/1320, საქმეზე ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №3/1/1459,1491, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/3/1526, საქმეზე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწვეტილება №1/4/1380, საქმეზე ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/1312, საქმეზე კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/1/877, საქმეზე „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/2/1276, საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/4/1412, საქმეზე ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება №1/1/1505,1515,1516,1529, საქმეზე პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება №3/1/1298,1313, საქმეზე თამაზ მეჭიაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/1248, საქმეზე ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება N2/2/1428, საქმეზე კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება N2/1/1289 საქმეზე, გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს გადაწყვეტილება №1/5/1499, საქმეზე მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება N2/2/1506, საქმეზე ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება N1/1/1558, საქმეზე გიორგი ლაშხი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება №3/2/1277, საქმეზე გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება N3/4/1648, საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე,
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 21 აპრილის №3/2/1277 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის კონსტიტუციური სარჩელი ნომერი №1698, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება №1/2/876, საქმეზე ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/1464, საქმეზე მიხეილ ხაინდრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებასთან N1/4/1464, დაკავშირებით;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/1377, საქმეზე დიმიტრი ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება N1/5/1472, საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის N1/5/1472 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

- საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341,1660, საქმეზე თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების თაობაზე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის განჩინება №3/4/1331, ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“ და ირაკლი პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის საოქმო ჩანაწერი №3/10/1601, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის განჩინება №2/6/1684, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო პრაქტიკა

- A, B and C v. Ireland (N25579/05; 16.12.2010).
- A. D. T. v. the United Kingdom (N35765/97; 31.7.2000).
- A. v. France (N14838/89; 23.11.1993).
- A. v. Norway (N28070/06; 9.4.2009).
- A.A. v. Switzerland (N32218/17; 5.11.2019).
- A.-M. V. v. Finland (N53251/13; 13.3.2017).
- A.P., Garçon and Nicot v. France (N79885/12, 5247/13, 52596/13; 6.4.2017).
- Abdellah Berrehab and Rebecca Berrehab v. the Netherlands (N10730/84; 21.6.1988).
- Aboya Boa Jean v. Malta (N62676/16; 2.4.2019).
- Abrams v. United States, 52 250 U.S. 616 (1919).
- Adyan and Others v. Armenia (N75604/11; 12.10.2017).
- Ageyevy v. Russia (N7075/10; 18.4.2013).
- Ahmed and Others v. the United Kingdom (N22954/93; 2.9.1998).
- Ahmut v. the Netherlands (N21702/93; 28.11.1996).
- Akdivar and Others v. Turkey (N21893/93; 16.9.1996).
- Aksoy v. Turkey (N21987/93; 18.12.1996).
- Aktas v. Turkey (N24351/94; 24.04.2003).
- Alajos Kiss v. Hungary (N38832/06; 20.5.2010).
- Albanese v. Italy (N77924/01; 23.3.2006).
- Alinak v. Turkey (N40287/98; 29.3.2005).
- Al-Jedda v. the United Kingdom (N27021/08; 7.7.2011).
- Almeida Leitao Bento Fernandes v. Portugal (N25790/11; 12.3.2015).
- Altay v. Turkey (no. 2) (N11236/09; 9.4.2019).
- Altug and Others v. Turkey (N32086/07; 30.6.2015).
- Alves da Silva v. Portugal (N41665/07; 20.10.2009).
- Aly Bernard and Others and Greenpeace - Luxembourg v. Luxembourg (N29197/95; 29.6.1999). 96; 27.9.1999).
- Amuur v. France (N19776/92; 25.6.1996).
- Ana Ionita v. Romania (N30655/09; 21.3.2017).
- Anchugov and Gladkov v. Russia (N11157/04, 15162/05; 4.7.2013).
- Andronicou and Constantinou v. Cyprus (N25052/94; 9.10.1997).
- Angelova and Iliev v. Bulgaria (N55523/00; 26.7.2007).
- Anguelova v. Bulgaria (N38361/97; 13.06.2002).
- Anheuser-Busch Inc. v. Portugal (N73049/01; 11.1.2007).
- Animal Defenders International v. the United Kingdom (N48876/08; 22.4.2013).
- Annen v. Germany (N2) (N3682/10; 20.9.2018).
- Annen v. Germany (N6) (N3779/11; 18.10.2018).
- Antonio Mata Estevez v. Spain (N56501/00; 10.5.2001).
- Antovic and Mirkovic v. Montenegro (N70838/13; 28.11.2017).

- Appleby and Others v The United Kingdom (N44306/98; 6.5.2003).
- Arrowsmith v. the United Kingdom (N7050/75; 12.10.1978).
- Asady and Others v. Slovakia (N24917/15; 24.3.2020).
- Ashby Donald and Others v. France (N36769/08; 10.1.2013).
- Ashingdane v. the United Kingdom (N8225/78; 28.5.1985).
- Assenov and Others v Bulgaria (N24760/94; 28.10.1998).
- Association "21 December 1989" and Others v. Romania (N33810/07, 18817/08; 24.5.2011).
- Association Ekin v. France (N39288/95; 17.7.2001).
- Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania (N2959/11; 24.3.2015).
- Association of Citizens Radko and Paunkovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N74651/01; 15.1.2009)
- Association X v. Sweden (N6094/73; 6.7.1977)
- Association X v. the United Kingdom (N7154/75; 12.7.1978).
- Avilkina and Others v. Russia (N1585/09; 6.6.2013).
- Axel Springer AG v. Germany (N39954/08; 7.2.2012).
- Axel Springer AG v. Germany (N2) (N48311/10; 18.7.2014).
- Aycaguer v. France (N8806/12; 22.6.2017).
- Aydin v. Turkey (N23178/94; 25.09.1997).
- Ayoub and Others v. France (N77400/14, 34532/15, 34550/15; 8.10.2020).
- B and C v. Switzerland (N43987/16, 889/19; 17.11.2020).
- B. v. France (N13343/87; 25.3.1992).
- B. v. Romania (N2) (N1285/03; 19.2.2013).
- Bachowski v. Poland (N32463/06; 2.11.2010).
- Băcilă v. Romania, (N19234/04; 30.03.2010)
- Bader and Others v. Sweden (N13284/04; 8.11.2005);
- Bahaddar v. The Netherlands (N25894/94; 19.2.1998).
- Baisuev and Anzorov v. Georgia (N39804/04; 18.12.2012).
- Bajraktarov v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N34112/02; 12.6.2006).
- Baka v. Hungary (N20261/12; 23.6.2016).
- Baka v. Hungary, (N20261/12; 23.06.2016).
- Balan v. Moldova (N19247/03; 29.1.2008).
- Baldassi and Others v. France (N15271/16; 11.7.2020).
- Baranowski v. Poland (N28358/95; 28.3.2000).
- Bărbulescu v Romania, (N61496/08; 05.09.2017).
- Barbulescu v. Romania (N61496/08; 12.1.2016).
- Barfod v. Denmark (N11508/85; 22.2.1989).
- Barfuss v. the Czech Republic (N35848/97; 31.7.2000).
- Barthold v. Germany (N8734/79; 12.3.1981).
- Batiashvili v. Georgia (N8284/07; 10.10.2019).
- Bayatyan v. Armenia (N23459/03; 7.7.2011).

- Bédat v. Switzerland (N56925/08; 29.3.2016).
- Beghal v. the United Kingdom (N4755/16; 28.2.2019).
- Begheluri and Others v. Georgia (N28490/02; 7.10.2014).
- Beiere v. Latvia (N30954/05; 29.11.2011).
- Belek and Velioglu v. Turkey (N44227/04; 6.10.2015).
- Belkacem v. Belgium (N34367/14; 27.6.2017).
- Ben Faiza v. France (N31446/12; 8.2.2018).
- Benedik v. Slovenia (N62357/14; 24.4.2018).
- Bensaid v. the United Kingdom (N44599/98; 6.2.2001).
- Bergens Tidende and Others v. Norway (N26132/95; 2.5.2000).
- Berisha and Haljiti v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N18670/03; 16.6.2005).
- Bezicheri v. Italy (N11400/85; 25.10.1989).
- Bidart v. France (N52363/11; 12.11.2015).
- Bilbija and Blažević v. Croatia (N62870/13; 12.01.2016).
- Bild GmbH & Co. KG und Axel Springer AG v. Germany (N62721/13; 4.12.2018).
- Bizzotto v. Greece (N22126/93; 15.11.1996).
- Bladet Tromsø and Stensaas v. Norway (N21980/93; 20.5.1999).
- Bohlen v. Germany (N53495/09; 19.2.2015).
- Bolat v. Russia (N14139/03; 5.10.2006).
- Bollan v. the United Kingdom (N42117/98; 4.5.2000).
- Boughanemi v. France (N22070/93; 24.4.1996).
- Boumar v. Belgium (N9106/80; 29.2.1988).
- Boyle v. the United Kingdom (N16580/90; 9.2.1993).
- Bozano v. France (N9990/82; 15.5.1984).
- Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444, 448 (1969).
- Braun v. Poland (N30162/10; 4.11.2014).
- Brazzi v. Italy (N57278/11; 27.9.2018).
- Brecknell v. the United Kingdom (N32457/04; 27.11.2007).
- Bremner v. Turkey (N37428/06; 13.11.2015).
- Breyer v. Germany (N50001/12; 30.1.2020).
- Brincat v. Italy (N13867/88; 26.11.1992).
- Brogan and Others v. the United Kingdom (N11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85; 29.11.1989).
- Brosa v. Germany (N5709/09; 17.4.2014).
- Brüggemann and Scheuten v. Federal Republic of Germany (N6959/75; 12.7.1977).
- Brunet Lecomte and Lyon Mag v. France (N17265/05; 6.5.2010).
- Brunet v. France (N21010/10; 18.9.2014).
- Buckley v. the United Kingdom (N20348/92; 29.9.1996).
- Budayeva and Others v. Russia (N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02; 20.3.2008).
- Burghartz v. Switzerland (N16213/90; 22.2.1994).

- Buscarini and Others v. San Marino (N24645/94; 18.2.1999).
- Buturuga v. Romania (N56867/15; 11.2.2020).
- Buzadji v. the Republic of Moldova (N23755/07; 5.7.2016).
- C. v. Belgium (N21794/93; 7.8.1996).
- C. W. v. the United Kingdom (N18187/91; 10.2.1993).
- Caamaño Valle v. Spain (N43564/17; 11.5.2021).
- Caballero v. the United Kingdom (N32819/96; 29.2.2000).
- Calmanovici v. Romania (N42250/02; 1.7.2008).
- Calvelli and Ciglio v Italy (N32967; 17/05/2002).
- ÇAM v. TURKEY (N51500/08, 23.05.2016).
- Camenzind v. Switzerland (N21353/93; 16.12.1997).
- Campbell and Cosans v. the United Kingdom (25 February 1982, § 33, Series A no. 48)
- Campbell Christie v. the United Kingdom (N21482/93; 27.6.1994).
- Campbell v. the United Kingdom (N13590/88; 25.3.1992).
- Cangi v. Turkey (N24973/15; 29.1.2019).
- Carson and others v. UK [GC] (N42184/05; March 2010).
- Casado Coca v. Spain (N15450/89; 24.2.1994).
- Castells v. Spain (N11798/85; 23.4.1992).
- Catt v. The United Kingdom (N43514/15; 24.1.2019).
- Cengiz and Others v. Turkey (N48226/10, 14027/11; 1.12.2015).
- Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania (N47848/08; 17.7.2014).
- Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy (N38433/09; 7.6.2012).
- Ceylan v. Turkey (N23556/94; 8.7.1999).
- Cf Raišelis v. Lithuania (N37195/97; 29.2.2000).
- Chaplinsky v. New Hampshire, 315 U.S. 296 (1940).
- Chapman v. the United Kingdom (N27238/95; 18.1.2001).
- Chappell v. the United Kingdom (N10461/83; 30.3.1989).
- Chappell v. the United Kingdom (N12587/86; 14.7.1987).
- Chassagnou and Others v. France (N25088/94, 28331/95, 28443/95; 29.4.1999)
- Christian Democratic People's Party v. Moldova (N2; 2.2.2010).
- Christine Goodwin v. the United Kingdom (N28957/95; 11.7.2002).
- Church of Scientology Moscow v. Russia (N18147/02; 5.4.2007).
- Cisse v. France (paras. 35-36. 9.4.2002).
- Ciulla v. Italy (N11152/84; 22.2.1989).
- Ciulla v. Italy; Johansen v. Norway; Ostendorf v. Germany (N15598/08; 7.3.2013).
- Clooth v. Belgium (N12718/87; 12.12.1991).
- Colombani and Others v. France (N51279/99; 25.6.2002).
- Communist Party of Russia and Others v. Russia (N29400/05; 19.6.2012).
- Conka and Others v. Belgium (N51564/99; 5.2.2002).

- Connors v. The United Kingdom (N66746/01; 27.5.2004).
- Copland v United Kingdom (N62617/00; 03.04.2007).
- Cossey v. The United Kingdom (N10843/84; 27.9.1990).
- Costa and Pavan v. Italy (N54270/10; 28.8.2012).
- Costa v. ENEL (C-6/64; 1964).
- Costello-Roberts v. the United Kingdom (N13134/87; 25.3.1993).
- Couderc and Hachette Filipacchi Associes v. France (N40454/07; 10.11.2015).
- Cumpana and Mazare v. Romania (N33348/96; 17.12.2004).
- D. and Others v. Belgium (N29176/13; 8.7.2014).
- D. G. v. Ireland (N39474/98; 16.5.2002).
- D. v. France (N10180/82; 6.12.1983).
- D.D. v. Lithuania (N13469/06; 14.2.2012).
- Dahlab v. Switzerland (N42393/98; 15.2.2001).
- Dalban v. Romania (N28114/95; 28.9.1999).
- Dammann v. Switzerland (N77551/01; 25.4.2006).
- Danelia v. Georgia, (N68622/01; 17.10. 2006).
- Danilenkov and others v. Russia (N67336/01; 30.07.2009).
- Daróczy v. Hungary (N44378/05; 1.7.2008).
- De Carolis and France Télévisions v. France (N29313/10; 21.1.2016).
- De Donder and De Clippel v. Belgium (N8595/06; 6.12.2011).
- De Haes and Gijsels v. Belgium (N19983/92; 24.2.1997).
- De Jong, Baljet and Van den Brink v. the Netherlands (N8805/79, 8806/79, 9242/81; 22.5.1984).
- De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium (N2832/66, 2835/66, 2899/66; 18.6.1971).
- Dekker v. Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV-Centrum) Plus, (C-1777/88, §12-13, 8.11.1990).
- Del Rio Prada v. Spain (N42750/09; 21.10.2013).
- Delfi AS v. Estonia (N64569/09; 10.10.2013).
- Delta Pekarny a.s. v. the Czech Republic (N97/11; 2.10.2014).
- Demir and Baykara v. Turkey (N34503/97, 12.11.2008).
- Demir and Others v. Turkey (N21380/93, 21381/93, 21383/93; 23.9.1998).
- Denise Matthews v. The United Kingdom (N24833/94; 18.2.1999).
- Denizci and Others v. Cyprus (N25316-25321/94, 27207/95; 23.5.2001).
- Deumeland v. Germany (Series A, N100, para 62-74; 12/10/1984).
- Di Sarno and Others v. Italy (N30765/08; 10.1.2012).
- Dickson v. the United Kingdom (N44362/04; 4.12.2007).
- Dikme v. Turkey (N20869/92; 11.7.2000).
- Dobbs v. Jackson Women's Health Organization (597 U.S.; 24.7.2022).
- Dogru v. France (N27058/05; 4.12.2008).
- Doner and Others v. Turkey (N29994/02; 7.3.2017).
- Doorson v. the Netherlands (N20524/92; 29.11.1993).

- Dougoz v. Greece (N40907/98; 6.3.2001).
- Dragojevic v. Croatia (N68955/11; 15.1.2015).
- Dritsas and Others v. Italy (N2344/02; 1.2.2011).
- Droemer Knaur GmbH & Co. KG v. Germany (N35030/13; 19.10.2017).
- Du Roy And Malaurie v. France (N34000/96; 3.10.2000).
- Duarte Agostinho and Others v. Portugal and 32 Others, Application no. 39371/20
- Dudgeon v. the United Kingdom (N7525/76; 22.10.1981).
- Dupuis and Others v. France (N1914/02; 7.6.2007).
- E.B. v. France (N43546/02; 22.1.2008).
- Ebrahimian v. France (N64846/11; 26.11.2015).
- ECtHR, 21.02.2021,
- Éditions Plon v. France (N58148/00; 18.5.2004).
- Editorial board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine (N33014/05; 5.5.2011).
- Eerikäinen and Others v. Finland (N3514/02; 10.2.2009).
- Egeland and Hanseid v. Norway (N34438/04; 16.4.2009)
- Egill Einarsson v. Iceland (N24703/15; 7.11.2017).
- Eker v. Turkey (N24016/05; 24.10.2017).
- Emel Boyraz v. Turkey (N61960/08, 2.12.2014).
- Emin and Others v. Greece (N34144/05; 27.3.2008).
- Engel v. the Netherlands (N5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72; 8.6.1976).
- Enhorn v. Sweden (N56529/00 25.1.2005).
- Enukidze and Girgvliani v. Georgia (N25091/07; 26.4.2011).
- Eon v. France (N26118/10; 14.3.2013).
- Erçep v. Turkey (N43965/04, 22.11.2011).
- Erdagöz v. Turkey (N21890/93; 22.10.97).
- Erdel v. Germany (N30067/04; 13.2.2007).
- Erdoğdu and Ince v. Turkey (N25067/94, 25068/94; 8.7.1999).
- Erdogdu v. Turkey (N25723/94; 15.6.2000).
- Erdtmann v. Germany (N56328/10; 5.1.2016).
- Eremia v. the Republic of Moldova (N3564/11; 28.5.2013).
- Ergi v. Turkey (N23818/94, 28.07.1998).
- Ergi v. Turkey; Ogur v. Turkey (N21594/93; 20.5.1999).
- Erla Hlynsdottir v. Iceland (N2) (N54125/10; 21.10.2014).
- Ernst August von Hannover v. Germany (N53649/09; 19.2.2015).
- Esat Bayram v Turkey (N75535/01; 26.5.2009).
- Europapress Holding D.O.O v. Croatia (N25333/06; 22.10.2009).
- Evans v. the United Kingdom (N6339/05; 10.4.2007).
- Evers v. Germany (N17895/14; 28.5.2020).
- Eweida and Others v. the United Kingdom (N48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10; 15.1.2013).
- F.G. v. Sweden (N43611/11; 23.3.2016).

- Fadeyeva v. Russia, (N55723/0; 06.9.2005).
- Federation Nationale des Syndicats Sportifs (FNASS) and Others v. France (N48151/11, 77769/13; 18.1.2018).
- Feldbrugge v. The Netherlands, (Series A, N124 A; 27.7.1987).
- Féret v. Belgium (N15615/07; 16.7.2009).
- Ferihumer v. Austria (N30547/03; 1.2.2007).
- Fernandes de Oliveira v. Portugal (N78103/14; 31.1. 2019).
- Fernandez Martinez v. Spain (N56030/07; 12.6.2014).
- Financial Times Ltd and Others v. the United Kingdom (N821/03; 15.12.2009).
- Finogenov and Others v. Russia (N18299/03, 27311/03; 20.12.2011).
- Finukane v. the United Kingdom (N29178/95; 1.7.2003).
- Folgerø and Others v. Norway (N15472/02; 29.6.2007).
- Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom (N12244/86, 12245/86, 12383/86; 30.8.1990).
- Frãsilã and Ciocîrlan v. Romania (N25329/03; 10.5.2012).
- Fredrik Neij and Peter Sunde Kolmisoppi v. Sweden (N40397/12; 19.2.2013).
- Freessoz and Roire v. France (N29183/95; 21.1.1999).
- Freifrau von Rehlingen and Others v. Germany (N33572/02; 6.5.2008).
- Fretté v. France (N36515/97; 26.2.2002).
- Friedl v. Austria (N15225/89; 19.5.1994).
- Frisk and Jensen v. Denmark (N19657/12; 5.1.2017).
- Frodl v. Austria (N20201/04; 8.4.2010).
- Fuchsmann v. Gemany (N71233/13; 19.10.2017).
- Fuentes Bobo v. Spain (N39293/98; 29.2.2000).
- Fuentes Bobo v. Spain; Dink v. Turkey (N2668/07; 14.9.2010).
- G. and E. v. Norway (N9278/81; 9415/81; 3.10.1980).
- G. S. v. Bulgaria (N36538/17; 4.4.2019).
- G. S. v. Georgia (N2361/13; 21.7.2015).
- G. v. the Netherlands (N16944/90; 8.2.1993).
- G. W. v. the Federal Republic of Germany (N1307/61; 4.10.1962).
- Gablishvili v. Georgia (N7088/11, 21.02.2019).
- Gahramanov v. Azerbaijan (N26291/06; 15.10.2013).
- Gajtani v. Switzerland (N43730/07; 9.9.2014).
- Gallardo Sanchez v. Italy (N11620/07; 24.3.2015).
- Garaudy v. France (N65831/01; 24.6.2003).
- Garnaga v. Ukraine (N20390/07; 16.5.2013).
- Gaskin v. the United Kingdom (N10454/83; 7.7.1989).
- Gawlik v. Liechtenstein (N23922/19; 16.2.2021).
- Gaygusuz v. Austria, 39/1995/545/631, Council of Europe: European Court of Human Rights, 23.05.1996
- Geitling v. ECSC High Authority (C-2/56; 1957).
- Georgia v. Russia (II) 38263/08
- Georgia v. Russia (II) 38263/08 -177.

- Georgia vs. Russia (N13255/07; 31.1.2019).
- Georgian Young Lawyers' Association v. Georgia (N2703/12; 19.1.2021).
- Georgiou v. Greece (N45138/98; 13.1.2000).
- Gharibashvili v. Georgia, (N11830/03, 29.07.2008)
- Gillberg v. Sweden (N41723/06; 3.4.2012).
- Gillow v. the United Kingdom (N9063/80; 24.11.1986).
- Giorgi Nikolaishvili v. Georgia (N37048/04; 13.1.2009).
- Gitonas and Others v. Greece (N18747/91, 19376/92, 19379/92; 1.7.1997).
- Giuliani and Gaggio v. Italy (N23458/02; 24.3.2011).
- Glasenapp v. Germany (N9228/80; 28.8.1986).
- Glender v. Sweden (N28070/03; 6.9.2005).
- Goodwin v. the United Kingdom (N17488/90; 27.3.1996);
- Gorelishvili v. Georgia (N12979/04; 5.6.2007).
- Gough v. the United Kingdom (N49327/11; 28.10.2014).
- Goussev and Marenk v. Finland (N35083/97; 17.1.2006).
- Gozum v. Turkey (N4789/10; 15.1.2015).
- Grande Oriente d`Italia di Palazzo Giustiniani v. Italy (2) (N26740/02; 31.5.2007).
- Grande Oriente d`Italia di Palazzo Giustiniani v. Italy (N35972/97; 2.8.2001).
- Gray v. Germany (N49278/09; 22.5.2014).
- Greens and M.T. v. the United Kingdom (N60041/08, 60054/08; 23.11.2010).
- Groppera Radio AG v. Switzerland (N10890/84; 28.3.1990).
- Grosaru v. Romania (N78039/01; 2.3.2010).
- Gsell v. Switzerland (N12675/05; 8.10.2009).
- Guerra and Others v. Italy (N14967/89; 19.2.1998).
- Guillot v. France (N22500/93; 24.10.1996).
- Guimon v. France (N48798/14; 11.4.2019).
- Guler and Ugur v. Turkey (N31706/10, 33088/10; 2.12.2014).
- Gündüz v. Turkey (N35071/97; 4.12.2003).
- Gurtekin and Others v. Cyprus (N60441/13, 68206/13, 68667/13; 11.3.2014).
- Guseva v. Bulgaria (N6987/07; 17.2.2015).
- Gustafsson v. Sweden (N15573/89; 25.4.1996).
- H. v. the United Kingdom (N9580/81; 8.7.1987).
- Hachette Filipacchi Associes (ICI Paris) v. France (N12268/03; 23.7.2009).
- Hachette Filipacchi Presse Automobile and Dupuy v. France (N13353/05; 5.3.2009).
- Hackett v. the United Kingdom (N34698/04; 10.5.2005).
- Hadjianastassiou v. Greece (N12945/87; 16.12.1992).
- Hadri-Vionnet v Switzerland (N55525/00; 14.2.2008).
- Haidn v. Germany (N6587/04; 13.1.2011).

- Haldimann and Others v. Switzerland (N21830/09; 24.2.2015).
- Halis Doğan and Others v. Turkey (N50693/99; 10.1.2006).
- Hamalainen v. Finland (N37359/09; 16.7.2014).
- Handyside v. the United Kingdom (N5493/72; 7.12.1976).
- Hanzelkovi v. the Czech Republic (N43643/10; 11.12.2014).
- Harakchiev and Tolumov v. Bulgaria (N15018/11, 61199/12; 8.7.2014).
- Harrison and Others v. the United Kingdom (N44301/13, 44379/13, 44384/13; 25.3.2014).
- Hasan and Chaush v. Bulgaria (N30985/96; 26.10.2000).
- Hasan and Eylem Zengin v. Turkey (N1448/04; 9.10.2007).
- Hashman and Harrup v. the United Kingdom (N25594/94; 25.11.1999).
- Heidecker-Tiemann v. Germany (N31745/02; 6.5.2008).
- Heinisch v. Germany (N28274/08; 21.7.2011).
- Hendriks v. the Netherlands (N8427/78; 8.3.1982).
- Henrioud v. France (N21444/11; 5.11.2015).
- Henry Kismoun v. France (N32265/10; 5.12.2013).
- Herczegfalvy v. the Austria (N10533/83; 24.9.1992).
- Herri Batasuna and Batasuna v. Spain (N25803/04, 25817/04; 30.6.2009).
- Herrmann v. Germany (N9300/07; 20.1.2011).
- Hertel v. Switzerland (N25181/94; 25.8.1998).
- Hilbe v. Liechtenstein (N31981/96; 7.9.1999).
- Hirsi Jamaa and Others v. Italy (N27765/09; 23.2.2012).
- Hizb ut-Tahrir and Others v. Germany (N31098/08; 12.6.2012).
- Hoffer and Annen v. Germany (N397/07, 2322/07; 13.1.2011).
- Hoiness v. Norway (N43624/14; 19.3.2019).
- Hristozov and Others v. Bulgaria (N47039/11, 358/12; 13.11.2012).
- Hromadka and Hromadkova v. Russia (N22909/10; 11.12.2014).
- Hugh Jordan v. the United Kingdom (N24746/94; 04.08.2001).
- Hülsmann v. Germany (N26610/09; 5.11.2013).
- Huvig v. France (N11105/84; 24.4.1990).
- I. S. v. Germany (N31021/08; 5.6.2014).
- I.A. v. France (N28213/95; 23.9.1998).
- I.B. v. Greece (N552/10; 3.10.2013).
- Ibragim Ibragimov and Others v. Russia (N1413/08, 28621/11; 28.8.2018).
- Ichin and Others v. Ukraine (N28189/04; 21.12.2010).
- Idalov v. Russia (N5826/03; 22.5.2012).
- Iglesia Bdulisla "El Salvador" and José Aquilino Ortega Moratilla v. Spain (N17522/90; 11.1.1992).
- Ilascu and Others v. Moldova and Russia (N48787/99; 8.7.2004).
- Ilhan v. Turkey (N22494/93; 11.9.2004).
- Ilias and Ahmed v. Hungary (N47287/15; 21.11. 2019).
- Ilijkov v. Bulgaria (N33977/96; 26.7. 2001).

- Ilowiecki v. Poland (N27504/95; 4.10.2001).
- Incal v. Turkey (N22678/93; 9.6.1998).
- Informationsverein Lentia and Others v. Austria (N13914/88, 15041/89, 15717/89, 15779/89, 17207/90; 24.11.1993).
- Ion Carstea v. Romania (N20531/06; 28.10.2014).
- Iovcev and Others v. Moldova and Russia (N40942/14; 17.9.2019).
- Isenc v. France (N58828/13; 4.2.2016).
- Iskandarov v. Russia (N17185/05; 23.9.2010).
- ISKCON and 8 Others v. the United Kingdom (N20490/92; 8.3.1994).
- Ismayilova v. Azerbaijan (N65286/13, 57270/14; 10.1.2019).
- Ivanova and Cherkezov v. Bulgaria (N64577/15; 21.4.2016).
- Ivanova v. Bulgaria (N46577/15; 12.04.2007).
- Izzettin Dogan and Others v. Turkey (N62649/10; 26.4.2016).
- J. K. v. and Others v. Sweden (N59166/12; 23.8.2016).
- J.R and Others v. Greece (N22696/16; 25.1.2018).
- Jablonski v. Poland (N33492/96; 21.12.2000).
- Jacubowski v. Germany (N15088/89; 23.6.1994).
- Jäggi v. Switzerland (N58757/00; 13.7.2006).
- Jaloud v. the Netherlands (N47708/08; 20.11.2014).
- Janiashvili v. Georgia (N35887/05; 27.11.2012).
- Janowski v. Poland (N25716/94; 21.1.1999).
- Jecker v. Switzerland (N35449/14; 6.10.2020).
- Jëèius v. Lithuania (N34578/97; 31.7.2000).
- Jelic v. Croatia (N57856/11; 12.6.2014).
- Jelševar and Others v. Slovenia (N47318/07; 11.3.2014).
- Jendrowiak v. Germany (N30060/04; 14.4.2011).
- Jeronovics v. Latvia (N547/02; 10.2.2009).
- Jersild v. Denmark (N15890/89; 23.9.1994).
- Jerusalem v. Austria (N26958/95; 27.2.2001).
- Jeunesse v. the Netherlands (N12738/10; 3.10.2014).
- Jishkariani v. Georgia (N18925/09; 20.9.2018).
- Johansen v. Norway (N17383/90; 7.8.1996).
- Johansson v. Finland (N10163/02; 6.9.2007).
- Johnston and Others v. Ireland (N9697/82; 18.12.1986).
- Jolie and Lebrun v. Belgium (N11418/85; 14.5.1986).
- July and SARL Libération v. France (N20893/03; 14.2.2008).
- Juppala v. Finland (N18620/03; 2.12.2008).
- K 2 v. the United Kingdom (N42387/13; 7.2.2017).
- K. and T. v. Finland (N25702/94; 27.4.2000).
- K.A.B. v. Sweden (N886/11; 5.9.2013).
- K.G. v. Belgium (N52548/15; 6.11.2018).
- K.H. and Others v. Slovakia (N32881/04; 28.4.2009).

- K.U. v Finland (N2872/02; 2.12.2008).
- Kaboulov v. Ukraine (N41015/04; 19.11.2009).
- Kacper Nowakowski v. Poland (N32407/13; 10.1.2017).
- Kahn v. Germany (N16313/10; 17.3.2016).
- Kakabadze and Others v. Georgia (N1484/07; 2.10.2012).
- Kalaç v. Turkey (N20704/92; 1.7.1997).
- Kalda v. Estonia (N17429/10; 19.1.2016).
- Kampanis v. Greece (N17977/91; 13.7.1995).
- Kanagaratnam v. Belgium (N15297/09; 13.12.2011).
- Kaperzynski v. Poland (N43206/07; 3.4.2012).
- Karacsony and Others v. Hungary (N42461/13, 44357/13; 17.5.2016).
- Karhuvaara and Iltalehti v. Finland (N53678/00; 16.11.2004).
- Karl-Theodor zu Guttenberg v. Germany (N14047/16; 25.6.2019).
- Karpetas v. Greece (N6086/10; 30.10.2012).
- Karsai v. Hungary (N5380/07; 1.12.2009).
- Katamadze v. Georgia (N69857/01; 14.2.2006).
- Kaushal and Others v. Bulgaria (N1537/08; 2.9.2010).
- Kaya v. Turkey (N22729/93; 19.2.1998).
- Keegan v. Ireland (N16969/90; 26.5.1994).
- Keenan v. the United Kingdom (N27229/95; 3.04.2001).
- Kelly and Others v. United Kingdom (N30054/96; 4.8.2001).
- Kelly v. the United Kingdom (N17579/90; 4.5.2001).
- Kenedi v. Hungary (N31475/05; 26.5.2009).
- Kereselidze v. Georgia (N39718/09; 28.3.2019).
- Keus v. the Netherlands (N12228/86; 25.10.1990).
- Kharlamov v. Russia (N27447/07; 8.10.2015).
- Khlaifia and Others v. Italy (N16483/12; 15.12.2016).
- Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (N11082/06, 13772/05; 25.7.2013).
- Khodorkovskiy v. Russia (N5829/04; 31.5.2011).
- Khoroshenko v. Russia (N41418/04; 30.6.2015).
- Khurshid Mustafa and Tarzibachi v. Sweden (N23883/09; 16.12.2008).
- Kim v. Russia (N44260/13; 17.7.2014).
- Kimlya and Others v. Russia (N76836/01, 32782/03; 1.10.2009).
- Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark (N5095/71, 5920/72, 5926/72; 7.12.1976).
- Klass and Others v. Germany (N5029/71; 6.9.1978).
- Klein and Others v. Germany (N24268/08; 6.4.2017).
- Klein v. Slovakia (N72208/01; 31.10.2006).
- Knecht v. Romania (N10048/10; 2.10.2012).
- Knudsen v. Norway (N11045/84; 8.3.1985).
- Koch v. Germany (N497/09;19.7.2012).
- Kokkinakis v. Greece (N14307/88; 25.5.1993).

- Kolompar v. Belgium (N11613/85; 24.9.1992).
- Kolyadenko and Others v. Russia (N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05; 28.2.2012).
- Kommersant Moldovy v. Moldova (N41827/02; 9.1.2007).
- Koniarska v. the United Kingdom (N33670/96; 12.10.2000).
- Konovalova v. Russia (N37873/04; 9.10.2014).
- Konrad and Others v. Germany (N35504/03, 11.9.2006).
- Konstantin Markin v. Russia (N30078/06, 22.3.2012).
- Kopf and Liberda v. Austria (N1598/06; 17.1.2012).
- Kosiek v. Germany (N9704/82; 28.8.1986).
- Koster v. the Netherlands (N12843/87; 28.11.1991).
- Koua Poirrez v France, Merits, (N40892/98, October, 2003).
- Kovach v. Ukraine (N39424/02; 7.2.2008).
- Kroon and Others v The Netherlands (N18535/91; 27.10.1994).
- Kruslin v. France (N11801/85; 24.4.1990).
- Kucharczyk v. Poland (N72966/13; 24.11.2015).
- Kudla v. Poland (N30210/96; 26.10.2000).
- Kudrevičius and Others v. Lithuania (26.11.2013).
- Kurić and Others v. Slovenia (N26828/06; 26.6.2012).
- Kurier Zeitungsverlag und Druckerei GmbH v. Austria (N2) (N1593/06; 19.6.2012).
- Kurier Zeitungsverlag und Druckerei GmbH v. Austria (N3401/07; 17.1.2012).
- Kurt v. Austria (N62903/15; 15.6.2021).
- Kurt v. Turkey (N15/1997/799/1002; 25.5.1998).
- Kyprianou v. Cyprus (N73797/01; 15.12.2005).
- L. H. v. Latvia (N52019/07; 29.4.2014).
- L. v. Lithuania (N27527/03; 11.9.2007).
- L.B. v. Belgium (N22831/08; 2.10.2012).
- L.C.B. v. the United Kingdom (N23413/94; 9.6.1998).
- L.M. and Others v. Russia (N40081/14, 40088/14, 40127/14; 15.10.2015).
- Labita v. Italy (N26772/95; 6.4.2000).
- Lăcătuş v. Switzerland (N14065/15; 19.1.2021).
- Laliashvili v. Georgia (N8710/07; 27.11. 2018).
- Lambert and Others v. France (N46043/14; 5.6.2015).
- Lamy v. Belgium (N10444/83; 30.3.1989).
- Lanzmann v. France (N23038/19; 12.11.2019).
- Larissis and Others v. Greece (N23372/94; 24.2.1998).
- Laskey, Jaggard and Brown v. the United Kingdom (N21826/93, 21627/93, 21974/93; 19.2.1997).
- Laurent v. France (N28798/13; 24.5.2018).
- Lawless v. Ireland (N332/57; 1.7.1961).
- Le Compte and Others v. Belgium (N6878/75, 7238/75; 23.6.1981)

- Leander v. Sweden (N9248/81; 26.3.1987).
- Leempoel & S.A. ED. Ciné Revue v. Belgium (N64772/01; 9.11.2006).
- Lehideux and Isorni v. France (N24662/94; 23.9.1998).
- Leroy v. France (N36109/03; 2.10.2008).
- Letellier v. France (N12369/86; 26.6.1991).
- Leyla Alp and Others v. Turkey (N29675/02; 10.12.2013).
- Leyla Sahin v. Turkey (N44774/98; 10.11.2005).
- Libert v. France (N588/13; 22.2.2018);
- Libert v. France; Leotsakos v. Greece (N30958/13; 4.10.2018).
- Lillo-Stenberg and Saether v. Norway (N13258/09; 16.1.2014).
- Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France (N21279/02; 22.10.2007).
- Lingens v. Austria (N9815/82; 8.7.1986).
- Ljatifi v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N19017/16; 17.5.2018).
- Loizidou v. Turkey (N15318/89; 18.12.1996).
- Lopes Gomes da Silva v. Portugal (N37698/97; 28.9.2000).
- Lopez Guio v. Slovakia (N10280/12; 3.6.2014).
- Lopez Ostra v. Spain (N16798/90; 9.12.1994).
- Lopez Ribalda and Others v. Spain (N1874/13, 8567/13; 17.10.2019).
- Luberti v. Italy (N9019/80; 23.2.1984).
- Lukanov v. Bulgaria (N21915/93; 20.3.1997).
- Lupsa v. Romania (N10337/04; 8.6.2006).
- Lustig-Prean and Beckett v. The United Kingdom (N31417/96, 32377/96; 27.9.1999).
- Lykourezos v. Greece (N33554/03; 15.6.2006)
- Lynas v. Switzerland (N7317/75; 6.10.1976).
- M. and M. v. Croatia (N10161/13; 3.9.2015).
- M. K. and Others v. Poland (N40503/17, 42902/17, 43643/17; 23.7.2020).
- M. L. and W. W. v. Germany (N60798/10, 65599/10; 28.6.2018).
- M. N. and Others v Belgium (N3599/18; 5.5.2020).
- M. v. Germany (N19359/04; 17.12.2009).
- M.A. and Others v. Lithuania (N59793/17; 11.12.2018).
- M.A. v. Cyprus (N41872/10; 23.7.2013).
- M.A. v. Cyprus (N41872/10; 23.7.2013).
- M.S.S. v. Belgium and Greece (N30696/09; 21.1.2011).
- M'Bala M'Bala v. France (N25239/13; 20.10.2015).
- Magyar Helsinki Bizottsag v. Hungary (N18030/11; 8.11.2016).
- Magyar Jeti Zrt v. Hungary (N11257/16; 4.12.2018).
- Magyar Kereszteny Mennonita Egyhaz and Others v. Hungary (N70945/11, 23611/12, 26998/12, 41150/12, 41155/12, 41553/12, 54977/12, 56581/12; 28.6.2016).
- Magyar Keresztény Mennonita Egyház and Others v. Hungary (N70945/11, 23611/12, 26998/12,

41150/12, 41155/12, 41463/12, 41553/12, 54977/12, 56581/12; 8.4.2014).

- Magyar Ketfarkú Kutya Párt v. Hungary (N201/17; 20.1.2020).
- Magyar Tartalomszolgaltatok Egyesulete and Index.hu Zrt v. Hungary (N22947/13; 2.2.2016).
- Mahmut Kaya v. Turkey (N22535/93; 28.3.2000).
- Makharadze and Sikharulidze v. Georgia (N35254/07; 22.11.2011).
- Malone v. the United Kingdom (N8691/79; 2.8.1984).
- Mamére v. France (N12697/03; 7.11.2006).
- Mandli and Others v. Hungary (N63164/16; 26.5.2020).
- Manole and Others v. Moldova (N13936/02; 17.9.2009).
- Manoussakis and Others v. Greece (N18748/91; 26.9.1996).
- Mansur v. Turkey (N16026/90; 8.6.1995).
- Manuello and Nevi v. Italy (N107/10; 20.1.2015).
- Marckx v. Belgium (N6833/74; 13.6.1979).
- Margareta and Roger Andersson v. Sweden (N12963/87; 25.2.1992).
- Markgraf v. Gemany (N42719/14; 10.3.2015).
- Marro and Others v. Italy (N29100/07; 8.4.2014).
- Marunić v. Croatia (N51706/11; 28.3.2017).
- Maskhadova and Others v. Russia (N18071/05; 6.6.2013).
- Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium (N9267/81; 2.3.1987).
- Matveyev v Russia (N26601/02; 3.7.2008).
- Matznetter v. Austria (N2178/64; 10.11.1969).
- McFeeley and Others v. the United Kingdom (N8317/78; 15.5.1980).
- McGinley and Egan v The United Kingdom (N21825/93, 23414/94; 9.6.1998).
- McVeigh, O'Neill and Evans v. the United Kingdom (N8022/77, 8025/77, 8027/77; 18.3.1981).
- McVicar v. the United Kingdom (N46311/99; 7.5.2002).
- Medvedyev and Others v. France (N3394/03; 29.3.2010).
- Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovina (N17224/11; 27.6.2017).
- Megyeri v. Germany (N13770/88; 12.5.1992).
- Mehemi v. France (N25017/94; 26.9.1997).
- Mehmet Reşit Arslan and Orhan Bingöl v. Turkey (N47121/06, 13988/07, 34750/07; 18.6.2019).
- Mehmet Şenturk and Bekir Şenturk v. Turkey (N13423/09; 9.4.2013).
- Mennesson v. France (N65192/11; 26.6.2014).
- Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova (N45701/99; 13.12.2001).
- MGN Limited v. the United Kingdom (N39401/04; 18.1.2011).
- Mikulić v. Croatia (N53176/99; 7.2.2002).
- Milisavlievic v. Serbia (N50123/06; 4.4.2017).
- Minelli v. Switzerland (N14991/02; 14.6.2006).
- Miranda v. Arizona (384 U. S. 438; 1966).

- Mirolubovs and Others v. Latvia (N798/05; 15.9. 2009).
- Mocanu and Others v. Romania (N10865/09, 45886/07, 32431/08; 13.11.2012).
- Mojsiejew v. Poland (N11818/02; 24.3.2009).
- Morice v. France (N29369/10; 23.4.2015).
- Moscow Branch of The Salvation Army v. Russia (N72881/01; 5.10.2006);
- Mosley v. the United Kingdom (N48009/08; 10.5.2011).
- Mouisel v. France (N67263/01; 11/14/2002)
- Moustaquim v. Belgium (N12313/86; 18.2.1991).
- MS v. Sweden (N20837/92; 27.8.1997).
- Mudur Duman v. Turkey (N15450/03; 6.10.2015).
- Mugemangango v. Belgium (N310/15; 10.7.2020).
- Muhammad and Muhammad v. Romania (N80982/12; 15.10.2020).
- Müller and Others v. Switzerland (N10737/81; 24.5.1988).
- Muller v. France (N21802/93; 17.3.1997).
- Murat Vural v. Turkey (N9540/07; 21.10.2014).
- Murphy v. Ireland (N44179/98; 10.7.2003).
- Murray v. the United Kingdom (N14310/88; 28.10.1994).
- Mushfig Mammadov and Others v. Azerbaijan (N14604/08, 41792/15, 45823/11, 76127/13; 17.1.2020).
- Mustafa Erdogan and Others v. Turkey (N346/04; 27.5.2014).
- Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey (N24014/05; 14.4.2015).
- N. D. and N. T. v. Spain (N8675/15; 13.2.2020).
- N.I. v. Belgium (N51599/08; 6.9.2011).
- N57325/00, 13 November ECHR 2007.
- Nachova and Others v. Bulgaria (N43577/98, 43579/98; 6.7.2005).
- Nagla v. Latvia (N73469/10; 16.7.2013).
- Nakov v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N68286/01; 24.10.2002).
- Nart v. Turkey (N20817/04; 6.5.2008).
- Naumenko v. Ukraine, 11/09/2004, განაცხადი #41984/98
- Navarra v. France (N13190/87; 23.11.1993).
- Nazarenko v. Russia (N39438/13; 16.7.2015).
- Near v. Minnesota, 283 U.S. 697 (1931).
- Nencheva and Others v. Bulgaria (N48609/06; 18.6.2013).
- Neulinger and Shuruk v. Switzerland (N41615/07; 6.7.2010).
- New York Times v. Sullivan, 376 U.S. 254, 265 (1964).
- News Verlags GmbH & Co.KG v. Austria (N31457/96; 11.1.2000).
- Niedbala v. Poland (N27915/95; 4.7.2000).
- Nielsen v. Denmark (N10929/84; 28.11.1988).
- Niemietz v. Germany (N13710/88; 16.12.1992).
- Nihayet Arýcý and Others v. Turkey (N24604/04, 16855/05; 23.10.2012).

- Nikolova v. Bulgaria (N31195/96; 25.3.1999).
- Nilsen and Johnsen v. Norway (N23118/93; 25.11.1999).
- Nix v. Germany (N35285/16; 13.3.2018).
- Noack and Others v. Germany (N46346/99; 25.5.2000).
- Nolan and K. v. Russia (N2512/04; 12.2.2009).
- Nordisk Film & TV A/S v. Denmark (N40485/02; 8.12.2005).
- Norris v. Ireland (N10581/83; 26.10.1988).
- Norwood v. The United Kingdom (N23131/03; 16.11.2004).
- Novaya Gazeta and Milashina v. Russia (N45083/06; 3.10.2017).
- Nusret Kaya and Others v. Turkey (N43750/06, 43752/06, 32054/08, 37753/08, 60915/08; 22.4.2014).
- Nuutinen v. Finland (N32842/96; 27.6.2000).
- O.H. v. Germany (N4646/08; 24.11.2011).
- O.S.A. and Others v. Greece (N39065/16; 21.3.2019);
- O.V.R. v. Russia (N44319/98; 3.4.2001)
- Oberschlick v. Austria (N1) (N11662/85; 23.5.1991).
- Oberschlick v. Austria (N2) (N20834/92; 1.7.1997).
- Observer and Guardian v. the United Kingdom (N13585/88; 26.11.1991).
- Öcalan v. Turkey (N46221/99; 12.5.2005).
- Odièvre v. France (N42326/98; 13.2.2003).
- Ojala and Etukeno Oy v. Finland (N69939/10; 14.1.2014).
- Okçuoğlu v. Turkey (N24246/94; 8.7.1999).
- Olafsson v. Iceland (N58493/13; 16.3.2017).
- Oleksandr Volkov v. Ukraine (N21722/11; 9.1.2013).
- Oleksandr Volkov v. Ukraine (N21722/11; 9.1.2013).
- Olewnik-Cieplinska and Olewnik v. Poland (N20147/15; 05.09.2019).
- Oliari and Others v. Italy - 18766/11 and 36030/11Judgment 21.7.2015.
- Olsson v. Sweden (N1) (N10465/83; 24.3.1988).
- Olsson v. Sweden (N2) (N13441/87; 30.10.1992).
- Öneryildiz v. Turkey (N48939/99; 30.11.2004).
- Open Door and Dublin Well Woman v. Ireland (N14235/88, 14234/88; 29.10.1992).
- Orban and Others v. France (N20985/05; 15.1.2009).
- Oršuš and Others v. Croatia (N15766/03; 16.03.2010).
- Osman v. the United Kingdom (N23452/94; 28.10.1998).
- Osmanoglu and Kocabas v. Switzerland (N29086/12; 10.1.2017).
- Ostace v. Romania (N12547/06; 25.2.2014).
- Österreichische Vereinigung zur Erhaltung, Stärkung und Schaffung eines wirtschaftlich gesunden land- und forstwirtschaftlichen Grundbesitzes v. Austria (N39534/07; 28.11.2013).
- Otegi Mondragon v. Spain (N2034/07; 15.3.2011).
- Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom (N8139/09; 17.1.2012).

- Ottan v. France (N41841/12; 19.4.2018).
- Otto-Preminger-Institut v. Austria (N13470/87; 20.9.1994).
- Ouranio Toxo and Others v. Greece (N74989/01; 20.10.2005).
- Özbek and Others v. Turkey (N35570/02; 6.10.2009)
- Ozel and Others v. Turkey (N14350/05, 15245/05, 16051/05; 17.11.2015).
- Özgür Gündem v. Turkey (N23144/93; 16.3.2000).
- Öztürk v. Turkey (N22479/93; 28.9.1999).
- P. and S. v. Poland (N57375/08; 30.10.2012).
- Pais Pires de Lima v. Portugal (N70465/12; 12.2.2019).
- Palomo Sanchez and others v. Spain (N28955/06, 28957/06, 28959/06 and 28964/06; 12.09.2011).
- Palomo Sánchez and Others v. Spain (N28955/06, 28957/06, 28959/06, 28964/06; 12.9.2011).
- Paposhvili v. Belgium (N41738/10; 13.12.2016).
- Paradiso and Campanelli v. Italy (N25358/12; 24.1.2017).
- Parrillo v. Italy (N46470/11; 27.8.2015).
- Partei die Friesen v. Germany (N65480/10; 28.1.2016).
- Parti nationaliste basque – Organisation régionale d'Iparralde v. France (N71251/01; 7.6.2007).
- Partija “Musu Zeme” and Partija “Jaunie Demokrati” v. Latvia (N10547/07, 34049/07; 29.11.2007).
- Pastörs v. Germany (N55225/14; 3.10.2019).
- Patsaki and Others v. Greece (N20444/14; 7.2.2019).
- Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom (N46477/99; 14.3.2002).
- Pavel Ivanov v. Russia (N35222/04; 20.2.2007).
- Peck v. The United Kingdom (N44647/98; 28.1.2003).
- Pedersen and Baadsgaard v. Denmark (N49017/99; 17.12.2004).
- Peker v. Turkey (N42136/06; 12.4.2011).
- Pentikäinen v. Finland (N11882/10; 20.10.2015).
- Perinçek v. Switzerland (N27510/08; 15.10.2015).
- Perna v. Italy (N48898/99; 6.5.2003).
- Perrin v. the Unidet Kingdom (N5446/03; 18.10.2005).
- Perry v. the United Kingdom (N63737/00; 17.7.2003).
- PETA Deutschland v. Germany (N43481/09; 8.11.2012).
- Peters v. the Netherlands (N21132/93; 6.4.1994).
- Petrenco v. Moldova (N20928/05; 30.3.2010).
- Petrov v. Bulgaria (N15197/02; 22.05.2008).
- Petukhova v. Russia (N28796/07; 2.5.2013).
- Pfeifer v. Austria (N12556/03; 15.11.2007).
- Phostira Efthymiou and Ribeiro Fernandes v. Portugal (N66775/11; 5.2.2015).
- Piermont v. France (N15773/89; 27.4.1995).
- Piroğlu and Karakaya v. Turkey (N36370/02, 37581/02; 18.3.2008).

- Piruzyan v. Armenia (N33376/07; 26.6.2012).
- Planned Parenthood v. Casey (505 U.S. 833; 29.6.1992).
- Plesó v. Hungary (N41242/08; 2.10.2012).
- Podkolzina v. Latvia (N46726/99; 9.4.2002).
- Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia (N22999/06; 12.6.2012).
- Pojatina v. Croatia (N18568/12; 4.10.2018).
- Poltoratskiy v. Ukraine (N38812/97; 29.4.2003).
- Popov v. France (N39472/07, 39474/07; 19.1.2012).
- Porchet v. Switzerland (N36391/16; 8.10.2019).
- Powell and Rayner v. the United Kingdom (N9310/81; 21.2.1990).
- Powell v. the United Kingdom (N45305/99; 4.05.2000).
- Prager and Oberschlick v. Austria (N15974/90; 26.4.1995).
- Pretty v. the United Kingdom (N2346/02; 29.4.2002).
- Price v. the United Kingdom (N12402/86; 14.7.1988).
- Punzelt v. the Czech Republic (N31315/96; 25.7.2000).
- R. E. v. the United Kingdom (N62498/11; 27.10.2015).
- R. S. v. Poland (N63777/09; 21.7.2015).
- R.A.V. v. St. Paul, 112 S. Ct. 2538 (1992).
- R.B. v. Hungary (N64602/12; 12.4.2016).
- Radu v. the Republic of Moldova (N50073/07; 15.4.2014).
- Rahimi v. Greece (N8687/08; 5.4.2011).
- Ramadan v. Malta (N76136/12; 21.6.2016).
- Rantsev v. Cyprus and Russia (N25965/04; 7.1.2010).
- Redfearn v. The United Kingdom (N47335/06; 6.11.2012).
- Rees v The United Kingdom (N9532/81; 17.10.1986).
- Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey (N41340/98, 41342/98, 41343/98, 41344/98; 13.2.2003).
- Reinette v. France (N14009/88; 2.10.1989).
- Rekvényi v. Hungary (N25390/94; 20.5.1999).
- “Relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium” v. Belgium (N1474/62, 1677/62, 1691/62, 1769/63, 1994/63, 2126/64; 23.7.1968).
- Republican Party of Russia v. Russia (N12976/07; 12.4.2011).
- Ressiot and Others v. France (N15054/07; 12.6.2012).
- Revert and Legallais v. France (N14331/88, 14332/88; 8.9.1989)
- Reznik v. Russia (N4977/05; 4.4.2013).
- Riad and Idiab v. Belgium (N29787/03; 24.1.2008).
- Riera Blume and Others v. Spain (N37680/97; 14.10.1999).
- Rigopoulos v. Spain (N37388/97; 12.1.1999).
- Ringier Axel Springer Slovakia, A.S. v. Slovakia (N2) (N21666/09; 7.1.2014).
- Ringier Axel Springer Slovakia, A.S. v. Slovakia (N41262/05; 26.7.2011).
- Riolo v. Italy (N42211/07; 17.7.2008).

- Roche v. the United Kingdom (N32555/96; 19.10.2005).
- Roe v. Wade (410 U.S. 113; 22.1.73).
- Roemen and Schmit v. Luxembourg (N51772/99; 25.2.2003).
- Roger Acmanne and Others v. Belgium (N10435/83; 10.12.1984).
- Roj TV AS v. Denmark (N24683/14; 17.4.2019).
- Roland Dumas v. France (N34875/07; 15.7.2010).
- Roman Zakharov v. Russia (N47143/06; 4.12.2015).
- Rooman v. Belgium (N18052/11; 31.1.2019).
- Rotaru v. Romania (N28341/95; 4.5.2000).
- RTBF v. Belgium (N50084/06; 29.3.2011).
- Rubio Dosamantes v. Spain (N20996/10; 21.2.2017).
- Rumyana Ivanova v. Bulgaria (N36207/03; 14.2.2008).
- Ruusunen v. Finland (N73579/10; 14.1.2014).
- S. and Marper v. the United Kingdom (N30562/04, 30566/04; 4.12.2008).
- S. V. and A. v. Denmark (N35553/12, 36678/12, 36711/12; 22.10.2018).
- S.A.S. v. France (N43835/11; 1.7.2014).
- S.C.C. v. Sweden (N46553/99; 15.2.2000).
- S.H. and Others v. Austria (N57813/00; 3.11.2011).
- S.K. v. Russia (N52722/15; 14.2.2017).
- S.R. v. the Netherlands (N13837/07; 18.9.2012).
- S.T.S. v. the Netherlands (N277/05; 7.6.2011).
- S.V. v. Italy (N55216/08; 11.10.2018).
- Saadi v. Italy (N37201/06; 28.2.2008).
- Saadi v. the United Kingdom (N13229/03; 29.1.2008).
- Saaristo and Others v. Finland (N184/06; 12.10.2010).
- Sabanchiyeva and Others v. Russia (N38450/05; 6.6.2013).
- Saghinadze and others v. Georgia (N18768/05; 27.5.2010).
- Sahin Alpay v. Turkey (N16538/17; 20.3.2018).
- Sahin v. Germany (N30943/96; 8.7.2003).
- Salman v. Turkey (N21986/93; 27.6.2000).
- Sanchez-Reisse v. Switzerland (N9862/82; 21.10.1986).
- Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands (N38224/03; 14.9.2010).
- Santos Nunes v. Portugal (N61173/08; 22.5.2012).
- Sapan v. Turkey (N44102/04; 8.6.2010).
- Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland (N931/13; 27.6.2017).
- Savda v. Turkey (N42730/05; 12.6.2012).
- Savva Terentyev v. Russia (N10692/09; 28.8.2018).
- Schenck v. United Staates (249 U.S. 47, 52; 1919).
- Schlumpf v. Switzerland (N29002/06; 8.1.2009).
- Schneider v. Luxembourg (N2113/04; 10.7.2007).
- Schüth v. Germany (N1620/03; 23.9.2010).

- Schwabe and M.G. v. Germany (N8080/08, 8577/08; 1.12.2011).
- Schwabe v. Austria (N13704/88; 28.8.1992).
- Schweizerische Radio- und Fernsehgesellschaft SRG v. Switzerland (N34124/06; 21.6.2012).
- Sciacca v. Italy (N50774/99; 11.1.2005).
- Scoppola v. Italy (N126/05; 22.5.2012).
- Sdruženi Jihoceské Matky v. Czech Republic (N19101/03; 10.7.2006).
- Selcuk and Asker v. Turkey (§ 76, -1998-II; 24.04.1998).
- Sellami v. France (N61470/15; 17.12.2020).
- Selmouni v. France (paras.101; 28.7.1999).
- Sener v. Turkey (N26680/95; 18.7.2000).
- Servulo & Associados - Sociedade de Advogados, RL v. Portugal (N27013/10; 3.9.2015).
- Sgarlata and Others v. Commission of the EEC (C-40/64; 1965).
- Sharifi and Others v. Italy and Greece (N16643/09; 21.10.2014).
- Shcherbina v. Russia (N41970/11; 26.6.2014).
- Sheffield and Horsham v. The United Kingdom (N23390/94; 30.7.1998).
- Sher and Others v. the United Kingdom (N5201/11; 20.10.2015).
- Sheveli and Shengelaya v. Azerbaijan (N42730/11; 5.11.2020).
- Shimovolos v. Russia (N30194/09; 21.6.2011).
- Shioshvili and Others v. Russia (N19356/07; 20.12.2016).
- Shtukaturov v. Russia (N44009/05; 27.3.2008).
- Shykyta v. Ukraine (N67092/01; 11.10.2005).
- Sidabras and Džiautas v. Lithuania (N55480/00, 59330/00, 27.07.2004).
- Sidiropoulos and Others v. Greece (N26695/95; 10.7.1998)
- Sigurður A. Sigurjónsson v. Iceland (N16130/90; 30.6.1993).
- Sihler-Jauch and Jauch v. Germany (N68273/10; 24.5.2016).
- Silver and Others v. the United Kingdom (N5947/72, 6205/73, 7052/75, 7061/75, 7107/75, 7113/75, 7136/75; 25.3.1983).
- Sitaropoulos and Giakoumopoulos v. Greece (N42202/07; 15.3.2012).
- Skugar and Others v. Russia (N40010/04; 3.12.2009).
- Slavomir Berlinski v. Poland (N27715/95, 30209/96; 18.1.2001).
- Slivenko v. Latvia (N48321/99; 9.10.2003).
- Smith Kline and French Laboratories Ltd. v. the Netherlands (N12633/87; 4.10.1990).
- Söderbäck v. Sweden (N24484/94; 28.10.1998).
- Söderman v. Sweden (N5786/08; 12.11.2013).
- Soering v. The United Kingdom (N14038/88; 7.7.1989)
- Sokolowski v. Poland (N75955/01; 29.3.2005).
- Sommerfeld v. Germany (N31871/96; 8.7.2003).
- Soro v. Estonia (N22588/08; 3.9.2015).
- Soulas and Others v. France (N15948/03; 10.7.2008).
- Söyler v. Turkey (N29411/07; 17.9.2013).

- Stambuk v. Germany (N37928/97; 17.10.2002).
- Standard Verlags GmbH v. Austria (N2) (N21277/05; 4.6.2009).
- Stanev v. Bulgaria (N36760/06; 17.1.2012).
- Stedman v. the United Kingdom (N29107/95; 9.4.1997).
- Steel and Morris v. the United Kingdom (N68416/01; 15.2.2005).
- Steel and Others v. the United Kingdom (N24838/94; 23.9.1998).
- Stern Taulats and Roura Capellera v. Spain (N51168/15; 13.3.2018).
- Stevens v. the United Kingdom (N11674/85; 3.3.1986).
- Stewart v. the United Kingdom (N10044/82; 10.7.1984).
- Stichting Ostade Blade v. the Netherlands (N8406/06; 27.5.2014).
- Stiftung Gegen Rassismus und Antisemitismus v. Switzerland (N18597/13; 9.1.2018).
- Stjerna v. Finland (N18131/91; 25.11.1994).
- Stögmuller v. Austria (N1602/62; 10.11.1969).
- Stoll v. Switzerland (N69698/01; 10.12.2007).
- Stomakhin v. Russia (N52273/07; 8.10.2018).
- Storck v. Germany (N61603/00; 16.6.2005).
- Stork v. ECSC High Authority (C-1/58; 1959).
- Strand Lobben and Others v. Norway (N37283/13; 10.9.2019).
- Stromberg v. California (283 U.S. 359; 1931).
- Strzelecki v. Poland (N26648/03; 10.4.2012).
- Stubbings and Others v. The United Kingdom (N22083/93, 22095/93; 22.10.1996).
- Sufi and Elmi v. The United Kingdom (N8319/07, 11449/07; 28.6.2011).
- Sukran Aydin And Others v. Turkey (N49197/06, 23196/07, 50242/08, 60912/08, 14871/09; 22.1.2013).
- Sultani v. France (N45223/05; 20.9.2007).
- Sürek and Özdemir v. Turkey (N23927/94, 24277/94; 8.7.1999).
- Sürek v. Turkey (N1) (N26682/95; 8.7.1999).
- Sürek v. Turkey (N2) (N24122/94; 8.7.1999).
- Suso Musa v. Malta (N42337/12; 23.7.2013).
- Swami Omkarananda and the Divine Light Zentrum v. Switzerland (N8118/77; 19.3.1981).
- T. v. the Czech Republic (N19315/11; 17.7.2014).
- Tagayeva and Others v.Russia (N26562/07, 14755/08, 49339/08, 49380/08, 51313/08, 21294/11, 37096/11; 13.4.2017).
- Takush v. Greece (N2853/09; 17.1.2012).
- Tammer v. Estonia (N41205/98; 6.2.2001).
- Tănase v. Moldova (N7/08; 27.4.2010).
- Tanrikulu v. Turkey (N26763/94; 8.07.1999).
- Tarakhel v. Switzerland (N29217/12; 4.11.2014).
- Társaság a Szabadságjogokért v. Hungary (N37374/05; 14.4.2009).
- Taş v. Turkey (N24396/94; 14.11.2000).

- Tatár and Fáber v. Hungary (N26005/08; 12.6.2012).
- Tebieti Mühafize Cemiyyeti and Israfilov v. Azerbaijan (N37083/03; 8.10.2009).
- Telegraaf Media Nederland Landelijke Media B.V. and Others v. the Netherlands (N39315/06; 22.11.2012).
- Terminiello v. Chicago, 337 U.S. 1 (1949).
- Ternovszky v. Hungary (N67545/09; 14.12.2010).
- Tesic v. Serbia (N4678/07, 50591/12; 11.2.2014).
- The Sunday Times v. the United Kingdom (N1) (N6538/74; 26.4.1979).
- The Sunday Times v. the United Kingdom (N13166/87; 16.11.1991).
- Thoma v. Luxembourg (N38432/97; 29.3.2001).
- Thorgeir Thorgeirson v. Iceland (N13778/88; 25.6.1992).
- Tierbefreier e.V. v. Germany (N45192/09; 16.1.2014).
- Tillack v. Belgium (N20477/05; 27.11.2007).
- Times Newspapers Ltd. v. the United Kingdom (N1 and 2) (N3002/03, 23676/03; 10.3.2009).
- Timishev v. Russia Applications (N55762/00, 55974/00, 13.03.2006).
- Timke v. Germany (N27311/95; 11.9.1995).
- Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom (N18139/91; 13.7.1995).
- Tomasi v. France (N12850/87; 27.8.1992).
- Toniolo v. San Marino and Italy (N44853/10; 26.6.2012).
- Tønsbergs Blad A.S. and Haukom v. Norway (N510/04; 1.3.2007).
- Toth v. Austria (N11894/85; 12.12.1991).
- Toumi v. Italy (N25716/09; 5.4.2011).
- Tourkiki Enosis Xanthis and Others v. Greece (N26698/05; 27.3.2008).
- Trabajo Rueda v. Spain (N32600/12, 30.5.2017).
- Trzaska v. Poland (N25792/94; 11.7.2000).
- Trzaska v. Poland; Kawka v. Poland (N25874/94; 9.1.2001).
- Tsarkov v. Russia (N16854/03; 16.7.2009).
- Turava and Others v. Georgia (N7607/07, 27.11. 2018).
- Turluyeva v. Russia (N63638/09; 20.6.2013).
- TV Vest and Rogaland Pensjonistparti v. Norway (N23132/05; 11.12.2008).
- Tyrer v. the United Kingdom, 25.04. 1978, S. a #26.
- United Communist Party of Turkey and Others v. Turkey (N19392/92; 30.1.1998).
- United States v. Alvarez (567 U.S. 709; 2012).
- US Supreme Court in Employment Division v. Smith, 494 U. S. 872 (1990).
- Uzun v. Germany (N35623/05; 2.9.2010).
- Vajinai v. Hungary (N33629/09; 8.7.2008).
- Vallianatos & Mylonas v. Greece, (N29381/09, 32684/09).
- Valsamis v. Greece (N21787/93; 18.12.1996).

- Van der Graaf v. the Netherlands (N8704/03; 1.6.2004).
- Van der Leer v. the Netherlands (N11509/85; 21.2.1990).
- Van Droogenbroeck v. Belgium (N7906/77; 24.6.1982).
- Van Kück v. Germany (N35968/97; 12.6.2003).
- Varbanov v. Bulgaria (N31365/96; 5.10.2000).
- Vasileva v. Denmark (N52792/99; 25.9.2003).
- Vassis and Others v. France (N62736/09; 27.6. 2013).
- Vazagashvili and Shanava v. Georgia (N50375/07 18.07.2019).
- Velikova v. Bulgaria (N41488/98; 18.5.2000).
- Velinov v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N16880/08; 19.9.2013).
- Velosa Barreto v. Portugal (N18072/91; 21.11.1995).
- Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (N2) (N32772/02; 30.6.2009).
- Vereinigung Bildender Künstler v. Austria (N68354/01; 25.1.2007).
- Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria (N15153/89; 19.12.1994).
- VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland (N24699/94; 28.6.2001).
- Vicent Del Campo v. Spain (N25527/13; 6.11.2018).
- Vilnes and Others v. Norway (N52806/09, 22703/10; 5.12.2013).
- Vinter and Others v. the United Kingdom (N66069/09, 130/10, 3896/10; 9.7.2013).
- Vito Sante Santoro v. Italy (N36681/97; 1.7.2004).
- Vo v. France (N53924/00; 8.7.2004).
- Vodenicarov v. Slovakia (N24530/94; 12.12.2000).
- Vogt v. Germany (N17851/91; 26.9.1995).
- Von Hannover v. Germany (N2) (N40660/08; 7.2.2012).
- Von Hannover v. Germany (N3) (N8772/10; 19.9.2013).
- Von Hannover v. Germany (N59320/00; 24.6.2004).
- Vona v. Hungary (N35943/10; 9.7.2013).
- Vukota-Bojic v. Switzerland (N61838/10; 18.10.2016).
- W v. Switzerland (N14379/88; 26.1.1993).
- W. v. the United Kingdom (N9749/82; 8.7.1987).
- W., X., Y. and Z. v. Belgium (N6745/74, 6746/74; 30.5.1975).
- Wassink v. the Netherlands (N12535/86; 27.9.1990).
- Weber v. Switzerland (N11034/84; 22.5.1990).
- Weeks v. the United Kingdom (N9787/82; 2.3.1987).
- Węgrzynowski and Smolczewski v. Poland (N33846/07; 16.7.2013).
- Weiss v. Austria (N14596/89; 10.7.1991).
- Weller v. Hungary (N44399/05; 31.3.2009).
- Wemhoff v. the Federal Republic of Germany (N2122/64; 27.6.1968).
- Wille v. Liechtenstein (N28396/95; 28.10.1999).
- Willem v. France (N10883/05; 16.7.2009).
- Williams v. the United Kingdom (N32567/06; 17.2.2009).

- Wingrove v. the United Kingdom (N17419/90; 25.11.1996).
- Winterstein and Others v. France (N27013/07; 17.10.2013).
- Winterwerp v. the Netherlands (N6301/73; 24.10.1979).
- Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft v. Austria (N3) (N66298/01, 15653/02; 13.12.2005).
- Wisconsin v. Mitchell, 113 S. Ct. 2194 (1993).
- Witold Litwa v. Poland (N26629/95; 4.4.2000).
- Witzsch v. Germany (N2) (N72485/03; 13.12.2005).
- Women on Waves and Others v. Portugal (N31276/05; 3.2.2009).
- Worm v. Austria (N22714/93; 29.8.1997).
- Woukam Moudefo v. France (N10868/84; 11.10.1988).
- Wretlund v. Sweden (N46210/99; 9.3.2004).
- X v. Austria (N7045/75; 10.12.1976).
- X v. Belgium (N9804/82; 7.12.1982).
- X v. Norway (N867/60; 29.5.1961).
- X v. Switzerland (N8500/79; 14.12.1979).
- X v. The Former Yugoslav Republic of Macedonia (N29683/16; 17.1.2019).
- X v. the United Kingdom (N2) (N7215/75; 5.11.1981).
- X v. the United Kingdom (N8416/78; 29.5.1980).
- X, Y and Z v. the United Kingdom (N21830/93; 22.4.1997).
- X. and Church of Scientology v. Sweden (N805/77; 5.5.1979).
- X. and Y. v. the Netherlands (N8978/80; 26.3.1985).
- X. Association v. Germany (N9234/81; 14.7.1981).
- X. v. Austria (N1753/63; 22.4.1965).
- X. v. Austria (N8278/78; 13.12.1979).
- X. v. Belgium (N8707/79; 13.12.1979).
- X. v. Denmark (N7374/76; 8.3.1976).
- X. v. Latvia (N27853/09; 26.11.2013).
- X. v. Switzerland (N11680/85; 10.3.1988).
- X. v. the United Kingdom (N10295/82; 14.10.1983).
- X. v. the United Kingdom (N5442/72; 20.12.1974).
- X. v. the United Kingdom (N5947/72; 5.3.1976).
- X. v. the United Kingdom (N7096/75; 3.10.1975).
- X. v. the United Kingdom (N8160/78; 12.3.1981).
- X. v. the United Kingdom (N8231/78).
- X. v. the United Kingdom (N8231/78; 6.3.1982).
- X. v. the United Kingdom (N9072/82; 6.10.1982).
- Y. v. Slovenia (N41107/10; 28.5.2015).
- Y. v. Turkey (N648/10; 17.2.2015).
- Yaðci and Sargin v. Turkey (N16419/90, 16426/90; 8.6.1995).
- Yasa v. Turkey (N22495/93; 2.09.1998).
- Yates v. United States 355 U.S. 66 (1957).
- Yefimenko v. Russia (N152/04; 12.2.2013).
- Yeşilgöz v. Turkey (N45454/99; 20.9.2005).
- Yildirim v. Turkey (N3111/10; 18.12.2012).

- Yoh-Ekale Mwanje v. Belgium (N10486/10; 20.12.2011).
- Yordanova and Others v. Bulgaria (N25446/06; 24.4.2012).
- Yordanova and Toshev v. Bulgaria (N5126/05; 2.10.2012).
- Young, James and Webster v. the United Kingdom (N7601/76, 7806/77; 14.12.1979).
- Youth Initiative for Human Rights v. Serbia (N48135/06; 25.6.2013).
- Z. v. Finland (N22009/93; 25.2.1997).
- Z.H. v. Hungary (N28973/11; 8.11.2012).
- Zaiet v. Romania (N44958/05; 24.3.2015).
- Zana v. Tukey (N18954/91; 15.11.1997).
- Ždanoka v. Latvia (N58278/00; 16.3.2006).
- Zhdanov and Others v. Russia (N12200/08, 35949/11, 58282/12; 16.7.2019).
- Zhechev v. Bulgaria (N57045/00; 21.6.2007)
- Ziembinski v. Poland (N2) (N1799/07; 5.8.2016).
- Zorica Jovanović v. Serbia (N21794/08; 26.3.2013).
- 97 members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia (N71156/01; 3.5.2007).
- A and B v. Norway (N24130/11, 29758/11; 15.11.2016).
- A.P., M.P. and T.P. v. Switzerland (N19958/92; 29.8.1997).
- Adamkiewicz v. Poland (N54729/00; 2.3.2010);
- Aigner v. Austria (N28328/03; 10.5.2012);
- Airey v. Ireland (N6289/73; 9.10.1979);
- Alexandru Marian Iancu v. Romania (N60858/15; 4.2.2020).
- Allan Jacobsson v. Sweden (N2) (N16970/90; 19.2.1998).
- Allan v. the United Kingdom (N48539/99; 5.11.2002);
- Allenet de Ribemont v. France (N15175/89; 10.2.1995);
- Artico v. Italy (N6694/74; 13.5.1980).
- Artner v. Austria (N13161/87; 28.8.1992);
- Asadbeyli and Others v. Azerbaijan (N3653/05, 14729/05, 20908/05, 26242/05, 36083/05, 16519/06; 11.12.2012).
- Asciutto v. Italy (N35795/02; 27.11.2007).
- Ashingdane v. the United Kingdom; Janosevic v. Sweden (N34619/97; 10.5.2001);
- Ashughyan v. Armenia (N33268/03; 17.7.2008).
- Assanidze v. Georgia (N71503/01; 8.4.2004);
- Averill v. the United Kingdom (N36408/97; 6.6.2000).
- Axel Springer SE and RTL Television GmbH v. Germany (N51405/12; 21.9.2017).
- Axen v. Germany (N8273/78; 8.12.1983);
- Ayetullah Ay v. Turkey (N29084/07, 1191/08; 27.10.2020).
- Baggetta v. Italy (N10256/83; 25.6.1987).
- Baischer v. Austria (N32381/96; 20.12.2001).
- Balta and Demir v. Turkey (N48628/12; 23.6.2015);

- Baragiola v. Switzerland (N17265/90; 21.10.1993);
- Barberà, Messegué and Jabardo v. Spain (N10590/83; 6.12.1988);
- Benham v. the United Kingdom (N19380/92; 19.6.1996).
- Beuze v. Belgium (N71409/10; 9.11.2018).
- Bjarni Armannsson v. Iceland (N72098/14; 16.4.2019).
- Blokhin v. Russia (N47152/06; 23.3.2016).
- Bönisch v. Austria (N8658/79; 6.5.1985).
- Borelli v. Switzerland (N17571/90; 2.9.1993).
- Bosti v. Italy (N43952/09; 13.11.2014).
- Botmeh and Alami v. the United Kingdom (N15187/03; 7.6.2007);
- Brandstetter v. Austria (N11170/84, 12876/87, 13468/87; 28.8.1991);
- Breukhoven v. the Czech Republic (N44438/06; 21.7.2011).
- Bricmont v. Belgium (N10857/84; 7.7.1989).
- Brown v. the United Kingdom (N38644/97; 24.11.1998);
- Brusco v. France (N1466/07; 14.10.2010).
- Bulut v. Austria (N17358/90; 22.2.1996).
- Burdov v. Russia (N59498/00; 7.5.2002);
- Butkevičius v. Lithuania (N48297/99; 26.3.2002);
- Buzescu v. Romania (N61302/00; 24.5.2005).
- Bykov v. Russland (N4378/02; 21.1.2009);
- Campbell and Fell v. the United Kingdom (N7819/77; 7878/77; 28.6.1984);
- Campbell v. the United Kingdom; Brennan v. the United Kingdom (N39846/98; 16.10.2001)
- Castravet v. Moldova (N23393/05; 13.3.2007);
- Cerovsek and Bozicnik v. Slovenia (N68939/12, 68949/12; 7.3.2017).
- Chambaz v. Switzerland (N11663/04; 5.4.2012).
- Chmura v. Poland (N18475/05; 3.4.2012);
- Çimen v. Turkey (N19582/02; 3.2.2009);
- Cleve v. Germany (N48144/09; 15.1.2015).
- Coëme and others v Belgium (N32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96, 33210/96; 22.6.2000).
- Corcuff v. France (N16290/04; 4.10.2007);
- Correia de Matos v. Portugal (N56402/12; 4.4.2018).
- Craxi v. Italy (N1) (N34896/97; 5.12.2002).
- Croissant v. Germany (N13611/88; 25.9.1992).
- Cuscani v. the United Kingdom (N32771/96; 24.9.2002);
- Custers and Others v. Denmark (N11843/03, 11847/03, 11849/03; 3.5.2007).
- Ćwik v. Poland (N31454/10; 5.11.2020).
- Czekalla v. Portugal (N38830/97; 10.10.2002);
- Dallas v. the United Kingdom (N38395/12; 11.2.2016).

- Davran v. Turkey (N18342/03; 3.11.2009); Zavodnik v. Slovenia (N53723/13; 21.5.2015);
- De Cubber v. Belgium (N9186/80; 26.10.1984); Morel v. France; Micallef v. Malta (N17056/06; 15.10.2009).
- Del Rio Prada v. Spain (N42750/09; 21.10.2013).
- Delande v. Belgium (N14192/88; 14.12.1988);
- Delcourt v. Belgium (N2689/65; 17.1.1970);
- Denisov v. Ukraine (N76639/11; 25.9.2018).
- Didier v. France (N58188/00; 27.8.2002).
- Diennet v. France (N18160/91; 26.9.1995).
- Dombo Beheer B.V. v. The Netherlands (N14448/88; 27.10.1993);
- Doorson v. the Netherlands; Van Mechelen and Others v. the Netherlands; Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom (N26766/05, 22228/06; 15.12.2011);
- Doorson v. the Netherlands; Van Mechelen and Others v. the Netherlands; P.S. v. Germany; Sapunarescu v. Germany; Schatschaschwili v. Germany; Constantinides v. Greece (N76438/12; 6.10.2016);
- Doorson v. the Netherlands (N20524/92; 26.3.1996);
- Dorado Baulde v. Spain (N23486/12; 1.9.2015).
- Dorokhov v. Russia (N66802/01; 14.2.2008).
- Döry v. Sweden (N28394/95; 12.11.2002);
- Dowsett v. the United Kingdom (N39482/98; 24.6.2003).
- Drassich v. Italy (N2) (N65173/09; 22.2.2018).
- Dvorski v. Croatia (N25703/11; 20.10.2015).
- E.K. v. Turkey (N28496/95; 7.2.2002);
- Ecer and Zeyrek v. Turkey (N29295/95, 29363/95; 27.2.2001);
- Eckle v. Germany (N8130/78; 15.7.1982).
- Edwards and Lewis v. the United Kingdom (N39647/98, 40461/98; 22.7.2003);
- Edwards v. The United Kingdom (N13071/87; 16.12.1992);
- Eero, Jorma and Pertti Korppoo v. Finland (N19341/92; 17.5.1995).
- El Haski v. Belgium (N649/08; 25.9.2012).
- El Kaada v. Germany (N2130/10; 12.11.2015).
- Erkapić v. Croatia (N51198/08; 25.4.2013);
- Esser, EMRK, Art. 6, Rn. 806; Perna v. Italy; Morel v. France (N43284/98; 12.2.2004);
- Fatullayev v. Azerbaijan (N40984/07; 22.4.2010).
- Fazliyski v. Bulgaria (N40908/05; 16.4.2013).
- Fejde v. Sweden (N12631/87; 29.10.1991);
- Fey v. Austria (N14396/88; 24.2.1993);
- Fischer v. Austria; Sailer v. Austria (N38237/97; 6.6.2002);
- Fischer v. Austria (N16922/90; 26.4.1995).
- Fleischner v. Germany (N61985/12; 3.10.2019).

- Franz Fischer v. Austria (N37950/97; 29.5.2001);
- Fredin v. Sweden (N18928/91; 23.2.1994);
- Fredin v. Sweden; Allan Jacobsson v. Sweden (N2).
- Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 290;
- Frowein/Peukert, EMRK, Art. 6, Rn. 310;
- Funke v. France (N10828/84; 25.2.1993);
- Funke v. France; Murray v. the United Kingdom; Saunders v. the United Kingdom; J.B. v. Switzerland (N31827/96; 3.5.2001);
- G.I.E.M. S.r.l. and Others v. Italy (N1828/06, 34163/07, 19029/11; 28.6.2018).
- Gabarri Moreno v. Spain (N68066/01; 22.7.2003).
- Gäfgen v. Germany (N22978/05; 1.6.2010).
- Garcia Alva v. Germany (N23541/94; 13.2.2001);
- Gardel v. France (N16428/05; 17.12.2009).
- Garlicki v. Poland (N36921/07; 14.6.2011).
- Garycki v. Poland (N14348/02; 6.2.2007).
- Gast and Popp v. Germany (N29357/95; 25.2.2000);
- Gheorghe v. Romania (N19215/04; 15.3.2007);
- Girardi v. Austria (N50064/99; 11.12.2003).
- Gnahoré v. France (N40031/98; 19.9.2000);
- Göktan v. France (N33402/96; 2.7.2002).
- Goktepe v. Belgium (N50372/99; 2.6.2005).
- Golder v. The United Kingdom (N4451/70; 21.2.1975).
- Gorgievski v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N18002/02; 16.7.2009).
- Gorny v. Poland (N50399/07; 8.6.2010);
- Gouarré Patte v. Andorra (N33427/10; 12.1.2016).
- Gradinger v. Austria (N15963/90; 23.10.1995);
- Grande Stevens and Others v. Italy (N18640/10, 18647/10, 18663/10, 18668/10, 18698/10; 4.3.2014);
- Granger v. the United Kingdom (N11932/86; 28.3.1990);
- Grava v. Italy (N43522/98; 10.7.2003).
- Grecu v. Romania (N75101/01; 30.11.2006).
- Grosskopf v. Germany (N24478/03; 21.10.2010);
- Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland (N26374/18; 1.12.2020).
- Güngör v. Germany (N31540/96; 17.5.2001);
- Gurepka v. Ukraine; Galstyan v. Armenia (N26986/03; 15.11.2007);
- H v. Belgium (N8950/80; 30.11.1987);
- Haarvig v. Norway (N11187/05; 11.12.2007).
- Haas v. Germany (N73047/01; 17.11.2005).
- Håkansson and Sturesson v. Sweden (N11855/85; 21.2.1990);
- Harutyunyan v. Armenia (N36549/03; 28.6.2007);
- Hauser-Sporn v. Austria (N37301/03; 7.12.2006).

- Heaney and McGuinness v. Ireland (N34720/97; 21.12.2000).
- Heglas v. the Czech Republic (N5935/02; 1.3.2007);
- Helmers v. Sweden (N11826/85; 29.10.1991);
- Hermi v. Italy (N18114/02; 18.10.2006).
- Hermi v. Italy; Şaman v. Turkey (N35292/05; 5.4.2011).
- Hokkeling v. the Netherlands (N30749/12; 14.2.2017).
- Hoppe v. Germany (N28422/95; 5.12.2002).
- Horvatić v. Croatia (N36044/09; 17.10.2013);
- Hübner v. Austria (N34311/96; 31.8.1999);
- Huseyn and Others v. Azerbaijan (N35485/05, 45553/05, 35680/05, 36085/05; 26.7.2011).
- Huseyn and Others v. Azerbaijan; Ajdarić v. Croatia (N20883/09; 13.12.2011);
- Huseyn and Others v. Azerbaijan; G.C.P. v. Romania (N20899/03; 20.12.2011).
- Ibrahim and Others v. the United Kingdom (N50541/08, 50571/08, 50573/08, 40351/09; 13.9.2016);
- Ilnseher v. Germany (N10211/12, 27505/14; 4.12.2018).
- Ilyadi v. Russia (N6642/05; 5.5.2011);
- Imbrioscia v. Switzerland (N13972/88; 24.11.1993).
- Ipsilanti v. Greece (N56599/00; 6.3.2003);
- J.B. v. Switzerland; Marttinen v. Finland (N19235/03; 21.4.2009).
- Jafarli and Others v. Azerbaijan (N36079/06; 29.7.2010).
- Jalloh v. Germany (N54810/00; 11.7.2006).
- Jendrowiak v. Germany; G. v. Germany (N65210/09; 7.6.2012);
- Jespers v. Belgium (N8403/78; 14.12.1981);
- Jorgić v. Germany (N74613/01; 12.7.2007).
- Jorgić v. Germany; Korbely v. Hungary (N9174/02; 19.9.2008);
- Jussila v. Finland (N73053/01; 23.11.2006).
- K. v. Germany (N61827/09; 7.6.2012); Glien v. Germany (N7345/12; 28.11.2013).
- K.A. and A.D. v. Belgium (N42758/98, 45558/99; 17.2.2005).
- K.S. and M.S. v. Germany (N33696/11; 6.10.2016).
- Kadubec v. Slovakia (N27061/95; 2.9.1998).
- Kafkaris v. Cyprus (N21906/04; 12.2.2008);
- Kallweit v. Germany (N17792/07; 13.1.2011);
- Kamasinski v. Austria (N9783/82; 19.12.1989);
- Kammerer v. Austria (N32435/06; 12.5.2010).
- Kangers v. Latvia (N35726/10; 14.3.2019).
- Kapetanios and Others v. Greece (N3453/12, 42941/12, 9028/13; 30.4.2015);
- Karg v. Austria (N29749/04; 6.5.2008).
- Karpenko v. Russia (N5605/04; 13.3.2012).
- Khan v. the United Kingdom (N35394/97; 12.5.2000);
- Klein Poelhuis v. the Netherlands (N34970/97; 21.4.1997);

- Klimentyev v. Russia (N46503/99; 16.11.2006).
- Knox v. Italy (N76577/13; 24.1.2019).
- König v. Germany (N6232/73; 28.6.1978).
- Kononov v. Latvia (N36376/04; 17.5.2010);
- Konstas v. Greece (N53466/07; 24.5.2011).
- Konstas v. Greece; BVerfGE 35, 202 (232); 71, 206 (216).
- Kontalexis v. Greece (N59000/08; 31.5.2011).
- Koprivnikar v. Slovenia (N67503/13; 24.1.2017).
- Korneyeva v. Russia (N72051/17; 8.10.2019).
- Kostovski v. the Netherlands (N11454/85; 20.11.1989);
- Krebs v. Germany (N68556/13; 20.2.2020).
- Kremzow v. Austria (N12350/86; 21.9.1993).
- Kremzow v. Austria (N12350/86; 21.9.1993).
- Kress v. France (N39594/98; 7.6.2001);
- Kreuz v. Poland (N28249/95; 19.6.2001).
- Krombach v. France (N29731/96; 13.2.2001);
- Krombach v. France; Gurepka v. Ukraine (N61406/00; 6.9.2005);
- Krumpholz v. Austria (N13201/05; 18.3.2010).
- Kuchta v. Poland (N58683/08; 23.1.2018).
- Kurdov and Ivanov v. Bulgaria (N16137/04; 31.5.2011);
- Kurdov and Ivanov v. Bulgaria.
- Kuzmin v. Russia (N58939/00; 18.3.2010).
- Lagerblom v. Sweden (N26891/95; 14.1.2003).
- Lamy v. Belgium; M. v. Netherlands.
- Lanz v. Austria (N24430/94; 31.1.2002).
- Lavents c. Latvia; Nestak v. Slovakia (N65559/01; 27.2.2007).
- Lavents c. Latvia; Panjikidze and Others v. Georgia (N30323/02; 27.10.2009);
- Lavents v. Latvia (N58442/00; 28.11.2002).
- Liebreich v. Germany (N30443/03; 8.1.2008).
- Lietzow v. Germany (N24479/94; 13.2.2001);
- Lislawska v. Poland (N37761/97; 13.7.2004).
- Lithgow and Others v. the United Kingdom (N9006/80, 9262/81, 9263/81, 9265/81, 9266/81, 9313/81, 9405/81; 8.7.1986);
- Lobarev and others v. Russia (N10355/09, 14358/11, 12934/12, 76458/12, 25684/13, 49429/14; 28.1.2020).
- Luboch v. Poland (N37469/05; 15.1.2008).
- Lucà v. Italy (N33354/96; 27.2.2001).
- Lucky Dev v. Sweden (N7356/10; 27.11.2014).
- Lüdi v. Switzerland (N12433/86; 15.6.1992);
- Luedicke, Belkacem and Koç v. Germany (N6210/73, 6877/75, 7132/75; 28.11.1978).
- Lutz v. Germany (N9912/82; 25.8.1987).
- M. v. Netherlands (N2156/10; 25.7.2017).
- M.M. v. the Netherlands (N39339/98; 8.4.2003).

- Magnitskiy and Others v. Russia (N32631/09, 53799/12; 27.8.2019).
- Makhfi v. France (N59335/00; 19.10.2004);
- Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina (N2312/08, 34179/08; 18.7.2013).
- Mantovanelli v. France (N21497/93; 18.3.1997).
- Marcello Viola v. Italy (N45106/04; 5.10.2006);
- Marguš v. Croatia (N4455/10; 27.5.2014);
- Mariani v. France (N43640/98; 31.3.2005);
- Marpa Zeeland B.V. and Metal Welding B.V. v. the Netherlands (N46300/99; 9.11.2004).
- Martin v. Estonia (N35985/09; 30.5.2013).
- Martynyuk v. Russia (N13764/15; 8.10.2019).
- Mattick v. Germany (N62116/00; 31.3.2005);
- Matyjek. v. Poland (N38184/03; 24.4.2007);
- Matytsina v. Russia (N58428/10; 27.3.2014).
- Mautes v. Germany (N20008/07; 13.1.2011);
- Mayzit v. Russia (N63378/00; 20.1.2005).
- Medenica v. Switzerland (N20491/92; 14.6.2001).
- Meftah and Others v. France (N32911/96, 35237/97, 34595/97; 26.7.2002).
- Mehmet Zeki Çelebi v. Turkey (N27582/07; 28.1.2020).
- Melnikov v. Russia (N23610/03; 14.1.2010);
- Metzger v. Germany (N37591/97; 31.5.2001);
- Minelli v. Switzerland (N8660/79; 25.3.1983).
- Mirilashvili v. Russia (N6293/04; 11.12.2008);
- Mjelde v. Norway (N11143/04; 1.2.2007);
- Moiseyev v. Russia (N62936/00; 9.10.2008).
- Moreira Ferreira v. Potrugal (N2) (N19867/12; 11.7.2017).
- Morel v. France (N34130/96; 6.6.2000);
- Moser v. Austria (N12643/02; 21.9.2006).
- Mraović v Croatia (N30373/13; 14.5.2020).
- Müller v. Austria (N1) (N12555/03; 5.10.2006);
- Müller v. Austria (N2) (N28034/04; 18.9.2008).
- Müller v. Germany (N54963/08; 27.3.2014).
- Müller-Hartburg v. Austria (N47195/06; 19.2.2013).
- Mulosmani v. Albania (N29864/03; 8.10.2013).
- Murray v. the United Kingdom; Krumpholz v. Austria; O`Donnell v. the United Kingdom (N16667/10; 7.4.2015).
- Murtazaliyeva v. Russia (N36658/05; 18.12.2018).
- Naït-Liman v. Switzerland (N51357/07; 15.3.2018).
- Natunen v. Finland (N21022/04; 31.3.2009).
- Neves e Silva v. Portugal (N11213/84; 27.4.1989);
- Neziraj v. Germany (N30804/07; 8.11.2012).

- Nikitin v. Russia (N50178/99; 20.7.2004).
- Nikitin v. Russia; Kadusic v. Switzerland (N43977/13; 9.1.2018).
- Nikitin v. Russia; Sergey Zolotukhin v. Russia (N14939/03; 10.2.2009);
- Nodet v. France (N47342/14; 6.6.2019).
- Nodet v. France; Mihalache v. Romania (N54012/10; 8.7.2019);
- Nölkenbockhoff v. Germany (N10300/83; 9.10.1985);
- OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia (N14902/04; 20.9.2011).
- Obermeier v. Austria (N11761/85; 28.6.1990);
- Öcalan v. Turkey; Salduz v. Turkey (N36391/02; 27.11.2008);
- O'Halloran and Francis v. the United Kingdom (N15809/02, 25624/02; 29.6.2007).
- Oliveira v. Switzerland (N25711/97; 30.7.1998);
- Olivieri v. France (N62313/12; 11.7.2019).
- Oršuš and Others v. Croatia (N15766/03; 17.7.2008).
- P.S. v. Germany (N33900/96; 20.12.2001);
- P.S. v. Germany; A.S. v. Finland (N40156/07; 28.9.2010).
- Pakelli v. Germany (N8398/78; 25.4.1983);
- Palmén v. Sweden (N38292/15; 22.3.2016);
- Panovits v. Cyprus (N4268/04; 11.12.2008).
- Papageorgiou v. Greece (N24628/94; 22.10.1997).
- Papon v. France (N54210/00; 25.7.2002).
- Pelterau-Villeneuve v. Switzerland (N60101/09; 28.10.2014).
- Pesti and Frodl v. Austria (N27618/95, 27619/95; 18.1.2000);
- Pesukic v. Switzerland (N25088/07; 6.12.2012).
- Pham Hoang v. France (N13191/87; 25.9.1992).
- Philips v. the United Kingdom (N41087/98; 5.7.2001).
- Philis v. Greece (N19773/92; 27.6.1997);
- Piersack v. Belgium (N8692/79; 1.10.1982);
- Piersack v. Belgium; Sturua v. Georgia (N45729/05; 28.3.2017).
- Pititto v. Italy (N19321/03; 12.6.2007).
- Plechkov v. Romania (N1660/03; 16.9.2014);
- Poitrimol v. France (N14032/88; 23.11.1993);
- Poitrimol v. France; Hermi v. Italy; Scopolla v. Italy (N2).
- Polyakov v. Russia (N77018/01; 29.1.2009);
- Popov v. Russia (N26853/04; 13.7.2006).
- Poulsen v. Denmark (N32092/96; 29.6.2000);
- Prade v. Germany (N7215/10; 3.3.2016);
- Pretto and Others v. Italy (N7984/77; 8.12.1983);
- Putz v. Austria (N18892/91; 22.2.1996).
- Quaranta v. Switzerland (N12744/87; 24.5.1991).
- R.D. v. Poland (N29692/96, 34612/97; 18.12.2001);
- Ramda v. France (N78477/11; 19.12.2017);

- Raykov v. Bulgaria (N35185/03; 22.10.2009).
- Raza v Bulgaria (N31465/08; 11.2.2010);
- Regner v. the Czech Republic (N35289/11; 19.9.2017).
- Richert v. Poland (N54809/07; 25.10.2011);
- Riepan v. Austria (N35115/97; 14.11.2000).
- Rohlena v. the Czech Republic (N59552/08; 27.1.2015).
- Rola v. Slovenia (N12096/14; 4.6.2019).
- Romanov v. Russia (N63993/00; 20.10.2005).
- Rowe and Davis v. the United Kingdom (N28901/95; 16.2.2000);
- Rowe and Davis v. the United Kingdom; Matanović v. Croatia (N2742/12; 4.4.2017).
- Ruban v. Ukraine (N8927/11; 12.7.2016).
- Ruiz Torija v. Spain (N18390/91; 9.12.1994);
- Ruiz-Mateos v. Spain (N12952/87; 23.6.1993).
- Ruslan Yakovenko v. Ukraine (N5425/11; 4.6.2015).
- Rutkowski v. Poland (N45995/99; 19.10.2000);
- Ryakib Biryukov v. Russia (N14810/02; 17.1.2008).
- S. v. Switzerland (N12629/87, 13965/88; 28.11.1991);
- S.C. v. the United Kingdom (N60958/00; 15.6.2004).
- S.N. v. Sweden (N34209/96; 2.7.2002).
- S.W. v. the United Kingdom (N20166/92; 22.11.1995);
- Saidi v. France (N14647/89; 20.9.1993);
- Sakhnovskiy v. Russia (N21272/03; 2.11.2010).
- Salabiaku v. France (N10519/83; 7.10.1988);
- Salomonsson v. Sweden (N38978/97; 12.11.2002).
- Sandel v. the former Yugoslav Republic of Macedonia (N21790/03; 27.5.2010).
- Sander v. the United Kingdom (N34129/96; 9.5.2000;
- Sannino v. Italy (N30961/03; 27.4.2006).
- Sapunarescu v. Germany (N22007/03; 11.9.2006);
- Saunders v. the United Kingdom (N19187/91; 17.12.1996);
- Saunders v. the United Kingdom; Zaichenko v. Russia (N39660/02; 18.2.2010).
- Schatschaschwili v. Germany (N9154/10; 15.12.2015).
- Schenk v. Switzerland (N10862/84; 12.7.1988);
- Schertenleib v. Switzerland (N14938/89; 1.7.1992);
- Schuler-Zgraggen v. Switzerland (N14518/89; 24.6.1993);
- Schuler-Zgraggen v. Switzerland; Pauger v. Austria (N16717/90; 28.5.1997);
- Schuler-Zgraggen v. Switzerland; Zumtobel v. Austria (N12235/86; 21.9.1993).
- Schummer v. Germany (N27360/04, 42225/07; 13.1.2011);
- Schwarzenberger v. Germany (N75737/01; 10.8.2006).
- Scopolla v. Italy (N2) (N10249/03; 17.9.2009);

- Scordino v. Italy (N1) (N36813/97; 29.3.2006);
- Sejdovic v. Italy (N56581/00; 1.3.2006).
- Sejdovic v. Italy; Staroszczyk v. Poland (N59519/00; 22.3.2007);
- Shabelnik v. Ukraine (N16404/03; 19.2.2009);
- Shvydka v. Ukraine (N17888/12; 30.10.2014);
- Shvydka v. Ukraine; Firat v. Greece (N46005/11; 9.11.2017);
- Simeonovi v. Bulgaria (N21980/04; 12.5.2017);
- Smirnova v. Russia (N48183/99; 24.7.2003);
- Smyk v. Poland (N8958/04; 28.7.2009).
- Solakov v. Former Yugoslav Republic of Macedonia (N47023/99; 31.10.2001);
- Somogyi v. Italy (N67972/01; 18.5.2004).
- Soros v. France (N50425/06; 6.10.2011);
- Stankov v. Bulgaria (N68490/01; 12.7.2007); Mendel v. Sweden (N28426/06; 7.4.2009);
- Storbråten v. Norway (N12277/04; 1.2.2007);
- Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece (N13427/87; 9.12.1994);
- Streletz, Kessler and Krenz v. Germany (N34044/96, 35532/97, 44801/98; 22.3.2001);
- Streletz, Kessler and Krenz v. Germany; K.-H.W. v. Germany (N37201/97; 22.3.2001);
- Sutter v. Switzerland (N8209/78; 22.2.1984).
- Sutyagin v. Russia (N30024/02; 3.5.2011);
- Svinarenko and Slyadnev v. Russia (N32541/08, 43441/08; 17.7.2014).
- Talat Tunç v. Turkey (N32432/96; 27.3.2007);
- Tarasov v. Ukraine (N17416/03; 31.10.2013).
- Telfner v. Austria (N33501/96; 20.3.2001).
- Topić v. Croatia (N51355/10; 10.10.2013).
- Trabelsi v. Belgium (N140/10; 4.9.2014).
- Tsezar and Others v. Ukraine (N73590/14, 73593/14, 73820/14, 4635/15, 5200/15, 5206/15, 7289/15; 13.2.2018).
- Tsvetkova and Others v. Russia (N54381/08; 10.4.2018);
- Üner v. the Netherlands (N46410/99; 18.10.2006).
- V.C.L. and A.N. v. the United Kingdom (N77587/12, 74603/12; 16.2.2021).
- Van de Hurk v. The Netherlands (N16034/90; 19.4.1994);
- Van der Velden v. the Netherlands (N29514/05; 7.12.2006).
- Van Geyseghem v. Belgium (N26103/95; 21.1.1999).
- Van Mechelen and Others v. The Netherlands (N21363/93, 21364/93, 21427/93, 22056/99; 23.4.1997);
- Van Mechelen and Others v. the Netherlands.
- Van Wesenbeeck v. Belgium (N67496/10; 23.5.2017).
- Varvara v. Italy (N17475/09; 29.10.2013);
- Vasiliauskas v. Lithuania (N35343/05; 20.10.2015).

- Visser v. the Netherlands (N26668/95; 14.2.2002);
- Vizgirda v. Slovenia (N59868/08; 28.8.2018).
- Volkwein v. Germany (N45181/99; 4.4.2002).
- Vronchenko v. Estonia (N59632/09; 18.7.2013).
- Weh v. Austria (N38544/97; 8.4.2004).
- Welch v. the United Kingdom (N17440/90; 9.2.1995).
- Welke and Bialek v. Poland (N15924/05; 1.3.2011);
- Wettstein v. Switzerland (N33958/96; 21.12.2000).
- Willekens v. Belgium (N50859/99; 24.4.2003).
- Wynen v. Belgium (N32576/96; 5.11.2002).
- Xero Flor v. Poland (N4907/18; 7.5.2021).
- Yam v. the United Kingdom (N31295/11; 16.1.2020).
- Zachar and Čierny v. Slovakia (N29376/12, 29384/12; 21.7.2015).
- Zaicevs v. Latvia (N65022/01; 31.7.2007);
- Zakshevskiy v. Ukraine (N7193/04; 17.3.2016).
- Zehar v. France (N25408/94; 18.10.1995);
- Zhuk v. Ukraine (N45783/05; 21.10.2010).
- BGHZ 50, 133 (136); 143, 214 (218).
- BVerfGE 1, 208 (225); 5, 85 (133); 9, 162 (165); 11, 239 (241); 13, 54 (81 f.).
- BVerfGE 1, 208 (241 ff.); 78, 350 (357); 85, 148 (157).
- BVerfGE 1, 208 (242); 4, 27 (30); 89, 155 (171 f.).
- BVerfGE 1, 208 (244 ff.); 16, 130 (138 f.); 82, 322 (337); 95, 335 (353).
- BVerfGE 1, 208 (247 f., 256); 6, 84 (92 f.); 82, 322 (338); 95, 408 (419, 421 f.).
- BVerfGE 1, 208 (247 ff.); 69, 92 (106); 82, 322 (338); 93, 373 (377); 95, 408 (418); 120, 82 (107); 121, 266 (297); 124, 1 (19).
- BVerfGE 10, 55.
- BVerfGE 10, 59, [66]; 29, 166, [176]; 62, 323, [330]).
- BVerfGE 10, 89 (102); 38, 281 (297 f.); 107, 169 (172 f.).
- BVerfGE 10, 89 (103 f.); 38, 281 (299 f.).
- BVerfGE 107, 395 (401).
- BVerfGE 107, 395 (407). BVerfGE 35, 382 (401); 55, 349 (369).
- BVerfGE 11, 139 (145 f.); 101, 239 (263 f.); 103, 271 (287); 103, 392 (403); 105, 17 (36 f.); 109, 133 (180 ff.).
- BVerfGE 11, 266 (272); 41, 399 (417); 89, 243 (251).
- BVerfGE 11, 266 (272); 85, 148 (157); 99, 69 (77 f.).
- BVerfGE 12, 113 (131); 24, 278 (286); 54, 129 (138); 60, 234 (241); 89, 272 (282).
- BVerfGE 12, 296 (304 f.); 17, 155 (166); 47, 130 (139).
- BVerfGE 120, 351 (360).
- BVerfGE 120, 378 (398 f.).
- BVerfGE 127, 87 in: Magers U., Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 10.
- BVerfGE 13, 174 (175).

- BVerfGE 13, 174 (175); 30, 227 (241, 243); 50, 290 (353 f.); 84, 372 (378)
- BVerfGE 13, 21 (26, 30); 19, 206 (225
- BVerfGE 15, 256 [262].
- BVerfGE 17, 306 (314).
- BVerfGE 18, 441 (447); 71, 108 (114).
- BVerfGE 18.11.2003, 1 BvR 302/96, § 107
- BVerfGE 2, 1 (13).
- BVerfGE 2, 1 (73); 5, 85 (133); 11, 239 (241); 44, 125 (145); 73, 40 (85).
- BVerfGE 20, 323 (336); 70, 1 (25).
- BVerfGE 20, 56 (105 f.); 24, 300 (332 f., 356); 52, 63 (87); 85, 264 (319).
- BVerfGE 20, 56 (116); 24, 300 (339); 41, 399 (413); 69, 92 (106 f.); 85, 264 (285 ff.).
- BVerfGE 21, 200 (204 ff.).
- BVerfGE 21, 362 (369 ff.); 45, 63 (78 f.).
- BVerfGE 21, 362 (369 ff.); 45, 63 (78 f.).
- BVerfGE 27, 1 (6); 34, 269 (282); 54, 148 (153).
- BVerfGE 27, 1 (6); 35, 202 (220); 54, 148 (153).
- BVerfGE 27, 344 (350 f.); 32, 373 (374 f.).
- BVerfGE 28, 220 (225); 36, 139 (141); 99, 69 (78).
- BVerfGE 3, 383 (396); 4, 375 (386 f.); 24, 300 (341); 82, 353 (364 f.).
- BVerfGE 3, 45 (49 f.); 7, 63 (68 f.); 7, 77 (85); 21, 355 (355 f.); 47, 253 (283 f.); 97, 317 (323 ff.).
- BVerfGE 3, 45 (49 f.); 7, 63 (68); 7, 77 (84 f.); 47, 253 (279 f.).
- BVerfGE 3, 45 (50); 7, 63 (69); 47, 253 (281).
- BVerfGE 3, 45 (51); 7, 63 (72); 7, 77 (85); 47, 253 (280 f.).
- BVerfGE 30, 173 (194 ff.).
- BVerfGE 32, 273 - Mutterschutz I, 25.01. 1972 - 1 BvL 3/70
- BVerfGE 33, 367 (383); 47, 239 (247 f.); 51, 324 (343); 93, 99 (107).
- BVerfGE 34, 238 (246); 54, 148 (155); 54, 208 (217 f.).
- BVerfGE 35, 202 (220).
- BVerfGE 35, 202 (225 f.); 63, 131 (144).
- BVerfGE 35, 202 (225 f.); 63, 131 (144); 101, 361 (393 f., 396); 103, 44 (64 ff.).
- BVerfGE 35, 202 (235 ff.); 64, 261 (276 f.).
- BVerfGE 37, 217, [249]; 103, 89, [101]).
- BVerfGE 38, 105 (111); 63, 45 (67); 106, 28 (48); 117, 202 (240).
- BVerfGE 38, 105 (114 f.).
- BVerfGE 38, 241 (251, 253); 79, 256 (268 ff.); 90, 263 (270 ff.).
- BVerfGE 38, 281 (303).
- BVerfGE 38, 281 (303); 80, 244 (252).
- BVerfGE 39, 169, [183]; 48, 327, [338]; 66, 84, [94].
- BVerfGE 39, 334 (354).
- BVerfGE 4, 297.
- BVerfGE 4, 31 (42 f.).
- BVerfGE 4, 7 (15 f.); 50, 290 (353 f.).
- BVerfGE 4, 74 (94 f.); 11, 232 (233); 54, 277 (291 f.); 65, 76 (90); 83, 24 (31); 89, 381 (390).
- BVerfGE 41, 399 (413); 95, 408 (417); 104, 14 (19 f.); 111, 382 (398).
- BVerfGE 41, 399 (417).
- BVerfGE 41, 399 (417); 47, 253 (282); 71, 81 (100); 89, 243 (251).
- BVerfGE 44, 125 (138 ff.).
- BVerfGE 44, 125 (144); 47, 198 (225).
- BVerfGE 44, 125 (147 ff.); 63, 230 (242 ff.).

- BVerfGE 46, 1 (2 f.); 76, 60 (62); 76, 66 (67).
- BVerfGE 5, 77 (82); 12, 33 (36); 12, 132 (134).
- BVerfGE 5, 77 (83); 6, 84 (97).
- BVerfGE 5, 85 (141 f.).
- BVerfGE 5, 85 (204); 27, 1 (6); 45, 187 (228).
- BVerfGE 5, 85 (232).
- BVerfGE 50, 290 (354 f.); 84, 372 (378).
- BVerfGE 51, 222 (236); 85, 148 (157 f.); 95, 408 (417).
- BVerfGE 52, 131 (143 ff., 156 f.). BVerfGE 52, 131(144, 156 f.); 108, 150 (162); 110, 226 (252 f.). BVerfGE 77, 275 (284); 97, 298 (315).
- BVerfGE 54, 129 (138); 61, 1 (13).
- BVerfGE 54, 143.
- BVerfGE 54, 148 (153).
- BVerfGE 54, 148 (153).
- BVerfGE 54, 148 (154); 54, 208 (217).
- BVerfGE 54, 208 (219 f.); 61, 1 (8); 85, 1 (15).
- BVerfGE 54, 208 (219 f.); 61, 1 (8); 85, 1 (22).
- BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (157 ff.); 80, 315 (333); 94, 166 (200).
- BVerfGE 54, 341 (357); 76, 143 (158 f., 163 f.); 80, 315 (335);
- BVerfGE 54, 341 (358).
- BVerfGE 54, 341 (358); 76, 143 (169); 80, 315 (358 ff.).
- BVerfGE 54, 341 (360, 361); 80, 315 (344 f.);
- BVerfGE 56, 216 (235 ff.); 65, 76 (94); 67, 43 (59); 70, 180 (189 f.).
- BVerfGE 57, 250 (276); 70, 297 (308 f.); 86, 288 (317 f.).
- BVerfGE 59, 275 (278).
- BVerfGE 59, 275 (278).
- BVerfGE 6, 32 (36 f.); 30, 282 (236); 35, 35 (39); 57, 170 (177 f.); 58, 358 (363); 107, 299 (312); 109, 279 (325 f.).
- BVerfGE 6, 32 (36 ff.); 54, 143 (146); 74, 129 (151 f.); 80, 137 (152 ff.).
- BVerfGE 6, 32 (37 ff.); 50, 256 (262); 55, 159 (165); 59, 275 (278); 63, 88 (108 f.); 74, 129 (152); 80, 137 (153); 90, 145 (171 f.).
- BVerfGE 6, 32 (38 ff.).
- BVerfGE 6, 32 (38).
- BVerfGE 6, 32 (38).
- BVerfGE 6, 32 (40 f.); 70, 1 (25).
- BVerfGE 6, 32 (41); 7, 198 (205); 34, 269 (281).
- BVerfGE 6, 55, [72]; 55, 114, [126].
- BVerfGE 6, 55, [76]; 28, 104, [113]; 53, 224, [248]; 76, 1, [41]; 80, 81, [92]; 99, 216, [231].
- BVerfGE 60, 253 (295).
- BVerfGE 61, 1 (41 ff.); 100, 313 (358 f.).
- BVerfGE 63, 131 (142 f.).
- BVerfGE 65, 1 (43).
- BVerfGE 65, 1 (44).
- BVerfGE 65, 1 (44, 46).
- BVerfGE 7, 198 (212); 85, 1 (16).
- BVerfGE 7, 63 (69); 44, 125 (139); 47, 253 (282); 66, 369 (380); 79, 161 (165 f.); 95, 335 (350); 103, 111 (130 f.).
- BVerfGE 71, 108 (114). BVerfGE 65, 227 (233); 75, 201 (215).
- BVerfGE 71, 108 (114); 75, 329 (341); 78, 374 (382).
- BVerfGE 71, 108; 87, 209; 92, 1;
- BVerfGE 74, 51 (56 ff.); 80, 315 (344);
- BVerfGE 74, 51 (60); 80, 315 (344); 94, 49 (95 ff.).
- BVerfGE 74, 51 (65); 94, 115 (145).
- BVerfGE 76, 143 (137, 166 f.); 80, 315 (335);

- BVerfGE 76, 143 (157).
- BVerfGE 78, 214 (226); 83, 182 (195).
- BVerfGE 78, 77 (84).
- BVerfGE 79, 161 (166).
- BVerfGE 79, 347; 81, 164; 88, 226.
- BVerfGE 80, 137.
- BVerfGE 80, 244 (253).
- BVerfGE 80, 315 (333 f.).
- BVerfGE 80, 315 (334).
- BVerfGE 80, 315 (337 f.); 81, 142 (149); 94, 115 (136);
- BVerfGE 80, 315 (339); 81, 142 (152);
- BVerfGE 80, 315 (342); 81, 58 (65).
- BVerfGE 82, 272 (284); 85, 1 (16); 93, 266 (294).
- BVerfGE 82, 322 (339 ff.).
- BVerfGE 83, 216 (230).
- BVerfGE 83, 216.
- BVerfGE 83, 37 (50 ff.).
- BVerfGE 84, 188 (190)
- BVerfGE 84, 372 (378).
- BVerfGE 85, 148 (158).
- BVerfGE 85,191/206 f; 91/109.
- BVerfGE 88, 203 (254).
- BVerfGE 89, 155 (171).
- BVerfGE 9, 174 (180); 54, 341 (356 f.); 76, 143 (157 f.); 80, 315 (333);
- BVerfGE 90, 241 (248).
- BVerfGE 93, 99 (107); 101, 275 (294 f.); 107, 395 (401); 108, 341 (347).
- BVerfGE 95, 220 (242).
- BVerfGE 95, 408 (418 f.).
- BVerfGE 96, 205 (216); 98, 218 (263). VerfGE 85, 337 (345).
- BVerfGE 98, 365 (385).
- BVerfGE 99, 1 (8 ff.).
- BVerfGE, Sondervotum, 80, 137 (165).
- BVerwGE 101, 328 (331).
- BVerwGE 101, 328.
- BVerwGE 11, 141; 81, 369.
- BVerwGE 49, 75 (76).
- BVerwGE 65, 244 (247); 78, 332 (345).
- BVerwGE 67, 314; 71, 175; 85, 139; 87, 52.
- BVerwGE 67, 317; 87, 152; 95, 42 (43 f.); 99, 331 (334 f).
- BVerwGE 68, 109 (110); 75, 133 (135).
- BVerwGE 71, 175 (179); 87, 52 (53 f.); 89, 171 (175 f.).
- BVerwGE 75, 304 (311).
- BVerwGE 75, 310.
- BVerwGE 77, 258; 78, 152; 80, 136 (140).
- BVerwGE 79, 347; 81, 164; 88, 226; 101, 328 (335).
- BVerwGE 79, 347; 81, 164; 88, 226; 101, 335.
- BVerwGE 85, 139 (140 f.); 87, 141 (148); 89, 162 (169).
- BVerwGE 85, 139 (140); 87, 141 (148).
- BVerwGE 85, 139 (141); 90, 127 (133).
- BVerwGE 85, 139; 88, 367; 89, 162; 96, 200.
- BVerwGE 85, 92; 85, 139; 88, 367; 96, 200.
- BVerwGE 87, 152 (153); 109, 12 (18 f.).
- BVerwGE 90, 127 (129).
- BVerwGE 95, 42 (45).
- BvF 1/01, 1 BvF 2/01, 17.07.2002

ანა ფირცხალაშვილი

განათლება: წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის (LL.M. of Law) და პოტსდამის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორის (Dr. Juris) ხარისხი.

აკადემიური /სამეცნიერო გამოცდილება: აქვს მრავალწლიანი სწავლებისა და კვლევის გამოცდილება საქართველოში - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. და უცხოეთში: პოტსდამის უნივერსიტეტი (გერმანია), ვურცბურგის უნივერსიტეტი გერმანია, აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი (შვეიცარია), ბერლინის სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი (WZB), ამასთანავე არის განათლების კვლევის და მართვის ინსტიტუტის (ბერლინი) ინოვაციების საბჭოს წევრი, არის ქართული და საერთაშორისო ფონდების მრავალგზის სტიპენდიანტი.

სამუშაო გამოცდილება:

ბერლინის ადვოკატთა ასოციაცია, გერმანიის პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული დახმარების კომიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. რამდენიმე ქართული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საქმიანობა, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო კომისიების/საბჭოების წევრი, საექსპერტო საქმიანობა სხვადასხვა დროს: FES Georgia, GIZ, USAID, UNICEF, World Vision, UNDP და სხვა.

ბესიკ ლოლაძე

განათლება: წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს პოტსდამის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის (Dr. Juris) ხარისხი.

აკადემიური/სამეცნიერო გამოცდილება: აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შემდეგ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პოტსდამის უნივერსიტეტის მუნიციპალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, მაქს-პლანკის ინსტიტუტი საზღვარგარეთის საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლისათვის.

სამუშაო გამოცდილება: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და სხვა თანამდებობები.